მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა,
გოჩა მამულაშვილი

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი

(წიგნი I)

მეოთხე გამოცემა

გამომცემლობა „მერიდიანი"
თბილისი 2011

უაკ (UDC) 343
ს 542

წინამდებარე წიგნი საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოს წარმოადგენს. იგი მოიცავს ადამიანის საწინააღმდეგო, ეკონომიკურსა და საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. სახელმძღვანელო ემყარება იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კერძო ნაწილის პროგრამას.

წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და დაინტერესებული სხვა მკითხველისათვის.

ავტორები:

მზია ლეკვეიშვილი – თავი I, II, VI (153-170 მმ); VII (174-176 მმ) VIII.

ნონა თოდუა – თავი III, V, VI (142-152 მმ); VII (171-173 მმ), XIII, XVII.

ნინო გვენეტაძე – თავი VI (164[1]-164[3] მმ).

გოჩა მამულაშვილი – თავი I, §1 პროფ. მ. ლეკვეიშვილთან ერთად. IV, IX, X, XI, XII, XIV, XV, XVI.

რედაქტორი – **გოჩა მამულაშვილი**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011

ISBN 978-9941-10-044-4 (ტომეული)
ISBN 978-9941-10-045-1 (I ტომი)

თავი I

§1. საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება და საგანი

დანაშაულობასთან ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სისხლის სამართლის კანონს, რამდენადაც სწორედ მისი საშუალებით ხორციელდება როგორც ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა, ისე საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დაცვა, ასევე კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 1-ლი).

სისხლის სამართალი შედგება ორი ნაწილისაგან: ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან. სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში მოცემულია დანაშაულის ყველა შემადგენლობისათვის საერთო ცნებები და ნიშნები, მისი პრინციპები და ინსტიტუტები. სხვაგვარად, ზოგადი ნაწილის არარსებობისას, ყველა დანაშაულის შემადგენლობის დაწვრილებითი განხილვა გამოიწვევდა სისხლის სამართლის კოდექსის კოლოსალურ გაზრდას და ერთი და იგივე ცნებების მრავალჯერ გამეორებას.

რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილს, მასში განსაზღვრულია დანაშაულთა ცალკეული სახეები და მითითებულია სასჯელის იმ სახეზე, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს მისი ჩადენისათვის.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი შეიძლება განიმარტოს როგორც სისხლის სამართლის კანონით დადგენილ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულად აღიარებულ ქმედებათა წრესა და ნიშნებს, ასევე მისი ჩადენისათვის დადგენილ სასჯელის სახესა და ზომას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილები ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ერთ

მთლიანობას ქმნის. მათი ერთიანობა განისაზღვრება ერთი და იმავე ამოცანების არსებობით, რაც მიზნად ისახავს ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. კერძო ნაწილი კონკრეტულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში თავის ფუნქციას ასრულებს ზოგადი ნაწილის ნორმების მეშვეობით.

ასე მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლში აღწერილია ბანდიტიზმის ნიშნები, რომელიც ბანდიტიზმს განმარტავს როგორც მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნას ან ხელმძღვანელობას პირზე, ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით, ასევე ასეთ ჯგუფში (ბანდაში) ან მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობას. მაგრამ იმისათვის, რომ პირი პასუხისგებაში იყოს მიცემული ბანდიტიზმისათვის, აუცილებელია ზოგადი ნაწილის ნორმების გამოყენება, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, შეურაცხაობას, ბრალს, თანამონაწილეობასა და სხვა. ასევე, ეს დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას თორმეტიდან ოც წლამდე. ან მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთას ვადით რვიდან თორმეტ წლამდე. ცხადია, რომ სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას ასევე უნდა იხელმძღვანელოს ზოგადი ნაწილის ნორმებით, ყურადღება მიაქციოს დანაშაულის კატეგორიას და, აქედან გამომდინარე, სასჯელის შეფარდების სპეციფიკას. ამავე დროს, დადგენილ უნდა იქნეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოებები და ა.შ.

სისხლის სამართლის კოდექსის დაყოფა ზოგად და კერძო ნაწილებად პირველად საფრანგეთის 1791 წლისა და 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსებით მოხდა. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღესაც არსებობს ისეთ სახელმწიფოთა კანონმდებლობა, სადაც ამგვარი დაყოფა არ არსებობს, ან საერთოდ არ არის კოდიფიცირებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ამ უკანასკნელის მაგალითად გამოგვადგება დიდი ბრიტანეთი, სადაც საერთო სამართლის პრინციპების შესაბამისად ოცამდე კანონი არსებობს, რომელიც აწესრიგებს სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილების საკითხებს. არ არის კოდიფიცირებული არც მუსლიმური სისხლის სამართალი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედებს კოდიფიცირებულ აქტთან ერთად.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და ამასთან დაკავშირებით საქართ-

ველოში განხორციელებულმა ცვლილებებმა თავისი ზეგავლენა მოახდინეს დამნაშავეობის მდგომარეობასა და მის დინამიკაზე, რამაც თავისი გამოხატულება პოვა ახალ სისხლის სამართლის კოდექსში და, პირველ რიგში, მის კერძო ნაწილში. ზოგიერთმა ქმედებამ საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციასთან დაკავშირებით დაკარგა სოციალური საშიშროება, რის გამოც მოხდა მათი დეკრიმინალიზაცია. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ ახალი კოდექსის მიღებამდე სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან ამოღებულ იქნა ისეთი ნორმები, რომლებიც არ პასუხობდნენ ქვეყანაში გასატარებელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებს. მოხდა სპეკულაციის, კერძოწარმეობითი საქმიანობის, კომერციული შუამავლობისა და ზოგიერთ სხვა ქმედებათა დასჯადობის გაუქმება. ამასთან ერთად, ახალმა ნეგატიურმა სოციალურმა მოვლენებმა, რომლებმაც თავი იჩინეს ჩვენს სოციალურ გარემოში, საჭიროდ გახადეს რიგ ქმედებათა კრიმინალიზაცია. მაგალითად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) და სხვა.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმათა უდიდესი უმრავლესობა ამკრძალავი ხასიათისაა, თუმცა მასში მოცემულია ასევე წამახალისებელი (პოზიტიური) და ახსნაგანმარტებითი ნორმებიც. წამახალისებელ ნორმათა მიზანია დამნაშავე პირის პოსტდანაშაულებრივი ქცევის სტიმულირება, რომელიც ცდილობს გამოასწოროს სამართლებრივი სიკეთისათვის მიყენებული ზიანი. ახალ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ამგვარ ნორმათა რაოდენობა გაზრდილია და დღესაც იზრდება. ასე მაგალითად, ტერორისტული აქტის შემადგენლობას (მუხ. 323-ე) ახლავს შენიშვნა, სადაც მითითებულია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილე პირი, რომელიც ხელისუფლების ორგანოს დროული გაფრთხილებით ან სხვაგვარად შეუწყობს ხელს ტერორისტული აქტის თავიდან აცილებას და თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები; ან კიდევ, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლს, რომელიც ეხება ნარკოტიკულ დანაშაულს. ამ მუხლის შენიშვნაში წერია, რომ ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

ახსნაგანმარტებითი ნორმები წარმოადგენენ ლეგალურ, ანუ თვით კანონმდებლის მიერ მოცემული დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებისა და მათი ნიშნების განმარტებას. ხშირად, ამგვარი განმარტება მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეულ დანაშაულთა შენიშვნაში. მასში შეიძლება მოცემულ იქნეს განმარტება დანაშაულით მიყენებული ზიანის ოდენობის შესახებ, ან კიდევ ჩამოყალიბებულ იქნეს ესა თუ ის ცნება. ასეთი სახის განმარტებათა რაოდენობა ასევე გაზრდილია ახალ სისხლის სამართლის კოდექსში. ფაქტობრივად, მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაში კანონმდებელი იძლევა აბსოლუტურ ციფრებს მიყენებული ზიანის განსასაზღვრავად. ყველაზე ხშირად იგი გვხვდება ეკონომიკურ დანაშაულთა კარში. მაგალითად, ზიანის მიყენება დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

განსხვავებით ზოგიერთ უცხო სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე თავად ჩამოყალიბებულ ტერმინთა ახსნა-განმარტებისა (მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი, უზბეკეთი, ბელარუსია), საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ასეთ ნოვაციას არ იცნობს. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლო დროს შეიმჩნევა სისხლის სამართლის კოდექსში ახალ ნორმათა შეტანისას ტერმინთა განმარტების მცდელობა. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლში, რომელიც ეხება პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებას, შენიშვნაში მოცემულია არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის განსაზღვრა. ზოგიერთი სპეციალური ცნებისა და ტერმინის ამგვარი ლეგალური ახსნა-განმარტება დახმარებას გაუწევს სასამართლოს ნორმათა სწორედ გამოყენების საქმეში.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი არა მარტო სისხლის სამართლის შემადგენელი ნაწილია, არამედ სისხლის სამართლის მეცნიერების ორგანული, შედარებით დამოუკიდებელი ნაწილი. კერძო ნაწილი წარმოადგენს მის შემადგენელ ნორმათა სისტემას, ისევე როგორც ცალკეულ დანაშაულთა შესახებ საზოგადოებაში გაბატონებულ იდეათა, წარმოდგენათა და შეხედულებათა ერთობლიობას.

. სისხლის სამართლის მეცნიერების ამ ნაწილის საგანია იმ ნორმათა შესწავლა, რომლებიც ქმნიან კერძო ნაწილს, როგორც მთელი სისტემის, ისე ცალკეული ნორმების ეფექტურობის, ასევე სისხლის სამართლის

კანონმდებლობის სრულყოფის პრობლემათა დამუშავება და მათი გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესება.

სისხლის სამართლის მეცნიერება კერძო ნაწილის შესწავლისას სარგებლობს ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, კონკრეტულ-სოციოლოგიური, ლოგიკურ-იურიდიული, გრამატიკული და გამოკვლევის სხვა მეთოდებით. იგი იყენებს სამართლებრივი სტატისტიკის მონაცემებს სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე. სისხლის სამართლის მეცნიერებაში სათანადო ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობას.

კერძო ნაწილის მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში გამორიცხული არ არის სისხლის სამართლის მოქმედი კანონების შეცვლა და ახალი კანონის მიღებაც. სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება მოქმედი კანონმდებლობის ისეთი შეცვლა, რაც გამართლებული არ არის. ცვლილებები კოდექსში და ახალი ნორმების მიღება უნდა ეფუძნებოდეს იურისტების, ეკონომისტების, სოციოლოგების, ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების მიერ განხორციელებულ მასშტაბურ გამოკვლევას, რაც ჩვენს სინამდვილეში არ ხდება. ახალი კანონპროექტის შემოტანისას რეალურად არ არსებობს სათანადო დასაბუთება ნორმის მიღებისა თუ შეცვლის მიზანშეწონილების შესახებ.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მოცემულია დანაშაულთა ამომწურავი ჩამოთვლა და, როგორც წესი, აღწერილია მათი ძირითადი ნიშნები. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ღირსებად უნდა ჩაითვალოს მისი მუხლების ფართო დეფინიცირება. კერძო ნაწილში დეფინიციათა უმრავლესობა აღწერილობით ხასიათს ატარებს.

კოდექსის კერძო ნაწილის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ დანაშაულის შემადგენლობათა დიფერენციაცია ხდება მათი საშიშროებიდან გამომდინარე. კოდექსის კარების, თავებისა და მუხლების იერარქიას საფუძვლად უდევს სამართლით დაცული ინტერესის მნიშვნელობა პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების სფეროში. ხშირ შემთხვევაში დანაშაულთა შემადგენლობა იყოფა ძირითად და კვალიფიციურ შემადგენლობებად. მრავლადაა ისეთი ნორმაც, სადაც დანაშაული იყოფა ძირითად, კვალიფიციურ და განსაკუთრებით კვალიფიციურ დანაშაულად. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საკუთრების

წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში ძარცვა, ან კიდევ, ტრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება და მრავალი სხვა. სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება ისეთი ნორმებიც, სადაც გათვალისწინებულია ზუთი და მეტი სხვადასხვა სახის დამამძიმებელი გარემოება (მაგალითად, საბაჟო წესის დარღვევა მუხლი 214).

რაც შეეხება პრივილეგიურ ნორმებს, უნდა შევნიშნოთ, რომ ახალ კოდექსში მათი რიცხვი გაზრდილია. კოდექსი ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში ხუთ ასეთ შემადგენლობას ითვალისწინებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგიერთი პრივილეგიური ნორმა დამოუკიდებელ დანაშაულად არის გამოყოფილი და მაკვალიფიცირებელი გარემოებაც ახლავს. ამის მაგალითია სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლი, რომელიც ეთმობა განზრახ მკვლელობას უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. ეს ნორმა ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებასაც, რომელიც გულისხმობს იმავე ქმედებას, ჩადენილს ორი ან მეტი პირის მიმართ.

სისხლის სამართლის ნორმათა უმრავლესობაში გადმოცემულია ამა თუ იმ შემადგენლობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები. ეს სპეციფიკა ძირითადად გამოიხატება შემადგენლობის ობიექტურ ელემენტებში და ამიტომაც წარმოდგენილია საკმაოდ დაწვრილებით. დისპოზიციებში მითითებულია განზრახვის განზოგადებული სახე მისი პირდაპირი და არაპირდაპირი დაყოფის გარეშე, რაც საკმაოდ გამართლებულია. ამ პრინციპზე დაყრდნობით კანონმდებელი არ გამოყოფს გაუფრთხილებლობის სახეებს თვითიმედოვნებისა და დაუდევრობის მიხედვით. სისხლის სამართლის კოდექსში სრულიად სხვაგვარადაა გადმოცემული განზრახვის და გაუფრთხილებლობის განსხვავება. უნდა შევნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსმა ცვლილება განიცადა და ზოგადი ნაწილის მნიშვნელოვანი დებულება იმის შესახებ, რომ გაუფრთხილებლობა დასჯადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, მართალია, ზოგად ნაწილში დატოვა, მაგრამ კერძო ნაწილის მუხლებში თითქმის ყველგან ამოიღო, რამაც ზოგჯერ კურიოზამდეც კი მიგვიყვანა. ამიტომაც, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს ხშირად უჭირთ ბრალის ფორმის დადგენა, რასაც მნიშვნელოვან სასამართლო შეცდომებამდე მივყავართ.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემამ, განსხვავებით ძველი კოდექსისაგან, ცვლილება განიცადა. თუ ადრე კოდექსს საფუძვლად ედო დანაშაულის ობიექტის სამწევროვანი დაყოფა, ამჟამად იგი ოთხწევროვან ობიექტებად იყოფა. კერძო ნაწილის დაყოფის საფუძვლად აღებულია გვარეობითი ობიექტი. ახალი სისხლის სამართლის კოდექსი დაყოფილია კარებად, რომლებშიც დანაშაული დაჯგუფებულია გვარეობითი ობიექტის მიხედვით, ე.ი. იგი შეიცავს ხელყოფის გარკვეული ჯგუფის გვარეობითი ობიექტის ცნების განსაზღვრას. ხოლო თავისთავად გვარეობითი ობიექტი იყოფა სახეობით ობიექტებად, ანუ თავებად, რომელიც წარმოადგენს მონათესავე, ერთგვაროვან და ურთიერთდაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას. ასე მაგალითად, კარში „დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ" გაერთიანებულია ისეთი თავები, როგორიცაა დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ; დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ; ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა; დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ; დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ და დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ.

დანაშაულთა ჯგუფის საერთო დახასიათებაში, უმეტეს შემთხვევაში, შედის ასევე მათი დაჯგუფება ქვესახეებად. როგორც წესი, მას საფუძვლად უდევს ხელყოფის უშუალო ობიექტი, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის სავალდებულო ელემენტია და მისი შინაარსი ასახულია კოდექსის მუხლის სათაურში.

უნდა შევნიშნოთ, რომ ძველ კოდექსთან შედარებით ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ნორმათა რაოდენობა გაიზარდა. მისი მიღებისას იგი 415-ს აღწევდა. ამჟამად მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. ახალი კოდექსით ყველაზე დიდია კარი საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების შესახებ. იგი შეიცავს ექვს თავს. ყველაზე უფრო პატარაა თავი, საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებისა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში, რომელიც ერთი მუხლისაგან შედგება. რაც აბსოლუტურად გაუმართლებლად მიგვაჩნია.

საქართველოს სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა უარი თქვა ადმინისტრაციულ პრეიუდიციაზე, ე.ი. სამართალდარღვევის ერთჯერადი ჩადენის შემთხვევაში ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შემდეგ

იმავე დარღვევის ხელმეორედ ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნებოდა, რომ ადმინისტრაციული გადაცდომა და დანაშაული ერთმანეთისაგან რაოდენობრივად კი არ განსხვავდება, არამედ ეს განსხვავება ხარისხობრივია. დანაშაული მაღალი სოციალური საშიშროების მქონე მოვლენაა, ადმინისტრაციული გადაცდომა კი, თუმცა ანტისაზოგადოებრივ ხასიათს ატარებს, მაგრამ კრიმინალურ საშიშროებას არ შეიცავს. არადანაშაულებრივი სამართალდარღვევის რაოდენობა არ შეიძლება გადაიზარდოს დანაშაულის ხარისხში[1].

სისხლის სამართლის ძველ კოდექსში ადმინისტრაციული პრეიუდიციის მქონე ნორმები არცთუ მცირე იყო; ისინი ხელს უწყობდნენ კოდექსის რეპრესიულობის გაძლიერებას, ვინაიდან მათი მეშვეობით ვრცელდებოდა სისხლის სამართლის სანქციები ადმინისტრაციულ გადაცდომაზე. უცხოეთის სისხლის სამართლის კოდექსებში მათი მოძებნა ძნელია, ხოლო დღეს არსებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმრავლესობა არ ცნობს ნორმებს ადმინისტრაციული პრეიუდიციით, მათ შორის რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსიც. გამონაკლისია ბელორუსის რესპუბლიკა, სადაც, მართალია, მცირე მოცულობით, მაგრამ მაინც შენარჩუნებულია იგი. აბსოლუტურად გაუმართლებელია, ჩვენი აზრით, საქართველოს სისხლის სამართლის ახალ კოდექსში ადმინისტრაციული პრეიუდიციის ნორმების დაბრუნების ტენდენცია. მათი რიცხვი კოდექსში თანდათანობით იზრდება, რასაც რეალურად არავითარი სამართლებრივი დასაბუთება არ გააჩნია.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ახლებურად გამოხატა სისხლის-სამართლებრივ ქმედებათა და სამოქალაქო დელიქტების თანაფარდობა. იურიდიული პირებისა და სახელმწიფოსათვის დიდი მატერიალური ზიანის მიყენება ყოველთვის საკმარისი არ არის ქმედების კრიმინალიზაციისათვის. სოციალიზმის ეპოქისაგან განსხვავებით, როდესაც სახელმწიფო საკუთრებისათვის მცირე მნიშვნელობის ზიანის მიყენებაც კი დანაშაულად ითვლებოდა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქონებრივ დანაშაულთა კრიმინალიზაციის საფუძველი გადატანილია დანაშაულის სუბიექტურ მხარეზე — განზრახვაზე, ქმედების მოტივსა და მიზანზე, ასევე დანაშაულის ჯგუფურ ხასიათსა და მათ მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაზე.

1 Кузнецова Н.Ф., Цели и механизмы реформы Уголовного кодекса, ж. Советское государство и право, 1992, #6, с. 83.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ნოვაციას წარმოადგენს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის შემოღება. (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VI[1]).

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ავტორებმა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის იდეა უარყვეს. ეს იმან განაპირობა, რომ ჩვენში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ისტორიული წინაპირობა არ არსებობდა. ქართული ტრადიცია და იურიდიული დოქტრინა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს აღიარებს და უარყოფს კოლექტიურ პასუხისმგებლობას, რაც რომაული სამართლის ცნობილი პრინციპიდან მომდინარეობს – Societas delinquerre non potest. აღსანიშნავია, რომ კონტინენტური ევროპის რიგ ქვეყნებში არ არის მიღებული იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ეს პოზიცია ძირითადად ეფუძნება ბრალეულობის პრინციპს. XIX საუკუნიდან მოყოლებული იურიდიული დოგმატიკა აღიარებს ინდივიდუალური ბრალის აბსოლუტურობას. ბრალი ინდივიდუალური კატეგორიაა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკაცრად პერსონალურია. საზოგადოება (კორპორაცია) ყოველთვის მოქმედებს მხოლოდ ფიზიკური პირების მეშვეობით, სწორედ ისინი არიან დანაშაულის უშუალო ამსრულებლები და უნდა იდევნებოდნენ სისხლის სამართლის წესით. იურიდიული პირისათვის იმანენტური არ არის ბრალუნარიანობა და დასჯადუნარიანობა. კერძოდ, შეუძლებელია იურიდიული პირის ბრალეულობის დასაბუთება, ბრალის ტრადიციული გაგების საფუძველზე. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის იდეა წინააღმდეგობაში მოდის დასჯის პერსონალურობის პრინციპთანაც. საკმარისია შევხედოთ კორპორატიული პასუხისმგებლობის პრობლემას სასჯელის მიზნების თვალსაზრისიდან, რომ ნათელი გახდება იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი წესით დასჯის დაუშვებლობა. სისხლის სამართლის სასჯელი აქ არ „მუშაობს", რადგანაც კორპორაციის მიმართ არ შეიძლება განხორციელებული იქნას მისთვის ორგანულად დამახასიათებელი რეპრესიული ფუნქცია – ამა თუ იმ ძირითადი ადამიანური უფლების (სიკეთის) ჩამორთმევა ან არსებითად შეზღუდვა (სიცოცხლის, თავისუფლების, პატივის, ღირსების და მისთ.). ამგვარად, კოლექტიური ბრალი სისხლის სამართალში მიუღებელია სისხლის სამართლის თეორიის ფუძემდებლურ პრინციპებთან მისი აშკარა

შეუთავსებლობის გამო.[1]

მიუხედავად აღნიშნული წინააღმდეგობისა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იკვეთება კოლექტიური ბრალის მზარდაჭერის იდეა. ინდუსტრიალიზაციამ, სამრეწველო და სხვა კორპორაციების გავლენის ზრდამ განაპირობა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაუშვებლობის ტრადიციული იდეის გადასინჯვა. ეს იყო სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის გამკაცრების მცდელობა მსხვილ კორპორაციათა საქმიანობის ნეგატიურ შედეგებზე. სწორედ ამ პერიოდიდან იკვეთება დიდი ბიზნესის მონოპოლიზაციის და მომხმარებელთა ინტერესების იგნორირების ტენდენცია. საბოქალაქოსამართლებრივი და ადმინისტრაციული სანქციები არასაკმარისი და არაეფექტური აღმოჩნდა. მაშასადამე, იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება უმთავრესად განაპირობა კეთილსინდისიერი და თავისუფალი კონკურენციის, მომხმარებელთა უფლებების, ბუნებრივი გარემოს, შრომის უსაფრთხოების, ასევე ტრანსპორტზე უსაფრთხოების სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესების აუცილებლობამ. ეკონომიკური დამნაშავეობის ახალმა ფორმებმა ეს პრობლემა უფრო აქტუალური გახადა. დღეისათვის ხშირია ისეთი დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია ამა თუ იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ, მისთვის სხვადასხვა სარგებლის მოტანის მიზნით ანდა იურიდიული პირის გამოყენებით. იურიდიული პირები არცთუ იშვიათად ჩართული არიან ისეთი მძიმე დანაშაულის ჩადენაში როგორიცაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ტერორიზმის დაფინანსება და სხვა. გარდა ამისა, იურიდიული პირების ორგანიზაციული სტრუქტურის (მართვისა და კონტროლის რთული სტრუქტურის) გათვალისწინებით, რიგ შემთხვევებში ფაქტობრივად შეუძლებელია კონკრეტული დამნაშავის იდენტიფიკაცია. ამასთანავე თვლიან რომ იურიდიული პირის მმართველი ორგანო - გამგეობა, საბჭო, დირექტორი - არის მისი alter ego („მეორე მე"), რომლის ნება და ზრახვა გაიგივებულია კორპორაციის საქმიანობის მაკონტროლებელი ფიზიკური პირების ნებასა და ზრახვასთან. ეს პირები არ არიან კორპორაციის უბრალო მოსამსახურეები და მათი მოქმედებათვის იგი პასუხს აგებს უშუალოდ.

იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ განიხილება იურიდიული პირის როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

1 ლ.გ. კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, გვ. 145-160

სუბიექტის საკითხი და კეთდება დასკვნა, რომ ფიზიკური და იურიდიული პირის ბრალეული პასუხისმგებლობა სხვადასხვა არსის ცნებებია. განსხვავებით ფიზიკური პირისაგან, იურიდიული პირის ბრალეულობა ნიშნავს მისი ქმედების სოციალურად მიულებლობას (სოციალური ბრალი). ზოგჯერ საუბრობენ იურიდიული პირის სუფსიდიურ ბრალზე, აბსოლუტურ („მკაცრ") პასუხისმგებლობაზე და სხვ.

იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღების აუცილებლობას (ძირითადად სამეურნეო დანაშაულისათვის) ასაბუთებენ იმ არგუმენტით, რომ იურიდიული კორპორაციის შიგნით, ამ საზოგადოების ცალკეული წევრების ინდივიდუალურ ნებაზე ზემოქმედებას ახდენენ მძლავრი ფაქტორები. პირველყოვლისა, აქ მზედველობაშია კორპორაციული ინტერესები. ხშირად ინდივიდს საწარმო უბიძგებს უმალ გააკეთოს არჩევანი იმ საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ, სადაც იგი მუშაობს და არა იმ საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ სადაც იგი ცხოვრობს, რომ არაფერი ვთქვათ საწარმოს მიერ შექმნილ კლიმატზე იძულებაზე, რომ მუშაკი ეკუთვნოდეს „დიდ ოჯახს" და არ გაუცრუოს იმედები კორპორაციას. კრიმინოლოგები იმასაც აღნიშნავენ, რომ კორპორაციული ინტერესების გადაჭარბებული შეფასება ასუსტებს შემაკავებელ მოტივებს ინდივიდუალური მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის აღსაკვეთად. კორპორაციის წევრების მიერ, ამ საზოგადოებისავე ინტერესებისათვის ჩადენილი დელიქტები არ შეიძლება აიხსნას ამ პირთა ინდივიდუალური ქცევის საფუძველზე. კორპორაციის წევრის მზაობა საზოგადოების ინტერესი საშარიოლის მოთხოვნაზე მაღლა დააყენოს, წახალისებულია ე. წ. კოლექტიური ნეიტრალიზაციის მეთოდით, რომელიც კორპორაციის წევრს შესაძლებლობას აძლევს თავისი დევიანტური ქცევის ლეგიტიმაცია მოახდინოს. ხშირად ამას ემატება კორპორაციის ცალკეული წევრის სოციალური დამოკიდებულება და სამეურნეო დანაშაულთა მოჩვენებითი ეთიკური ნეიტრალიტეტი, რომლის ფონზეც უფერულდება ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი სანქცია.[1]

თანამედროვე სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობისათვის დამახასიათებელი შრომის დანაწილება ხშირად განაპირობებს იმას, რომ

1 Philippe Graven et Charles-Andre Junot, Societas delinquere non potest, in Melanges Robert Patri, Lausanne, 1988; Pierre-H. Bolle, La responsabilite penale des personnes morales, fiche juridique suisse numero 6, Geneve, 1981.

კორპორაციის ცალკეულ წევრს გაცნობიერებული არა აქვს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, არ შეუძლია იმის წარმოდგენა, რომ მონაწილეობას იღებს არამართლზომიერ ქმედებაში. ამ სიტუაციაში სამართალდარღვევის ცალკეული მონაწილე ქმედების მთელ შემადგენლობას ხშირად არც ახორციელებს. საწარმოებში შრომის დანაწილების სპეციფიკა შესაძლებლობას იძლევა კანონის შესაბამისად პასუხისმგებელმა პირებმა მათზე დაქვემდებარებულ პირებს გადააბრალონ დანაშაული.

მხედველობაშია მისაღები მტკიცების პროცესის სირთულეც. ხშირად შეუძლებელია იმ კონკრეტული პირის დადგენა, ვინც სამართალდარღვევა ჩაიდინა უშუალოდ, რის გამოც კორპორაციის მმართველი პერსონალი ერთმანეთს სდებს ბრალს. სინამდვილის დადგენა კი ხშირად შეუძლებელი ხდება, მით უფრო, როცა საწარმოს მმართველთა მოვალეობები მკაფიოდ არაა რეგლამენტირებული და გამიჯნული. ზოგჯერ ისიც ძნელი სამტკიცებელია, რომ კორპორაციის წევრს დაევალა სპეციალური მოვალეობის განხორციელება, რაც აუცილებელი პირობაა პერსონალური პასუხისმგებლობისათვის.

იურიდიული პირის სამართალდარღვევისათვის დამახასიათებლად თვლიან იმასაც, რომ კორპორაციის წევრისათვის ინდივიდუალური სასჯელის დაკისრება არასაკმარის პრევენციულ ზემოქმედებას ახდენს თვით იურიდიულ პირზე. იურიდიული პირისაგან მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი და მიღებული სამეურნეო სარგებელი არაპროპორციულია ინდივიდუალური სასჯელის ზომისა, რომელიც მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით ინიშნება და როგორც წესი უმნიშვნელოა, მაშინ როცა მხედველობიდან რჩება ის, რომ იურიდიული პირის მიერ მიღებული მთელი მოგება კანონისათვის ხელმიუწვდომელი რჩება.

გარდა ამისა, სასჯელის მიზანი ხშირად ვერ ხორციელდება იმის გამო, რომ კორპორაცია მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულ ინდივიდებად წარმოაჩენს ცრუმაგიერ პირებს. ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, სათანადო გასამრჯელოსაც იღებენ. ასეთ სიტუაციაში დასჯა მომგებიან გარიგებად იქცევა, ხოლო ის კი, ვინც ნამდვილად იმსახურებდა სასჯელს კორპორაციის მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, არანაირად არაა მოტივირებული მომავალში მსგავსი სამართალდარღვევების აღსაკვეთად. ისიც აღსანიშნავია, რომ დიდ კორპორაციებში ინდივიდუალურად დასჯილი

წევრების ახლით ჩანაცვლებაც ადვილად ხდება.

ზემო აღნიშნული მოსაზრებების (არგუმენტების) საფუძველზე ნათელი ხდება, რომ, ერთის მხრივ, სახეზეა სისხლის სამართალში კოლექტიური ბრალის აღიარების თეორიული სირთულე, ხოლო, მეორეს მხრივ, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმის არარსებობა საფრთხეს უქმნის როგორც სახელმწიფოსა და მოქალაქეთა, ისე სამეურნეო საქმიანობის სუბიექტების ინტერესებს. სწორედ ეს წინააღმდეგობა განაპირობებს იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრების შეზღუდვას. სახელდობრ, კოლექტიური ბრალის აღიარების თეორიული სირთულის გამო ის ქვეყნები, რომლებიც აღიარებენ კორპორაციათა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (ინგლისი, ჰოლანდია, საფრანგეთი, ესპანეთი და სხვ.) გარკვეულ დათქმას აკეთებენ იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად. ასე მაგალითად, კომპარატივისტები შემდეგ სამ პირობას ასახელებენ: პირველი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი, როგორც წესი, კერძო სამართლის იურიდიული პირია, მეორე, განსაკუთრებულ ტექსტში კეთდება იმ დანაშაულთა ჩამონათვალი რომლისთვისაც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრება, მესამე, ეს დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს ა)ფიზიკური პირის მიერ და მას უნდა ეკავოს დირექტორის თანამდებობა (ზოგჯერ მითითება ხდება იურიდიული პირის „ორგანოებზე" „პასუხისმგებელ პირებზე"), ბ)დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს იურიდიული პირის სასარგებლოდ.[1]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 25 ივლისის კანონით შეტანილი იქნა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. (კარი VI[1]). ამ საკანონმდებლო ნოვაციის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში დანერგვის აუცილებლობა განპირობებულია იმ საერთაშორისო კონვენციებით რომელთა მონაწილეც საქართველოა. ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ამ კონვენციებთან, ამაზე ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს ინტეგრაცია ერთიან ევროპულ სამართლებრივ სივრცეში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის VI[1] კარით (107[1] – 107[7]მ) განისაზღვრა ის პირობები, რომელთა არსებობისას იურიდიულ

1 ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბ. 1999. გვ. 228-233

პირს შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, დადგინდა იურიდიულ პირთა მიმართ გამოსაყენებელ სასჯელთა სახეები, მათი გამოყენებისა და აღსრულების წესი და პირობები, ამომწურავად განისაზღვრა იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შემთხვევები (107[2]). ამასთანავე, უცხოური გამოცდილების გაზიარებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვრცელდება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე. მათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან და მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ. პასუხისმგებელ პირად მოიაზრება იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან და იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო სარეზიო ორგანოს წევრი.

როგორც უცხოური, ისე ჩვენი კანონმდებლობის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ კორპორაციის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეფუძნება პრაგმატიზმისა და მიზანშეწონილების იდეას. მიუხედავად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარკვეულწილად შეზღუდულობისა, ცხადია, მაინც პრობლემად რჩება იურიდიული პირის ბრალუნარიანობა. მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იურიდიულ ფიქციას ემყარება მხოლოდ და ვერანაირად ვერ შეეთავსება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის ზოგადთეორიულ იდეას.

§2. დანაშაულის კვალიფიკაცია და მისი მნიშვნელობა

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ დანაშაული. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ პირს, რომლის ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ერთ-ერთ დანაშაულს.

სისხლის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულებაა ის, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება ზუსტად უნდა იყოს დაკვალიფიცირე-

ბული. იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის კვალიფიკაციის ცნების სხვადასხვაგვარი განსაზღვრება არსებობს. მისი არსი მაინც ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია ეს არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებთან ამა თუ იმ კონკრეტული ქმედების შესაბამისობის დადგენა.

სისხლის სამართლის თეორიაში კვალიფიკაცია გაგებულია ორგვარად: როგორც დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტული ნიშნების შესაბამისობის დადგენის პროცესი და ასევე ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება. არსებითად აქ არ არსებობს წინააღმდეგობა, ვინაიდან შესაბამისობის დადგენის პროცესის შედეგი წარმოადგენს ქმედების ზუსტ სისხლისსამართლებრივ შეფასებას. ასე მაგალითად, თუ საქმეზე დადგენილ იქნება, რომ პირმა: 1) ხელყო მსხვერპლის სიცოცხლე; 2) ხელყოფა უშუალოდ მიმართული იყო მისთვის სიცოცხლის მოსასპობად (იარაღიდან გასროლა), მან გამოიწვია მსხვერპლის სიკვდილი და იყო მისი უშუალო და მთავარი მიზეზი; 3) პირი მოქმედებდა სიცოცხლის მოსპობის განზრახვით, ხოლო მოქმედების მოტივს წარმოადგენდა შურისძიება; 4) პირი იყო შერაცხადი და კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული. ქმედება ქმნის მკვლელობის დანაშაულის შემადგენლობას და დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

დანაშაულებრივი ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის, პირველ რიგში, დადგენილ უნდა იქნეს ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობათა ის ჯგუფი, რაზეც მიმართულია ხელყოფა, ე.ი. განსაზღვრულ უნდა იქნეს ხელყოფის სახეობითი და უშუალო ობიექტი. მათი დადგენა საშუალებას იძლევა ზოგადად განისაზღვროს ჩადენილი ქმედების საშიშროების ხარისხი. პრაქტიკულად მისი დადგენა საშუალებას იძლევა დავადგინოთ, თუ კოდექსის კერძო ნაწილის რომელ კარსა და თავში უნდა ვეძებოთ ის ნორმა, რომელიც დარღვეულია პირის მიერ. ხელყოფის უშუალო ობიექტიც იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს ჩადენილი ქმედების საშიშროება და დადგინდეს ერთი სახეობითი ობიექტით განსაზღვრული სათანადო ნორმის გამოყენება.

მეორეც, აუცილებელია განისაზღვროს ჩადენილი ქმედების ნიშნები არა მიახლოებით, არამედ ზუსტად და შეესაბამება თუ არა ეს ქმედება სრული მოცულობით იმ ნიშნებს, რომლებიც აღწერილია კერძო ნაწილის სათანადო ნორმაში. ასე მაგალითად, ქურდობას კანონი განმარტავს

როგორც სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ამიტომ თუ ქმედება ჩადენილია სხვათა თვალწინ და ეს ნათელია დამნაშავისათვის, იგი არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ქურდობად.

შესაბამისობის სრული მოცულობით დადგენა გულისხმობს კანონში მითითებული კონკრეტული შემადგენლობის ყველა ნიშნის დამთხვევას პირის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი. მაგალითად, კოდექსში ყაჩაღობა განმარტებულია არა როგორც მხოლოდ თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მისაკუთრების მიზნით ძალადობისა ან მისი გამოყენების მუქარით, არამედ მითითებულია ძალადობის ხარისხზე (თავდასხმა ისეთი ძალადობით ან მისი გამოყენების მუქარით, რომელიც საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის). ამიტომ ნივთის ძალადობრივი დაუფლება, თუ ეს ძალადობა არ არის საშიში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ვერ შექმნის ყაჩაღობის შემადგენლობას. ეს იქნება ძარცვა, რომლის დროსაც გამოყენებულია ისეთი ძალადობა ან მისი მუქარა, რომელიც არ არის საშიში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

სრული დამთხვევა იმასაც ნიშნავს, რომ დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი შეესაბამება კოდექსში აღწერილ სათანადო ნორმას.

მე-3, დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი ნორმების კონკურენციის საკითხის სწორ გადაჭრას. ასეთი მდგომარეობა იქმნება მაშინ, როდესაც ჩადენილი ქმედება ზოგადი და სპეციალური ნორმის ნიშნებში ექცევა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა ეს საკითხი საკანონმდებლო წესით გადაჭრა. კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილში ვკითხულობთ: „თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით".

პრაქტიკაში ყველა შესაძლო ვარიანტის ამოწურვა არც ერთ კოდექსს არ ძალუძს, თუგინდ მისი მოცულობა ძალიან დიდი იყოს. ამიტომაც სპეციალურ ნორმაში გადმოცემულია სპეციფიკური დანაშაულის შემადგენლობა, ხოლო სხვა მსგავს დანაშაულზე სასჯელი პირს დაეკისრება ზოგადი ნორმის საფუძველზე.

ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისას ყველაზე რთული დასადგენია პირის ბრალი, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი. ამიტომაც უფრო

მიზანშეწონილია ჯერ დადგინდეს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური ნიშნები და სუბიექტი, ხოლო შემდეგ კი უფრო გაადვილდება ქმედებასთან პირის ფსიქიკური დამოკიდებულების დადგენა. სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე ხშირად დანაშაულის კვალიფიკაციისას შეცდომები სუბიექტურ მხარეზე მოდის.

ტრადიციულად, დანაშაულის კვალიფიკაციას ართულებს შემადგენლობის ე.წ. შეფასებითი ნიშნები, რომლებიც ნორმის დისპოზიციაშია გადმოცემული განზოგადებული სახით და მათი კონკრეტიზება სამართალდამცავ ორგანოებს ევალებათ. რა თქმა უნდა, ვერც ერთი, ყველაზე სრულყოფილი სისხლის სამართლის კოდექსიც კი გვერდს ვერ აუხვევს შეფასებით ნიშნებს, მაგრამ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული აზრით, კანონმდებლის მიზანი უნდა იყოს მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლებლობის ფარგლებში მათი ინდივიდუალიზაციის კრიტერიუმის განსაზღვრა.

დანაშაულის კვალიფიკაციის პროცესში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის საკითხები არ განიხილება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელი, ისევე როგორც მისგან გათავისუფლების პირობები, დანაშაულის კვალიფიკაციის შედეგია. დანაშაულის კვალიფიკაცია მიეკუთვნება დანაშაულის ინსტიტუტს, სასჯელი და მისგან გათავისუფლება კი — სასჯელის ინსტიტუტს. სხვაგვარი მოსაზრება არ მიესადაგება დანაშაულის კვალიფიკაციის ცნებას, რ ოგორც საშიში ქმედების იდენტიფიკაციის დადგენას სისხლის სამართლის ნორმის დისპოზიციაში აღწერილ შემადგენლობასთან.

სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობით გრძელდება ბლანკეტური ნორმების ზრდის ტენდენცია, ანუ იმ ნორმების რაოდენობის ზრდა, რომლებიც დაკავშირებულია სამართლის სხვა დარგების სპეციალურ წესებთან. სისხლის სამართლის კოდექსის „ბლანკეტიზაცია“ ობიექტური პროცესია. მას განაპირობებს დღეს არსებული ტექნიკური პროგრესის ნეგატიური შედეგები: მომეტებული საფრთხის წყაროთა ზრდა, ბუნების დაბინძურება და სხვა, ამას გარდა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებული ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროს — საფინანსო, საგადასახადო, საბაჟო და სხვა წესების მარეგულირებელი უამრავი ნორმის არსებობა.

აქედან გამომდინარე, საჭიროა არ დაიკარგოს სისხლის სამართლის კანონის სპეციფიკა მასში გათვალისწინებულ ქმედებათა საშიშროების შესახებ, არ დაირღვეს გარკვეული ზღვარი სისხლის სამართლისა და სამართლის სხვა მოძიჯნაავე დარგებს შორის. მკვეთრად უნდა იყოს გამოყოფილი ობიექტური ნიშნები, როგორიცაა სიცოცხლის მოსპობა, ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი, სხვაგვარი ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობა ადამიანზე, ქმედების ჩადენის მოტივი, მიზანი და სხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ დანაშაულის სწორ კვალიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი უზრუნველყოფს სისხლის სამართლის პრინციპების და, პირველ რიგში, კანონიერების პრინციპის რეალიზაციას. დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია არღვევს როგორც კანონიერების პრინციპს, ისე სამართლიანობის, პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპებს. სასჯელის მიზნები, მისი ინდივიდუალიზაცია და სამართლიანობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მიღწეული, როდესაც დანაშაულს სწორი კვალიფიკაცია აქვს მიცემული. გარდა ამისა, დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენი პირის უფლებათა დაცვის მყარ გარანტიას.

§3. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემა

კოდექსში სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმები გარკვეული წესით არის განლაგებული, რაც მთლიანობაში მის სისტემას ქმნის. იგი დაყოფილია კარებად, თავებად და მუხლებად. კოდექსის კერძო ნაწილის სისტემაში ოგულისხმება მისი სტრუქტურა, მისი განლაგების თანმიმდევრობა გვარეობითი, სახეობითი და უშუალო ობიექტების ერთიანობის ნიშნის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კურსის სისტემა სრულად არ ემთხვევა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემას. ამიტომაც სისხლის სამართლის კოდექსსა და სახელმძღვანელოებში თავების ნუმერაცია ერთნაირი არ არის. სასწავლო ლიტერატურაში პირველ და დამოუკიდებელ თავად გამოყოფილია ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება, საგანი და სისტემა". ამასთან, კოდექსის კერძო ნაწილის

სხვადასხვა კარი მათი მოკლე მიმოხილვით იწყება.

კერძო ნაწილის სისტემას აქვს არა მარტო გამოყენებითი, იურიდიულ-ტექნიკური მნიშვნელობა, არამედ იგი ხაზს უსვამს კოდექსით დაცულ სოციალურ სიკეთეთა იერარქიას, ასევე კარების, თავებისა და მუხლების ურთიერთკავშირს.

ისტორიულად, კოდექსის კერძო ნაწილის სისტემაში 1-ლი ადგილი ეთმობოდა სახელმწიფოს მეთაურის, სახელმწიფო წყობილებისა და რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. ასე იყო ჯერ კიდევ ხამურაბისა და მანუს კანონებში, მერე საფრანგეთის 1810 წლის კოდექსში, გერმანიის 1871 წლის კოდექსში და სხვა. მაგალითად, 1871 წლის გერმანიის კოდექსის სისტემაში 1-ლი კარი მიეძღვნა მშვიდობის, სახელმწიფოს ღალატისა და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოსათვის საშიშროების შემქმნელ დანაშაულებს; მე-2 კარი – სამშობლოს ღალატსა და საგარეო უშიშროების დანაშაულებს; და მხოლოდ მეთექვსმეტე კარში იყო გადმოცემული ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივ ქმედებათა ნორმები.

თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსებმა შეცვალეს სამართლით დაცულ ღირებულებათა იერარქია. სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა ტენდენცია შეიმჩნევა. ზოგიერთ სახელმწიფოში წინა პლანზეა კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ზოგიერთში კი დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. მაგალითად, შვედეთის 1965 წლის კოდექსმა 1-ლი ადგილი დაუთმო დანაშაულს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, ხოლო ესპანეთის 1995 წლის კოდექსმა კი დანაშაულს ღალატისა და სხვა სახელმწიფო დანაშაულის შესახებ.

1997 წლის პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი იწყება დანაშაულით მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ; შემდეგ მოდის დანაშაული პოლონეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, დანაშაული თავდაცვისუნარიანობის წინააღმდეგ და მხოლოდ შემდეგ დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. ასეთივე პოზიციას ადგას ლატვიის 1996 წლის კოდექსი, სადაც წინ არის წამოწეული დანაშაული მშვიდობისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ და ბელორუსის რესპუბლიკის 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი და სხვა.

საქართველოს 1961 წლის სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი იწყებოდა სახელმწიფო დანაშაულით, რომელიც შედგებოდა

განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისაგან (მაგ., სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა და სხვა) და სხვა სახელმწიფო დანაშაულისაგან (მაგ., სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება, მასობრივი არეულობა, ბანდიტიზმი და სხვა). უნდა შევნიშნოთ, რომ რიგ ქმედებათა სახელმწიფო დანაშაულად კვალიფიკაცია ყოველთვის გამართლებული არ იყო, ვინაიდან ამგვარი დაყოფა უარყოფდა დანაშაულთა გვარეობითი ობიექტების დიფერენციაციის კრიტერიუმს და მათ განლაგებას საშიშროების ხარისხის მიხედვით. ცნობილია, რომ სახელმწიფო დანაშაულთა გვარეობით ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენიტეტი, მისი ხელშეუვალობა და უშიშროება, მაშინ, როდესაც სხვა სახის სახელმწიფო დანაშაულებში აღმოჩნდა საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და მეტიც, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულიც, როგორიც იყო რკინიგზის, წყლისა და ზღვის ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევის შედეგად ჩადენილი დანაშაული.

ძველ სისხლის სამართლის კოდექსში ასევე გაუმართლებელი იყო სახელმწიფო დანაშაულის შემდეგ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მოთავსება. სისხლის სამართლის კანონმდებლობა უფრო მკაცრად იცავდა სახელმწიფო საკუთრების ინტერესს და მატერიალურ ღირებულებათა დაცვის იერარქიაში პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ნაკლები საშიშროების შემცველად ითვლებოდა, ხოლო მისი ჩამდენი პირი უფრო მსუბუქად ისჯებოდა.

საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს კარი ეკონომიკური დანაშაულის შესახებ და მასში ცალკე თავი აქვს დათმობილი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. მასში გაერთიანებულია ყველა ქონებრივი დანაშაული საკუთრების ფორმის მიუხედავად.

ამჟამად მოქმედი კოდექსის კერძო ნაწილის სისტემა შეესაბამება ღირებულებათა კონსტიტუციურ ტრიადას: პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო. კოდექსში პირველ ადგილზეა მოთავსებული მეშვიდე კარი „დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში მას პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს უწოდებენ, რაც ზუსტად არ ასახავს რეალობას, ვინაიდან აქ საკითხი ეხება ადამიანის სიცოცხლისა და ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვას მისი

დაბადების მომენტიდან, როდესაც ის პიროვნებად ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, ასევე შეურაცხად პირსაც, რომელსაც სულიერი დაავადების შედეგად დაკარგული აქვს პიროვნული თვისებები.

მერვე კარი ეძღვნება ეკონომიკურ დანაშაულს, სადაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ერთად მოთავსებულია ე.წ. სამეწარმეო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაული. ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ აუცილებელი გახადა ეკონომიკურ დანაშაულთა შორის ისეთ დანაშაულთა გათვალისწინება, რომლებიც ადრე მოქმედ კოდექსში ან არ არსებობდა, ან კიდევ სხვადასხვა თავებში იყო მიმობნეული.

მეცხრე კარში, რომელიც რაოდენობრივად მეტად დიდია, მოცემულია დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ. მასში დაჯგუფებულია ისეთი დანაშაულები, რომლებიც ადრე ცალკე არ არსებობდნენ. მაგალითად, ნარკოტიკული დანაშაული, სატრანსპორტო დანაშაული და ქვეყანაში კ მპიუტერიზაციით განპირობებული სრულიად ახალი თავი — კომპიუტერული დანაშაული.

მეათე კარი ეთმობა დანაშაულს მიმართულს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ.

მეთერთმეტე კარში ასახულია დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ კარში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავს ტერორიზმის შესახებ.

მეთორმეტე კარი შეეხება დანაშაულს სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელობის ზრდამ განაპირობა ამ დანაშაულთა ცალკე, გვარეობითი ობიექტის მიხედვით გამოყოფა.

მეცამეტე კარში მოცემულია დანაშაული სამხედრო სამსახურის შესახებ.

მეთოთხმეტე კარი კი ეხება დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ. ეს კარი სრულიად ახალია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. მის ნორმებში ასახულია იმ საერთაშორისო კონვენციათა მოთხოვნები, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფო არის მიერთებული და ვალდებულია უზრუნველყოს მათი პრინციპების სისხლისსამართლებრივი დაცვა.

დაბოლოს, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი მთავრდება მეთხუთმეტე კარით — გარდამავალი და დასკვნითი დებულებებით.

თავი II

დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ

§1. ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზოგადი დახასიათება. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლში აღიარებულია ადამიანის უფლება სიცოცხლეზე. ეს დებულება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი". ამრიგად, ადამიანის სიცოცხლე უმაღლესი ღირებულებაა და იგი დაცულია არა მარტო კონსტიტუციით, არამედ საქართველოში არსებული სხვა კანონმდებლობითაც. ადამიანის სიცოცხლის დაცვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართალს. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი, სწორედ, ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით იხსნება.

ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ. ამ დანაშაულის გვარეობითი ობიექტია ადამიანი. სახეობითი ობიექტის მიხედვით კი ეს კარი ექვს თავად იყოფა: დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ; დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ; ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა; დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ; დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ; დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ.

ზემოთ ჩამოთვლილ თავთაგან, პირველ რიგში, უნდა შევჩერდეთ ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ თავზე, რამდენადაც ამ კარში გათვალისწინებულ დანაშაულთაგან ყველაზე მძიმეა ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა.

კანონმდებელი იცავს ადამიანის სიცოცხლეს მისი დაბადებიდან გარდაცვალებამდე, ამიტომ, დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის

დადგენილ უნდა იქნეს როგორც სიცოცხლის დასაწყისის, ისე გარდაცვალების მომენტი. პირველ ფაქტობრივ წინაპირობად სავალდებულოა განისაზღვროს, რომ ხელყოფა მიმართული იყო იმ ადამიანზე, რომელიც დაბადებულია. სამედიცინო და იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში გაბატონებული შეხედულებით ადამიანის სიცოცხლის დასაწყისად ითვლება მისი დაბადების პროცესი, ამიტომ ბავშვის სიცოცხლე მკვლელობის ობიექტად შეიძლება იყოს მშობიარობის დაწყების მომენტიდან, ე.ი. მკვლელობაა არა მარტო დაბადებული ბავშვისათვის სიცოცხლის მოსპობა, არამედ მისი მოკვლა მშობიარობის პროცესში.

რაც შეეხება აბორტს, რომელიც დაშვებულია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, იგი მკვლელობად არ ითვლება. ეს საკითხი უფრო დაწვრილებით განხილულ იქნება უკანონო აბორტისა და დედის მიერ ახალშობილის განზრახი მკვლელობის გამიჯვნისას.

მე-2 ფაქტობრივი წინაპირობაა ადამიანის სიცოცხლის დამთავრებისა და მისი სიკვდილის მომენტის დადგენა, რომლის შემდეგაც ადამიანის სიცოცხლის დაცვა უაზრობად იქცევა, რამდენადაც იგი ობიექტურად აღარ არსებობს. ბოლო დრომდე საკითხი ადამიანის სიკვდილის მომენტის შესახებ ექიმებსა და იურისტებს შორის დისკუსიის საგანი იყო. ზოგიერთი ავტორი თვლიდა, რომ ადამიანის სიკვდილი დგება სუნთქვის შეწყვეტისა და გულის გაჩერების მომენტიდან, სხვები კი ამტკიცებდნენ, რომ გულის გაჩერება ადამიანის სიკვდილის აბსოლუტურ მტკიცებულებას არ წარმოადგენს. სიკვდილის დადგომის უდავო ნიშნად ითვლება თავის ტვინსა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ორგანული ცვლილების მომენტი. ამ ცვლილებათა დადგომამდე ადამიანის სიკვდილი კლინიკურ სიკვდილად ითვლება.

მედიცინაში არის შემთხვევები, როდესაც კლინიკური სიკვდილის შემდეგ შესაძლებელი ხდება სუნთქვისა და გულისცემის აღდგენა. განსაკუთრებით ბოლო წლებში მედიცინის მეცნიერების მიღწევებმა რეანიმატოლოგიის სფეროში შეცვალა მიდგომა სიკვდილისადმი, როგორც ერთმომენტიანი მოვლენისადმი. ახლა მას განიხილავენ როგორც დროში გაწელილ პროცესს.

ადამიანის სიკვდილის დადგომას მოწმობს მხოლოდ ბიოლოგიური სიკვდილი, ანუ ორგანიზმის, როგორც მთლიანის, დაღუპვის შეუქცევადი მდგომარეობა, როდესაც შეწყვეტილია გულისცემა და სუნთქვა, მსხვილ

არტერიებში დაკარგულია პულსი, აღარ არსებობს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქცია. ხელყოფა გვამზე, რომელიც შეცდომით ცოცხალ ადამიანად იყო აღქმული, უნდა განხილულ იქნეს როგორც მცდელობა უვარგის ობიექტზე.

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად უნდა მიეიჩნიოთ პირისათვის ძალადობრივი გზით სიკვდილის დადგომა.

ფაქტობრივ წინაპირობათა გარდა, ქმედების ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ცნობისათვის აუცილებელია იურიდიულ წანამძღვართა არსებობა და მათ შორის მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის დადგენა. საქმე იმაშია, რომ ძალადობრივ სიკვდილს შეიძლება მართლზომიერი ხასიათი ჰქონდეს (მაგალითად, თუ ქმედება ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ან კიდევ ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა ომში თუ შეიარაღებული კონფლიქტის დროს). გარდა ამისა, ძალადობის გზით სიკვდილის დადგომა შეიძლება დაკვალიფიცირდეს არა როგორც ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, არამედ სხვა დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლის მოსპობასთან, სიკვდილი შეიძლება დადგეს ასევე თვითმკვლელობისა და უბედური შემთხვევის შედეგად.

გარდა ფაქტობრივი და იურიდიული წანამძღვრებისა, რომლებიც აუცილებელია ქმედების ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ცნობისათვის, ამ კატეგორიის დანაშაულს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშნებიც.

იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა უმრავლესობა მკვლელობას განიხილავდა როგორც სხვა ადამიანისათვის განზრახ ან გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას. რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, უნდა შევნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსში მკვლელობის დისპოზიცია მარტივია, მასში აღწერილი არ არის დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები განსხვავებით რუსეთის ფედერაციის ახალი კოდექსისაგან, რომელშიც მკვლელობის ცნება უშუალოდ დისპოზიციაშია დაფიქსირებული.

საქართველოს სისხლის სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში კი მკვლელობა განმარტებულია როგორც სხვისთვის მართლსაწინააღმდეგოდ და განზრახ სიცოცხლის მოსპობა. ამიტომ მკვლელობად ჩაითვლება მხ-

ოლოდ სხვა ადამიანისათვის განზრახ სიცოცხლის მოსპობა. მკვლელობის კატეგორიიდან გამორიცხულია სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ეს უკანასკნელი არ მიეკუთვნება ადამიანის სიცოცხლის საწინააღმდეგო დანაშაულს.

საერთო მკვლელობასა და თვითმკვლელობას შორის ისაა, რომ ორივე შემთხვევაში ხელყოფის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე, მაგრამ თვითმკვლელობის დროს დაზარალებული და ქმედების სუბიექტი ერთმანეთს ემთხვევა. აქ პირი სხვა ადამიანს კი არ უსპობს სიცოცხლეს, არამედ საკუთარ თავს. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ეს ქმედება არ იწვევს მცდელობის შედეგად ცოცხლად დარჩენილი პირისათვის რაიმე უარყოფით შედეგს. ხოლო რაც შეეხება პირის თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანას, ეს უკვე დასჯადი ქმედებაა და ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა შეიძლება განხორციელებულ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც (მე-8. მ. III ნ), თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში განზრახი მკვლელობა ხდება მოქმედებით, რომელიც მიმართულია სხვა ადამიანის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციის ან სხეულის ანატომიური მთლიანობის დარღვევისაკენ. მკვლელობა შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედებით. ფსიქიკურმა ტრავმამ, სათანადო გარემოების არსებობისას შეიძლება გამოიწვიოს გულითა და სისხლძარღვოვანი სისტემით დაავადებული ადამიანის სიკვდილი. მკვლელობად უნდა ჩაითვალოს პირის მოქმედება, რომელმაც იცის დაზარალებულის ავადმყოფობის შესახებ და მისთვის სიცოცხლის მოსპობის მიზნით ფსიქიკურ ტრავმას აყენებს მას. იმ პირის თვითმკვლელობამდე მიყვანა, რომელსაც არ შეუძლია ამ აქტის გაცნობიერება, ასევე მე-2 პირისათვის გამოუვალი ვითარების შექმნა იმ მიზნით, რომ მან თავი მოიკლას, მკვლელობად უნდა იქნეს დაკვალიფიცირებული.

მკვლელობის ჩადენის ხერხი მრავალგვარია და მას მნიშვნელობა არ ენიჭება ქმედების მკვლელობად ცნობისათვის. მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს პირის დახრჩობით, მოწამვლით, ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღით, ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებით და სხვა. მკვლელობის ხერხის დადგენას ზოგჯერ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი კვალიფიკაციისათვის.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მკვლელობის ხერხი (განსაკუთრებული სისასტიკე, საყოველთაოდ საშიში საშუალების გამოყენება) მას დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად გადააქცევს.

უმოქმედობით ჩადენილ მკვლელობად დაკვალიფიცირდება ქმედება იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე არ ასრულებს იმ გარკვეულ მოქმედებას, რაც სამართლებრივად ვალდებული იყო შეესრულებინა, და რის შედეგადაც დადგა ადამიანის სიკვდილი. მაგალითად, ექიმი განზრახ არ უკეთებს ოპერაციას პაციენტს, რომლისთვისაც იგი აუცილებელია და ეს უკანასკნელი გარდაიცვლება. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით, უმოქმედობით გამოწვეული ადამიანის გარდაცვალებისას, პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც მას შეეძლო და ვალდებულიც იყო შეესრულებინა ის ქმედება, რაც თავიდან აიცილებდა ადამიანის სიკვდილს. ამ მოქმედების შეუსრულებლობა ქმნის სწორედ მკვლელობის ობიექტურ ნიშანს (სსკ მე-8 მ. III ნ.).

ყველა სახის მკვლელობა მატერიალური შემადგენლობისაა. იგი დამთავრებულია დანაშაულებრივი შედეგის, ანუ სიცოცხლის მოსპობის მომენტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს მკვლელობის მცდელობას ან მომზადებას.

პირის მოქმედებასა თუ უმოქმედობას, ერთი მხრივ, და სიკვდილის დადგომას შორის, მეორე მხრივ, უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. მისი არსებობისათვის აუცილებელია, რომ დამნაშავის ქმედება დროში წინ უსწრებდეს სიკვდილს, იყოს მისი აუცილებელი პირობა, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში უცილობლად უნდა გამოიწვიოს სიკვდილი (ობიექტური შერაცხვა).

ყველა სახის მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის ამსრულებელია, კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული ფიზიკური პირი.

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისათვის. იგი წარმოადგენს ამ სახის დანაშაულის ძირითად შემადგენლობას. მას ხშირად მარტივ მკვლელობასაც უწოდებენ, ვინაიდან ეს მკვლელობა არ გულისხმობს არც მის მაკვალიფიცირებელ გარემოებებსა და არც პრივილეგიური მკვლელობის შემადგენლობის არსებობას. აქედან გამომდინარე, მისი განხილვის დროს შევეხებით იმ საკითხებსაც, რომლებიც წარმოიშობა მკვლელობის კვალიფიკაციის დროს.

როგორც მუხლის შინაარსიდან ირკვევა, მასში არ არის მოცემული მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის ნიშნები. სისხლის სამართლის კანონში პირდაპირ არ არის მითითებული, თუ მკვლელობის რომელ კონკრეტულ სახეს შეიძლება მიეკუთვნოს 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. ამიტომ, იმის განსასაზღვრავად, თუ რა შემთხვევაში გამოიყენება ეს მუხლი, უნდა გამოირიცხოს როგორც მკვლელობის დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებანი. ცხადია, რომ ასეთი სახის მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ. უნდა შეეხნიშნოთ, რომ აღნიშნული მკვლელობის სახეს შუალედური მდგომარეობა უჭირავს დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობათა შორის.

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობის სავალდებულო ობიექტურ ნიშანს წარმოადგენს დანაშაულებრივი შედეგის დადგომა სიკვდილის სახით, რომელიც ჩადენილია მოქმედებით ან უმოქმედობით, ამავე დროს, ცხადია, რომ უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამნაშავის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. იგი ყოველთვის უნდა იქნეს გამიჯნული ობიექტურ-შემთხვევითი კავშირისაგან.

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ 108-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ — პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვის ფორმით.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ სახის მკვლელობის ყველაზე უფრო ტიპური შემთხვევაა მკვლელობა ჩადენილი ეჭვიანობის, შურისძიების საფუძველზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე

წარმოშობილი ჩხუბის დროს და სხვა. იგი პირად ურთიერთობათა საფუძველზე აღმოცენებული მკვლელობაა.

იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა უმრავლესობის მიერ ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა განხილულია როგორც „მარტივი მკვლელობა“. ეჭვიანობის წარმოქმნის საფუძველია ამა თუ იმ პირის ერთგულებასა თუ სიყვარულში დაეჭვება. ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ აქ საუბარია ნორმალურ და არა პათოლოგიურ ეჭვიანობაზე, როგორც პარანოიული ბოდვის სახესხვაობაზე. ეჭვიანობა შეიძლება გამოწვეულ იქნეს სინამდვილეში არსებული ან მოჩვენებითი ფაქტებით.

ზოგჯერ ეჭვიანობა შურისძიების წარმოშობის საფუძველია. ასეთ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას შურისძიებისა და ეჭვიანობის მოტივთა კონკურენცია. ბრალდების ფორმულირების დროს სიტუაციის შეფასებისას (თუმცა მას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს) უპირატესობა უნდა მიეცეს იმ დომინირებულ მოტივს, რომლითაც ხელმძღვანელობდა დამნაშავე. ამიტომაც აუცილებელია დადგენილ იქნეს მკვლელობის ნამდვილი მოტივი, რამდენადაც მას შეუძლია გავლენა მოახდინოს დამნაშავისათვის სასჯელის დანიშნაზე.

აღნიშნული შემთხვევის გარდა, შურისძიება, როგორც მკვლელობის ჩადენის მოტივი, შეიძლება გამოწვეულ იქნეს სხვა ცხოვრებისეულ გარემოებითაც. იგი შესაძლებელია მოხდეს ერთი მეუღლის მიერ ცოლქმრული ურთიერთობის გაგრძელებაზე უარის თქმის, თანამშრომლობის შეწყვეტის, მიყენებული წყენის, ფულთან დაკავშირებით და სხვა შემთხვევებში.

საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა შელაპარაკებისა და ჩხუბის ნიადაგზე მკვლელობას ცალკე მუხლად გამოყოფს (მაგალითად, საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსის 313-ე მუხლი). დანაშაულის კვალიფიკაციის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ჩხუბის წარმოშობის ყველა გარემოებას: დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, მასში მონაწილეთა ქცევას კონფლიქტის წარმოშობის მომენტიდან დაწყებული დანაშაულის დამთავრებამდე, პოსტდანაშაულებრივ ქცევას და ა.შ.

სასამართლო პრაქტიკაში განზრახი მკვლელობის (მუხ. 108-ე) კვალიფიკაციისას გვხვდება სირთულეებიც, ვინაიდან ერთი და იმავე მოტივით ჩადენილი განზრახი მკვლელობა არ გამორიცხავს სხვა მუხლით მის

კვალიფიკაციას. კერძოდ, შესაძლოა შურისძიების მოტივს თან ერთოდეს სხვა ისეთი ნიშანიც, რომელიც მას დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად გადააქცევს. მაგალითად, მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

მკვლელობა შურისძიების მოტივით ჩადენილად უნდა დაკვალიფიცირდეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გამორიცხულია შურისძიება რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო (109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტი) და სხვა.

რაც შეეხება მკვლელობას ჩხუბში, ზოგჯერ შელაპარაკების ნიადაგზე აღმოცენებულს, უნდა შევნიშნოთ, რომ სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს მკვლელობის არასწორი კვალიფიკაციის შემთხვევებს. პირველ რიგში, სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა გამოირიცხოს მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებები. გარდა ამისა, ასევე დადგენილ უნდა იქნეს, ხომ არ არის მკვლელობა ჩადენილი უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ასევე ხომ არ არის სიცოცხლეს მოსპობილი გაუფრთხილებლობით.

ჩხუბში მკვლელობის სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დადგენილ იქნეს დანაშაულის მოტივი. სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გართულებულია ჩხუბში მკვლელობის გამიჯვნა ხულიგნური ქცენაგრძნობით ჩადენილი მკვლელობისაგან. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, თუ ვინ იყო ჩხუბის ინიციატორი. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ, თუ ჩხუბი ორმხრივია, იგი ყოველთვის 108-ე მუხლით უნდა იქნეს დაკვალიფიცირებული,[1] თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც.

ასევე უნდა გაიმიჯნოს განზრახი მკვლელობა მასთან ახლო მდგომ სხვა დანაშაულთაგან, სახელდობრ, სისხლის სამართლის კოდექსის 117 და 118 მუხლისაგან, სადაც მითითებულია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაზე, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. პირისათვის სიცოცხლის მოსპობის მიმართ დამნაშავის დამოკიდებულება გამოიხატება გაუფრთხილებლობაში. აქ სახეზეა ბრალის ორმაგი ფორმა: ჯანმრთელობის დაზიანების მიმართ ადგილი აქვს განზრახვას, ხოლო

1 Харазишвили Б.В., Вопросы мотива поведения преступника в Советском праве, Тб., 1963, с. 82.

თანამდევი შედეგის მიმართ კი — გაუფრთხილებლობას. ამიტომაც, ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ დადგინდეს ჩადენილი დანაშაულის ყველა გარემოებათა ერთობლიობა, მათ შორის, დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, ჯანმრთელობის დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და მისი ლოკალიზაცია (მაგალითად, ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოებისათვის ჭრილობის მიყენება), ასევე დანაშაულის ჩადენამდე და მისი ჩადენის შემდეგ დამნაშავისა და დაზარალებულის ქცევა, მათი ურთიერთობა და სხვ.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი მკვლელობაც, რომელსაც ე.წ. „უმოტივო" მკვლელობად" მიიჩნევენ და ზოგჯერ დაუსაბუთებლად ხულიგნური მოტივით ჩადენილ მკვლელობად აკვალიფიცირებენ, რამდენადაც მკვლელობის საბაბი იმდენად მცირეა, რომ მოტივის დადგენა ვერ ხერხდება. ს. ბოროდინი თვლის, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლელობის მოტივი ვერ დგინდება და არ არსებობს ამ ხარვეზის შევსების შესაძლებლობა და თუ არ არსებობს მკვლელობის დამამძიმებელი რაიმე გარემოება, დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს 108-ე მუხლით (მაგალითად, მკვლელობა სიმთვრალეში, როდესაც დამნაშავე ვერ იხსენებს საქმის გარემოებებს)[1].

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს დაზარალებულის თანხმობით ჩადენილი მკვლელობა, ვინაიდან მის თანხმობას თავისთავად არა აქვს იურიდიული მნიშვნელობა და არ გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამგვარ მკვლელობას უნდა მივაკუთვნოთ ასევე მკვლელობა „ურთიერთშეთანხმებით", როდესაც ორი პირი რაიმე მიზეზით შეთანხმდება ერთად მოიკლან თავი, ხოლო შემდგომ ერთ-ერთი მათგანი უარს ამბობს თვითმკვლელობაზე, როდესაც მეორეს უკვე მოუსპო სიცოცხლე.

1 Бородин С.В., Преступления против жизни, М., 2000, с. 85.

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (მუხლი 109-ე)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა ყველაზე უფრო საშიშ და მძიმე მკვლელობას წარმოადგენს. ეს მუხლი შეიცავს თოთხმეტ პუნქტს, რომელთაგან თუგინდ ერთი ქმედების ჩადენა საკმარისია, რათა მკვლელობა ჩავთვალოთ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად.

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ, თუ არსებობს მკვლელობის ორი ან მეტი დამამძიმებელი გარემოება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ყველა პუნქტით. დამნაშავის ყველა ქმედების გათვალისწინება საშუალებას იძლევა სრულად და სწორად იქნეს შეფასებული ჩადენილი მკვლელობის საშიშროება და დამნაშავეს მისი პიროვნულ თვისებათა გათვალისწინებით სამართლიანი სასჯელი განესაზღვროს.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის პერიოდში დაისვა საკითხი განზრახ მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებათა ინსტიტუტის შემდგომი სრულყოფის შესახებ. ეს წინაპირობა იყო იმისა, რომ უფრო ზუსტად დაკვალიფიცირებულიყო დამნაშავის ქმედება, გატარებულიყო პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი და დადგენილი ყოფილიყო სამართლიანი სასჯელი. კანონმდებლის მიზანს წარმოადგენდა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობათა ამომწურავი ჩამოთვლა. ბოლო ხანს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები. სახელდობრ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობები დაიყო სამ ნაწილად. ეს ნაწილები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი სოციალური საშიშროებით, და აქედან გამომდინარე, მათთვის დადგენილი სანქციებითაც.

109-ე მუხლის პირველი ნაწილით მძიმდება პასუხისმგებლობა როდესაც სახეზეა მკვლელობა მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით (პუნქტი „ბ“). ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებული მკვლელობა გულისხმობს მხვერპლისათვის წინასწარ, მისი ნების საწინააღმდეგოდ იძულებით თავისუფლების აღკვეთას.

ამ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად გამოცხადება საკმაოდ გამართლებულია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოლო წლებში საქართ-

ველოში გავრცელდა ადამიანის გატაცების ფაქტები, რაც უმეტესწილად მძევლად ხელში ჩაგდებაში გამოიხატება. მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებული განზრახი მკვლელობა ყოველთვის დანაშაულთა ერთობლიობას გულისხმობს. იგი კვალიფიცირდება 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტითა და 144-ე მუხლით (მძევლად ხელში ჩაგდება) ან 109-ე მუხლის „ბ“ პუნქტითა და 329-ე მუხლით (მძევლად ხელში ჩაგდება ტერორიზმის მიზნით), იმის გათვალისწინებით, თუ რა მიზნით იყო აყვანილი მძევალი. ამ დროს დამნაშავის მიერ სხვადასხვა იურიდიული მოქმედება ხორციელდება.

მძევლად წელში ჩაგდებასთან დაკავშირებული მკვლელობისას დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც მძევლად აყვანილი, ისე სხვა პირიც (მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოს მუშაკი, რომელიც მონაწილეობს მძევლად აყვანილის გათავისუფლების პროცესში).

გ) მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის 1 ნაწილის „გ“ პუნქტით მკვლელობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დადგენილ იქნეს თვით მკვლელობის ჩადენის საშუალების საყოველთაო საშიშროება. თუ რა საშუალებაა სახიფათო სხვა ადამიანთა სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, დაკავშირებულია ამ საშუალების გამოყენების საშიშროებასთან. გარშემომყოფთათვის საფრთხის შემქმნელად ჩაითვლება, მაგალითად, აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, ადამიანთა თავშეყრის ადგილას სროლა, წყლის ან საჭმლის მოწამვლა, რომლითაც დაზარალებულის გარდა სხვებიც სარგებლობენ და სხვა. დამნაშავეს წინასწარ უნდა ჰქონდეს შეცნობილი, რომ იგი კლავს ადამიანს ისეთი ხერხითა და საშუალებით, რომელიც დაზარალებულის გარდა საფრთხეს უქმნის თუგინდ სხვა ერთი ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ამასთან, კანონის პოზიციიდან გამომდინარე, ამ პუნქტით ქმედების კვალიფიკაციისათვის საკმარისი არ არის სხვა პირს მიეყენოს ფიზიკური ზიანი, ვინაიდან მკვლელობის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს მისი შესრულების ხერხი და საშუალება.

109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტით ქმედება არ შეიძლება მივიჩნიოთ ჩადენილად, თუ მკვლელობისას გამოყენებულია ისეთი საშუალება, რომელიც თავისთავად კი არის საშიში, მაგრამ კონკრეტულ ვითარებაში საფრთხეს არ უქმნის სხვა ადამიანებს (მაგალითად, ადამი-

ანის მოსაკლავად ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენება უკაცრიელ ადგილას, სადაც მხოლოდ დაზარალებული იმყოფება).

რაც შეეხება აღნიშნული მკვლელობის ჩადენისას განზრახვის სახეს, იგი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, იცოდა თუ არა დამნაშავემ, რომ მის ქმედებას გარდუვალად მოჰყვებოდა თუგინდ ერთი სხვა პირის სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება, მაშინ სახეზე გვაქვს პირდაპირი განზრახვა (მაგალითად, თუ დამნაშავე საჭმელში ჩაყრის ისეთ საწამლავს, რომელიც სიცოცხლეს მოუსპობს როგორც იმ კონკრეტულ პირს, რომლის სიკვდილიც სურს დამნაშავეს, ისე გარდუვალად გამოიწვევს სხვათა სიკვდილსაც).

თუ ასეთი სიტუაცია არ არსებობს, მაშინ ამ სახის მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს არაპირდაპირი განზრახვითაც. ზემოაღნიშნული დებულების სისწორეს ადასტურებს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი. მაგალითად, მთვრალი მცირეკალიბრიანი შაშხანით ატეხს უმისამართო სროლას ხალხმრავალ ადგილას და მოკლავს ერთ ადამიანს. ვინაიდან ამ დროს სხვათა სიცოცხლესაც რეალური საშიშროება ემუქრებოდა, დამნაშავის მოქმედება არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ მკვლელობად უნდა ჩავთვალოთ.

კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობის ჩადენის მოტივი შეიძლება სხვადასხვა იყოს, ვინაიდან ამ დანაშაულის კვალიფიკაცია დაკავშირებულია არა მკვლელობის მოტივთან, არამედ მკვლელობის განხორციელების ხერხთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგება საკითხი ორი ან მეტი პირის მკვლელობის ან ჯანმრთელობის დაზიანების დამატებითი კვალიფიკაციის შესახებ, ცხადია, თუ რეალურად სახეზეა სხვათა სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის ორივე პუნქტის გამოყენება. ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში სახეზეა დანაშაულთა სიმრავლე. ამრიგად, მკვლელობას ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას თუ რეალურად მოჰყვება საზიანო შედეგი სხვებისათვის, მას დამოუკიდებელი კვალიფიკაცია მიეცემა დანაშაულთა ერთობლიობით.

მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, უნდა განვასხვაოთ ტერორისტული აქტი-

საგან (მუხ. 323-ე). იგი, მართალია, ხორციელდება ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, მაგრამ ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს და ჩადენილია მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით. ამასთან, ტერორისტისათვის სულერთია, კონკრეტულად ვინ და რამდენი კაცი დაიღუპება ტერორისტული აქტის შედეგად. 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტი კი ითვალისწინებს კონკრეტული ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას, მაგრამ სხვა ადამიანთა დაღუპვის შესაძლებლობასაც.

დ) მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით. 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" პუნქტით ჩადენილი მკვლელობის განსაკუთრებული საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავე ფაქტობრივად სჩადის ორ დანაშაულს. მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით გულისხმობს, რომ მკვლელობამდე სხვა დანაშაული უკვე იყო ჩადენილი და დანაშაულის სუბიექტი ცდილობს დაფაროს როგორც დანაშაული, ისე მასში მონაწილე პირები. მკვლელობამდე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" პუნქტით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი დანაშაულისათვის დაზარალებული შეიძლება იყოს ყველა პირი, რომელიც, დამნაშავის აზრით, იყო დანაშაულის ფაქტის მოწმე ან რომელმაც დანამდვილებით ან სავარაუდოდ იცის მის მიერ ადრე ჩადენილი დანაშაულის შესახებ და ამიტომ შეუძლია ამხილოს იგი.

სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით მკვლელობაში იგულისხმება იმ პირის ჩამოშორება, რომელსაც, დამნაშავის აზრით, შეუძლია ხელი შეუშალოს მას დანაშაულის ჩადენაში. დამნაშავე ჯერ უსპობს სიცოცხლეს მსხვერპლს, ხოლო შემდეგ კი ახორციელებს მის მიერ ჩაფიქრებულ დანაშაულს (მაგალითად, დამნაშავე ჯერ კლავს საიუველირო მაღაზიის დარაჯს, შემდეგ კი შედის მაღაზიაში და ეუფლება ოქროულობას).

109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" პუნქტით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს დამნაშავემ თუ სხვამ უნდა ჩაიდინოს დანაშაული ან ვის მიერ ჩადენილი ქმედება უნდა დაიფაროს.

ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენა, გამომდინარე ამ მუხლის რედაქციიდან, სადაც მითითებულია მიზანზე, შესაძლოა, როგორც წესი, პირდაპირი განზრახვით.

109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტში მოცემულია მკვლელობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა. სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტში განსაზღვრულია პასუხისმგებლობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობისათვის. გასაგებია, რომ ამგვარი სახის მკვლელობა მოწმობს პირის გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებას, ვინაიდან მან იცის რა, რომ ქალი ორსულადაა, უსპობს სიცოცხლეს მას და მომავალ პოტენციურ ადამიანს. არა აქვს მნიშვნელობა ორსულობის ვადასა და ნაყოფის სიცოცხლისუნარიანობას. ამ პუნქტით კვალიფიკაციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალის სიცოცხლის ხელყოფისას მისი ორსულობის მდგომარეობის წინასწარ შეცნობას. ეს ცნობა შეიძლება მიღებულ იქნეს თვით დაზარალებულისაგან, სხვათა ინფორმაციით ან გარეგანი ნიშნებით.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ, თუ პირმა დარწმუნებით არ იცოდა ქალის ორსულობის შესახებ, იგი არ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში ამ პუნქტით. ეს საკითხი თეორიულ დონეზე სხვაგვარად დააყენა ს. ბოროდინმა. იგი მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ მკვლელობა კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით იყოს დაკვალიფიცირებული, თუ დამნაშავე ვარაუდობდა, რომ დაზარალებული შეიძლება ორსულად ყოფილიყო, მაგრამ დარწმუნებული არ იყო. დამნაშავე ამ შემთხვევაში უშვებს ფაქტობრივ შეცდომას იმ გარემოებათა არსებობაში, რაც მკვლელობას მაკვალიფიცირებელს ხდის. ს. ბოროდინი თვლის, რომ ამ დროს დამნაშავე მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით[1].

იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად, ასეთ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც მარტივი მკვლელობა და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის მცდელობა, რამდენადაც ასეთი კვალიფიკაცია იძლევა საშუალებას დადგენილ იქნეს ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება. ეს დებულება მოტივირებულია იმით, რომ კვალიფიცირი დანაშაულის მცდელობისას პირმა შეიძლება არც მიაღწიოს იმ სტადიას, რაზეც მარტივი მკვლელობა დამთავრებულად ითვლება.

ეს საკითხი სადისკუსიოა, თუმცა მიზანშეწონილია, რომ მის გადაწყვეტისას ვიხელმძღვანელოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის

---

1 Бородин С.В., Ответственность за убийство: квалификация и наказание по российскому праву, М., 1994, с. 108.

მე-3 ნაწილით, რომლის თანახმადაც ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (მაგალითად, როდესაც არც ქალმა და არც მამაკაცმა დანამდვილებით არ იცოდნენ ქალის ორსულობის შესახებ).

109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" პუნქტში განხილულია მკვლელობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა. მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებათა შორის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისათვის სიცოცხლის მოსპობა ნოვაციაა. ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობით ზემოაღნიშნული დანაშაული დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად არ ითვლებოდა. ეს ნოვაცია იმითაა დასაბუთებული, რომ ბოლო დროს საქართველოში იმატა არასრულწლოვანთა მკვლელობის ფაქტებმა, ამიტომ კანონმდებელი შეეცადა სისხლის სამართლის კანონის მეშვეობით გაეძლიერებინა მათი დაცვა და ამ მიზნით უფრო მკაცრად დაესაჯა დამნაშავე.

რაც შეეხება უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირისათვის სიცოცხლის მოსპობას, მასში იგულისხმება ავადმყოფის, ღრმად მოხუცისა და სხვათა მკვლელობა, რომელთაც თავისი ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ თავის დაცვა. ამის მაგალითად გამოდგება უგონო მდგომარეობაში მყოფის, მთვრალისა და პირის ძილში სიცოცხლის მოსპობა, ვინაიდან მათ არა აქვთ დამნაშავის ქმედებაზე რეაგირებისა და წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

მკვლელობის აღნიშნული პუნქტით კვალიფიკაციისათვის საჭიროა, რომ დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდეს ადამიანის უმწეო მდგომარეობაში ყოფნა და მის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შეუძლებლობა.

უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობის მოტივი სხვადასხვა შეიძლება იყოს: შურისძიება, ეჭვიანობა და სხვა. მაგრამ თუ მკვლელობის მოტივი ანგარება ან ხულიგნური ქცევაგრძნობაა, ქმედება დაკვალიფიცირდება დამამძიმებელ გარემოებათა ერთობლიობით.

109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ" პუნქტში გათვალისწინებულია მკვლელობა ხულიგნური ქცევაგრძნობით

მკვლელობა ხულიგნური ქცევაგრძნობით ხდება საზოგადოებაში არსებული თანაცხოვრების წესების უგულებელყოფის ნიადაგზე. ამ დროს დამნაშავის ქცევა განპირობებულია მისი სწრაფვით, დაუპირისპირდეს

გარშემომყოფთ, მოახდინოს ზნეობრივი ნორმებისადმი უპატივცემლობის დემონსტრირება. ხულიგნური ქცენაგრძნობა ზოგჯერ ეფუძნება დამნაშავის მიერ მისი მოქმედების თავისუფლების არასწორ აღქმას, რომლის არსიც გამოხატულია ფორმულაში „ჩემთვის ყველაფერი დასაშვებია“.

აქედან გამომდინარეობს მკვლელობის მსხვერპლის შემთხვევითი შერჩევაც. მკვლელობა ხულიგნური ქცენაგრძნობით ხშირად ხორციელდება რაიმე სპეციალური მიზნის არარსებობისას და იმდენად მცირე საბაბის საფუძველზე, რომ ზოგიერთი მეცნიერი ასეთ მკვლელობას უმოტივოს უწოდებს, რაც, ცხადია, სწორი არ არის. დამნაშავის ქცევას აქვს თავისი მოტივაცია, რომელიც მრავალგვარია. აღნიშნული მოტივის დასადგენად აუცილებელია დამნაშავის ყველა მოქმედების ერთობლივი ანალიზი როგორც მკვლელობამდე, ისე მკვლელობის მომენტში და მისი ჩადენის შემდეგ.

ხულიგნური ქცენაგრძნობა, ისევე როგორც სხვა მოტივი, რეალურია და დამნაშავის ქმედების კვალიფიკაციისათვის ზუსტად უნდა იყოს დადგენილი და დამტკიცებული. მკვლელობის მოტივის დაუდგენლობა არ წარმოადგენს მისი ხულიგნური მოტივით დაკვალიფიცირების საფუძველს. პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ სასამართლო შეცდომათა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება აიხსნას დანაშაულის გარემოებათა ზედაპირული ანალიზით.

მკვლელობა ხულიგნური ქცენაგრძნობით იქნება ჩადენილი, თუ იგი მცირე საბაბის საფუძველზე აღმოცენდა (მაგალითად, დამნაშავისათვის შენიშვნის მიცემის, სიგარეტის მოთხოვნაზე უარის მიღების შემთხვევაში და სხვ.). ხულიგნური მოტივით მკვლელობას შეიძლება ახასიათებდეს შურისძიების მოტივიც, მაგრამ იგი გამოდის არა ძირითად, დომინირებულ ფაქტორად, არამედ ხულიგნური მოტივის გამოვლენის ფორმად.

ხულიგნური ქცენაგრძნობით მკვლელობა ხშირად ხდება ჩხუბის, კონფლიქტის შედეგად. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ყველა მკვლელობა ჩადენილი ჩხუბში უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ხულიგნური ქცენაგრძნობით ჩადენილი. იმისათვის, რომ ხულიგნური მოტივით მკვლელობა გაიმიჯნოს ჩხუბში მკვლელობისაგან, საჭიროა დადგინდეს ვინ იყო ინციდენტის ინიციატორი, ხომ არ იყო კონფლიქტი პროვოცირებული დამნაშავის მიერ მკვლელობის საბაბად და სხვა. თუ დამტკიცდება, რომ ჩხუბის წამომწყები იყო დაზარალებული, ან კიდევ კონფლიქტის

აღმოცენების საბაბი იყო მისი არამართლზომიერი ან ამორალური ქცევა, დამნაშავე პასუხს ვერ აგებს ხულიგნური მოტივით მკვლელობისათვის.

უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლელობის ჩადენის ადგილს (მაგალითად, საზოგადოების თავშეყრის ადგილს) დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია ამ პუნქტის გამოყენებისათვის. მთავარია, დადგენილ იქნეს, რომ გადამწყვეტ და უშუალო მიზეზს, რომელმაც წარმოშვა მკვლელობის განზრახვა, წარმოადგენს ზემოაღნიშნული ანტისაზოგადოებრივი ქვენაგრძნობა.

„გ“ პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით, როდესაც დამნაშავე ხულიგნური მოტივითა და არაპირდაპირი განზრახვით სიცოცხლეს უსპობს ადამიანს, თუმცა მას არა აქვს მიზანი მოკლას პირი, მაგრამ არც გამორიცხავს ამ გარემოებას. ხულიგნური მოტივით არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობისას მიზანი არსებობს, იგი თვით იმ მოქმედების განხორციელებაში გამოიხატება, რომელიც მიმართულია დაზარალებულის წინააღმდეგ და შედეგის მიმართ კი გულგრილ დამოკიდებულებას გულისხმობს.

უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ პირმა თავისი დანაშაულებრივი ქმედება ხულიგნობით დაიწყო და შემდეგ მკვლელობაში გადაიზარდა, ფაქტობრივად სახეზე გვექნება ორი დამოუკიდებელი დანაშაული. თითოეულმა მათგანმა დამოუკიდებელი შეფასება უნდა მიიღოს.

დ) მკვლელობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო. 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტში მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად გათვალისწინებულია მისი ჩადენა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო. ამ დამამძიმებელი გარემოების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მკვლელობა ხორციელდება იმ პირისადმი სიძულვილის გამო, რომელიც სხვა რასას, ეროვნებას თუ ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნება ან აღიარებს სხვა რელიგიას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ამ პუნქტის შეტანა შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-20 მუხლს, რომლის თანახმადაც ყოველგვარი გამოსვლა ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შეუწყნარებლობის სასარგებლოდ, დისკრიმინაციის წაქეზება, მტრობა და ძალადობა კანონით უნდა

აიკრძალოს.

ამაღე საკითხს ეხება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი, სადაც ხაზგასმულია ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე. ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს პასუხისმგებლობას ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის გამო (მუხ. 142-ე). კოდექსს დაემატა 142[1]-ე მუხლი, რომელიც სჯის პირს რასობრივი, ეროვნული მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების გამო. ამ მუხლის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად მითითებულია ზემოაღნიშნულ ქმედებაზე, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. უნდა ვივარაუდოთ, რომ პირის სიკვდილის შემთხვევაში 142[1]-ე მუხლით ქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ჩადენილია გაუფრთხილებლობით.

მკვლელობის ჩადენა ეროვნული, ეთნიკური ან რასობრივი შეუწყნარებლობის ნიადაგზე გულისხმობს სხვა ეროვნებისა თუ რასის წარმომადგენლისადმი მტრულ განწყობას, რაც შეიძლება პიროვნულ კონფლიქტში გადაიზარდოს. განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს დამნაშავესა და დაზარალებულს შორის კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობის გარეშეც (მაგალითად, ეროვნულ თუ ეთნიკურ ნიადაგზე მასობრივი ურთიერთშეტაკების პროცესში).

რელიგიურ შეუწყნარებლობის ნიადაგზე მკვლელობა, როგორც წესი, განპირობებულია სხვა რელიგიის მიმდებლობითა და სხვა კონფესიის წარმომადგენელთა მიმართ შეურიგებელი დამოკიდებულებით. გამორიცხული არ არის, რომ ამ დროს არსებობდეს სხვა მოტივიც, მაგრამ უნდა დომინირებდეს აღნიშნული მოტივი.

როგორც წესი, 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ მკვლელობას ახასიათებს პირდაპირი განზრახვა. იშვიათ შემთხვევაში ასეთი მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს არაპირდაპირი განზრახვით (მაგალითად, სხვა ეროვნების წარმომადგენლის სახლისათვის ცეცხლის წაკიდება მაშინ, როდესაც იქ სხვებიც (მაგალითად ოჯახის წევრები) იმყოფებიან და დამნაშავე მათი ბედის მიმართ იჩენს გულგრილობას).

მეორე ნაწილის „ე“ პუნქტი ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას ჯგუფურად. ჯგუფურად ჩადენილი მკვლელობა მოიცავს ჯგუფური დანაშაულის ყველა სახეს. ჯგუფური დანაშაულის ფორმულირება მოცემულია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში.

ჯგუფურ დანაშაულთან გვაქვს საქმე, როდესაც ორი ან მეტი დამნაშავე სრულად ან ნაწილობრივ ახორციელებს მკვლელობის ობიექტურ შემადგენლობას და გამოდის ამ დანაშაულის თანაამსრულებლად. ამაში გამოიხატება მათი ერთობლივი ქმედება, რომელსაც მიეყავართ დაზარალებულის მკვლელობასთან.

მკვლელობა ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით უნდა ატარებდეს ურთიერთშეთანხმებით ხასიათს, ვინაიდან საკითხი ეხება პირთა წინასწარ შეთანხმებას. რამდენიმე პირის მიერ წინასწარი შეთანხმებით დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობა უფრო საშიშია, ვინაიდან რამდენიმე დამნაშავის კოლექტიურ მოქმედებას ნულამდე დაჰყავს დაზარალებულის მიერ აუცილებელი მოგერიების უფლება, პარალიზებას უკეთებს ან ამცირებს მისი ნების გამოვლენას, წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას და უფრო იოლს ხდის დამნაშავეთა მიერ მკვლელობის განხორციელებას, ამასთან, იზრდება დანაშაულის კვალის დაფარვის შესაძლებლობა.

ჯგუფური დანაშაული გულისხმობს ყველანაირი ფორმით ორი ან მეტი პირის შეთანხმებას, რომელიც წარმოიშობა მოქმედების დაწყებამდე და მიმართულია უშუალოდ დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისაკენ. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ჯგუფური მკვლელობა ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით. ამ დროს დანაშაულის თანაამსრულებლებთან ერთად დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა მონაწილენიც შეიძლება გამოვიდნენ ორგანიზატორის, წამქეზებლის ან დამხმარის როლში. მათი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ დანაშაულში თანამონაწილეობის მუხლებითა და 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე" პუნქტით.

უფრო მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია მკვლელობა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

იმისათვის, რომ მკვლელობა დაკვალიფიცირდეს ჯგუფის მიერ ჩადენილ მკვლელობად, აუცილებელია, რომ დამნაშავენი მოქმედებდნენ ერთიანი განზრახვით. სუბიექტურად ასეთი სახის მკვლელობა შესაძლებელია უმეტესად პირდაპირი კონკრეტიზებული განზრახვით.

109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტში მოცემულია მკვლელობა ორი

ან მეტი პირისა. ამ პუნქტის მიხედვით მკვლელობის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებად კანონმდებელი თვლის ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობას. ამგვარი მიდგომა სამართლიანია, რამდენადაც იგი ითვალისწინებს მკვლელობის მძიმე შედეგს, რამდენიმე ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობას, ასევე დამნაშავის პიროვნების გაზრდილ საშიშროებას.

ორი ან მეტი პირის მკვლელობის ქვეშ იგულისხმება ორი ან მეტი დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობა, რომელიც ჩადენილია ერთდროულად ან სხვა პირთათვის სიცოცხლის მოსპობა, პირველი მსხვერპლის მკვლელობიდან მცირე დროის განმავლობაში. აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ მკვლელობის ამ პუნქტით კვალიფიკაციისათვის დამნაშავე უნდა მოქმედებდეს ერთიანი განზრახვით. ამიტომ, თუ მეორე მკვლელობა ერთიანი განზრახვით არ უკავშირდება პირველს, მისი დაკვალიფიცირება „ა“ პუნქტით მცდარი იქნება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში „არაერთგზისობის“ ცნების შეცვლის შემდეგ, შეიძლება გაჩნდეს აზრი იმის შესახებ, რომ მკვლელობის ამ შემადგენლობამ მოიცვას ორი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსპობა ერთიანი განზრახვის გარეშეც, თუ პირი ნასამართლები არ არის წინა მკვლელობისათვის. მაგრამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ იქნება მართებული, რამეთუ აქ ერთიან განზრახვაზე უარის თქმა, საერთოდ ამ დამამძიმებელ გარემოებაზე (ე.ი. ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა) უარის თქმას ნიშნავს სსკ მე-11 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც განზრახი დანაშაულის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი (გარდა თანამდევი შედეგისა) პირს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნიშანს მოიცავდა მისი განზრახვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ადგილი ექნება ორ ან მეტ მკვლელობას, რომელთაგან პირი არც ერთისთვის მსჯავრდებული არ ყოფილა. და ეს ქმედებები ერთიანი განზრახვით არ იყო მოცული, მაშინ თითოეული მკვლელობას ცალკე კვალიფიკაცია მიეცემა და მოხდება სასჯელთა შეკრება სსკ 108-ე მუხლით, თუ არ არის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება.

ერთი პირის მკვლელობა და მე-2 პირის მკვლელობის მცდელობა არ გვაძლევს „ორი ან მეტი პირის მკვლელობის“ როგორც დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას. ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც განზრახ

ზრახი მკვლელობა (მუხ. 108-ე) და ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობა.[1]

ორი ან მეტი პირის მკვლელობის მოტივი, უმეტეს შემთხვევაში, ერთიანია, თუმცა გამორიცხული არც ის არის, რომ მისი ჩადენის მოტივი სხვადასხვა იყოს (მაგალითად, დამნაშავემ ერთ პირს სიცოცხლე მოუსპო ხულიგნური ქვენაგრძნობით, ხოლო მეორეს კი — ამ უკანასკნელის მიერ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

სუბიექტური ნიშნის მიხედვით, ორი ან მეტი პირის მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით: თუ იგი ჩადენილია სხვადასხვა დროს და ერთიანი განზრახვით ხასიათდება, განზრახვა შეიძლება იყოს მხოლოდ პირდაპირი, ხოლო ერთდროული მკვლელობისას განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირიც.

109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" პუნქტი ითვალისწინებს მკვლელობას განსაკუთრებული სისასტიკით. განზრახი მკვლელობა თავისთავად სისასტიკის გამოვლენას წარმოადგენს, ხოლო განსაკუთრებულ სისასტიკეს, როგორც თვით სახელწოდებიდან ჩანს, აღმატებულ ხარისხში აჰყავს მკვლელობის აქტი. განსაკუთრებული სისასტიკე შეიძლება გამოვლინდეს როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხში, ისე მკვლელობასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებებში (მაგალითად, პირის გულგრილ დამოკიდებულებაში დაზარალებულის ტანჯვისადმი). იმისათვის, რომ აღნიშნულ მკვლელობას სწორი კვალიფიკაცია მიეცეს, აუცილებელია დადგენილ იქნეს, რომ დამნაშავის განზრახვა მოიცავდა მკვლელობის ჩადენას განსაკუთრებული სისასტიკით. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღება ექცევა დამნაშავის დამოკიდებულებას არა მარტო შედეგისადმი, არამედ განსაკუთრებული სისასტიკის, როგორც მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებისადმი.

მკვლელობის ამ პუნქტით სწორი კვალიფიკაციისათვის საჭიროა კარგად გავერკვეთ ცნებაში „განსაკუთრებული სისასტიკე". როგორც აღინიშნა, კანონმდებელი მიუთითებს არა სისასტიკეზე, არამედ განსაკუთრებულ სისასტიკეზე. მაგრამ იგი არ მიუთითებს იმ კრიტერიუმზე, რომლის ძალითაც მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ფაქტის დადგენა სასამართლო-სამედიცინო

1 ამ საკითხზე არსებობს სხვა პოზიციაც.

ექსპერტიზის უფლებამოსილებაში არ შედის. „განსაკუთრებული სისასტიკე“ არის არა სამედიცინო, არამედ იურიდიული ცნება.

რეალურად სასტიკია მკვლელობის მხოლოდ ის იშვიათი და ერთეული შემთხვევები, რომლის დროსაც მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობის მიზნის გარდა, მისთვის დამახასიათებელია დამნაშავის სურვილი და სპეციალური მიზანი თავისი მოქმედებით განსაკუთრებული ტანჯვა მიაყენოს დაზარალებულს. განსაკუთრებული სისასტიკითაა ჩადენილი მკვლელობა წამებით, პირის ცოცხლად დაწვით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში წყლის, საჭმლის მიუცემლობით და ა.შ. მკვლელობის განზრახვის რეალიზაციისას მრავალი ჭრილობის მიყენება ყოველთვის არ ნიშნავს მკვლელის განსაკუთრებულ სისასტიკეს. ზოგჯერ იგი ხდება გამართლებული ობიექტის მდგომარეობაში, როდესაც დამნაშავეს შესუსტებული აქვს უნარი სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან უხელმძღვანელოს მას.

განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობა სახეზე გვექნება მაშინ, როდესაც მშობლის თვალწინ კლავენ შვილს ან, პირიქით; ცხადია, რომ ბავშვს უნდა შეეძლოს მკვლელობის ფაქტის აღქმა და სხვა. თუ რატომ უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებულ სისასტიკედ ახლობლების თვალწინ ადამიანის მკვლელობა, აიხსნება არა მარტო იმით, რომ ისინი განიცდიან დაზარალებულის სიკვდილის ფაქტს, არამედ თვითმხილველნი არიან მათი ახლობლისათვის სიცოცხლის მოსპობის პროცესისა. აქ დამნაშავის განსაკუთრებულ სისასტიკეს მოწმობს მისი მოქმედების ხასიათი, ვინაიდან იგი გულგრილად ეკიდება მსხვერპლის ახლობელთა გრძნობას. უნდა შეენიშნოთ, რომ მსხვერპლის ახლობელთა წრე არ შეიძლება ამოიწუროს ახლო ნათესავებით. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ყველა გარემოებათა შესწავლის საფუძველზე სასამართლო ვალდებულია სათანადოდ გადაწყვიტოს კვალიფიკაციის საკითხი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით მკვლელობის შემდეგ გვამის წაბილწვა, მისი დანაწევრება დაკვალიფიცირებულიყო როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა. ამ მოსაზრებას საფუძვლად ედო პიროვნების გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროება.

გვამის წაბილწვა თავისთავად არ შეიძლება შეფასებულ იქნეს იმ გარემოებად, რომელიც მოწმობს მკვლელობის ჩადენას განსაკუთრებული

სისასტიკით. ასეთი ქმედება, თუ არ არსებობს დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობის წინ ან მკვლელობის პროცესში სისასტიკის სხვა გამოვლენა, უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის 108-ე და 258-ე მუხლის (მიცვალებულისადმი უპატივცემულობა) ერთობლიობით. მით უმეტეს, არ შეიძლება გვამის მოსპობა ან მისი დანაწევრება დანაშაულის დაფარვის მიზნით იყოს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის საფუძველი.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მცდარია. მას შემდეგ, რაც პირს სიცოცხლე მოესპო, უკვე აღარ არსებობს დანაშაულის ობიექტი — ადამიანის სიცოცხლე და ამიტომ არ შეიძლება დამძიმდეს ეს დანაშაული.

გ) მკვლელობა ანგარებით ან შეკვეთით. ანგარებით მკვლელობა სისხლის სამართლის კოდექსში ახალი ნორმა არ არის. მასში იგულისხმება ისეთი მკვლელობა, რომლის მიზანი მატერიალური გამორჩენის მიღებაა (ფულის, ქონების ან ქონებაზე უფლების მიღება, საცხოვრებელ სახლზე უფლების მიღება და სხვა). ანგარება გამდიდრებისაკენ მისწრაფებაა. ამიტომ ანგარებით მკვლელობად ჩაითვლება მკვლელობა, რომელიც ჩადენილია მსხვერპლთან ერთად შეძენილი საერთო საკუთრების დასაუფლებლად, მემკვიდრეობის ან სადაზღვევო თანხის მისაღებად, მატერიალური ხარჯისაგან გასათავისუფლებლად (მაგალითად, ავადმყოფის მოვლის, ალიმენტის გადახდის, ვალის დაბრუნებისაგან თავის არიდებისა და სხვა შემთხვევაში). ანგარებით მკვლელობად შეიძლება ჩაითვალოს ასევე მკვლელობა რაიმე თანამდებობის დაკავების მიზნით, თუ იგი უკავშირდება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თუ მკვლელობა ანგარებითი მოტივით არ იყო ჩადენილი და დამნაშავეს სხვა მოტივი ამოძრავებდა და მხოლოდ მსხვერპლის სიკვდილის შემდეგ აღეძვრა მას განზრახვა დაღუპულის ქონების მითვისებისა, მაშინ ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება ამ პუნქტით. ანგარებითი მოტივის არსებობა წინ უნდა უსწრებდეს მკვლელობას.

ზემოაღნიშნული დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დამოუკიდებელი ქონებრივი დანაშაული. ასევე არ ექნება ადგილი ანგარებით მკვლელობას მაშინაც, როდესაც სიცოცხლის მოსპობის მოტივი იყო შურისძიება დამნაშავისათვის ადრე მიყენებული ზიანის გამო.

ამ სახის მკვლელობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად იყო რეალიზებული მოტივი (სრულად, ნაწილობრივ თუ საერთოდ ვერ

განხორციელდა), ვინაიდან მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად გვევლინება დამნაშავეზე ქონების გადასვლა კი არა, არამედ ანგარებითი მოტივი, რომელმაც უბიძგა დამნაშავეს მსხვერპლის მოკვლა.

ყაჩაღური თავდასხმის დროს განხორციელებული მკვლელობა შეიცავს ორ სხვადასხვა დანაშაულს და იგი დანაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს.

მკვლელობა ჩაითვლება ანგარებითი მოტივით ჩადენილად იმისდა მიუხედავად, ვინ მიიღებს მატერიალურ გამორჩენას, თვითონ დამნაშავე თუ სხვა (მაგალითად, ოჯახის წევრი, ახლობელი ან სხვა პირი), რომლის ინტერესი მნიშვნელოვანია დამნაშავისათვის.

რაც შეეხება განზრახვის ხასს ანგარებითი ქვენაგრძნობით მკვლელობის დროს, იგი წყდება იმის მიხედვით მკვლელობა შეიცავს მხოლოდ ანგარებითი მკვლელობის ნიშნებს, თუ იგი ჩადენილია სხვა დანაშაულთან ერთად.

იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ანგარებითი მკვლელობაა ჩადენილი, დანაშაულის სუბიექტი ყოველთვის მოქმედებს პირდაპირი განზრახვით ქონებისა თუ მატერიალური ხასიათის სხვა უფლების მოსაპოვებლად. ამ დროს მკვლელობა სასურველი შედეგის მიღწევის მიზანია.

სხვაგვარად წყდება საკითხი, როდესაც ანგარებითი მკვლელობა ხორციელდება ყაჩაღური თავდასხმის დროს. ამგვარი მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს არა მარტო პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი განზრახვითაც; ან კიდევ, როდესაც დამნაშავე ხდის ძვირფას ქურქს მთვრალს და მიატოვებს ყინვაში, რის შედეგადაც დაზარალებული გაიყინება. ამ შემთხვევაში დამნაშავეს არ სურდა პირის მოკვლა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობას.

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა დამამძიმებელ გარემოებად მიუთითა მკვლელობა ანგარებით ან შეკვეთით. შეკვეთით მკვლელობა ნოვაციაა, იგი ძველ კოდექსში არ არსებობდა. საყოველთაოდ აღიარებულია დებულება, რომ მკვლელობა შეკვეთით ანგარებითი მკვლელობის სახესხვაობაა და უმეტეს შემთხვევაში, მასში მკვეთრად არის გამოხატული ანგარებითი მოტივი. მაგრამ, იშვიათად, შეკვეთით მკვლელობა შეიძლება არც იყოს დაკავშირებული ანგარებასთან. დამნაშავემ შეიძლება ჩაიდინოს მკვლელობა მისთვის საპატივსაცემო და გავლენიანი პირის დაკვეთით ან კრიმინალურმა ავტორიტეტმა უბრძანოს ორგანიზებული ჯგუფის წევრს სიცოცხლე მოუსპოს არასასურველ პირს.

დ) მკვლელობა მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით. მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად აღიარება საკმაოდ გამართლებულია. ბოლო წლებში მედიცინამ დიდი წარმატება მოიპოვა ორგანოსა და ქსოვილის ერთი ადამიანიდან მეორისადმი გადანერგვის სფეროში. ამან, თავის მხრივ, შექმნა საშიშროება სოციალურად დაუცველი ფენებისა და ბავშვებისათვის. დაიწყო ამ სფეროში კომერციალიზაცია, წარმოიშვა ადამიანის მოკვლის საფრთხე მისი ჯანმრთელი ორგანოს ან ქსოვილის მოსაპოვებლად.

1989 წელს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო სესიაზე გამოთქმული იყო სერიოზული შეშფოთება ცოცხალი „დონორების" ორგანოებით ვაჭრობაზე. ამ სახის მკვლელობა შეიძლება განხორციელდეს როგორც სამედიცინო დაწესებულებაში სამკურნალოდ მყოფ ავადმყოფის მიმართ, ისე იმ პირის მიმართ, რომელიც ავტო ან სხვაგვარ კატასტროფაში მოყვა და არა აქვს შესაძლებლობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უპატრონოს თავს. გარდა ამისა, სხეულის ორგანო ან ქსოვილი შეიძლება ამოღებულ იქნეს ძალადობის გზითაც, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება. გამორიცხული არ არის დაზარალებულის „ინტერესიდან" გამომდინარე გამართლებული საბაბით მისთვის ოპერაციის ჩატარება ლეტალური შედეგით.

109-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ" პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობის მოტივი ყველაზე ხშირად ანგარებითია, თუმცა არც სხვა მოტივია გამორიცხული: ახლობლის გადარჩენა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე, სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარების უზრუნველყოფა და სხვა. აღნიშნული პუნქტით კვალიფიკაციისათვის არ არის საჭიროებულო დამნაშავის მიერ ორგანოს ან ქსოვილის გამოყენების მიზნის მიღწევა. დანაშაული ხორციელდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე თავში მოცემულია დანაშაულთა ჯგუფი, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მათ შორის დანაშაული ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება სამკურნალოდ, გადასანერგად, ექსპერიმენტისათვის ან სამკურნალო პრეპარატის დასამზადებლად (მუხ. 134-ე); ხოლო 135[1]-ე მუხლი ითვალისწინებს ადამიანის ორგანოებით

ვაჭრობას. ორივე შემთხვევაში, თუ მას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს.

ე) მკვლელობა არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის 110-114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა). სსკ მე-15 მუხლის მიხედვით არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლები პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. აქედან გამომდინარე ორი ან მეტი მკვლელობა ერთმანეთისაგან ნასამართლობის ნიშნით უნდა იყოს გამიჯნული, ამასთანავე ისინი ერთიანი განზრახვით არ უნდა იყოს მოცული, რითაც გაემიჯნება 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მკვლელობის შემადგენლობას. მაშასადამე, ნასამართლობამდე ჩადენილ ორ ან მეტ მკვლელობას დამოუკიდებელი შეფასება სჭირდება დანაშაულთა ერთობლიობის წესით. არაერთგზის მკვლელობად არ დაკვალიფიცირდება სსკ 110-114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობა. მკვლელობა არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, ასევე, თუ პირს წინათ ჩადენილი მკვლელობისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა. მკვლელობის არაერთგზისობის ნიშნით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს პირი დამთავრებული მკვლელობისათვის იყო ნასამართლები თუ მკვლელობის მომზადებისა ან მცდელობისათვის,ამსრულებელი იყო თუ თანამონაწილე.

მკვლელობა არაერთგზის ისეთი დამამძიმებელი გარემოებაა, რომელიც პერსონალურად შეეხება ამსრულებელს და არ შეეხება თანამონაწილეს,რომელმაც პირველად ჩაიდინა მკვლელობა.

109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ვ“ პუნქტით მძიმდება პასუხისმგებლობა – მკვლელობისათვის მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ვ“ პუნქტში ხაზგასმულია, რომ ამგვარი ხასიათის მკვლელობა დაკავშირებულია მხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან. ცხადია, რომ ეს საქმიანობა მართლზომიერი უნდა იყოს.

ზემოაღნიშნული დანაშაული ძირითადად წარმოადგენს შურისძიებას მსხვერპლის საქმიანობასთან დაკავშირებით. შურისძიების ადრესატი შეიძლება იყოს როგორც ის პირი, რომელიც უშუალოდ ასრულებს თავის სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ მოვალეობას, ისე მისი ახლო

ნათესავი. ამასთან, მკვლელობის ამ პუნქტით კვალიფიკაცია შესაძლებელია შურისძიების მოტივის დაუდგენლობის შემთხვევაშიც, როდესაც იგი ხორც.ელდება დაზარალებულის მართლზომიერი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით ან დამნაშავისათვის სამომავლოდ არასასურველ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

მსხვერპლის მიერ სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში უნდა ვიგულისხმოთ, როგორც მისი ერთჯერადი მართლზომიერი ქცევა, ისე ამ ქმედებათა მთელი სისტემა. სამსახურებრივ საქმიანობის შემსრულებლად შეიძლება მოგვევლინოს როგორც ყველა მაღალი თუ დაბალი რანგის თანამდებობის პირი, ისე ყველა სხვა პირი (მაგალითად, მუშა, დარაჯი). ამ დროს მთავარია, რომ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა არ ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

რაც შეეხება დაზარალებულის მიერ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებას, მასში ნაგულისხმევია ამა თუ იმ მოქალაქისათვის დაკისრებული როგორც სპეციალური (იურიდიული) საზოგადოებრივი მოვალეობის განხორციელება, ისე მოქალაქეობრივი ვალის მოხდა (მაგალითად, მოქალაქის მიერ სამართალდარღვევის აღკვეთა, ხელისუფლების ორგანოსათვის ჩადენილი დანაშაულის შეტყობინება, მოწმის ან დაზარალებულის დანაშაულში მხილება და სხვ.).

სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ვ“ პუნქტში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული მკვლელობის მსხვერპლი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ის, ვინც უშუალოდ ახორციელებს თავის სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობას, არამედ მისი ახლო ნათესავიც.

აღნიშნული მუხლის შენიშვნაში დაკონკრეტებულია იმ პირთა წრე, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ახლო ნათესავებად ითვლებიან. ესენი არიან: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კოდექსში დაშვებულია შეცდომა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ გასწორებულა. ჩამონათვალში „შვილობილის“ ნაცვლად უნდა იყოს „შვილად აყვანილი“. სამოქალაქო კანონმდებლობით ამ ორ ცნებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა გაუმართლებლად ავიწროებს იმ პირთა წრეს, რომელთა მკვლელობაც მაკვალიფიცირებელ გარემოებად ჩაითვლება. უფრო გამართლებულია რუსეთის ფედერაციის

სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია, რომლის ძალითაც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად ითვლება ზემოაღნიშნული მიზნით მსხვერპლის ახლობლის მკვლელობა. მასში იგულისხმება იმ პირთა მკვლელობა, რომელთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა არსებულ პირად ურთიერთობათა ძალით ძალიან მტკიცნეულია და ეს გარემოება დამნაშავისათვის წინასწარ არის ცნობილი (მაგალითად, საცოლე, საქმრო, უახლოესი მეგობარი, რომელიც ზოგჯერ ნათესავზე ახლოა და სხვა).

109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ვ“ პუნქტით ვერ დაკვალიფიცირდება ისეთი მკვლელობა, რომელიც თუმცა ჩადენილია შურისძიების მიზნით მსხვერპლის სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, მაგრამ იგი გამოწვეულია დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო საქციელით (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით და სხვა).

უნდა შეგახსენოთ, რომ კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა მკვლელობა განხორციელებულია დაზარალებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თუ შემდეგ, შესაძლოა ხანგრძლივი დროის განცდის შემდეგ (მაგალითად, მოსამართლის მკვლელობა მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ). მთავარია დადგენილ იქნეს, რომ მკვლელობა ჩადენილია პირის მიერ თავისი სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში საკითხი მსხვერპლის თანხმობით მისი სიცოცხლის მოსპობის შესახებ იყო და დღესაც განსაკუთრებით საკამათოა, იგი ეთიკურ პრობლემასთან არის დაკავშირებული. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა ადამიანს განკარგოს თავისი სიცოცხლე ისე, როგორც სურს. ეუთანაზია ბერძნული სიტყვაა, იგი შედგება ორი ნაწილისაგან – „ეუ" – რაც კარგს ნიშნავს და „თანატოს" – სიკვდილს. იგი გულისხმობს ადამიანის სიკვდილის განზრახ დაჩქარებას ან ტერმინალურ მდგომარეობაში მოურჩენელი ავადმყოფისათვის სიცოცხლის მოსპობას მისი ტანჯვისაგან გათავისუფლების მიზნით.

ევთანაზია[1] წარმოშობს კონფლიქტს ორ უფლებას შორის: ერთია მომაკვდავი ადამიანის სიცოცხლის უფლება და მეორე თავად მომაკვდავის სიკვდილის სურვილი. ცხოვრებაში გვხვდება მძიმე შემთხვევები, როცა ახლობლებს უხდებათ ჯერ კიდევ საღი აზროვნების მქონე საყვარელი ადამიანის წამების ყურება. ეს საშინელი მდგომარეობა ზოგჯერ თვეები ან წლები გრძელდება. რისთვის? რატომ უნდა დააშთავროს ადამიანმა სიცოცხლე და წავიდეს ამ ქვეყნიდან სიცოცხლის სიძულვილით? თუკი ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება, რატომ არ უნდა ჰქონდეს სიკვდილის უფლება? სად არის ზღვარი ჰუმანურობასა და მკვლელობას შორის? რა უფრო ჰუმანურია – რეანიმაცია პაციენტისა, რომელიც დროებით მოკვდა გონს და ტანჯვაში იქნება, თუ ევთანაზიის განხორციელება? ამ კითხვებზე პასუხი სცილდება სამედიცინო ეთიკის ფარგლებს და მოითხოვს სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასებას.

ევროპული ცივილიზაციის ქვეყნებში, XX საუკუნეში, სამედიცინო მეცნიერებაში ვითარდება აზრი „ადვილი სიკვდილის" (ევთანაზიის) შესახებ, თუმცა ევთანაზიის იდეა დიდი ხნის წინათ დაიბადა.

განასხვავებენ ნებაყოფლობით და იძულებით, აქტიურ და პასიურ ევთანაზიას, პირდაპირ და არაპირდაპირ ევთანაზიას.

თანამედროვე ცივილიზებული სამყარო იძულებითი ევთანაზიის აზრსაც კი დასაგმობად თვლის. ტრაგიკული შემთხვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დროს, ნათლად ადასტურებს,

1 იურიდიულ ლიტერატურაში სარგებლობენ ორივე ტერმინით, ეუთანაზია-ევთანაზია.

რომ დაუშვებელია ადამიანთა თანაცხოვრების ელემენტარული ნორმების დარღვევა; არავის აქვს უფლება ხელყოს ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მისი შენარჩუნება საზოგადოებას ტვირთად აწვება. გერმანული ფაშიზმის ე.წ. ევთანაზიის პროგრამამ მოახდინა თავად ევთანაზიის იდეის დისკრედიტაცია. ამიტომაცაა რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ევთანაზიის პრობლემას დიდი სიფრთხილით ეკიდება.

ლეგალურად არსებობს სამი სისტემა. პირველ ჯგუფს შეადგენენ ქვეყნები, რომლებიც ევთანაზიას ჩვეულებრივ მკვლელობად აფასებენ (მაგალითად, ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი). მეორე ჯგუფის ქვეყნები ევთანაზიისათვის მსუბუქ სასჯელს აწესებენ (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია). მესამე ჯგუფის ქვეყნებმა მოახდინეს ევთანაზიის დეკრიმინალიზაცია (პერუ, ურუგვაი, ჰოლანდია).

აქტიური ნებაყოფლობითი ეუთანაზია გულისხმობს უკურნებელი დაავადების ტერმინალურ სტადიაზე მყოფი ავადმყოფის მიმართ ისეთი პრეპარატის გამოყენებას, რომელიც აჩქარებს სიკვდილს, ხოლო პასიური ევთანაზია გულისხმობს დამხმარე თერაპიის შეწყვეტას, რაც იმავე შედეგს იწვევს, მაგრამ არ აჩქარებს მას.

როგორია ექიმის ამოცანა უკურნებელი დაავადების ბოლო სტადიაზე მყოფი ავადმყოფის მკურნალობისას, მხოლოდ ტკივილის გაყუჩება თუ გარდაუვალი სიკვდილის შემსუბუქებაც? აქვს თუ არა უფლება ავადმყოფს, მის ნათესავებს ან ექიმს ტანჯვის დასრულების მიზნით შეწყვიტოს არასასურველი სიცოცხლე?

ექიმებს შორის დომინირებს აზრი იმის შესახებ, რომ ისინი ვალდებული არიან ყოველმხრივ გამოიყენონ ახალი სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევები, მაგრამ ბოროტად არ უნდა ისარგებლონ ამით. ექიმს უფლება არა აქვს ავადმყოფს ადვილი სიკვდილის უფლება წაართვას, თავისი პროფესიული მოწოდების ცალმხრივი გაგებით. ვინაიდან სიცოცხლის ხელოვნური, თითქმის ძალით შენარჩუნება ხშირად ნიშნავს არა სიცოცხლის გახანგრძლივებას, არამედ სიკვდილის გაჭიანურებას. გარდაუვალი სიკვდილის როგორც გაჭიანურება, ისე დაჩქარება თანაბარი სიმძიმის დანაშაულია.

მაგრამ, როცა ავადმყოფის სიცოცხლის შენარჩუნება ხელოვნურად ხდება როდემდე შეიძლება ამის გაგრძელება? თუ აპარატის გამორთვის შემდეგ ავადმყოფი მოკვდება რა არის ეს — ჩვეულებრივი მკვლელობა

თუ ევთანაზია? სპეციალურ ლიტერატურაში თვლიან, რომ ტვინის დისოციალური კვდომის შემთხვევაში რეანიმატორს უნდა ჰქონდეს აპარატის გამორთვის უფლება, თუკი აპარატის გარეშე, დამოუკიდებლად სიცოცხლის აღდგენა შეუძლებელია. იურიდიულად აქ არც ევთანაზიასთან და არც ზოგადად მკვლელობასთან საქმე არა გვაქვს. ამრიგად, ექიმს უფლება აქვს თავისი მეცნიერული რწმენის საფუძველზე გამორთოს აპარატი, როცა ხელოვნურად ხდება სიცოცხლის შენარჩუნება. უფრო მეტიც, პაციენტის უფლებების შესახებ კანონის 24-ე მუხლი პასიური ევთანაზიის უფლებას ლეგალურად აღიარებს. კერძოდ, 24-ე მუხლში ჩაწერილია: „საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს წინასწარ წერილობით გამოხატოს ნება (თანხმობა ან უარი) უგონო მდგომარეობაში ალმოჩენისას ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის დაკარგვისას მისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელი ან პალიატიური მკურნალობის ჩატარების შესახებ, თუ მითითებული გარემოებები გამოწვეულია: უკურნებელი დაავადების ტერმინალური სტადიით“.

მაგრამ ყველაფერი ზემოთქმული ევთანაზიის პრობლემის ერთი მხარეა. გასარკვევია ამ პრობლემის მეორე მხარე – როგორია სისხლის სამართლის პოზიცია ტკივილის მომხსნელი ნემსის მიმართ (აქტიური ევთანაზია). მხედველობაშია ისეთი შემთხვევა, როცა ექიმი ავადმყოფს აძლევს წამლის სასიკვდილო დოზას არა ტკივილის დასაყუჩებლად, არამედ სასიკვდილო – ხსნისათვის, თავად ავადმყოფის ან მისი ახლობლების თხოვნით.

აქ ევთანაზიის მოწინააღმდეგეებს სერიოზული არგუმენტები აქვთ: გამორიცხული არაა შეცდომა დიაგნოზში, ის რაც დღეს განუკურნებელ სენად ითვლება, ხვალ შეიძლება განკურნებადი გახდეს, მედიცინისათვის ცნობილია შემთხვევები, როცა განუკურნებლად მიჩნეული ავადმყოფები გამოჯანმრთელდნენ, გამორიცხული არაა ექიმის ხელმრუდობა, ევთანაზია შეუთავსებელია ექიმის პროფესიულ და საზოგადოებრივ ფუნქციასთან, ნდობის ატმოსფეროსთან, რომელიც უნდა სუფევდეს ექიმსა და პაციენტს შორის და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სსკ-მა მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით პრივილეგირებულ შემადგენლობათა ჯგუფს მიაკუთვნა, ვინაიდან საკითხი ეხება არა მარტო მკვლელობას დაზარალებულის თანხმობით, არამედ მძიმე მომაკვდავი ადამიანის დაჟინებულ თხოვნას მისი ფიზიკური ტანჯვისაგან გათავისუფლების შესახებ.

ეს თხოვნა უნდა გამოხატავდეს მომაკვდავის ნამდვილ ნებას. იგი უნდა იყოს ისეთ მდგომარეობაში, რომ სრულად შეეძლოს კონტროლი გაუწიოს და უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას. თუ მსხვერპლს ამის შესაძლებლობა არა აქვს, მისთვის სიცოცხლის მოსპობა უკვე ჩვეულებრივი მკვლელობაა, ცხადია, თუ არ არსებობს სხვა დამამძიმებელი გარემოება.

110-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობის სწორი კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის მოქმედების სუბიექტურ შემადგენლობას. მკვლელობა ხდება პირდაპირი განზრახვით, თუმცა იგი ნაკარნახევია მომაკვდავის თხოვნით, რათა ავადმყოფი გათავისუფლდეს ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან, მაგალითად, ბრძოლის ველზე მძიმედ დაჭრილი იმ მეომრის მოკვლა, რომლის ტრანსპორტირებაც შეუძლებელია და სხვა არავითარი საშუალება არ არსებობს მის გადასარჩენად, მებრძოლები უკან იხევენ.

მკვლელობა დაზარალებულის სულიერი ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით ზემოაღნიშნული დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებას არ ქმნის.

რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის მოტივს, იგი ერთადერთია — დაზარალებულისადმი სიბრალულის გრძნობა.

ამრიგად, ქმედებას ევთანაზიის კვალიფიკაცია რომ მიეცეს, თხოვნა უნდა მომდინარეობდეს მხოლოდ ავადმყოფისაგან, თხოვნა ადვილი სიკვდილის შესახებ გამოთქმული უნდა იყოს გაცნობიერებულად, საღი გონებით, თხოვნა განმეორებული უნდა იქნეს არაერთგზის (რამდენჯერმე), ავადმყოფი უნდა მოქმედებდეს იძულების გარეშე, სიკვდილის სურვილის შესახებ თხოვნის საფუძველი უნდა იყოს ავადმყოფობით გამოწვეული ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ტანჯვა და არა სხვა ფაქტორები (მატერიალური, ოჯახური და სხვა ხასიათის), ქმედების ერთადერთი მოტივი სიბრალული უნდა იყოს და მიზნად ისახავდეს მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლებას.

განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (მუხლი 111-ე)

სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა გააფართოვა იმ ფაქტორთა წრე, რომელიც აფექტის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს. ამ გარემოებამ გააადვილა ამ სახის მკვლელობის კვალიფიკაცია და სასამართლო პრაქტიკა უფრო ზუსტი გახადა.

აფექტში ჩადენილი მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის შემსუბუქება ორი გარემოებით არის განპირობებული: ჯერ ერთი, დამნაშავე მოქმედებს განსაკუთრებულ ფსიქიკურ სიტუაციაში – უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და, მეორეც, მკვლელობა პროვოცირებულია თვით დაზარალებულის ქცევით. სწორედ მისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება იწვევს დამნაშავის აფექტს და, აქედან გამომდინარე, სურვილს, მოკლას დაზარალებული.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა რთულია და მისი სწორედ განსასაზღვრავად საჭიროა დადგინდეს მთელი რიგი პირობები, რომლებიც 111-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარეობენ. დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, რომ მკვლელობა ჩადენილია აფექტის მდგომარეობაში. ცნობილია, რომ აფექტი არის უეცრად აღძრული და სწრაფწარმავალი სულიერი განცდა (ემოცია), რომელიც იწვევს შეგნებული ნებელობითი კონტროლის შემცირებას და გამოსავალს მოქმედებაში პოულობს. აფექტი შეიძლება გამოწვეულ იქნეს სხვადასხვა ფაქტორით: იგი შეიძლება განპირობებული იყოს სოციალური ურთიერთობის მართლსაწინააღმდეგო თუ ზნეობრივი ნორმების დარღვევით (მაგალითად, უსამართლობით, შეურაცხყოფით და სხვ.).

ზემოაღნიშნული დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დაზარალებულის ვიქტიმურობის ზუსტი განსაზღვრა, რამდენადაც სწორედ იგი თავისი მოქმედებით პროვოცირებს დანაშაულის ჩადენას.

სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლში მოცემულია იმ არამართლზომიერი, მაპროვოცირებელი ქცევის ამომწურავი ჩამონათვალი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს დამნაშავის აფექტის მდგომარეობა დაზარალებულის მიმართ. ერთ-ერთი ასეთი მოქმედებაა მართლსაწინააღმდეგო ძალადობა, რომელიც გულისხმობს როგორც ფიზიკურ ძალადობას

(მაგალითად, ცემა), ისე ფსიქიკურ ძალადობას. ფსიქიკური ძალადობაა ფიზიკურად გასწორების მუქარა, ცილისმწამებლური ცნობების გავრცელების, ქონების დაზიანების ან განადგურების მუქარა და სხვა. მთავარია ის, რომ აფექტის გამომწვევი მიზეზი მართლსაწინააღმდეგო ხასიათს უნდა ატარებდეს.

ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველი შეიძლება იყოს მძიმე შეურაცხყოფაც. იგი შეიძლება გამოხატულ იქნეს ზეპირსიტყვიერად, ფიზიკური ზემოქმედებით, პირის შეურაცხმყოფელი კარიკატურის სახით და სხვა.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს მძიმე შეურაცხყოფად, უნდა გადაწყდეს ყველა ცალკეულ შემთხვევაში საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით. მძიმე შეურაცხყოფის ცნება შეფასებითია, ამიტომ მისი სიმძიმის ხარისხის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შეურაცხყოფის შინაარსი და ფორმა, თუ რამდენად ეწინააღმდეგება იგი საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს თვით დამნაშავის ინდივიდუალური თავისებურებანი და სხვა.

სხვა მძიმე ამორალურ ქცევაში იგულისხმება, მაგალითად, ცოლქმრული ღალატის რეალური ფაქტი, შვილად აყვანის საიდუმლოების გახმაურება და სხვა.

აფექტის წარმოშობა შეიძლება დაკავშირებული იყოს მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულ ფსიქიკურ ტრავმასთან. გამორიცხული არ არის, რომ ამგვარი სიტუაცია შეიქმნას ოჯახში სისტემატური ჩხუბისა და ცემის შედეგად, ლოთი მეულლის მიერ ქონების ფლანგვასთან დაკავშირებით და სხვა. ფსიქიკაზე სისტემატური ზემოქმედების შედეგად ხდება ნეგატიური ემოციების აკუმულირება და გამორიცხული არ არის აფექტური აფეთქება, როდესაც მოთმინების ფიალა იცსება.

მკვლელობის 111-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ ადამიანისათვის სიცოცხლის განზრახ მოსპობა წარმოადგენდეს დამნაშავის საპასუხო რეაქციას დაზარალებულის არამართლზომიერ ქცევაზე. როგორც წესი, აფექტური მდგომარეობა წარმოიშობა მართლსაწინააღმდეგო ქცევის უმალვე, მაგრამ შესაძლოა, რომ მკვლელობა ჩადენილი იქნეს გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც, თუ ფსიქიკური ტრავმა ძალიან მძიმე იყო

და კონკრეტულ სიტუაციაში დამნაშავეს არ ჰქონდა შესაძლებლობა რეაგირება მოეხდინა მართლსაწინააღმდეგო აქტზე. მაგალითად, ტყეში რამდენიმე პირის მიერ გაუპატიურებული ქალი გარკვეული დროის გასცლის შემდეგ შეხვდა ერთ-ერთ მოძალადეს, იცნო იგი, თავში ქვა ჩაარტყა და სიცოცხლე მოუსპო. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აფექტის წარმოქმნასა და მის რეალიზაციას შორის დრო არ იყოს გასული.

უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის სუბიექტური შემადგენლობა გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. პირის სურვილი შეიძლება მიმართულ იქნეს როგორც განსაზღვრული შედეგის მიღწევისაკენ, ისე წინასწარ განუსაზღვრელი შედეგის დადგომისაკენ.

აფექტის მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობის მოტივს კვალიფიკაციაზე გავლენა არა აქვს. მოტივი შეიძლება იყოს შურისძიება, სიძულვილი, ეჭვი და სხვა.

სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილში გაზრდილია პასუხისმგებლობა აფექტში ჩადენილი მკვლელობისათვის, თუ მოხდა ორი ან მეტი ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა. მუხლის მე-2 ნაწილით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დადგენილ იქნეს, რომ ორი ან მეტი პირის მკვლელობა ჩადენილი იყო ერთდროულად, ერთ ადგილას და ერთიანი განზრახვით. ამგვარი მკვლელობა კვალიფიცირდება 111-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმისდა მიუხედავად, თუ რა მოტივმა განაპირობა 1-ლი და შემდეგი მკვლელობები. კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამნაშავის აფექტურ მდგომარეობაში ყოფნას.

თუ მსხვერპლის მკვლელობა ჩადენილია უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, იგი არ შეიძლება დამამძიმებელ გარემოებად იყოს აღიარებული, თუგინდ სახეზე იყოს რაიმე მაკვალიფიცირებელი გარემოება (მაგალითად, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით აფექტის მდგომარეობაში ორსული ქალის მკვლელობა).

დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა (მუხლი 112-ე)

ადრე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ამ სახის ცალკე მუხლი არ არსებობდა. დანაშაული განზრახი მკვლელობის მუხლით კვალიფიცირდებოდა და სათანადო პირობების არსებობისას პასუხისმგებლობის შემსუბუქებას იწვევდა.

სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა მკვლელობის პრივილეგირებულ სახედ გამოყო. მისი აღიარება შემამსუბუქებელ გარემოებად იმით არის განპირობებული, რომ მშობიარე ქალი შეიძლება იმყოფებოდეს ფსიქოტრავმირებულ სიტუაციაში ან ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობაში, როდესაც მას თავისი მოქმედების მიმართ, მართალია, მთლიანად არა, მაგრამ შესუსტებული აქვს ზედამხედველობისა და კონტროლის უნარი.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის მიხედვით, ახალშობილის მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით (მაგალითად, დახრჩობა), ისე უმოქმედობით (როცა არაფერი კეთდება ახალშობილის დახმარებისათვის: მაგალითად, არ ხორციელდება მოქმედება ჭიპლარის მოსაჭრელად და მოსაშორებლად).

იმისათვის, რომ დანაშაული სწორედ იყოს დაკვალიფიცირებული, საჭიროა შემდეგი პირობების არსებობა: მკვლელობა უნდა მოხდეს მშობიარობისას ან უმალვე, მშობიარობის შემდეგ. ამრიგად, იგი ხორციელდება განსაზღვრულ, მცირე დროის მონაკვეთში, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს. ვადის წინასწარი დადგენა სწორი არ იქნება.

სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ზუსტი კვალიფიკაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის გამიჯვნას აბორტისაგან. მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ მშობიარობა თუ არ არის დაწყებული, სახეზეა ნაყოფის მოსპობა და არა მკვლელობა. მაგრამ, თუ მშობიარობა უკვე დაიწყო, განსაკუთრებით, თუ ახალშობილის სხეულის რაიმე ნაწილი გამოეყო დედის საშოს, ლაპარაკია ადამიანის დაბადებაზე და, მაშასადამე, მის მკვლელობაზე.

ზემოაღნიშნული დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის მოტივს, იგი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: გაუთხოვარი ქალის სირცხვილი, შიში საზოგადოებრივი გაკიცხვის გამო. გარდა ამისა, თვით მშობიარობის პროცესს შეუძლია ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს მშობიარე ქალზე და ეს განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობა ყურადსაღებია, ვინაიდან იგი დიდ ზეგავლენას ახდენს მშობიარე ქალის ნების სფეროზე. ზემოაღნიშნული არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ყველა შემთხვევაში დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა კოდექსის 112-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს. თუ დადგინდება, რომ, მაგალითად, ქალის მშობიარობა 1-ლი არ არის და მშობიარობა განსაკუთრებული განცდის გარეშე მიმდინარეობს და დედა წინასწარ მოფიქრებული განზრახვით კლავს ახალშობილს მასზე ზრუნვის თავიდან აცილების მიზნით, ცხადია, ეს ქმედება 112-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება.

რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტს, დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ახალშობილის დედა. წამქეზებლის ან დამხმარის როლში შეიძლება სხვა პირიც გამოვიდეს (მაგალითად, ბავშვის მამა, ბებიაქალი). მისი ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც სსკ 109-ე მუხლით გათვალისწინებულ მკვლელობაში (არასრულწლოვნის) თანამონაწილეობა; ასევე, ახალშობილის მკვლელობა, ჩადენილი სხვა პირის მიერ, თუგინდ დედის თანხმობითა და თხოვნით, დაკვალიფიცირდება კოდექსის 109-ე მუხლით.

მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით (მუხლი 113-ე)

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში მოცემული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ისეთი გარემოება, როგორიცაა აუცილებელი მოგერიება (მუხ. 28-ე), წარმოადგენს მნიშვნელოვან მასტიმულირებელ საშუალებას დანაშაულებრივ ხელყოფასთან ბრძოლაში მოქალაქეთა მიზიდვისათვის. იგი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების დაცვის უზრუნველსაყოფად, საზოგადოების უსაფრთხოებისა და სახელმწიფო ინტერესის დასაცავად.

აუცილებელი მოგერიების უფლება გააჩნია ყველა ადამიანს, მიუხედავად მისი პროფესიის, სპეციალური მომზადებისა თუ სამსახურებრივი მდგომარეობისა. ეს უფლება მას გააჩნია იმისდა მიუხედავად, შეუძლია თუ არა სხვაგვარად აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილია, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობა მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან, დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ისიც მიჩნეულია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება აქტიური მოქმედებით, რომელიც მიმართულია იმ ადამიანისათვის სიცოცხლის მოსასპობად, რომელმაც საშიში ხელყოფა ჩაიდინა. იმისათვის, რომ ზუსტად იქნეს განსაზღვრული, გადასცილდა თუ არა პირის მოქმედება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, პირველ რიგში უნდა დადგინდეს, იმყოფებოდა თუ არა იგი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ხოლო შემდეგ განისაზღვროს დაცვის მართლზომიერების ფარგლები.

დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ კრიტერიუმის დადგენას, რომლის არსებობაც იწვევს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას. ამ კრიტერიუმად კანონი თვლის მომგერიებლის მიერ დაცვის აშკარა შეუსაბამობას ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან, როდესაც ხელმყოფს აუცილებლობის გარეშე განზრახ ადგება ზიანი. ხელყოფისაგან დასაცავად გაუფრთხილებლობით მიყენებულმა ზიანმა არ შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო დაცვისა და თავდასხმის საშუალებას, თავდასხმის საშიშროების ხარისხს, რომელიც ემუქრება მომგერიებელს, თავდასხმის თავიდან აცილებისათვის მის ძალასა და შესაძლებლობას, არამედ სხვა გარემოებებსაც, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომგერიებლისა და ხელმყოფის ძალის რეალურ შესაძლებლობაზე (თავდამსხმელთა და მომგერიებელთა რაოდენობა, მათი ასაკი, ფიზიკური განვითარება, იარაღის არსებობა, ხელყოფის დრო და ადგილი და სხვა).

აუცილებელი მოგერიებისა თუ მისი ფარგლების გადაცილების დასადგენად ყველა ზემოაღნიშნული გარემოება ერთობლიობაში უნდა შეფასდეს. მომგერიებლის მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც აუცილე-

ბელი მოგერიების ფარგლების გადაცილება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მიყენებული ზიანი უფრო დიდია, ვიდრე თავიდან აცილებული, რა თქმა უნდა, თუ არ არსებობს აშკარა შეუსაბამობა დაცვასა და ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებას შორის.

ამრიგად, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობა, როგორც მომგერიებლის დაცვის შეუსაბამობის შედეგი, ხელმყოფის ინტენსიურ თავდასხმაზე იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც მომგერიებელი თავისი ან სხვათა ინტერესის, თუ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესის დასაცავად კლავს თავდამსხმელს მაშინ, როდესაც არსებული კონკრეტული სიტუაცია გამორიცხავდა დაცვისათვის იმ საშუალების გამოყენებას, რითაც დაზარალებულს სიცოცხლე მოესპო.

თუკი აუცილებელი მოგერიება განხორციელდა დამთავრებული ხელყოფის შემდეგ, მაგრამ საქმის გარემოებიდან გამომდინარე ეს მომგერიებლისათვის ნათელი არ იყო. მაშინ სახეზე გვექნება მისატევებელი შეცდომა, რაც ბრალს გამორიცხავს.

თავდამსხმელისათვის სიცოცხლის მოსპობა თავდასხმის დამთავრების შემდეგ, როდესაც მომგერიებელს შეცნობილი აქვს, რომ საფრთხე აღარ არსებობს, ვერ დაკვალიფიცირდება როგორც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება. ამ შემთხვევაში დამნაშავის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს კონკრეტულ გარემოებიდან გამომდინარე როგორც მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე (მუხ. 108-ე) ან როგორც მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში (მუხ. 111-ე). თუ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობა ხორციელდება მაკვალიფიცირებელ გარემოებათა არსებობისას (მაგალითად, მკვლელობა ორი ან მეტი პირისა), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ კოდექსის 113-ე მუხლით.

კოდექსის 113-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დამახასიათებელია განზრახვა. კერძოდ, არაპირდაპირი განზრახვა. ამ დანაშაულის ჩადენა პირდაპირი განზრახვით შეუძლებელია. პირდაპირი განზრახვის დასაბუთებისას ქმედება სსკ 108-ე მუხლით დაკვალიფიცირდება. დადებითად უნდა შევაფასოთ რუსეთის ფედერაციის 1996 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმა, რომელშიც პირდაპირ არის მითითებული, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება შეიძლება მხოლოდ განზრახი მოქმედებით.

მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით (მუხლი 114-ე)

საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიღებამდე კანონმდებლობით არ იყო რეგულირებული საკითხი იმ პირის პასუხისმგებლობის შესახებ, რომელმაც მოუსპო სიცოცხლე დამნაშავეს მისი შეპყრობის დროს.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღინიშნებოდა, რომ მოქალაქის მოქმედება, მიმართული დამნაშავის შესაპყრობად, დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთის მიზნით ან უშუალოდ ხელყოფის შემდეგ მისი ხელისუფლების ორგანოში წარდგენის მიზნით, უნდა განხილულიყო როგორც ჩადენილი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ან მისი ფარგლების გადაცილებით.

ამგვარი დებულება გაუმართლებელია, ვინაიდან არსებობს პრინციპული განსხვავება აუცილებელ მოგერიებასა და დამნაშავის შეპყრობას შორის ისევე, როგორც არსებობს განსხვავება დამნაშავის შეპყრობისას ზიანის მიყენების მართლზომიერებისა და მისი შეპყრობისათვის ზომების გადაცილებისა, ერთი მხრივ, და აუცილებელი მოგერიებისა ან მისი ფარგლების გადაცილებისა — მეორე მხრივ.

კანონმდებლობაში არსებული ეს ხარვეზი გამოასწორა სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა, რომელშიც პირველად არის გადმოცემული დამნაშავის მართლზომიერი დაკავებისას მისთვის ზიანის მიყენების საფუძველი. კოდექსის 29-ე მუხლში მითითებულია, რომ მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად.

დამნაშაეის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და შეპყრობის გარემოებებთან.

ზემოაღნიშნული ზოგადი დებულებიდან გამომდინარე, მკვლელობის 114-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დადგინდეს, მოქმედება თუ არა დამნაშავე დანაშაულის ჩამდენი პირის შეპყრობის სიტუაციაში.

თუ შეპყრობა ხდება ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ხელყოფის დროს ან წინააღმდეგობის გაწევისას, სიცოცხლის მოსპობა ხორციელდება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ან მისი ფარგლების გადაცილებით. დანა-

შაულებრივი ხელყოფის დამთავრების შემდეგ ან სხვა სიტუაციაში (მაგალითად, გაქცევისას) აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა აღარ არსებობს.

დამნაშავის შეპყრობისას აღამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა უნდა გავმიჯნოთ შურისძიების მოტივით მკვლელობისაგან, რომელიც თვითგასწორების აქტს წარმოადგენს. დამნაშავის შეპყრობის მიზანს წარმოადგენს მისი ხელისუფლების ორგანოში წარდგენა. პირდაპირი განზრახვით მკვლელობა თავისთავად გამორიცხავს ამ მიზნის მიღწევას. ასეთ შემთხვევაში მკვლელობა 114-ე მუხლით დაკვალიფიცირდება მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვის არსებობისას, როდესაც დამნაშავეს არ სურდა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა შეპყრობილისათვის სიცოცხლის მოსპობას. თუ პირი წინააღმდეგობას არ უწევს შემპყრობს ან არ ფიქრობს მიმალვას, მისთვის სიცოცხლის მოსპობა დაკვალიფიცირდება კოდექსის 108-ე ან 109-ე მუხლებით, ან როგორც მკვლელობა აფექტში (მუხ. 111-ე).

კოდექსის 114-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა ხასიათდება ისეთი მოქმედებით (სიცოცხლის მოსპობა), რომელიც აშკარად არ შეესაბამება დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, საშიშროებასა და შეპყრობის გარემოებებს. მაგალითად, დანაშაულის სიმძიმე. პირი წინააღმდეგობას უწევს შემპყრობს, მაგრამ იგი სხვა საშუალებითაც შეიძლება იყოს დაძლეული და სხვა.

ზემოაღნიშნული მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახვით, კერძოდ, არაპირდაპირი განზრახვით.

თვითმკვლელობამდე მიყვანა (მუხლი 115-ე)

როგორც 115-ე მუხლის შინაარსიდან ირკვევა, განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება მსხვერპლის თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანის მუქარით, სასტიკი მოპყრობით ანდა მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით. კანონმდებელი, დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის დახასიათებისას, უთითებს არა მარტო ამ ქმედების ხასიათსა და შედეგზე, არამედ იმ ხერხზეც, რომლის დახმარებითაც დამნაშავეს მიჰყავს დაზარალებული თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე.

ამ მუხლის მიხედვით თვითმკვლელობამდე მიყვანა გულისხმობს

მსხვერპლის მიმართ დამნაშავის მიერ რიგი არამართლზომიერი ქმედების ჩადენას. იგი შეიძლება მუქარაში გამოიხატოს. დისპოზიციაში არ არის ახსნილი მუქარის ხასიათი და შინაარსი. ამიტომ დანაშაული აღნიშნული მუხლით რომ დაკვალიფიცირდეს, მუქარის ხასიათს მნიშვნელობა არ ენიჭება, მასში შეიძლება ვიგულისხმოთ სიკვდილის თუ ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების მუქარა, ისეთი ცნობების გავრცელება, რომლის გამჟღავნებაც დაზარალებულისათვის სასურველი არ არის, მუქარა სამსახურიდან დათხოვნის, განქორწინების, შვილის ჩამორთმევის, სახლის დაწვისა და მრავალი სხვა.

მუქარა შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი. მთავარია, რომ იგი დაზარალებულის მიერ აღიქმებოდეს როგორც მისი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესებისათვის საზიფათო. სწორედ ამიტომ დაზარალებულის მიერ მუქარის სუბიექტური აღქმა იწვევს სიცოცხლის მოსპობის გადაწყვეტილების მიღებას.

სასტიკი მოპყრობა, როგორც თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანის საშუალება, შეფასებითი ცნებაა. იყო თუ არა მსხვერპლის მიმართ დამნაშავის მოპყრობა სასტიკი, საბოლოოდ სასამართლოს მიერ უნდა იქნეს გადაწყვეტილი.

დაზარალებულის მიმართ სასტიკი მოპყრობა გულისხმობს ისეთ ქმედებათა ჩადენას, რომელიც დაზარალებულს განსაკუთრებულ ფიზიკურ ან ზნეობრივ ტანჯვას აყენებს. იგი შეიძლება სისტემატურ ხასიათს ატარებდეს ან კიდევ ერთჯერად აქტს წარმოადგენდეს. სასტიკი მოპყრობის მაგალითად ჩაითვლება ცემა, ტანჯვა, უმოწყალო დამოკიდებულება, საკვების გარეშე დატოვება, უაზრო, მძიმე სამუშაოს შესრულების იძულება, ფსიქოტრავმატული სიტუაციის შემქმნელი ქმედების განხორციელება და სხვა.

კოდექსის 115-ე მუხლის დისპოზიციაში მითითებულია მსხვერპლის მიმართ პატივისა და ღირსების სისტემატურ დამცირებაზე, როგორც თვითმკვლელობის ან მის ცდამდე მიყვანის ერთ-ერთ საფუძველზე. მაგალითად, იგი შეიძლება გამოიხატოს ფსიქოსადიზმში, შეურაცხყოფაში, ფიზიკური ნაკლის მქონე დაზარალებულის სისტემატურ დაცინვასა და სხვა ისეთ ქმედებაში, რომელიც ამცირებს დაზარალებულის პატივსა და ღირსებას.

რაც შეეხება თვითმკვლელობის ან მის ცდამდე მიყვანის ჩამოთვლილ

სხვადასხვა ხერხს, უნდა შევნიშნოთ, რომ გარკვეულ პირობებში თვით ეს ხერხი შეიძლება შეფასდეს როგორც სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება. აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშობა საკითხი კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამოვლენისა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულისაგან. მაგალითად, ისმის კითხვა: სასტიკი მოპყრობა, რომელიც წამებაში გამოიხატა, სრულად არის მოცული 115-ე მუხლით, თუ საჭიროებს სსკ-ის სხვა მუხლითაც კვალიფიკაციას? 115-ე მუხლის არსიდან გამომდინარე, თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანა ყოველთვის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ხორციელდება. იგი ამ დანაშაულის ნაწილია და სხვა მუხლებით დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელმაც დაზარალებული თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიიყვანა, სისხლის სამართლის კოდექსით უფრო მკაცრად ისჯება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც კოდექსის 115-ე მუხლით, ისე იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადამიანის ჯანმრთელობის, უფლებისა და თავისუფლების, სქესობრივი ხელშეუხებლობის თუ სხვა სათანადო ხელყოფის გამო.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს თვითმკვლელობის ან მისი მცდელობის ფაქტის არსებობა. დანაშაული დამთავრებულია ზემოაღნიშნული მოქმედების განხორციელების მომენტიდან. ამიტომ, თავის მოკვლის განზრახვა, თვითმკვლელობისათვის მზადება, წერილის დატოვება და სხვა ამგვარი მოქმედება არ ქმნის 115-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას. დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია დამნაშავის მოქმედებასა და დაზარალებულის თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე შეიძლება განხორციელდეს განზრახვის ორივე სახით, როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური.

მცირეწლოვანი ბავშვის ან შეურაცხადი პირის თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანა უნდა განხილულ იქნეს როგორც შუალობით განხორციელებული მკვლელობა. ასევე უნდა დაკვალიფიცირდეს თვითმკვლელობის ფიზიკური იძულება, როდესაც მსხვერპლს დათრგუნული

აქვს თავისი ნების გამოხატვის შესაძლებლობა.

თუ დაზარალებული თავს იკლავს პირის მართლზომიერი მოქმედების საპასუხოდ (მაგალითად, მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ან დანაშაულებრივი ქმედების გამომჟღავნების მუქარის გამო), დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (მუხლი 116-ე)

როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით მკვლელობად არ იწოდება. იგი ითვლება სიცოცხლეზე დანაშაულებრივი ხელყოფის სახესხვაობად. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა ნაკლებად საშიშია საზოგადოებისათვის. მისი საშიშროება განსაზღვრულია არა იმდენად ქმედების საშიშროებით, რამდენადაც დამდგარი შედეგით. აღსანიშნავია სიცოცხლის მოსპობა შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ასე დაუდევრობის სახით. 116-ე მუხლის სანქცია არ ასხვავებს იმას, თუ გაუფრთხილებლობის რა სახით მოესპო სიცოცხლე მსხვერპლს. ზემოაღნიშნული მუხლით პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როცა დამნაშავე არღვევს საყოველთაოდ სავალდებულო წესებს თუ წინდახედულობის ნორმებს, რასაც დანაშაულებრივი შედეგი მოსდევს (მაგალითად, საყოფაცხოვრებო სფეროში ცეცხლთან, ქიმიურ და შხამიან ნივთიერებებთან დაუდევარი მოპყრობა).

თვითმიდოვნებით სიცოცხლის მოსპობა უნდა გაიმიჯნოს არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობისაგან. ორივე შემთხვევაში დამნაშავეს არ სურს მავნე შედეგის დადგომა, არ მიისწრაფვის მისკენ. არაპირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური მომენტი ხასიათდება პირის მიერ თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებით, მავნე შედეგის დადგომის რეალური გათვალისწინებით; ხოლო თვითმიდოვნების დროს პირი ითვალისწინებს თავისი ქმედების მავნე შედეგის დადგომის აბსტრაქტულ შესაძლებლობას. მე-2 განსხვავება ნებელობით მომენტშია. არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს თუმცა არ სურს მავნე შედეგის დადგომა, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას; ხოლო

პირს, რომელიც თვითმედოვნების საფუძველზე უსპობს სიცოცხლეს სხვას, არა თუ არ სურს ასეთი შედეგის დადგომა, არამედ უსაფუძვლოდ იმედოვნებს ამ შედეგის თავიდან აცილებას. მას იმედი აქვს თავისი ძალის, გამოცდილების, მოხერხებულობის, პროფესიონალიზმის და თვლის, რომ მიღებული ზომების შედეგად ან სხვა პირთა დახმარებით, ან სხვა კონკრეტულ ფაქტორთა ზეგავლენით თავიდან აიცილებს მავნე შედეგს.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით უნდა განვასხვაოთ დანაშაულისაგან, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებისთვის, რამაც სასიკვდილო შედეგი გამოიწვია. ეს დანაშაული სახეზე იქნება მაშინ, როდესაც დანაშაულის განზრახვა მოიცავდა ჯანმრთელობის დაზიანებას, მაგრამ არ მოიცავდა დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობას, მაგრამ ეს შედეგი გაუფრთხილებლობით დადგა.

სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას ახლავს დამამძიმებელი გარემოება, რომელიც გულისხმობს, რომ სასჯელი მკაცრდება, თუ იმავე ქმედებამ გამოიწვია ორი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსპობა.

თავი III

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

§1. ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზოგადი დახასიათება

ჯანმრთელობა შეუფასებელი სიკეთეა. მასზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, მისი გუნება-განწყობილება, შრომისუნარიანობა, აქტიურობა და ა.შ. საქართველოში ადამიანის ჯანმრთელობა დაცულია კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. საერთოდ, სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა გულისხმობს სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებათა კომპლექსს (პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, სამედიცინო, მეცნიერული და სხვა), რომლის მიზანია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა. ამ ღონისძიებათა კომპლექსიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის სამართლებრივი დაცვა, რომელსაც ემსახურება სამართლის სხვადასხვა დარგის (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სხვა) სპეციალური ნორმები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის XX თავი სწორედ ჯანმრთელობის სისხლისსამართლებრივი დაცვის გარანტიაა.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ამ ჯგუფის დანაშაულები სხეულის დაზიანებად იწოდებოდა. დღეს მოქმედი კოდექსით კი „სხეულის დაზიანება“ შეიცვალა „ჯანმრთელობის დაზიანებით“, რაც გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ ამ თავში მოცემული დანაშაულებრივი ქმედებებიდან ზოგიერთი სრულებითაც არ აყენებს ზიანს ადამიანის სხეულს მისი პირდაპირი გაგებით. მაგალითად, ფსიქიკური აკადმყოფობა, რომელიც გამოწვეულია დაშინებით, ან კიდევ ძალადობა, რომელიც იწვევს დაზარალებულის ფსიქიკურ ტანჯვას. (სსკ 126-ე მუხ.) ამდენად, ცნება „ჯანმრთელობის დაზიანება“ უფრო ფართოა[1].

2000 წ. 28 აპრილის კანონით საქართველოს პარლამენტმა მთელი

---

1 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. Загородников Н.И. Преступления против здоровья, М., 1969; Никифоров А.С. Ответственность за телесные повреждения по уголовному праву, М., 1959; Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации. Особ. ч. Под ред. Скуратова и Лебедева. М., 1996; Курс Уголовного права. Особ. часть. т.3, Под ред. Г.Н. Борзенкова и В.С. Комиссарова, М., 2002 და სხვა.

რიგი ცვლილება შეიტანა სს კოდექსის კერძო ნაწილში, მათ შორის XX თავში. ცვლილება შეეხო ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სანქციებს, ასევე საკანონმდებლო ტექნიკას. ასე მაგალითად, თუ ადრე სსკ 117-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ერთიდან რვა წლამდე, ახალი კანონით ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ხუთ წლამდე (ე.ი. გაიზარდა მინიმალური ზღვარი, მაგრამ შემცირდა მაქსიმალური ზღვარი), რითაც მოსამართლეს სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობა შეეზღუდა. იგივე ტენდენციით ხასიათდება 2006 წლის კანონი სასჯელების ასპექტში სსკ სხვა მუხლებთან მიმართებაშიც. რაც შეეხება საკანონმდებლო ტექნიკას, ადრე 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავდა დამამძიმებელ გარემოებებს მთლიანად. ახალი კანონით კი 117-ე მუხლი უკვე 8 ნაწილისაგან შედგება და ეს დამამძიმებელი გარემოებები სხვადასხვა ნაწილებშია დაჯგუფებული. ამასთანავე, ისინი სხვადასხვა სიმძიმის სანქციითაა აღჭურვილი. მაგალითად, 117-ე მუხლის მე-3 ნაწილშია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით; მე-5 ნაწილშია ეს ქმედება ჩადენილი ჯგუფურად; მე-7 ნაწილშია მისი ჩადენა არაერთგზის. ამასთან, ყოველი მომდევნო ნაწილი უფრო მძიმე სანქციითაა აღჭურვილი, თუმცა გაუგებარია, რატომაა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება დანაშაულის დაფარვის ან გაადვილების მიზნით ნაკლებად სამიში, ვიდრე მისი ჩადენა არაერთგზის?

რაც შეეხება სსკ 119-ე მუხლს (ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით), იგი კოდექსიდან ამოღებულია, ხოლო სასიკვდილო შედეგი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების დროს მაკვალიფიცირებელ გარემოებადაა გათვალისწინებული თავად სსკ 117-ე და 118-ე მუხლების შემადგენლობაში.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ გვაძლევს ჯანმრთელობის დაზიანების ცნებას. იგი მოცემულია იურიდიულ ლიტერატურაში. ჯანმრთელობის დაზიანებად უნდა ჩაითვალოს ადამიანის სხეულის, მისი ორგანოსა თუ ქსოვილის ანატომიური მთლიანობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის დარღვევა, ანდა პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით.

ამდენად, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ დაზიანება და დაავადება, დაავადება არის ორგანიზმში ბუნებრივად მიმდინარე პათოლოგიური

პროცესის შედეგად ჯანმრთელობის გაუარესება, ხოლო დაზიანების დროს ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება ხდება გარე ფაქტორების ზემოქმედებით. ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული შეიძლება განიმარტოს როგორც სხვისი სხეულის, ცალკეული ორგანოსა თუ ქსოვილის ანატომიური მთლიანობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის დარღვევა, ანდა პათოლოგიური მდგომარეობის გამოწვევა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით (განზრახ ან გაუფრთხილებლობით).

ჯანმრთელობის დაზიანების სიმძიმის მიხედვით აღნიშნული დანაშაულები იყოფა სამ ჯგუფად: **ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანება**. დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის საჭიროა სპეციალური სამედიცინო ცოდნა. ამიტომ დაზიანების სიმძიმეს სასამართლო დამოუკიდებლად ვერ განსაზღვრავს. ამ კატეგორიის საქმეებზე აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა, რომელმაც თავის დასკვნაში უნდა განსაზღვროს დაზიანების სიმძიმე. ამ დასკვნას სასამართლოსათვის არა აქვს საკალდებულო, წინასწარ დადგენილი მნიშვნელობა. თუ ეს დასკვნა დაუსაბუთებელია, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს განმეორებითი ან დამატებითი ექსპერტიზა უფრო კვალიფიცირებული დასკვნის მისაღებად.

ხოჯაჯერ ხდება ისე, რომ დამნაშავე ადამიანს სხეულის სხვადასხვა ადგილებს უზიანებს (თავი, ტანი, კიდურები) და თითოეულ ადგილას მიყენებული ზიანის სიმძიმე სხვადასხვა ხარისხისაა. მაგალითად, თავის არეში მიყენებული ზიანი მიეკუთვნება მსუბუქი ხარისხის დაზიანებას, კიდურების არეში – ნაკლებად მძიმეს, ხოლო ტანზე – მძიმე დაზიანებაა მიყენებული. ასეთ შემთხვევაში კვალიფიკაცია უნდა მოხდეს არა დანაშაულთა ერთობლიობით (117-ე, 118-ე და 120-ე მუხლი), არამედ უფრო მძიმე ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანებით (ამ შემთხვევაში ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებით), რადგანაც უფრო მძიმე ხარისხის დაზიანება თავის თავში მოიცავს უფრო ნაკლები ხარისხის დაზიანებას.

განსახილველი დანაშაულებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია სხვისი ჯანმრთელობა. ჯანმრთელობის დაზიანებად ჩაითვლება ნებისმიერი ხელყოფა სხვა პირზე, რომელმაც მისი ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია. ამდენად, მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყო თუ არა დაზარალებული ჯანმრთელი ამ ქმედების ჩადენამდე. მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად უნდა ჩაითვალოს ისეთი ქმედება, რომელმაც

გამოიწვია ბრმა ადამიანის დაყრუება ანდა, პირიქით.

ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულისაგან სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს არა საკუთარი, არამედ სხვისი ჯანმრთელობა. საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანება, როგორც წესი, არ ითვლება დანაშაულად. ასეთი ქმედება შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად, თუ იგი მიმართულია კანონით დადგენილი მოვალეობისაგან თავის არიდებისაკენ. მაგალითად, სსკ 390-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებისათვის ავადმყოფობის სიმულაციით, სხეულის თვითდაზიანებით ან სხვაგვარი მოტყუებით. საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანებით შეიძლება ასევე წვევამდელმა თავი აარიდოს სამხედრო ან ალტერნატიულ შრომით სამსახურს (სსკ მუხ. 356-ე), ასევე სამხედრო ვალდებულმა თავი აარიდოს სასწავლო ან სამხედრო შეკრებას (სსკ მუხ. 357-ე). მაგრამ ეს ქმედებები არ არის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა იწყება იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი ნაწილობრივ უკვე გამოყოფილია დედის ორგანიზმიდან, ე.ი. მშობიარობის პროცესიდან. მანამდე კი ემბრიონზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედება არ ჩაითვლება ემბრიონის ჯანმრთელობის დაზიანებად. იგი შეიძლება შეფასდეს ქალის ჯანმრთელობის დაზიანებად. ჯანმრთელობის დაცვა გრძელდება მანამ, სანამ არ დადგება ფიზიოლოგიური სიკვდილი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას მნიშვნელობა არა აქვს დაზარალებულის ასაკს (იგი შეიძლება იყოს ღრმად მოხუცებულიც), მის ჯანმრთელობის მდგომარეობას (იგი შეიძლება იყოს უკურნებელი სენით შეპყრობილი მომაკვდავი).

ობიექტური მხრივ ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულის ჩადენა შეიძლება როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. მაგალითად, პირი, რომელიც ვალდებულია მოუაროს ავადმყოფს, არ აძლევს მას საკვებს, რის შედაგადაც ავადმყოფის ჯანმრთელობა უარესდება. ამ შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს სსკ მე-8 მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული სამი პირობა. პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია ამ სახის დანაშაულის ჩადენა მოქმედებით. ამასთანავე, ეს ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, ე.ი. უნდა ხელყოფდეს სისხლის სამართლის ნორმით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ წესრიგს. თუ ქმედება ჩადენილია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაში, მას შედეგად ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაც

რომ მოჰყვეს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია. ასეთად ჩაითვლება ჯანმრთელობის დაზიანება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ასევე დამნაშავის შეპყრობისას, მართლზომიერი რისკის დროს, ან უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში და სხვა მართლზომიერი ქმედების დროს (სსკ 32-ე მუხ.). მაგალითად, ექიმი ატარებს განგრენით დაავადებული ფეხის ამპუტაციას, მართალია, ფეხის მოკვეთა ჯანმრთელობის დაზიანების ნიშნებს შეიცავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ექიმს სხვა გამოსავალი არა აქვს, რადგან ოპერაციის გაუკეთებლობა გამოიწვევს პაციენტის სიკვდილს. ამდენად, ფეხის ამპუტაცია მიმართულია უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის — სიცოცხლის გადასარჩენად.

დანაშაულად არ ითვლება ასევე სხვისი ჯანმრთელობის დაზიანება კანონით დაშვებული სპორტული შეჯიბრების დროს (კრივი, კარატე, კუნგ-ფუ, ფეხბურთი და სხვა). ამგვარი სპორტული შეჯიბრება დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან და სპორტსმენს, რომელიც ნებაყოფლობით მონაწილეობს მასში, ეს შეცნობილი აქვს. ამდენად, იგი შეგნებულად მიდის ამ რისკზე. თუ სპორტსმენის მიერ თამაშის წესის დარღვევას გაუფრთხილებლობით მოჰყვება სხვა სპორტსმენის ჯანმრთელობის დაზიანება, დადგება არა სისხლისსამართლებრივი, არამედ დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუკი სპორტსმენი განზრახ დაუზიანებს სხვა სპორტსმენს ჯანმრთელობას შეჯიბრების დროს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს საერთო წესით.

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაზიანებას მსხვერპლის თანხმობით ან თუნდაც მისი თხოვნით, იგი მხოლოდ მაშინ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როცა ხდება სხეულის რომელიმე ორგანოს (მაგალითად, ფეხის), ორგანოს ნაწილის (მაგალითად, ერთი თირკმელის) ან ქსოვილის ამოღება მისი სხვა პირზე გადანერგვის (ტრანსპლანტაციის) მიზნით. ამასთანავე, დაცული უნდა იყოს ტრანსპლანტაციის შესახებ კანონის მოთხოვნები. სხვა შემთხვევაში პირის თანხმობა ან თუნდაც თხოვნა მისი ჯანმრთელობის დაზიანებაზე არ გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას.

ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაული მატერიალურია. ე.ი. მის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია შესაბამის ნორმაში გათვალისწინებული შედეგის დადგომა ან კონკრეტული საფრთხის (მაგალითად 117-ე მუხლის I ნ. რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის) შექმნა. ეს

კი იმას ნიშნავს, რომ უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი პირის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს ან კონკრეტულ საფრთხეს შორის.

თუ ვერ დადგინდა ქმედებასა და ჯანმრთელობის დაზიანებს შორის მიზეზობრივი კავშირი, ქმედების კვალიფიკაცია არ მოხდება როგორც დამთავრებული ჯანმრთელობის დაზიანება. კვალიფიკაცია შეიძლება მოხდეს როგორც ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობა ან მომზადება (თუ ქმედება ჩადენილი იყო პირდაპირი განზრახვით). მაგალითად, ორი პირი ჯანმრთელობის დაზიანების განზრახვით ტყვიებს ესვრის მესამეს ფეხებში, დაზარალებულს ფეხში მოხვდა მხოლოდ ერთი ტყვია, რამაც მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია. საქმის მასალებით ვერ დადგინდა, რომელი პირის მიერ გასროლილი ტყვია მოხვდა დაზარალებულს ფეხში. ასეთ შემთხვევაში ორივე თავდამსხმელის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობით (19, 117-ე მუხ.), რადგან ვერ დადგინდა, თუ კერძოდ რომელი პირის ქმედება იყო მიზეზობრივ კავშირში შედეგთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა ჯანმრთელობის დაზიანება ხდება ცემით, მაგალითად, რამდენიმე პირი შურისძიების მოტივით სცემს მოქალაქეს ხელების და ფეხების გამოყენებით სხეულის სხვადასხვა საშიშ ორგანოებში. ცემა გრძელდება რამდენიმე წუთს. ბოლოს ბოროტმოქმედნი თავს ანებებენ დაზიანებულს. სამედიცინო გამოკვლევით დგინდება, რომ დაზარალებულს გახეთქილი აქვს კუჭი (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება), რაც გამოწვეულია მყარი, ბლაგვი საგნის ზემოქმედებით. მოცემულ ვითარებაში იგულისხმება, რომ კუჭის გახეთქვა შედეგი იყო პირთა ჯგუფის ერთობლივი ქმედებისა. კერძოდ, სხეულის ამ ორგანოზე არაერთხელ მიყენებულმა დარტყმამ (რაშიც თითოეული თავდამსხმელი მონაწილეობდა) გამოიწვია კუჭის გასკდომა. ამ შემთხვევაში აზრს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ კუჭის გახეთქვა ერთმა დარტყმამ გამოიწვია და თუ ვერ დავადგინეთ, თავდამსხმელთაგან რომელი იყო ამ ერთი დარტყმის ავტორი, თითქოს შეუძლებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა მათ ქმედებასა და ამ კონკრეტულ შედეგს შორის. ამდენად, მსგავს ვითარებაში ცემაში მონაწილე ყველა პირის ქმედება მიზეზობრივად დაკავშირებულია შედეგთან და მათი ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს, როგორც დამთავრებული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ჩადენილი ჯგუფურად.

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაზიანების **ხერხსა და საშუალებას**, იგი შეიძლება სხვადასხვა იყოს. კერძოდ, დამნაშავემ სხვისი ჯანმრთელობის დასაზიანებლად შესაძლებელია გამოიყენოს საკუთარი სხეულის ცალკეული ორგანოები. მაგალითად, მუშტების ძლიერი დარტყმით დაუზიანოს სხვას ჯანმრთელობა, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მექანიკური საშუალება (დანა, რკინის ხელკეტი, ქვა, ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა); თერმული საშუალება (ანთებული სიგარეტი, ცეცხლის ალი და ა.შ.); ქიმიური საშუალებები (სხვადასხვა მჟავა, რომლებიც სხეულზე ზემოქმედებისას იწვევენ ქსოვილის დაზიანებას); რადიაციული ნივთიერება, რაც იწვევს სხვადასხვა სახის ქრონიკულ ავადმყოფობას; ფსიქიკური ზემოქმედების ხერხი (მაგალითად, დაშინება) და სხვა.

ჯანმრთელობის დაზიანების ხერხებსა და საშუალებებს უმეტეს შემთხვევაში არა აქვთ მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. მათი დადგენა აუცილებელია მხოლოდ სასჯელის ინდივიდუალიზაციის მიზნით. ასევე მის დადგენას აქვს მტკიცებულების მნიშვნელობა. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ჯანმრთელობის დაზიანების ხერხი და საშუალება ზეგავლენას ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე. მაგალითად, სსკ 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" და მე-7 ნაწ. „ბ" პუნქტები (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება განსაკუთრებული სისასტიკით და ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას);

ჯანმრთელობის წინააღმდეგ **მიმართული დანაშაულის ამსრულებელი** შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი სს პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი. ზოგიერთ შემთხვევაში სახეზეა სპეციალური სუბიექტი. მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 108-ე ან 109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა.

სუბიექტური მხრივ ამ დანაშაულთა უმეტესი ნაწილი განზრახია. მათი ჩადენა შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. განსახილველ თავში გვაქვს გაუფრთხილებელი დანაშაულებიც. განზრახი ბრალით ჩადენილი დანაშაულებია გათვალისწინებული 117-ე, 118-ე, 119-ე, 120-ე, 121-ე, 122-ე, 123-ე, 125-ე, 126-ე მუხლებით. გაუფრთხილებლობითაა ჩადენილი 124-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

პირდაპირი განზრახვა შეიძლება იყოს კონკრეტიზებული, ალტერნატიული და არაკონკრეტიზებული. კონკრეტიზებული პირდაპირი გან-

ზრახვის დროს პირს სურს კონკრეტულად ერთი რომელიმე შედეგის (მაგ., ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების) დადგომა. თუ ასეთი შედეგი არ დადგა მისი ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის მცდელობით (მაგ., ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მცდელობით – მე-19, 117-ე მუხ.). მაგალითად, ადამიანი ცდილობს თვალები დათხაროს სხვა პირს, მაგრამ ვერ შესძლო, რადგან ხელი შეუშალეს.

ალტერნატიული პირდაპირი განზრახვის დროს პირს ორი შედეგიდან ერთნაირად სურს ერთ-ერთის დადგომა. მაგალითად, სურს დადგეს სიკვდილი ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. მაგალითად მსხვერპლს თავში ჩაარტყა მძიმე საგანი, რა დროსაც სურდა მისი სიკვდილი ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ასეთ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს შედეგის მიხედვით, როგორც დამთავრებული დანაშაული, თუ ამ ორიდან ერთ-ერთი სასურველი შედეგი დადგა.

არაკონკრეტიზებული პირდაპირი განზრახვის დროს პირს სურს ნებისმიერი მძიმე შედეგის დადგომა.[1] მაგალითად, თავში ურტყამს რა მე-2 პირს ფიცრის ნაჭერს, იგი ვარაუდობს ნებისმიერი მძიმე შედეგის დადგომას, რომლიდანაც თითოეული მისთვის სასურველია. ასეთ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დამდგარი შედეგის მიხედვით სწორედ იმიტომ, რომ პირისათვის ნებისმიერი მძიმე შედეგი სასურველი იყო. კერძოდ, თუ დადგა სიკვდილი – მკვლელობით, თუ დადგა ჯანმრთელობის რომელიმე სახის დაზიანება – ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებით (მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი), ხოლო თუ არ დადგა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 125-ე მუხლით – ცემა. ეს იმიტომ, რომ 125-ე მუხლი, გარდა ცემისა, თავის თავში მოიცავს სხვაგვარ ძალადობასაც. თავში ფიცრის ჩარტყმა კი წარმოადგენს სხვაგვარი ძალადობის ნაირსახეობას, თუ მან დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

ჯანმრთელობის დაზიანების მოტივი და მიზანი შეიძლება მრავალგვარი იყოს. უმეტეს შემთხვევაში მათ არა აქვთ მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა, მაგრამ ზეგავლენას ახდენენ სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე. ამიტომ სასამართლომ მოტივი და მიზანი ყველა შემთხვევაში

1 არაკონკრეტიზებულ და ალტერნატიულ განზრახვაზე განსხვავებული მოსაზრება იხილეთ „სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი“ – დანაშ. ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2002, გვ. 107.

უნდა დაადგინოს. ზოგჯერ მოტივსა და მიზანს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება: ანგარებით; ხულიგნური ქვენაგრძნობით; სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით და სხვა.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 117-ე)

სსკ 117-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სისხლის-სამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხრივ იგი გამოიხატება როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. ამასთანავე, დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია. ამდენად, მისი დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია კანონით გათვალისწინებული მძიმე შედეგის ან კონკრეტული საფრთხის დადგომა. აქედან გამომდინარე, ობიექტური მხარე გამოიხატება: ა) ქმედებაში, ბ) მძიმე შედეგში ან შედეგის საფრთხეში და გ) მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და დამდგარ შედეგს ან შედეგის საფრთხეს შორის. ჯანმრთელობის წინააღმდეგ მძიმე დანაშაულში მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როცა პირის ქმედება წარმოადგენდა 117-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის (დაზიანება, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის) ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ისეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა (სსკ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი). თუკი პირის ქმედების აზრობრივად გამორიცხვის შემთხვევაში მივიღებთ დასკვნას, რომ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ამჯერად არ განხორციელდებოდა, მაშინ ვამბობთ, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება მიზეზობრივ კავშირშია მართლსაწინააღმდეგო შედეგთან (ობიექტური შერაცხვა).

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, უმოქმედობა მაშინ ჩაითვლება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების განხორციელების პირობად, როდესაც: ა) პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა; ბ) ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და გ) სავალდებულო ან შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული. მაგალითად, საწარმოში ელექტრო-სარემონტო სამუშაოს დაწყების

წინ აუცილებელი იყო დენის გამორთვა, რაც შეგნებულად არ გააკეთა პირმა, ვისაც მისი გამორთვა ევალებოდა. ამის შედეგად ელექტრომონტიორმა მიიღო ჯანმრთელობისათვის მძიმე დაზიანება.

მოქმედი კანონით ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება ჩაითვლება მძიმედ, როცა სახეზეა სხეულის დაზიანება, რომელიც: 1. სახიფათოა სიცოცხლისათვის; 2. გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს დაკარგვა; 3. გამოიწვია რომელიმე ორგანოს ფუნქციის დაკარგვა, 4. გამოიწვია ფსიქიკური ავადმყოფობა; 5. შეწყდა ორსულობა; 6. გამოიწვია სახის წარუშლელი დამახინჯება; 7. გამოიწვია ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.

ამდენად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების სახეები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. **რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და 2. რომელიც არაა სახიფათო სიცოცხლისათვის, მაგრამ იწვევს კონკრეტულ მძიმე შედეგს, რაც მითითებულია 117-ე მუხლში.**

განვიხილოთ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების თითოეული სახე. **სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებად** ითვლება ჯანმრთელობის ისეთი დაზიანება, რომელიც ზიანის მიყენების მომენტისათვის საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და ამდენად, მაშინვე შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი. მართალია, ზოგჯერ ხდება ისე, რომ დროული სამედიცინო დახმარების შედეგად პირი გადაურჩება სიკვდილს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. იგი მაინც ჩაითვლება სიცოცხლისათვის საშიშად, თუკი დაზიანებულია სხეულის ის ორგანოები, რომლის დაზიანებაც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად მიეკუთვნება სიცოცხლისათვის საშიშს. უფრო მეტიც, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანების დროს არც იმას აქვს მნიშვნელობა, ამგვარმა ზიანმა გამოიწვია თუ არა ისეთი მავნე შედეგები, რომელიც ჩამოთვლილია 117-ე მუხლის დისპოზიციაში (მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მათი ფუნქციის დაკარგვა და სხვა). არცთუ იშვიათად, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება, თუკი პირი გადაურჩა სიკვდილს, არ იწვევს 117-ე მუხლში ჩამოთვლილ მძიმე შედეგებს. მაგალითად, ჩხუბში ერთმა პირმა

მე-2 დანით დაჭრა გულის არეში. აღმოჩნდა, რომ ჭრილობა არ იყო ღრმა და მას გულისა და მისი აპკის რაიმე სერიოზული დაზიანება არ გამოუწვევია. ჭრილობის ქირურგიული დამუშავებისა და გაკერვის შედეგად დაზარალებული ერთ კვირაში გამოჯანმრთელდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჭრილობას არ გამოუწვევია შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვა ან სხვა მძიმე შედეგი, დაზიანება მაინც ჩაითვლება მძიმედ, რადგანაც ეს ჭრილობა მიყენების მომენტში ქმნიდა გულის მუშაობის გაჩერებისა და სიკვდილის საფრთხეს[1]. (ამ ქმედების კვალიფიკაცია როგორც წესი, მოხდება მკვლელობის მცდელობით).

„წესები სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის“ გვაძლევს სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანების ჩამონათვალს. ასეთი დაზიანებებია, მაგალითად, შემავალი (და არა ნაკვეთი)ჭრილობა თავის ქალაში, გულმკერდში, მუცლის ღრუში, ხერხემლის არხში; დახურული დაზიანება, რომელმაც გამოიწვია ტვინში სისხლჩაქცევა, ტვინის დაჟეჟილობა, ფეთქების, ღვიძლის, თირკმლის, საშვილოსნოს გაგლეჯა; დიდი რაოდენობის სისხლის დაკარგვა, რის გამოც სასწრაფოდ საჭირო გახდა სისხლის გადასხმა და სხვა[2].

თუკი დაზიანება სახიფათო იყო სიცოცხლისათვის და ამავე დროს გამოიწვია ამ ჩამოთვლილ გათვალისწინებული ერთ-ერთი შედეგი (მაგალითად, თრომბოლობის შეწყვეტა), მაშინ ბრალდებაში უნდა დაფიქსირდეს ორივე: რომ დაზიანება სახიფათო იყო სიცოცხლისათვის და გამოიწვია ორსულობის შეწყვეტა. ეს კი ზეგავლენას მოახდენს სასჯელის დანიშვნაზე.

დაზიანება, რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა. აქ შეიძლება გამოიყოს ორი შემთხვევა: 1. როცა დაკაგულია სხეულის რომელიმე ორგანო. მაგალითად, დაზიანების შედეგად თვალი ამოვარდნილია ბუდიდან, ყური მოკვეთილია და ა.შ. 2. ორგანო ფიზიკურად არ არის დაკარგული,

---

1 ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ამ შემადგენლობის შემოღებით აშკარაა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იზიარებს არაპირდაპირი განზრახვის დროს მცდელობის შესაძლებლობას. საქმე ისაა, რომ სიცოცხლისათვის სახიფათოა დაზიანება, რომელიც მიყენების მომენტში ქმნის სიკვდილის შესაძლებლობას და ეს გაცნობიერებული აქვს დამნაშავეს. ამდენად, სიკვდილის მიმართ იგი მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით. თუ არაპირდაპირი განზრახვის დროს შესაძლებელია კვალიფიკაცია მკვლელობის მცდელობით, რა საჭიროა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანების შეტანა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების შემადგენლობაში.

2 იხ. „წესები სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის“. თბ., 1982.

იგი ადგილზეა, მაგრამ არ ფუნქციონირებს. მაგალითად, თვალი დაბრმავებულია, ყურში სმენა დაკარგულია.

მხედველობის დაკარგვად ითვლება როგორც სრული დაბრმავება, ისე მხედველობის იმგვარი დაზიანება, როცა პირი ვერ ამჩნევს ახლო მდებარე საგნების კონტურებს. ცალი თვალით დაბრმავება ითვლება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად, რადგან იგი იწვევს შრომისუნარიანობის დაკარგვას ერთ მესამედზე მეტად. მაგრამ, თუ ცალი თვალი ამოვარდნილია, ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების სხვა ნიშანიც — სახის წარუშლელი დამახინჯება.

ასევე შეიძლება ჩაითვალოს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად ბრმა თვალის ამოგდება, თუკი მან გამოიწვია სახის წარუშლელი დამახინჯება. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა ქმედება დაკვალიფიცირდეს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მცდელობით (19,117 მ.).

სმენის დაკარგვად ითვლება ისეთი განუკურნებელი მდგომარეობა, როცა პირს არ შეუძლია გაიგონოს ყურის ნიჟარიდან 3-5 სმ-ის დაშორებით ხმამაღალი საუბარი. ცალ ყურში სმენის დაკარგვა შრომისუნარიანობის დაკარგვას იწვევს ერთ მესამედზე ნაკლებად. ამდენად, იგი ჩაითვლება არა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად, არამედ ნაკლებად მძიმედ. მაგრამ, თუ მოჭრილია ერთი ყური, ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც სახის წარუშლელი დამახინჯება.

მეტყველების დაკარგვად ჩაითვლება პირის ისეთი მდგომარეობა, როცა მას არ შეუძლია თავისი აზრი გასაგებად გადმოსცეს. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, ამოჭრილია თუ არა მეტყველების ორგანო (ენა).

სხვა რომელიმე ორგანოდ ჩაითვლება ხელი, ფეხი, მისი მტევნები და სხვა. თუ მოკვეთილია (ან აუცილებელი გახდა მისი ამპუტაცია) ხელი ან ფეხი იდაყვის ან მუხლის სახსრამდე, ითვლება რომ სხეულის ეს ორგანო დაკარგულია. სხვა შემთხვევაში დაკარგულია არა ორგანო, არამედ მისი ნაწილი, მაგრამ ეს მაინც შეიძლება შეფასდეს, როგორც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, თუკი გამოიწვევს შრომისუნარიანობის მყარ დაკარგვას ერთ მესამედზე მეტად, ანდა ამ ორგანოს მოკვეთით დამნაშავემ მსხვერპლს შეუქმნა სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა (მას დაეწყო ძლიერი სისხლდენა). ამ ორგანოების ფუნქციის დაკარგვა კი ნიშნავს იმას, რომ ხელი ან ფეხი ადგილზეა, მაგრამ ვერ ფუნქციონირებს, ადამიანი მას ვერ ამოძრავებს.

ფსიქიკური ავადმყოფობა შეიძლება გამოიწვიოს ადამიანზე როგორც ფიზიკურმა (ცემამ), ასევე ფსიქიკურმა ზემოქმედებამ (დაშინება). ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, ეს ფსიქიკური ავადმყოფობა მუდმივია თუ დროებითი. მთავარია, რომ იგი მიზეზობრივ კავშირში იყოს მიყენებულ დაზიანებასთან. შესაძლებელია, პირი ადრე დაავადებული იყო ფსიქიკურად, მაგალითად, შიზოფრენიით, მაგრამ სათანადო მკურნალეობის შედეგად მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. თუკი მიყენებულმა დაზიანებამ მას განუახლა ძველი ავადმყოფობა (შიზოფრენია), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 117-ე მუხლით. მართალია, ფსიქიკურ ავადმყოფობათა უდიდესი ნაწილი საბოლოო განკურნებას არ ექვემდებარება, მაგრამ დაზიანებამ დააჩქარა მისი განახლება და, ამდენად, მიზეზობრივ კავშირშია ფსიქიკური ავადმყოფობის განახლებასთან. ადამიანისათვის ჯანმრთელად ცხოვრების თითოეული დღე შეუფასებელი საკეთილო და, ამდენად, მნიშვნელობა არა აქვს იმას, რამ ეს დაზიანება რამდენ არ ეთქმელიყო, ამ პირს ოდესმე ეს ფსიქიკური ავადმყოფობა ძალიან გაუახლდებოდა.

ამ კატეგორიის საქმეზე აუცილებელია ჩატარდეს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, ხოლო, თუ ფსიქიკური ავადმყოფობა განმეორებულია სხეულზე დაზიანების მიყენებით, მაშინ ასევე უნდა ჩატარდეს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, რომელმაც უნდა განსაზღვროს მიყენებული დაზიანების სიმძიმე.

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად არ ჩაითვლება სხეულის დაზიანება, რომელმაც გამოიწვია არა ფსიქიკური ავადმყოფობა, არამედ დროებითი ფსიქიკური აშლილობა, რომელიც ექვემდებარება მკურნალობას (ნევროზი, ისტერია, რეაქტიული ფსიქოზი და ა.შ.)[1].

სხეულის დაზიანების შედეგად ორსულობის შეწყვეტა ჯანმრთელობის ძნიმე დაზიანებაა. სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტი ქალის ჯანმრთელობასთან ერთად არის ემბრიონის სიცოცხლეც. დამნაშავეს გაცნობიელებული უნდა ჰქონდეს, რომ ჯანმრთელობას უზიანებს ორსულ ქალს ამასთან პირის ქმედებამ უნდა გამოიწვიოს ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა. ამ შემთხვევაში 117-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის საკმარისია მხოლოდ ორსულობის არაბუნებრივი შეწყვეტის ფაქტი, რომელიც

1 რფ სსკ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად მიჩნეულია ფსიქიკური მოშლილობა. იგი გულისხმობს არა მარტო ქრონიკულ, არამედ დროებით ფსიქიკურ აშლილობასაც.

მიზეზობრივ კავშირშია პირის მართლსაწინააღმდეგოდ ქმედებასთან (მაგალითად, ორსული ქალის ცემასთან).

ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა მაშინაც კი სახიფათოა ქალის ჯანმრთელობისათვის, როცა ხდება გინეკოლოგის მიერ სათანადო წესით აბორტის გაკეთების გზით. ქალის ჯანმრთელობა უფრო მეტად ზიანდება მაშინ, როცა ორსულობის შეწყვეტა ხდება სხეულის დაზიანებით (ცემით, ჭრილობის მიყენებით, მოწამვლით, დაშინებით და ა.შ.). ასეთი დაზიანება იწვევს ძლიერ სისხლდენას, რაც დაუყოვნებლივ თუ არ შეწყდა, შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი. ორსულობის ამგვარმა შეწყვეტამ მომავალში შეიძლება გამოიწვიოს ქალის უშვილობა. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის მორალური ტრავმა, რასაც დაზარალებული განიცდის შვილის დაღუპვიდან გამომდინარე.

ეს დანაშაული იმით განსხვავდება უკანონო აბორტისაგან, რომ უკანონო აბორტის შემთხვევაში ექიმი დედის სურვილით ახდენს ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას სათანადო სამედიცინო ხერხების გამოყენებით, რის გამოც ქალის ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანების საფრთხე გაცილებით ნაკლებია.

ქმედების 117-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენი კვირის ორსულობა შეწყდა. თუმცა, რაც უფრო მეტი ხანგრძლივობის ორსულობა შეწყდება, მით უფრო საშიშია ქალის ჯანმრთელობისათვის და ეს ფაქტი სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს. ამ კატეგორიის საქმეებზე აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა მეან-გინეკოლოგის მონაწილეობით, რომელმაც უნდა დაადგინოს მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და ორსულობის შეწყვეტის ფაქტს შორის. თუ ორსულობის შეწყვეტა დაკავშირებული იყო ქალის ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებასთან, რაც დამნაშავემ არ იცოდა და თუ მიყენებულ დაზიანებას (მაგალითად, ხელის გარტყმა სახეში) ნორმალური ჯანმრთელობის ქალში არ შეეძლო ორსულობის შეწყვეტა, პირს არ უნდა შეერაცხოს ბრალად სსკ 117-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. თუ ქალის სხეულის დაზიანებამ გამოიწვია ნაადრევი მშობიარობა, რის შედეგედაც ბავშვი ნორმალური დაიბადა და იგი სიცოცხლისუნარიანი გამოდგა, ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს 117-ე მუხლით. „ორსულობის შეწყვეტა“ და „ნაადრევი მშობიარობა“ არაა ერთი და იგივე. ნაადრევი მშობიარობის

პროცესი მიმდინარეობს ბუნებრივად (თუმცა ვადაზე ადრე), არ ხდება საკოჭის უცაცარი გამოდევნა დედის ორგანიზმიდან, ნაადრევ მშობიარობას არ ახლავს ძლიერი სისხლდენა. ამდენად, ნაადრევი მშობიარობა არ უქმნის ქალის სიცოცხლეს იმ საფრთხეს, რასაც ორსულობის უეცარი შეწყვეტა. გარდა ამისა, ნაადრევი მშობიარობისას, როცა ბავშვი იბადება სიცოცხლისუნარიანი, არ დგება შედეგად ემბრიონის სიკვდილი, ამასთანავე ასეთი მდგომარეობა არ იწვევს მომავალში ქალის უშვილობას.

უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელი არაა, ორსულობის შეწყვეტას მოყვეს ემბრიონის დაღუპვა. მთავარია რომ მას ახლავს ნაყოფის ელვისებური გამოდევნა, რაც საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

სახის წარუშლელი დამახინჯება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების თავისებური სახეა. ეს თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ იგი არ ხასიათდება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის აუცილებელი ნიშნებით. კერძოდ, არაა სახიფათო სიცოცხლისათვის და არც იმ მძიმე შედეგებს იწვევს, რაც ჩამოთვლილია 117-ე მუხლის 1-ლ ნაწილში: არაა დაკარგული რომელიმე ორგანო ან მისი ფუნქცია, არ ხდება ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა და ა.შ. მაგრამ საქმე ისაა, რომ სახის წარუშლელი დამახინჯება ძლიერ მორალურ ტრავმას აყენებს მსხვერპლს, იწვევს დიდ შინაგან განცდებს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე თან დაჰყვება. ზოგჯერ დაზარალებულები (განსაკუთრებით ახალგაზრდები) თვითმკვლელობას მიმართავენ. ამდენად, სახის წარუშლელი დამახინჯება პირობითადაა შეტანილი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების სიაში. გამოთქმაში „სახის წარუშლელი დამახინჯება“ წინაა წამოწეული სამი ნიშანი: 1. **დაზიანება უნდა იყოს სახეზე**. ამდენად, არ მოგვცემს ამ შემადგენლობას, თუ დაზიანებულია კისერი, ყელი ან სხეულის სხვა ორგანო; 2. **დაზიანება უნდა იყოს წარუშლელი**. ეს იმას ნიშნავს, რომ თერაპიული მკურნალობით შეუძლებელია მისი გაქრობა. თუ მის მოსაცილებლად საჭიროა ქირურგიული ჩარევა (თუმცა ზოგჯერ ესეც უშედეგოა), დამახინჯება ითვლება წარუშლელად; 3. **დაზიანება უნდა ამახინჯებდეს სახეს**. სახე დამახინჯებულად ჩაითვლება, თუ იგი შესაზარია, იწვევს ზიზღს ან სიბრალულს. ასეთი დამახინჯებაა, მაგალითად, თვალების სიმეტრიის დარღვევა (ერთი თვალი ზევითაა, მე-2 ქვევით), ცხვირის მოჭრა, ლოყაზე ან ნიკაპზე ღრმა ნაჭდევი, რომელიც ასიმეტრიულს ხდის სახეს და ა.შ. ამგვარი

დამახინჯება უშუალოდ უნდა გამოიწვიოს პირის განზრახმა ქმედებამ. თუკი სახის წარუშლელი დამახინჯება გამოიწვია მიყენებული დაზიანების არასწორმა მკურნალობამ, დამნაშავეს იგი ბრალად არ უნდა შეერაცხოს, რადგან სახეზეა ატიპური შედეგი.

საერთოდ საკითხს, მიყენებული ზიანი იწვევს თუ არა სახის წარუშლელ დამახინჯებას, **ორი ასპექტი** ახასიათებს: **სამედიცინო და იურიდიული**. სამედიცინო ასპექტს წყვეტს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელმაც უნდა მოგვცეს დასკვნა იმის შესახებ, თუ სახის რა ნაწილში მდებარეობს დაზიანება, რითაა იგი გამოწვეული (მექანიკური, ქიმიური თუ სხვა საშუალებით), რა სიღრმისა და სიგრძისაა ნაწიბური, ხომ არ იწვევს იგი მიმიკის დარღვევას, რამდენადაა შესაძლებელი ამ დაზიანების გამოსწორება ქირურგიული ჩარევის გარეშე. ხოლო საკითხი, ამახინჯებს თუ არა ეს დაზიანება სახეს, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს ესთეტიკური კრიტერიუმით. ვიზუალური დათვალიერების შედეგად თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ ეს წარუშლელი დაზიანება ამავე დროს ამახინჯებს სახეს (შესაზარია, იწვევს ზიზღს ან სიბრალულს), არსებობს საფუძველი, რომ პირის ქმედება დაკვალიფიცირდეს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებად. ორივე ეს კრიტერიუმი (სამედიცინო და იურიდიული) უნდა იყოს სახეზე და ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს ქმედების შეფასებას სახის წარუშლელ დამახინჯებად.

ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ეს სახე კუმულაციურად ორ ნიშანს მოიცავს:

1. იგი სახიფათო უნდა იყოს სიცოცხლისათვის და 2. დაკავშირებულია შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან, ან დაკავშირებულია წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან. ორივე ნიშანი ერთდროულად უნდა არსებობდეს. გამოდის, რომ თუ მიყენებულმა ზიანმა გამოიწვია შრომისუნარიანობის მყარი, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვა, მაგრამ იგი არ იყო სახიში სიცოცხლისათვის, არ ჩაითვლება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად.

ასევე არ ჩაითვლება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად წინასწარ შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრული დაკარგვა, თუ დაზიანება არ იყო სახიფათო სიცოცხლისათვის.

კანონმდებლის მიერ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ უნდა ჩაითვალოს მართებულად. თუ მე-2 პირის სხეულის დაზიანებამ გამოიწვია შრომისუნარიანობის მყარი და არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვა, ის გამოიწვია წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრული დაკარგვა, იგი უნდა ჩაითვალოს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად იმის მიუხედავად, ეს დაზიანება იყო თუ არა სახიფათო სიცოცხლისათვის. მაგალითად, პირმა ცნობილ მევიოლინეს განზრახ ისე დაუზიანა მარცხენა ხელის არათითი, რომ თითმა მგრძნობელობა დაკარგა და შედეგად მუსიკოსმა სამუდამოდ გამოეშვიდობა თავის პროფესიას. შეიძლება მოვიყვანოთ სხვა შემთხვევაც, როცა პირმა მეორეს მძიმე საფრთხე ისეთნაირად დაუსხლტა ხელის მტკვანი, რომ მსხვერპლმა ერთ მესამედზე მეტად დაკარგა შრომისუნარიანობა, თუმცა არ დაუკარგავს არც ხელი და არც მისი ფუნქცია. მოქმედი კანონით ამ შემთხვევებს ვერ ოპერაციონალიზირებთ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებად, რადგან დაზიანება მიყენების მომენტში არ იყო სახიფათო სიცოცხლისათვის. საკითხის ასეთი გადაწყვეტა კი არამართებულია. აქედან გამომდინარე, თუ 111 ე მუხლის დისპოზიციის ამ ნაწილიდან დროულად არ ამოირიცხა სიტყვები: „რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის“, სასამართლო პრაქტიკას გარკვეული პრობლემა შეექმნება.

საერთო შრომისუნარიანობის **მყარი** დაკარგვა სახეზეა მაშინ, როცა იგი დაკარგულია სამუდამოდ ან მისი აღდგენა შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ. (120 დღეზე მეტი ხნის შემდეგ). საერთო შრომისუნარიანობა გულისხმობს ზოგადად ფიზიკური და გონებრივი საქმიანობის შესრულების უნარს. იგი ერთი მესამედით მაშინაა დაკარგული, თუ 33%-ზე მეტადაა დაქვეითებული. მაგალითად, I და II ჯგუფის ინვალიდს შრომისუნარიანობა ერთი მესამედზე მეტად აქვს დაქვეითებული. ამ შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს შრომისუნარიანობის როგორც მყარი დაკარგვა, ისე არანაკლებ ერთი მესამედით. ამ საკითხის გარკვევისათვის სპეციალური ცოდნაა საჭირო და ამიტომ აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა. მოზარდის სხეულის **დაზიანების შედეგად საერთო შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის**

განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, თუ რამდენად დაეკარგება მას შრომის უნარი სრულწლოვანების შემდეგაც.

რაც შეეხება პროფესიულ შრომისუნარიანობას, იგი მთლიანად უნდა იყოს დაკარგული და არა ნაწილობრივ. ამასთანავე, პირს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ სხეულს უზიანებს ამა თუ იმ პროფესიის ადამიანს (მაგალითად, პიანისტს). მართალია, ამ დროს პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვამ შეიძლება არ გამოიწვიოს საერთო შრომისუნარიანობის არანაირი დაკარგვა, მაგრამ აქ მხედველობაშია მიღებული ის ფაქტი, რომ დამიანი თავისი პროფესიით ვეღარ იმუშავებს.

დანაშაულის ჩადენის ხერხსა და საშუალებას 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მნიშვნელობა არა აქვს ქმედების კვალიფიკაციისათვის.

ამსრულებელი შეიძლება იყოს ყველა შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული მხოლოდ განზრახია. მისი ჩადენა შეიძლება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. სსკ 117-ე მუხლს მკვლელობის მცდელობისაგან სწორედ განზრახვის მიმართულება განასხვავებს. თუ პირმა მოკვლის მიზნით სხვას ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა, მაგრამ სიკვდილი არ დადგა, სახეზე გვაქვს მკვლელობის მცდელობა და არა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. განზრახვის მიმართულების დასადგენად შესწავლილ უნდა იქნეს დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ და დაზიანების მიყენების მომენტში, დამნაშავის ქმედება, ასევე მისი ქცევა ქმედების ჩადენის შემდეგ (მაგალითად, დამნაშავე საშუალებას არ აძლევდა შემთხვევის ადგილზე მყოფთ, დახმარებოდნენ დაჭრილს). ასევე თვით დამნაშავისა და მსხვერპლის, ასევე მოწმეთა ჩვენებები და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი. თუ დადგინდა, რომ პირი ცდილობდა გულში ჩაერტყა დანა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა და დანა მკლავზე მოხვდა მსხვერპლს, გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ადგილი აქვს მკვლელობის მცდელობას. ასევე მკვლელობის მცდელობაა მაშინ, როცა პირი შემავალი ჭრილობით გულში დაჭრის სხვას და ეს უკანასკნელი სიკვდილს გადაურჩება. პრაქტიკაში პრობლემურია ქმედების კვალიფიკაცია, როცა ჭრილობა მიყენებულია მუცლის არეში და დამნაშავე უარყოფს მკვლელობის მიზანს. ასეთ შემთხვევაში სხვა გარემოებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს მიყენებული დაზიანების ხასიათსა და მის არაერთგზისობას. მაგალითად, პირმა ამხანაგს ჩხუბის დროს ერთხელ

ჩასცა რა დანა მუცელში, ცდილობდა მეორეჯერაც ჩაერტყა იგი, მაგრამ მეგობრებმა ამის საშუალება არ მისცეს. ანდა, მართალია, დანა ჩარტყმულია ერთხელ, მაგრამ სამედიცინო გამოკვლევით დასტურდება, რომ დამნაშავემ ცივი იარაღი მუცლის ღრუში რამენჯერმე დაატრიალა. ასეთ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი სიკვდილს გადაურჩა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მკვლელობის მცდელობით.

ზოგჯერ პირს გაცნობიერებული აქვს, რომ მის ქმედებას შეიძლება მოჰყვეს სხვისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რაც მას არ სურს თუმცა შეგნებულად უშვებს ან გულგრილია მის მიმართ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს შედეგი (და არც სხვა შედეგი) არ დგება. ეს პირი, თუ მისი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, უნდა მიეცეს პასუხისგებაში. მაგალითად, ჩხუბის დროს პირი სხვის შესაშინებლად იქნევს დანას, თუმცა გაცნობიერებული აქვს, რომ იგი შეიძლება რომელიმე მოჩხუბარს მოხვდეს და ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანოს, რაც არ მოხდა. ასეთ შემთხვევაში არ არსებობს საფუძველი პირს პასუხი ვაგებინოთ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მკვლელობისათვის, რადგან „მცდელობა“ გულისხმობს რაიმე მიზნის მისაღწევად ძალების მობილიზაციასა და გამოყენებას, რასაც ადგილი არა აქვს არაპირდაპირი განზრახვის დროს. ზემოთ ხსენებულ მაგალითში პირი შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს მუქარისათვის (151-ე მუხლი. იგულისხმება შემთხვევა როცა,საეზე არაა მართლწინააღმდეგობის განმაპირობებელი გარემოება).

მოტივსა და მიზანს 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სსკ 117-ე მუხ. მე-2 ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს იგივე ქმედებას, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. აქ ნაგულისხმებია ისეთი შემთხვევა, როცა ძირითადი შედეგი (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) გამოწვეულია განზრახ, ხოლო თანამდევი შედეგი (სიკვდილი) დადგა გაუფრთხილებლობით.

საქართველოს სსკ მე-11 მუხლის 1 ნაწილის თანახმად, ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ჩაითვლება. ამდენად, ორმაგი ბრალით ჩადენილი დანაშაულები სუბიექტური მხრივ განზრახ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება[1].

---

1 რთული ანუ ორმაგი ბრალის შესახებ იხ. მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 41-58.

ქმედების სსკ 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით კვალიფიკაციისათვის აუცილებელი წინაპირობაა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებასა და დამდგარ სიკვდილს შორის. სსკ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როცა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო შედეგის (სიკვდილის) ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი (სიკვდილი) არ დადგებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებასა და სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს არა მარტო მაშინ, როცა სიკვდილი უშუალოდ ჯანმრთელობის დაზიანების გამო დადგა, არამედ მაშინაც, როცა ეს შედეგი არ გამოუწვევია მხოლოდ ამ დაზიანებას და მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში სხვა მიზეზიც ჩაერთო (ვთქვათ, მედიცინის მუშაკის უმოქმედობა). მაგალითად, ჩხუბში ერთმა მეორეს ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა, რის გამოც დაზარალებულს სისხლდენა დაეწყო. იგი წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ექიმმა თავისი დაბალი პროფესიონალიზმის გამო ვერ შესძლო სისხლდენის შეჩერება (რისი გაკეთებაც არ იყო რთული) და დაჭრილი გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში დამდგარ სიკვდილთან მიზეზობრივ კავშირშია არა მარტო ექიმის უმოქმედობა, არამედ იმ პირის მოქმედებაც, ვინც დაზარალებულს ჯანმრთელობა დაუზიანა — რომ არა ეს დაზიანება, პირი საავადმყოფოში არ მოხვდებოდა, ოპერაცია არ დასჭირდებოდა და სისხლისაგან არ დაიცლებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება რომ არ ყოფილიყო, ამჯერად ეს შედეგი არ დადგებოდა.

მედიცინის მუშაკის შეცდომისას ადგილი არ აქვს მიზეზობრიობის ატიპურ განვითარებას. ამიტომ ეს შედეგი პირს (ვინც დაჭრა მსხვერპლი) ობიექტურად შეერაცხება. თუ სიკვდილი გამოიწვია მიზეზობრივი კავშირის ატიპურმა განვითარებამ, ასეთი შედეგი პირს ობიექტურად არ შეერაცხება, იმის მიუხედავად სურდა თუ არა მას ეს შედეგი (მაგალითად, ექიმმა დაჭრილს მოწამლული სისხლი გადაუსხა, რამაც გამოიწვია მისი სიკვდილი. ამ შედეგის ავტორი არის ექიმი).

მაშ, რით განსხვავდება სამედიცინო შეცდომა მიზეზობრივი კავშირის ატიპური განვითარებისაგან?

სამედიცინო შეცდომას ადგილი აქვს მაშინ, როცა მედიცინის მუშაკი ცდება დიაგნოსტიკაში ან მკურნალობის მეთოდებში. სამედიცინო შეცდომა

არაა გულგრილობის შედეგი. იგი არის ან დაბნეულობის ან არასათანადო პროფესიონალიზმის შედეგია, ამიტომ სამედიცინო შეცდომისათვის ექიმი როგორც წესი, სს წესით პასუხს არ აგებს. სამედიცინო შეცდომის დროს სიკვდილის ავტორია ის, ვინც ჯანმრთელობა დაუზიანა მოქალაქეს (სიკვდილის მიზეზი იყო მიყენებული ჭრილობით სისხლისაგან ორგანიზმის დაცლა). სიკვდილის ავტორი არაა ის, ვისაც შეეძლო ამ შედეგის აცილება, რომ არ დაეშვა სამედიცინო შეცდომა.

მიზეზობრივი კავშირის ატიპური განვითარებისას კი სიკვდილი დადგა არა მიყენებული ჭრილობით, არამედ სისხლის მოწამვლით, რაც განვითარდა ექიმის მიერ მოწამლული სისხლის გადასხმის შედეგად. ამდენად, აქ სიკვდილის ავტორია ექიმი, რადგან მას მოწამლული სისხლი რომ არ გადაესხა, ამჯერად ეს შედეგი (სიკვდილი) არ დადგებოდა, თუმცა შესაძლოა, მოგვიანებით იგი მაინც დადგებოდა.

მაგრამ მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის დადგენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებასა და სიკვდილს შორის ქმედების სსკ 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით კვალიფიკაციისათვის არაა საკმარისი. აუცილებელია სიკვდილის მიმართ განზრახულობის დადგენა. კერძოდ, იმის დადგენა, რომ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისას დამნაშავე ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით იმედოვნებდა, რომ სიკვდილი თავიდან იქნებოდა აცილებული (დაზარალებულს დროულად ჩაუტარებდნენ სათანადო მკურნალობას). ანდა, მართალია, სიკვდილის დადგომას არ ითვალისწინებდა, მაგრამ მიყენებული ზიანის სიმძიმიდან ან სხვა ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე მას შეეძლო მისი სიკვდილის გათვალისწინება და ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა იგი. (ზემოთ მოყვანილ მაგალითში, დამნაშავეს შეუძლია გაითვალისწინოს, რომ არაა გამორიცხული მსხვერპლს ექიმმა ვერ მიუსწროს, ანდა ვერ გაუწიოს სათანადო დახმარება).

განსახილველი დანაშაული უნდა განვასხვავოთ ერთის მხრივ მკვლელობისაგან და მეორეს მხრივ სხვისი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისაგან (116-ე მუხ.). მკვლელობისაგან განსხვავებით დამნაშავეს ამ შემთხვევაში სიკვდილის მიმართ არ ამოძრავებს არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი განზრახვა. განსახილველ შემთხვევაში დამნაშავე პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით ჩადის სხვისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, ხოლო სიკვდილი დგება გაუფრთხილებლობით.

იმის გასარკვევად, დამნაშავის განზრახვა მკვლელობისაკენ იყო მი-მართული თუ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისაკენ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის ობიექტური მხარის ყველა ნიშანი. კერძოდ, სხეულის რა ორგანოა დაზიანებული, რა იარაღია გამოყენებული და ა.შ. მაგალითად, თუ დამნაშავემ იარაღი მიმართა მეორე პირის გულისკენ ან თავის ქალისაკენ და დააზიანა იგი, ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ მისი განზრახვა მიმართული იყო მკვლელობისაკენ და არა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისაკენ. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პირებს შორის ურთიერთობის გარკვევას, დამნაშავის ქცევას ქმედების ჩადენის შემდეგ (მაგალითად, იგი შემთხვევის ადგილზე მყოფთ არ აძლევს საშუალებას მიეშველონ დაჭრილს).

თუ დადგინდება, რომ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებისას პირს მოსალოდნელი შედეგის (სიკვდილის) მიმართ არაპირდაპირი განზრახვა ამოძრავებს, (და ეს შედეგი დადგა), ქმედება ამ შემთხვევაშიც უნდა დაკვალიფიცირდეს მკვლელობით და არა 117 ე მ. II ნაწილით.

მაგალითად, დეკემბრის სუსხიან ღამეს ტყეში ა მ უმოწყალოდ სცემა ბ ს. შემდეგ ნაცემი, დასისხლიანებული და ღონემიხდილი დატოვა ტყეში და თავად იქაურობას გაეცალა.

მიყენებული დაზიანება აღმოჩნდა სიცოცხლისათვის სახიფათო, რამაც რამდენიმე საათში გამოიწვია ბ ს სიკვდილი. დადგინდა, რომ ა მ ცემის შედეგად მ ს ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა, რაც გახდა სიკვდილის მიზეზი.

ეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მკვლელობით შემდეგი მიზეზის გამო: როცა ა მ მძიმედ დაშავებული „ბ“ ღონემიხდილი დატოვა ტყეში, დეკემბრის სუსხიან ღამეს, მას უცილობლად გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას (ბ ს ცემას) შესაძლოა, მოჰყოლოდა არა მარტო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, არამედ სიკვდილიც კი. ამასთან აზრს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ იგი რაიმე ფაქტორებზე ამყარებდა იმედს და შედეგის (სიკვდილის) თავიდან აცილებას იმედოვნებდა. პირიქით, აშკარაა, რომ მან ან შეგნებულად დაუშვა ამ შედეგის დადგომა, ან გულგრილი იყო ასეთი შედეგის მიმართ (სულ ერთი იყო მისთვის „ბ“ მოკვდებოდა თუ გადარჩებოდა, რადგან ტყეში სხვა ადამიანები არ იმყოფებოდნენ, ხოლო დაშავებული კი თავის თავს ვერ უპატრონებდა).

თუკი იგივე ქმედებას „ა“ ჩაიდენს ქუჩაში და იქ დატოვებს „ბ“-ს მაშინ სიკვდილის მიმართ არაპირდაპირი განზრახვის დასაბუთება შეუძლებელია, რადგან ქუჩაში ხალხი მოძრაობს და „ა“ ს შეუძლია მათზე დაამყაროს იმედი, რომ გამოუძახებენ სასწრაფო დახმარებას და სხვაგვარადაც მიეშველებიან დაშავებულ ბ ს. ამ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 117 ე მუხლის II ნაწილით.

განსახილველი დანაშაული განსხვავდება სსკ 116-ე მუხლისაგან იმით, რომ სხვისი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის დროს დამნაშავის განზრახვა არაა მიმართული სხვისი ჯანმრთელობის დაზიანებისაკენ (როგორც ამას ადგილი აქვს 117-ე მუხლის მე-2 ნაწ.), არამედ პირის თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით ჩადენილი ქმედების გამო დგება სხვისი სიკვდილი, მაგალითად, თოფის წმენდისას გავარდა ტყვია რამაც იმსხვერპლა მოქალაქე. საქართველოს კანონმდებელს 117-ე მუხლში რომ არ გაეთვალისწინებინა ეს დამამძიმებელი გარემოება, ქმედება ასეთ შემთხვევაში დაკვალიფიცირდებოდა დანაშაულთა ერთობლიობით სსკ 117 ე მუხლის I ნაწილით და 116-ე მუხლით, ამდენად, სსკ 117-ე მუხლის მე 2 ნაწილი წარმოადგენს 117-ე მუხლის I ნაწილისა და 116-ე მუხლების სინთეზს კონკრეტული შემთხვევისათვის.

სსკ 117 ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით დამამძიმებელ გარემოებადაა გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში მსხვერპლად შეიძლება მოგვევლინოს: ა) პირი, რომელიც ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას; ბ) პირი, რომელიც ასრულებდა საზოგადოებრივ მოვალეობას და გ) მისი ახლო ნათესავი. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება გულისხმობს როგორც კერძო, ისე საჯარო სამსახურში გარკვეული თანამდებობრივი ფუნქციის შესრულებას კანონის, წესდების, დებულების შესაბამისად. საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში იგულისხმება ის ვალდებულება, რაც პირს აკისრია ზნეობრივი ან საშართლებრივი ნორმებით საზოგადოებისა თუ ცალკეულ პირთა სასარგებლოდ. მაგალითად, დამნაშავის შეპყრობა, დანაშაულის აღკვეთა, სასამართლოზე მოწმის მიერ სწორი ჩვენების მიცემა, შეტყობინება დანაშაულის მზადების შესახებ და ა.შ.

ახლო ნათესავის ცნება კი მოცემულია სსკ 109-ე მუხლის შენიშ-

ვნაში. ქმედების ამ პუნქტით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ ჯანმრთელობის დაზიანება მოხდეს არა სხვა რაიმე მოტივით, არამედ პირის სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისათვის სამაგიეროს მიზღვისათვის ან ხელის შეშლისათვის. ამასთანავე, აუცილებელია დაზარალებულმა კანონიერად შეასრულოს ეს მოვალეობა და ამ კანონიერი საქმიანობით უკმაყოფილო პირმა სამაგიერო მიუზღოს მას. მაგალითად, საწარმოს დირექტორმა კანონიერად დაითხოვა სამუშაოდან თანამშრომელი, რომელიც სისტემატურად არღვევდა შრომის დისციპლინას. ამაზე განაწყენებულმა მუშაკმა ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა დირექტორს. მაგრამ უკეთუ იგივე დირექტორი კანონიერი საფუძვლის გარეშე დაითხოვს სამსახურიდან მუშაკს, ხოლო იგი სამაგიეროს გადახდის მიზნით ჯანმრთელობას დაუზიანებს მას, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

განსახილველი პუნქტით ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, როდის მოხდება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება – პირის მიერ სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების მიმდინარეობისას, მისი დამთავრებისთანავე, თუ ამ მოვალეობის შესრულებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. მთავარია, იგი იყოს დაკავშირებული ამგვარი მოვალეობის შესრულებასთან, ე.ი. მიზნად ისახავდეს სამაგიეროს მიზღვას ან ამ მოვალეობის ბოლომდე განხორციელებისათვის ხელის შეშლას.

პრაქტიკაში შესაძლოა, პირმა შეცდომით ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანოს არა იმას, ვინც კანონიერად შეასრულა (ან ასრულებდა) თავისი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობა, არამედ სხვას.

მაგალითად, ზემოხსენებულ შემთხვევაში სამუშაოდან კანონიერად დათხოვნილმა შეცდომით დირექტორის ნაცვლად ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა მასთან სტუმრად მყოფ მოქალაქეს, რომელიც სიბნელეში ვერ გაარჩია და დირექტორი ეგონა.

როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ეს ქმედება?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, ჯერ უნდა გადავწყვიტოთ საკითხი, ხომ არა აქვს აქ ადგილი შეცდომის მსხვერპლის პიროვნებაში. თუკი ადგილი აქვს შეცდომას პიროვნებაში, მაშინ ასეთი ფაქტობრივი შეცდომა ზეგავლენას ვერ მოახდენს კვალიფიკაციაზე, რადგან სამართლებრივად ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ერთნაირადაა დაცული.

მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს შეცდომას მსხვერპლის

პიროვნებაში, რადგან:

1. ამ დამამძიმებელი გარემოების შემოღებით კანონმდებლის მიზანი სრულებით არ იყო მომეტებულად დაეცვა იმ პირთა ჯანმრთელობა (ან სიცოცხლე), რომლებიც დანაშნული არიან ამა თუ იმ სამსახურში (ან ვისაც ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულება ეკისრებათ);

2. კანონმდებლის მიზანი ამ დამამძიმებელი გარემოების შემოღებით არის ის, რომ მომეტებულად დაიცვას პირთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, მაშინ როცა ისინი კანონიერად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონმდებელს სურს ქვეყნად სათანადო პირობები იყოს შექმნილი იმისათვის, რომ მოქალაქეებმა უშიშრად განახორციელონ სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობა. ამიტომ ამ ნორმის შემოღებით, იგი აფრთხილებს მოქალაქეებს, ვინც ჯანმრთელობას მძიმედ დაუზიანებს (ან მოკლავს — 109 ე მ.) ადამიანს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა სწორად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, ეს უმართლობა დამნაშავეს მომეტებულად შეერაცხება.

ჯ.აბაშიძის აზრით, ამ დამამძიმებელი გარემოების შემოღებით კანონმდებლის ინტერესებს არა მსხვერპლის პიროვნება როგორც ასეთი (მისი პიროვნული ჯანმრთელობა დაცულია 117 ე მუხ. I ნაწილით), არამედ ის სამსახურებრივი საქმიანობა (ან საზოგადოებრივი მოვალეობა), რაც უნდა შესრულდეს კანონის (ან სხვა ნორმის) შესაბამისად.

გამომდინარე აქედან, ზემოხსენებული შეცდომის დროს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 117 ე მუხლის I ნაწილით (თუ სახეზე არ იყო სხვა მაკვალიფიცირებელი გარემოება) და არა მე 3 ნაწ. „ა“ ქვეპუნქტით. ხოლო ის ფაქტი, რომ პირს ეგონა, დანაშაულს სჩადიოდა მსხვერპლის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასჯელის დანიშვნისას, როგორც დამამძიმებელი გარემოება (დანაშაულის მოტივი და მიზანი სსკ 53 ე მუხლი)[1].

თუ სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის განსახორციელებისათვის ხელის შეშლის მიზანია სხვა დანაშაულის დაფარვა ან გაადვილება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა „ა“ პუნქტით, არამედ „დ“ პუნქტით. მაგალითად, ენა ამოაჭრეს მოწმეს, რათა მან არ მისცეს ჩვენება ან არ შეატყობინოს სათანადო ორგანოებს ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

---

1 ამ საკითხზე არსებობს სხვა აზრიც.

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით (პუნქ. „ბ“) ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა. ამ დანაშაულის ჩადენას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც უშუალოდ მძევლად ხელში ჩაგდების პროცესში, ისე მის შემდეგაც. იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით (მაგალითად, მძევლისათვის საკვების მიუცემლობით). ამასთანავე, ჯანმრთელობა შეიძლება დაუზიანდეს არა მარტო მძევლად ხელში ჩაგდებულს, არამედ სხვა პირებსაც. მაგალითად, იმათ, ვინც ხელს უშლიდა პირის მძევლად აყვანას, ან ვინც ცდილობდა მათ გათავისუფლებას, თუ პირმა ჩაიდინა ორივე ქმედება — მძევლად ხელში ჩაგდება და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა ამ ქმედების ჩადენა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. აქ პასუხისმგებლობას ამძიმებს დანაშაულის საშუალება. დაშნაშავე ჯანმრთელობის დასაზიანებლად ისეთ საშუალებას ირჩევს, რომელსაც შეუძლია დააზიანოს არამარტო მის მიერ არჩეული მსხვერპლი, არამედ საფრთხე შეუქმნას სრულიად სხვა პირთა ჯანმრთელობას ან სიცოცხლესაც კი (ე.წ. ძნელადმართვადი საშუალება). ამასთანავე, აუცილებელია დაზარალებულის გარდა საფრთხე შეექმნას კიდევ ორ პირს მაინც („სხვათა“ და არა „სხვის“). ამგვარი საშუალების გამოყენებისას არაა სავალდებულო მას შედეგად მოჰყვეს სხვა პირთა რეალური ზიანი. მთავარია, შეიქმნას ასეთი საფრთხე. მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, როცა გასროლის დროს, გარდა მსხვერპლისა იქვე სხვა პირებიც იმყოფებოდნენ; ანდა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ოჯახის სადილის მოწამვლით, რითაც გარდა მსხვერპლისა შეიძლება ისარგებლონ ოჯახის სხვა წევრებმაც. დამნაშავეს შეგნებული უნდა ქონდეს, რომ ჯანმრთელობის დასაზიანებლად მის მიერ გამოყენებული საშუალება საფრთხეს უქმნის სხვა პირთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, იგი შეიძლება უშვებდეს ან გულგრილად ეკიდებოდეს სხვა პირთა დაზიანებას[1].

თუ ამგვარი საშუალების გამოყენებამ გამოიწვია ასევე სხვა პირის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაც, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 117-ე

1 ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ამ მაკვალიფიცირებელი გარემოების შემოღებითაც აშკარად ჩანს კანონმდებლის პოზიცია, რომ არაპირდაპირ განზრახვას მცდელობა არ ახასიათებს.

მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტებით.

თუ პირი ამგვარ საშიშ საშუალებას იყენებს იმიტომ, რომ სურს დააზიანოს რამდენიმე პირის ჯანმრთელობა (მაგალითად, სადილის მოწამვლის დროს მთელი ოჯახის, ქუჩაში გასროლის დროს იქვე მდგომი ყველა პირის), მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება არა 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით, არამედ მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტით (ორი ან მეტი პირის მიმართ).

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით (პუნქ. „დ“). აქ პასუხისმგებლობას ამძიმებს დანაშაულის სუბიექტური მხარის ისეთი ნიშანი, როგორიცაა მიზანი. პირს შეიძლება ამოძრავებდეს, როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი დანაშაულის დაფარვის მიზანი, ხოლო დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზანი აუცილებლად დაკავშირებულია განზრახ დანაშაულთან. ქმედების კვალიფიკაციისათვის მთავარია, დამნაშავეს ამ ორიდან ამოძრავებდეს ერთ-ერთი მიზანი, მაგრამ არა აუცილებელია, რეალურად მიაღწიოს მას. შეიძლება სხვისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით პირმა ვერ მიახერხოს სხვა დანაშაულის დაფარვა ან მისი ჩადენის გაადვილება, მაგრამ ამას ქმედების ამ პუნქტით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, დამნაშავემ საწყობის დარაჯს თავში ძლიერი დარტყმით გონება დააკარგვინა, მაგრამ საწყობი მაინც ვერ გაქურდა, რადგან კარი ვერ გააღო. როცა პირმა სხვისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით მართლაც გაიადვილა სხვა დანაშაულის ჩადენა, ქმედება 117-ე მუხლთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს ერთობლიობით ჩადენილი ქმედების შესაბამისად. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი დანაშაულის ამსრულებლის მიზანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ მის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვა ან გაადვილება, არამედ იმ დანაშაულისაც, რაც ჩაიდინა ან უნდა ჩაიდინოს სხვა პირმა. თუკი ეს ქმედება წინასწარ იყო შეპირებული, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სსკ 117-ე მუხლით და იმ დანაშაულში თანამონაწილეობით (დახმარებით), რომლის დაფარვისკენაა მიმართული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

სსკ 117-ე მუხლის მე-4 ნაწილით დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

განსხვავებით ამ მუხლის მე-2 ნაწილისაგან, აქ სიცოცხლის გაუ-

ფრთხილებლობით მოსპობა შედეგად მოსდევს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რაც ჩადენილი იყო 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებში. მაგალითად, სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა გამოიწვია მძეცლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით ჩადენილმა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებამ.

სსკ 117-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულია რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება. ერეთ-ერთი მათგანია დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ. აქ მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტი, რომ დაზარალებული ორსულადაა და ქალის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით საფრთხე ექმნება ემბრიონის ნორმალურ განვითარებას. დამნაშავემ უნდა იცოდეს ქალის ორსულობის შესახებ ზუსტად და არა ვარაუდით. სსკ 117-ე მუხლის I ნაწილში ორსულ ქალს უწყდება ორსულობა, ხოლო აქ ორსულ ქალს ადგება ჯანმრთელობის სხვაგვარი მძიმე დაზიანება (მაგ. მხედველობის დაკარგვა), ემბრიონს კი ექმნება საფრთხე. ორსული ქალის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებამ (მაგალითად, მხედველობის ან სმენის დაკარგვამ) შეიძლება არ გამოიწვიოს ორსულობის შეწყვეტა (თუმცა ასეთი საფრთხე არსებობს), მაგრამ, თუკი გამოიწვია ეს შედეგიც, ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა" პუნქტით. დამატებით 1-ლ ნაწილზე მითითება არაა საჭირო, რადგან 117-ე მუხლის მე-5 ნაწილი თავის თავში გულისხმობს 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შედეგებსაც (ამ შემთხვევაში ორსულობის შეწყვეტასაც). თუმცა ბრალდების ფორმულირებაში ორივე შედეგი უნდა დაფიქსირდეს. მაგალითად, დაზიანებამ შედეგად გამოიწვია როგორც ორსული ქალის დაყრუება, ისე ორსულობის შეწყვეტაც. ეს კი გავლენას მოახდენს სასჯელის დანიშვნაზე. როცა დამნაშავეს ჰგონია, რომ ჯანმრთელობას მძიმედ უზიანებს ორსულ ქალს, მაგრამ ქალი არ აღმოჩნდება ორსული, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ეს იმიტომ, რომ ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ა" პუნქტი დამძიმებულია სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტით. მისი მიზანია დაიცვას არა მარტო ქალის ჯანმრთელობა, არამედ ემბრიონის ნორმალური განვითარება, ხოლო, როცა ქალი არაა ორსულად, დაცვის ეს მეორე ობიექტი სახეზე არ არის.

ამდენად, სსკ 117-ე მ. I ნაწილით ორსულობის შეწყვეტისას, როგორც წესი, იღუპება ემბრიონი, ხოლო დედის ჯანმრთელობას კი ექმნება მძიმე დაზიანების საფრთხე. რაც შეეხება ამავე მუხლის V ნაწ. „ა" პუნქტით

გათვალისწინებულ შემთხვევაში პირიქით,დედის ჯანმრთელობა ზიანდება მძიმედ (მაგალითად, მან დაკარგა სმენის ორგანო), ხოლო ემბრიონის სიცოცხლეს კი საფრთხე ექმნება.

გარდა ამისა, „შეცნობა“ ნიშნავს რეალურად არსებული ფაქტისა თუ მოვლენის გაცნობიერებას და არა იმას, თუ რას ფიქრობდა პირი, რა ეგონა მას მოცემულ ვითარებაში. ის ფაქტი, რომ პირს ეგონა ჯანმრთელობას უზიანებდა ორსულ ქალს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის დანიშვნისას[1].

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა **ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის**. ამ პუნქტში პასუხისმგებლობის დამძიმების საფუძველია დაზარალებულის ასაკი, მისი მდგომარეობა. არასრულწლოვნად ითვლება პირი 18 წლამდე. ამასთანავე, დამნაშავემ ზუსტად უნდა იცოდეს, რომ პირი, ვისაც უზიანებს ჯანმრთელობას, 18 წელს მიუღწეველია. თუ მან ეს არ იცის, ამ პუნქტით კვალიფიკაცია გამორიცხულია.

ამ პუნქტით კვალიფიკაცია მაშინაცაა გამორიცხული, როცა დამნაშავეს იცის, რომ ჯანმრთელობას უზიანებს არასრულწლოვნს, მაგრამ იგი სრულწლოვანი აღმოჩნდება, რადგან მოცემულ შემთხვევაში სახეზე არაა ის მსხვერპლი, რაც გათვალისწინებულია ამ დამამძიმებელ გარემოებაში.

ამ დამამძიმებელი გარემოების ამსრულებელი უნდა იყოს სრულწლოვანი (18 წლის), რადგან სწორედ მას მოეთხოვება იყოს მიმტევებელი და შემწყნარებელი არასრულწლოვნის მიმართ.

უმწეო მდგომარეობაში იგულისხმება დაზარალებულის ისეთი მდგომარეობა, როცა მას არ შესწევს უნარი, გააცნობიეროს, თუ რა ქმედებას სჩადიან მის მიმართ, ან არ შესწევს უნარი დაიცვას თავი. თუ ამგვარი უმწეობა გამოწვეულია უსაკობით, მაშინ კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დაზარალებულის არასრულწლოვნობის ნიშნით, რადგან არასრულწლოვნება მოიცავს მცირეწლოვანებასაც.

სხვაგვარი უმწეო მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იყოს მძიმე ავადმყოფობით, უგონობით, სულით ავადმყოფობით, ჭკუასუსტობით, ღრმა მოხუცებულობით და ა.შ. მთავარია, რომ პირი დამნაშავის ქმედებით არ იყოს მოყვანილი უმწეო მდგომარეობაში. თუ დამნაშავემ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების გაადვილების მიზნით პირი ჯერ მიიყვანა უმწეო მდგო-

1 იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებები.

მარეობაში (მაგალითად, შეუკრა ხელ-ფეხი), ხოლო შემდეგ ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა, ქმედება განსახილველი პუნქტით არ დაკვალიფიცირდება. კვალიფიკაცია მოხდება სსკ 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ადრე მოქმედი კანონით აქ დამაძიმებელ გარემოებად გათვალისწინებული იყო დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ ჯანმრთელობის დაზიანება, რაც დღეისათვის ამოღებულია.

ხულიგნური ქვენაგრძნობა, მორალურად მეტად გასაკიცხ ქვენაგრძნობათა ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, იგი დაკავშირებულია პირის თავხედობასთან, საკუთარ თავზე და უფლებაზე გადამეტებულ წარმოდგენასთან,. სხვისი პიროვნების უპატივცემულობასთან. ხულიგნური ქვენაგრძნობის მოტივია პირის მისწრაფება, დაუმტკიცოს სხვებს მისი ყოვლისშემძლეობა. სწორედ ამიტომ ასეთი დანაშაულები ძირითადად ორ შემთხვევაში ხდება:

1. როცა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის მსხვერპლს არანაირი საბაბი არ მიუცია დამნაშავისათვის ან 2. როცა მსხვერპლის მხრიდან ადგილი ჰქონდა უმნიშვნელო საბაბს, რაც ნორმალურ ადამიანში შურისძიების გრძნობას არ წარმოშობს. მოგვყავს 1-ლი შემთხვევის მაგალითი: ახალგაზრდების ჯგუფმა ქუჩაში კენჭი ყარეს და დათქვეს, ვისაც ის შეხვდებოდა, მას უმოწყალოდ უნდა ეცემა ქუჩაში პირველად გამოჩენილი მამაკაცი. ასეც მოიქცნენ, ცემის შედეგად დაზარალებულმა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო. მე-2 მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემთხვევა, როცა თამადის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო ერთ-ერთმა თანამოსუფრემ ბოლომდე არ დალია, რაც საფუძველი გახდა ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისა. თუ დამნაშავის მიზანი იყო ხულიგნური ქვენაგრძნობით პირის მკვლელობა, მაგრამ მსხვერპლმა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ქმედება დაკვალიფიცირდება ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლელობის მცდელობით. თუ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას ხულიგნური ქვენაგრძნობით თან ახლავს ხულიგნობის ჩადენაც (სსკ 239-ე მუხლი), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, ვინაიდან არც სსკ 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" პუნქტი მოიცავს ხულიგნობას და არც პირიქით.

რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა მორალურად მეტად გასაკიცხი ქვენაგრძნობის ერთ-ერთი სახეა. შეუწყნარებლობა ნიშნავს სიძულვილს, აუტანლობას. აქ მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ

მსხვერპლს დამნაშავისათვის არ მიუცია ისეთი საბაბი, რაც შურისძიების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. შესაძლებელია, მსხვერპლის მხრიდან საერთოდ არ არსებობდეს არანაირი საბაბი. ეს დანაშაული განსხვავდება ხულიგნური ქცენაგრძნობისაგან იმით, რომ ხულიგნური ქცენაგრძნობის დროს პირს ამოძრავებს თავისი ყოვლისშემძლეობის დემონსტრირების სურვილი, განსახილველ შემთხვევაში კი დამნაშავეს ამოძრავებს ეროვნული, რელიგიური, რასობრივი ან ეთნიკური სიძულვილი. ამ ნიშნით პირთა ჯგუფის მძიმე დაზიანება გენოციდის შემადგენლობის დამახასიათებელი ნიშანიცაა, მაგრამ გენოციდის დროს ადგილი აქვს ამგვარი ქმედების ჩადენას შეთანხმებული გეგმის შესაბამისად. ე.ი. გენოციდის დროს ჯერ ადგილი აქვს გეგმის შემუშავებას, შემდეგ კი მას ახორციელებს სხვა პირი.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ჯგუფურად (პუნქტი „ე“). ამ პუნქტით ქმედების კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დანაშაულის შემადგენლობას აღასრულებდეს ორი პირი მაინც და ორივე იყოს ამსრულებელი. თანაც, არაა საჭიროა ისინი წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი. ამასთან, აუცილებელია ჯგუფის ორი წევრი მაინც იყოს შერაცხადი და პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული. თუ ამ მოთხოვნას მხოლოდ ერთი პირი აკმაყოფილებს, ქმედება არ ჩაითვლება ჯგუფის მიერ ჩადენილად. ჯგუფურად ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანებაა, მაგალითად, როცა ორი პირი წაქცეულს ფეხებს ურტყამს და ჯანმრთელობას მძიმედ უზიანებს, ანდა ერთი პირი აკავებს დაზარალებულს, მე-2 კი დანით აზიანებს მის სხეულს. თუ მხოლოდ ერთი პირია ამსრულებელი, ხოლო მეორე თანამონაწილე (მაგ., დამხმარე), მაშინ ქმედება ამ დამამძიმებელი გარემოებით არ დაკვალიფიცირდება. მაშინ ქმედების კვალიფიკაცია როგორც ამსრულებლის, ისე თანამონაწილის მიმართ მოხდება 117-ე მუხლის I ნაწილით, თუ სახეზე არ არის სხვა დამამძიმებელი გარემოება.

სსკ 117 მუხ. მე-6 ნაწილით დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. ეს დამამძიმებელი გარემოება ისე უნდა გავიგოთ, როგორც ამ მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებში.

სსკ 117-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულია რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება., კერძოდ „ა“ — ორი ან მეტი პირის მიმართ. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობას ამძიმებს ის, რომ დამნაშავე ჯანმრთელობას

უზიანებს ორ ან მეტ პირს, თანაც ერთიანი განზრახვით. სხვა სიტყვებით რომ ვთაქვათ, პირს დანაშაულის ჩადენამდე უნდა აღმოუცენდეს ორი ან მეტი პირის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების განზრახვა. როგორც წესი, ეს ქმედებები ერთდროულად ან ერთმანეთის მიყოლებით ხდება. თუმცა არაა გამორიცხული დროის მცირე მონაკვეთით მათი დაშორება.

თუ პირმა ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა ერთ ადამიანს, ხოლო შემდეგ თუნდაც დროის მცირე მონაკვეთის დაშორებით მაგრამ ახლად აღმოცენებული განზრახვით – მეორეს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტით, არამედ სსკ 117-ე მუხ. I ნაწ. და 117-ე მ. I ნაწილით[1].

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, განსაკუთრებული სისასტიკით(პ. „ბ“).

საერთოდ, ყოველგვარი ძალადობითი დანაშაული სისასტიკის გამოვლინებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია განსაკუთრებულ, წრეგადასულ სისასტიკეზე, როცა დამნაშავეს სიამოვნებას ჰგვრის ადამიანის ტანჯვა. მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ჩადენა წყლის ან საკვების მიუცემლობით; სხეულზე ცხელი უთოთი სიდამწვრის მიყენება, თვალების ამოწვა, ენის ამოჭრა, ცეცხლის ალით ხელ-ფეხის დაწვა, ძლიერი მჟავის სახეში შესხმა და ა.შ. ამასთანავე, აუცილებელია ჯანმრთელობის დაზიანებისათვის ისეთი ხერხისა და საშუალების შერჩევა, რომელიც დაზარალებულის ხანგრძლივ და ძლიერ ტანჯვას იწვევს. განსაკუთრებულ სისასტიკედ უნდა ჩაითვალოს ასევე მშობლის თვალწინ შვილის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან, პირიქით. „განსაკუთრებული სისასტიკე“ ამ დანაშაულის შეფასებითი ნიშანია, იგი იურიდიული ცნებაა. ამდენად, მისი დადგენა სასამართლოს პრეროგატივაა, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს საყოველთაოდ მიღებული ზნეობრივი ნორმებით.

ამ პუნქტით კვალიფიკაციისას სახეზე უნდა იყოს ორი კრიტერიუმი: ობიექტური (დაზარალებულს ადგება განსაკუთრებული ტანჯვა) და სუბიექტური (დამნაშავეს ეს გაცნობიერებული აქვს). ერთ-ერთი კრიტერიუმის არ არსებობა გამორიცხავს განსაკუთრებულ სისასტიკეს.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ანგარებით ან შეკვეთით(პ. „გ“) ანგარება ამ დანაშაულის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა. იგი დამძიმებულია დანაშაულის მოტივით. დანაშაულის ჩადენას ანგარებით

1 იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებები.

ადგილი აქვს შემდეგ ორ შემთხვევაში: ა) როცა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება დამნაშავისათვის არის რაიმე გამორჩენის მიღების საშუალება და ბ) როცა სხვისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება დამნაშავისათვის არის მატერიალური ვალდებულებისაგან გათავისუფლების საშუალება. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, დამნაშავე მიაღწევს თუ არა ანგარებით მიზანს. პირველ შემთხვევას ხშირად ადგილი აქვს ყაჩაღური თავდასხმის დროს, როცა დამნაშავე დაზარალებულს სხეულს მძიმედ უზიანებს, რადგან სხვა ხერხით მისი ქონების დაუფლება ვერ შესძლო. ასეთ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 179-ე და 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „გ“ პუნქტით. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ყაჩაღობის დროს ჩადენილი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ყოველთვის ანგარებითაა ჩადენილი. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ყაჩაღმა თვალები დაუზიანოს დაზარალებულს, რათა ამ უკანასკნელმა ვერ შეძლოს მისი ამოცნობა. ამ შემთხვევაში ყაჩაღობასთან ერთად ადგილი აქვს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით (117-ე მუხ. მე-3 ნაწ. „დ“ პუნქ.). ასევე შესაძლებელია, ყაჩაღმა მსხვერპლს ჯანმრთელობა შურისძიების მოტივით დაუზიანოს გაწეული წინააღმდეგობის საპასუხოდ. (179-ე და 117-ე მ. I ნაწ.).

სხვისი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ანგარებით შესაძლებელია განხორციელდეს ყაჩაღური თავდასხმის გარეშეც. მაგალითად, კაფეში მყოფმა ერთ-ერთმა კლიენტმა მეორეს ყავაში ჩუმად ჩაუყარა ძლიერმოქმედი წამალი, რითაც გამოიწვია ამ უკანასკნელის უგონო მდგომარეობა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. სანამ დაზარალებული გონს მოვიდოდა, იგი დაეუფლა მის პირად ნივთებს (ჩანთას, საფულეს ფულით, მობილურ ტელეფონს და სხვ.) და მიიმალა. მოცემულ შემთხვევაში საბეზე არაა ყაჩაღობა, რადგან არ განხორციელებულა ძალადობა ან მუქარა.

მეორე შემთხვევის მაგალითია, როცა მოვალე კრედიტორს ჯანმრთელობას მძიმედ უზიანებს (დააკარგვინა მეტყველების და სმენის ორგანოების ფუნქცია), რათა მან ვერ შესძლოს ვალის მოთხოვნა.

განსახილველი ქმედების ჩადენა შეკვეთით, როგორც წესი, ანგარებითი დანაშაულის ნაირსახეობაა, მაგრამ გამოირჩევა გარკვეული თავისებურებით. კერძოდ, შეკვეთით ჩადენილი დანაშაულის დროს ყოველთვის არის, სულ მცირე, ორი პირი: ერთი შემკვეთი და მე-2 ამსრულებელი.

შემკვეთი საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით შეიძლება იყოს როგორც ორგანიზატორი, ასევე წამქეზებელი (25-ე, 117-ე მუხ.). ყველა შემთხვევაში, თუ იგი ამავდროულად არ იყო ერთ-ერთი ამსრულებელი, მისი ქმედება წარმოადგენს თანამონაწილეობას. ხოლო ამსრულებელია ის პირი, ვინც შეკვეთის საფუძველზე სხვას ჯანმრთელობას მძიმედ დაუზიანებს. შეკვეთა შეიძლება გამოიხატოს ფულის ან სხვა მატერიალური ფასეულობის გადაცემაში ან დაპირებაში. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება შეკვეთით ჩადენილად უნდა ჩაითვალოს, როცა მას სჩადის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი, ვისაც „ხელფასს“ უხდიან იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში ადამიანების მიმართ ჩაიდინოს ძალადობით ქმედებები. ამდენად, ამ დროს არაა სავალდებულო, მას ამ კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის გადაუხადონ ფული ან მატერიალური ფასეულობა. შეკვეთად უნდა ჩაითვალოს შემთხვევა, როცა კრედიტორი მოვალეს ჰპირდება, რომ გაათავისუფლებს მატერიალური ვალდებულებისაგან, თუკი მოვალე სხვა პირის ჯანმრთელობას მძიმედ დაუზიანებს. შეკვეთით ჩადენილ დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს სხვისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მეგობრის ან ახლობლის თხოვნის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში ამსრულებელს არ ამოძრავებს რაიმე გამორჩენის მიღება და, ამდენად, არ არსებობს საფუძველი ასეთი ქმედება მიეიჩნიოთ მეტად გასაკიცხად და მომეტებული საშიშროების შემცველად. ასეთი ქმედება, თუ არ არსებობს სხვა დამამძიმებელი გარემოება, უნდა დაკვალიფიცირდეს 117-ე მუხ. I ნაწილით. ხოლო იმ პირის ქმედება ვინც ამსრულებელს სთხოვა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ჩადენა დაკვალიფიცირდება 25, 117-ე მუხლის I ნაწილით.

შეკვეთით ჩადენილად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როცა ხელქვეითი ხელმძღვანელი პირის ბრძანების საფუძველზე ჩაიდენს ამ დანაშაულს, რათა შეინარჩუნოს სამსახური, ასევე კრიმინალური ავტორიტეტის დავალებით პირი ჩაიდენს ჯანმრთელობის დაზიანებას. ამდენად ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს „თხოვნა“ და „დავალება“.

დაზარალებულის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (პ. „დ“) მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია, რადგან აქ დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების საფუძველია დამნაშავის მიზანი – გამოიყენოს დაზარალებულის სხეულის

რომელიმე ორგანო, ორგანოს ნაწილი ან ქსოვილი გადანერგვისათვის (ტრანსპლანტაციისათვის) ან სხვაგვარად. ამ მიზნის მისაღწევად იგი სწირავს სხვის ჯანმრთელობას. მაგალითად, დაზარალებულს მისი ნების გარეშე ამოაცლიან თირკმელს ან თვალს გადასანერგად. თუ პირის მიზანია დაზარალებულის სხეულიდან ამოღებული ორგანო „შავ ბაზარზე“ გაყიდოს ტრანსპლანტაციისათვის, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს „გ“ პუნქტით – ანგარებით. საერთოდ, ადამიანის სხეულიდან რომელიმე ორგანოს ან ქსოვილის ამოღება გადანერგვისათვის უნდა მოხდეს კანონის
1 მოთხოვნათა ზუსტი დაცვით.

სხვაგვარად გამოყენების მიზანში იგულისხმება მოკვეთილი ან ამოღებული სხეულის ორგანოს თუ მისი ნაწილის გამოყენება რელიგიური რიტუალის შესასრულებლად ან კანიბალური მიზნით (ადამიანის ხორცის საკვებად გამოყენება) და სხვა.

თუ თავდაპირველად აღგილი აქვს ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღებისათვის პირის იძულებას (მუქარით, შანტაჟით, ძალადობით) ისე, რომ ჯერ რეალურად აღებული არ იყო სხეულის ეს ნაწილები, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 134-ე მუხლით.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის(გარდა ამ კოდექსის 110-ე – 114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა.)

2006 წლის აპრილის საკანონმდებლო ცვლილებამდე ამ დამამძიმებელ გარემოებაში არ იყო გათვალისწინებული შენიშვნა: „გარდა ამ კოდექსის 110-114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობისა“. ამდენად, მაშინ არაერთგზისობა იმას ნიშნავდა, რომ ამ დამამძიმებელი გარემოების ამსრულებელი იყო მხოლოდ ის პირი, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა 117-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება. დღეისათვის კი არაერთგზისად ჩაითვლება არა მარტო ის შემთხვევა, როცა პირს ადრე ჩადენილი აქვს 117-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება, არამედ როცა მას ადრე ჩადენილი ჰქონდა მკვლელობა (108-109-ე მუხ.), ამასთან აუცილებელია ადრე ჩადენილი დანაშაულისთვის (117, 108-ე ან 109-ე მუხ.) იგი ნასამართლევი იყოს.

არაერთგზისობისას ნასამართლობა არ უნდა იყოს მოხსნილი ან გაქარწყლებული.

თუ პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და ამ ქმედებისთვის არ ყოფილა ნასამართლევი, იგივე ქმედე-

ბის კვლავ ჩადენის შემთხვევაში კვალიფიკაცია მოხდება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების I ნაწილით. კერძოდ, 117-ე მუხლის I ნაწილით და 117-ე მუხლის I ნაწილით. სასჯელი დაენიშნება თითოეული ეპიზოდისთვის ცალ-ცალკე და შემდეგ ეს სასჯელები შეიკრიბება (59-ე I ნაწ.) უკეთუ პირს სამჯერა აქვს ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (117 მ. I ნაწ.), სასჯელი სამივე ეპიზოდზე ცალ-ცალკე დაინიშნება და შემდეგ ისინი შეიკრიბება (და ა.შ.).

სსკ 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა" პუნქტით დამამძიმებელი გარემოებაა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება **იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 108-ე, 109-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობა**. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა პირი ადრე ჩადენილი მკვლელობისთვის **არაა ნასამართლევი**. ამ დროს კვალიფიკაცია მოხდება როგორც 117-ე მუხლის მე-7 ნ. „ა" ქვეპუნქტით, ისე განზრახი მკვლელობის შესაბამისი მუხლით.

სსკ 117-ე მუხლის მე-8 ნაწილით მაკვალიფიცირებელი გარემოება ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. ეს გარემოება უნდა გავიგოთ ისე, როგორც 117-ე მუხლის მე-2 ნაწილში.

პრობლემურია საკითხი: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, როცა სახეზეა სსკ 117 ე მუხლის რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება და ისინი გათვალისწინებულია 117 ე მუხლის სხვადასხვა ნაწილებში (III, V და VII ნაწ.).

მაგალითად, ადრე 117-ე მუხლით ნასამართლევმა პირმა წინასწარ შეცნობით ორსულ ქალს ჯანმრთელობა განზრახ მძიმედ დაუზიანა და გამოიყენა ისეთი საშუალება, რაც საფრთხეს უქმნიდა სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას (მაგ. ხალხმრავალ ქუჩაში ცეცხლსასროლი იარაღით ფეხებში ესროლა ტყვიები). მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სსკ 117 ე მ. III, V და VII ნაწ. გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ქმედების კვალიფიკაცია მოხდეს ამ ნაწილებზე მითითებით?

სსკ 117 ე მუხლის რედაქცია ერთის შეხედვით ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მისი მხოლოდ III ნაწილი მოიცავს I ნაწილს, როგორც ძირითად შემადგენლობას. ხოლო დანარჩენი ნაწილები (V,VII) თავისთავში მოიცავს ამ მუხლის მხოლოდ I ნაწილს, მაგრამ V ნაწილი არ მოიცავს მესამეს;

მე 7 ნაწილი არ მოიცავს მესამეს და მეხუთეს. ასეთი შთაბეჭდილება იქმნება. რადგან V და VII ნაწილების დისპოზიცია არ იწყება სიტყვებით „იგივე ქმედება“, არამედ სიტყვებით: „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი“:

სინამდვილეში კი სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. საქმე ისაა რომ მე 5 და მე 7 ნაწილების დისპოზიციაში სიტყვები „იგივე ქმედება“ ვერ ჩაჯდება რედაქციული მოუხერხებლობის გამო. ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ 117 ე მუხლის მე 5 ნაწილი მოიცავს ყველა ზედა ნაწილების, მათ შორის, მე 2 და მე 4 ნაწილსაც (რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა), ასევე მე 7 ნაწილი მოიცავს ყველა ზედა ნაწილს, მათ შორის მე–2, მე 4 და მე 6 ნაწილებს (რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა), რაც დაუშვებელია, რადგან მე 4 ნაწილით გათვალისწინებული სიცოცხლის მოსპობა უნდა იყოს მე 3 ნაწილში (და არა მე 5 ნაწილში) ჩამოთვლილი დამამძიმებელი გარემოებების თანამდევი შედეგი; მე 6 ნაწილით გათვალისწინებული სიცოცხლის მოსპობა კი მე 5 ნაწილში (და არა მე 7 ნაწილში) ჩამოთვლილი გარემოებების თანამდევი შედეგი და ა.შ.

ამდენად, კანონმდებელმა 117 ე მუხ. V და VII ნაწილების დისპოზიციაში კვლ ჩასვა სიტყვები „იგივე ქმედება“ რედაქციული მოუხერხებლობის გამო, მაგრამ იგულისხმება, რომ ყოველი ახალი დამამძიმებელი გარემოება მოიცავს ზედა ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებასაც (V ნაწ. მოიცავს მესამეს, მე 7 მეხუთეს) და კვალიფიკაციისას ზედა ნაწილებზე მითითება არაა საჭირო, რადგან ასეთ შემთხვევაში ხელოვნურად შეიქმნება დანაშაულთა ერთობლიობა იქ, სადაც არ არის (ზემოთ მოყვანილ მაგალითში არც რეალური ერთობლიობაა სახეზე და არც იდეალური).

განხილულ შემთხვევაში ყველა ეს დამამძიმებელი გარემოება უნდა დაფიქსირდეს ბრალდების ფორმულირებაში, მაგრამ კვალიფიკაცია უნდა მოხდეს მხოლოდ ყველაზე დამამძიმებელი ნაწილის მითითებით (ჩვენს მაგალითში სსკ 117 ე მუხ. VII ნაწილზე მითითებით).

ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება (მუხლი 118-ე)

სსკ 118-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სისხლის-სამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხრივ იგი გამოიხატება როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში, დამდგარ შედეგში და მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და შედეგს შორის. ამდენად, საჯეზეა მატერიალური შემადგენლობა, ე.ი. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა სსკ 118-ე მუხლში ჩამოთვლილი მძიმე შედეგებიდან ერთ-ერთის დადგომა. ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება იმით განსხვავდება მძიმე დაზიანებისაგან, რომ იგი არ არის სიცოცხლისათვის საშიფათო და არც იმ შედეგებს იწვევს, რომელიც ჩამოთვლილია 117-ე მუხლში (მხედველობის, სმენის, მეტყველების ან სხვა ორგანოს, ან მისი ფუნქციის დაკარგვა და ა.შ.). ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის დამახასიათებელია: ა) ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა; ბ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი, ერთ მესამედზე ნაკლებად დაკარგვა.

როგორც ვხედავთ აქ შემოდის ახალი ცნება: „ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა“. ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა საჯეზეა მაშინ, როცა ადამიანის რომელიმე ორგანოს ავადმყოფური მდგომარეობა 21 დღეს სჭარბობს. ამ ხნის განმავლობაში პირი მწოლიარე მდგომარეობაშია, ამასთანავე მას წართმეული აქვს შრომისუნარიანობა. თუ ასეთი მდგომარეობა 21 დღემდე აღწევს, მაგრამ მას არ სჭარბობს, ადგილი აქვს ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას.

ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების მე-2 ნიშანია საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვა ერთ მესამედზე ნაკლებად. განსხვავებით ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლისაგან, საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვისას ადგილი არა აქვს ადამიანის სხეულის რომელიმე ორგანოს ისეთ ავადმყოფურ მდგომარეობას, რომელიც სწრაფად ემორჩილება მკურნალობას. პირიქით, საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვისას ადამიანის ორგანიზმი, მიყენებული დაზიანების გამო (მაგალითად, ამოღებულია თირკმლის ნაწილი), დასუსტებულია და დაზარალე-

ბული შრომისუნარიანობას კარგავს მყარად, ე.ი. სამუდამოდ, ანდა 120 დღეზე მეტად. განსხვავებით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისაგან, აქ შრომისუნარიანობის დაკარგვა ხდება ერთ მე-3დზე ნაკლებად (10-დან 33%-მდე). თუ რამდენი პროცენტითაა დაკარგული შრომისუნარიანობა, ამ საკითხს საზღვრავს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

მაგალითად, ჩხუბში პირმა მეორეს კიდურები დაუზიანა. დაზარალებულმა შრომისუნარიანობა დაკარგა 25%-ით ორი წლის განმავლობაში. მართალია, ამ შემთხვევაში შრომისუნარიანობა მყარადაა დაკარგული (120 დღეზე მეტი ხნით), მაგრამ ვინაიდან იგი დაკარგულია 1/3-ზე ნაკლებად (25%), ქმედება დაკვალიფიცირდება არა 117-ე, არამედ 118-ე მუხლით.

ასევე როცა პირი მეორეს პროფესიული შრომისუნარიანობას ნაწილობრივ (და არა მთლიანად) დააკარგვინებს თუნდაც სამუდამოდ, ქმედება დაკვალიფიცირდება არა 117-ე, არამედ 118-ე მუხლით, ეს იმიტომ, რომ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის აუცილებელია პროფესიული შრომისუნარიანობა დაკარგული იყოს მყარად და ამავე დროს სრულიად. (და არა ნაწილობრივ).

„წესები სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის შესახებ“ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას მიაკუთვნებს: ერთ ყურში სმენის დაკარგვას, ხელში საჩვენებელი ან ცერა თითის დაკარგვას, წვრილი ძვლების დახურულ მოტეხილობას, ფეხის თითის დაკარგვას, ხერხემლის ფუნქციის მსუბუქი ხარისხით დაზიანებას, თირკმლის ნაწილის ამოღებას და სხვა.

დანაშაულის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული ხასიათდება განზრახვის ორივე ფორმით – როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. განზრახვის დასაბუთებისათვის საკმარისია პირს გაცნობიერებული ჰქონდეს მისი ქმედების ფაქტობრივი შედეგი (მაგალითად, პირმა იცის, რომ მის ქმედებას მოჰყვება სხვა პირის ცალ ყურში დაყრუება) და არაა საჭიროებულო იცოდეს, თუ დაზიანების რომელ სახეს (მძიმე, ნაკლებად მძიმე თუ მსუბუქი) მიეკუთვნება იგი.

სსკ 118-ე მუხლის მე-2 ნაწილი კვალიფიცირებულია თანამდევი შედეგით, კერძოდ: იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. აქ სახეზეა ე.წ. ბრალის რთული (ორმაგი) ფორმა – განზრახვა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მიმართ და გაუფრთხილებლობა

სიკვდილის მიმართ. (იხ. 117-ე მუხლის II ნაწ. კომენტარი). აქ უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება არ არის სახიფათო სიცოცხლისათვის და არ იწვევს 117-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგს, ამდენად, ამ შემთხვევაში სიკვდილის მიმართ გაუფრთხილებლობის დასაბუთება ძნელია. სიკვდილი არაა ტიპური შედეგი ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის. ამის მიუხედავად გაუფრთხილებლობის დასაბუთება სიკვდილის მიმართ შესაძლებელია. საქმე ისაა, რომ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან. სწორედ ამიტომ აუცილებელია სათანადო მკურნალობის ჩატარება, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი თავისთავად ვერ განიკურნება. მაგალითად, როცა მოჭრილია ხელის თითის თუნდაც ნაწილი, თუ დაჭრილს არ ჩაუტარდა სათანადო სამედიცინო დახმარება, შეიძლება დადგეს სიკვდილი. მართალია, ზიანის მიყენების მომენტში, ამგვარი ჭრილობა არ უქმნის საფრთხეს სიცოცხლეს, მაგრამ თუ მკურნალობა დაგვიანდა, იგი მაინც შეიძლება ლეტალური შედეგით დამთავრდეს. ასეთივე შედეგი შეიძლება დადგეს არასწორი მკურნალობის დროს, ყველაფერი ამის გათვალისწინება დამნაშავეს შეუძლია და ვალდებულიც არის.

სსკ 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები უკვე განვიხილეთ 117-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოებების განმარტებისას და ამდენად, აქ მათზე არ შევჩერდებით.

სსკ 118-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული ამ **მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.** აქ ნაგულისხმევია შემთხვევა, როცა თანმდევი შედეგი (სიკვდილი) მიჰყვება 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებათაგან თუნდაც ერთ-ერთს (მაგალითად, წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია მისი სიკვდილი).

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (სსკ 120-ე მუხლი)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხრივ იგი გამოიხატება: ა) როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში. ბ) შედეგში და გ) მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ქმედებამ უნდა გამოიწვიოს შემდეგი შედეგები: 1. ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან 2. საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა. როგორც ვხედავთ, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ორი სახისაა: ერთი, რომელიც იწვევს ჯანმრთელობის მოშლას (ხანმოკლედ) და მე-2, რომელიც არ იწვევს ჯანმრთელობის მოშლას, მაგრამ შედეგად მოჰყვება შრომისუნარიანობის უმნიშვნელო, არამყარი დაკარგვა.

ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ნიშნავს იმას, რომ ადამიანის ორგანიზმის რომელიმე ორგანოს ავადმყოფური (მწოლიარე) მდგომარეობისათვის საჭირო მკურნალობა გრძელდება 6 დღიდან 21 დღემდე, 6 დღეზე ნაკლები დროით აუცილებელი მკურნალობის საჭიროება საერთოდ არ ითვლება ჯანმრთელობის დაზიანებად. ასეთ შემთხვევაში დამნაშავის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 125-ე მუხლით (ცემა).

საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა ნიშნავს შრომისუნარიანობის დაკარგვას 5-დან 10%-მდე. თუ შრომისუნარიანობა 5%-ზე ნაკლებადაა დაკარგული, დაზიანება არ ჩაითვლება ჯანმრთელობისათვის მსუბუქად. ამ შემთხვევაშიც პირის ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ 125-ე მუხლით (ცემა).

ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას მიეკუთვნება: დაბეჟილობა, სისხლნაჟღენთები; მხედველობისა და სმენის ისეთი შესუსტება, რამაც გამოიწვია შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა; ცხვირისა და ყბის გაბზარვა და ა.შ.

ამ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი.

სუბიექტური მხრივ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ 121-ე მუხლი)

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა. ეს გასაგებიცაა, რადგან ფიზიოლოგიური აფექტი არის ისეთი უეცრად აღძრული, სწრაფწარმავალი ძლიერი ემოციური განცდა, რომელიც ამცირებს პირის უნარს, შეიგნოს მის მიერ ჩადენილი ქმედების მნიშვნელობა და შედეგი (ინტელექტუალური მხარე), ასევე ამცირებს პირის შესაძლებლობას, თავი შეიკავოს ამ ქმედებისაგან (ნებელობითი მხარე).

უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვებისათვის (აფექტისათვის) დამახასიათებელი ნიშნები, აფექტის სახეები და ის მიზეზები, რომელსაც კანონმდებელი ე.წ. მისატევებელი აფექტის გამომწვევად თვლის, ზუსტად შეესაბამება სსკ 111-ე მუხლში გათვალისწინებული აფექტის ნიშნებს (განზრახი მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში). ეს ორი დანაშაული ერთმანეთისაგან განსხვავდება განზრახვის მიმართულებითა და შედეგით. კერძოდ, 111-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენის განზრახვა მიმართულია პირის მოკვლისაკენ. შესაძლებელია, მისი განზრახვა მიმართული იყოს ნებისმიერი მძიმე შედეგის დადგომისაკენ. ასეთ შემთხვევაში კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დამდგარი შედეგის მიხედვით. სსკ 121-ე მუხლით გათვალისწინებულ აფექტურ მდგომარეობაში მყოფი პირის განზრახვა არაა მიმართული სხვისი სიცოცხლის მოსპობისაკენ, იგი მიმართულია ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისაკენ. მაგრამ, როგორ უნდა დაადგინოს სასამართლომ, თუ საითკენ იყო მიმართული დამნაშავის განზრახვა? როგორც წესი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობის გასვლის შემდეგ პირს თითქმის არაფერი ახსოვს: რა გააკეთა, რას ფიქრობდა. ამ შემთხვევაში განზრახვის მიმართულების დადგენაში დაგვეხმარება პირის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათის გაანალიზება. ასე მაგალითად, თუ აფექტის დროს პირმა ცეცხლსასროლი იარაღიდან მსხვერპლს ტყვია დაახალა გულის არეში, მაგრამ ეს უკანასკნელი სიკვდილს გადაურჩა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ 121-ე

მუხლით, არამედ მე-19, 111-ე მუხლით – აფექტში ჩადენილი მკვლელობის მცდელობით. თუ აფექტის მდგომარეობაში პირი სხეულის ისეთ ადგილებს დაუზიანებს პირს, რომელიც არ მოწმობს მკვლელობაზე მის განზრახვას (დაუზიანებს ხელს, ფეხს, სახეს და ა.შ.) და ამ დაზიანებას შედეგად მოჰყვება ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 121-ე მუხლით.

თუ ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში პირმა ჯანმრთელობა მსუბუქად დაუზიანა სხვას, ასეთი ქმედება საერთოდ არ გვაძლევს დანაშაულის შემადგენლობას. კანონმდებლის ასეთი პოზიცია ემყარება ორ მომენტს:

1. ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება პირის ჯანმრთელობას არ უქმნის სერიოზულ საფრთხეს. 2. ეს შედეგი გამოწვეულია ძლიერ სულიერ აღელვებაში მყოფი პირის ქმედებით, რომლის შერაცხადობის უნარი შემცირებულია. 3. პირის ასეთი მდგომარეობა (შეზღუდული შერაცხადობა) გამოწვეულია მსხვერპლის მაპროვოცირებელი ქმედებით.

ამ დანაშაულის ამსრულებელია ყოველი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი[1].

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული განზრახია, ამასთანავე, მისი ჩადენა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

აფექტის მდგომარეობაში არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია. არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს არ სურს მძიმე შედეგის დადგომა. მას გაცნობიერებული აქვს, რომ მის ქმედებას შეიძლება მოჰყვეს ისეთი შედეგი, რომლის დადგომასაც იგი ან ეგუება ან გულგრილია მის მიმართ (ე.ი. მისთვის სულერთია დადგება ეს შედეგი თუ არა). თუკი პირს შედეგის მიმართ ამგვარი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების უნარი გააჩნია, გამოდის, რომ არც ყოფილა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

---

1 მიგვაჩნია, რომ 14 წლის ახალგაზრდას ძლიერი სულიერი აღელვების (აფექტის) მდგომარეობაში არ შესწევს უნარი თავი შეიკავოს გარკვეული ქმედებისაგან. უფრო გამართლებული იქნებოდა ამ მუხლით პასუხისმგებლობის დაკისრება 16 წლიდან

ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით (სსკ 122-ე მუხლი)

შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანების ერთ-ერთი სახეა ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა.

განსახილველი დანაშაული განსხვავდება სსკ 113-ე მუხლისაგან დამდგარი შედეგით – 113-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დგება სიკვდილი, ხოლო განსახილველი დანაშაულის (122-ე მუხლი) შემთხვევაში – ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. ამ შემთხვევაში არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ორი დანაშაული ერთმანეთისაგან შედეგის მიმართ განზრახვის მიმართულებით განსხვავდება. ეს იმიტომ, რომ დანაშაულის ჩადენა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით შეუძლებელია პირდაპირი განზრახვით. იგი მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი. აუცილებელი მოგერიების დროს მომგერიებელს შეიძლება გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ მის მიერ გამოყენებული საშუალება შესაძლოა, აშკარად შეუსაბამოა თავდამსხმელის მიერ გამოყენებული საშუალების საშიშროებასთან, რასაც შედეგად მოჰყვება თავდამსხმელის სიკვდილი, მაგრამ იგი მაინც იყენებს მას. მისი მიზანია თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა ხელყოფისაგან. იგი, ასევე შესაძლებელია უშვებს, რომ მის მიერ გამოყენებულ საშუალებას, რომელიც აშკარად შეუსაბამოა თავდამსხმელის მიერ გამოყენებული საშუალების საშიშროებასთან, შეიძლება მოჰყვეს რაიმე მძიმე შედეგი (მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება), რომელიც მას არ სურს, მაგრამ მის დადგომას ეგუება. თუკი მომგერიებელს გაცნობიერებული აქვს, რომ მის მიერ გამოყენებული თავდაცვის საშუალება აშკარად შეუსაბამოა თავდასხმის საშიშროებასთან და ხასიათთან, რომ ასეთი საშუალება არაა საჭირო მოგერიებისათვის, მას სხვა გზითაც შეძლებს, ასევე გაცნობიერებული აქვს, რომ მძიმე შედეგი აუცილებლად

დადგება ან სურს ასეთი შედეგის დადგომა, გამოდის, რომ მისი მიზანი თავდაცვა კი არა, შურისძიება, სამაგიეროს მიზღვაა. ამდენად, ამ დროს ადგილი არა აქვს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებას, არამედ ადგილი აქვს ჩვეულებრივ განზრახ დანაშაულს (მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას).

საკითხის გადასაწყვეტად, ჰქონდა თუ არა ადგილი აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხელმყოფთა რაოდენობა, მათი შეიარაღება, ფიზიკური მდგომარეობა, სქესი, შემთხვევის დრო (დღეა თუ ღამე), ადგილი (ხალხმრავალი ქუჩა თუ მიყრუებული უბანი) და სხვა.

ვინაიდან ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით არ შეიძლება ჩადენილი იყოს პირდაპირი განზრახვით, ამდენად, გამორიცხულია მისი მცდელობა. არ შეიძლება პირი ცდილობდეს გადააცილოს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, იგი შეიძლება ცდილობდეს დაიცვას თავი ან სხვა პირი (მაგრამ ამ დროს გადააცილა დაშვებული ფარგლები). ამიტომ, თუკი პირის ქმედებას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს შედეგად არ მოჰყვება კანონში მითითებული არც ერთი შედეგი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია. ასევე გამორიცხულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებას შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სამართლიანია, ვინაიდან პირი ხელმყოფელის მოქმედების გამო იმყოფება ექსტრემალურ ვითარებაში და ცდილობს მოგერიებას. თუ იგი ამ დროს გადაამეტებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს და ჯანმრთელობას მხოლოდ მსუბუქად დაუზიანებს ხელმყოფს, პასუხი არ უნდა მოეთხოვოს.

შეიძლება მოხდეს ისე, რომ ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით შედეგად მოჰყვეს დაზარალებულის სიკვდილი. შესაძლებელია თუ არა ამ დროს სიკვდილის მიმართ გაუფრთხილებელი ბრალის დასაბუთება? მიგვაჩნია, რომ არა, რადგანაც პირი, რომელიც აუცილებელი მოგერიების ვითარებაში აღმოჩნდება, აღელვებულია, არაა გამორიცხული ძლიერი სულიერი აღელვებაც. ეს კი ხელს უშლის მას გაითვალისწინოს მისი მოქმედების თანამდევი შედეგი; მაგალითად, აუცილებელი მოგერიების

ფარგლებს გადაცილებისას პირმა დანა ჩაარტყა ხელმყოფს მკლავში და ჯანმრთელობა ნაკლებად მძიმედ დაუზიანა. რამდენიმე დღეში ეს პირი გარდაიცვალა. ძნელია სიკვდილის მიმართ მომგერიებლის გაუფრთხილებლობის დასაბუთება.

საქართველოს სსკ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, ვინაიდან 122-ე მუხლში არაფერია ნათქვამი გაუფრთხილებლობაზე, ამ დანაშაულის ჩადენა გაუფრთხილებლობით შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს[1].

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვით.

ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი[2].

ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით (მუხლი 123-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა.

ეს დანაშაული შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანების ნაირსახეობაა.

ობიექტური მხრივ იგი გამოიხატება მოქმედებაში, კერძოდ, დამნაშავისათვის ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაში მისი შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით. ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება იმავე ვითარებაში არ იწვევს სს პასუხისმგებლობას.

სიტყვა „დამნაშავე" აქ იურიდიული ფიქციაა, მასში იგულისხმება არა მარტო ის, ვის მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, არამედ ისიც, ვინც ჩაიდინა ქმედება, რაც შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას. სსკ 29-ე მ. II ნაწილით დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი

1 იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება შეიძლება გაუფრთხილებლობითაც, ასევე, გადაცილება არსებობს დროში.
2 აქაც, ისევე როგორც სსკ 121-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისას, მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებლობის დაკისრება 14 წლის მოზარდისათვის.

პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და და შეპყრობის გარემოებებთან[1].

შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შეუსაბამობა ნიშნავს ისეთი საშუალების გამოყენებას დამნაშავის შესაპყრობად, რომელიც აშკარად უფრო მძიმე შედეგს იწვევს, ვიდრე ის დანაშაული, რაც შეპყრობილმა პირმა ჩაიდინა. მაგალითად, პირმა სცემა ვინმე, ხოლო პოლიციელმა მისი შეპყრობის დროს ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა დანაშაულის ჩამდენს. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აშკარად უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ცემა. რაც უფრო მეტი საშიშროების დანაშაული აქვს ჩადენილი პირს, მით მეტი ძალადობის გამოყენება შეიძლება მისი შეპყრობის დროს (თუ, რა თქმა უნდა, სხვაგვარად მისი შეპყრობა ვერ ხერხდება).

შეპყრობის გარემოებებში იგულისხმება შემდეგი ფაქტობრივი ვითარება: ა) ცდილობდა თუ არა პირი გაქცევას ან ბ) უწევდა თუ არა დამნაშავე შემპყრობელს წინააღმდეგობას და რამდენად საშიში იყო ეს წინააღმდეგობა, იყო თუ არა შეიარაღებული დამნაშავე, როგორი იყო მისი ფიზიკური მონაცემები, დამნაშავეთა რაოდენობა, შეპყრობის ადგილი, დრო და ა.შ. მაგალითად, დაუშვებელია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ქუჩაში, სადაც ხალხი მოძრაობს (თუ არ არსებობს აუცილებელი მოგერიების ვითარება), თუნდაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის შეპყრობა სხვაგვარად არ ხერხდებოდეს. ასევე დაუშვებელია დამნაშავის ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება მაშინ, როცა მისი შეპყრობა ადვილია. მაგალითად, მოქალაქეებმა დამნაშავე მოიმწყვდიეს სახლის კუთხეში, საიდანაც იგი ვერ გაიქცეოდა, ამის მიუხედავად, შეპყრობისას მას ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანეს.

განსახილველი დანაშაული მატერიალურია. იგი დამთავრებულია, თუ აუცილებელი ზომის გადაცილებას შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. თუ შედეგად დადგა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, შემპყრობელი პასუხს არ აგებს, თუნდაც გადააცილოს დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის ფარგლებს (მაგალითად, დამნაშავის შეპყრობა ამგვარი დაზიანების გარეშეც შესაძლებელი იყო). ამ დანაშაულის მსხვერპლია ის, ვინც შეპყრობასაც ცდილობენ. უკეთუ ჯანმრთელობა მძიმედ ან ნაკლებად დაუზიანდა მე-3 პირს (მაგ.,ქუჩაში

1 მიგვაჩნია, რომ ამ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობა უკვე ნიშნავს აუცილებელი ზომის გადაცილებას, ამიტომ „და“ კავშირის ნაცვლად 29-ე მუხ. მე-2 ნაწ. უნდა იყოს „ან“ კავშირი.

შემთხვევით მდგომს), ქმედება სსკ 123-ე მუხლით არ დაკვალიფიცირდება, არამედ დაკვალიფიცირდება 117-ე ან 118-ე მუხლით.

სსკ 123-ე მუხლი 114-ე მუხლისაგან განსხვავდება მხოლოდ შედეგით – პირველ შემთხვევაში დგება დამნაშავის სიკვდილი, ხოლო მე-2 შემთხვევაში – ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება.

სუბიექტური მხრივ 123-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება განზრახია, კერძოდ, ადგილი აქვს არაპირდაპირ განზრახვას. ამასთანავე, აუცილებელია შემპყრობელს ამოძრავებდეს არა დამნაშავესთან თვითანგარიშის გასწორების სურვილი, არამედ მისი სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის მიზანი. თუ შეპყრობა მოხდა ანგარიშის გასწორების მიზნით, რა დროსაც მძიმედ ან ნაკლებად მძიმედ დაზიანებულ იქნა დამნაშავის ჯანმრთელობა, ქმედება დაკვალიფიცირდება არა სსკ 123-ე მუხლით, არამედ 117-ე ან 118-ე მუხლებით.

სსკ 123-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა არ შეიძლება პირდაპირი განზრახვით. თუკი შემპყრობელს გაცნობიერებული აქვს, რომ აიცილებს დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელ ზომას, ისიც აქვს გათვალისწინებული, რომ ამ ქმედებას მოჰყვება ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება და სურს ეს შედეგი, ანდა გაცნობიერებული აქვს ასეთი შედეგის გარდაუვალობა, მაშინ გამოდის, რომ მისი მიზანი დამნაშავის სათანადო ორგანოებისათვის გადაცემა კი არ ყოფილა, არამედ სამაგიეროს მიზღვა. ასეთ შემთხვევაში კვალიფიკაცია 123-ე მუხლით არ მოხდება, არამედ ქმედება დაკვალიფიცირდება 117-ე ან 118-ე მუხლებით.

ვინაიდან 123-ე მუხლის სუბიექტური მხარე არაპირდაპირ განზრახვაში გამოიხატება, შეუძლებელია დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილების მცდელობა. ლოგიკურადაც ასეა: პირი შეიძლება ცდილობდეს დამნაშავის შეპყრობას, მაგრამ არ შეიძლება ცდილობდეს გადააცილოს მისი შეპყრობისათვის აუცილებელ ზომას.

სსკ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, არ შეიძლება სსკ 123-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა გაუფრთხილებლობით.

თუკი შემპყრობელმა გაუფრთხილებლობით გადაამეტა შეპყრობისათვის აუცილებელ ზომას, იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში არ მიეცემა. მაგალითად, შეპყრობის მიზნით პირმა ხელები ამოუტრიალა

დამნაშავეს, (მისი შეპყრობა ხელების ამოტრიალების გარეშეც შესაძლებელი იყო). რომელიც ამ დროს წაბორძიკდა, წაიქცა და ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანდა თავის ასფალტზე დარტყმის შედეგად.

ამ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ყველა შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ დამნაშავის შეპყრობა მოქალაქისათვის არაა ვალდებულება, იგი მისი უფლებაა, ხოლო პოლიციელისათვის იგი სამსახურებრივი მოვალეობაა.

ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით (მუხლი 124-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხრივ იგი გამოიხატება: ა) ქმედებაში (მოქმედებასა ან უმოქმედობაში), ბ) დამდგარ შედეგში (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებაში) და გ) მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

სსკ 117-ე და 118-ე მუხლებისაგან განსახილველი დანაშაული განსხვავდება მხოლოდ ბრალის ფორმით.

სუბიექტური მხრივ 124-ე მუხლი გაუფრთხილებელი დანაშაულია. საერთოდ, გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩადენის დროს პირი არღვევს წინდახედულობის (უსაფრთხოების) ნორმას. არსებობს ზოგადი უსაფრთხოების ნორმა (ყოფაცხოვრებაში გამოცდილებით დამკვიდრებული, დაუწერელი გამაფრთხილებელი წესები) და სპეციალური წინდახედულობის ნორმა. ეს უკანასკნელი დადგენილია შესაბამისი ორგანოს მიერ წერილობითი სახით. მისი დაცვა მოეთხოვება იმ პირს, ვისაც გაცნობილი აქვს ეს დაწერილი წინდახედულობის წესები (მაგალითად, სამედიცინო პუშაკს). გაუფრთხილებლობა შეიძლება გამოვლინდეს თავისი ორივე სახით – როგორც თვითიმედოვნებით, ასევე დაუდევრობით. თვითიმედოვნებისა და დაუდევრობის ცნება მოცემულია სსკ მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში. თვითიმედოვნებით ჯანმრთელობის დაზიანების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი შემთხვევა: ცეცხლსასროლი იარაღით სროლაში გამოცდილმა პირმა მეგობრებთან ყოფნისას მოაწყო შემდეგ-

ნაირი სანახაობა: ერთ-ერთი ამხანაგი დააყენა კედელთან, თავზე დაადგა ღვინით სავსე ჭიქა და დაუმიზნა იარაღი. მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ, საზოგადოდ, ამგვარი მოქმედება აკრძალულია წინდახედულობის ნორმით და მართლსაწინააღმდეგო შედეგიც შეიძლება მოჰყვეს. იგი ამ შემთხვევაში იმედს ამყარებდა თავის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებაზე და იმედოვნებდა, რომ მძიმე შედეგს აიცილებდა თავიდან – ტყვია აუცილებლად ჭიქას მოხვდებოდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვარაუდი არ გაუმართლდა, ტყვია მეგობარს მოხვდა და ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა. პირი, რომელიც უგულვებელყოფს ნორმატიულ ვალდებულებას და გადაჭარბებულად აფასებს საკუთარ შესაძლებლობას, უპასუხისმგებლოდ მოქმედებას.ეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 124-ე მუხლით.

დაუდევრობის მაგალითია შემდეგი შემთხვევა: ნ-მ კედლიდან ჩამოხსნა სანადირო თოფი და ხუმრობით დაუმიზნა მასთან სტუმრად მყოფ დ-ს. ნ-მ დარწმუნებულმა იმაში, რომ თოფში ტყვიები არ იყო, შემთხვევით ხელი გამოჰკრა სასხლეტს, რა დროსაც ტყვია გავარდა და ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა სტუმარს. ნ-ს დაუდევრობა იმაში გამოიხატება, რომ იგი ვალდებული იყო შეემოწმებინა, იარაღში ხომ არ იდო ტყვია. მას წინდახედულება რომ გამოეჩინა და დაფიქრებულიყო თავის მოქმედებაზე, სანამ კონკრეტულ ქმედებას ჩაიდენდა, უთუოდ გააკეთებდა ამას. სწორედ მისი დაუფიქრებლობა არის უპასუხისმგებლობის გამოვლინება, რაც გაკიცხვის ღირსია და დაუდევრობაც ამაში გამოიხატება.

თუ ზემოხსენებულ შემთხვევებს დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 116-ე მუხლით ხოლო, თუ ამგვარ გაუფრთხილებლობას შედეგად მოჰყვა პირის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, იგი საერთოდ არ მიეცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. ამდენად, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება გაუფრთხილებლობით, დანაშაულად არ ითვლება.

სსკ 124-ე მუხლის ამსრულებელი არის ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი.

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა[1]. მართალია, ცემა არ იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას, მაგრამ იგი მაინც შეიძლება ჩაითვალოს ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულად. საქმე ისაა, რომ ადამიანის სხეულზე დარტყმა ან სხვაგვარი ძალადობა, რაც ფიზიკურ ტკივილს იწვევს, დაკავშირებულია ადამიანის ორგანიზმის ქსოვილისა და უჯრედის გარკვეულ ცვლილებასთან და, ამდენად, მეტ-ნაკლებად ხელყოფს ჯანმრთელობას.

ობიექტური მხრივ ცემა გამოიხატება ძალადობით მოქმედებაში, შედეგში (ფიზიკური ტკივილი) და მიზეზობრივ კავშირში მოქმედებასა და შედეგს შორის.

ცემა ძალადობის ერთ-ერთი სახეა და ნიშნავს სხვა პირის სხეულზე ერთდროულად რამდენიმე დარტყმას, რომელიც დაზარალებულის ფიზიკურ ტკივილს იწვევს. ისეთი მსუბუქი დარტყმები, რომელსაც არ მოჰყოლია ფიზიკური ტკივილი, ცემად არ განიხილება. მან შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეურაცხყოფისათვის. ასევე არ განიხილება ცემად ერთი დარტყმა, თუნდაც მან ფიზიკური ტკივილი გამოიწვიოს. ასეთი ერთჯერადი დარტყმა ჩაითვლება სხვაგვარ ძალადობად. ცემა ხშირად ტოვებს გარკვეულ კვალს ადამიანის სხეულზე. კერძოდ, დაბეჟილობის, დალილავების ან მცირე სისხლნაჟღენთის კვალს (რასაც არ მოჰყოლია შრომისუნარიანობის თუნდაც უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა, ასევე ჯანმრთელობლის ხანმოკლე მოშლა), რასაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი აღნიშნავს დასკვნაში. ზოგჯერ ცემის შედეგად შეიძლება სხეულის ზედაპირზე არანაირი კვალი არ დაეტყოს. ასეთ შემთხვევაში ცემის ფაქტის დადგენის ტვირთი მთლიანად სასამართლოზეა, რომელიც დაეყრდნობა მსხვერპლის და მოწმის ჩვენებებს, ასევე საქმის სხვა გარემოებას

სხვაგვარი ძალადობა იმით განსხვავდება ცემისაგან, რომ იგი შეიძლება გამოიხატოს ერთჯერად ძალმომრეობით აქტში (ხელის გარტყმა სახეში) ან საერთოდ არ იყოს დაკავშირებული დარტყმასთან (მაგალითად, თმებით თრევა, ხელების გადაგრეხა, პანღურის ამოკვრა, თმების წიწკვნა, და

1 იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა ნაწილი ცემას არ მიიჩნევს ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულად.

სხვა). აქაც აუცილებელია, მსხვერპლმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი. ამდენად, განსახილველი დანაშაულის შედეგი არის ის, რომ მსხვერპლი ფიზიკურ ტკივილს განიცდის. მორალურ ტრავმას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა სასამართლოს შეუძლია იგი მხედველობაში მიიღოს სასჯელის დანიშვნისას.

როგორც ცემის, ისე სხვაგვარი ძალადობისათვის აუცილებელია, რომ მას შედეგად არ მოჰყვეს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი. თუ მას ასეთი შედეგი მოჰყვა, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 120-ე მუხლით და არა 125-ე მუხლით. თუ ცემას ან სხვაგვარ ძალადობას მოჰყვა უფრო მძიმე შედეგი, ქმედება შესაბამისად დაკვალიფიცირდება შედეგისა და ბრალის მიხედვით (მაგალითად, სსკ 118-ე მუხლით).

ცემის ან სხვაგვარი ძალადობის შედეგი (ავადმოფური მდგომარეობა) 6 დღემდე უნდა გაქრეს. ამ დანაშაულის ჩადენის ხერხსა და საშუალებას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს ხელით, ფეხით, რაიმე მკვრივი საგნით. როდესაც ცემა ან სხვაგვარი ძალადობა არის რომელიმე სხვა უფრო მძიმე დანაშაულის (მაგალითად, გაუპატიურების) შემადგენელი ნაწილი, ქმედება დაკვალიფიცირდება არა სსკ 125-ე მუხლით, არამედ იმ დანაშაულის შესაბამისი მუხლით (ამ შემთხვევაში, სსკ 137-ე მუხლი), რომლის შემადგენელი ნაწილიცაა ცემა ან სხვაგვარი ძალადობა.

თუ ცემა ჩადენილია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, დამნაშავის მიზანი იყო გამოეხატა თავისი აშკარა უპატივცემულობა საზოგადოებისადმი (და არა პირადი ანგარიშის გასწორება) და ამ ქმედებამ საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა გამოიწვია, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ხულიგნობით – სსკ 239-ე მუხლით.

ცემა ან სხვაგვარი ძალადობა არ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ იგი ჩადენილია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში. მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ან დამნაშავის შეპყრობისას.

სსკ 125-ე მუხლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი პირი, რომელიც მიღწეულია 14 წელს.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული განზრახვაში გამოიხატება. დამნაშავეს სურს ფიზიკური ტკივილი მიაყენოს პირს თავისი ძალადობითი მოქმედებით ან შეგნებულად უშვებს ანდა გულგრილია

ასეთი შედეგის მიმართ. თუ პირი ცემას იყენებს სხვა ისეთი დანაშაულის ჩასადენად, რომლის შემადგენლობაც მოიცავს ძალადობით ქმედებას, კვალიფიკაცია, როგორც უკვე აღნიშნა, მოხდება არა 125-ე მუხლით, არამედ იმ დანაშაულის მიხედვით, რის ჩასადენადაც არის გამოყენებული ცემა (მაგალითად, იძულებით – 150-ე მუხლი).

ამ დანაშაულის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ. აქ მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ მსხვერპლი არ არის თვრამეტ წელს მიღწეული და ეს ფაქტი დამნაშავემ იცის. საქმე ისაა, რომ არასრულწლოვნზე ცემა ან სხვაგვარი ძალადობა უფრო უარყოფით ზეგავლენას ახდენს როგორც ფიზიკური, ისე მორალური თვალსაზრისით.

ძალადობა (მუხლი 126-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა.

ობიექტური მხრივ ძალადობა[1] გამოიხატება ქმედებაში (სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა), შედეგში (დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა) და მიზეზობრივ კავშირში მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამდენად, ძალადობა, ისევე როგორც ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულები, მატერიალური შემადგენლობისაა.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობაში მოცემულია ძალადობის ორი ხერხი: 1. სისტემატური ცემა და 2. სხვაგვარი ძალადობა.

სისტემატურია ცემა მაშინ, როცა იგი ჩადენილია სამჯერ მაინც, თანაც დროის ხანმოკლე ინტერვალის დაშორებით. ეს იმას ნიშნავს, რომ 1-ლი ცემით მიყენებული ფიზიკური და ფსიქიკური ტკივილი ჯერაც არაა გამქრალი და მსხვერპლის ცემა ხდება მეორედ, შემდეგ მესამედ და ა.შ. თანაც არა აქვს მნიშვნელობა ეს ქმედებები ერთიანი განზრახვით ხდება თუ ახლად აღმოცენებული განზრახვით. ამასთან, განსხვავებით სსკ 125-ე მუხლისაგან, ამ ცემას შეიძლება მოჰყვეს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. სწორედ ეს შედეგი და ცემის სისტემატური ხასიათი განაპი-

1 2005 წლის 23 ივნისამდე ამ დანაშაულს ერქვა წამება.

რობებს დაზარალებულის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას[1].

სხვაგვარ ძალადობაში იგულისხმება თმებით თრევა, ჩქმეტა, ანთებული სიგარეტით ან სხვა თერმული საშუალებით ზემოქმედება. სხვაგვარი ძალადობა შეიძლება განხორციელდეს უმოქმედობითაც. მაგალითად, პირი ღამით სახლის კარებს არ უღებს ოჯახის წევრს, ტოვებს გარეთ და ამას ადგილი აქვს სისტემატურად. სხვაგვარი ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ფსიქიკურ ზემოქმედებაშიც. მაგალითად, მოკლის, ჯანმრთელობის დაზიანების სისტემატური მუქარა, თუკი მისი განხორციელების რეალობას მსხვერპლი აღიქვამს, როგორც საფუძვლიანს, როცა ადგილი აქვს ამგვარი მუქარით პირის სისტემატურ დაშინებას, ამან შეიძლება ტანჯვა გამოიწვიოს. სხვაგვარი ძალადობის შემადგენლობას წინ არ უძღვის მითითება სისტემატურობაზე, მაგრამ სხვაგვარი ძალადობაც უმეტესად სისტემატური უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქმედებები არ ჩაითვლება ამ დანაშაულის ხერხად, რადგანაც ერთჯერადად ჩადენისას ისინი როგორც წესი, ვერ გამოიწვევენ დაზარალებულის ვერც ფიზიკურ და ვერც ფსიქიკურ ტანჯვას, თუმცა შეიძლება გამოიწვიონ ფიზიკური ტკივილი (სსკ 125-ე მუხლი). იშვიათ შემთხვევაში, სხვაგვარი ძალადობა შეიძლება იყოს ერთჯერადი ხასიათის, მაგალითად, ფრჩხილის ამოძრობა, ანთებული სიგარეტის ტანზე მიწვა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ქმედების ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის არაა საკმარისი დამნაშავემ მიმართოს ძალადობის მხოლოდ რომელიმე ერთ ხერხს (მაგალითად, სისტემატურ ცემას). შესაძლებელია პირმა გამოიყენოს სხვადასხვა ხერხი. მაგალითად, იგი ხან სცემს დაზარალებულს, ხანაც თმებით ათრევს, ზემოქმედებს ანთებული სიგარეტით, ელექტროშოკით.

ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ხანგრძლივი და აუტანელი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი (წუხილი), რომელსაც პირი განიცდის ძალადობის შედეგად.

ძალადობა ცემისაგან (სსკ 125-ე მუხლი) განსხვავდება რამდენიმე ნიშნით: 1) ამ დროს ცემას ან სხვაგვარ ძალადობას აქვს სისტემატური ხასიათი, ცემის დროს კი — არა; 2. ცემა იწვევს დაზარალებულის ფიზიკურ ტკივილს, ხოლო ძალადობა ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას; 3. ცემას არ უნდა მოჰყვეს თუნდაც ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება,

1 ტანჯვა არის მწვავე ფიზიკური ტკივილით ან უსიამოვნო გრძნობით გამოწვეული განცდა-წამება, წვალება.

ხოლო ძალადობას შეიძლება მოჰყვეს ეს შედეგი, თუმცა მისი დადგომა სავალდებულო არ არის ქმედების ძალადობად კვალიფიკაციისათვის.

ძალადობა (126 ე.მ.) ასევე უნდა განვასხვავოთ ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისაგან (120 ე მუხლი) და წამებისაგან (144[1] მ.).

ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისაგან მისი განსხვავების საკითხი დგება მაშინ, როცა ძალადობას გარდა ტკივილისა, შედეგად მოჰყვება ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც.

განსხვავება შემდეგი სახისაა:

1. ძალადობისათვის (126-ე მ.) დამახასიათებელია ქმედებების (მაგალითად, ცემის) სისტემატურობა, ხოლო ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება კი დგება ერთჯერადი ქმედებით (მაგალითად, ხელის გარტყმით ან ერთი ცემით).

2. ქმედება ძალადობად (126-ე მ.) რომ დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია, მას შედეგად მოჰყვეს ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა. ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას კი ასეთი შედეგი არ ახასიათებს.

3. ძალადობისათვის (126-ე მუხლი) არაა აუცილებელი შედეგად დადგეს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, ხოლო სსკ 120-ე მუხლისათვის ეს შედეგი აუცილებელია.

პრობლემურია ძალადობის განსხვავება წამებისაგან. ეს საკითხი განხილულია წამების მუხლის (144[1]) განმარტებისას. ამდენად, მასზე ჩვენ ამჯერად არ შევჩერდებით.

თუკი ძალადობას შედეგად განზრახ მოჰყვა სსკ 117-ე ან 118-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ქმედება არ დაკვალიფიცირდება ძალადობად (სსკ 126-ე მუხლი), იგი შესაბამისად დაკვალიფიცირდება ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებად.

ძალადობის ამსრულებელი შეიძლება იყოს ყველა შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი.

სუბიექტური მხრივ ძალადობა განზრახი დანაშაულია. იგი შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. პირდაპირი განზრახვის დროს პირს გაცნობიერებული აქვს მის მიერ ჩადენილი ქმედების (მაგალითად, სისტემატური ცემის) მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს ამ ქმედების შედეგს (ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის გამოწვევა) და სურს ეს შედეგი, ანდა გაცნობიერებული აქვს მისი დადგომის გარდუვალობა. არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს

გაცნობიერებული აქვს მისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას და, მართალია, არ სურს ეს შედეგი (ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა), მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას (მაგალითად, ქმარი სისტემატურად სცემს რა ცოლს, გულგრილად ეკიდება ამ შედეგის დადგომას).

ქმედების კვალიფიკაციისათვის მოტივსა და მიზანს მნიშვნელობა არა აქვს, ისინი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასჯელის განსაზღვრის დროს.

სსკ 126-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებათა უმრავლესობა განხილულია სსკ 117-ე მუხლის ანალიზისას. ამჯერად, შევჩერდებით მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე. ესაა ძალადობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (პუნქტი „თ"). ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი ვითარება, როცა დამნაშავეს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა შესაძლებლობას აძლევს უფრო ადვილად დატანჯოს პირი. აქ არ იგულისხმება სახელმწიფო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. მათ მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ძალადობის ჩადენისას ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" პუნქტით ან 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტით. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ძალადობას ადგილი აქვს მაშინ, როცა მისი ამსრულებელია სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი, ასევე საჯარო ან კერძო დაწესებულების თანამშრომელი, ვინც ასრულებს თავის პროფესიულ (და არა თანამდებობრივ) საქმიანობას. მაგალითად, ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმი ან მედდა სისტემატურად ცემს საავადმყოფოში სამკურნალოდ მოთავსებულ პაციენტს. ამ შემთხვევაში ექიმი იყენებს მის სამსახურებრივ მდგომარეობას, მისთვის გაადვილებულია პაციენტის ტანჯვა, რადგანაც პაციენტს შეზღუდული აქვს რა თავისუფალი გადაადგილების უფლება, წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობაც ნაკლები აქვს. ანდა, მაგალითად, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის აღმზრდელი ტანჯავს აღსაზრდელს, რომელმაც დაარღვია დისციპლინა.

თავი IV

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა

(ზოგადი დებულებები)

მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების კანონმდებლობები იცნობს დანაშაულის ისეთ შემადგენლობებს, რომლებიც ზიანის საფრთხეს ქმნიან. ასეთ დანაშაულთა რიცხვი ალბათ, მომავალშიც გაიზრდება და ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ენერგიის ახალი წყაროების ათვისება ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ახალი საფრთხის წყაროს აღმოცენებას უკავშირდება. ამასთანავე, მოსალოდნელი საზიანო შედეგების მრავალსახეობა და მათი დაკონკრეტების სირთულე, შესაძლო შედეგის დიდი მოცულობა და ზოგიერთი ინტერესის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომლებსაც შეიძლება საფრთხე შეექმნას, ხშირად კანონმდებელს აიძულებს სიმძიმის ცენტრის გადატანას საზიანო შედეგიდან უფრო ადრეულ საფეხურზე, როცა ადამიანის მოქმედებამ მხოლოდ დაზიანების შესაძლებლობის საფრთხე შექმნა, ანდა უფრო ადრეულ სტადიაზე, როცა თვითონ ისეთი მოქმედება იყო ჩადენილი, რომელსაც ზოგადად ახასიათებდა საშიში თვისებები.[1] საფრთხის შემქმნელი დელიქტების კრიმინალიზაციის ძირითადი მიზანი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფაა, რომლებიც სისხლის სამართლის კანონით დაცულ ყველაზე მნიშვნელოვან სიკეთეს წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც, კანონმდებელი ამ სიკეთეთა დაცვას მათთვის საფრთხის შემქმნელი ქმედების დასჯადობით იწყებს.

სისხლის სამართლის კანონში აღწერილ დანაშაულის შემადგენლობათა საერთო მასიდან საფრთხის დელიქტები, უწინარეს ყოვლისა, ობიექტური მხარის თავისებურებით გამოირჩევა, კერძოდ, ამგვარ დელიქტებში მართლსაწინააღმდეგო შედეგი **არც პირდაპირ არის აღწერილი და არც იგულისხმება**. ობიექტური მხარე ასეთ დელიქტებში გამოიხატება ქმედების განხორციელებით, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის სისხლის სამარ-

1 თ. წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართლში. თბ., 2006, გვ. 164.

თლის კანონით დაცულ ამა თუ იმ სიკეთეს, ან კიდევ, თავის იმანენტურ თვისებად იმთავითვე გულისხმობს პირობების შექმნას სამართლით დაცული სიკეთის შესაძლო დაზიანებისათვის. საფრთხის დელიქტების პირველ ნაირსახეობას კონკრეტული საფრთხის დელიქტებს უწოდებენ (მაგალითად, განსაცდელში მიტოვება), მეორეს კი — აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებს (მაგალითად, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა)[1].

ამგვარად, აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში სისხლის სამართლის კანონი აღწერს მხოლოდ თვითონ ქმედებას, რომელიც საზოგადოდ საშიშია და არ მოითხოვს, რომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაამტკიცოს განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის არსებობა. ჩვეულებრივ ამგვარი საფრთხის შემქმნელი დანაშაულის შემადგენლობა კანონში უფრო ფართოდაა აღწერილი და სამართლით დაცული ინტერესისათვის უფრო შორეულ საფრთხეს გულისხმობს. რაც შეეხება კონკრეტული საფრთხის დელიქტს, კანონმდებელი ან კონკრეტულად აღწერს საფრთხის შემქმნელ მოქმედებას, რომელმაც განსაზღვრული ობიექტის დაზიანების კონკრეტული საფრთხე შექმნა ანდა შესაძლებელია საფრთხის შემქმნელი მოქმედება სისხლის სამართლის კანონით აღწერილი არ იყოს, მაგრამ კანონი მოქმედებას ახასიათებდეს ბლანკეტურად, როგორც სიფრთხილის დარღვევის ნორმას. არის დელიქტების ისეთი კატეგორია, რომელთა აღწერისას კანონი არ განსაზღვრავს საშიშ მოქმედებას არც მისი ნიშნების პირდაპირი მითითებით, არც ბლანკეტური მინიშნებით რომელიმე ნორმატიულ აქტზე, არამედ დასჯადობას ნებისმიერ იმ მოქმედებას უკავშირებს, რომელმაც ხელყოფის განსაზღვრული ობიექტის დაზიანების საფრთხე შექმნა (მაგალითად, სსკ 127-ე მუხლი)[2].

არანაკლებ საინტერესოა საფრთხის დელიქტების სუბიექტური შემადგენლობის სპეციფიკა. ცნობილია, რომ განზრახვა ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტების გარკვეულ კომბინაციას წარმოადგენს. ამავე დროს, განზრახვის საკანონმდებლო ფორმულა შედეგიან დელიქტებზეა გათვლილი, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ შემადგენლობის ყველაზე უფრო დასრულებულ ფორმას. ჩნდება კითხვა — როგორ უნდა შევახამოთ მასთან საფრთხის დელიქტების სპეციფიკა? უპირველეს ყოვლისა, რამდენადაც რეალური შედეგი არ წარმოადგენს საფრთხის დელიქტების კონსტიტუცი-

1 იხ. მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბ., 1982, გვ. 3.
2 იხ. თ. წერეთელი, დასახ. შრომა, გვ. 199.

ურ ნიშანს, ამდენად მის ადგილს იკავებს რეალური საფრთხის შექმნა. ამიტომ ბრალის ამა თუ იმ ფორმის განმსაზღვრელი ინტელექტუალური თუ ნებელობითი ელემენტები საკუთრივ ქმედების ნიშნებს უნდა შეეხოს.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებული მოსაზრებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების სუბიექტური შემადგენლობა (უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა, ცრუ ჩვენება, დეზერტირობა და სხვ.) პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. რაც შეეხება კონკრეტული საფრთხის დელიქტებს, მათი განხორციელება შესაძლებელია როგორც ეკვნტუალური განზრახვით, ისე გაუფრთხილებლობით. აქვე შევნიშნავთ, რომ გაუფრთხილებლობითი საფრთხის დელიქტები იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. ასეთი კონსტრუქციების შემოტანა სისხლის სამართლის კოდექსში მომეტებული საფრთხის წყაროების გამოყენებისას უსაფრთხოების წესების დაცვის საჭიროებით არის ნაკარნახები. თუ გადავხედავთ მოქმედ კანონმდებლობას დავრწმუნდებით, რომ გაუფრთხილებლობითი საფრთხის დელიქტები სწორედ საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის სფეროშია თავმოყრილი მაგალითად, მუხლი 241 – ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევა, მუხლი 242 – ავეთქებასაშიშ საწარმოში ან სააქროში უსაფრთხოების წესის დარღვევა და სხვ.

რისთვის არის საჭირო კონკრეტული საფრთხის დელიქტები? საქმე იმაშია, რომ სამართლით დაცულ ინტერესს საფრთხე ექმნება დანაშაულის მცდელობის დროსაც, მაგრამ საფრთხის დელიქტებში ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა შორის სრული პროპორცია არსებობს, მაშინ როცა დანაშაულის მცდელობის დროს ქმედების ობიექტური მხარე ბოლომდე არ არის რეალიზებული. მიჩნეულია, რომ დანაშაულის მცდელობის დროს თანაფარდობა ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა შორის დარღვეულია სუბიექტური მხარის სასარგებლოდ. სუბიექტური მხარე ყოველთვის უფრო მეტია ობიექტურთან შედარებით, მას აკლია შემადგენლობის ისეთი არსებითი ნიშანი, როგორიცაა შედეგი, რომელიც მოცული იყო დამნაშავის განზრახვით.[1]

1 სისხლის სამართლის თეორიაში ცნობილია დანაშაულის მცდელობის სუბიექტური და ობიექტური თეორიები. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური თეორიის მიხედვით ქმედების დასჯადობის საფუძველია პირის ბოროტი ნება; ხოლო ობიექტური თეორიის მიხედვით მცდელობის დასჯადობის საფუძველია: 1) სამართლებრივი სიკეთის საფრთხეში ჩაყენება; 2) ის ნეგატიური ზემოქმედება, რასაც ეს ქმედება ახდენს მოსახლეობის მართლშეგნებაზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს დანაშაულის მცდელობის ობიექტურ თეორიას.

სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო საფრთხის დელიქტების და დანაშაულის მცდელობის თანაფარდობის პრობლემა.

ტრადიციულად ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული იყო აზრი, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი, მაგრამ ბოლო პერიოდში თანდათანობით იწყო დამკვიდრება იმ აზრმა, რომ დანაშაულის მცდელობა არაპირდაპირი განზრახვითაც შეიძლება.[1]

როგორც აღვნიშნეთ, დანაშაულის მცდელობის დროს სამართლით დაცულ ინტერესს უშუალო საფრთხე ექმნება. უშუალო საფრთხე არის მცდელობის კონსტიტუციური ნიშანი. საფრთხის შინაარსი უნდა გაირკვეს ისეთი ფილოსოფიური კატეგორიებით როგორიცაა შესაძლებლობა და სინამდვილე. შესაძლებლობას ახასიათებს სინამდვილედ ქცევის ტენდენცია ალბათობის მაღალი ხარისხით. შესაძლებლობა შეიძლება იყოს **ლოგიკური** და **რეალური**. ეს უკანასკნელი კი – თავის მხრივ, **აბსტრაქტული** და **კონკრეტული**. აბსტრაქტული რეალური შესაძლებლობის დროს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი პირობები, რომელიც მას სინამდვილედ აქცევს და პირიქით, – კონკრეტული შესაძლებლობა ალბათობის მაღალი ხარისხით შეიძლება სინამდვილედ იქცეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ცხადია, საფრთხე უფრო ქმედითია.

თ. წერეთელი წერდა, საფრთხის ცნება შესაძლებლობის კატეგორიას მიეკუთვნება და ისეთ მდგომარეობას ნიშნავს, რომელიც განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრულ კონკრეტულ ვითარებაში ზიანის წარმოშობის შესაძლებლობას შეიცავს. საფრთხის ჭეშმარიტი არსი მხოლოდ რეალური შესაძლებლობის კატეგორიის მეშვეობით შეიძლება გავიგოთ. რეალური შესაძლებლობა არ არის წმინდა ლოგიკური, აბსტრაქტული ცნება, არამედ ის რეალურ სინამდვილეში არსებული ცნებაა, რომელსაც ამ სინამდვილეში აქვს ფესვები. განსაზღვრულ პირობებში ის შეიძლება სინამდვილედ იქცეს.[2]

დანაშაულის მცდელობის დროს კონკრეტული საფრთხე ექმნება სამართლით დაცულ ინტერესს. სსკ მე-19 მუხლში ნათქვამია, რომ დანაშაულის მცდელობა განზრახი მოქმედებაა, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო

1 იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2006, გვ. 75-76.

2 იხ. თ. წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში. გვ. 193.

დანაშაულის ჩასადენად. მართალია აქ განზრახვის სახე დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ სიტყვები „უშუალოდ“ და „მიმართული“ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.[1]

თ. წერეთელი თვლიდა, რომ მცდელობა გამორიცხულია ევენტუალური განზრახვის დროს, რადგან ამ შემთხვევაში დამნაშავის ნება არ არის უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე. იგი არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შეუძლებლობას ასევე ხსნიდა იმ გადაულახავი სიძნელეებით, რაც დაკავშირებულია შედეგის მიმართ ევენტუალური განზრახვის დასაბუთებასთან იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის მოქმედება სხვა მიზნით იყო წარმართული, ხოლო სიკვდილი როგორც შესაძლო გვერდითი შედეგი არ დადგა. საფრთხის შექმნის ზოგადი შემადგენლობის არარსებობის დროს როცა ადამიანი გულგრილი დამოკიდებულებით ეთამაშება სხვის სიცოცხლეს, ის შეიძლება დაუსჯელი დარჩეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბედნიერი შემთხვევის გამო, მის მიერ შექმნილი საფრთხე რეალიზებული არ ყოფილა. სწორედ ამიტომ, იმ შემთხვევაში, როცა საფრთხის განზრახ შექმნა შედეგის მიმართ არაპირდაპირ განზრახვასთანაა დაკავშირებული, თუ შედეგი არ განხორციელდა ადამიანი პასუხს აგებს იმ მუხლით, რომელიც პასუხისმგებლობას კონკრეტული საფრთხის განზრახ შექმნისთვის ითვალისწინებს. მაგრამ ზიანის ნამდვილად დადგომის შემთხვევაში მან პასუხი უნდა აგოს იმ მუხლით, რომელიც განზრახი დაზიანების შესაბამის დელიქტს ითვალისწინებს.[2]

მართლაც, ადამიანის ნებისმიერი (ნებელობითი) საქმიანობა მიზანმიმართულ მოქმედებას წარმოადგენს, ის ყოველთვის მიმართულია რაიმე შედეგისაკენ. ადამიანმა შეიძლება ის **მოამზადოს ან სცადოს, რაც მისი საქმიანობის მიზანს შეადგენს**. ასეთი რამ კი მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს არის შესაძლებელი[3]. მაშასადამე, პირდაპირი განზრახვის დროს შედეგის დადგომამდე სრული საფუძველი გვაქვს უკვე განხორციელებული მოქმედების მიხედვით ვიმსჯელოთ რის მცდელობას აქვს ადგილი. ასეთი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია

1 იხ. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 160.

2 იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 119; ასევე, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ., 2006, გვ. 208-212.

3 იხ. სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილი, სახელმძღ., თბ. 2007, გვ. 169-170.

ევენტუალური განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დროს, სადაც შედეგი არ შეესაბამება ქმედების მიზანს. აქ შედეგი, როგორც წესი, თანამდევია. პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, ევენტუალური განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დროს ქმედების შეფასება დამდგარი შედეგის მიხედვით ხდება, რადგან მანამდე შეუძლებელია ქმედების სწორი კვალიფიკაცია. მიზანი პირდაპირი განზრახვის ნიშანია. ფსიქოლოგიურად შეუძლებელია იმის ცდა, რაც დამნაშავის მიზანს არ წარმოადგენდა. მაშასადამე, ევენტუალური განზრახვით ჩადენილი ქმედებით ძნელია განზრახვის შინაარსზე მსჯელობა თუ შედეგი არ დადგა. ევენტუალური განზრახვით ჩადენილ ქმედებათა გარეგნული გამოხატულება ისეთია, რომ უტყუარად ვერ საბუთდება ძართლსაწინააღმდეგო შედეგის გარდაუვალობაც. მაგალითად, დედა ჩვილ ბავშვს ტოვებს ეტლით ვიღაცის ეზოში. ძნელია ამ ქმედებით მკვლელობის გარდაუვალობაზე მსჯელობა, თუმცა სამართლებრივი ინტერესი საფრთხის ქვეშ დგება და ამდენად ადვილია არაპირდაპირი განზრახვის დასაბუთება. მაშასადამე, მართალია, დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ევენტუალური განზრახვით ან გაუფრთხილებლობით შედეგის დადგომამდე არავითარი საფრთხის შექმნა არ შეიძლება სამართლებრივი ინტერესისათვის. თუ ამგვარ ქმედებაში კანონმდებელი რეალურ საფრთხეს ხედავს ის სპეციალურ შემადგენლობებს ქმნის. გაუფრთხილებლობით საფრთხის შექმნის კრიმინალიზაცია შედარებით იშვიათია, გაცილებით ხშირია ევენტუალური განზრახვით საფრთხის შექმნა.

ამგვარად ევენტუალური განზრახვის დროს, რომელიც გულისხმობს დელიქტური (საზიანო) შედეგის დადგომის შესაძლებლობას, ქმედების განხორციელების შემდეგ ამსრულებელი არ წარმართავს მოქმედების შემდგომ მოვლენათა მიმდინარეობას და ყოველივეს მიანდობს "ბრმა კაუზალურ პროცესებს" ანუ შემთხვევითობას. განზრახ ქმედებაში ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტების ამგვარი თანაფარდობა შეუთავსებელია დანაშაულის მცდელობის ბუნებასთან, რომელიც მიზანმიმართულ ქმედებას გულისხმობს.

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შემთხვევად შემდეგ ქრესტომათიულ მაგალითს უთითებენ: სადაზღვევო თანხის დანაშაულებრივად მიღების მიზნით სახლის მეპატრონემ ცეცხლი წაუკიდა თავის ახლადდ-

აზღვეულ სახლს, სადაც ამ დროისთვის მძიმედ ავადმყოფი მოხუცი იმყოფებოდა. ცეცხლის წამკიდებელი ითვალისწინებს, რომ სახლის განადგურებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მოხუცის დაღუპვა როგორც თანამდევი შედეგი. ხანძრის დროულად ჩაქრობის შემთხვევაში სახლის მეპატრონემ ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობისათვის უნდა აგოს პასუხი. ეს მაგალითი სხვისი სიცოცხლის განზრახ საფრთხეში ჩაყენების კლასიკური შემთხვევაა, რაც სსკ 127-ე მუხლითაა გათვალისწინებული. ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტების ამგვარი კორელაცია ინკორპორირებული (ინტეგრირებული) უნდა იქნეს საშიშ მდგომარეობაში ჩაყენების კონკრეტული საფრთხის დელიქტთან და არა დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტთან.

აღსანიშნავია, რომ **ინგლისურ** და **ფრანგულ** სამართალში განზრახი ბრალის სფეროში საერთოდ არ გვხვდება ისეთი ნებელობითი ნიშანი, როგორიცაა საზიანო შედეგის შეგნებულად დაშვება. ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტების ამგვარი კორელაცია განზრახვაში გამორიცხულია, აქედან გამომდინარე უნდა ვიყვარაუდოთ ბრალის ამ ფორმით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობაც[1].

ო. გამყრელიძე წერს, არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით მცდელობა რომ არ შეიძლება, ამან აიძულა კანონმდებელი კოდექსის კერძო ნაწილში შემოეტანა 127-ე და 128-ე მუხლები. შემდეგ აგრძელებს, არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ კანონმდებელი ამ მუხლებს **delictum sui generis** სახით კოდექსში აღარ შემოიტანდა და საკითხიც ძალიან იოლად გადაწყდებოდა, ქმედება დაკვალიფიცირდებოდა განზრახ მკვლელობის მცდელობით. ერთი სიტყვით, 127-ე და 128-ე მუხლები ავსებენ იმ ხარვეზს, რასაც ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობა ქმნის.[2]

ზემოაღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად სხვა არგუმენტების მოხმობაც შეიძლება მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან. ასე მაგალითად, სსკ 117-ე მუხლით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ერთ-ერთ სახედ ითვლება სხეულის დაზიანება, რომელიც საზიფათოა სიცოცხლისათვის. აქ ადამიანის სიკვდილის მიმართ განზრახვა ევენტუალურია. თუკი არაპირდაპირი განზრახვით შესაძლებელია მკვლელობის

1 ლ.გ. კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბ. 2000, გვ. 643.
2 ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, გვ. 160-161.

მცდელობა, მაშინ რატომ შემოიტანა კანონმდებელმა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების შემადგენლობაში?! ან კიდევ, შიდსის ან განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხის შექმნა უკვე დამთავრებული დანაშაულია. აქ სხვისი ჯანმრთელობა რეალური და კონკრეტული საფრთხის წინაშე დგება. თუკი დამნაშავეს პირდაპირი განზრახვა ამოძრავებს, მაშინ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულზე უნდა გვემსჯელა — და არა სხვისთვის საფრთხის შექმნაზე (მაგალითად, ვენერიული სენით ან შიდსით დაავადებული ქალი ძუძუს აწოვებს ბავშვს და გულგრილად უყურებს (ან არ ითვალისწინებს) რომ ადვილი შესაძლებელია ამით დაიღუპოს იგი).

აღსანიშნავია, რომ არცთუ იშვიათად ამავე უმართლობიდან (საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება) არის ნაწარმოები ზოგიერთი სხვა დანაშაულის კანონისმიერი შემადგენლობა. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით (მუხლი 237), ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით (მუხლი 264) და სხვ. ეს და მსგავსი დანაშაულები საფრთხით კვალიფიცირებული რთული შემადგენლობის სახით არის ჩამოყალიბებული. აქაც ხდება მსხვერპლის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, დამნაშავე ძალადობის ხარისხის მიხედვით, დამატებით, მკვლელობის ან ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობისათვის უნდა მიგვეცა პასუხისგებაში, რაც ცხადია არალოგიკური იქნებოდა.

ამგვარად, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტების შექმნისას კანონმდებლის მიზანია იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომელთაც მოსალოდნელი საზიანო შედეგის მიმართ ევენტუალური განზრახვა ან გაუფრთხილებლობა აქვთ. პირი, რომელიც შეგნებულად აყენებს სხვას საფრთხეში და ევენტუალური განზრახვა ამოძრავებს უნდა დაისაჯოს საფრთხის შექმნისათვის, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა პირს მოსალოდნელი შედეგის მიმართ პირდაპირი განზრახვა აქვს, მაშინ სახეზეა არა საფრთხის შექმნა, არამედ დანაშაულის მცდელობა.

მაშასადამე, კონკრეტული საფრთხის შემქმნელი ზოგადი დელიქტები

კანონმდებელმა იმ მოსაზრებით შექმნა, რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობის გამო სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა დაუსჯელი არ დარჩეს. სიცოცხლე ის სოციალური ღირებულებაა, რომლის დაცვასაც კანონმდებელი მისთვის საფრთხის შექმნის მომენტიდან იწყებს.

კონკრეტული საფრთხის შემქმნელი ზოგადი (გენერალური) დელიქტების კრიმინალიზაციის იდეა შვეიცარიელ მეცნიერს კარლ შტოსს ეკუთვნის, რომელიც ასევე თვლიდა, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი, ხოლო თუ სამართლებრივი ინტერესი ევენტუალური განზრახვით აღმოჩნდება საფრთხის წინაშე, ამისათვის სპეციალური შემადგენლობები არსებობს – საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, განსაცდელში მიტოვება და სხვ.[1] ეს იდეა ქართველ სწავლულ იურისტთა მიერ ტრანსფორმირებულ იქნა 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, რაც მემკვიდრეობით, ამავე არგუმენტების საფუძველზე აისახა ახალ სისხლის სამართლის კოდექსშიც.

ჩვენი დაკვირვებით საფრთხის დელიქტების კრიმინალიზაციის ასეთივე არგუმენტაცია იკითხება ფრანგულ დოქტრინაშიც, რამაც ასახვა პოვა საფრანგეთის რესპუბლიკის ახალ სისხლის სამართლის კოდექსშიც.

ცნობილი ფრანგი მეცნიერი ჟ. პრადელი წერს: ფრანგული დოქტრინა დიდხანს ელოდა ტრადიციული გაუფრთხილებლობის გვერდით ევენტუალური განზრახვის მხედველობაში მიღებას გარკვეული ქმედების გარისკვისას (ქმედების ჩადენის გარისკვა), როცა ინდიფერენტული დამოკიდებულება არსებობს მოსალოდნელი შედეგის მიმართ. ახალი კოდექსის რედაქტორებმა ავტორთა გამოძახილს უპასუხეს და შემოიტანეს ცალკე თავი სათაურით – „ადამიანის საფრთხეში ჩაყენება“ (თავი III, წიგნი II, მუხლი 223-1 და სხვ.).[2]

ფრანგი ავტორები ხაზგასმით წერენ, რომ კანონმდებლის მიზანი ამ ნოველით ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობის დასჯა კი არ არის, არამედ სხვისი სიცოცხლის ან სხეულის მთლიანობის განზრახ საფრთხეში ჩაყენება. გაცნობიერებული გაუფრთხილებლობისაგან განსხვავებით, ევენტუალური განზრახვის დროს პირი ინდიფერენტულია მოსალოდნელი

1 იხ. თ. წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, გვ. 210.

2 იქვე Jean Pradel, Michel Danti-Juan. Droit penal special. Paris. 1995. p. 102-103.

საზიანო შედეგის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ევენტუალური განზრახვა თავისთავად დასჯადია, მაშინ, როცა გაცნობიერებული გაუფრთხილებლობა დასჯადია მხოლოდ ზიანის დადგომის პირობით (მინიმუმ ამ პირობით). იურისპრუდენცია გვასწავლის, რომ განზრახვით გამოვლენილი დარღვევა უნდა გავიგოთ უსაფრთხოების მოვალეობის შეგნებულად (განზრახ) იგნორირებად, რაც გამორიცხულია გაუფრთხილებლობის დროს გამოჩენილი წინდაუხედაობისას. საფრანგეთის სსკ 223-1 მუხლი ეძღვნება ევენტუალური განზრახვის დოქტრინულ კონცეფციას, რომელიც უფრო სერიოზულია ვიდრე გაცნობიერებული გაუფრთხილებლობა. ამგვარად, ამ მუხლით დაკანონებულია ევენტუალური განზრახვა, (dol eventuel) წინასწარი განზრახვის გარეშე მოქმედი პირი შედეგს იოვალისწინებს შესაძლებლობის სახით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მოქმედებს, ამ დელიქტის არსებობა არის ერთგვარი დაბრკოლება დამნაშავისათვის და დაცვის საშუალება საზოგადოებისათვის, ამ მუხლით დადგენილი სასჯელით თავიდან ვიცილებთ მკვლელობის ან სხეულის განსაკუთრებით მძიმე დაზიანების ალბათობას, რადგან დასჯადია თავისთავად შექმნილი საფრთხე, მიუხედავად შედეგისა.[1]

საფრანგეთის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის 2006 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს ავტორები აღნიშნავენ რომ შეგნებულად სხვისი საფრთხეში ჩაყენება-განზრახვისა და ჩვეულებრივი ბრალის (გაუფრთხილებლობა) ზღვარზეა (მიჯნაზეა). რისკი, რომელიც მომდინარეობს გაუფრთხილებლობიდან ან დაუდევრობიდან უთანაბრდება ჩვეულებრივ ბრალს, მაგრამ მას (რისკს) მოიცავს განზრახვაც. ამ ჰიპოთეზას იურიდიული დოქტრინა იყენებს „ევენტუალური განზრახვის“ ტერმინით. ათასობით ტრაგიკულმა ავტოსაგზაო და უამრავმა საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევებმა კანონმდებელს უბიძგა რეაგირება მოეხდინა და ახალ კოდექსში პასუხისმგებლობა დაედგინა პიროვნების განზრახ საფრთხეში ჩაყენებისათვის, რომელიც განსაზღვრულია ევენტუალურიო განზრახვის ცნებით (**dol eventuel**). ამ ნოვაციამდე ევენტუალური განზრახვა ასიმილირებული იყო ნებელობითი არამართლზომიერი მოქმედებით (ჩვენებურად გაცნობიერებული გაუფრთხილებლობა – თვითიმედოვნება – გ.მ.). ფრანგული სახელმძღვანელოს ავტორები ევენტუალურ განზრახვას უწოდებენ სურვილის

1 ჟან პრადელი, მიშელ დანტი-ჟუანი, დასახ. ნაშრ., გვ. 117-119.

გარეშე მოქმედებას, როცა შედეგი დგება სახიფათო ქცევით. ამ ქცევის ჩამდენს გაცნობიერებული აქვს რისკი და ევენტუალურად თანხმდება საზიანო შედეგს. ქმედების ჩამდენს არანაირი განზრახვა არა აქვს ზიანი გამოიწვიოს, მისთვის სულერთია მოსალოდნელი შედეგი. ასეთ სიტუაციაში კანონმდებელი თვლის, რომ ის უნდა დაისაჯოს როგორც განზრახი ბრალის ავტორი, რისთვისაც შემოიტანა სპეციალური დელიქტი – განზრახ სხვისი საფრთხეში ჩაყენება (მუხლი 223-1). ეს დელიქტი ყველაზე თვალშისაცემი ნოვაციაა, რომელიც შემოტანილია კოდექსში სისხლის სამართლის რეფორმის შედეგად. საქმე ეხება საფრანგეთის სსკ-ში ერთადერთ სისხლისსამართალდარღვევას, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ყოველგვარი რეზულტატის გარეშე. ავტორები იმასაც მიანიშნებენ, რომ საკმაოდ ძნელი იქნება ამ დელიქტის როგორც მატერიალური ელემენტის (სიკვდილის ან სერიოზული დაზიანების რისკის არსებობა), ისე ინტელექტუალური ელემენტის (განზრახ სხვისი საფრთხეში ჩაყენება) არსებობის დამტკიცება (დასაბუთება). ამასთანავე, ამ ახალი ქმედების დანაშაულად აღიარებამ შეიძლება განზრახი ან არაგანზრახი სისხლისსამართალდარღვევების ზღვარზე არსებული ხარვეზი ფრანგულ სისხლის სამართალში. უნდა ვიგარაუდოთ, რომ იგი ეფექტური იქნება მრავალი მძღოლისა თუ საწარმოს მოსამსახურისთვის, ვინც ნაკლებად სცემს პატივს სხვის სიცოცხლეს.[1]

ფრანგული დოქტრინა განასხვავებს საფრთხის დელიქტებს, რომლებმაც გამოიწვიეს საზიანო შედეგი. ეს ჰიპოთეზა გათვალისწინებულია სსკ 221-6, 222-19, 222-20, ღ. 625-3 და 322-5 მუხლებში. მხედველობაშია გაუფრთხილებლობით ჩადენილი სამართალდარღვევები, რომლებიც ხორციელდება კანონით ან რეგლამენტით დაკისრებული წინდახედულობის ან უსაფრთხოების (უშიშროების) მოვალეობის დარღვევით. ამგვარ საფრთხის დელიქტებში ბრალის ხარისხი მხედველობაში მიიღება სამართალდარღვევისათვის რეპრესიის ზომის შეფასებისას, რაც მხოლოდ დამდგარი შედეგის სიმძიმეზე არ არის დამოკიდებული. კერძოდ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით, საფრთხის დელიქტები აგებულია მრავალრიცხოვანი დამამძიმებელი გარემოებებით, რომლებიც შესაძლებელია შემდგომ იკრიმინირებულ იქნეს ზემოაღნიშნული მუხლების

1 Frederic Desportes, Francis Gunchec, Droit pénal general, Paris, 2006, p. 480-484

მეშვეობით. მაგალითად, ავტომობილის მძღოლის მიერ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის დაზიანება ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას ან სიჩქარის გადაჭარბებისას და სხვ.

ფრანგული დოქტრინა და კანონმდებლობა ასევე იცნობს საფრთხის დელიქტებს, რომელთაც არავითარი საზიანო შედეგი არ მოჰყოლია. ეს სიტუაცია გათვალისწინებულია სსკ 223-1 მუხლით, განზრახ სხვისი საფრთხეში ჩაყენება. მხედველობაშია მოკვლის ან ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხეში სხვისი ჩაყენება, თუ ეს რისკი არ იქნა რეალიზებული.` ამ მუხლის შინაარსი სიტყვა-სიტყვით ასე ჟღერს – სხვა ადამიანის პირდაპირი ჩაყენება მოკვლის ან სხეულის დაზიანების უშუალო საფრთხეში, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს დასახიჩრება ან ქრონიკული დაავადება, ჩადენილი კანონით ან რეგლამენტით დაკისრებული უსაფრთხოების ან წინდახედულობის განსაზღვრული მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობით.

ამგვარად, საფრანგეთის კანონმდებლობით სხვისი საფრთხეში ჩაყენება ავტონომიურად დასჯადი დელიქტია – შედეგის გარეშეც, საზიანო შედეგი აქ მოიაზრება მხოლოდ, როგორც შესაძლებლობა. ეს არის რეპრესია საფრთხეში ჩაყენებისათვის. ამასთანავე, სხვისი საფრთხეში ჩაყენების დასჯადობის რამდენიმე პირობა არის წამოყენებული. პირველი – დელიქტის წინასწარი პირობა, კანონით ან რეგლამენტით დაკისრებული წინდახედულების ან უსაფრთხოების განსაკუთრებული (კერძო) მოვალეობის არსებობა, ასეთი მოვალეობა დაკისრებული აქვთ მძღოლებს, საწარმოთა შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ მოსამსახურეებს და სხვ.

მეორე – საამართალდარღვევის მატერიალური პირობა – სიკვდილის, დასახიჩრების ან მუდმივად დაინვალიდების უშუალო (პირდაპირი) რისკი (საფრთხე). საფრთხის შემქმნელი დელიქტების მატერიალური ელემენტის დასაბუთებისათვის მხედველობაში მიიღება სხვადასხვა დარგის აკრძალვები, მაგალითად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებიდან გასათვალისწინებელია ავტომობილის მართვა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში, გადატვირთული საგზაო მოძრაობის პირობებში დიდი სიჩქარით მოძრაობა ან წითელ შუქნიშანზე გავლა, დასახლებულ კვარტალში მძღოლების მიერ შეჯიბრის მოწყობა

(Rodeo), მძღოლის მიერ ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის მიტოვება; სხვა სფეროებიდან საგულისხმოა ისეთი სარისკო ქმედებები, როგორიცაა დოპინგი სპორტული ასპარეზობის დროს; აგრესიული ძაღლის თავისუფლად გაშვება, საჰაერო ან საზღვაო ხომალდის გადატვირთვა მგზავრებით, საწარმოს პასუხისმგებელი პირის მიერ შრომის უსაფრთხოების წესის დარღვევა და ა.შ.

მესამე – მორალური ელემენტი. მასში იგულისხმება, რომ სამართალდარღვევა განხორციელებული უნდა იყოს გაცნობიერებულად, განზრახ.[1]

აღსანიშნავია, რომ ევენტუალური განზრახვის ფრანგულ დოქტრინაში დამკვიდრებული გაგება გამორიცხავს დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას ბრალის ამ ფორმით. იქ ხაზგასმულია მცდელობის დროს განზრახვის ფინალურობა (შედეგზე ორიენტირებულობა), რაც გამორიცხულია ევენტუალური განზრახვის დროს.[2]

ფრანგულ დოქტრინაში ევენტუალური განზრახვა კლასიკური განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მიჯნაზეა. საფრთხის შემქმნელი ობიექტების კრიმინალიზაციით ფრანგმა კანონმდებელმა შეავსო ვაკუუმი, რასაც გასჩრას (შეცნებულად) სხვისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდების დაუსჯელობის შესაძლებლობა ქმნიდა.

ისკლისის და აშშ კანონმდებლობის მიხედვით ევენტუალური განზრახვა ბრალის ცალკე ფორმაა, რომელიც კლასიკური განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მიჯნაზეა. ამასთანავე, დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა ცდილობს შეავსოს ვაკუუმი, რაც გამოწვეულია ევენტუალური განზრახვის კლასიკური განზრახი ბრალის გარეთ გამოტანით. ამიტომაც, ზოგიერთი ქმედების კვალიფიკაციისათვის მისი საშიშროების ხარისხიდან გამომდინარე, მნიშვნელობა არა აქვს კლასიკური განზრახვით არის ჩადენილი თუ ევენტუალური განზრახვით. ისინი თანაბარი სიმკაცრით ისჯება.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ევენტუალური განზრახვა კლასიკური განზრახი ბრალის გარეთ არის გამოტანილი და ის განზრახი და გაუფრთხილებელი ბრალის მიჯნაზე იმყოფება, როგორც სისხლის სამართლის თეორია, ისე სასამართლო პრაქტიკა გამორიცხავს

1 Jean Larguier, Philippe Conte, Anne-marie Larguier, Droit penal Special, Dalloz, 2005, p. 87-89.
2 იხ. YYves Mayaud, Droit penal general, Paris, 2004, p. 280-285; F. Desportes, F. Gunehec, Droit penal general, Paris, 2006, p. 464, 481; Michel Veron, Droit penal Special, Paris, 1999, p. 77-79.

ეჭვენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან დანაშაულის მცდელობა ლოგიკურად მოითხოვს პირდაპირ განზრახვას[1].

სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (მუხლი 127-ე)

სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული საფრთხის შემქმნელ დელიქტს წარმოადგენს. იგი ითვალისწინებს საფრთხის შექმნას ადამიანის სიცოცხლისათვის. მაშასადამე, მსგავსი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია სხვა ადამიანის სიცოცხლე. კანონმდებელი ადამიანის სიცოცხლის დაცვას უკვე სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელი ქმედების დასჯადობით იწყებს.

დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის შექმნით იმ პირისათვის, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად. ასეთ შესაძლებლობას ადამიანი შეიძლება მოკლებული იყოს იმის გამო, რომ მცირეწლოვანია, მოხუცია, უმწეოა და ა.შ.

მაშასადამე, დანაშაულის ობიექტური მხარე ისეთ მოქმედებას გუ-

---

1 2007 წლის ივნისში იენაში ჩატარებულ ქართულ-გერმანულ ერთობლივ სემინარზე, რომელიც მიზნად ისახავს ერთობლივი სახელმძღვანელოს შექმნას სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, პროფ. დ. კრაუსმა საფრთხის შემქმნელი დელიქტების კრიმინალიზაციის მიზანშეწონილობის პრაგმატული მოსაზრება გამოთქვა. სახელდობრ, კითხვაზე, თუ როგორ წარმოიშვა საფრთხის დელიქტების კონცეფცია გერმანიაში მან უპასუხა, რომ გერმანიაში თუ რომელიმე დანაშაულზე პიროვნების აღიარება იყო, მაშინ ის მთლიანად იმსახურებდა სასჯელს. მაგრამ თუ დამნაშავეს განზრახვას ვერ უმტკიცებდი, მაგრამ სავარაუდოდ მან საფრთხეში ჩააყენა სამართლებრივი სიკეთე, მაშინ პასუხი უნდა ეგო სხვისთვის საფრთხის შექმნისათვის. ამრიგად, თუ პირს განზრახვას უმტკიცებ და შედეგი არ დგება სახეზეა დანაშაულის მცდელობა, თუ ეს ვერ მტკიცდება და სამართლებრივი სიკეთე საფრთხეში აღმოჩნდა – დაისჯება საფრთხის შექმნისათვის. სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მიუღებელია პასუხისმგებლობა ვარაუდისათვის. აქედან გამომდინარე, საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობის შემოღებაა.
ამასთანავე, გერმანული დოქტრინა ეჭვენტუალურ განზრახვას მიაკუთვნებს განზრახი ბრალის კატეგორიას, რომლის დროსაც მოქმედი პირი სერიოზულად აღიქვამს შემადგენლობის შესაბამისი შედეგის დადგომის ალბათობას და ეგუება მას. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი თეორია დასაშვებად თვლის ეჭვენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობას.

ლისხმობს, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლისათვის რეალურ და კონკრეტულ საფრთხეს. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდება, რაიმე შემდგომი შედეგის განხორციელება ამ დანაშაულისათვის საჭირო არ არის.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს, სახელდობრ, დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ თავისი მოქმედებით სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში აყენებს იმ ადამიანს, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად. ამასთანავე, განზრახვა მოიცავს სხვა ადამიანის სიცოცხლისათვის მხოლოდ და მხოლოდ საფრთხის შექმნას და არა მის სიკვდილს. თუ დამნაშავეს სურს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებით მოკლას დაზარალებული, ქმედება დაკვალიფიცირდება მკვლელობის მცდელობით. თუკი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისას დამნაშავე უშვებდა ადამიანის სიკვდილის შესაძლებლობას და ეს შედეგი კიდევაც განხორციელდა, მაშინ ეს ქმედება დაკვალიფიცირდება არა 127-ე მუხლით, არამედ როგორც სიცოცხლის საწინააღმდეგო დანაშაული.

სსკ 127-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ტიპური მაგალითია დედის მიერ ახალშობილი ბავშვის სხვისთვის მიგდება, რითაც საფრთხეში აყენებს ბავშვის სიცოცხლეს.

სასამართლო პრაქტიკისათვის ცნობილია სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენების სხვა მაგალითებიც, როცა მშობელი ბავშვთან ერთად ადიდებულ მდინარეში შევიდა და საფრთხეში ჩააგდო ბავშვის სიცოცხლე, მთამსვლელმა შეაგულიანა გამოუცდელი ტურისტი სახიფათო კლდეზე ასასვლელად და საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა მისი სიცოცხლე, მამამ გაყინულ ტბაზე გაიყვანა ბავშვები სასრიალოდ რითაც საფრთხეში ჩააყენა ისინი და სხვ.

განსაცდელში მიტოვება (მუხლი 128-ე)

განსაცდელში მიტოვება საფრთხის შემქმნელი დელიქტია და ითვალისწინებს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის დაუხმარებლობას იმის მიერ, ვისაც ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება.

სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია იმ ადამიანის სიცოცხლე, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება და შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად. ეს მდგომარეობა შეიძლება განპირობებული იყოს ავადმყოფობით, ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესებით, ადამიანის სხვადასხვაგვარი მოქმედებით და ა.შ. მაშასადამე, სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებლად ანდა დამნაშავის მოქმედებით, მაგრამ მისი განზრახვის გარეშე. ამდენად განსაცდელში მიტოვების დროს დამნაშავე არ ეხმარება იმას, ვინც უკვე იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება უმოქმედობაში, რომელიც გულისხმობს შემდეგი პირობების არსებობას:

ა) ადამიანი იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად;

ბ) განსაცდელში მიმტოვებელს ევალება დაზარალებულზე ზრუნვა და შეუძლია მისი დახმარება.

განსაცდელში მყოფი ადამიანისათვის დახმარების სპეციალური ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს უშუალოდ კანონიდან (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსით მშობლები ვალდებული არიან დაეხმარონ არასრულწლოვან შვილებს, შვილები — შრომისუუნარო მშობლებს); მოქმედების ვალდებულება შეიძლება განპირობებული იყოს არჩეული პროფესიით ან სამსახურებრივი მდგომარეობით (ე.ი. პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობით), მაგალითად, ასეთი სპეციალური მოვალეობა აკისრია სკოლამდელი საბავშვო დაწესებულების აღმზრდელს, მაშველს, მეხანძრეს. დახმარების აღმოჩენის სპეციალური ვალდებულება შეიძლება ეფუძნებოდეს დამნაშავის წინარე ქმედებას, რითაც საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლეს. მაგალითად, მძღოლი, რომელიც დაეჯახა ქვეითად მოსიარულეს, ვალდებულია იზრუნოს მასზე. მოქმედების სპეციალურ ვალდებულებას წარმოშობს ასევე ხელშეკრულება, მაგალითად,

ძიძას აკისრია ბავშვზე ზრუნვის მოვალეობა.

განსაცდელში მიტოვებისათვის პირს პასუხისმგებლობა მაშინ დაეკისრება, როცა მას რეალური შესაძლებლობა აქვს მიიღოს ზომები ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. ამ შესაძლებლობის არქონა გამორიცხავს ნებელობით ქცევას და, მაშასადამე, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[1]

გარკვეული რისკი, რომელიც თან ახლავს განსაცდელში მყოფის დახმარებას, ვერ გაამართლებს დამნაშავის უმოქმედობას, თუ ეს რისკი მისთვის სახიფათო არ არის.

განსაცდელში მიტოვება ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაულია. იგი დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა პირს წარმოეშვა დახმარების აღმოჩენის მოვალეობა და ეს მან არ შეასრულა (მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში შედეგი). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამნაშავეს 128-ე მუხლით მაშინაც დაეკისრება, როდესაც იგი სათანადო დახმარების აღმოჩენითაც კერ გადაარჩენდა დაზარალებულის სიცოცხლეს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ქმნის განსაცდელში მყოფი ადამიანის დაუხმარებლობის ფაქტი.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვისაც სპეციალური ვალდებულება აკისრია, იზრუნოს განსაცდელში მყოფ ადამიანზე და თავიდან აიცილოს ხიფათი. მაშასადამე, სსკ 128-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად პირს უნდა ჰქონდეს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ანუ სამართლებრივი გარანტის ფუნქცია.

დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს. დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ: ა) ადამიანი იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და მოკლებულია შესაძლებლობას თავი გადაირჩინოს; ბ) დაკისრებული აქვს მოქმედების (დახმარების) სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ანუ სამართლებრივი გარანტის ფუნქცია; გ) განსაცდელში მყოფი ადამიანისათვის დახმარების გაწევა მისი შესაძლებლობის ფარგლებშია. დაუხმარებლობის მოტივი სხვადასხვა შეიძლება იყოს (შურისძიება, ეჭვიანობა და ა.შ.), ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

---

1 იხ. დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, გვ. 138-139. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, გვ. 206-207.

სსკ 128-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ფარგლებში განსაცდელში მყოფი ადამიანის სიკვდილის მიმართ პირდაპირი განზრახვა გამორიცხულია. თუ პირს, რომელსაც ჰქონდა დახმარების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, სურდა განსაცდელში მყოფის სიკვდილი ან ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას, მაშინ იგი პასუხს აგებს მკვლელობის მცდელობისათვის. ამრიგად, განსაცდელში მყოფი ადამიანის სიკვდილის მიმართ დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ არაპირდაპირ განზრახვაში ან გაუფრთხილებლობაში.

განსაცდელში მიტოვებისათვის, რასაც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, დამნაშავეს პასუხისმგებლობა დაეკისრება არა 128-ე მუხლით, არამედ სიცოცხლის განზრახ ან გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის.

დაუხმარებლობა (მუხლი 129-ე)

სსკ 129-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა პრევენციული მნიშვნელობისაა, ვინაიდან მასში ურთიერთდახმარების ზოგადი მოქალაქეობრივი (ზნეობრივი) მოვალეობა სამართლებრივ ვალდებულებად არის აღიარებული.

დაუხმარებლობის დროს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება უმოქმედობაში, სახელდობრ, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობაში, აგრეთვე, დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობაში სათანადო დაწესებულებისათვის ან პირისათვის.

ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას სტიქიური უბედურებით (მიწისძვრა, ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი და ა.შ.), ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესებით (ავადმყოფობა, ინფარქტი, მშობიარობა და ა.შ.), ტექნიკური ავარიითა და კატასტროფით და სხვა.

ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხე უნდა იყოს უშუალო და რეალური, აქედან გამომდინარე, დახმარების აღმოჩენაც უნდა იყოს

აუცილებელი და გადაუდებელი.

აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების საჭიროება ნიშნავს იმას, რომ შექმნილ ვითარებაში დაუხმარებლობა გამოიწვევს ადამიანის დაღუპვას. დახმარების აუცილებლობა განპირობებულია აგრეთვე იმით, რომ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს თავად არ შეუძლია შექმნილი ვითარებიდან თავის დაღწევა.

დაუხმარებლობა დანაშაულად ჩაითვლება, თუ დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე. აქედან გამომდინარე, დანაშაულად არ ჩაითვლება დახმარების აღმოუჩენლობა არა მარტო მაშინ, როცა პირს ფაქტობრივად არ შეეძლო დახმარება, არამედ მაშინაც, როცა დახმარების აღმოჩენა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. კანონი, რასაკვირველია, არ მოითხოვს სხვა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად საარაკო გმირობის გამოჩენას და სამსხვერპლოდ საკუთარი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის გაწირვას. მაგრამ, ამასაც დროს, კანონი არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან, რომელსაც დაუხმარებლობა დაკავშირებულია ერთგვარ რისკთან, პირადი ინტერესების ერთგვარ შეზღუდვასთან, თუ ასეთი რისკი სერიოზულ საფრთხეს არ უქმნის კანონით დაცულ ინტერესებს.[1]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს, აგრეთვე დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობაში სათანადო დაწესებულებისათვის ან პირისათვის.

სათანადო დაწესებულებაში იგულისხმება ისეთი ორგანო, რომლის მოვალეობაშიც შედის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაწევა. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, ექსტრემალური დახმარების სამსახურები – სასწრაფო დახმარება, სახანძრო უსაფრთხოების სამსახური, პოლიცია და ა.შ.

რაც შეეხება სხვა პირს, დახმარების საჭიროების შესახებ შეტყობინების ადრესატი შეიძლება იყოს არა ნებისმიერი, შემთხვევითი პირი, არამედ ის, ვისაც სპეციალური ცოდნის, თანამდებობის თუ დაზარალებულთან დამოკიდებულების გამო შეუძლია ან ევალება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის დახმარება. ეს შეიძლება იყოს ექიმი, მეზრუნველი, დაზარალებულის ახლო ნათესავი და სხვა.

დაუხმარებლობა ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაულია.

---

1 სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ. 2002, გვ. 211.

დაუხმარებლობა წმინდა უმოქმედობას წარმოადგენს. თავად ფაქტი დახმარების აღმოუჩენლობისა, დამთავრებული დანაშაულია და რაიმე შემდგომი შედეგის განხორციელება ამ დანაშაულისათვის საჭირო არ არის. თუ დაუხმარებლობას შედეგად მოჰყვება ადამიანის სიკვდილი, ეს შედეგი კვალიფიკაციას არ შეცვლის, იგი მხედველობაში იქნება მიღებული სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც დამამძიმებელი გარემოება, თავად უმოქმედობა კი მიუხედავად ადამიანის სიკვდილისა, მაინც დაუხმარებლად შეფასდება, თუნდაც დაუხმარებლობის მოტივი შურისძიება იყოს.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული, ნებისმიერი ფიზიკური პირი. თუ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფს განსაცდელში მიატოვებს ის, ვისაც ევალებოდა მასზე ზრუნვა, მაშინ იგი პასუხს აგებს არა დაუხმარებლობისათვის (მუხლი 129-ე), არამედ განსაცდელში მიტოვებისათვის (მუხლი 128-ე).

განსაცდელში მიტოვება განსხვავდება დაუხმარებლობისაგან სწორედ იმით, რომ განსაცდელში მიტოვებისას პირს დაკისრებული აქვს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ანუ სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, დაუხმარებლობის დროს კი ასეთი სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა არ არსებობს.

დაუხმარებლობის სუბიექტური მხარე განზრახვის გულისხმობს. დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია, ამასთანავე, შეუძლია მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე, მაგრამ გულგრილად ეკიდება თავის ადამიანურ (ზნეობრივ) მოვალეობას და არ მოქმედებს.

ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (მუხლი 130-ე)

განსახილველი დანაშაულის ხელყოფის ობიექტია ავადმყოფის სიცოცხლე, ხოლო კვალიფიციური შემადგენლობის განხორციელებისას (130-ე მუხლის მე-2 ნაწილი) – მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის არასაპატიო მიზეზით მედიცინის

მუშაკის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობაში.

სსკ 130-ე მუხლით, როგორც ვხედავთ, გათვალისწინებულია უმოქმედობის დელიქტი, ვინაიდან ამ შემადგენლობის განხორციელება მხოლოდ უმოქმედობით შეიძლება („დახმარების გაუწევლობა“).

ავადმყოფი, ვისაც მედიცინის მუშაკი არ ეხმარება, უნდა იყოს „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში“, რამეთუ დისპოზიციაში საუბარია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობაზე.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში **გადაუდებელი** სამედიცინო დახმარება განმარტებულია შემდეგნაირად: „სამედიცინო დახმარება, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება“.

ამავე კანონის 38-ე მუხლის საფუძველზე ექიმი მოვალეა აღმოუჩინოს პაციენტს სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოს მისი უწყვეტობა, თუ გამოხატულია სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა ან პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. ეს მოვალეობა ექიმს ეკისრება როგორც საშუშაო ადგილზე, ისე არასამუშაო ადგილზე შესაძლებლობის ფარგლებში.

პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მიხედვით სახელმწიფო იცავს პაციენტის უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე, რომლის გადაუდებლად განხორციელების გარეშე გარდუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება.

ავადმყოფის დაუხმარებლობისათვის მედიცინის მუშაკს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს იტყვის დახმარების გაწევაზე არასაპატიო მიზეზით. თუ დაუხმარებლობის მიზეზი საპატიო იყო, მაშინ პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება. ავადმყოფის დაუხმარებლობის საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მოვალეობათა კოლიზია. მაგალითად, ექიმი ერთდროულად გამოიძახეს ორ მძიმე ავადმყოფთან. ექიმს არა აქვს შესაძლებლობა დაეხმაროს ორივეს ერთდროულად. მან მხოლოდ ერთის დახმარება და გადარჩენა შეძლო, მე-2 კი დაიღუპა. ექიმის მოქმედება მართლზომიერია (სსკ მუხლი 32-ე), ვინაიდან იგი იმყოფებოდა მოვალეობათა კოლიზიის მდგომარეობაში. საპატიო მიზეზად ჩაითვლება აგრეთვე რაიმე ობიექტური დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა, ვთქვათ, სტიქიური უბედურება (მიწისძვრა,

წყალდიდობა ან სხვა დაუძლეველი ძალა და მისთ.), უტრანსპორტობა, სათანადო სამკურნალო საშუალებების (ფარმაცევტული პრეპარატის) არქონა; ასევე, მედიცინის მუშაკის ავადმყოფობა და სხვა გარემოებები, რომლებიც შესაძლებლობას უსპობენ მას დაეხმაროს ავადმყოფს.[1]

სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის დაუხმარებლობა საპატიო მიზეზით მოხდა თუ არა, ფაქტის საკითხია და სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. დახმარების აღმოუჩენლობის საპატიო მიზეზად არ ჩაითვლება ისეთი საბაბი, როგორიცაა ავადმყოფთან გამოძახება არასამუშაო საათებში, შვებულებაში ყოფნის დროს, სპორტულ ან სადღესასწაულო ღონისძიებაზე წასვლის სურვილი და სხვ. არც იმას აქვს მნიშვნელობა ექიმი მსახურობს თუ არა (ვთქვათ, პენსიონერია ან უმუშევარი).

პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მიხედვით, თუ პაციენტი გადაუდებლად საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, რომლის გარეშეც გარდუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, ხოლო სამედიცინო მომსახურების გამწევს არა აქვს შესაძლებლობა აღმოუჩინოს პაციენტს ასეთი მომსახურება, იგი ვალდებულია მიაწოდოს პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს სრული ინფორმაცია, თუ სად შეიძლება გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღება. ამ მოვალეობის შეუსრულებლობაც გამოიწვევს 130-ე მუხლით პასუხისმგებლობას.

სსკ 130-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტია მედიცინის მუშაკი. მედიცინის მუშაკი ფართო ცნებაა და გულისხმობს უმაღლესი და საშუალო სამედიცინო განათლების მქონე დიპლომიან პირებს, რომლებიც ეწევიან სამედიცინო საქმიანობას (ექიმი, ექთანი, ბებიაქალი და სხვა). მაშასადამე, დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია, რომელსაც სხვადასხვა ნორმატიული აქტით დაკისრებული აქვს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მოვალეობა.

---

1 ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 37-ე მუხლით, ექიმს უფლება აქვს უარი თქვას პაციენტისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ა) არსებობს პაციენტისათვის სამედიცინო დახმარების უწყვეტობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა და არ აღინიშნება სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა ან პაციენტი არ საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას; ბ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას ექიმის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება.

დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს. მედიცინის მუშაკს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ავადმყოფი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საპატიო მიზეზის გარეშე არ უწევს მას დახმარებას. ამასთანავე, როგორც მართებულად არის შენიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, განზრახვა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ დახმარების აღმოუჩენლობაზე და არა შედეგზე.[1] თუ პირი ითვალისწინებს, რომ მის უმოქმედობას შეიძლება მოჰყვეს ადამიანის სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება და სურს ეს შედეგი, ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას, მაშინ იგი პასუხს აგებს არა 130-ე მუხლით, არამედ ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის – კონკრეტული შედეგის მიხედვით.

130-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როგორც კი მედიცინის მუშაკი ავადმყოფისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევაზე უარს იტყვის.

130-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტს – იმავე ქმედებას, რამაც გამოიწვია ავადმყოფის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა.

დახმარების აღმოუჩენლობასა და ავადმყოფის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას ან სიკვდილს შორის უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი.

ავადმყოფის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ან სიცოცხლის მოსპობის მიმართ მედიცინის მუშაკის სუბიექტური დამოკიდებულება მხოლოდ გაუფრთხილებლობას გულისხმობს. ამგვარად, 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა წარმოადგენს თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტს (სსკ მუხლი მე-11).

---

1 დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, გვ. 147.

შიდსის შეყრა (მუხლი 131-ე)

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (შიდსი) ერთ-ერთი ყველაზე სოციალურად საშიში დაავადებაა, რომელიც ბოლომდე შესწავლილი არ არის და პრაქტიკულად განუკურნებელია.

საქართველოში შიდსთან ბრძოლის ძირითად პრინციპებს, მოქალაქეთა ამ ინფექციაზე/შიდსზე გამოკვლევის, ამ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა მკურნალობისა და საპროფილაქტიკო მეთვალყურეობის საკითხებსა და სამართლებრივ რეჟიმს, ამ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა და მედიცინის მუშაკთა უფლებებსა და მოვალეობებს, მათი სოციალური დაცვის პრობლემებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის/შიდსის პროფილაქტიკის შესახებ“.

განსახილველი დანაშაულის ხელყოფის ობიექტად ტრადიციულად მიიჩნევენ ადამიანის ჯანმრთელობას, თუმცა, ვფიქრობთ, რომ საკმაოდ მართებულია პროფ. ზ. წულაიას მოსაზრება, რომელიც 131-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტად თვლის ადამიანის სიცოცხლეს.[1]

131-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულია სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრის საფრთხის შექმნა.

მედიცინაში დადგენილია, რომ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გავრცელება ხდება სექსუალური კავშირით, ინფიცირებული დონორის სისხლის ან მისი კომპონენტების გამოყენებით, არასტერილური სამედიცინო ინსტრუმენტებით სარგებლობით ქირურგიული ოპერაციის, მშობიარობის, დონორისაგან სისხლის აღებისა და სისხლის გადასხმისას, ინექციისათვის არასტერილური შპრიცის გამოყენებით. ცნობილია ასევე, ინფექციის გადაცემის შემთხვევები დედის რძით.

ამრიგად, სხვისთვის შიდსის შეყრის საფრთხის შექმნა შესაძლებელია ინფიცირებული პირის სექსუალური კავშირით სხვა პირთან დამცავი საშუალების გარეშე, აგრეთვე წინდახედულობის სხვა ნორმების დარღვევით. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრის საფრთხის შექმნის მომენტიდან.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელმაც იცის, რომ შიდსით არის დაავადებული.

---

1 ზ. წულაია, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, გვ. 126-127.

131-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს, რაც პირდაპირაა მითითებული კანონში.

სსკ 131-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრისათვის. ეს შემადგენლობა 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისაგან იმით განსხვავება, რომ იგი დამთავრებულად ჩაითვლება შიდსით სხვა პირის ფაქტობრივი ინფიცირების მომენტიდან. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა აქაც განზრახვას გულისხმობს.

შიდსის განზრახ შეყრა მკვლელობისაგან იმით განსხვავდება, რომ დამნაშავეს არა აქვს სხვისი სიცოცხლის მოსპობის მიზანი. გარდა ამისა, შიდსის განზრახ შეყრისას სიკვდილი დგება ხანგრძლივი დროის (წლების) გავლის შემდეგ.

131-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს სხვისთვის შიდსის გაუფრთხილებლობით შეყრას პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. ეს შემადგენლობა 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობისაგან განსხვავდება როგორც ამრულებლით, ისე ქმედების სუბიექტური შემადგენლობით. სახელდობრ, მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ამრულებელი შეიძლება იყოს მედიცინის მუშაკი — სხვადასხვა პროფილის ექიმი (ქირურგი, სტომატოლოგი, გინეკოლოგი), ექთანი, მედდა, ფარმაცევტი, სისხლის გადასხმის სადგურის მუშაკი და მისთ. მათ მიერ პროფესიული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, რამაც გაუფრთხილებლობით შიდსის შეყრა გამოიწვია, შეიძლება გამოიხატოს არასტერილური სამედიცინო ინსტრუმენტის გამოყენებაში, დონორის შეუმოწმებელი სისხლის გადასხმაში და სხვა.

131-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე მხოლოდ გაუფრთხილებლობას გულისხმობს. იგი შეიძლება გამოვლინდეს როგორც თვითიმედოვნების, ისე დაუდევრობის სახით.

131-ე მუხლის მე-4 ნაწილში მოცემულია 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების დამამძიმებელი გარემოებები, სახელდობრ, შიდსის შეყრის საფრთხის შექმნა ან შიდსის შეყრა: ა) ორი ან მეტი პირისათვის; ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისათვის ან არასრულწლოვნისათვის. შიდსის გავრცელების მასშტაბიდან (ორი ან მეტი პირი) და ხელყოფის ობიექტიდან (ორსული

ქალი, არასრულწლოვანი) გამომდინარე, საკმაოდ სამართლიანია პასუხისმგებლობის გამკაცრება 131-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. უფრო კონკრეტულად ამ დამამძიმებელ გარემოებებზე საუბარია 117-ე მუხლის განმარტებაში.

განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა (მუხლი 132-ე)

განსახილველი დანაშაულის ხელყოფის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა.

132-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულია საფრთხის შემქმნელი დელიქტი – სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხის შექმნა. თავისთავად დასჯადია საფრთხის შექმნის ფაქტი და დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საჭირო არ არის, რომ განსაკუთრებით საშიში ინფექციით დაავადებულმა ეს სენი სხვას შეყაროს. ასეთი შედეგის განხორციელება, ანუ სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა გათვალისწინებულია 132-ე მუხლის მე-2 ნაწილით. მაშასადამე, 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილი გულისხმობს, რომ დამნაშავის მოქმედების შედეგად არსებობდა მე-2 პირისათვის საშიში ინფექციური დაავადების შეყრის რეალური და კონკრეტული საფრთხე. მე-2 ნაწილი კი ითვალისწინებს შედეგიან დელიქტს – განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრას. აქედან გამომდინარე, დამნაშავის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი.

ინფექციურ (ანუ გადამდებ) დაავადებათა ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. მასვე ევალება ამ დაავადებათა კონტროლი. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 76-ე მუხლის მიხედვით, „განსაკუთრებით საშიში გადამდები დაავადების არსებობაზე დასაბუთებული ეჭვის დასადასტურებლად მოქალაქეთა შემოწმების საჭიროებისას, ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან ჩაიტარონ ყველა სათანადო გამოკვლევა. ამ მოვალეობის შეუსრულებლობა, თუკი დადასტურდება საშიში ინფექციური დაავადებით მისი ინფიცირების ფაქტი, მოგვცემს 132-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას“. განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების სხვისთვის შეყრის ხერხ-

ებს კანონი მნიშვნელობას არ ანიჭებს და არც ჩამონათვალს გვთავაზობს. ამიტომ მათ შეიძლება მივაკუთვნოთ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა, სანიტარულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესებისა და ღონისძიებების შესრულებისათვის თავის არიდება, სქესობრივი გზით გადამდები დაავადების გავრცელება და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი განსაკუთრებით საშიშ ინფექციურ დაავადებებს მიაკუთვნებს საკარანტინო (კონვენციური) დაავადებებს (ქოლერა, შავი ჭირი, ყვითელი ცხელება, სისხლმდენი ვირუსული ცხელება, ყვავილი), რომლის დროსაც შეიძლება გამოცხადდეს კარანტინი.

მედიცინა ინფექციურ დაავადებებს მიაკუთვნებს აგრეთვე მუცლის ტიფს, დიზენტერიას, ვირუსულ ჰეპატიტს, ციმბირის წყლულს, ბრუცელოზს და სხვა. ინფექციურ დაავადებათა ჯგუფს მიეკუთვნება, ასევე ვენერიული დაავადებები — ათაშანგი, ჰონორეა, და ა.შ. ჩვეულებრივ, ვენერიული დაავადება სქესობრივი გზით ვრცელდება, თუმცა ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ათაშანგი) სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაუცველობითაც გადადის (საერთო ჭურჭლით, თეთრეულით სარგებლობა და ა.შ.).

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული, ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც ინფიცირებულია. (ვფიქრობთ, ამავე მუხლით უნდა დადგეს იმ სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხიც ვინც წინდახედულობის სპეციალური ნორმების დარღვევით შექმნა სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხე ანდა შეყარა ინფექციური დაავადება).

რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს.[1]

მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა) განხორციელება შესაძლებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.

---

1 ამ დანაშაულის კონსტრუქციისა და ბუნებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მისი პირდაპირი განზრახვით განხორციელება გამორიცხულია. საკმარისია შევადაროთ 117-ე და 132-ე მუხლების სანქციები და დავრწმუნდებით, რომ პირდაპირი განზრახვით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა, რამაც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია, გაცილებით მსუბუქად დაისჯება, ვიდრე 117-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია.

132-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების დამამძიმებელი გარემოებები — განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხის შექმნა ან დაავადების შეყრა: ა) ორი ან მეტი პირისათვის. ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა ან არასრულწლოვნისათვის.

ამ დამამძიმებელ გარემოებებზე საუბარი იყო ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულის დახასიათებისას (მუხლები 117-ე, 118-ე).

უკანონო აბორტი (მუხლი 133-ე)

აბორტი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტას ნიშნავს. ჩვენს ქვეყანაში 1955 წლიდან აბორტი ლეგალიზებულია. აქედან გამომდინარე, აბორტი ისჯება არა როგორც ჩანასახის სიცოცხლისუნარიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, არამედ როგორც დანაშაული, რომელიც საფრთხეში აგდებს ქალის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტია ორსული ქალის ჯანმრთელობა და სიცოცხლე. აბორტი ორსული ქალის თანხმობით ხდება. მისე თანხმობის გარეშე მუცლის მოშლა შესაძლებელია უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში, რაც ქალის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს და გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას.

დანაშაულის ობიექტური მხარე მოქმედებას გულისხმობს, რაც გამოიხატება დედის ორგანიზმიდან ნაყოფის გამოდევნაში, ორსულობის შეწყვეტაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბორტის კანონიერი გზით გაკეთება ჩვენს ქვეყანაში ნებადართულია. აბორტი უკანონოდ ჩაითვლება, როცა ის კეთდება კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 139-ე მუხლის მიხედვით ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ლიცენზირებული ექიმის მიერ, თუ: ა) ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას; ბ) ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან ოპერაციამდე გასულია სამი

დღის მოსაყოლებელი ვარდა. გასაუბრების დროს ექიმმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს **ნაყოფის სიცოცხლის** დაცვას. აქედან გამომდინარე, ამ დანაშაულის დამატებითი ობიექტია ნაყოფის სიცოცხლე. არჩევანი ქალის პრეროგატივაა. თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში აბორტი ნებადართულია მხოლოდ **სამედიცინო** და **სოციალური** ჩვენების მიხედვით. სამედიცინო ჩვენების ჩამონათვალს ადგენს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. სოციალური ჩვენება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით (კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მუხლი 140-ე).

ამრიგად, აბორტი უკანონოდ ჩაითვლება, როცა ის კეთდება არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში, საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის (სათანადო ლიცენზიის) გარეშე; განზრახული სამედიცინო ჩარევის (აბორტი) მოსალოდნელი შედეგის შესახებ წინასწარი გასაუბრების გარეშე, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით და სხვა. უკანონო აბორტად ითვლება აგრეთვე მუცლის მოშლა აბორტის საწინააღმდეგო ჩვენების დროს. აბორტის საწინააღმდეგო ჩვენება არსებობს სხვადასხვა დაავადების დროს, მაგალითად, სასქესო ორგანოების მწვავე ანთების, საშოში ინფექციური დაავადების და სხვა ავადმყოფური მდგომარეობის დროს. მაშასადამე, აბორტი მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება მაშინაც, როცა ქალს უკუჩვენება აქვს ოპერაციის მიმართ, რაც გამოწვეულია მისი ავადმყოფური მდგომარეობით.

ორსულობის შეწყვეტის ხერხს მნიშვნელობა არა აქვს მოქმედების მართლწინააღმდეგობის შეფასებისათვის. იგი შეიძლება გაკეთდეს ოპერაციის გზით, მექანიკური ან ტოქსიკური ზემოქმედების ხერხით. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის, ანუ დედის ორგანიზმიდან ნაყოფის გამოდევნის მომენტიდან (ფორმალური შემადგენლობა).

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული, ნებისმიერი ფიზიკური პირი, მათ შორის სამედიცინო პერსონალი, რომელიც უკანონო აბორტს აკეთებს.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს. 133-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განზრახვა მოიცავს მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გაცნობიერებასა და ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის სურვილს ან მისი განხორციელების გარდუვალობას.

დანაშაულის მოტივი და მიზანი სხვადასხვა შეიძლება იყოს, ვთქვათ, ანგარება, სიბრალული და ა.შ. მათ კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვთ, თუმცა მხედველობაშია მისაღები სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

133-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები — იგივე ქმედება ჩადენილი უკანონო აბორტისათვის მსჯავრდებულის მიერ, ან რამაც გამოიწვია შვილოსნობის სამუდამო მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი.

უკანონო აბორტის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია კანონით გათვალისწინებული წესით.

შვილოსნობის სამუდამო მოშლის გარდა, უკანონო აბორტის სხვა მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, ქრონიკულ ავადმყოფობაში და ა.შ.

133-ე მუხლის მე-3 ნაწილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს უკანონო აბორტს, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

133-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა მატერიალურია, აქედან გამომდინარე, საჭიროა მიზეზობრივი კავშირის დადგენა უკანონო აბორტსა და დამდგარ შედეგს (შვილოსნობის მოშლა, სხვა მძიმე შედეგი, ქალის სიკვდილი) შორის. აქ საქმე გვაქვს თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტთან, რომლის კვალიფიკაციის წესი განსაზღვრულია სსკ მე-11 მუხლში. მაშასადამე, 133-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე გაუფრთხილებლობას გულისხმობს თანამდევი შედეგის მიმართ. დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულება შვილოსნობის სამუდამოდ მოშლის, სხვა მძიმე შედეგის ან ქალის სიცოცხლის მოსპობის მიმართ შეიძლება მხოლოდ გაუფრთხილებლობით გამოიხატებოდეს როგორც თვითიმედოვნების, ისე დაუდევრობის სახით. აღნიშნული თანამდევი შედეგის მიმართ პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვის დადგენის შემთხვევაში დამნაშავის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაული და არა როგორც უკანონო აბორტი.

თუ 133-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შედეგი

განხორციელდა მართლზომიერი აბორტის ფარგლებში ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის შედეგად, მაგრამ ექიმის დაუდევრობით, მაშინ იგი პასუხს აგებს გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანებისათვის ან სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის.

ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება (მუხლი 134-ე)

ეს ახალი ნორმაა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. მსგავსი ქმედების კრიმინალიზაციის აუცილებლობა პირობადებულია თანამედროვე მედიცინის მიღწევებით ტრანსპლანტოლოგიაში. ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესაძლებლობა (ტრანსპლანტაცია) მედიცინის უდიდესი მიღწევაა. ტრანსპლანტაცია (ორგანოთა გადანერგვა) ნიშნავს ადამიანის ორგანოს სხვა ადამიანისათვის გადანერგვას სიცოცხლის გადარჩენის, განკურნების, დაავადების პროგრესირების შეჩერების ან ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ადამიანის ორგანოს გარდა, შესაძლებელია ქსოვილის გადანერგვაც (მაგალითად, ძვლის ტკინი), სისხლის გადასხმა და სხვა. ტრანსპლანტაციამ უდიდეს პროგრესთან ერთად არაერთი სამართლებრივი პრობლემა წარმოაჩინა. განსაკუთრებით გამოიკვეთა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი. დღეს ჯანმრთელობის დაცვის უფლება მოცემულია თითქმის ყველა საერთაშორისო და ეროვნულ საკანონმდებლო აქტში, რომელიც არეგულირებს სამედიცინო სფეროში წამოჭრილ პრობლემებს. ყველა მათგანი (ე.ი. სამართლებრივი აქტი) აღიარებს ადამიანის ინტერესებისა და კეთილდღეობის უზენაესობას საზოგადოებისა და მეცნიერების ინტერესებზე. ადამიანის ჯანმრთელობის სფეროში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით და/ან მისივე ინტერესებისათვის. მედიცინის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები რეგლამენტირებულია ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, როგორიცაა 1982 წელს მიღებული „სამედიცინო ეთიკის პრინციპები", 1996 წლის ევროპული კონვენცია „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ" და სხვა. საქართველოში ადამიანის ორგანოთა და ქსოვილთა გადანერგვასთან დაკავშირებული ურთიერთობები მოწესრიგებულია საქართველოს 1997 წლის კანონით ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

(თავი XX); 2000 წლის 23 თებერვლის კანონით „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

სსკ 134-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ხელყოფის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა.

დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ აქტიურ მოქმედებაში, სახელდობრ, სამკურნალოდ, გადასანერგად, ექსპერიმენტისათვის ან სამკურნალო პრეპარატის დასამზადებლად ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულებაში.

ტრანსპლანტაციის დროს ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ადამიანის ორგანოს ან ქსოვილის აღების მართლზომიერების საკითხი. საქმე იმაშია, რომ დონორი ორგანოს ამოკვეთის შედეგად ნებისმიერ შემთხვევაში განიცდის ამა თუ იმ ხარისხის ზიანს. ორგანოს ამოკვეთის დროს დონორის ჯანმრთელობას ემუქრება დიდი საფრთხე და შეიძლება მას თავად დასჭირდეს მკურნალობა, მაგრამ დონორისათვის ზიანის მიყენება ხდება მისივე თანხმობით და სწორედ ეს თანხმობა აქცევს ექიმის მოქმედებას მართლზომიერ ქცევად.

ყველა საერთაშორისო სამართლებრივ აქტში, რომლითაც რეგლამენტირებულია ტრანსპლანტაციის საკითხი, ხაზგასმულია, რომ ცოცხალი დონორისაგან ორგანოს ამოკვეთის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი ინფორმირებული, გაცხადებული, ნებელობითი თანხმობა გადანერგვაზე. ანალოგიურ მოთხოვნას შეიცავს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 114-ე მუხლი და ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ კანონის მე-4 მუხლი. მათში აღნიშნულია, რომ ადამიანის მიერ ორგანოს, ორგანოთა ნაწილის, ქსოვილის გაცემა სიცოცხლეში ან სიკვდილის შემდეგ, მათი სხვა ადამიანისათვის გადანერგვის, მკურნალობის მეცნიერული კვლევისა და სწავლების მიზნით, ნებაყოფლობითი აქტია. ქმედუნარიან პირს უფლება აქვს ნებაყოფლობით განაცხადოს თანხმობა ან უარი სიცოცხლეშივე, ან სიკვდილის შემდეგ მისი ორგანოს აღებაზე. უფრო მეტიც, როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალური სამართლის ნორმებით შეზღუდულია პოტენციურ ცოცხალ დონორთა წრე. ასე მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის 1989 წლის სახელმძღვანელო პრინციპებით ცოცხალი დონორი უნდა იყოს რეციპიენტის გენეტიკური ნათესავი, ევროსაბჭოს 1996 წლის კონვენციით „ადამიანთა უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ – დონორი არის

რეციპიენტის და ან ძმა. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 116-ე მუხლის მიხედვით, ცოცხალი დონორის ორგანოს გამოყენება სხვა ადამიანის სამკურნალოდ და/ან გადასანერგად დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დონორი და რეციპიენტი გენეტიკური ნათესავები ან მეუღლეები არიან. ასეთი შეზღუდვის მიზანია, ერთი მხრივ, ცოცხალი დონორის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამართლება კეთილშობილური მოტივით (ახლობლის გადარჩენის სურვილი), ხოლო, მეორე მხრივ, გამოირიცხოს უცხო დონორის მოსყიდვის (ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის), ანდა იძულების გზით მასზე ზემოქმედების შესაძლებლობა, რათა გამოირიცხოს ადამიანის ორგანოს კომერციული გარიგების საგნად გადაქცევა. ნათესაური კავშირის არსებობის მოთხოვნა გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 115-ე მუხლით დაუშვებელია პიროვნებაზე რაიმე ფორმით ზემოქმედება ორგანოს გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთივე აკრძალვას შეიცავს ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ კანონის 55-ე მუხლი — აკრძალულია ორგანოს გაცემაზე თანხმობის მისაღებად რაიმე სახის ზემოქმედება. სწორედ ასეთი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ხელმძღვანელობა სხვადასხვა ნორმატიული აქტი პოტენციურ, ცოცხალ დონორთა წრეს.

134-ე მუხლის დისპოზიციაში საზგასმულია ორგანოს აღების იძულება. ეს სსკ 150-ე მუხლით გათვალისწინებული იძულების სპეციალური შემთხვევაა. იძულებაში უნდა ვიგულისხმოთ ადამიანზე როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ზემოქმედება, რათა თანხმობა განაცხადოს დონორობაზე. ფიზიკური იძულება შეიძლება გამოიხატოს ცემაში, წამებაში, ჯანმრთელობის მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაში, თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვაში. ფსიქიკური იძულება გულისხმობს ნებისმიერი სიმძიმის ფიზიკური ძალადობის მუქარას ორგანოს გაცემაზე თანხმობის მისაღებად, აგრეთვე ადამიანის შანტაჟს, მოტყუებას. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება პოტენციური დონორის იძულების მომენტიდან, არა აქვს მნიშვნელობა, მიაღწია თუ არა დამნაშავემ ორგანოს გაცემაზე თანხმობის მიღებას (ფორმალური შემადგენლობა). ადამიანის ორგანოს (ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის) ფაქტობრივად აღება (ან ამოკვეთა) უნდა შეფასდეს დამატებით როგორც ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაული, მისი სიმძიმის ხარისხის მიხედვით.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირი, მათ შორის, სამედიცინო პერსონალიც.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი მოქმედებს განსაზღვრული მიზნით – იძულების გზით დაითანხმოს დაზარალებული ორგანოს გაცემაზე. მოტივი შეიძლება იყოს ანგარებითი, ან ახლობელი ადამიანისათვის დახმარების გაწევის სურვილი და სხვა. მოტივი კვალიფიკაციაზე გავლენას არ მოახდენს.

134-ე მუხლის მე-2 ნაწილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად თვლის იმავე ქმედების ჩადენას წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ.

ორსული ქალის იძულება ორგანოს გაცემაზე, გარდა საკუთრივ მისი ჯანმრთელობისა, საფრთხეს უქმნის ნაყოფის ნორმალურად განვითარებას, რომ აღარაფერი ვთქვათ მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.

რაც შეეხება არასრულწლოვნის იძულებას, უნდა აღინიშნოს, რომ ლეგალური ტრანსპლანტაციის დროსაც კი შეზღუდულია დონორის ასაკი, მით უფრო საშიშია და უზნეობაა არასრულწლოვნის იძულება ორგანოს გაცემაზე. ასე მაგალითად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 1989 წლის სახელმძღვანელო პრინციპებით ორგანოს ამოკვეთა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სრულწლოვანი პირისათვის. ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით არასრულწლოვნი შეიძლება იყოს მხოლოდ ძვლის ტვინის დონორი, ისიც მთელი რიგი პირობების დაცვით (მუხლი მე-20).

პირის უმწეო მდგომარეობაში ყოფნა დამნაშავისათვის წინასწარ შეცნობილი უნდა იყოს. მსხვერპლის უმწეობა შეიძლება გამოწვეული იყოს ავადმყოფობით, მცირეწლოვანებით ან მოხუცებულობით, სიმთვრალით ან სხვა ისეთი მდგომარეობით, რაც მას დამნაშავისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარს ართმევს.

რაც შეეხება დამნაშავეზე მატერიალურ ან სხვაგვარ დამოკიდებულებას, აქ იგულისხმება ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულება, რასაც მოტივაციური ზემოქმედების მოხდენა შეუძლია დაზარალებულზე (პოტენციურ დონორზე) იძულების დროს.

სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა (მუხლი 135-ე)

განსახილველი დანაშაული ხელყოფს სამართლებრივ ურთიერთობებს სისხლისა და მისი კომპონენტების დამზადების, შენახვისა და გამოყენების სფეროში. ეს ურთიერთობები რეგლამენტირებულია საქართველოს კანონით ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, 1995 წლის 21 მარტის კანონით „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

სისხლისა და სისხლის კომპონენტების დამზადება, შენახვა და გამოყენება წარმოებს საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული წესით. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება სისხლზე, მის კომპონენტებსა და პრეპარატებზე მედიცინის მოთხოვნილებათა განსაზღვრა, უსაფრთხო სისხლით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, დონორების ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ.

დანაშაულის საგანია სისხლი და მისი კომპონენტები. სისხლი ჰეტეროგენული თხევადი ქსოვილია, რომელიც უზრუნველყოფს უჯრედებისა და ქსოვილების ცხოველმყოფელობას და მათ მიერ სხვადასხვაგვარი ფიზიოლოგიური ფუნქციის შესრულებას. სისხლი შედგება პლაზმისა და ფორმიანი ელემენტებისაგან (ერითროციტები, ლეიკოციტები, თრომბოციტები).

სისხლი მიეკუთვნება ადამიანის იმ ორგანოთა (ქსოვილთა) რიცხვს, რომელსაც ხელმეორედ წარმოშობის უნარი გააჩნია. სწორედ ამიტომ მისი გამოყენება სხვა ადამიანისათვის გადასასხმელად დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, როცა დონორი არ არის გენეტიკური ნათესავი. დონორობა ხორციელდება როგორც გასამრჯელოს გარეშე, ისე ფულადი ანაზღაურებით (კადრის დონორი). ამრიგად, სისხლი ფაქტობრივად წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის კომერციული გარიგების საგანს, რამეთუ კადრის დონორობა სასყიდლიანია. სისხლის ჩაბარების დროს მიღებული გასამრჯელო წარმოადგენს არა მხოლოდ ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, არამედ სისხლის საფასურსაც. თანაც სისხლსა და მის კომპონენტებზე კომერციული გარიგება არ არის შეზღუდული გენეტიკური ნათესაობით. აქედან გამომდინარე, კანონი კრძალავს

არა საზოგადოდ სისხლითა და მისი კომპონენტებით ვაჭრობას, არამედ მხოლოდ უკანონო ვაჭრობას.

135-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სწორედ სისხლით ან მისი კომპონენტებით უკანონო ვაჭრობაში. ამას ადგილი ექნება მაშინ, როცა იგი განხორციელდება კანონით და კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი წესის უგულებელყოფით.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 126-ე მუხლის მიხედვით სისხლისა და სისხლის კომპონენტების დამზადება, შენახვა და გამოყენება წარმოებს საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული წესით.

სისხლისა და მისი კომპონენტების დამზადებასა და შენახვას ახორციელებს სათანადო ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულება. ამავე კანონის 129-ე მუხლის მიხედვით, აკრძალულია სისხლითა და მისი კომპონენტებით ვაჭრობა მოგების მიზნით, მათი საზღვარგარეთ შეძენა ან ექსპორტი საქართველოს კანონმდებლობის და/ან საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევით. ასეთი აკრძალვა აუცილებელია სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხის კონტროლისათვის, ვინაიდან სისხლით უკანონო ვაჭრობა ადამიანთა ჯანმრთელობისათვის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს. მონიტორინგი აუცილებელია ადამიანთა ჯანმრთელობის დასაცავად. სისხლის გადასხმის დაწესებულების მიერ დამზადებული სისხლი, მისი კომპონენტები და პრეპარატები, საკონსერვაციო ხსნარები ექვემდებარება ფარმაკოლოგიური ზედამხედველობის ორგანოების აუცილებელ კონტროლს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული, ნებისმიერი შერაცხადი პირი, მათ შორის სისხლის გადასხმის დაწესებულების თანამშრომელიც.

დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს, მოტივი ანგარებითია. თუ ჩვენ განზრახვის ფორმულას წარმოვიდგენთ, დავრწმუნდებით, რომ ამგვარი ქმედების განხორციელება (უკანონო ვაჭრობა) მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი. განზრახვის შინაარსი მოიცავს იმის გაცნობიერებას, რომ ადგილი აქვს სისხლის ან მისი კომპონენტებით უკანონო ვაჭრობას ანგარებით.

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა (მუხლი 135[1]-ე)

ეს ნოვაცია სისხლის სამართლის კოდექსში პირობადებულია ასევე თანამედროვე მედიცინის მიღწევებით ტრანსპლანტოლოგიაში (თანამედროვე მედიცინის სამართლებრივ ასპექტებზე იხ. 134-ე მუხლის კომენტარი). მედიცინის მიღწევები და ადამიანის უფლებების დაცვა მეტად პრობლემატური საკითხია. ყველა საერთაშორისო-სამართლებრივ აქტში, ასევე ნაციონალურ კანონმდებლობაში, რომლითაც რეგლამენტირებულია ტრანსპლანტაციის საკითხები, ხაზგასმულია, რომ აკრძალულია ადამიანის ორგანოთა კომერციული გარიგების საგნად გადაქცევა (ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 121-ე მუხლი; ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი და სხვ.). სწორედ ამ საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ ვალდებულებათა ტრანსფორმირება მოხდა სსკ 135[1]-ე მუხლში.

განსახილველი დანაშაული ხელყოფს ადამიანის ორგანოთა გადანერგვის სფეროში დამყარებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში. იგი გულისხმობს ადამიანის ორგანოს შეძენას კომერციული გარიგების საფუძველზე (ყიდვა-გაყიდვა). ეს დანაშაული წარმოადგენს აუცილებელი თანამონაწილეობის შემთხვევას და დამთავრებულად ჩაითვლება ადამიანის ორგანოებზე გარიგების განხორციელების მომენტიდან, ანუ გარკვეული საზღაურის ფასად ადამიანის ორგანოს გასხვისების (შეძენის) მომენტიდან.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი. რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, იგი პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. მოტივი და მიზანი ანგარებითია. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ადამიანის ორგანოს შეძენს შესაძლებელია ამოძრავებდეს არა ანგარება, არამედ ახლობელი ადამიანის გადარჩენის სურვილი.

135[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია იმავე ქმედების ჩადენა არაერთგზის.

არაერთგზისობის ცნება უნდა გავიგოთ სსკ მე-15 მუხლის საფუძველზე.

135[1] მუხლის მე-3 ნაწილი პასუხისმგებლობის განსაკუთრებით

დამამძიმებელ გარემოებად თვლის იგივე ქმედების ჩადენას ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა ორგანიზებული ჯგუფის მიერ იქნება ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

გენეტიკური მანიპულაცია (მუხლი 136-ე)

თანამედროვე ეპოქაში გენური ინჟინერიის სფეროში (გენეტიკაში) წარმოებულმა გამოკვლევებმა ახალი პრობლემები წამოჭრა სამართლის წინაშე.

თანამედროვე გენეტიკის განვითარების დონე საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მოსალოდნელია გენეტიკის მიღწევათა ბოროტად გამოყენება. ეს ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც გენების მანიპულაციის გზით განხორციელდა ცოცხალი არსების კლონირება. ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შემდეგ (1997 წელს კლონირებულ იქნა ცხვარი) ნათელი გახდა, რომ შესაძლებელია ადამიანის კლონირება. ამის საპასუხოდ, მოჯლმა რიგმა სახელმწიფოებმა ეროვნული კანონმდებლობით აკრძალეს კლონირება (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი).

კლონირება წარმოადგენს ერთი უჯრედიდან მთლიანი ორგანიზმის შექმნას. კლონირების დროს ერთი უჯრედი ვითარდება ისევე, როგორც ჩანასახი, შემდეგ ხდება მისი დაბადება, ზრდა და ა.შ., ე.ი. კლონირება გარკვეულწილად წააგავს ხელოვნურ განაყოფიერებას. შესაძლებელია ერთი ადამიანის რამდენიმე კლონის შექმნაც, რომელთა გარეგნობაშიც არ იქნება განსხვავება, თუმცა განსხვავებული იქნება მათი ხასიათი და ასაკი.

საქართველოს სისამდვილეში კლონის შექმნა ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებაში საქართველოს ინტეგრაციიდან გამომდინარე, ასეთი ქმედება დანაშაულად იქნა აღიარებული (მუხლი 136-ე).

გენეტიკური მანიპულაციის კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ადა-

მიანის უფლებების დაცვას რეპროდუქციული საქმიანობის სფეროში. აქ იგულისხმება ოჯახის დაგეგმვის, ჯანსაღი შთამომავლობის ყოლისა და სხვა ინტერესები, რომელთაც შეიძლება საფრთხე შეექმნას ასეთი ოპერაციის ჩატარების შედეგად.

ამ პრობლემის ბოლომდე გაუცნობიერებლობის გამო მოსალოდნელი საფრთხის წინასწარ განჭვრეტა პრაქტიკულად შეუძლებელია.

გენეტიკური მანიპულაციისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ის სოციალური ურთიერთობები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის წარმოშობისა და განვითარების გენეტიკურ კანონზომიერებას.

დანაშაულის სუბიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს გენეტიკურ მანიპულაციაში, ე.ი. ადამიანის მსგავსი არსების შექმნაში.

გენურ ინჟინერიაში მანიპულაციები შეზღუდულია როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალური სამართლებრივი აქტებით. „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენციის მიხედვით გენეტიკური გამოკვლევის ჩატარება დაიშვება მხოლოდ სამედიცინო მიზნით, რათა დადგინდეს გენეტიკაში ამა თუ იმ დაავადების ხასიათი და შეფასდეს მისი მკურნალობის მეთოდი. ადამიანის გენეტიკაში ჩარევა დაიშვება მხოლოდ პროფილაქტიკური, თერაპიული და დიაგნოსტიკური მიზნით. კონვენცია კრძალავს ადამიანზე ზემოქმედებას მისი მემკვიდრეობის შეცვლის მიზნით; აკრძალულია სამედიცინო საშუალებით ბავშვის სქესის არჩევა (შეცვლა). გენურ ინჟინერიაში მანიპულაციები – ქიმერების შექმნა, ადამიანის კლონირება, გენეტიკურ დონეზე სქესის შერჩევა აკრძალულია არა მარტო საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით, არამედ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობითაც.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 142-ე მუხლის მიხედვით, ადამიანის კლონირება გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით აკრძალულია. სახელმწიფო აკონტროლებს გამოკვლევებს გენური ინჟინერიის სფეროში. ამავე კანონის 52-ე მუხლი ადგენს, რომ გენური თერაპია დაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ა) მისი მიზანია ფატალური დაავადების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა; ბ) არ არსებობს მკურნალობის სხვა უფრო მარტივი და უსაფრთხო მეთოდი; გ) მიღებულია პაციენტის თანხმობა; დ) მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს, რომ მკურნალობა არ გამოიწვევს ადამიანის შთამომავლობის გენომის არასასურველ შეცვ-

ლას. ანალოგიურ აკრძალვას შეიცავს პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 33-ე და 34-ე მუხლები.

ამრიგად, ადამიანის გენოტიპში ცვლილებების შეტანა სამკურნალო მიზნის გარეშე, გენეტიკის უხეშად გამოყენება ადამიანის რეპროდუქციულ საქმიანობაში და სხვა არასამედიცინო დანიშნულების საქმიანობა გენურ ინჟინერიაში აკრძალულია.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი როგორც ზოგადი, ისე სპეციალური ნიშნების მქონე სუბიექტი (ვთქვათ, მეცნიერ-ბიოლოგი).

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. მოტივები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, ვთქვათ, მეცნიერული ინტერესი, განდიდება, შურისძიება და სხვა.

თავი V

დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ

§1. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზოგადი დახასიათება

საქართველოს სსკ XXII თავში მოცემულია სქესობრივი დანაშაულები, ე.ი. ისეთი მართლსაწინააღმდეგო და განზრახი ქმედებები, რომელიც ხელყოფს სხვის სქესობრივ თავისუფლებას ან ხელშეუხებლობას, ასევე მოზარდთა ნორმალურ ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას.

ამ ჯგუფის დანაშაულთა სახეობითი ობიექტია სხვისი სქესობრივი თავისუფლება, სქესობრივი ხელშეუხებლობა და ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება.

სქესობრივი თავისუფლება ნიშნავს პირის უფლებას, საკუთარი სურვილით აირჩიოს (ან არ აირჩიოს) სქესობრივი პარტნიორი.

სქესობრივი თავისუფლება, როგორც სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი, დაძახასიათებელია შემდეგი დანაშაულებისათვის: გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება (სსკ 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლები).

სქესობრივი ხელშეუხებლობა კი ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულ პიროვნებასთან (მაგალითად, მცირეწლოვანთან) სქესობრივი კავშირი კანონით აკრძალულია მისი თანხმობის შემთხვევაშიც კი.

სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი სწორედ სქესობრივი ხელშეუხებლობაა ისეთ დანაშაულებში, როგორიცაა მცირეწლოვანის გაუპატიურება (137-ე მუხლის მე-5 ნაწილი), შეურაცხადის გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება მცირეწლოვანთან (სსკ 138-ე მუხ. მე-5 ნაწ.), სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველთან (სსკ 140-ე მუხლი).

მოზარდის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედება ხელს უშლის მის ნორმალურ ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას, რაც ამ დანაშაულის (სსკ 141-ე მუხლი) ძირითად ობიექტად უნდა ჩაითვალოს. ზოგჯერ ნორ-

ქალური ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება სქესობრივი დანაშაულის დამატებითი ობიექტია (მაგალითად, მცირეწლოვანის გაუპატიურებისას ან 16 წელს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირისას).

დაზარალებულად სქესობრივ დანაშაულებში შეიძლება მოგვევლინოს როგორც ქალი, ისე მამაკაცი, როგორც სრულწლოვანი (სსკ 137-ე, 138-ე, 139-ე მუხლები), ისე არასრულწლოვანი (სსკ 140-ე და 141-ე მუხლები და სხვა).

ობიექტური მხრივ სქესობრივი დანაშაულები შეიძლება ჩადენილ იქნეს, როგორც წესი, მოქმედებით. ამ დანაშაულთა უმრავლესობა დამთავრებულია მაშინ, როცა დამნაშავე დაიწყებს სქესობრივი კავშირის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის დაჭერას სხვა პირთან. (137-ე, 138-ე, 140-ე მუხ.), ხოლო ზოგიერთი მათგანის დამთავრებისათვის საკმარისია კანონში მითითებული ქმედების ჩადენა (სსკ 139-ე და 141-ე მუხლები).

დანაშაულის ჩადენის ხერხსა და საშუალებას უმეტეს შემთხვევაში მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს (სსკ 137-ე, 138-ე, 139-ე მუხლები), ხოლო ზოგ შემთხვევაში ისინი ზეგავლენას არ ახდენენ კვალიფიკაციაზე (სსკ 140-ე და 141-ე მუხლები).

სქესობრივ დანაშაულთა ამსრულებელი ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი (სსკ 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; 139-ე მუხლი, 141-ე მუხლი). ზოგ შემთხვევაში საქმე გვაქვს სპეციალურ ამსრულებელთან (სსკ 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პ.; მე-3 ნაწილის „ა" და „ბ" პუნქტები; 140-ე მუხლი და სხვა).

სუბიექტური მხრივ სქესობრივი დანაშაულები ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ხოლო მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ისინი სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის დანიშვნისას.

სქესობრივ დანაშაულთა კლასიფიკაცია იურიდიულ ლიტერატურაში მრავალგვარია. ზოგ შემთხვევაში მის კლასიფიკაციას ახდენენ სისხლის-სამართლებრივი დაცვის ობიექტის მიხედვით[1], რიგ შემთხვევაში ჩადენილი ქმედების არსის მიხედვით[2]. უფრო გამართლებულად უნდა ჩაითვალოს განსახილველ დანაშაულთა კლასიფიკაცია მათი ჩადენის ხერხის მიხედვით

1 Уголовное право Российской Федерации. Особ. часть, М., 1996, с. 78-79. Курс уголовного права. Под ред. Г.Н. Борзенкова и В.С. Комиссарова. М., 2002, с. 258.

2 Уголовное право. Особенная часть. М., 1998, с. 120.

ორ ჯგუფად: 1. ძალმომრეობითი დანაშაულები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (137-ე, 138-ე და 139-ე მუხლები). 2. სქესობრივი დანაშაულები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ძალადობასთან (140-ე და 141-ე მუხლები)[1].

სქესობრივმა დანაშაულებმა 2006 წ. 28 აპრილის კანონით გარკვეული ცვლილება განიცადა. კერძოდ, მოცემული ნორმები შეიცვალა საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ასევე დაწესდა განსხვავებული სანქციები. ასე მაგალითად, თუ 137-ე და 138-ე მუხლები ადრე 4 ნაწილისაგან შედგებოდა, ახლა ისინი ხუთნაწილიანია. გარდა ამისა, მაკვალიფიცირებელი გარემოებების გადაჯგუფება მოხდა განსხვავებულად (მაგალითად, თუ ადრე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ითვლებოდა ამ მუხლების მე-3 ნაწილით განსაკუთრებულ დამამძიმებელ გარემოებად, ახლა იგი გათვალისწინებულია 137-ე და 138-ე მუხლების მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებად). რაც შეეხება სასჯელებს, გაიზარდა თავისუფლების აღკვეთის ქვედა ზღვარი, მაგრამ შემცირდა ზედა ზღვარი, რითაც მოსამართლეს სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობა შეეზღუდა. (მაგალითად, 137-ე მუხლის I ნაწილით ადრე გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე. ახალი კანონით კი გათვალისწინებულია ვადით ოთხიდან ექვს წლამდე).

გაუპატიურება (სსკ 137-ე მუხლი)

გაუპატიურება ყველაზე საშიში სქესობრივი დანაშაულია. ამა თუ იმ ქვეყნებში სქესობრივი დანაშაულის ამ სახეობის დასახელებაში სხვადასხვა იდეაა წინ წამოწეული. ასე მაგალითად, რუსულად „изнасилование“-ში ჩადებულია ძალმომრეობის, ძალადობის იდეა. ქართულად კი სიტყვა „გაუპატიურებაში“ წინ წამოწეულია სხვისი პატივის შელახვის, პატივის ხელყოფის იდეა. ამდენად, საქართველოში ამ დანაშაულის შეფასებისას მთავარი ყურადღება ექცევა არა ძალადობის გამოყენების ფაქტს, არამედ სხვისი პატივის უხეშ შელახვას. სწორედ ამით აიხსნება ჩვენს ქვეყანაში ამ სახის დანაშაულისადმი განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულება.

1 ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი I (მეორე გამოცემა), თბ., 2003. გვ. 181.

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია პირის სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სქესობრივი თავისუფლება ნიშნავს პირის უფლებას, თვითონ აირჩიოს სქესობრივი პარტნიორი, სქესობრივი ხელშეუხებლობა კი გაუპატიურებისას ნიშნავს იმას, რომ კანონით დადგენილ შემთხვევაში პირთან (ასაკის ან ფსიქიკური ან სხვა მდგომარეობის გამო უმწეო მდგომარეობაში მყოფთან) სქესობრივი კავშირი დაუშვებელია მისი თანხმობის შემთხვევაშიც კი. გაუპატიურების დამატებითი ობიექტია პირის ჯანმრთელობა, სიცოცხლე და არასრულწლოვნის ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება.

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება, რომ გაუპატიურებისას დაზარალებული შეიძლება იყოს მხოლოდ ქალი. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მამაკაცი არ შეიძლება იყოს დაზარალებული, რადგანაც ქალს მამაკაცის ნების საწინააღმდეგოდ მასთან ნორმალური სქესობრივი კავშირის დაჭერა არ შეუძლია. როგორც პრაქტიკამ უჩვენა, ეს მოსაზრება არაა სწორი. არის შემთხვევები, როცა ქალები მამაკაცის ნების საწინააღმდეგოდ მასთან ძალადობის გამოყენებით იჭერენ ბუნებრივ სქესობრივ კავშირს. ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს გაუპატიურებად, რადგან მასში განხორციელებულია სსკ 137-ე მუხლის შემადგენლობის ყველა ნიშანი და, გარდა ამისა, ასეთი ქმედება მამაკაცისათვის არანაკლებ შეურაცხმყოფელია.

სსკ 137-ე მუხლით პასუხისმგებლობის გადაწყვეტისას მნიშვნელობა არა აქვს, რა დამოკიდებულება ჰქონდა დაზარალებულს დამნაშავესთან (იგი შეიძლება იყოს ცოლი, საცოლე, საყვარელი), როგორია დაზარალებულის მორალური სახე (იგი შეიძლება იყოს მეძავი). რაც შეეხება სსკ 138-ე მუხლს, ამ დანაშაულის მსხვერპლი ასევე შეიძლება იყოს იგივე პირები.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოქმედებაში. კერძოდ, ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს შემდეგ ქმედებაში: 1. სქესობრივი კავშირი ძალადობით. 2. სქესობრივი კავშირი ძალადობის მუქარით ან 3. სქესობრივი კავშირი დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით.

როგორც ვხედავთ, გაუპატიურების შემადგენლობას ვერ მოგვცემს მხოლოდ ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეო მდგომარეობის გამოყენება, თუკი მას თან არ ახლავს სქესობრივი კავშირი, თავისთავად ეს ქმედებები, თუკი მიმართულია სქესობრივი კავშირის დაჭერისაკენ, უნდა

დაკვალიფიცირდეს როგორც გაუპატიურების მცდელობა ან მომზადება.

სქესობრივი კავშირი სამედიცინო კატეგორიაა და ნიშნავს ნორმალურ, ფიზიოლოგიურ აქტს, რომელსაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის სასქესო ორგანოების მეშვეობით. ყოველგვარი სხვა ქმედება, რომელიც მიმართულია სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ, არ წარმოადგენს სქესობრივ კავშირს. იგი შეიძლება შეფასდეს, როგორც სექსუალური კონტაქტი ჩადენილი გაუკუღმართებული ფორმით.

სსკ 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, გაუპატიურებისას სქესობრივი კავშირის დაჭერა შესაძლებელია სამი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. ერთ-ერთი **ხერხია ძალადობა**. ძალადობა შეიძლება განხორციელდეს ცემით, ხელ-ფეხის შებორკვით, პირის ახვევით, რასაც თან ახლავს კიდურების გადაგრეხა, ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანებით. თუ ძალადობამ შედეგად გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ეს უკვე სცილდება სსკ 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შემადგენლობას. თუ დაზიანება მიყენებულია ცეცხლსასროლი იარაღით, რასაც დამნაშავე უკანონოდ ატარებდა, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით. შეიძლება მოხდეს ისე, რომ დამნაშავემ ქალი ძალადობის გამოყენებით მიიყვანოს უმწეო მდგომარეობაში. მაგალითად, ჯერ გაკოჭა და ვენაში შეუყვანა დამამძინებელი საშუალება. შემდეგ კი, ღრმა ძილის დროს მასთან დაამყარა სქესობრივი კავშირი. ასეთ შემთხვევაში მას ბრალად წაეყენება გაუპატიურება ძალადობის გამოყენებით.

ფიზიკური ძალადობა გაუპატიურებისას არის დაზარალებულის წინააღმდეგობის დათრგუნვის საშუალება. იგი შეიძლება მიმართული იყოს ასევე სხვა პირის წინააღმდეგაც, ვისი ბედითაც დაინტერესებულია დაზარალებული (მაგალითად, დაზარალებულის შვილისაკენ), ან ვინც ცდილობდა დანაშაულისათვის ხელის შეშლას, რათა ამგვარი ძალადობით დაითანხმოს ქალი სქესობრივ კავშირზე. თუ დამნაშავემ განახორციელა ძალადობა, მაგრამ სქესობრივი კავშირის დაჭერა დაზარალებულთან ვერ მოახერხა სხვადასხვა გარემოების გამო, ქმედება დაკვალიფიცირდება გაუპატიურების მცდელობით (მე-19, 137-ე მუხლებით), ვინაიდან პირის ქმედება უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად. კერძოდ, განხორციელდა გაუპატიურების შემადგენელი ერთ-ერთი ნიშანი — ძალადობა.

ძალადობის მუქარა (ფსიქიკური ძალადობა) შეიძლება განხორციელდეს

სიტყვით, იარაღის დემონსტრირებით. თუ ცეცხლსასროლ იარაღს იგი ატარებს უკანონოდ, კვალიფიკაცია მოხდება დანაშაულთა ერთობლიობით. იგი გამოიხატება მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების, სხვა პირის გაუპატიურების (მაგალითად, შვილის გაუპატიურების) მუქარაში. ამასთანავე, ეს მუქარა უნდა იყოს იმწუთიერი და უნდა არსებობდეს მისი განხორციელების საფუძველი. ძალადობის მუქარად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როცა პირი დაზარალებულისათვის სასიცოცხლო მნიშვნელოვანი ქონების (მაგალითად, საცხოვრებელი სახლის) დაუყოვნებლივ განადგურებით იმუქრება.

აპირებდა თუ არა დამნაშავე მუქარის განხორციელებას, ამას ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, იგი იმდენად რეალური ჩანდა, რომ მოახდინა დამზარალებლის ნების პარალიზება. მაგალითად, ციცი იარაღის გულმკერდზე მიბჯენით მამაკაცმა ქალი დაითანხმა სქესობრივ კავშირზე. თუ მუქარა მიმართულია მომავლისაკენ, ქმედება გაუპატიურებით არ დაკვალიფიცირდება, თუნდაც ეს მუქარა რეალური და საფუძვლიანი იყოს. იგი შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ 139-ე (სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება) ან 150-ე მუხლით (იძულება).

მუქარა შეიძლება მიმართული იყოს არა მარტო დაზარალებულისაკენ, არამედ სხვა პირისკენაც, ვინც ცდილობდა დანაშაულისათვის ხელის შეშლას ან ვისი ბედითაც დაინტერესებულია დაზარალებული.

როცა დამნაშავე მოახერხებს განახორციელოს ძალადობა ან ძალადობის მუქარა, მაგრამ ვერ შეძლებს სქესობრივი კავშირის დაჭერას, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს გაუპატიურების მცდელობით (მე-19. 137-ე მუხ.). ვინაიდან აქაც დამნაშავემ განახორციელა გაუპატიურების შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი ძალადობა, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მოყვანილი (სქესობრივი კავშირი ვერ დაამყარა).

თუ ძალადობა ან მუქარა უშუალოდ მიმართული არ იყო სქესობრივი კავშირის დამყარებისკენ, არამედ მხოლოდ პირობებს ქმნიდა გაუპატიურებისათვის, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს გაუპატიურების მომზადებით (18, 137 მ.). მაგალითად, მამაკაცი მოკლის მუქარით აიძულებს ქალს, ჩამოვიდეს მანქანიდან და შევიდეს ტყეში, სადაც აპირებს მის გაუპატიურებას.

დაზარალებულის **უმწეო მდგომარეობის გამოყენება** გაუპატიურების ერთ-ერთი ხერხია. უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ისეთი პირი, ვისაც

არა აქვს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს დამნაშავეს (ღრმა მოხუცებული, ავადმყოფი, ფიზიკური ნაკლის მქონე პირი, ძლიერ მთვრალი და ა.შ.) ან არა აქვს უნარი შეიმეცნოს, რა ხდება მის თავს (სულით ავადმყოფი, გონებასუსტი, ღრმა ძილში მყოფი ძლიერ მთვრალი და ა.შ.). რაც შეეხება პირს, რომელიც მცირეწლოვანების გამო უმწეო მდგომარეობაშია, იგი არ წარმოადგენს დაზარალებულს სსკ 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში. ასეთი უმწეობა გათვალისწინებულია 137-ე მუხლის მე-5 ნაწილით.

ქმედების 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს დაზარალებულმა თვითონ ჩაიგდო თავი ასეთ მდგომარეობაში, თუ დამნაშავემ მიიყვანა იგი უმწეო მდგომარეობაში (მაგალითად, სასმელში ჩაუყარა დასაძინებელი წამალი). ამდენად, დაზარალებულის უმწეო მდგომარეობაში მოყვანის ფაქტი სსკ 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შემადგენლობის მიღმა არსებობს. ხოლო იმ ქმედების ჩადენა, რაც არ შედის დანაშაულის შემადგენლობაში, არ გვაძლევს მცდელობას. ამიტომაც, როცა მამაკაცი ქალს მოიყვანს უმწეო მდგომარეობაში **ძალადობის გამოყენების გარეშე** (დააძინებს), მაგრამ ვერ შეძლებს სქესობრივი კავშირის დაჭერას, რადგან სხვები ხელს შეუშლიან, ქმედება დაკვალიფიცირდება არა გაუპატიურების მცდელობად, არამედ მომზადებად. (18, 137. მ. I ნ.) ვინაიდან 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არის მძიმე დანაშაული, მისი მომზადებისათვის პირი მიეცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. როდესაც უმწეო მდგომარეობაში მოყვანა ხდება ძალის გამოყენებით (მოკვლის მუქარით დაალევინა დასაძინებელი წამალი), სახეზეა გაუპატიურების მცდელობა. გაუპატიურების შემადგენლობას არ მოგვცემს სქესობრივი კავშირის დაჭერა მოტყუებით (მაგალითად, დაქორწინების დაპირებით).

გაუპატიურება **დამთავრებულად ჩაითვლება** მაშინ, როცა დამნაშავე სხვადასხვა ხერხის გამოყენებით დაიწყებს სქესობრივი კავშირის დამყარებას დაზარალებულთან. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, მიიყვანს თუ არა ბოლომდე სქესობრივ აქტს. ამდენად, გაუპატიურება, იურიდიული თვალსაზრისით, დამთავრებულია სქესობრივი აქტის დაწყებიდან, ვინაიდან ამ დროიდან უკვე ხელყოფილია ადამიანის სქესობრივი თავისუფლება. ვინაიდან გაუპატიურების დამთავრებულად ცნობისათვის, გარდა სქესობრივი აქტის დაწყებისა, საჭირო არ არის რაიმე სხვა მძიმე შედეგი,

იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ იგი არის ფორმალური დანაშაული[1].

როდესაც დამნაშავემ მუქარის ან ძალადობის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით აიღო ხელი გაუპატიურების ჩადენაზე, თუმცა ამის განხორციელება შეეძლო, ქმედება ჩაითვლება დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად. ამ შემთხვევაში მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს (ცემა, ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, იძულება, მუქარა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება).

იგივე შეიძლება ითქვას უმწეო მდგომარეობაში პირის მოყვანის მიმართ. კერძოდ, როცა დამნაშავე უმწეო მდგომარეობაში მოიყვანს სხვა პირს, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრებს დანაშაულის ჩადენას და არ დაიჭერს მასთან სქესობრივ კავშირს, ამ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა შესაძლებელია მაშინ, თუ მისი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს. მაგალითად, მოტყუებით ქალს მიაღებინა ნარკოტიკული საშუალება და იგი მოიყვანა უმწეო მდგომარეობაში (სსკ 272-ე მუხლი).

გაუპატიურების აშსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი პირი (უმეტესად მამაკაცი), რომელმაც მიაღწია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს.

სუბიექტური მხრივ გაუპატიურება ჩადენილია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით: პირს გაცნობიერებული აქვს, რომ იყენებს ძალადობას, მუქარას ან დაზარალებულის უმწეობას და ამყარებს მასთან სქესობრივ კავშირს დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ და სურს ეს. მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია სექსუალური მოტივით მისი ჩადენა.

სსკ 137-ე მუხლის მე-2 ნაწილით ერთ-ერთი დამამძიმებელი გა-

1 ეს მოსაზრება პრინციპულად მიუღებლად მიგვაჩნია, გაუპატიურება მაშინაც კი უნდა ჩაითვალოს მატერიალურ შემადგენლობად, როცა დაზარალებულს არ მიუღია ჯანმრთელობის არანაირი დაზიანება და დაწყებული სქესობრივი კავშირი ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ამ შემთხვევაშიც შელახულია დაზარალებულის სქესობრივი თავისუფლება, მისი პატივი და ღირსება. სწორედ ესაა გაუპატიურების მძიმე შედეგი. იგი ფორმალურ დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, თუ დამთავრებულად ვცნობდით ძალადობის, ან მუქარის განხორციელებისთანავე და სავალდებულოდ არ ჩაეთვლით სქესობრივი კავშირის დაწყებას.

რემოებაა გაუპატიურება ჩადენილი **სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით**. ასეთ შემთხვევაში ქმნაშავეს უჭირავს ისეთი სამსახურებრივი მდგომარეობა, რომლის გამოყენებითაც მას შეუძლია გაიადვილოს გაუპატიურება. აქ იგულისხმება როგორც საჯარო სამსახურის მოხელე ან თუნდაც ტექნიკური მუშაკი, ისე კერძო დაწესებულების თანამშრომელი. მაგალითად, საგამოძიებო იზოლატორის ზედამხედველი აუპატიურებს პატიმარ ქალს. რა თქმა უნდა, მან უნდა გამოიყენოს 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილში მითითებული ხერხები, მაგრამ, გარდა ამისა, სამსახურებრივი მდგომარეობა მას უადვილებს ამ ხერხების გამოყენებას, ვინაიდან საკანში მოთავსებულს შეზღუდულად აქვს წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა. ასევე შეიძლება ექიმმა მასთან დახმარებისათვის მისული პაციენტის სხეულში შეიყვანოს ძლიერი დამაძინებელი წამალი და შემდეგ უმწეო მდგომარეობის გამოყენებით მასთან დაამყაროს სქესობრივი კავშირი. („ა“ პუნქტი).

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა **გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულისათვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი**. („ბ“ პუნქტი).

ეს შედეგები მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს გაუპატიურებასთან ან მის მცდელობასთან. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუპატიურებას ან მის მცდელობას უნდა მოჰყვეს გაუფრთხილებლობით. თუ დადგინდება, რომ ასეთი შედეგი დამნაშავემ განზრახ (როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით) გამოიწვია, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 137-ე მუხლის I ნაწ. (თუ არ არსებობდა სხვა დამამძიმებელი გარემოება) და 117-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით, ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ სსკ 117-ე მ. VII ნაწ. სანქცია შედარებით მკაცრია, ვიდრე ამ ქვეთაყით გათვალისწინებული სანქცია. ასევე დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნის ახალი წესი (59-ე მუხლის II ნაწ.), რომელიც ითვალისწინებს სასჯელების შეკრებას.

„სხვა მძიმე შედეგში“ სასამართლო პრაქტიკა ხშირად თვლის დაზარალებულის დაორსულებას. მართალია, ორსულობა თავისთავად არაა მძიმე შედეგი, მაგრამ გაუპატიურებისას მოძალადე პირისაგან არასასურველი ორსულობა უნდა ჩაითვალოს ასეთად, რადგანაც იგი, როგორც წესი, მთავრდება აბორტის გაკეთებით, რაც მავნებელია ქალის ორგანიზმისათვის

(ზოგჯერ ქალს ეკრძალება მშობიარობაცა და აბორტიც). გაუპატიურებისას დაორსულება მით უმეტეს უნდა ჩაითვალოს მძიმე შედეგში, როცა სახეზეა არასრულწლოვნის (მაგალითად, 12 ან 14 წლის გოგონას) დაორსულების ფაქტი, რადგანაც არასრულწლოვნის ჯანმრთელობისათვის არასასურველია როგორც ორსულობა, ასევე მშობიარობაცა და აბორტიც. ამ შემთხვევაში „სხვა მძიმე შედეგში" უნდა ვიგულისხმოთ როგორც განზრახვა, ისე გაუფრთხილებლობაც, რადგან თუ ვიგულისხმებთ მხოლოდ გაუფრთხილებლობას, შეიქმნება პარადოქსული მდგომარეობა. კერძოდ, როცა გაუპატიურებას გაუფრთხილებლობით მოჰყვება დაზარალებულის ორსულობა, დამნაშავე პასუხს აგებს 137-ე მუხლის მე-3 ნაწილი „ვ" პუნქტით (დაისჯება შესაბამისი სასჯელით), ხოლო, როცა დამნაშავე უშვებდა ქალის დაორსულებას (მაგალითად, არაერთგზისი გაუპატიურებისას), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რითაც დამნაშავეს უმსუბუქდება პასუხისმგებლობა.

სხვა მძიმე შედეგში ასევე იგულისხმება დაზარალებულის თვითმკვლელობა როგორც გაუპატიურების მცდელობისას, ისე მის შემდეგ. საქმის ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სხვა მძიმე შედეგად შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებულის მშობლის ან სხვა ახლო ნათესავის თვითმკვლელობა ან სულით ავადმყოფობის გამოწვევა (გაუპატიურებულია არასრულწლოვნი განსაკუთრებული სისასტიკით, ან ახლო ნათესავის თვალწინ და ა.შ.). თუ გაუპატიურებას შედეგად მოჰყვა დაზარალებულის თვითმკვლელობის მცდელობა, ქმედება დაკვალიფიცირდება 137-ე მუხ. I ნაწ. და 115-ე მუხლით. სხვა მძიმე შედეგში დღეკანდელი კანონმდებლობით იგულისხმება ასევე დაზარალებულისათვის შიდსის შეყრა გაუფრთხილებლობით. შიდსის განზრახ შეყრისას ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის ერთობლიობით (137. I ნ. 131 მ. II ნ.).

შიდსისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი მოცემულია სსკ 131-ე მუხლის ანალიზისას. აქ დავძენთ მხოლოდ იმას, რომ შიდსი დაზარალებულს შეიძლება შეეყაროს როგორც უშუალოდ დამნაშავის ორგანიზმიდან სქესობრივი კონტაქტით, ასევე გაუპატიურებისას გამოყენებული იარაღის მეშვეობით. მაგალითად, დამნაშავე წინასწარ შეცნობით შიდსის ვირუსით ინფიცირებულ ცივ იარაღს იყენებს ძალადობის დროს, რასაც მოჰყვება შესაბამისი შედეგი. ამ დროს კვალიფიკაცია მოხდება ერთობლიობით (137 მ. I, ნაწ. და 131-ე მუხ. II ნაწ.) ამდენად, როცა ადგილი აქვს შიდსის

განზრახ შეყრას გაუპატიურებისას, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

თუ წინასწარი შეცნობით შიდსით დაავადებულმა ჩაიდინა გაუპატიურება, მაგრამ დაზარალებულს არ შეეყარა შიდსი, ქმედება ასევე დაკვალიფიცირდება ერთობლიობით – 137-ე მ. I ნაწ. და 131-ე მ. I ნაწილით.

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს მოცემულია სსკ 117-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, მათ შორის, სულიერი ავადმყოფობაც. ეს შედეგი უნდა დადგეს გაუფრთხილებლობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება დანაშაულთა ერთობლიობას.

გაუპატიურება **არაერთგზის** ჩადენილად ჩაითვლება მაშინ, როცა ამას ჩაიდენს გაუპატიურებისთვის ნასამართლევი, თუ ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არაა, ანდა თუ ეს პირი კანონით დადგენილი წესით გათავისუფლებული არაა წინათ ჩადენილი დანაშაულისთვის.

არაერთგზის ჩადენილად ჩაითვლება გაუპატიურება მაშინაც, როცა პირი ნასამართლევია გაუპატიურების მცდელობისათვის ან გაუპატიურებაში თანამონაწილეობისათვის.

როცა პირის ქმედებაში ერთდროულად არის რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება (მაგალითად, როგორც არაერთგზის, ისევე განსაკუთრებული სისასტიკით), ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ყველაზე მძიმე ქვეპუნქტებზე და ნაწილებზე მიითვითებით; ხოლო სასჯელი უნდა დაინიშნოს არა დანაშაულთა ერთობლიობის წესით (59-ე მუხლის მიხედვით), არამედ ყველაზე მკაცრი ნაწილის სანქციის ფარგლებში (ამ შემთხვევაში 137-ე მ. IV ნაწილის სანქციის ფარგლებში). ეს იმიტომ, რომ 137-ე მუხლის II, III და IV ნაწილებში იწყება სიტყვებით: „იგივე ქმედება“, რაც თავის თავში მოიცავს ზედა ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებსაც. (თუმცა ბრალდებაში უნდა დაფიქსირდეს ყველა ეს დამამძიმებელი გარემოება).

რაც შეეხება 137-ე მუხლის V ნაწილს, აქ საქმე უფრო რთულადაა, რადგან დისპოზიცია ფორმულირებულია შემდეგნაირად: „გაუპატიურება იმისა, ვისაც არ შესრულებია 14 წელი“. ე.ი. „გაუპატიურება“ და არა „იგივე ქმედება“. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თუ გაუპატიურებულია 14 წელს მიუღწეველი მცირეწლოვანი და ამავე დროს სახეზეა სხვა დამამძიმებელი გარემოებაც (მაგალითად, ჯგუფებად – მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.) ქმედების კვალიფიკაცია მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით და სასჯელიც დაინიშნოს დანაშაულთა ერთობლიობის წესით (59-ე მუხ. I

ნაწილის შესაბამისად). სსკ 137-ე მუხლის V ნაწილის რედაქცია სწორედ ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა. იგივე პრობლემა დგას სსკ 138-ე მუხლის V ნაწილთან მიმართებაში.

გაუპატიურების ჩადენისას დაზარალებულს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა წართმეული აქვს. გაუპატიურება თავის თავში მოიცავს თავისუფლების უკანონო აღკვეთასაც და, ამდენად, დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 143-ე მუხლით საჭირო არ არის. მაგრამ, როცა დამნაშავე გაუპატიურების ჩადენის შემდეგ აგრძელებს დაზარალებულის თავისუფლების უკანონო აღკვეთას, რათა გარკვეული დროის შემდეგ კვლავ გააუპატიუროს იგი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 137-ე და 143-ე მუხლებით.

შემდეგი დამამძიმებელი **გარემოებაა გაუპატიურება, ჩადენილი იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.** ამ შემთხვევაში პირს ადრე ჩადენილი აქვს არა გაუპატიურება, არამედ სხვა სქესობრივი დანაშაული. მასთან მნიშვნელობა არა აქვს ნასამართლევია თუ არა, თანაც თითოეული მათგანი ჩადენილი უნდა იყოს ხელახლა აღმოცენებული განზრახვით და არ უნდა იყოს გასული სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადა, ასევე არ უნდა იყოს მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა ადრე ჩადენილი სქესობრივი დანაშაულისათვის. თუ პირი ადრე ჩადენილი სხვა სქესობრივი დანაშაულისათვის არაა ნასამართლევი მისი ქმედება დაკვალიფიცირდება ერთობლიობით. განსახილველი დამამძიმებელი გარემოება (პუნქტი „ბ“) არ გვექნება იმ შემთხვევაში, როცა პირი ერთიანი განზრახვით ერთსა და იმავე დაზარალებულთან სჩადის სხვადასხვა სქესობრივ დანაშაულს – გაუპატიურებას და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებას. ამ დროს ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით –სსკ 137-ე და 138-ე მუხლებით(პირველი ნაწილით).

სსკ 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით განსაკუთრებული დამამძიმებელი **გარემოებაა გაუპატიურება, ჩადენილი ჯგუფურად**. აქ იგულისხმება როგორც წინასწარ შეუთანხმებელი, ასევე წინასწარ შეთანხმებული და ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი გაუპატიურება. ამასთანავე, აუცილებელია, რომ უშუალოდ გაუპატიურების განხორციელებაში მონაწილეობდეს ორი ამსრულებელი მაინც. გაუპატიურების ამსრულებლად ჩაითვლება ის პირი, ვინც 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შემადგენლობის

ნაწილს მაინც ასრულებს. ჯგუფური გაუპატიურების თანაამსრულებლად ჩაითვლება პირი, ვინც დაზარალებულის მიმართ ახორციელებს ძალადობას (მაგალითად, სცემს მას), ან მუქარას (მაგალითად, ემუქრება ცივი იარაღით) და ამით უადვილებს მე-2 პირს, სქესობრივი კავშირი დაიჭიროს მასთან. ამდენად, ჯგუფური გაუპატიურების დროს არაა სავალდებულო ორივე ამსრულებელმა დაიჭიროს სქესობრივი კავშირი დაზარალებულთან. არ ჩაითვლება ჯგუფურ გაუპატიურებად შემთხვევა, როცა ერთმა პირმა დაზარალებული ძალადობის გამოყენების გარეშე (მაგალითად, სასმელში ჩაუყარა დასაძინებელი წამალი) მოიყვანა უმწეო მდგომარეობაში, რათა მეორეს გაადვილებოდა მასთან სქესობრივი კავშირი. შემდეგ კი მე-2 პირმა უმწეო მდგომარეობაში მყოფთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. აქ იმიტომ არა გვაქვს საბეზე ჯგუფური დანაშაული, რომ ძალადობის გარეშე პირის მოყვანა უმწეო მდგომარეობაში გაუპატიურების შემადგენლობაში არ შედის, არამედ შემადგენლობის მიღმაა. ამდენად, თანაამსრულებლად არ ჩაითვლება ისეთი ქმედების ჩადენა, რაც არ შედის დანაშაულის შემადგენლობაში. მაგრამ როდესაც ერთი პირი ძალის გამოყენებით უმწეო მდგომარეობაში მოიყვანს ქალს (ძალით დაათრო), მერე კი მასთან ამყარებს სქესობრივ კავშირს, სახეზეა ჯგუფური გაუპატიურება. ქალის ჯგუფური გაუპატიურების დროს შესაძლებელია თანაამსრულებელი იყოს ქალიც, რომელიც ახორციელებს ძალადობას ან მუქარას დაზარალებულის მიმართ და ამით უადვილებს მამაკაცს დაზარალებულთან სქესობრივ კავშირს.

ჯგუფური გაუპატიურების თანაამსრულებლად არ ჩაითვლება ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე, თუკი ისინი, ამავე დროს, უშუალოდ არ მონაწილეობდნენ გაუპატიურების აღსრულებაში, ე.ი. თუ არ ასრულებდნენ გაუპატიურების საკანონმდებლო შემადგენლობის რომელიმე ნაწილს. თანამონაწილეთა ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 25-ე, 137-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით.

ჯგუფური დანაშაული არ გვექნება მაშინ, როცა ერთი პირი ჩაიდენს გაუპატიურებას. შემდეგ კი ამ ფაქტის შემთხვევით შემსწრე პირიც, მისი თანხმობით დაიჭერს სქესობრივ კავშირს დაზარალებულთან. მათ დანაშაული ჩაიდინეს ცალ-ცალკე, მისი აღსრულების პროცესში უშუალოდ ორივენი არ მონაწილეობდნენ.

ასევე არ ჩაითვლება ჯგუფურ გაუპატიურებად შემთხვევა, როცა ორი პირი, მართალია, უშუალოდ აღასრულებს გაუპატიურების შემადგენლობას,

მაგრამ ერთ-ერთი შეურაცხადია და, ამდენად, არ შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ასეთ შემთხვევაში, მე-2 პირის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით[1].

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა **გაუპატიურება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა ან არასრულწლოვნისა.** აქ პასუხისმგებლობას ამძიმებს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის განსაკუთრებულობა. კერძოდ, ქალის სქესობრივ თავისულებასთან ერთად ემბრიონის ნორმალური განვითარება. საქმე ისაა, რომ ორსულ ქალთან სქესობრივი კავშირი ძალადობით ან მუქარით საფრთხეში აგდებს ემბრიონის სიცოცხლისუნარიანობას. ამასთანავე, უკიდურესად უზნეობის გამოვლინებაა, როცა პირს შეცნობილი აქვს, რომ ქალი ორსულადაა და აუპატიურებს მას.

კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ორსულობის მერამდენე კვირაშია დაზარალებული. მთავარია, დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდეს ორსულობის ფაქტი. ორსულობის ხანგრძლივობამ ზეგავლენა უნდა მოახდინოს სასჯელის დანიშვნაზე. თუ გაუპატიურების შემდეგ დამნაშავემ კვალის დაფარვის მიზნით მოკლა ორსული ქალი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ" პუნქტით და 109-ე მუხლის I ნაწ. „დ" პუნ. და II ნაწ. „ა" პუნქტებით. (მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით და წინასწარ შეცნობით ორსული ქალისა).

გაუპატიურებისას არასრულწლოვნად ჩაითვლება დაზარალებული 14 წლიდან 18 წლამდე. არასრულწლოვნის გაუპატიურებისას დანაშაულის ობიექტი არის არა მარტო სქესობრივი თავისუფლება, არამედ სქესობრივი ხელშეუხებლობა და ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება. კერძოდ, არასრულწლოვნები განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიან გაუპატიურების ფაქტს. გარდა ამისა, დადგენილია, რომ 16 წლამდე მოზარდთან სქესობრივი კავშირი უარყოფითად მოქმედებს მის ნორმალურ ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე. ამიტომაცაა არასრულწლოვნის გაუპატიურება განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოება. აქაც აუცილებელია, დამნაშავემ ზუსტად იცოდეს დაზარალებულის არასრულწლოვნება. ეს მან შეიძლება იცოდეს თვით დაზარალებულისაგან ან სხვა პირებისაგან. შეიძლება დაზარალებულის გარეგნობა აშკარად

1 ეს საკითხი იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა.

მეტყველებდეს მის არასრულწლოვნებაზე. თუ დამნაშავემ არ იცოდა, რომ დაზარალებული იყო არასრულწლოვანი, იგი პასუხს აგებს სსკ 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

როდესაც სრულწლოვანი პირი წინასწარი შეცნობით 16 წელს მიუღწეველი არასრულწლოვნის გაუპატიურების შემდეგ მასთან აგრძელებს ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტითა და 140-ე მუხლით. როდესაც დამნაშავეს ეგონა, რომ აუპატიურებდა ორსულ ქალს ან არასრულწლოვნს, რაც არ დადასტურდა საქმის განხილვისას, ქმედება არ დაკვალიფიცირდება მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილით განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაა **იგივე ქმედება ჩადენილი დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით.**

განსაკუთრებული სისასტიკე ამ დანაშაულის შემადგენლობის შეფასებითი ნიშანია. მისი შეფასება უნდა მოახდინოს სასამართლომ, რომელიც ხელმძღვანელობს საყოველთაოდ მიღებული მორალური კრიტერიუმით. შესაძლებელია, სასამართლოს ამგვარი შეფასების გაკეთებაში დაეხმაროს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ დაზარალებულის სხეულზე აღინიშნება მრავლობითი დაზიანებები, მოტეხილობები, სიდამწვრის კვალი და ა.შ.

„განსაკუთრებული სისასტიკე“ მოიცავს ორ მომენტს: ობიექტურსა და სუბიექტურს. ობიექტური ნიშანი გამოიხატება იმაში, რომ დაზარალებულს ან სხვა პირს გაუპატიურების დროს მიადგა განსაკუთრებული ფიზიკური ან მორალური ტრავმა. სუბიექტური ნიშანი კი გულისხმობს იმას, რომ დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ თავისი წრეგადასული მოქმედებით განსაკუთრებულ, არაადამიანურ ფიზიკურ თუ მორალურ ტკივილს აყენებს დაზარალებულს ან სხვა პირს. ქმედების ამ პუნქტით კვალიფიკაციისათვის საკმარისი არ არის განსაკუთრებული სისასტიკის მხოლოდ ობიექტური ნიშნების არსებობა. აუცილებელია, ამავე დროს, დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდეს ქმედების განსაკუთრებული სისასტიკე. იგი შეიძლება გამოვლინდეს ცემაში როგორც გაუპატიურებამდე, ისე გაუპატიურებისას. წამებაში, ახლობლის თვალწინ (დედა, მამა, საქმრო, შვილი და ა.შ.) პირის გაუპატიურებაში და ა.შ. „სხვა პირი“ როგორც განსაკუთრებული სისასტიკის მსხვერპლი, შეიძლება იყოს არა მარტო

დაზარალებულის ახლობელი, არამედ სხვა პირიც, ვინც შეიძლება ხელი შეუშალოს გაუპატიურებას.

თუ განსაკუთრებული სისასტიკით მიყენებულმა ტრავმამ განზრახ (როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით) გამოიწვია პირის სიკვდილი, ქმედება გაუპატიურებასთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახი მკვლელობით (სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწ. „ბ" პუნქტი). ამ შემთხვევაში გაუპატიურების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სსკ 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რადგან ერთი პირის მიმართ ჩადენილი ერთი ქმედებისათვის (ამ შემთხვევაში განსაკუთრებული სისასტიკისათვის) არ შეიძლება დამნაშავემ ორჯერ აგოს პასუხი – ერთხელ მკვლელობისას და მეორედ – გაუპატიურებისას. თუკი განსაკუთრებული სისასტიკე გამოყენებულ იქნა როგორც დაზარალებულის, ასევე სხვა პირის მიმართაც, მაშინ კვალიფიკაცია მოხდება სსკ 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" პუნქტით და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" პუნქტით.

შემდეგი მაკვალიფიცირებელი **გარემოებაა გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (პუნქტი „ბ")**.

ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ე.წ. ბრალის ორმაგი (რთული) ფორმა. კერძოდ, განზრახვა გაუპატიურების მიმართ და გაუფრთხილებლობა დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის მიმართ. როგორც უკვე აღინიშნა, ორმაგი (რთული) ბრალი დამახასიათებელია შედგენილი დანაშაულისათვის, რომელიც ყალიბდება ორი დამოუკიდებელი დანაშაულის დასრულებული შემადგენლობისაგან. ამ შემთხვევაში 1-ლია სსკ 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ხოლო მე-2 – სსკ 116-ე მუხლი. ამასთანავე, აუცილებელია, რომ სწორედ გაუპატიურება იყოს მიზეზობრივ კავშირში დაზარალებულის სიკვდილთან. თანაც მნიშვნელობა არა აქვს სიკვდილი გაუპატიურების პროცესში დადგა თუ გარკვეული დროის შემდეგ. მთავარია, მიყენებული ტრავმა მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირში იყოს დაზარალებულის სიკვდილთან. თუ მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს გაუპატიურებასა და სიკვდილს შორის, დამნაშავის ქმედება დაკვალიფიცირდება გაუპატიურების 1-ლი ნაწილით (თუ არ არსებობს სხვა დამამძიმებელი გარემოება). თუ დაზარალებულზე მიყენებული დაზიანება იმგვარია, რომ ჩვეულებრივად იგი არ იწვევს სიკვდილს, მაგრამ ამ შემთხვევაში სიკვდილი ამ დაზიანებამ გამოიწვია დაზარალებულის ორგანიზმისათვის დამახასიათებელი განსა-

კუთრებული თავისებურების გამო (ახლად გაკეთებული ჰქონდა თავის ქალის ოპერაცია), რის შესახებ დამნაშავემ არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, არ არსებობს ბრალი სიკვდილის მიმართ და ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

თუ გაუპატიურების დროს ან მის შემდეგ დამნაშავემ განზრახ მოკლა დაზარალებული, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით სსკ 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 109-ე მუხლით (გაუპატიურების გაადვილების ან მისი დაფარვის მიზნის არსებობისას) ან 108-ე მუხლით (სხვა მიზნის არსებობის შემთხვევაში)[1]. როდესაც დამნაშავე ჯერ კლავს ქალს, რათა შემდეგ გვამთან დაამყაროს სქესობრივი კავშირი (ნეკროფილია), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ განზრახ მკვლელობით, (108-ე მ. და 256-ე მ.) რადგანაც ზედმეტია საუბარი გარდაცვლილის სქესობრივ თავისუფლებასა თუ ხელშეუხებლობაზე.

თუ პირის ქმედებაში არის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვ. პუნქტების შემადგენლობაც, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ყოველ პუნქტზე მითითებით რაც ზეგავლენას მოახდენს სასჯელზე.

137 ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაა **გაუპატიურება იმისა, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი.** მართალია, ამ პუნქტში არაა პირდაპირ მითითება იმაზე, რომ დაზარალებულის ასაკი შეცნობილი უნდა ჰქონდეს დამნაშავეს, მაგრამ მთლიანად 137-ე მუხლის შესაბამისი ნაწილების (მაგალითად, მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტი) კონსტრუქცია საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ დაზარალებული არაა 14 წლის. თუ იგი კეთილსინდისიერად ცდება მის ასაკში, ამ პუნქტით კვალიფიკაცია გამორიცხულია. ეს აზრი პირდაპირაა გატარებული სსკ მე-11 მუხ. II ნაწილში.

ამ ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მცირეწლოვანის სქესობრივი ხელშეუხებლობა და ნორმალური ფიზიკური და ზნეობრივი განვითარება. ამ პუნქტის შემოღებისას მხედველობაშია მიღებული ის ფაქტი, რომ 14 წლამდე მოზრდილისათვის სქესობრივი კავშირი (მით უმეტეს, ნაძალადევი) უარყოფით ზეგავლენას ახდენს მის ფიზიკურ განვითარებაზე, ასევე ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე. მოზარდები

1 ადრე მოქმედ სსკ კოდექსში 109-ე მუხლის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი იყო მკვლელობა გაუპატიურებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა დაზარალებულის ძიერ წინააღმდეგობის გაწევისათვის შურისძიების მოტივით ჩადენილ მკვლელობასაც. სადღეისოდ ეს მოტივი 108-ე მუხლის შემადგენელი ნაწილია.

განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიან ასეთ დანაშაულს, ხშირია ფსიქიკური გადახრა ან თვითმკვლელობის მცდელობა.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა საკითხი, ჩაითვალოს თუ არა მცირეწლოვანება (14 წლამდე ასაკი) უმწეო მდგომარეობად. აქ ცალსახა პასუხი შეუძლებელია. თოთხმეტ წლამდეა 7 წლის მოზარდიც და 13 წლის და 11 თვისაც. მაგრამ მათ შორის ფსიქიკური განვითარების დონე აშკარად სხვადასხვაა. ძნელია ზუსტად დადგინდეს ის ასაკი, როდესაც პირს უკვე ესმის სქესობრივი კავშირის არსი და მისი შედეგები. ამის შეგნება დამოკიდებულია ინდივიდის გათვითცნობიერებაზე, იმ გარემოზე, ხადაც იზრდება, სათანადო ინფორმაციის მიღებაზე, თვით მოზარდის დაინტერესებაზე ამ საკითხით და ა.შ. ამიტომ სასამართლომ კონკრეტული საქმის განხილვისას, როცა ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი დამყარებულია მცირეწლოვანთან (განსაკუთრებით 10 წელზე ზევით ასაკის პირთან), სათანადო გამოკვლევის საფუძველზე (აქ მონაწილეობა უნდა მიიღონ ფსიქოლოგებმა, მედიკოსებმა, პედაგოგებმა და იურისტებმა), უნდა დაადგინოს, ჰქონდა თუ არა გაცნობიერებული მცირეწლოვანს სქესობრივი კავშირის არსი და მისი შედეგები. თუ აღმოჩნდება, რომ მას ეს ყველაფერი გაცნობიერებული ჰქონდა და ნებაყოფლობით დათანხმდა ასეთ კავშირზე, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა გაუპატიურებად, არამედ სსკ 140-ე მუხლით. თუ მას არ ჰქონდა გაცნობიერებული სქესობრივი კავშირის არსი და შედეგები, იგი უნდა ჩაითვალოს უმწეო მდგომარეობაში მყოფად და ქმედება დაკვალიფიცირდება 137-ე მუხლის მე-5 ნაწილით.

თუ მცირეწლოვანის გაუპატიურებას თან ახლდა ამ მუხლის მე-2, მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს შესაბამის ნაწილებზე მითითებით.

სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება (სსკ 138-ე მუხლი)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია როგორც ქალის, ისე მამაკაცის სქესობრივი თავისუფლება ან ხელშეუხებლობა. დამატებით ობიექტად უნდა ჩაითვალოს მოზარდის ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება, ასევე პირის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც ქალი, ისე მამაკაცი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება მხოლოდ მოქმედებაში. კერძოდ: 1. მამათმავლობა, ლესბიანობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით;

2. ჩადენილი ძალადობის მუქარით ან

3. იგივე ქმედებები, ჩადენილი დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით.

ძალადობა, ძალადობის მუქარა და უმწეობის გამოყენება ისევე უნდა გავიგოთ, როგორც გაუპატიურების დროს. განსახილველი დანაშაული იმით განსხვავდება გაუპატიურებისაგან, რომ აქ ადგილი არა აქვს ბუნებრივ სქესობრივ კავშირს დაზარალებულთან. დაზარალებულთან ადგილი აქვს მამათმავლობას, ლესბიანობას ან სხვაგვარ გაუკუღმართებულ სექსუალურ კონტაქტს.

მამათმავლობა ნიშნავს მამრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალურ კავშირს. თუ ასეთ კავშირს ადგილი აქვს ნებაყოფლობით და თანაც 16 წელს მიღწეულ პირებს შორის, ქმედება დანაშაულად არ ითვლება. მართალია, ამგვარი ქმედება ზნეობრივი თვალსაზრისით უკიდურესად გასაკიცხია, მაგრამ, ვინაიდან არ ახიანებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, არაა დასჯადი.

მამათმავლობის ჩადენის ხერხია ძალადობა, ძალადობის მუქარა ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენება.

ლესბიანობა ნიშნავს ქალის სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ქალთან სხეულის ეროგენულ ზონებზე ზემოქმედების გზით. ლესბიანობაც, თუ მას ადგილი აქვს 16 წელს მიღწეულ პირებს შორის ნებაყოფლობით, არაა დასჯადი ქმედება, თუმცა უკიდურესად ამორალურია. სსკ 138-ე მუხლის თანახმად, ლესბიანობა დანაშაულია, თუ ის ჩადენილია ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით.

ამდენად, მამათმავლობაცა და ლესბიანობაც ჰომოსექსუალიზმის[1] ნაირსახეობაა.

სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტში გაუკუღმართებული ფორმით იგულისხმება არაბუნებრივი სექსუალური კონტაქტის ნებისმიერი ფორმა, გარდა მამათმავლობისა და ლესბიანობისა. ასეთი შეიძლება იყოს მამაკაცის გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტი ქალთან (მაგალითად, სექსუალური კონტაქტი ქალის სწორი ნაწლავის მეშვეობით) და სხვა. გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტი სახეზეა მაშინ, როცა ქმედება გარეგნულად სქესობრივი კავშირის იმიტაციას ქმნის. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი არა აქვს გაუკუღმართებულ სქესობრივ კონტაქტს, თუნდაც ასეთი ქმედება პირს სექსუალურ კმაყოფილებას ანიჭებდეს. მაგალითად, ზოგს სქესობრივ სიამოვნებას გვრის, როცა მას სხეულზე მთელი ძალით ურტყამენ მათრახს. ასეთი ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს სექსუალურ კონტაქტად. ამიტომ, ამგვარი ქმედების იძულება (ძალადობით ან მუქარით), არ დაკვალიფიცირდება 138-ე მუხლით, არამედ სსკ 150-ე მუხლით — იძულება.

გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტიც მაშინაა დასჯადი სსკ 138-ე მუხლით, თუ იგი ჩადენილია ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით.

დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა კანონში აღნიშნული ხერხების გამოყენებით (მაგალითად, ძალადობით) დამნაშავე დაიწყებს დაზარალებულთან გაუკუღმართებულ სექსუალურ კონტაქტს იმის მიუხედავად, დაამთავრებს თუ არა მას.

ამსრულებელი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, როგორც მამაკაცი, ისე ქალი. ამასთანავე, მამათმავლობის სუბიექტი, თუ იგი ჩადენილი არაა ჯგუფურად, შეიძლება იყოს მხოლოდ მამაკაცი. შესაბამისად, ლესბიანობის სუბიექტი, თუ იგი არაა ჩადენილი ჯგუფურად, შეიძლება იყოს მხოლოდ ქალი.

სუბიექტური მხრივ აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სხვისი უმწეობის გამოყენებით სჩადის მამათმავლობას, ლესბიანობას ან სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტს

1 ჰომოსექსუალიზმი ნიშნავს საკუთარი სქესის წარმომადგენლისადმი პათოლოგიურ, არაბუნებრივ ლტოლვას.

ამყარებს პირთან გაუკუღმართებული ფორმით და სურს ეს.

მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. უმეტესად კი, ამ ქმედების ჩადენა გავრცელებულია სექსუალური მოტივითა და მიზნით.

სსკ 138-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოებები იგივეა, რაც 137-ე მუხლისა. ამდენად, მათ განხილვას არ შევუდგებით.

სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება (სსკ 139-ე მუხლი)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია პირის (როგორც ქალის, ისე მამაკაცის) სქესობრივი თავისუფლება ან ხელშეუხებლობა. ამ დანაშაულის დამატებითი ობიექტი შეიძლება იყოს ადამიანის პატივი და ღირსება (თუ ადგილი აქვს სახელის გამტეხი ცნობის გახმაურებას). მისი დამატებითი ობიექტი არ შეიძლება იყოს საკუთრებითი ურთიერთობა, რადგანაც ქონების დაზიანების შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით (139-ე და 187-ე მუხლები). დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც ქალი, ისე მამაკაცი. როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვნი (139-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ობიექტური მხრივ იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. კერძოდ, სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქარა შეიძლება ჩადენილ იქნეს მოქმედებით. რაც შეეხება მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით იძულება, იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.

განსახილველი დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა. იგი დამთავრებულია იძულების რომელიმე ხერხის გამოყენების მომენტიდან და მნიშვნელობა არა აქვს დამნაშავე მიაღწევს თუ არა დაზარალებულთან სექსუალური კონტაქტის დამყარებას.

დანაშაულის სუბიექტი სექსუალური კონტაქტის დასამყარებლად იყენებს იძულების სხვადასხვა ხერხს. ერთ-ერთი ასეთი ხერხია სახელ-

გამტეხი ცნობის გახმაურების მუქარა. იგი გამოიხატება ისეთი ცნობის გადაცემის მუქარაში სხვა პირისათვის, რაც სახელს უტეხს დაზიანებულს. ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, ეს ცნობა ნამდვილია თუ გამოგონილი, დანაშაულში იმხილება პირი თუ ამორალურ ქმედებაში. კვალიფიკაციისათვის ასევე არა აქვს მნიშვნელობა სახელგამტეხი ცნობის გახმაურების მუქარა იმწუთიერია, თუ იგი მომავლისკენაა მიმართული. თუ ეს მუქარა დამნაშავემ მართლაც განახორციელა, რაც გამოიხატა პირისათვის დანაშაულის ცრუ დასმენაში, ქმედება დაკვალიფიცირდება ერთობლიობით – სსკ 139-ე და 373-ე მუხლებით. სხვა შემთხვევაში კი მხოლოდ 139-ე მუხლით.

ქონებრივი დაზიანების მუქარა გულისხმობს აქტიურ ფსიქიკურ ზემოქმედებას დაზარალებულზე. მუქარა შეიძლება მიმართული იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების დაზიანებისაკენ. მართალია, 139-ე მუხლის დისპოზიციაში არაა პირდაპირი მითითება ქონების განადგურების მუქარაზე, მაგრამ იგი მის შემადგენლობაში უთუოდ იგულისხმება. თუკი ქონების დაზიანების მუქარას შეუძლია ფსიქიკური ზემოქმედება მოახდინოს დაზარალებულზე, მისი განადგურების მუქარა მით უმეტეს დიდ ზეგავლენას მოახდენს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ქონება უნდა იყოს მნიშვნელოვანი როგორც საზოგადოდ, ისე თვით დაზარალებულისათვის. უმნიშვნელო ქონების დაზიანების მუქარა არ მოგვცემს 139-ე მუხლის შემადგენლობას. როდესაც დამნაშავე რეალობად აქცევს ამ მუქარას და დაზარალებულს დაუზიანებს მისთვის მნიშვნელოვან ქონებას, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 139-ე და 187-ე მუხლებით[1].

დამნაშავესთან მატერიალურ დამოკიდებულებას ადგილი აქვს მაშინ, როცა დაზარალებული არსებობისათვის აუცილებელ სახსრებს დამნაშავისაგან იღებს (კვება, ჩაცმა, სწავლის ქირა, მკურნალობის ხარჯი და ა.შ.). სწორედ ამგვარ დამოკიდებულებას იყენებს დამნაშავე იმისათვის, რომ აიძულოს პირი მასთან სექსუალურ კონტაქტზე. ამასთანავე, არ ექნება ადგილი ამ დანაშაულის შემადგენლობას, როცა დამნაშავე სექსუალური კონტაქტის სანაცვლოდ ჰპირდება მე-2 პირს მატერიალური

1 თუ ადგილი აქვს დაზარალებულისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქონების (მაგალითად, საცხოვრებელი სახლის) დაუყოვნებლივ განადგურების (მაგალითად, დაწვის) მუქარას სქესობრივი კონტაქტის იძულების მიზნით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ 139-ე მუხლით, არამედ 137-ე ან 138-ე მუხლების მცდელობით.

მდგომარეობის გაუმჯობესებას (მეტ ფულს მისცემს, უკეთ ჩააცმევს, უფრო ძვირადღირებულ სასწავლებელში გადაიყვანს, უფრო ძვირადღირებულ კლინიკაში უმკურნალებს და ა.შ.). ამ დროს პირის იძულება უნდა გამოიხატოს მისი მატერიალური მდგომარეობის გაუარესების მუქარაში (არ მისცემს ფულს, არ გადაუხდის სწავლის ქირას, არ ჩააცმევს და ა.შ.). და არა მის ცდუნებაში („იძულება" და არა „დაყოლიება", „ცდუნება"). დანაშაულის ეს შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს უმოქმედობითაც. მაგალითად, მამინაცვალი გერს სთავაზობს სქესობრივ კავშირს მასთან. უარის მიღების შემდეგ კი წყვეტს მასზე ზრუნვას (არ აჭმევს, არ ყიდულობს ტანსაცმელს, არ უხდის სწავლის ხარჯებს და ა.შ.), რათა ამით აიძულოს, დათანხმდეს მასთან სექსუალურ კონტაქტზე.

სამსახურებრივი დამოკიდებულების დროს დაზარალებული დამნაშავის ხელქვეითია, მნიშვნელობა არა აქვს საჯარო თუ კერძო სამართლის დაწესებულებაში. ამდენად, დამნაშავე იყენებს თავის ფაქტობრივ შესაძლებლობას და პირდაპირ ან მინიშნებით აგრძნობინებს დაზარალებულს, რომ, თუ იგი არ დასთანხმდება სექსუალურ კონტაქტზე, მისი სამსახურებრივი მდგომარეობა გაუარესდება (არ გადაუხდის ხელფასს, ანდა გადაუხდის საკლებს, სამოაქვეითებს, გაათავისუფლებს სამუშაოდან და ა.შ.). სამსახურებრივი დამოკიდებულების გამოყენება არ არსებობს იმ შემთხვევაში, როცა პირებს შორის ჯერ არაა დამყარებული სამსახურებრივი ურთიერთობა. მაგალითად, ხელმძღვანელი პირი მოქალაქეს, რომელსაც სურს ამ ორგანიზაციაში მუშაობის დაწყება, აგრძნობინებს, რომ სამსახურში მხოლოდ იმ პირობით მიიღებს, თუ იგი დათანხმდება სექსუალურ კონტაქტზე. ამდენად, ასეთი შემთხვევა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ 139-ე მუხლით. ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომაა.

თუკი ხელმძღვანელი პირი მართლაც ჩაიდენს ზემოთ ჩამოთვლილ უკანონო მოქმედებებს, კვალიფიკაცია სსკ 139-ე მუხლთან ერთად უნდა მოხდეს შესაბამისი ნორმით (მაგალითად, სსკ 169-ე, 220-ე ან 332-ე მუხლებით). არ გვექნება განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა მაშინ, როცა ხელმძღვანელი პირი ცდილობს ხელქვეითის დაყოლიებას იმით, (მაგრამ არ აიძულებს მას) რომ სექსუალური კონტაქტის სანაცვლოდ ჰპირდება მას სხვადასხვა შეღავათებს: მაღალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანას, პრემიების მიღებას, მივლინებებს უცხო ქვეყნებში და ა.შ.

სხვაგვარ დამოკიდებულებად უნდა მივიჩნიოთ მასწავლებლისა და

მოსწავლის, ლექტორისა და სტუდენტის, გამომძიებლისა და ბრალდებულის, მწვრთნელისა და სპორტსმენის დამოკიდებულება და ა.შ. ეს ისეთი დამოკიდებულებაა, როცა პირის მდგომარეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი ცხოვრების წესი და მომავალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მე-2 პირზე და თანაც ამ დამოკიდებულების გაწყვეტა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. დამნაშავე იყენებს სწორედ ამ მომენტს, რათა აიძულოს პირი მასთან სექსუალურ კონტაქტზე.

როდესაც დამნაშავე ძალადობის სამომავლო მუქარით აიძულებს პირს, დაამყაროს მასთან სექსუალური კონტაქტი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 150-ე მუხლით.

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება აშკარად ნაკლებია, ვიდრე გაუპატიურებისა, რადგანაც განსახილველ შემთხვევაში საფრთხე არ ემუქრება პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. გარდა ამისა, პირს აქვს დრო, დაფიქრდეს დამნაშავის წინადადებაზე, აწონ-დაწონოს ვითარება, სხვა პირებს მიმართოს საშველად და ა.შ.

დანაშაულის ამსრულებელია ყველა შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი როგორც ქალი, ისე მამაკაცი. სამსახურებრივი დამოკიდებულების გამოყენების დროს კი სახეზეა სპეციალური სუბიექტი – ხელმძღვანელი პირი.

სუბიექტური მხრივ 139-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილია პირდაპირი განზრახვით, მოტივი უმეტესწილად სექსუალური ხასიათისაა, ხოლო მიზანი არის დაზარალებულებთან სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბიანობის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის დაჭერა.

სსკ 139-ე მუხლის მე-2 ნაწილით დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, როცა იგი ჩადენილია არასრულწლოვნის მიმართ. არასრულწლოვნად ჩაითვლება პირი, ვისაც არ მიუღწევია 18 წლისათვის.

როდესაც დამნაშავე 139-ე მუხლში მითითებული ხერხის გამოყენებით სექსუალურ კონტაქტს დაამყარებს წინასწარი შეცნობით 16 წელს მიუღწეველთან, რომელიც არ იმყოფება უმწეო მდგომარეობაში, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 139-ე და 140-ე მუხლებით.

სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან (სსკ 140-ე მუხლი)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია 16 წელს მიუღწეველი პირის სქესობრივი ხელშეუხებლობა, მისი ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება. დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც ვაჟი, ისე გოგონა, რომელსაც არ შესრულებია 16 წელი. საქმე ისაა, რომ 16 წლამდე ასაკის მოზარდთან სქესობრივი კავშირი, ზნეობრივი თვალსაზრისით, ხელს უწყობს მის გარყვნას. ბიოლოგიური თვალსაზრისით კი, ხელს უშლის ნორმალურ ფიზიკურ განვითარებას, ვინაიდან 16 წელს მიუღწეველი მოზარდი სქესობრივად ჯერ კიდევ მოუმწიფებელია. ამიტომაც, 16 წელს მიუღწეველთან სექსუალური კონტაქტი, თუნდაც ნებაყოფლობით, დაუშვებელია.

განსახილველი დანაშაული ძირითადად იმით განსხვავდება გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედებისაგან, რომ აქ სექსუალური კონტაქტი დაზარალებულთან მისივე თანხმობით მყარდება. ამასთანავე, დაზარალებული არ იმყოფება უმწეო მდგომარეობაში.

ობიექტური მხრივ 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში, კერძოდ, ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირში, მამათმავლობაში, ლესბიანობაში ან სხვაგვარ გაუკუღმართებულ სექსუალურ კონტაქტში 16 წელს მიუღწეველ პირთან.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როცა სრულწლოვანი პირი 16 წელს მიუღწეველთან დაიწყებს ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირს ან გაუკუღმართებულ სექსუალურ კონტაქტს. თუ ამგვარი კონტაქტი 16 წელს მიუღწეველთან დამყარებულია ძალადობით, ძალადობის მუქარით ან უმწეობის გამოყენებით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 137-ე ან 138-ე მუხლების შესაბამისი ნაწილით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვაზე, თუ რა ასაკამდე ითვლება მოზარდი უმწეო მდგომარეობაში მყოფად, ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია. საკითხი მეტად ინდივიდუალურია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, ჰქონდა თუ არა შეგნებული მოზარდს (განსაკუთრებით 10 წელს გადაცილებულს) გაცნობიერებული სექსუალური კონტაქტის არსი და მისი შედეგები. 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დაზარალებულად გვევლინება

სწორედ ის მოზარდი, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა სქესობრივი კავშირის (და საერთოდ, სექსუალური კავშირის) არსი და მისი შედეგები. წინააღმდეგ შემთხვევაში 16 წელს მიუღწეველი ჩაითვლება უმწეო მდგომარეობაში მყოფად, მის ფორმალურ თანხმობას სექსუალურ კონტაქტზე იურიდიული მნიშვნელობა არ მიენიჭება და ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 137-ე ან 138-ე მუხლებით. ამდენად, 140-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისას დაზარალებული არ იმყოფება უმწეო მდგომარეობაში.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა გვექნება მაშინაც, როცა სრულწლოვანმა ცოლად შეირთო 16 წელს მიუღწეველი გოგონა ან, პირიქით. მოქმედი კანონმდებლობა არავითარ გამონაკლისს არ ითვალისწინებს იმ შემთხვევისათვის, როცა პირები ფაქტობრივ ქორწინებაში არიან[1].

აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება, როცა სრულწლოვანი ნებაყოფლობით სექსუალურ კონტაქტს ამყარებს, მართალია, 16 წელს მიუღწეველთან, მაგრამ პირთან, ვისთვისაც ასეთი კონტაქტი უკვე ცხოვრების ჩვეულებრივი წესია (მაგალითად, 16 წელს მიუღწეველ პირთან, ვინც დაქორწინებულია და შვილიც ჰყავს). საქმე ისაა, რომ ასეთი სექსუალური კონტაქტი უკვე ხელს ვერ შეუშლის 16 წელს მიუღწეველს ნორმალურ ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას.

როდესაც სრულწლოვანმა პირმა ჯერ გააუპატიურა 16 წელს მიუღწეველი, ხოლო შემდეგ დაითანხმა იგი სქესობრივ კავშირზე (თუ დაზარალებული არაა უმწეო მდგომარეობაში), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

დანაშაულის ამსრულებელია შერაცხადი, სრულწლოვანი პირი, ე.ი. ვინც უკვე შესრულდა 18 წლის, როგორც ქალი, ისე მამაკაცი. თუ არასრულწლოვნი ნებაყოფლობით სექსუალურ კავშირს ამყარებს 16 წელს მიუღწეველთან, დანაშაულის შემადგენლობა საერთოდ არ არსებობს, ვინაიდან, ამ დროს ძნელია გაირკვეს ამ ორი არასრულწლოვნი პირიდან, რომელია დამნაშავე და რომელი დაზარალებული. ასევე ამ ქმედებისათვის პასუხს არ აგებს 16-დან 18 წლამდე ასაკის პირიც, რადგან მხოლოდ 18

---

1 მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობის ასეთი პოზიცია გაუმართლებელია. ფაქტობრივად შექმნილი ოჯახის დანგრევა არ შეიძლება შეფასდეს დადებით მოვლენად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ, როდესაც სრულწლოვან მეუღლეს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და 16 წელს მიუღწეველი რჩება თავისუფალი, ხშირად ზნეობრივი თვალსაზრისით ეს უარესი შედეგით მთავრდება.

წელს მიღწეულს შეიძლება ნათლად ჰქონდეს გაცნობიერებული ასეთი ქმედების მავნეობა.

სუბიექტური მხრივ 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ 16 წელს მიუღწეველთან ამყარებს სქესობრივ კავშირს, ან სექსუალური ხასიათის გაუკუღმართებულ კონტაქტს და სურს ეს.

გარყვნილი ქმედება (სსკ 141-ე მუხლი)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია 16 წელს მიუღწეველი პირის ნორმალური ზნეობრივი განვითარება.

დაზარალებული შეიძლება იყოს 16 წელს მიუღწეველი პირი, როგორც ქალი, ისე მამაკაცი.

ობიექტური მხრივ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მოქმედებით, რაც გამოიხატება გარყვნილ ქმედებაში 16 წელს მიუღწეველთან.

რით განსხვავდება გარყვნილი ქმედება 16 წელს მიუღწეველთან იმავე პირთან გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტისაგან (140-ე მუხლი)? გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტის დროს დამნაშავე ფიზიკურად სექსუალურ კავშირს ამყარებს 16 წელს მიუღწეველთან გაუკუღმართებული ფორმით. ასეთი კონტაქტი გარეგნულად სქესობრივი კავშირის იმიტაციით ხასიათდება. გარყვნილი ქმედების დროს კი დამნაშავე დაზარალებულთან არ ამყარებს სექსუალურ კონტაქტს, არამედ სხვაგვარი ქმედებით ახდენს მის გარყვნას. გარყვნილი ქმედება თავისი გარეგანი გამოხატულების ხასიათის მიხედვით შეიძლება ორი სახის იყოს: ფიზიკური ან ინტელექტუალური გარყვნილი ქმედება. ფიზიკური გარყვნილი ქმედება სახეზეა მაშინ, როცა პირი 16 წელს მიუღწეველი მოზარდის თვალწინ სქესობრივ კავშირს ან სექსუალურ ხასიათის ქმედებას ახორციელებს სხვა პირთან, ანდა საკუთარ სხეულზე ახორციელებს სექსუალური ხასიათის მოქმედებას. ფიზიკური გარყვნილი ქმედება სახეზეა მაშინაც, როცა დამნაშავე 16 წლის მიუღწეველს ასწავლის, თუ როგორ განახორციელოს საკუთარ სხეულზე გარყვნილი ქმედება,ან ხელით ეხება მის სხეულის ეროგენულ ადგილებს.

ინტელექტუალური გარყვნილი ქმედების დროს დამნაშავე თვითონ არ ახორციელებს სექსუალური ხასიათის მოქმედებას. იგი 16 წელს მიუღწეველს ესაუბრება სექსუალური ცხოვრების ისეთ დეტალებზე, რამაც შეიძლება მოზარდში სექსუალური ლტოლვა გამოიწვიოს. ინტელექტუალური გარყვნილი ქმედებაა სახეზე აგრეთვე, როცა პირი მოზარდს უჩვენებს პორნოგრაფიულ ნაწარმოებს (ფილმს, სურათსა და სხვა).

გარყვნილი ქმედების დროს დამნაშავე დაზარალებულთან რომ არ შედის სექსუალურ კონტაქტში, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ გარყვნილი ქმედების ამსრულებელი, განსხვავებით სსკ 140-ე მუხლის ამსრულებლისაგან, არის 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი და არა სრულწლოვანი პირი. გარყვნილ ქმედებაში დაზარალებულთან სექსუალური კონტაქტიც რომ იგულისხმებოდეს, მაშინ ამ დანაშაულის ამსრულებელი არ იქნებოდა 14 წლის პირი, რადგან ორ 16 წელს მიუღწეველთა შორის ნებაყოფლობით სექსუალური კონტაქტის დროს პრაქტიკულად შეუძლებელია გაირკვეს, ვინაა დამნაშავე და ვინ დაზარალებული.

გარყვნილი ქმედება ფორმალური დანაშაულია. იგი დამთავრებულია მაშინ, როცა პირი 16 წელს მიუღწეველთან ჩაიდენს ინტელექტუალურ თუ ფიზიკურ გარყვნილ ქმედებას ძალადობის გარეშე. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს მოახერხა თუ არა დამნაშავემ 16 წელს მიუღწეველი პირის გარყვნა.

განსახილველი დანაშაულის ამსრულებელია შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი, როგორც ქალი, ისე მამაკაცი.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული განზრახია. კერძოდ, სახეზეა პირდაპირი განზრახვა. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ 16 წელს მიუღწეველთან სჩადის ისეთ ქმედებას, რომელიც საყოველთაოდ მიღებული ზნეობის ნორმებით ფასდება როგორც გარყვნილება. მას შეიძლება სურდეს მოზარდის გარყვნა ან უშვებდეს ასეთი შედეგის დადგომას. ამდენად, რა მიზნით სჩადის პირი გარყვნილ ქმედებას 16 წელს მიუღწეველთან, ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

თავი VI

დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

§1. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ზოგადი დახასიათება

საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ეს უფლებები და თავისუფლებები შინაარსის მიხედვით შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: პირადი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლება. გარდა ამ ძირითადისა, მოქალაქეებს სხვა უფლებებიც აქვთ, რომლებიც გამომდინარეობენ კონსტიტუციური უფლებებიდან და მათი დაცვის სამართლებრივი გარანტის როლში გამოდის სამართლის სხვადასხვა დარგი (მათ შორის, სისხლის სამართალიც). საქართველოს სს კოდექსის XXIII თავში მოცემულია სწორედ ის ნორმები, რომლებიც წარმოადგენენ მოქალაქეთა (და არა მარტო საქართველოს მოქალაქეთა) პირად, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის სისხლისსამართლებრივ გარანტიას.

ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის სახეობითი ობიექტია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებული ადამიანთა ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. დაზარალებულებად გვევლინებიან როგორც საქართველოს მოქალაქენი, ისე უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად თუ დროებით ცხოვრობენ საქართველოში. მაგრამ მთელი რიგი ნორმებისათვის დაზარალებულთა წრე შეზღუდულია (დაკონკრეტებულია). მაგალითად, სსკ 142^1-ე მუხლში დაზარალებული შეიძლება იყოს მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, 143^2-ე მუხლში – არასრულწლოვანი, 154-ე მუხლში – ჟურნალისტი, 162-ე მუხლში – მხოლოდ საქართველოს მოქალაქე და ა.შ.

ამ დანაშაულთა ობიექტური მხარე უმეტეს შემთხვევაში მოქმედებაში გამოიხატება (სსკ 143-ე, 143^1-ე, 143^2-ე, 144-ე, 145-ე, 146-ე, 148-ე

150-ე, 151-ე, 155-ე, 158-ე. 159-ე, 160-ე, 161-ე და სხვა). ზოგიერთი მათგანი ობიექტური მხრივ შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში (სსკ 142-ე, 142[1]-ე, 147-ე, 149-ე, 167-ე, 169-ე და სხვა).

ამ თავით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნაწილი მატერიალური შემადგენლობისაა, ე.ი. მათი დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია მძიმე შედეგის დადგომა. მაგალითად, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (სსკ 142-ე მუხლი), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა (სსკ 142[2]-ე მუხლი), განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია (სსკ 147-ე მუხლის მე-3 ნაწილი), უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი (სსკ 149-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი), ადგილსამყოფლის თაკისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა (სსკ 152-ე მუხლი), ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა (სსკ 167-ე მუხლი), შრომის კანონმდებლობის დარღვევა (169-ე მუხლი), შრომის დაცვის წესის დარღვევა (სსკ 170-ე მუხლი). განსახილველ დანაშაულთა ნაწილი კი ფორმალური შემადგენლობისაა, ე.ი. ისინი დამთავრებულად ითვლებიან მოქმედების ან უმოქმედობის ჩადენისთანავე და მძიმე შედეგის დადგომას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი დანაშაულებაა რასობრივი დისკრიმინაცია (სსკ 142[1]-ე მუხლი), თაკისუფლების უკანონო აღკვეთა (სსკ 143-ე მუხლი), ადამიანით ვაჭრობა (სსკ 143[1]-ე მუხლი), არასრულწლოვნით ვაჭრობა (სსკ 143[2]-ე მუხლი), მძევლად ხელში ჩაგდება (144-ე მუხლი), დანაშაულის პროვოკაცია (სსკ 145-ე მუხლი), უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში (სსკ 146-ე მუხლი), განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (სსკ 147-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილი) და სხვა. ფორმალურ დანაშაულებში მძიმე შედეგის დადგომას, მართალია, ქმედების კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ იგი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

დანაშაულის ჩადენის ადგილს, დროს, ხერხსა და საშუალებას უმეტეს შემთხვევაში განსახილველ დანაშაულთა კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ზოგ შემთხვევაში კი მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს ობიექტური მხარის ისეთ ფაკულტატურ ნიშანს, როგორიცაა დანა-

შაულის ხერხი და საშუალება. მაგალითად, რასობრივი დისკრიმინაცია, ჩადენილი სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით (სსკ 142[1] მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი), დევნა, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით (სსკ 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი) და სხვა.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ამსრულებელი შესაძლებელია იყოს როგორც საერთო (ე.ი. ნებისმიერი შერაცხადი, 14 წელს მიღწეული პირი), ისე სპეციალური. სპეციალური სუბიექტის მიერაა ჩადენილი ისეთი დანაშაული, როგორიცაა უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში (სსკ 146-ე მუხლი), განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (სსკ 147-ე მუხლი) და სხვა. მთელი რიგი დანაშაულების ჩადენა შესაძლებელია როგორც სპეციალური, ისე საერთო სუბიექტების მიერ. მაგალითად, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (სსკ 142-ე მუხლი), რასობრივი დისკრიმინაცია (სსკ 142[1]-ე მუხლი), ადამიანით ვაჭრობა (სსკ 143[1] ე მუხლი) და სხვა. ზოგიერთი მათგანის ამსრულებელი კი არის მხოლოდ საერთო სუბიექტი. მაგალითად, თავისუფლების უკანონო აღკვეთა (სსკ 143-ე მუხლი), მძევლად ხელში ჩაგდება (სსკ 144 ე მუხლი), დანაშაულის პროვოკაცია (სსკ 145-ე მუხლი).

სუბიექტური მხრივ XXIII თავში გათვალისწინებული დანაშაულების უმრავლესობა ხასიათდება განზრახვით. გვაქვს გაუფრთხილებელი დანაშაულიც. მაგალითად, შრომის დაცვის წესის დარღვევა (სსკ 170-ე მუხლი). მოტივსა და მიზანს უმეტეს შემთხვევაში კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს და მათი დადგენა ხდება სასჯელის ინდივიდუალიზაციის მიზნით. თუმცა მთელ რიგ შემთხვევაში მოტივი ან მიზანი მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობისაა, ვინაიდან იგი შეტანილია დანაშაულის შემადგენლობაში. მაგალითად, რასობრივი დისკრიმინაცია (სსკ 142[1]-ე მუხლი), ადამიანით ვაჭრობა (სსკ 143[1]-ე მუხლი), არასრულწლოვნით ვაჭრობა (სსკ 143[2]-ე მუხლი), მძევლად ხელში ჩაგდება (სსკ 144-ე მუხლი), დანაშაულის პროვოკაცია (სსკ 145-ე მუხლი) და სხვა.

განსახილველ თავში ბოლო დროს მთელი რიგი ცვლილება იქნა შეტანილი. პირველად ცვლილება მან განიცადა 2005 წ. დეკემბრის კანონით, რომლის ძალითაც დაემატა სამი ახალი მუხლი – ამომრჩევლის მოსყიდვა (164[1] მ.), ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან

პლებისციტში მონაწილეობის მიღება (164[2] მ.) და არჩევნების გაყალბება (164[3] მ.). მეორე ცვლილება განხორციელდა 2006 წ. აპრილის კანონით და ბოლოს 2006 წ. ივლისის კანონით.

კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილება შეეხო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს საკანონმდებლო ტექნიკისა და სასჯელების კუთხით. ასევე ზოგიერთი დანაშაულისათვის (143[1] და 143[2] მმ). პასუხისმგებლობა დაწესდა იურიდიული პირებისთვისაც. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ცვლილება იმაში გამოიხატა, რომ სხვაგვარად გადაჯგუფდა ცალკეულ ნორმათა მაკვალიფიცირებელი გარემოებები. ხოლო სასჯელის თვალსაზრისით ცვლილება იმაში გამოიხატა, რომ ზოგიერთი დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელის ზომა გამკაცრდა, ასევე შეიწროვდა თავისუფლების აღკვეთის მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვარს შორის არსებული ინტერვალი, რითაც ნაკლები გასაქანი დარჩა სასამართლოს მიხედულებისათვის. ასე მაგალითად, თუ ადრე თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143 მუხლის I ნაწ.) ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ახლა იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადის ორიდან ოთხ წლამდე. (როგორც ვხედავთ მინიმალური ზღვარი გაიზარდა, მაქსიმალური კი შემცირდა).

ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (სსკ 142-ე მუხლი)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის თავისუფლება და თანასწორობა, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი მე-14), ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებითა და კონვენციებით; მაგალითად, 1979 წლის 18 დეკემბრის კონვენციით ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (საქართველო შეუერთდა 1994 წლის 9 აპრილს); ამავე კონვენციის 1992 წლის დამატებითი ოქმით (საქართველო შეუერთდა 2002 წლის 18 მაისს); 1951 წლის კონვენციით მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ (საქართველო შეუერთდა 1996 წლის 29 მაისს) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია და სხვა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში ან უმოქმედობაში, მძიმე შედეგში (ადამიანის უფლების არსებითი ხელყოფა) და მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. კერძოდ, ქმედება გამოიხატება ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევაში, რაც შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. უმოქმედობის მაგალითია, როცა ამათ თუ იმ ერის წარმომადგენლებს არ უწევენ მომსახურებას საყოფაცხოვრებო მომსახურების ამა თუ იმ დაწესებულებაში (ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირი იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას). მოქმედების მაგალითია, როცა რომელიმე ერისა თუ რელიგიის წარმომადგენლებს დაბრკოლების შექმნით არ აძლევენ საშუალებას ისარგებლონ ტრანსპორტით, თეატრით, მაღაზიაში მომსახურებით და სხვა. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ცნობით კინო-თეატრ რუსთაველის ადმინისტრაციამ „ქუჩის ბავშვები“ კინოსეანსს არ დაასწრო, იმ მოტივით რომ სხვებს შეაწუხებდნენ.

თუ ადგილი აქვს ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევას იმ მიმართებით, რომ მას ვერ განახორციელოს კონსტიტუციით გარანტირებული შრომის თავისუფლება, ქმედება საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით (კერძოდ, თუ ადგილი აქვს ძალადობას ან ძალადობის მუქარას) დაკვალიფიცირდება სსკ 168-ე და არა 142-ე მუხლით. სსკ 168-ე მუხლი ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის კერძო შემთხვევას აწესრიგებს, ხოლო ზოგადი და კერძო ნორმის კონკურენციის დროს იმარჯვებს კერძო ნორმა. ასევე არ დაკვალიფიცირდება პირის ქმედება სსკ 142-ე მუხლით, როცა იგი ხელს უშლის ამა თუ იმ რელიგიის წარმომადგენლებს რელიგიური წესის აღსრულებაში. ამ დროს კვალიფიკაცია მოხდება სსკ 155-ე მუხლით. ასევე არ გვექნება სსკ 142-ე მუხლის შემადგენლობა, როცა თანამდებობის პირი ეროვნული, რელიგიური თუ სხვა ნიშნის მიხედვით უკანონოდ აკავებს ან აპატიმრებს მოქალაქეს. ამ დროს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 147-ე მუხლით.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარისათვის აუცილებელი ნიშანია ის, რომ თანასწორუფლებიანობის დარღვევას ადგილი აქვს არა ნებისმიერი ადამიანის მიმართ, არამედ რაიმე ნიშნით განსხვავებული პირის მიმართ. ეს ნიშნებია: რასა (მაგალითად, ყვითელკანიანი), კანის ფერი, საღაპარაკო ენა (მაგალითად, რუსულენოვანი), სქესი, რელიგიისადმი დამოკიდებულება (მაგალითად, მუსულმანი), აღმსარებლობა, პოლიტიკური

ან სხვა შეხედულება, ეროვნული (მაგალითად, ქართველი), ეთნიკური, სოციალური კუთვნილება, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილება (მაგალითად, რომელიმე კავშირის წევრი), წარმოშობა, საცხოვრებელი ადგილი ან ქონებრივი მდგომარეობა (მაგალითად, სოციალურად დაუცველი – ღარიბი). მაგალითად, ისეთი კანონის მიღება., რომელიც პირს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის დაკავებლად ავალდებულებს წარმოადგინოს დოკუმენტი იმის შესახებ, რომ იგი არის სოლიდური სიმდიდრის მფლობელი.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით თანასწორუფლებიანობის დარღვევა ნიშნავს · უფლებების შეზღუდვას საქართველოს ტერიტორის რომელიმე ნაწილში ცხოვრების ნიშნის მიხედვით (მაგალითად, სოფლად ცხოვრების ნიშნით). ამდენად, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით თანასწორუფლებიანობის დარღვევად არ ჩაითვლება ის შემთხვევა, როცა პირს არჩევნებში მონაწილეობისათვის (როგორც პასიური, ისე აქტიური საარჩევნო ხმის უფლებით) მოეთხოვება საქართველოში გარკვეული დროით ცხოვრება.

სსკ 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისი არაა მხოლოდ ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც არღვევს ადამიანის თანასწორუფლებიანობას, არამედ აუცილებელია ამას შედეგად მოჰყვეს ადამიანის უფლების არსებითი ხელყოფა. ამდენად, სახეზეა მატერიალური დანაშაული.

ადამიანის უფლების არსებითი ხელყოფა შეიძლება გამოიხატოს როგორც მატერიალურ, ისე მორალურ ზიანში. მაგალითად, მატერიალური ზიანი სახეზეა მაშინ, როცა ბაზრის მოვაჭრეები საშუალებას არ აძლევენ რომელიმე ერის წარმომადგენლებს, გამოიტანონ ბაზარზე თავიანთი ნივთი გასაყიდად. მორალური ზიანი სახეზეა მაშინ, როცა რომელიმე ერისა თუ რელიგიის წარმომადგენლებს არ ეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლონ ხელოვნებისა თუ კულტურის მიღწევით (მაგალითად, ნახონ სპექტაკლი, დაათვალიერონ ხელოვნების ნიმუშების გამოფენა და სხვა). ხელყო თუ არა არსებითად ადამიანის უფლება თანასწორუფლებიანობის დარღვევის ფაქტმა, ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის შეფასების შედეგად.

განსახილველი დანაშაულის ამსრულებელია ყველა შერაცხადი 14

წელს მიღწეული პირი როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხოელი.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული განზრახია. მისი ჩადენა შეიძლება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს გაცნობიერებული აქვს, რომ თავისი ქმედებით არღვევს ადამიანის თანასწორუფლებიანობას რასობრივი, ეროვნული თუ სხვა ნიშნის მიხედვით, ითვალისწინებს, რომ ამ ქმედებას მოჰყვება პირის უფლების არსებითი ხელყოფა და სურს ეს შედეგი (ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის გარდუვალობას), ანდა შეგნებულად უშვებს მის დადგომას ან გულგრილია მის მიმართ.

თუ პირი თავისი დაუდევრობით ფაქტობრივად არსებითად არღვევს ადამიანის თანასწორუფლებიანობას, სსკ 142-ე მუხლის შემადგენლობას ადგილი არა აქვს.

დანაშაულის მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მოტივი შეიძლება იყოს ანგარება, შური, შურისძიება, სიძულვილი. მიზანი შეიძლება იყოს სამაგიეროს მიზღვა, საკუთარი უპირატესობის დამტკიცება და სხვა. აქვე უნდა გამოირიცხოს ეროვნული ან რასობრივი მტრობისა და განხეთქილების ჩამოგდების მიზანი. ასევე უნდა გამოირიცხოს ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზანი. ასეთი მიზნის არსებობისას ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 142[1] მუხლით – რასობრივი დისკრიმინაცია.

სსკ 142-ე მუხლის მე-2 ნაწილით ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. აქ სახეზეა სპეციალური სუბიექტი. იგი შეიძლება იყოს როგორც მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, ასევე კერძო ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი. სამსახურებრივი მდგომარეობა შეიძლება გამოიყენოს ორგანიზაცია-დაწესებულების რიგითმა მუშაკმაც. მაგალითად, სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი (სკოლის დირექტორი ან უნივერსიტეტის რექტორი) არ იღებს სასწავლებელში ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენელს, ან რომელიმე დაწესებულების ხელმძღვანელი სამუშაოზე არ იღებს რომელიმე სქესის წარმომადგენელს (მაგალითად, ქალს) იმ სამსახურში, სადაც კანონით ასეთი შეზღუდვა არ არის დაწესებული), ანდა სალონში დალაქები არ ემსახურებიან რომელიმე რასის წარმომადგენლებს და სხვა. როცა პირი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სჩადის სსკ 169-ე მუხლით გათვალისწინებულ

ქმედებას (მაგალითად, ეროვნული ნიშნით სამუშაოდან უკანონოდ დაითხოვს პირს, ანდა არ შეასრულებს მისი სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებას და ა.შ.) რასის, კანის ფერისა და სხვა ნიშნით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ 169-ე მუხლით, არამედ 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით.

სახელმწიფო მოხელის მიერ ამ ქმედების ჩადენისას საჭირო არაა ქმედების კვალიფიკაცია სამოხელეო დანაშაულის შესაბამისი მუხლით (მაგალითად, 332-ე მუხლი), რადგანაც, ჯერ ერთი, განსახილველი დანაშაული სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კერძო შემთხვევაა და მე-2, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას მოხელე ქმედებას სჩადის თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად. ასეთი მიზანი კი არაა აუცილებელი სსკ 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. ასეთი შედეგი შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა შორის კონფლიქტში, ოჯახის დანგრევაში, საცხოვრებელი ბინის დაკარგვაში, საწარმოო პროცესის დიდი ხნით შეწყვეტაში, დიდ მატერიალურ ზარალში, ტრანსპორტის მოძრაობის გარკვეული დროით შეფერხებაში და სხვა. ამ შედეგების მიმართ ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც გაუფრთხილებლობას, ისე განზრახვას.

საერთოდ, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას მოჰყვა თუ არა მძიმე შედეგი, ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

რასობრივი დისკრიმინაცია (მუხლი 142[1]-ე)

ეს მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სრულიად ახალია (2003 წ. 6 ივნისიდან). კანონმდებლის მიზანია ამ ნორმის შემოღებით უზრუნველყოს ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც ადგილი არ ექნება რასობრივ დისკრიმინაციას.[1]

ამ დანაშაულისაგან სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტია სხვადასხვა ერისა და რასის წარმომადგენელთა თავისუფლება და თა-

1 დისკრიმინაცია – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს უფლებების შეზღუდვას, თანასწორუფლებიანობის წართმევას.

ნასწორობა, ასევე სხვადასხვა კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის წარმომადგენელთა თანასწორობა, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით. მაგალითად, 1966 წლის საერთაშორისო კონვენციით „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (საქართველო შეუერთდა 1999 წლის 16 აპრილის პარლამენტის დადგენილებით); ასევე 1958 წლის კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ და სხვა. რასობრივი დისკრიმინაციის მეორადი ობიექტია სხვა პირის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ობიექტური მხრივ რასობრივი დისკრიმინაცია გამოიხატება: ა) ისეთ ქმედებაში, რომელიც ჩადენილია ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით. ბ) ადამიანის უფლებების პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზღუდვაში ან გ) ადამიანისათვის უპირატესობის დაწესებაში, რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით.

ეროვნული ან რასობრივი მტრობის, ან განხეთქილების ჩამოგდების, ანდა ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით ჩადენილი ქმედება შეიძლება გამოიხატოს რომელიმე ერის ღირსების საჯარო დისკრიმინაციაში, რაც გამოიხატება ამ ერის დამცირებაში მიულებელი ფორმით. მაგალითად, პირი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ეს ერი გამოირჩევა გონებრივი სიჩლუნგით, მისი ადგილი არ არის კულტურულ საზოგადოებაში. ასეთი ქმედება შეიძლება გამოიხატოს ასევე ამა თუ იმ ერის სულიერი სიწმინდეებისადმი (მაგალითად, მეჩეთის) შეურაცხმყოფელ ქმედებაში, ამა თუ იმ ერის კულტურული დაწესებულების (მაგალითად, სომხური თეატრის) მუშაობის შეფერხებაში დაბრკოლებების შექმნით, ამა თუ იმ ერისა თუ რასის კუთვნილი სასაფლაოების (მაგალითად, ებრაული სასაფლაოების) წაბილწვაში და სხვა.

ადამიანის უფლებების პირდაპირი შეზღუდვა სახეზეა მაშინ, როცა გამოდის ისეთი კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რითაც ამა თუ იმ ერის, რასისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით პირს ეკრძალება დაიკავოს თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში. არაპირდაპირია შეზღუდვა, როცა რომელიმე ეროვნული, რასობრივი თუ სხვა ნიშნის მიხედვით პირდაპირ და აშკარად პირი არ იზღუდება (მაგალითად, არ იზღუდება იგი რომე-

ლიმე ნორმატიული აქტით ან ამა თუ იმ უფლების განხორციელებაზე უარს არ ეუბნებიან იმ მოტივით, რომ იგი რომელიმე ერისა თუ რასის წარმომადგენელია), მაგრამ სხვა გარემოების მომიზეზებით არ აძლევენ შესაძლებლობას განახორციელოს თავისი უფლება. მაგალითად, რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნის მიხედვით სტუდენტების ცოდნას აფასებენ არაობიექტურად, მეტისმეტად მკაცრად, როგორც არადამაკმაყოფილებელს. შედეგად ადგილი აქვს სტუდენტების გარიცხვას სასწავლებლიდან. მართალია, მათი გარიცხვის დროს ნამდვილი მოტივი ოფიციალურად არ ჩანს, იგი შენიღბულია თითქოსდა არადამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრებით, მაგრამ ფაქტობრივად ესაა ეროვნული თუ სხვა ნიშნის მიხედვით ადამიანის დისკრიმინაცია. ამდენად, აქ ადგილი აქვს უფლებების არაპირდაპირ შეზღუდვას.

რასობრივი დისკრიმინაციის ობიექტური მხარის შემდეგი ნიშანია ადამიანისათვის რასობრივი თუ სხვა ნიშნით უპირატესობის მინიჭება. მართალია, კანონში არაა მითითებული, მაგრამ იგულისხმება, რომ უპირატესობის მინიჭებაც შეიძლება მოხდეს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ. უპირატესობის მინიჭებას ადგილი აქვს მაშინ, როცა რომელიმე ეროვნული ან 142[1]-ე მუხლში ჩამოთვლილი სხვა ნიშნით ხდება პირთა დაწინაურება სამსახურებრივ საქმიანობაში, პრემიების გაცემა, პრესტიჟულ ბიულეტენებში გაგზავნა, ანაზღაურების გაზრდა, პრესტიჟულ დასასვენებელ ან სამკურნალო დაწესებულებაში მიღება და ა.შ.

რასობრივი დისკრიმინაცია დამთავრებულია ჩამოთვლილთაგან ერთერთი ქმედების ჩადენისთანავე და მნიშვნელობა არა აქვს მოჰყვება თუ არა ამას რაიმე მძიმე შედეგი. ამდენად, სახეზეა ფორმალური შემადგენლობა. დანაშაულის ჩადენა შეიძლება როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. უმოქმედობით შეიძლება ჩადენილ იქნეს უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა (სკოლებში არ იღებენ რომელიმე ერის წარმომადგენლებს).

დანაშაულის ობიექტური მხარის სხვა ნიშანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ამ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. სუბიექტური მხრივ რასობრივი დისკრიმინაცია განზრახი დანაშაულია. კერძოდ, მისი ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით,

რაზეც მიუთითებს კონკრეტული მიზანი. ესაა ეროვნული ან რასობრივი მტრობის, ან განხეთქილების ჩამოგდების მიზანი, ანდა ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზანი. ამ მიზნის გარეშე მოცემული დანაშაულის შემადგენლობა არა გვაქვს, მაგრამ ამ დროს ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს სხვა მუხლებით, მაგალითად, ხულიგნობით (239-ე მუხლი), მიცვალებულისადმი უპატივცემულობით (258-ე მუხლი), ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით და ა.შ.

ასევე პირდაპირი განზრახვით მოქმედებს პირი, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეგნებულად ზღუდავს სხვა პირის უფლებებს რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნის მიხედვით ანდა ამავე ნიშნით უპირატესობას ანიჭებს სხვა პირს და სურს ეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული თუ სხვა ნიშნით პირის უფლების შეზღუდვა, თუკი დაკავშირებულია ამ ქმედების ჩამდენის პირად ან ოჯახურ ცხოვრებასთან, სსკ 142[1]-ე მუხლის შემადგენლობა არა გვაქვს. მაგალითად, არ ჩაითვლება რასობრივ დისკრიმინაციად, რიცა პირი უარს აცხადებს ოჯახში რძლად მიიღოს სხვა ერის ან რასის წარმომადგენელი. რასობრივი დისკრიმინაციის დროს ადგილი აქვს პირის ისეთი უფლებების შეზღუდვას, რომელიც დაკავშირებული არ არის დამნაშავის პირად ან ოჯახურ ცხოვრებასთან.

რაც შეეხება მოტივს, მას 142[1]-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი მოტივი შეიძლება იყოს სიძულვილი სხვა ერისა თუ რასის მიმართ, შური, ანგარება და სხვა. ეს მოტივები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

რასობრივი დისკრიმინაცია უნდა განვასხვაოთ ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისაგან (142-ე მუხლი): 1. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისას დაზარალებულთა წრე უფრო ფართოა, ვიდრე რასობრივი დისკრიმინაციის დროს. კერძოდ, 142[1]-ე მუხლით დაზარალებული შეიძლება იყოს პირი ეროვნების, რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით. ხოლო 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას, გარდა ამისა, დაზარალებული ასევე შეიძლება იყოს პირი ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, საცხოვრებელი ადგილისა და ქონებრივი მდგომარეობის ნიშნით. 2. ქმედების რასობრივი დისკრიმინაციით კვალიფიკაციისათვის ზოგ შემთხვევაში

მიზანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს (რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ), ხოლო ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისას მიზანს არა აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. 3. რასობრივი დისკრიმინაცია არის ფორმალური დანაშაული, ხოლო ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა – მატერიალური (აუცილებელია ქმედების შედეგად მოჰყვეს ადამიანის უფლების არსებითი ხელყოფა).

მიუხედავად განსხვავებისა, ამ დანაშაულებით გათვალისწინებული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, რასობრივი დისკრიმინაცია შეიძლება გამოიხატოს რასის, ერის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების ნიშნის მიხედვით ადამიანთა უფლებების პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზღუდვაში. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა კი ხდება სწორედ ამ ნიშნის მიხედვით და ფაქტობრივად გამოხატულებას პოულობს ადამიანთა უფლებების შეზღუდვაში. სხვა რაიმე მაკვალიფიცირებელი ნიშნით 142-ე და 142[1]-ე მუხლის შემადგენლობის ეს ნაწილები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა: როცა დამნაშავე ზღუდავს ადამიანის უფლებას, ვთქვათ, ეროვნული ნიშნის მიხედვით, როგორ უნდა მოხდეს ქმედების კვალიფიკაცია – სსკ 142-ე თუ 142[1]-ე მუხლით? ამ შემთხვევაში შეიძლება დაიბადოს ასეთი აზრი: თუკი ამგვარ შეზღუდვას შედეგად მოჰყვა ადამიანის უფლების არსებითი ხელყოფა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 142-ე მუხლით, ხოლო თუ ეს შედეგი არ დადგა, მაშინ სსკ 142[1]-ე მუხლით. მაგრამ საკითხის ამგვარი გადაწყვეტის დროს წავაწყდებით პარადოქსულ ვითარებას. კერძოდ, ვინაიდან 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სანქცია აშკარად მსუბუქია, ვიდრე 142[1]-ე მუხლის ამავე ნაწილისა, გამოვა, რომ მძიმე შედეგის დადგომისას დამნაშავე უფრო მსუბუქად დაისჯება, ვიდრე ასეთი შედეგის არარსებობის დროს. ესეც რომ არ იყოს, ყოველად გაუმართლებელია, ერთი და იგივე ქმედება სხვადასხვა ნორმაში იყოს გათვალისწინებული და მათი ერთიმეორისაგან მხოლოდ შედეგით განასხვავებდეს. ამდენად, აშკარაა, რომ აქ ადგილი აქვს კანონის კოლიზიას. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ 142[1]-ე მუხლში რასობრიობის ცნება მეტისმეტად ფართოდაა გაგებული, რადგანაც მასში ისეთი ნიშანიცაა მითითებული, რაც არაა რასის განმსაზღვრელი (მაგალითად, ადამიანის სოციალური კუთვნილება).[1]

1 რასა – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებულ

სსკ 142[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების შინაარსი ისევე უნდა გავიგოთ, როგორც ყაჩაღობისას. კერძოდ, სიცოცხლისათვის საშიშია ისეთი ძალადობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დაზარალებულის სიკვდილი. მაგალითად, ძლიერი დარტყმა რაიმე ბლაგვი საგნით სიცოცხლისათვის საშიშ ორგანოებში (ვთქვათ, თავში არმატურის ჩარტყმა), სახეზე მომწამვლელი გაზის შეფრქვევა, ფანჯრიდან გადმოგდება, პოლიეთილენის პარკის ჩამოცმა თავზე და სხვა. ჯანმრთელობისათვის საშიშია ისეთი ძალადობა, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ჯანმრთელობის ამა თუ იმ ხარისხის დაზიანება (მსუბუქი, ნაკლებად მძიმე ან მძიმე); იაგალ-
ცემა, წამება, კიდურების გადამტვრევა და სხვა. თუ გამოყენებულმა ძალადობამ გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ქმედების დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 120-ე და 118-ე მუხლებით საჭირო არ არის, რაზეც მეტყველებს შესაბამისი სანქცია, მაგრამ, თუ ძალადობამ გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება (პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 142[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტითა და 117-ე მუხლით.

ძალადობის მუქარა მდგომარეობს მოკვლის, ჯანმრთელობის დაზიანების მუქარაში, რაც შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად, იარაღის დემონსტრირებით და ა.შ. მთავარია, ამ დროს დაზარალებულს შეექმნას წარმოდგენა, რომ ეს მუქარა რეალურია. როდესაც ძალადობა ან მუქარა ხდება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, რომელსაც დამნაშავე უკანონოდ ატარებს, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ეს დამამძიმებელი გარემოება ისევე უნდა გავიგოთ, როგორც სსკ 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტშია ნაგულისხმევი.

ამ მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ. ჯგუფური დანაშაული უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს გადმოცემულია სსკ 27-ე მუხლში. განსახილ-

ჯგუფს, რომელიც გაერთიანებულია საერთო წარმოშობით, სხეულის აგებულების ერთნაირი, მემკვიდრეობით გადაცემული ნიშნებით (კანის, თვალის, თმის ფერით, თავის მოყვანილობითა და სხვა).

ველი დამამძიმებელი გარემოება სახეზეა მაშინ, როცა ორი პირი მაინც უშუალოდ აღასრულებს 142[1]-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობის რომელიმე ნაწილს. მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლის მისაღები კომისიის თავმჯდომარე და მოადგილეები დაუმსახურებლად მაღალ შეფასებას უწერენ რომელიმე ერის წარმომადგენლებს, რათა ძირითადად ამ ეროვნებისაგან დაკომპლექტდეს სასწავლებელი. ამ შემთხვევაში ეს პირები იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას, მაგრამ ქმედების კვალიფიკაციისას არაა საჭირო მითითება 142[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტზე, რადგანაც მე-3 ნაწილი მოიცავს ამ მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობასაც.

შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

სხვა მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, სხვადასხვა რასებსა თუ ერებს შორის შუღლისა და კონფლიქტის ჩამოგდება, შეიარაღებული შეტაკება ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებულ ადამიანებს შორის და სხვა.

ამ პუნქტში ჩამოთვლილი შედეგების მიმართ სახეზე უნდა იყოს გაუფრთხილებლობა და არა განზრახვა, რაზეც მეტყველებს შესაბამისი სანქციის სიმსუბუქე (თ.ა. სამიდან რვა წლამდე). ამდენად, სახეზეა ე.წ. ორმაგი, ანუ რთული ბრალი – განზრახვა 142[1]-ე მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების მიმართ და გაუფრთხილებლობა სიკვდილის ან სხვა მძიმე შედეგის მიმართ.

როდესაც რასობრივი დისკრიმინაციის ამსრულებელი განზრახ სჩადის მკვლელობას ან ჯანმრთელობას განზრახ მძიმედ უზიანებს სხვა პირს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 142[1]-ე მუხლის 1-ლი შესაბამისი ნაწილით და განზრახი მკვლელობის შესაბამისი მუხლით ან ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებით (117-ე მუხლი).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა (მუხლი 142²-ე)

საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, საზოგადოების წევრთა უმრავლესობა შედგება პრაქტიკულად ჯანმრთელი პირებისაგან, რომელთაც აქვთ უნარი შეუზღუდავად გამოაყენონ თავიანთი ფიზიკური თუ ინტელექტუალური შესაძლებლობანი. ამასთანავე, ჩვენს გვერდით ცხოვრობენ ის ადამიანებიც, რომელთა ფიზიკური თუ ინტელექტუალური შესაძლებლობა შეზღუდულია. ესენი არიან I, II და III ჯგუფის ინვალიდები. სახელმწიფოები ვალდებული არიან განსაკუთრებულად დაიცვან მათი უფლებები, რათა ეს პირები არ აღმოჩნდნენ ცხოვრებისათვის აუტანელ პირობებში. სწორედ ამ მიზნით საქართველოს კანონმდებლობითა (მაგალითად, შრომის კანონმდებლობით) და საერთაშორისო ხელშეკრულებებით[1] დადგენილია ინვალიდთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები (მაგალითად, შრომის უფლება და ზოგიერთი შეღავათი ამ უფლებასთან დაკავშირებით, შეღავათები სამუშაოზე მიღებისას, დასვენების უფლება და შესაბამისი შეღავათები, შეღავათები სამუშაოდან გათავისუფლებისას და ა.შ.).

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ის უფლებები, რომელიც მინიჭებული აქვს ინვალიდს კანონით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით. სსკ 142²-ე მუხლში მითითება – ან/და – ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია, რომელიმე უფლება ინვალიდს მინიჭებული ჰქონდეს როგორც საქართველოს კანონით, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებითაც. ამ დანაშაულის დამატებითი ობიექტია ასევე პირის ჯანმრთელობა.

ამ დანაშაულის ჩადენით დაზარალებულად გვევლინება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი – ინვალიდი.

ობიექტური მხრივ სსკ 142²-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამოიხატება: ა) ქმედებაში – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე უარის თქმაში. ბ) შედეგში – რამაც არსებითად ხელყო ინვალიდის უფლება და გ) მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამდენად, განსახილველი დანაშაული არის მატერიალური შემადგენლობის.

1 იხ. 1958 წლის კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ.

დანაშაულის ობიექტური მხარე სახეზეა მაშინ, როცა ინვალიდს უარს ეუბნებიან იმ უფლების განხორციელებაზე, რომელიც მას მინიჭებული აქვს კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით. ამდენად, მართლზომიერად ჩაითვლება უარის თქმა იმ საქმიანობის შესრულებაზე, რომელიც ინვალიდს ეკრძალება კანონით. მაგალითად, საწარმოს ხელმძღვანელი უარს ეუბნება I-ლი ჯგუფის ინვალიდს, რომელსაც სურს მიიღონ მიწისქვეშა სამუშაოზე. ასეთი უარი კანონიერია და იგი 142^2 მუხლის შემადგენლობას ვერ მოგვცემს. ინვალიდისათვის კანონით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე უარის თქმა სახეზეა მაშინ, როცა უარს ეუბნებიან უფასო მგზავრობაზე, როცა შესაბამისი ნორმატიული აქტით მას უფლება აქვს ამ საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავროს უფასოდ, უარს ეუბნებიან ურიგოდ მიიღოს სამედიცინო მომსახურება, როცა ასეთი უფლება გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით და სხვა.

სსკ 142^2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე არ გულისხმობს მხოლოდ ქმედების ჩადენას. აუცილებელია ამ ქმედებას (უარის თქმას) მოჰყვეს გარკვეული შედეგი — ინვალიდის უფლების არსებითი ხელყოფა. როგორც აღვნიშნეთ, აქ სახეზეა მატერიალური შემადგენლობა. თუ რა უნდა ჩაითვალოს ინვალიდის უფლების არსებით ხელყოფად, ეს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულის მორალური თუ მატერიალური ზიანის შეფასების გზით. მატერიალური ზიანის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო ქონებრივი ზიანის მოცულობა საზოგადოდ, არამედ თვით დაზარალებულის ეკონომიკური მდგომარეობაც.

თუ სსკ 142^2-ე მუხლით გათვალისწინებულმა ქმედებამ არ გამოიწვია პირის უფლების არსებითი ხელყოფა, ამ დანაშაულის შემადგენლობაც არ არსებობს. ამ დროს ქმედების ჩამდენი შეიძლება დაისაჯოს დისციპლინური წესით (თუ ადგილი აქვს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას — მე-2 ნაწილის „მ“ პუნქტი).

სსკ 142^2-ე მუხლის I-ლი ნაწილის ამსრულებელია ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია. პირს შეგნებული აქვს, რომ უარს ეუბნება ინვალიდს იმ უფლების განხორციელებაზე, რომელიც მას მინიჭებული აქვს შესაბამისი ნორმატიული აქტებით. ასევე ითვალისწინებს, რომ ამ უარის თქმას შესაძლებელია, შედეგად მოჰყვეს ინვა-

ლიდის უფლების არსებითი ხელყოფა და სურს ეს შედეგი ან შეგნებული აქვს ასეთი შედეგის დადგომის გარდუვალობა, ანდა შეგნებულად უშვებს მის დადგომას. ამდენად, დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. სსკ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, ეს დანაშაული სუბიექტური მხრივ არ შეიძლება იყოს გაუფრთხილებელი.

რაც შეეხება მიზანს, იგი ნორმის დისპოზიციაში არაა დაფიქსირებული და, ამდენად, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ქმედების ჩადენის მოტივს კი მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, უარის თქმა უნდა მოხდეს სწორედ ინვალიდობის მოტივით, ე.ი. პირს იმიტომ ეუბნებიან კანონიერი უფლების განხორციელებაზე უარს, რომ იგი ინვალიდია. თუ უარის თქმა განპირობებულია სხვა მოტივით, განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა არა გვაქვს. მაგალითად, დაწესებულების ხელმძღვანელი უარს ეუბნება ინვალიდს სამსახურში მიღებაზე უნდობლობის მოტივით. უნდობლობის საფუძველს კი იძლევა ის ფაქტი, რომ ეს პირი არაერთხელაა დათხოვნილი სამუშაოდან შრომის დისციპლინის უხეში დარღვევისათვის.

სსკ 142[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა **იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის**. ეს დანაშაული არაერთგზისად ჩაითვლება მაშინ, როცა პირი ნასამართლევია 143-ე მუხ. გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის იმის მიუხედავად დამთავრებული იყო იგი თუ არა, ამსრულებელი იყო თუ თანამონაწილე. მთავარია, ეს ნასამართლობა არ იყოს მოხსნილი ან გაქარწყლებული, ან არ იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული კანონის შესაბამისად.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა **იგივე ქმედება ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით**. იგი ისევე უნდა გავიგოთ, როგორც სსკ 142-ე და 142[1]-ე მუხლების შესაბამისი დამამძიმებელი გარემოება.

სსკ 142[2]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით მაკვალიფიცირებელი გარემოებაა იგივე **ქმედება, რასაც თან ახლდა ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა**. აქ იგულისხმება ნებისმიერი მუქარა და ძალადობა იმის მიუხედავად, არის თუ არა იგი საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის არაა საშიში ისეთი ძალადობა, როგორიცაა ცემა, თმებით თრევა, პანღურის ამოკვრა,

გათოკვა და სხვა, რაც არ იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას თუნდაც მსუბუქად.

მძიმე შედეგი კი ისევე უნდა გავიგოთ, როგორც სსკ 142-ე მუხლში.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მუხლი 143-ე)

საქართველოს კონსტიტუციით ადამიანებს აქვთ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება. კონსტიტუციით ასევე ხელშეუვალია ადამიანის თავისუფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ არავის არა აქვს უფლება თავისუფლება აღუკვეთოს ან სხვაგვარად შეუზღუდოს იგი პირს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ძირითადად ადამიანის პირად თავისუფლებას ეხება 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ასევე 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1997 წლის 1 ოქტომბრის კონვენცია ბავშვის მოტაცებასთან დაკავშირებული სამოქალაქო ასპექტების შესახებ.

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტია ადამიანის ხელშეუხებლობა და მისი თავისუფალი გადაადგილების უფლება, ხოლო ფაკულტატურ ობიექტს წარმოადგენს სხვა პირის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ღირსება.

ობიექტური მხრივ თავისუფლების უკანონო აღკვეთა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. (უფრო ხშირად იგი მოქმედებაში გამოიხატება). უმოქმედობითაა ჩადენილი ეს დანაშაული, როცა რომელიმე ბინაში ან დაწესებულებაში მყოფ პირს არ უღებენ კარებს და არ აძლევენ თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას, რის გამოც იგი იძულებულია დარჩეს ამ ბინაში თუ სადგომში. ქმედების ამ მუხლით კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს დანაშაული ჩადენილი იქნება ღია ცის ქვეშ (მაგალითად, ხეზე მიბმით) თუ დახურულ სივრცეში (ბინაში დამწყდეთით). ამასთანავე, დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არაა საჭირო, ამ ქმედებას მოჰყვეს რაიმე მძიმე შედეგი. დანაშაული დამთავრებულია სხვა პირის თავისუფლების უკანონო აღკვეთის მომენტიდან. ამდენად, სახეზეა ფორმალური შემადგენლობა.

თავისუფლების აღკვეთა შეიძლება განხორციელდეს მართლზომიერადაც, მაგალითად, დამნაშავის შეპყრობისას, უკვე მომზადებული დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება), ნარკომანის იძულებითი მკურნალობისათვის (თავისუფლების აღკვეთის კანონიერი საფუძველი) და ა.შ. სსკ 143-ე მუხლში ხაზი უნდა გაესვას თავისუფლების სწორედ უკანონო აღკვეთას. ეს იმას ნიშნავს, მას არც პროფესიული საქმიანობა და არც სხვა გარემოება არ აძლევს უფლებას აღუკვეთოს სხვა პირს თავისუფალი გადაადგილების საშუალება.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა შეიძლება მოხდეს ადამიანის მოტაცებით (მაგალითად, ცოლად შერთვის მიზნით ქალი ჩასვეს მანქანაში და მისი ნების საწინააღმდეგოდ გაიტაცეს. მიუხედავად მისი მოთხოვნისა, არ უჩერებენ და არ აძლევენ გადმოსვლის შესაძლებლობას). ამდენად, მოტაცება ნიშნავს პირის იძულებით გადაადგილებას ერთი ადგილიდან სხვა მიმართულებით.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა შეიძლება განხორციელდეს ადამიანის მოტყუებით მიყვანით იმ ადგილას, სადაც ხდება მისი დამწყვდევა; ისეთი **ძალადობის** ან **მუქარის** გამოყენებით, რომელიც არაა საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (მაგალითად, გათოკვით, ხელის გადაგრეხით) ამა თუ იმ შენობა-ნაგებობაში მყოფი პირისათვის კარების ჩაკეტვით, ანდა როცა არ უღებენ უკვე ჩაკეტილ კარებს ან არ აძლევენ მისი გაღების საშუალებას და სხვა.

ამრიგად, თავისუფლების უკანონო აღკვეთა დაკავშირებულია პირის იძულებით დაკავებასთან, როცა მას ფაქტობრივად (ობიექტურად), წართმეული აქვს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა, რომლის ხანგრძლივობას ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომაც, არ ჩაითვლება თავისუფლების უკანონოდ აღკვეთად ისეთი შემთხვევა, როცა პირს წაუყენებენ მოთხოვნას, არ გამოვიდეს სახლიდან და ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მოკვლით ემუქრებიან. ამ შემთხვევაში პირს აქვს ფაქტობრივი შესაძლებლობა გავიდეს ბინიდან (არც კარებია დაკეტილი და არც ხელ-ფეხი აქვს შეკრული). ხოლო ის ფაქტი, რომ მკვლელობის მუქარით აიძულებენ არ გამოვიდეს სახლიდან, უნდა შეფასდეს, როგორც იძულება (სსკ 150-ე მუხლი). ასეთი ფსიქიკური ძალადობა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება თავისუფლების უკანონო აღკვეთად,

როცა ეს მუქარა იმწუთიერია (პირს თავზე ადგას ან კარებთან ელოდება შეიარაღებული ადამიანი, რომელიც ურჩობის შემთხვევაში, კერძოდ, თუ იგი სახლიდან გასვლას დააპირებს, ემუქრება მას მოკვლით). ასევე არ ჩაითვლება თავისუფლების უკანონო აღკვეთად ისეთი შემთხვევა, როცა პირს მოტყუებით მიიყვანენ ისეთ ადგილას, საიდანაც უკან დასაბრუნებლად დიდი დროა საჭირო. ამ შემთხვევაშიც პირს არა აქვს აღკვეთილი თავისუფალი გადაადგილების ფაქტობრივი შესაძლებლობა.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა დენადი დანაშაულია. მისი ხანგრძლივობა მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს.

ვინაიდან ეს დანაშაული დენადია, მისი დაწყებიდან (მაგალითად, ადამიანის ბინაში ჩამწყვდევიდან) ქმედების შეწყვეტის მომენტამდე (ამ ადამიანის გათავისუფლებამდე) შესაძლებელია მასში როგორც თანამონაწილეობა, ისე თანაამსრულებლობა. მაგალითადან ი-მ ჩ-ს უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება (დაამწყვდია სარდაფში). მეორე დღეს კი გადაწყვიტა მისი ტყეში წინასწარ გამზადებულ ორმოში ჩამწყვდევა. ამისათვის ი. დაუკავშირდა თავის ამხანაგ ზ-ს აუხსნა საქმის მდგომარეობა და სთხოვა ამ საქმეში დახმარება. ზ. მივიდა საკუთარი მანქანით და მიეხმარა ი-ს ჩ-ის ტყეში გადაყვანაში. ზ. არის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის თანაამსრულებელი (1 ნაწ.).

ამ დანაშაულის ჩადენის ხერხსა და საშუალებას ქმედების კვალიფიკაციისათვის, როგორც წესი, მნიშვნელობა არა აქვს (გარდა 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე" პუნქტით გათვალისწინებული გარემოებისა).

თავისუფლების უკანონო აღკვეთის ამსრულებელი არის ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი. ამასთანავე, არ შეიძლება ამ დანაშაულის ამსრულებელი იყოს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, ვისაც აქვს პირის დაკავების ან დაპატიმრების უფლება და ამ მომენტში იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას. მაგალითად, თუ პოლიციელი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უკანონოდ თავისუფლებას აღუკვეთავს პირს, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 147-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით და არა 143-ე მუხლით. თუ პოლიციელი არ იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას და უკანონოდ აღკვეთავს სხვის თავისუფლებას, იგი იქნება 143-ე მუხ. ამსრულებელი (მაგალითად, პოლიციელმა შურისძიების მოტივით თავისი სახლის სარდაფში ჩაამწყვდია პირი).

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული განზრახია, კერძოდ, მისი ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ სხვა პირს უკანონოდ აღუკვეთს თავისუფლებას და სურს ეს.

მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს თუმცა, აქვე უნდა გამოირიცხოს ის მიზანი, რაც ახასიათებს მძევლად ხელში ჩაგდებას. თავისუფლების უკანონო აღკვეთის მოტივი და მიზანი შეიძლება იყოს ანგარება (მაგ., ამ ქმედების შეკვეთით ჩადენისას), ხულიგნური ქცევაგრძნობა, ეჭვიანობა, შურისძიება და სხვა, რაც მხედველობაში იქნება მიღებული სასჯელის დანიშვნისას.

თავისუფლების უკანონო აღკვეთად არ ჩაითვლება, როცა ბავშვს, თუნდაც მისი ნების საწინააღმდეგოდ წაიყვანს მისი ახლო ნათესავი (ვთქვათ, ცოლთან განქორწინებული მამა) ნათესაური გრძნობის მოტივით. ასევე არ ჩაითვლება თავისუფლების უკანონო აღკვეთად მშობლის ან პედაგოგის ქმედება, როცა ადგილი აქვს მოსწავლის დროებით გამოკეტვას ოთახში გაკვეთილების მომზადების მიზნით, ასევე მაშინ, როცა მშობელი ურჩობისათვის დასჯის მიზნით შვილს დროებით გამოკეტავს სახლში და არ აძლევს ქუჩაში გასვლის საშუალებას.

სსკ 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით დამამძიმებელი **გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით.** ეს ის შემთხვევაა, როცა დამნაშავეს თავისუფლებააკვეთილი პირი საზღვარგარეთ გაჰყავს. სსკ 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის შემადგენლობა მაშინაა დამთავრებული, როცა მოხდება დაზარალებულის გაყვანა საზღვარგარეთ. ასეთი ქმედებით რთულდება დაზარალებულის დაბრუნება თავის საცხოვრებელ ადგილას, ასევე დამნაშავის გამოვლენა. გარდა ამისა, არსებობს საშიშროება დაზარალებული გახდეს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი.

უცხოეთის ოფიციალურ წარმომადგენლებად ან საერთაშორისო-სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებულ პირებად უნდა ჩაითვალონ უცხო ქვეყნის ოფიციალური დელეგაციის ხელმძღვანელები, უცხო სახელმწიფოს მეთაურები, რომლებიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან საქართველოში, სამშვიდობო მისიის წარმომადგენლები, უცხო ქვეყნიდან აკრედიტებული დიპლომატები და მათი ოჯახის წევრები და სხვა.[1] მათ მიმართ თავისუ-

1 საკითხი, თუ ვინ სარგებლობს დიპლომატიური იმუნიტეტით, მოწესრიგებულია ვენის 1961 წლის 18 აპრილის კონვენციაში დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ (საქართველო შეუერთდა 1993 წ.), ვენის 1963 წლის 24 აპრილის კონვენციაში საკონსულო

ფლების უკანონო აღკვეთამ შესაძლოა, გაართულოს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა, **თავისუფლების უკანონო აღკვეთა ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით**. ეს მიზანი ისევე უნდა გავიგოთ, როგორც სსკ 109-ე მუხლის შესაბამის პუნქტში. დანაშაულის დაფარვის მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთა სახეზეა მაშინ, როცა პირი დანაშაულის მოწმეს აღუკვეთს თავისუფლებას, რათა მან ვერ შეძლოს ჩვენების მიცემა ჩადენილი დანაშაულის შესახებ. დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზანი სახეზეა მაშინ, როცა, მაგალითად, პირი სარდაფში ჩაამწყვდევს საწყობის დარაჯს ან ბინის პატრონს, რათა მან ხელი არ შეუშალოს საწყობისა თუ ბინის გაძარცვაში.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილით განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაა **იგივე ქმედება ჩადენილი წინასწარი შეთაანხმებით ჯგუფის მიერ**.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. სსკ 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად, ე.ი. შეკავშირდნენ მანამ, სანამ თავისუფლებას უკანონოდ აღუკვეთდნენ სხვა პირს. ამასთანავე, აუცილებელია, ორი პირი მაინც წინასწარი შეთანხმებით აღასრულებდეს ამ დანაშაულს.

ამ ქმედების **ჩადენა არაერთგზის** სსკ 142^2-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად უნდა გავიგოთ.

ორი ან მეტი პირის მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთას მაშინ აქვს ადგილი, როცა პირი ერთიანი განზრახვით ერთდროულად ან დროის მცირე ინტერვალის დაშორებით აღუკვეთს თავისუფლებას ორ ან მეტ პირს. როცა ადგილი აქვს ორ ან მეტი პირის თავისუფლების უკანონო აღკვეთას არა ერთიანი, არამედ ახლად აღმოცენებული განზრახვით, ქმედება დაკვალიფიცირდება. სსკ 143-ე მუხ. I ნაწ. და 143 მ. I ნაწილით. სასჯელი თითოეულ ეპიზოდზე დაინიშნება ცალ-ცალკე და შემდეგ მთლიანად შეიკრიბება. თუ პირი ცდილობდა ორი ან მეტი პირის თავისუფლების უკანონო აღკვეთას, მაგრამ მოახერხა მხოლოდ ერთის დაკავება, ხოლო სხვები ვერ იგდო ხელთ (გაექცნენ), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ორი ან მეტი პირის თავისუფლების უკანონო აღკვეთის მცდელობით (მე-19, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი).

ურთიერთობების შესახებ (საქართველო შეუერთდა 1993 წლის 12 ივლისს) და სხვა.

შემდეგი პუნქტით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებაში პასუხისმგებლობას ამძიმებს დაზარალებულის მდგომარეობა (ორსულობა ან უმწეობა) და ასაკი (არასრულწლოვნება). საქმე ისაა, რომ ამ პირებისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთამ შეიძლება უფრო მძიმე შედეგი გამოიწვიოს როგორც ჯანმრთელობის, ისე მორალური თვალსაზრისით.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა უნდა გავიგოთ ყაჩაღობისა და სსკ 142[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად.

ამ მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებით დამამძიმებელი ერთ-ერთი გარემოებაა, ამ მუხლის 1-ლი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ორგანიზებული ჯგუფის მიერ. სსკ 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად, ან რომლის მიზანია პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება. ამდენად, ორგანიზებული ჯგუფი იმით განსხვავდება წინასწარ შეთანხმებული ჯგუფისაგან, რომ ამ უკანასკნელთ არა აქვთ სრულტურული ფორმა და შექმნილია დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად. სსკ 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ ჯგუფის ორგანიზატორს დაეკისრება პასუხისმგებლობა ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის, თუ მათ ჩადენას მოიცავდა ორგანიზატორის განზრახვა, ე.ი. როცა ორგანიზატორს გაცნობიერებული ჰქონდა რომ მისი დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრები ჩადიოდნენ ამ დანაშაულს (143-ე მუხლი).

სსკ 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოება – **ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი** – ისევე უნდა გავიგოთ, როგორც სსკ 142[1] მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტშია გაგებული.

როდესაც პირის ქმედებაში არის 143-ე მუხლის როგორც მე-2, ისე მე-3 და მე-4 ნაწილის ნიშნები, ქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ მე-4 ნაწილის შესაბამისი პუნქტით, ხოლო ბრალდებაში კი აუცილებლად

დაფიქსირდება მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი დამამძიმებელი გარემოება.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (მუხლი 143[1]-ე)

ბოლო პერიოდში კრიმინალურ ბიზნესს, კაცობრიობისათვის სამარცხვინოდ, კიდევ ერთი სარფიანი სფერო დაემატა. ესაა ადამიანებით ვაჭრობა. ადამიანი ყიდვა-გაყიდვის ობიექტად იქცა. შეიქმნა მთელი რიგი დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებიც ამ საქმისათვის არიან ორგანიზებულნი. ეს „საქმე" მომგებიანია, რადგანაც ნაყიდი ან სხვა გზით უკანონოდ შეძენილ ადამიანებს შემდგომში იყენებენ ისეთი საქმის შესრულებისათვის, რაც მოგების მიღებასთანაა დაკავშირებული.

ადამიანებით ვაჭრობა დიდი ხანია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო ხასიათი მიიღო. მასში ჩართული არიან სხვადასხვა ქვეყნის დიდი ფინანსური შესაძლებლობების მქონე პირები, რომლებიც ახერხებენ სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვას და ამ გზით ოლად სჩადიან ამ დანაშაულს. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული ქმედებები გარეგნულად კარგადაა შენიღბული და მისი გამოვლენა გაძნელებულია.

2006 წ. 28 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ". 2006 წ. ივლისში სსკ 143[1] (ასევე 143[2]) მუხლში შეტანილ იქნა ცვლილებები. კერძოდ, თუ ადრე ეს მუხლი ოყო სამ ნაწილიანი, დღეისათვის იგი 4 ნაწილისაგან შედგება. ასევე სხვადასხვა ნაწილებში გადაჯგუფდა ადრე მე-2 და მე-3 ნაწილში გათვალისწინებული გარემოებები, შეიცვალა სანქციები და დაწესდა იურიდიული პირის პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის.[1] რაც მთავარია, ადამიანით ვაჭრობის ძირითადი შემადგენლობის (I ნაწ.) ობიექტურმა მხარემ განიცადა დამატებები.

სსკ 143[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციით

1 იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება, საგანი.

აღიარებული ადამიანის პირადი უფლება და თავისუფლება. კერძოდ, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლება, ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობა, მისი უფლება, აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი და საქმიანობის სფერო, მისი პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა. ამ დანაშაულის ფაკულტატური ობიექტია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად: ა) ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა ხელში ჩაგდება (ყიდვა, სხვაგვარი უკანონო გარიგების განხორციელება,. გადაბირება); ბ) მათი თავმოყრა (გადამალვა, გადაცემა); გ) მათი მსვლელობა (გადაყვანა, ტრანსპორტირება). ამდენად, სახეზეა რთული შემადგენლობა ალტერნატიული ქმედებით (ერთიანი დანაშაული).

ობიექტური მხრივ იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს უმეტესწილად მოქმედებით, თუმცა გამორიცხული არაა მისი უმოქმედობით ჩადენაც (მაგალითად, გადამალვა). დანაშაული დამთავრებულია ნორმაში ჩამოთვლილი ქმედებებიდან ერთ-ერთის ჩადენისთანავე და არაა საჭიროებულო რაიმე მძიმე შედეგის დადგომა. ამდენად, სახეზეა ფორმალური დანაშაული.

ადამიანის ყიდვა შეიძლება მოხდეს ფულის გადახდით, რაიმე ნივთში გაცვლით, ვალში ჩათვლით. ყიდვის შემდეგ ადამიანი გადადის მყიდველის განკარგულებაში უვადოდ.

ადამიანის გაყიდვა შეიძლება განხორციელდეს ფულის მიღებით, რაიმე ნივთში გაცვლით ანდა ვალის ანაცვლოდ. ამდენად, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ექვემდებარება როგორც ადამიანის მყიდველი, ისე გამყიდველი. ყიდვა-გაყიდვა დამთავრებულია, როცა მსხვერპლი გადაეცემა მყიდველს.

ადამიანის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას ადგილი აქვს მაშინ, როცა ადამიანის შემძენი მის გამსხვისებელს ჰპირდება, რომ ხელს შეუწყობს სამუშაროში სხვა საქმიანობის წამოწყებაში, ან საკუთარი შემოსავლიდან პერიოდულად გადაუხდის გარკვეულ პროცენტს, მოაწყობს მას სამუშაოზე, ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ გამგზავრებაში, ჩამოაშორებს კონკურენტს ბიზნესში და ა.შ. ამასთან, აუცილებელია, რომ უკანონო გარიგება განხორციელდეს არა თავად მსხვერპლთან, არამედ მესამე პირთან („მის მიმართ“ და არა „მასთან“).

ადამიანით ვაჭრობის ობიექტური მხარის შემდეგი ნიშანია ადამიანის

გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება, სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, კერძოდ, მუქარით, ძალადობით, ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ანდა მისი მიღება. ამდენად, მუქარა, ძალადობა და სხვა ხერხის გამოყენება მიმართულია ადამიანის გადაბირების, გადაყვანის, გადამალვის, დაქირავების, ტრანსპორტირების, გადაცემის ან შეფარებისაკენ.

2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე ამ დანაშაულის ხერხი იყო მხოლოდ იძულება, შანტაჟი ან მოტყუება. დღეს კანონმდებელმა ეს ხერხები უფრო დააკონკრეტა. კერძოდ, მუქარა ნიშნავს ფსიქიკურ ზემოქმედებას (იძულებას), რაც გამოიხატება ცემის, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების, სქესობრივი დანაშაულის ჩადენის, მოტაცების და სხვაგვარი ძალადობის მუქარაში. იგი დამთავრებულია მუქარის განხორციელების მომენტიდან. ამასთანავე მუქარა არ უნდა იყოს საშიში სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის და ისეთი ფორმით უნდა იყოს გამოთქმული, რომ ადამიანს გაუჩნდეს მისი განხორციელების შიში ან ეჭვი მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამ დანაშაულის ხერხი არ იქნება. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საშიში მუქარა დაკვალიფიცირდება არა ამ მუხლის I ნაწილით, არამედ მე-3 ნაწ. „დ“ პუნქტით.

ძალადობა ნიშნავს ადამიანზე ფიზიკურ ზემოქმედებას სხვადასხვა აგრესიული ქმედებით, მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება მსუბუქად ან ნაკლებად მძიმე, წამება, სქესობრივი დანაშაული, ცემა, გათოკვა და ა.შ.

დანაშაულის ერთ-ერთი ხერხია ასევე **იძულების სხვა ფორმით მისი ჩადენა**. აქ არ იგულისხმება ძალადობა ან მუქარა. იძულების სხვა ფორმაში უნდა ვიგულისხმოთ დაზარალებულის სისტემატური დამცირება, აბუჩად აგდება, რათა ის იძულებული გახდეს დაემორჩილოს დამნაშავეს ექსპლუატაციის გაწევაზე.

მთავარია, იძულების ეს ხერხები არ უნდა იყოს საშიში სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის. (თუ საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ქმედება დაკვალიფიცირდება მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით).

აღსანიშნავია, რომ ძალადობა ან მისი მუქარა (იძულება) შეიძლება

გამოყენებული იყოს სხვა პირის მიმართაც, რომელიც ხელს უშლის ადამიანის გადაბირებას, გადაყვანასა თუ დამალვას. როცა დაზარალებული რამდენიმე პირია (მაგალითად, მოტყუებით გადაყვანილია ორი ადამიანი), იძულება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთის მიმართ სხვა პირთა თანდასწრებით, რათა ყოველი მათგანი დააშინონ და გადაიბირონ ექსპლუატაციის გაწევაზე.

განსახილველი დანაშაულის ერთ-ერთი **ხერხია მსხვერპლის მოტაცება**. მოტაცებაში იგულისხმება პირის ნების საწინააღმდეგოდ, დამნაშავისათვის სასურველი მიმართულებით მისი გადაადგილება. მოტაცება დამთავრებულია მაშინ, როცა დაზარალებულს დაძრავენ ადგილიდან სხვადასხვა ხერხისა და საშუალების გამოყენებით. მაგალითად, ადამიანი შეკრეს, ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს, ანდა მოტყუებით ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს.

შანტაჟში იგულისხმება სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარა. ამასთანავე, არა აქვს მნიშვნელობა ეს ცნობები მოგონილია თუ რეალური, მთავარია, იგი უნდა იყოს ისეთი, რომ სახელს უბღალავდეს პიროვნებას საზოგადოების თვალში (მაგალითად, პირს ემუქრებიან, რომ დააბრალებენ დანაშაულის ჩადენას, გააერცელებენ ინფორმაციას, თითქოს იგი პომოსექსუალისტია, ან ეწევა გარყვნილ ცხოვრებას, ნარკომანია და ა.შ.).

თაღლითობა, როგორც ადამიანით ვაჭრობის ხერხი ადრე ამ ნორმით არ იყო გათვალისწინებული, იგი იგულისხმებოდა მოტყუებაში, რადგანაც თაღლითობა მოტყუების გარეშე წარმოუდგენელია. თაღლითობა ადამიანით ვაჭრობის ხერხია მაშინ, როცა დამნაშავე მოტყუებით ეუფლება სხვის ნივთს და შემდეგ დაკარგული ქონების (მაგალითად, ფულის) დასაბრუნებლად დაზარალებულს აბამს ექსპლუატაციაში მაგალითად, აბამს მას პროსტიტუციაში და ამ გზით უბრუნებს (ან ჰპირდება რომ დაუბრუნებს) თაღლითობით დაკარგულ ქონებას.

მოტყუების დროს ადგილი აქვს ადამიანის შეცდომაში შეყვანას სხვადასხვა სახის დაპირებით. მაგალითად, მას ჰპირდებიან, რომ წაიყვანენ საზღვარგარეთ და მოაწყობენ მაღალანაზღაურებად სამუშაოზე (მაგალითად, ძიძად). სინამდვილეში კი მიჰყავთ იმ პირთან, ვინც მას ყიდულობს ფულით, ან აბამს პროსტიტუციაში და ა.შ.

უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, როგორც ამ დანაშაულის ხერხი ადრე 143[1] მუხლში არ იყო გათვალისწინებული. მოცემულ შემთხვევაში უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირი არაა ამ

დანაშაულის მსხვერპლი, იგი ამ დანაშაულის ამსრულებელია. უმწეო მდგომარეობაში იმყოფება პირი, რომელსაც ფსიქიკური თუ ფიზიკური მდგომარეობის გამო არა აქვს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ვინმეს ან გააცნობიეროს, თუ რა ხდება მის თავს. სწორედ ამ მდგომარეობას იყენებს დანაშაულის ამსრულებელი ადამიანით ვაჭრობისათვის. მაგრამ საკითხავია, როგორ შეიძლება უმწეო მდგომარეობის გამოყენებით განსახილველი დანაშაულის (ტრეფიკინგის) ჩადენა? აქ შესაძლებელია ვიგულისხმოთ შემთხვევა, როცა უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირი (მაგალითად, ინვალიდი მშობელი) სპეკულირებს რა თავისი უმწეობით, გადაიბირებს სხვას (მაგალითად, შვილს), რომ იგი ჩაება ექსპლუატაციაში და ამას ამართლებს მისი უმწეობის გამო შექმნილი ოჯახური სიდუხჭირით.

ჩვენი აზრით, ასეთი შემთხვევა ძალზედ არატიპურია ადამიანით ვაჭრობისათვის და იმის მიუხედავად, რომ იგი კონვენციაში მოცემულია, არ არსებობდა აუცილებლობა, იგი გაეთვალისწინებინათ ამ დანაშაულის ერთ-ერთ ხერხად.

ასევე გაუმართლებლად გვეჩვენება განსახილველ ნორმაში ამ დანაშაულის ერთ-ერთ ხერხად ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გათვალისწინება. რა იგულისხმება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში? აქ არ იგულისხმება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც გათვალისწინებულია 143[1] მ. II ნაწ. „გ“ პუნქტში. ასევე არ იგულისხმება ოჯახში მშობლისა და შვილის, მეურვეების, მასწავლებლისა და მოსწავლის (და სხვ.) დამოკიდებულება, ანდა დამნაშავეზე მატერიალური დამოკიდებულება, რადგანაც ასეთი დამოკიდებულების გამოყენება გათვალისწინებულია 143[1] II ნაწ. „ბ“ პუნქტით. რჩება ერთი ძალაუფლება — ესაა კრიმინალური ავტორიტეტის ძალაუფლება, რომელსაც ის იყენებს ადამიანით ვაჭრობის განსახორციელებლად. ამ შემთხვევაში სათანადო პირობების არსებობისას 143[1] მუხლთან ერთად კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სსკ 223[1] მუხლით ან 224[1] მუხლით.

ადამიანით ვაჭრობის **კიდევ ერთი ხერხია საზღაურის ანდა სარგებლის მიცემა ან მიღება იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. როგორც ვხედავთ**, განსხვავებით ადრე არსებულისაგან, 143[1] მუხლის დღევანდელი რედაქცია ადამიანით ვაჭრობის ხერხად აღიარებს მოსყიდვასაც (ადრე იყო მხოლოდ იძულება, შანტაჟი ან მოტყუება). საზღაურის მიცემაში იგულისხმება ფულის ან სხვა მატე-

რიალური ფასეულობის გადაცემა იმ პირზე ვისაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სხვა პირზე და აიძულოს იგი ექსპლუატაციაში ჩაბმაზე. მაგალითად, ქმარს გადასცეს ფული, რათა იგი დათანხმდეს ცოლის ექსპლუატაციაში ჩაბმას და მოახდინოს მასზე ზეგავლენა. სარგებლის მიცემა კი ნიშნავს ამ პირზე ისეთი ნივთის უფასოდ მიცემას ან ისეთი მომსახურების უფასოდ გაწევას, რაზეც საერთოდ თანხაა გადასახდელი. მაგალითად, თვითმფრინავის ბილეთის, სანატორიუმის საგზურის ჩუქება; ბინის უსასყიდლოდ გარემონტება, რესტორანში მისი სახელით მოწყობილი ბანკეტის ხარჯების გადახდა და ა.შ. ვინაიდან განსახილველ ნორმაში არაა მითითება ქონებრივ სარგებელზე, აქ უნდა ვიგულისხმოთ ყოველგვარი სარგებელი, მათ შორის არაქონებრივიც. მაგალითად, საპატიო წოდების ან საკლასო ჩინის მინიჭება, სხვისი სახელით დისერტაციის დაწერა და ა.შ.

საზღაურის ან სარგებლის მიღებაში კი იგულისხმება ფულის ან სხვა მატერიალური ფასეულობის, ქონებრივი ან არაქონებრივი სარგებლის აღება, მაგალითად, პირი იღებს ფულს იმისათვის, რომ დაითანხმოს სხვა პირი (მაგ., ქმარი) იმაზე, რომ ამ უკანასკნელმა ზეგავლენა მოახდინოს ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლზე (მაგ., ცოლზე).

ამით ჩვენ განვიხილეთ ადამიანით ვაჭრობის ხერხები. ახლა კი უნდა განვიხილოთ თავად ის ქმედებები, რომლის განხორციელებისკენაცაა მიმართული ზემოთხსენებული ხერხები. ეს ქმედებებია: ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება.

გადაბირება ნიშნავს პირის დაყოლიებას ექსპლოატაციაში, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ზემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ხერხის გამოყენებით.

გადაყვანა ნიშნავს პირის წაყვანას თავისი საცხოვრებელი ადგილიდან სხვა მიმართულებით, რათა მიყვანილ იქნეს იმ ადგილას, სადაც მოხდება მისი ჩაბმა ექსპლოატაციაში. გადაყვანის ხერხებიც იგივეა.

გადაყვანისას დამნაშავე ხელს უწყობს მსხვერპლს საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებაში, ტრანსპორტით უზრუნველყოფაში ან/და თან ახლავს მსხვერპლს გადაყვანისას.

გადამალვის დროს პირი მალავს (მაგალითად, საცხოვრებელ სახლში) ადამიანს ზემოთ მითითებული ხერხების გამოყენებით, რათა მომავალში

მოხდეს მისი ჩაბმა ექსპლოატაციაში. გადამალვა თავის თავში მოიცავს ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთასაც და დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს სსკ 143-ე მუხლით. მაგალითად, პირმა იძულებით გადაიყვანა ადამიანი და მე-2 პირს მიაბარა დასამალად რომელიმე ბინაში ან სხვა სადგომში, საიდანაც დაზარალებულს გასვლის უფლება არა აქვს. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ერთმა პირმა კანონში მითითებული რომელიმე ხერხის გამოყენებით (მაგალითად, იძულებით) გადაიბიროს, გადაიყვანოს და გადამალოს კიდეც ადამიანი. შესაძლებელია, ეს ქმედებები ჩაიდინოს სხვადასხვა პირმაც. ამდენად, ადამიანის გადაბირების, გადაყვანისა თუ გადამალვისათვის გამოყენებული უნდა იყოს იძულება, შანტაჟი, მუქარა ან სხვა ხერხი.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის **შემდეგი ნიშანია ადამიანის დაქირავება** (ზემოთ ჩამოთვლილი ხერხებიდან ერთ-ერთის გამოყენებით). საერთოდ, დაქირავება ნიშნავს გარკვეული ანაზღაურების პირობით რაიმე სამუშაოს შესრულებას ან მომსახურების გაწევას, ანდა რაიმე ნივთის (მაგალითად, ბინის) გამოყენებას გარკვეული ვადით მისი მესაკუთრისათვის ანაზღაურების გადახდის პირობით. ეს ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობაა. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ იგულისხმება პირის დაქირავება (სათანადო კონტრაქტით) გარკვეული სამუშაოს შესრულებისათვის, არამედ ისეთი შემთხვევა, როცა ადამიანი ქირავდება როგორც ნივთი და საზღაური გადაეცემა არა თავად დაქირავებულს, არამედ მის „მესაკუთრეს“, რომელსაც იგი ნაყიდი ყავს, როგორც მონა. დაქირავებაში უნდა ვიგულისხმოთ ისეთი შემთხვევაც, როცა მართალია, შესასრულებელი სამუშაოს საზღაური მიეცემა თავად დაქირავებულს, მაგრამ ეს საზღაური არაადეკვატურია შესასრულებელ სამუშაოსთან მიმართებაში. ამგვარად, ადამიანის დაქირავება ხდება ექსპლუატაციის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანით ვაჭრობისათვის ამ ხერხის გამოყენებამ შესაძლოა პრობლემა შექმნას სასამართლო პრაქტიკაში,. კერძოდ „არაადექვატური ანაზღაურება“ შეფასებითი ცნებაა და მისი კრიტერიუმი განსხვავებულია სხვადასხვა სახელმწიფოში. ამდენად, რაც საქართველოს მოქალაქისთვის „კარგი ანაზღაურებაა“, ის განვითარებული ქვეყნის საზომით „არაადექვატურ ანაზღაურებად“ ითვლება. ამიტომ შეიძლება შეიქმნას ვითარება, როცა უცხოეთში საქართველოს მოქალაქე კმაყოფილი

იყოს თავისი შრომის ანაზღაურებით, მაგრამ ეს ანაზღაურება იმ ქვეყანაში ჩაითვალოს არაადექვატურად და შეფასდეს ადამიანის ექსპლუატაციად.

ტრანსპორტირებაში იგულისხმება ტრეფიკინგის მსხვერპლის გადაყვანა ერთი დასახელებული პუნქტიდან მეორეში ნებისმიერი სახის ტრანსპორტის გამოყენებით (ა/მანქანა, წყლის ან საჰაერო ხომალდი). აქ ამსრულებელია ის, ვინც მართავს ამ ტრანსპორტს და გაცნობიერებული აქვს საქმის არსი.

გადაცემა ნიშნავს ამ დანაშაულის მსხვერპლის ჩაბარებას სხვა პირზე თუნდაც დროებით გადამალვისათვის მომავალში მისი ექსპლუატაციის მიზნით, ეს ქმედება დამთავრებულია მაშინ, როცა მსხვერპლს ჩააბარებენ (გადასცემენ) სხვა პირს.

ადამიანის ვაჭრობის ობიექტური მხარის შემდეგ ნიშნად 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებით გათვალისწინებულ იქნა ადამიანის შეფარება, რაც გარკვეულ გაუგებრობას იწვევს. საქმე ისაა, რომ „შეფარება" ნიშნავს ადამიანის დაფარვას რაიმე განსაცდელისაგან, ხიფათისაგან, მის გამოხსნას რთული ვითარებიდან, (შეიკედლებს, „შეიფარებს" პირი არის „მფარველი")[1]. ასეთ ვითარებაში კი გაურკვეველია, როგორ შეიძლება მოხდეს შეფარება ექსპლუატაციის მიზნით. ამ მიზნის გარეშე კი არა თუ შეფარება, არამედ ობიექტური მხარის სხვა ნიშნებიც (გადაბირება, გადაყვანა და ა.შ.). არ მოგვცემს სსკ 143[1] მუხდის შემადგენლობას. ეს ნიშნები ან სხვა დანაშაულის შემადგენლობა იქნება, ან საერთოდ არაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც დანაშაულებრივი ქმედება (მაგალითად, პირის დაქირავება, თუ არაა ექსპლუატაციის მიზანი, არაა მართლსაწინააღმდეგო ქმედება).

გამომდინარე აქედან, თუ ვინმემ ადამიანი შეიფარა განსაცდელისაგან (ვთქვათ, უსახლკარო, უმუშევარი, მშიერი, ვისაც შიმშილისგან და სიცივისგან განსაცდელი ელოდება) და იხსნა იგი ამ ხიფათისაგან, ასეთ ადამიანს არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს სხვა პირის ექსპლუატაცია მაშინაც კი, თუ იგი შეფარებულს გამოიყენებს გარკვეული სამუშაოს შესრულებისათვის. საქართველო არის განვითარებადი ქვეყანა, სადაც ოფიციალური სამუშაოს (კონტრაქტით) შოვნა ძალზე ძნელია. ამიტომ, თუკი ვინმე მშიერს შეიფარებს და სიკვდილის განსაცდელისაგან იხსნის

---

1 იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, ნაკვ. II, თბ., 1990.

(თუნდაც გარკვეული სამუშაოს შესრულების პირობით), მისი ქმედება არ უნდა ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ.

სსკ 143[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარის შემდეგი **ნიშანია ადამიანის მიღება ექსპლუატაციის მიზნით**. აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა პირი სხვის მიერ უკვე გადაბირებულ ადამიანს მიიღებს ექსპლუატაციის გასაწევად, ამდენად, იმას, ვინც მიიღო ადამიანი ექსპლოატაციისათვის, თავად არ გამოუყენებია იძულება, შანტაჟი, მუქარა თუ მოტყუება ან სხვა ხერხი მისი გადაბირების, გადაყვანისა თუ გადამალვისათვის, თანაც არ ყოფილა ორგანიზებული დაჯგუფების წევრი. მისი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება იმაში, რომ სხვა პირის მიერ გადაბირებულ ადამიანს იღებს ექსპლუატაციის მიზნით.

როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაული დამთავრებულია განსახილველ ნორმაში ჩამოთვლილი ერთ-ერთი ქმედების ჩადენიდან და მნიშვნელობა არა აქვს მოჰყვება თუ არა მას მძიმე შედეგი. არც იმას აქვს მნიშვნელობა, მოხდება თუ არა დაზარალებულის ჩაბმა ექსპლოატაციაში.

სსკ 143[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილში ჩამოთვლილი ქმედებები შეიძლება შეასრულოს ერთმა პირმა, ასევე პირთა ჯგუფმა ან წინასწარ შეთანხმებულმა ჯგუფმაც. მაგალითად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის ერთმა წევრმა შეიძლება იყიდოს ადამიანი, მეორემ იძულების გამოყენებით გადაიბიროს იგი, მესამემ – გადაიყვანოს, მეოთხემ – გადამალოს და ა.შ.

როდესაც დანაშაულის ჩასადენად (მაგალითად, იძულებით გადაბირებისათვის) გამოყენებულია ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც პირი ინახავს ან ატარებს მართლსაწინააღმდეგოდ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით. ასევე დანაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს შემთხვევა, როცა ადამიანის იძულებისათვის დამნაშავე ჩადის ძალადობით სქესობრივ დანაშაულს (მაგალითად, გაუპატიურებას).

ადამიანით ვაჭრობის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. პრაქტიკულად, ამ დანაშაულს სრულწლოვნები სჩადიან, მაგრამ, თუ არასრულწლოვნიც (14 წელს ზევით) მოახერხებს 143[1]-ე მუხლში ჩამოთვლილ ქმედებათაგან რომელიმეს ჩადენას, იგი ჩვეულებრივად ჩაითვლება ამ დანაშაულის ამსრულებლად.

სუბიექტური მხრივ ადამიანით ვაჭრობა განზრახი დანაშაულია. მისი ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით. მოტივს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება იყოს ანგარება, შური და

სხვა, ის მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას. რაც შეეხება მიზანს, უმეტეს შემთხვევაში მას მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს. (გამონაკლისია ყიდვა-გაყიდვა ან მის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება), ესაა ექსპლუატაციის მიზანი, რომლის არსიც მოცემულია 143[1]-ე მუხლის შენიშვნაში.

ამ შენიშვნის მიხედვით ექსპლუატაციად მიიჩნევა: ა) ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების გაწევაში ჩაბმისათვის (მაგალითად, მშენებლობაზე იძულებით ამუშაონ მუშად, ან იძულებით ამუშაონ ბარის მიმტანად); ბ) ადამიანის გამოყენება დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმისათვის (მაგალითად, მისი გამოყენება „ქილერად" ანდა აზარტული თამაშისათვის) უნდა აღინიშნოს, რომ იძულებით შრომაში ჩაბმას უნდა მიეცეს ფართო განმარტება. კერძოდ, აქვე უნდა მოვიაზროთ პირის იძულება ჩაება ბრძოლაში თუ ეს არაა აგრესიული. უკეთუ პირს აიძულებენ ჩაება აგრესიულ ომში, დამნაშავის ქმედება უნდა შეფასდეს ადამიანის გამოყენებად დანაშაულებრივ ქმედებაში (რადგან აგრესიული ომის წარმოება დანაშაულია); გ) ადამიანის გამოყენება პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის მიზნით. ამ შემთხვევაში დამნაშავეს სურს ჩააბას პირი სხეულით ვაჭრობაში (პროსტიტუციაში), რათა მიღებული შემოსავლით გამდიდრდეს. ანდა მას სურს თავად გაუწიოს სექსუალური ექსპლუატაცია ტრეფიკინგის მსხვერპლს, ან გამოიყენოს იგი სხვა სახის მომსახურების გასაწევად (მაგალითად, პირად მასაჟისტად); დ) ადამიანის გამოყენება მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით.

ადამიანის გამოყენება მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩასაყენებლად 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილების დროს დაემატა ამ მუხლის შენიშვნას. მანამდე კი გათვალისწინებული იყო მხოლოდ მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზანი. ამასთანავე, 143[1] მუხლის შენიშვნაში განმარტებული არაა, თუ რას გულისხმობს მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენება, რაც სასამართლოს ე.წ. კაუჩუკის პრინციპის გამოყენების შესაძლებლობას აძლევს, ეს კი არაა გამართლებული. ჩვენი აზრით, მონობის მსგავს პირობებში ჩაყენება გულისხმობს პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში მუშაობის იძულებას. მაგალითად, პირს აიძულებენ შეასრულოს მძიმე ფიზიკური სამუშაო დილიდან გვიან ღამემდე, თან საკვე-

ბად აძლევენ ცხოველის სალაფავს. ღამით კი დასაძინებლად ათავსებენ ბოსელში. ანდა ადამიანს აიძულებენ იმუშაოს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე (აძლევენ მხოლოდ საკვებს და მასაც არასრულფასოვანს).

რაც შეეხება ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენებას, მისი არსი განმარტებულია განსახილველი მუხლის შენიშვნაში და გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის (მაგალითად, პასპორტის) ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას (მაგალითად, პირს არა აქვს შესაძლებლობა გაიაროს კონკრეტული შენობიდან), ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას (მაგალითად, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვის, ინტერნეტით სარგებლობის აკრძალვა და ა.შ.). პატიმრისა და ღირსების შემლახავ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას.

არაადექვატურად უნდა ჩაითვალოს ანაზღაურება, რომელიც არსებითად (მნიშვნელოვნად) ჩამორჩება ამგვარი სამუშაოსათვის საზოგადოდ მიღებულ ფასს.

2006 წლის ივლისის კანონით ამ შენიშვნას დაემატა შემდეგი მითითება: პირის თანხმობას მის წინასწარ განზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუნდაც პირი თანახმა იყოს ექსპლუატაციაზე, ეს ექსპლუატატორის პასუხისმგებლობას მაინც არ გაამორიცხავს. აქ არ უნდა ვიგულისხმოთ ისეთი შემთხვევა, როცა პირი თავად მიდის თხოვნით ან წინადადებით სხვასთან და გამოთქვამს მზადყოფნას, გაუწიონ მას ექსპლუატაცია (ვთქვათ, ჩააბან მონურ შრომაში). ეს იმიტომ, რომ მუხლის შენიშვნაში ხაზგასმულია, რომ მნიშვნელობა არა აქვს პირის თანხმობას, მის „წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე". ექსპლუატაცია კი მაშინ ჩაითვლება წინასწარგანზრახულად, როცა ექსპლუატატორს ეს მიზანი ჰქონდა მანამ, სანამ თანხმობას მიიღებდა ტრეფიკინგის მსხვერპლისაგან.

განსახილველ ნორმას დაემატა მეორე შენიშვნაც, რომლის მიხედვითაც ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.[1]

---

1 იურიდიული პირის პასუხისმგებლობაზე იხ. წიგნის დასაწყისი – საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება და სავანი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სსკ 143[1]-ე მუხლის დისპოზიცია იმგვარადაა აგებული, რომ ნათლად არაა გამოკვეთილი ექსპლუატაციის მიზანი საერთოდ ამ დანაშაულის დამახასიათებელი ნიშანია, თუ იგი ახასიათებს მხოლოდ ადამიანის მიღებას. თუმცა აშკარაა, რომ თუ ადამიანის გადაბირება, გადაყვანა ან გადამალვა ან სხვა ქმედება არაა ჩადენილი ექსპლუატაციის მიზნით, თავისთავად ეს ქმედებები არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ვაჭრობად. მაგალითად, როცა პირი სხვას გადაიბირებს რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად, საქმე გვაქვს კონკრეტული დანაშაულის წაქეზებასთან და არა ადამიანით ვაჭრობასთან, ასევე, როცა ადგილი აქვს ადამიანის გადაყვანას, ტრანსპორტირებას ან გადამალვას იმ მიზნით, რომ მას აღუკვეთონ თავისუფლება, სახეზეა სსკ 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – თავისუფლების უკანონო აღკვეთა. ამდენად, როცა ადამიანის გადაბირებას, გადაყვანას ან გადამალვას და ა.შ. თან არ ახლავს ექსპლუატაციის მიზანი, ქმედების სსკ 143[1]-ე მუხლით კვალიფიკაცია გამორიცხულია.

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე ადამიანის ყიდვის, გაყიდვის ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებისას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს ამ ქმედების ჩადენის მიზანს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ადამიანით ვაჭრობად იმის მიუხედავად, ამოძრავებდა თუ არა ექსპლუატაციის მიზანი. როცა ადამიანს ეპყრობიან როგორც ნივთს – ყიდულობენ ან მის მიმართ ახორციელებენ სხვა უკანონო გარიგებას – თვით ეს ქმედებაა მართლსაწინააღმდეგო და აქ მიზანს უკვე არ უნდა მიენიჭოს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. სსკ პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ადამიანის ყიდვა ხორციელდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაში. მაგალითად, საზღვარგარეთ გაყიდული პირის ყიდვა, რათა იგი დაუბრუნდრს თავის ოჯახს.

ადამიანის გაყიდვის დროს კი პირს საერთოდ არ ამოძრავებს ექსპლუატაციის მიზანი, მას შეიძლება ამოძრავებდეს გამორჩენის მიღების მიზანი, მაგრამ ამას ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.[1]

---

1 მიგვაჩნია, რომ სასამართლო პრაქტიკაში დავის თავიდან აუცილებლად უმჯობესი იქნება ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ადამიანის ყიდვა, გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, ანდა ექსპლუატაციის მიზნით მისი მიღება, აგრეთვე ამავე მიზნით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, ჩადენილი მუქარით, ძალადობით...

განახორციელებს თუ არა დამნაშავე თავის მიზანს (ექსპლუატაციის მიზანი), ამას ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ადამიანით **ვაჭრობა უნდა განვასხვაოთ პროსტიტუციაში ჩაბმისაგან**. საქმე ისაა, რომ პროსტიტუციაში ჩაბმა ხორციელდება ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით. ხოლო ადამიანით ვაჭრობისას ექსპლუატაციის მიზანი გულისხმობს ადამიანის პროსტიტუციაში ჩაბმასაც. სსკ 143[1]-ე და 253-ე მუხლებს შორის ის განსხვავებაა, რომ 253-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს წინ არ უძღვის 143[1]-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებები (ადამიანის ყიდვა, გაყიდვა და ა.შ.). ამასთანავე, 253-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება პირის პროსტიტუციაში ჩაბმაში და დამთავრებულია მაშინ, როცა დამნაშავე უკვე ჩააბამს პირს პროსტიტუციაში. სსკ 143[1]-ე მუხლის ობიექტური მხარე კი არ გულისხმობს პირის პროსტიტუციაში ჩაბმას, ამ დანაშაულის ჩამდენს მხოლოდ მომავალში შეიძლება ჰქონდეს მიზნად პირის ჩაბმა ამ საქმიანობაში. ამდენად, ქმედებას 143[1] მუხლით კვალიფიკაციისათვის არაა აუცილებელი მოხდეს პირის ექსპლოატაციაში რეალურად ჩაბმა.

გარდა ამისა, ადამიანით ვაჭრობისას პროსტიტუციაში ჩაბმული პირი ფაქტობრივად დამნაშავის „საკუთრებაში“ გადადის, როგორც ცოცხალი ნივთი. დამნაშავე წარმართავს მისი ცხოვრების წესს, ისაკუთრებს და განკარგავს პროსტიტუციის შედეგად მიღებულ შემოსავალს პირადი მიზნით. მსხვერპლს შეზღუდული აქვს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა, ახლობლებთან კავშირი და ა.შ.

როდესაც ადამიანით ვაჭრობის ამსრულებელი მსხვერპლს ჩააბამს რომელიმე დანაშაულებრივ ქმედებაში (მაგალითად, მკვლელობაში), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 143[1]-ე მუხლით და მკვლელობის წაქეზებით ან ორგანიზებით. ხოლო როცა მსხვერპლი მოქმედებს ბრალის გამომრიცხავ გარემოებებში, მაშინ ექსპლუატატორი თავად იქნება ამ დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი.

სსკ 143[1]-ე მუხლის მე-2,-3 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები განხილულია სსკ 142-143-ე მუხლების ანალიზისას. შეჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე. მაგალითად, წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ ამ დანაშაულის ჩადენას მაშინ აქვს ადგილი, როცა დაზარალებულს არა აქვს

იმის უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს დამნაშავეს (მაგალითად, მძიმე ავადმყოფობის გამო), ან არ შეუძლია გააცნობიეროს, თუ რა ქმედებას სჩადიან მის მიმართ (ძლიერი სიმთვრალისა თუ ნარკოტიკული ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირი და ა.შ.). აქ არ იგულისხმება მცირეწლოვანებით გამოწვეული უმწეობა, რადგანაც ასეთი შემთხვევა კვალიფიცირდება სსკ 143[2]-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით. იძულება, შანტაჟი ან მოტყუება თუ სხვა ხერხი შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმწეო მდგომარეობაში მყოფის მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლების მიმართ, რომელთა მფარველობის ქვეშაც არის ეს პირი. ნაწილობრივ შეეჩერდებით ასევე ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ ქმედებაზე.

ეს დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განხილულია დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა (ე.ი. ჯგუფმა, რომელიც არაა შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად, ასევე არაა აუცილებელი, ფორმალურად როლები იყოს განაწილებული, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა), რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. ამდენად, ორგანიზებული ჯგუფი შეიძლება შეიქმნას ერთი დანაშაულის ჩასადენადაც, თუ მის ჩადენას (ამ შემთხვევაში ადამიანით ვაჭრობის ჩადენას) სჭირდებოდა დროის განსაზღვრული პერიოდი. (იხ. სსკ 27-ე მუხლის მე-3-4 ნაწილები და შენიშვნა).

როცა ორგანიზებული ჯგუფი ვაჭრობს ადამიანებით, ჯგუფის წევრებს შორის შესაძლებელია (თუმცა არაა აუცილებელი) ადგილი ჰქონდეს როლების გადანაწილებას. ერთი ყიდულობს ადამიანს, მე-2 – ყიდის, მე-3 – იძულებით გადმოიბირებს მას და ა.შ. რაც მთავარია, ამ ჯგუფს ჰყავს ორგანიზატორი, რომელიც ხელმძღვანელობს ჯგუფის წევრთა ქმედებას. ამ შემთხვევაში ორგანიზატორის ქმედება იმის მიუხედავად, მონაწილეობს თუ არა იგი უშუალოდ ადამიანით ვაჭრობაში, დაკვალიფიცირდება სსკ 143[1] მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტით 25-ე მუხლზე მითითების გარეშე.

როდესაც პირის ქმედებაში არის ამ მუხლის მე-4 ნაწილის როგორც „ა“, ისე „ბ“ პუნქტის ნიშნები, ქმედება დაკვალიფიცირდება ორივე პუნქტით, რაც ზეგავლენას მოახდენს სასჯელზე.

სსკ 143[1]-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

სიცოცხლის მოსპობის მიმართ სახეზე უნდა იყოს გაუფრთხილებლობა, რაზეც მეტყველებს არა მარტო ქვესათაურის რედაქცია („სიცოცხლის მოსპობა“), არამედ, ამ ნაწილით გათვალისწინებული სანქციის სიმსუბუქე განზრახი მკვლელობისათვის გათვალისწინებული ყველაზე მკაცრ სასჯელთან შედარებით.

სხვა მძიმე შედეგის (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ოჯახის დანგრევა, დიდი მატერიალური ზარალი და ა.შ.) მიმართ კი სახეზეა როგორც განზრახვა (ოჯახის დანგრევის ან ქონებრივი ზიანის მიმართ). ისე გაუფრთხილებლობა. მძიმე შედეგის მიმართ განზრახვის დასაბუთება შესაძლებელია იმითომაც, რომ შესაბამისი სანქცია (თ.ა. ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე) მკაცრია.

არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) – (სსკ 143[2] მუხლი)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია არასრულწლოვნის პირადი უფლება და თავისუფლება. კერძოდ, მისი პიროვნების ხელშეუვალობა, მისი უფლება, იზრდებოდეს მშობლებთან, პატივი და ღირსება, რაც განმტკიცებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე, საერთაშორისო კონვენციებით (მაგალითად, 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციით ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ, რომელსაც საქართველო შეუერთდა 1994 წელს), ასევე ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2002წ. 27 სექტემბერს); 1996 წელს სტოკჰოლმის მსოფლიო კონგრესზე მიღებული დეკლარაცია ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ; ბავშვის გატაცებასთან დაკავშირებული ადამიანის ასპექტების შესახებ კონვენცია (საქართველო შეუერთდა 1995 წლის თებერვალში). ბავშვის უფლების კონვენციაში აღიარებულია ბავშვის უფლება, იყოს დაცული ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან და ნებისმიერი იმ სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც

შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს ბავშვს, ან დაბრკოლებას უქმნიდეს განათლების მიღებაში, ან აზიანებდეს მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ, სულიერ და საზოგადოებრივ განვითარებას. ფაკულტატური ობიექტია არასრულწლოვნის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

დანაშაულს მსხვერპლი არის არასრულწლოვნი, ე.ი. 18 წელს მიუღწეველი პირი. ამ მუხლის 1-ლი ნაწილით დაზარადებულად არ ჩაითვლება ის არასრულწლოვნი, რომელსაც თავისი მცირეწლოვანების გამო არ შესწევს უნარი გააცნობიეროს, თუ რა ქმედებას სჩადიან მის მიმართ. ამგვარი უმწეო მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვნით ვაჭრობისას ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 143^2-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ემსგავსება სსკ 143^1-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ქმედებას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ არასრულწლოვნით ვაჭრობისას სავალდებულო არაა დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული იყოს იძულება, შანტაჟი ან მოტყუება ანდა 143^1 მუხ. I ნაწილში მითითებული სხვა ხერხი. აქ არასრულწლოვნის გადაბირება, გადაყვანა თუ გადამალვა შეიძლება მოხდეს არასრულწლოვნის წაქეზებით (შეგონებით, დარწმუნებით). რადგანაც მისი ფსიქიკა ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული, მასზე ზეგავლენის მოხდენაც ადვილია. გარდა ამისა, არასრულწლოვნის ჩაბმა ექსპლუატაციაში უფრო სავალალო შედეგებს იწვევს. სწორედ იმიტომ, რომ არასრულწლოვნით ვაჭრობის ობიექტური მხარე რამდენადმე განსხვავდება ადამიანით ვაჭრობის ობიექტური მხარისაგან, კანონმდებელმა ცალკე ნორმა შექმნა არასრულწლოვნით ვაჭრობისათვის და არ გაითვალისწინა იგი სსკ 143^1-ე მუხლის მაკვალიფიცირებელ გარემოებად.

როცა არასრულწლოვნით ვაჭრობის ხერხად გამოყენებულია იძულება, შანტაჟი ან მოტყუება, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 143^2-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის შესაბამისი პუნქტით და არა 1-ლი ნაწილით. ასევე თუ ვაჭრობა განხორციელებულია მცირეწლოვანის მიმართ, რომელსაც თავისი უასაკობის გამო (მაგალითად, 3 წლის ბავშვი) არ შეუძლია შეიგნოს მის მიმართ განხორციელებული ქმედების შინაარსი, კვალიფიკაცია მოხდება სსკ 143^2-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ.

არასრულწლოვნით ვაჭრობის ობიექტური მხარის დანარჩენი ნიშნები ისე უნდა გავიგოთ, როგორც სსკ 143^1-ე მუხლში. აქაც, ისევე

როგორც ადამიანით ვაჭრობის შემთხვევაში (143[1]-ე მუხლი), ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება შეიძლება განახორციელოს როგორც ერთმა პირმა, ისე ჯგუფმა ან წინასწარ შეთანხმებით პირთა ჯგუფმა. მაგალითად, პირები წინასწარ შეთანხმდნენ რა ამ დანაშაულის ჩადენაზე, გაინაწილეს როლები – ერთმა იყიდა არასრულწლოვანი, მეორემ გადაიყვანა იგი, მესამემ – გადამალა, მეოთხემ – გაყიდა სხვა პირზე და ა.შ. ამ შემთხვევაში, ექსპლოატაციის მიზანი შეიძლება ჰქონდეს ამ ჯგუფის მხოლოდ ერთ წევრს (ხელმძღვანელს), ოღონდ დანარჩენ წევრებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ ქმედება ემსახურება ჯგუფის ხელმძღვანელის ამ მიზანს.

დანაშაულის ამსრულებელი არის 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ არასრულწლოვნით ვაჭრობა პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულია, დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ ვაჭრობას ახორციელებს არასრულწლოვნის მიმართ და სურს ეს. ამასთანავე, მთელ რიგ შემთხვევებში (გადაბირების, გადაყვანის, გადამალვისა თუ მიღების დროს) მას უნდა ამოძრავებდეს სპეციალური მიზანი – ესაა ექსპლუატაციის მიზანი. აქაც, ისე როგორც 143[1]-ე მუხლში, ნათლად არაა გამოკვეთილი ექსპლუატაციის მიზანი საერთოდ ახასიათებს ამ დანაშაულს, თუ მხოლოდ არასრულწლოვნის მიღება ხდება ექსპლოუატაციის მიზნით, სადავო არ უნდა გახდეს ის, რომ, თუ არასრულწლოვნის გადაბირებას, გადაყვანასა და გადამალვას არ ახლავს ექსპლუატაციის მიზანი, იგი არასრულწლოვნით ვაჭრობად ვერ დაკვალიფიცირდება. მაგრამ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვისა და მის მიმართ სხვა უკანონო გარიგებისას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს ამ ქმედების მიზანს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკა აღმოჩნდება არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში. კერძოდ, თუ არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვის დროს სავალდებულოდ მივიჩნევთ ექსპლოუატაციის მიზანს, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს შემთხვევა, როცა პირი სხვა პირის შეკვეთით ყიდულობს მცირეწლოვანს შემკვეთზე გადასაცემად? ამ შემთხვევაში ბავშვის მყიდველს არ ამოძრავებს ექსპლუატაციის მიზანი და შესაძლოა, არც ის იცოდეს, თუ რა მიზანი ამოძრავებს შემკვეთს – ბავშვის შვილად აყვანის თუ ექსპლუატაციის მიზანი. ამის მიუხედავად, როცა არასრულწლოვანი ხდება ყიდვა-გაყიდვის

ობიექტი, დამნაშავეს თუნდაც არ ამოძრავებდეს მისი ექსპლუატაციის მიზანი, ქმედება მაინც უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 143[2]-ე მუხლით. ამასთანავე, არასრულწლოვანის გამყიდველს საერთოდ არ ამოძრავებს ექსპლუატაციის მიზანი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როცა ადგილი აქვს არასრულწლოვნის ყიდვას ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას შვილად აყვანის მიზნით, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 172-ე მუხლით.

2006 წლის საკანონმდებლო სიახლეებით ცვლილება განიცადა ასევე არასრულწლოვნით ვაჭრობის ობიექტურმა მხარემ. კერძოდ, ქმედებას დაემატა დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა და შეფარება. ობიექტური მხარის ეს ნიშნები ისევე უნდა გაიგოთ, როგორც ადამიანით ვაჭრობის დროს (143[1] მუხ.). რაც შეეხება ამ ქმედების განხორციელების ხერხებს, აქ 143[2] და 143[1] მუხლები 2006 წლის საკანონმდებლო სიახლის შემდეგ არ ემთხვევა ერთმანეთს. კერძოდ, დანაშაულის ხერხებს 143[1] მუხლში დაემატა ამ დანაშაულის ჩადენა მუქარით, იძულების სხვა ფორმით, მოტყუებით, თაღლითობით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. დანაშაულის ჩადენის ეს ხერხები კი არაა გათვალისწინებული არასრულწლოვნით ვაჭრობის დამამძიმებელ გარემოებებში. იქ ასახულია იგივე ხერხები, რაც 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე იყო მოცემული (იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით). საინტერესოა რა კრიტერიუმით იხელმძღვანელა კანონმდებელმა, როცა ეს ხერხები არ გაითვალისწინა 143[2] მუხლის მაკვალიფიცირებელ გარემოებებში? არადა მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის გაღებით არასრულწლოვნის დაყოლიება უფრო ადვილია, ვიდრე სრულწლოვნისა. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობით თუ ადგილი ექნება არასრულწლოვანის გადაყვანას, ჟთქვათ მუქარით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ამ მუხლის I ნაწილით.

სსკ 143[2]-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები განხილულია წინა მუხლების შემადგენლობის ანალიზისას. ამჯამად შეეჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული **იგივე ქმედება, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი**

შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად, ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ.

უმწეო მდგომარეობაში იგულისხმება არა მარტო ასაკით, არამედ გონებრივი შესაძლებლობებით (სულით ავადმყოფობა, გონებრივი სისუსტე) გამოწვეული უმწეობა. ამგვარ მდგომარეობაში მყოფად ჩაითვლება არასრულწლოვანი, რომელიც მისი ყიდვა-გაყიდვისა თუ მის მიმართ სხვა ქმედების განხორციელებისას მოკლებული იყო შესაძლებლობას წინააღმდეგობა გაეწია ვინმესათვის ანდა არ შეეძლო გაეცნობიერებინა, თუ რა ქმედებას ჩადიოდნენ მის მიმართ (ძლიერ მთვრალი, ნარკოტიკული ზეგავლენის ქვეშ მყოფი, ავადმყოფი და ა.შ.). ამასთანავე, აუცილებელია, რომ დაზარალებული, რომელიც უმწეო მდგომარეობაშია, იყოს არასრულწლოვანი, ე.ი. 18 წელს მიუღწეველი.

დამნაშავეზე მატერიალურადაა დამოკიდებული ის არასრულწლოვანი, რომელიც იმყოფება დამნაშავის კმაყოფაზე, სწავლისა თუ მკურნალობის ხარჯებს მას უხდის დამნაშავე, რომელიც შემდგომში მას ყიდის ან ყიდულობს, როგორც ნივთს ანდა მის მიმართ ახორციელებს სსკ 143^2-ე მუხლში მითითებულ სხვა ქმედებას ექსპლუატაციის მიზნით. სხვაგვარ დამოკიდებულებაში იგულისხმება მშვილებლისა და ნაშვილების, ღვიძლი მშობლისა და შვილის, ცოლ-ქმრის (როცა დაზარალებული, ვთქვათ, ცოლი, არასრულწლოვნია), მეურვისა თუ მზრუნველისა და მის მზრუნველობაში მყოფი არასრულწლოვნის დამოკიდებულება და სხვა. სხვაგვარ დამოკიდებულებაში, ამ დროს, არ ჩაითვლება სასწავლებლის ან ბავშვთა სახლისა თუ სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელისა და არასრულწლოვნის დამოკიდებულება. უკეთუ ეს პირები ჩაიდენენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი არასრულწლოვნით ვაჭრობას, მათი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 143^2-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტით – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

სსკ 143^2-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც **გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.** ამ ქმედებისათვის გათვალისწინებული სანქციის მეტისმეტი სიმკაცრე (თ.ა. ჩვიდმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა) საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ როგორც დამდგარი სიკვდილის, ისე სხვა მძიმე შედეგის მიმართ სუბიექტური მხარე

აქ განზრახვაში გამოიხატება. ამდენად, როცა დამნაშავე არასრულწლოვნით ვაჭრობის დროს განზრახ კლავს მას, ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით საჭირო არაა. თუ ამ შედეგის განზრახ გამოწვევის შემთხვევაში (ანუ არასრულწლოვანის განზრახ მკვლელობისას) ქმედებას დავაკვალიფიცირებთ დანაშაულთა ერთობლიობით, შეიქმნება პარადოქსული ვითარება, კერძოდ, უპირატეს მდგომარეობაში სასჯელის თვალსაზრისით აღმოჩნდება ის პირი, ვინც ამ დანაშაულის მსხვერპლი განზრახ მოკლა (სსკ 143^2, I ნაწ. და 109 ე მუხ. II ნაწ. სასჯელების მაქსიმალურად შეკრების შემთხვევაშიც კი თ.ა. ვერ გასცდება 30 წელს, მაშინ, როცა 143^2 მ. IV ნაწილით კვალიფიკაციისას პირს შეიძლება შეეფარდოს თავისუფლების უვადო აღკვეთა). რაც შეეხება გაუფრთხილებლობას ამ შედეგების მიმართ, სასამართლოს მისი დასაბუთება გაუჭირდება, რადგანაც, ჯერ ერთი, ეს ეწინააღმდეგება სსკ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნას და, მე-2, მოცემული სანქციის მეტისმეტი სიმკაცრე (უფრო მკაცრია, ვიდრე სსკ 109-ე მუხლის სანქცია) არ იძლევა ამ შედეგების მიმართ გაუფრთხილებლობის დასაბუთების შესაძლებლობას. არანაირად არ შეიძლება გავამართლოთ ისეთი ვითარება, როცა ამ შედეგების როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით გამოწვევისას დამნაშავე დაისაჯოს ერთი და იმავე სანქციის ფარგლებში, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს სანქცია უვადო თავისუფლების აღკვეთასაც მოიცავს.

ამ დანაშაულისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა (მუხლი 143[3]).

2007 წლის 8 მაისს საქართველოს სსკ დაემატა ახალი 143[3] მუხლი. ამ მუხლის მიღება განაპირობა ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" ევროსაბჭოს კონვენციის მე-19 მუხლის მოთხოვნამ, რომლის თანახმადაც კონვენციის წევრ-სახელმწიფოებს მიეცათ რეკომენდაცია ეროვნული კანონმდებლობით დანაშაულად გამოაცხადონ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის დანაშაულით გათვალისწინებულ ექსპლუატაციას. სწორედ ამის გამოძახილია სსკ 143[3] მუხლი.

ტრეფიკინგის განვითარებას და გაფართოებას ხელს უწყობს ადამიანთა უზარმაზარი რაოდენობის შეუპოვარი მცდელობა გადაჭრან სიღარიბის პრობლემა, ოჯახური სიძნელეები, ეძიონ უკეთესი ცხოვრების პირობები მაშინ, როცა სხვა ადგილას არსებობს მოთხოვნილება მათ შრომასა და მომსახურებაზე, სანამ ასეთი მოთხოვნა იქნება, მიწოდებაც იარსებებს. დამნაშავეობა მაგალითად, ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია არსებობს იმიტომ, რომ მასზე არსებობს მოთხოვნილება. ამასთანავე, პროსტიტუციაში ან სხვაგვარ სექსუალურ ქმედებებში ჩაბმული ბავშვების მიმართ სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების გამოყენების საფუძველი არ არსებობს, ისინი ზრუნვასა და დაცვას საჭიროებენ. დამნაშავეები ექსპლუატატორები, სუტენიორები და თავად კლიენტები არიან, ისინი უნდა იდევნებოდნენ სასამართლო წესით და არა ბავშვები.

ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ ევროკონვენციის მე 6 მუხლი ეთმობა ადამიანებით ვაჭრობის მოთხოვნასთან ბრძოლის ზომებს. ამ საკითხისათვის ცალკე მუხლის მიძღვნით კონვენციის შემდგენლებმა აუცილებლად ჩათვალეს ხაზი გაესვათ ადამიანით ვაჭრობის მოთხოვნილებასთან ბრძოლის მნიშვნელობისათვის, რომლის მიზანია კლიენტების მხრიდან მოთხოვნილების შემცირება.

ევროკონვენციის მე 19 მუხლის მიხედვით მონაწილე მხარეები მოვალენი არიან განიხილონ საკითხი წინასწარი შეცნობით ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობის სისხლის სამართლის დანაშაულად

აღიარების შესახებ. კონვენციის ავტორებს რამდენიმე გარემოებამ უბიძგა ჩაერთოთ ეს ნორმა ხელშეკრულების ტექსტში. მათ შორის ძირითადი იყო სურვილი არ წაეხალისებინათ ადამიანით ვაჭრობის განვითარება. ეს ნორმა მიმართულია კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის ექსპლუატაციის მსხვერპლის კლიენტზე. ამ ნორმის მიხედვით დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს მაგალითად, ბიზნესის მესაკუთრის მიერ, ადამიანით მოვაჭრეების მხრიდან მიწოდებული მუშახელის შეგნებულად გამოყენება,ამ შემთხვევაში ბიზნესის მესაკუთრის მოქმედება ტრეფიკინგად ვერ შეფასდება, რადგან იგი თავად არ ახდენდა მსხვერპლთა გადაბირებას და დამოუკიდებლად არ გამოუყენებია ტრეფიკინგის დეფინიციით გათვალისწინებული რაიმე საშუალება,მაგრამ სამაგიეროდ იგი დამნაშავე იქნება მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობაში,ასევე მეძავის კლიენტი, რომელიც საქმის კურსში იყო რომ ქალი გაყიდული იყო, ანალოგიურად პასუხს აგებს მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისათვის.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მე-19 მუხლის მიხედვით სს წესით უნდა იდევნებოდეს ისეთი მომსახურებით სარგებლობა,რაც ექსპლუატაციის საგანია ტრეფიკინგის დეფინიციის მიხედვით. იგი მიმართულია იმ პირთა დასჯისაკენ,ვინც მონაწილეობს მსხვერპლის ექსპლუატაციაში. ეს ნორმა არ ეხება მეძავის როგორც ასეთის მომსახურებით სარგებლობას. ასეთი მომსახურებით სარგებლობა კონვენციის მე-19 მუხლში მოქცევა, თუ კონკრეტული მეძავის ექსპლუატაცია ხდება ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებით, ე.ი. როცა არსებობს ტრეფიკინგის დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები. ევროკონვენცია პროსტიტუციის ექსპლუატაციასა და სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს ეხება მხოლოდ ადამიანებით ვაჭრობის კონტექსტში.

ევროკონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით იმისათვის, რომ პირმა ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისათვის აგოს პასუხი,ამ მოქმედების განხორციელებისას ,,უნდა იცოდეს რომ ეს პირი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლია". ანუ მოსარგებლე უნდა აცნობიერებდეს,რომ მოცემული პირი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლია და არ შეიძლება დაისაჯოს, თუ ეს მისთვის ცნობილი არ იყო. ამის დამტკიცება სამართალდამცავი ორგანოებისათვის არცთუ იოლი ამოცანა იქნება. ანალოგიური სიძნელე წარმოიშობა, მაგალითად, 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამტკიცების დროს (საქართველოს სსკ მ. 140). როგორ დავადგინოთ,

რომ მსხვერპლი 16 წელს მიუღწეველია? მსხვერპლის გარეგნობით, მისი ემოციით და სხვა ვითარებით, რაც გვეხმარება ამის გარკვევაში.

ამავე კრიტერიუმებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დამნაშავემ გააცნობიერა მსხვერპლის სტატუსი როცა მისი მომსახურებით სარგებლობდა. მაგალითად, მასთან მიიყვანეს გაკოჭილი მეძავი, ან იგი ტიროდა, ან იყო ნაცემი და გაფითრებული, ხმას ვერ იღებდა და სხვა. დასავლეთ ევროპაში ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მეძავების კლიენტების 22% ზე მეტი მსხვერპლის იდენტიფიკაციას ახდენენ. ცნობილია მათი მხრიდან მსხვერპლის დახმარების შემთხვევებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკონვენციის მე-19 მუხლი არა სავალდებულო, არამედ სარეკომენდაციო ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა ქვეყანამ გააცნობიერა რა მე-19 მუხლით გათვალისწინებული რეკომენდაციის ღირებულება და მნიშვნელობა. მისი იმპლიმენტაცია მოახდინა ეროვნულ კანონმდებლობაში. მაგალითად, შვეციამ მე-19 მუხლის საფუძველზე პასუხისმგებლობა შემოიღო ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისათვის. ეს ვალდებულება კონვენციის სხვა ხელმომწერმა (მონაწილე) ქვეყნებმაც აიღეს. მათ რიგში საქართველოც აღმოჩნდა.

საქართველოს კანონმდებლობით, ზოგადად, კლიენტების პასუხისმგებლობა პროსტიტუციისათვის დადგენილი არ არის. ცხადია, მით უფრო დასჯადი არაა პროსტიტუცია ბავშვების მხრიდან, მაგრამ 2007 წლის 8 მაისს შემოღებული იქნა პასუხისმგებლობა ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისათვის, ე.ი. წინასწარი შეცნობით სსკ 143^{1} და 143^{2} მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობისათვის, რომელიც ამავე კოდექსის 143^{1} მუხლის თანახმად წარმოადგენს ექსპლუატაციას.

ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლი არის პირი, რომელსაც ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგით) დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, ხოლო დაზარალებული არის პირი, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^{1} ანდა 143^{2} მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ცნობილია დაზარალებულად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ამ დანაშაულისაგან სს დაცვის ობიექტია იმ ადამიანთა პირადი უფლებები (პატივი და ღირსება), რომლებიც ცნობილი არიან სსკ 143^{1} და 143^{2} მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლად ან

დაზარალებულად. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხს წყვეტს საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2006 წ. 28 აპრილი). ამ კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი ქმნის ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს (III თავის, 3-9 მ). ამ საბჭოსთან არსებული მუდმივმოქმედი ჯგუფი წყვეტს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხს, პირის მიერ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებისათვის (თავშესაფრისათვის) ან შესაბამისი დაწესებულებისათვის მიმართვიდან არა უგვიანეს 48 საათისა (თავი IV, 11-ე მუხ.)

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომლის მიზანია ამ დანაშაულის მსხვერპლთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა სახის მომსახურება. ეს დაწესებულება იქმნება სპეციალური სახელმწიფო ფონდიდან, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტრუქტურული ერთეული. თუმცა ასევე ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირსაც შეუძლია კანონით განსაზღვრული ფორმით შექმნას კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი — თავშესაფარი.

დღეისათვის ასეთი თავშესაფარი საქართველოში უკვე არსებობს ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში.

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში პირს უფლება ეძლევა მიმართოს თავშესაფარს და ისარგებლოს ხსენებული კანონით გათვალისწინებული უფლებებით.

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის სტატუსის მოპოვებით პირს არ აღმოუცენდება სსსკ მინიჭებული უფლება-მოვალეობები.

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლს ამ კანონით უფლება აქვს ისარგებლოს მოსაფიქრებელი ვადით არა ნაკლებ 30 დღისა (შეიძლება მეტი ვადაც დადგინდეს), რათა მიიღოს გადაწყვეტილება, სურს თუ არა ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან შესაბამის დანაშაულზე სს პროცესის განხორციელებაში. მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში იგი თავისუფლდება სსკ 371-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან (ჩვენების მიცემაზე უარის თქმა).

ამდენად, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის სტატუსის მოპოვების შემდეგ იცხოვრებს თუ არა ეს პირი თავშესაფარში, ამის გადაწყვეტა მისი უფლებაა, მაგრამ თუკი იგი ისარგებლებს ამ უფლებით, თავშესაფარში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი პირადი უსაფრთხოების დაცვა და კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებების განხორციელება.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ამ პირის ისეთ მომსახურებით სარგებლობაში, რომელიც 143[1] მუხლის თანახმად წარმოადგენს ექსპლუატაციას.

რას ნიშნავს „მომსახურებით სარგებლობა, რომელიც წარმოადგენს ექსპლუატაციას"? აქ არ უნდა ვიგულისხმოთ ყოველი ის ქმედება, რაც სსკ 143[1] მუხლს შენიშვნის თანახმად მიჩნეულია ადამიანის ექსპლუატაციად, არამედ მხოლოდ ის ქმედებები, რაც მიჩნეულია მომსახურების გაწევად. კერძოდ, ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების (პირადი მასაჟისტი, შინამოსამსახურე და სხვა) გაწევის მიზნით.

აქედან გამომდინარე, თუ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირს სხვაგვარ ექსპლუატაციაში ჩააბამენ (მაგალითად ჩააყენებენ მონობის თანამედროვე პირობებში ან მონობის მსგავს პირობებში, ან აიძულებენ ორგანოს ან ქსოვილის გადანერგვას), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა 143[3] მუხლით, არამედ 143[1] ან 143[2] მუხლებით.

განსახილველი დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი ისარგებლებს მსხვერპლის ან დაზარალებულის ასეთი მომსახურებით,. ამასთან თუ ეს დაზარალებული ან მსხვერპლი იმყოფება თავშესაფარში და თავშესაფრის თანამშრომლების მიერ (ან იმის მიერ, ვინც აკონტროლებს ამ დაწესებულებას) იქ ხდება მისი ექსპლუატაცია, ქმედება დაკვალიფიცირდება 143[3] მ. II ნაწილის „დ" ქვეპუნქტით – იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამ დანაშაულის მე-4 ნაწილში 143[1] და 143[2] მუხლისაგან განსხვავებით დამამძიმებელ გარემოებად არაა გათვალისწინებული იმავე ქმედება, რამაც დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ასეთი შედეგის დადგომა არაა ტიპური შემთხვევა იმ ქმედებებისათვის, რაც გათვალისწინებულია 143[3] მუხლით. თუ ასეთი შედეგი მაინც დადგა, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით – 143[3] მუხლით და გაუ-

ფრთხილებელი დანაშაულის შესაბამისი მუხლით (მაგალითად, 116-ე მუხ.)

დანაშაულის ამსრულებელია სს პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული, შერაცხადი პირი ე.წ. „კლიენტი“ (I ნაწ.) ხოლო სპეციალური ამსრულებელი – 143[3] II ნაწ. „დ“ ქვეპუნქტით.

დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. კერძოდ პირს გაცნობიერებული აქვს ის, რომ ექსპლუატაციას უწევს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლს ან დაზარალებულად ცნობილ პირს.

მძევლად ხელში ჩაგდება (სსკ 144-ე მუხლი)

მძევლად ხელში ჩაგდება საერთაშორისო ტერორისტული დანაშაულების ერთ-ერთი ნაირსახეობაა. მას აწესრიგებს საერთაშორისო კონვენცია „მძევლების აყვანის შესახებ“. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით მძევლად ხელში ჩაგდება ორ მუხლადაა გათიშული იმის მიხედვით, თუ ვინაა დანაშაულის ადრესატი.[1]

მძევლად ხელში ჩაგდება განსაკუთრებით გახშირდა ბოლო ათწლეულში, რის მიზეზადაც უნდა ჩაითვალოს როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკური, ისე საერთაშორისო ურთიერთობების დაძაბვა (ქვეყნის შიგნით ომები, ასევე სამხედრო კონფლიქტები სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის და ა.შ.).

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის პირადი თავისუფლება და უშიშროება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციითა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით. ამ დანაშაულისგან სს დაცვის ობიექტთა ასევე მე-3 პირთა (ორგანიზაციები და ფიზიკური პირები) თავისუფლება და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლება. გარდა ამისა, მძევლად ხელში ჩაგდებამ შეიძლება გამოიწვიოს ცალკეულ ორგანიზაციათა ნორმალური მუშაობის ჩაშლა ან დროებით შეფერხება, ფაკულტატურ ობიექტს კი წარმოადგენს ადამიანის ღირსება, სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ადამიანის

---

1 საქართველოს სს კოდექსით მძევლად ხელში ჩაგდება გათვალისწინებულია როგორც 144-ე, ისე 329-ე მუხლებით, რაც არ უნდა ჩაითვალოს გამართლებულად. ამ საკითხზე იხ. მუხ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, დანაშაული სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ, 2002, გვ. 92-96.

მძევლად ხელში ჩაგდებასთან ბრძოლას ეძღვნება გაეროს 1979 წლის 18 დეკემბრის შესაბამისი კონვენცია.

მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად ასაკისა თუ სხვაგვარი მონაცემებისა. სსკ 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ და „თ“ პუნქტებით გათვალისწინებულია მსხვერპლის სახით ორსული ქალი, არასრულწლოვანი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი და ა.შ.

ობიექტური მხრივ მძევლად ხელში ჩაგდება ხორციელდება ადამიანის თავისუფლების მართლსაწინააღმდეგო შეზღუდვით. იგი შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობით, რომელიც არაა საშიში სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის (144-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ანდა რომელიც საშიშია სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის (ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ პუნქტი), იშვიათად, მაგრამ შესაძლებელია, მძევლად ხელში ჩაგდება განხორციელდეს ძალადობის ან მუქარის გარეშეც. მაგალითად, პირის გამოკეტვა რომელიმე შენობაში, სადაც იგი თავისი ნებით მივიდა. მძევლად ხელში ჩაგდება შეიძლება მოხდეს ფარულად ან აშკარად (სხვების თანდასწრებით). მძევლად ხელში ჩაგდებულს შეზღუდული აქვს გარე სამყაროსთან კონტაქტი და წართმეული აქვს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა. თანაც, განსხვავებით თავისუფლების უკანონო აღკვეთისაგან (სსკ 143-ე მუხლი), მძევლის გათავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, შეასრულებენ თუ არა მე-3 პირები დამნაშავის მოთხოვნას. მე-3 პირები კი შეიძლება იყვნენ ფიზიკური პირები ან ორგანიზაცია. ფიზიკური პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხოელი, ხოლო ორგანიზაციაში იგულისხმება კერძო სამართლის ორგანიზაციები. აქ არ შედიან საერთაშორისო ან რელიგიური ორგანიზაციები, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები), რადგანაც მათზე ულტიმატუმის წაყენების შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება არა სსკ 144-ე, არამედ 329-ე მუხლით.

მძევლად ხელში ჩაგდება არის ფორმალური დანაშაული. იგი იწყება ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდების მომენტიდან და შემდეგ უწყვეტად მიედინება ამასთანავე მნიშვნელობა არა აქვს მძიმე შედეგის დადგომას; არც იმას აქვს მნიშვნელობა მოასწრებს თუ არა დამნაშავე მე-3 პირებზე ულტიმატუმის წაყენებას. („მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ

აიძულონ ორგანიზაცია ან პირი...“). ამგვარი ულტიმატუმის წაყენების ფაქტი სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მხოლოდ სასჯელის განსაზღვრისათვის. აქ, კანონმდებელი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ადამიანია მძევლად ხელში ჩაგდებული და მე-2 ხარისხოვნად მიიჩნევს ფიზიკურ პირებზე თუ ორგანიზაციაზე მოთხოვნის (ულტიმატუმის) წაყენებას. აქედან გამომდინარე, მძევლად ხელში ჩაგდება თავისთავში მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა გამოძალვა და იძულება. ამდენად, როცა დამნაშავე მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ მოითხოვს მასზე თანხის გადაცემას, ან გარკვეული ქმედების შესრულებას, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ 144-ე მუხლით, დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია საჭირო არ არის. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს დამნაშავე თვითონ წაუყენებს ულტიმატუმს მესამე პირს, თუ თავად დაზარალებულს აიძულებს ამის გაკეთებას. სწორედ ამიტომაა, რომ სსკ 144-ე მუხლის სანქცია ორჯერ და მეტად მკაცრია (თ.ა. შვიდიდან ათ წლამდე), ვიდრე თავისუფლების უკანონო აღკვეთისა (თ.ა. ორიდან ოთხ წლმდე). წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს მოკლებულად უნდა ჩაითვალოს ეგზომ მკაცრი სანქცია თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან შედარებით. ამდენად მძევლად ხელში ჩაგდება გულისხმობს სამმხრივ ურთიერთობას: დამნაშავე, მძევალი, მესამე პირი, თავისუფლების უკანონო აღკვეთა კი – ორმხრივ ურთიერთობას: დამნაშავე, მსხვერპლი.

თუკი დამნაშავე, გარკვეული ქმედების განხორციელებას მოითხოვს არა მესამე პირისგან, არამედ თავად მსხვერპლისგან, ქმედება კვალიფიცირდება 143-ე მუხლით.

დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს დროს, რომლის განმავლობაშიც პირი მძევლადაა ხელში ჩაგდებული. დროის ხანგრძლივობა (7 დღეზე მეტი ხნით) ითვლება ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად.

მძევლად ხელში ჩაგდება დენადი დანაშაულია. იგი იწყება პირის მძევლად ხელში ჩაგდების მომენტიდან და შემდეგ უწყვეტლივ მიედინება მანამ, სანამ მძევალს თვით დამნაშავე ან სხვა პირები არ გაათავისუფლებენ.[1] ამდენად, ამ დანაშაულის მსხვერპლი არის მძევალი (და არა თავისუფლება უკანონოდ აღკვეთილი) მანამ სანამ არ მოხდება მისი გათა-

1 იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს.

ვისუფლება. ვინაიდან ეს დანაშაული დენადია, მისი დაწყებიდან (მძევლის ხელში ჩაგდებიდან) ქმედების შეწყვეტამდე, შესაძლებელია როგორც მასში თანაამსრულებლობა, ისე თანამონაწილეობა (მაგალითად, დახმარება).

მაგალითად,ბ მ მძევლად ხელში ჩაიგდო ტ-ი,რათა მისი მშობლისათვის, რომელიც ცხოვრობდა რუსეთში, გამოეძალა ფული. ამ მიზნით ბ. დაუკავშირდა რუსეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს ჩ-ს, აუხსნა საქმის არსი, სთხოვა მისულიყო ტ-ს მამასთან და მოეთხოვა მისთვის ფული შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ.

ჩ-ი მივიდა ტ-ს მამასთან, აუწყა, რომ მისი შვილი მძევლად იყო აყვანილი და გათავისუფლებისათვის საჭირო იყო 100 000 აშშ დოლარი, თანაც მეტი დამაჯერებლობისათვის მშობლები ტელეფონით დააკავშირა თავის შვილს, ტ-ს, რომელმაც დაუდასტურა, რომ იგი მართლაც მძევლად ჰყავდათ აყვანილი და ითხოვდნენ გამოსასყიდს.

მოცემულ კაზუსში მძევლად ხელში ჩაგდება დაიწყო იმ მომენტიდან, როცა ბ-მ ხელთ იგდო ტ-ი ფულის გამოძალვის მიზნით. ამ მომენტიდან ეს დანაშაული უწყვეტლივ მიედინება, სანამ ტ-ი არ იქნება გათავისუფლებული, ამიტომ ჩ-ის ქმედებაც, რომელიც მოგვიანებით ჩაერთო საქმეში დაკვალიფიცირდება სსკ 144-ე მუხლის II ნაწილით (ანგარებით), როგორც ამსრულებელი, რადგან მან უშუალოდ მონაწილეობა მიიღო მესამე პირისათვის (მძევლის მამა) თანხის გამოძალვაში („აიძულონ პირი შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება“).

როგორც უკვე აღინიშნა,გამოძალვა არაა აუცილებელი 144-ე მუხლის დამთავრებულად ცნობისათვის, მაგრამ ეს ქმედება იგულისხმება მასში და დამატებითი კვალიფიკაცია არაა საჭირო.

განსახილველი დანაშაულის ამსრულებელია ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი.

სუბიექტური მხრივ მძევლად ხელში ჩაგდება განზრახი დანაშაულია. კერძოდ, მისი ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით. გამორიცხულია ამ დანაშაულის არაპირდაპირი განზრახვით ჩადენა. ეს იმიტომ, რომ მძევლად ხელში ჩაგდება არის ფორმალური დანაშაული და, ამასთანავე, მისი ჩადენა ხდება სპეციალური მიზნით. ხოლო, როცა ფორმალურ დანაშაულს თან ახლავს რაიმე კონკრეტული მიზანი, იგი აუცილებლად პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი.

მძევლად ხელში ჩაგდების სუბიექტური მხარისათვის, გარდა პირდა-

პირი განზრახვისა, დამახასიათებელია კონკრეტული მიზანი, რომელი მიზნის გარეშეც ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება ამ მუხლით. კერძოდ, მძევლად ხელში პირის ჩაგდება ხდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. დანაშაულის დამთავრებისათვის არ აქვს მნიშვნელობა მოასწრებს თუ არა დამნაშავე მესამე პირებზე ულტიმატუმის წარდგენას, თუმცა ამ ქმედების ჩადენას აქვს მტკიცების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა. მაგალითად, დამნაშავემ ადამიანი აიყვანა მძევლად და მისი ოჯახის წევრებისაგან მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ მოითხოვს გარკვეულ თანხას (ანგარებით), ანდა მძევლის ახლო ნათესავისაგან მოითხოვს, არ შეიტანოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოში საჩივარი მ[illegible] წინააღმდეგ მის მიერ ადრე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედები' გამო. სწორედ ამ მიზნით განსხვავდება იგი თავისუფლების უკანონი აღკვეთისაგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა დამნაშავე თავისუფლებას აღუკვეთს პირს მე-3 პირზე ზემოქმედების მიზნით, სახეზეა მძევლად ხელში ჩაგდება, ხოლო, როცა ასეთი მიზანი დამნაშავეს არ ამოძრავებს, სახეზეა თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143-ე მუხლი). სწორედ ამიტომ თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ჩადენისას დამნაშავე ცდილობს დამალოს მის მიერ ჩადენილი ქმედება. მძევლად ხელში ჩაგდების დროს კი დამნაშავეს სააშკარაოზე გამოაქვს მის მიერ ჩადენილი ქმედება, წაუყენებს რა ულტიმატუმს მე-3 პირებს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად აცხადებს თავის ვინაობას. იგი მხოლოდ მის მიერ ჩადენილ ქმედებას (ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდებას) აშკარავებს, თვითონ კი შეიძლება ეცადოს დამალოს ვინაობა (დარჩეს ინკოგნიტო), რათა მომავალში არ იქნეს მიცემული პასუხისგებაში.

ამდენად, მძევლის ხელში ჩაგდება დამნაშავისათვის არის რაიმე მიზნის მიღწევის საშუალება. თვით მძევლის მიმართ მას, როგორც წესი, პრეტენზია არ გააჩნია. სსკ 144-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებებიდან, შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთზე.

მძევლად ხელში ჩაგდებას ანგარებით მაშინ აქვს ადგილი, როცა პირი ამ დანაშაულის ჩადენით ცდილობს მიიღოს მატერიალური სარგებელი, თავი გაითავისუფლოს მატერიალური ვალდებულებისაგან, ანდა

სჩადის მას შეკვეთით. მაგალითად, დამნაშავე მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ ითხოვს ფულს, ანდა ითხოვს მძევლის ოჯახის წევრისაგან, გაანადგუროს ის ხელშეკრულება, რომლითაც მას ნაკისრი აქვს ფულადი ვალდებულება და ა.შ.

მძევლად ხელში ჩაგდება უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო-სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებულის მიმართ არ უნდა ჩაითვალოს ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ტიპურ შემთხვევად, ვინაიდან სსკ 144-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ადრესატი არაა სახელმწიფო ხელისუფლება, საერთაშორისო ან რელიგიური ორგანიზაციები. ამდენად, სსკ 144-ე მუხლში ამ დამამძიმებელ გარემოების გათვალისწინება არ უნდა ჩაითვალოს გამართლებულად. მიუხედავად ამისა, აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა დამნაშავე მძევლად აყვანილი უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო დაცვას დაქვემდებარებული პირის გათავისუფლების სანაცვლოდ მისი ახლობლისაგან მოითხოვს რაიმე ქმედების შესრულებას (მაგალითად, გამოსასყიდი თანხის გადახდას). ამდენად, ულტიმატუმის ადრესატი არის კერძო პირი და არა სსკ 329-ე მუხლში ჩამოთვლილი ორგანოები და ორგანიზაციები.

წამება (მუხლი 144[1])

განსახილველი ნორმა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სიახლეა (ნოვაციაა). ბოლო დრომდე (2005 წ. 23 ივნისამდე) წამებად ითვლებოდა სსკ 126-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება. საქართველოს **კონსტიტუციის** მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად **დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. წამება იკრძალება საერთაშორისო ნორმებით:** 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (მუხ. 5), ჟენევის 1949 წლის ოთხი კონვენციით, 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით (მუხ. მე-7), **გაეროს 1984 წლის კონვენციით წამებისა და სხვა სახის სასტიკი,** არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ, **1987 წლის ევროპული კონვენციით (მე-3 მუხ.), 1998 წლის საერთაშორისო სისხლის სამართლის რომის სტატუტით.**

ზემოხსენებულ ნორმათა მოთხოვნიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებელმა სს კოდექსში შემოიღო სამი ახალი მუხლი (144[1], 144[2] და 144[3] მუხლები).

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის დაცვა წამებისაგან – **პირის აბსოლუტური უფლებაა** და მისი გამართლება არ შეიძლება რაიმე საზოგადოებრივი აუცილებლობით ან სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის. თუმცა **წამებად არ ჩაითვლება ქმედება, როცა ის მიმართულია თავად ამ პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად**. მაგალითად, პირს უკეთებენ სასწრაფო ოპერაციას გაუტკივარების (ნარკოზის) გარეშე.

წამებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის **ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური თვალსაზრისით**, ასევე ადამიანის ნორმალური (გაწონასწორებული) ფსიქიკური მდგომარეობა. **დანაშაულის დამატებით ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის პირად, ოჯახურ თუ სხვაგვარი საიდუმლოების (ინფორმაციის) დაცვასთან, წამების დამატებითი ობიექტია ასევე ადამიანთა თანასწორუფლებიანობა** რასის, ეროვნების თუ სხვა ნიშნის მიხედვით.

წამების ობიექტური მხარე გამოიხატება ქმედებაში (მოქმედებასა ან უმოქმედობაში), შედეგში (ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ფსიქიკური ან მორალური ტანჯვა) და მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და შედეგს შორის. ამდენად, **სახეზეა მატერიალური დანაშაული**.

განსახილველი დანაშაულის ქმედება მეტად ბუნდოვანი სიტყვებითაა აღწერილი 144[1] მუხლის დისპოზიციაში. ესაა: „ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსიობით ან ხანგრძლივობით იწვევს...“. ამდენად, **ობიექტურ მხარეში ქმედების სახით გამოყოფილია „პირობების შექმნა“ ან „მოპყრობა“**. როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა წამების ობიექტური მხარის განსაზღვრისას გამოიყენა ე.წ. **კაუჩუკის პრინციპი, რადგანაც „პირობების შექმნასა“ და „მოპყრობაში“ კონკრეტული ქმედება არაა გამოკვეთილი და სასამართლოს სუბიექტივიზმს ფართო გასაქანს აძლევს**. ეს ქმედებანი (პირობების შექმნა ან მოპყრობა) შეიძლება მიმართული იყოს პირისაკენ, კერძოდ, ფიზიკური პირისაკენ ან მისი ახლო ნათესავისაკენ. ასევე შეიძლება მიმართული იყოს ამ პირზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისაკენ. ამდენად, **წამების მსხვერპლი შეიძლება იყოს როგორც ის პირი, ვისგანაც დამნაშავე ცდილობს ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღებას, ასევე მისი ნათესავი ან**

მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირი.

მაინც როგორ უნდა გაიგოთ „ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა“, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან? **პირობების შექმნა ნიშნავს პირისათვის ადამიანური ცხოვრების პირობების მოსპობას.** მაგალითად, მისთვის ისეთი საცხოვრებელი პირობის შექმნას, როცა მას არა აქვს საშუალება დაიძინოს, იკვებოს ნორმალურად, დაიცვას ელემენტარული პირადი ჰიგიენა. მაგალითად, პირის მოთავსება ბნელ, კეთილმოუწყობელ ოთახში, სადაც გამუდმებული ხმაურია, არ არსებობს „სველი წერტილები“, საკვებად კი არასრულფასოვანი საკვების მიცემა ისიც მცირე დოზით და ა.შ. ხოლო **მოპყრობა** კი გულისხმობს უფრო აქტიურ და აგრესიულ ქმედებას. მაგალითად, ცემა, სხვადასხვა ძალადობა, პირის იძულება საათობით იდგეს ფეხის წვერზე ხელებაწეული, მუხლით დაიჩოქოს კენჭებზე და ა.შ. თავად ეს ქმედებანი (პირობების შექმნა ან მოპყრობა) წამების ობიექტურ მხარეს მხოლოდ მაშინ მოგვცემს, თუ იგი გამოირჩევა განსაკუთრებული ხასიათით, ან ინტენსივობით ანდა ხანგრძლივობით და სწორედ ამგვარი თვისების გამო იწვევს მძიმე შედეგს (ძლიერი ფიზიკური ტკივილი ან ფსიქიკური ან მორალური ტანჯვა). თუ ქმედება არ გამოირჩევა არც თავისი ხასიათით, არც ინტენსივობით და არც ხანგრძლივობით, იგი წამების ობიექტურ მხარეს ვერ მოგვცემს თუნდაც კონკრეტულ შემთხვევაში, პირის განსაკუთრებული ფსიქიკური მგრძნობელობის გამო გამოიწვიოს მძიმე შედეგი (ვთქვათ, ფსიქიკური ტანჯვა).

რა იგულისხმება ქმედების ხასიათში, ინტენსივობასა და ხანგრძლივობაში?

ქმედების ხასიათში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა ეს ქმედება **ერთჯერადად** ჩადენის შემთხვევაშიც, როგორც წესი, იწვევს 144[1] მუხლში მითითებული შედეგებიდან ერთ-ერთს. **მაგალითად, ხელის ან ფეხის ფრჩხილის ამოძრობა,** ან ცხელი ორთქლის დიდი ნაკადის მიფრქვევა სახეზე, ოთახში მოთავსება, სადაც ადამიანის გვამები იმყოფება, ანდა ცეცხლში ჩაგდების, მაღალი სართულის ფანჯრიდან გადმოგდებას იმიტაცია (დამნაშავემ ადამიანი მიათრია გამოღებულ ფანჯარასთან და ძალის გამოყენებით უქმნის შთაბეჭდილებას, რომ სადაცაა გადააგდებს მას). ეს ქმედებები შეიძლება არ გამოირჩეოდეს დიდი ინტენსივობით ან ხანგრძლივობით, მაგრამ ისეთი ხასიათისაა, რომ დაზარალებულში შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი ფიზიკური ტკივილი ან ფსიქიკური ტანჯვა, ე.ი. შიშით მიღე-

ბულმა ფსიქიკურმა ტკივილმა დიდი ხანი შეაწუხოს პირი.

ქმედების ინტენსივობაში იგულისხმება ძალადობის ხარისხი და მისი უწყვეტობა. მაგალითად, პირის დიდი ხნით თავდაყირა დაკიდება, სისტემატური ცემა ანდა ხანგრძლივი ცემა ისეთი ძალით და ისეთ ორგანოებში, რომელიც ამ ძალადობის შეწყვეტის შემდეგაც ხანგრძლივ ფიზიკურ ტკივილს ტოვებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ **პრაქტიკულად ძალზე ძნელია ისეთი ობიექტური კრიტერიუმის მოძებნა, რომელიც ერთმანეთისაგან გამიჯნავს ქმედების ხასიათსა და მის ინტენსივობას.**

რაც შეეხება **ქმედების ხანგრძლივობას,** აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა თავად **ქმედება ცალკე აღებული არც ხასიათითაა გამორჩეული და არც ინტენსივობით, მაგრამ იგი გრძელდება იმდენად ხანგრძლივად, რომ იწვევს განსახილველ ნორმაში მითითებულ რომელიმე შედეგს. მაგალითად, პირს რამდენიმე დღის განმავლობაში აიძულებენ იდგეს ცალ ფეხზე ან იყოს დაჩოქილი ანდა ხელებაწეული, რაც იწვევს მის მორალურ ტანჯვას.**

წამება მატერიალური დანაშაულია. მას შედეგად უნდა მოჰყვეს ნორმაში მითითებული ერთ-ერთი შედეგი. ერთ-ერთი მათგანია **ძლიერი ფიზიკური ტკივილი.** თუ შევადარებთ ამ შედეგს სსკ 125-ე და 126-ე მუხლებით გათვალისწინებულ შედეგებს, ბუნებრივად დაიბადება კითხვა: რით განსხვავდება ძლიერი ფიზიკური ტკივილი ფიზიკური ტკივილისაგან (125-ე მუხ.) და ფიზიკური ტანჯვისაგან (126-ე მუხ.)? ფიზიკური ტანჯვა ნიშნავს ხანგრძლივი ფიზიკური ტკივილით გამოწვეულ წუხილს. მაგრამ როგორ განასხვავოს სასამართლომ ერთმანეთისაგან ტკივილი და ძლიერი ტკივილი? აქ ძნელია რაიმე ობიექტური კრიტერიუმის გამოძებნა, მაგრამ ვფიქრობთ, ეს მაინც შესაძლებელია. ძლიერ ფიზიკურ ტკივილად უნდა ჩაითვალოს ისეთი ტკივილი, როცა აუცილებელი გახდება ტკივილგამაყუჩებელი წამლის გამოყენება, ვინაიდან ასეთი წამლის მიუცემლობა მოცემულ შემთხვევაში საფრთხეს შეუქმნის ავადმყოფის ჯანმრთელობას (შოკური მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად).

წამების ერთ-ერთი შედეგია ასევე **ფსიქიკური ან მორალური ტანჯვა,** როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა ამ მუხლში შემოიღო ტანჯვის ახალი სახე – მორალური ტანჯვა. რით განსხვავდება ფსიქიკური და მორალური ტანჯვა? აქაც მათი მკვეთრი გამიჯვნა ძალზე ძნელია. ამის მიუხედავად, **ფსიქიკურ ტანჯვად უნდა ჩაითვალოს ისეთი ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის ნერვული სისტემის ისეთ მოშლას, რომ იგი ხანგრძლივი დროის გან-**

მავლობაში კარგავს სულიერ სიმშვიდეს და ამდენად, იწვევს სულიერ განცდას – წვალებას. მაგალითად, სისტემატური ძალადობის შედეგად პირს ნერვული ავადმყოფობა (ნერვოზი) ემართება.

რაც შეეხება მორალურ ტანჯვას, იგი არაა დაკავშირებული ნერვული სისტემის დაზიანებასთან, მაგრამ ადამიანში იწვევს ღირსების დაქვეითებას (საკუთარი თავის უპატივცემულობის გრძნობას) და არასრულფასოვნების კომპლექსს.

წამების I ნაწილის ამსრულებელია ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი, ე.ი. აქ სახეზეა საერთო სუბიექტი.

სუბიექტური მხრივ წამება განზრახი დანაშაულია. თუ პირის ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია 144[1] მუხლში მითითებული შედეგი, 144[1] მუხლით პასუხისმგებლობა გამორიცხულია.

მართალია, წამებისათვის აუცილებელია სპეციალური მიზნის არსებობა, ეს ნიშნავს იმას, რომ წამება შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

წამების სუბიექტური შემადგენლობისათვის, გარდა განზრახვისა, აუცილებელია **სპეციალური მიზნის არსებობა**. ეს მიზანია: **ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის**. მიაღწევს თუ არა ამ მიზანს, ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ამდენად, დამნაშავის მიზანი შეიძლება იყოს რაიმე **ინფორმაციის (მაგალითად, სად იმალება ესა თუ ის პირი), მტკიცებულების (მაგალითად, მკვლელობის იარაღის – სისხლიანი დანის) ან აღიარების (მაგალითად, ნაწამებმა პირმა აღიაროს, რომ ნამდვილად მან ჩაიდინა რაღაც ქმედება) მიღება**. ეს ქმედება უნდა განვასხვავოთ სსკ 335-ე მუხლისაგან, სადაც მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი ადამიანს აიძულებს მისცეს განმარტება ან ჩვენება, ხოლო ექსპერტს /მისცეს დასკვნა. 144[1] მუხლის I ნაწილის სუბიექტია საერთო **სუბიექტი და არა სპეციალური. მაგალითად, პირი აწამებს ადამიანს იმ მიზნით, რომ მან აღიაროს მისი შვილის მკვლელობა.**

დამნაშავის მიზანი შეიძლება იყოს პირის დაშინება, რომ მომავალში დაზარალებული უსიტყვოდ დამორჩილდეს დამნაშავეს, არ გაუბედოს ურჩობა. აქ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სსკ 151-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა მუქარისათვის, რაც წარმოადგენს მუქარის ზოგად

ნორმას. როგორ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ეს ორი მუხლი? 151-ე მუხლში ქმედება უფრო ნათელი და კონკრეტიზებულია (სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა), ე.ი. მუქარის ჩადენა ხდება მხოლოდ დაშინებით და არა რაიმე აგრესიული ქმედებით, რასაც ვერ ვიტყვით 144[1] მუხლის ობიექტურ მხარეზე. სამაგიეროდ, 144[1] მუხლში დამნაშავის მიზანია დაკონკრეტებული, ხოლო 151-ე მუხლში მიზანს მნიშვნელობა არა აქვს კვალიფიკაციისათვის. გარდა ამისა, 144[1] მუხლში ქმედებამ უნდა გამოიწვიოს მძიმე შედეგები, ხოლო 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედეგია ის, რომ დაზარალებულს შიში გაუჩნდება. აქედან გამომდინარე, ამ ორ ნორმას შორის განსხვავება ისაა, რომ: წამების ობიექტური მხარე უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე მუქარისა; წამებას სპეციალური მიზანი ახასიათებს; წამებას შედეგად უნდა მოჰყვეს სხვადასხვა მძიმე შედეგი. თუ აქედან ერთ-ერთი ნიშანი არაა სახეზე, ქმედება არ ჩაითვლება წამებად. იგი დაკვალიფიცირდება საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, ცემად (125 მ.) ან ძალადობად – (126-ე მ.) ან მუქარად (151-ე მ.).

წამებისას დამნაშავის მიზანი შეიძლება იყოს პირის იძულება. კერძოდ, დაზარალებულის იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე ქმედება. საქართველოს სს კოდექსში ჩვენ გვაქვს იძულების როგორც ზოგადი (150-ე მ.) ისე სპეციალური ნორმები (115-ე, 134-ე, 137-ე, 138-ე, 139-ე, 143-ე, 154-ე, 253-ე, 272-ე და სხვა). ამდენად, სასამართლოები დგებიან სირთულის წინაშე – ერთმანეთისაგან განასხვავონ წამება იძულების ზოგადი ნორმისაგან (150-ე მ.) და იძულების სპეციალური ნორმებისაგან.

წამება, როცა დამნაშავის მიზანია პირის იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე ქმედება, იმით განსხვავდება 150-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისაგან, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ დგება შედეგად ძლიერი ფიზიკური ტკივილი ან მორალური თუ ფსიქიკური ტანჯვა.

წამების დროს დამნაშავის მიზანი ასევე შეიძლება იყოს პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, ეს კი ფაქტობრივად შურისძიებისა და ეჭვიანობის მოტივია. მესამე პირი შეიძლება იყოს დაზარალებულის შვილი ან მეუღლე თუ ახლობელი. მაგალითად, დედას აწამებენ შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, რადგან თავად შვილი იმალება და მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

წამება უნდა განვასხვავოთ ძალადობისაგან (126-ე მუხ.): 1. წამების

ჩასადენად საჭირო არაა ქმედების სისტემატურად განხორციელება, ხოლო ძალადობის ჩასადენად, როგორც წესი, ხდება სისტემატური ძალმომრეობითი ქმედებით; 2. ქმედების წამებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია სპეციალური მიზნის არსებობა (ინფორმაციის მიღება და ა.შ.), ხოლო ძალადობის დროს პირს ასეთი მიზანი არა აქვს. ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც წესი სიძულვილის მოტივით ან ხულიგნური ქცენაგრძნობით. 3. წამების დროს შეიძლება დადგეს როგორც ფსიქიკური, ისე მორალური ტანჯვა, ხოლო ძალადობის დროს მორალური ტანჯვა არაა გათვალისწინებული. 4. წამებას უნდა მოჰყვეს ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ხოლო ძალადობას – ფიზიკური ტანჯვა. 5. ძალადობას შედეგად შეიძლება მოჰყვეს ჯანმრთელობის მხოლოდ მსუბუქი დაზიანება, მაგრამ არ უნდა მოჰყვეს ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. წამების ნორმაში კი ასეთი დათქმა არ არსებობს, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მასში მოვიაზროთ ისეთი შედეგი, როგორიცაა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, რადგანაც 118-ე მუხლის თუნდაც, მე-4 ნაწილის სანქცია გაცილებით მსუბუქია 144[1] მუხლის 1 ნაწილის სანქციასთან შედარებით. გამოდის, რომ მთელ რიგ შემთხვევაში წამება შთანთქავს ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებასაც.

სსკ 144[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია ამ დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები. მათგან შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთზე. კერძოდ, „ა“ პუნქტით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა იგივე ქმედებისათვის, თუ ის ჩადენილია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ. ხოლო „ბ“ პუნქტით – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება უფრო ფართო ცნებაა და იგი თავის თავში მოიცავს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ცნებასაც. მაშ, რა საჭიროა „ა“ პუნქტის ცალკე გამოყოფა მუხლის ერთსა და იმავე ნაწილში (მე-2 ნაწილში), რაც ერთნაირ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს?

144[1] მუხ. მეორე ნაწილის „ა“ პუნქტი სირთულეს ქმნის ქმედების კვალიფიკაციისას. საქმე ისაა, რომ სსკ 335-ე მუხლი ითვალისწინებს **პასუხისმგებლობას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის იძულებისათვის განმარტების ან ჩვენების მისაცემად** ანდა ექსპერტისა – დასკვნის მისაცემად. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ამ ქმედების ჩადენისათვის სიცოცხლისა ან ჯანმრთე-

ლობისათვის საშიში ძალადობით ან ძალადობის მუქარით. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: როცა მოხელე წამებით აიძულებს პირს მისცეს ჩვენება, რომელი მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება – სსკ 144[1] მუხ. მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით თუ 335-ე მუხ. II ნაწილით, რომელიც გულისხმობს ამ ქმედების მსხვერპლის წამებასაც? სსკ 335-ე მუხლი II ნ. არის იძულების კერძო შემთხვევა, რადგანაც აქ დაკონკრეტებულია როგორც ქმედება, ასევე დამნაშავის მიზანიც გარდა ამისა, 335-ე მუხლის ძირითადი შემადგენლობა (I ნ.) ითვალისწინებს სპეციალურ ამსრულებელს და ამდენად, მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, ამდენად, 144[1] მუხლის შემოღებით კანონმდებელი აღმოჩნდა არცთუ სახარბიელო სიტუაციაში: ჩვენების, განმარტების ან დასკვნის მისაცემად გამოყენებული წამება ჩადენილი მოხელის მიერ უფრო მსუბუქად ისჯება, ვიდრე მოხელის მიერ ჩადენილი წამება რაიმე ინფორმაციის მისაღებად. (მაგალითად, სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირისაგან ინფორმაციის მისაღებად).

წამების ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა **წამება ჩადენილი ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, ალმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული,** ეთნიკური სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო („ე“ პუნქ.).

ამ დამამძიმებელი გარემოების არსიდან აშკარად ჩანს, რომ პირის წამებისათვის არაა საჭირო 144[1] მუხლში მითითებული რომელიმე მიზნის არსებობა, არამედ აქ ადამიანის წამება ხდება რასის, ეროვნების თუ სხვა ნიშნის გამო, ე.ი. სიძულვილის მოტივით. ამდენად, ამ ნაწილში სსკ 144[1] მუხლის I ნაწილის და II ნაწილის „ე“ პუნქტის სუბიექტური შემადგენლობა ერთმანეთს არ ემთხვევა.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა წამება დამნაშავისათვის **წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ანდა დამნაშავეზე** მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ (ჰ. „ზ“). როგორც ვხედავთ, ამ პუნქტში გათვალისწინებულია დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებააღკვეთილის წამება. ხოლო წამება გულისხმობს სპეციალური მიზნის არსებობას. მათ შორის მტკიცებულების ან აღიარების მიღებას. ამასთანავე, 144[1] მუხლის მე-2 ნაწილით დაწესებულია პასუხ-

ისმგებლობა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ისმის კითხვა: როცა მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი აწამებს დაკავებულს ვთქვათ, აღიარების მისაღებად, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება – სსკ 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით თუ 144[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ზ“ პუნქტებით? ამ შემთხვევაში რაიმე მყარი არგუმენტის მოძებნა ან ერთი ან მეორე ნორმის გამოყენების სასარგებლოდ ძნელია. ფაქტობრივად, აქ ადგილი აქვს კანონის კოლიზიას. მიუხედავად ამისა, ვინაიდან 335-ე მუხლის ამსრულებელი არის მოხელე, ხოლო წამების მუხლში მოხელე მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებაში გვხვდება, უპირატესობა მაინც 335-ე მუხლს უნდა მიენიჭოს. ამავე პუნქტით გათვალისწინებულია დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის წამება. იგი განსხვავდება 144[1] მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის წამებისაგან. კერძოდ, ამ მუხლის I ნაწილში დაზარალებული მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულია არა დამნაშავეზე (წამების სუბიექტზე), არამედ იმ პირზე, ვის შესახებაც დამნაშავეს სურს ინფორმაციის, მტკიცებულების თუ აღიარების მიღება.

ამ მუხლის მეორე ნაწილის „ი“ პუნქტით გათვალისწინებულია წამება მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით. წამება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მძევლად ხელში ჩაგდების დროსაც (როცა ადამიანის მოტაცებისას იყენებენ ისეთ ხერხს, რომ დანიშნულების ადგილას მიყვანამდე იგი განიცდის ძლიერ ფიზიკურ ტკივილს), ასევე მძევლად ხელში ჩაგდების შემდეგაც (პირს წამებით აიძულებენ დაარწმუნონ ოჯახის წევრები, რომ აუცილებელია ფულის გადახდა). ასევე წამება შეიძლება ჩადენილ იქნეს იმ პირთა მიმართაც, ვინც ხელს უშლის ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდებას ან ცდილობს მის გათავისუფლებას.

თუ შევადარებთ ამ პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას სსკ 144-ე მუხლით გათვალისწინებული მძევლად ხელში ჩაგდების შემადგენლობას, აშკარა ხდება, რომ განსახილველი დამამძიმებელი გარემოება სრულიად ზედმეტია. სსკ 144-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებები მოიცავენ მძევლის წამების ფაქტსაც. მაგალითად, 144-ე მუხ. II ნაწ. „ი“ პუნქტი – სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის მუქარა.

სსკ 144[1] მუხლს დაემატა განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოება, იგივე

ქმედება (ე.ი. წამება) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (მე-3 ნაწ.).

ორგანიზებული ჯგუფის მიერ ამ დანაშაულის ჩადენა ისე უნდა გავიგოთ, სსკ 27-ე მუხლის მე-3 ნაწილშია დაფიქსირებული. კერძოდ, წამება ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა (და არა დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად), შეთანხმებულად მოქმედება, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა (და არა შემთხვევით შექმნილმა ჯგუფმა), რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე წამების ჩასადენად.

სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიჩნევისათვის არაა აუცილებელი, წევრებს შორის ფორმალურად როლები იყოს განაწილებული, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი (ე.ი. შეიძლება ადგილი ჰქონდეს წევრთა დენადობას), ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა.

წამების მუქარა (მუხლი 144[2])

ეს ნორმაც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სიახლეა. ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ფსიქიკური ხელშეუხებლობა, მისი სიმშვიდე და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლება. მისი დამატებითი ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის პირად, ოჯახურ თუ სხვაგვარი საიდუმლოების დაცვასთან.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოქმედებაში — მუქარაში. კერძოდ, 144[1] მუხლში აღნიშნული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარაში. დანაშაული დამთავრებულია მუქარის განხორციელების მომენტიდან და არაა საჭირო რაიმე მძიმე შედეგის დადგომა. ამდენად, სახეზეა ფორმალური დანაშაული.

ამ დანაშაულის ობიექტური მხარე აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ ეს მუქარა უნდა იყოს ისეთი ფორმით წარმოთქმული, რომ დაზარალებულს შეექმნას მისი რეალურად განხორციელების შესაძლებლობის შთაბეჭდილება. მართალია, 144[1] მუხლში პირდაპირ არაა მითითებული მუქარის საფუძვლიანობის შესახებ, მაგრამ იგი ამ ნორმაში უთუოდ იგულისხმება, რაზეც მიუთითებს ამ დანაშაულის სპეციალური მიზანი. ეს მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების, აღიარების მიღება,

ანდა პირის დაშინება და ა.შ.

აქედან გამომდინარე, ამ დანაშაულის შემადგენლობას არ მოგვცემს არასერიოზული ტონით ან ნახევრადხუმრობით წარმოთქმული მუქარა. მუქარის რეალურობის შეფასებისათვის მხედველობაში უნდა მივიღოთ დამნაშავის პიროვნება, მუქარის წარმოთქმის ტონი, მუქარის ადგილი, მისი არაერთგზისობა და სხვა.

სსკ 144^1 მუხლში აღნიშნული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარა შეიძლება წარმოთქმული იყოს ზეპირად, წერილობით, სატელეფონო ზარის მეშვეობით და ა.შ.

განსახილველი ნორმის ობიექტური მხარით გათვალისწინებული მუქარის ერთ-ერთი სახეა დასჯის მუქარა, განხორციელებული 144^1 მუხლში მითითებული მიზნით, არადა სსკ 144^1 მუხლში დასჯა წამების მიზანია და არა ამ მიზნის მიღწევის საშუალება. სხვანაირად რომ ვთქვათ, 144^1 მუხლში დასჯა არაა წამების ობიექტური მხარის ნიშანი, იგი სუბიექტური მხარის ნიშანია. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან არ შეიძლება დასჯა ჩაითვალოს წამების ხერხად. თუ მას წამების ხერხად (ობიექტური მხარის ნიშნად) ჩავთვლით, მაშინ დაისმის კითხვა: კონკრეტულად რა ქმედებაში გამოიხატება დასჯა? რით განსხვავდება ის 144^1 მუხლის ობიექტური მხარის სხვა ნიშნებისაგან („ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს...") და რა ნიშან-თვისების გამოა დასჯა მიჩნეული წამების ერთ-ერთ ხერხად? ამდენად, 144^1 და 144^2 მუხლების შედარებით აშკარა ხდება, რომ ამ ნორმათა შინაარსი წინააღმდეგობრივია. გარდა ამისა, ვინაიდან დასჯა არის წამების ერთ-ერთი მიზანი, წამების მუქარისას „დასჯის მუქარა, განხორციელებული იმავე მიზნით" ნიშნავს, რომ დასჯის მუქარა ხორციელდება დასჯის მიზნით, რაც აბსურდია.

გამომდინარე აქედან, სსკ 144^2 მუხლის რედაქცია უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ამ კანონის 144^1 მუხლში აღნიშნული პირობების შექმნის ან მოპყრობის მუქარა, განხორციელებული იმავე მიზნით".

წამების მუქარის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირი.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება მისი ჩადენა არაპირდაპირი განზრახვით შეუძლებელია, რაზეც მეტყველებს ორი გარემოება: 1. წამების მუქარა არის ფორმალური

დანაშაული და 2. იგი კვალიფიცირებულია სპეციალური მიზნით. წამების მუქარის მიზანი იგივეა, რაც წამების (144[1] მ.) მიზანი. ესაა ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა მისი დასჯა.

წამების მუქარა უნდა განვასხვავოთ მუქარისაგან (151-ე მუხ.) ისინი განსხვავდება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობით. კერძოდ, მუქარის ობიექტური მხარე 151-ე მუხლში დაკონკრეტებულია (სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა). რაც შეეხება წამების მუქარას, იგი უნდა გამოიხატოს პირის მიმართ ისეთი ქმედების ჩადენის მუქარაში, რომელიც გამოირჩევა თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით და ეს ქმედება არაა მიმართული ადამიანის მკვლელობის ან ჯანმრთელობის დაზიანებისკენ (მით უმეტეს არაა მიმართული მისი ქონების განადგურებისაკენ).

ამიტომ სსკ 151-ე მუხლით (მუქარით) დაკვალიფიცირდება ისეთი შემთხვევა, როცა პირი ემუქრება ადამიანს, რომ სადმე ჩაუსაფრდება და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოკლავს ან დაჭრის, ხოლო წამების მუქარით დაკვალიფიცირდება შემთხვევა, როცა პირს ემუქრებიან, რომ არ მისცემენ საჭმელს და წყალს დიდი ხნის მანძილზე, ანდა ანთებული სიგარეტით დაუწვავენ სხეულს, ნემსით დაუჩხვლეტავენ ხელს ან ფეხის ფრჩხილებს, მოათავსებენ ისეთ ოთახში, სადაც სინესტე და სიცივეა, სადაც მღრღნელები ბლომად არიან და ა.შ.

ამდენად, წამების მუქარის დროს დამნაშავე იმუქრება ისეთი ქმედების ჩადენით, რომელსაც მომენტალურად არ მოჰყვება ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება და მით უმეტეს, სიკვდილი. არამედ იმუქრება ისეთი ქმედების ჩადენით, რომელსაც მოჰყვება ხოლმე ძლიერი ფიზიკური ტკივილი ან ფსიქიკური თუ მორალური ტანჯვა (თუმცა არაა გამორიცხული მოჰყვეს ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაც).

სსკ 151-ე და 144[2] მუხლი ასევე განსხვავდება სუბიექტური შემადგენლობით. კერძოდ, ქმედების 151-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს დამნაშავის მიზანს (იგი შეიძლება იყოს გართობაც) მაშინ, როცა წამების მუქარისათვის მაკვალიფიცირებელია სპეციალური მიზნები: ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება, იძულება ან დასჯა.

დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (მუხლი 144[3])

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, ასევე მისი პატივი და ღირსება, ხოლო დამატებითი ობიექტია ადამიანთა თანასწორუფლებიანობა რასის, კანის ფერის თუ სხვა ნიშნის მიხედვით.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ქმედებაში, შედეგში (ძლიერი ფიზიკური ტკივილი ან მორალური ტანჯვა) და მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და შედეგს შორის., ამდენად, სახეზეა მატერიალური შემადგენლობა.

სსკ 144[3] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარეა პირის დამცირება, იძულება, არაადამიანური, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება. დამცირებაა ისეთი ქმედება, როგორიცაა სახეში შეფურთხება, ადამიანის გატიტვლება, თავზე ღვინის დასხმა, პანღურის ამოკვრა, ტანსაცმლის შემოხევა, და სხვ. იძულების ცნება მოცემულია სსკ 150-ე მუხლში.

იძულება ნიშნავს ადამიანზე ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზემოქმედებას, რაც მიმართულია იქითკენ, რომ მან შეასრულოს (მაგალითად, დაიჩოქოს) ან არ შეასრულოს მოქმედება ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნებასურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება. 144[3] მუხლში გათვალისწინებული იძულება უნდა განვასხვავოთ სსკ 150-ე მუხლით გათვალისწინებული იძულებისაგან. ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში პირის იძულებას შედეგად უნდა მიჰყვეს ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან მორალური ტანჯვა. თუ ასეთი შედეგი იძულებას არ მოჰყვა, მაშინ პასუხისმგებლობა დადგება სსკ 150-ე მუხლით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იძულება წამების (144[1] მ.) შემადგენლობაში არის სუბიექტური მხარის ნიშანი. კერძოდ, იძულება აქ არის ამ დანაშაულის მიზანი. ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში კი იძულება არის 144[3] მუხლის ობიექტური მხარის ნიშანი. რაც შეეხება არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენებას, იგი ფაქტობრივად არაფრით განსხვავდება წამების (144[1] მ.) ობიექტური მხარისგან, ამიტომ მათი გამიჯვნა, ძალზე ძნელია. არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენება

შეიძლება გამოიხატოს იგივე ქმედებებში, რაც დამახასიათებელია წამებისათვის (144[1] მ.), მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში დამნაშავეს არ ამოძრავებს ის მიზნები, რაც აუცილებელია ქმედების წამებად კვალიფიკაციისათვის(ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება...). ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება კი გამოიხატება ისეთი ქმედებების ჩადენაში, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება ადამიანებისადმი მოპყრობის ზნეობრივ წესს. საქართველოს ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იყო პასუხისმგებლობა შეურაცხყოფისათვის, სადაც შეურაცხყოფა განმარტებული იყო, როგორც სხვისი პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება, გამოხატული უწესო ფორმით. შემდეგში კანონმდებელმა მოახდინა ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია. ამჟამად კი, სსკ 144[3] მუხლის შემოღებით კვლავ მოხდა შეურაცხყოფის ნაწილობრივი კრიმინალიზაცია. კერძოდ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში პირის ჩაყენება, ასევე მისი დამცირება სხვა არაფერია, თუ არა შეურაცხყოფა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში მას აუცილებლად უნდა მოჰყვეს 144[1] მუხლში მითითებული შედეგები. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებს ამ დანაშაულის შემადგენლობა.

პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება შეიძლება გამოიხატოს ადამიანის ქუჩაში გაგდებაში ნახევრად შიშველი ანდა სრულიად შიშველ მდგომარეობაში, მოსწავლეების თვალწინ პედაგოგისათვის თავზე რაიმე დოკუმენტის გადახევა. პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას ადგილი აქვს, როცა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები ღამით შეიჭრებიან ეჭვმიტანილის ბინაში, წამოყრიან მათ ლოგინიდან, არ მისცემენ ჩაცმის საშუალებას და ნახევრად გაშიშვლებულებს, ხელბორკილდადებულებს გამოატარებენ ქუჩაში, თან ამ სცენას ტელეკამერის თანამშრომლები უჩვენებენ ეთერში.

ზემოთ განხილულ ქმედებებს შედეგად უნდა მოჰყვეს ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან მორალური ტანჯვა. ძლიერი ფიზიკური ტკივილის არსი ჩვენ განვიხილეთ 144[1] მუხლის განმარტებისას, რაც შეეხება ფსიქიკურ ტკივილს, აქ აუცილებლად ისმის კითხვა: რით განსხვავდება იგი ფსიქიკური ტანჯვისაგან (144[1] მ.)? არავითარი ზნეობრივი ან სამედიცინო კრიტერიუმი მათი გამიჯვნისათვის არ არსებობს. ამდენად,

კანონმდებელი ახალ-ახალი ტერმინოლოგიის წაღმა-უკუღმა ტრიალით პრობლემებს უქმნის სასამართლო პრაქტიკას.

სსკ 144^3 მუხლის I ნაწილის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია. მისი ჩადენა შეიძლება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, არაპირდაპირი განზრახვით ამ დანაშაულის ჩადენისას მის სუბიექტს არ სურს 144^3 მუხლში მითითებული შედეგების დადგომა, მაგრამ იგი შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

სსკ 144^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები განხილულია წამების (144^1 მ.) განმარტებისას, ამდენად, მათზე არ შევჩერდებით.

სსკ 144^3 მუხლის შენიშვნის მიხედვით, ამ კოდექსის 144^1-144^3 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებზე (ე.ი. წამებაზე, წამების მუქარასა და დამამძიმებელ ან არაადამიანურ მოპყრობაზე) არ ვრცელდება სსკ 71-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა. ამდენად, ამ დანაშაულის ჩამდენის გასამართლება შესაძლებელია იმის მიუხედავად, თუ რა დროს გაიარა მისი ჩადენის დღიდან.

დანაშაულის პროვოკაცია[1] (მუხლი 145^1-ე)

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის ამ სახეს არ ითვალისწინებდა, ამდენად, დანაშაულის პროვოკაცია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ახალი ნორმაა. მანამდე კი ასეთი ქმედების ჩამდენი პირი პასუხს აგებდა, როგორც დანაშაულის წამქეზებელი. მაინც რა განსხვავებაა დანაშაულის პროვოკაციასა და წაქეზებას შორის და რითაა განპირობებული ამ ქმედების ცალკე ნორმის სახით ჩამოყალიბება?

დანაშაულის პროვოკაციასა და წაქეზებას აქვს როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები. საერთო ნიშანია ის, რომ ორივე შემთხვევაში პირი დაიყოლიებს სხვას კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად.

1 პროვოკაცია – ლათინური სიტყვაა და მასში მოიაზრება გამცემლური საქციელი; ვისიმე წაქეზება ისეთი მოქმედებისათვის, რასაც მოჰყვება მისთვის მძიმე შედეგები.

დაყოლიება შეიძლება მოხდეს რჩევით, მოსყიდვით, მუქარით, აგიტაციით (სისტემატური ჩაგონებით) და ა.შ. დანაშაულის პროვოკაციასა და წაქეზებას შორის განსხვავება ისაა, რომ წამქეზებელს გამიზნული აქვს სხვა პირს ჩაადენინოს რაიმე დანაშაული, მაგრამ არ სურს მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემა. წამქეზებლის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან, ხელყოფს იმავე სიკეთეს, რასაც ამსრულებელი, წამქეზებელი და ამსრულებელი მოქმედებენ საერთო მიზნით. თანამონაწილეთა განზრახვა მიმართულია დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე. პროვოკატორს კი არ სურს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა (არ სურს სამართლებრივი სიკეთის დაზიანება). მას სურს, რომ ამსრულებელი ამხილონ დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე და მისცენ ის პასუხისგებაში. დანაშაულის პროვოკატორი იმიტომ დაიყოლიებს სხვას დანაშაულის ჩასადენად, რომ შემდგომში იგი მიაცემინოს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. მისი მიზანი არაა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ამდენად, პროვოკატორისათვის სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენა მისთვის სასურველი მიზნის (ამ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზანი) მიღწევის საშუალებაა.[1]

ამდენად, ასეთი „წაქეზება" სცილდება თანამონაწილეობის ფარგლებს და დამოუკიდებელ შინაარსს იძენს. კერძოდ, იგი ხელყოფს წაქეზებულის პიროვნებას.

პროვოკაციული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი დანაშაულის ჩასადენად. ამასთანავე, ის პირი, ვისაც დაიყოლიებენ დანაშაულის ჩასადენად, უნდა აკმაყოფილებდეს ამ დანაშაულის სუბიექტის ყველა მოთხოვნას (ასაკი, შერაცხადობა და ა.შ.). თუ დაყოლიებული პირი არ აკმაყოფილებს საერთო სუბიექტის მოთხოვნებს, ადგილი ექნება არა პროვოკაციას, არამედ შუალობით ამსრულებლობას.

პროვოკატორის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ 145-ე მუხლით და არა იმ დანაშაულში თანამონაწილეობით, რომლის ჩადენაშიც დაიყოლია პირი, რადგანაც, როგორც მართებულადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, წამქეზებელი (პროვოკატორი) და

1 პროვოკაციაზე იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ. 1969, გვ. 156-173; ვ. მაყაშვილი, გ. ტყემშელიაძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის, თბ. 1964, გვ.208-215. ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის – პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989. გვ. 9-19; 35 და სხვ.

პროვოცირებული (წაქეზებული) სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ. მაგალითად, როცა პროვოკატორი ვინმეს აქეზებს ქურდობისათვის, პროვოკატორის ქმედება ხელყოფს პროვოცირებულის პიროვნებას, სურს იგი ციხეში ჩააგდოს, ხოლო პროვოცირებული ხელყოფს სხვის საკუთრებას.[1] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროვოკატორის მიერ დაყოლიება, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს ადამიანის ფსიქიკაზე აქტიური ზემოქმედებით (თხოვნა, ხვეწნა, დამუქრება და ა.შ.). თუ ადგილი აქვს მხოლოდ წინადადების მიცემას დანაშაულის ჩადენაზე, რიგ შემთხვევაში, ეს ვერ ჩაითვლება პროვოკაციის ხერხად. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევა, რომელიც საქმე ეხება სახელმწიფო მოხელეს ან პირს, ვისაც სამსახურებრივად ევალება ნორმატიული აქტების დაცვა, რის შესრულებაზეც მას პირობა აქვს დადებული სამსახურში მიღებამდე. მაგალითად, მოქალაქემ წინადადება შესთავაზა მოხელის თუ მიიღებდა მას სამუშაოზე, მისცემდა ქრთამს (ამ მოქალაქის მიზანი იყო მოხელის პასუხისგებაში მიცემა). მოხელეც პირველსავე წინადადებაზე დათანხმდა, რა დროსაც ის ამხილეს. ის ფაქტი, რომ მოხელე მოქალაქეს უპრობლემოდ დათანხმდა ასეთ წინადადებაზე, მიუთითებს იმას, რომ ქრთამი მისთვის საქმიანობის ჩვეულებრივი წესია. ამდენად, მოქალაქეს არ დასჭირვებია მისი დაყოლიება და შესაბამისად ქმედება დანაშაულის პროვოკაციად არ უნდა ჩაითვალოს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა რიგით მოქალაქეზე წინადადების მიცემა დანაშაულის ჩასადენად მის პასუხისგებაში მიცემის მიზნით უნდა ჩათვალოს პროვოკაციის ხერხად, რადგან საერთოდ წინადადების მიცემაც ცდუნების ერთ-ერთი ხერხია.

დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა არ შეიძლება მივიჩნიოთ დაყოლიებად. ამიტომ არ ჩაითვლება პროვოკაციად პირის ქმედება, როცა იგი შეგნებულად დადგება იმ მოქალაქის გვერდით, ვისი მხილებაც სურს, გახსნილი ჩანთით ხელში, საიდანაც მოჩანს საფულე და ადვილია მისი ამოღება. ამ შემთხვევაშიც ადგილი არა აქვს პირის დაყოლიებას. მის ფსიქიკაზე აქტიურად ზემოქმედებს. „დაყოლიება“ არ უნდა გავაიგივოთ „პირობების შექმნასთან“. ზემოთხსენებულ შემთხვევაში პროვოკატორი იქნება ის, ვინც მოქალაქეს ეტყვის: „მიდი, ისარგებლე მომენტით და საფულე ამოიღეო“.

განსახილველი დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა დაყოლიე-

1 ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლისსამართლის კოდექსის განმარტება, თბ. 2005, გვ. 196.

ბული პირი დაიწყებს დანაშაულის მომზადებას (თუკი დანაშაული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმეა ასევე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნაკლებად მძიმე დანაშაულიც), ან მცდელობას.

უფრო ადრეულ სტადიაზე პროვოკატორის მიცემა სს პასუხისგებაში არ იქნება გამართლებული, რადგან თუ პროვოცირებული მხოლოდ დათანხმდა მას დანაშაულის ჩადენაზე, მაგრამ პრაქტიკულად ამ დანაშაულის მომზადებაც კი არ განუხორციელებია, უნდა ჩავთვალოთ, რომ „დაყოლიებას" არ ჰქონია ადგილი, პროვოკატორმა ვერ მიაღწია მიზანს, ვერ ხელყო ამ პირის ინტერესები. ვერ ჩაადენინა დანაშაული და ვერ ამხილა იგი. „პროვოკატორის" ასეთ შემთხვევას ვერც დანაშაულის მომზადებად ჩავთვლით (25 მ. მე-7 ნაწ.) რადგან წარუმატებელი დაყოლიება მხოლოდ მაშინ ითვლება მომზადებად როცა „დამყოლიებლის" მიზანი იყო ამსრულებლის მიერ კონკრეტული უმართლობის ჩადენა და არა მისი მხილება.

დანაშაულის პროვოკაციის კვალიფიკაციისას დგება ასეთი პრობლემა: როგორ დაკვალიფიცირდეს პროვოკატორის ქმედება, როცა პროვოცირებულმა მხილებამდე მოასწრო დანაშაულის ბოლომდე მიყვანა (უკვე გაქურდა ბინა, მოკლა ადამიანი და ა.შ.)? რამდენად სამართლიანია პროვოკატორის დასჯა ასეთ შემთხვევაში სსკ 145-ე მუხლით, რომლის მაქსიმალური სანქცია არის თ.ა. სამ წლამდე?

რა თქმა უნდა, ეს პრობლემა დგას და იგი უნდა გადაწყდეს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ისე, რომ არ დაირღვეს თანამონაწილეობის ინსტიტუტის ძირითადი პრინციპები. კერძოდ, რა მოხდება, თუ პროვოკატორის ქმედებას პროვოცირებულის მიერ დანაშაულის ბოლომდე მიყვანისას დავაკვალიფიცირებთ ერთობლიობის წესით: სსკ 145-ე მუხლით და იმ დანაშაულში თანამონაწილეობით (წაქეზებით), რომელიც ბოლომდე მიიყვანა პროვოცირებულმა (მაგალითად, მკვლელობის წაქეზებით)?

საკითხის ასე გადაწყვეტით ჩვენ ფაქტობრივად ვაღიარებთ, რომ „წამქეზებელი" ერთდროულად პროვოკატორიც იყო და დანაშაულში თანამონაწილეც, ე.ი. მისი მიზანი იყო ამ პირის მხილებაც და ამავე დროს სხვა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაც, რაც ურთიერთგამომრიცხველია. პროვოკატორია ის, ვისაც არ სურს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა და არც უშვებს ამას, ე.ი. სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მიმართ არ მოქმედებს განზრახ. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ პროვოკატორი

და პროვოცირებული სხვადასხვა უმართლობას სჩადიან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თანამონაწილეა და არა პროვოკატორი. ასეთ ვითარებაში კი სსკ 145-ე მუხლის არსებობა აზრს კარგავს. აქ არგუმენტად ვერ გამოდგება ის, თუ რომელი სამართლებრივი სიკეთის (ინდივიდუალური თუ საერთო) დაზიანებაში დაიყოლია პირმა ადამიანი. მთავარია, რა სურდა წამქეზებელს – ამსრულებელთან ერთად. ერთიანი უმართლობის ჩადენა თუ წამქეზებლის სს პასუხისგებაში მიცემა? რა იყო მისი ქმედების (სხვისი დანაშაულში დაყოლიების) საზრისი? ამდენად, პროვოკატორის ქმედების კვალიფიკაცია 145-ე მუხლთან ერთად დანაშაულში თანამონაწილეობით, გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს.

აქედან გამომდინარე, ზემოთდასმულ პრობლემის მოსაგვარებლად უნდა შეიცვალოს სსკ 145-ე მუხლის რედაქცია. კერძოდ, მას უნდა დაემატოს ორი დამამძიმებელი გარემოება: 1. რომელიც გაითვალისწინებს სს პასუხისმგებლობას მძიმე დანაშაულის პროვოკაციისთვის და 2. რომელიც გაითვალისწინებს სს პასუხისმგებლობას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაციისთვის.

სსკ 145-ე მუხლის კონსტრუქცია აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს კანონმდებელი დანაშაულის პროვოკაციას წაქეზებასთან შედარებით გაცილებით ნაკლებად საშიშ ქმედებად მიიჩნევს. ალბათ იმიტომ, რომ პროვოკატორის ქმედება მიმართულია პირის მხილებისაკენ. თუმცა აქ მხედველობიდანაა გამორჩენილი ქმედების მორალური მხარე. კერძოდ, ძნელი სათქმელია, ვისი ქმედებაა უფრო ამორალური: იმის, ვინც პირს დაიყოლიებს დანაშაულის ჩასადენად, რათა ხელყოფილიქნას სამართლებრივი სიკეთე, თუ იმისა, ვინც სხვას დაიყოლიებს დანაშაულის ჩასადენად, რათა ამხილებინოს იგი და მიაცემინოს სს პასუხისგებაში.

სსკ 145-ე მუხლის ამსრულებელი არის 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ მისი ჩადენა შეიძლება პირდაპირი განზრახვით. ამასთანავე, აუცილებელია პირს ამოძრავებდეს სპეციალური მიზანი – პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. მიაღწევს თუ არა დამნაშავე ამ მიზანს, ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მხილებული პირი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან სხვადასხვა გარემოების გამო. თუ ასეთი მიზანი არ არსებობს, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულის წაქეზებით.

დანაშაულის მოტივს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას.

უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში (მუხლი 146-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის თავისუფლება, პატივი და ღირსება. ფაკულტატური ობიექტია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში, კერძოდ უდანაშაულო პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში მიცემაში.

პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილი იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული.

ბრალის[1] წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არარსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ (რომელიც წაყენებული უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 24 საათისა).

სსკ 146 ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს სწორედ იმ მომენტიდან, როცა პროკურორმა უდანაშაულო პირის მიმართ გამოიტანა დადგენილება მისი ბრალდების შესახებ.

პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი ბრალდების შესახებ დადგენილებას გააცნობს ბრალდებულს და მის ადვოკატს (თუ მას იცავს ადვოკატი).

ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს (გამომძიებელს მხოლოდ ამ დადგენილების გაცნობის უფლება აქვს),ამდენად განსახილველი დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ პროკურორი.

განსახილველი დანაშაულის მსხვერპლია უდანაშაულო პირი. აქ უნდა ვიგულისხმოთ იურიდიული თვალსაზრისით უდანაშაულო პირი, ე.ი. ის ვის მიმართაც გამოძიების სტადიაზე არაა შეკრებილი მტკიცებულებათა

1 სს საპროცესო კოდექსის ამ მუხლში „ბრალის" ნაცვლად უნდა ეწეროს „ბრალდების".

ერთობლიობა, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

ასეთ მტკიცებულებად არ ჩაითვლება „წყაროს“ (აგენტის) მიერ მიწოდებული ინფორმაცია.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა სახეზე არა გვაქვს, როცა პირის მიმართ არსებობს საკმარისი მტკიცებულება, რომელიმე დანაშაულისათვის (მაგალითად, ქურდობისათვის) პასუხისგებაში მისაცემად, მაგრამ გამომძიებელი ან პროკურორი პირადი მოტივით, განზრახ მას პასუხისმგებლობას უმძიმებს. მაგალითად, ქურდობის ნაცვლად პასუხისგებაში აძლევს ყაჩაღობისათვის. ამ შემთხვევაში გამომძიებლისა თუ პროკურორის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით (სამოხელეო დანაშაულით).

ასევე არ გვექნება ამ დანაშაულის შემადგენლობა მაშინ, როცა პირის მიმართ არსებობს რომელიმე დანაშაულში ბრალდებისათვის საკმარისი მტკიცებულებანი, მაგრამ ეს პირი არ ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისგებლობას და მას მაინც აძლევენ პასუხისგებაში. მაგალითად, გამოვიდა აქტი ამნისტიის შესახებ, რომელიც შეეხო ამ პირის მიერ ჩადენილ ქმედებას, ან გავიდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა და ა.შ. ამ შემთხვევაშიც გამომძიებლისა თუ პროკურორის ქმედება, როცა ისინი უკანონოდ პასუხისგებაში აძლევენ პირს, უნდა დაკვალიფიცირდეს 332-ე მუხლით.

როდესაც უდანაშაულო პირის განზრახ მიცემას სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში თან ერთვის ამ პირის უკანონო დაპატიმრება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 146-ე და 147-ე მუხლების შესაბამისი ნაწილებით.

თუკი უდანაშაულო პირის განზრახ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად გამომძიებელი ან პროკურორი ხელოვნურად ქმნის მტკიცებულებებს (მაგალითად, აყალბებს ექსპერტის დასკვნას, აიძულებს მოწმეებს მისცენ ცრუ ჩვენება, აყალბებს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს ან ქმნის ფიქტიურ ოქმს და ა.შ.). ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 146-ე მუხლითა და სამოხელეო დანაშაულის შესაბამისი მუხლით (მაგალითად, 335-ე, 369[1]-ე ან 341-ე მუხლით).

სსკ 146-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი

სპეციალურია; კერძოდ ის, ვისაც კანონით უფლება აქვს მისცეს პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. ეს არის პროკურორი, რომელიც ბოროტად იყენებს თავიანთ სამსახურებრივ უფლებამოსილებას. ამდენად, განსახილველი დანაშაული სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კონკრეტული შემთხვევაა. როდესაც მოსამართლე განზრახ უდანაშაულო პირს ცნობს ბრალეულად, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ არა 146-ე, არამედ 332-ე მუხლით.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია, რაც პირდაპირაა მითითებული ამ ნორმაში. ამდენად, პროკურორს გაცნობიერებული აქვს, რომ პირის მიმართ არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულება ბრალდებისათვის, მაგრამ მაინც გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. სჯერა თუ არა პროკურორს, რომ ეს პირი უდანაშაულოა, ამას დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ პირის მიმართ არ მოიპოვება საკმარისი სამხილი მტკიცებულება და, ამდენად, ეს პირი უდანაშაულოა სამართლებრივი თვალსაზრისით.

დანაშაულის მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება იყოს ამ პირისადმი სიძულვილი, ანგარება, შური, ეჭვიანობა, დამნაშავეობასთან ბრძოლის ყალბად გაგებული მიზანი, კარიერის გაკეთება და ა.შ.

სსკ 146-ე მუხლის მე-2 ნაწილით დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, თუ მას თან ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში. მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ცნებები მოცემულია სსკ მე-12 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებში.



განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (სსკ 147-ე მუხლი)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობა.[1] კერძოდ, კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად, თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

განსახილველი დანაშაული განსხვავდება თავისუფლების უკანონო აღკვეთისაგან დანაშაულის ამსრულებლით. კერძოდ, 147-ე მუხლის ამსრულებელია სამართალდამცავი ორგანოს მოხელე. კერძოდ, ის, ვისაც აქვს პირის დაკავების, დაპატიმრების უფლება, ან დაკავებულის თუ დაპატიმრებულის გათავისუფლების უფლება.

ამ დანაშაულის ობიეტური მხარე გამოიხატება ქმედებაში. კერძოდ, უკანონო დაკავებასა (1-ლი ნაწილი) ან უკანონო დაპატიმრებაში (მე-2 ნაწილი). დანაშაული დამთავრებულია ამ ქმედებათაგან ერთ-ერთის ჩადენისთანავე, ამდენად, სახეზეა ფორმალური დანაშაული (გარდა სსკ 147-ე მუხლის მე-3 ნაწილისა). საერთოდ დაკავება შეიძლება იყოს როგორც კანონიერი, ისე უკანონო.

საქართველოს სსს კოდექსის 170 ე მუხლის მიხედვით დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა,. პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან (და არა შესაბამის ორგანოში მიყვანის მომენტიდან).

დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად.

დაკავება როგორც წესი, ხორციელდება სასამართლოს განჩინებით, მაგრამ შესაძლებელია სასამართლოს განჩინების გარეშეც. სასამართლო განჩინებით დაკავება ხდება მაშინ, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე, პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმის-

1 ადამიანის თავისუფლება განმტკიცებულია ასევე 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპულ კონვენციაში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ, 1991 წლის დეკლარაციაში ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაციაში.

ათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს (სსს კ. 171-ე მუხლის I ნაწილი).

სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების საფუძვლები მოცემულია სსსკ 171-ე მუხლის II ნაწილში (პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი და ა.შ.).

საპროცესო კანონმდებლობით დაკავების უფლება აქვს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებაში აღჭურვილ ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, აწარმოებს გამოძიებას ან ახორციელებს სს დევნას (მუხ. 172).

დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში არ გადაეცა დადგენილება, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. თუ ასეთი შუამდგომლობა დაკავებიდან 48 საათში არ წარედგინა მაგისტრატ მოსამართლეს, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

კანონის ამ მოთხოვნათა დარღვევით პირის დაკავება ჩაითვლება უკანონოდ და იგი ისჯება სსკ 147-ე მუხლით.

უკანონო დაკავებად არ ჩაითვლება დაკავებულის უფლებების სხვაგვარი დარღვევა (მაგალითად, მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, დამცველის აყვანის შესაძლებლობის მიუცემლობა და ა.შ.). ასეთი ქმედებები დაკვალიფიცირდება სამოხელეო დანაშაულის შესაბამისი მუხლით ან დისციპლინური წესით.

ამდენად, პირის დაკავება უკანონოდ ჩაითვლება, როცა არ არსებობს სსსკ შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დაკავების საფუძველი, ან როცა დაკავებიდან 48 საათის გასვლამდე შუამდგომლობა არ წარადგინეს სასამართლოში, ანდა დაკავებიდან გავიდა 72 საათი, ხოლო სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება მისი დაპატიმრების შესახებ, მაგრამ ამის მიუხედავად პირი მაინც დაკავებულია. უკანონოა დაკავება, როცა დაკავებისაგან გათავისუფლებული პირი ხელმეორედ დააკავეს

იმავე ბრალდებით. უკანონო დაკავება უნდა განვასხვაოთ თავისუფლების უკანონო აღკვეთისაგან და დამნაშავის შეპყრობის აუცილებელი ზომის გადაცილებისაგან.

უკანონო დაკავებას ახდენს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, რომელიც ამ დროს იყენებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას. ამდენად, უკანონო დაკავება არის სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კერძო შემთხვევა. თავისუფლების უკანონო აღკვეთას კი სჩადის პირი, რომელიც არაა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, ან შეიძლება ამ ორგანოს თანამშრომელია, მაგრამ პირის დაკავებისას არ იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას (მაგალითად, პოლიციის თანამშრომელმა პირადი მოტივით მისი მეზობელი ჩაამწყვდია ბინის სარდაფში).

უკანონო დაკავება (ან დაპატიმრება) განსხვავდება ასევე დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებისაგან, თუმცა მათ შორის არის საერთო ნიშნებიც. კერძოდ, დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებისას პირის მიზანია დამნაშავის წარდგენა სამართალდამცავ ორგანოში. ასეთივე მიზანი შეიძლება არსებობდეს უკანონო დაკავებისას. ამ ორ დანაშაულს შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ უკანონო დაკავებისას ადგილი არა აქვს პირის დაზიანებას (ჯანმრთელობის დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა), არმედ დაკავებისას ირღვევა კანონით დადგენილი მოთხოვნა. კერძოდ, პირი ან საერთოდ არ ექვემდებარება დაკავებას ან გადაცილებულია დაკავებისათვის დადგენილი დრო. რაც შეეხება დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებას, აქ შეპყრობისას დამნაშავეს ადგება ზიანი (ჯანმრთელობის დაზიანება, სიკვდილი). გარდა ამისა, უკანონო დაკავების სუბიექტი არის მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, ხოლო დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი (მათ შორის ამ ორგანოს თანამშრომელიც). როგორც უკვე აღინიშნა, უკანონო დაკავება (147-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) დამთავრებულია დანაშაულია პირის კანონის მოთხოვნის დარღვევით დაკავების მომენტიდან.

სსკ 147-ე მუხლის მე-2 ნაწილით უფრო მკაცრად ისჯება განზრახ უკანონო დაპატიმრება.

პატიმრობა,როგორც აღკვეთის ღონისძიება,გამოიყენება მხოლოდ მაშინ,

თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული:

ა) ბრალდებულის მიმალვისა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;

ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;

გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს. თუ ამ ვადაში არ ჩატარდა წინასასამართლო სხდომა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს (გარდა სსსკ 208 ე მ. დადგენილი შემთხვევისა).

ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს (რაშიც შედის მისი დაკავების ვადაც). ამ ვადის გასვლის შემდეგ (თუ მის მიმართ განაჩენით არაა შეფარდებული საპატიმრო სასჯელი), იგი უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან (გარდა სსსკ 205 ე მ. II ნაწ. გათვალისწინებული შემთხვევისა).

პირის დაპატიმრება უკანონოდ ჩაითვლება როგორც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმების, ისე სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევით პირის პატიმრობაში ყოფნის შემთხვევაში. მაგალითად, გასულია წინასწარ პატიმრობის ვადა, იგი კანონიერად არაა გაგრძელებული და პირს მაინც არ ათავისუფლებენ. ანდა, მოსამართლემ გამოიტანა განჩინება პირის დაპატიმრების შესახებ მაშინ, როცა ამისათვის კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. ამდენად, განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მოსამართლეც. ეს დანაშაული სსკ 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) კერძო შემთხვევაა.

სსკ 147-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ამსრულებელი სპეციალურია. იგი შეიძლება იყოს პოლიციელი, გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე (უკანონო დაპატიმრების დროს), ციხის უფროსი რომლებიც ამ ქმედების ჩადენისას იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას, ეს დანაშაული თავისუფლების უკანონო აღკვეთისაგან (მუხლი 143) ძირითადად სწორედ დანაშაულის სუბიექტით განსხვავდება.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული განზრახია, რაც პირდაპირაა მითითებული მუხლის დისპოზიციაში. ამდენად, პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ კანონის მოთხოვნათა დარღვევით ახდენს ადამიანის

დაკავებას ან დაპატიმრებას.

მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება იყოს შურისძიება, ეჭვიანობა, კარიერიზმი, დამნაშავეობასთან ბრძოლის ყალბად გაგებული ინტერესები და სხვა, რაც მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას.

სსკ 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, ამდენად, აქ სახეზეა მატერიალური შემადგენლობა და აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა (უკანონო დაკავება ან დაპატიმრება) და მძიმე შედეგს შორის. მძიმე შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის სიკვდილი, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, თვითმკვლელობა, ოჯახის დანგრევა, საცხოვრებელი ბინის დაკარგვა და ა.შ.

სიკვდილის მიმართ სახეზე უნდა იყოს გაუფრთხილებლობა, რასაც ადასტურებს შესაბამისი სანქციის სიმსუბუქე. ხოლო ისეთი სხვა მძიმე შედეგების მიმართ როგორიცაა ოჯახის დანგრევა, ბინის დაკარგვა და სხვა, შეიძლება სახეზე იყოს როგორც განზრახვა, ისე გაუფრთხილებლობა.

თუ უკანონო დაკავების ან დაპატიმრების ჩამდენი განზრახ კლავს დაზარალებულს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 147-ე მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით და განზრახი მკვლელობის შესაბამისი მუხლით.

უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (სსკ 149-ე მუხლი)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის თავისუფლება, პატივი და ღირსება, რომელიც მას მინიჭებული აქვს საქართველოს კონსტიტუციით. დამატებით ობიექტად კი გვევლინება პირის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ეს დანაშაული არ შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლების უკანონო აღკვეთის ნაირსახეობად, რადგან მათ შორის არის არსებითი განსხვავება. თავისუფლების უკანონო აღკვეთისას პირის იძულებითი დაკავება არ ხდება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც მას უნდა ჩაუტარდეს

იძულებითი მკურნალობა, არამედ ამ დროს პირის დაკავება ხდება სხვა ნებისმიერ ადგილას (ბინაში, სარდაფში, ავტომანქანაში, გამოქვაბულში, ორმოში და ა.შ.). სსკ 149-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას პირს არა მარტო უკანონოდ აღკვეთილი აქვს თავისუფლება, არამედ იგი მოთავსებულია სულით ავადმყოფებს შორის, სადაც მასზე უნდა განხორციელდეს მკურნალობა, რაც არაა საჭირო მისი ჯანმრთელობისათვის. სწორედ ამიტომ ეს დანაშაული მომეტებულად საშიშია თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან შედარებით და სასჯელიც შესაბამისად მკაცრია.

საერთოდ, პირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის საფუძველი შეიძლება იყოს პირის ფსიქიკური მოშლილობა და ექიმ-ფსიქიატრთა შესაბამისი გადაწყვეტილება პირის სტაციონარული მკურნალობის შესახებ, ანდა ასეთი მკურნალობის საფუძველია მოსამართლის გადაწყვეტილება. ამდენად, პირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკვლევის ჩატარება და მკურნალობა ხდება ექიმ-ფსიქიატრის ან მოსამართლის გადაწყვეტილებით. მაგრამ პირის მოთავსება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმის გასარკვევად, სჭირდება თუ არა მას მკურნალობა, შეიძლება მოხდეს სხვა პირთა ქმედებითაც. ესენი შეიძლება იყვნენ გამომძიებელი, ოჯახის წევრი, იმ დაწესებულების ხელმძღვანელი, სადაც ეს პირი მუშაობს და ა.შ.

პირის მოთავსება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, აქედან გამომდინარე, შეიძლება მოხდეს როგორც კანონიერად, ისე უკანონოდ.

ამ დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. კერძოდ, პირის უკანონო მოთავსება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხორციელდება მოქმედებით, ხოლო უკანონო დაკავება შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით (პირს არ აძლევენ საშუალებას წავიდეს ფსიქიატრიული საავადმყოფოდან). დანაშაული დამთავრებულია ამ ქმედებათაგან ერთ-ერთის ჩადენისთანავე (როცა პირს უკანონოდ მოათავსებენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან უკანონოდ უხანგრძლივებენ იქ ყოფნის ვადას) და მძიმე შედეგის დადგომა სავალდებულო არ არის (149-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამდენად, ამ მუხლის 1-ლი ნაწილი არის ფორმალური დანაშაული.

პირი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონოდ მოთავსებულად ჩაითვლება მაშინ, როცა მისი ფსიქიკური მდგომარეობა არ ქმნის ამ პირის საავადმყოფოში იძულებით მოთავსების აუცილებლობას, მაგრამ მას მაინც

ათავსებენ მისი ან კანონიერი წარმომადგენლის ნების საწინააღმდეგოდ. მაგალითად, პირს სურს თავიდან მოიშოროს მისი ოჯახის წევრი რაიმე პირადი მოტივით. ამ მიზნის მისაღწევად იგი მოაწყობს ინსცენირებას, ვითომც ეს პირი მოულოდნელად გახდა აგრესიული, თავს დაესხა ოჯახის სხვა წევრებს და უპირებდა მათ მოკვლას, რომ თითქოს დაამტვრია ყველაფერი და გახდა უმართავი. ამ მიზეზით გამოიძახებს სათანადო სამედიცინო სამსახურს, რის შედეგადაც პირი იძულებით მიჰყავთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოსაკვლევად, სადაც იგი გარკვეული ხნის მანძილზე იმყოფება, სანამ არ გამოიკვლევენ მის სულიერ მდგომარეობას. ანდა რომელიმე დაწესებულების ხელმძღვანელი ჩაიდენს იმავე ქმედებას იმ თანამშრომლის მიმართ, ვინც სისტემატურად სამართლიანად აკრიტიკებს მას და ამხელს სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში.

ამ შემთხვევებში ფსიქიატრიული დაწესებულების თანამშრომელთა ქმედება, რომელთაც იძულებით მიჰყავს ადამიანი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, კანონიერია. ისინი ვალდებული არიან იძულებით მოათავსონ პირი ამ საავადმყოფოში, რათა გაირკვეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ხოლო ამ ადამიანის ოჯახის წევრისა და დაწესებულების ხელმძღვანელის ქმედება უნდა შეფასდეს როგორც შუალობითი ამსრულებლობა ჩვენ მიერ განსახილველი დანაშაულისა.

ამდენად, პირის უკანონო მოთავსება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შეიძლება ჩაიდინოს კერძო პირმაც.[1]

პირი, რომელიც კანონიერადაა მოთავსებული ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (მაგალითად, თვით ამ პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თხოვნით, ან გამომძიებლის დადგენილებით), უნდა შემოწმდეს ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის მიერ 48 საათის განმავლობაში. თუ ეს კომისია არ მიიჩნევს საჭიროდ პირის ჰოსპიტალიზაციას, იგი დაუყოვნებლივ უნდა გაეწეროს საავადმყოფოდან. თუ ეს არ მოხდა, ადგილი ექნება პირის უკანონო დაკავებას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ამ დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა ასევე მაშინ, როცა ექიმ-ფსიქიატრთა კომისია რაიმე პირადი მოტივით, სათანადო საფუძვლის გარეშე (როცა პირი არ საჭიროებს ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებას), მიიღებს გადაწყვეტილებას პირის ჰოსპიტალიზაციის შესახებ,

1 აქედან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ამ დანაშაულის სუბიექტია მხოლოდ ექიმ-ფსიქიატრი ან მოსამართლე.

ანდა, როცა სასამართლო განზრახ უკანონოდ ღებულობს გადაწყვეტილებას პირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობის შესახებ, მაშინ, როცა პირის ფსიქიკური მდგომარეობა ამის საჭიროებას არ მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, თანახმაა თუ არა ამაზე თვით პირი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი. მაგალითად, ადამიანს სურს თავი აარიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებლობას. იგი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი, შეუთანხმდება ექიმ-ფსიქიატრებსა და მოსამართლეს, ცნონ შეურაცხადად ფსიქიკური მდგომარეობის გამო და მოათავსონ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ამ საავადმყოფოში მოთავსებაზე არ გამორიცხავს ექიმ-ფსიქიატრისა და მოსამართლის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებლობას სსკ 149-ე მუხლით. მოსამართლის მიერ უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა, ამ შემთხვევაში, უნდა ჩაითვალოს სსკ 332-ე მუხლის კერძო შემთხვევად და უნდა დაკვალიფიცირდეს 149-ე მუხლით.[1] ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა შემდეგი გარემოება: განსახილველი დანაშაულის ობიექტია არა მარტო ადამიანის თავისუფლება, არამედ მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე. პირის თანხმობა მისი ჯანმრთელობის დაზიანებაზე არ გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას მით უმეტეს მაშინ, როცა ამ ქმედებას ახორციელებს სპეციალური სუბიექტი (ამ შემთხვევაში მედიცინის მუშაკი ან მოსამართლე). სათვალავში ისიცაა მისაღები, არავითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში თუნდაც თავისი ნებით და სპეციალისტებთან შეთანხმებით უკანონოდ მოხვედრილი პირის მიმართ არ ჩატარდება მკურნალობა, რაც არაა საჭირო მისი ჯანმრთელობისათვის.

ამ დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს მაშინ, როცა ექიმ-ფსიქიატრი ან მოსამართლე არღვევს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პირის მოთავსების წესს. მაგალითად, მოსამართლემ ფსიქიატრთა დასკვნის განხილვისას არ უზრუნველყო პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის დასწრება. ეს ფაქტი შეიძლება გახდეს მოსამართლის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, მაგრამ არა მისი სსკ 149-ე მუხლით პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

ასევე არ გვექნება ამ დანაშაულის შემადგენლობა მაშინ, როცა პირის

1 მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მოსამართლის ქმედება ამ დროს უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 332-ე მუხლით.

ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თხოვნით მას მოათავსებენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამკურნალოდ მაშინ, როცა მისი მკურნალობა ამბულატორიული წესითაც შეიძლება.

სსკ 149-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, ისე ექიმ-ფსიქიატრი და მოსამართლე.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული განზრახია. პირს შეგნებული აქვს, რომ უკანონოდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ათავსებს ადამიანს, ვისაც თავისი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ სჭირდება ფსიქიატრიული მკურნალობა. ამდენად, სახეზეა პირდაპირი განზრახვა. მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება იყოს ანგარება, სიძულვილი, პოლიტიკური ან სხვაგვარი ოპონენტის თავიდან მოცილება და სხვა, რაც მხედველობაში მიიღება სასჯელის განსაზღვრისას.

სსკ 149-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. აქ სახეზეა სპეციალური სუბიექტი, ვისაც შესაძლებლობა აქვს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ზეგავლენა მოახდინოს ექიმ-ფსიქიატრზე ან მოსამართლეზე გადაწყვეტილების გამოტანისას. მაგალითად, ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ჯანდაცვის მინისტრი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ა.შ.

სსკ 149-ე მუხ. მე-2 ნაწ. „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებისას დაემატა მითითება გაუფრთხილებლობაზე, რაც ადრე არ იყო დაფიქსირებული. ამდენად, კანონმდებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ აქ არა მარტო სიცოცხლის მოსპობა, არამედ სხვა მძიმე შედეგიც უნდა დადგეს გაუფრთხილებლობით. განზრახვის შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით – 149-ე მუხლის I ნაწ. და შესაბამისი მუხლით.

ამდენად, თუ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონოდ მოთავსებულს განზრახ მოკლავენ ან ჯანმრთელობას განზრახ მძიმედ დაუზიანებენ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის **ობიექტია** ადამიანისათვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული **თავისუფლება**, კანონის ფარგლებში იმოქმედოს **საკუთარი შეხედულებისამებრ**.

ობიექტური მხრივ იძულება გამოიხატება **მოქმედებაში** – ადამიანის თავისუფლების უკანონო შეზღუდვაში, კერძოდ, პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ **იძულებაში შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება**.

როგორც ამ მუხლის დისპოზიციიდან ჩანს, ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების შეზღუდვა უნდა იყოს **უკანონო**. ამიტომ, როცა პირი კანონიერად უზღუდავს მეორეს ქმედების თავისუფლებას, დანაშაულის შემადგენლობა არა გვაქვს. ასევე ეს ქმედება შეიძლება ჩადენილი იყოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში. მაგალითად, აუცილებელი მოგერიების დროს მომგერიებელი თუ აიძულებს ხელმყოფს გარკვეული ქმედების შესრულებას, ანდა დამნაშავის შეპყრობისას **პოლიციელი აიძულებს დამნაშავეს გაჰყვეს მას პოლიციაში,** ან უკიდურესი აუცილებლობის დროს **პირი იძულებით გადმოსვამს მანქანიდან მძღოლს,** რათა მომაკვდავი ბავშვი მიიყვანოს საავადმყოფოში. ასევე ექიმი აიძულებს ავადმყოფს გარკვეული ფიზიკური ძალის გამოყენებით (ხელების გაკავებით) მიიღოს მკურნალობისათვის აუცილებელი პრეპარატი, ასეთი იძულება მართლზომიერია.

ამდენად, განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე ვლინდება: 1. პირის ფიზიკურ იძულებაში; 2. პირის ფსიქიკურ იძულებაში, თუკი პირის თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა სხვა ხერხის ან საშუალების გამოყენებით იზღუდება (მაგალითად, მოტყუებით, მატერიალური, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), მაშინ, სსკ 150 ე მუხლის შემადგენლობა არა გვაქვს.

პირის **ფიზიკურ იძულებაში** იგულისხმება მისი **გათოკვა**, ხელების გაკავება, **ხელიდან რაიმე დოკუმენტისა** ან სხვა საგნის (მაგალითად, საწერკალმის) **გამოგლეჯა, ცემა, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება**. მაგალითად, მუშაკმა საწარმოს დირექტორს ხელიდან გამოგლიჯა და დახია დოკუმენტი (ბრძანება), რომლითაც მის მიმართ უნდა განეხორციელებინათ დისციპლინური ღონისძიება; ანდა პირმა ცემით აიძულა მისი ახლო

ნათესავი შეედგინა ანდერძი, რითაც მთელ ქონებას მას უანდერძებდა.

როდესაც დაზარალებულისადმი გამოყენებულ იძულებას (მაგალითად, ცემას) შედეგად მოჰყვება ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე, მძიმე დაზიანება ან სიკვდილი, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

თუ პირის იძულებისათვის გამოყენებულია **ისეთი ხერხი**, როგორიცაა **თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ქმედება სსკ 150-ე მუხლით არ დაკვალიფიცირდება**. ამ დროს კვალიფიკაცია მოხდება 143-ე მუხლით. მაგალითად, იმისათვის, რომ დაზარალებულს საჩივარი არ შეეტანა, დამნაშავემ გარკვეული დროით ჩაამწყვდია სარდაფში და მხოლოდ მას შემდეგ გამოუშვა, როცა დაზარალებული დაჰპირდა, რომ არსად არ იჩივლებდა მომხდარის შესახებ.

ფსიქიკური იძულება იგივე მუქარაა. **მუქარა შეიძლება იყოს ნებისმიერი შინაარსის**. კერძოდ, მოკვლის, ჯანმრთელობის დაზიანების, ქონების განადგურების ან დაზიანების, ადამიანის გატაცების, ბინიდან გაგდების, ძალმომრეობითი სქესობრივი დანაშაულის ჩადენისა და სხვა. ამდენად, აქ მუქარა უფრო ფართოდაა გაგებული, ვიდრე სსკ 151-ე მუხლში. ამასთანავე, **შესაძლებელია მუქარა მიმართული იყოს** როგორც **უშუალოდ იმ პირისადმი**, ვისგანაც ითხოვენ გარკვეული ქმედების შესრულებას, **ისე მისი ახლობლისადმიც**, ვისი ბედითაც დაინტერესებულია დაზარალებული. მაგალითად, **პირს ემუქრებიან, თუ უკან არ გამოიტანს სასამართლოში შეტანილ საჩივარს, მას შვილს მოუკლავენ**.

ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედებით ადამიანს აიძულებენ შეასრულოს გარკვეული მოქმედება. მაგალითად, მასწავლებელს აიძულებენ დაუწეროს მოსწავლეს დადებითი ნიშანი, ანდა, ვთქვათ, დაწესებულების ხელმძღვანელს აიძულებენ სამუშაოზე მიიღოს პირი, ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედებისაგან (სასწავლებლის ხელმძღვანელს აიძულებენ არ გარიცხოს სასწავლებლიდან აკადემიურად ჩამორჩენილი სტუდენტი), ანდა საკუთარ თავზე განიკალოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება. მაგალითად, პირს აიძულებენ დალიოს ახალი სამედიცინო პრეპარატი, რათა დადგინდეს ამ პრეპარატის სასარგებლო თვისება; ანდა პირს აიძულებენ თაყის თავზე გამოსცადოს ჰიპნოზის ზემოქმედება. როდესაც ადგილი აქვს პირის იძულებას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მოხმარებაზე, ანდა არასრულწლოვნის იძულებას გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუ-

ალებათა არასამედიცინო მოხმარებაში, ქმედება დაკვალიფიცირდება არა სსკ 150-ე მუხლით, არამედ სსკ 272-ე ან 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ხოლო, თუკი ადგილი აქვს ჰიპნოზის იძულებით გამოყენებას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ და ამ გზით პირის იძულებას მისცეს ჩვენება, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 335-ე მუხლით – ჩვენების მიცემის იძულება სხვა უკანონო ქმედებით.

საერთოდ, სსკ 150-ე მუხლის შემადგენლობა სახეზეა მაშინ, როცა პირს აიძულებენ შეასრულოს ან არ შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ე.ი. კანონით მისი გადასაწყვეტია ამ ქმედებას ჩაიდენს თუ არა. ამიტომ, **როცა პირი სხვას აიძულებს ისეთი ქმედების ჩადენას, რომელიც მას კანონით უნდა შეესრულებინა, სსკ 150-ე მუხლით პასუხისმგებლობა გამორიცხულია.** მაგალითად, არ გვექნება განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა მაშინ, როცა ავადმყოფის მშობელი მუქარით აიძულებს მედიცინის მუშაკს, დახმარება გაუწიოს ავადმყოფ ბავშვს მაშინ, როცა, მედიცინის მუშაკი არ უწევს ან არასათანადო დახმარებას უწევს ავადმყოფს. ასევე არ გვექნება ამ დანაშაულის შემადგენლობა მაშინ, როცა კრედიტორი ფიზიკური ან ფსიქიკური ზეწოლის გამოყენებით აიძულებს მოვალეს დროულად გადაუხადოს მას ვალი. ეს იმიტომ, რომ მედიცინის მუშაკი ვალდებულია სათანადო დახმარება აღმოუჩინოს ავადმყოფს. ასევე მოვალე ვალდებულია დროულად გადაიხადოს ვალი. ამ შემთხვევაში მედიცინის მუშაკის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება შეიძლება შეფასდეს როგორც ცემა, ან მუქარა, ანდა თვითნებობა (როცა დადგა მნიშვნელოვანი ზიანი), თუ არ არსებობდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები (ავადმყოფის სიცოცხლისათვის სახიფათო ვითარება, როცა აუცილებელია დაუყოვნებლივი სამედიცინო დახმარება). ასევე შეიძლება დაკვალიფიცირდეს კრედიტორის ქმედებაც.

აღსანიშნავია, რომ სსკ 150-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის **აუცილებელი არ არის ის ქმედება, რის ჩადენასაც პირს აიძულებენ, იკრძალებოდეს სამართლის ან მორალის ნორმით.** ამიტომ იძულებად ჩაითვლება ქმედება, როცა, **მაგალითად, პირი ქუჩაში გამვლელს ფიზიკურ ან ფსიქიკური ზემოქმედების გამოყენებით აიძულებს თქვას ლექსი ან იმღეროს.** ამდენად, იძულებით ჩადენილ ქმედებას შეიძლება ჰქონდეს იურიდიული მნიშვნელობა (მაგალითად, პირს აიძულებენ ხელი მოაწეროს უძრავი ნივთის გაყიდვის

თანხმობაზე), ანდა სრულიად ნეიტრალური იყოს როგორც იურიდიული, ისე მორალური თვალსაზრისითაც. მაგრამ, როცა პირი აიძულებს მეორეს ჩაიდინოს რაიმე დანაშაული, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ 150-ე მუხლით, არამედ, როგორც შესაბამისი **დანაშაულის წაქეზება**.[1]

სსკ 150-ე მუხლის დისპოზიცია იმგვარია, რომ ძნელია ერთმნიშვნელოვნად დასაბუთება იმისა, თუ როდისაა ეს დანაშაული დამთავრებული. ამის მიუხედავად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სსკ 150-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული **დამთავრებულია მაშინ, როცა პირს აიძულებენ** შეასრულოს რაიმე ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), ანდა აიძულებენ საკუთარ თავზე გაიმსცადოს მისი ნების საწინააღმდეგო ზემოქმედება, იმის მიუხედავად, შეასრულა თუ არა მან დამნაშავისთვის სასურველი ქმედება.

სსკ 150-ე მუხლით გათვალისწინებულია იძულების ზოგადი ნორმა, ხოლო სსკ სხვა მუხლებში ვხვდებით **იძულების კერძო შემთხვევის** შემცველ ნორმებს. მაგალითად, სსკ 134-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა **ადამიანის ორგანოს**, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულებისათვის. ასეთი ქმედების ჩადენისას კვალიფიკაცია ხდება სსკ 134-ე მუხლით და არა 150-ე მუხლით, რადგანაც ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენციის დროს უპირატესობა ენიჭება **სპეციალურ ნორმას** (ამ შემთხვევაში სსკ 134-ე მუხლს).

ასევე, როცა იძულება არის რომელიმე სხვა დანაშაულის შემადგენელი ნაწილი (მაგალითად, გაუპატიურება შეიძლება მოხდეს ფსიქიკური იძულებით), უპირატესობა ენიჭება მთელ ნორმას, რომელშიც იძულება შედის, როგორც შემადგენელი ნაწილი. ამდენად, ამ შემთხვევაში ქმედება კვალიფიცირდება სსკ 137-ე მუხლით – გაუპატიურება.

იძულების ამსრულებელია ყოველი შერაცხადი პირი, რომელიც მიღ-

---

1 იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის ვინც ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით ადამიანს დანაშაულს ჩაადენინებს, პასუხი უნდა აგოს სსკ 150-ე მუხლით და იმ დანაშაული თანამონაწილეობით, რომლის ჩადენაშიც დაიყოლია პირი იძულებით, რადგან ამ შემთხვევაში ეს პირი ხელყოფს ორ სიკეთეს და მათ შორის ერთ-ერთი არის წაქეზებულის პიროვნება (იხ. თ. ებრალიძე, წამქეზებელი წაქეზებულის წინააღმდეგ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები, რედ. ო. გამყრელიძე, გამომც. „მერიდიანი", 2006, გვ. 192-193).
ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. ფიზიკური და ფსიქიკური იძულება თუ გამოყენებულია იმისთვის, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინოს, ეს უნდა შეფასდეს როგორც წაქეზება, რადგან საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სხვა ხერხების გარდა (თხოვნა, მოსყიდვა, აგიტაცია) წაქეზება შეიძლება განხორციელდეს როგორც მუქარით, ასევე ძალადობით.

წეულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. მოტივს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, იგი მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას. ხოლო მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა აქვს. ფიზიკური და ფსიქიკური **იძულების მიზანია სხვა პირს ჩაადენინოს რაიმე ქმედება** (მოქმედება ან უმოქმედობა), ან საკუთარ თავზე განაცდევინოს **მისი ნება-სურვილის** საწინააღმდეგო ზემოქმედება. მიაღწია თუ არა მიზანს დამნაშავემ, ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სსკ 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ. არასრულწლოვნია პირი, ვისაც არ შესრულებია 18 წელი. დამნაშავეს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ ის პირი, ვისაც აიძულებს რაიმე ქმედების ჩადენას, არაა მიღწეული 18 წელს.

მუქარა (სსკ 151-ე მუხლი)

საზოგადოდ ცნობილია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს პირს თავისი იდეისა თუ აზრის გამო, რომელიც, თუნდაც, საჯაროდაა გამოთქმული. აზრის, იდეის გამომჟღავნება არ წარმოადგენს დასჯად სტადიას.

განსახილველი ნორმის შემადგენლობა დაფუძნებულია არაა ზოგადად რაიმე იდეის გამომჟღავნებაზე, არამედ აქ **პირი კონკრეტულ ადამიანს ემუქრება კონკრეტული ძალადობითი** ქმედების ჩადენით, თანაც მუქარა გარეგნულად ისეთი ფორმითაა გამოხატული, რომ მუქარის ადრესატს ამ მუქარის განხორციელების **საფუძვლიანი შიში უჩნდება**. შედეგად კი ვღებულობთ იმას, რომ დაზარალებულს ერღვევა მყუდროება, იგი კარგავს სიმშვიდეს, რადგანაც ყოველ წუთს ელოდება ძალადობით ქმედებას სხვა პირის მხრიდან. სწორედ ამაში მდგომარეობს მუქარის საზოგადოებრივი საშიშროება.

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის **ობიექტია ადამიანის ფსიქიკური ხელშეუხებლობა, მისი სიმშვიდე და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლება.**

ობიექტური მხრივ ეს დანაშაული გამოიხატება **მოქმედებაში**, კერძოდ, **მუქარაში**. უმოქმედობით ამ დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია. **მუქარა შეიძლება განხორციელდეს წერილის მიწერით, სატელეფონო საუბრით, პირისპირ საუბრით, ტელეგრაფით, იარაღის დემონსტრირებით**. ასევე დამნაშავემ მუქარა შეიძლება **შეუთვალოს ადამიანს სხვა პირის მეშვეობით**. მუქარად ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როცა დამნაშავე პირის ახლობლებთან იმუქრება, რომ გადაწყვეტილი აქვს ამ პირის მოკვლა. ამ შემთხვევაში დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ ახლობლები დაზარალებულს შეატყობინებენ მისი განზრახვის შესახებ. მაგალითად, პირს გაურკვეველ ვითარებაში მოუკლეს შვილი. მან ეჭვი მიიტანა მეზობლის ბიჭზე. სამძიმარზე მისულ მეზობლებს, თითქმის ყველას, იგი ეუბნებოდა, რომ, როგორც კი დაკრძალავდა შვილს, იმ დღესვე მოკლავდა მეზობლის ბიჭს, რომელიც, მისი აზრით, იყო ამ მკვლელობის წამქეზებელი.

სსკ 151-ე მუხლით მუქარის შინაარსი დაკონკრეტებულია. იგი უნდა გამოიხატებოდეს სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების მუქარაში. სხვა სახის მუქარა არ გვაძლევს ამ დანაშაულის შემადგენლობას, რაც შეიძლება ნორმის ხარვეზად ჩაითვალოს. მაგალითად, არ მოგვცემს მუქარის შემადგენლობას ძალადობითი სქესობრივი დანაშაულის მუქარა, ასევე ადამიანის მოტაცების (თავისუფლების უკანონო აღკვეთისა თუ მძევლად ხელში ჩაგდების მიზნით) მუქარა.[1] ასევე არ მოგვცემს მუქარის შემადგენლობას სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების (მაგალითად, წარსულში ქურდობისათვის არაერთხელ ნასამართლევი პირი ადამიანს ემუქრება, რომ მოჰპარავს ძვირადღირებულ მანქანას), ანდა ქონების დაზიანების მუქარა (მაგალითად, პირს ემუქრება, ისე დაუჩეჩქვავს ა/მანქანას, რომ მისი შეკეთება ძვირი დაუჯდება), ცემის მუქარა, რაც არ იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას.

ამდენად, სსკ 150-ე მუხლით გათვალისწინებული ფსიქიკური იძულება უფრო ფართოა, ვიდრე 151-ე მუხლით გათვალისწინებული მუქარა.

დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელია არა მარტო მუქარის განხორციელება, არამედ ისიც, რომ იმას, ვისაც ემუქრებიან გაუჩნდეს მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. ამდენად, მუქარა ისეთი ფორმით, ისეთ ვითარებაში და ისეთი პირის მიერ უნდა იყოს წარ-

1 კანონმდებლის ამ პოზიციის ნაწილობრივ ამართლებს ის ფაქტი, რომ ამგვარი მუქარა პრაქტიკაში იშვიათია.

მოთქმული, რომ მუქარის მსხვერპლს საფუძვლიანად გაუჩნდეს მისი განხორციელების შიში. აქედან გამომდინარე, არაა აუცილებელი მუქარა იყოს რეალური, ე.ი. იგი მართლაც მიმართული იყოს მუქარის შინაარსში გამოთქმული ქმედებების ჩასადენად. დამნაშავეს შეიძლება არც ამოძრაებდეს მუქარის განხორციელების მიზანი. ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია არა მუქარის რეალურობა, არამედ მსხვერპლში მისი განხორციელების საფუძვლიანი შიშის გამოწვევა. თუ ასეთი შიში არ გაუჩნდა მას, დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს.

მაინც როდის ჩაითვლება მსხვერპლის შიში საფუძვლიანად? შიშის საფუძვლიანობის დასადგენად სასამართლომ არ უნდა იხელმძღვანელოს არც მხოლოდ სუბიექტური და არც მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმით. თუ იხელმძღვანელებს მხოლოდ სუბიექტური კრიტერიუმით, მაშინ მუქარად უნდა დაკვალიფიცირდეს მშიშარა ადამიანის მიმართ შემთხვევით წამოცდენილი, არასერიოზული მუქარა, რაც არ იქნება გამართლებული. თუ იხელმძღვანელებს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმით, მაშინ მუქარად უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევა, როცა ჩვეულებრივი ფსიქიკური კონსტიტუციის მქონე ადამიანისათვის ეს მუქარა შეიცავს რეალურ საფრთხეს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში პირს, ვისაც დაემუქრნენ, არ გასჩენია მისი განხორციელების შიში, რაც ასევე არ იქნება მართებული. **ამდენად, საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური კრიტერიუმით. ეს იმას ნიშნავს, რომ მუქარის საფუძვლიანობის შესაფასებლად უნდა წარმოიდგინოს ჩვეულებრივი ფსიქიკის ადამიანი (და არა ძალიან მშიშარა ან, პირიქით, ძალიან გულადი) და განსაზღვროს, ჩათვლიდა თუ არა ასეთი ადამიანი ამ მუქარას რეალურად. ამ დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ დამმუქრებლის პიროვნება** (აგრესიული, ან წარსულში ნასამართლევი სხვადასხვა განზრახი დანაშაულისათვის), **ურთიერთდამოკიდებულება დამნაშავესა და მსხვერპლს შორის; მუქარის გამოხატვის ხერხი; მისი არაერთგზისობა; პირის შეიარაღება მუქარის წარმოთქმისას** და ა.შ. ხოლო სუბიექტური კრიტერიუმი ნიშნავს იმას, რომ უნდა დადგინდეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაუჩნდა თუ არა დაზარალებულს ასეთი შიში. თუ იმას, ვისაც ემუქრებოდნენ, ეს შიში არ გასჩენია, მუქარა საზოგადოდ საფუძვლიანი შიშის მომგვრელიც რომ იყოს, დანაშაულის შემადგენლობა არა გვაქვს. ამდენად, როცა პირი აცხადებს, რომ მუქარა მას სერიოზულად არც მიუღია, ანდა ეს მუქარა

მას „სასაცილოდაც არ ეყო“, არ არსებობს საფუძველი ქმედების სსკ 151-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის. ე.ი. მუქარამ რეალურად უნდა დააშინოს, ააფორიაქოს, **სიმშვიდე დაურღვიოს იმას, ვისაც ემუქრებიან**.

იმ პირთა რიცხვში, ვისაც ემუქრებიან, შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ კონკრეტულად ეს პირი, არამედ მისი მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლებიც. მაგალითად, მცირეწლოვანს ემუქრებიან მოკვლით, მართალია, მას არ გაუჩნდა მუქარის განხორციელების შიში, მაგრამ ასეთი შიში საფუძვლიანად გაუჩნდა მის მშობელს.

განსახილველი დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა მუქარის შედეგად დაზარალებულს გაუჩნდება მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

როდესაც მუქარა არის სხვა რომელიმე დანაშაულის შემადგენელი ნაწილი, ქმედება არ დაკვალიფიცირდება მუქარით, რადგანაც მთელი და ნაწილი ნორმის კონკურენციის დროს უპირატესობა ენიჭება მთელ ნორმას. მაგალითად, გაუპატიურება ჩადენილი სიცოცხლის მოსპობის მუქარით, დაკვალიფიცირდება სსკ 137-ე მუხლით. ასევე იძულება, ჩადენილი მუქარით, დაკვალიფიცირდება სსკ 150-ე მუხლით და დამატებით 151-ე მუხლით კვალიფიკაცია საჭირო არაა, რადგან იძულება მოიცავს მუქარასაც, როგორც ამ დანაშაულის ერთ-ერთ ხერხსა და საშუალებას.

აქვე ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს იძულება და მუქარა. ძირითადი განსხვავებანი შემდეგშია: 1. იძულება შეიძლება განხორციელდეს მუქარის გამოყენებით, მაგრამ მუქარა იძულებისთვის არაა ერთადერთი ხერხი (იგი შეიძლება განხორციელდეს ძალადობითაც). 2. იძულების დროს მუქარა არის ერთ-ერთი ხერხი და საშუალება იმისათვის, რომ დაზარალებულს შეასრულებინონ რაიმე ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), ანდა საკუთარ თავზე გამოაცდევინონ თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება. ხოლო მუქარის დროს დამმუქრებელს არა აქვს ასეთი მიზანი, იგი როგორც წესი, არანაირ ქმედებას არ მოითხოვს მსხვერპლისაგან, ან შეიძლება ითხოვდეს ისეთ ქმედებას, რისი შესრულების ვალდებულებაც მას აკისრია (ვალის დაბრუნება). მაგალითად, პირი ემუქრება ადამიანს, თუ შეიტანს განცხადებას პროკურატურაში მის წინააღმდეგ, მას შვილს მოუკლავს. ამ დროს სახეზეა იძულება. მაგრამ, როცა ერთი პირი ემუქრება მეორეს, სადაც კი შეხვდება მას, აუცილებლად მოკლავს – სახეზეა მუქარა. 3. სსკ 150-ე მუხლით გათვალისწინებული ფსიქიკური იძულება (მუქარა) შეიძლება იყოს ნების-

მიერი სახის, ხოლო 151-ე მუხლით მუქარის შინაარსი შეზღუდულია, იგი სულ სამი სახისაა.

მუქარა, როგორც ზოგადი ნორმა უნდა განვასხვაოთ მუქარის სპეციალური შემადგენლობისაგან. როდესაც სახეზეა მუქარის სპეციალური შემადგენლობა (მაგალითად, მუქარა სამართალწარმოების განხორციელებასთან ან წინასწარ გამოძიებასთან დაკავშირებით), ქმედება დაკვალიფიცირდება არა 151-ე, არამედ 365-ე მუხლით.

მუქარის ამსრულებელია ნებისმიერი შერაცხადი 14 წლის პირი. სუბიექტური მხრივ მუქარა ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. მუქარის მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას.

კვალიფიკაციისათვის ასევე არა აქვს მნიშვნელობა დამნაშავის მიზანს. კერძოდ, ჰქონდა თუ არა მას გამიზნული ამ მუქარის რეალიზაცია. დამნაშავეს შეიძლება არც ჰქონდეს მიზნად თუნდაც სამომავლოდ, ამ მუქარის განხორციელება, არამედ სურდეს პირის მხოლოდ დაშინება.[1] მაგალითად, ჩხუბის დროს ერთ-ერთმა მოჩხუბარმა კედელთან მიაყენა მეორე და დანას უტრიალებს ცხვირწინ, თან ემუქრება: „ახლა კი გამოგჭრი ყელს“. ასევე შესაძლოა, პირს მომავალში გამიზნული ჰქონდეს ამ მუქარის რეალიზაცია (მაგალითად, მართლაც სურდეს პირის მოკვლა).[2] თუ ასეთი მუქარა გადაიზარდა კონკრეტული დანაშაულის მომზადებასა ან მცდელობაში (მაგალითად, დამმუქრებელი შეუდგა მკვლელობის მომზადებას – იარაღით ხელში ჩაუსაფრდა ადამიანს), ქმედება დაკვალიფიცირდება არა სსკ 151-ე მუხლით, არამედ მკვლელობის მომზადებით (მაგალითად მე-18, 108-ე მუხლით). ამდენად, **როცა მუქარა გადაიზრდება დანაშაულის მომზადებაში (თუკი ის ისჯება) ან მცდელობაში, ქმედება სსკ 151-ე მუხლით არ დაკვალიფიცირდება. ამ დროს კვალიფიკაცია მოხდება სსკ შესაბამისი დანაშაულის მომზადებით** (თუ ამ დანაშაულის მომზადება დასჯადია) ან მცდელობით.

როცა მუქარა წარმოთქმულია ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მყოფის მიერ, ვისაც შემცირებული აქვს შერაცხადობის უნარი, მას არ უნდა მოჰყვეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

---

1 ამგვარ მუქარას იურიდიულ ლიტერატურაში მარტივ მუქარად მოიხსენიებენ.

2 ასეთ მუქარას იურიდიულ ლიტერატურაში რთულ მუქარას უწოდებენ.

ადგილსამყოფლის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა (სსკ 152-ე მუხლი)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ის უფლება და თავისუფლება, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით.

კერძოდ, კონსტიტუციის ძალით, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება. ასევე შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან, ხოლო საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

დაზარალებული შეიძლება იყოს: 1. საქართველოს მოქალაქე ან 2. საქართველოში კანონიერად მყოფი პირი. განსახილველი ნორმა არ ეხება იმ პირს, ვინც უკანონოდ იმყოფება საქართველოში.

საქართველოში კანონიერად მყოფ პირად ჩაითვლება ის, ვინც ჩვენს ქვეყანაში შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე იმყოფება, თუმცა შეიძლება არ იყოს საქართველოს მოქალაქე (მაგალითად, ტურისტი, სხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელიც საქართველოში ეწევა სამეწარმეო საქმიანობას).

საქართველოს მოქალაქეა ის პირი, ვისაც აქვს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი კანონის საფუძველზე გაცემული დოკუმენტი.

ობიექტური მხრივ სსკ 152-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ძირითადად მოქმედებაში გამოიხატება, თუმცა გამორიცხული არაა მისი ჩადენა უმოქმედობითაც (მაგალითად, პირს არ აძლევენ შესაბამის დოკუმენტს, რაც საჭიროა მისი საქართველოდან გასვლისათვის). დანაშაულის ობიექტური მხარისათვის ასევე აუცილებელია ჩადენილმა ქმედებამ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზიანი. ამდენად, საზღვარი უნდა იყოს მოქმედება ან უმოქმედობა, შედეგი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის. აქედან გამომდინარე, საზღვარია დანაშაულის მატერიალური შემადგენლობა.

ადამიანის უფლებების განხორციელებაში ხელის შეშლა კანონიერი იქნება მაშინ, თუ ის ხორციელდება სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით

(საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მაგალითად, როდესაც საქართველოს მოქალაქეს დროებით არ აძლევენ საქართველოში შემოსვლის უფლებას (კარანტინის რეჟიმით) მძიმე ინფექციური დაავადების თავიდან ასაცილებლად, საქართველოში შემოსვლის უფლების განხორციელებაში ხელის შეშლა კანონიერია.

საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში კანონიერად მყოფის უფლების განხორციელებაში ხელის შეშლა მაშინაა უკანონო, როცა იგი ხორციელდება არა იმ საფუძვლით, რაც ჩამოთვლილია საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილში, არამედ რაიმე სხვა მიზნით.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებაში იგულისხმება პირის მიერ ადგილმდებარეობის თავისუფალი შეცვლა. ეს უფლებაც კანონითაა შეზღუდული. მაგალითად, პირს არა აქვს უფლება სპეციალური ნებართვის გარეშე გადაადგილდეს იმ ტერიტორიაზე, სადაც სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, შეზღუდულია გადაადგილების უფლება.

სახეზე არაა თავისუფალი გადაადგილების უფლების უკანონო შეზღუდვა, როცა ადამიანებს ფაქტობრივად წართმეული აქვთ გადაადგილების საშუალება დიდთოვლობის ან სხვა ბუნებრივი მიზეზის გამო და სათანადო სამსახურის წარმომადგენლები თავიანთი გულგრილობის წყალობით დროულად არ იღებენ შესაბამის ზომებს.

საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა ნიშნავს პირის უფლებას, მისი ნება-სურვილით აირჩიოს, თუ სად იცხოვრებს (თბილისში, ქუთაისში თუ სხვაგან, ან იცხოვრებს ბინაში, სასტუმროში თუ კარავში).

საქართველოდან თავისუფალი გასვლის უფლება ნიშნავს საქართველოში კანონიერად მყოფის შესაძლებლობას, ნებისმიერ დროს კანონის დაცვით დატოვოს საქართველო.

საქართველოს მოქალაქისათვის საქართველოში თავისუფლად შემოსვლის უფლების განხორციელებაში ხელის შეშლა უკანონოა მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეს არ აძლევენ საშუალებას შემოვიდეს საქართველოში (უქმნიან სხვადასხვა დაბრკოლებას) და ამისათვის არ არსებობს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილში ჩამოთვლილი რომელიმე მიზეზი. საქართველოს მოქალაქეს საქართველოში შემოსვლისათვის გარდა პასპორტისა, არ სჭირდება რაიმე დამატებითი დოკუმენტი (მაგალითად, ვიზა) ან ნებართვა.

ამდენად, საქართველოში თავისუფლად შემოსვლა არის მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პრეროგატივა (განსაკუთრებული უფლება) და სწორედ ამიტომაა განსახილველ ნორმაში ამ უფლების დარღვევა ცალკე გამოყოფილი. რაც შეეხება თავისუფალი გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის ან საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლებას, იგი თანაბრად აქვს მინიჭებული არა მარტო საქართველოს მოქალაქეს, არამედ საქართველოში კანონიერად მყოფ ნებისმიერ პირს (უცხოელსა და მოქალაქეობის არმქონეს).

როგორც აღინიშნა, დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა მხოლოდ მაშინ, თუ ამ უფლებათა განხორციელებაში უკანონო ხელის შეშლამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. თუ ასეთი ზიანი არ დადგა, სახეზეა ადმინისტრაციული ან დისციპლინური გადაცდომა. თუ რა უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან ზიანად, ეს ფაქტის საკითხია. ასეთ ზიანად შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი (ხელი შეეშალა სამეწარმეო საქმიანობაში), მორალური ზიანი (ოჯახი დაენგრა, ვერ მოუსწრო მშობლის დაკრძალვას), პირადი ხასიათის ზიანი (ვერ ჩაიტარა აუცილებელი მკურნალობა, რადგანაც არ მისცეს საშუალება დროულად მისულიყო შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში) და ა.შ. აუცილებელია, დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა (უკანონოდ ხელის შეშლა) და დამდგარ მნიშვნელოვან ზიანს შორის. ამ მუხლის 1-ლი ნაწილი არ გულისხმობს დანაშაულის ისეთ ხერხსა და საშუალებას, როგორიცაა ძალადობა ან მისი მუქარა.

ამ დანაშაულის ამსრულებელია ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი (1-ლი ნაწილი). ასევე ამ მუხლის მე-2 ნაწილით სახეზეა სპეციალური სუბიექტი – ვინც იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას. ესაა სსკ 332-ე ან 333-ე მუხლის კერძო შემთხვევა და ამდენად, არაა საჭირო ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით.

სუბიექტური მხრივ სსკ 152-ე მუხლით გათვალისწინებულია დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახ. უკანონო ქმედების ჩამდენი შეიძლება მოქმედებდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. ორივე შემთხვევაში მან პასუხი უნდა აგოს ამ მუხლით. სსკ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, ამ დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენა შეუძლებელია.

როგორც წესი, ქმედების კვალიფიკაციისათვის მოტივსა და მიზანს

მნიშვნელობა არა აქვს. იგი მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას. უკეთუ დამნაშავე მოქმედებს იმ მიზნით, რომ მტრობა ან განხეთქილება ჩამოაგდოს ერებსა ან რასებს შორის, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 142[1]-ე მუხლით. ანდა, თუკი იგი ქმედებას სჩადის (მაგალითად, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევაში უკანონოდ ხელის შეშლით) ეროვნული, რასობრივი თუ სხვა ნიშნით, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 142-ე მუხლით.

განსახილველი ნორმა უნდა განვასხვაოთ თავისუფლების უკანონო აღკვეთისაგან (სსკ 143-ე მუხლი):

1. თავისუფლების უკანონო აღკვეთის დროს დაზარალებული შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. მათ შორის ისიც, ვინც უკანონოდ იმყოფება საქართველოში. 2. თავისუფლების უკანონო აღკვეთისას პირს საერთოდ წართმეული აქვს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა, (მაგალითად, დამწყვდეულია სარდაფში, მიბმულია ხეზე და ა. შ.) ხოლო განსახილველ შემთხვევაში პირს ეკრძალება კონკრეტულ ტერიტორიაზე ყოფნის უფლება (მაგალითად, ხელს უშლიან შევიდეს აჭარის ტერიტორიაზე), ხოლო სხვაგან მას შეუძლია თავისუფლად იმოძრაოს.

სსკ 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

ძალადობაში იგულისხმება გაკოჭვა, ცემა, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება და სხვა. ამგვარმა ძალადობამ არ უნდა გამოიწვიოს ჯანმრთელობის თუნდაც ნაკლებად მძიმე დაზიანება. თუ ეს ან სხვა უფრო მძიმე შედეგი დადგა, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

ძალადობის მუქარაში იგულისხმება ნებისმიერი ძალადობის გამოყენების მუქარა, მათ შორის, მოკვლის მუქარაც.

ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა უნდა განვასხვაოთ იძულებისაგან (150-ე მუხლი). ძირითადი განსხვავება შემდეგშია: 1. იძულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი პირის მიმართ (მათ შორის, საქართველოში უკანონოდ მყოფის მიმართაც) 2. იძულების დროს ძალადობით ან მუქარით პირს აიძულებენ თვითონვე თქვას უარი რაიმე ქმედებაზე, რომლისგანაც თავის შეკავება მისი უფლებაა. ხოლო სსკ 152-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში ძალადობით ან ძალადობის მუქარით პირს ფაქტობრივად წართმეული

აქვს შესაძლებლობა შეასრულოს რაიმე მოქმედება (მაგალითად, ვერ ახერხებს გასვლას სხვა ქალაქში, რადგან მოუწყვეს კარდონი, ვერ გადის საქართველოდან და ა.შ).

სიტყვის თავისუფლების ხელყოფა (მუხლი 153-ე)

სიტყვის თავისუფლება მიეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა კანონებით გარანტირებულ მოქალაქისათვის მინიჭებულ პოლიტიკურ უფლებას. იგი გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობას, უზრუნველყოს თავისი პოლიტიკური თვითგამორკვევა და თავისუფლება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლში მითითებულია, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის თავისუფლება. ამავე დროს ხაზგასმულია, რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება; ხოლო 24-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 24 ივნისს მიღებულ კანონში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ მითითებულია, რომ სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობას. გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას; პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას; ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას; ნებისმიერ ენაზე მეტყველების, დაწერლობის გამოყენების უფლებას; მხილების თავისუფლებასა და მამხილებელთა დაცვას და სხვა.

ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება სიტყვის თავისუფლების ანდა ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლაში.

კანონმდებელი ხაზს უსვამს ხელის შეშლის უკანონობას, ვინაიდან ზოგჯერ, კანონით დადგენილი წესით, შეიძლება შეიზღუდოს სიტყვის, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება. ეს ხდება მაშინ, როდესაც განსაკუთრებით აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში

სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დანაშაულის თავიდან აცილება; სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვა; კონფიდენციურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.

დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული უფლების შეზღუდვამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. რაც შეეხება მნიშვნელოვან ზიანს, იგი შეფასებითი ცნებაა. მასში უნდა ვიგულისხმოთ პირისათვის უკანონოდ თავისუფლების შეზღუდვა, სამსახურში მოწყობაზე უარის თქმა, ინფორმაციის მიღებაზე უარის გამო მისი ან სხვა პირთა უფლების შებღალვა და სხვა.

კოდექსის 153-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მატერიალურ შემადგენლობას გულისხმობს. იგი დამთავრებულია მნიშვნელოვანი ზიანის დადგომის მომენტიდან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში შედის მითითებულ ქმედებათა ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მაგალითად, გაზეთის რედაქტორის მიერ მოქალაქისათვის უსაფუძვლოდ უარის თქმა ისეთი სტატიის გამოქვეყნებაზე, რომელშიც გაკრიტიკებულია მაღალი რანგის ხელისუფლების წარმომადგენლის საქმიანობა; სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მეცნიერისათვის საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისათვის სიტყვის მიუცემლობა და სხვა).

სიტყვის ანდა ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების ხელყოფა განზრახ დანაშაულს ქმნის. იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვის სახით: დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი თავისი მოქმედებით ხელს უშლის მოქალაქეს კონსტიტუციური უფლების განხორციელებაში და სურს იგი, ან არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს, ან გულგრილად ეკიდება უფლების დარღვევას და მნიშვნელოვანი ზიანის დადგომას.

ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა (მუხლი 154-ე)

განსახილველი დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ჟურნალისტზე ზეგავლენის მეშვეობით, რაც მიზნად ისახავს მის პროფესიულ საქმიანობაში ჩარევას, ხდება კონსტიტუციით აღიარებული ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლების შეზღუდვა.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. მასში ასევე ხაზგასმულია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია და ცენზურა დაუშვებელია.

ჟურნალისტია ის პირი, რომელიც კრებს ინფორმაციას და ამზადებს მასალას მასობრივი ინფორმაციის საშუალებისათვის, რომელთანაც იგი დაკავშირებულია შრომითი ან სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობით, ან კიდევ ეწევა ამგვარ საქმიანობას მასმედიის მიერ უფლებამოსილების მინიჭების საფუძველზე.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას, რაც, თავის მხრივ, ცილისწამება, ერთი მხრივ, მის იძულებაში, გაავრცელოს ინფორმაცია, ხოლო, მეორე მხრივ, მისი გავრცელებისაგან თავის შეკავებაში.

კანონიერი ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელის შეშლა გამოიხატება როგორც თვითონ ჟურნალისტზე, ასევე სხვა პირებზე ზეგავლენაში, რათა ჟურნალისტს მოუსპონ შესაძლებლობა, განახორციელოს თავისი კანონიერი პროფესიული საქმიანობა. აიძულონ ისინი გაავრცელონ ცრუ ინფორმაცია ან დამალონ ნამდვილი ინფორმაცია. ხელის შეშლაა ჟურნალისტის მიერ შეგროვებული ინფორმაციის განადგურება, ჟურნალისტური საქმიანობის შეწყვეტის მოთხოვნა და სხვა. ხელის შეშლა მდგომარეობს ცენზურის განხორციელებაში, რედაქციის პროფესიული დამოუკიდებლობისათვის დაბრკოლების შექმნაში; მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გავრცელების უკანონო შეჩერებაში; ტირაჟის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღებასა და განადგურებაში; ჟურნალისტთან კონტაქტის დამყარებისა და ინფორმაციის გადაცემის შეზღუდვაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია სახელმწიფო, კომერციულ ან სხვა სპეციალურად დაცულ საიდუმლოებასთან და სხვ.).

ჟურნალისტის იძულება, გააკრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან, ნიშნავს მის ნებაზე სხვადასხვა ხერხით ზემოქმედებას, გარდა ძალადობისა, რამდენადაც იგი ამძიმებს პასუხისმგებლობას და მითითებულია 154-ე მუხლის მე-2 ნაწილში. ზემოქმედების საშუალება შეიძლება იყოს შანტაჟი, სამსახურში დაწინაურება ან პირიქით და მრავალი სხვა.

ჟურნალისტისათვის რჩევის მიცემა, არ გამოაქვეყნოს მისთვის ცნობილი ფაქტები, დანაშაულის შემადგენლობას არ ქმნის.

აღნიშნული დანაშაული დამთავრებულია ჟურნალისტზე იძულების განხორციელების მომენტიდან, იმისდა მიუხედავად, მიაღწია თუ არა დამნაშავემ მისთვის სასურველ მიზანს.

154-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ მისი მოქმედება მართლსაწინააღმდეგოა და სურს მისი ჩადენა. დანაშაულის ჩადენის მიზანია მასობრივი ინფორმაციის საშუალების თავისუფლებისათვის ხელის შეშლა და თავის სასარგებლოდ წარმართვა. მოტივი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს და იგი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანაშაულის ამსრულებელს წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი.

აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით დამძიმებულია პასუხისმგებლობა, თუ იგივე ქმედება ჩადენილია ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. თუ ძალადობის მუქარა განხორციელდა, სახეზე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობა ანუ კვალიფიკაცია განხორციელდება 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და დამდგარი მავნე შედეგის მიხედვით.

თუ თანამდებობის პირი ხელს შეუშლის ჟურნალისტს პროფესიულ საქმიანობაში სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ქმედება დაკვალიფიცირდება 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და დამატებითი კვალიფიკაცია სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მუხლით საჭირო აღარ არის. ამ შემთხვევაში დამნაშავე იყენებს იმ შესაძლებლობას, რომელიც გამომდინარეობს მისი სამსახურებრივი მდგომარეობიდან ან სამსახურებრივი კავშირებიდან.

რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა (მუხლი 155-ე)

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლში აღნიშნულია, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსში 155-ე მუხლის არსებობა წარმოადგენს ამ კონსტიტუციური დებულების ცხოვრებაში გატარების ერთ-ერთ გარანტიას.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლაში ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა.

რელიგიური წესის აღსრულებისათვის ხელის შეშლა შეიძლება გულისხმობდეს რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობის, წესისა და ჩვეულების აღსრულებისათვის დაბრკოლების შექმნას, გამოხატულს ფიზიკური ზემოქმედებით, მუქარით, ღვთისმსახურების განმახორციელებელი შენობის (ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა და სხვ.) დარბევით, დაკეტვით და სხვა ისეთი მოქმედებით, რომელიც ხელს უშლის ნათლობის, ქორწინების რიტუალისა და სხვა რელიგიური წესის თუ ჩვეულების აღსრულებას.

დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას, ამასთან ერთად, ქმნის ასევე ღვთისმსახურის ან მორწმუნის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა, როგორც მოქმედების თანმდევი შედეგი.იგი გულისხმობს ამა თუ იმ რელიგიური მოძღვრების დაკნინებას, დაცინვას, მის მიმართ შეურაცხმყოფელ გამოთქმებს და სხვა.

სისხლისსამართლებრივი დაცვის ქვეშ იმყოფება მხოლოდ ისეთი რელიგიური დაწესებულება და წეს-ჩვეულების აღსრულება, რომელიც კანონით აკრძალული არ არის. ამიტომ კოდექსის 252-ე მუხლით სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად ითვლება ისეთი რელიგიური გაერთიანების შექმნა, რომლის საქმიანობას თან ერთვის ძალადობა ადამიანის მიმართ, ასევე ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა.

კოდექსის 155-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია ძალადობის ან მისი მუქარის გამოხატვის, ან კიდევ მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფის მომენტიდან. ძალადობა გულისხმობს ცემას ან პირისათვის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების მიყენებას. თუ ძალადობა უფრო საშიშია და გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ან ძალადობის მუქარა რეალურად განხორციელდა, სახეზე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობა.

დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს და ძალადობის გამოყენებით თუ მისი მუქარით ხელს უშლის რელიგიური წესისა და ჩვეულების აღსრულებას ან თავისი ქმედებით შეურაცხყოფს მორწმუნესა და ღვთისმსახურს და სურს ამგვარი მოქმედების განხორციელება.

კოდექსის 155-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მოტივი სხვადასხვაგვარია (მაგალითად, შურისძიება, რელიგიური შეწყნარებლობა, შუღლი, ხულიგნური ქვენაგრძნობა და სხვა), თუმცა იგი დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

დანაშაულის ამსრულებლად მუხლის 1-ლი ნაწილით გვევლინება ყველა შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელსაც თოთხმეტი წელი შეუსრულდა. მუხლის მე-2 ნაწილი მაკვალიფიცირებელ გარემოებას გულისხმობს. პასუხისმგებლობა უფრო მკაცრდება, თუ იგივე ქმედება ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. აქ იგულისხმებიან ის თანამდებობის პირები, რომელთაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით შეუძლიათ უკანონოდ ხელი შეუშალონ ღვთისმსახურების განხორციელებას.

დევნა (მუხლი 156-ე)

საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. კონსტიტუციის მე-19 მუხლში კი ხაზგასმულია, რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

კონსტიტუციით აღიარებული თანასწორუფლებიანობის დაცვისა და ამ პრინციპით ადამიანის დევნის დაუშვებლობის ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით დანაშაულია და ისჯება სისხლის სამართლის წესით.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს დევნას ზემოაღნიშნულ კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების გამო. დაზარალებულის დევნა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით: მისთვის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმით, სამუშაოდან უკანონო დათხოვნით, მეცნიერულ მოღვაწეობაში დაბრკოლებათა შექმნით, პროფესიული საქმიანობის უკანონოდ აკრძალვით, პრემიის მიუცემლობით, დაწინაურებაზე უარის თქმით, სამსახურში ცრუ ბრალდების შეთითხნით და მრავალი ხერხით. უკეთუ ცრუ ბრალდება შეთხზულია სპეციალური სუბიექტის მიერ (პროკურორი, გამომძიებელი), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 146-ე მუხლით (უდანაშაულო პირის მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში) ანდა სამოხელეო დანაშაულის შესაბამისი მუხლით.

კოდექსის 156-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება. იგი დამთავრებულია დევნის განხორციელების მომენტიდან. სავალდებულო არ არის, რომ დაზარალებულის დევნას რაიმე არასასურველი შედეგი მოჰყვეს.

აღნიშნული დანაშაული მხოლოდ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, რამდენადაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და სურს დაზარალებულის მიმართ დევნის განხორციელება.

რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის მოტივს, იგი მრავალგვარია: დამნაშავეს შეიძლება ამოძრავებდეს რელიგიური თუ ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივი, შურისძიება, შური, პოლიტიკური პოზიცია და სხვა.

156-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებლად გვევლინება ყველა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი.

აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილში უფრო გამკაცრებულია პასუხისმგებლობა, თუ ადამიანის დევნა ჩადენილია ძალადობით ან მისი მუქარით; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ასევე რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

დევნის განხორციელებისას ძალადობის გამოყენებად უნდა ჩაითვალოს დაზარალებულის ცემა ან ჯანმრთელობისათვის მსუბუქი დაზიანების მიყენება; ხოლო ძალადობის მუქარა გვექნება მაშინ, როდესაც იგი დაკავშირებულია მის საქმიანობის განხორციელებასთან, იქნება ეს პროფესიული, რელიგიური, მეცნიერული თუ პოლიტიკური საქმიანობა. ეს მუქარა თავის თავში მოიცავს დაზარალებულის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნას.

აღნიშნული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს დამნაშავე პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რაც, ცხადია, უფრო ზრდის მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროებას.

მნიშვნელოვანი ზიანის ცნება შეფასებითი ხასიათისაა და სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს საქმის ყველა კონკრეტული გარემოება, რათა სწორედ იყოს დადგენილი მნიშვნელოვანი ზიანის არსებობა (მაგალითად, უმუშევრობა და ამით გამოწვეული ოჯახის წევრების მძიმე მატერიალური მდგომარეობა, დაზარალებულის მძიმე ნერვული დაავადება და სხვა). კოდექსის 156-ე მუხლის ამ ნაწილით დანაშაული უკვე მატერიალური შემადგენლობისაა და იგი დამთავრებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

პირადი ან ოჯახური საიდუმლოების ხელყოფა (მუხლი 157-ე)

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლში ჩაწერილია, რომ ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. ამასთან, კონსტიტუციის 41-ე მუხლში ხაზგასმულია, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

პირადი ცხოვრების ან ოჯახური საიდუმლოების ხელყოფის სისხლისსამართლებრივი აკრძალვა ამ უფლების რეალურად განხორციელების ერთ-ერთი გარანტიაა. პირად ან ოჯახურ საიდუმლოებას წარმოადგენს ისეთი ცნობა, რომლის გახმაურება თვით იმ პირის თანხმობის გარეშე, ვისაც ეს ეხება, არ შეიძლება. მაგრამ საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ცნობა, რომელიც ადრე უკვე გამოქვეყნებული ან სხვაგვარი ხერხით იყო გახმაურებული.

პირად და ოჯახურ საიდუმლოებას წარმოადგენენ ცნობები, რომლებიც, დაზარალებულის აზრით, არ უნდა იქნეს გახმაურებული. პირადი ცხოვრების საიდუმლოება შეიძლება ეხებოდეს მის ჯანმრთელობას, ცხოვრების წესს, სექსუალურ ორიენტაციას, შემოქმედებით გეგმებს და სხვა. თუ ხდება ისეთი ცნობის გახმაურება, რომელიც წარმოადგენს კანონით დაცულ საიდუმლოებას, პასუხისმგებლობა დგება სპეციალური ნორმით ნორმათა კონკურენციის საფუძველზე (მაგალითად, კოდექსის 175-ე მუხლით გათვალისწინებული შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება).

157-ე მუხლის I-ლი ნაწილის ობიექტური შემადგენლობა ვლინდება პირადი ან ოჯახური საიდუმლოების უკანონოდ მოპოვებაში, შენახვასა ან გავრცელებაში. ყველა ეს მოქმედება უკანონოა იმის გამო, რომ ისინი ხორციელდება იმ პირის თანხმობის გარეშე, ვისაც იგი ეხება.

საიდუმლოების უკანონოდ მოპოვება გულისხმობს სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით კონკრეტული პირის თუ ოჯახის კერძო ცხოვრების შესახებ ცნობების მოძიებასა და შეგროვებას. ინფორმაცია შეიძლება იკრიფებოდეს საიდუმლოდ ან ღიადაც ორგანიზაცია-დაწესებულებაში დოკუმენტების გაცნობის გზით, ნათესავებთან, მეზობლებთან საუბრით, ცნობების გატაცებით და სხვა.

პირადი ან ოჯახური საიდუმლოების შეკრება შეიძლება გამოიხატოს პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების საიდუმლოების უკანონოდ დარღვევითაც. ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით (კოდექსის 157-ე და 159-ე მუხლები).

საიდუმლოების შემცველი ცნობების შენახვაში ნაგულისხმევია უკვე მოპოვებული ინფორმაციის ფლობა მათი შენახვის ადგილსამყოფელის მიუხედავად. უმეტეს შემთხვევაში იგი მისი გავრცელების წინაპირობას ან დაზარალებულის შანტაჟის საშუალებას წარმოადგენს.

საიდუმლოების შემცველი ცნობების გამოყენება შესაძლოა მოხდეს მისი გავრცელების გარეშეც, როდესაც დამნაშავე ამ ცნობებს იყენებს დაზარალებულის ნებაზე ზემოქმედების მიზნით, ხოლო ცნობების გავრცელებად კი ითვლება მისი შინაარსის შეტყობინება სხვა პირისა ან პირთა ჯგუფისათვის.

კოდექსის 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია ერთ-ერთი ზემოაღნიშნული მოქმედების ჩადენის მომენტიდან. იგი ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება და მისი დამთავრებულად ცნობისათვის მავნე შედეგის დადგომა აუცილებელი არ არის.

157-ე მუხლის მე-2 ნაწილის ობიექტური შემადგენლობა დასჯადად აცხადებს პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ გამოყენებას ანდა გავრცელებას ამა თუ იმ ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებში, მასობრივი მაუწყებლობით ან სხვა საჯარო გამოსვლისას. საიდუმლოების შემცველი ცნობების გამოყენება შესაძლოა მოხდეს მისი გავრცელების გარეშეც, როდესაც დამნაშავე მათ იყენებს დაზარალებულის ნებაზე ზემოქმედების მიზნით, ხოლო კერძო პირის საიდუმლოების გავრცელება შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, კრებასა ან მიტინგზე, კონფერენციაზე გამოსვლაში, საჯაროდ წარდგენილ ნაწარმოებსა (მაგალითად, ვიდეოკასეტით) ან მასობრივი ინფორმაციის საშუალების მეშვეობით

(პრესა, რადიო, ტელევიზია). ყველა ზემოაღნიშნული მოქმედებით ხდება პირთა მნიშვნელოვანი ჯგუფისათვის პირის კერძო ცხოვრების შესახებ ცნობების შეტყობინება.

157-ე მუხლის მე-3 ნაწილით დამნაშავის პასუხისმგებლობა უფრო დამძიმებულია, თუ იგი ჩადენილია ანგარებით, არაერთგზის; იმის მიერ, ვისაც სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოებათა გამო ევალებოდა ამ საიდუმლოების დაცვა; ასევე რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მოქმედება ანგარებით იქნება ჩადენილი, თუ პირი სხვის პირად ან ოჯახურ საიდუმლოებას ამჟღავნებს მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით. ცხადია, რომ ეს ქმედება ზრდის დანაშაულის საშიშროებას და ამძიმებს მისთვის პასუხისმგებლობას (მაგალითად, პარლამენტში არჩევის მიზნით დამნაშავე თავის სასარგებლოდ უარს ათქმევინებს პირს არჩევნებში მონაწილეობაზე პირადი საიდუმლოების გამოქვეყნების მუქარით; ან კიდევ მუსიკალურ თუ ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობაზე და სხვა). ანგარებას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც დამნაშავე გარკვეული სახსრების მიღებით ავრცელებს ან ყიდის ცნობებს პირის კერძო ცხოვრების შესახებ.

რაც შეეხება არაერთგზისი დანაშაულის ცნებას, მისი განმარტება მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში.

იმ პირებში, რომლებსაც საიდუმლოების დაცვა ევალებოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოებათა გამო, იგულისხმებიან, მაგალითად, მოსამართლეები, რომელთა მეშვეობითაც ხდება შეილად აყვანა; ექიმი, რომელსაც არა აქვს უფლება გაახმაუროს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა ან კიდევ მღვდელმსახური, რომელსაც ასევე ეკრძალება აღსარების შედეგად მიღებული ცნობების გახმაურება და სხვა.

თუ პირადი ან ოჯახური საიდუმლოების ხელყოფამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ეს უკვე დანაშაულის მატერიალურ შემადგენლობას ქმნის. აქაც მნიშვნელოვანი ზიანის ცნება შეფასებით მომენტს შეიცავს და იგი ყველა შემთხვევაში საბოლოოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს. ზიანი შეიძლება იყოს მატერიალური (სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმა, უფრო ნაკლებადანაზღაურებად სამუშაოზე გადაყვანა, მატერიალურად მომგებიანი გარიგების ჩაშლა და სხვა). ზიანს შეიძლება მორალური სახეც

ჰქონდეს (ოჯახის დაშლა, გარშემომყოფთა მიერ დაზარალებულისადმი უნდობლობა, საქმიანი რეპუტაციის შელახვა და სხვა).

განსახილველი დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა განზრახი ბრალით გამოიხატება. ამ დროს განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი, დანაშაულის სუბიექტს გაცნობიერებული აქვს, რომ თავისი მოქმედებით არღვევს კანონს, როდესაც ავრცელებს პირად ან ოჯახურ საიდუმლოებას და სურს, მიაყენოს ზიანი მოქალაქის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას. განზრახვა ყოველთვის პირდაპირია მაშინ, როდესაც დამნაშავეს ამოძრავებს ანგარების მოტივი და მიზანი.

დანაშაულის ჩადენის მოტივი სხვადასხვაგვარია. იგი შეიძლება გამოიხატოს პირის კომპრომეტირების სურვილში, დაზარალებულისადმი მტრულ დამოკიდებულებაში, შურისძიებაში და სხვა. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთ მოტივს წარმოადგენს ანგარება.

კოდექსის 157-ე მუხლის სამივე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ყველა შერაცხადი, თოთხმეტი წლის ასაკს მიღწეული ფიზიკური პირი, ხოლო მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით კი – მხოლოდ სპეციალური სუბიექტი: მოსამსახურე, პროფესიული ან სხვა საქმიანობის განმხორციელებელი პირი.

კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა (მუხლი 158-ე)

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებულია, რომ ყოველი ადამიანის საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინება ხელშეუხებელია.

სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლი წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის დაცვის ერთ-ერთ გარანტიას.

2010 წლის 24 სექტემბერს ეს ნორმა ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა. საქართველოს სსკ 158-ე მუხლში ინტეგრირებული იქნა კიბერდამნაშავეობის შესახებ ევროსაბჭოს 2001 წლის კონვენციის მე-3 მუხლის რეკომენდაციები, სახელდობრ, კომპიუტერული სისტემისათვის,

სისტემიდან ან მის ფარგლებში მონაცემთა გადაცემის უნებართვოდ ხელში ჩაგდება.

აღნიშნული რეკომენდაციით ევროკონვენცია მიზნად ისახავს ინფორმაციის ელექტრონული გადაცემის დაცვის გათანაბრებას სატელეფონო საუბრების არასანქცირებული მოსმენისაგან დაცვასთან. მსგავსი ქმედების კრიმინალიზაცია მნიშვნელოვანია ასევე კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ინფორმაციის გადაცემის დროს შესაძლებელია გადაცემის მონაცემების ხელში ჩაგდება. ამგვარად, ნორმით დაცულ ძირითად ინტერესს წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ხოლო დამატებითი შესაძლოა იყოს საკუთრების უფლება ინფორმაციაზე, კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოება, რომელთა შორისაც დამყარებულია კომუნიკაცია.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის ხასიათს და დანაშაულის იარაღს. კერძოდ, უნდა ხდებოდეს არასაჯარო, კონფიდენციალური ინფორმაციის ხელყოფა და თანაც აუცილებლად ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერას ან მიყურადებას, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემის ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების უნებართვო მოპოვებას ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

ამგვარად, 158 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ობიექტურ შემადგენლობას ქმნის კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება, კომპიუტერული მონაცემის უკანონო მოპოვება ტექნიკური საშუალების გამოყენებით. იგი გულისხმობს საუბრის შინაარსის ჩაწერას იმ პირის თანხმობის გარეშე, რომელიც საუბრობს და, მეორე მხრივ, ამგვარი საუბრის მოსმენას ან კომპიუტერული მონაცემის მოპოვებას კანონიერი საფუძვლის გარეშე. ადამიანის ზემოაღნიშნული უფლების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება, აგრეთვე კომპიუტერული მონაცემის უნებართვო მოპოვება გულისხმობს უკანონოს, აგრეთვე იმ შემთხვევას, როდესაც უფლების მფლობელს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუცია უფლება ქმედების ჩამდენი პირისათვის.

კომპიუტერული სისტემის და კომპიუტერული მონაცემის განმარტებები მოცემულია სსკ 284-ე მუხლის შენიშვნაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 158-ე მუხლი მოიცავს მხოლოდ გადაცემული მონაცემების ხელში ჩაგდებას და არ ეხება კომპიუტერში შენახული ინფორმაციის ხელში ჩაგდებას, რადგან კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევისათვის პასუხისმგებლობა დადგენილია სსკ 284-ე მუხლით.

კერძო საუბარი შესაძლებელია როგორც კერძო პირთან, ისე ორგანიზაცია-დაწესებულებების წარმომადგენელთან. დანაშაული დამთავრებულია ტექნიკური საშუალების გამოყენებით კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერის, მიყურადების ან კომპიუტერული მონაცემის მოპოვების მომენტიდან. სპეციალური ტექნიკური საშუალების გამოყენება ზრდის ინფორმაციის სრული მიღების შესაძლებლობას, დანაშაულის სუბიექტის მტკიცე გადაწყვეტილებას, დაარღვიოს მოქალაქისათვის მინიჭებული კომუნიკაციის საიდუმლოების დაცვის კონსტიტუციური უფლება. ასეთ შემთხვევაში ტექნიკური საშუალების გამოყენება, აღნიშნული დანაშაულის ჩადენის საშუალებას წარმოადგენს. ამა თუ იმ მავნე შედეგის დადგომა სცილდება 158-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ფარგლებს.

განსახილველი დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობას ამძიმებს კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ გამოყენება ან გავრცელება.

მუხლის ამ ნაწილით დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას ქმნის მოპოვებული ინფორმაციის უკანონოდ გამოყენება ან გავრცელება. გამოყენება შეიძლება მიზნად ისახავდეს შანტაჟს, პირის რეპუტაციის შელახვას და სხვა. ხოლო ინფორმაციის გავრცელებაში უნდა ვიგულისხმოთ დაზარალებულის საუბრის შინაარსის სხვა, თუგინდ ერთი პირისათვის გადაცემა, ასევე ინფორმაციის მიწოდება მასმედიისათვის და სხვა.

კოდექსის 158-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ ქმედებათა ჩადენას ანგარებით; არაერთგზის; რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ყველა ეს დამამძიმებელი გარემოება განხილულია 157-ე მუხლის კომენტირებისას.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს, რაზეც მიანიშნებს სიტყვები უნებართვო ჩაწერა, მიყურადება, მონაცემის უნებართვო მოპოვება. კიბერდამნაშავეობის შესახებ ევროპული კონვენ-

ცია ხაზს უსვამს რომ აღნიშნული ქმედების ჩადენა ხდება წინასწარი განზრახვით და უნებართვოდ.

ამგვარად, აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი სჩადის აკრძალულ ქმედებას და სურს უკანონოდ დაარღვიოს კერძო კომუნიკაციის საიდუმლოება. დანაშაულის ჩადენის მოტივი შეიძლება იყოს ცნობისმოყვარეობა, ეჭვიანობა, შურისძიება, ანგარება და სხვა. მოტივი მაკვალიფიცირებელ გარემოებას არ წარმოადგენს, მაგრამ გათვალისწინებული იქნება სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.

158-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებულია სპეციალური ამსრულებელი. ამ შემთხვევაში დამნაშავედ გვევლინება მოსამსახურე, რომელიც იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას დანაშაულის ჩასადენად. მოსამსახურეს გააჩნია დამატებითი შესაძლებლობა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაეცნოს კერძო საუბარს თუ ტექნიკური საშუალებით მიღებულ ჩანაწერს ან ინფორმაციას და უკანონოდ გამოიყენოს ან გაავრცელოს იგი.

პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა (მუხლი 159-ე)

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი ხაზს უსვამს, რომ ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით საუბარი, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინება ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

კონსტიტუციის ეს მნიშვნელოვანი დებულება პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახეა და იგი გარანტირებულია სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური მუხლის შეტანით.

ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა ხორციელდება პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ანდა ტელეგრაფით, ფაქსით, კომპიუტერით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების საიდუმლოების უკანონოდ დარღვევით. კანონმდებელი ამომწურავად არ ჩამოთვლის ყველა ტექნიკურ საშუალებასა და ტელეკომუნიკაციებს, რამდენადაც, გარდა ჩამოთვლილისა იგი სხვაც შეიძლება იყოს (ტელეტაიპი, კომპიუტერული კავშირი, ელექტრონული ფოსტა). კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს პირადი მიმოწერა თუ საუბარი ხდება მოქალაქეებს შორის, თუ მოქალაქეს, ორგანიზაციასა და დაწესებულებას შორის.

მიღებული ან გადაცემული შეტყობინების საიდუმლოების უკანონო დარღვევაში იგულისხმება მოქალაქის ნებართვის გარეშე მისი კორესპონდენციის გაცნობა, ასევე სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული საუბრის შემდგომ გავრცელება.

პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილისა და სხვათა გაცნობის კანონიერი შემთხვევებია, როდესაც კორესპონდენცია ამოიღება სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას ჩადენილი დანაშაულის გასახსნელად, დამნაშავის აღმოსაჩენად და დასაკავებლად, თუ საფრთხე ექმნება სახელმწიფოს სამხედრო, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ უშიშროებას და სხვა.

159-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავემ დაიწყო კორესპონდენციის გაცნობა ან მიღებულ შეტყობინებას გადასცემს თუგინდ ერთ პირს დაზარალებულის თანხმობის გარეშე. მნიშვნელობა არა აქვს მოჰყვა თუ არა ამ მოქმედებას რაიმე ზიანი.

აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით გამკაცრებულია პასუხისმგებლობა, თუ იგივე ქმედება ჩადენილია ანგარებით; არაერთგზის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (ყველა ეს დამამძიმებელი გარემოება ჩვენ მიერ განხილულია 157-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დახასიათებისას).

კოდექსის 159-ე მუხლში მითითებული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი არღვევს პირის კონსტიტუციურ უფლებას, სახელდობრ, პირადი მიმოწერისა და საუბრის საიდუმლოების შესახებ უფლებას და სურს მისი განხორციელება. ამ დანაშაულის ჩადენის მოტივი სხვადასხვა

შეიძლება იყოს: ცნობისმოყვარეობა, ეჭვიანობა, შურისძიება და ა.შ.

დანაშაულის ამსრულებელია როგორც კერძო პირი, ისე 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით კვალიფიკაციისას — სპეციალური სუბიექტი. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკმა, ასევე სხვა კომუნიკაციის მოსამსახურე პირმა. სამსახურებრივი მდგომარეობა მათ უადვილებს 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა (მუხლი 160-ე)

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლში აღნიშნულია, რომ არავის არა აქვს უფლება შეიჭიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული აუცილებლობა.

კონსტიტუციური დებულებიდან გამომდინარე და მისი შესრულების უზრუნველსაყოფად სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლი კრძალავს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევას.

აღნიშნული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა ითვალისწინებს ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონო შესვლას, უკანონო ჩხრეკას ან სხვა ქმედებას, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობას.

ბინისა და მფლობელობის ცნებაში იგულისხმება არა მარტო სახლი თუ საცხოვრებელი ბინა, არამედ სასტუმროს ნომერი, ოთახი საერთო საცხოვრებელში, სარდაფი, გარაჟი და სხვა.

უკანონო შესვლად ჩაითვლება სხვა პირის ბინასა თუ სხვა მფლობელობაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამოჩენა და ყოფნა. შესვლა უკანონოა იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია კანონმდებლობის დარღვევით (მაგალითად, ბინის გამოყენება მეპატრონის დროებითი არყოფნისას). სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასადგენად აუცილებელია ზუსტად და ნათლად იყოს გამოხატული ბინის მეპატრონის ნება მასში

სხვა პირის არასასურველი ყოფნის შესახებ.

ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ნაკარნახევია გადაუდებელი აუცილებლობით (მაგალითად, ხანძრის თავიდან ასაცილებლად, დანაშაულის აღსაკვეთად და სხვა), მართლსაწინააღმდეგო ქმედებად არ ითვლება და დანაშაულის შემადგენლობას არ ქმნის. ამგვარი ქმედება, თუმცა ფორმალურად არღვევს ბინის ხელშეუვალობას, სასარგებლოა აუცილებელი მოგერიებისა თუ უკიდურესი აუცილებლობის გარემოებათა ძალით.

გარდა ამისა, კანონი კრძალავს უკანონო ჩხრეკასა და სხვა მსგავს მოქმედებას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ბინაში ჩხრეკისა და სხვა მოქმედებათა ჩასატარებლად (მაგალითად, ამოღება) სავალდებულოა სასამართლოს ბრძანება, რომლითაც პირს ზემოაღნიშნული მოქმედების განხორციელების უფლება ეძლევა.

კოდექსის 160-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალურ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება; იგი დამთავრებულად ითვლება უკანონო შესვლის ან უკანონო ჩხრეკის თუ სხვა მოქმედების ჩატარების მომენტიდან.

აღნიშნული დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირ განზრახვაში ვლინდება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და სურს უკანონოდ შევიდეს ბინაში თუ სხვა მფლობელობაში ან უკანონოდ განახორციელოს ჩხრეკა. დანაშაულის ჩადენის მოტივი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს. იგი შეიძლება გამოიხატოს ხულიგნურ ქვენაგრძნობაში, შურისძიებაში, არასწორად გაგებულ სახელმწიფო ინტერესში და სხვა. მოტივს ყურადღება ექცევა სასჯელის დანიშვნის დროს.

ადამიანისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლების დანაშაულებრივი დარღვევის ამსრულებელია ყველა პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი.

კოდექსის 160-ე მუხლს ახლავს მაკვალიფიცირებელი გარემოებები. მუხლის მე-2 ნაწილით პირის პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ ქმედება ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით; ასევე, თუ ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ძალადობა გულისხმობს ჯანმრთელობისათვის მსუბუქი დაზიანების მიყენებას ან ცემას. თუ ძალადობას ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება მოჰყვა, ქმედება

დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება. რაც შეეხება მნიშვნელოვან ზიანს, იგი შეფასებით მომენტს გულისხმობს და სასამართლოს მიერ დადგინდება საქმის ყველა გარემოების შესწავლისა და შეფასების შემდეგ. მნიშვნელოვანი ზიანი დანაშაულის მატერიალურ შემადგენლობას ქმნის და იგი დამთავრებულია სწორედ ზიანის დადგომის მომენტიდან. აღნიშნული ზიანი შეიძლება გამოიხატოს როგორც მატერიალურ, ისე მორალურ ზიანში.

აღნიშნული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მძიმდება, თუ იგი ჩადენილია ჯგუფურად ან სამსახურებრივი მდგომარეობის, ან იარაღის გამოყენებით. (ჯგუფური დანაშაულის ცნება მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში). სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება კი გულისხმობს, მაგალითად, პოლიციელის მიერ სათანადო ნებართვის გარეშე ბინაში შესვლასა და ჩხრეკის ჩატარებას, საერთო საცხოვრებლის დირექტორის უკანონო შესვლას სხვის ოთახში და სხვა. გამორიცხული არ არის, რომ საჯარო მოხელის მიერ აღნიშნული ქმედების უკანონოდ განხორციელებამ დანაშაულთა ერთობლიობა მოგვცეს და აღნიშნულ მუხლთან ერთად მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაშიც გამოიხატოს.

რაც შეეხება იარაღის გამოყენებას, მას უფრო ძალადობის გამოყენების მუქარის ხასიათი აქვს. იგი მისი მაღალი საშიშროებიდან გამომდინარე დანაშაულს უფრო ამძიმებს. კანონმდებელი არ აზუსტებს, თუ რას გულისხმობს იარაღში, მხოლოდ ცეცხლსასროლ თუ ცივ იარაღსაც. თუ იარაღის გამოყენებას მაინც შედეგი მოჰყვა, მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, დანაშაულით მიყენებული ზიანის გათვალისწინებით.

კოდექსის 160-ე მუხლის იმ ნაწილით, სადაც საუბარია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევაზე, დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია.

შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა (მუხლი 161-ე)

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის საფუძველზე ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

საქართველოს კონსტიტუციის ამ დებულების საფუძველზე 1997 წლის 12 ივნისს მიღებულ იქნა კანონი შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ, რომელიც აწესრიგებს პირებისათვის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების განხორციელებას — წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. ამ კანონით გათვალისწინებულია ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

სისხლის სამართლის კოდექსში აისახა ნორმა, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას აღნიშნული უფლების ხელყოფისათვის. ამ დანაშაულის საშიშროება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით მოქალაქეთათვის მინიჭებულ უფლებათა შეზღუდვაში გამოხატონ თავისი აზრი ქვეყანაში მიმდინარე ამა თუ იმ მოვლენის შესახებ შეკრებისა ან მანიფესტაციის მოწყობის საშუალებით.

აღნიშნული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლაში, თუ იგი განხორციელებულია ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

შეკრება — ეს არის მოქალაქეთა ჯგუფის თავშეყრა ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგი — საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით. მანიფესტაცია კი გულისხმობს

მოქალაქეთა დემონსტრაციას, მასობრივ საჯარო გამოსვლას, ქუჩაში მსვლელობას სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობას პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტებისა და სხვა სახვითი საშუალების გამოყენებით.

შეკრების ან მანიფესტაციისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ნიშნავს აღნიშნულ ღონისძიებათა კანონის საწინააღმდეგოდ აკრძალვას ან სხვაგვარი წინააღმდეგობის შექმნას; კერძოდ, შეკრების ორგანიზატორებსა და მონაწილეებზე ფიზიკური ზემოქმედების ან ასეთი ზემოქმედების მუქარის მეშვეობით. უკანონოდ ხელის შეშლას ხშირად ადგილი აქვს პოლიტიკური ან სოციალური აქციების განხორციელების დროს.

ამგვარ შეკრებათა აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათი მშვიდობიანი ხასიათი და იარაღის უქონლობა, ანუ, როდესაც იგი ტარდება როგორც კანონით ნებადართული ღონისძიება.

კოდექსის 161-ე მუხლით გათვალისწინებული ობიექტური შემადგენლობა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაშიც (მაგალითად, საჯარო მოხელის მიერ ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარების უკანონო აკრძალვა, შეკრების ჩატარებისათვის შენობის მიცემაზე უარის თქმა და ა.შ.).

მუხლში მითითებული ძალადობა ან მისი მუქარა წარმოადგენს მოქალაქის კანონიერ უფლებათა რეალიზაციისათვის ხელის შეშლის ფორმას. იგი შეიძლება გამოიხატოს ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებაში, ცემაში ან მათი მიყენების მუქარაში. თუ ძალადობას მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

ზემოაღნიშნულის გარდა, დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მითითებულ ქმედებათა ჩადენა დამნაშავის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მაგალითად, როდესაც ქალაქის მერს შესაძლებლობა აქვს ბოროტად ისარგებლოს თავისი მდგომარეობით და კანონის საწინააღმდეგოდ ხელი შეუშალოს მოქალაქეებს მათი კონსტიტუციური უფლების განხორციელებაში). დანაშაული დამთავრებულია შეკრების ან მანიფესტაციის ძალადობით ან მისი გამოყენების მუქარით უკანონოდ ხელის შეშლის მომენტიდან.

დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა განზრახვით ხასიათდება. მას პირდაპირი განზრახვის სახე აქვს, ვინაიდან დამნაშავეს გაცნო-

ბიერებული აქვს, რომ იგი თავისი ქმედებით უკანონოდ უშლის ხელს შეკრების ან მანიფესტაციის უფლების განხორციელებას და სურს მისი დაშლა. დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი სხვადასხვაგვარია და ისინი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენენ. მოტივი შეიძლება იყოს ხულიგნური, პოლიტიკური, ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოძრაობის იდეების მიუღებლობა და სხვა.

დანაშაულის ამსრულებელია კერძო პირი ან სპეციალური სუბიექტი, რომელიც იყენებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საქმის გარემოებიდან გამომდინარე, თუ მაგალითად, მოხელე პოლიტიკური აქციის ხელის შეშლის მიზნით გამოიყენებს ძალადობას, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დანაშაულთა ერთობლიობას. ქმედება დაკვალიფიცირდება ზემოაღნიშნული მუხლით და მუხლით სამოხელეო დანაშაულის თავიდან (მუხ. 332-ე ნაწილი მე-3, პუნქტი „ბ“ ან 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის პუნქტი „ბ“).

კოდექსის 161-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა მკაცრდება, თუ იგი ჩადენილია იარაღის გამოყენებით ან თუ ქმედებამ მასობრივი არეულობა, სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. როგორც კოდექსის 160-ე მუხლის განხილვისას აღვნიშნეთ, იარაღის გამოყენებას უფრო ძალადობის გამოყენების მუქარის ხასიათი აქვს (მაგალითად, გასროლა ჰაერში), თუმცა შეიძლება მისი გამოყენება პირდაპირი დანიშნულების გარეშე (იარაღის თავში ჩარტყმა). თუ იარაღის გამოყენებამ მძიმე შედეგი გამოიწვია (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება), იგი ასევე 161-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირდება.

შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, თუ მან მასობრივი არეულობა გამოიწვია, გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, ანუ ისეთი მოქმედების განხორციელებას, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, ცეცხლის წაკიდება, იარაღის ან ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენება ანდა ხელისუფლების წარმომადგენლისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. ასეთ შემთხვევაში მოქმედება აუცილებლად უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ასევე კონსტიტუციური უფლების

განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლის შედეგად სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევა. ამ დროს დამდგარი შედეგის მიმართ დამნაშავე გაუფრთხილებლობით მოქმედებს. ,

არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა (მუხლი 162-ე)

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის საფუძველზე ყოველ მოქალაქეს თვრამეტი წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება. კონსტიტუციაში ასევე დათქმულია, რომ არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის ჩატარებისას მოქალაქენი გარანტირებული არიან თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილონ დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებები, აგიტაცია გაუწიონ თავის რჩეულს შეკრებაზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი, ასევე დამოუკიდებლად გადაწყვიტონ პლებისციტით გადასაჭრელი საკითხები. მოქალაქის ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა ისჯება სისხლის სამართლის წესით.

აღნიშნული ქმედების საშიშროება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ მოქალაქეთათვის ხელის შეშლა უშუალოდ ან წარმომადგენელთა მეშვეობით აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში, აფერხებს ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მოქალაქის ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლას. კანონმდებელი მუხლის 1-ლ ნაწილში არ მიუთითებს დანაშაულის ჩადენის ხერხზე, იგი სხვადასხვა საშუალებით შეიძლება განხორციელდეს. ხელის შეშლა შეიძლება გამოიხატოს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისაგან ჩამოშორებაში, საარჩევნო სიის გაცნო-

ბისათვის წინააღმდეგობის შექმნაში, სიაში შეტანის თაობაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმაში და სხვა.

რაც შეეხება რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობისათვის მოქალაქეებისათვის ხელის შეშლას, იგი ასევე შეიძლება გამოიხატოს მათი უფლების უკანონო შეზღუდვაში. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს უფლების შეზღუდვას ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილების, სოციალური მდგომარეობის, რწმენისა და სხვა ნიშნით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით (142-ე მუხლით – ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა და 162-ე მუხლით), ვინაიდან აქ არ არსებობს ნორმათა კონკურენცია, არამედ სახეზეა დანაშაულთა რეალური ერთობლიობა.

162-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია ხელის შეშლის ფაქტის დადგენიდან, იმისდა მიუხედავად, რეალურად დაირღვა თუ არა მოქალაქის უფლებები.

მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ იგი ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით, ასევე მოტყუებით, ძალადობით ან ძალადობის მუქარით ან ჯგუფურად (1-ლი ორი გარემოების შესახებ წინა მუხლებში გვქონდა საუბარი).

მოტყუება გულისხმობს პირის შეცდომაში შეყვანას ამა თუ იმ მოქმედების ან მოვლენის ნამდვილი თვისების, დანიშნულებისა და მიზნის შესახებ (მაგალითად, მოქალაქის შეცდომაში შეყვანა დეპუტატობის კანდიდატის მონაცემების შესახებ). მოტყუება, როგორც არჩევნებში, რეფერენდუმსა ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საშუალება ორი სახისაა: აქტიური მოტყუება გულისხმობს პირის წინასწარი განზრახვით შეცდომაში შეყვანას ცრუ ცნობების შეტყობინებით (მაგალითად, საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობის, ბიულეტენის შევსების წესის შესახებ, ყალბი დოკუმენტის მიწოდებით) და სხვა მოქმედებით, რომელიც მოქალაქეს არასწორ წარმოდგენას უქმნის პრეზიდენტობის, დეპუტატობის კანდიდატზე ან რეფერენდუმის თუ პლებისციტის თაობაზე.

პასიური მოტყუება შეიძლება გამოიხატოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამალვაში (კერძოდ, კანდიდატის პიროვნების, მისი პარტიული კუთვნილების შესახებ; არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩატარების ადგილის ან დროის შესახებ და სხვა).

ძალადობის გამოყენება ვლინდება პირის სხეულზე ზემოქმედებით,

რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ან გამოიხატა ცემაში, ან თავისუფლების უკანონო აღკვეთაში. თუ ძალადობას ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება მოჰყვა, ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს. ძალადობის გამოყენების მუქარა შეიძლება შეეხებოდეს ცემას, ჯანმრთელობის დაზიანებას, სიცოცხლის მოსპობას. იგი უნდა იყოს რეალური. მისი რეალიზაციის მომენტი შეიძლება იყოს იმწუთიერი ან მომავლისაკენ მიმართული.

კოდექსის 151-ე მუხლისაგან განსხვავებით (მუქარა), აქ მუქარა წარმოადგენს მოქალაქის კონსტიტუციური უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საშუალებას და იგი საშიშროების უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება.

მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული ყველა მოქმედება დამთავრებულია მისი ჩადენის მომენტიდან, მიუხედავად იმ შედეგის დადგომისა, რომლის მისაღწევადაც იგი იყო ჩადენილი.

162-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი ხელს უშლის მოქალაქის მიერ კონსტიტუციური უფლების განხორციელებას და სურს ამ ქმედების ჩადენა. დანაშაულის ჩადენის მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი ზეგავლენას ახდენს მხოლოდ სასჯელის ზომაზე. მოტივი შეიძლება იყოს როგორც პირადი (შურისძიება, ეჭვიანობა), ასევე პოლიტიკურიც (არ იყოს წამოყენებული კანდიდატი სხვა პარტიიდან) და სხვა.

დანაშაულის ამსრულებელია ყველა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი. სპეციალური სუბიექტია მხოლოდ ის პირი, რომელიც იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას აღნიშნული დანაშაულის ჩასადენად (მაგალითად, ცენტრალური ან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი).

საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა (163 მუხლი)

განსახილველი დანაშაული ახლო დგას კოდექსის 162-ე მუხლით აღწერილ ქმედებით შინაარსთან, რამდენადაც ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული იმ ძირითადი პოლიტიკური უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლას, რომელიც არჩევნებთან არის დაკავშირებული.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლას, რაშაც არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ანდა საარჩევნო უბანში ხმის მიცემის პროცედურის ჩაშლა გამოიწვია. ხელის შეშლა შეიძლება გამოიხატოს საარჩევნო კომისიისათვის შენობის მიუცემლობაში, შენობის ბლოკირებაში, საარჩევნო კომისიის წევრისათვის სხდომაზე დასწრების თუ ხმების დათვლაში მონაწილეობის აკრძალვაში და სხვა.

კოდექსის 163-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია, თუ ხელის შეშლამ არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ანდა საარჩევნო უბანში ხმის მიცემის პროცესის ჩაშლა გამოიწვია.

დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა განზრახვაში გამოიხატება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, იცის, რომ მისმა ქმედებამ შეიძლება ხმის მიცემის პროცესის ჩაშლა გამოიწვიოს და სურს ამ შედეგის დადგომა, ან გულგრილად ეკიდება მას. რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის მოტივს, მას მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა გათვალისწინებულ იქნება სასჯელის დადგენისას. დანაშაულის მოტივად შეიძლება მოგვევლინოს პოლიტიკური მოტივი, შურისძიება, ხულიგნური მოტივი და სხვა.

დანაშაულის სუბიექტია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ყველა შერაცხადი პირი. თუ არჩევნებს, რეფერენდუმს ან პლებისციტს ჩაშლის პირი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ეს დანაშაულის კვალიფიკაციას არ შეცვლის, თუმცა აისახება სასჯელის ზომაზე.

ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება (მუხლი 164-ე)

საქართველოს კონსტიტუციაში მითითებულია, რომ საქართველოში არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე და საარჩევნო კოდექსზე დაყრდნობით სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ხელყოფს მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებას კანონით განსაზღვრული ხმის მიცემის წესით მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა შემდეგი სახის ქმედებაში ვლინდება: 1) არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილის ხმის მიცემის ფარულობის დარღვევაში; 2) საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის წევრის ან ასეთ კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულის მიერ საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო დოკუმენტის გაყალბებაში; 3) ხმების განზრახ არასწორად დათვლაში; 4) არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამებაში და რეფერენდუმისა ან პლებისციტის შედეგების განზრახ არასწორად დადგენაში.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოში არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით. აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენასა და მასზე კონტროლს. კენჭისყრის ფარულობა გარანტირებულია იმით, რომ საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს ფარული კენჭისყრის კაბინაში დახმარებისათვის მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, საარჩევნო უბნის დატოვებაში კაბინების გარეშე, დაუნომრავი ბიულეტენის გაცემაში, ხმის მიცემისას კაბინაში ზემოაღნიშნულ პირთა დასწრებაში და სხვა.

რაც შეეხება, საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის წევრის ან ასეთ კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულის მიერ საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო დოკუმენტების გაყალბებას, იგი გულისხმობს ამგვარ დოკუმენტებში ცრუ ცნობების შეტანას, ნამდვილი დოკუმენტის შინაარსის შეცვლას, ტექსტის ნაწილის შესწორებას, სხვა რიცხვით დათარიღებას, ასევე ყალბი შინაარსის ახალი დოკუმენტის შექმნას (მაგალითად, საარჩევნო სიაში მკვდარი სულების ან ისეთი პირების შეყვანას, რომელთაც არა აქვთ საარჩევნო უფლება). საარჩევნო დოკუმენტს მიეკუთვნება საარჩევნო ბიულეტენი, ამომრჩეველთა სია, კენჭისყრის ოქმი და სხვა.

ხმების განზრახ არასწორად დათვლა გამოიხატება ხმის მიცემის შედეგის განზრახ დამახინჯებაში, ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ ხმის მიმცემთა რაოდენობის შემცირებასა თუ გაზრდის გზით, ხოლო რეფერენდუმსა და პლებისციტში კი – ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას.

არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამება და განზრახ არასწორად დადგენა, განსხვავებით ხმების არასწორი დათვლისაგან, გულისხმობს ხმის დათვლის საბოლოო ეტაპს და მის გამოქვეყნებას, როდესაც ხდება ცრუ, არასწორი შედეგის გამოცხადება (მაგალითად, არსებული სინამდვილის საწინააღმდეგოდ ესა თუ ის კანდიდატი ცხადდება არჩეულად, ან რეფერენდუმის შედეგი გაუქმებულად და სხვა).

კოდექსის 164-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია ჩამოთვლილ მოქმედებათაგან თუგინდ ერთი მოქმედების ჩადენის შემდეგ და მიუხედავად იმისა, მოჰყვა თუ არა მას რაიმე შედეგი, გაყალბდა თუ არა საბოლოოდ არჩევნებისა თუ რეფერენდუმის შედეგები.

განსახილველი დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი თავისი მოქმედებით არღვევს ხმის მიცემის ფარულობას, აყალბებს დოკუმენტს, წინასწარი განზრახვით არასწორად თვლის ბიულეტენებს და სხვა, და სურს ამის განხორციელება.

ჩადენილი დანაშაულის მოტივი და მიზანი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ჩვეულებრივ იგი განპირობებულია გარკვეული შედეგის მისაღწევად პირის დაინტერესებით, ეს შეიძლება იყოს არასწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესი, ანგარება, პოლიტიკური მოტივი და სხვა. მოტივი დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია. ეს შეიძლება იყოს საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო კომისიის წევრი ან ასეთ კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნული პირი. სხვა მოხელეები, რომელთაც პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი აქვთ არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის ჩატარებასთან, პასუხს აგებენ სამოხელეო დანაშაულთა თავში გათვალისწინებული სათანადო მუხლით.

ამომრჩევლის მოსყიდვა (164[1] მუხლი)

საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის ან მოქალაქის ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა სს კოდექსის 162-ე მუხლით დასჯადი ქმედებაა. კანონმდებელმა საარჩევნო პერიოდში ამომრჩევლის მოსყიდვის გზით ნების გამოვლენისათვის ხელის შეშლა სისხლის სამართლის წესით დასჯად სპეციალურ შემადგენლობად შეიტანა.

სს კოდექსის 164[1] მუხლი ბლანკეტური ნორმაა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებული წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) კანონით განსაზღვრული კონკრეტული წესების დარღვევის დროს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. დანაშაულის სუბიექტია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი, რომელიც მოქმედებს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისაგან თავის შეკავების მიზნით. ეს შეიძლება იყოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოს წევრობის ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის კანდიდატი, მისი წარმომადგენელი ან სხვა პირი.

საარჩევნო ბატალიებში ხშირია შემთხვევები, როდესაც კანონიერი საარჩევნო კამპანიის ნაცვლად არჩევნებში მონაწილე კანდიდატები და მათი მხარდამჭერები ცდილობენ ამომრჩეველთა მოსყიდვას, ისეთი აკრძალული მოქმედებით, როგორიცაა: ა) ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობის უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა; ბ) უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის

დაპირება. კანონმდებელი სს კოდექსის 162-ე მუხლის I ნაწილისაგან განსხვავებით, სადაც დანაშაულის ჩადენის ხერხზე მითითებული არ არის, 164[1]-ე მუხლში მიუთითებს კონკრეტულ აკრძალულ ქმედებებზე, რომლებიც საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილშია აკრძალული.

დანაშაულის შემადგენლობის გამომხატველი ისეთი ქმედებები, როგორიცაა ამომრჩეველთათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა შეიძლება გამოიხატოს: როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ისე, საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევისას, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს არჩევნებისას, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე, სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების დარიგებაში, ან სოფლად მცხოვრები ამომრჩევლებისათვის საკვები პროდუქტების, პირველადი მოხმარების საგნების უსასყიდლოდ დარიგებაში ასევე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მოწყობილობის შეღავათიან ფასებში გადაცემაში და სხვ.

რაც შეეხება უფასო მომსახურების გაწევას – იგულისხმება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, სადაზღვევო ან სხვა სახის მატერიალურ ფასეულობათა სამომავლოდ გადაცემის დაპირება.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება აკრძალული ქმედების განხორციელებისთანავე ან ზემოთ მითითებულ რომელიმე შეღავათის ან სიკეთის სამომავლოდ განხორციელების დაპირების მომენტიდან.

კვალიფიკაციისათვის განმსაზღვრელია ქმედების შემადგენლობის ისეთი ობიექტური ელემენტი როგორიცაა დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების დრო. სს კოდექსის 164[1]-ე მუხლში მითითებულია დრო არჩევნების (საერთო, მორიგი, რიგგარეშე, ხელახალი) დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე. ეს ის დროა, როდესაც ფაქტობრივად ხორციელდება წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც საარჩევნო სუბიექტებთან კანდიდატებს, საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად, განუსაზღვრავს საარჩევნო კამპანიისათვის თანასწორ უფლებებს. მიგვაჩნია, რომ ამომრჩევლის ყოველგვარი მოსყიდვის მცდელობა ან მოსყიდვის განხორციელება საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან ხმის მიცემისა-

გან შეკავების მიზნით, შესაძლებელია არჩევნებისა და არჩევნების დღეს ხმის მიცემის დამთავრებამდე და არა არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე, რომელსაც საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს.

დანაშაული განზრახია. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ თავისი მოქმედებით ახორციელებს საარჩევნო კანონმლებლობით კონკრეტულად, საარჩევნო აგიტაციისათვის აკრძალულ ქმედებას.

დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობის სუბიექტური ელემენტია მიზანი. დანაშაულებრივი ქმედების ანუ აკრძალული საარჩევნო კამპანიის განხორციელება ემსახურება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის (საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის კანდიდატი, შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული პარტია, საარჩევნო ბლოკი და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი) მხარდაჭერას არჩევნებში.

ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის მიღება (სსკ 164[2] მუხლი)

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 54-ე მუხლი უთითებს, რომ თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის სანაცვლოდ. აქვე განსაზღვრავს კანონმდებელი ხმის მიცემის პროცედურის წესსა და თანმიმდევრობას.

აღნიშნული წესების დაცვისათვის საარჩევნო კოდექსის 52[1]-ე-54-ე მუხლები ითვალისწინებენ ამომრჩეველთა მარკირებას, რაც ითვალისწინებს უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი ქიმიური საღებავის წასმას ამომრჩევლის მარჯვენა ცერის ან საჩვენებელი თითის ფრჩხილებზე. მარკირების პროცედურის შემოწმების შემდეგ ამომრჩეველს ეძლევა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. თუ ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. მარკირების შემდეგ, პირადობის მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი მიიღებს საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით დაადასტურებს და ფარული კენჭისყრის კაბინაში შევსებულ

ბიულეტენს ათავსებს კონვერტში და შემდგომ ჩაუშვებს საარჩევნო ყუთში. ასევე, დეტალურად აღწერს კანონმდებელი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცედურას.

საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ზუსტი წესების მიუხედავად, ხშირად ხდება სხვისი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის ან ყალბი დოკუმენტის გამოყენება და ხმის მიცემა, ანდა არაერთგზის ხმის მიცემა. ე.წ. საარჩევნო კარუსელის გავრცელებული ხერხები დასჯადად გამოაცხადა კოდექსმა 164[2]-ე მუხლით.

დანაშაულის სუბიექტია ამომრჩეველი ანუ რეფერენდუმში, პლებისციტში და არჩევნებში მონაწილე აქტიური საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქე, რომელიც ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობას იღებს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში, ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებსა და რეფერენდუმში. საარჩევნო კანონმდებლობის მე-5 მუხლით განსაზღვრულია აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა წრე, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კანონით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც კონსტიტუციით ან კანონით შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში იმყოფება.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ხმის მიცემის პროცედურის განხორციელებისთანავე, მიუხედავად იმისა ამან გავლენა იქონია თუ არა არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის შედეგებზე;

კონკრეტულ შემთხვევაში ყალბი ან სხვისი დოკუმენტის გამოყენება, როგორც მოტყუების სახე წარმოადგენს 164[2]-ე მუხლის კონსტრუქციულ ელემენტს და სს კოდექსის 362-ე მუხლით დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს. მაგრამ თუ დამნაშავე მხილებულია ასევე ამგვარი ყალბი დოკუმენტის დამზადებასა და გასაღებაში, მაშინ კვალიფიკაცია ამ მუხლთან ერთად სს კოდექსის 362-ე მუხლითაც მოხდება.

რაც შეეხება სხვისი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის

მიღებას – ესეც მოტყუების ფიზიკური ხერხია, რომლის საშუალებითაც არჩევნების შედეგების გაყალბება ხორციელდება. საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე ხმის არაერთგზის მიცემაც მოტყუების ერთ-ერთი ფიზიკური ხერხია, რომელიც შეიძლება დამნაშავემ განახორციელოს როგორც თავისი პირადობის დამადასტურებელი, ისე სხვისი ან ყალბი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული საკანონმდებლო კონსტრუქცია უცხოა სისხლის სამართლის კოდექსისათვის. სხვა შემადგენლობებში კანონმდებელი არაერთგზისობას მუხლში მაკვალიფიცირებელ გარემოებად უთითებს და შედარებით მკაცრ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

განსახილველი დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

164^2-ე მუხლში მითითებულია შემადგენლობის ისეთ ობიექტურ ელემენტზე როგორიცაა დრო – არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩატარების დღე, როდესაც ამომრჩეველი ახორციელებს ხმის მიცემას. საარჩევნო კანონმდებლობით აკრძალულია კენჭისყრის ჩატარება კენჭისყრის დღემდე ან კენჭისყრის დღის შემდეგ, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

არჩევნების გაყალბება (სსკ 164^3 მუხლი)

2005 წლის 16 დეკემბრის კანონით, სსკ-ში კანონმდებელმა 164^3-ე მუხლი შემოიტანა და არჩევნების გაყალბებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტთა წრე გააფართოვა. განსხვავებით სს კოდექსის 164-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობისაგან, სადაც საარჩევნო კომისიის წევრის ან ასეთ კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულის მიერ საარჩევნო დოკუმენტების გაყალბება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს, ახალი ნორმა სუბიექტზე მითითებას არ საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურად საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, არეგისტრაციო ჟურნალებისა და საკონტროლო ფურცლების განზრახ გაყალბება, ანუ მასში ცრუ ცნობების შეტანა, ნამდვილი დოკუმენტაციის შინაარსის შეცვლა, ტექსტის ნაწილის შესწორება, სხვა რიცხვით დათარიღება არასპეციალური სუბიექტის მიერ ძნელად განსახორციელებელია, კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს კოდექსში არჩევნების გაყალბებისათვის ნორმაში დანაშაულის საერთო სუბიექტზე მითითებას.

განსახილველი დანაშაული საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი პოლიტიკური უფლების – არჩევნების (პასიური ან აქტიური) უფლების განხორციელების ხელის შეშლას უკავშირდება. მიუხედავად სს კოდექსის 164^3-ე მუხლის სათაურისა – არჩევნების გაყალბება (რომელიც შედეგზე ან არჩევნების საბოლოო შედეგზე გავლენას გულისხმობს), დანაშაული დამთავრებულად ითვლება ქმედების განხორციელების მომენტიდან და საჭირო არ არის საარჩევნო დოკუმენტების გაყალბებას შედეგად მოჰყვეს არჩევნების შედეგების გაყალბება. ამ მუხლით დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს არჩევნების საბოლოო შედეგებზე გავლენა იქონია თუ არა საარჩევნო დოკუმენტაციის გაყალბებამ.

სს კოდექსის 164-ე მუხლში კანონმდებელი არ ჩამოთვლიდა საარჩევნო დოკუმენტების სახეებს, კოდექსის 164^3-ე მუხლში კი მათ ამომწურავ ჩამონათვალს აკეთებს. ასეთ დოკუმენტებს მიეკუთვნება: საარჩევნო სიები, ოქმები, ბიულეტენები, სარეგისტრაციო ჟურნალები და საკონტროლო ფურცლები. ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით რეგისტრირებული, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით. ამომრჩეველთა სიებს საარჩევნო ადმინისტრაცია ამოწმებს. რაც შეეხება ოქმებს, კანონმდებელი ალბათ, გულისხმობს საუბნო ან საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, ადმინისტრაციულ ოქმებსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმსა და მათ ქსეროასლებს. ბიულეტენი – ცესკოს განკარგულების საფუძველზე იბეჭდება დადგენილი ნიმუშის მიხედვით, ქართულ ენაზე, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში – ადგილობრივი მოსახლეობის გასაგებ სხვა ენაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენებში შესატანი მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია შესაბამისი საარჩევნო კომისია. ბიულეტენები იბეჭდება ცენტრალურ და საოლქო კომისიების მიერ უფლებამოსილ პირთა და დამკვირვებელთა მუდმივი მეთვალყურეობით. ბიულეტენის დაბეჭდვის დაკვეთის შემსრულებელი პირადად აგებს პასუხს ბიულეტენის ზუსტი რაოდენობის დაბეჭდვაზე, რათა არ გავრცელდეს ზედმეტი ბიულეტენი. ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, საუბარია დამკვეთის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე სს

კოდექსის 164[3]-ე მუხლით. საარჩევნო ბიულეტენის შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემაზე პირადად აგებენ პასუხს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება სპეციალურ ქაღალდზე, რომლის დაკვეთისა და შესყიდვის უფლება აქვს მხოლოდ ცესკოს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 54-ე მუხლის მე-18 ნაწილი ყალბი საარჩევნო ბიულეტენის და ბიულეტენის დასაბეჭდი სპეციალური ქაღალდის დამზადება-გავრცელებას ან გამოყენებას სისხლის სამართლის დანაშაულად აცხადებს.

სარეგისტრაციო ჟურნალი არის კენჭისყრის პროცესში, პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე, ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის დადასტურება და ხელმოწერის შემდეგ, ბიულეტენის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ რეგისტრირებული და ხელმოწერით დადასტურება ამომრჩევლის წერილობითი განცხადების ან სატელეფონო ზეპირი განცხადებისა.

კანონმდებელი მუხლში მითითებას არ აკეთებს ქმედების შემადგენლობის ობიექტურ ელემენტზე — დროზე ანუ არჩევნების პერიოდზე.

განსახილველი დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

დანაშაულის ჩადენის მიზანი და მოტივი შეიძლება სხვადასხვა იყოს. მოტივი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს. მოტივი შეიძლება იყოს არასწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესი, ანგარება და სხვ.

სს კოდექსში არსებული ზოგადი ნორმა 362-ე მუხლის (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) სახით უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას აწესებს, ვიდრე სს კოდექსის 164[3]-ე მუხლი, არჩევნების გაყალბებისათვის საარჩევნო დოკუმენტების გაყალბებით, თუმცა დანაშაულის კვალიფიკაციისათვის ზოგად ნორმაზე მითითება არ ხდება.

საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლით გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით – საქართველოს შრომის კოდექსით,რომელიც მიღებული იქნა 2006 წლის 25 მაისს. კოდექსის X თავის 49-ე მუხლში განსაზღვრულია,რომ „გაფიცვა არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.“

კოდექსი სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს გაფიცვის უფლების რეალიზაციის წესს. იგი ვრცელდება ყველა დამსაქმებელსა და დასაქმებულზე. გაფიცვაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირებს. აქვე აღნიშნულია,რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს გაფიცვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით.

კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული გაფიცვის უფლების ხელყოფა ობიექტური ნიშნით გულისხმობს გაფიცვის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით პირის იძულებას თავი შეიკავოს გაფიცვისაგან.

ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ჯანმრთელობისათვის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებაში. ხოლო თუ ძალადობის გამოყენებამ გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მავნე შედეგი, სახეზე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობა.

იძულების ყველა ხერხი კანონში ჩამოთვლილი არ არის. იგი შეიძლება იყოს დამნაშავისაგან მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულება. მატერიალური დამოკიდებულების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შვილის დამოკიდებულება მშობელთან, ან მომგებიანი შეკვეთის მიღების სურვილი. სამსახურებრივი დამოკიდებულება გვექნება, თუ ზემდგომი თანამდებობის პირი აიძულებს ხელქვეითს უარი თქვას კონსტიტუციით მინიჭებული გაფიცვის უფლების განხორციელებაზე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მას სამუშაოდან გაათავისუფლებს. სხვაგვარი დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს მეგობრულ ურთიერთობაში, როდესაც პირი დავალებულია მეგობრისაგან და იძულებულია მისი თხ-

ოვნით თავი შეიკავოს გაფიცვისაგან.

გაფიცვის უფლების ხელყოფა დამთავრებულია მისი განხორციელების მომენტიდან და მავნე შედეგის დადგომას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, ვინაიდან პირს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი ხელს უშლის მოქალაქის კონსტიტუციური უფლების განხორციელებას და სურს ხელყოს ეს უფლება. აღნიშნული დანაშაულის ჩადენის მოტივი შეიძლება იყოს არასწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესი, შურისძიება, ანგარება და სხვა, თუმცა იგი მაკვალიფიცირებელ გარემოებას არ წარმოადგენს.

კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტია ყველა თოთხმეტი წლის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი. თუ გაფიცვის უფლებას ხელყოფს თანამდებობის პირი, მას არსებული სანქციის ფარგლებში უფრო მკაცრი სასჯელი დაეკისრება.

პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა (მუხლი 166-ე)

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანების, მათ შორის პროფესიული კავშირის შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

კონსტიტუციაში ხაზგასმულია, რომ დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვიძებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირების შექმნა. პირი რომელიც ჩაირიცხება სამხ-

ედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ", რომელიც მიღებული იყო 1997 წლის 31 ოქტომბერს, ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. ხოლო, რაც შეეხება რელიგიური გაერთიანების შექმნისა და მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლას, სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლი წარმოადგენს კონსტიტუციით აღიარებული თავისუფლების განხორციელების გარანტიას.

დანაშაულის ობიექტური ნიშანია ზემოაღნიშნული ორგანიზაციების შექმნისა ან საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ხელის შეშლა შეიძლება გულისხმობდეს პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისა და საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნას (მაგალითად, უკანონო უარს პოლიტიკური პარტიის თუ რელიგიური ორგანიზაციის დაარსებაზე და მის რეგისტრაციაში გატარებაზე; ან კიდევ, რელიგიური ორგანიზაციის მიერ რელიგიური წესის აღსრულებისათვის დაბრკოლების შექმნას და სხვა).

ობიექტური შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნისა ან მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა ძალადობით ან მისი გამოყენების მუქარით, ან კიდევ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ძალადობა ან მისი მუქარა წარმოადგენს მოქალაქის კანონიერ უფლებათა რეალიზაციისათვის ხელის შეშლის ერთ-ერთ ფორმას. იგი გულისხმობს ფიზიკურ ზემოქმედებას ან ასეთი ზემოქმედების მუქარას – ცემას, ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას ან მის მუქარას. თუ ძალადობას მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

დანაშაული დამთავრებულია პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების დაფუძნების ან საქმიანობისათვის დაბრკოლების

შექმნის მომენტიდან, როდესაც გამოყენებულია ძალადობა ან მისი განხორციელების მუქარა. ძალადობით დამდგარი შედეგი სცილდება დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებს.

დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა განზრახვით ხასიათდება, მას პირდაპირი განზრახვის სახე აქვს, ვინაიდან დამნაშავე აცნობიერებს, რომ თავისი მოქმედებით უკანონოდ ხელს უშლის საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნას ან საქმიანობას ძალადობის გამოყენებით ან მისი მუქარით და სურს განახორციელოს იგი.

დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს და ისინი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენენ. მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს პოლიტიკური მიკერძოება, იყოს დაკავშირებული რელიგიურ შეუწყნარებლობასთან, შურისძიებასთან და სხვა.

აღნიშნული დანაშაულის სუბიექტია როგორც კერძო პირი, ისე სპეციალური სუბიექტიც – თანამდებობის პირი, რომელიც იყენებს რა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, ხელს უშლის პარტიულ თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნასა და საქმიანობას. უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დანაშაულთა ერთობლიობას: კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულსა და სამოხელეო დანაშაულის სათანადო მუხლს (332-ე მუხლის ან 333-ე მუხლის შესაბამისი ნაწილები).

ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა (მუხლი 167-ე)

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლში პირველად იყო დაფიქსირებული ყოველი მოქალაქის უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. კონსტიტუციაში ასევე მითითებულია, რომ ოფიციალური ინფორმაცია, დაკავშირებული ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხთან არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების

ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, რომელიც მიღებული იყო 1999 წლის 25 ივნისს, აღნიშნულია ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული საჯარო ინფორმაციის გაცნობისა და მათი ასლების მიღების წესი. პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. პირს უფლება აქვს გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს.

ინფორმაციის ცნების ქვეშ იგულისხმება ის მასალები და დოკუმენტები, რომლებიც შეკრებილია კანონით დადგენილი წესით და შეიცავს ცნობებს, რომელიც აინტერესებს მოქალაქეს იმის გამო, რომ ისინი შეეხება მის უფლებებსა და თავისუფლებებს. დადგენილი წესით შეგროვილი მასალები კი გულისხმობს, რომ თანამდებობის პირს გააჩნია ეს ინფორმაცია კანონისა და მის მიერ განხორციელებული პროფესიული ფუნქციის შესაბამისად.

დანაშაულის ობიექტური ნიშნები მდგომარეობს: 1) პირისათვის უკანონოდ უარის თქმაში მასზე არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის გაცნობას ანდა იმ დოკუმენტის ან მასალის წარდგენაზე, რომელიც უშუალოდ შეეხება მის უფლებებსა და თავისუფლებებს; 2) ასეთი ინფორმაციის, დოკუმენტის ან მასალის არასრულად ან დამახინჯებულად წარდგენაში; 3) ცნობების გასაცნობად სხვაგვარად ხელის შეშლაში. ყველა ზემოაღნიშნული ქმედება იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

უარი უკანონო იქნება, თუ იგი კანონს ან სხვა ნორმატიულ აქტს ეწინააღმდეგება. იგი შეიძლება გამოთქმული იყოს როგორც ზეპირსიტყვიერად, ისე წერილობითი ფორმით.

არასრული ინფორმაციის წარდგენა ნიშნავს პირისათვის მის ნაწილობრივ გაცნობას, ანუ, რომ მას არ გააცნეს ყველა დოკუმენტი ან მასალა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად. დამახინჯებული ინფორმაციის წარდგენა კი გულისხმობს ისეთი ცნობების წარდგენას, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება.

აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქ-

მედებით, ისე უმოქმედობითაც. მაგალითად, დაზარალებულის კანონიერი მოთხოვნის უგულებელყოფა, ინფორმაციის მიწოდების გახანგრძლივება, იმ სხვა პირისათვის გადამისამართება, რომელიც ასეთ ინფორმაციას არ ფლობს. ამასთან, საჭიროა დადგინდეს, რომ სწორედ ეს პირი ფლობდა სათანადო ინფორმაციას და ვალდებული იყო მიეწოდებინა იგი.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნულმა ქმედებამ დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ზიანი იმდენად სხვადასხვაგვარია, რამდენადაც მრავალგვარია მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები. იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც ქონებრივ, ისე მორალურ ზიანში. მაგალითად, ხელფასის, პენსიის გადაუხდელობაში და სხვა. მნიშვნელოვანი ზიანი შეფასებით ნიშანს მიეკუთვნება და ამიტომ სასამართლომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის ყველა მასალის შესწავლისა და შეფასების შედეგად უნდა დაადგინოს ეს ზიანი. ცხადია, რომ ზიანი მიზეზობრივად დაკავშირებული უნდა იყოს აღნიშნულ ქმედებასთან.

კოდექსის 167-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განზრახი ბრალით სასიათდება, ამასთან, განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი (უარის თქმა არსებული ინფორმაციის გაცნობაზე ანდა დოკუმენტების დამახინჯებულად წარდგენა), ასევე არაპირდაპირი (არასრული ინფორმაციის მიწოდება, როდესაც თანამდებობის პირი თავს არ იწუხებს დოკუმენტებისა და მასალების ძებნით და გულგრილად ეკიდება თავისი მოქმედების შედეგს). დანაშაულის ჩადენის სხვადასხვა მოტივი არსებობს (მტრული დამოკიდებულება, შურისძიება, ეჭვიანობა და სხვა).

დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი, რომელიც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ფლობს ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეეხება კონკრეტული მოქალაქის უფლებებსა და თავის-უფლებებს.

შრომის თავისუფლების ხელყოფა (მუხლი 168-ე)

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის საფუძველზე საქართველოში შრომა თავისუფალია. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა. გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა.

საქართველოს კანონმდებლობით დაცულია შრომითი უფლებები, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, ასევე არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები. სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველი დანაშაულის ობიექტური ნიშანი გამოიხატება შრომის თავისუფლების ხელყოფაში, ე.ი. ნებისმიერი სახის კანონიერ შრომითი საქმიანობისათვის ხელის შეშლაში ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ხელის შეშლა გულისხმობს მოქალაქის კონსტიტუციური უფლების – შრომის თავისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევას, მისთვის ხელოვნურად დაბრკოლებათა შექმნას, მის საქმიანობაში უკანონოდ ჩარევასა და სხვა.

კოდექსის 168-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალურ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება. იგი დამთავრებულია ძალადობის ან მისი მუქარის წარმოთქმის მომენტიდან. ძალადობა ან მისი მუქარა წარმოადგენს მოქალაქის კანონიერი უფლების რეალიზაციისათვის ხელის შეშლის ერთ-ერთ ფორმას. იგი შეიძლება გამოიხატოს ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებაში, ცემაში ან მათი მიყენების მუქარაში. თუ ძალადობას მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

აღნიშნული დანაშაული პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი არღვევს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას შრომის თავისუფლების შესახებ და თავისი მიზნის მისაღწევად ახორციელებს აღნიშნულ ქმედებას ძალადობით ან ძალადობის გამოყენება მუქარით.

დანაშაულის ჩადენის მოტივი შეიძლება იყოს შურისძიება, მტრობა, არასწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესი, თუმცა მას კვალიფიკაციაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. იგი გათვალისწინებულ იქნება დამნაშავისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს.

168-ე მუხლში მითითებული დანაშაულის სუბიექტი ძირითადად კერძო პირია, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ დანაშაული ჩაიდინოს თანამდებობის პირმაც, რომელსაც სამსახურებრივად ევალება მოქალაქის შრომის უფლების დაცვა. ამ შემთხვევაში ადგილი ექნება დანაშაულთა ერთობლიობას (კოდექსის 168-ე და 332-ე მუხლის ან 333-ე მუხლის სათანადო ნაწილები).

შრომის კანონმდებლობის დარღვევა (მუხლი 169-ე)

აღნიშნული დანაშაულის საშიშროება მდგომარეობს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული შრომის უფლების დარღვევაში. მოქმედი შრომის კანონმდებლობა ითვალისწინებს მყარ გარანტიებს მოქალაქეთა სამუშაოდ მიღების, დათხოვნისა და აღდგენის უზრუნველსაყოფად.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გამოხატულია მოქალაქის სამუშაოდან უკანონო დათხოვნაში, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში ან შრომის კანონმდებლობის სხვა არსებით დარღვევაში. ყველა ამ მოქმედების სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს უკანონო, დაუსაბუთებელი, კანონით დაკისრებული ქმედების შეუსრულებლობა.

სამუშაოდან უკანონო დათხოვნა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი განხორციელებულია საქართველოს შრომის კოდექსში მითითებული ნორმების საწინააღმდეგოდ, როდესაც არ არსებობს ობიექტური პირობები და საკმაო საფუძველი ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად.

სისხლის სამართლის კოდექსი ამომწურავად არ ჩამოთვლის ყველა იმ გარემოებას, რომელიც შრომის კანონმდებლობის არსებით დარღვევას მიეკუთვნება და რაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. გარდა ჩამოთვლილისა, ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, მცირეწლოვანი ბავშვის დედისათვის უკანონოდ უარის თქმა სამუშაოდ მიღებაზე და სხვა. სწორედ იმის გამო, რომ შრომის კანონმდებლობის არსებითი დარღვევის ფაქტი სასამართლოს დასადგენია, მან ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს და შეაფასოს საქმის ყველა გარემოება და ამის საფუძველზე დაადგინოს, ადგილი ჰქონდა თუ არა შრომის კანონთა კოდექსის არსებით დარღვევას.

ზემოაღნიშნული დანაშაული დამთავრებულია უკანონო მოქმედების განხორციელების მომენტიდან. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის შედეგის დადგომას მნიშვნელობა არა აქვს. უკანონო დათხოვნა დამთავრებულად ითვლება დათხოვნის დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ, ვინაიდან იქამდე, სანამ დათხოვნა დადგენილი წესით არ არის გაფორმებული, ითვლება, რომ მოქალაქე მუშაობს.

რაც შეეხება სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას, იგი დამთავრებულია სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ.

კოდექსის 169-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ბრალის ფორმის მიხედვით განზრახვას გულისხმობს. იგი შეიძლება მხოლოდ პირდაპირი იყოს. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი უკანონოდ და უსაფუძვლოდ სამსახურიდან ითხოვს დაზარალებულს ან არ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას ან სხვაგვარად არღვევს შრომის კანონმდებლობას და სურს მისი ჩადენა.

დანაშაულის ჩადენის მოტივი სხვადასხვა შეიძლება იყოს (მაგალითად, დამნაშავეს არ სურს სამუშაოზე ჰყავდეს პატარა ბავშვების დედა, ვინაიდან ბავშვები ხშირად ავადმყოფობენ და დედა ვერ ცხადდება სამუშაოზე; ან დამნაშავეს პირადი მტრული დამოკიდებულება აქვს დაზარალებულთან; ან დაზარალებულის მიერ მისი საქმიანობის კრიტიკა და სხვა).

დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ორგანიზაცია-დაწესებულების წარმომადგენელი, რომელსაც მოქალაქეების სამუშაოდ მიღებისა და დათხოვნის უფლებამოსილება გააჩნია. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს დამნაშავე თანამდებობის პირია თუ ასრულებს სამეწარმეო ან სხვა კერძო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას.

შრომის დაცვის წესის დარღვევა
(მუხლი 170-ე)

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლში ხაზგასმულია, რომ შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება, უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით. განსაზღვრული პირობების არსებობისას ამ უფლების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

აღნიშნული დანაშაული ორობიექტიანია. მე-2, სავალდებულო ობიექტს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესის დარღვევაში.

170-ე მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია. პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის დასადგენად აუცილებელია გაირკვეს უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის რომელი კონკრეტული წესი იყო დარღვეული. შრომის დაცვის სხვა წესებში იგულისხმება საწარმოო ჰიგიენისა და სანიტარიის, არასრულწლოვანთა სამუშაოდ დაშვებისა და მრავალი სხვა წესი.

ტექნიკის უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის სხვა წესები მრავალფეროვანია. ისინი შეიძლება დაიყოს საერთო და სპეციალურ წესებად. საერთოა ის წესები, რომლებიც სავალდებულოა ყველა სხვა საწარმოდაწესებულებისათვის, ხოლო სპეციალურია ის წესები, რომლებიც ეხება მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა ცალკეულ დარგებს.

უსაფრთხოების ტექნიკის წესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა დგება მიუხედავად საწარმო-დაწესებულების საკუთრების ფორმისა.

დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. იგი მატერიალურ შემადგენლობას განეკუთვნება და დამთავრებულია კანონში მითითებული შედეგის დადგომის მომენტიდან. იგი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს შრომის დაცვის წესის დარღვევასთან. ამგვარ შედეგს წარმოადგენს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება (170-ე მუხლის 1-ლი ნაწილი); ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (მე-2 ნაწილი); ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (მე-3 ნაწილი).

დანაშაული გაუფრთხილებელი ბრალით ხასიათდება. დამნაშავეს

გაცნობიერებული აქვს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ვინაიდან იცის, რომ არღვევს ტექნიკის უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის სხვა წესს, ითვალისწინებს 170-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის დადგომის შესაძლებლობას (ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიცოცხლის მოსპობას), მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებს ან არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

თუ პირი განზრახ არღვევს უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესს, ასევე ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგს და სურს იგი ან უშვებს მის დადგომას, იგი პასუხს აგებს ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის.

დანაშაულის ამსრულებელს წარმოადგენს პირი, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესის დაცვისათვის. დანაშაულის სუბიექტის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მას ეკისრება ვალდებულება დაიცვას აღნიშნული წესები თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ძალით ან სპეციალური განკარგულების საფუძველზე.

თავი VII

დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ

§1. ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ზოგადი დახასიათება

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსით ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში ცალკე თავადაა გამოყოფილი დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით. ოჯახისა და მოზარდის ინტერესების დაცვას ემსახურება ასევე სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტი.[1]

განსახილველი დანაშაულებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის სახეობითი ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ არასრულწლოვნის ნორმალურ ზნეობრივ, ფიზიკურ განვითარებას, ასევე ოჯახის კანონიერი ინტერესების დაცვას.

ამდენად, ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. დანაშაული მიმართული ოჯახის წინააღმდეგ; და

2. დანაშაული არასრულწლოვნის წინააღმდეგ (თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე დანაშაული მიმართულია როგორც ოჯახის, ისე არასრულწლოვნის წინააღმდეგ (მაგალითად, სსკ 172-ე, 174-ე და 175-ე მუხლები).

მსხვერპლი რიგ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ არასრულწლოვანი (სსკ 171-ე და 172-ე მუხლები).

ობიექტური მხრივ ამ თავში შემავალ დანაშაულთა უმეტესი ნაწილი გამოიხატება მოქმედებაში (მაგალითად, 171-ე, 172-ე, 172[1]-ე და ა.შ.).

იშვიათ შემთხვევაში სახეზეა უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულიც

---

1 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ; 1993 წლის 29 მაისის კონვენცია ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების შესახებ და სხვა.

(სსკ 176-ე მუხლი). ზოგიერთი მათგანი შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით (სსკ 173-ე მუხლი). ამ დანაშაულთა ნაწილის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია კანონში აღნიშნული ქმედების ჩადენა და შედეგს მნიშვნელობა არა აქვს (სსკ 171-ე, 172-ე, 172[1]-ე, 174-ე მუხლები, 175-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 176-ე მუხლ.), ხოლო ზოგიერთი მათგანი მატერიალური შემადგენლობისაა (სსკ 173-ე, 175-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი).

განსახილველ დანაშაულთა ამსრულებელი უმეტეს შემთხვევაში არის 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. იშვიათ შემთხვევაში სახეზეა სპეციალური სუბიექტი (სსკ 173-ე მუხ., 175-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი, 176-ე მუხლი).

სუბიექტური მხრივ ამ დანაშაულთა უმეტესობა განზრახია. იშვიათია ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენა შეიძლება როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით (მაგალითად, სსკ 173-ე მუხლი).

არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (სსკ 171-ე მუხლი)

საქართველოს სისხლის სამართლის სადღეისოდ მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებობს სპეციალური ნორმა, რომელიც დააწესებდა პასუხისმგებლობას არასრულწლოვნის ჩაბმისათვის დანაშაულებრივ ქმედებაში. არასრულწლოვნის დაყოლიება დანაშაულში განიხილება, როგორც წაქეზება დანაშაულის ჩადენაში, ანდა როგორც შუალობითი ამსრულებლობა (თუ დანაშაულში ჩაბმულია 14 წელს მიუღწეველი პირი).

სსკ 171-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არასრულწლოვნის ჩაბმისათვის სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულს. საქმე ისაა, რომ არასრულწლოვანი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია ზნეობრივი და ბიოლოგიური თვალსაზრისით. ამდენად, მისი დაყოლიება ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ადვილია და თანაც, ეს ანტისაზოგადოებრივი ქმედება გაცილებით უარყოფითად მოქმედებს არასრულწლოვანზე, ვიდრე სრულწლოვანზე. სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა საქართველოს კანონმდებელმა, როცა სს კოდექსში

შემოიღო 171-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა.

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია არასრულწლოვანის ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება. დამატებითი ობიექტი შეიძლება იყოს არასრულწლოვნის ჯანმრთელობა (171-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

დაზარალებული არის არასრულწლოვანი, ე.ი. 18 წელს მიუღწეველი პირი.

ობიექტური მხრივ ეს დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში. თუმცა მისი ჩადენა შესაძლებელია უმოქმედობითაც. ეს ქმედებებია:

1. არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე; 2. არასრულწლოვნის ჩაბმა გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში (მე-2 ნაწ.); და 3. არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე (მე-3 ნაწ.).

„დაყოლიებას" ორგვარი გაგება ახასიათებს: 1. როცა პირი აიძულებს სხვას დაჰყვეს მას; ან 2. დაითანხმებს რაიმე ქმედების ჩადენაში.[1] ამდენად, დაყოლიების 1-ლი გაგება გულისხმობს იმას, რომ პირი სხვას აიძულებს რაიმე ქმედების ჩადენას, ე.ი. უკვე ჩააბამს მას ამ ქმედებაში.

დაყოლიების მეორენაირი გაგება კი გულისხმობს იმას, რომ პირი მხოლოდ დაითანხმებს სხვას რაიმე ქმედების ჩადენაში.

სსკ 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაყოლიებაში იგულისხმება ის შემთხვევა, როცა პირი აიძულებს არასრულწლოვანს დაიწყოს მათხოვრობა ან სხვა ანტისაზოგადოებრივი ქმედება. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა სსკ 171-ე მუხლის მთლიანი შემადგენლობის ანალიზი. კერძოდ, ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილში ქმედების ობიექტური მხარე გამოიხატება არასრულწლოვნის ჩაბმაში შესაბამის ქმედებაში. „ჩაბმას" კი ადგილი აქვს მაშინ, როცა პირი სხვა პირს მონაწილეობას მიაღებინებს, ჩარევს რამეში.[2] არასრულწლოვნის ჩაბმა გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში (მე-2 ნაწ.) ანდა პროსტიტუციაში (მე-3 ნაწ) უფრო საზიანოა, ვიდრე მისი ჩაბმა მათხოვრობაში. აქედან გამომდინარე, არანაირი გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს იმ აზრს, რომ არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე დამთავრებულ დანაშაულად ჩაითვალოს ამ ქმედებაზე არასრულწლოვნის დათანხმების

1 იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. ნაკვ. პირველი (ა-ლ), მთ. რედ. არნ. ჩიქობავა. თბ., 1990, გვ. 382.

2 იხ. იგივე ლექსიკონი, გვ. 1102.

მომენტიდან, ხოლო პროსტიტუციაში ჩაბმა კი მხოლოდ მაშინ ჩაითვალოს დამთავრებულად, როცა არასრულწლოვანი რეალურად შეუდგება ამ ქმედების ჩადენას.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს კანონმდებელი „დაყოლიებას“ და „ჩაბმას“ თითქმის ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარობს.

დაყოლიებასა და ჩაბმას შორის შეიძლება განსხვავების მოძებნაც. კერძოდ, დაყოლიების დროს პირს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი სხვა პირმა ჩართო რაიმე ქმედების ჩადენაში (ამ შემთხვევაში მათხოვრობაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენაში), აქედან გამომდინარე, ამ მუხლის I ნაწილით ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, რომ არასრულწლოვანს გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ იგი ჩაბმულია მათხოვრობაში. ხოლო ჩაბმის დროს დაზარალებულს შესაძლოა, არც ჰქონდეს გაცნობიერებული იმ ქმედების ფაქტობრივი მხარე ან სოციალური თუ ზნეობრივი მნიშვნელობა, რომელ ქმედებაშიც იგი ჩააბა მეორე პირმა (დამნაშავემ). მაგალითად, არასრულწლოვანს მოტყუებით აძლევენ გამაბრუებელ საშუალებას, ვითომც როგორც სამკურნალო პრეპარატს. იგი ამ დროს არაა დაყოლიებული, მაგრამ ჩაბმულია ამ ქმედებაში.

რაც შეეხება მათხოვრობას, მასში იგულისხმება უცხო ადამიანებისაგან ფულის, ტანსაცმლის, პროდუქტებისა თუ სხვა ნივთების სისტემატური თხოვნა. ამდენად, დამნაშავე არასრულწლოვანს დაიყოლიებს იმაზე, რომ ამ უკანასკნელმა სხვა პირებისაგან სისტემატურად ითხოვოს სხვადასხვა მატერიალური ფასეულობის გადაცემა. თუ არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე ხდება მისი ექსპლუატაციის მიზნით (რათა მათხოვრობით შეგროვილი თანხას დაეუფლოს დამნაშავე), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 143^2-ე მუხლით – არასრულწლოვნით ვაჭრობა, ოღონდ იმ პირობით, თუ ეს დამნაშავე არაა არასრულწლოვნის მშობელი.

როდესაც არასრულწლოვანის მშობელი უკიდურესი მატერიალური გაჭირვების გამო დაიყოლიებს შვილს მათხოვრობაზე, ასეთი ქმედება საერთოდ არ შეიძლება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ, ვინაიდან იგი მიმართულია ელემენტარული სასიცოცხლო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

არასრულწლოვნის დაყოლიება სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე გულისხმობს ლოთობაში, აზარტულ თამაშში (ფულზე კარტის, ნარდისა

და ა.შ.), მაწანწალობაში (სხვადასხვა ადგილზე უაზრო მოკლევადიანი ხეტიალი) არასრულწლოვნის ჩაბმას.

დაყოლიება შეიძლება განხორციელდეს არასრულწლოვნის ფსიქიკაზე სხვადასხვაგვარი ზემოქმედებით (ჩიჩინით, აგიტაციით, მოსყიდვით, მუქარით, ცემით). დაყოლიება შეიძლება უმოქმედობითაც, მაგალითად, არასრულწლოვანს მამინაცვალმა ურჩია,დაეწყო მათხოვრობა,უარი რომ მიიღო,ხელი აიღო მის რჩენაზე და ამით აიძულა გერი დაეწყო მათხოვრობა.

სსკ 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი შეძლებს ჩააბას არასრულწლოვანი მათხოვრობაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში. მოჰყვება თუ არა ამას რაიმე მძიმე შედეგი, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სრულწლოვანი.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, იგი მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას.

არასრულწლოვნის ჩაბმა გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში გულისხმობს მოზარდის ჩაბმას ისეთ სამკურნალო ან ტექნიკური თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთიერებების არასამედიცინო მოხმარებაში, რომელიც იწვევს არასრულწლოვნის ფსიქიკისა და ქცევის არსებითად შეცვლას, სერიოზულად აზიანებს ჯანმრთელობას და შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილიც კი. ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნება: სხვადასხვა ალკოჰოლური ნივთიერების ნარევი, დიმედროლისა და ალკოჰოლის ნარევი, ქლოროფორმი, ქლორეთილი, ეთერი, სხვადასხვა გამხსნელი, ტოქსიკური ნივთიერებანი და ა.შ. ეს ნივთიერებები არ მიეკუთვნებიან ნარკოტიკულ ან ფსიქოტროპულ საშუალებას (ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაკისრებულია სსკ 272-ე მუხლით).

სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებას ადგილი აქვს მაშინ, როცა არასრულწლოვნი მას იყენებს არა ექიმის დანიშნულებით, არამედ თვითნებურად, არა სამკურნალო მიზნით, არამედ გასაბრუებლად.

არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში გულისხმობს 18 წელს მიუღწეველი პირის (როგორც გოგონას, ისე ბიჭის) ჩაბმას სექსუალურ კონტაქტში ნებისმერ მსურველთან გარკვეული საზღაურის მიღების მიზნით. პროსტიტუცია ნიშნავს სხეულით ვაჭრობას, რასაც სისტემატური

ხასიათი აქვს. თუ არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმას წინ უძღვის დამნაშავის მიერ მასთან გარყვნილი ქმედების ჩადენა ან ნებაყოფლობითი სექსუალური კავშირი (თუ არასრულწლოვნი არ იმყოფება უმწეო მდგომარეობაში), ქმედება სსკ 171-ე მუხლთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს შესაბამისად სსკ 141-ე ან 140-ე მუხლით. არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში შეიძლება განხორციელდეს ჩაგონებით, აგიტაციით, დაპირებით, მოსყიდვით და ა.შ. თუ ჩაბმის ხერხად გამოყენებულია ძალადობა (ვთქვათ, ცემა), ძალადობის მუქარა (მაგალითად, მოკვლის მუქარა) ან მოტყუება, ქმედება დაკვალიფიცირდება არა სსკ 171-ე მუხლით, არამედ 253-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმა, თუნდაც შეგონებით იმიტომ ითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედებად, რომ ჯერ ერთი, არასრულწლოვნის დაყოლიება პროსტიტუციაში უფრო ადვილია, ვიდრე სრულწლოვნის. მეორეც, პროსტიტუციაში ჩაბმა არასრულწლოვნის ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებაზე უფრო დამღუპველად მოქმედებს, ვიდრე სრულწლოვანზე. პროსტიტუციაში არასრულწლოვნის ჩაბმის დროს, სწორედ ამიტომ, მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვინ ჩააბამს მას პროსტიტუციაში (მშობელი თუ სხვა პირი), ოჯახის უკიდურესი გაჭირვებით იყო გამოწვეული ეს ჩაბმა თუ არა და ა.შ.

როდესაც ადგილი აქვს არასრულწლოვნის გადაბირებას, რათა პროსტიტუციაში ჩაბმით ექსპლუატაცია გაუწიონ მას (ე.ი. დამნაშავემ მთლიანად მიითვისა პროსტიტუციით მიღებული ფული), ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 143^2-ე მუხლით.

არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით (სსკ 172-ე მუხლი)

ამ დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია არასრულწლოვნის ხელშეუხებლობა, მისი უფლება – ჰქონდეს ნორმალური აღზრდისა და განვითარების პირობები საკუთარ ოჯახში, ღვიძლ მშობლებთან.

არასრულწლოვნის შვილად აყვანა დაშვებულია საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კანონის მოთხოვნის შესაბამისად. არ შეიძლება არასრულწლოვანი იქცეს ყიდვა-გაყიდვის ობიექტად, თუნდაც ეს ჩადენილი იყოს მისი შვილად აყვანის მიზნით.

არასრულწლოვნის ეს უფლება გარანტირებულია როგორც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ისე სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციით (მაგალითად, ჰააგის 1993 წლის 29 მაისის კონვენცია ბავშვთა დაცვისა და მათი საერთაშორისო გაშვილების შესახებ; 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ და სხვ.).

მსხვერპლად განსახილველ დანაშაულში გვევლინება არასრულწლოვანი, ე.ი. 18 წელს მიუღწეველი პირი.

სსკ 172-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის I ნაწილის ობიექტური მხარე გამოიხატება:

ა) არასრულწლოვნის ყიდვაში; ან ბ) მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებაში. ამდენად, ობიექტური მხარე გამოიხატება მოქმედებაში.

არასრულწლოვნის ყიდვა ნიშნავს მის შეძენას გარკვეული ფასის გადახდით, ასევე სხვა ნივთში გაცვლით, ვალში ჩათვლით. არასრულწლოვნის ყიდვას ადგილი არა აქვს მისი გაჩუქების დროს. ამდენად, არასრულწლოვნის ყიდვას ადგილი არა აქვს მაშინ, როცა მშვილებელი ნაშვილების ღვიძლ მშობლებს წინასწარ შეთანხმების გარეშე მადლიერების გამოხატვის მიზნით გარკვეულ თანხას გადასცემს საკუთარი სურვილით.

არასრულწლოვნის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება გულისხმობს არასრულწლოვნის შეძენას სხვა პირისაგან, როცა შემძენი ჰპირდება არასრულწლოვნის გამსხვისებელს, რომ სანაცვლოდ ხელს შეუწყობს სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებაში, მოაწყობს სამუშაოზე, დაეხმარება საზღვარგარეთ გამგზავრებაში, იზრუნებს იმაზე, რომ მის

მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდეს და ა.შ. ამდენად, სხვა უკანონო გარიგების განხორციელება გულისხმობს არასრულწლოვნის გამყიდველისათვის სასარგებლო მოქმედების განხორციელებას ან მისი განხორციელების პირობის მიცემას. ამდენად, უკანონო გარიგების განხორციელებისას არასრულწლოვანი არის ამ გარიგების ობიექტი და არა მისი სუბიექტი (მონაწილე).

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე, ბოლო დრომდე (2010 წლის 1 თებერვლამდე) განსხვავებით სსკ 143^2-ე მუხლის ობიექტური მხარისაგან, არ მოიცავდა არასრულწლოვნის გაყიდვას. ხომ არ ნიშნავდა ეს იმას, რომ არასრულწლოვნის გამყიდველს ამ შემთხვევაში პასუხი უნდა ეგო როგორც არასრულწლოვნის ყიდვის ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების თანამონაწილეს (დამხმარეს), რადგან ყიდვა და სხვა უკანონო გარიგების განხორციელება გულისხმობს აუცილებელ თანამონაწილეობას? სსკ 172 და 143^1 (ასევე 143^2) მუხლების შემადგენლობების ანალიზი მიგვიყვანს იმ უცილობელ დასკვნამდე, რომ ასეთი დასკვნის გაკეთება საფუძველს მოკლებულია. 143^2 მუხლის ობიექტური მხარე მოიცავს არასრულწლოვნის გაყიდვასაც (იგივე მდგომარეობაა სსკ 143-ე მუხლში). ამდენად, სსკ 143^2 და 143^1 მუხლებში ნათლადაა გამოკვეთილი კანონმდებლის ნება – პასუხისმგებლობა დააკისროს არასრულწლოვნის გამყიდველს, რასაც ვერ ვიტყოდით 172-ე მუხლზე. ეს იმას ნიშნავს, რომ პირი, რომელმაც არასრულწლოვანი გაყიდა (მაგალითად, მშობელმა) და ამ გზით გააშვილა, (ე.ი. დარწმუნებულია, რომ მიჰყიდა შვილად ამყვანს), სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებდა.

საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არ იყო მართებული. თუკი პასუხისმგებლობა ეკისრება იმას, ვინც შვილად აყვანის კეთილშობილური მიზნით ყიდულობს ბავშვს, ეს პასუხისმგებლობა მით უმეტეს უნდა დაეკისროს მშობელს, რომელიც როგორც ნივთს, ყიდის თავის შვილს შვილად ამყვანზე.

აქედან გამომდინარე, სს კოდექსის 272–ე მუხლს დაემატა II ნაწილი – არასრულწლოვნის გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით (2009 წ. 25 დეკემბრის კანონი).

სსკ 171-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი იყიდის არასრულწლოვანს ან გაყიდის მას, უკვე განახორციელებს მის მიმართ სხვაგვარ უკანონო გარიგებას და ეს არას-

რულწლოვანი გადავა მის მფლობელობაში, იმის მიუხედავად, შვილად აყვანა გაფორმებულია თუ არა.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს შვილად აყვანისთვის **კანონით დადგენილ ასაკს** მიღწეული შერაცხადი პირი როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი (I ნაწ), ასევე 14 წელს მიღწეული პირი (II ნაწ.).

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ყიდულობს არასრულწლოვანს ან მის მიმართ ახორციელებს სხვა უკანონო გარიგებას და სურს ეს.

დანაშაულის სუბიექტური მხარისათვის, გარდა პირდაპირი განზრახვისა, აუცილებლად დამახასიათებელია სპეციალური მიზანი. ესაა არასრულწლოვნის შვილად აყვანის მიზანი. ამდენად, დანაშაულის ამსრულებელს (ვინც ყიდულობს არასრულწლოვანს ან მის მიმართ ახორციელებს სხვა უკანონო გარიგებას) უნდა ამოძრავებდეს შვილად აყვანის მიზანი. თუკი მას არასრულწლოვნის ექსპლუატაციის მიზანი ამოძრავებს, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 143^2-ე მუხლით. უკეთუ პირი არასრულწლოვანს ყიდულობს იმისათვის, რომ იგი შემდგომ მიჰყიდოს შვილად ამყვანს (მასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 143^2 მუხლით. როცა პირი არასრულწლოვანს ყიდულობს და მასში იხდის თანხას, რაც მას წინასწარ გადასცა მომავალმა მშვილებელმა, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 171 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში თანამონაწილეობად, დახმარებად – 25,171 მ.

რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, მას ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ძირითადად ასეთი მოტივი შეიძლება იყოს მოზარდი თაობისადმი (ბავშვისადმი) სიყვარული, ოჯახის სიმყარის ინტერესი და ა.შ.

შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელშეწყობა (სსკ 172[1]-ე მუხლი)

ეს ნორმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სრულიად ახალია. ამ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს შემდეგში: შვილად აყვანის მიზნით ორსული ქალების წინასწარ შერჩევას და საზღვარგარეთ გაყვანას შედეგად მოსდევს ის, რომ ახალშობილის გაშვილება ხდება საზღვარგარეთ და ამის გამო საქართველო კარგავს თავისი მოქალაქეების ნაწილს.

განსახილველი დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც აწესრიგებს ბავშვთა საერთაშორისო გაშვილებას. საერთოდ, ბავშვთა გაშვილების საკითხი მოწესრიგებულია როგორც საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით, ისე შესაბამისი საერთაშორისო კონვენციით (1993 წლის 29 მაისის კონვენცია ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების შესახებ, რომელიც საქართველოსთვის ძალაში შევიდა 1999 წლის 1 აგვისტოს).

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება შემდეგ კუმულაციურ ქმედებებში:

1. ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა,

2. ასეთ გაშვილებაში ხელშეწყობა.

ამ ორიდან ერთ-ერთი ქმედების ჩადენა საკმარისია დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის და მნიშვნელობა არა აქვს რეალურად მოხდა თუ არა ბავშვის გაშვილება საზღვარგარეთ. ამდენად, სახეზეა ფორმალური შემადგენლობა. როგორც კანონის ტექსტიდან ჩანს, წინასწარ შერჩეული უნდა იყოს არა ერთი, არამედ ორი ქალი მაინც (ქალები)[1], თანაც ეს ქალები უკვე ორსულები უნდა იყვნენ. ამდენად, არ მოგვცემს დანაშაულის შემადგენლობას იმ ქალების წინასწარი შერჩევა და საზღვარგარეთ გაყვანისათვის შესაძლებლობის შექმნა, რომლებიც

1 მიგვაჩნია, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არამართებულია. დანაშაულის შემადგენლობას უნდა ქმნიდეს თუნდაც ერთი ორსული ქალის წინასწარი შერჩევა და საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა.

ჯერჯერობით არ არიან ორსული. თუ ეს ქალები საზღვარგარეთ ყოფნისას დაორსულდებიან და გაჩენილ ბავშვს იქვე გააშვილებენ, სსკ 172[1]-ე მუხლის შემადგენლობა არ არსებობს. ამასთანავე, აუცილებელია, ორსული ქალების საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა მიმართული იყოს იქითკენ, რომ ამ ქალებმა იმშობიარონ საზღვარგარეთ, რათა გააშვილონ საზღვარგარეთ გაჩენილი ბავშვი.

აქედან გამომდინარე, განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა არა გაქვს, როცა წინასწარ შეარჩევენ ორსულ (ფეხმძიმე) ქალებს, რომლებიც იმშობიარებენ საქართველოში და ამის შემდეგ მოხდება ბავშვთან ერთად მათი საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა, რათა ამ ქალებმა გააშვილონ საზღვარგარეთ ბავშვები.

სსკ 172[1]-ე მუხლის ობიექტური მხარის ეს 1-ლი ნიშანი სახეზეა როცა დამნაშავე არა მარტო წინასწარ შეარჩევს ორსულ ქალებს, არამედ მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ მათი გაყვანის შესაძლებლობასაც შექმნის. თუ მან ასეთი შესაძლებლობის შექმნა ვერ მოასწრო ან ვერ შეძლო, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულის მცდელობით (მე-19, 172[1]-ე მუხ.). როდესაც დანაშაულს სჩადის რამდენიმე თანაამსრულებელი, შეიძლება ერთმა შეარჩიოს ორსული ქალები, ხოლო მეორემ პირობები შექმნას მათი საზღვარგარეთ გაყვანისათვის მშობიარობის მიზნით. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა (სსკ 172[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ორსული ქალების შერჩევა გულისხმობს ქალების გამოძებნას, მათთან მოლაპარაკებასა და გადმობირებას (მაგალითად, ფულის დაპირებით) და ა.შ. ხოლო საზღვარგარეთ გაყვანისათვის შესაძლებლობის შექმნა შეიძლება გამოიხატოს სათანადო დოკუმენტის გაფორმებაში, ამ დოკუმენტის (მათ შორის, ყალბისაც) გამოყენებით ქალების საზღვარგარეთ გაყვანის მცდელობაში. ამასთან, დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არაა აუცილებელი, პირმა მოახერხოს ორსული ქალების გაყვანა საზღვარგარეთ. მთავარია, მან შექმნას საამისო შესაძლებლობა. თუ ორსული ქალების საზღვარგარეთ გაყვანა მოხდა საქართველოს სახმელეთო ან საჰაერო საზღვრის უკანონო გადაკვეთით (სსკ 344-ე მუხლის მე-2 ნაწ.), ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს ორსული ქალები საქართველოს მოქალაქეები არიან, მოქალაქეობის არმქონენი თუ

უცხოელები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში. მთავარია, ორსული ქალების შერჩევა მოხდეს საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოდან გაყვანისათვის შეექმნას სათანადო შესაძლებლობა.

დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება, როცა წინასწარ შერჩეულია უცხოელი ქალები, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან დროებით (მაგალითად, სამოგზაუროდ ან გასტროლებზე), ვინაიდან ამ შემთხვევაში საქართველოს გენოფონდს საფრთხე არ ემუქრება.

დანაშაულის ობიექტური მხარის შემდეგი ნიშანია **ასეთ გაშვილებაში ხელშეწყობა,** რომელიც შეიძლება გამოიხატოს მშვილებლის კანდიდატურის გამოძებნაში, გამშვილებლისა და მშვილებლის შეხვედრისა და მოლაპარაკების ორგანიზებაში, შვილებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შექმნასა და სხვაგვარი დახმარების გაწევაში.

თუ ამ დახმარებას თან ახლავს მომავალი მშვილებლის სახსრებით და მასთან შეთანხმებით ახალშობილის ყიდვა ან სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 172[1]-ე (ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა) და 25, 172-ე მუხლებით (შვილად აყვანის მიზნით არასრულწლოვანის ყიდვაში დახმარება).

დანაშაული დამთავრებულია ერთ-ერთი ამ ქმედების ჩადენიდან და მნიშვნელობა არა აქვს რაიმე მძიმე შედეგის დადგომას.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ამასთანავე, როგორც წესი, აუცილებელია სპეციალური მიზანი – შვილად აყვანის მიზანი. ასეთი მიზნის არარსებობა ნაწილობრივ გამორიცხავს კვალიფიკაციას სსკ 172[1]-ე მუხლით. შვილად აყვანის მიზანი არ ახლავს თან ასეთ გაშვილებაში ხელშეწყობას.

ამდენად, შვილად აყვანის მიზანი ამოძრავებს იმ პირს, ვინც ახდენს ფეხმძიმე ქალების წინასწარ შერჩევას და ქმნის შესაძლებლობას მათი საზღვარგარეთ გაყვანისათვის.

როცა პირი ამ ქმედებას სჩადის არა შვილად აყვანის, არამედ ბავშვების სხვა პირებზე გაშვილების მიზნით, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც ასეთ გაშვილებაში ხელშეწყობა.

დანაშაულის მოტივს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სსკ 172[1] მუხლის მე-2 ნაწილით დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებული იყო იგივე ქმედება განმეორებით, რაც შეიცვალა სიტყვით „არაერთგზის“ და ეს სწორიცაა, რადგან განმეორებითობას, როგორც დანაშაულის სიმრავლეს, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იცნობს.

შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა (სსკ 173-ე მუხლი)

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რაც დაკავშირებულია შვილად ან შვილობილად აყვანის წესების შესრულებასთან, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს არასრულწლოვნის (რიგ შემთხვევაში სრულწლოვანის) ნორმალურად აღზრდასა და განვითარებას, ასევე ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება:

ა) შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევაში; ბ) მძიმე შედეგში; და გ) მიზეზობრივ კავშირში აღნიშნული წესის დარღვევასა და მძიმე შედეგს შორის. ამდენად, სახეზეა მატერიალური დანაშაული.

შვილად აყვანისა და შვილობილად მიღების წესი მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით, კერძოდ, საოჯახო სამართლის ნორმებით. ხოლო შვილად აყვანის წესი დეტალურადაა დაკონკრეტებული საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონში „შვილად აყვანის წესის შესახებ“. ამდენად, სსკ 173-ე მუხლი ბლანკეტური ნორმაა.

შვილად აყვანის ან შვილობილად მიღების წესის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. მაგალითად, დადგენილია, რომ, როცა ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს, რომელსაც ერთ წელზე მეტია შეწყვეტილი აქვს საქორწინო ურთიერთობა მე-2 მეუღლესთან, მე-2 მეუღლის თანხმობა შვილად აყვანაზე საჭირო არ არის. ამის მიუხედავად, სასამართლომ მოითხოვა მე-2 მეუღლის (რომელთანაც განქორწინებული იყო ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში) თანხმობა შვილად აყვანაზე. ხოლო, როცა უარი მიიღო მისგან, შვილის ამყვან მეუღლეს უარი უთხრა შვილად აყვანაზე. ამას მოჰყვა

მძიმე შედეგი (მაგალითად, ფსიქიკური ტრავმის გამო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ანდა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი). მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ შვილად აყვანის წესი დაარღვია მოქმედებით. უმოქმედობით ამ დანაშაულის ჩადენის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემთხვევა, როცა სასამართლომ არ გაარკვია 10 წელს გადაცილებული ბავშვი თანახმა იყო თუ არა გაშვილებაზე, რასაც კანონი კატეგორიულად მოითხოვს, თუკი შვილად აყვანის შესახებ განცხადების შეტანამდე ბავშვი არ ცხოვრობდა მშვილებლის ოჯახში. სასამართლომ ამ საკითხის გარკვევის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ. ბავშვმა კი, რომელსაც კატეგორიულად არ სურდა ამ პირებზე გაშვილება, სერიოზული ფსიქიკური ტრავმა მიიღო.

საერთოდ, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მას შემდეგ, რაც მიიღებს დასკვნას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სასამართლომ ამის შესახებ უნდა აცნობოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს (გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით). შვილება ნამდვილად ითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან (და არა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში რეგისტრაციის დღიდან). მშვილებელი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება ან, თუ ადრე ჰყავდა ნაშვილები, მაგრამ შვილება გაუქმდა მის მიერ მშვილებლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო. მშვილებელი არ შეიძლება იყოს ის პირიც, რომელსაც ავადმყოფობის (მაგალითად, არის I კატეგორიის ინვალიდი), მორალური (მაგალითად, ეტანება ნარკოტიკულ საშუალებებს) ან სხვა პირადი თვისებების გამო არ შეუძლია განახორციელოს მშობლის უფლება. მშვილებელი შვილად აყვანილზე 16 წლით მაინც უნდა იყოს უფროსი. პატივსადები მიზეზის არსებობისას სასამართლოს შეუძლია შეამციროს ასაკობრივი სხვაობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლის თანახმად, შვილად აყვანა შესაძლებელია მხოლოდ არასრულწლოვნი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილებს შორის. სრულწლოვანი პირის შვილება

შესაძლებელია მაშინ, როცა მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა და თუ იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და თუ შვილება ზნეობრივად გამართლებულია.

შვილად აყვანის შესახებ ამ და სხვა წესის დაუცველობა წარმოადგენს შვილად აყვანის წესის დარღვევას.

როგორც აღინიშნა, ეს დანაშაული მატერიალური შემადგენლობისაა. იგი დამთავრებულად ითვლება არა შესაბამისი წესის დარღვევის მომენტიდან, არამედ მაშინ, თუ ამ წესის დარღვევამ გამოიწვია მძიმე შედეგი. თუკი მძიმე შედეგი არ დადგა, წესის დამრღვევი პასუხს აგებს დისციპლინური ან ადმინისტრაციული წესით.

მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს მორალურ ზიანში (ხანგრძლივი ძლიერი ემოციური განცდა, შვილის ფაქტობრივი დაკარგვა, ოჯახის დანგრევა), ფიზიკურ ზიანში (ჯანმრთელობის დაზიანება), გამორიცხული არაა მატერიალური ზიანიც.

სსკ 173-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია. ესაა ის პირი, ვისაც სამსახურებრივად ევალება ამ წესის დაცვა. ასეთები არიან: მოსამართლე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი, სარო-ს თანამშრომელი. აქედან გამომდინარე, გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობა: იგივე ქმედება, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. რადგან უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა მოხელე იყენებს რა სამსახურებრივ მდგომარეობას, შეგნებულად არღვევს კანონით დადგენილ წესს. რაც შეეხება იმ ზემდგომ თანამდებობის პირს (მოხელეს), რომლის ბრძანებითაც ქვემდგომი მოხელე არღვევს შვილად აყვანის წესს, მისი ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ 173-ე მუხლით, რადგანაც ეს ზემდგომი მოხელე თვითონ უშუალოდ არ არღვევს დადგენილ წესს, იგი ბოროტად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას (სსკ 332-ე მუხლი). მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელს უკანონო დასკვნის შედგენა უბრძანა შვილებასთან დაკავშირებით, რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა. ამას კი მოჰყვა მძიმე შედეგი. იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სამოხელეო დანაშაულის შესა-

ბამისი მუხლით (მაგალითად, სსკ 332-ე მუხლი).

განსახილველი დანაშაული სუბიექტური მხრივ შეიძლება იყოს როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი, თავისთავად წესის დარღვევა არ წარმოადგენს დანაშაულს (იგი, როგორც წესი, დისციპლინური გადაცდომაა), იგი ასეთად გადაიქცევა მხოლოდ მაშინ, თუ დადგა მძიმე შედეგი. ამდენად, აქ ზედმეტია საუბარი ე.წ. ორმაგ ბრალზე და აქედან გამომდინარე, სსკ მე-11 მუხლზეც.

ბავშვის შეცვლა (მუხლი 174-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის გვარეობითი ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნთა ნორმალურ განვითარებასა და აღზრდას. აქედან გამომდინარე, ბავშვის შეცვლის დანაშაულის უშუალო ობიექტს წარმოადგენს ბავშვის თავისუფლება, აგრეთვე მისი მშობლების უფლებები და კანონიერი ინტერესები, რომლებიც გათვალისწინებულია და დაცულია სამოქალაქო კოდექსით. დანაშაულით ზიანი შეიძლება მიადგეს ასევე ბავშვის ფიზიკურ და სულიერ განვითარებას. რაც შეეხება დაზარალებულს, იგი შეიძლება იყოს როგორც მშობლის საკუთარი, ისე სხვისი შვილიც. შეცვლა ხდება მხოლოდ ახალშობილის ან ჩვილი ბავშვისა.

კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება ერთი ბავშვის მეორეთი შეცვლაში, მაშინ, როდესაც მშობელს ჯერ არა აქვს შესაძლებლობა გააცნობიეროს ბავშვის შეცვლის ფაქტი (მაგალითად, ახალშობილი ბავშვის შეცვლა სამშობიარო სახლში, ან კიდევ ჩვილის უმეთვალყურეოდ დატოვება საბავშვო ეტლში ქუჩასა თუ მაღაზიაში), დანაშაული ფორმალურ დანაშაულთა შემადგენლობას მიეკუთვნება და იგი დამთავრებულია ბავშვის შეცვლის მომენტიდან.

დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირ განზრახვას გულისხმობს: დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ ახდენს თავისი ან სხვისი ბავშვის შეცვლას და სურს ამის გაკეთება (მაგალითად, ბავშვის დედა, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავს, მე-4 გოგონას ცვლის სხვის ვაჟზე). სუბიექტური შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ მოქმედება

განხორციელდეს ანგარების მოტივით ან სხვა ქვენა გრძნობით. ანგარების მოტივად გვევლინება, მაგალითად, ბავშვის შეცვლით დაინტერესებული მედდის მხრიდან ანაზღაურების მიღება. გარდა ამისა, სხვა ქვენაგრძნობის გამოვლენა იქნება ბავშვის მშობლების მიმართ შურისძიება, ხულიგნური მოტივის არსებობა და სხვა. თუ სამშობიარო სახლში ბავშვის შეცვლა სამედიცინო პერსონალის გაუფრთხილებლობით მოხდა, მათ მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო დისციპლინური დევნა განხორციელდება. თუ ბავშვის შეცვლა არ ხდება მე-2 ბავშვით, მაშინ სახეზე იქნება სრულიად სხვა დანაშაული (მაგალითად, 143-ე, 143^2-ე ან 144-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება).

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ყველა შერაცხადი 14 წელს მიღწეული ფიზიკური პირი, ძირითადად, სამედიცინო პერსონალი, ასევე მშობლები იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო (მაგალითად, ბავშვის ფიზიკური ნაკლის გამო) შეცვლიან თავის შვილს სხვაზე.

შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება (მუხლი 175-ე)

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. ამასთან, 24-ე მუხლში, სადაც საუბარია ყოველი ადამიანის უფლებაზე, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, ხაზგასმულია, რომ ეს უფლება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობით, რომელიც აუცილებელია სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ხოლო 41-ე მუხლში კი ასევე მითითებულია, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე.

შვილად აყვანის ინსტიტუტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც მიმართულია ოჯახის განმტკიცებისა და ბავშვის ინტერესების დასაცავად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1263-ე მუხლის

თანახმად, შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება მშვილებლის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ის პირი, რომელიც მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე გაამჟღავნებს შვილად აყვანის ფაქტს, პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით. სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების დასჯადობა წარმოადგენს აღნიშნული დებულების რეალიზაციას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 2008 წ. 1/V-დან ძალაში შევიდა სამოქალაქო კოდექსის 1263-ე მუხლის ახალი რედაქცია რომელიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1. შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება მშვილებლის თანხმობის გარეშე აკრძალულია, სანამ შვილად აყვანილს არ შეუსრულდება 18 წელი.

2. შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება აკრძალულია შვილად აყვანილის თანხმობის გარეშე, თუ მას უკვე შეუსრულდა 18 წელი.

3. შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება ბიოლოგიური მშობლის (გამშვილებლის) შესახებ აკრძალულია ბიოლოგიური მშობლის (მშობლების) თანხმობის გარეშე.

4. პირი, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული თანხმობის გარეშე გაამჟღავნებს შვილად აყვანის ფაქტს, პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება მიზანშეწონილი იყოს, რომ შეიცვალოს სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის რედაქცია და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩადენილი ქმედებისათვის ასევე დაეკისროთ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა სუბიექტს.

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მშობლისა და ბავშვის უფლებები და კანონიერი ინტერესი. შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვა აუცილებელია ოჯახის ნორმალური არსებობისათვის და არასრულწლოვნის ნორმალური განვითარებისათვის.

ობიექტური შემადგენლობის მიხედვით ქმედება გულისხმობს შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებას მშვილებლის სურვილის გარეშე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შვილად აყვანილისა ან სხვა პირისათვის ზეპირი ან წერილობითი ფორმით შეტყობინების მეშვეობით;

შეიძლება მოხდეს როგორც ერთი პირისათვის შეტყობინებით, ისე ყველანაირი ინფორმაციის საშუალების გამოყენებით.

დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია, იგი დამთავრებულია კოდექსის 175-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედების განხორციელების მომენტიდან. დანაშაულის შემადგენლობა სახეზე არ იქნება, თუ შვილების ფაქტის გახმაურება მოხდა მშვილებლის თანხმობით; ამიტომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილ უნდა იქნეს, არსებობდა თუ არა ამაზე მშვილებლის ნება. კოდექსის მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, მშვილებლის ნების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ორივე მშობლის ნების არსებობა. თუ ერთი მშობლის ნებართვის გარეშე მე-2 მშობელმა გაამჟღავნა შვილების საიდუმლო, იგი უნდა დაისაჯოს როგორც შვილად აყვანის საიდუმლოების გამმჟღავნებელი.

აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს პირდაპირი განზრახვით, როდესაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი არღვევს შვილად აყვანის საიდუმლოებას და სურს ეს ფაქტი სხვებისთვის ცნობილი გახადოს მშვილებლის ნების გარეშე. დანაშაულის ჩადენის მოტივი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს (მაგალითად, ანგარება, შურისძიება ან სხვა ქვენა გრძნობა). იგი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს, თუმცა გათვალისწინებულ იქნება სასჯელის დანიშვნის დროს.

კოდექსის 175-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანაშაულის ამსრულებლად გვევლინება ყველა კერძო პირი, რომელსაც კანონით არ ევალება დაიცვას შვილად აყვანის საიდუმლოება, როგორც საშსახურებრივი ან პროფესიული საიდუმლოება.

აღნიშნული დანაშაული მძიმდება დანაშაულის სუბიექტის მიხედვით, როდესაც შვილად აყვანის საიდუმლოებას ამჟღავნებს ის პირი, ვისაც აკისრია სამსახურებრივი ან პროფესიული ვალდებულება დაიცვას შვილად აყვანის საიდუმლოება. ეს შეიძლება იყოს მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ, ან ის სახელმწიფო მოხელე, რომელმაც განახორციელა შვილად აყვანის სახელმწიფო რეგისტრაცია, ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მძიმდება დანაშაულის ჩადენის მოტივაციის მიუხედავად.

მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ასევე, თუ შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებამ მძიმე შედეგი გამოიწვია. ცხადია, ეს დანაშაული

უკვე მატერიალურ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება. მძიმე შედეგის ცნება შეფასებით მომენტს შეიცავს და მისი დადგენა სასამართლოს გადასაწყვეტია. მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ შვილების საიდუმლოების გამჟღავნების შედეგად შვილად აყვანილის მძიმე ფსიქიკური ტრავმა, ოჯახის დანგრევა და სხვა.

რაც შეეხება შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნების მუქარას, დაკავშირებულს მშვილებლისათვის ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნასთან, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მისი უფლება, დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც გამოძალვა (მუხლი 181-ე).

ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება (მუხლი 176-ე)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის თანახმად, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. 1216-ე მუხლში კი მითითებულია, რომ მშობლებს შეიძლება დაევალოთ გაწიონ თავის მეურვეობას ან მზრუნველობას გადაცემული შვილის რჩენის ხარჯები კოდექსის ან სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად. სამოქალაქო კოდექსში ასევე ხაზგასმულია, რომ სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშრობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას. მშობელს, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, კარგავს შვილებისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლებას (მუხლი 1218-ე, ნაწილი მე-2, მე-3, მე-4). სამოქალაქო კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია და-ძმის ურთიერთრჩენის მოვალეობა, შვილიშვილის საალიმენტო მოვალეობა შრომისუუნარო პაპისა და ბებიის მიმართ, პაპისა და ბებიის საალიმენტო მოვალეობა შვილიშვილების მიმართ და სხვა. სწორედ სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით სისხლის სამართლის

კოდექსის 176-ე მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდების შემთხვევაში.

დანაშაულის ობიექტია როგორც ბავშვის ნორმალური განვითარება, ისე მშობლის, და-ძმისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა პირთა ჯანმრთელობა. დაზარალებულად გვევლინება ყველა ის პირი, რომელთათვისაც ალიმენტის გადახდა დადგენილია სამოქალაქო კანონმდებლობით.

კოდექსის 176-ე მუხლით გათვალისწინებული ობიექტური შემადგენლობა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. ალიმენტის გადახდისაგან ჯიუტად თავის არიდებაში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო პირდაპირი უარი ალიმენტის გადახდაზე, არამედ პირის მიერ თავისი ნამდვილი შემოსავლის დაფარვა, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის შეცვლა, რათა თავიდან აიცილოს სააღსრულებო ფურცლით სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის გადახდა. ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდებად ითვლება დამნაშავის მიერ არა მარტო თავისი ძირითადი ხელფასის თანხის დაფარვა, არამედ შეთავსებით მუშაობით მიღებული შემოსავლის დაფარვაც. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე.

აღნიშნული დანაშაული ფორმალურ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება. იმის დადგენა, არის თუ არა ალიმენტის გადაუხდელობა ჯიუტი, წყდება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ალიმენტის გადაუხდელობის ხანგრძლივობის, მიზეზებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით. ჯიუტად გადაუხდელობას შეიძლება მოწმობდეს, მაგალითად, ანალოგიური დანაშაულის გამეორება, ალიმენტის სისტემატური გადაუხდელობა, პირზე ძებნის გამოცხადება ალიმენტის გადაუხდელობის გამო, საცხოვრებელი ბინის დატოვება, შემოსავლის შესახებ ფიქციური დოკუმენტების წარდგენა და სხვა.

კოდექსის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დენადია. იგი დამთავრებულია კანონში მითითებული ქმედების ჩადენის მომენტიდან და გრძელდება დამთავრებული დანაშაულის სტადიით იქამდე, სანამ არ შეწყდება დანაშაული (მაგალითად, ბრალის აღიარებით გამოცხადება, ძებნილი პირის აღმოჩენა და სხვა), ან იმ გარემოების დადგენა, როდესაც პირს უწყდება ალიმენტის გადახდის ვალდებულება (მაგალითად, მშობლის სიკვდილი, ვის სარჩენადაც დადგენილი იყო ალიმენტის გადახდა ან ბავშვის მიერ თვრამეტი წლის ასაკს მიღწევა და სხვა). უკანასკნელ

შემთხვევაში პირის პასუხისგებაში მიცემა შეიძლება, თუ არ არის გასული ამ დანაშაულისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, იგი ჯიუტად თავს არიდებს ალიმენტის გადახდის მოვალეობას და სურს ასე მოიქცეს. ამ დანაშაულის მოტივი შეიძლება სხვადასხვა იყოს. იგი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს, მაგრამ გათვალისწინებულ იქნება სასჯელის დანიშვნის დროს.

დანაშაულის ამსრულებელია ყველა ის პირი, რომელიც მითითებულია სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნის მე-2 კარის მე-3 და მე-4 თავებში და რომელიც ეხება მშობლებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობებს. ეს სუბიექტები არიან: მშობელი, შვილი, და-ძმა, შვილიშვილი, პაპა და ბებია, მამინაცვალი და დედინაცვალი, გერი და სხვა.

თავი VIII

ეკონომიკური დანაშაული

(შესავალი)

საბაზრო ეკონომიკამ იმთავითვე მოითხოვა სამეურნეო საქმიანობის სფეროში არსებული სისხლისსამართლებრივი ნორმების გადახედვა და მისი ახლებურად რეგლამენტაცია. ამის გამო, ჯერ კიდევ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში სათანადო ცვლილებების შეტანის შედეგად გაერთიანდა და ნაწილობრივ შეიცვალა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ორი თავი; ასევე სამეურნეო დანაშაულის თავში შევიდა მთელი რიგი ახალი ნორმები, რომლებსაც დაეკისრათ მართლწესრიგის დაცვის ფუნქცია კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში. ეს დროული და აუცილებელი ცვლილება იყო, ვინაიდან საკუთრების ინსტიტუტისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარება განპირობებულია სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციით აღიარებული საკუთრებისა და სამეწარმეო საქმიანობის უფლების დაცვით.

სამოქალაქო და სამეწარმეო კანონმდებლობის რეფორმის კვალობაზე ამ ნორმებმა სისხლის სამართლის ახალ კოდექსში სისტემურად პოვა ასახვა გადამუშავებული და განახლებული სახით იმ კარში, რომელსაც ეკონომიკური დანაშაული ეწოდა. ახალ კოდექსში ასეთი დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული ნორმების რაოდენობა მრავალრიცხოვანია. კარი რამდენიმე თავისაგან შედგება, რომელშიც გამოკვეთილია დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ და სამეწარმეო დანაშაულისათვის მიძღვნილი რამდენიმე თავი.

აღნიშნული სახის დანაშაულის შემადგენლობათა ნიშნების დადგენისას გადამწყვეტი იყო ის პრინციპი, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული სახელმწიფოს ჩარევისაგან კონსტიტუციით აღიარებული ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების უფლება, სამეწარმეო საქმიანობა, პატიოსანი მეწარმე და მისი უფლებები; შენარჩუნებულიყო ჯანსაღი კონკურენცია ბაზარზე; მომხდარიყო კრედიტორის ინტერესების უზრუნველყოფა და სხვა.

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, საკუთრების ფორმის მიხედვით კოდექსის სხვადასხვა თავში იყო მოცემული. სოციალიზმის ეპოქაში ეს განპირობებული იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების პრიორიტეტული მდგომარეობით პირადი საკუთრების წინაშე.

საქართველოს კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსის დებულებებზე დაყრდნობით ახალმა კოდექსმა უარყო საკუთრების სხვადასხვა ფორმის მიხედვით დანაშაულთა დაჯგუფება და საკუთრებაზე ყოველგვარი ხელყოფა კოდექსის ერთ თავში მოათავსა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ჩაითვლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედება, რომელიც მიმართულია საკუთრების უფლების დარღვევისაკენ, ე.ი. მესაკუთრისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ან მისი მიყენების საფრთხის შექმნისაკენ.

ეკონომიკურ სფეროში ჩადენილ დანაშაულთა შორის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მისი ერთ-ერთი ავტონომიური ნაწილია. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამ ჯგუფს თავისი სპეციფიკა გააჩნია. აქედან გამომდინარე, საჭიროა მისი როგორც გვარეობითი, ისე უშუალო ობიექტების განსაზღვრა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სახეობით ობიექტს წარმოადგენს საკუთრების ურთიერთობა მთლიანად; იგი მოიცავს როგორც ყველა მესაკუთრის მიერ თავისი ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას, ასევე ქონების სხვა კანონიერი მფლობელის უფლებასაც. რაც შეეხება ხელყოფის უშუალო ობიექტს, იგი ისეთი ქონებრივი ურთიერთობაა, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკუთრების ან ქონების ფლობასთან.

სამოქალაქო კანონმდებლობით ყოველგვარი ქონება შეიძლება იყოს საკუთრების უფლების ობიექტი.

საკუთრებაში შეიძლება იყოს საწარმო, მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა, ნედლეული, სხვადასხვა მასალა, ფული, ფასიანი ქაღალდები და სხვა სამომხმარებლო, სოციალური, კულტურული ან სხვაგვარი დანიშნულების ქონება, ასევე ინტელექტუალური და შემოქმედებითი შრომის პროდუქტი.

მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობაში მითითებულია ცალკეული სახის ისეთი ქონება, რომელიც არ შეიძლება ეკუთვნოდეს მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს. მაგალითად, სახელმწიფოს განსაკუთრებული საკუთრებაა საქართველოს სახელმწიფო ხაზინა, ოქროს მარაგი, ალმასისა და სავალუტო ფონდი, სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალება, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კულტურული და ისტორიული ფასეულობა და ზოგიერთი სხვა.

საკუთრება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, ყოველთვის ნივთთან არის დაკავშირებული, ამიტომ საკუთრების უფლება სანივთო უფლებას წარმოადგენს. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მიეკუთვნება დანაშაულთა იმ ჯგუფს, რომელშიც ყოველთვის არსებობს დანაშაულის საგანი. ამგვარი დანაშაული თავის გამოხატულებას პოულობს მატერიალური სამყაროს ნივთებზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედებაში (მაგალითად, ნივთის ამოღება, დაუფლება, სარგებლობაში მოქცევა და სხვ.).

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საგანს აქვს ბუნებრივი ფიზიკური პარამეტრები (რიცხვი, რაოდენობა, წონა, მოცულობა და ა.შ.), ამიტომ ამ დანაშაულის საგანი არ შეიძლება იყოს ბუნებრივი რესურსები და ისეთი საგნები, რომელიც არ წარმოადგენს ადამიანის შრომის ნაყოფს.

დანაშაულის საგანს შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ან იყოს ძირითადი ქონების შემადგენელი ნაწილი. ზოგჯერ საგანს გააჩნია ინდივიდუალურად განსაზღვრული ნიშნები, ზოგჯერ კი გვარეობით თვისებებს ფლობს.

ამ დანაშაულთა საგნის განსასაზღვრავად უნდა დავადგინოთ მისი არსობრივი ეკონომიკური თვისება. ეკონომიკურმა თეორიამ გამოიმუშავა სტაბილური, დროისა და კონიუნქტურული ცვლილებებისაგან დამოუკიდებელი მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმი მატერიალური სამყაროს საგნების ქონებრივი კატეგორიის მიკუთვნებისათვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი საფუძველია საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა, რაც საგნებს ეკონომიკურ თვისებას ანიჭებს, კერძოდ კი, გაცვლითსა და მასთან დაკავშირებულ სამომხმარებლო ღირებულებას და მის ფულად გამოხატულებას — ფასს.

ამრიგად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანი

შეიძლება იყოს მხოლოდ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა მისი ყველანაირი სახითა და მდგომარეობით, რომელსაც აქვს ღირებულების ეკონომიკური თვისება, ასევე ფული, როგორც ღირებულების საყოველთაო ეკვივალენტი, განსაკუთრებული საქონელი, რომელიც გამოხატავს ქონების ყველა სხვა სახის ფასს.

საკუთრებაზე ხელყოფის განხორციელებისას დანაშაულის საგანს, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ე.წ. მოძრავი ქონება, თუმცა ზოგჯერ მისი საგანი შეიძლება იყოს უძრავი ქონებაც. უძრავ ქონებად სამოქალაქო სამართლის კოდექსი მიიჩნევს მიწას, წიაღისეულსა და ყველაფერ იმას, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწასთან, ე.ი. იმ ობიექტებს, რომელთა გადაადგილება, მათი დანიშნულებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე, შეუძლებელია. მათში იგულისხმება ნარგაობები, შენობა-ნაგებობანი, ფერმერული სამეურნეო ნაგებობანი და სხვა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში უძრავ ქონებად ჩაითვლება კერძო საწარმოები, როგორც ქონებრივი კომპლექსები, რომლებიც გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის.

დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს განუყოფელი და რთული საგნები, მთავარი ნივთი და მისი კუთვნილება, ნაყოფი, პროდუქცია, შინაური ცხოველები, მოსავალი და სხვა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანს, ფულის გარდა, წარმოადგენს ფასიანი ქაღალდებიც, რომლებშიც იგულისხმება ქონებრივი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები. ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: ობლიგაცია, თამასუქი, ჩეკი, დეპოზიტური და შემნახველი სერტიფიკატი, კონოსამენტი, აქცია და სხვა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული საგანი არ შეიძლება იყოს ის, რომელიც არ შეიცავს რაიმე ქონებრივ უფლებას ან წარმოადგენს ვალუტის სუროგატს, მაგალითად, ანგარიში, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს, სასაქონლო ჩეკი, ზედნადები, ქვითარი და ა.შ.

თუ ამგვარი დოკუმენტების გაყალბებით დამნაშავე მომავალში ეცდება მათი მოტყუებითი გამოყენებით ქონებრივი ფასეულობის მიღებას, დანაშაულებრივი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც თაღლითობის მომზადება. ანალოგიურად უნდა დაკვალიფიცირდეს ლიგიტიმაციური ნიშნების: ჟეტონის, ნომრის ქურდობა, რომელიც თავისთავად არ წარმოადგენს დანაშაულის საგანს, მაგრამ გამოყენებულია როგორც დანაშაულის ჩადენის საშუალება.

თუკი გატაცების საგანია სხვადასხვა სახის ბილეთი (სატრანსპორტო, სანახაობითი დაწესებულების და ა.შ.), რომელშიც ფულია გადახდილი ჩვეულებრივ გატაცებად უნდა შეფასდეს იმის მიხედვით რა ხერხითაა ჩადენილი. დაზარალებული აქ მესაკუთრეა, ვისაც ფული აქვს გადახდილი ბილეთში. მართალია აქ დოკუმენტიცაა გატაცებული, მაგრამ ის მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევად და მმართველობის წესი არ ირღვევა ამგვარი დოკუმენტის გატაცებით. ფიქციის დონეზე საწარმდგენო ფასიან ქაღალდს შეიძლება გავუთანაბროთ საკასო ჩეკი, რომელიც უფლების წარმომშობი დოკუმენტია. მაგ, ავეჯის შესაძენად გადავიხადე ფული და საკასო ჩეკი მომპარეს. ეს არა ფარატინა ქაღალდის ქურდობაა არამედ ფულის. ყალბი ბილეთის დამზადება და მისი წარდგენა სატრანსპორტო ორგანიზაციაში ფულის დასაბრუნებლად მგზავრობაზე უარის თქმის მოტივით, უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც დოკუმენტის გაყალბება და თაღლითობა.

დაუფლების გარეშე სხვისი ნივთის გაყიდვას პრაქტიკა თაღლითობად აფასებს, რადგან შემძენი ზარალდება, როცა მას მესაკუთრეს უბრუნებს (მაგალითად, მოსკოვის ერთ-ერთი სასტუმროდან ქართველმა თაღლითმა ხალიჩა გაასხვისა.). ნივთი ამ დროს დაუფლებული არაა, პირდაპირ გასხვისდა და ამიტომ ქურდობად ვერ შევაფასებთ, მაგრამ თუ უსასყიდლოდ გავაჩუქე სხვისი ნივთი, ეს ქმედება სისხლის სამართლის მიღმაა და სამოქალაქო წესით უნდა გამოითხოვონ ნივთი სხვისი უკანონო მფლობელობიდან.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგნის დასადგენად და მის გასამიჯნად ეკოლოგიური დანაშაულისაგან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუნების მატერიალური ობიექტების მდგომარეობას: არიან თუ არა ისინი ბუნებრივ მდგომარეობაში (მაგალითად, ოქრო და ძვირფასი ქვები, ზღვის ცხოველები, გარეული ცხოველები, მერქანი და სხვა); თუ მათზე არ არის დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა, ისინი არ წარმოადგენენ ქონებას და ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალონ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგნად.

მართალია, საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობით დადგენილია ნიხრი ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ობიექტების მოპოვების, დაზიანებისა ან განადგურებისათვის, მაგრამ მათ არაფერი საერთო არა აქვთ საქონლის ღირებულების ეკონომიკურ კატეგორიასთან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების თუ ქვების დანაშაულებრივი მისაკუთრების სისხლისსამართლებრივი ასპექტი. ეს ნივთები შეიძლება იყოს ბუნებრივ მდგომარეობაში, ან არ იყოს მოცული საწარმოო პროცესით და ამიტომ მათ არ ჰქონდეთ სასაქონლო ღირებულება. მაგრამ ის ოქრო, რომელიც საწარმოო ზონის ტერიტორიაზეა, უკვე ბუნებრივ სიმდიდრეს აღარ წარმოადგენს, ვინაიდან დაკავშირებულია ტექნოლოგიურ და საწარმოო პროცესებთან. აქედან გამომდინარე, ასეთი ოქროს დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზნით უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში არსებული, ისე ნაწილობრივ ან მთლიანად სამოქალაქო მიმოქცევიდან ამოღებული საგანი, მაგრამ ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს გატაცება, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებად ნივთიერებათა ან ასაფეთქებელი მოწყობილობის თუ ნარკოტიკული საშუალების ან მისი ანალოგის, პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ქმნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ საფუძველს.

ნივთი, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანი, დამნაშავეს არ უნდა ეკუთვნოდეს. სხვისია ის ქონება, რომელიც არ არის დამნაშავის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში. ამ დებულებიდან გამომდინარე, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანი არ შეიძლება იყოს ის ქონება, რომელიც ეკუთვნის პირს საერთო საკუთრების (წილობრივი ან თანასაკუთრების) საფუძველზე; მაგალითად, მეულლეთა, ოჯახის წევრთა და სხვა იმ პირთა ქონება, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობას.

თავისებური ნიშნებით ხასიათდება იმ ქონების სამართლებრივი ბუნება, რომელიც გარდაცვლილს ეკუთვნოდა ან იყო მასთან. გარდაცვლილის დასაფლავებამდე ამ ქონების მესაკუთრე განისაზღვრება მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე და ამიტომ ეს ქონება შეიძლება იყოს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანი; ხოლო გარდაცვლილის დასაფლავების შემდეგ, როდესაც ნათესავებმა ან სხვა მემკვიდრეებმა ნე-

ბაყოფლობით ამორიცხეს გარდაცვლილზე ან მასთან არსებული ნივთები თავისი ქონების შემადგენლობიდან, საკუთრებაზე ხელყოფა შეუძლებელია. საფლავში ან საფლავზე არსებული ნივთების მითვისება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაული საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ, სახელდობრ, მიცვალებულისადმი უპატივცემულობა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ობიექტური მხარე, პირველ რიგში, ხასიათდება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ან უმოქმედობით. უმეტეს შემთხვევაში, ეს დანაშაული ხორციელდება მოქმედებით (მაგალითად, ქურდობა, ქონების განადგურება ან დაზიანება და სხვა). უფრო იშვიათად დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს უმოქმედობითაც (მაგალითად, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება ჩადენილი ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით).

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, ძირითადად, მატერიალურ შემადგენლობას მიეკუთვნება და მისი დამთავრება დაკავშირებულია მავნე შედეგის დადგომასთან (მაგალითად, სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით, ქონებრივი ზიანი ნივთის განზრახ განადგურების ან დაზიანებისას, გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევა და სხვა).

მხოლოდ ყაჩაღობა და გამოძალვა კანონმდებლის მიერ კონსტრუირებულია როგორც ფორმალური შემადგენლობები. ამ დანაშაულთა დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია სისხლის სამართლის კანონში გათვალისწინებული მოქმედების განხორციელება.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია სხვისი ქონების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზნით. ამ საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ნივთის დაზიანება ან განადგურება როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.

მართლწინააღმდეგობა გულისხმობს, რომ პირი არ არის მესაკუთრე ან მისი კანონიერი მფლობელი და ამიტომ მის მიერ ქონების დაუფლება უკანონოა.

აქედან გამომდინარე, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ვერ დაკვალიფიცირდება ისეთი დანაშაული, როდესაც პირს ამოღებული ქონების მიღებაზე კანონიერი საფუძველი გააჩნია, მაგრამ მან დაარღვია ამ ქონების მიღების წესი. მაგალითად, დამნაშავე თვითნებურად ითვისებს

სხვა პირის ქონებას, შეცდომით თვლის რა, რომ ამ ქონებაზე მას საკუთრების უფლება გააჩნია. ასეთ შემთხვევაში დამნაშავის მოქმედებაში არის თვითნებობის დანაშაულის ნიშნები (იხ. სსკ-ის მუხლი 360-ე), რომელიც მმართველობის დადგენილ წესს ეწინააღმდეგება.

მესაკუთრისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება აცდენილი სიკეთის სახით, არ წარმოადგენს ქონების დაუფლებას სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. გარკვეულ შემთხვევაში იგი უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ქონებრივი დაზიანება მოტყუებით (იხ. სსკ-ის მუხლი 185-ე).

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ქონებაზე ხელყოფით სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით ხორციელდება. სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ძირითადად, სწორედ დანაშაულის ჩადენის ხერხითა და საშუალებით ასხვავებს ამ დანაშაულებს ერთმანეთისაგან (მაგალითად, ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება ქურდობით, ძარცვით, თაღლითობით, ყაჩაღობით და სხვა).

სისხლის სამართლის კოდექსის ამ თავში მოცემულ ტერმინში — „სხვისი ნივთის უკანონო დაუფლება“ — ზუსტად არის გამოხატული ქონებაზე ხელყოფის გარეგანი პროცესი და, ამასთან ერთად, ზიანის მიყენების მექანიზმი.

ნივთის დაუფლება ტიპურია ისეთი დანაშაულისათვის, როგორიცაა, მაგალითად, ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა, როდესაც მისი დამთავრება დაკავშირებულია ხელყოფის საგნის ფაქტობრივ დაუფლებასთან. ტერმინ „დაუფლების“ გარდა, კანონმდებელი დანაშაულის შემადგენლობის გადმოცემისას, ზოგიერთ შემთხვევაში ხმარობს ტერმინს „მითვისება“ (მაგალითად, დანაშაულის სუბიექტის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ქონების თავისი ან სხვა პირთა სასარგებლოდ მითვისება).

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა უმრავლესობა მატერიალური შემადგენლობისაა. დანაშაულებრივი შედეგი გულისხმობს მესაკუთრისათვის რეალური მატერიალური ზიანის მიყენებას. სხვაგვარი ზიანი, გამოხატული აცდენილ სიკეთეში, რეალურ მატერიალურ ზიანში არ შედის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულისათვის ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისას მისი ოდენობა მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა ხერხითა და სა-

შუალებით ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობისათვის საკალდებულოა დადგენილ იქნეს აუცილებელი მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასა და დამდგარ მავნე შედეგს შორის, ანუ მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელისათვის რეალურად მიყენებულ ქონებრივ ზარალს შორის. სასამართლო პრაქტიკაში მისი დადგენა არ უნდა იყოს რთული მისი აშკარა ხასიათის გამო. სხვისი ქონების დაუფლება და ამის შედეგად პირისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება საკმარის საფუძველს ქმნის მიზეზობრივი კავშირის არსებობის დასასაბუთებლად.

სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება მისაკუთრების მიზნით, დამთავრებულია მისი დაუფლების მომენტიდან. ეს ნიშნავს, რომ დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი. ნივთის ფიზიკურად დაუფლება ყოველთვის არ ნიშნავს მისაკუთრების მიზნის პრაქტიკულად რეალიზაციას, ამიტომაც იურიდიული დოქტრინა გარკვეულ ფიქციას დებს დაუფლების ცნებაში, მაგალითად, საცავში შეღწევით ქურდობას დამთავრებულად მაშინ მიიჩნევს, როცა ამსრულებელი ამ სივრცეს თავს დააღწევს და გამოიტანს სხვის მოძრავ ნივთს. მაშინ როცა ღია სივრცეში ეს ქმედება დამთავრებულად ჩაითვლება ნივთის ფიზიკურად დაუფლებისთანავე, მაგალითად ვიღაცას ჯიბიდან ამოაცალეს ფული. იმისათვის, რომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს, არ არის საკალდებულო დამნაშავის მიერ ქონების ფაქტობრივად გამოყენება. საკმარისია, რომ მას ჰქონდეს ამისი შესაძლებლობა, მაგრამ, თუ დანაშაულის სუბიექტს არა აქვს რეალური შესაძლებლობა ისარგებლოს ან განკარგოს ეს ქონება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც სხვისი ქონების უკანონოდ დაუფლების მცდელობა.

სხვისი ქონების უკანონოდ დაუფლების დანაშაულთაგან ცალკე უნდა გამოვყოთ ყაჩაღობა, რომელიც საკანონმდებლო კონსტრუქციით ფორმალურ დანაშაულთა შემადგენლობას მიეკუთვნება და დამთავრებულია თავდასხმის განხორციელების მომენტიდან.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს და იგი უმეტეს შემთხვევაში პირდაპირია: დამნაშავეს გათვითცნობიერებული აქვს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ქონებას, ასევე ითვალისწინებს, რომ მესაკუთრეს მისი დანაშაულებრივი ქმედებით მიადგება მატერიალური ზიანი და სურს ამგვარი შედეგის დადგომა.

განზრახვის შინაარსში აუცილებლად უნდა შედიოდეს დანაშაულის ჩადენის ხერხი, ხოლო სათანადო შემთხვევაში – მაკვალიფიცირებელი გარემოებაც. ამასთან, ქმედების განხორციელებისას დამნაშავეს ამოძრავებს ანგარების მოტივი და მიზანი. მხოლოდ ქონების დანაშაულებრივი განადგურება ან დაზიანება შეიძლება ჩადენილ იქნეს ამ მოტივისა და მიზნის გარეშეც. ამასთან, ბრალის ფორმა შეიძლება იყოს როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელიც. რაც შეეხება ქონების განზრახ განადგურებას ან დაზიანებას, რომელმაც გაუფრთხილებლობით ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია, იგი ე.წ. ბრალის ორმაგი ფორმით ხასიათდება.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ამსრულებელია თოთხმეტი წლის ასაკს მიღწეული ფიზიკური შერაცხადი პირი. ზოგიერთ დანაშაულთა სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური ამსრულებელი (მაგალითად, მითვისება-გაფლანგვის დროს).

ქურდობა (მუხლი 177-ე)

ქურდობა ხელყოფს საკუთრების უფლებას. მისი ობიექტური მხარე აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება. იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებაა და გულისხმობს პირის სურვილს, დანაშაულის ჩადენის დროს თავი აარიდოს როგორც ქონების მესაკუთრესთან, ისე სხვა პირებთან უშუალო კონტაქტსა და შეხებას.

ქურდობისას დამნაშავეს შეიძლება არ გააჩნდეს არავითარი უფლებამოსილება მოპარულ ქონებაზე, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ მას ჰქონდეს რაიმე კავშირი ამ ქონებასთან დაკისრებული სამუშაოს გამო.

ქურდობა საკმაოდ გავრცელებული დანაშაულია. იგი, სხვისი მოძრავი ქონების სხვა მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისაგან განსხვავებით, შედარებით ნაკლები საშიშროების შემცველია, დამნაშავე არ იყენებს ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ძალადობას, თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას და სხვა.

ქურდობის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია მისი ფარული ხასიათი. მისი ჩადენა შეუმჩნეველი რჩება სხვა პირებისათვის. ქურდობის ობიექტური კრიტერიუმი გულისხმობს, რომ ქონების მესაკუთრეს ან სხვა

კანონიერ მფლობელს არა აქვს გააზრებული ის ფაქტი, რომ დამნაშავე მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის საკუთრებას.

ყველაზე ხშირად ქურდობა ხორციელდება მესაკუთრისა და სხვა ადამიანთა დაუსწრებლად (მაგალითად, ღამით დაუცველი საწყობის გაქურდვა, ბინის გაქურდვა მაშინ, როდესაც პატრონი სახლში არ არის და სხვ.); ზოგჯერ კი ქურდობა ხორციელდება მესაკუთრის თანდასწრებით, მაგრამ მისგან მალულად, როდესაც დაზარალებული ვერ იგებს, რომ მას ქურდავენ (მაგალითად, ფულის ჯიბიდან, ჩანთიდან ამოცლა და ა.შ.).

ობიექტური კრიტერიუმიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ სხვისი ნივთის ფარულ დაუფლებას ადგილი ექნება მაშინაც, როდესაც დამნაშავე ეუფლება ქონებას მესაკუთრის თანდასწრებით, მაგრამ ეს უკანასკნელი სხვადასხვა მიზეზის გამო მოკლებულია შესაძლებლობას აღიქვას ქურდობის ფაქტი (მაგალითად, სიმთვრალის, გონების დაკარგვის გამო და სხვ.); ასევე, როდესაც ქურდობა ხდება იმ პირთა თანდასწრებით, რომელთაც თავისი ასაკობრივი თუ ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ ძალუძთ აღიქვან ქურდობის ფაქტი (მაგალითად, ქურდობა მცირეწლოვანის ან სულით ავადმყოფის თვალწინ).

ობიექტურ კრიტერიუმზე დაყრდნობით ქურდობად უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევაც, როდესაც დამნაშავე ეუფლება ქონებას სხვა პირთა თანდასწრებით, მაგრამ მათ მიერ ეს ფაქტი მართლზომიერ ქცევად აღიქმება (მაგალითად, ვაგონის გადმოტვირთვისას დამნაშავე მუშის როლში გამოდის და ქონებას ეუფლება).

რაც შეეხება სუბიექტურ კრიტერიუმს, იგი მდგომარეობს თვით დამნაშავის სურვილში – დანაშაული ფარულად ჩაიდინოს და იმის შეგნებაში, რომ ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ხდება სხვებისაგან შეუმჩნეველად, თუმცა სინამდვილეში მისი მოქმედება აშკარა ხასიათს ატარებს. ეს შემთხვევაც ქურდობად უნდა დაკვალიფიცირდეს (მაგალითად, ჯიბიდან ფულის ამოცლისას დაზარალებულის გვერდზე მდგომი ხედავს ქურდობის ფაქტს, რაც დამნაშავისათვის ცნობილი არ არის).

ქურდობა თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციით მატერიალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება. მისი ობიექტური მხარე სავალდებულო ნიშნად მიიჩნევს მავნე შედეგის დადგომას ქონებრივი ზიანის სახით. ამიტომ ქურდობა დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე დაეუფლა სხვის ქონებას და რეალური შესაძლებლობა აქვს

განკარგოს ეს ქონება თავისი შეხედულებით, იმისდა მიუხედავად, მოახერხა თუ არა მან ამ შესაძლებლობის რეალიზება.

ქურდობის სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ნივთს, ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედების შედეგად ზიანს აყენებს მესაკუთრეს ან ქონების მფლობელს და მაინც სურს მიაყენოს მას ეს ზიანი.

დანაშაულის ამსრულებელია კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი.

ქურდობას აქვს მთელი რიგი დამამძიმებელი გარემოებები. სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ქურდობას. **ეს ისეთი ქურდობაა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.**

ამ დანაშაულებრივი ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის ყურადღება უნდა მიექცეს იმ სპეციფიკას, რაც ახასიათებს მოქალაქისათვის ქურდობით მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანს.

ვინაიდან ბოლო დრომდე სისხლის სამართლის კოდექსში მნიშვნელოვანი ზიანის ცნება არ იყო ფორმალიზებული და მას შეფასებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მისი განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებაზე იყო დატოვებული, ამიტომ, ქმედების ზუსტი კვალიფიკაციისათვის, მოქალაქის საკუთრებისათვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის დასადგენად საჭირო იყო როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორების ერთობლივი გათვალისწინება.

ობიექტურად მნიშვნელოვანი ზიანის განსასაზღვრავად ყურადღება ექცეოდა უკანონოდ დაუფლებული ქონების ღირებულებას, მის რაოდენობასა და მნიშვნელობას, ხოლო სუბიექტურ ფაქტორში იგულისხმებოდა დაზარალებულის მატერიალური მდგომარეობა, მისი შემოსავალი, კმაყოფაზე არსებულ პირთა რაოდენობა და ყველა სხვა გარემოება, რაც მოწმობდა, რომ მოქალაქისათვის მიყენებული ქონებრივი დანაკლისი მნიშვნელოვნად აუარესებდა მის მატერიალურ მდგომარეობას. ამჟამად, 177-ე მუხლის შენიშვნაში პირდაპირ არის მითითებული მნიშვნელოვანი ზიანის თანხა. მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარს ზემოთ. მაგრამ, ამასთან ერთად, კანონის არსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ზიანის ფულადი გამოხატულება არ უნდა იყოს იმაზე მეტი, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-4 ნაწილში

– „დიდი ოდენობის“ ცნების ქვეშ და დაკონკრეტებულია ქურდობის მუხლის შენიშვნის 1-ლ პუნქტში.

მიყენებული ქონებრივი ზიანის ოდენობა განისაზღვრება ნივთის ღირებულებით, რაც ფასშია გამოხატული. ქონების ღირებულების განსაზღვრისას საჭიროა დანაშაულის ჩადენის დროს არსებულ სახელმწიფო, საცალო, საბაზრო ან საკომისიო ფასებზე დაყრდნობა. თუ ფასი ვერ დადგინდა, ქონების ღირებულება განისაზღვრება საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტში დამძიმებულია პასუხისმგებლობა **ქურდობისათვის, თუ იგი ჩადენილია სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით**.

სადგომის ცნების ქვეშ იგულისხმება შენობა-ნაგებობანი, რომლებიც ადამიანთა და ფასეულობათა განსათავსებლად არის გამიზნული. ეს შეიძლება იყოს ფაბრიკა-ქარხანა, მუზეუმი, მაღაზია, თეატრი, სასწავლო დაწესებულება და სხვა.

სხვა საცავი კი არის ასევე მატერიალური ფასეულობის მუდმივ ან დროებით შესანახად განკუთვნილი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც შემოღობილია ან უზრუნველყოფილია მისი სხვაგვარად დაცვა, მაგალითად, სეიფი, რკინის კარადა, კონტეინერი, ავტორეფრეჟერატორი, დაცული რკინიგზის ვაგონები და ა.შ. საცავს უნდა მივაკუთვნოთ პირუტყვის სადგომისათვის შემოღობილი ეზო, დაცული სასოფლო-სამეურნეო საწარმოში მარცვლეულის შესანახი ტერიტორია და სხვა.

სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით დამამძიმებელ გარემოებად ითვლება **ქურდობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ**, რაც არსებითად ზრდის ქურდობის საშიშროებას და ამიტომ ქმნის ობიექტურ საფუძველს ქურდობის ყველა უშუალო მონაწილის პასუხისმგებლობის გაზრდისათვის.

წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობით მიყენებული ზიანის ოდენობა შეიძლება შეჯამებულ იქნეს. ამ დროს ქურდობით მოპოვებული ქონების თითოეული დამნაშავის წილი შეიძლება დიდ ოდენობას არ აღწევდეს, მაგრამ მისი ქმედება მაინც დაკვალიფიცირდება, როგორც ქურდობა, ჩადენილი დიდი ოდენობით, ვინაიდან სახეზეა ჯგუფური დანაშაული. ეს განპირობებულია იმით, რომ ყველა დამნაშავე ქურდობის თანაამსრულებელია, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ყველას განზრახვა მოიცავს იმის შეგნებას, რომ ჯგუფის

მიზანს დიდი ოდენობით ქონების დაუფლება წარმოადგენს.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქონების დაუფლების ცნებაში იგულისხმება ქურდობა, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი პირი, წინასწარშეთანხმებული ქურდობის ჩასადენად. მასში არ იგულისხმება ამსრულებლისათვის ხელის შეწყობა, დანაშაულის ჩადენის საშუალებათა შოვნა, ასევე საცავში მატერიალურ ფასეულობათა ადგილსამყოფელის შესახებ ცნობების მიწოდება და სხვა.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფში შედიან მხოლოდ თანაამსრულებლები, ამიტომ რთული თანამონაწილეობა არ ქმნის ზემოაღნიშნულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას. ქურდობისას თითოეული თანამონაწილე პასუხს აგებს თავისი ფუნქციის შესრულების მიხედვით (ამსრულებელი, ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე).

ქურდობის დამამძიმებელი გარემოებაა ასევე მისი ჩადენის არაერთგზისობა. (მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტი) არაერთგზისობა დანაშაულის სიმრავლის, როგორც სისხლის სამართლის ინსტიტუტის, სახესხვაობაა და მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-15 მუხლში.

თუ საერთო წესით არაერთგზისობა გულისხმობს კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას, გამონაკლისის სახით ეს მუხლი არაერთგზისად მიიჩნევს არა მარტო იგივე, არამედ სხვა ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენასაც იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ მითითებულია კოდექსის შესაბამის მუხლში. სწორედ ამ მხრივ უნდა მიეუდგეთ არაერთგზისობის ცნებას, რომელიც მოცემულია ქურდობის მუხლის შენიშვნაში.

177-ე მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 177-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისად ითვლება, თუ მას წინ უსწრებს ამ და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.

ქურდობა არაერთგზისად რომ ჩაითვალოს, წინა ქურდობისა თუ სხვა ერთგვაროვანი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ უნდა იყოს.

ორჯერ ან მეტჯერ დამოუკიდებელი განზრახვით ჩადენილი ქურდობა რომლისთვისაც პირი არ არის ნასამართლები, დაკვალიფიცირდება 177-ე მუხლის პირველი ნაწილით თითოეულ ეპიზოდში და მოხდება სასჯელთა შეკრება.

ქურდობის, ისევე, როგორც ძარცვისა და ყაჩაღობის კიდევ ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს **ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით. (მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი)** შეღწევა უკანონოა, თუ იგი ხორციელდება დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, იმ პირის მიერ, რომელსაც ამის უფლება არა აქვს.

ზემოაღნიშნული დამამძიმებელი გარემოების არსებობა განპირობებულია იმით, რომ დამნაშავე შეღწევისას დამატებით, ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვან ძალასა და ხერხს იყენებს, რომ გადალახოს წინააღმდეგობა და დაეუფლოს ქონებას (მაგალითად, კარის, საკეტის შემტვრევა, კედლის განგრევა, სეიფის გატეხვა და სხვა).

შეღწევა ძირითადად გულისხმობს წინააღმდეგობის გადალახვით ბინაში შესვლას ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის მიზნით. ამიტომ შეღწევა ხდება არა მარტო ფარულად, როგორც, მაგალითად, ქურდობისას, არამედ აშკარადაც, ადამიანთა წინააღმდეგობის გადალახვით.

ზოგჯერ შეღწევად ჩაითვლება შენობაში მოტყუებით შესვლა (მაგალითად, დეპეშის გადაცემის სახით, მეზობლისათვის ამანათის გადასაცემად და სხვა).

ასევე შეღწევად უნდა დაკვალიფიცირდეს დამნაშავის ისეთი მოქმედება, როდესაც იგი ბინასა თუ სადგომში შეუსვლელად ეუფლება ქონებას (მაგალითად, მაგნიტის, თოკის თუ სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით).

იმისათვის, რომ დამნაშავის მოქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია გაირკვეს, თუ რა მიზნით აღმოჩნდა პირი სხვის ბინაში და როდის წარმოიშვა ქონების დაუფლების განზრახვა (მაგალითად, თუ პირი მეგობრის ღია ბინაში შევიდა დანაშაულებრივი მიზნის გარეშე და მერე წარმოეშვა ეს მიზანი, მის ქმედებაში ზემოაღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოების არსებობა გამორიცხულია).

ბინა ისეთი ნაგებობაა, რომელიც გამიზნულია ადამიანთა მუდმივ ან დროებით საცხოვრებლად (ინდივიდუალური სახლი, ბინა, აგარაკი, ოთახი სასტუმროში, სანატორიუმში და ა.შ.). ბინის შემადგენელი ნაწილებია ქონების შესანახად ან ადამიანთა სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გამოყოფილი სათავსები. ბინად ვერ მივიჩნევთ მატარებლის კუპეს, გემის კაიუტას, მანქანის მისაბმელს და სხვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4

ნაწილის „ა“ პუნქტში მოცემულია ქურდობის განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებები. პირველ რიგში, ეს არის **ქურდობა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ**.

ცნობილია, რომ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული ჯგუფური დანაშაულის ყველაზე მძიმე სახეა (იხილე სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლი).

კოდექსის 27-ე მუხლიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. ქურდული ორგანიზაციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი პასუხს აგებს როგორც ამსრულებელი ყველა იმ ქურდობისათვის, რაც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდა თუ არა იგი უშუალოდ მათ ჩადენაში, მაგრამ თუ ამას მოიცავდა მისი განზრახვა; ხოლო ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილენი პასუხს აგებენ ჯგუფში მონაწილეობისათვის, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც მონაწილეობდნენ.

ორგანიზებული ჯგუფის რიგითი მონაწილის პასუხისმგებლობისათვის საკმარისი არ არის ამ დაჯგუფების სხვა წევრების მიერ ჩადენილი ქურდობის ფაქტის ცოდნა, საჭიროა მასში უშუალო მონაწილეობა.

ქურდობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებას მიეკუთვნება ასევე ქურდობა ჩადენილი დიდი ოდენობით. (მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტი) იგი, განსხვავებით ქურდობისაგან, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რეგლამენტირებულია თვით კანონში. დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის ღირებულება აჭარბებს ათი ათას ლარს.

დამნაშავე, როდესაც ჩადის რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ქურდობას, რაშიც რეალიზებულია მისი რამდენიმე, ცალ-ცალკე წარმოშობილი განზრახვა, ფულში გამოხატული ზიანის შეჯამება და დიდ ოდენობად დაკვალიფიცირება სწორი არ არის. გამონაკლისს წარმოადგენს ერთიანი განგრძობადი დანაშაული, სადაც ქურდობის ცალკეული ეპიზოდი მოცულია დამნაშავის ერთიანი განზრახვით და დაუფლებული ქონების ჯამი დიდ ოდენობას ქმნის.

სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ კიდევ ერთ განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებას ქმნის **ქურდობა, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრე-**

ბისათვის ან გამომძალვისათვის. მუხლის ამ ნაწილით ფაქტობრივად აღიარებულია ერთგვაროვან დანაშაულთა საშიში რეციდივი. კანონი სწორედ ამ პრინციპით ამკაცრებს ასეთ პირთა პასუხისმგებლობას. ამ ბოლო ხანს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლს მე-4 ნაწილის „დ“ პუნქტი დაემატა ქურდობა მაგისტრალურ მილსადენში არსებული ნავთობის ან გაზის მიმართ. ეს ნოვაცია მისასალმებელია, ვინაიდან ქურდობის სხვა სახეებისაგან განსხვავებით ამ ქმედების გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროება აშკარაა. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთივე დამამძიმებელი გარემოება თან უნდა დართვოდა, როგორც ძარცვის, ისე ყაჩაღობის დამამძიმებელ გარემოებებს. როდესაც ვლაპარაკობთ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე, ცხადია, რომ ამ ორი უკანასკნელი დანაშაულის საშიშროება ქურდობასთან შედარებით გაცილებით მაღალია.

ძარცვა (მუხლი 178-ე)

ძარცვის ობიექტი იგივეა, რაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაულისა, მაგრამ იმის გამო, რომ ძარცვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი ძალადობა, რომელიც საშიში არ არის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, იგი ორობიექტიან დანაშაულს წარმოადგენს. საკუთრებითი ურთიერთობების გარდა, ამ დანაშაულით საფრთხე ექმნება ადამიანის ფიზიკურ ხელშეუხებლობას.

ობიექტური მხრივ ძარცვა აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება. ამ დროს ხდება სხვისი მოძრავი ქონების აშკარა მართლსაწინააღმდეგო დაუფლება. ამრიგად, ძარცვისათვის დამახასიათებელია მისი აშკარა ხასიათი და ზოგჯერ ადამიანზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება, რაც, ცხადია, ამ დანაშაულს უფრო საშიშს ხდის საზოგადოებისათვის.

ძარცვის აშკარა ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ სხვისი ქონების ანგარებით დაუფლება ხდება თვალნათლივ, როგორც იმ პირისათვის, ვის საკუთრებაში, მფლობელობასა ან სარგებლობაში იმყოფება ნივთი, ასევე სხვა ადამიანებისათვისაც. ცხადია, დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ დამსწრეთ გააზრებული აქვთ მისი მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათი.

ამიტომაც არის, რომ ძარცვისას დამნაშავე უფრო საშიშია, მას შინაგანად გათვითცნობიერებული აქვს, რომ თავისი მიზნის მისაღწევად და წინააღმდეგობის გადასალახავად შეუძლია მიმართოს ძალადობას.

სასამართლო პრაქტიკაში არცთუ იშვიათად ქურდობა გადაიზრდება ხოლმე ძარცვაში, როდესაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ დაზარალებულისა და სხვა პირებისათვის შესამჩნევია მისი დანაშაულებრივი მოქმედება, მაგრამ მაინც განაგრძობს მას ქონების დაუფლების მიზნით. ეს ხდება მაშინ, როდესაც მოქმედება, როგორც ქურდობა, ჯერ დამთავრებული არ არის, დამნაშავე ვერ დაეუფლა ქონებას და შესაძლებლობა არა აქვს განკარგოს იგი თავისი შეხედულებით; ხოლო, იმ შემთხვევაში კი, თუ ქურდი შეწყვეტს დაწყებულ დანაშაულს და შეეცდება მიმალვას, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება როგორც ქურდობის მცდელობა.

ამრიგად, იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რა ხერხით ხდება სხვისი ქონების დაუფლება, ყურადღება უნდა მიექცეს ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებს.

ობიექტური კრიტერიუმი გულისხმობს ქონების მესაკუთრის, მფლობელის ან სხვა პირის შეგნებას, რომ ისინი ხედავენ და აღიქვამენ პირის მოქმედების დანაშაულებრივ ხასიათს; ხოლო სუბიექტური კრიტერიუმი კი მდგომარეობს იმაში, რომ თვით დამნაშავესაც შეგნებული აქვს სხვათათვის მის მიერ სხვისი ქონების დაუფლების აშკარა ხასიათი.

ძარცვა დანაშაულის მატერიალურ შემადგენლობას მიეკუთვნება. იგი დამთავრებულია ქონების ფაქტობრივი დაუფლების მომენტიდან, რომლის შედეგაც დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა თავისი შეხედულებით გამოიყენოს ან განკარგოს სხვისი ქონება. ამ შესაძლებლობის ფაქტობრივი რეალიზაცია ძარცვის ობიექტური მხარის ფარგლებს სცილდება.

ძარცვის ობიექტურ მხარეში შედის ასევე მიზეზობრივი კავშირის დადგენა დამნაშავის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ მავნე შედეგს შორის.

ძარცვის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვასა და მისაკუთრების მიზნის არსებობას გულისხმობს. დამნაშავეს გათვითცნობიერებული აქვს, რომ იგი აშკარად, სხვათა თანდასწრებით ეუფლება ქონებას, რომელზეც არავითარი უფლება არ გააჩნია, ითვალისწინებს მესაკუთრისა ან სხვა კანონიერი მფლობელისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობას და სურს ამ შედეგის დადგომა.

ძარცვის ამსრულებელია კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული ფიზიკური პირი.

სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის სხვა ნაწილებით

გათვალისწინებულია ძარცვის დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც არსებითად არაფრით განსხვავდებიან ქურდობის დამამძიმებელი გარემოებისაგან.

რაც შეეხება ძარცვის ისეთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, როგორიცაა: ძარცვა, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ან ასეთი ძალადობის მუქარით, (178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ" პუნქტი) ეს, ცხადია, ქურდობის შემადგენლობას არ შეიძლება შეიცავდეს. ფაქტობრივად, აქ ლაპარაკია ისეთ ძალადობაზე, რომელიც არ ქმნის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანების დანაშაულის შემადგენლობას, ვინაიდან ამ დროს არ ხდება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომის უნარის უმნიშვნელო არამყარი დაკარგვაც კი (იხ. მუხლები 117-ე, 118-ე, 120-ე).

ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემაში ან სხვაგვარ ძალადობაში, რომელიც დაზარალებულს ტკივილს განაცდევინებს, მაგალითად, ხელის გადაგრეხა, კარატესა და სხვა მტკივნეული ილეთის გამოყენება, ფეხის გამოდებით პირის წაქცევა, ქალისათვის საყურის მოგლეჯა და სხვა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცემისათვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლში, მაგრამ, რამდენადაც აღნიშნული ფიზიკური ძალადობა ძარცვის მაკვალიფიცირებელი შემადგენლობის ალტერნატიულ-სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს, იგი შთაინთქმება ძარცვის შემადგენლობით და კოდექსის 125-ე მუხლით დამატებით კვალიფიკაციას აღარ მოითხოვს. განხორციელებული ძალადობა ყოველთვის სხვისი ქონების დაუფლების საშუალებას უნდა წარმოადგენდეს.

ძარცვის დროს ძალადობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ქონების მესაკუთრის, სხვა კანონიერი მფლობელის მიმართ, ისე სხვა პირების მიმართაც, რომლებიც რეალურად წინ აღუდგებიან დანაშაულის ჩადენას ან, დამნაშავის აზრით, შეეძლოთ ხელი შეეშალათ მისთვის ქონების უკანონოდ დაუფლებისათვის.

რაც შეეხება ფსიქიკურ ძალადობას, იგი გულისხმობს პირის დაშინებას, მუქარას – გამოიყენოს ისეთი ძალადობა, რაც საშიში არ არის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ფსიქიკური ძალადობა

შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ქონების დაუფლების, ისე უკვე დაუფლებული ქონების შენარჩუნების საშუალება.

ძალადობის ხარისხის განსასაზღვრავად სავალდებულოა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, ვინაიდან სწორედ ძალადობის ხარისხია განმსაზღვრელი ძარცვისა და ყაჩაღობის დანაშაულთა გასამიჯნად.

ყაჩაღობა (მუხლი 179-ე)

ყაჩაღობის საშიშროება მეტად მაღალია. იგი არა მარტო ქონების ხელყოფაში გამოიხატება, არამედ თვით ამ ხელყოფის ხასიათში — თავდასხმასა და ისეთი ძალადობის გამოყენებაში, რომელიც საშიშია ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარაში.

ყაჩაღობა ორობიექტიანი დანაშაულია. იგი ერთდროულად ხელყოფს როგორც ადამიანის საკუთრების უფლებას, ისე მის ჯანმრთელობას. ყაჩაღობის შემადგენლობაში ეს ორივე ობიექტი ძირითადია. ის, რომ ყაჩაღობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია შეტანილი, იმით არის განპირობებული, რომ ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, როგორც სისხლის სამართლით დაცულ ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტს, ცალკე თავი აქვს დათმობილი, სადაც სათანადოდ არის რეგლამენტირებული როგორც მისი სიცოცხლის, ისე ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. ამიტომ ყაჩაღობის შემადგენლობაში საკუთრებითი ურთიერთობის ობიექტს პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება.

ობიექტური მხრივ ყაჩაღობა გამოიხატება თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად, რასაც თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის მუქარა.

თავდასხმის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ დაზარალებულისათვის დამნაშავის უეცარი, აგრესიული მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ძალადობასთან. თუმცა, მოულოდნელობის მიუხედავად, როგორც წესი, თავდასხმის ფაქტი, რომელსაც თან ერთვის ფიზიკური ძალადობა, კარგად არის გათვითცნობიერებული დაზარალებულის მიერ. მაგრამ ზოგჯერ შეიძლება თავდასხმის ფაქტი მის მიერ არც იყოს გააზრებული (მაგალითად, დანის ჩარტყმა ზურგში, მალულად სროლა და ა.შ.). თავდასხმა შეიძლება გამოიხატებოდეს ნერვულ-პარალიტიკური, ტოქსიკური ან სხვა

გამაბრუებელი საშუალებით, (თუ მან საფრთხე შეუქმნა მსხვერპლის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას) რათა მან გონება დაკარგოს და დამნაშავემ დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით განახორციელოს დანაშაულებრივი საქმიანობა.

ამგვარი ხასიათის ზემოქმედება ხშირად არ აღიქმება დაზარალებულის მიერ, მაგრამ იგი მაინც თავდასხმად უნდა იყოს მიჩნეული.

ყაჩაღობას ექნება ადგილი ისეთი ძალადობის დროსაც, რაც გამოყენებულია არა მესაკუთრის ან ქონების სხვა კანონიერი მფლობელის მიმართ, არამედ იმ პირების მიმართაც, რომლებსაც, დამნაშავის შეხედულებით, შეუძლიათ წინ აღუდგნენ ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას.

თავდასხმა და მის შედეგად უშუალოდ განხორციელებული ძალადობა ორი განუყოფელი აგრესიული აქტის ერთიანობაა. ამიტომ თავდასხმაზე, როგორც ყაჩაღობის ობიექტურ ნიშანზე, შეიძლება მხოლოდ პირობითად ვილაპარაკოთ, ვინაიდან ძალადობის გარეშე იგი კარგავს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას. თუ თავდასხმას არ ახლავს ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობა, იგი არ შეიძლება იყოს დაზარალებულის წინააღმდეგობის გადასალახავად გამოყენებული ქონების დაუფლების საშუალება.

ფიზიკური ძალადობა, გამოყენებული ყაჩაღობის დროს, საშიში უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის; დაზარალებულის სიკვდილი, როგორც მისდამი გამოყენებული ძალადობის შედეგი, ყაჩაღობის შემადგენლობას სცილდება და იგი დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც ყაჩაღობა და მკვლელობა, ცხადია, მისი ბრალის ფორმის, ხერხისა და საშუალების გათვალისწინებით.

თუ ყაჩაღობას თან ახლავს სხეულის მძიმე დაზიანება, ქმედება დანაშაულთა ერთობლიობას ქმნის. ამ შემთხვევაშიც, დანაშაულის დასაკვალიფიცირებლად ყურადღება უნდა მიექცეს ბრალის ფორმასა და სხეულის დაზიანების ხარისხს.

დამნაშავის მიერ გამოყენებული ძალადობის ხარისხის განსასაზღვრავად, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არა მარტო ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების შედეგი, არამედ მისი ხანგრძლივობა, ინტენსივობა, დანაშაულის ჩადენის იარაღი, საშუალება და სხვა.

აქედან გამომდინარე, ყაჩაღობად უნდა იქნეს დაკვალიფიცირებული ისეთი შემთხვევა, როდესაც ყაჩაღობას შედეგად მოჰყვა სხეულის მსუბუქი დაზიანება ან მას საერთოო არ მოჰყოლია ჯანმრთელობისათვის არავითარი

ზიანი, მაგრამ მიყენების მომენტში ქმნიდა საშიშროებას დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ასეთი ძალადობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ დაზარალებულის არაერთგზისი ჩაშვება წყლით სავსე აბაზანაში, თავზე პოლიეთილენის ჩამოცმა, მისი გადმოგდება მოძრავი მატარებლიდან და სხვა ძალადობითი მოქმედება.

ყაჩაღობის დროს ფსიქიკური ძალადობა უმეტესწილად მიმართულია ქონების მესაკუთრის ან მისი მფლობელის მიმართ, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ძალადობის გამოყენების მუქარა მიმართული იყოს სხვა პირებისაკენ, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ დანაშაულის განხორციელებას.

ყაჩაღობის დროს მუქარა უნდა იყოს იმწუთიერი და რეალური. მისი გამოვლენის ფორმას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. იგი შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად, ჟესტით, კონკლუდენტური მოქმედებით (მაგალითად, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის დემონსტრირებით).

დაზარალებული დარწმუნებული უნდა იყოს ან ყოველ შემთხვევაში, საფუძვლიანი ეჭვი უნდა ჰქონდეს იმისა, რომ ეს მუქარა რეალიზებულ იქნება, თუ იგი ქონების გადაცემის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს. ამიტომ მუქარის მიზანია დაზარალებულის ნების პარალიზება ან დროებით მისი დათრგუნვა და ამით ძალადობრივი გზით ქონების დაუფლება.

ქმედების იურიდიული არსის შეფასებისას მნიშვნელოვან მომენტად ითვლება თვით დაზარალებულის მიერ მის მიმართ გამოთქმული მუქარის ხასიათის შეგნება. თუ დანაშაულის ჩადენის მთელი ვითარება მოწმობს, რომ არსებობს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რეალური საფრთხე, მაშინ მუქარის განუსაზღვრელი ხასიათის დროსაც კი, ქმედება ყაჩაღობის შემადგენლობას ქმნის.

დამნაშავის მიერ ქონების დასაუფლებლად იარაღის იმიტაციის გამოყენება, რომელსაც გარეგნული მსგავსება აქვს იარაღის ანალოგთან, მაგრამ არ შეიძლება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, მაინც ძალადობაც უნდა მივიჩნიოთ, თუ ეს იარაღი მსხვერპლის მიერ ნამდვილ იარაღად აღიქმება. სათამაშო იარაღის დემონსტრირებაც კი უარყოფითად მოქმედებს დაზარალებულზე, მას ეუფლება შიშის გრძნობა და იგი იძულებულია დათმოს ქონება.[1]

ზოგჯერ დანაშაულებრივი ქმედება დაწყებული ქურდობით ან

1 ამ საკითხე არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ. 2004, გვ. 84-86.

ძარცვით, მისი ჩადენის პროცესში შეიძლება გადაიზარდოს ყაჩაღობად, თუ ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობა ამა თუ იმ გარემოებათა გამო ინტენსიფიცირებულ და მიყვანილ იქნა ძალადობის იმ ხარისხამდე, რაც დამახასიათებელია ყაჩაღობისათვის.

თუ ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას დამნაშავე იყენებს ქურდობის ან ძარცვის დამთავრების შემდეგ, რათა თავიდან აიცილოს შეპყრობა და დამნაშავის მიზანს არ წარმოადგენს ამ გზით დაუფლებული ქონების მითვისება, იგი არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობად. იგი ქმნის ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ დანაშაულს ან მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.

ყაჩაღობის საშიშროებიდან გამომდინარე, ყაჩაღობა ფორმალური დანაშაულის შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება. იგი დამთავრებულია ყაჩაღური თავდასხმის მომენტიდან, იმისდა მიუხედავად, შეძლო თუ არა დამნაშავემ სხვისი ქონების დაუფლება. დაზარალებულისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ამ დანაშაულის ობიექტური მხარის ფარგლებს გარეთ რჩება. დანაშაულის დამთავრების განსაზღვრა თავდასხმის მომენტით შეუძლებელს ხდის ყაჩაღობის მცდელობის სტადიის არსებობას.

ყაჩაღობის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. დამნაშავეს გათვითცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების საშიშროება და ის ზიანი, რაც შეიძლება მიადგეს დაზარალებულს და სურს მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლოს მის ქონებას.

ყაჩაღობის დანაშაულის ამსრულებელია კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი.

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილებში ჩამოთვლილია ყაჩაღობის ისეთი დამამძიმებელი გარემოებების კომენტარი მოცემულია ქურდობისა და ძარცვის დანაშაულთა განხილვისას.

ყაჩაღობის შემადგენლობაში თავისებურად არის ჩამოყალიბებული მისი ისეთი დამამძიმებელი გარემოება, როგორიცაა ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად. (179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი) ამ მაკვალიფიცირებელ გარემოებაში იგულისხმება ყაჩაღობის ჩადენა როგორც ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ისე მისი ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

თუ ყაჩაღობა ჩადენილია ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, არ არის საკმარისი, რომ ყველა თანაამსრულებელმა გამოიყენოს ისეთი

ძალადობა, რომელიც საშიშია ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის. საკმარისია, რომ მათგან თუგინდ ერთმა მიმართოს ამგვარ ძალადობას და ეს ფაქტი სხვა თანამონაწილეთა განზრახვითაც იყოს მოცული. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება ამსრულებლის ექსცესი.

ჯგუფური ყაჩაღური თავდასხმა, განხორციელებული შეიარაღებული დამნაშავეების მიერ, უნდა გავმიჯნოთ ბანდიტიზმისაგან. ბანდის აუცილებელ ნიშანს, რითაც იგი განსხვავდება ყაჩაღობისაგან, წარმოადგენს ჯგუფის სიმყარე. ბანდის სიმყარე ხასიათდება მისი შემადგენლობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სტაბილურობით, მისი წევრების მტკიცე შეკავშირებით, დანაშაულებრივი საქმიანობის დამახასიათებელი ფორმითა და მეთოდებით. ამას გარდა, ჯგუფური შეიარაღებული ყაჩაღობისაგან განსხვავებით, ბანდის შეიარაღება გულისხმობს მისი წევრების აღჭურვას მხოლოდ ცეცხლსასროლ,ფეთქებადი ან ცივი იარაღით და, რაც მთავარია, ბანდა იქმნება რამდენიმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად, მაშინ, როდესაც ჯგუფური ყაჩაღობა ერთჯერადი დანაშაულებრივი აქტის განხორციელებას გულისხმობს.

ყაჩაღობას, ჩადენილს დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს. (179-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,გ'' პუნქტი) ქურდობისა და ძარცვისას დიდი ოდენობა გულისხმობს ქონების მითვისების უკვე შემდგარ ფაქტს, როდესაც დამნაშავე დაეუფლა ქონებას და მისი განკარგვის შესაძლებლობა აქვს, ხოლო ყაჩაღობის დროს შეიძლება დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მხოლოდ მიზანი არსებობდეს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს განეკუთვნება. ყაჩაღობა დამთავრებულია მაშინ, როდესაც თავდასხმა განხორციელდა. მთავარია, დადგენილ იქნეს განზრახვა, რომ ყაჩაღობა მიმართული იყო დიდი ოდენობით ნივთის დაუფლებისაკენ.

თაღლითობამ, როგორც სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებამ, ფართო გავრცელება პოვა საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი მეწარმეობის სფეროში. მისი ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობები, ხოლო საგანს წარმოადგენს სხვისი უძრავი ან მოძრავი ქონება, ასევე სხვის ქონებაზე უფლება, როგორც იურიდიული კატეგორია. ეს უფლება შეიძლება სხვადასხვა დოკუმენტით იყოს აღიარებული (მაგალითად, ანდერძით, დაზღვევის პოლისით, ამა თუ იმ ქონების მიღების მინდობილობითა და სხვა). ხშირად დოკუმენტები სხვადასხვა თაღლითური ოპერაციის საგანია.

ობიექტური მხრივ თაღლითობის თავისებურება მისი ჩადენის ხერხში მდგომარეობს. საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულთაგან განსხვავებით, რომელთათვისაც დამახასიათებელია დანაშაულის განხორციელების ფიზიკური ხერხი, თაღლითობისას დამნაშავის მოქმედებას ინფორმაციული ხასიათი აქვს ან კიდევ გამოყენებულია დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული ნდობის ფაქტორი.

ქონების დაუფლების ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებაა მოტყუება. ცხადია, მოტყუება თავისთავად არ გულისხმობს სხვისი ქონების დაუფლებას, მაგრამ მისი დახმარებით ხდება ძირითადი მოქმედების შესრულების უზრუნველყოფა. ამიტომაცაა, რომ მოტყუება, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხი, შედის თაღლითობის დანაშაულის შემადგენლობაში. სწორედ ეს ზემოაღნიშნული ურთიერთდაკავშირებული აქტები შეადგენს თაღლითობის ობიექტური მხარის ნიშნებს.

თაღლითობის სპეციფიკა იმაშიც პოულობს თავის გამოხატულებას, რომ გარეგნულად ქონების გადაცემა დამნაშავისათვის ხდება ნებაყოფლობით თვით მესაკუთრის მიერ, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი.

ამრიგად, მოტყუება ეს არის ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯება ან გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვა ქონების მესაკუთრის შეცდომაში შეყვანის მიზნით. იგი გულისხმობს კონტრაგენტის დეზინფორმაციას, მის წინასწარი შეცნობით შეცდომაში შეყვანას. ამიტომ, თუ დადგენილი არ იქნება რეალობის დამახინჯების ან შეტყობინების წინასწარი განზრახვა, ქმედებას თაღლითობად ვერ დავაკვალიფიცირებთ.

ამდენად, მოტყუება წინ უნდა უძღოდეს ნივთის დაუფლებას. მოტყუე-

ბის, როგორც სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ორი სახე არსებობს: აქტიური მოტყუება გულისხმობს წინასწარი შეცნობით პირის შეცდომაში შეყვანას ცრუ მონაცემების შეტყობინების საფუძველზე; პასიური მოტყუება კი გულისხმობს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დაფარვას, რომლის შეტყობინება დაზარალებულისათვის სავალდებულო იყო. ამით დაზარალებული შეცდომაშია შეყვანილი ქონების გადაცემის კანონიერი საფუძვლის არსებობის შესახებ.

თაღლითობის დროს დამნაშავის მიერ მიწოდებული ტყუილი ცნობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს; ზოგჯერ იგი ეხება დამნაშავის პიროვნებას, მის უფლებებსა და უფლებამოსილებას; მეორე შემთხვევაში – იურიდიულ ფაქტებს და ა.შ.

მოტყუება შეიძლება გამოიხატოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.

თაღლითობა ხშირად დაკავშირებულია ყალბი დოკუმენტების წარდგენასთან, რაც თითქოსდა კანონიერ საფუძველს ქმნის დამნაშავისათვის ქონების გადასაცემად. ამ შემთხვევაში ყალბი დოკუმენტის გამოყენება, როგორც მოტყუების ერთ-ერთი სახე, წარმოადგენს თაღლითობის კონსტრუქციულ ელემენტს და დამატებით კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით – „ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება“ – არ საჭიროებს; ხოლო თაღლითის მიერ ყალბი დოკუმენტის დამზადება, ძირითად დანაშაულთან ერთად, დამატებით კოდექსის 362-ე მუხლითაც უნდა დაკვალიფიცირდეს.

რაც შეეხება ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ყაღუტის დამზადებას, შეძენას, შენახვას გასაღების მიზნით, აგრეთვე გასაღებას, იგი სრულად არის მოცული კოდექსის 212-ე მუხლის დისპოზიციით და დამატებით კვალიფიკაციას თაღლითობის მუხლით არ საჭიროებს. ყალბი ლატარიის ბილეთით მოგების მიღება უკვე თაღლითობის დანაშაულის შემადგენლობას იძლევა, ვინაიდან იგი არ შეიცავს სახელმწიფოს ან კომერციული ორგანიზაციის საკრედიტო მოვალეობას – გადაუხადოს ყალბი ბილეთის პატრონს მისი ღირებულება.

თაღლითობის მეორე, უფრო ნაკლებად გავრცელებულ მოტყუების ხერხს წარმოადგენს ნდობის ბოროტად გამოყენება. ფაქტობრივად იგი მოტყუების სახესხვაობაა.

ნდობის ბოროტად გამოყენება, როგორც თაღლითობის ჩადენის ხერხი,

ჩვეულებრივ გამოიხატება დამნაშავის მიერ სპეციალური უფლებამოსილების ან პირადი ნდობის ბოროტად გამოყენებაში. დაზარალებულის ნდობა, როგორც წესი, ეფუძნება ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამოქალაქო-სამართლებრივ ან შრომით ურთიერთობებს (მაგალითად, პირი, რომელმაც შრომის ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოს შესასრულებლად მიიღო ფული, წინასწარი განზრახვით არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ან კიდევ წინასწარ განზრახვით არ უბრუნებს ვალს დაზარალებულს და სხვა).

სასამართლო პრაქტიკა თაღლითობად აკვალიფიცირებს კერძო პირის მიერ განზრახ პენსიისა თუ დახმარების უკანონოდ მიღებას.

თაღლითობაა გარიგების დადებისას (ნასყიდობის, იჯარის და სხვა) დაზარალებულის მოტყუება, როდესაც მას გადასცემენ წუნდებულ საქონელს, უფრო მცირე ღირებულების ნივთს და სხვ. თუ მოტყუებულია მომხმარებელი, მაშინ კვალიფიკაცია მისაღებია სსკ 219-ე მუხლით.

ბოლო წლებში ფართო გავრცელება პოვა თაღლითობით ჩადენილი დანაშაულის სხვაგვარმა გამოვლენამაც. სახელდობრ, იგი არ არის დაკავშირებული სხვისი ქონების უშუალო დაუფლებასთან, არამედ გულისხმობს მოტყუებით მასზე უფლების მოპოვებას; მაგალითად, დამნაშავეს აქვს რა წინასწარგანზრახული, რომ არ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, მოხუც მარტოხელა ადამიანთან დებს ფიქციურ ხელშეკრულებას სამიდღემშიო რჩენის შესახებ, მისი ბინის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით.

ბოლო ხანს ასევე გავრცელდა თაღლითობის ისეთი შემთხვევები, როგორიცაა: სხვისი ქონების ან სხვის ქონებაზე უფლების მიღება კომპიუტერის გამოყენებით, ავანსის მიღებით საქონლის მიცემის საბაბით და ა.შ.

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ ისეთ შემთხვევებს ვაწყდებით, როდესაც დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია თაღლითობისა და ქურდობის დანაშაულთა გამიჯვნა. ქურდობის დროსაც შეიძლება დამნაშავემ მოტყუებით შეაღწიოს ბინაში. მაგრამ ამ დროს მოტყუება წარმოადგენს იმ პირობას, რომელიც შემდგომში აადვილებს ქონების ფარულად დაუფლებას, ხოლო თაღლითობის დროს კი მოტყუება დამნაშავისათვის ქონების გადაცემის ძირითადი საფუძველია. ამ ორი დანაშაულის გასამიჯნად უნდა გვახსოვდეს, რომ ქურდობის დროს დამნაშავე დაზარალებულის ნების გარეშე ფარულად ეუფლება ქონებას, ხოლო თაღლითობისას კი პირი „ნებაყოფლობით“ გადასცემს ქონებას დამნაშავეს.

მოტყუება, რომელიც არ წარმოადგენს ქონების უშუალოდ დაუფლების საშუალებას, არამედ გულისხმობს მისი დაუფლების გაადვილებას და თაღლითობის შემადგენლობას არ მოიცავს. მაგალითად, პირი, რომელიც შედის ბინაში, ვითომდა წყლის ონკანის შეკეთების მიზნით და ბინის მეპატრონისაგან ფარულად ითვისებს ნივთს, ქურდობად იქნება დაკვალიფიცირებული.

თაღლითობის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. დამნაშავეს გათვითცნობიერებული აქვს, რომ იგი თაღლითობით მართლსაწინააღმდეგოდ უფლება სხვის ქონებას, რითაც ზიანს აყენებს მის მესაკუთრეს და სურს ამ შედეგის დადგომა.

თაღლითობის სუბიექტია 14 წელს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი.

თაღლითობის მაკვალიფიცირებელი გარემოებები, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლში ძირითადად ემთხვევა ქურდობის სათანადო მაკვალიფიცირებელ გარემოებებს (იხ. მუხლი 177-ე), მაგრამ ქურდობისაგან განსხვავებით, თაღლითობის ერთერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებად მოცემულია თაღლითობა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. (180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა" პუნქტი) აქ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს არა მარტო სახელმწიფო მოხელე, არამედ კომერციული სტრუქტურის წარმომადგენელიც, რომელიც სხვის ნივთს მოტყუებით დაეუფლება.

ბამოძალვა (მუხლი 181-ე)

საკუთრებითი ურთიერთობების გარდა, რომელიც გამოძალვის ძირითად ობიექტს წარმოადგენს, ამ დანაშაულის დამატებითი ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ადამიანის ჯანმრთელობა, ასევე მისი პატივი და ღირსება.

გამოძალვის საგანს წარმოადგენს როგორც ქონება, ისე ქონებაზე უფლება (ხელწერილი, ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი), რომლის თანახმადაც განსაზღვრული ქონებრივი უფლება ან ქონებით სარგებლობა დამნაშავეზე გადადის.

ობიექტური მხრივ გამოძალვა გამოიხატება დამნაშავის მიერ ქონების მესაკუთრისადმი ან ქონების მფლობელისადმი მიმართულ მოთხოვნაში, გადასცეს მას ნივთი ან მასზე უფლება, ასევე ქონებით სარგებლობის უფლება.

დანაშაულის კონსტრუქციიდან გამომდინარე, შესაძლებელია ქონების

უკანონო მოთხოვნა გულისხმობდეს მის გადაცემას დამნაშავისათვის სასურველი სხვა პირისათვის. ამასთან, ამ მოთხოვნას თან ერთვის დაზარალდებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მუქარა.

ამ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად დაზარალებულის იძულება მუქარის სხვადასხვა სახით გამოიხატება: მუქარა შეიძლება შეიცავდეს ძალადობის გამოყენებას; სხვისი ქონების განადგურებას; დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სახელგამტეხი ცნობის გახმაურებას; სხვა ისეთი ცნობების გავრცელებას, რომელიც, თუმცა სახელის გამტეხი არ არის, მაგრამ მისმა გავრცელებამ შეიძლება არსებითად დააზიანოს დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის უფლებები.

დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ გამაწბილებელი ცნობის გახმაურება შეიძლება შეეხებოდეს მათ პირად ცხოვრებას, ჯანმრთელობას, ბიოგრაფიის სამარცხვინო ფაქტს, ასევე ჩადენილ სამართალდარღვევას და სხვა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ახლო ნათესავებში იგულისხმებიან კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნაში მითითებული პირები: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

ის ცნობები, რომელთა გავრცელებითაც დამნაშავე იმუქრება, შეიძლება სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს და გამოგონილი იყოს, მაგრამ აუცილებლად დაზარალებულის ან ახლო ნათესავის სახელის გამტეხი უნდა იყოს.

ამასთან, როგორც აღინიშნა, გამოძალვისას მუქარა შეიძლება ეხებოდეს ისეთი ცნობების გავრცელებასაც, რომელიც, თუმცა სახელის გამტეხი არ არის, მაგრამ შეუძლია ზიანი მიაყენოს დაზარალებულს ან მის ახლო ნათესავს (მაგალითად, კომერციული საიდუმლოების შემცველი ცნობების, ოჯახური ან პირადი საიდუმლოების გახმაურება და სხვა).

გამოძალვისას დამნაშავის მიერ განხორციელებული შანტაჟი შეიძლება გულისხმობდეს დაზარალებულისათვის არასასურველი ცნობების გადაცემას საზოგადოების გარკვეული ჯგუფისათვის (მაგალითად, თანამშრომლებისათვის) ან თუგინდ ერთი პირისათვის (მაგალითად, მეუღლისათვის).

დანაშაულის გამოძალვით კვალიფიკაციისათვის მუქარის გამოხატვის ფორმას მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება გამოხატული იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, ტელეფონითა და სხვა; პირდაპირ ან შენიღბული ფორმით. ყველა შემთხვევაში აუცილებელია, რომ დაზარალე-

ბულის მიერ მუქარის შინაარსი ერთმნიშვნელოვნად იყოს აღქმული.

გამოძალვის დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს დამნაშავე რეალურად აპირებდა მუქარის განხორციელებას თუ არა. როგორც აღინიშნა, მთავარია დაზარალებულის მიერ ეს მუქარა რეალურად აღიქმებოდეს. გამოძალვისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ძალადობის გამოყენების მუქარა ხორციელდება არა უმალვე, არამედ გარკვეული დროის გავლის შემდეგ.

ძალადობრივი ძარცვისა და ყაჩაღობისაგან განსხვავებით, როდესაც ძალადობის გამოყენების მუქარა ქონების დაუფლებასთან ერთად რეალიზდება, გამოძალვის დროს ეს მუქარა მომავლისკენაა მიმართული. ამიტომაც ქონების დაუფლებაც მაშინვე კი არ ხდება, როგორც ძარცვისა და ყაჩაღობის დროს, არამედ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

რაც შეეხება სხვისი ნივთის განადგურების ან დაზიანების მუქარას, იგი შეიძლება იმწუთიერი ზიანის მიყენებასაც გულისხმობდეს.

ვინაიდან გამოძალვა ფორმალურ დანაშაულთა შემადგენლობას მიეკუთვნება და იგი დამთავრებულ დანაშაულად გვევლინება დაზარალებულისათვის მოთხოვნის წაყენების მომენტიდან, მუქარის რეალური განხორციელების შედეგი ყოველთვის დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება.

თუ გამომძალველის მიერ მუქარა რეალურად განხორციელდა, ადგილი ექნება დანაშაულთა ერთობლიობას: მაგალითად, ქონების განადგურებისას — გამოძალვასა და ნივთის განზრახ განადგურებას.

როგორც აღინიშნა, ძალადობის ფაქტობრივი გამოყენება, რომლითაც დამნაშავე ემუქრებოდა, ამ დანაშაულის შემადგენლობით არ არის მოცული და ამიტომ გამოყენებული ძალადობის ხარისხის მიხედვით იგი უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით: გამოძალვითა და ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სათანადო მუხლით, თუ გამოძალვას თან ახლდა განზრახი ან გაუფრთხილებელი მკვლელობა, ქმედება კვლავ დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება.

თუ დამნაშავემ მუქარის მიუხედავად, ვერ მიაღწია საწადელს და დაზარალებულს ქონება ვერ გამოსძალა, ხოლო შემდგომ ძალადობის გამოყენებით მაინც დაეუფლა ქონებას, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, საქმე გვექნება დანაშაულთა რეალურ ერთობლიობასთან: გამოძალვა და ძარცვა, ან ყაჩაღობა.

გამოძალვის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება.

დამნაშავემ იცის, რომ უკანონოდ მოითხოვს სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემას ან ქონებრივი სარგებლობის მიღებას და სურს იგი. იმავდროულად იგი მოქმედებს ანგარებითი მოტივით.

დანაშაულის ამსრულებელია თოთხმეტ წელს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი. აღნიშნულ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებს ჩვენ უკვე შევეხეთ ქურდობის დანაშაულის განხილვისას.

უნდა შევნიშნოთ, რომ, ვინაიდან გამოძალვა, როგორც ფორმალური დანაშაული, დამთავრებულია მოთხოვნის წაყენების მომენტიდან, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზანი გამოძალვის სუბიექტურ ნიშანში ვლინდება. მიაღწია თუ არა დამნაშავემ დიდი ოდენობით ქონების დაუფლებას, ამას გამოძალვის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. კვალიფიკაციისათვის განმსაზღვრელია ის, რომ დამნაშავეს ეს მიზანი გააჩნდა.

სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლს დაემატა მე-4 ნაწილი, რომლის საფუძველზეც დამნაშავის პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ ამ მუხლის 1-ლი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია რეკეტირის მიერ. კოდექსის ზოგადი ნაწილის 17[1] მუხლის თანახმად, რეკეტირი არის პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას, ან სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა, აგრეთვე უკანონოდ წყვეტს ან მონაწილეობს რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავების გადაწყვეტაში.

მითვისება ან გაფლანგვა
(მუხლი 182-ე)

განსახილველი დანაშაულის ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობები.

ობიექტური მხარე გამოიხატება სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში როგორც მითვისების, ისე გაფლანგვის ფორმით.

ამ მუხლში გაერთიანებულია ორი დამოუკიდებელი დანაშაული მითვისება და გაფლანგვა.

მითვისებისა და გაფლანგვისათვის დამახასიათებელია ის, რომ დამნაშავე უფლებამოსილია ჰქონდეს ქონება მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში. ამიტომ ამ მუხლით დაკვალიფიცირდება დამნაშავის მოქმედება, მიმართული ამ ქონების მართლსაწინააღმდეგოდ მითვისების ან გაფლანგვისაკენ.

დამნაშავე ქონების მართლზომიერ მფლობელობას ან გამგებლობას ახორციელებს სამსახურებრივი მოვალეობის, სახელშეკრულებო ურთიერთობისა თუ სპეციალური დავალების სახით. ამგვარი უფლებამოსილება აქვთ, მაგალითად, მომარაგების აგენტებს, მოლარეს, გამყიდველს და სხვა. ამიტომ იმათი მოქმედება, ვისაც ამგვარი უფლებამოსილება არ გააჩნიათ, მაგრამ სამუშაოს სპეციფიკის გამო, ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აქვთ შეხება ამ ქონებასთან, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ქურდობა.

მითვისება და გაფლანგვა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. საერთო მათ შორის ისაა, რომ ამ დანაშაულთა სუბიექტს ახასიათებს სპეციალური ნიშანი – ფაქტობრივი შესაძლებლობა განახორციელოს ამ ქონების განკარგვის, მართვის, დაცვის, რემონტის, გადაზიდვის, დროებითი სარგებლობისა და ა.შ. უფლებამოსილება.

მითვისება გულისხმობს აქტიურ მოქმედებას, რომელიც გამოიხატება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ამოღებაში მისი კანონიერი მესაკუთრისაგან და მის უკანონო დაუფლებაში როგორც თავის, ისე სხვა პირთა სასარგებლოდ.

როდესაც დამნაშავე მისთვის მინდობილ ქონებას ეუფლება თავის სასარგებლოდ გამოყენების მიზნით, წინასწარ საჭიროა მესაკუთრის ქონებრივი ფონდიდან ამ ქონების განცალკევება, გადანაცვლება სივრცეში და მისი პირად ქონებასთან გაერთიანება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დამნაშავემ ჯერ უნდა ამოიღოს ხელყოფის საგანი და შემდეგ თავის სარგებლობაში მოაქციოს იგი. ამიტომ. ფართოდ გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, მითვისება ეს არ არის მხოლოდ ნივთის დაკავება ან დაუბრუნებლობა, რომელიც თავისი შინაარსით ყოველთვის ადამიანის პასიურ მოქმედებას გულისხმობს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქონების დაუფლება უმოქმედობით როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად შეუძლებელია. მითვისება ყოველთვის აქტიური მოქმედებით ხორციელდება.

მითვისების დროს დანაშაული დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავისათვის კანონიერად მინდობილი ქონება მისმა მოქმედებამ უკანონოდ გადააქცია, ანუ როდესაც სხვის ქონებას დამნაშავე საკუთარ ქონებას უერთებს მისი, როგორც საკუთარის განკარგვის მიზნით. დამნაშავის შემდგომი მოქმედება, მიმართული მისაკუთრებული ქონების არამართლზომიერად გამოყენებისაკენ, ამ დანაშაულის ფარგლებს სცილდება, მაგრამ იგი გაფლანგვად არ გადაიქცევა. ასე რომ არ იყოს, მაშინ უნდა ვაღიაროთ მითვისებისა და გაფლანგვის დანაშაულთა ერთობლიობა, ხოლო გაფლანგვა კი არაერთგზის ჩადენილად მივიჩნიოთ.

დანაშაულის სუბიექტური მხარე გულისხმობს პირდაპირ განზრახვას: დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ითვისებს ან ფლანგავს სხვის ქონებას, რომელიც მას აქვს მინდობილი, ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს და სურს კიდევაც ზიანის მიყენება. ამ დროს იგი ხელმძღვანელობს ანგარებითი მოტივით და მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლის მიღებას სხვის ხარჯზე.

მას შემდეგ, რაც ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა ყველა სახის დანაშაულებრივი ხელყოფისათვის თანაბარი პასუხისმგებლობა დააწესა, ზემოაღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტად თოთხმეტ წელს მიღწეული კერძო პირი გვევლინება, რომელსაც მესაკუთრემ მფლობელობაში ან გამგებლობაში გადასცა მოძრავი ან უძრავი ნივთი, ან ქონებრივი უფლება. ამ დანაშაულის სუბიექტი არ შეიძლება იყოს თანამდებობის პირი. თუ მიმთვისებელი თანამდებობის პირია, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება 182-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სადაც ლაპარაკია მითვისებაზე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

სწორედ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით აღმოჩნდა

ეს ქონება მის მართლზომიერ მფლობელობაში თუ გამგებლობაში. უნდა შეეცნიშნოთ, რომ სამსახურებრიცი საქმიანობა გულისხმობს არა მარტო თანამდებობის პირის, არამედ რიგითი მუშაკების საქმიანობასაც, რომლებიც ახორციელებენ მათთვის მინდობილ ქონებასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებას.

გაფლანგვა, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, გულისხმობს დამნაშავის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებული ქონების დახარჯვას, მის გაყიდვას ან სხვაგვარად გასხვისებას.

გაფლანგვა არ არის მითვისების შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის ეტაპი. იგი არ შეიძლება განხილული იყოს როგორც მითვისების კერძო შემთხვევა, ვინაიდან ერთიანი მოქმედების — სხვისი ქონების ანგარების მიზნით გასხვისების — ხელოვნურად დანაწევრება ორ დამოუკიდებელ დანაშაულად არ შეიძლება. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ერთი და იგივე ნივთი არ შეიძლება ერთდროულად მიითვისონ და გაფლანგონ.

გაფლანგვის სპეციფიკა იმაშია, რომ მითვისებისაგან განსხვავებით, დამნაშავის მიერ ქონების მფლობელობასა და მის უკანონო განკარგვას შორის არ არსებობს დროის ინტერვალი.

გაფლანგვა დამთავრებულად ითვლება სხვისი მოძრავი ნივთის უკანონო განკარგვის მომენტიდან, ანუ როდესაც დამთავრდება მისი სრული გასხვისების პროცესი (მაგალითად, დახარჯვა, გაყიდვა, სხვა პირთათვის გადაცემა და ა.შ.).

ყველაზე ხშირად გაფლანგვის დაწყება და დამთავრება ერთიან აქტშია შერწყმული. მაგალითად, ბითუმად მოვაჭრე საწყობის გამგემ მოქალაქეებს უკანონოდ მიჰყიდა მისთვის მიბარებული მატერიალური ფასეულობა; ან კიდევ, ელექტრონიკის მაღაზიაში უფროსი გამყიდველი ანაზღაურების გარეშე გადასცემს მაგნიტოფონს თავის ნათესავს და სხვა.

მითვისება და გაფლანგვა უნდა განვასხვაოთ ქურდობისაგან, ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი გამოიხატება დანაშაულის სუბიექტის დამოკიდებულებაში სხვისი ქონების დაუფლების მიმართ. მითვისებისა და გაფლანგვის დროს სხვისი ქონება არა მარტო დამნაშავის მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფება, არამედ ამ ქონების მიმართ მას განსაზღვრული უფლებამოსილებაც გააჩნია. ქურდობის დროს კი დამნაშავეს ან საერთოდ არავითარი კავშირი არა აქვს ამ ქონებასთან, ან მის მიმართ ისეთი წმინდა ტექნიკური, საწარმოო ხასიათის ფუნქცია გააჩნია, რომელიც მას არ

ანიჭებს უფლებამოსილებას ამ ქონების მფლობელობის, სარგებლობის, განკარგვის ან დაცვის სფეროში.

სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებები ქურდობის მუხლის კომენტირებისას უკვე განხილულია.

განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით (მუხლი 183-ე)

განსახილველი დანაშაულის ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობა. მისი ცალკე დანაშაულად გამოყოფა განპირობებულია დანაშაულის საგნის განსაკუთრებული მნიშვნელობით.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულთაგან განსახილველი დანაშაული გამოირჩევა ხელყოფის საგნის განსაკუთრებული თვისებებით. იმისათვის, რომ დავადგინოთ ამ ნივთებისა თუ დოკუმენტების განსაკუთრებული ღირებულება, საჭიროა ექსპერტის დასკვნა და არა მარტო მათი ღირებულების ფულადი გამოხატულების დასადგენად, არამედ ამ ნივთების ქვეყნისათვის ისტორიული, მეცნიერული, კულტურული და ეროვნული მნიშვნელობის დასადგენადაც.

ზემოაღნიშნული დანაშაულის ხელყოფის საგანი შეიძლება იყოს არა მარტო ცალკეული ნივთი, არამედ ეროვნულ ღირებულებათა კოლექციაც, რომელსაც მასში შემავალი ცალკეული ნივთის ღირებულების მიუხედავად, ერთიანად აღებულს, აქვს ისტორიული, კულტურული, მეცნიერული თუ ეროვნული მნიშვნელობა. მაგალითად, სურათების, ხატების, უნიკალური და იშვიათი მუსიკალური ინსტრუმენტების, საფოსტო მარკების, ძველებური მონეტებისა და სხვათა კოლექცია.

განსაკუთრებული ისტორიული, მეცნიერული, კულტურული და ეროვნული ღირებულების მქონე ნივთების ჩამონათვალი, რაც შეიძლება ამ დანაშაულის საგნად იყოს ცნობილი, მოცემულია საქართველოს კანონში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, რომელიც მიღებული იყო 2007 წლის 8 მაისს.

ამ კანონის საფუძველზე მათ მიეკუთვნება როგორც უძრავი ძეგლები, ისევე მოძრავი ძეგლის შემდეგი სახეობები:

ა) ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შესრულებული სახვითი ხელოვნების ნიმუში;

ბ) ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შესრულებული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში;

გ) ისტორიულ მოვლენებთან ან ისტორიულ პირთა მოღვაწეობასთან დაკავშირებული ნივთები;

დ) არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ან კულტურულ ფენებში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები ან/და მათი ფრაგმენტები;

ე) ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შესრულებული საკულტო დანიშნულების ნივთი;

ვ) ხელნაწერები, ინკუნაბულები, სიგელები, გუჯრები და ბეჭდვითი გამოცემები, რომელთაც აქვთ ისტორიული, მხატვრული და სამეცნიერო ღირებულება;

ზ) ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები, მათ შორის, ფოტო-, ფონო-, კინო-, ვიდეომასალები;

თ) ეთნოგრაფიული ნივთები;

ი) უნიკალური ავეჯი და მუსიკალური ინსტრუმენტები;

კ) მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლები;

ლ) სხვა გადაადგილებადი ნივთები, რომლებსაც აქვთ ისტორიული, მხატვრული, სამეცნიერო ან სხვა ღირებულება, მათ შორის, ისტორიული მნიშვნელობის მქონე არქიტექტურული ნახაზები, სახვითი ხელოვნების ნიმუშების ასლები, აგრეთვე თანამედროვე წარმოების ტირაჟირებადი ნივთები.

დანაშაულის ობიექტური მხარე გულისხმობს ზემოაღნიშნული ნივთების ან დოკუმენტების დაუფლებას მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

კანონმდებელი დანაშაულის განხორციელების ხერხს მის კვალიფიკაციას არ უკავშირებს. განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მისაკუთრების მიზნით შეიძლება მოხდეს როგორც ქურდობით, ისე ძარცვით, თაღლითობით, ყაჩაღობითა და სხვა. ამიტომ თუ დისპოზიციაში ჩამოთვლილი ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მოხდა თავდასხმით და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი

ძალადობის გამოყენების მუქარით, მას დამატებითი კვალიფიკაცია – ყაჩაღობით არ სჭირდება.

უფრო რთული გადასაწყვეტია საკითხი იმის შესახებ, თუ როდის უნდა ჩაითვალოს ეს დანაშაული დამთავრებულად, როდესაც იგი ჩადენილია ყაჩაღური თავდასხმის გზით – თავდასხმის მომენტიდან, რომლის მიზანია ამ ნივთის თუ დოკუმენტის დაუფლება, თუ მისი ფაქტობრივად დაუფლების მომენტიდან.

განსაკუთრებული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლება მისაკუთრების მიზნით დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ სუბიექტი ფაქტობრივად დაეუფლა და თავის ან სხვა პირთა სარგებლობაში მოაქცია ეს ნივთები; ხოლო თუ ყაჩაღური თავდასხმა არ დამთავრდა ნივთის დაუფლებით, იგი უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობა და არა დამთავრებული დანაშაული.

სუბიექტური მხრივ აღნიშნული დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ამასთან, დამნაშავის განზრახვა, თუნდაც ზოგადად მაინც, უნდა მოიცავდეს იმ ფაქტს, რომ მის მიერ მისაკუთრების მიზნით დაუფლებული ნივთი ან დოკუმენტი ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს.

განზრახვის ამგვარი საგნობრივი შინაარსი განპირობებულია ბრალის პრინციპით, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დამნაშავის შეგნება უნდა მოიცავდეს არა მარტო იმას, რომ იგი მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ნივთს, არამედ, რომ იგი იტაცებს მეცნიერული თუ ეროვნული ღირებულების ნივთებს.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ყველა თოთხმეტ წელს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი.

სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას, თუ ეს დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად ან არაერთგზის. ხოლო მე-3 ნაწილით კი დამძიმებულია პასუხისმგებლობა, თუ იგი ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ეს ცნებები განმარტებულია ქურდობის განხილვის დროს (იხ. მუხლი 177-ე).

ამ დანაშაულის ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობები. დაზარალებული, მესაკუთრის გარდა, შეიძლება იყოს ქონების ყველა კანონიერი მფლობელი, მაგალითად, ის პირები, რომელთაც აქვთ მეურნეობის წარმართვის, ოპერატიული მმართველობისა და სხვა საფუძვლით ქონებით სარგებლობის უფლება. ეს უფლებამოსილება პირს მინიჭებული უნდა ჰქონდეს კანონით ან ხელშეკრულებით.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება მოტყუებაში, რის შედეგადაც მესაკუთრეს ან ქონების სხვა მფლობელს ქონებრივი ზიანი ადგება. ამასთან, კანონმდებელი ხაზს უსვამს, რომ დამნაშავის ქმედებაში არ უნდა იყოს თაღლითობის მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, ვინაიდან განსახილველი დანაშაულის ობიექტურ მხარეს გარკვეული მსგავსება აქვს თაღლითობის გზით სხვისი ქონების დაუფლებასთან. ორივე შემთხვევაში გამოიყენება დანაშაულის ჩადენის ერთი და იგივე ხერხი — მოტყუება.

ამასთან, ამ ორ დანაშაულს შორის არსებობს განსხვავებაც. თაღლითობის დროს მოტყუება გამოყენებულია, როგორც მესაკუთრის მფლობელობაში არსებული ქონების დაუფლების საშუალება, ხოლო ქონებრივი ზიანის გამოწვევის დროს კი მოტყუება გამორიცხავს მესაკუთრისათვის სათანადო ქონების მიღებას, რაც წესით მას უნდა მიეღო. ამასთან, დამნაშავე ან უკანონოდ იყენებს მისთვის მინდობილ ქონებას, ითვისებს იმ შემოსავალს, რომელიც მესაკუთრისათვის უნდა გადაეცა, ან თავს არიდებს მის გადაცემას (მაგალითად, დამნაშავე არ გადასცემს ორგანიზაცია-დაწესებულებას იმ მატერიალურ სიკეთეს, რისი გადაცემაც მის ვალდებულებას წარმოადგენდა, ანდა ამა თუ იმ ტრანსპორტით მგზავრობა ყალბი ბილეთით, სასტუმროს ნომრით სარგებლობა და შემდეგ მომსახურების გადახდაზე უარი და სხვ.). ამ მოქმედებათა შედეგად მესაკუთრეს ადგება ზარალი, ე.წ. აცდენილი მოგების სახით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ორი დანაშაული განსხვავდება ქონებრივი სარგებლის უკანონოდ მიღების მექანიზმით. თუ თაღლითობის დროს მოტყუებითი ხერხის გამოყენებით ხდება სხვისი კუთვნილი მოძრავი ნივთის დაუფლება მისაკუთრების მიზნით (ე.ი. სხვისი ქონებრივი ფონდი, მცირდება), ქონებრივი ზიანის მიყენებისას ნივთის ამ გზით ამოღება არ

ხორციელდება. მესაკუთრის ან კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონება არ მცირდება.

განსახილველი მუხლის თავისებურება სწორედ იმაშია, რომ დამნაშავე თავის სასარგებლოდ იყენებს ფულად სახსრებს ან სხვა ქონებას, რომელიც მესაკუთრემ ვერ მიიღო, თუმცა, ნორმატიული აქტის საფუძველზე ქონება შეტანილი უნდა ყოფილიყო მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელის ფონდში, ე.ი. მისი ფონდი უნდა გაზრდილიყო.

ამრიგად, აღნიშნული დანაშაულის განხორციელებისას ქონებრივი ზიანი არ არის გამოხატული პირდაპირ ზიანში, არამედ გულისხმობს სარგებლის მიუღებლობას.

აღნიშნული ხერხით ქონებრივი ზიანის მიყენება შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების ფაქტობრივი ღირებულების შემცირებით; რკინიგზის ვაგონების გამცილებლის, ავტობუსისა და სხვა სატრანსპორტო საშუალების მძღოლისაგან უბილეთო მგზავრებისაგან ფულის მიღებით და სხვა.

დაზარალებულისათვის ქონებრივი ზარალის მიყენება შეიძლება მოხდეს დამნაშავის მიერ დამზადებული ყალბი დოკუმენტის მეშვეობით (იგი მოტყუების ხერხია და ამ ქმედების ნიშანი). აღნიშნული შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე და 362-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ერთობლიობით.

კოდექსის 185-ე მუხლით დაკვალიფიცირდება დამნაშავის მიერ ელექტროენერგიის, გაზის, გათბობისა და სხვა კომუნალური გადასახადის სრული ან ნაწილობრივი გადაუხდელობა, დაკავშირებული მრიცხველის მონაცემის გაყალბებით და სხვა.

ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სხვა პირის დაკვეთის შესრულებისას დამნაშავის მიერ იმ მასალების გამოყენება, რომელიც საწარმო-მესაკუთრეს ეკუთვნის, მარტო ამ მუხლით არ დაკვალიფიცირდება, არამედ დამატებით — გაფლანგვით ან ქურდობითაც.

ზემოაღნიშნული დანაშაული მატერიალური შემადგენლობისაა. იგი დამთავრებულია არა მოქმედების ჩადენის მომენტიდან, არამედ ქონების მესაკუთრისა ან სხვა კანონიერი მფლობელისათვის ფაქტობრივი ქონებრივი ზარალის მიყენების მომენტიდან. დანაშაულის ანგარებითი ხასიათის მიუხედავად, მისი დამთავრებულად ცნობისათვის არ არის სავალდებულო,

რომ დამნაშავემ რეალურად მიიღოს ქონებრივი სარგებელი. მაგალითად, პირი, რომელმაც ვერ შეძლო მიეღო სხვისთვის გაწეული მომსახურებისათვის გასამრჯელო, პასუხს აგებს დამთავრებული დანაშაულისათვის, ვინაიდან დამნაშავემ დახარჯა ამა თუ იმ ორგანიზაცია-დაწესებულების სამუშაო დრო, არ აანაზღაურა ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციის ხარჯები და სხვა.

ცხადია, რომ დამნაშავის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის დადგენილ უნდა იქნეს მიზეზობრივი კავშირი.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული პირდაპირი განზრახვითა და ანგარების მიზნით არის ჩადენილი. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ ატყუებს ქონების მესაკუთრეს მისთვის ცრუ ცნობების მიწოდებით ან რეალურად არსებული ფაქტების შეუტყობინებლობით, ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებულს ქონებრივი ზიანი მიადგება და სურს მისთვის ამ ზიანის მიყენება.

სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელია მხოლოდ შერაცხადი კერძო პირი, რომელმაც თოთხმეტი წლის ასაკს მიაღწია. თუ ეს ქმედება ჩადენილია თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით სამსახურებრივი ინტერესის საწინააღმდეგოდ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან ქრთამის აღება (იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 338-ე მუხლები).

185-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელ გარემოებათა შინაარსი განხილულია სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის კომენტირებისას.

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება (მუხლი 186-ე)

განსახილველი დანაშაულის ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობა. მის საგანს წარმოადგენს ის ქონება, რომელიც დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, ანუ შეძენილია დანაშაულის ჩადენის შედეგად.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობაში, ნივთის შეძენაში, ფლობაში ან გასაღებაში.

ამ მუხლის ძველი რედაქცია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენითა და გასაღებით შემოიფარგლებოდა. 2008 წლის 19 მარტს შეტანილი ცვლილებით კანონმდებელმა ნივთზე ხარვეზიანი უფლების მოპოვების ფორმების უფრო დეტალიზება მოახდინა, შეძენასთან ერთად დასჯადი გახდა ფლობაც და სარგებლობაც; შესაძლებელია ნივთი შეძენილი არ იყოს, მაგრამ წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი დროებით შესანახად იყოს მიბარებული სხვაზე (მაგალითად, სხვის გარაჟში მოათავსო მოპარული ავტომობილი), ან კიდევ დროებით სარგებლობაში იქნეს გადაცემული ასეთი ნივთი, რომელიც სამოქალაქო გაგებით ნივთის შეძენის ცნებაში ასევე ვერ თავსდება. ამგვარად, კანონმდებელმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ნივთთან მოპყრობის ყველა შესაძლო ქმედების კრიმინალიზაცია მოახდინა, რათა ამ ნივთთან შეხებაში მყოფმა ვერც ერთმა პირმა ვერ დააღწიოს თავი პასუხისმგებლობას.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა გულისხმობს როგორც სასყიდლით ისე უსასყიდლოდ მასზე უფლების მოპოვებას (ყიდვა, გაცვლა, ჩუქება და სხვ.), ხოლო გასაღება – ნებისმიერი ფორმით გასხვისებას (რეალიზაციას).

კოდექსის 186-ე მუხლის ობიექტური მხარე ისეა ჩამოყალიბებული, რომ მასში მითითებულ მოქმედებათა განხორციელების ფაქტი, იმისდა მიუხედავად, დადგა თუ არა მავნე შედეგი, ქმნის დანაშაულის დამთავრებულ შემადგენლობას.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს დანაშაულებრივი გზით

მოპოვებული ნივთის შეძენის, სარგებლობის, ფლობის ან გასაღების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და სურს მისი ჩადენა.

„წინასწარი შეცნობა“ ამ შემთხვევაში ნიშნავს დამნაშავის მიერ იმ ფაქტის შეგნებას, რომ ნივთი მოპოვებული იყო დანაშაულის ჩადენის შედეგად. იმას, რომ ქონება მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით, შეიძლება მოწმობდეს ნივთის თავისებურება, მისი რაოდენობა, ვითარება, რომელშიც იგი შეიძინეს, ფასი, შეძენის წინადადების მიმცემის პიროვნება და ა.შ.

გამორიცხული არ არის, რომ დამნაშავემ არც იცოდეს, თუ რა დანაშაულის ჩადენის შედეგად არის მოპოვებული ესა თუ ის ნივთი. ეს გარემოება დანაშაულის კვალიფიკაციას ვერ შეცვლის, თუმცა გათვალისწინებულ იქნება სასჯელის ზომის დადგენისას. მაგრამ, თუ კონკრეტული დანაშაულის ფაქტი ცნობილია დამნაშავისათვის, მისი მოქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც კოდექსის 186-ე მუხლით, ისე სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას ამა თუ იმ დანაშაულის დაფარვის ან შეუტყობინებლობისთვის. მაგალითად, თუ ნივთის გასაღების გარდა პირმა სხვა მოქმედებაც ჩაიდინა გადამალა ნივთი, დაეხმარა მის დაფარვაში მაშინ შეიძლება ვისაუბროთ დანაშაულის დაფარვაზეც, მაგრამ თუ მხოლოდ ნივთის გასაღებას ჰქონდა ადგილი მაშინ შეუტყობინებლობას ვეღარ მოვედავებით, რადგან დამნაშავეს ვერ დავავალდებულებთ თავის თავი ამხილოს.

დანაშაულის ამსრულებელი ამ მუხლით არის როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. ამ დანაშაულის ამსრულებელი არაა ის, ვინც თავად მოიპოვა ეს ნივთი დანაშაულებრივი გზით (მაგალითად, ქურდი არაა ამ დანაშაულის ამსრულებელი).

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენას ან გასაღებას შეიძლება ჰქონდეს თანამონაწილეობის ფორმა, ასეთი ქმედება ამ მუხლით არ დაკვალიფიცირდება. ეს მაშინ, როდესაც დამნაშავე ან უშუალოდ მონაწილეობს ნივთის მართლსაწინააღმდეგო მოპოვებაში, ან წინასწარ იყო შეპირებული, რომ შეიძენდა ან გაასაღებდა ქონებას, ხოლო, თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობდა, ეს დანაშაული დამოუკიდებელ ხასიათს იღებს.

ამრიგად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა თანამონაწილეობად ჩაითვლება, თუ იგი დამნაშავისათვის დანაშაულის ჩადენამდე, დანაშაულის ჩადენისას ან სხვა გარემოებათა გამო წინასწარ

იყო ცნობილი. მაგალითად, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სისტემატური ხასიათი ჰქონდა, რაც დამნაშავეს აძლევდა საფუძველს ევარაუდა, რომ იგი დახმარებას უწევდა ამსრულებელს.

რაც შეეხება კოდექსის აღნიშნული მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებს, მათი შინაარსი კომენტირებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა განხილვის დროს.

მაგრამ დამატებით უნდა შევნიშნოთ, რომ დამნაშავის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით, თუ იგი წინასწარ იყო შეპირებული ან სისტემატურად ხორციელდებოდა, დაკვალიფიცირდება როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და იმ დანაშაულში თანამონაწილეობა, რის შედეგადაც იყო შეძენილი ეს ქონება.

ასევე ამ მუხლის თავისებურებაა ის, რომ მის მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ავტომობილის შეძენა ან გასაღება. ავტომობილის, როგორც დანაშაულის საგნის, ცალკე გამოყოფა ნაკარნახევი იყო ამ დანაშაულის გავრცელების ხასიათით.

სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა უნდა გაიმიჯნოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაგან (მ. 194). სსკ 186-ე მუხლში საუბარია მხოლოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ნივთზე, ხოლო 194-ე მუხლში – უკანონო შემოსავალზე ფართო გაგებით, რომელშიც იგულისხმება როგორც დანაშაულებრივი ისე არადანაშაულებრივი გზით მოპოვებული მაგრამ უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება[1]. 186-ე მუხლით აღწერილი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაბმის თავიდან აცილებას (აღკვეთას) და საკუთრების დაცვას.

1 სსკ 186-ე მუხლით აღწერილი დანაშაულის საგანი ძირითადად ემთხვევა ფულის გათეთრების შემადგენლობის საგანს (მ. 194). ამავე დროს ქონება რომელიც 186-ე მუხლის საგანს შეადგენს შეზღუდულია მხოლოდ იმ ნივთებით, რომლებიც მოპოვებულია დანაშაულის ჩადენის შედეგად. მისგან განსხვავებით ფულის გათეთრების საგანს შეიძლება შეადგენდეს ფულიც, ასევე ისეთი ქონებაც, რომლის დანაშაულებრივი წარმომავლობა დაუდგენელია, მაგრამ არც ლეგალური წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი გააჩნია მის მფლობელს და ამიტომ უკანონო შემოსავლად ითვლება. ამრიგად, 194-ე მუხლში უკანონო შემოსავალი უფრო ფართოდ არის გაგებული, მასში იგულისხმება როგორც დანაშაულებრივი ისე არადანაშაულებრივი, მაგრამ უკანონო გზით მოპოვებული ან/და დაუსაბუთებელი ქონება. სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი ნებისმიერი ფიზიკური პირია, ხოლო 194-ე მუხლში კი ის ფიზიკური ან იურიდიული პირი ვინც ცდილობს კანონიერი სახე მისცეს შემოსავალს.

აქედან გამომდინარე ეს დანაშაული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისგან ძირითადად მოქმედების მიმართულებით განსხვავდება, კერძოდ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამნაშავე ასეთი ნივთის ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაბმით მის ლეგალიზებას ისახავს მიზნად, რაც უნდა გამოვრიცხოთ 186-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების რეალიზაციის დროს; ამ დროს დამნასავეს ანგარება ამოძრავებს, თუმცა ნივთზე უფლების მოპოვების 186-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმები ძალაუნებურად ქონების ლეგალიზაციასაც ემსახურება. საქმე იმაშია, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) ნებისმიერი ფინანსური ოპერაციისა თუ სხვა გარიგების ფაქტობრივი მხარეა, პირი რომელიც აცნობიერებს რომ ახორციელებს სამოქალაქო გარიგებას ამა თუ იმ ქონებასთან მიმართებით (შეძენა, ფლობა, გასაღება...) არ შეიძლება არ სურდეს რომ ამ გარიგებას მისცეს მართლზომიერი ხასიათი. ძალაუნებურად ის ფულის გათეთრების რაღაც საფეხურს ახორციელებს, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ სსკ 186-ე მუხლით აღწერილი ქმედების განხორციელებისას პირს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზანი არ ამოძრავებს, მას ანგარება, გამორჩენის სურვილი ამოძრავებს. სხვანაირად მიჯნას ვერ გავავლებთ 186-ე და 194-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს შორის.

ამრიგად, სსკ 186-ე მუხლით აღწერილი ქმედების შეფასებისას უნდა გაირკვეს რას ემსახურებოდა ის, ფულის გათეთრებაში დახმარებას, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის დაფარვაში დახმარებას, თუ პირადი სარგებლის მიღებას, რათა ის გავმიჯნოთ 194-ე და 375-ე მუხლებით აღწერილი დანაშაულებისაგან. თუ პირს არც შემოსავლის გათეთრების და არც ძირითადი სამართალდარღვევის მონაწილის დახმარების მიზანი არ ამოძრავებს და წინასწარი შეპირების გარეშე, მაგრამ წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ნივთს შეიძენს, ფლობს, სარგებლობს ან ასაოებს პირადი მოტივით, მაშინ ის სსკ 186-ე მუხლით აღწერილ დანაშაულს ახორციელებს.

ნივთის დაზიანება ან განადგურება
(მუხლი 187-ე)

განსახილველი დანაშაულის ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობა. იგი მიეკუთვნება ქონებაზე არაანგარებით ხელყოფას. ეს დანაშაული არ ისახავს მიზნად დამნაშავის გამდიდრებას, მაგრამ მესაკუთრეს სერიოზულ ზიანს აყენებს, ვინაიდან მოქალაქეები, სახელმწიფო, კერძო და სხვა ორგანიზაციები განიცდიან მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს ან მოკლებული არიან შესაძლებლობას, გამოიყენონ თავისი ქონება მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით და სარგებელი მიიღონ მისგან.

ამ დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ყოველგვარი ქონება, რასაც მატერიალური ღირებულება გააჩნია. განსხვავებით ქონებრივი დანაშაულის ზოგიერთი სხვა სახისაგან, დანაშაულებრივი ხელყოფის საგანი შეიძლება იყოს უძრავი ქონებაც (მაგალითად, შენობა-ნაგებობა).

ობიექტური მხრივ დანაშაული გულისხმობს სხვისი ქონების დაზიანებას ან განადგურებას, თუ ამ ქმედებამ მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია.

განადგურება გულისხმობს ნივთზე იმგვარ გარეგან ზემოქმედებას, რის შედეგადაც წყდება მისი ფიზიკური არსებობა ან იგი გამოუსადეგარი ხდება მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისათვის. განადგურება შეიძლება გამოიხატოს შენობა-ნაგებობის დანგრევაში ან მისი ისეთ მდგომარეობაში ჩაგდებაში, როდესაც იგი კარგავს თვისებრივ განსაზღვრულობასა და სასარგებლო თვისებებს.

ქონების განადგურების თავისებურება იმაშია, რომ იგი არ შეიძლება აღდგენილ იქნეს რემონტის ან რესტავრაციის საშუალებით.

ნივთის დაზიანებაში იგულისხმება ქონების თვისებრიობის ისეთი შეცვლა, რომლის დროს არსებითად უარესდება მისი მდგომარეობა, ხდება ქონების სამეურნეო ღირებულების შემცირება, იკარგება სასარგებლო თვისებათა მნიშვნელოვანი ნაწილი და მთლიანად ან ნაწილობრივ გამოუსადეგარია სამეურნეო ან სხვა მიზნობრივი გამოყენებისათვის.

განადგურებისაგან განსხვავებით, როდესაც ნივთი ფაქტობრივად ისპობა, დაზიანებისას, მართალია, ხდება მისი თვისებრივი გაუარესება, მაგრამ ნივთის აღდგენა შეიძლება რესტავრაციის, რემონტისა და სხვა საშუალებით.

დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც. ნივთის განადგურება ან დაზიანება შესაძლებელია მასზე მექანიკური ან სხვა სახის ზემოქმედებით. დანაშაული მატერიალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება. მის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ნივთის მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება. მნიშვნელოვანი ზიანის ცნებას კანონმდებელი განმარტავს, სსკ 177-ე მუხლის შენიშვნაში (150 ლარის ზევით).

დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ აზიანებს ან ანადგურებს სხვის ქონებას, ითვალისწინებს მის მართლსაწინააღმდეგო შედეგს და სურს მისი დადგომა, ან ითვალისწინებს ამ შედეგს – მნიშვნელოვანი ზარალის მიყენებას, არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელია ყველა კერძო, შერაცხადი და თოთხმეტ წელს მიღწეული პირი.

ნივთის დაზიანების ან განადგურების მაკვალიფიცირებელ გარემოებად აღიარებული სხვისი ქონების განადგურება ან დაზიანება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, კანონმდებლის მიერ ცალკე გამოყოფილი ხერხის გარდა, გულისხმობს მის განხორციელებას ისეთი საშუალებით, როგორიცაა: რადიაქტიურ ნივთიერებათა გამოყენება, წყლით დატბორვა და სხვა, ე.ი. რაც საშიშროებას უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ზემოაღნიშნულ საშუალებათა გამოყენებით ამ დანაშაულის ჩადენა მას ორობიექტიან დანაშაულად აქცევს, სადაც დამატებით ობიექტად ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა გვევლინება.

თუ ქონების განადგურებას ან დაზიანებას გაუფრთხილებლობით ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, იგი ამ მუხლის მე-3 ნაწილით დაკვალიფიცირდება; ხოლო თუ დამნაშავე ამ შედეგის მიმართ არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა, მაშინ სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა: კოდექსის 187-ე მუხლი და სათანადო პირობების არსებობისას 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტი (მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას).

განსახილველი მუხლით გათვალისწინებულ სხვა მძიმე შედეგში

იგულისხმება ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, მისი დასნეულება, მოწამვლა და სხვა. მძიმე შედეგს შეიძლება ეკონომიკური ხასიათიც ჰქონდეს, მაგალითად, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნივთის განადგურება, საწარმო-დაწესებულების მუშაობის შეჩერება, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობა და ა.შ. კანონმდებელი მეოთხე ნაწილად გამოყოფს უფრო მძიმე შედეგს, რამდენადაც მასში საუბარია ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ ქმედებაზე, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით (მუხლი 188-ე)

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სხვისი ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანების ან განადგურებისათვის დგება მხოლოდ მაშინ, თუ დამნაშავის მოქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანი ზიანის ცნება შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება და საქმის ყველა გარემოებათა გათვალისწინებით წყდება.

დანაშაულის ობიექტური მხარე განხილულია კოდექსის 187-ე მუხლის კომენტირებისას. დანაშაული მატერიალურ შემადგენლობას ქმნის, იგი დამთავრებულია მხოლოდ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების მომენტიდან.

დანაშაულის სუბიექტური მხარე, როგორც თვით დისპოზიციაშია მოცემული, ხასიათდება გაუფრთხილებლობით, როდესაც პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ზოგადად ითვალისწინებდა მისი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს (ამ შემთხვევაში, სხვისი ნივთის განადგურებას ან დაზიანებას) თავიდან აიცდენდა; ან პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა ამგვარი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

დანაშაულის სუბიექტია ყველა შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელმაც ოთხმეტი წლის ასაკს მიაღწია.

ქმედების დამამძიმებელ გარემოებაში გათვალისწინებული მომეტებული

საფრთხის წყაროს ქვეშ, ცეცხლის გარდა, იგულისხმება სხვადასხვა მანქანები, მექანიზმები, ელექტროხელსაწყოები, ელექტრომოწყობილობა და ა.შ. მათთან გაუფრთხილებელი მოპყრობა გულისხმობს მათ ექსპლოატაციას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაუცველობით, წინდახედულობის ნორმების სხვა დარღვევას და ა.შ.

ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია ადამიანისათვის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, ხოლო სხვა მძიმე შედეგში კი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, ეკონომიკური ხასიათის განსაკუთრებით მძიმე ზარალი და სხვა.

საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა (მუხლი 189-ე)

საქართველოს კანონი – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მიღებული 1999 წლის 22 ივნისს, აწესრიგებს იმ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების დროს (საავტორო უფლებები), აგრეთვე ზოგიერთ მათ მომიჯნავე უფლებას, დაკავშირებულს შემსრულებლებთან, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლებსა და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან (მომიჯნავე უფლებები).

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, ასევე გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე ან სამრეწველო ნიმუშზე, რომლებიც წარმოადგენენ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, ნაწარმოების დანიშნულების, ავკარგიანობის, ჟანრის, მოცულობის, გამოხატვის ფორმისა და სხვათა მიუხედავად.

საავტორო უფლება არსებობს როგორც გამოქვეყნებულ, ისე ობიექტური ფორმით არსებულ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე.

საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე,

სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.

ავტორს პირადი არაქონებრივი უფლებები გააჩნია. მას მიეკუთვნება ნაწარმოების ავტორად აღიარების უფლება, მისი გამოყენებისა თუ გამოქვეყნების უფლება, მაგრამ ამგვარი სამართლებრივი ურთიერთობები არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი განსჯის საგანს.

ავტორის ქონებრივ უფლებებს მიეკუთვნება ნაწარმოების ასახვა, მისი გავრცელება, დემონსტრირება, შესრულება და ა.შ. ამიტომაც სისხლის სამართლის კოდექსმა ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელყოფა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში მოათავსა. ეს სიახლე იმით არის განპირობებული, რომ ავტორობის უფლებაზე ხელყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ ქონებრივი გამორჩენის მიღებას გულისხმობს.

სისხლის სამართლის წესით დაცულ ინტერესს წარმოადგენს ინტელექტუალურ-საკუთრებითი ურთიერთობები, რომელიც წარმოიშობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული დანაშაულის საგანია სხვადასხვა სამეცნიერო, ლიტერატურული, მუსიკალური ან მხატვრული ნაწარმოები, ლიტერატურულ ნაწარმოებთა რიცხვში შედის მონაცემთა ბაზები და კომპიუტერული პროგრამები. მონაცემთა ბაზა საინფორმაციო ცნობების სისტემატიზებულ კრებულს წარმოადგენს, ამიტომაც ლიტერატურულ ნაწარმოებად არის მიჩნეული. რაც შეეხება კომპიუტერულ პროგრამას მისი ლიტერატურულ ნაწარმოებად აღიარება ეფუძნება იმას, რომ ის წარმოადგენს მანქანური წესით წასაკითხი სიმბოლოებით გამოხატულ წერილობით ნაშრომს, რომლის გადაყვანა ადამიანისათვის წასაკითხ ფორმაში სავსებით შესაძლებელია. ამიტომაც იგი შეიძლება განხილულ იქნეს მეცნიერულ ნაწარმოებად, რომელიც ლიტერატურული ნაწარმოების ნაირსახეობაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 189 მუხლში ხაზგასმულია მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა, მაგრამ არაფერია თქმული კომპიუტერულ პროგრამაზე.

189-ე მუხლში მითითებული დანაშაულისაგან დაზარალებულნი შეიძლება იყვნენ როგორც ნაწარმოების ავტორები და საავტორო უფლების სხვა მფლობელები, ასევე მომიჯნავე უფლებების მფლობელნი, როგორიც

არიან, მაგალითად: შემსრულებლები, ფონოგრამის მწარმოებლები, ეთერის ან საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციები.

დანაშაულის ობიექტური მხარე ვლინდება საავტორო უფლების ობიექტზე ავტორობის მითვისებაში ან თანაავტორობაზე იძულებაში.

საავტორო უფლების ანდა მომიჯნავე უფლების მითვისებაში იგულისხმება სხვისი ნაწარმოების სრული მოცულობით ან მისი ნაწილის გამოცემა თავისი სახელით, ანდა სხვა თანაავტორებთან შექმნილი ნაწარმოების მხოლოდ თავისად აღიარება სხვა ავტორთა გვარების მითითების გარეშე და სხვა.

რაც შეეხება იძულებას თანაავტორობაზე, იგი გულისხმობს ავტორზე ზეგავლენას სხვადასხვა საშუალებით. ეს ზეგავლენა მიმართულია ავტორისაგან თანხმობის მისაღებად, რათა შეიყვანოს თანაავტორად დამნაშავე ან მისთვის სასურველი სხვა პირი, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა ნაწარმოების, სხვა საავტორო უფლების ობიექტის შექმნაში. (მაგალითად, თანაავტორად შეიყვანოს ინსტიტუტის ხელმძღვანელი ან განყოფილების გამგე, თანამდებობრივად დაქვეითების, შესრულებული სამუშაოსათვის ანაზღაურებაზე უარის თქმის მუქარითა და სხვა).ამრიგად, თანაავტორობაზე იძულება გულისხმობს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზემოქმედებას საავტორო უფლების ობიექტზე თანაავტორად აღიარებისათვის.

ობიექტური მხრივ დანაშაული ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება და დამთავრებულია ზემოაღნიშნული ერთ-ერთი მოქმედების შესრულების მომენტიდან, მაგნე შედეგის დადგომისაგან დამოუკიდებლად.

საავტორო უფლების ხელყოფის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ამ დანაშაულის მოტივი და მიზანი შეიძლება იყოს ანგარება, შურიანობა, პატივმოყვარეობა, სიძულვილი, არასწორად გაგებული ინტერესი და სხვა.

დანაშაულის ამსრულებელია კერძო შერაცხადი პირი, რომელმაც მიაღწია თოთხმეტი წლის ასაკს. თანამდებობის პირი, რომელიც დაარღვევს საავტორო უფლებას ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, პასუხს აგებს სამოხელეო დანაშაულისათვის.

189 მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას არაერთგზისი ქმედების ჩადენის სახით.

189 მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულია ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით ნაწარ-

მოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის რეპროდუცირება ან მათი ასლების უნებართვო შეძენა, იმპორტი, შენახვა, გაყიდვა, გაქირავება ან გადაცემა, ან/და საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების სხვა ხელყოფა, ჩადენილი დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით.

189-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით ჩადენილად ითვლება, თუ ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მონაცემთა ბაზის ასლების ღირებულება ან საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელის და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების კანონიერი გამოყენების შემთხვევაში საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელის ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის მიერ მისაღები შემოსავალი აღემატება ხუთი ათას ლარს.

189-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, სახელდობრ, მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსაცლის მიღების მიზნით, (რომელშიც იგულისხმება ზემოაღნიშნული საავტორო უფლების ობიექტების კონტრაფაქციული ასლების ღირებულება ან შემოსავალი ათი ათასი ლარის ზევით) ან წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

საერთაშორისო საკუთრების უფლების ხელყოფა

(მუხლი 189[1])

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 2005 წლის 23 ივნისს დაემატა.

გაუგებარია რა მოსაზრებას დაემყარა კანონმდებელი როდესაც 189-ე და 189[1]-ე მუხლებით, აბსოლუტურად იდენტური სანქციებით, დიფერენცირებული პასუხისმგებლობა დაადგინა საავტორო-შემოქმედებითი ჯგუფის ობიექტების დასაცავად. ორივე დანაშაულის შემადგენლობა მიზნად ისახავს საავტორო-შემოქმედებითი ანუ ინტელექტუალურ ქმნილებათა ჯგუფს მიკუთვნებული ობიექტების დაცვას. ამ ინტერესთა (უფლებათა) ხელყოფისათვის წლების მანძილზე პასუხისმგებლობა ინტეგრირებული

იყო დანაშაულის ერთ შემადგენლობაში და ამით სასამართლო პრაქტიკას პრობლემები არასოდეს შექმნია.[1]

განსახილველი დანაშაულის ობიექტია სამრეწველო საკუთრება. უფრო კონკრეტულად კი, ხელყოფის საგანია სამრეწველო საკუთრების ისეთი ობიექტები, როგორიცაა გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიში (სელექციური მიღწევა).

გამოგონება ისეთი განხორციელებადი საგამომგონებლო იდეაა, რომელიც მზადაა პრაქტიკული რეალიზაციისათვის. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი იცავს მხოლოდ განსახიერებად ტექნიკურ იდეას, რომელიც საგამომგონებლო შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია.

სასარგებლო მოდელი განიხილება „მცირე გამოგონებად". მას უფრო დაბალი შემოქმედებითი დონის განმსაზღვრელი კრიტერიუმი ახასიათებს. სხვა დანარჩენში გამოგონებასა და სასარგებლო მოდელს ერთი და იგივე კრიტერიუმები – სიახლე და სამრეწველო გამოყენებადობა აქვს.

დიზაინის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულია დიზაინი და მისი დაცვის კრიტერიუმები. დიზაინი არის მთლიანი პროდუქტის ან მისი ნაწილის გამოხატულება,რომელიც გამომდინარეობს თვით პროდუქტის ნიშნებისგან, მათ შორის, ხაზებისაგან, კონტურებისაგან, ფერებისაგან, ფორმებისაგან, ტექსტურისაგან ან/ და მასალისაგან, ან პროდუქტის მორთვისაგან. დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალურია.

ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია – ეს არის ელექტრონული ელემენტების შემცველი, ნახევარგამტარიან კრისტალის ზედაპირზე ან მის შიგნით განლაგებული მინიატურული ელექტრონული სქემა. დაცვის საგანი კრისტალურ ზედაპირზე განლაგებული მიკროსქემაა ანუ მატერიალურ მატარებელზე აღბეჭდილი ტოპოგრაფია (ხილული კონფიგურაცია), რომლის განმეორებაც ასლის სახით შესაძლებელია.

მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიში – (სელექციური მიღწევა) შეიძლება განიმარტოს როგორც ბიოლოგიური არსების ახალი ჯიში.

---

1 ჩვენთვის გასაგებია, რომ სსკ 189 და 189[1] მუხლებით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები თავისი ბუნებით განსხვავებულია და შესაბამისად განსხვავდება ამ უფლებათა გამოყენების(განხორციელების) ფორმებიც. მაგალითად, საავტორო უფლების ობიექტის(ნაწარმოების) ასლის დამზადება შეიძლება, ხოლო გამოგონების – წარმოებაში დანერგვა.

სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ინტელექტუალური ქონება არის მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიში, რომელიც მიზანმიმართული სამეურნეო საქმიანობის შედეგია, სელექცია საავტორო შემოქმედებად განიხილება. სელექციონერის შემოქმედება სასურველი თვისებების მქონე ისეთი ჯიშების შერჩევაშია, რომლებიც ერთმანეთთან თავსებადია და შეჯვარებას ექვემდებარება. სელექციური მიღწევის დაცვის საგანია ერთგვაროვნებითა და სტაბილურობით განმტკიცებული ახალი ჯიში ფიზიკურად.[1]

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე 189[1] მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით გამოიხატება გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის, მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის ავტორობის მითვისებაში ან თანაავტორობაზე იძულებაში.

ზემოაღნიშნული ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების მითვისება ან მათ თანაავტორობაზე იძულება იმავე მნიშვნელობით უნდა გავიგოთ როგორც 189-ე მუხლით აღწერილ დანაშაულის შემადგენლობაში.

189[1] მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მეორე ნაწილით გათვალისწინებულია იგივე ქმედების ჩადენა არაერთგზის, რომლის შინაარსი სსკ მე-15 მუხლის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

189[1] მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულია წინასწარი შეცნობით სხვისი გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის, მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის შემოსავლის მიღების მიზნით უკანონო გამოყენება. მასში შეიძლება ვიგულისხმოთ აღნიშნული ინტელექტუალური შემოქმედების შედეგების წარმოებაში დანერგვა, ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესება, ან სხვაგვარი სამრეწველო გამოყენებადობა, რაც ნიშნავს მათი დამზადების ან სარგებლობის შესაძლებლობას სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ჯანმრთელობის დაცვა და სხვა).

189[1] მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს მისი

1 სამრეწველო საკუთრების შემადგენელი ძირითადი ობიექტების განმარტებები აღებულია დ. ძამუკაშვილის წიგნიდან „ინტელექტუალური უფლებები“, თბ., 2006.

ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (მეოთხე ნაწილი) რომლის შინაარსი სსკ 27-ე მუხლის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი. რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, იგი პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. მოტივი შეიძლება იყოს პატივმოყვარეობა, შური და სხვა. 189[1] მუხლის მესამე ნაწილში ცალსახად გამოკვეთილია ანგარების მოტივი, ვინაიდან სხვისი ინტელექტუალური საკუთრების უკანონო გამოყენება ხდება შემოსავლის მიღების მიზნით.

თავი IX

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ

კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა (მუხლი 190-ე)

საქართველოს ახალმა სამოქალაქო კანონმდებლობამ მეწარმეობის თავისუფლება გამოაცხადა. კანონით ყველას აქვს უფლება მისდევდეს მეწარმეობას. უფრო მეტიც, სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება. ეს დებულება ასახულია საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ", რომელმაც „სამეწარმეო იურიდიულ პირებს უფლება მისცა განახორციელონ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზნებს და აკრძალული არ არის კანონით. ამით სამეწარმეო ორგანიზაციები გათავისუფლდნენ ზედმეტი, დაუსაბუთებელი ზედამხედველობისაგან, რასაც საკონტროლო ორგანოები ახორციელებდნენ მათ მიმართ"[1]

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის ხელის შეშლისათვის, მიზნად ისახავს დამატებითი გარანტიების შექმნას მეწარმეობის თავისუფლებისათვის. ამ დანაშაულის სოციალური მავნეობა იმით განისაზღვრება, რომ იგი ზიანს აყენებს არა მარტო სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებს, არამედ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ავტორიტეტსაც, რომელთა კომპეტენციაშიც შედის საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება. განსახილველი დანაშაული თავისი იურიდიული ბუნებით სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სპეციალური სახეა. თანამდებობის პირები შეიძლება წარმოადგენდნენ სანებართვო, მაკონტროლებელი, ფისკალური და სხვა ფუნქციების განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოებს.

1 იხ. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბ., 1998, გვ. 38.

დანაშაულის ობიექტია თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის უფლება, ასევე სახელმწიფო ორგანოთა ავტორიტეტი.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლაში შემდეგი ფორმებით: დაუსაბუთებელი უარი საწარმოს რეგისტრაციაზე ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გაცემაზე, ეკონომიკური საქმიანობის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა, საწარმოს საქმიანობაზე კონტროლის კანონმდებლობის დარღვევით განხორციელება, მის საქმიანობაში ჩარევა. ეს დანაშაული თავისი შემადგენლობით მატერიალურია და დამთავრებულად ითვლება მაშინ, თუ მოხელის ზემოაღნიშნულმა ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

უარი საწარმოს რეგისტრაციასა ან ლიცენზიის გაცემაზე დანაშაულად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა მოხელის სამსახურებრივ კომპეტენციაში შედიოდა ასეთი რეგისტრაციის ან ლიცენზიის (ნებართვის) გაცემის უფლება. მეწარმეთა რეგისტრაციის წესები მოცემულია საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ". საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. რეგისტრაცია, ერთი მხრივ, არის ფაქტის აღნიშვნა, ხოლო, მეორე მხრივ, მას გადამწყვეტი იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა აქვს. რადგანაც, საწარმო კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტი მხოლოდ რეგისტრაციის მომენტიდან ხდება. სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გაცემა მოწესრიგებულია 2005 წლის 24 ივნისის კანონით ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რომელიც განსაზღვრავს ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის სახეებსა და ლიცენზიის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოებს.

უარი საწარმოს რეგისტრაციასა ან ნებართვის თუ ლიცენზიის გაცემაზე, უარის თქმის მოტივის მიუხედავად, დაუსაბუთებელია თუ: სარეგისტრაციო პირს დაცული აქვს სამეწარმეო ორგანიზაციის შექმნის წესი, სადამფუძნებლო დოკუმენტები შეესაბამება კანონს და დაცულია სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნები. ცალკეული სახის საქმიანობის ლიცენზირების წესები კი დადგენილია შესაბამისი ნორმატიული აქტებით. ლიცენზიის გაცემაზე უარი უკანონოა, თუ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე, სალიცენზიო ორგანოში წარადგენს საჭირო დოკუმენტებს, ეს უკანასკნელი კი უარს იტყვის მის გაცემაზე. უარი რეგისტრაციასა ან

ლიცენზიის გაცემაზე უნდა იყოს კონკრეტული, აშკარად გამოხატული. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, მოხელის მიერ საჭიროა წერილობით უარი რეგისტრაციაზე. უარი უკანონო უნდა იყოს, ე.ი. უნდა არსებობდეს ყველა საფუძველი რეგისტრაციისათვის ან ნებართვის გაცემისათვის, ხოლო მოხელე, რომლის კომპეტენციაშიც შედის აღნიშნული მოქმედების შესრულების მოვალეობა, უარს უნდა ამბობდეს მასზე. ეს შეიძლება გამოიხატოს უმოქმედობაში, მოხელის მიერ შემოსული მასალების განუხილველობაში, გადაწყვეტილების მიუღებლობაში, ან მოქმედებაში — არასაჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვაში და სხვა.

განსახილველი დანაშაული ობიექტური მხრივ შეიძლება აგრეთვე გამოიხატოს მეწარმის ეკონომიკური საქმიანობის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვაში, საწარმოს საქმიანობაზე კონტროლის კანონმდებლობის დარღვევით განხორციელებაში, აგრეთვე მის საქმიანობაში ჩარევით. სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლის ეს ფორმა შეიძლება გამოიხატოს კონკრეტულ მოქმედებაში, მოთხოვნებში, მითითებებში, აკრძალვებში და ა.შ. მაგალითად, მოხელე სამეწარმეო ორგანიზაციის რეგისტრაციის დროს მოითხოვს წესდებიდან ამოღებულ იქნეს სამეწარმეო საქმიანობის ესა თუ ის ძირითადი სახე, რომელიც კანონით აკრძალული არ არის; ან კიდევ მეწარმის იძულება სხვადასხვა თანამდებობებზე განსაზღვრულ პირთა დანიშვნასა, ან მათ შეყვანაზე დამფუძნებლად, ან სამეწარმეო ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოებში; მოხელის მიერ უკანონო ფორმით კონტროლის დაწესება მეწარმის საქმიანობაზე; ეკონომიკური სანქციებით მუქარა და სხვა. მეწარმის საქმიანობაში ჩარევა შეიძლება გამოიხატოს მოხელის ნებისმიერ მოქმედებაში, თუ ის ბოროტად იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას ან ამეტებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას. აღნიშნული ფორმით განსახილველი დანაშაულის ჩადენისას მთავარია დადგინდეს მეწარმის რომელი უფლება ან რომელი კანონიერი ინტერესი შეილახა და კონკრეტულად რაში გამოიხატა იგი. რა სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოიყენა მოხელემ ამისათვის[1].

დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია — საჯარო მოხელე, რომლის კომპეტენციაში შედის მეწარმის რეგისტრაცია, ნებარ-

1 აღსანიშნავია, რომ 2009 წლის ქართულ ეკონომიკაში 10 მთავარ მოვლენას შორის დასახელდა ბიზნესზე ადმინისტრაციული წნეხის გაძლიერება, რაც სიმპტომატურია საქართველოში ბიზნესის თავისუფლების შეფასებისთვის; იხ. ეკონომიკური პალიტრა, 2010 წლის 4-10 იანვარი №1.

თვის ან ლიცენზიის გაცემა, საკონტროლო-საზედამხედველო მოქმედებათა ჩატარება და სხვა, ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება იმგვარად, რომ თავისი კომპეტენციის საფუძველზე არასამართლებრივი ინტერესებით ან სახელმწიფო ორგანოს ავტორიტეტის გამოყენებით ხელი შეუშალოს სამეწარმეო საქმიანობას.

საჯარო მოსამსახურის ცნება მოცემულია საქართველოს კანონში — „საჯარო სამსახურის შესახებ". კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, საჯარო მოხელეა ის, ვინც საქმიანობს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში — საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, თავისი ქმედებით ხელს უშლის კანონიერ სამეწარმეო საქმიანობას და სურს ეს. მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს. მოტივი შეიძლება იყოს შურისძიება, არასწორად გაგებული სამსახურებრივი ინტერესი, ანგარება და სხვა.

აღნიშნული მუხლი კონკურენციას უწევს ზოგად სამოხელეო დანაშაულებს. თუ რეგისტრაციის ან ლიცენზიის გაცემაზე უარს თან ახლავს ქრთამის მოთხოვნა, მაშინ დანაშაულთა ერთობლიობასთან გვაქვს საქმე.

მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია (მუხლი 191-ე)

ცნობილია, რომ მიწა არის ადამიანთა ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შეუცვლელი საფუძველი. მიწის სიმცირე და მისი შეუცვლელობა განაპირობებს მიწათსარგებლობის დაგეგმვისა და მისი შეზღუდვების აუცილებლობას, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაა საჯარო კონტროლი[1].

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების წარმოშობა ხდება მხოლოდ კანონით დადგენილი წესით, რეგისტრაციის შემდეგ. რეგისტრაციის მეშვეობით შესაძლებელია ყველა იმ გარიგების კონტროლი, რომელიც საერთოდ დადებულია მოცემული მიწის ნაკვეთის შესახებ. ამასთანავე, რეგისტრაცია გარანტიაა იმისათვის, რომ მხარეებმა არ დაუშვან შეცდომები

1 იხ. ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, გვ. 144.

მიწის განსხვისების გარიგებათა გაფორმებისას და ამით თავიდან აიცილონ ის უარყოფითი შედეგები, რაც შეიძლება ამგვარ მოქმედებებს მოჰყვეს.

მიწასთან დაკავშირებული გარიგებების სამართლებრივი რეგლამენტაცია მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საქართველოს კანონში „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების შესახებ“ (1996 წ. 22.03), საქართველოს კანონში „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ 2005 წლის 28 დეკემბერი) და სხვა ნორმატიულ აქტებში. მიწაზე უკანონო გარიგებებმა შეიძლება გამოიწვიოს მიწის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოღება, ერთი პირის ხელში მიწების უკანონო კონცენტრაცია, მიწის გადაქცევა არამართლზომიერი სპეკულაციის საგნად, მიწის მესაკუთრეთა (მფლობელთა) კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვა და სხვა.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია ურთიერთობები მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის სახელმწიფოებრივი რეგულირების სფეროში.

191-ე მუხლი ითვალისწინებს ამ დანაშაულის ჩადენის სამ ფორმას, რომელთაც აქვთ საერთო ნიშნებიც, მაგრამ განსხვავდებიან ობიექტური მხრივ. მათთვის საერთოა ის, რომ დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია — მოხელე; დანაშაულის ჩასადენად იგი იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას. დანაშაული პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. ეს შემადგენლობა ფორმალურია და დანაშაული დამთავრებლად ითვლება კანონში მითითებული მოქმედების ჩადენისთანავე.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მიწასთან დაკავშირებული უკანონო გარიგების რეგისტრაციაში, სახელმწიფო მიწის კადასტრის საალრიცხვო მონაცემის დამახინჯებაში, აგრეთვე მიწის გადასახადის შემცირებაში.

როგორც აღინიშნა, ამ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი ფორმა არის მიწასთან დაკავშირებული უკანონო გარიგების რეგისტრაცია. მიწასთან დაკავშირებულ გარიგებათა რეგისტრაციის წესი განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებითა და საქართველოს კანონით „მიწის რეგისტრაციის შესახებ“. მიწის რეგისტრაციის მიზანია მიწის ნაკვეთისა და მასთან უძრავად დაკავშირებული ქონების მიმართ უფლებათა წარმოშობის, გადაცემის, შეზღუდვის ან შეწყვეტის აღიარება და დადასტურება სახელმწიფოს მიერ. მიწის რეგისტრაციას საჯარო რე-

ესტრში ახორციელებს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი ტერიტორიული ორგანოები ადგილებზე, გარიგების ნამდვილობის პირობები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსით. მიწასთან დაკავშირებული უკანონო გარიგება შეიძლება ეხებოდეს ნასყიდობას, იჯარას და სხვა. მოხელის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა დადგინდეს, კონკრეტულად, რაში გამოიხატება გარიგების უკანონობა (მაგალითად, ნაკრძალი მიწების გაცემა იჯარით, კომერციული მიზნებით). დანაშაული დამთავრებულია მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი მოხელის მიერ ასეთი გარიგების რეგისტრაციისთანავე.

დანაშაულის ჩადენის შემდეგი ფორმაა სახელმწიფო მიწის კადასტრის სააღრიცხვო მონაცემის დამახინჯება.

სახელმწიფო მიწის კადასტრი — ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც შეიცავს მონაცემებს მიწების ბუნებრივი, სამეურნეო, სამართლებრივი რეჟიმის შესახებ. ნებისმიერი ამ მონაცემის დამახინჯება ქმნის განსახილველი დანაშაულის ობიექტურ მხარეს. სახელმწიფო მიწის კადასტრს აწარმოებს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. დანაშაული დამთავრებულია მითითებულ დოკუმენტში ყალბი მონაცემების შეტანის მომენტიდან. მიწის კადასტრის სააღრიცხვო მონაცემები, უმრავლეს შემთხვევაში, საფუძველია მიწაზე კონკრეტული გარიგების დასადებად, აგრეთვე მიწის გადასახადის ოდენობის განსაზღვრისათვის.

მოხელის მიერ მიწის კადასტრში ყალბი მონაცემების შეტანა შესაძლოა მიზნად ისახავდეს შემდგომში მიწაზე უკანონო გარიგების რეგისტრაციას, შესაბამის მიწის ნაკვეთზე გადასახადის შემცირებას. როგორც აღინიშნა, განსახილველი დანაშაული შეიძლება, აგრეთვე გამოიხატოს მიწის გადასახადის შემცირებაში. საქართველოში მიწათსარგებლობა ფასიანია. მიწის მესაკუთრეები და მოსარგებლეები იხდიან მიწის გადასახადს; მიწის გადასახადის ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით. გადასახადის განსაზღვრის საფუძველია მიწის ფართობის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მიწის გადასახადი დიფერენცირებულია მიწის ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციისა და გადასახადის თანხის განსაზღვრის მიზნით, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ადგილობრივი ორგანოები, ყოველ საანგარიშო წელს, საგადასახადო ორგანოებს წარუდგენენ გადამხდელთა სიებს მიწის ფარ-

თობისა და გადასახადის განაკვეთის ჩვენებით. ამიტომაცაა, რომ მიწის გადასახადის შემცირება ერთ შემადგენლობადაა გათვალისწინებული მიწასთან დაკავშირებული უკანონო გარიგების რეგისტრაციასა და მიწის კადასტრის სააღრიცხვო მონაცემის დამახინჯებასთან.

მოცემული შემადგენლობა სახეზე იქნება მიწის გადასახადის უკანონო შემცირების ნებისმიერ შემთხვევაში. ეს შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთზე საიჯარო გადასახადის არსებითი შემცირება, მიწის ნაკვეთის ღირებულების შემცირება მისი ყიდვა-გაყიდვისას, და სხვა კანონიერი გადასახადის შემცირება. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა, რომ მოქმედება ჩადენილ იყოს, ე.ი. მიწის გადასახადის შემცირება დოკუმენტურად გაფორმებული იყოს.

დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვითა და ანგარებითი ან სხვა პირადი მოტივით. მოხელეს შეგნებული აქვს, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ახდენს მიწასთან დაკავშირებული უკანონო გარიგების რეგისტრაციას, სახელმწიფო მიწის კადასტრის სააღრიცხვო მონაცემების დამახინჯებას ან მიწის გადასახადის შემცირებას და მას სურს ეს.

ამსრულებელი სპეციალურია — საჯარო მოხელე. მიწასთან დაკავშირებული უკანონო გარიგების რეგისტრაციისას ან მიწის გადასახადის შემცირებისას, მოხელე ბოროტად იყენებს ან აჭარბებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, ხოლო მიწის კადასტრის სააღრიცხვო მონაცემის დამახინჯება სამსახურებრივი სიყალბის სპეციალური სახეა. ამასთანავე, ხსენებული მონაცემის დამახინჯება შეუძლია მხოლოდ იმ მოხელეს, რომლის სამსახურებრივ კომპეტენციაში შედის მითითებულ ოფიციალურ დოკუმენტზე მუშაობა.

ჩვენი სახელმწიფო, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზეა ორიენტირებული, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სამეწარმეო საქმიანობას, მაგრამ, მეორე მხრივ, განსაზღვრულ კონტროლსაც ახორციელებს მასზე, რაც აუცილებელია საზოგადოების უშიშროების, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ბუნებისა და კულტურულ ფასეულობათა დასაცავად. ამ მიზნით, კანონმა შეიძლება აკრძალოს სამეწარმეო საქმიანობის ესა თუ ის სახე, ან სხვადასხვა ხასიათის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვები დააწესოს მასზე, სახელმწიფო კონტროლი სამეწარმეო საქმიანობაზე აუცილებელია ასევე მეწარმეთა დასაბეგრად, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყაროა. ამ მიზნების მიღწევას ემსახურება მეწარმეთა რეგისტრაციის დადგენილი წესი და ამა თუ იმ სახის სამეწარმეო საქმიანობაზე სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) მიღების აუცილებლობა.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევს მართლზომიერ და არაერთჯერად საქმიანობას, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

ფიზიკური და იურიდიული პირების სამეწარმეო საქმიანობა ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციას, რამდენადაც რეგისტრაციას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს, „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ზუსტად განსაზღვრავს რეგისტრაციის პირობებს. რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებას, საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 24 ივნისს მიიღო კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. მასში განსაზღვრულია ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის სახეები და ლიცენზიის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოები. ისეთი სახის სამეწარმეო საქმიანობის უფლება, რომელზედაც სავალდებულოა ლიცენზია, წარმოიშობა ნებართვის მიღების მომენტიდან და შეწყდება მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია ის ურთიერთობები, რომელიც აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობას, აგრეთვე სახელმწიფოს ფინანსური ინტერესები, რადგანაც იგი ვერ ღებულობს მეწარმეთა რეგისტრაციისათვის დადგენილ ბაჟს, ლიცენზიის გაცემისათვის – გადასახადს, ასევე სამეწარმეო საქმიანობისათვის დადგენილ შესაბამის გადასახადებს.

უკანონო საბანკო საქმიანობა კი ასევე ზიანს აყენებს საბანკო სისტემის სტაბილურობასა და საიმედოობას.

დანაშაულის ობიექტური მხარე სამი ნიშნით ხასიათდება: ქმედება, მძიმე შედეგი, რაც გამოიხატება მნიშვნელოვან ზიანში ან დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის მიღებაში და მიზეზობრივი კავშირით ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ობიექტური მხრივ ეს დანაშაული შესაძლებელია შემდეგ ფორმებში გამოიხატოს: 1. სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის გარეშე; 2. სამეწარმეო საქმიანობა ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე; 3. სამეწარმეო საქმიანობა სანებართვო ან სალიცენზიო პირობების დარღვევით.

მაშასადამე, ამ დანაშაულის ჩადენის პირველი ფორმაა სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის გარეშე. მეწარმის სტატუსის შეძენა ხდება რეგისტრაციის შემდეგ. ასეთი მოქმედება სამოქალაქო კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნაა. ამ მომენტიდან სამეწარმეო საქმიანობა იძენს კანონიერ ხასიათს. ამდენად, უკანონოდ ჩაითვლება სამეწარმეო საქმიანობა ან საერთოდ რეგისტრაციის გარეშე, ან კიდევ რეგისტრაციამდე განხორციელებული საქმიანობა[1].

თუ რა ჩაითვლება სამეწარმეო საქმიანობად — განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონით, „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

დანაშაულის მეორე ფორმაა სამეწარმეო საქმიანობა ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე. როგორც აღინიშნა, მეწარმეს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც აკრძალული არ არის კანონით, მაგრამ არსებობს გამონაკლისიც. კერძოდ, საქმიანობის ზოგიერთი სახე საჭიროებს სპეციალურ ნებართვას. ასეთ შემთხვევაში სამეწარმეო საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ნებართვის ან ლიცენზიის მიღების შემდეგ. ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის სახეებს განსაზღვრავს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ და სხვ. კერძოდ, ლიცენზირებას საჭიროებს საბანკო საქმიანობა, იარაღითა და საბრძოლო

1 აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში რუსული სატელეფონო და სხვა კომპანიების საქმიანობა არის უკანონო სამეწარმეო საქმიანობა. თუმცა არალეგალურ ბიზნესს გარკვეული სეგმენტი მთავრობის კონტროლირებად ტერიტორიებზეც უკავია, რასაც შემოსავლების სამსახურის მიერ გამოვლენილი ფაქტები მეტყველებს, ძირითადად ფალსიფიცირებული პროდუქციის რეალიზაციის დროს.

მასალებით ვაჭრობა და სხვა. მაგალითად, საბანკო საქმიანობა ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის განხორციელების ნებართვის გარეშე ჩაითვლება უკანონოდ.

დანაშაულის მესამე ფორმა — სამეწარმეო საქმიანობა სანებართვო ან ლიცენზირების პირობის დარღვევით სახეზეა. მაშინ, როცა მაგალითად განსაზღვრული სახის საქმიანობაზე ნებართვის ან ლიცენზიის მქონე პირი ეწევა სხვა სახის ლიცენზირებად საქმიანობას. ეს შეიძლება გამოიხატოს საქმიანობაში არა იმ პროფილით, რომელიც ლიცენზიაშია მითითებული. ლიცენზირების პირობის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ასევე სამეწარმეო საქმიანობაში არა იმ ადგილას, სადაც ეს ნებადართულია ლიცენზიით და სხვა.

საბანკო საქმიანობაში ლიცენზირების პირობა დარღვეულ იქნება, თუ კომერციული ბანკის დამფუძნებელი ან მმართველი, რომელსაც საჭირო საწესდებო კაპიტალი არ გააჩნია, უკანონო გზით მიიღებს შესაბამის ლიცენზიას და დაიწყებს საბანკო საქმიანობას.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ან დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მომენტიდან. მნიშვნელოვან ზიანსა და დიდი ოდენობის შემოსავალს სასამართლო განსაზღვრავს.

დანაშაულის ამსრულებელი ნებისმიერი ფიზიკური პირი ვინც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა, აგრეთვე იურიდიული პირი.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს. მოტივი, როგორც წესი, ანგარებითია.

მეორე ნაწილში მოცემულია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები:

ა) უკანონო სამეწარმეო საქმიანობა ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) იგივე ქმედება ჩადენილი ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ.

ჯგუფური და არაერთგზისი დანაშაულის ცნება მოცემულია სსკ მე-15 და 27-ე მუხლებში, აქვე შევნიშნავთ, რომ არაერთგზისობის ცნების შეცვლის შემდეგ 192-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული „ბ“ და „გ“ პუნქტები კოლიზიაში მოვიდა, რაც კანონმდებლისაგან შესაბამის შესწორებას საჭიროებს.

უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობა
(192[1] მუხლი)

ეს ნოვაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2010 წლის 15 ოქტომბრიდან ამოქმედდა. ამ ქმედების კრიმინალიზაცია განაპირობა სათანადო უფლებამოსილების არმქონე დაწესებულებების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული საგანმანათლებლო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმნიშნელი სახელის გამოყენების ან/და სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის საფრთხემ. კანონმდებლის მიზანია, არ დაუშვას მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანა და დაიცვას სახელმწიფოს ინტერესი, რომ არ მოხდეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა ავტორიზაციის გარეშე.

მსგავს კრიმინალთან საბრძოლველად სსკ 192-ე მუხლი არაეფექტურად ჩაითვალა, რადგან ბევრი საგანმანათლებლო დაწესებულება საქმიანობდა როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და 192-ე მუხლის ზემოქმედების მიღმა რჩებოდა. ამას გარდა, განათლების სფეროს მარეგულირებელ აქტებში შესული ცვლილებების მიხედვით სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომის გასაცემად არსებული ორმაგი რეგულაცია (ლიცენზირება და ინსტიტუციური აკრედიტაცია) გაუქმდა და შემოღებული იქნა ავტორიზაციის ინსტიტუტი. ავტორიზაცია არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ამგვარად, ავტორიზაციის გავლის შედეგად ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილებას. აკრედიტაცია ნებაყოფლობითი გახდა და ის სწავლების ხარისხის მაღალ დონეს ადასტურებს.

მომხმარებელმა თუ იცის, რომ ვერ მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დიპლომს ან კვალიფიკაციის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტს, ის აღარ მივა ასეთ დაწესებულებაში ან/და აღარ გააჯრძელებს სწავლას. თუ მაგალითად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ აქვს ავტორიზაცია და გამოიყენებს უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების სტატუსის აღმნიშვნელ სახელს ანდა მოახდენს სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემას, სსკ 192[1] მუხლის ადრესატი გახდება.[1]

ამგვარად, აღნიშნული ნოვაციის მიხედვით ნორმით დაცულ ინტერესს წარმოადგენს პოტენციური კლიენტი (მომხმარებელი). აკრძალვის მიზანია იგი შეცდომაში არ იქნეს შეყვანილი დაწესებულების მიერ, რომ მას აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (ავტორიზაცია) და გასცემს შესაბამისი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა ორი ფორმით შეიძლება განხორციელდეს: 1) შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა, 2) ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული საგანმანათლებლო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმნიშვნელი სახელის გამოყენება ავტორიზაციის გარეშე.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა ნორმის შინაარსიდან გამომდინარე მხოლოდ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. მოტივს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს იგივე ქმედების ჩადენა არაერთგზის ან ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, რაც შინაარსობრივად პასუხისმგებლობის ტავტოლოგიური საფუძველია და შესწორებას საჭიროებს.

---

1 2010 წლის 1 სექტემბრამდე ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ პირებზე ვრცელდება 2010 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი. ლიცენზირებული დაწესებულებები მილევად რეჟიმში განაგრძობენ საქმიანობას, მათ აღარ აქვთ სტუდენტების მიღების უფლება. ამავე დროს, აღნიშნული დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის გავლას არ უკავშირდება ამ დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტებისათვის სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომის გაცემა.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია ის ურთიერთობები, რომელიც არეგულირებს სამეწარმეო და სხვა კომერციულ საქმიანობას. დამატებითი ობიექტია მოქალაქეთა, ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ინტერესები.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ფორმალურად ლეგიტიმური სამეწარმეო ორგანიზაციის შექმნაში, რომელიც მიზნად ისახავს ბაზარზე კონტრაგენტების, აგრეთვე მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოების მოტყუებას. კერძოდ, კანონის ტექსტიდან გამომდინარე, ასეთი ორგანიზაციის შექმნა შეიძლება მიზნად ისახავდეს კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღებას, გადასახადისაგან გათავისუფლებას, აგრეთვე აკრძალული საქმიანობის დაფარვას.

ცრუ მეწარმეობის ობიექტური მხარე მოიცავს სამეწარმეო ორგანიზაციის შექმნას; სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის არარსებობას; მნიშვნელოვან ზიანს; მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

192-ე მუხლის განხილვისას ჩვენ უკვე შევეხეთ სამეწარმეო იურიდიული პირის შექმნის წესს, რომელიც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონით. განსახილველი დანაშაული მოიცავს სადამფუძნებლო დოკუმენტების მომზადებას რეგისტრაციისათვის, ლიცენზიის მიღებისათვის, შემდეგ კანონით დადგენილი წესით სამეწარმეო ორგანიზაციის დაფუძნებას. ამით ორგანიზაციის გარეგნულად კანონიერი საქმიანობა მთავრდება. შემდეგში ცრუ მეწარმეები სჩადიან ისეთ მოქმედებას, რაც ზიანს აყენებს მოქალაქეებს, ორგანიზაციებს ან სახელმწიფოს: იღებენ სესხებს, მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისაგან კრეფენ ფულად სახსრებს ან იწყებენ აკრძალულ საქმიანობას.

სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის არარსებობა მაშინაა სახეზე, როცა მოჩვენებით იქმნება სამეწარმეო საზოგადოება, ე.ი. როცა არ არსებობს სუბიექტის განზრახვა, შეასრულოს ის მოქმედებები, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტებიდან.

კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების მიზანი მიიღწევა უკანონო მოქმედებების ჩადენით, ე.ი. შელავათების, უპირატესობის მიღებით, რომლის უფლებაც სამეწარმეო საზოგადოებას არ ჰქონდა მისი წესდებიდან გამომდინარე, ხოლო აკრძალული საქმიანობის დაფარვა

მდგომარეობს სისტემატურად მოჩვენებითი გარიგებების დადებაში, რასაც სულ სხვა შედეგები მოსდევს, ვიდრე ამას სადამფუძნებლო დოკუმენტები ითვალისწინებდა. თავისი კონსტრუქციით ეს შემადგენლობა მატერიალურია. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის. მნიშვნელოვანი ზიანი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იგი საბოლოოდ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი 16 წელს მიღწეული პირი, რომელიც ქმნის ან აფუძნებს სამეწარმეო ორგანიზაციას.

სუბიექტური მხრივ დანაშაული პირდაპირი განზრახვითა და სპეციალური მიზნით ხასიათდება. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ქმნის ან აფუძნებს ორგანიზაციას სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, ითვალისწინებს მოქალაქეებისათვის, ორგანიზაციებისათვის ან სახელმწიფოსათვის ქონებრივი ზიანის მიყენების შესაძლებლობას ან გარდუვალობას და მას სურს ეს.

დანაშაულის მიზანია მოგების მიღება უკანონო ხერხებით. თანაც ეს მიზანი უნდა არსებობდეს სამეწარმეო საზოგადოების შექმნის მომენტში, ე.ი. კონკრეტული პირი შესაბამისი სამეწარმეო ორგანიზაციის შექმნისას მიზნად ისახავდა არა სამეწარმეო საქმიანობას, არამედ კრედიტის მიღებას ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღებას, აგრეთვე აკრძალული საქმიანობის დაფარვას. თუ ასეთი სპეციალური მიზანი სამეწარმეო ორგანიზაციის შექმნის მომენტში არ არსებობდა, მაშინ ამ დანაშაულის შემადგენლობაც არ გვექნება სახეზე.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია
(მუხლი 194-ე)

განსახილველი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის და, უპირველეს ყოვლისა, ფულად-საკრედიტო სისტემის დაცვას დიდი მოცულობის არაკონტროლირებადი ფულადი სახსრების შემოსვლისაგან, ამას მოითხოვს აგრეთვე ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ინტერესები.

1990 წლის 8 ნოემბერს სტრასბურგში ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს კონვენცია დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ. (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 17 თებერვალს). 2003 წლის 6 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, რომელშიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განმარტებულია როგორც უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა.

უკანონო შემოსავლის მიღების წყარო შეიძლება იყოს ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობა, სათამაშო და პორნობიზნესი, მექრთამეობა, უკანონო სამეწარმეო და სხვა სახის არალეგალური საქმიანობა, რომლიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზებასაც, ანუ კანონიერი სახის მიცემას ცდილობენ დამნაშავეები.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულადი სახსრების დიდი ნაწილი ხმარდება კრიმინალური მეწარმეობის განვითარებას, უძრავი ქონების შეძენას. ამგვარი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის ლეგალიზება ხდება ვალუტაზე გადაცვლითა და საზღვარგარეთ გადარიცხვით.

დანაშაულის უშუალო ობიექტია ეკონომიკური სისტემა, უფრო კონკრეტულად კი ფინანსური სისტემა. დანაშაულის საგანია უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება.

დანაშაულის ობიექტური მხარე ორი ფორმით შეიძლება გამოიხატოს: პირველი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში ე.ი. უკანონო ან/და

დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემაში (ქონებით სარგებლობა, შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით.[1] კანონი სანიმუშოდ ჩამოთვლის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხებს. ეს გამართლებულიცაა, ვინაიდან შემოსავლების გათეთრების ხერხები მეტად მრავალფეროვანია. მაგალითად, ნაღდი ფული გარდაიქმნება სხვა ღირებულებად — საბანკო ანაბრად ან უძრავ ქონებად. უძრავი ქონება შემდგომ იყიდება და მიღებული შემოსავალი კანონიერად გამოიყურება; ან კიდევ „ჭუჭყიანი" ფულის ინტეგრირება ხორციელდება ქვეყნის შიდა საფინანსო სისტემაში ან მისი ექსპორტირება ხდება ლიბერალური საფინანსო სისტემის მქონე ქვეყნებში და სამშობლოში ბრუნდება კანონიერი გადარიცხვების ფორმით და სხვა. ექსპერტები თვლიან რომ ტიპური ფინანსური ოპერაციების გარდა (დაკრედიტება, ანაბრის დეპონირება, ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, ფინანსური მომსახურება და მისთ.) შემოსავლის ლეგალიზაციისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა ოპერაციებიც. მაგალითად, კაზინოში, ლატარიაში, ტოტალიზატორში, ქსელურ თამაშში მოგების მიღება. შემოსავლების ლეგალიზაციის ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია მათი დაბანდება უკვე არსებულ სამეწარმეო სტრუქტურებში, ანდა გამოყენება ახალი კომერციული ორგანიზაციების, საქველმოქმედო ფონდების შესაქმნელად და მისთ.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია როგორც წესი რამდენიმე ოპერაციისაგან შემდგარი პროცესია. არსებობს ფულის გათეთრების ორსაფეხურიანი, სამსაფეხურიანი, ოთხსაფეხურიანი მოდელები. ორსაფეხურიანი მოდელი მოიცავს ფულის „გარეცხვას" და ბრუნვაში დაბრუნებას. სამსაფეხურიანი მოდელი გულისხმობს: 1) განთავისებას ე.ი. არალეგალური წყაროდან ფულის გადატანა-ლეგალურში(მაგალითად, საბანკო გადარიცხვა სხვა რომელიმე ქვეყანაში), 2) „კვალის წაშლას" — მრავალჯერადი ფინანსური ოპერაციები ერთი ქვეყნიდან მეორეში, 3) ინტეგრაციას, მრავალჯერადი ფინანსური ოპერაციების შემდეგ ლეგალიზებული საშუალებების დაბრუნება ოფიციალურ ეკონომიკურ ციკლში (მაგალითად, ფულის ეკონომიკაში განთავსება ან უძრავ ქონებაში დაბანდება). გაეროს

1 უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების განსაზღვრება მოცემულია 194-ე მუხლის შენიშვნაში. ჩვენმა კანონმდებელმა მეტისმეტად გააფართოვა პასუხისმგებლობის საზღვრები, როცა ლეგალიზაციის საგნად აღიარა უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება, ნაცვლად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისა.

ექსპერტები გამოყოფენ ფულის გათეთრების 4 სტადიას: ნაღდი ფულისაგან გათავისუფლება, ნაღდი ფულადი საშუალებების განაწილება, კვალის წაშლა და ფულადი მასის ინტეგრაცია.[1]

ყოველგვარი ფინანსური ოპერაცია უკანონო გზით მოპოვებულ ქონებასთან დაკავშირებით ლეგალიზაციის (გათეთრების) ნებისმიერ სტადიაზე დანაშაულებრივია და დაკვალიფიცირდება როგორც დამთავრებული დანაშაული, ვინაიდან მიზნით დაფუძნებულ დელიქტთან გვაქვს საქმე. ამასთანავე თუკი ამ ფინანსურ ოპერაციებს ერთსა და იმავე ლეგალიზებად ქონებასთან მიმართებაში ახორციელებს ერთი პირი, მაშინ ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ერთიანი განგრძობადი დანაშაული. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება თუნდაც ვერ იქნეს მიღწეული ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანი.

194-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კანონი კრძალავს უკანონოდ მიღებული ფულადი სახსრების ლეგალურ ბრუნვაში გაშვებას, ნებისმიერ ფინანსურ ოპერაციასა და გარიგებას უკანონო გზით მიღებული შემოსავლებთან ან კიდევ მათ გამოყენებას სამეწარმეო ან სხვაგვარ ეკონომიკურ საქმიანობაში.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის მეორე ფორმაა — უკანონო შემოსავლის ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა. ამ დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით (მაგალითად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ახლო ნათესავებზე გადაფორმებით ანდა მისი შენიღბვა კერძო კომპანიების ან ფონდების შექმნით), ისე უმოქმედობით(მაგალითად, დეკლარაციის შევსების დროს ამა თუ იმ ქონებაზე უფლების დამალვა.).

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.

ლეგალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ერთპიროვნული ამსრულებლობის, ისე თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ფორმით. საინტერესოა როგორ გაიმიჯნოს პირველადი დანაშაულის (ანუ პრედიკატული დანაშაულის) ამსრულებელი ლეგალიზაციის ამსრულებ-

1 Кернер Х.Х. Дах. Э. Отмывание денег. М, 1996, с.58-63; Волженкин Б.В. Преступления в сфере Экономической деятельносты. Спб,. 2002, с. 232.

ლისაგან. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში განსხვავებული მიდგომები არსებობს. ჩვენ ვემხრობით იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც შემოსავლის ლეგალიზაცია არის პრედიკატული დანაშაულის დაფარვის ფორმა (დანაშაულთან შემხებლობა), ამიტომ ძირითადი დანაშაულის ამსრულებელი არ განიხილება ფულის გათეთრების ამსრულებლად. იგივე მიდგომა არსებობს საფრანგეთსა და გერმანიაში. ეს მიდგომა ერთი ქმედებისათვის ორჯერ დასჯის გამორიცხვას ემსახურება (მხედველობაშია **ne bis im idem** პრინციპთან შესაბამისობის საკითხი), ეს საკითხი ჩვენში აქტუალობას იძენს იმიტომაც, რომ საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით არც პრედიკატულ დანაშაულთა ჩამონათვალი და არც არავითარი დათქმა ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ კონვენციებთან მიმართებით არ გაუკეთებია, რაც სამოსამართლო სამართალს ამ ნორმის ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას უტოვებს.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება განაპირობა საერთაშორისო მასშტაბით გავრცელებულმა პრაქტიკამ, სადაც იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ანდა მის სასარგებლოდ ყველაზე ხშირია ამ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. ამის დასტურია მწირი სასამართლო პრაქტიკა ფიზიკური პირის მიერ ამ დანაშაულის განხორციელებისა.

სუბიექტური მხრივ დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. პირს შეგნებული აქვს, რომ სჩადის მოქმედებებს, რომელიც მიმართულია უკანონო გზით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციაზე და მას სურს ეს ქმედება. მოტივი ანგარებითია, დამნაშავეს ამოძრავებს შემოსავლის უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანი.

194-ე მუხლის მე-2 ნაწილში პასუხისმგებლობა დამძიმებულია, თუ იგივე ქმედება ჩადენილია ჯგუფურად, არაერთგზის, ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. არაერთგზისი დანაშაული უნდა გავიგოთ სსკ მე-15 მუხლის მნიშვნელობით. რაც შეეხება შემოსავლის დიდ ოდენობას, ასეთ შემოსავლად ითვლება 30000 ლარიდან 50000 ლარამდე შემოსავალი.

სსკ 194-ე მუხლის მესამე ნაწილით პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებებია იგივე ქმედების ჩადენა ორგანიზებული ჯგუ-

ფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

ორგანიზებული ჯგუფი განსაზღვრულია 27-ე მუხლის მესამე პუნქტით, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

ამასთანავე, ჯგუფის მონაწილედ ამ დანაშაულთან მიმართებაში ჩაითვლება ყველა პირი ვინც ამა თუ იმ ფორმით უშუალოდ მონაწილეობდა ფინანსური ოპერაციების ან სხვა გარიგების განხორციელებაში დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებასთან დაკავშირებით. როგორც უკვე ითქვა ფულის გათეთრების პროცესი ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივია, მოიცავს მრავალ ფინანსურ ოპერაციას და გარიგებას. წინასწარი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში ამ ოპერაციების ყველა მონაწილე პასუხს აგებს ერთიანი ჯგუფური დანაშაულისათვის, თუნდაც ზოგიერთ მათგანს მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული ფულის გათეთრების ერთერთ სტადიაში, ისე რომ არც იცოდეს რაიმე სხვა ეტაპების შესახებ. ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელი პასუხს აგებს ამ ჯგუფის მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულზე, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ჯგუფის სხვა მონაწილენი პასუხს აგებენ იმ დანაშაულისათვის რომლის განხორციელებაშიც ისინი მონაწილეობდნენ.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას მაშინ აქვს ადგილი როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესში ჩართულია სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს მოხელე, აგრეთვე პირი რომელიც სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობით ან წარმომადგენლობით ფუნქციას ასრულებს. ისინი შეიძლება იყვნენ ბანკების, სადაზღვევო კომპანიების მოსამსახურეები, შემოსავლების სამსახურის მუშაკები, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები და სხვა. ამ დროს ქმედების დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 220-ე ან 332-ე მუხლით საჭირო არაა.

194-ე მუხლის მესამე ნაწილში განსაკუთერებით დიდი ოდენობის შემოსავლად ითვლება, შემოსავალი 50000 ლარის ზევით.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობა, ნივთის შეძენა, ფლობა ან გასაღება (მუხლი 194[1])

ეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2008 წლის 19 მარტს განხორციელდა. საქართველოს პარლამენტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ: ეს დამატება განპირობებულია ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) და ევროსაბჭოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, სსკ 194[1] მუხლით აღწერილი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს იმავე ინტერესის დაცვას, რასაც სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.

ქმედების ობიექტური მხარე გულისხმობს წინასწარი შეცნობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობას, ნივთის შეძენას, ფლობას ან გასაღებას. აღნიშნული ქმედებები 194-ე მუხლითაც არის გათვალისწინებული, მაგრამ ისინი მიზნად ისახავენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზებას, ხოლო 194[1] მუხლში საუბარია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთის შეძენაზე, ფლობაზე, სარგებლობასა ან გასაღებაზე, ანუ უკვე ლეგალიზებულ ქონებაზე. კანონმდებლის მიზანია დაიცვას მართლზომიერი ფულად-სასაქონლო ურთიერთობები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემდგომ ეტაპებზეც, ანუ უზრუნველყოს უკანონოდ ლეგალიზებული ქონების ეკონომიკურ ბრუნვაში ფაქტობრივი ჩაბმის დაუშვებლობა. ამ მიზნის მისაღწევად კრიმინალიზებულია არა მხოლოდ უკანონოდ ლეგალიზებული ნივთის შეძენა, არამედ ამ ნივთით დროებითი სარგებლობა და ფლობაც, აგრეთვე მისი გასაღება.

ნივთის შეძენის,სარგებლობის, ფლობის და გასაღების არსზე უკვე გვქონდა საუბარი 186-ე და 194-ე მუხლების ანალიზის დროს.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. მოტივი როგორც წესი ანგარებითია, თუმცა არც სხვა პირადი

მოტივის გამორიცხვა შეიძლება. კანონმდებელი მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

სსკ 194[1] მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები იმავე შინაარსისაა, რაც გათვალისწინებულია სსკ 194-ე მუხლით, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა (მუხლი 195-ე)

იურიდიულ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ საბაზრო ეკონომიკა, უპირველეს ყოვლისა, ბაზრის თვითრეგულირების კანონების მოქმედებაა. ასეთ ვითარებაში კეთილსინდისიერი კონკურენციის კანონის მოქმედება ბაზრის ფუნქციონირებისა და განვითარების აუცილებელი პირობაა.

ნ. კუზნეცოვას მართებული შენიშვნით, საბაზრო ეკონომიკას ორი მტერი ჰყავს. ერთი მხრივ, მონოპოლიზმი, მონოპოლიური საქმიანობა მიმართული კონკურენციის აღკვეთის ან შეზღუდვისაკენ და, მეორე მხრივ, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია[1].

სწორედ ეს განაპირობებს სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას კონკურენტულ ურთიერთობებში, მისი სამართლებრივი რეგლამენტაციისა და შენარჩუნების მიზნით. ამის დასტურია საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონიც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ.[2]

---

1 Кузнецова Н. Новое уголовное право России. М., 1996, стр. 163.

2 მონოპოლიზმის ინდიკატორი ჩვენში არსებული მონოპოლისტური ფასებია, რასაც სახელმწიფოს მხრიდან სათანადო რეაგირება სჭირდება. ევროკომისიისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის არაერთგზისი რჩევის საფუძველზე საქართველოს მთავრობამ 2010 წელს ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო. ამ სამსახურმა კონკურენტული გარემოს შექმნაზე, ხელოვნური მონოპოლიების შეზღუდვაზე და მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე უნდა იზრუნოს. კარგი იქნება თუ ეს სამსახური ფასების კონტროლის ფუნქციასაც შეასრულებს, რადგან მონოპოლიური ფასწარმოქმნა დიდ ტვირთად აწევს ჩვენს მოსახლეობას. ექსპერტული შეფასებებით მონოპოლიური ბარიერები არსებობს ფარმაციის, ავიაციის, იმპორტის სეგმენტებში (ნავთობპროდუქტების, შაქრის, ხორცის და სხვ. იმპორტი). არაჯანსაღი კონკურენციაა ინტერნეტპროვაიდერებს შორის, შეუზღუდავი მონოპოლიების არსებობა პროდუქციასაც აძვირებს. კომპანიები, რომლებიც მონოპოლიური მდგომარეობით სარგებლობენ, მომხმარებელს სერვისსა თუ პროდუქტში ევროპულ ფასს ახდევინებენ.

ბაზარი მონოპოლიზებულია მაშინაც, როცა კომპანიები შეთანხმებული ფასებით ებრძვიან მომხმარებელს. როცა მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ ხდება შეთანხმება კომპანიებს შორის, სახელმწიფო ვალდებულია ჩაერიოს ფასების რეგულირებაში

სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობისა და კონკურენტული გარემოს შექმნისათვის, ასევე მომხმარებელთა უფლებების დასაცავად კანონი კრძალავს მეწარმე სუბიექტის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, არაკეთილსინდისიერ კონკურენციასა და სხვა ქმედებას, რაც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა ბაზარზე. მეწარმე სუბიექტს ეკრძალება მონოპოლიური საქმიანობა, რომელსაც შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს წარმოების შემცირება ან შეწყვეტა, საქონლის დეფიციტის შექმნა, ფასების აწევა და სხვა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვისათვის მიზნად ისახავს სასაქონლო ბაზრის ეფექტურად ფუნქციონირების წესების დაცვას, მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილებას, რაც ხელს უშლის სხვა სამეწარმეო სუბიექტებს განახორციელონ თავიანთი უფლებები და შესაძლებლობები, ასევე ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია მეწარმეობის თავისუფლება და მომხმარებელთა ინტერესები.

დანაშაულის ობიექტური მხარე ორი ფორმით შეიძლება გამოიხატოს: ა) მონოპოლიურ საქმიანობაში მონოპოლიურად მაღალი ან მონოპოლიურად დაბალი ფასების დაწესებით, და. 2) კონკურენციის შეზღუდვაში.

მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასი ეწოდება ისეთ ფასს, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად განსხვავდება პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯებისაგან. ამგვარი მოქმედება, კონკურენტების დისკრიმინაციის ერთ-ერთი ხერხია, ვინაიდან ბაზრის მონაწილეს თავს ახვევენ შესყიდვის ან გაყიდვის შეუსაბამოდ მაღალ ან დაბალ ფასებს.

მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების დაწესება გულისხმობს საბითუმო ან საცალო ფასების აწევას ანდა შენარჩუნებას ისეთ დონეზე, რომელიც ობიექტური ფაქტორების, კერძოდ, საწარმოო ხარჯებით, საქონლის ხარისხითა და ბაზრის კონიუნქტურით კი არაა განპირობებული, არამედ სამეწარმეო სუბიექტის მონოპოლიური საქმიანობის შედეგს წარმოადგენს, რომელსაც ბაზარზე პრიორიტეტული მდგომარეობა უკავია. მაშასადამე, ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაულის ეს ფორმა მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას ფასის ოდენობის შესახებ, ფასის

გამოცხადებასა და მის შეთავაზებას მყიდველისათვის, დადგენილი ფასის გავრცელებას შესაბამისი სასაქონლო ბაზრის ფარგლებში, მოცემული ფასის რეალურად გამოყენებას, აგრეთვე დომინირებული (პრიორიტეტული) მდგომარეობის არსებობას სასაქონლო ბაზარზე. ხსენებული ფორმით დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის რაიმე შედეგის დადგომა საჭირო არ არის. დანაშაული დამთავრებულია მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასის დადგენის მომენტში.

სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლი კრძალავს კონკურენციის შეზღუდვას ისეთი გზებით, როგორიცაა: ბაზრის გაყოფა., ბაზარზე გავლენის შენარჩუნება ან ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტების ბაზრიდან გაძევება, ერთიანი საბაზრო ფასის დადგენა ან შენარჩუნება.

კონკურენციის შეზღუდვა ბაზრის გაყოფის გზით შეიცავს შეთანხმებულ მოქმედებებს მიმართულს ბაზარზე ფიქსირებული წილის დასადგენად ტერიტორიული კრიტერიუმით, ან სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტის, ანდა გამყიდველთა და მყიდველთა წრის მიხედვით; შედეგს – ბაზრის გაყოფის სახით, სადაც გაბატონებული მდგომარეობა უკავია განსაზღვრულ სუბიექტს და მიზეზობრივ კავშირს სუბიექტების მოქმედებასა და ბაზრის მდგომარეობას შორის, რაც მის გაყოფაში გამოიხატება. ბაზრის გასაყოფად მიმართული მოქმედებები შეიძლება გამოიხატოს სხვა სამეწარმეო სუბიექტებისათვის დისკრიმინაციული პირობების შექმნაში, ახალი სამეწარმეო სუბიექტების შექმნის აკრძალვაში; საქონლის (მომსახურების) სახეების განაწილებაში შეთანხმების მონაწილეებს შორის და სხვა.

ბაზრის გაყოფას, თავის მხრივ, შეუძლია არსებითად შეზღუდოს ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტების შელწევა ბაზარზე. კონკურენტების ბაზრიდან გასაძევებლად შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ფიზიკურ წინააღმდეგობას, დაუსაბუთებელი აკრძალვების შემოღებას, საქმიანობის არახელსაყრელი რეჟიმის შექმნას, დაუსაბუთებელი შემოწმების ჩატარებას, საქონლის იძულებით შესყიდვასა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებას. ყოველივე ამას შედეგად მოსდევს სასაქონლო ბაზარზე სხვა სუბიექტების საქმიანობის შეწყვეტა ან შეჩერება. მეწარმეები შეიძლება შეთანხმდნენ და დაადგინონ კონკრეტული სახის საქონელსა ან მომსახურებაზე ერთიანი ფასები, რომელიც ობიექტური ფაქტორებით კი არ არის განსაზღვრული, არამედ ბაზრიდან უფრო სუსტი კონკურენტების გაძევების ან ბაზარზე არდაშვების სურვილითაა

განპირობებული. ეს შეიძლება იყოს აშკარად დაბალი ფასები, რომელიც მეწარმეთა ჯგუფს შეუძლია შეინარჩუნოს განსაზღვრული პერიოდის მანძილზე, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ განიმტკიცოს თავისი მდგომარეობა ბაზარზე და გააძევოს კონკურენტების ნაწილი. ფასების დაწევა საშიშია იმით, რომ შესაძლოა შეარყიოს ბაზარზე ჯანსაღი კონკურენცია და გამოიწვიოს ბაზრის მონოპოლიზაცია, რასაც აუცილებლად მოჰყვება ფასების მკვეთრი აწევა. ერთიანი ფასის შენარჩუნება შესაძლებელია ბაზარზე საქონლის შეზღუდვით, ყალბი რეკლამით და სხვა. საბოლოო ჯამში, ასეთი მოქმედებებით ირღვევა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები და მომხმარებელთა უფლებები.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება კანონში მითითებული მოქმედებების ჩადენის მომენტიდან. თავისი კონსტრუქციით მას ფორმალური შემადგენლობა აქვს.

სუბიექტური მხრივ დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება და მიზნად ისახავს კონკურენციის შეზღუდვას ან აღკვეთას ბაზარზე, უკანონო ზემოქმედებას კონკურენტებზე. მოტივი, როგორც წესი, ანგარებითია (მოგების, გამორჩენის მიღება).

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტი — მეწარმეები ან სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირები.

მე-2 ნაწილში დამამძიმებელ გარემოებებად მიჩნეულია იმავე ქმედების ჩადენა ჯგუფურად ან არაერთგზის, ხოლო მე-3 ნაწილში მოცემულია განსაკუთრებული დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, აგრეთვე სხვისი ნივთის დაზიანებით ან განადგურებით, ანდა მისი დაზიანების ან განადგურების მუქარით, თუ არ არსებობს გამოძალვის ნიშნები (ე.ი. ქონების ან ქონებაზე უფლების გადაცემის მოთხოვნა). აღნიშნული ხერხით დგინდება მონოპოლიური ფასები ან იზღუდება კონკურენცია, ძალადობა ან მისი მუქარა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც თვით ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტის, ისე მისი ნათესავებისა და ახლობლების მიმართ. ანალოგიურ სიტუაციას შეიძლება ჰქონდეს ადგილი ქონების დაზიანების ან განადგურებისას. ამასთან, გამოყენებული ძალადობის ან მისი მუქარის ხასიათს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს და მხედველობაში მიიღება მხოლოდ სასჯელის დანიშვნისას.

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევა (195[1] მუხლი)

ეს ნოვაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2010 წლის 16 ივლისს შევიდა. ცნობილია, რომ ნებისმიერ ქვეყანაში უკანონო შემოსავლის მიღების ერთ-ერთი წყარო დადგენილი წესის დარღვევით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებია. არც საქართველოა გამონაკლისი ამ მხრივ. ექსპერტების შეფასებით, ჩვენში ტენდერები ხშირად კანონმდებლობის დარღვევით ხორციელდება, რაც საზოგადოებაში ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს.

სავარაუდოთ, სწორედ ამ მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრა უნდა კანონმდებელს, როცა სპეციალური შემადგენლობა შემოიტანა სისხლის სამართლის კოდექსში სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევისათვის. ამ ქმედების კრიმინალიზაცია ანტიკორუფციული სტრატეგიის შემადგენელი ნაწილიცაა. კორუფციის წინააღმდეგ გაეროს 2003წლის კონვენციის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი მოითხოვს, რომ ყველა მონაწილე სახელმწიფომ გაატაროს ღონისძიებები საჯარო შესყიდვების სათანადო სისტემის შესაქმნელად, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალობას, კონკურენციას, გადაწყვეტილებათა მიღების ობიექტურ კრიტერიუმებს და სხვასთან შედარებით უფრო ეფექტურია კორუფციის თავიდან აცილების თვალსაზრისით.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონი ადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს. ამ კანონის მიზანია: სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა; სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება; სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა; სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

სახელმწიფო შესყიდვა არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით, ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით, ამ კანონით გათვალისწინებული სხვა სახსრებით.

შესყიდვის ობიექტი შეიძლება იყოს შესასყიდი საქონელი, მომსახურება ან სამშენებლო სამუშაო.

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება ტენდერის საშუალებით.[1] გამონაკლისები დადგენილია კანონით. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით დაწვრილებით არის რეგლამენტირებული ტენდერი—სახელდობრ, სატენდერო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი, განცხადება ტენდერის შესახებ, სატენდერო დოკუმენტაცია, პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების განხილვის წესი, გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება, ხელახალი ტენდერი და ა.შ.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს შესყიდვის მონაწილე ორივე მხარე, ფიზიკური ან იურიდიული პირი. მაგალითად, შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილი პირი, სატენდერო კომისიის წევრი, პრეტენდენტი, კანონით განსაზღვრული სხვა პირი.

ნორმით დაცულ ძირითად ინტერესს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი, შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესები, ასევე, საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენცია. დამატებითი ობიექტია სახელმწიფოს ფინანსური ინტერესები.

ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება შესაძლებელია აუცილებელი თანამონაწილეობის ფორმით, სახელდობრ, აქ იგულისხმება სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობისას შესყიდვაში მონაწილე სუბიექტების მიერ წინასწარი შეთანხმება ან სხვა გარიგება თავისთვის ან სხვისთვის მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის

---

1 ტენდერი შერჩევის ისეთი პროცესია, რომელიც ეფუძნება საგნების ან მომსახურების შესახებ ინფორმაციის ღიად და გამჭვირვალედ გამოქვეყნებას, რომელიც უზრუნველყოფს საუკეთესო მომწოდებლის გამარჯვებას მისი კვალიფიკაციის, სამუშაოსა თუ მომსახურების ღირებულებისა და სხვა ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე (და არა ოჯახური ან მეგობრული ურთიერთობების, მექრთამეობის ან მუქარის საფუძველზე). შეჯიბრებით ტენდერს ხშირად მოითხოვს კანონი იმ საჯარო კონტრაქტებისა და საჯარო შეძენისათვის, რომლის ღირებულებაც აღემატება გარკვეულ თანხას. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი უამრავ გამონაკლისებს ადგენს ტენდერის გვერდის ავლით სახელმწიფო შესყიდვებისათვის.

მიღების მიზნით, რამაც შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. ქმედების ობიექტური შემადგენლობა ბლანკეტური ფორმითაა ჩამოყალიბებული, კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურა დაწვრილებითაა რეგლამენტირებული კანონით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დამტკიცებული დებულებით "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ".

შესყიდვაში მონაწილე სუბიექტები შეიძლება წინასწარ შეთანხმდნენ თუ ვის გაამარჯვებინებენ ტენდერში ანდა გარიგდნენ, რომ გამარჯვებული პრეტენდენტი მიღებული სახსრების ნაწილს გადასცემს შემსყიდველს ან მისი მითითებით სხვა პირს და მისთ.

შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. მაგალითად, შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესი არსებითად დაირღვევა თუ ის საქონელში ან მომსახურებაში უფრო ძვირს გადაიხდის, ვიდრე ტენდერის კანონის დაცვით განხორციელების შემთხვევაში.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა მხოლოდ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. სავალდებულო ნიშანია მიზანი—მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღება. მოტივი შეიძლება იყოს ანგარება ან სხვა პირადი ხასიათის.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს იგივე ქმედების არაერთგზის ჩადენა.

სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენება (მუხლი 196-ე)

სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლში ასახული ნორმაც არსებითად მიმართულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოს საქმიანი რეპუტაცია, მისი სახელი. თუმცა, სასაქონლო ნიშანი და სხვა კომერციული აღნიშვნები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებსაც წარმოადგენენ.

სასაქონლო ნიშნებზე უმნიშველოვანესი საერთაშორისო შეთანხმებებია პარიზის კონვენცია „სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ“ და მადრიდის კონვენცია „სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“. 1999 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა იურიდიული პირის, პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ან მომსახურების ინდივიდუალიზაციის საშუალებებს (სასაქონლო ნიშანი, საფირმო სახელწოდება, მომსახურების ნიშანი და მისთ.) სამრეწველო საკუთრებას მიაკუთვნებს.

სამეწარმეო ურთიერთობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სახის კომერციულ აღნიშვნებს, რომელთა დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მეწარმეს უადვილებს მომხმარებლამდე მიღწევას და საქმიანობის სარფიანად და კონკურენტულ გარემოში წარმართვას. სასაქონლო (მომსახურების) ნიშნისა, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების, გეოგრაფიული აღნიშვნის ან საფირმო სახელწოდების უფლების სამართლებრივი დაცვა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით, მათი რეგისტრაციის საფუძველზე. თუმცა რეგისტრაციით უფლებათა მოპოვება მაინც მოითხოვს რეალური გამოყენებით გამყარებას ანუ რეგისტრაციით მინიჭებულ განსაკუთრებულ უფლებას გამოყენებით სჭირდება დასაკუთრება. უფრო მეტიც, საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშეც.

სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლი პასუხისმგებლობას ადგენს დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის,

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადებისათვის ან მათი სხვაგვარი უკანონო გამოყენებისათვის, აგრეთვე სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) საქონლის წარმოებისა ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

დანაშაულის გვარეობითი ობიექტი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლებია, ხოლო უშუალო ობიექტი – სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც აწესრიგებს კეთილსინდისიერ კონკურენციასა და სასაქონლო ნიშნით სარგებლობას. თუ ზიანი მიადგება მომხმარებელთა ინტერესებს, მაშინ ფაკულტატური ობიექტიც გვექნება სახეზე. დანაშაულის საგანი არის – სასაქონლო (მომსახურების) ნიშანი, საფირმო სახელწოდება, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება, გეოგრაფიული აღნიშვნა.

სასაქონლო (მომსახურების) ნიშანი – ეს არის საქონელზე ან შეფუთვაზე მოთავსებული ნიშანდება საქონლის ან მისი მწარმოებლის (გამყიდველის) ინდივიდუალიზაციისათვის. იგი შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით ან ციფრებით, ნახატით, გრაფიკული სიმბოლოებით, ფერთა შეხამებით და მისთ. მეწარმეთა კანონის მიხედვით სასაქონლო ნიშანი ასრულებს საქონლის რეკლამისა და მისი ხარისხის გარანტის ფუნქციას.[1]

საფირმო სახელწოდება არის სახელი, რომლითაც საქმიანობს საწარმო. საფირმო სახელწოდების ელემენტები სხვადასხვაა იმისდა მიხედვით, თუ რა სახის მეწარმესთან, რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეურნეო ერთეულთან გვაქვს საქმე. ზოგადად, საფირმო სახელწოდება შეიძლება შეიცავდეს დამფუძნებლის სახელს, საწარმოს საქმიანობის საგანსა და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, სამეურნეო ერთეულის საფირმო სახელწოდება განისაზღვრება მისი წესდების დამტკიცების დროს. ფირმის რეგისტრაციას ახდენს საჯარო რეესტრი, მეწარმეები ეკონომიკურ ბრუნვაში მონაწილეობენ საკუთარი სახელწოდებით. სახელწოდებათა

1 სასაქონლო ნიშნად მიიჩნევენ ნებისმიერ ხილვად აღნიშვნას, რომლის მეშვეობითაც ერთი საწარმოს საქონელი შეიძლება განსხვავებული იქნეს მეორე, კონკურენტი საწარმოს საქონლისაგან. სასაქონლო ნიშნის უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია: საქონლის ინდივიდუალიზება, კონკრეტულ საწარმოთა საქონლის განსხვავება, მოცემული საქონლის დამახასიათებელი ხარისხის შესახებ გარანტირებული ინფორმირება, საქონლის გასაღების ხელშეწყობა, ვაჭრობის წახალისება. იხ. დაწვრილებით, დ. ძამუკაშვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბ., 2006.

მეშვეობით ხორციელდება მეწარმეთა, ერთი მხრივ, იდენტიფიკაცია, მეორე მხრივ, ინდივიდუალიზაცია, ანუ ერთი სამეურნეო ერთეულის განსხვავება მეორისაგან.

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება – ეს არის ქვეყნის, დასახელებული პუნქტის, ადგილმდებარეობის ან სხვა გეოგრაფიული ობიექტის დასახელება, რომელიც გამოიყენება იმ საქონლის აღნიშვნისათვის, რომლის განსაკუთრებული თვისებებიც უმთავრესად განისაზღვრება მოცემული გეოგრაფიული ობიექტისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი პირობებით.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოქმედებაში, სახელდობრ დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადებაში ან მათ სხვაგვარ უკანონო გამოყენებაში, აგრეთვე, სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) საქონლის წარმოებაში ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადება გულისხმობს საქონლის ნიშანდებისათვის(მარკირებისათვის) ვარგისი ნიშნის (სხვა კომერციული აღნიშვნის) დაბეჭდვას ან სხვა გზით გამოშვებას მისი მესაკუთრის ნებართვის გარეშე.

სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის(ან სხვა კომერციული აღნიშვნის) სხვაგვარ უკანონო გამოყენებაში შეიძლება ვიგულისხმოთ სარგებლობა საქონლის ნიშანდებისას(მარკირებისას), რეკლამაში, ნაბეჭდ გამოცემებში, ოფიციალურ ბლანკებზე და სხვა.

სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით (ან სხვა კომერციული აღნიშვნით) უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) საქონლის წარმოება გულისხმობს მათ სერიულ გამოშვებას, ხოლო სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა – სავაჭრო ქსელში შეტანას ან შეთავაზებას ანდა სხვაგვარად სამეურნეო ბრუნვაში გაშვებას.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება, თუ სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ან სხვა კომერციული აღნიშვნის) დამზადებას დიდი

ოდენობით ჰქონდა ადგილი ან თუ 196-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულმა ქმედებებმა მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადებას დიდი ოდენობით ადგილი აქვს, მაშინ როდესაც მათი საერთო რაოდენობა აღემატება 1000 ცალს, ხოლო მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევად ჩაითვლება დანაშაული თუ წარმოებული ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი იმ საქონლის ღირებულება, რომელიც სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით (ან სხვა კომერციული აღნიშვნით) არის უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) აღემატება 5000 ლარს. აღნიშნული მატერიალური ნიშნებით ეს დანაშაული ემიჯნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე მუხლით გათვალისწინებულ გადაცდომას. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სხვისი სასაქონლო ნიშნის სხვაგვარი უკანონო გამოყენება მნიშვნელოვანი ზიანის გარეშე კოლიზიაშია ადმინისტრაციულ გადაცდომასთან. ამ კუთხით 196-ე მუხლის კონსტრუქცია დახვეწას საჭიროებს.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული მხოლოდ პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ უკანონოდ იყენებს სხვის სასაქონლო (მომსახურების) ნიშანს, ან სხვა კომერციულ აღნიშვნას და სურს მისი ჩადენა. ამ დანაშაულის მოტივი და მიზანი შეიძლება სხვადასხვა იყოს: ანგარება, კონკურენტულ მეწარმეობაში გამარჯვებისაკენ სწრაფვა, კონკურენტის საქმიანი რეპუტაციის შელახვა, მისი ბაზრიდან გაძევება და სხვა.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი. ძირითადად ესენი არიან მეწარმეები, რომლებიც სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან როგორც კანონიერ საფუძველზე ისე უკანონოდ.

196-ე მუხლის მე-2 ნაწილი პასუხისმგებლობას ამძიმებს დანაშაულის საგნით, კერძოდ, არარეგისტრირებულ სასაქონლო (მომსახურების) ნიშანთან, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებასთან ან გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ერთად გამაფრთხილებელი აღნიშვნის ყალბი მითითებისათვის.

სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობით სარგებლობის უფლების მფლობელს შეუძლია სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილ საქონელზე დაიტანოს გამაფრთხილებელი აღნიშვნა. სასაქონლო ნიშნისათვის გამოიყენება Ⓡ ან Ⓡ ან ტექსტი –

მაგალითად, „სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია საქართველოში“.[1]

გამაფრთხილებელი აღნიშვნა სასაქონლო ნიშანთან და სხვა განმასხვავებელ აღნიშვნასთან ერთად გამოიყენება ნებაყოფლობით და აფრთხილებს მომხმარებელს, რომ ეს სასაქონლო ნიშანი (და სხვა განმასხვავებელი აღნიშვნები) რეგისტრირებულია და მასზე უფლება წარმოშობილია. ფაქტობრივად, გამაფრთხილებელი აღნიშვნა დამატებითი გარანტიაა სასაქონლო ნიშნის (და სხვა განმასხვავებელი აღნიშვნის) დასაცავად.

გამაფრთხილებელი აღნიშვნის ყალბი მითითებით, ძირითადად, მომხმარებელი ზარალდება, რადგანაც მას სამამულო საქონლის იმპორტულისაგან გარჩევის შესაძლებლობას უსპობენ, თუმცა ეს მოქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფორმაც არის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამაფრთხილებელი აღნიშვნის ყალბი მითითებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება, ყოველგვარ საზიანო შედეგზე მითითების გარეშე, მეტისმეტი სიმკაცრეა, მსგავსი ქმედებისათვის, ალბათ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც საკმარისი იქნებოდა.

196-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად თვლის 1-ლ ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებათა ჩადენას ა) არაერთგზის, ბ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ და გ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

ჯგუფური და არაერთგზისი დანაშაულის ცნება მოცემულია სსკ მე-15 და 27-ე მუხლებში, აქვე შევნიშნავთ, რომ არაერთგზისობის ცნების შეცვლის შემდეგ 196-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული „ბ“ და „გ“ პუნქტები კოლიზიაში მოვიდა, რაც კანონმდებლისაგან შესაბამის შესწორებას საჭიროებს.

---

1 ს. ჯორბენაძე, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1997, გვ. 37-38.

ფალსიფიკაცია (მუხლი 197-ე)

ფალსიფიკაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს რაიმე ნამდვილის, ჭეშმარიტის შეცვლას მცდარით, ყალბით; რისამე გაყალბებას, რისამე ხარისხის გაუარესებას[1].

ანალოგიური დანაშაული გათვალისწინებული იყო საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსითაც, მაგრამ განსახილველმა ნორმამ უფრო შეავიწროვა პასუხისმგებლობის საზღვრები.

ფალსიფიკაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მიზნად ისახავს დამატებითი გარანტიების შექმნას საქართველოს ერთიან სასაქონლო ბაზარზე მეწარმე სუბიექტების საქმიანობისათვის, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობისათვის, აგრეთვე, სახელმწიფოს საფინანსო ინტერესების დაცვას, როცა ფალსიფიკაცია ბიუჯეტში შესატანი თანხების შესამცირებლად ხდება, მომხმარებელთა დაცვას პროდუქციის დამამზადებლის (გამყიდველის) არაკეთილსინდისიერებისაგან, პროდუქციის წარმოების სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის წესების დაცვას[2].

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ამ დანაშაულის უშუალო ობიექტი არა მხოლოდ სამეწარმეო ურთიერთობებია, არამედ, აგრეთვე

---

1 უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1964.

2 ექსპერტების შეფასებით საქართველოში სასაქონლო ბაზარი სავსეა ფალსიფიცირებული პროდუქციით. ცალკე თემაა გენმოდიფიცირებული პროდუქცია, ევროპაში ასეთ სურსათს „ფრანკენშტეინის სურსათს“ უწოდებენ და აკრძალულია. სპეციალისტები თვლიან, რომ გენური ინჟინერიით მოყვანილი პროდუქტი საფრთხეს უქმნის ეკოსისტემასაც და შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობასაც, 2001 წელს მონრეალში გამართულ გაეროს კონფერენციაზე ყველა ქვეყანას მიეცა უფლება აკრძალოს გენეტიკურად სახეცვლილი პროდუქტის იმპორტი, მიუხედავად იმისა არსებობს თუ არა დასაბუთებული მტკიცებულება მისი საშიშროების შესახებ და გააკეთოს ამ პროდუქტზე სპეციალური ნიშანდება. ამ გადაწყვეტილებას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა შეუერთდა საქართველოს გარდა, ცნობილია, რომ ქართული ბაზარი გაჯერებულია გენმოდიფიცირებული პროდუქციით. საკითხავია, ჩვენ რატომ ვრისკავთ ასეთი პროდუქციის რეალიზაციას? ანდა იმას მაინც რატომ არ ვაკეთებთ, რომ იმპორტულ პროდუქციაზე მითითებული იყოს, შეიცავს თუ არა ის გენმოდიფიცირებულ მასალას?!

დღესდღეობით საქართველოს სანიტარული უსაფრთხოება არადამაკმაყოფილებელია. სურსათის უვნებლობის სისტემის დანერგვის ვალდებულება მხოლოდ იმ კომპანიებს აქვთ, რომლებიც ექსპორტს ახორციელებენ. ადგილობრივი ბაზრისთვის განკუთვნილი პროდუქციის მწარმოებელთათვის კი სისტემის დანერგვა ნებაყოფლობითია. გამოდის რომ ადგილობრივმა მომხმარებელმა უხარისხო პროდუქტი უნდა შეიძინოს ანდა მეწარმის კეთილსინდისიერებას ენდოს. (იხ, გაზეთი კვირის პალიტრა, № 17, 2010 წელი, გაზეთი „ასავალ–დასავალი“, № 2, 2010 წელი, გაზეთი ეკოპალიტრა № 14, 2010 წ.).

სახელმწიფოს საფინანსო ინტერესები და მომხმარებელთა ინტერესები.

დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს როგორც სამრეწველო, ისე სასურსათო ნივთები (საქონელი).

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლაში.

ასეთი რედაქციის ნორმა კვალიფიკაციის დროს გარკვეულ სიძნელეს უქმნის სამართალდამცავ ორგანოებს.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით დავრწმუნდით, რომ ის არაერთგვაროვანია, რასაც განაპირობებს, ერთი მხრივ, 197-ე მუხლის დისპოზიციის აბსტრაქტულობა და, მეორე მხრივ, სათანადო ნორმატიული ბაზის არქონა. საკითხავია, რა არის გადამწყვეტი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის — ის, რომ ესა თუ ის პროდუქცია სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებთან, თუ კანონით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან შეუსაბამოა, თუ ის, რომ დადგენილ და სავარაუდო მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო პროდუქცია თვისებრივად შეცვლილია? 197-ე მუხლში გამოყენებული ტერმინი „თვისობრიობა“ ჰუმანიტარულ ელფერს ატარებს. ზუსტ მეცნიერებაში ხელმძღვანელობენ სტანდარტით დაშვებული ნორმებით. თუ პროდუქტი აკმაყოფილებს სტანდარტის ყველა მოთხოვნას, იგი ითვლება ხარისხიან პროდუქტად, თუ პროდუქტი არ აკმაყოფილებს სტანდარტის თუნდაც ერთ მოთხოვნას — იგი ითვლება უხარისხოდ. აქედან გამომდინარე, გაუგებარია ფალსიფიკაციის ობიექტური შემადგენლობის ნიშნების ჩამოყალიბებისას კანონმდებელმა რატომ გადაიტანა აქცენტი ისეთ საორჭოფო და არაზუსტ ტერმინზე, როგორიც ნივთის თვისებრიობის შეცვლაა, მაშინ, როცა ექსპერტები თავიანთ დასკვნებში ემყარებიან სტანდარტებს, ტექნოლოგიურ ინსტრუქციებს, შესაბამისობის სერტიფიკატებსა და სხვა დოკუმენტებს. სინამდვილეში სამართალშემფარდებელი ორგანოებიც ამ დოკუმენტებთან პროდუქციის შესაბამისობას უნდა ამტკიცებდნენ და არა იმას, რომ მეწარმისაგან ამოღებული პროდუქცია თვისებრივად შეცვლილია თუ არა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ პროდუქციის წარმოების სტანდარტის დარღვევა ყოველთვის არ ნიშნავს მისი თვისობრიობის შეცვლას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი სწორედ ამ უკანასკნელს უკავშირდება 197-ე მუხლით.

აღნიშნული წინააღმდეგობის დასაძლევად მიზანშეწონილია 197-ე მუხლის დისპოზიციის შეცვლა იმგვარად, რომ ფალსიფიკაციისათვის

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საფუძვლად დაედოს არა მხოლოდ ნივთის თვისებრიობის შეცვლა, არამედ მისი ხარისხის განზრახ დაქვეითება ან შეცვლა. მით უფრო, რომ ეტიმოლოგიურად ფალსიფიკაცია გულისხმობს რისამე ხარისხის გაუარესებას. საგულისხმოა, რომ „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სურსათი და თამბაქო ფალსიფიცირებულად ჩაითვლება, თუ მათი შემადგენლობა, მახასიათებლები, ასორტიმენტი და წარმოშობა არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს ან თანდართულ დოკუმენტებსა და ეტიკეტებზე აღნიშნულ მონაცემებს. ანალოგიური განმარტება აქვს ფალსიფიკაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ კანონში. ორივე კანონი ხაზს უსვამს პროდუქტის სტანდარტით ან სხვა დოკუმენტით დადგენილი და რეალური ხარისხის შესაბამისობის აუცილებლობას. აქვე აღსანიშნავია, რომ ფალსიფიკაციის ძველი განმარტება ხსენებულ ნორმატიულ აქტებში უფრო ლაკონური იყო, ვიდრე ახალი რედაქციით შემოთავაზებული (2006 წლის 29 დეკემბერი).

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის, სახელდობრ, ნივთის თვისებრიობის შეცვლა-არშეცვლის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო უნდა ამოვიდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იქიდან, თუ რა სახის ნივთთან (საქონელთან, პროდუქციასთან) აქვს საქმე. ამასთანავე, ამ საკითხის გადაწყვეტა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და ჩატარებულ უნდა იქნეს საქონელმცოდნეობის ან სხვა სახის ექსპერტიზები.

ზემოთ ხსენებული სურსათისა და თამბაქოს შესახებ კანონის გარდა, დღეისათვის ამ სფეროში უმნიშვნელოვანეს ნორმატიულ აქტებს წარმოადგენს კანონები სტანდარტიზაციის შესახებ და პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ.

დანაშაულის ამსრულებელია ნივთის მწარმოებელი ან გამსაღებელი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. სუბიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია მოტივი — ანგარება.

197-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა ფალსიფიკაციის არაერთგზის ჩადენა (იხ. მუხლი მე-15).

197-ე მუხლის მე-3 ნაწილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად თვლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის. ამ ნიშნით ქმედების კვალიფიკაციისათვის საკმარისია საზოგა-

დოდ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა.

197-ე მუხლის მე-4 ნაწილი პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად თვლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. ამ შემთხვევაში მატერიალური შემადგენლობის დანაშაულთან გვაქვს საქმე. ამსრულებლის სუბიექტური დამოკიდებულება ადამიანის სიცოცხლის მოსპობისადმი გაუფრთხილებლობას გულისხმობს. სხვა მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებაში, მატერიალურ ზარალში და სხვ. მძიმე შედეგი შეფასებითი ნიშანია, მისი მოცულობის და ხასიათის დადგენა კანონმდებელმა სასამართლოს პრეროგატივად დატოვა.

ფალსიფიცირებული ნივთის უკანონო გადაზიდვა ან გასაღება (197[1] მუხლი)

ეს ნოვაცია 2009 წლის 25 დეკემბერს განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. 197[1] მუხლით დაცული ინტერესი იგივეა რაც სსკ 197-ე მუხლით აღწერილ დანაშაულის შემადგენლობაში, მაგრამ მისგან განსხვავებით კანონმდებელმა სპეციალური პასუხისმგებლობა დაადგინა იმ პირისათვის ვინც წინასწარი შეცნობით ფალსიფიცირებულ ნივთს უკანონოდ გადაზიდავს ან გაასაღებს, შედარებით მსუბუქი სანქციით.

197[1] მუხლის მიხედვით ქმედების ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება ფალსიფიცირებული ნივთის უკანონო გადაზიდვაში ან გასაღებაში. სიტყვა უკანონო აქ აშკარად ზედმეტია, რადგან ფალსიფიცირებული ნივთის გადაზიდვის ან გასაღების კანონიერი გზა არ არსებობს. გადაზიდვა გულისხმობს ფალსიფიცირებული ნივთის გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორეში, თავად გადამზიდველის ან ადრესატის მონაწილეობით, ხოლო გასაღება — მომხმარებლისათვის შეთავაზებას, გასხვისებას.

დანაშაულის ამსრულებელი ნებისმიერი ფიზიკური პირია. თუკი თავად ფალსიფიკატორი ახორციელებს გადაზიდვას ან გასაღებას მაშინ მან დანაშაულთა ერთობლიობისათვის უნდა აგოს პასუხი. ვთქვათ, გამსაღებელმა ვერ თვისობრიობა შეუცვალა ნივთს, შემდეგ კი გაასაღა. საკითხავია 197-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განხორციელებისას მწარმოებელმა ან გამსაღებელმა რისთვის უნდა ჩაიდინოს ეს ქმედება თუ

არა გასაღებისათვის, თვითმიზანი ხომ არ არის ნივთის ფალსიფიკაცია, ანდა გასაღების გარეშე რანაირად უნდა დადგეს 197-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შედეგი—ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი? ფალსიფიცირებული ნივთი თუ მომხმარებლამდე არ მივიდა ანუ არ გასაღდა როგორ გამოიწვევს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგს. ეს გარემოებები მიუთითებს 197-ე და 197[1] მუხლების ინტეგრაციის მიზანშეწონილობაზე. ერთის მხრივ გასაგებია კანონმდებლის სურვილი ყოველგვარი გზა ჩაკეტოს ფალსიფიცირებული პროდუქციის მიმოქცევისათვის, მაგრამ, მეორე მხრივ, ამგვარი სპეციალური დანაშაულის შემადგენლობის მიზანშეწონილება ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია და მისი ინტეგრაცია სავსებით შესაძლებელია 197-ე მუხლით აღწერილ დანაშაულში, რომლის სრულყოფის პროექტი ჯერ კიდევ 2004 წელს შევთავაზეთ კანონმდებელს. მაშინ როცა თავად ფალსიფიკაციის არსია დასაზუსტებელი კანონში, ფალსიფიცირებული ნივთის გადამზიდავის და გამსაღებლის პასუხისმგებლობა მეორეხარისხოვანია.

ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება. შემოტანა ან რეალიზაცია (მუხლი 198-ე)

განსახილველი ქმედების კრიმინალიზაცია და პასუხისმგებლობის გაფართოება განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოში ხშირი იყო ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადების, შემოტანისა და რეალიზაციის შემთხვევები. იგი მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

სისხლის სამართლის კოდექსის სისტემაში ამ დანაშაულის ადგილისა და მისი ისტორიული განმარტებიდან გამომდინარე, ხელყოფის უშუალო ობიექტია პროდუქციის წარმოების სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სამართლებრივი საფუძვლები, ასევე მომხმარებელთა ინტერესები. დამატებითი ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

დანაშაულის საგანია დადგენილ სტანდარტებსა და მოთხოვნებთან შეუსაბამო პროდუქცია, რაც შეიძლება იყოს როგორც სამამულო, ისე იმპორტული წარმოების, სამრეწველო ან სასურსათო პროდუქცია, რომელზეც დადგენილია მომხმარებელთა უსაფრთხოების მოთხოვნები.

განსახილველი დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ უხარისხოდ წარმოებული, არამედ სტანდარტების შესაბამისად შექმნილი პროდუქციაც, რომელიც შემდგომ გაფუჭდა შენახვის, ტრანსპორტირების, უტილიზაციის და ა.შ. შედეგად.

საზოგადოდ, ხარისხი — პროდუქციის ის მახასიათებელია (სტანდარტებითა და ნორმებით განსაზღვრული მაჩვენებლების ერთობლიობა), რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ ან სავარაუდო მოთხოვნებს და დაკავშირებულია საბოლოო მომხმარებლის ეკონომიკურ ინტერესებთან.

მაგალითად, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ კანონის მიხედვით სურსათის ხარისხი უვნებელი სურსათის იმ მახასიათებლების ერთობლიობაა, რომელიც დაკავშირებულია საბოლოო მომხმარებლის ეკონომიკურ ინტერესებთან. ეს კანონი ადგენს სურსათის უვნებლობის კონკრეტულ მოთხოვნებსაც.

ყველა მწარმოებლისა და გამსაღებლისათვის პროდუქციის ხარისხის ზოგადი მოთხოვნები განსაზღვრულია ისეთ კანონებში, როგორიცაა: კანონი „სტანდარტიზაციის შესახებ“, კანონი „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“, კანონი „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ და სხვა.

სტანდარტი არის დოკუმენტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგენს პროდუქციის ხარისხისადმი სავალდებულო მოთხოვნებს.

პროდუქციის სერტიფიკაცია დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დადასტურებაა.

პროდუქციის წარმოების სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია მიზნად ისახავს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, მისი ხარისხის მაჩვენებლების დადასტურებას და სხვა. თუ სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის შესახებ კანონები პროდუქციის ხარისხის უზრუნველმყოფ ზოგად მოთხოვნებს ადგენენ, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველმყოფ მოთხოვნებს უფრო ნიშანდობლივად განსაზღვრავენ.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პროდუქციის სავალდებულო სერტიფიკაციის შემთხვევებს და განსაზღვრავს სავალდებულო

სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის ნუსხას.

დადგენილი მოთხოვნებისადმი პროდუქციის შესაბამისობის დასადასტურებლად სერთიფიკაციის ორგანო გასცემს სერტიფიკატს და შესაბამისობის ნიშანს.

საქართველოს ტერიტორიაზე პროდუქციის რეალიზაციისას სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის დამამზადებელი (გამყიდველი) ვალდებულია ამ პროდუქციის რეალიზაცია მოახდინოს მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ან აღიარებული შესაბამისობის სერთიფიკატით; უზრუნველყოს სარეალიზაციო პროდუქციის შესაბამისობა ნორმატიული დოკუმენტების იმ მოთხოვნებთან, რომელთა შესაბამისობის დასადასტურებლად იყო ეს პროდუქცია სერტიფიცირებული და დადგენილი წესით ნიშანდებული შესაბამისობის ნიშნით.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ისეთ მოქმედებებში, როგორიცაა: ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია, ანდა ასეთ პროდუქციაზე ეტიკეტის უკანონოდ გამოყენება.

პროდუქციის დამზადება შეიძლება მოახდინოს მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებულმა ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმომ. დამზადება გულისხმობს პროდუქციის მომზადებას მომხმარებლისათვის მისაწოდებლად, რესურსებისა და საქმიანობის ერთობლიობას, სამრეწველო გადამუშავებას.

რეალიზაცია — სურსათისა და თამბაქოს შესახებ კანონით ეს არის გაყიდვის ან სხვა საზით გასაღების მიზნით მზა პროდუქციის საღად შენახვა და ნებისმიერი ფორმით სხვა პირისათვის გადაცემა. პროდუქტის რეალიზაცია, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, შეიძლება განახორციელოს როგორც თვით მისმა მწარმოებელმა, ისე სხვა საწარმომ, აგრეთვე ინდივიდუალურმა მეწარმემ. რეალიზაცია გულისხმობს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას იმ პროდუქციაზე, რომელიც მომხმარებლის პირადი მოხმარებისათვის არის განკუთვნილი.

რაც შეეხება პროდუქციაზე ეტიკეტის უკანონოდ გამოყენებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის შესაბამისობის ნიშანი, ანუ დადგენილი წესით დაცული ნიშანი, რომელსაც ადებენ პროდუქციას იმის საჩვენებლად, რომ მან გაიარა სერტიფიკაცია. ასეთი ნიშნის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ იმ მეწარმე-სუბიექტს, რომლის პროდუქციაც სერთიფიცირებუ-

ლია კანონით დადგენილი წესით. ამ წესების დაუცველად პროდუქციის ნიშანდება უსაფრთხოების დადგენილი მოთხოვნებისადმი შესაბამისობის ნიშნით უკანონო იქნება.

198-ე მუხლის 1-ლი ნაწილით პასუხისმგებლობისათვის საკმარისია კანონში მითითებული ერთ-ერთი მოქმედების ჩადენა, ყოველგვარი შედეგის მიუხედავად, ე.ი. შემადგენლობა ფორმალურია.

დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახვით ხასიათდება. მოტივებს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი 14 წლის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი.

198-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედებას რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; ხოლო მესამე ნაწილით პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია იგივე ქმედება რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

197-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 198-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები იდენტურია. ამავე დროს 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შედეგის სიმძიმის შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დამზადებული, შემოტანილი ან რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა, მათ შემადგენლობაში ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ნივთიერებათა შემცველობა და სხვა გარემოებები. მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, ზემოაღნიშნული მოქმედებებით ადამიანის ჯანმრთელობაზე ნებისმიერ ნეგატიურ ზემოქმედებაში, სიმძიმის ხარისხის მიუხედავად. ამასთანავე, დადგენილ უნდა იქნეს მიზეზობრივი კავშირი ზემოთ მითითებულ მოქმედებებსა და დამდგარ შედეგს შორის.[1]

---

1 სსკ 198-ე მუხლი ნაწილობრივ კოლიზიაშია 197-ე და 251-ე მუხლთან (ფალსიფიკაცია და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამო, უხარისხო საქონლის გამოშვება ან გაყიდვა ანდა უხარისხო სამუშაოს შესრულება ან უხარისხო მომსახურეობის გაწევა). ამ საკითხზე მივანიშნებდით 2005 წელს გამოცემულ ნაშრომში „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ". წარმოვიდგინოთ, რომ მოქალაქემ საპარიკმახერო სალონში თმები შეიღება ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში საღებავით, რამაც მას ჯანმრთელობა დაუზიანა. სსკ სისტემიდან გამომდინარე თმის საღებავის დამამზადებლის (გამყიდველის) პასუხისმგებლობა 198-ე მუხლის, ხოლო საპარიკმახერო სალონის ხელოსანის პასუხისმგებლობა უხარისხო მომსახურების გაწევისათვის 251-ე მუხლის საფუძველზე უნდა დადგეს.

ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა (მუხლი 199-ე)

1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსით ეკომარკით უკანონოდ სარგებლობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ პრეუდიციას უკავშირდებოდა. ახალი სისხლის სამართლის კოდექსი კი – ეკომარკით უკანონოდ სარგებლობას დანაშაულად მხოლოდ იმ შემთხვევაში თვლის, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

თუ სადავოდ არ გავხდით აღნიშნული მოქმედების კრიმინალიზაციის აუცილებლობას, ალბათ, მიზანშეწონილი იყო ცალკე თავი დათმობოდა მომხმარებელთა უფლებების საწინააღმდეგო დანაშაულებს და იქ მოთავსებულიყო ეს ნორმა, ვინაიდან, ჯერ ერთი, ეკომარკირება ნებაყოფლობით საწყისებზე ხორციელდება, მეორეც, ეკომარკირება მიზნად ისახავს მომხმარებელთა უკეთ ორიენტირებას და შესაბამისი პროდუქციის წარმოების სტიმულირებას.

ვფიქრობთ, რომ დანაშაულის უშუალო ობიექტია მომხმარებელთა ინტერესები. დამატებით ობიექტად გარემოს დაცვის ინტერესები შეიძლება მივიჩნიოთ. დანაშაულის საგანია ეკომარკა. ეკომარკა წარმოადგენს ნიშანს – გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც მიენიჭება საქართველოში წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას და რომელიც დაიტანება საბოლოო პროდუქციის (შეფუთვის ჩათვლით) გარე, თვალსაჩინო ადგილას.

ეკომარკა ენიჭება მხოლოდ იმ პროდუქციას, რომელიც საბოლოო მოხმარებისათვის არის განსაზღვრული.

დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს მოქმედებას – ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა, შედეგს – მნიშვნელოვანი ზიანის სახით და მიზეზობრივ კავშირს მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ეკომარკის მინიჭების, მისი მოქმედებისა და სარგებლობის წესი განსაზღვრულია დებულებაში „ეკომარკირების შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით 1999 წლის 15 იანვარს.

უკანონო არის თუ არა ეკომარკით სარგებლობა, უნდა დადგინდეს სწორედ ზემოაღნიშნული დებულების საფუძველზე (ე.ი. დისპოზიციის ბლანკეტურია).

მსგავსი კოლიზიის თავიდან ასაცილებლად სასურველია 198-ე და 251-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებების ინტეგრაცია დანაშაულის ერთ შემადგენლობად.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას ეკომარკას ანიჭებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული ეკომარკირების საუწყებათაშორისო კომისია. ეს კომისია წარმოადგენს საეკომარკო პროდუქციის დამდგენ, ნებართვის პირობების მიმღებ, შემცვლელ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე ეკომარკის მიმნიჭებელ, შემწყვეტ, შემაჩერებელ და ჩამომრთმევ ორგანოს.

ეკომარკის მინიჭების შესახებ განცხადების გაკეთება შეუძლია ნებისმიერ მეწარმე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც პროდუქციას საქართველოში ამზადებს. განაცხადი ეკომარკის მინიჭების შესახებ შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ პროდუქციის სარეალიზაციოდ გამზადების შემდეგ. პროდუქციის შეფასების საფუძველზე ეკომარკირების საუწყებათაშორისო კომისია წყვეტს ეკომარკის მინიჭების საკითხს. ეკომარკა პროდუქციას ენიჭება სამ წლამდე ვადით.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და განმცხადებელს შორის დგება კონტრაქტი ეკომარკით სარგებლობის შესახებ, ეკომარკირების საუწყებათაშორისო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ეკომარკით სარგებლობის წესების დარღვევის შემთხვევაში კომისიას შეუძლია მეწარმეს ჩამოართვას ეკომარკით სარგებლობის უფლება.

თუ რა უნდა ჩაითვალოს ეკომარკით უკანონოდ სარგებლობის შედეგად გამოწვეულ მნიშვნელოვან ზიანად, ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის კონკრეტულ გარემოებებზე დამოკიდებულებით.

ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. როგორც წესი, ეს ის პირები არიან, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახვას გულისხმობს. მოტივებს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა (მუხლი 200-ე)

აქციზი (ფრანგ. accise)– არაპირდაპირი გადასახადია ფართო მოხმარების საგნებზე, როგორიცაა: ალკოჰოლიანი სასმელები, თამბაქო და სხვა. აქციზი გადასახადის გადახდის ნიშანია და მისი არგამოყენება უმოქმედობით გადასახადისათვის თავის არიდებაა.

„საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე, იმპორტსა და რეალიზაციაზე აქციზური მარკების შემოღების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 მაისის ბრძანებულებით 1999 წლის 1 თებერვლიდან ჟიკრძალა მარკირებას დაქვემდებარებული ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოება და იმპორტირება, ხოლო 1 მარტიდან მათი რეალიზაცია – აქციზური მარკების გარეშე.

აქციზური მარკების რეალიზაციას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მასვე შემუშავებული აქვს აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის, აგრეთვე ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკებით ნიშანდების წესები.[1] ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს ასევე აქციზური მარკების მომხმარებელთა რეგისტრაციას და გასცემს შესაბამის მოწმობას.

საქართველოს ტერიტორიაზე აქციზური მარკებით ნიშანდების მდგომარეობის საკითხზე შემოსავლების სამსახურის მიერ პერიოდულად ჩატარებული ღონისძიებები აელენს აქციზური მარკებით ნიშანდების გარეშე აქციზური საქონლის (ალკოჰოლიანი სასმელები, თამბაქოს ნაწარმი) რეალიზაციის მრავალ ფაქტს. ამგვარი მოქმედებებით ქვეყანა საბიუჯეტო შემოსავლებს კარგავს.

ამრიგად, განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტი ქვეყნის საფინანსო ინტერესებია.

დანაშაულის საგანია მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური

---

1 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 10 ივნისის ბრძანება №404 „საქართველოში აქციზური მარკების აღრიცხვის რეალიზაციისა და კონტროლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, და 2005 წლის 11 თებერვლის ბრძანება №77 „აქციზის დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“

საქონელი – ალკოჰოლიანი სასმელები, ლუდი და თამბაქოს ნაწარმი.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვებაში, შენახვაში, რეალიზაციასა ან გადაზიდვაში.

ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულება ორიათას ლარს აღემატება.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახვას გულისხმობს. განზრახვა, როგორც წესი, პირდაპირია, ხოლო მოტივი – ანგარებითი. თუმცა მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

პასუხისმგებლობა ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკებით მარკირებისათვის ეკისრებათ საქართველოში წარმოებული აღნიშნული აქციზური საქონლის მწარმოებლებს, ხოლო საქართველოში იმპორტირებული აქციზური მარკებით მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლისათვის – იმპორტიორებს. მაშასადამე, აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სპეციალურ ამსრულებელს – მხოლოდ მწარმოებელს, ხოლო ასეთი საქონლის შენახვის, რეალიზაციის ან გადაზიდვისათვის როგორც სპეციალურ სუბიექტს (მწარმოებელს ან იმპორტიორს), ისე ნებისმიერ სხვა პირს.

მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს იმავე ქმედების ჩადენა არაერთგზის, დიდი ოდენობით, პირთა ჯგუფის მიერ. არაერთგზისობა და პირთა ჯგუფი განმარტებულია სსკ მე-15 და 27-ე მუხლებით, რაც შეეხება დიდ ოდენობას იგი გულისხმობს აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულებას 5000 ლარის ზევით.

მე-200 მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას განსაკუთრებით დიდი ოდენობით, რომელშიც იგულისხმება ასეთი საქონლის ღირებულება 10000 ლარის ზევით.

მე-200 მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებს – პირველი, მეორე ან მესამე

ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ანდა იმის მიერ ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი ამ თავით გათვალისწინებული ქმედებისათვის. ორგანიზებული ჯგუფის განმარტებისათვის სსკ 27-ე მუხლს უნდა დავემყაროთ, რაც შეეხება ნასამართლობას ის იმ პირობით დაამძიმებს პასუხისმგებლობას თუ მოხსნილი ან გაქარწყლებული არ იქნება კანონით დადგენილი წესით.

ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან/და გამოყენება (მუხლი 200[1]-ე)

როგორც მე-200 მუხლის ანალიზის დროს აღვნიშნეთ, საქართველოში 1999 წლიდან ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოება, იმპორტირება და რეალიზაცია ხორციელდება აქციზური მარკების ნიშანდებით. ყალბი აქციზური მარკების გამოყენება არსებით ზიანს აყენებს ქვეყნის საფინანსო ინტერესს, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტი მნიშვნელოვან შემოსავლებს კარგავს. განსახილველი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს დამატებითი გარანტიების შექმნას ამ ინტერესების დასაცავად. ამრიგად, მე-200[1] მუხლით გათვალისწინებული ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ქვეყნის საფინანსო ინტერესები, ასევე კეთილსინდისიერი სამეწარმეო საქმიანობის ინტერესი.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ყალბი აქციზური მარკების დამზადებაში, გასაღებაში ან/და გამოყენებაში.

აქციზური საქონლის აქციზური მარკებით ნიშანდებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემუშავებული აქვს აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესები.

აქციზური მარკა ყალბად ჩაითვლება, თუ ის ფორმით, ზომით, ფერით და სხვა რეკვიზიტებით განსხვავდება ორიგინალისაგან, ანუ დადგენილი ნიმუშის არ არის, ანდა შესაბამისი ორგანოს მიერ არ არის გაცემული.

აქციზური მარკის დამზადება გულისხმობს აქციზური საქონლის ნიშანდებისათვის ვარგისი მარკების დაბეჭდვას ან სხვა გზით გამოშვებას.

აქციზური მარკების გასაღება ნიშნავს მის გადაცემას ნებისმიერი პირისათვის სასყიდლით ან უსასყიდლოდ, ხოლო გამოყენება — აქციზური საქონლის ნიშანდებას ყალბი აქციზური მარკებით.

დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს და დამთავრებულად

ჩაითვლება თავისთავად ყალბი აქციზური მარკების დამზადების, გასაღების ან გამოყენების მომენტიდან.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი,

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, მოტივი, როგორც წესი, ანგარებითია, თუმცა მას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

მე-200[1] მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს, სახელდობრ, იგივე ქმედების ჩადენას არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ და დიდი ოდენობით.

მე-200[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების შინაარსი მე-15 და 27-ე მუხლების მიხედვით უნდა გავიგოთ, რაც შეეხება დიდ ოდენობას მე-200[1] მუხლის შენიშვნის მიხედვით დიდ ოდენობად ითვლება 1000 ცალზე მეტი ყალბი აქციზური მარკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება.

მე-200[1] მუხლის მე-3 ნაწილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად თელის იგივე ქმედების ჩადენას სახელმწიფო მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

მე-200[1] მუხლის მე-3 ნაწილით ქმედების კვალიფიკაციისათვის საჭიროა დადგინდეს, რომ მოხელემ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა ყალბი აქციზური მარკების დასამზადებლად, გასასაღებლად ან/და გამოსაყენებლად.

ყალბი აქციზური მარკების განსაკუთრებით დიდი ოდენობა განმარტებულია მე-200[1] მუხლის შენიშვნაში, სახელდობრ, განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება 5000 ცალზე მეტი ყალბი აქციზური მარკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება.

მე-200[1] მუხლის მე-4 ნაწილი პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებად თელის იგივე ქმედების ჩადენას განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, იმის მიერ ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლები ამ თავით გათვალისწინებული ქმედებისათვის.

მე-200[1] მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელმა სამეწარმეო საქმიანობის ინტერესის

წინააღმდეგ (თავი 26-ე) ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა, ანუ ერთგვაროვანი რეციდივი, პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად აღიარა.

აქციზური მარკების მეორადი გამოყენების მიზნით გასაღება, შეძენა და გამოყენება ან/და მათი სხვა პირისათვის გადაცემა (მუხლი 200²-ე)

განსახილველი ნორმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 2004 წლის 29 დეკემბერს დაემატა. აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაციის მიზანშეწონილობა ეჭვს ბადებს, ვინაიდან მსგავს სამართალდარღვევასთან ბრძოლა ადმინისტრაციული სახდელის ზომებითაც საკმარისი იქნებოდა.

განსახილველი ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ქვეყნის საფინანსო და სამეწარმეო საქმიანობის ინტერესები.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება აქციზური მარკების მეორადი გამოყენების მიზნით გასაღებაში, შეძენასა და გამოყენებაში ან/და სხვა პირისათვის გადაცემაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის იმპორტიორის მიერ აქციზური მარკები საქონელზე დასატანად გადაეცემა იმპორტირებული აქციზური საქონლის მწარმოებელს.

აქციზური მარკების მეორად გამოყენებად ითვლება მათი ნიშანდებული საქონლიდან აძრობა და სხვა ანალოგიური სახეობის არამარკირებულ საქონელზე დატანა.

მე-200² მუხლით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნები იმავე მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, როგორც მე-200¹ მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაში, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

მე-200² მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს, რომლებიც შინაარსობრივად ემთხვევა მე-200¹ მუხლით გათვალისწინებულ კვალიფიციურ გარემოებებს, ამიტომ მათ დახასიათებაზე აღარ შევჩერდებით.

სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარი (200³ მუხლი)

ეს ნოვაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2010 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა. ამ ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს აღურიცხავი საქონლის ბრუნვის აკრძალვას, თუ ეს საქონელი შემდგომი ეკონომიკური საქმიანობისათვის იქნება გამოყენებული. ამას მოითხოვს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის ინტერესიც, რამეთუ ამგვარი შემოსავალი არა მხოლოდ "ჭუჭყიან" ფულს მოიცავს, არამედ აღურიცხავი საქონლის ფარულ მარაგსაც, რომელიც შემდგომ გარდაიქმნება უკანონო შემოსავლად. სწორედ ამგვარი მავნე პრაქტიკის პრევენციას და აღკვეთას ისახავს მიზნად ეს სიახლე.[1]

სასაქონლო ზედნადები –ეს არის აღრიცხვის დოკუმენტი რომლითაც დასტურდება სამეურნეო ოპერაციის, ქვეყნის შიგნით საქონლის მიწოდების ფაქტი და რომლის გარეშე აკრძალულია საქონლის ტრანსპორტირება, შენახვა ან რეალიზაცია.[2]

ამრიგად, ამიერიდან სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის

1 უკანონო სამეწარმეო საქმიანობიდან შეიძლება ამოღებული და უკან დაბანდებული იქნეს არა მარტო ფული, არამედ აღურიცხავი საქონლის მარაგიც. მეწარმე იძულებულია აღურიცხავი საქონელი დააბრუნოს ლეგალურ ბრუნვაში, რისთვისაც თუ მისი შემძენი კლიენტი ვერ ნახა, საბუღალტრო აღრიცხვაში მაქინაციებით ცდილობს მის „გათეთრებას" და სამეურნეო ბრუნვაში დაბრუნებას. (იხ. კლაუს კოტკე, ჭუჭყიანი ფული, რუს. ენაზე, 1998, გვ.41-42)

2 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 14 თებერვლის №86 ბრძანებით დამტკიცებულია „სასაქონლო ზედნადების გამოწერისა და გამოყენების შესახებ" ინსტრუქცია, რომლის მე-3 მუხლი განსაზღვრავს ზედნადების გამოწერის და გამოყენების წესს, სახელდობრ: ზედნადები წარმოადგენს ამ ინსტრუქციის შესაბამისად შედგენილ ფორმას, გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით, მათ შორის საწარმოს ტერიტორიულად განცალკევებული სტრუქტურული ქვედანაყოფების (ფილიალები, საამქროები, უბნები, მეურნეობები და ა.შ.) მიერ საქონლის მიწოდების ან ტვირთის ტრანსპორტირების (გადაადგილების) შემთხვევებში, დგება სამ ცალად საქონლის მყიდველის ან საქონლის (ტვირთის) მიმღების მისამართით საქონლის მიწოდებისთანავე, ან ტვირთის გადაზიდვის დაწყებისთანავე. პირველი პირი გადაეცემა საქონლის მყიდველს ან ტვირთის მიმღებს და თან ერთვის საქონელს (ტვირთს), მეორე რჩება საქონლის გამყიდველს ან ტვირთის გამგზავნს, ხოლო მესამე პირს იტოვებს ტვირთის გადამზიდველი.

ტრანსპორტირება ან რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ სასაქონლო ზედნადებით. გამკაცრდა კონტროლი საქონლის როგორც მიღებაზე ისე გაცემაზე. მეწარმე ერთის მხრივ ვალდებულია ეკონომიკური საქმიანობისათვის საქონლის ტრანსპორტირება მხოლოდ ზედნადებით განახორციელოს, მაგრამ მეორეს მხრივ იგი ვალდებულია მყიდველის მოთხოვნით გასცეს ეს დოკუმენტი, ამასთანავე, საქონლის შემძენიც ვალდებულია მიიღოს იგი. ამავე დროს, კანონმდებელმა გარკვეული გამონაკლისებიც დააწესა, სახელდობრ, სასაქონლო ზედნადების გამოწერა (გაცემა, მიღება) საჭიროებულია, თუ მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის ღირებულება დიდი ოდენობისაა. მე-200[3] მუხლის შენიშვნის მიხედვით დიდ ოდენობად ითვლება მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის ღირებულების თანხა 10 000 ლარის ზევით. ამ მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობა პირს არ დაეკისრება: საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პირველადი (სამრეწველო გადამუშავებამდე--სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პროდუქციის, აგრეთვე რეგულარული ან უწყვეტი წესით საქონლის (ელექტრო ან თბოენერგია, გაზი, წყალი) ტრანსპორტირებისას ან მიწოდებისას, საქონლის საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტებით ტრანსპორტირებისას, სპეციალური დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის არსებობისას (სპეციალურ ანგარიშ ფაქტურას არ სჭირდება ზედნადები,მაგალითად, ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისათვის ზედნადები საჭირო არაა,რადგან ზედნადები და ანგარიშფაქტურა გაერთიანებულია), თუ ხორციელდება მხოლოდ იმ სარეკლამო საქონლის უსასყიდლოდ გავრცელება, მათ შორის, საცალო რეალიზატორის მეშვეობით, რომელსაც დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლები არა აქვს და ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების განუყოფელი ნაწილია, თუ მას აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსი (მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონედ ითვლება პირი, რომლის შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30000 ლარს, ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის შემოსავალი არ აღემატება 100000 ლარს).

სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტად შეიძლება ჩაითვალოს ლეგალური და კეთილსინდისიერი სამეწარმეო საქმიანობის ინტერესი. ასევე, სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესი.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა ითვალისწინებს სამ ალ-

ტერნატიულ მოქმედებას: 1. სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, 2.მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა, 3. საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარი. სამივე შემთხვევაში საქონლის ღირებულების თანხა უნდა აღემატებოდეს 10000 ლარს. დასრულებულ დანაშაულს წარმოადგენს თავისთავად აღნიშნული ქმედებების განხორციელება, ყოველგვარი შედეგის გარეშე.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, ნორმის შინაარსიდან გამომდინარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. მოტივს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მეწარმისათვის უფაქტურო საქონლის ტრანსპორტირების ან მყიდველის მოთხოვნით ზედნადების გაუცემლობის მოტივი ძირითადად ანგარებითია, რადგან უფაქტურო საქონელი აღურიცხავი საქონელია, რომლის რეალიზაციითაც დამატებითი შემოსავლის მიღება სურს.

მე-200[3] მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები: ა) იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის. ეს ნიშანი სსკ მე-15 მუხლის საფუძველზე უნდა განიმარტოს და ბ) განსაკუთრებით დიდი ოდენობით. განსაკუთრებით დიდი ოდენობად ითვლება მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის ღირებულება 25000 ლარის ზევით.

სასაქონლო ზედნადების გარეშე საქონლის ტრანსპორტირებისათვის, თუ საქონლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ადგენს საგადასახადო კოდექსი (მუხლი 286).

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება ყალბი რეკლამისათვის მიზნად ისახავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას. საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების მიერ საქონლისა და მომსახურების რეკლამირება, სადაც ვლინდება კეთილსინდისიერი კონკურენციის კანონის მოქმედება. ყალბი რეკლამა კი არაჯანსაღი კონკურენციის ერთ-ერთი ფორმაა. მაშასადამე, განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია — ის ურთიერთობები, რომელიც არეგულირებს სამეწარმეო სუბიექტების ჯანსაღ კონკურენციას, დამატებითი ობიექტია მომხმარებელთა ინტერესები.

ობიექტური მხარე მოიცავს მოქმედებას, შედეგს — მნიშვნელოვანი ზიანის სახით და მიზეზობრივ კავშირს მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. დისპოზიციაში არ არის მოცემული ყალბი რეკლამის ნერწები. საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“ რეკლამას შემდეგნაირად განსაზღვრავს; ეს არის საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე, ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე, საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

აშკარად ყალბია რეკლამა, რომლის მეშვეობითაც რეკლამის დამკვეთს (რეკლამის მწარმოებელს, გამავრცელებელს) განზრახ შეჰყავს შეცდომაში მომხმარებელი. აქედან გამომდინარე, განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება — რეკლამაში შეგნებულად ყალბი ინფორმაციის გამოყენებაში საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, იდეის, წამოწყების შესახებ, ანდა მათი მწარმოებლების, შემსრულებლების, გამყიდველთა შესახებ. ეს ინფორმაცია შეიძლება შეეხებოდეს საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხს, მათ უსაფრთხოებას, ადგილწარმოებას და ა.შ. ცრუ რეკლამაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვისი სასაქონლო ნიშანიც, ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება დანაშაულთა ერთობლიობას.

ყალბი რეკლამისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

დადგება მხოლოდ მაშინ, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ზიანი შეიძლება მიადგეს საქონლისა და მომსახურების მომხმარებელს (რეკლამის მომხმარებელს), ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტებს, თუ ყალბი რეკლამის შედეგად დაზარალდა მათი საქმიანი რეპუტაცია, შემცირდა მოთხოვნილება მათ პროდუქციაზე, მომსახურებაზე და მისთ. თავისი კონსტრუქციით ყალბი რეკლამის შემადგენლობა მატერიალურია.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით და, როგორც წესი, ანგარების მოტივით ხასიათდება. პირს შეგნებული აქვს, რომ რეკლამაში იყენებს ყალბ ინფორმაციას, ითვალისწინებს მომხმარებლის ან სხვა პირებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შესაძლებლობას ან გარდუვალობას და სურს ასეთი შედეგები მოგების (შემოსავლის) მისაღებად. დანაშაულის ამსრულებლები არიან: რეკლამის დამკვეთი, რეკლამის მწარმოებელი და გამავრცელებელი.

კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება ან გავრცელება (მუხლი 202-ე)

ინფორმაცია სამოქალაქო უფლებათა ერთ-ერთ ობიექტად არის აღიარებული. ინფორმაცია, რომელიც სამსახურებრივ ან კომერციულ საიდუმლოს წარმოადგენს, დაცულია კანონით, ხოლო კომერციული ან საბანკო საიდუმლოს შემცველი ინფორმაციის უკანონოდ მიღება ან გავრცელება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. კომერციული საიდუმლოების დაცვის საჭიროებას სამეწარმეო საქმიანობისათვის კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობების შექმნა განაპირობებს. განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია ინტელექტუალურ-საკუთრებითი ურთიერთობები, რომელიც უზრუნველყოფს კომერციული ან საბანკო საიდუმლოების დაცვას, ასევე კეთილსინდისიერი კონკურენციის ინტერესი, რაც საბოლოო ჯამში სამეწარმეო საქმიანობის ინტერესს ხელყოფს.

დანაშაულის საგანია კომერციული ან საბანკო საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია. კომერციული საიდუმლო — ეს არის ინფორმაცია, რომელსაც რეალური ან პოტენციური კომერციული ღირებულება აქვს იმის გამო,

რომ მესამე პირებისათვის უცნობია, სხვისთვის კანონიერ საფუძველზე ხელმიუწვდომელია და რომლის მფლობელიც ზომებს იღებს მისი კონფიდენციალობის დასაცავად.

კომერციული საიდუმლოს შემცველი ინფორმაციის შინაარსსა და მოცულობას, მისი დაცვის წესს განსაზღვრავს თვით მეწარმე. კომერციული საიდუმლო, უპირველეს ყოვლისა, დაცულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის სფეროში (ნოუ-ჰაუ). სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კომერციული საიდუმლოება შეიძლება წარმოდგენილი იყოს სამრეწველო ტექნოლოგიით, ნივთიერების ქიმიური ფორმულით, მასალათა თვისების შენარჩუნების ხერხით, მანქანა-დანადგარების კვანძით, ანდა მომხმარებელთა სიით. დაცვის ღირსი კომერციული საიდუმლოება არის ისეთი ტექნოლოგიური, ეკონომიკური ან მმართველობითი ინფორმაცია, რომლის დანიშნულებაა ხანგრძლივი ბიზნეს-გამოყენება. ამავე დროს, კომერციულ საიდუმლოს შეიძლება წარმოადგენდეს სამეწარმეო სუბიექტების სხვა ინფორმაციაც, როგორიცაა: მონაცემები წარმოების შესახებ, საწარმოს განვითარების გეგმებზე, ფინანსებზე, პარტნიორებზე, ბაზრის მდგომარეობაზე და სხვა. კომერციული საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია შეიძლება მატერიალიზებული იყოს დოკუმენტებში, ნახაზებში, მოდელებში, დისკეტებში, სამრეწველო ნიმუშებში, რეცეპტურებში და სხვა.

საბანკო საიდუმლოება კომერციული საიდუმლოს სპეციალური სახეა. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლი საბანკო საიდუმლოებას მიაკუთვნებს ცნობებს იურიდიული და ფიზიკური პირების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ. ამავე მუხლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისათვის. ამავე ვალდებულებას შეიცავს სამოქალაქო კოდექსის 863-ე მუხლი. თუმცა არსებობს გამონაკლისიც. კერძოდ, კანონი უშვებს კომერციული საიდუმლოების შემცველი ცნობების გაცემის შესაძლებლობას სამართალდამცავი ორგანოებისათვის მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამას მოითხოვს დამნაშავეობასთან ბრძოლის ინტერესები.

202-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ე.წ. სამრეწველო ჯაშუშობაში — კომერ-

ციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვებაში, მისი უკანონოდ გახმაურების ან უკანონოდ გამოყენების მიზნით. დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა და შედეგის დადგომა გათვალისწინებული არ არის. დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა მოქმედებებში, რომელიც გაერთიანებულია ერთი საერთო ცნებით – „უკანონო შეგროვება“. იგი მოიცავს დოკუმენტის დაუფლებას, კომერციული საიდუმლოს მფლობელის მოსყიდვას, მუქარას (შანტაჟს), ინფორმაციის დაუფლებას კავშირგაბმულობის საშუალებებით, მოსასმენი მოწყობილობებისა და სხვა სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, კომპიუტერულ ქსელში შეღწევასა და სხვა უკანონო საშუალებებს. ცხადია, რომ ობიექტური მხარის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენის ხერხს, რომლის მეშვეობითაც აღნიშნული მონაცემების შეგროვება ხდება, ვინაიდან დასჯადია თავისთავად კომერციული (საბანკო) საიდუმლოს შემცველი ინფორმაციის შესაგროვებლად მიმართული მოქმედებები იმისგან დამოუკიდებლად, დადგა თუ არა რაიმე შედეგი. მთავარია, დამნაშავეს შეგნებული ჰქონდეს, რომ ინფორმაცია, რომელსაც ის აგროვებს, წარმოადგენს დაცულ კომერციულ (საბანკო) საიდუმლოს.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს 14 წლის ასაკს მიღწეული პირი, რომელიც არ არის კომერციული (საბანკო) საიდუმლოს მფლობელი და არც ხელი მიუწვდება მასზე პროფესიულად ან სამსახურებრივად.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. პირს შეგნებული აქვს, რომ უკანონო გზით ეუფლება კომერციულ საიდუმლოს და სურს ეს. შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია აღნიშნულ უკანონო მოქმედებათა ჩადენის მიზანი – კომერციული საიდუმლოს უკანონოდ გახმაურება ან უკანონოდ გამოყენება. რაც შეეხება მოტივს, ეს შეიძლება იყოს შური, ანგარება, შურისძიება და სხვა. მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

202-ე მუხლის მე-2 ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ გახმაურებისათვის ან გამოყენებისათვის, ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. ამ ნაწილში შემადგენლობა მატერიალურია, ამიტომ ობიექტურ მხარეში მითითებულ მოქმედებებთან ერთად შედის შედეგი – მნიშვნელოვანი ზიანის სახით და მიზეზობრივი კავშირი. მე-2 ნაწილის ტექსტიდან ჩანს, რომ

დამნაშავე კანონიერად, ე.ი. თავისი უფლებამოსილებით ან სხვა საფუძვლით ფლობს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას, მაგრამ არა აქვს ამ ინფორმაციის გახმაურების ან გამოყენების ნებართვა. კომერციული (საბანკო) საიდუმლოს გახმაურების ან გამოყენების ხერხები სხვადასხვაგვარია, მაგრამ ყველა შემთხვევაში ამ მოქმედების ჩამდენმა იცის, რომ გახმაურებული ან გამოყენებული მონაცემები კომერციული (საბანკო) საიდუმლოა. ზიანი შეიძლება მიადგეს როგორც ინფორმაციის მფლობელს, ისე სხვა პირს, რომლის კანონიერი უფლებები და ინტერესებიც ილახება. ზიანის მნიშვნელოვანი ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს კომპეტენციაა საქმის გარემოებებზე დამოკიდებულებით. დიდი ზიანი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს კომერციული (საბანკო) საიდუმლოს უკანონო გახმაურებასთან ან გამოყენებასთან. ზიანი შეიძლება გამოიხატოს დიდ მატერიალურ დანაკარგებში, კონკურენტულ მეტოქეობაში, წარმოების შემცირებაში, მომხმარებლის შემცირებაში და ა.შ.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მათ შორის თანამდებობის პირიც, რომელსაც ხელი მიუწვდება კომერციულ ან საბანკო საიდუმლოს შემცველ ინფორმაციაზე.

სუბიექტური მხრივ დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება, ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ კომერციულ ან საბანკო საიდუმლოს ახმაურებს ან იყენებს, ითვალისწინებს ამ მოქმედებით მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შესაძლებლობას ან გარდუვალობას და სურს იგი. ანგარება ან სხვა პირადი დაინტერესება შეიძლება მდგომარეობდეს გასამრჯელოს მიღებაში, შურისძიებაში, კონკურენტის მდგომარეობის გაუარესებაში და მისთ.

მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ფაქტის გახმაურება (მუხლი 202[1])

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს 2000 წლის კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს დააწესონ შიდა რეგულირებისა და ზედამხედველობის ყოვლისმომცველი რეჟიმი ბანკებისა და სხვა საფინანსო დაწესებულებების, საჭიროების შემთხვევაში სხვა ორგანოების მიმართაც, რომლებიც ფულის გათეთრების თვალსაზრისით განსაკუთრებით დაუცველნი არიან, რათა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოავლინონ და არ დაუშვან ფულის გათეთრების რაიმე ფორმა. ასეთი რეჟიმი უნდა პასუხობდეს ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა კლიენტის პიროვნების დადგენა, მონაცემთა რეესტრის წარმოება, საეჭვო გარიგებებზე ინფორმაციის წარმოდგენა.

ამ ვალდებულების იმპლიმენტაცია და დეტალური რეგლამენტაცია მოცემულია საქართველოს კანონში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით ამ კანონში მოცემულია მონიტორინგის განმახორციელებელი პირების, ასევე მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებათა ჩამონათვალი, განსაზღვრულია საეჭვო და უჩვეულო გარიგებათა ცნებები, მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებანი გარიგების შესახებ ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებით და სხვ. ამ კანონში ნოვაციას წარმოადგენს საქართველოს ფინანსური ზედამხედველობის სამსახურისა და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების ვალდებულება – არ შეატყობინონ გარიგების მონაწილე ან სხვა პირებს, რომ მათი მონაწილეობით დადებული გარიგების შესახებ ინფორმაცია გადაეცა შესაბამის ორგანოს (საქართველოს მთავარ პროკურატურას), ვინაიდან არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ გარიგების თანხა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან ტერორიზმის დაფინანსების მიზნით. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. სწორედ ამგვარი ქმედების კრიმინალიზაცია მოხდა სსკ 202[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობით.

202[1] მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედების ობიექტური შემადგენლობა ფორმალურია და გამოიხატება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების მიერ მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის კომპეტენტური ორგანოებისთვის მიწოდების ფაქტის გახმაურებაში.

მონიტორინგის განმახორციელებელი პირები განსაზღვრულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით, კერძოდ ესენი არიან კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ფულადი გზავნილების განმახორციელებლი პირები, სადაზღვევო კომპანიები, ნოტარიუსები და სხვ. ეს ჩამონათვალი ამომწურავია კანონში. ამასთანავე მონიტორინგის განმახორციელებელი პირების საქმიანობის უშუალო ზედამხედველობას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების ჩამონათვალი მოცემულია კანონის მე-5 მუხლში. ასე მაგალითად, მონიტორინგს ექვემდებარება პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ან/და გარიგების (მისი თანხის) დანაწევრების მიზნით დადებულ ან შესრულებულ გარიგებათა ერთობლიობა თუ გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის თანხა აღემატება 30 000 ლარს, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში, ასევე საეჭვო გარიგება და სხვ.

დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ხელმძღვანელები და თანამშრომლები. მხოლოდ მათ შეუძლიათ მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის პროკურატურისათვის მიწოდების ფაქტის გახმაურება, ვინაიდან ისინი ფლობენ ამგვარ ინფორმაციას და მათ აკისრიათ ამ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს ორივე სახით. სხვა სუბიექტურ ელემენტებს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

202[1] მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია იგივე ქმედება,

რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მნიშვნელოვანი ზიანი ამ დანაშაულის შემადგენლობის შეფასებითი ნიშანია, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე., ასეთი შედეგი შეიძლება იყოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამოსავლენად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩაშლა, ფიზიკური ან იურიდიული პირების ან თავად მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მატერიალური ზარალი ან მათი საქმიანი რეპუტაციის შელახვა და სხვ.

პროფესიული სპორტული შეჯიბრის ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზაციის მოსყიდვა (მუხლი 203-ე)

ზემოაღნიშნული ნორმა ახალია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და მიზნად ისახავს პროფესიული სპორტული შეჯიბრისა და კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ჩატარების წესის დაცვას, მათი შედეგების ფალსიფიკაციის თავიდან აცილებას..რამეთუ პროფესიული სპორტის ჩამოყალიბებასა და ე.წ. შოუბიზნესის კომერციალიზაციასთან ერთად ამ საქმიანობისადმი ინტერესი გაუჩნდათ არა მარტო მეწარმეებს, რომლებიც მასში დიდ თანხებს აბანდებენ, არამედ აგრეთვე ორგანიზებულ-დანაშაულებრივ ჯგუფებსაც.

იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, ეს ნორმა აგებულია ქრთამის აღებ-მიცემის პრინციპის შესაბამისად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ორი მოქმედება (მოსყიდვა და უკანონო გასამრჯელოს მიღება) ერთ მუხლშია გაერთიანებული, რაც, ჩვენი შეხედულებით, გამართლებულიცაა, ვინაიდან აუცილებელ თანამონაწილეობასთან გვაქვს საქმე.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც არეგულირებს პროფესიული სპორტული შეჯიბრისა და კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზაციასა და ჩატარებას. დანაშაულის საგანია ფული, ფასიანი ქაღალდი და სხვა ქონება ან ქონებრივი ხასიათის მომსახურება.

203-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სპორტული შეჯიბრის მონაწილის, მსაჯის, მწვრთნელის, გუნდის ხელმძღვანელის ან ორგანიზაციის, აგრეთვე

კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორის ან ჟიურის წევრის მოსყიდვაში, ე.ი. მათთვის უკანონო გასამრჯელოს მიცემასა ან გადაცემაში (თუ შუამავლის მეშვეობით სრულდება მოქმედება) იმ მიზნით, რომ ზეგავლენა მოახდინოს შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე. შემადგენლობა ფორმალურია და დანაშაული დამთავრებულად ითვლება დამნაშავის მიერ გასამრჯელოს, თუნდაც ნაწილის მიღების მომენტიდან.

მოსყიდვის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ უკანონო გასამრჯელოს გადასცემს დისპოზიციაში მითითებულ რომელიმე პირს და სურს მისი მოსყიდვა, იმ მიზნით, რომ ზეგავლენა მოახდინოს შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე. ამ მიზნის დასადგენად უნდა გაირკვეს, კონკრეტულად, რა მოქმედება (უმოქმედობა) უნდა ჩაიდინოს მოსყიდულმა პირმა.

მე-2 ნაწილში მოსყიდვის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია მისი არაერთგზის ჩადენა.

203-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს მის ჩადენას ორგანიზებული ჯგუფის მიერ (მუხლი 27)

მე-4 ნაწილი ითვალისწინებს პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილის მიერ უკანონოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების მიღებას, ანდა ქონებრივი მომსახურებით სარგებლობას შეჯიბრის, ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით.

203-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება პროფესიული სპორტული შეჯიბრის მსაჯის, მწვრთნელის, გუნდის ხელმძღვანელის ან ორგანიზაციის ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორის ან ჟიურის წევრის მიერ უკანონოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების მიღებაში, ანდა ქონებრივი მომსახურებით სარგებლობაში, შეჯიბრების ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით. ეს შემადგენლობაც ფორმალურია და დამთავრებულად ითვლება დისპოზიციაში მითითებული გასამრჯელოს, თუნდაც ნაწილის მიღების ან მომსახურებით სარგებლობის დაწყების მომენტიდან (მოგზაურობა საექსკურსიო ლაინერით, შენობის მიცემა დასასვენებლად და მისთ.). მნიშვნელობა არა აქვს, შესრულდა თუ არა დაპირება, მოახდინა თუ არა მოსყიდვამ ზეგავლენა შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ უკანონოდ იღებს გასამრჯელოს ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების, ანდა ქონებრივი ხასიათის მომსახურების სახით, რომ ეს გასამრჯელო შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მოსახდენად გადაეცემა და სურს მისი მიღება. გასამრჯელოს გადაცემის მიზნის არცოდნა გამორიცხავს ქმედების დანაშაულებრიობას.

რაც შეეხება განსახილველი დანაშაულის ამსრულებელს – პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის სუბიექტი შეიძლება იყოს 14 წლის ასაკს მიღწეული პირი, ხოლო მე-4 და მე-5 ნაწილებში (უკანონო გასამრჯელოს მიღება) სპეციალურ ამსრულებელთან გვაქვს საქმე. ესენი არიან: პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილე, მსაჯი, მწვრთნელი, გუნდის ხელმძღვანელი, შეჯიბრის ორგანიზატორი ან ჟიურის წევრი. კოდექსი ზემოჩამოთვლილ პირთა პასუხისმგებლობის დიფერენციაციას ახდენს.

203-ე მუხლს აქვს წამახალისებელი ნორმა, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით განუცხადებს ხელისუფლების ორგანოს, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილში მითითებულ რომელიმე პირს გადასცა ფული, ფასიანი ქაღალდი ან სხვა ქონება, ანდა გაუწია მას ქონებრივი მომსახურება.

ბუღალტრული აღრიცხვის წესის დარღვევა (სსკ მუხლი 204[1])

სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის ლეგალურად წარმოებისა და მასზე საჯარო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა სწორი საბუღალტრო აღრიცხვა. სწორედ ამიტომ კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსში შემოიტანა სპეციალური შემადგენლობა საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევისათვის. სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია ის სამეწარმეო ურთიერთობები, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის გაძღოლისა და მისი ბუღალტრული აღრიცხვის წესებს არეგულირებს. ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს „ბიზნესის ენას“, რომლის უპირველესი დანიშ-

ნულებაა მომხმარებელთა ფართო წრის ინფორმაციული უზრუნველყოფა. ამავე დროს, ეს არის ინფორმაცია, რომელიც ახასიათებს საწარმოში მიმდინარე სამეურნეო პროცესებს. საბოლოო ჯამში ეს ინფორმაცია თავს იყრის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. სადღეისოდ, ბუღალტრული აღრიცხვა , ფინანსური ანგარიშების მომზადება და წარდგენა ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, რაც ადვილად გასაგებს ხდის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის არსს. საქართველოში დაინერგა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.[1]

ქმედების ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება ბუღალტრული აღრიცხვის განმახორციელებელი პირის მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის შემცველი საბუღალტრო დოკუმენტის შექმნაში, გამოყენებაში ან საგადასახადო დოკუმენტის აღრიცხვაში.

საბუღალტრო დოკუმენტებს მიეკუთვნება ბუღალტრული ბალანსი, საბუღალტრო წიგნი, ბუღალტრული ზედნადები, დღგ ფაქტურა, სახელფასო უწყისი, ინვენტარიზაციის ოქმი, მასალების შემოსვლისა და გასავლის ორდერი და სხვა.

საგადასახადო დოკუმენტებს მიეკუთვნება დღგ ფაქტურა და შრომის ანაზღაურების უწყისი, ასევე ბუღალტრული ბალანსი(აქ მოგება ჩანს).

დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია – ბუღალტრული აღრიცხვის განმახორციელებელი პირი, ეს არის ბუღალტერი, მენეჯმენტის სტრუქტურაში სხვა პირი, ვისაც დაეკისრა ეს ფუნქცია, ასევე პატარა საწარმოს ხელმძღვანელი, ვისაც ბუღალტრის შტატი არ აქვს.

საბუღალტრო დოკუმენტის შექმნა გულისხმობს აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის მზა ბუღალტრული დოკუმენტის დამზადებას, სპეციალური

---

1 „ბუღალტრული აღირცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად საქართველო აღიარებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო არის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის კომპეტენციაა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ნორმებისა და წესების დამტკიცება, შესაბამისი ინსტრუქციების, მითითებების გამოცემა და მათი პრაქტიკაში დამკვიდრება. საქართველოს პარლამენტთან შექმნილია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია, რომელიც აერთიანებს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების, ბიზნესის, ეკონომიკისა და სამართლის სფეროს წარმომადგენლებს. 2005 წლის 6 აპრილს აღნიშნულმა კომისიამ მიიღო დადგენილება ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და მათი ინტერპრეტაციების სამოქმედოდ შემოღების შესახებ. (იხ. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, თბილისი 2005)

ბლანკის შევსებას, შესაბამისი ჩანაწერის გაკეთებას დოკუმენტში და მისთ.

საბუღალტრო დოკუმენტის გამოყენებად ჩაითვლება მისი ოფიციალურად წარდგენა შესაბამისი ადრესატისათვის, იქნება ეს რომელიმე პირი თუ მაკონტროლებელი ორგანო, იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ფაქტის დასადასტურებლად და სხვ.

არასწორია დოკუმენტი,რომელიც ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას შეიცავს, მაგალითად, დებეტის და კრედიტის ციფრები ურთიერთსაწინააღმდეგოდაა ნაჩვენები.

არასრულია დოკუმენტი, რომლის რეკვიზიტების ერთი ნაწილი შევსებულია, მეორე კი - შეუვსებელი, ღიად დატოვებული. მაგალითად, როცა ბუღალტერმა საგადასახადო ორგანოში წარადგინა ბალანსი, რომლის რეკვიზიტების ერთი ნაწილი შევსებულია, მეორე კი - შეუვსებელი, ღიად დატოვებული. არასწორად ან არასრულად შესაძლებელია აღირიცხოს სასაქონლო--მატერიალური მარაგები, ფულადი საშუალებები, ძირითადი საშუალებები, შემოსავლები და ხარჯები და სხვ. ანუ ინფორმაცია, რომელიც ახასიათებს საწარმოში მიმდინარე სამეურნეო პროცესებს.

ქმედების შემადგენლობა ფორმალურია და დამთავრებულად ჩაითვლება კანონში მითითებული მოქმედების ჩადენისთანავე, იქნება ეს საბუღალტრო დოკუმენტის შექმნა, გამოყენება თუ საგადასახადო დოკუმენტის აღრიცხვა.

რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, იგი მხოლოდ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, რადგან მიზნით დაფუძნებულ დელიქტთან გვაქვს საქმე. ქმედების მოტივია ამსრულებლის მიერ თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღება, ზეგავლენით ვაჭრობის ან ასეთი საქმიანობის დაფარვა.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს წარმოადგენს იგივე ქმედების ჩადენა არაერთგზის (ნაწ. II პ.ა.) და რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი (ნაწ. II პ.ბ.).

არაერთგზისობის შინაარსი სსკ მე-15 მუხლის საფუძველზე უნდა განიმარტოს, რაც შეეხება მნიშვნელოვან ზიანს, ის შეფასებითი ნიშანია და სამოსამართლო სამართალმა უნდა დააკონკრეტოს, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე.

უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას (მუხლი 205-ე)

საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 28 მარტს მიიღო კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, რომლის მიზანია მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამ მიზნის მისაღწევად დამატებით სისხლისსამართლებრივი დაცვის გარანტიებიც იქნა დადგენილი, სახელდობრ, კრიმინალიზებული იქნა უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას (მ. 205), საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გადახდისუუნარობისას (მ. 206) და სხვ.

კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობას თან ახლავს ეკონომიკური და ფინანსური სიძნელეები, რომელსაც, არცთუ იშვიათად, შედეგად მოსდევს მათი გაკოტრება. კერძო სამართლის სუბიექტები (მოვალეები), რომელთაც უნარი არ შესწევთ დააკმაყოფილონ კრედიტორთა ვადამოსული მოთხოვნები, სასამართლომ კანონით დადგენილი წესით შეიძლება გამოაცხადოს გაკოტრებულად. სისხლის სამართალში ისეთი ნორმის შემოტანით, როგორიცაა უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას, კანონმდებელი ისახავს შემდეგ მიზანს: კრედიტორთა ინტერესების თანაბარზომიერი დაკმაყოფილება და მოვალის რეაბილიტაციის პრინციპის გატარება. კანონის მეშვეობით სახელმწიფო ცდილობს გადახდისუუნარობის ურთიერთობების მიმდინარეობის პროცესს ზედამხედველობა გაუწიოს, გაკოტრებასთან დაკავშირებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენით.

დანაშაულის უშუალო ობიექტია კრედიტორთა კანონიერი ინტერესები. კრედიტორი არის პირი, რომელსაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მომენტისათვის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნა. დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ქონება (როგორც მოძრავი, ისე უძრავი) ან მისი ნაწილი.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოვალის მიერ გადახდისუუნარობისას ქონების იმ ნაწილის განკარგვასა ან დამალვაში

კრედიტორისათვის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რომელიც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში მოექცეოდა სამეურვეო ქონებაში, აგრეთვე მეურნეობის სწორად გაძღოლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მის დაზიანებასა, გაუვარგისებასა ან განადგურებაში. კანონი კრედიტორისათვის ზიანის მომტანად თვლის მოვალის ისეთ ქმედებას, რომელმაც ხელი შეუშალა კრედიტორთა თანაბარზომიერ დაკმაყოფილებას, კონკრეტული კრედიტორისათვის უპირატესობის მინიჭებას იმავე რიგის სხვა კრედიტორებთან შედარებით, მოვალის მიერ ისეთი გარიგების დადებას ან სხვა ქმედების განხორციელებას, რომელსაც შედეგად მოჰყვა სამეურვეო ქონების გაუფასურება.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის მე-3 მუხლის მიხედვით სამეურვეო ქონება არის ქონება, რომელიც მოვალეს ეკუთვნის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის, ასევე ამ მომენტიდან შეძენილი ან/და წარმოებული (შექმნილი) ქონება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, იმ ნივთებისა და მოთხოვნების გამოკლებით, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება..

ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია ვითარება, რომელშიც ეს დანაშაულია ჩადენილი. ეს არის გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა, როცა პირს ზედავალიანებისა და გადახდისუუნარობის გამო აღარ შეუძლია დააკმაყოფილოს კრედიტორთა მოთხოვნები.

დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს. პირს შეგნებული აქვს, რომ გაკოტრების წინა პერიოდშია, ე.ი. კერძო სამართლის სუბიექტს, რომელიც ფლობს საკმარის ქონებას, დაუდგა გაკოტრების წარმოების მატერიალური წინაპირობა, რასაც გაკოტრების საფუძველი ჰქვია და მოიცავს გადახდისუუნარობასა და მოსალოდნელ გადახდისუუნარობას და, ამდენად, სურს ან შეგნებულად უშვებს ამგვარი ქმედებით ხელი შეუშალოს კრედიტორთა ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მოტივი ანგარებითია (გამორჩენის მიღება), ასევე შესაძლოა იყოს სხვა პირადი ინტერესები (მაგალითად, სხვა კრედიტორთა საზარალოდ ვალი დაუბრუნა ახლო ურთიერთობაში მყოფ პირებს, ოჯახის წევრებს, ნათესავებს და ა.შ.).

დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია, ეს შეიძლება იყოს კერძო სამართლის სუბიექტი ფიზიკური პირი ან იურიდიული საზოგადოება

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი. ასეთი შეიძლება იყოს როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო, როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის ფიზიკური პირი ან იურიდიული საზოგადოების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გადახდისუუნარობისას (მუხლი 206-ე)

სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის კანონიერად წარმოებისა და მასზე საჯარო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა სწორი საბუღალტრო აღრიცხვა. სწორედ ამიტომაც კანონმდებელმა ახალ სისხლის სამართლის კოდექსში შემოიტანა სპეციალური შემადგენლობა საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევისათვის გადახდისუუნარობისას.

გაკოტრების წინა პერიოდში მყოფი კერძო სამართლის სუბიექტების სამეურნეო საქმიანობის სწორ საბუღალტრო აღრიცხვას მისი ქონებრივი მდგომარეობის შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომაცაა კრიმინალიზებული 206-ე მუხლით აღწერილი ქმედება.

დანაშაულის უშუალო ობიექტია კრედიტორთა ინტერესები და ნაწილობრივ გაკოტრების სასამართლოს ინტერესებიც, რომელმაც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

დანაშაულის საგანია საბუღალტრო წიგნები და აღრიცხვის სხვა დოკუმენტები.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოვალის მიერ გადახდისუუნარობისას საბუღალტრო აღრიცხვის წესის, კერძოდ, საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევაში, რათა სამეურვეო ქონების მოცულობა კონკრეტული მომენტისათვის აისახოს არაზუსტად და მოვალის ქონება შემცირებული ზომით მოხვდეს სამეურვეო ქონების შემადგენლობაში ან ფაქტების, ხდომილებების, ურთიერთობების დამახინჯება და არაორგანიზებულად წარმოება საბუღალტრო დოკუმენტაციის მეშვეობით. თავისი კონსტრუქციით ეს დანაშაული მატერიალურია, ამიტომ კანონში მითითებულ ქმედებებს შედეგად უნდა მოჰყვეს რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასების გართულება, რასაც არსებითი და გადამწყვეტი

მნიშვნელობა აქვს გაკოტრების საქმისწარმოების გახსნისა და სამეურვეო ქონების დადგენისათვის.

დანაშაულის ამსრულებელი იგივეა რაც 205-ე მუხლით აღწერილ შემადგენლობაში.

ქმედების სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს. პირს შეგნებული აქვს, რომ იმყოფება მოსალოდნელი გადახდისუუნარობის ვითარებაში და დისპოზიციაში მითითებული უკანონო ქმედებების ჩადენით სურს რეალური ქონებრივი მდგომარეობის სურათის შეფასების გართულება.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადების შეუტანლობა გადახდისუუნარობისას (მუხლი 207-ე)

207-ე მუხლით კრიმინალიზებულია გადახდისუუნარობისას ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან ლიკვიდატორის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადების შეუტანლობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კერძო სამართლის სუბიექტის საქმიანობას ხშირად თან სდევს გადახდისუუნარობა და მოსალოდნელი გადახდისუუნარობა რაც იწვევს გაკოტრების წარმოების ფორმალური წინაპირობის მოვალეობას – განცხადების შეტანის ვალდებულებას.

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-14 მუხლის მიხედვით თუ საწარმო გადახდისუუნარო გახდება საზოგადოების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე მაგრამ საწარმოს გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არა უგვიანეს 3 კვირისა უნდა განაცხადონ ამის შესახებ. სისხლის სამართლის კანონისათვის საინტერესოა განცხადების შეტანაზე ვალდებული პირები, რომლებსაც, თავის მხრივ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონი განსაზღვრავს. აღნიშნული კანონის თანახმად, საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში – პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს, შეზღუდული პასუხისმგებლობის და სააქციო საზოგადოებაში, ასევე კოოპერატივში დირექტორებს. ამრიგად, მეწარმეთა კანონი

განცხადების შეტანის ვალდებულებას აკისრებს თვით მოვალეს, ანუ საზოგადოებას. საზოგადოების შიგნით აღნიშნული პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირს.

ახალ სისხლის სამართლის კოდექსის მიღებამდე საწარმოს ხელმძღვანელს გაკოტრების განცხადების დადგენილ ვადაში შეუტანლობის გამო ეკისრებოდა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რასაც პრაქტიკული გამოყენება დღემდე არ ჰქონია. ამჟამად, საწარმოს დირექტორის უმოქმედობა სისხლისსამართლებრივ დასჯად ქმედებად განიხილება. მაშასადამე, დანაშაულის ობიექტური მხარე უმოქმედობაში გამოიხატება, გადახდისუუნარობის დროს განცხადების შეუტანლობაში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

დანაშაულის ობიექტი, ცხადია, აქაც კრედიტორთა კანონიერი ინტერესებია.

რაც შეეხება ამსრულებელს, იგი სპეციალურია. ეს არის სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი ან ლიკვიდატორი.

სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს. მოტივებს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ მეურვისათვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების დარღვევა (მუხლი 207[1])

207[1] მუხლი დამატებით გარანტიებს ადგენს, ერთის მხრივ, კრედიტორთა ინტერესების და მეორეს მხრივ გადახდისუუნარობის საქმის განმხილველი სასამართლოს ინტერესების დასაცავად, სამოქალაქო პროცესის ეფექტურად და სამართლიანად წარმართვისათვის.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით, კერძოდ, მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადგენილი წესით მოვალის ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ, აგრეთვე სასამართლოში მიმდინარე დავების თაობაზე

ინფორმაციის წარუდგენლობით, ინფორმაციის განზრახ დაგვიანებით ან გაყალბებული სახით წარდგენით.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის მიხედვით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან გადახდისუუნარობის (გაკოტრების, რეაბილიტაციის) საქმის წარმოების პროცესში მოვალის ინტერესებს იცავს მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, სწორედ ამ უკანასკნელს ევალება საგაკოტრებო ან სარეაბილიტაციო პროცესის დაწყებამდე მეურვისათვის საჭირო ინფორმაციის წარდგენა, რომელიც შეეხება მოვალის ქონებას, ფინანსურ მდგომარეობას, კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებებს და სხვ. ამ ინფორმაციის დროულად და სრულყოფილად წარდგენაზე ბევრად არის დამოკიდებული გადახდისუუნარობის საქმის კანონიერად და სამართლიანად დასრულება. ამგვარი ინფორმაციის წარუდგენლობამ ანდა განზრახ დაგვიანებით ან გაყალბებული სახით წარდგენამ შეიძლება ხელი შეუშალოს კრედიტორთა თანაბარზომიერ დაკმაყოფილებას, მომავალში გაართულოს მოვალის რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასება, რეაბილიტაციის გეგმის განხორციელება და მისთ.

კანონი დასჯადად თვლის თავისთავად ზემოაღნიშნული ინფორმაციის მეურვისათვის წარუდგენლობას ანდა დაგვიანებით ან გაყალბებული სახით წარდგენას, მიუხედავად იმისა მოჰყვა თუ არა მას რაიმე საზიანო შედეგი კრედიტორებისათვის.[1]

დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია – გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – ეს შეიძლება იყოს დირექტორი ან დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს, რომელიც როგორც წესი, პირდაპირია, მოტივი შეიძლება იყოს ანგარება ან სხვა პირადი ხასიათის, თუმცა მას ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის კანონი მნიშვნელობას არ ანიჭებს.

---

1 გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის მიხედვით მეურვე გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში მონაწილეობს საგაკოტრებო ან სარეაბილიტაციო პროცედურის დაწყებამდე. ამის შემდეგ მას ჩაენაცვლება გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველი კანონით დადგენილი წესით.

თავი X

დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში

კრედიტის უკანონოდ მიღება (მუხლი 208-ე)

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების სისხლის სამართალში სხვადასხვა საშუალებებია გათვალისწინებული მოვალეთა უკანონო მოქმედებისაგან კრედიტორთა უფლებების დასაცავად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი ნორმა ახალია და მიზნად ისახავს ქვეყნის საფინანსო სისტემისა და ეკონომიკური ბრუნვის ცალკეულ მონაწილეთა კანონიერი ინტერესების დაცვას.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია ის ურთიერთობები, რომელიც აწესრიგებს ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების საკრედიტო საქმიანობას. კრედიტი — ფულადი საშუალებაა, რომელსაც ბანკი ან სხვა საკრედიტო ორგანიზაცია (კრედიტორი) აძლევს მსესხებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით. ბანკების მიერ კრედიტის გაცემას აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით.

სსკ 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე ორი ფორმით შეიძლება განხორციელდეს:

1) ბანკის ან სხვა კრედიტორისათვის ყალბი ცნობის მიწოდება სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ კრედიტის მიღების, ან მისი ოდენობის გაზრდის, ან შეღავათიანი კრედიტის მიღების მიზნით, და

2) მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ცნობა შეიცავს მონაცემებს, რომელიც მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებითა და დამკვიდრებული პრაქტიკით გამოიყენება დაკრედიტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და გავლენას ახდენს კრედიტორის ნებაზე. სახელდობრ, ეს არის მონაცემები ძირითადი საშუალებებისა და მთლიანად საკუთრების, ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების, ბალანსის, მოგებისა და ზარალის, კრედიტის დაფარვის გარანტიების შესახებ და

სხვა. ამ მონაცემების სიყალბე მდგომარეობს იმაში, რომ ბანკში ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში წარმოდგენილ ოფიციალურ დოკუმენტში შეგნებულად არ არის შეტანილი სწორი ინფორმაცია, ანდა ასახულია არასრული ფაქტობრივი ხასიათის ცნობები, რომელიც ამახინჯებს ინფორმაციის შინაარსს. მაშასადამე, ამ დანაშაულის ჩადენის ხერხია ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება, რომელიც ყალბ მონაცემებს შეიცავს.

დანაშაული დამთავრებულია კრედიტორისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდების მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული განზრახვას გულისხმობს, მისი სავალდებულო ნიშანია სპეციალური მიზანი — კრედიტის მიღება ან მისი ოდენობის გაზრდა, ანდა შეღავათიანი კრედიტის მიღება.

თუ დამნაშავეს კრედიტის მიღების მომენტში მისი მითვისება ჰქონდა მიზნად, მაშინ ეს თაღლითობაა, თუ ამგვარი მიზანი ვერ დადგინდა მაგრამ კრედიტორი შეცდომაში იქნა შეყვანილი, მაშინ ეს შემადგენლობაა სახეზე. ამ მუხლით დამატებითი გარანტიები დადგინდა კრედიტორთა ინტერესების დასაცავად.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ინდივიდუალური მეწარმე ან ამა თუ იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

რაც შეეხება განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის მეორე ფორმას — მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, აქ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია კრედიტის გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებით, რამეთუ ასეთი კრედიტის გაცემის დროს მისი გამოყენება საგანგებოდ დათქმული მიზნისათვის დაკრედიტების საფუძველს წარმოადგენს. ამასთანავე, პასუხისმგებლობისათვის, ობიექტური მხარის წინა ფორმისაგან განსხვავებით, აუცილებელია მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს, ე.ი. ეს შემადგენლობა მატერიალურია.

მნიშვნელოვანი ზიანის მოცულობისა და ხასიათის დადგენას კანონმდებელი სასამართლოს პრეროგატივად ტოვებს.

დანაშაულის ამსრულებელი და სუბიექტური მხარის შინაარსი იგივეა, რაც ამ დანაშაულის წინა ფორმის დროს.

208-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის უკანონოდ მიღება, ან მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ამ შემადგენლობაში შეცვლილია დანაშაულის საგანი — სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტი. ესაა კრედიტის განსაკუთრებული სახე. რომელსაც ფინანსთა სამინისტრო გასცემს ზუსტად განსაზღვრული საჭიროებისათვის საბიუჯეტო თანხების ხარჯზე, აგრეთვე უცხოური საინვესტიციო პროგრამების რეალიზაციის გზით. ამგვარი კრედიტი შესაძლებელია გაცემულ იქნეს ფულადი საშუალებების ან გვარეობითი ნიშნებით განსაზღვრული ნივთების სახით ანდა სხვა უფლებებისა და უპირატესობათა სახით, კანონით დადგენილი წესით.

კრედიტის მიზნობრივი დანიშნულება განისაზღვრება ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებსა და გადაწყვეტილებაში ამ კრედიტის გაცემის შესახებ.

საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსების საფუძვლები, წესი და ზოგადი პირობები განისაზღვრება შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით.

სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის მიღების უკანონობა კანონში ახსნილი არ არის. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ კრედიტის უკანონოდ მიღებას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, როცა კრედიტის მიმღები განზრახ დაარღვევს შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ წესებს, რომელიც განსაზღვრავს მოცემული კრედიტის მიღების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. აქ ნაგულისხმევია ამ მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებული კრედიტის უკანონოდ მიღების გარემოებებიც.

სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება წარმოადგენს მოქმედებას მიღებული საშუალებების განსაკარგავად იმ პირობების საწინააღმდეგოდ, რომელიც ჩამოყალიბებულია გადაწყვეტილებაში სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის მიცემის შესახებ, ანდა ამ საშუალებების შუალედურად გამოყენებას მოგების მისაღებად.

მნიშვნელოვანი ზარალი, როგორც სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის უკანონოდ მიღების შედეგი, ადგება კრედიტის გამცემ სუბიექტს. ზარალის მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო, გაცემული კრედიტის ოდენობის მიხედვით.

ამსრულებელი სპეციალურია — კრედიტის მიმღები ან განმკარგულებელი.

ქმედების ხუბიექტური მხარე აქაც განზრახვაში გამოიხატება. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის სხვა ნიშნები კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

ჟალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (მუხლი 210-ე)

ეს ნორმა ახალია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და მიზნად ისახავს საანგარიშსწორებო ურთიერთობის მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი ინტერესების, აგრეთვე, უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელების ზოგადი წესების დაცვას.

ჟალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათების ან სხვა საგადასახადო დოკუმენტების გამოყენება მატერიალურ ზიანს აყენებს ნამდვილი საანგარიშსწორებო დოკუმენტების მფლობელთ და ძირს უთხრის საკრედიტო სისტემაზე დამყარებულ საქონელბრუნვას.

დანაშაულის უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც აწესრიგებს საგადასახადო დოკუმენტების ბრუნვაში გაშვებასა და გამოყენებას.

დანაშაულის საგანია – საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათი, სხვა საგადასახადო დოკუმენტი, აგრეთვე ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტი, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი. პლასტიკური ბარათი არის საგადამხდელო ინსტრუმენტი,რომელიც წარმოადგენს საანგარიშსწორებო საშუალებას, საქონლის ან მიღებული მომსახურების საფასურის გადასახდელად, ნაღდი ფულის მისაღებად, ვალუტის გასაცვლელად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ოპერაციების განსახორციელებლად.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 15 მარტის №70 ბრძანებით დამტკიცებულია დებულება საბანკო პლასტიკური ბარათების შესახებ. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს საბანკო სისტემაში პლასტიკურ ბარათებზე ოპერაციებისა და მომსახურების წარმოების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერბარათებით განხორციელებული ოპერაციების წესს.

საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათები წარმოადგენენ სახელობით საგადასახადო დოკუმენტებს, რომლებსაც ამზადებენ ბანკები და მოცემულ ბანკში ანგარიშის მქონე მოქალაქეებზე გასცემენ. ამგვარი ბარათის წარდგენა მის მფლობელს უფლებას ანიჭებს შეიძინოს საქონელი კრედიტით, ისარგებლოს მომსახურებით, მისი შემდგომი გადახდის პირობით საკრედიტო ბარათის გამცემი ბანკის მეშვეობით. სხვა საგადასახადო

დოკუმენტი შეიძლება იყოს საგადასახადო დავალება, ჩეკი, ვადიანი ვალდებულება და სხვ.

ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც ფასიანი ქაღალდი არ არის, მიეკუთვნება: საკუთრების უფლების მოწმობა, ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი, სატრანსპორტო ზედდებული, ინვოისი და სხვა.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ზემოთ ჩამოთვლილი საგადასახადო დოკუმენტების დამზადებაში ან შეძენაში, გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღებასა ან გამოყენებაში.

ყალბი დოკუმენტების დამზადებაში იგულისხმება როგორც მათი ნაწილობრივი გაყალბება, ისე მთლიანად ყალბი დოკუმენტის დამზადება, მაგალითად, ყალბი იქნება ყველა საგადასახადო დოკუმენტი, დამოწმებული ყალბი ბეჭდითა და ხელმოწერით; ხოლო ხსენებული დოკუმენტების გასაღება მდგომარეობს როგორც მათ უშუალოდ გამოყენებაში ნებისმიერ საანგარიშსწორებო ოპერაციაში, ასევე მათ გადაცემაში ნებისმიერი პირისათვის სასყიდლით თუ უსასყიდლოდ. დანაშაული დამთავრებულია მითითებული მოქმედებების ჩადენის მომენტიდან, ე.ი. აქვს ფორმალური შემადგენლობა.[1]

დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვითა და სპეციალური მიზნით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ამზადებს ყალბ საგადასახადო დოკუმენტებს ან ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელ ისეთ დოკუმენტს, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი და სურს მათი დამზადება გასაღების მიზნით, ანდა შეგნებული აქვს, რომ ასაღებს ან იყენებს ყალბ საგადასახადო დოკუმენტებს და სურს ეს ქმედება.

დანაშაულის ამსრულებელია ყველა 14 წელს მიღწეული ფიზიკური პირი.

210-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს წარმოადგენს აღნიშნულ მოქმედებათა ჩადენა ჯგუფურად ან არაერთგზის.

1 დაწვრილებით ობიექტური მხარის ნიშნებზე იხ. 212-ე მუხლის განმარტება.

ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება (მუხლი 211-ე)

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია საკრედიტო ურთიერთობები. დანაშაულის საგანია ჩეკი ან საკრედიტო ბარათი[1].

ჩეკის შესახებ საქართველოს 1997 წლის 30 სექტემბრის კანონით, ჩეკი — დადგენილი ფორმის ფასიანი ქაღალდია, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებისადმი გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა.

კანონი აწესრიგებს ჩეკის გაცემის, მოქმედების, ინდოსირების, თავდებობის, გადახდისა და, აქედან გამომდინარე, შედეგების, აგრეთვე მასთან დაკავშირებული პრეტენზიების წარდგენის წესს. მაშასადამე, განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის შინაარსის ასახსნელად უნდა მივმართოთ ხსენებულ კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებს, რომელიც ჩეკის ან საკრედიტო ბარათის გამოყენების წესებს ადგენს (ე.ი. ბლანკეტურ ნორმასთან გვაქვს საქმე).

ჩეკის ან საკრედიტო ბარათის გაყალბება დამოუკიდებელ ფორმალურ შემადგენლობად არის გათვალისწინებული 210-ე მუხლით, ხოლო ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება, რამაც გამნაღდებელი მნიშვნელოვნად დააზიანა, 211-ე მუხლით არის გათვალისწინებული.

ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება შეიძლება გამოიხატოს სხვისი ჩეკით თუ საკრედიტო ბარათით სარგებლობაში და მისთ.

ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია ჩეკის ან საკრედიტო ბარათის გამნაღდებლისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება.

ჩეკი და საკრედიტო ბარათი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებია, რომელსაც ბანკი გასცემს მასთან ანგარიშის მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. ბანკი, როგორც გამნაღდებელი, ვალდებულია შეამოწმოს ჩეკის ან საკრედიტო ბარათის სინამდვილე შესაბამისი რეკვიზიტების მეშვეობით, თუ მან ეს არ გააკეთა და გასცა თანხა, მაშინ იგი დაზარალდება, ვინაიდან ნამდვილი მესაკუთრის წინაშე იგი კვლავ ვალდებული რჩება. რა ჩაითვლება გამნაღდებლისათვის მნიშვნელოვან ზიანად, ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს გაცემული თანხის ოდენობისა და საქმის სხვა გარემოებათა მიხედვით.

---

1 საკრედიტო ბარათის შესახებ იხ. 210-ე მუხლის განმარტება.

ამსრულებელი – ზოგადია, ნებისმიერი 14 წელს მიღწეული ფიზიკური პირი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს, მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება (მუხლი 212-ე)

ეს დანაშაული საერთაშორისო სისხლისსამართალდარღვევათა რიგს მიეკუთვნება. იგი მომეტებულ საშიშროებას იძენს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ძირს უთხრის ფულის სიმყარეს და ართულებს ფულის მიმოქცევის რეგულირებას. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადების ან გასაღების წინააღმდეგ საბრძოლველად უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებას წარმოადგენს 1929 წლის 20 აპრილის კონვენცია ფულადი ნიშნების გაყალბებასთან ბრძოლის შესახებ. კონვენციის თანახმად, მისმა მონაწილე სახელმწიფოებმა პასუხისმგებლობა დაადგინეს ამ ქვეყნების მიმოქცევაში არსებული ფულის გაყალბებისათვის.

დანაშაულის უშუალო ობიექტი საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემაა. დანაშაულის საგანია სახელმწიფო ბანკის ბილეთი, ლითონის მონეტა, ფასიანი ქაღალდი ან ვალუტა. საქართველოში ფულის ერთეულს წარმოადგენს ლარი, რომლის ემისიასაც აწარმოებს საქართველოს ეროვნული ბანკი. ფასიანი ქაღალდი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საკუთრების უფლებას ან სასესხო დამოკიდებულებას დოკუმენტის გამომშვებ პირსა და მის მფლობელს შორის, ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება აქციები, ობლიგაციები, თამასუქები და სხვა.

უცხოური ვალუტა შედგება ქაღალდის ფულადი ნიშნებისა და ლითონის მონეტისაგან.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოქმედების ჩადენაში შემდეგი ფორმებით: ყალბი ფულის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დამზადება, შეძენა, შენახვა გასაღების მიზნით ან გასაღება.

დამზადება გულისხმობს ფულის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის როგორც ნაწილობრივ, ისე მთლიან გაყალბებას. იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც ხელით, ისე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ამასთანავე, დამზადებული ფული, ფასიანი ქაღალდი ან ვალუტა გაყალ-

ბებულად ჩაითვლება თუ ისინი ფორმით, ზომით, ფერითა და სხვა რეკვიზიტებით არსებითად ჰგავს ორიგინალს, ე.ი. მიმოქცევაში მყოფ ფულს, ფასიან ქაღალდს ან ვალუტას. უხეში გაყალბება (აშკარა განსხვავება ორიგინალისაგან), რაც გამორიცხავს მის მიმოქცევაში მონაწილეობას, შესაბამისი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც თაღლითობა. ყალბი ფულის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დამზადება დამთავრებულ დანაშაულად ითვლება გასაღების მიზნის განხორციელების მიუხედავად, თუ დამზადებულია თუნდაც ერთი ფულის ნიშანი, ფასიანი ქაღალდი ან ვალუტა.

შეძენა გულისხმობს ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის მოპოვებას სხვადასხვა გზით — ყიდვით, გაცვლით, პოვნით და სხვ. შენახვა გულისხმობს ყალბი ფულისათვის ან ფასიანი ქაღალდისათვის ამა თუ იმ ფორმით ადგილსამყოფელის მიჩენას — ბინაში, სარდაფში, სპეციალურ საცავში და სხვა.

შეძენა ან შენახვა დანაშაულად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, თუ მას გასაღების მიზანი აქვს.

ყალბი ფულის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის გასაღება გულისხმობს მათ მიმოქცევაში გაშვებას, ე.ი. მათ გამოყენებას როგორც ნებისმიერ საანგარიშსწორებო ოპერაციაში, ისე ქონებრივი უფლებების უშუალოდ განხორციელებაში, აგრეთვე მათ გადაცემაში ნებისმიერი პირისათვის სასყიდლით ან უსასყიდლოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს ისეთ მოქმედებებში, როგორიცაა: რაიმეს ყიდვა, ვალუტის გაცვლა, ფულის დახურდავება, სესხის გაცემა, ჩუქება და მისთ.

ყალბი ფულის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის გასაღება დამთავრებული დანაშაულია მათი ერთჯერადი გამოყენების ან გადაცემის მომენტიდან, ე.ი. შემადგენლობა აქაც ფორმალურია.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ამზადებს, იძენს ან ინახავს ყალბ ფულს, ფასიან ქაღალდს ან ვალუტას და სურს მისი გასაღება ან ასაღებს. გასაღების მიზანი დანაშაულის სავალდებულო ნიშანია.

დანაშაულის ამსრულებელი ზოგადია, შერაცხადი, 14 წელს მიღწეული პირი.

მე-2 ნაწილი შეიცავს დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, ყალბი ფულის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დამზადებას დიდი ოდენობით,

ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

დიდ ოდენობად ითვლება ყალბი ლითონის მონეტა, ფასიანი ქაღალდი ან ვალუტა, რომლის რაოდენობრივი მაჩვენებელი აღემატება ათი ათას ლარს.

დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. რამდენადაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ამ დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელ გარემოებად გაითვალისწინა კანონმდებელმა, ამდენად 212–ე მუხლის პირველ ნაწილში შეიძლება მოვიაზროთ შეუთანხმებელი ჯგუფი ან ერთპიროვნული ამსრულებელი.

რაც შეეხება ნასამართლობას, აქ სპეციალურ რეციდივთან გვაქვს საქმე. წლების მანძილზე ეს დამამძიმებელი გარემოება ჩამოყალიბებული იყო ამ დანაშაულის ხელობის სახით ჩადენის ფორმით, რაც შემოსავლის ძირითადი წყარო იყო დამნაშავისათვის, ცხადია, ეს საფრთხე დღესაც არ გამქრალა, მაგრამ, რამდენადაც ახალმა კოდექსმა უარი თქვა სიმრავლის ისეთ ფორმაზე, როგორიც ხელობაა, ამდენად, ახლა სპეციალური რეციდივი დაამძიმებს პასუხისმგებლობას.

მე-3 ნაწილით პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს ორგანიზებული ჯგუფი. ორგანიზებული ჯგუფის განმარტება მოცემულია 27-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტში.

მე-4 ნაწილში მოცემულია ახალი დამოუკიდებელი შემადგენლობა და „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კრიმინალიზებულია ყალბი ფულის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დასამზადებელი ნებისმიერი სახის საბეჭდი ფორმის, მატრიცის, ქაღალდის, საღებავის და სხვა საგნის ან ნივთიერების გასაღების მიზნით უკანონო დამზადება, შენახვა, შეძენა ან გადაზიდვა ანდა გასაღება.

აქ დანაშაულის საგანია ყალბი ფულის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დასამზადებელი საბეჭდი ფორმა, მატრიცა, ქაღალდი, საღებავი, აგრეთვე სხვა საგანი ან ნივთიერება მათ დასამზადებლად.

დანაშაულის საგანთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კანონმდებელმა ისეთი საგნების დამზადების (მატრიცა, საბეჭდი ფორმა და სხვ.) კრიმინალიზაცია მოახდინა, რომელიც პოლიგრაფიაში გავლილ საფეხურს წარმოადგენს და არაფერი თქვა ბეჭდვის ისეთ თანამედროვე საშუალებებზე, როგორიცაა: ფერადი ბეჭდვის ქსეროქსები, კომპიუტერები

ლაზერული პრინტერებით. თუ სადავოდ არ გავხდით ასეთი შემადგენლობის საჭიროებას, მაშინ ზოგადი მინიშნება მაინც საჭიროა ბეჭდვის თანამედროვე საშუალებებზეც.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება კანონში აღნიშნული საგნების უკანონო დამზადებაში, შენახვაში, შეძენაში, გადაზიდვაში, გასაღებაში. დანაშაული ფორმალურია და დამთავრებულია მითითებულ მოქმედებათა ჩადენისთანავე.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. გასაღების მიზანი აქაც დანაშაულის სავალდებულო ნიშანია.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესების დარღვევა (მუხლი 213-ე)

ამ ქმედების კრიმინალიზაცია განაპირობა საქართველოში ახალი სამართალურთიერთობის — ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებამ. მართალია, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია და არც საზოგადოების დიდი ნაწილია გათვითცნობიერებული მის პრინციპებსა და წესებში, მაგრამ სათანადო საკანონმდებლო ბაზა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებისა და ორგანიზაციისათვის დღეს უკვე არსებობს. სწორედ ასეთი ნორმატიული აქტის არქონამ განაპირობა რამდენიმე წლის წინათ ფულის ბაზარზე არაჯანსაღი კონკურენციული მეთოდებით ღონისძიებათა ჩატარება ე.წ. სატრასტო, არაკეთილსინდისიერი იურიდიული პირების მიერ, რომელთა სავაჭრო საქმიანობაში ჩამბული აღმოჩნდნენ მოსახლეობის ფართო ფენები და რომელთა ფინანსურმა კრახმაც დიდი ზიანი მიაყენა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და სამეწარმეო საქმიანობის ავტორიტეტს. აუნაზღაურებელი სასესხო ვალდებულებებისაგან გულგატეხილ და აღშფოთებულ საქართველოს მოსახლეობას ინვესტირების ფენომენისადმი რწმენა დაეკარგა. ახალ ეკონომიკურ მოვლენათა შორის, რომელიც სახელმწიფოებრივ მიდგომას საჭიროებს და გააზრებულ უნდა იქნეს ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის პოზიციებიდან, უმთავრესია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება და ფუნქციონირება.

დღეს საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდების გამოშვება, მათი სახელმწიფო რეგისტრაცია და მიმოქცევა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით. 1998 წლის 24 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, რომლის მიზანია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საჯაროობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესების დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობს შემოღება ერთ-ერთი გარანტიაა ინვესტორთა უფლებების დასაცავად და ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ამგვარად, განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბაზარს არეგულირებენ. დანაშაულის საგანია ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტი. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის თანახმად, ემისიის პროსპექტი — ეს არის წერილობითი შეტყობინება ან შეტყობინება ელექტრონული თუ ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებებით, რომლის მიზანია ფასიანი ქაღალდების გასაყიდად შეთავაზება. მოთხოვნები ემისიის პროსპექტისადმი, მისი დამტკიცების წესი, ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების პროცედურა და სხვა საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, დაწვრილებით არის რეგლამენტირებული კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ (ე.ი. ბლანკეტური დისპოზიციის მქონე ნორმასთან გვაქვს საქმე).

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება: 1) სათანადო ნებართვის მიუღებლად ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებაში ემისიის პროსპექტის გარეშე ან 2) შეჩერებული ემისიის პროსპექტით. მითითებულმა მოქმედებებმა მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს, რომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს. მაშასადამე, თავისი კონსტრუქციით ეს დანაშაული მატერიალურია და საჭიროა მიზეზობრივი კავშირის დადგენა აღნიშნულ მოქმედებებსა და დამდგარ შედეგს შორის.

ფასიანი ქაღალდების ემისიაზე ნებართვას გასცემს და ფასიანი

ქაღალდების ემისიის პროსპექტს ამტკიცებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

ფასიანი ქაღალდის საჯარო შეთავაზება გულისხმობს გამოშვებული ან გამოსაშვები ფასიანი ქაღალდის ან მასზე საკუთრების უფლების გაყიდვის, ან ანაზღაურებით გასხვისების ნებისმიერ ცდას. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება არის წინადადება ემიტენტის სახელით ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ან არაპირდაპირი გაყიდვის შესახებ არანაკლებ 100 პირისათვის ან პირთა დაუზუსტებელი რაოდენობისათვის.

თუ ემიტენტი ან მისი სახელით საბროკერო კომპანია არღვევს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის შესაბამის მოთხოვნებს, ან ემისიის პროსპექტში მათ მიერ წარდგენილი ინფორმაცია არსებითად არასწორი ან არასრულია, ფინანსური მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია შეაჩეროს დამტკიცებული პროსპექტის მოქმედება ან განსაზღვროს ვადა ამგვარი დარღვევების გამოსასწორებლად. თუ დარღვევები განსაზღვრულ ვადაში არ გამოსწორდება, მაშინ მას შეუძლია დამტკიცებული პროსპექტის მოქმედების გაუქმება. თუ ფინანსური მონიტორინგის სამსახური შეაჩერებს ან გააუქმებს ემისიის დამტკიცებული პროსპექტის მოქმედებას, ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება აკრძალულია.

ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება ემისიის პროსპექტის გარეშე ან შეჩერებული ემისიის პროსპექტით მხოლოდ მაშინ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ინვესტორებს. მნიშვნელოვანია თუ არა ზიანი, ამას სასამართლო განსაზღვრავს საქმის კონკრეტულ გარემოებებზე დამოკიდებულებით. მნიშვნელოვან ზიანად ჩაითვლება, მაგალითად, ინვესტორთა ეკონომიკური მდგომარეობის არსებითად გაუარესება.

დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახი ბრალით ხასიათდება. მოტივებსა და მიზნებს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ამსრულებელი სპეციალურია — ეს არის ემიტენტი, ე.ი. პირი, რომელიც უშვებს ფასიან ქაღალდებს ან ბროკერი, რომელიც ახორციელებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ გარიგებებს ანდა ეწევა მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის მე-2 ნაწილი ითვალ-

ისწინებს პასუხისმგებლობას ემისიის პროსპექტში არსებითი ფაქტის ან მოვლენის განზრახ გამოტოვებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ არსებით ფაქტს ან მოვლენას ასე განმარტავს: ფაქტი ან მოვლენა, რომელსაც კეთილგონიერების ფარგლებში, მნიშვნელოვნად მიიჩნევს ინვესტორი ან პოტენციური ინვესტორი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოთხოვნები ემისიის პროსპექტისადმი დაწვრილებით არის რეგლამენტირებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით. ამავე კანონით ემიტენტი პასუხისმგებელია საჯარო შეთავაზებით გაყიდული ფასიანი ქაღალდების შემძენ პირთა წინაშე იმ ზარალისათვის, რომელიც წარმოიქმნა შეძენის შედეგად და გამოწვეულია დამტკიცებული ან საბოლოო პროსპექტში არსებითი მოვლენის არაზუსტად გადმოცემით ან განუცხადებლობით.

ემიტენტი, აგრეთვე მისი ფასიანი ქაღალდების გამოშვების გარანტი (თუ ასეთი არსებობს) და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი, რომელიც აწარმოებს ფასიანი ქაღალდების საჯარო გაყიდვას (ემიტენტის დავალებით) ვალდებული არიან ყოველი მყიდველი უზრუნველყონ ემისიის პროსპექტის გაცნობის შესაძლებლობით, რომელიც შეიცავს გასაყიდად შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების აღწერას, მათი განთავსების პროექტს და ინვესტორებისათვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას. ეს არის დოკუმენტი, რომელშიც მოცემული ინფორმაციაც გამოიყენება ანდერაიტერთა (აგენტთა) დასაინტერესებლად და ფასიანი ქაღალდების პოტენციური მყიდველების გამოსარკვევად. საბოლოო პროსპექტი ინვესტორებს მიეწოდება საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დაწყებამდე ან დაწყებისთანავე.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ემისიის პროსპექტში მხოლოდ არსებითი ფაქტის ან მოვლენის განზრახ გამოტოვება. ინფორმაციის გაყალბება ემისიის პროსპექტში მიზნად ისახავს ინვესტორთა მოზიდვას. ემისიის პროსპექტი შეიცავს ემიტენტის ფინანსური მდგომარეობის დახასიათებას, მის დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს, რომელთა გაყალბება შესაძლებელია მოჩვენებითი ფინანსური სიძლიერის საჩვენებლად, შეიძლება გამოტოვებულ იქნეს

და გაყალბდეს მონაცემები საკონტროლო პაკეტის შესახებ ინვესტორთა შეცდომაში შესაყვანად და ა.შ. რეკლამის მიზნით ემიტენტმა ნებისმიერი მონაცემი შეიძლება გააყალბოს ემისიის პროსპექტში არსებითი ფაქტის (მონაცემის) გამოტოვებით. ემიტენტის რეკლამა ის არის, რაც მის ემისიის პროსპექტშია წარმოდგენილი. ამიტომ არავინ არ უნდა მოატყუოს არაკეთილსინდისიერი რეკლამით ინვესტორი. კანონი სავალდებულოდ თვლის საბოლოო ემისიის პროსპექტის მიწოდებას ინვესტორებისათვის საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დაწყებამდე ან დაწყებისთანავე, რათა ინვესტორმა გაარკვოს, რაში დებს ფულს, დივიდენდის აღების რა პერსპექტივა აქვს.

ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია მნიშვნელოვანი ზიანის დადგომა. ამით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ემიჯნება ადმინისტრაციულს, სადაც ისჯება საბოლოო პროსპექტში არსებითი მოვლენის არასწორად გადმოცემა შედეგის გარეშე.

ამსრულებელი აქაც სპეციალურია. ამ დანაშაულის შესაძლო სუბიექტი შეიძლება იყოს ემიტენტი, უფროსი აღმასრულებელი პირი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ყველა წევრი, რომლებმაც პროსპექტს მოაწერეს ხელი; აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტებით განსაზღვრული პირები.

თავი XI

დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში

საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა (მუხლი 214-ე)

საქართველოს ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსახილველ დანაშაულს კონტრაბანდის სახელწოდებით, ტრადიციულად. სახელმწიფო დანაშაულებს მიაკუთვნებდა და მას განიხილავდა, როგორც საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ხელყოფას. მაგრამ მას შემდეგ, რაც საგარეო ვაჭრობაზე გაუქმდა სახელმწიფო მონოპოლია და საგარეო- ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია მოხდა, ამ დანაშაულის სოციალური არსიც შეიცვალა. საქართველოს სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა ეს დანაშაული — ეკონომიკურ დანაშაულებს მიაკუთვნა და საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა შორის პირველი ადგილი დაუთმო. მართლაც, ამ დანაშაულის სოციალური მავნეობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ზიანს აყენებს სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებს, ვინაიდან ბიუჯეტში არ შედის საბაჟო გადასახადები და მოსაკრებლები. ამ დანაშაულით შესაძლებელია ზიანი მიადგეს ასევე საზოგადოებრივ უშიშროებას, როცა მის საგანს წარმოადგენს იარაღი, საბრძოლო მასალა, რადიაქტიური ნივთიერება და თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული სხვა საგნები.

დანაშაულის უშუალო ობიექტია სახელმწიფოს ეკონომიკური, უფრო კონკრეტულად, ფინანსური ინტერესები. მას შესაძლოა ჰქონდეს დამატებითი უშუალო ობიექტი: ეს არის საზოგადოებრივი უშიშროება — იარაღის კონტრაბანდისას, აგრეთვე მოსახლეობის ჯანმრთელობა — მომწამლავი, შხამიანი, რადიაქტიური და სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერებების კონტრაბანდისას. მაშასადამე, ზემოხსენებული წესების დარღვევა წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის დანაშაულს, არამედ, აგრეთვე ხელყოფს ქვეყნის უშიშროებას, არღვევს მის ეკოლოგიურ, კულტურულ და სხვა ინტერესებს.

განსახილველი დანაშაულის საგნები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

1. თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი საგნები, რომელთა გადატანა ან გადმოტანა ეკონომიკურ საზღვარზე დასჯადია, თუ ეს დიდი ოდენობით მოძრავ ნივთს ეხება და კანონში მითითებული არალეგალური ხერხებით ხდება.

2. საგნები, რომლებიც ამოღებულია თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან და მათი გადაადგილება ეკონომიკურ საზღვარზე აკრძალულია 214-ე მუხლში მითითებული სხვა გარემოებების მიუხედავად. ასეთ საგნებზე დადგენილია ეკონომიკურ საზღვარზე გადატანა-გადმოტანის სპეციალური წესები (ეს ეხება იარაღს, რადიაქტიურ, შხამიან და მე-4 ნაწილში მითითებულ სხვა საგნებს).

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანასა ან გადმოტანაში: ა) სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად; ბ) დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით; გ) სასაქონლო დეკლარაციაში ყალბი მონაცემის შეტანით.

მაშასადამე, დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს მოქმედებას — კონტრაბანდის საგნის გადატანა, ან გადმოტანა, დანაშაულის ჩადენის ადგილს — საქართველოს ეკონომიკური საზღვარი, ხერხს, რომლის მეშვეობითაც ხდება ნივთების გადატანა ან გადმოტანა ეკონომიკურ საზღვარზე; გადაადგილებული ნივთების ოდენობას (დიდი ოდენობა).

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულია, თუ რა არის ეკონომიკური საზღვარი, დოკუმენტები და იდენტიფიკაციის საშუალებები, გადასატანი ნივთების დეკლარირების წესები და სხვ.

საქართველოს ეკონომიკური საზღვარი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.

სახელმწიფო კონტროლი არის შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ცალკეული მოქმედებები,რომელთა მიზანია საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.

ნივთების გადატანა ან გადმოტანა სახელმწიფო კონტროლისაგან გვერდის ავლით შეიძლება მოხდეს საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული ადგილების მიღმა ან არა იმ დროს, როცა

დოკუმენტების გაფორმება წარმოებს, ხოლო ნივთების გადაადგილება სახელმწიფო კონტროლისაგან მალულად გულისხმობს სამალავებისა და სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას, რაც აძნელებს მათ აღმოჩენას და სხვ.

დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენებაში ჩაითვლება სახელმწიფო კონტროლისათვის ყალბი დოკუმენტის წარდგენა, დოკუმენტის წარდგენა გაყალბებული მონაცემებით, აგრეთვე უკანონოდ მიღებული, შევსებული ან დამოწმებული დოკუმენტის წარდგენა; იდენტიფიკაციის საშუალებების მოტყუებითი გამოყენება იქნება ბეჭდის, შტამპის ან მარკირების სხვა საშუალებების გაყალბება, მსგავსი ფალსიფიცირებული საიდენტიფიკაციო ნიშნების დასმა ეკონომიკურ საზღვარზე გადასატან ნივთებზე. დეკლარაციაში ყალბი მონაცემის შეტანა ნიშნავს ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტში – სასაქონლო დეკლარაციაში გადასატანი ნივთების შესახებ არასწორი მონაცემების შეტანას. ეკონომიკურ საზღვარზე გადაადგილებული ნივთის ოდენობას (დიდი ოდენობა) განსაზღვრავს 214-ე მუხლის შენიშვნა. სახელდობრ, დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის სატარიფო ღირებულების თანხა აჭარბებს 15.000 ლარს.

ამსრულებელი – 14 წლის ასაკს მიღწეული ფიზიკური პირია.

ქმედების სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ წესების დარღვევით გადააადგილებს დიდი ოდენობით ნივთებს ეკონომიკურ საზღვარზე და სურს ეს.

214-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ეკონომიკურ საზღვარზე წესის დარღვევით განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნივთის გადატანისა ან გადმოტანისათვის („იგივე ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით“). განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის სატარიფო ღირებულების თანხა აჭარბებს 25.000 ლარს.

214-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხული სხვა კულტურული მემკვიდრეობის, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანისა ან გადმოტანისათვის.

ქმედების მე-3 ნაწილით კვალიფიკაციისათვის საჭიროა მივმართოთ

შესაბამის სპეციალურ ნორმატიულ აქტებს, რადგანაც ბლანკეტურ დისპოზიციასთან გვაქვს საქმე. ამ სფეროში მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტებია კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, „კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“, კანონი „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“ და სხვ.

214-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე შხამიანი, მომწამლავი, რადიაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერების, შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის, იმ მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის წესის დარღვევით გადატანისა ან გადმოტანისათვის.

214-ე მუხლის მე-4 ნაწილი უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას ადგენს ეკონომიკურ საზღვარზე ისეთი საგნების გადაადგილებისათვის, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის და სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესებისათვის და რომელთა ბრუნვის მიმართ სპეციალური წესებია დადგენილი. აღნიშნული საგნების ჩამონათვალი და მათი გადაადგილების წესები სპეციალური ნორმატიული აქტებით არის განსაზღვრული.

214-ე მუხლის მე-5 ნაწილი ითვალისწინებს 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს, სახელდობრ, იგივე ქმედების ჩადენას: ა) არაერთგზის; ბ) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; გ) სახელმწიფო კონტროლის განმხორციელებლის მიმართ ძალადობით; დ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

არაერთგზისი დანაშაულის ცნება განსაზღვრულია სსკ მე-15 მუხლში.

რაც შეეხება წესების დარღვევას მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ამ ნიშნით პირის პასუხისგებაში მისაცემად ორი პირობა უნდა იყოს სახეზე: იგი მოხელე უნდა იყოს და თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა უნდა გამოიყენოს ეკონომიკურ საზღვარზე ნივთის გადაადგილებისას. ამ მუხლის მიზნებისათვის მოხელეს უნდა მივაკუთვნოთ ის პირები, რომელთა სამსახურებრივი მდგომარეობა მათ უფლებას აძლევს გადაიტანონ ტვირთი შემოწმების გარეშე ან თვითონ

ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს. პრაქტიკულად ესენი შეიძლება იყვნენ შემოსავლების სამსახურის მუშაკები (მაგალითად, ინსპექტორები, კონტროლიორები), სასაზღვრო ჯარების თანამდებობის პირები, დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამდებობის პირები და სხვა.

ძალადობა სახელმწიფო კონტროლის განმხორციელებლის მიმართ გულისხმობს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ ძალადობას, მაგალითად, ცემა, იარაღის მუქარა და მისთ.

დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. რამდენადაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ამ დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელ გარემოებად გაითვალისწინა კანონმდებელმა, ამდენად 214–ე მუხლის პირველ ნაწილში შეიძლება მოვიაზროთ შეუთანხმებელი ჯგუფი ან ერთპიროვნული ამსრულებელი.

214-ე მუხლის მე-6 ნაწილით პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ამ მუხლის 1, მე-2, მე-3, მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ორგანიზებული ჯგუფის ცნება მოცემულია სსკ 27-ე მუხლში.

საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საქართველოში დაუბრუნებლობა (მუხლი 215-ე)

ეს ახალი მუხლია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და მიზნად ისახავს კულტურულ ფასეულობათა შემოტანისა და გატანის წესის დაცვას და მათი დაკარგვის თავიდან აცილებას, საკუთრების ფორმის მიუხედავად.

დანაშაულის უშუალო ობიექტია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ გატანასა და შემოტანასთან დაკავშირებით აღმოცენებული ურთიერთობები.

დანაშაულის საგანია – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლი ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი.

მთელ რიგ ქვეყნებში კულტურულ ფასეულობათა შემოტანისა და

გატანის წესები სპეციალური კანონებით არის რეგლამენტირებული; იქვე განსაზღვრულია იმ საგნების კატეგორია, რომელიც კულტურულ ფასეულობას შეადგენს (სურათი, სკულპტურა, ‘უძველესი წიგნები და ა.შ.).

საქართველოში დღესდღეობით მოქმედებს 2007 წლის 8 მაისის კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას, კერძოდ, ძეგლის სტატუსის მინიჭების, ძეგლთა სახელმწიფო აღრიცხვის, ძეგლთა სახელმწიფო რეესტრის წარმოების, ანტიკვარული საგნებით ვაჭრობისა და სხვა საკითხების რეგულირებას. მოძრავი ძეგლისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის პროცესს აკონტროლებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

2001 წლის 22 ივნისს, მიღებულ იქნა კანონი „კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“.

დანაშაულის ობიექტური მხარე უმოქმედობაში გამოიხატება, კერძოდ, საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საქართველოსათვის დადგენილ ვადაში დაუბრუნებლობაში. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მაშინ, თუ მითითებული საგნების საქართველოში დაბრუნება საჭიროდებულია მოქმედი კანონმდებლობით და ეს რეალურად შესაძლებელია. დამთავრებულია ეს დანაშაული მაშინ, როცა მითითებული საგნების დაბრუნების დადგენილი ვადა გავა. დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს.

კულტურულ ფასეულობათა დაბრუნების ვადა დგინდება ამა თუ იმ პირისათვის მათი დროებითი გატანის უფლების მინიჭებისას უკან დაბრუნების ვალდებულებით. კულტურულ ფასეულობათა დროებით გატანა ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და კულტურული ფასეულობების გატანის უფლების მოწმობის საფუძველზე.

კულტურულ ფასეულობათა დროებითი გატანის ნებართვაში დგინდება მოცემული საგნის დაბრუნების ვალდებულება. ეს ვალდებულება შეიცავს დაბრუნების ვადას, მითითებას პირზე, ვინც მოვალეა დააბრუნოს შესაბამისი ნივთი, დაბრუნების პირობებს, დაბრუნების გარანტიებსა და სამართლებრივ საფუძვლებს.

კულტურულ ფასეულობათა დროებითი გატანა შეიძლება მოხდეს

ხელშეკრულების საფუძველზე, გატანის მიზნისა და მათი უკან დაბრუნების ვადის მითითებით. მათი გატანა შეიძლება განპირობებული იყოს, მაგალითად, გამოფენის ჩატარებით, გამოსაკვლევად ან რესტავრაციით.

ამსრულებელი სპეციალურია — პირი, რომელსაც ევალებოდა დადგენილ ვადაში კულტურულ ფასეულობათა დაბრუნება საქართველოსათვის.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. მოტივებს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა (მუხლი 216-ე)

1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთი საგადასახადო საშუალება ლარია.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევისათვის ძველი კანონმდებლობითაც იყო გათვალისწინებული, მაგრამ მას წინ უსწრებდა ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენება.

სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა ადმინისტრაციულ პრეუდიციაზე უარი თქვა და ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაადგინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს.

დანაშაულის უშუალო ობიექტი სახელმწიფოს ფინანსური ინტერესებია.

ობიექტური მხარე — გამოიხატება ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევაში. ამ ქმედების კრიმინალიზაციით კანონმდებელი მიზნად ისახავს უზრუნველყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად ლარის გამოყენება. რამდენადაც საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთ საგადასახადო საშუალებად ლარია გამოცხადებული, კანონმდებელმა 216-ე მუხლით დამატებითი გარანტიები დაადგინა ეროვნული ვალუტის დასაცავად. ნებისმიერი სხვა ვალუტის გამოყენება საქართველოში საგადასახადო საშუალებად აკრძალულია. სწორედ ამ ფინანსური პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად და დასაცავად არის შემოღებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც საქართველოს

ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევისათვის.

ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია მნიშვნელოვანი ზიანი, რომლის დადგენასაც კანონმდებელი სასამართლოს პრეროგატივად ტოვებს.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია.

ამსრულებელი — 14 წელს მიღწეული ნებისმიერი პირია.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებია ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა ჯგუფურად ან ასეთი დანაშაულიასთვის მსჯავრდებულის მიერ.

საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხების დაუბრუნებლობა (მუხლი 217-ე)

განსახილველი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება მიზნად ისახავს სავალუტო ოპერაციების განხორციელების წესის, სავალუტო ბაზრის სტაბილურობისა და სახელმწიფოს საფინანსო ინტერესების დაცვას.

დანაშაულის უშუალო ობიექტია საქართველოს საბანკო სისტემაში დამყარებული ურთიერთობები; უფრო კონკრეტულად კი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების სფეროში წარმოშობილი ურთიერთობები, რომლებზეც ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში ხდება.

დანაშაულის საგანია — ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში.

უცხოური ვალუტა — ესაა ფულადი ერთეული, რომელიც საფუძვლად უდევს სხვა სახელმწიფოთა ფულად სისტემას: აშშ დოლარი, ევრო და ა.შ. ეს სახსრები განსახილველი დანაშაულის საგანი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საზღვარგარეთ იმყოფება და სავალდებულოა მათი გადმორიცხვა საქართველოს უფლებამოსილი ბანკის ანგარიშზე.

მოცემული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება უმოქმედობაში, კერძოდ, საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში სახსრების დაუბრუნებლობაში, როცა სავალდებულოა მათი გადმორიცხვა საქართველოს უფლებამოსილი ბანკის ანგარიშზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. თანხის დაუბრუნებლობა, როგორც უმოქმედობის სახე,

მდგომარეობს უფლებამოსილ ბანკში სახსრების უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის მოვალეობის შეუსრულებლობაში ისეთი გზებით, როგორიცაა: განკარგულების გაუცემლობა გადარიცხვის შესახებ, საბანკო დოკუმენტების ხელმოწერაზე უარის თქმა და მისთ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პირი ვალდებული იყო დაებრუნებინა ეს სახსრები საქართველოში და ამ მოქმედების ჩადენის რეალური შესაძლებლობა ჰქონდა. ეს თანხა შესაძლოა მიღებული იყოს პროდუქციის ექსპორტიდან, სხვადასხვა საფინანსო ოპერაციიდან და სხვ.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება, თუ უფლებამოსილი ბანკის ანგარიშზე საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში სახსრების დაუბრუნებლობას მნიშვნელოვანი ზიანი მოჰყვა. რა ჩაითვლება მნიშვნელოვან ზიანად, ამას სასამართლო განსაზღვრავს საქმის კონკრეტულ გარემოებებზე დამოკიდებულებით.

ამსრულებელი – სპეციალურია, საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი, რომელიც ვალდებულია გადმორიცხოს (გააკონტროლოს გადმორიცხვა) სავალუტო სახსრები საზღვარგარეთიდან.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახვას გულისხმობს. პირი შეგნებულად თავს არიდებს საზღვარგარეთიდან სავალუტო სახსრების საქართველოში გადმორიცხვას – დაბრუნებას. პირს შეგნებული აქვს, რომ სავალდებულოა საზღვარგარეთიდან საქართველოს უფლებამოსილი ბანკის ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში სახსრების გადარიცხვა და სურს, არ დააბრუნოს ეს სახსრები საქართველოში, გამდიდრების, პირადი გამორჩენის მიზნით. თუმცა, კანონი მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია სახელმწიფოს საფინანსო ინტერესები. გადასახადების აკრეფით შემოსული სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირების უმნიშვნელოვანესი წყაროა. ამიტომ გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების გადახდისათვის თავის არიდება საკმაოდ საშიში ეკონომიკური დანაშაულია, რომელიც ზიანს აყენებს სახელმწიფოს ფინანსურ ინტერესებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა პასუხისმგებლობის დიფერენციაციას არ ახდენს გადასახადის გადამხდელი ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის, მაგრამ ფიზიკური პირი სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე თავის არიდებისათვის[1]. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, გადასახადით დასაბეგრი მათი ობიექტების წრე უფრო ფართოა (მოგება, ქონება, პროდუქციის დამატებითი ღირებულება, სამუშაო და მომსახურება და კანონით დადგენილი სხვა ობიექტები).

218-ე მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია, ამიტომ გადასახადის სახეების, გადასახადის გადამხდელებისა და გადასახადით დასაბეგრი ობიექტების დასადგენად უნდა მივმართოთ მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობას. ასე მაგალითად, საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან საქართველოს მოქალაქეები, უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები. კანონი ჩამოთვლის ფიზიკური პირების გადასახადით დასაბეგრ ობიექტებს. ზოგადად იგი შეიძლება განისაზღვროს, როგორც კალენდარულ წელიწადში მიღებული ერთობლივი შემოსავალი — ფულადი ან ნატურალური ფორმით. ფიზიკური პირები მოვალენი არიან აღრიცხონ მიღებული შემოსავლები, წარადგინონ დეკლარაციები შემოსავლების შესახებ დადგენილი ფორმით, დროულად და სრულად შეიტანონ ბიუჯეტში გადასახდელი თანხები.

იურიდიული პირებისათვის საგადასახადო კოდექსი ადგენს შემდეგ

1 თუ საგადასახადო წლის განმავლობაში ფიზიკური პირის ოჯახის შემოსავალი აღემატება 40.000 ლარს, ის ვალდებულია ამის დეკლარირება მოახდინოს და ქონების გადასახადი გადაიხადოს.

გადასახადებს და მოსაკრებლებს: მოგების, საშემოსავლო, დღგ, აქციზის, ქონების, საბაჟო გადასახადი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და სხვ. (6 გადასახადი, 12 მოსაკრებელი).

დაბეგვრის საგანი შეიძლება გახდეს შემოსავლები მოგებიდან, საქონლის ღირებულებიდან, გადასახადის გადამხდელთა კონკრეტული სახის საქმიანობიდან, ფასიან ქაღალდებზე ოპერაციებიდან, საწარმოთა ქონებიდან, ქონების გადაცემიდან, პროდუქციის დამატებითი ღირებულებიდან, მომსახურებიდან, აგრეთვე შესაბამის საკანონმდებლო აქტებში მითითებული სხვა ობიექტებიდან.

გადასახადის გადამხდელები მოვალენი არიან გადაიხადონ გადასახადები კანონით დადგენილ ვადებში და საგადასახადო განაკვეთების ოდენობით. ეს საკითხები დაწვრილებით არის რეგლამენტირებული საგადასახადო კოდექსით (სკ მ. 62, 204 და სხვ.)

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება დიდი ოდენობით გადასახადისაგან თავის არიდებაში.

სსკ 218–ე მუხლში სახეზეა უმოქმედობის დელიქტი. აქ შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც წმინდა უმოქმედობას (შემოსავლების შესახებ დეკლარაციის წარუდგენლობა), ისე უმოქმედობას მოქმედებით (მაგალითად, გადასახადის შემცირება დეკლარაციაში/გაანგარიშებაში, იურიდიული პირის საბუღალტრო დოკუმენტებში შემოსავლებისა და გასავლების შესახებ მონაცემების გაყალბება, დეკლარაციაში დასაბეგრი ობიექტების დამალვა და სხვ.)

გადასახადისაგან თავის არიდების ხერხები მრავალგვარი შეიძლება იყოს. თავის არიდება ფართოდ უნდა გავიგოთ, მათ კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასჯელის დანიშვნის დროს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გადაუხდელი გადასახადის დიდი ოდენობა. 218-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, დიდ ოდენობად ითვლება: გადასახდელი გადასახადის თანხა რომელიც აღემატება 25 000 ლარს. საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 25 000 ლარზე მეტით შემცირება ითვლება გადასახადისათვის დიდი ოდენობით თავის არიდებად და იწვევს

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას[1].

დანაშაული განზრახია, ე.ი. დამნაშავე შეგნებულად არიდებს თავს გადასახადის გადახდას, რითაც ზიანს აყენებს საქართველოს საფინანსო სისტემას. გადასახადის გადაუხდელობის ფაქტობრივი მიზანი, სურვილი, სუბიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია. დამნაშავე, უმრავლეს შემთხვევაში, ანგარების მოტივით მოქმედებს და ესწრაფვის უკანონო გზით მატერიალური გამორჩენის მიღებას, მაგრამ მოტივი და მიზანი სხვაგვარიც შეიძლება იყოს, რასაც ქმედების კვალიფიკაციისათვის კანონმდებელი მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ამსრულებელი სპეციალურია – გადასახადის გადამხდელი. იგი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, უცხოელი, ინდივიდუალური მეწარმე, იურიდიული პირის ხელმძღვანელი (დირექტორი, მთავარი ბუღალტერი), პირი, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი (კერძო ან თანამდებობის პირი).

დანაშაულის თანამონაწილენი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო საშემოსავლო სამსახურის მოხელეები, რომლებიც განზრახ ხელს უწყობენ გადასახადისაგან თავის არიდებას (მაგალითად, მოგების ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების გადასახადებით დაბეგვრისაგან დამალვით). ისინი პასუხს აგებენ 218-ე მუხლში თანამონაწილეობისა და შესაბამისი სამოხელეო დანაშაულისათვის.

218-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ამ ქმედების ჩადენა არაერთგზის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. არაერთგზისობის ცნება განსაზღვრულია სსკ მე-15 მუხლით, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისაგან თავის არიდებად ითვლება, გადაუხდელი თანხა რომელიც აღემატება 75000 ლარს.

დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ

---

1 საქართველოში ამ მუხლთან დაკავშირებით მანკიერი პრაქტიკაა დამკვიდრებული, სახელდობრ, კანონმდებელი დასჯადად თვლის ერთი დეკლარაციით 25 000 ლარზე მეტი გადასახადის თავის არიდებას, შემოსავლების სამსახური კი გადამხდელს გარკვეული დროის მონაკვეთში გადაუხდელ გადასახადებს უკრებს და ისე გამოჰყავს 25 000 ლარი, რაც კანონის მოთხოვნას არ შეესაბამება. გამოდის რომ, ერთი დეკლარაციით 24 999 ლარის გადახდას რომ თავი აარიდოს გადამხდელმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას თავს დააღწევს, ხოლო ის ვინც 5-6 წლის მანძილზე ჯამში 25 000 ლარის გადახდას აარიდებს თავს მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს, რაც აშკარა უსამართლობაა.

ის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. რამდენადაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ამ დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელ გარემოებად გაითვალისწინა კანონმდებელმა, ამდენად 218–ე მუხლის პირველ ნაწილში შეიძლება მოვიაზროთ შეუთანხმებელი ჯგუფი ან ერთპიროვნული ამსრულებელი.

218–ე მუხლს დაემატა მესამე ნაწილი – ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით.

თუ გადასახადის გადამხდელს აქვს ბიუჯეტის დავალიანება და სავარაუდოდ შემოსავლების სამსახური მისი ქონებიდან განახორციელებს ამოღებას, შესაძლებელია მან ეს ქონება გაასხვისოს, რათა თავი აარიდოს გადასახადის გადახდას. გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით არ არის გამორიცხული ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება ცრუმაგიერ პირებზე. არც ის არის გამორიცხული, რომ მოსალოდნელი გადახდისუუნარობის მომენტისათვის გადასახადის გადახდისაგან თავის არიდებისათვის გაასხვისოს ქონება გადამხდელმა. აქ მხედველობაშია ის შემთხვევა, როცა გადამხდელი ჯერ არაა გადახდისუუნარო და სწორედ იმიტომ ასხვისებს ქონებას ან ნაწილს რომ გადახდისუუნარო გახდეს და შეუძლებელი გახდეს მისგან დავალიანების ამოღება.

გადამხდელის სწორედ ამგვარი უკანონო ქმედებების კრიმინალიზაცია მოახდინა კანონმდებელმა სსკ 218–ე მუხლის მესამე ნაწილში.

218-ე მუხლის შენიშვნაში მოცემულია წამახალისებელი ნორმა, სახელდობრ, ამ მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა პირს არ დაეკისრება თუ საგადასახადო შემოწმების შედეგებზე საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში გადახდილი, გადავადებული ან კორექტირებული იქნება გადასახდელად დაკისრებული ძირითადი თანხა ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე.

მომხმარებლის მოტყუება (მუხლი 219-ე)[1]

განსახილველი დანაშაული ხელყოფს ვაჭრობის სფეროში დამყარებულ ურთიერთობებს. მისი უშუალო ობიექტია სამომხმარებლო ბაზარზე ჩამოყალიბებული ურთიერთობები, რომელიც აწესრიგებს სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობას ამ სფეროში (მათი ორგანიზაციის ფორმისა და საკუთრების სახის მიუხედავად) და იცავს მომხმარებელთა უფლებებსა და ინტერესებს. დამატებითი ობიექტია მომხმარებელთა მატერიალური ინტერესები. დანაშაულის საგანია — საქონელი ან მომსახურება.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მომხმარებლის მოტყუებაში. კანონში მითითებულია მოტყუების ხერხები, კერძოდ, მომხმარებლის ზომაში, წონაში, ანგარიშში მოტყუება ან მისი შეცდენა საქონლის სამომხმარებლო თვისების ან ხარისხის შესახებ, ანდა სხვაგვარი მოტყუება მომსახურებისას. დანაშაულის ჩადენის ადგილია იმ ორგანიზაციების შენობები, რომლებიც საქონლის რეალიზაციას ახორციელებენ და მომსახურებას უწევენ მოსახლეობას, სხვა ადგილები, სადაც ეს ორგანიზაციები ემსახურებიან მომხმარებელს, აგრეთვე, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ადგილი. მოტყუებითი ქმედების ჩადენის აუცილებელი პირობაა მისი განხორციელება საქონლის რეალიზაციის დროს, ე.ი. ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს ან მომსახურებისას სამეწარმეო საქმიანობის პროცესში.

ზომასა და წონაში მოტყუების დროს მომხმარებელი იღებს გადახდილთან შედარებით ნაკლები რაოდენობის საქონელს. ამ მოქმედებას, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს როგორც უშუალოდ გაყიდვის პროცესში, ისე წინასწარი დაფასოების დროს. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, რა ხერხით არის შეცვლილი საქონლის რაოდენობრივი პარამეტრები.

ანგარიშში მოტყუება — ნიშნავს გამყიდველის ან მომსახურების გამწევი პირის მიერ მომხმარებელთან წინასწარშეთანხმებული ან გამოცხადებული თანხიდან გადახვევას. ეს არის მომხმარებლის მოტყუება საქონლის ან მომსახურების ფასის გამოთვლის დროს, ან მისთვის კუთვნილი ხურდის დაბრუნების დროს და სხვა. ანგარიშში მოტყუებად შეიძლება ჩაითვალოს

1 ამ ნორმის მოქმედება მხოლოდ საცალო ვაჭრობისა და მომსახურების სფეროთი შემოიფარგლება, რაზეც ტერმინი მომხმარებელი მიანიშნებს

აგრეთვე შეგნებულად ფასის არასწორად მითითება, თუ მისი ოდენობა განსაზღვრულია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით და მომხმარებელთან შეთანხმებით არ დგინდება.

მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის სამომხმარებლო თვისების ან ხარისხის შესახებ ნიშნავს განზრახ დამახინჯებული (არასწორი) ინფორმაციის გადაცემას, მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების მიზნით. დამახინჯებულად ჩაითვლება მომხმარებლისათვის გადაცემული ინფორმაციის შეუსაბამობა სარეალიზაციო საქონლის ან გაწეული მომსახურების რეალურ თვისებებთან და ხარისხთან. საქონლის ან მომსახურების სამომხმარებლო თვისებები ან ხარისხი განისაზღვრება სტანდარტით, ნიმუშით, აღწერილობით და წარმოადგენს საქონლის (მომსახურების) ნორმატიულად განსაზღვრულ დახასიათებას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში კონკრეტდება ხელშეკრულებაში. საქონლის (მომსახურების) სამომხმარებლო თვისებაში ან ხარისხში შეიძლება შედიოდეს საექსპლუატაციო და საგარანტიო ვადა, დამამზადებლის ვალდებულება, უზრუნველყოს საქონლის რემონტი და ტექნიკური მომსახურება და მომხმარებლისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა თვისებები.

გამყიდველი, მწარმოებელი მოვალეა მომხმარებელს მიყიდოს საქონელი, რომელიც შეესაბამება ხარისხზე სტანდარტის, ხელშეკრულების, საქონლის (მომსახურების) შესახებ ინფორმაციის სავალდებულო მოთხოვნებს, ანდა საქონლის (მომსახურების) ხარისხის შესახებ ჩვეულებრივ წაყენებულ მოთხოვნებს. თუ იყიდება საქონელი ან ხდება მომსახურება, რომლის ხარისხიც არ შეესაბამება სავალდებულო მოთხოვნებს, ხოლო მომხმარებელი ამის შესახებ ინფორმირებული არ არის, პირიქით, არწმუნებენ ამგვარი შესაბამისობის არსებობაზე, მაშინ ეს მისი შეცდომაში შეყვანაა.

მომხმარებლის სხვაგვარ მოტყუებაში უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც მიმართულია მის დეზორიენტაციაზე, მისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით (მაგალითად, საქონლის სახლში მიტანა, დაბალი ხარისხის საქონლის მაღალი ხარისხის ფასში მიყიდვა, საქონლის ფალსიფიკაცია და სხვა).

კანონის ტექსტიდან გამომდინარე, დანაშაული დამთავრებულად ითვლება, თუ ზემოაღნიშნულმა ქმედებებმა მომხმარებელი მნიშვნელოვნად დააზარალა. რა ჩაითვლება მნიშვნელოვან ზიანად, ამას სასამართლო

დაადგენს კონკრეტული გარემოებების მიხედვით. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს ნიშანი გაურკვეველს ხდის თაღლითობისაგან მის განსხვავებას (გამიჯვნას).

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, დამნაშავე შეგნებულად ატყუებს მომხმარებელს გამდიდრების, მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით. თუმცა მიზანი სხვაც შეიძლება იყოს, მაგალითად, ვადაგასული (ან „ჩაწოლილი“) საქონლის გასაღება, რითაც ასევე შეიძლება იზარალოს მომხმარებელმა.

ამსრულებელი სპეციალურია — იმ ორგანიზაციების მოსამსახურეები, რომლებიც საქონლის რეალიზაციას ან მოსახლეობის მომსახურებას ახორციელებენ, აგრეთვე ინდივიდუალური მეწარმე ვაჭრობის ან მომსახურების სფეროში, ან ასეთ მეწარმესთან ხელშეკრულებით მომუშავე პირები — გამყიდველი, მძღოლ-ექსპედიტორი და სხვა. მომხმარებლის მოტყუება სხვა პირთა მიერ დაკვალიფიცირდება როგორც თაღლითობა.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს 219-ე მუხლის მე2 ნაწილი მიაკუთვნებს: მომხმარებლის მოტყუებას წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით ან ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ.

219-ე მუხლში დიდ ოდენობად ითვლება მოტყუებით მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელიც აღემატება მომხმარებლის მიერ გადასახდელი ღირებულების ოც პროცენტს.

ბოლოს უნდა აღინიშნოს,რომ ეს დანაშაული თაღლითობის სპეციალურ შემთხვევას წარმოადგენს და დღევანდელ ვითარებაში ასეთი შემადგენლობის მიზანშეწონილებას საეჭვოდ მივიჩნევთ. მით უფრო, რომ მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ინფრასტრუქტურაზე, რომელსაც რაიმე სპეციალური რეგულაცია არა აქვს და მთლიანად თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის პრინციპზეა აგებული.[1]

---

1 საგულისხმოა ისიც, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158[1] მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მომხმარებლის უფლების შელახვისათვის. მისი შინაარსი ასეთია: მომხმარებლის უფლების განზრახ შელახვა რასაც მოჰყვა ქონებრივი ზარალი. რა იგულისხმება ქონებრივ ზარალში არც აქ არის გარკვეული. აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკას ძალიან გაუჭირდება სსკ 219 მუხლსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158[1] მუხლს შორის მიჯნის გავლება.

თავი XII

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხლი 220-ე)

ჩვენს ქვეყანაში სოციალური მართვის სფეროში მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის, რომ საზოგადოების მომსახურების მოვალეობა და განსაზღვრული უფლებამოსილება საზოგადოების ინტერესებისათვის ხშირად მინდობილი აქვთ იმ პირებს, რომლებიც საჯარო სამსახურში არ იმყოფებიან, ე.ი. სახელმწიფო მოხელეები არ არიან. სწორედ ამან განაპირობა აღნიშნული თავის დამატება ახალ სისხლის სამართლის კოდექსში და ამით დამატებითი გარანტიების შექმნა სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირთა მიერ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად.

იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, 220-ე მუხლი აგებულია 332-ე მუხლის – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება – მსგავსად, მაგრამ განსხვავდება მისგან დაცული ინტერესითა და ამსრულებლით.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია სამეწარმეო და სხვა ორგანიზაციის როგორც ქონებრივი, ისე სხვა მართლზომიერი ინტერესები (მაგალითად, სამეწარმეო ორგანიზაციის ავტორიტეტი).

დამატებითი ობიექტია მოქალაქეთა, საზოგადოების ან სახელმწიფოს ინტერესები.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებაში ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, ეს შესაძლებელია მოქმედებითაც და უმოქმედობითაც.

პირი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ იყენებს

თავის უფლებამოსილებას, თუ იგი კეთილსინდისიერად და გონივრულად არ ახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ორგანიზაციის სახელით დადებულ გარიგებებში ჩქმალავს პირად დაინტერესებას, სახელს უტეხს ორგანიზაციის საქმიან რეპუტაციას და მისთ.

კომერციული ორგანიზაციები თვითონ განსაზღვრავენ თავიანთი ინტერესების წრეს, კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში. აქ იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა პირობები და ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობას, გადახდისუნარიანობას და სხვა.

საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილებები განსაზღვრულია შესაბამისი სამეურნეო სუბიექტის დებულებით, წესდებით და ა.შ. ამიტომ კონკრეტულ შემთხვევაში იმის ასახსნელად, იყო თუ არა უფლებამოსილება ბოროტად გამოყენებული, ხსენებულ სამართლებრივ აქტებსაც უნდა მივმართოთ.

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებამ მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს, რომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს. მნიშვნელოვანი ზიანი შეფასებითი კატეგორიაა და იგი სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით. ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ ზიანის აბსტრაქტული მოცულობა, არამედ, აგრეთვე ორგანიზაციის ქონებრივი მდგომარეობა, დაზარალებულთა რაოდენობა და ა.შ. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ტიპურ შედეგს წარმოადგენს ქონებრივი ზიანის მიყენება ორგანიზაციისათვის, რომელშიც დამნაშავე ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას ახორციელებს. ზიანი მნიშვნელოვანი იქნება ასევე, თუ მან გამოიწვია სამუშაო ადგილების შემცირება, საფრთხე შეუქმნა ორგანიზაციის გადახდისუნარიანობას, ან თუ მისი აღმოფხვრა დაკავშირებულია დიდ მატერიალურ დანახარჯებთან, მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება გამოიხატოს მორალურ ზიანშიც, რომელიც ლახავს ორგანიზაციის საქმიან რეპუტაციას.

მაშასადამე, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ობიექტური მხარე მოიცავს:

1. ქმედებას, რაც გამოიხატება ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენ-

ებაში ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ.

2. მნიშვნელოვან ზიანს და,

3. მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და მნიშვნელოვან ზიანს შორის.

დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება განზრახვითა და სპეციალური მიზნით — თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით.

დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია. კერძოდ, ეს არის კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირი, რომელიც აღჭურვილია ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილებით.

კანონი „მეწარმეთა შესახებ" ხელმძღვანელობით უფლებამოსილ სუბიექტებს ზედმიწევნით ზუსტად ჩამოთვლის; რამეთუ ისინი კერძო სამართლებრივ ურთიერთობების მართვაში მთავარ როლს ასრულებენ, მათ ნიჭსა და კეთილსინდისიერ მოქმედებაზეა დამოკიდებული საწარმოს ბედი. ისინი პასუხისმგებელნი არიან საწარმოს წინაშე და, ამდენად, სისხლის სამართლის კანონი დანაშაულებრივი ქმედების არსებობის შემთხვევაში მათ აკისრებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. კანონი ხელმძღვანელობით უფლებამოსილების მქონე პირთა ორ ჯგუფს იცნობს. პირველ ჯგუფში შედიან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების ხელმძღვანელები, ე.ი. პარტნიორები, კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ყველა პარტნიორი, საიდანაც ერთ-ერთს დირექტორობის დაკისრების შემდეგ, ეწოდება ხელმძღვანელი-პარტნიორი. კომანდიტურ საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლებამოსილება მხოლოდ პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორს აქვს და მასაც ხელმძღვანელი-პარტნიორი ეწოდება.

მეორე ჯგუფია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი, სადაც ხელმძღვანელობის ფუნქცია დირექტორს აკისრია. დირექტორი შეიძლება იყოს როგორც პარტნიორი, ასევე გარეშე პირი.

„მეწარმეთა შესახებ" კანონის 91-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან უხელმძღვანელონ საზოგადოებას და, შესაბამისად, იყვნენ დანაშაულის ამსრულებლები.

რაც შეეხება წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, ესეც ხელმძღვანელობითი საქმიანობის სფეროა. კერძო სამართლის საზოგადოებების

ხელმძღვანელები წარმოადგენენ საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში, საზოგადოების სახელით დებენ გარიგებებს, საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში შეიძლება სხვა პირებითაც იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, პროკურისტი ან სავაჭრო წარმომადგენელი.

სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებელი პირი შეიძლება იყოს იურიდიული მოქმედებების განმხორციელებელი ნებისმიერი პირი, რომელსაც საზოგადოების მიერ მინიჭებული აქვს სპეციალური უფლებამოსილება (რწმუნებულება).

კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტები არიან ფონდები და კავშირები. სამოქალაქო კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად, ფონდებსა და კავშირებში ხელმძღვანელობის უფლება მინიჭებული აქვთ გამგეობის წევრებსა და ცალკეულ შემთხვევებში – სპეციალურ წარმომადგენლებს. საზოგადოების წესდებით განსაზღვრულია ერთი პირის მიერ საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება, ანდა ორი ან რამდენიმე პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა, რაც ამ უკანასკნელთა მოვალეობას შეადგენს.

კომერციული მოსყიდვა (მუხლი 221-ე)

ეს ახალი მუხლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, იგი აგებულია ქრთამის აღებ-მიცემის ანალოგიურად (მუხლი 338-ე-339-ე). ამავე დროს, არსებითი განსხვავებაც არის მათ შორის კანონით დაცული ინტერესისა და დანაშაულის ამსრულებლის მიხედვით.

მოცემული ნორმის მიზანია – სამეწარმეო და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საქმიანობის წესის სისხლისსამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა. მაშასადამე, კომერციული მოსყიდვა წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც ხელყოფს საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის ნორმალურ პირობებს. ნორმალური კომერციული ურთიერთობის პირობები ირღვევა იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც უკანონო გასამრჯელოს (ქონებრივ მომსახურებას) იღებენ ან გადასცემენ მას. მოსყიდვის მეშვეობით შეიძლება უკანონო შეღავათიანი კრედიტის მიღება, კომერციული საიდუმლოს გამხელა და ა.შ.

ამგვარად, განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია სამეწარმეო ურთიერთობათა სფერო.

221-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება პირისათვის, რომელიც სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ახორციელებს ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას, ან რომელიც მუშაობს ამ ორგანიზაციაში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი მომსახურების ან/და სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის შეთავაზებაში, დაპირებაში, გადაცემაში ან გაწევაში, რათა მან განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით მომსყიდველის ან სხვა პირის ინტერესებისათვის.

კომერციული მოსყიდვა ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაულია და დამთავრებულია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი მომსახურების ან/და სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის შეთავაზების, დაპირების, გადაცემის ან გაწევის მომენტიდან, იმისდა მიუხედავად სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებელმა ან ამ ორგანიზაციაში მომუშავემ თავისი სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევით განახორციელა თუ არა რაიმე ქმედება მომსყიდველის ან სხვა პირის ინტერესებისათვის.

221-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.

ამავე მუხლის მეორე ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება იგივე ქმედების ჩადენა ჯგუფურად ან არაერთგზის, რომელთა შინაარსი განმარტებული უნდა იქნეს სსკ 27-ე და მე-15 მუხლის საფუძველზე.

221-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულია იმ პირის მიერ, რომელიც სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ახორციელებს ხელმძღვანელობით წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას ან რომელიც მუშაობს ამ ორგანიზაციაში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი მომსახურების ან/და სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის შეთავაზების, და-

პირების, გადაცემის ან გაწევის მოთხოვნა რათა მან განახორციელოს რაიმე ქმედება, ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით, მომსყიდველის ან სხვა პირის ინტერესებისათვის.

აქაც დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

როგორც ვხედავთ, სსკ 221-ე მუხლის ახალ რედაქციაში გაფართოვდა დანაშაულის ამსრულებელთა წრე, ისჯება არა მხოლოდ ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, არამედ ორგანიზაციაში მომუშავე ნებისმიერი პირი, ასევე მთლიანად იურიდიული პირი. 221-ე მუხლის ტექსტიდან ძნელია ცალსახა დასკვნის გაკეთება სიტყვები „პირდაპირ ან არაპირდაპირ" განხორციელებულ ქმედებას ეხება (ანუ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი მომსახურების ან/და სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის შეთავაზებას, დაპირებას, გადაცემას, გაწევას, ასევე მოთხოვნას ან მიღებას), თუ დანაშაულის გაფართოებულ ამსრულებელთა წრეს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ქმედების ფარგლები ნაწილობრივ შეზღუდულად გამოიყურება, რადგანაც იგი აუცილებლად სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევას გულისხმობს (ნაცვლად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისა). სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევაში კანონმდებელი გულისხმობს კანონით და კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრულ მოვალეობებს ან კონკრეტული ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამსახურებრივ ვალდებულებებს. მაგრამ, აქვე ჩნდება შეკითხვა – იურიდიულმა პირმა რა სამსახურებრივი ვალდებულება უნდა დაარღვიოს? ანდა ორგანიზაციაში მომუშავე ფიზიკური პირის მიერ ვალდებულების დარღვევისათვის იურიდიულმა პირმაც უნდა აგოს პასუხი? ამ უკანასკნელზე დადებით პასუხს შეიცავს სსკ 107^1 მუხლი.

სსკ 221-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობაც ფორმალურია და დანაშაული დამთავრებულია სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებლის ან ამ ორგანიზაციაში მომუშავე პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ან ქონებრივი მომსახურების ან/და სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის შეთავაზების, დაპირების, გადაცემის

ან გაწევის მოთხოვნის ან მიღების მომენტიდან. რაც შეეხება მოსყიდვით განპირობებული მოქმედების შესრულებას თუ შეუსრულებლობას, იგი დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებს გარეთაა.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. მოტივი და მიზანი ანგარებითია.

221-ე მუხლის მე-4 ნაწილი მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების დამამძიმებელ გარემოებად თვლის მის ჩადენას ჯგუფურად, არაერთგზის და გამოძალვით.

221-ე მუხლს აქვს წამახალისებელი ნორმა, კერძოდ, ის, ვინც ჩაიდენს ამ მუხლის 1-ლ ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მას გამოსძალეს ქონება ან თუ მან ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოს ამის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ პრობლემურია იურიდიულ პირზე ქონების გამოძალვის ან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის გავრცელება.

თავი XIII

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 კარი შედგება ექვსი თავისაგან:

1. თავი XXX – დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ;

2. თავი XXXI – სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა;

3. თავი XXXII – დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ;

4. თავი XXXIII – ნარკოტიკული დანაშაული;

5. თავი XXXIV – სატრანსპორტო დანაშაული;

6. თავი XXXV – კომპიუტერული დანაშაული.

საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები შეიძლება განიმარტოს, როგორც მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც ხელყოფს იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების უსაფრთხოებას.

საზოგადოებრივი ცხოვრების უსაფრთხოება სხვადასხვა სფეროს მოიცავს. ესენია: ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის, სხვადასხვა სამუშაოთა წარმოების, მომეტებული საფრთხის წყაროს (მაგალითად, ტრანსპორტის) უსაფრთხოების პირობები და სხვ.

საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები შეიძლება განიმარტოს, როგორც მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც ხელყოფს საზოგადოების ცხოვრების, შრომისა და დასვენების ნორმალურ რიტმს.

ამდენად, საზოგადოებრივი წესრიგი გულისხმობს ცხოვრების ნორმალურ რიტმს, ხოლო საზოგადოებრივი უშიშროება – ცხოვრების უსაფრთხოებას.

სსკ IX კარის დასათაურება – დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ – ფართო გაგებითაა გამოყენებული.

ამ კარში ისეთი დანაშაულებიც შედის, რომელიც უშუალოდ საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ უშიშროებასა და წესრიგს (მაგალითად, დანაშაული საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი კარისა და მისი პირველი თავის (თავი XXX) დასათაურება ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს, რაც გაუმართლებელია. თუ XXX თავი მთლიანად აწესრიგებს IX კარით მოსაწესრიგებელ საკითხებს, მაშ რა საჭიროა დანარჩენი ხუთი თავი? ამდენად, უფრო გამართლებული იქნება ამ კარს ეწოდოს „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის საფუძვლების წინააღმდეგ".

სსკ IX კარის თავები დალაგებულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის ცალკეული სფეროს მიხედვით, რაც ამ დანაშაულთა სახეობით ობიექტს წარმოადგენს.

სსკ XXX თავში გაერთიანებულ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება.

ობიექტური მხრივ ისინი უმეტესწილად მოქმედებით არიან ჩადენილი. თუმცა, გვხვდება ისეთი დანაშაულებიც, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. მაგალითად, ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მასში აქტიური მონაწილეობა (სსკ 226-ე მუხ.), ენერგორესურსით სარგებლობის წესების დარღვევა (229[1]-ე მუხ.), ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა (238-ე მუხ.).

განსახილველ დანაშაულთა უმეტესი ნაწილი ფორმალური შემადგენლობისაა, ე.ი. მათი დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია ამა თუ იმ ქმედების ჩადენა და შედეგს მნიშვნელობა არა აქვს (მაგალითად, სსკ 223-ე, 224-ე, 225-ე, 227-ე, 228-ე, 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე, 234-ე, 235-ე, 236-ე მუხ.). ზოგიერთი მათგანი კი ეკუთვნის მატერიალურ დანაშაულთა რიცხვს, ე.ი. მათი დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა ქმედებას მოჰყვეს მძიმე შედეგი (222-ე, 221[1]-ე, 227-ე მუხლის მე-3 ნაწ., 228-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქ., 229-ე მუხლის მე-2 ნაწ., 229-ე, 233-ე, 238-ე, 239-ე მუხლები და სხვა) ან დადგეს ასეთი შედეგის საფრთხე.

XXX თავში გათვალისწინებულ დანაშაულთა ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი. ზოგ

შემთხვევაში სახეზეა სპეციალური ამსრულებელი. მაგალითად, სსკ 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტი.

სუბიექტური მხრივ განსახილველ დანაშაულთა უმრავლესობა განზრახია. რიგ შემთხვევაში მიზანს აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა (224-ე, 228-ე, 234-ე და სხვ.). გვხვდება გაუფრთხილებელი დანაშაულებიც (229[1]-ე და 238-ე მუხლები).

2006 წლის აპრილისა და ივლისის კანონით საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარმა და ასევე XXX თავმა მთელი რიგი ცვლილება განიცადა. კერძოდ, ცვლილებებია როგორც საკანონმდებლო ტექნიკის, ასევე დანაშაულის შემადგენლობისა და სასჯელების თვალსაზრისით, ამასთანავე სს კოდექსში შემოვიდა ახალი ნორმები. მაგალითად, რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა (224[1] მ), წყლის ხომალდის, ნაოსნობისათვის საშიშროების შექმნა (227[1] მ), სტაციონალური პლატფორმის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, განადგურება ან დაზიანება (227[2] მ), ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მუქარა (231[1] მ). ცვილება განიცადა კომპიუტერულმა დანაშაულმა (2010 წ.).

ტელერადიომაუწყებლობის ან კავშირგაბმულობის დაწესებულების ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება (მუხლი 222-ე)

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი. უშუალო ობიექტია ტელერადიომაუწყებლობის, კავშირგაბმულობის დაწესებულების, სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მუშაობის ნორმალური რიტმი.

დანაშაულის საგანია ტელერადიომაუწყებლობის, კავშირგაბმულობის დაწესებულება, ასევე სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი.

დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს არა მარტო საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დაწესებულება, არამედ შესაბამისი დაწესებულებანი ადგილებზე (საქართველოს სხვადასხვა მხარეში, ქალაქსა და რაიონში).

კავშირგაბმულობის დაწესებულება არის საქართველოს საფოსტო და სატელეგრაფო დაწესებულება, რომლითაც სწრაფად და ადვილად მყარდება კავშირი ქვეყნის სხვადასხვა ადგილებს შორის. სტრატეგიული ობიექტია ის ობიექტი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია სტრატეგიული პროდუქციის (პურპროდუქტების, ნავთობპროდუქტების, ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის, ძვირფასი ლითონების) წარმოებასთან.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ობიექტი, რომელთა საქმიანობა სასიცოცხლოდაა დაკავშირებული მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების პირობებთან (სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტები და სხვ). არის თუ არა ობიექტი განსაკუთრებული მნიშვნელობის, ეს უნდა შეაფასოს სასამართლომ.

დანაშაულებრივი ხელყოფის საგნის სწორედ განსაკუთრებული მნიშვნელობითაა განპირობებული ამ ქმედების კრიმინალიზაციის აუცილებლობა.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება: ა) ქმედებაში. ბ) მძიმე შედეგში ან ასეთი შედეგის საფრთხეში და გ) მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და შედეგს ან შედეგის საფრთხეს შორის. ეს დანაშაული უმეტესწილად მოქმედებაში გამოიხატება, თუმცა მისი ჩადენა შეიძლება უმოქმედობითაც (მაგალითად, ბლოკირების). კერძოდ, დანაშაულის ობიექტური მხარეა დაწესებულება-ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება.

დასახელებული ობიექტების ხელში ჩაგდება შეიძლება განხორციელდეს ამ ობიექტებში როგორც კანონიერი შესვლის შემდეგ, ისე უკანონო შეღწევის გზით (მაგალითად, მოტყუებით ან ძალადობის გამოყენებით შეღწევა). ეს დაწესებულებები ან ობიექტები ხელში ჩაგდებულად ჩაითვლება მაშინ, როცა დამნაშავეს მიეცემა შესაძლებლობა თავისი შეხედულებისამებრ აამუშაოს ისინი (მაგალითად, გადასცეს ინფორმაცია ტელევიზიით ან რადიოთი) და არ დაემორჩილოს შესაბამისი დაწესებულების ან ობიექტის ხელმძღვანელობას.

თუკი ამ დაწესებულება-ობიექტების ხელში ჩაგდება მოხდა ცეცხლსასროლი ან სხვა იარაღის გამოყენებით, რომლის ტარების უფლება პირს არ ჰქონდა, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, რადგანაც „ხელში ჩაგდება“ აუცილებლად არ გულისხმობს იარაღის გამოყენებას.

ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებათა ბლოკირებას ადგილი აქვს მაშინ,

როცა დამნაშავე თავისი ქმედებით შეუძლებელს გახდის ამ ობიექტებში თავისუფალ შესვლა-გამოსვლას ან მის ფუნქციონირებას. ბლოკირება შეიძლება განხორციელდეს უმოქმედობითაც (მაგალითად, პირი არ ჩართავს გამორთულ დანადგარს).

სსკ 222-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია, როცა აღნიშნული დაწესებულებისა და ობიექტის ხელში ჩაგდებას ან ბლოკირებას: ა) შედეგად მოჰყვა მათი ნორმალური მუშაობის შეფერხება ან ბ) შეეძლო შეეჩერებინა მათი ნორმალური მუშაობა.

პირველ შემთხვევაში საზეზეა მძიმე შედეგი, რაც გამოიხატება ნორმალური მუშაობის შეფერხებაში, ე.ი. აქ გვაქვს მატერიალური შემადგენლობა. ამდენად, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა პირის ქმედებასა და დამდგარ მძიმე შედეგს (ნორმალური მუშაობის შეფერხება) შორის.

ნორმალური მუშაობის შეფერხებად უნდა ჩაითვალოს მუშაობის გარკვეული დროით შეჩერება. მაგალითად, დღე-ღამის განმავლობაში შეწყდა ტელეგადაცემა, ან დაწესებულებებსა თუ მოსახლეობას არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია, წყალი და სხვ.

მეორე შემთხვევაში საზეზე გვაქვს საფრთხის დელიქტი. ამ დროს აუცილებელია დადგინდეს, რომ დაწესებულება-ობიექტების ხელში ჩაგდებას ან ბლოკირებას შეეძლო მოცემულ ვითარებაში შეეფერხებინა მათი ნორმალური მუშაობა.

თუ ამ დანაშაულს შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ანდა სიკვდილი, ქმედება ბრალის ფორმის შესაბამისად (განზრახი იყო იგი ამ შედეგის მიმართ თუ გაუფრთხილებელი) დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. მნიშვნელობა არა აქვს ეს პირი არის თუ არა ამ დაწესებულება-ობიექტის თანამშრომელი.

სუბიექტური მხრივ განხილული დანაშაული განზრახია. მისი ჩადენა გაუფრთხილებლობით შეუძლებელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ პირის ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ამ ობიექტების ბლოკირება, 222-ე მუხლით პასუხისმგებლობა გამორიცხულია.

ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ უკანონოდ

ახდენს ჩამოთვლილ ობიექტთა ხელში ჩაგდებას ან ბლოკირებას, ასევე ითვალისწინებს, რომ ამ ქმედებას მოჰყვება ამ დაწესებულება-ობიექტთა ნორმალური მუშაობის შეფერხება ან შეექმნება ასეთი შეფერხების საფრთხე და სურს ასეთი შედეგი ან შეგნებულად უშვებს მის დადგომას.

მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება იყოს შურისძიება კონკრეტული თანამდებობის პირის ქმედებაზე და სხვა პირადული მოტივი ან მიზანი. მაგალითად, აიძულონ ტელემაუწყებლობის რომელიმე არხი ეთერში გაუშვას მათთვის სასურველი ინფორმაცია. თუ დამნაშავის მიზანია ამ ქმედებით დააშინოს მოსახლეობა ან ზემოქმედება მოახდინოს ხელისუფლების ორგანოზე, კვალიფიკაცია მოხდება არა 222-ე, არამედ 330-ე მუხლით (სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით). თუ პირის მიზანია საქართველოს დასუსტება, მაშინ – სსკ 318-ე მუხლით (საბოტაჟი), ხოლო, თუ ეს ქმედება ჩადენილია ამბოხების დროს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად – სსკ 315-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით.

222-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი ჯგუფურად.

ჯგუფური დანაშაული სამი სახისაა: წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფის მიერ ჩადენილი, ასევე წინასწარ შეთანხმებით ჯგუფური და ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი. განსახილველ შემთხვევაში ამ სამი სახიდან შეიძლება იყოს ნებისმიერი. ამასთანავე, აუცილებელია 222-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ ქმედებაში უშუალოდ მონაწილეობდეს (აღასრულებდეს) ორი პირი მაინც. თუ ერთი პირი არის ამსრულებელი, ხოლო სხვები – თანამონაწილენი (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე), ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 222-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს ადრეც ჰქონდა ჩადენილი სსკ 222-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, და ამ ქმედებისათვის ნასამართლევი. ოღონდ არ უნდა იყოს მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა. თუ პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა სსკ 222-ე მუხლის

1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რისთვისაც არ ყოფილა ნასამართლევი, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 222-ე მუხლის პირველი ნაწილით და თითოეული ეპიზოდისთვის დანიშნული სასჯელი მთლიანად შეიკრიბება.

სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება (მუხლი 222[1]-ე)

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი. უშუალო ობიექტია სატრანსპორტო კომუნიკაციების ნორმალური მუშაობა. დამატებით ობიექტად კი გვევლინება საზოგადოებრივი უშიშროება (სსკ 222[1]-ე მუხ. მე-2 ნაწ. „ბ“ პუნქ.) და ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

დანაშაულის საგანია სატრანსპორტო კომუნიკაციები. კერძოდ, რკინიგზის, საჰაერო, წყლისა და მაგისტრალურ მილსადენის ტრანსპორტი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება: ა) მოქმედებაში. ბ) მძიმე შედეგში ან ასეთი შედეგის საფრთხეში და გ) მიზეზობრივ კავშირში მოქმედებასა და შედეგს ან შედეგის საფრთხეს შორის.

კერძოდ, დანაშაულებრივი მოქმედება გამოიხატება იმაში, რომ პირი ორგანიზებას უკეთებს სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირებას, ე.ი. ხელმძღვანელობს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიმართულია სატრანსპორტო კომუნიკაციების თავისუფალი გადაადგილების შეფერხებისაკენ (ბლოკირებისაკენ). ამ მიზნის მისაღწევად იგი იყენებს სხვადასხვა გზას: აწყობს დაბრკოლებებს (მაგალითად, გზებზე სამშენებლო მასალის დაყრა ან სხვა საშუალებით მისი ჩახერგვა), ქმნის საგუშაგოებს, რომელთაც ეძლევათ ფაქტობრივი შესაძლებლობა, შემოწმების გარეშე არ გაატარონ ტრანსპორტი. სხვა მართლსაწინააღმდეგო ხერხში იგულისხმება გზების იმგვარად გაფუჭება, რომ მასზე მოძრაობა დიდ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ასევე სადისპეტჩეროს მუშაობის იმგვარი მოშლა, რომ დისპეტჩერს არ შეუძლია გადასცეს ინფორმაცია და სხვ.

ამდენად, დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება როგორც სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირების ორგანიზებაში, ასევე სხვადასხვა დაბრკოლებისა თუ საგუშაგოების მოწყობაში. ამიტომაც აქ ამსრულებლად შეიძლება მოგვევლინოს როგორც ბლოკირების ორგანიზატორი, ასევე

დაბრკოლებისა თუ საგუშაგოების უშუალოდ მომწყობი პირი, რომელიც ასრულებს სხვის მითითებას.

სსკ 222[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია არა დაბრკოლებისა თუ საგუშაგოების მოწყობის მომენტიდან, არამედ მაშინ, როცა: ა) ამ ქმედებამ შეაფერხა რკინიგზის, საჰაერო, წყლისა და მაგისტრალური მილსადენი ტრანსპორტის მუშაობა, ან ბ) შეეძლო გამოეწვია მათი ნორმალური მუშაობის შეფერხება.

პირველ შემთხვევაში სახეზეა მძიმე შედეგი, ხოლო მეორე შემთხვევაში — საფრთხის დელიქტი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ნაწილობრივ სახეზე გვაქვს მატერიალური შემადგენლობა.

დანაშაულის ამსრულებელია ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული განზრახია. მისი ჩადენა შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ორგანიზებას უკეთებს სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირებას სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო ხერხით, ითვალისწინებს, რომ ამას მოჰყვება სატრანსპორტო კომუნიკაციების ნორმალური მუშაობის შეფერხება ან შეიქმნება ასეთი შეფერხების საფრთხე და სურს ეს შედეგი ან შეგნებულად უშვებს მის დადგომას.

მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა.

თუკი ამგვარი ქმედებით პირი ქმნის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის საშიშროებას და მისი მიზანია მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება, სახეზე გვაქვს ტერორისტული აქტი (323-ე მუხლი). უკეთუ ამგვარი ქმედების განხორციელებით პირი ხელს უშლის სახელმწიფო ან სხვა საწარმო, ორგანიზაცია-დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას საქართველოს დასუსტების მიზნით, სახეზე გვაქვს საბოტაჟი — სსკ 318-ე მუხლი.

სსკ 222[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება (ჩადენილი არაერთგზის) ზუსტად ემთხვევა სსკ 222-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებას, ამიტომ მის განხილვას არ შევუდგებით.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ამ შემთხვევაში

სახეზეა ე.წ. კონკრეტული საფრთხის დელიქტი. ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა დამტკიცდეს მიზეზობრივი კავშირი 222[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებასა და ამ კონკრეტულ საფრთხეს შორის. კერძოდ, უნდა დადგინდეს დამნაშავის რომელმა კონკრეტულმა ქმედებამ შეუქმნა საფრთხე ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და რაში გამოიხატა იგი.

ამდენად, როცა სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება შექმნის ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის შეფერხების საფრთხეს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 222[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. თუ ამ ქმედებამ საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სსკ 222[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით. თუკი ორივე შედეგის დადგომის საფრთხე შეიქმნა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 222[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით 1-ლ ნაწილზე მითითების გარეშე.

სსკ 222[1]-ე მუხლის შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა იგივე ქმედება, რასაც თან სდევს ტვირთის, ბარგის ან დოკუმენტის უკანონო გასინჯვა და შემოწმება. ამ შემთხვევაში მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ დამნაშავე არა მარტო ქმნის დაბრკოლებებსა თუ საგუშაგოებს და აფერხებს ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას, არამედ უკანონოდ ახდენს ამ ტრანსპორტზე არსებული ტვირთის, ბარგის გასინჯვას ანდა იმ დოკუმენტის შემოწმებას, რომელიც ეკუთვნის ამ სატრანსპორტო საშუალებას, მის მძღოლსა თუ მგზავრებს. თუ ამ შემოწმებას თან ახლავს იარაღის უკანონო ტარება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

სსკ 222[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ან ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ამ შემთხვევაში სახეზეა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა. შედეგის მიმართ სახეზე უნდა იყოს არა განზრახი, არამედ გაუფრთხილებელი ბრალი. ამდენად, ეს კვალიფიციური შემადგენლობა ხასიათდება ორმაგი ბრალით – განზრახვით 222[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების მიმართ და გაუფრთხილებლობით მე-3 ნაწილში გათვალისწინებული შედეგის მიმართ.

თუ რა უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან ზიანად, სასამართლომ უნდა განსაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული მატერიალური ზარალისა და დაზარალებული ორგანიზაციის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, რკინიგზის ლიანდაგის გაფუჭებაში, მატარებლის ვაგონის ან საჰაერო ხომალდის მწყობრიდან გამოსვლაში, რის შეკეთებასაც სჭირდება ამ ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი თანხა და ა.შ. ამასთანავე, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და ამ შედეგს შორის.

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ისევე უნდა იქნეს გაგებული, როგორც სსკ 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილში, ხოლო სიცოცხლის მოსპობა ისე, როგორც 116-ე მუხლში.

უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა (მუხლი 223-ე)

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება.

საქართველოში შეიარაღებული ფორმირების შექმნა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა. სხვა არც ერთ ორგანოს (ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქალაქში, რაიონში) არა აქვს უფლება ჩამოაყალიბოს ან დაიქვემდებაროს შეიარაღებული ფორმირება. მით უმეტეს, ამის უფლება არა აქვს კერძო პირს. რაც არ უნდა კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდეს ასეთ უკანონოდ შექმნილ ფორმირებას, იგი მაინც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უშიშროებას, ვინაიდან არ ემორჩილება სახელმწიფოს კანონებს[1]. ასეთი ფორმირებისათვის ადვილია იარაღის თვითნებური გამოყენება[2].

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება: ა) უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნაში ან ბ) ასეთი ფორმირების ხელმძღვანელობაში.

---

1 ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობს ომი. ამ დროს პარტიზანული ჯგუფების შექმნას არ სჭირდება სახელმწიფო ნებართვა.

2 მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოში შეიარაღებული დაჯგუფება „მხედრიონი", რომელიც თავიდან პატრიოტული მიზნით შეიქმნა, მაგრამ შემდეგში ბანდის სახე მიიღო.

იგი ორგანიზებული დანაშაულის ნაირსახეობაა თანაამსრულებლობის ფორმით.

შეიარაღებული ფორმირება (ლაშქარი, გაერთიანება, რაზმი თუ სხვა ჯგუფი) უკანონოდ ჩაითვლება მაშინ, როცა იგი შექმნილია ან არსებობს საქართველოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს ან პირის (მაგალითად, პრეზიდენტის, თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს) სათანადო ნებართვის გარეშე.

უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1. იგი აუცილებლად შედგება პირთა ჯგუფისაგან; 2. მას ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის ბრძანება ფორმირების წევრებისათვის სავალდებულოდ ითვლება; 3. ეს ფორმირება აუცილებლად უნდა იყოს შეიარაღებული (ცეცხლსასროლი, ცივი იარაღით). ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, იარაღი ფორმირების წევრებს კანონიერად აქვთ შეძენილი თუ უკანონოდ. მთავარია, რომ თვით ფორმირება უკანონოა (მაგალითად, უკანონო შეიარაღებული ფორმირება შეიძლება შექმნან პოლიციის ან სამხედრო ნაწილის თანამშრომლებმა, რომლებსაც იარაღი კანონიერად აქვთ შეძენილი); 4. მართალია, კანონში არაა პირდაპირი მითითება ამ ფორმირების სიმყარის შესახებ, მაგრამ არ შეიძლება შეიარაღებულ პირთა ჯგუფი ჩაითვალოს ფორმირებად, თუ მისი მიზანია ერთჯერადი, დაუყონებლივი საქმიანობა. ასევე არ მოგვცემს ამ დანაშაულის შემადგენლობას, როცა სოფლად მცხოვრებნი შექმნიან სანადირო თოფებით აღჭურვილ პირთა ჯგუფს შინაური ცხოველის დასაცავად. ამდენად, სიმყარე, ანუ ხანგრძლივი დროით თანამშრომლობა, ამ ფორმირების ერთ-ერთ ნიშნად უნდა ჩაითვალოს.

უკანონო შეიარაღებული **ფორმირების შექმნა ნიშნავს** ამ ფორმირების წევრების გამოძებნას, მათ გადმობირებას, იარაღის შეძენას, შეკრების ადგილის მოძიებას, წესდების შექმნას და ა.შ.

ასეთ ფორმირების ხელმძღვანელობა გულისხმობს მის წევრებს შორის ფუნქციის განაწილებას, ბრძანების გაცემას, მის შესრულებაზე კონტროლს, სამოქმედო გეგმის შემუშავებას, ურჩ წევრთა დასჯას და ა.შ. შესაძლებელია, ერთმა პირმა შეჰქმნას შეიარაღებული ფორმირება, ხოლო სხვამ უხელმძღვანელოს მას. ასევე შესაძლებელია ორივე ეს ფუნქცია ერთმა პირმა შეასრულოს. ამ შემთხვევაში მას ბრალად უნდა წარედგინოს როგორც ამ ფორმირების შექმნა, ისე ხელმძღვანელობა, რაც ზეგავლენას მოახდენს სასჯელზე. უკანონო შეიარაღებული ფორმირების ხელმძღვანელს

პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ ფორმირების მიერ ჩადენილი ყველა ქმედებისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა (იმის მიუხედავად თავად მონაწილეობდა თუ არა ამ ქმედებაში).

ეს დანაშაული თავის თავში მოიცავს იარაღის მართლსაწინააღმდეგო მოპყრობასთან დაკავშირებულ ქმედებას და დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 236-ე მუხლით საჭირო არ არის.

დანაშაული არის ფორმალური შემადგენლობის. იგი დამთავრებულად ითვლება შეიარაღებული ფორმირების უკანონოდ შექმნის მომენტიდან, ან მაშინ, როცა პირი დაიწყებს ასეთი ფორმირების ხელმძღვანელობას. მძიმე შედეგის დადგომა სავალდებულო არ არის. (ამდენად, სახეზეა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი).

სსკ 223-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი პირი 14 წლის ასაკიდან.

სუბიექტური მხრივ იგი ხასიათდება პირდაპირი განზრახვით: პირს გაცნობიერებული აქვს, რომ უკანონოდ ქმნის რომელიმე შეიარაღებულ ფორმირებას და სურს ეს. მოტივი და მიზანი არაა ამ დანაშაულისათვის მაკვალიფიცირებელი. თუმცა აქვე უნდა გამოირიცხოს ზოგიერთი მათგანი. კერძოდ, არ შეიძლება უკანონო შეიარაღებული ფორმირების მიზანი იყოს თავდასხმის მოწყობა პირზე ან ორგანიზაციაზე. სწორედ ამ მიზნით განსხვავდება იგი ბანდიტიზმისაგან. ასევე არ შეიძლება მისი მიზანი იყოს ტერორისტული დანაშაულის ჩადენა. ასეთი მიზნის არსებობისას ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 327-ე მუხლით. ასევე უნდა გამოირიცხოს ამბოხების მიზანი როგორც უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნის მიზანი.

ხშირად შეიძლება არც იყოს კრიმინალური ქმედების ჩადენა, არამედ იგი მიზნად ისახავდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საკუთარი ძალებით, ქვეყნის ფაქტობრივად დაკარგული ტერიტორიის დაბრუნებას, ბრძოლას სეპარატისტების წინააღმდეგ და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიზანი თავისთავად არც დანაშაულებრივია და არც ზნეობის საწინააღმდეგო, მისი მიღწევის ხერხი (უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა) მართლსაწინააღმდეგოა.

უკანონო შეიარაღებული ფორმირების მიზანი შეიძლება იყოს კანონით აკრძალული ქმედების ჩადენაც. მაგალითად, ზეწოლა სახელმწიფო ორგანოზე, რაც გამოიხატება ადგილზე (მაგალითად, ავტონომიურ რესპუბ-

ლიკაში) ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შესუსტების მიზანში, ოღონდ აქ არ გამოიყენება თავდასხმა. თუ ფორმირება იყენებს თავდასხმას ხელისუფლების წინააღმდეგ, მაშინ სახეზეა ამბოხება ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით (315-ე მ. II ნაწ.).

სსკ 223-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობისათვის. ასეთ მონაწილეობას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირი გახდება რომელიმე უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის წევრი, ან დაიწყებს ხელმძღვანელის დავალების შესრულებას. ამასთანავე, მან ნამდვილად უნდა იცოდეს, რომ ეს ფორმირება უკანონოდ არსებობს და შეიარაღებულია.

ამ მუხლს აქვს წამახალისებელი შენიშვნა, რომელიც პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ჰპირდება, თუკი დაცული იქნება სამი პირობა: 1. პირმა ნებაყოფლობით უნდა შეწყვიტოს საქმიანობა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში. საქმიანობა ნებაყოფლობით შეწყვეტილად ჩაითვლება მაშინ, როცა მას ფაქტობრივი შესაძლებლობა ჰქონდა გაეგრძელებინა იგი. 2. პირმა უნდა ჩააბაროს იარაღი, რომელსაც ფლობს. ამ ნორმაში პირდაპირ არაა მითითებული, რომ იარაღი უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო ორგანოებს, რაც ამ ნორმის შინაარსს სადაოს ხდის;[1] 3. პირის ქმედებაში არ უნდა იყოს სხვა დანაშაულის ნიშნები. თუ პირის ქმედებაში უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მისი მონაწილეობის დღიდან არის რომელიმე დანაშაულის ნიშნები, იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება. მას პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ დანაშაულისათვის, რაც ჩაიდინა წევრად ყოფნისას (მაგ., მკვლელობისათვის).

ეს შენიშვნა ეხება როგორც ამ ფორმირების მონაწილეს, ისე მის შემქმნელსა და ხელმძღვანელს.

---

1 სასამართლო პრაქტიკაში დავის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია, შენიშვნაში დაფიქსირდეს, რომ იარაღი უნდა ჩაბარდეს ხელისუფლებას.

ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა (მუხლი 223[1])

სსკ 223[1] მუხლი სრულიად ახალი ნორმაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. კანონმდებლის მიზანია ქვეყნად აღმოფხვრას ე.წ. ქურდული სამყაროს და კანონიერ ქურდთა თვითნებობა.

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება. მისი ობიექტური მხარე ერთობ უჩვეულოდაა ფორმულირებული. ესაა: ქურდული სამყაროს წევრობა (I ნაწ.) და კანონიერი ქურდობა (II ნაწ.).

ქურდული სამყაროს წევრობის შინაარსის გასარკვევად უნდა განვსაზღვროთ ქურდული სამყაროს არსი. ამისათვის საჭიროა მივმართოთ საქართველოს 2005 წ. 20 დეკემბრის კანონს ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ. ამ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ქურდული სამყარო არის პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულისაკენ წაქეზებით მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება.

ამდენად, ქურდული სამყაროსათვის დამახასიათებელია რამდენიმე ნიშანი: 1. **ესაა პირთა ერთობა; 2. მათი მოქმედება (საქმიანობა)** შეესაბამება მათ მიერვე დადგენილ ან აღიარებულ (თუმცა სხვის მიერ დადგენილ) სპეციალურ წესებს ანუ ქურდულ კანონებს; 3. **ამ სამყაროს მიზანია** მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება საამისოდ სხვადასხვა ხერხის (დაშინება, მუქარა და ა.შ.) გამოყენებით. ამდენად სახეზეა ორგანიზებული დაჯგუფება თანაამსრულებლობის ფორმით. რაც შეეხება ქურდული სამყაროს წევრს, იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ამდენად, ქურდული სამყაროს წევრობა ობიექტური მხრივ გამოიხატება შემდეგ ქმედებებში: 1. პირმა უნდა აღიაროს ქურდული სამყარო (ე.ი. ამ სამყაროს მიერ დადგენილი ან აღიარებული სპეციალური წესები და მიზნები) ამასთან აღიარება ნიშნავს არა ცალმხრივ, არამედ ორმხრივ აღიარებას. ე.ი. ქურ-

დულმა სამყარომაც უნდა მიიღოს ეს პირი, აღიაროს იგი. და 2. პირმა აქტიურად უნდა იმოქმედოს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ამდენად, სსკ 223[1] მუხლის I ნაწილის ობიექტური მხარე არ გვექნება მხოლოდ მაშინ, როცა პირმა აღიარა (მაგალითად, დადო ფიცი და გახდა ამ სამყაროს წევრი) ქურდული სამყარო. აუცილებელია, მან აქტიურად იმოქმედოს ამ სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ქურდული სამყაროს პასიური წევრობა არ მოგვცემს განსახილველი ნორმის I ნაწილის შემადგენლობას. ასევე არ გვექნება ქურდული სამყაროს წევრობა, როცა პირს კავშირი არა აქვს ასეთ სამყაროსთან და მოქმედებს დამოუკიდებლად (მაგალითად, ქურდობს).

ამასთანავე აუცილებელია, რომ ქურდული სამყაროს წევრის მოქმედება (საქმიანობა) შეესაბამებოდეს ე.წ. „ქურდულ წესებს". მაგრამ როგორ უნდა გაარკვიოს სასამართლომ ეს? ამის დასადგენად, თავდაპირველად აუცილებელია, სასამართლომ მოიპოვოს ეს სპეციალური წესები, რათა შემდეგ დაადგინოს, შეესაბამება თუ არა პირის ქმედება მას, რადგანაც ყოველგვარი კრიმინალური გაერთიანება ქურდული სამყარო როდია (მაგალითად, რეკეტული დაჯგუფება). თუმცა საკითხავია, საიდან უნდა მოიპოვოს სასამართლომ ეს სპეც. წესები? მხოლოდ განსასჯელის ჩვენებით? თუკი იგი იტყუება ან დუმილის უფლებას იყენებს? გამოდგება ამ შემთხვევაში მტკიცებულებად ნაცნობ-მეზობლების აზრი ამ საკითხზე? რა თქმა უნდა არა? ესაა პრობლემა, რომლის გადაწყვეტის გზა არ არსებობს.

აქტიური მოქმედება ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად გულისხმობს ისეთი ქმედებების ჩადენას, როგორიცაა: დაშინება, მუქარა, იძულება, ქურდული გარჩევა, დანაშაულის ჩადენა, პირების გამოძებნა და მათი წაქეზება დანაშაულისაკენ, იმ ობიექტის მოძიება, საიდანაც შეიძლება ქონების ამოღება და ა.შ.

მუქარისა და იძულების არსი მოცემულია სსკ 151-ე და 150-ე მუხლებში. ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ქურდული გარჩევა ნიშნავს ქურდული სამყაროს წევრის მიერ ორ ან მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტას, რომელსაც ახლავს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო ქმედება. ამდენად, არ არსებობს ქურდული გარჩევა, როცა ქურდული სამყაროს წევრი ერთ პირს ურჩევს საქმეს იმავე ხერხის გამოყენებით. ამ დროს ადგილი აქვს აქტიურობის სხვა ხერხს (მაგ. დაშინებას).

რაც შეეხება დაშინებას აქ იგულისხმება ფსიქიკური ზემოქმედების ნებისმიერი ხერხი, გარდა 151-ე მ-ში არსებულისა. აქტიური მოქმედების ერთ-ერთი სახეა დუმილის პირობა, რომლის არსი არაა განმარტებული აღნიშნულ კანონში, რაც სასამართლო პრაქტიკაში სუბიექტივიზმის გასაქანს იძლევა. აქ უნდა ვიგულისხმოთ ისეთი შემთხვევა, როცა ქურდული სამყაროს წევრი დუმილის სანაცვლოდ ითხოვს სარგებლის მიღებას.

დანაშაული დამთავრებულია ქურდული სამყაროს აღიარებასთან ერთად ერთ-ერთი ქმედების ჩადენისთანავე (მაგალითად, მუქარის, ქურდული გარჩევის და სხვ.) და მნიშვნელობა არა აქვს მიაღწია თუ არა ქურდული სამყაროს წევრმა ამ სამყაროს მიზანს (სარგებლის მიღებას). როდესაც ქურდული სამყაროს წევრი ჩაიდენს კონკრეტულ დანაშაულს ამ სამყაროს მიზნის განსახორციელებლად, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ერთობლიობით. მაგალითად, თუ მან გაქურდა ბანკი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ქურდობით (სსკ 177-ე მუხ. მე-2 ნაწ. „ბ" პუნქ.), ასევე 223[1] მუხ. I ნაწილით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ უნდა ჩაითვალოს მართებულად, რადგანაც გამოდის, რომ ერთი და იგივე ქმედებას (ამ შემთხვევაში ქურდობას) ორჯერ ეძლევა სისხლისსამართლებრივი შეფასება: 177-ე მუხლით და ასევე 223[1] მუხლის I ნაწილით, რადგან ქურდული სამყაროს წევრობის ობიექტური მხარის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი (აქტიური მოქმედება ქურდული სამყაროს მიზნების მისაღწევად) ამ შემთხვევაში სწორედ ქურდობის ჩადენაში გამოიხატა. იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე, როცა ქურდული სამყაროს წევრი ჩადის იძულებას, მუქარას (150, 151-ე მუხ.), პირთა წაქეზებას ამა თუ იმ დანაშაულში. აქედან გამომდინარე, სს კოდექსში განსახილველი ნორმის შემოღების მიზანშეწონილობა საეჭვო ხდება.

ქურდული სამყაროს წევრობის ამსრულებელი (ანუ ქურდული სამყაროს წევრი) შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ იგი განზრახი დანაშაულია. კერძოდ, მისი ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ აღიარებს ქურდულ სამყაროს, არის სწორედ ამ სამყაროს წევრი და ასევე გაცნობიერებული აქვს, რომ ჩადის სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებს. პირდაპირ განზრახვასთან ერთად აუცილებელია სპეციალური მიზანი. კერძოდ, ქურდული სამყაროს წევრის მოქმედება

მიმართული უნდა იყოს ქურდული სამყაროს წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღებისკენ.

განსახილველი დანაშაულის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კანონიერი ქურდობისათვის.[1]

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, **კანონიერი ქურდი არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს** სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს. ამდენად, კანონიერი ქურდობის ობიექტური მხარე გამოიხატება ქურდული სამყაროს ან პირთა გარკვეული ჯგუფის მართვაში ან/და ორგანიზებაში ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად.[2]

ქურდული სამყაროს ორგანიზება ნიშნავს პირთა ერთობის (''ძმობა'') ჩამოყალიბებას. კერძოდ, წევრების გამოძებნასა და გადმობირებას, სპეციალური წესების დადგენას ან სხვის მიერ დადგენილი წესების აღიარებას, მის გაცნობას ქურდული სამყაროს წევრებზე, მათგან პირობის მიღებას, რომ დაემორჩილებიან ამ წესებს, ასევე სამოქმედო გეგმის შემუშავებას და ა.შ.

ამდენად, ქურდული სამყარო ორგანიზებულად ჩაითვლება მისი შექმნის, სათანადო მიზნისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების მომენტიდან. კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას ამ ქმედების (ქურდული სამყაროს ორგანიზების) კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ე.ი. სახეზეა ფორმალური დანაშაული.

რაც შეეხება ქურდული სამყაროს მართვას, ივი გამოიხატება ცალკეული დავალების მიცემაში ამ სამყაროს წევრებისათვის, კონკრეტული დანაშაულის ხელმძღვანელობაში, უდისციპლინო წევრის დასჯაში და ა.შ. ე.წ. კანონიერმა ქურდმა შეიძლება მართოს არა მარტო ქურდული სამყარო, არამედ პირთა გარკვეული სხვა ჯგუფიც, რომლებსაც არ უღიარებია ქურდული სამყარო და არც მისი წევრები არიან მაგრამ შეიძლება „საშველად'' მიმართეს „კანონიერ ქურდს'' ანდა „კანონიერი ქურდი'' იძულებისა თუ მუქარის გამოყენებით ახერხებს მათ მართვას, ე.ი. ახერხებს დაიმორჩი-

---

1 კანონმდებელი უფრო კორექტურული იქნებოდა, თუ აქ სიტყვას — კანონიერი — ჩასვამდა ბრჭყალებში, რადგან გაუმართლებელია კოდექსში კანონიერება უკანონობის მნიშვნელობით იყოს ნახმარი.

2 პრაქტიკულად შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ პირის ქმედება შეესაბამება ამ წესებს.

ლოს ისინი. მართალია, კანონის ტექსტიდან ნათლად არაა გამოკვეთილი, თუ რა იგულისხმება პირთა გარკვეულ ჯგუფში, მაგრამ სადავო არ უნდა იყოს, რომ ესაა როგორც წესი, კრიმინალური ჯგუფი, რადგანაც „კანონიერი ქურდი" მათ ქურდული კანონების შესაბამისად მართავს. ასევე შესაძლებელია პირთა გარკვეული ჯგუფი არ იყოს კრიმინალური. (მაგ. მეწარმეთა საქმიანობის მართვა). ე.წ. კანონიერი ქურდის ქმედება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ მართვაში ან ორგანიზების გაწევაში, ანდა მან შეიძლება ეს ორივე ფუნქცია შეასრულოს.

როგორც კანონიერი ქურდის ცნებიდან ჩანს, აუცილებელია, მისი საქმიანობა შეესაბამებოდეს ქურდული სამყაროს სპეციალურ წესებს (და არა მის მიერ ეთპიროვნულად დადგენილ წესებს). აქედან გამომდინარე, პირი რომ პასუხისგებაში მიეცეს კანონიერი ქურდობისათვის, უნდა დადასტურდეს, რომ იგი მოქმედებდა (მართავდა პირებს ან ორგანიზებას უწევდა მათ) სწორედ ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად. ამის დადგენა კი პრაქტიკულად შეუძლებელია. ამგვარად, „კანონიერი" ქურდის პასუხისგებაში მიცემისათვის არაა საკმარისი მხოლოდ ეს ფაქტი, რომ ეს პიროვნება საზოგადოებაში კანონიერი ქურდის სახელითაა ცნობილი, არამედ აუცილებელია მას დაუმტკიცონ, რომ მართავდა ან ორგანიზებას უწევდა ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს, სწორედ სპეციალური წესების შესაბამისად.

გარდა ამისა, ისმის კითხვა: რით განსხვავდება კანონიერი ქურდობა სსკ 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" პუნქტისაგან (ქურდობა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ)? სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდის დაკვალიფიცირდება ქმედება მხოლოდ ამ მუხლის (177) შესაბამისი ნაწილებით და როდის მასთან ერთად სსკ 223^1 მუხლის II ნაწილით? პასუხი შეიძლება იყოს ასეთი: „კანონიერი ქურდობა" სწორედ სპეციალური წესების შესაბამისი ქმედებით განსხვავდება სსკ 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" პუნქტისაგან.

სსკ 223^1 მუხლის II ნაწილის ამსრულებელი არის საერთო. სუბიექტური მხრივ ეს დანაშაულიც პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი.

განსახილველი დანაშაული უნდა განვასხვავოთ ბანდიტიზმისაგან: 1. ბანდიტიზმისათვის აუცილებელი ნიშანია შეიარაღება, რაც არაა დამახასიათებელი ჩვენს მიერ განსახილველი დანაშაულისათვის, 2. ბანდის მიზანია თავდასხმების მოწყობა (ე.ი. განგსტერული დანაშაულების ჩადენა), რაც

არაა დამახასიათებელი სსკ 223[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. 3. ბანდიტიზმისათვის არაა აუცილებელი სპეციალური წესების შესაბამისად მოქმედება, არამედ ეს წესი შეიძლება უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ იყოს შემოღებული ერთპიროვნულად; 4. ბანდიტიზმისათვის არაა აუცილებელი სარგებლობის მიღების მიზანი (თუმცა ხშირად ეს მიზანი ამოძრავებთ).

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ რადგან განსახილველი დანაშაული არაა დენადი ამ მუხლის მოქმედება უნდა გავრცელდეს იმ პირებზე, რომლებმაც ჩვენს მიერ განხილული ქმედებანი (აქტიური ქმედება, მაგ., ე.წ. „ობშიაკის" შეკრება) ჩაიდინეს 223[1] მუხლის ძალაში შესვლის შემდეგ და არა მანამდე.

ბანდიტიზმი (მუხლი 224-ე)

ბანდიტიზმისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება.

2006 წლის აპრილის საკანონმდებლო ცვლილებამდე სსკ 224-ე მუხლი ერთნაწილიანი იყო. ახლა იგი ორი ნაწილისაგან შედგება. ეს ცვლილება დაკავშირებულია არა მარტო საკანონმდებლო ტექნიკასთან, არამედ მან მნიშვნელოვნად შეცვალა ბანდიტიზმის შემადგენლობის (კერძოდ, ობიექტური მხარის) არსი.

ობიექტური მხრივ ბანდიტიზმი გამოისახება შემდეგი ქმედების ჩადენაში: ა) ბანდის შექმნა; ბ) ბანდის ხელმძღვანელობა; (I ნაწ). გ) ბანდაში მონაწილეობა ან დ) ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობა. (II ნაწ.)

ქმედების ბანდიტიზმით კვალიფიკაციისათვის საკმარისია ამ ქმედებათაგან ერთ-ერთის ჩადენა. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არაა აუცილებელი მძიმე შედეგის დადგომა. ბანდიტიზმი დენადი დანაშაულია. მისი ჩადენა იწყება ბანდის შექმნით ან ბანდაში მონაწილეობით და შემდეგ უწყვეტად მიედინება.

სანამ განვიხილავთ ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებებს, უნდა ჩამოვაყალიბოთ **ბანდისათვის დამახასიათებელი ნიშნები. 1. ბანდა არის** მყარი შეიარაღებული ჯგუფი, რომლის მიზანია თავდასხმის მოწყობა პირზე ან ორგანიზაციაზე. ჯგუფის სიმყარე გულისხმობს შემდეგი ნიშან-თვისების არსებობას: ა. ჯგუფიდან არ ხდება წევრთა თავისუფალი დენადობა ბ. ჯგუ-

ფისათვის დამახასიათებელია მტკიცე შინაგანი წესრიგი, ხელმძღვანელის ბრძანების უსიტყვო შესრულება; გ. ჯგუფი იქმნება ხანგრძლივი დროით სამოქმედოდ და არა ერთჯერადი თავდასხმის განსახორციელებლად.

მართალია, ბანდიტიზმი ორგანიზებული ჯგუფის ნაირსახეობაა, მაგრამ იგი განსხვავდება სსკ 27-ე მუხლის მე-3 ნაწილში აღწერილი ორგანიზებული ჯგუფისაგან თავისი სიმყარით.

2. ბანდა აუცილებლად უნდა იყოს შეიარაღებული. იარაღად შეიძლება იყოს გამოყენებული ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი. ამასთან, აუცილებელი არაა ბანდის ყველა წევრი იყოს შეიარაღებული. მთავარია, მან იცოდეს, რომ ბანდის სხვა წევრები შეიარაღებულნი არიან. თუ პირთა ჯგუფი აღჭურვილია სამეურნეო დანიშნულების დანებით, ხელკეტებითა და სხვა ნივთებით, იგი ბანდად არ ჩაითვლება. ვინაიდან შეიარაღება ბანდის აუცილებელი ნიშანია, იარაღის უკანონო შეძენა და ტარება ბანდიტიზმის შემადგენელი ნაწილია და დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს. იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (237 მ.) კი მოითხოვს ქმედების ერთობლიობით კვალიფიკაციას.

ბანდის შექმნა გულისხმობს ისეთი მოქმედების ჩადენას, რის შედეგადაც სახეზეა შეიარაღებული მყარი ჯგუფი, რომლის მიზანია პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმა. კერძოდ, ბანდის წევრების გამოძებნა და გადმობირება, იარაღის გამოძებნა, მისი შეძენა და ბანდის შეიარაღება, „წესდების“ შექმნა და გაცნობა ბანდის წევრებისათვის და ა.შ.

ბანდის ხელმძღვანელობა ნიშნავს ბანდის წევრებისათვის კონკრეტული დავალების მიცემას, მის შესრულებაზე კონტროლს, ბანდის შემდგომ მატერიალურ უზრუნველყოფას, ცალკეული თავდასხმის მომზადებას, მის განხორციელებაზე ზედამხედველობას, ურჩი წევრის დასჯას და ა.შ.

ბანდაში მონაწილეობა ნიშნავს პირის გაწევრიანებას ბანდაში, მონაწილეობის მიღებას იარაღის შეძენაში, თავდასხმის ობიექტის გამოძებნაში, თავდასხმის მომზადებაში და ა.შ. ამდენად, ბანდაში მონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს ყველა იმ ქმედებაში, რომელიც ხორციელდება ბანდის შექმნიდან თავდასხმის უშუალოდ განხორციელებამდე. „ბანდაში მონაწილეობა“ დამთავრებულია მაშინ, როცა პირი გაწევრიანდება მასში, თუნდაც ჯერ არ ჰქონდეს რაიმე ქმედება ჩადენილი.

ბანდაში მონაწილე შეიძლება იყოს არა მარტო ბანდის წევრი, არამედ სხვა პირიც, ვისაც გაცნობიერებული აქვს, რომ თავისი სისტემატური

(არანაკლებ სამჯერადი) ქმედებით დახმარებას უწევს ბანდას (მაგალითად, სისტემატურად ამარაგებს მათ იარაღით). თუ გარეშე პირი ერთჯერად დახმარებას უწევს ბანდას, იგი პასუხს აგებს როგორც თანამონაწილე, 25, 224. II ნ.

ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობა ნიშნავს, როგორც უშუალო მონაწილეობას თავდასხმაში, ასევე ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ბანდას უადვილებს თავდასხმის პროცესს. მაგალითად, შეიარაღებულ ბანდის წევრთა ნაწილი შეიჭრება შემნახველ ბანკში, ხოლო სხვები კი ახდენენ ბანკის შესასვლელის ბლოკირებას, რათა გამორიცხონ გარედან პირთა შესვლა შენობაში.

თავდასხმაში მონაწილე შეიძლება იყოს ის პირიც, ვინც არაა ბანდის წევრი, მაგრამ იცის, რომ ხელს უწყობს ბანდიტური თავდასხმის განხორციელებას. მაგალითად, ბანკის თანამშრომელი უშუალოდ მონაწილეობს ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმაში.

თავდასხმა ნიშნავს მოულოდნელ, აგრესიულ აქტს, რომელსაც თან ახლავს ძალადობა ან ძალადობის მუქარა. ბანდიტური თავდასხმა იმით განსხვავდება თავდასხმისაგან საერთოდ, რომ იგი ჩადენილია შეიარაღებული ბანდის წევრების მიერ, რაც ქმნის ამ იარაღის გამოყენების საშიშროებას, თუმცა ეს იარაღი კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს გამოყენებული პრაქტიკულად. მაგალითად, შეიარაღებული ბანდა თავს დაესხა მოქალაქის საცხოვრებელ სახლს, მაგრამ, ვინაიდან ოჯახის წევრები ძლიერი სიმთვრალის გამო უგრძნობ მდგომარეობაში იყვნენ, მათ იარაღის გამოყენება არ დასჭირდათ. ამდენად, შეიარაღება არის არა მარტო ბანდის დამახასიათებელი ნიშანი, არამედ ბანდიტური თავდასხმის ნიშანიცაა. სწორედ ეს ნიშანი ხდის ბანდიტურ თავდასხმას განსაკუთრებით საშიშს. ამასთანავე, აუცილებელია თავდასხმა მოაწყოს ბანდის არა ერთმა წევრმა, არამედ ბანდამ, ე.ი. რამდენიმე წევრმა მაინც.

2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე როდესაც ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმას თან ახლდა სხვადასხვა ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა (დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ, ძალმომრეობითი სქესობრივი დანაშაული, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ძალმომრეობითი დანაშაული, იარაღის ან ნარკოტიკულ საშუალებათა მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და ა.შ.), ქმედების კვალიფიკაცია ხდებოდა მხოლოდ სსკ 224-ე მუხლით და დამატებით კვალიფიკაცია შესაბამისი

მუხლებით საჭირო არ იყო. ეს იმიტომ, რომ: 1) „თავდასხმა“ ფართო ცნებაა და მოიცავს ძალმომრეობით დანაშაულთა მთელ წრეს; და

2) 224-ე მუხლის სანქცია უფრო მკაცრი იყო, ვიდრე ჩამოთვლილი დანაშაულებისა.

დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით 224-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სანქცია მნიშვნელოვნად მსუბუქია, ამავე მუხლის I ნაწილის სანქციასთან შედარებით (I ნაწილით – თ.ა. თორმეტიდან ოც წლამდე, ხოლო მეორე ნაწილით – თ.ა. შვიდიდან თორმეტ წლამდე). აქედან გამომდინარე, თუ ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმას თან ახლავს ისეთი დანაშაულების ჩადენა, როგორიცაა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ძალმომრეობითი სქესობრივი დანაშაული, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ძალმომრეობითი დანაშაული და სხვა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – ბანდიტიზმით და შესაბამისი მუხლით (მაგალითად, 224-ე და 179-ე მუხლით ყაჩაღობით). კანონმდებლის მიერ საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ უნდა ჩაითვალოს მართებულად, რადგანაც ბანდის მიერ მოწყობილი თავდასხმა სხვა არაფერია, თუ არა რაიმე ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა და მისი სამართლებრივი შეფასება 224-ე მუხლშივე უნდა იყოს შესაძლებელი. თუკი ყოველგვარ ძალმომრეობით დანაშაულს ცალკე მუხლით მივცემთ კვალიფიკაციას, მაშინ საერთოდ რა მიზანი აქვს 224-ე მუხლის არსებობას. ამდენად, ამ მუხლის ორ ნაწილად გაყოფა გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს.

ბანდიტიზმი ფორმალური დანაშაულია. იგი დამთავრებულად ითვლება ბანდის შექმნის მომენტიდან, თუნდაც მას ჯერ არ ჰქონდეს ჩადენილი არც ერთი თავდასხმა. მიჩნეულია, რომ მყარი შეიარაღებული ჯგუფის არსებობა, რომლის მიზანიც თავდასხმის განხორციელებაა, იმთავითვე ძირს უთხრის საზოგადოების უშიშროებას და სწორედ ამით არის განპირობებული ბანდიტიზმის ესოდენ შეკვეცილი შემადგენლობა.

თუ ბანდის შემქმნელი შემდგომში მისი ხელმძღვანელიც გახდება და თავდასხმებშიც მიიღებს მონაწილეობას, მას ყველა ეს ქმედება უნდა წარედგინოს ბრალად, რაც ზეგავლენას მოახდენს სასჯელის დანიშვნაზე. თუმცა მისი ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სსკ 224-ე მუხლის მხოლოდ I ნაწილით.

ამასთანავე ბანდის ხელმძღვანელი პასუხს აგებს ბანდის მიერ მოწყო-

ბილ ყველა თავდასხმაზე, თუ ამას მოიცავდა მისი განზრახვა. თუ რომელიმე თავდასხმა განხორციელდა ისე, რომ ეს არ იცოდა ხელმძღვანელმა, იგი პასუხს აგებს ბანდის შექმნისთვის. ბანდის წევრი კი ცალკეული თავდასხმისათვის მაშინ აგებს პასუხს, თუ იგი მონაწილეობდა მის მომზადებაში მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი პასუხს აგებს მხოლოდ ბანდაში მონაწილეობისათვის.

ბანდის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ხერხი პირდაპირაა მითითებული კანონში, ესაა თავდასხმა.

ბანდიტიზმი რამდენადმე ჰგავს ყაჩაღობას, ამიტომ საჭიროა მათი ურთიერთგამოყვნა:

1. ყაჩაღობა შეიძლება ჩაიდინოს ერთმა პირმაც, ხოლო ბანდა აუცილებლად გულისხმობს პირთა ჯგუფს;

2. ყაჩაღები შეიძლება არ იყვნენ შეიარაღებული, ხოლო ბანდა აუცილებლად შეიარაღებულია.

3. ჯგუფური ყაჩაღობა შეიძლება გამიზნული იყოს ერთჯერადი თავდასხმის განხორციელებისათვის, ხოლო ბანდის მიზანია რამდენიმე თავდასხმის მოწყობა. ამდენად, ბანდა შეიარაღებულ პირთა მყარი ჯგუფია.

4. ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობა შესაძლებელია, არ იყოს შეიარაღებული, ხოლო თუ შეიარაღებულია, არ უნდა იყოს მყარი ჯგუფი. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზეა ბანდა.

5. ყაჩაღობის მიზანია სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება თავდასხმის გზით, ხოლო ბანდიტებს მიზნად შეიძლება ჰქონდეთ არა მარტო სხვისი ნივთის დაუფლება თავდასხმის გზით, არამედ სხვა აგრესიული დანაშაულის ჩადენაც (მაგალითად, სქესობრივი დანაშაულის, ადამიანის უკანონო თავისუფლების აღკვეთის და სხვ.).

ამდენად, როცა სახეზეა პირთა მყარი ჯგუფი, რომელიც შეიარაღებულია და გამიზნული აქვს რამდენიმე ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა თავდასხმის გზით, სახეზეა ბანდიტიზმის შემადგენლობა. აქედან ერთ-ერთი ნიშნის არარსებობა გამორიცხავს ბანდიტიზმის შემადგენლობას.

ბანდიტიზმის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი.

სუბიექტური მხრივ ბანდიტიზმი ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ თავდასხმის განხორციელების მიზნით ქმნის შეიარაღებულ დაჯგუფებას ან ხელმძღვანელობს მას. ასევე გაცნობიერე-

ბული აქვს, რომ მონაწილეობს ბანდაში ან მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში. თუკი პირი შეცდომით ფიქრობს, რომ მონაწილეობას იღებს ყაჩაღურ თავდასხმაში, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობად.

ბანდიტიზმის მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, რაც შეეხება მიზანს, იგი დაკონკრეტებულია – თავდასხმა პირზე ან ორგანიზაციაზე. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება ბანდის შექმნა ისეთი თავდასხმის მოსაწყობად, რომლის მიზანია სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ხელყოფა ან ტერორისტული ქმედების ჩადენა. ასეთ შემთხვევაში პირთა ჯგუფის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით.

რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა (მუხლი 224[1])

2004 წლის 24 ივნისის კანონით საქართველოს სსკ კოდექსის ზოგად ნაწილს დაემატა ახალი 17[1] მუხლი – რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტი.[1] ხოლო 2006 წლის 25 ივლისის კანონით სსკ კერძო ნაწილს დაემატა 224[1] მუხლი – რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა.

საერთოდ რეკეტი ნიშნავს გამოძალვას, მაგრამ ჩვენი კანონმდებელი მასში გამოძალვას არ გულისხმობს.[2]

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება. ობიექტური მხრივ იგი მოქმედებაში გამოიხატება და რაიმე მძიმე შედეგის დადგომა არაა აუცილებელი დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის. ამდენად, სახეზეა ფორმალური შემადგენლობა. განსახილველ ნორმაში მოცემულია რამდენიმე ალტერნატიული ქმედება, საიდანაც ერთ-ერთია დამოუკიდებლად ან სხვა პირთან ერთად (პირებთან) რეკეტული დაჯგუფების საქმიანობის წარმართვა. ეს იმას ნიშნავს, რომ პირი თავად დამოუკიდებლად ან სხვასთან წარმართავს (ხელმძღვანელობს) რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას. ამდენად, სახეზეა დანაშაულებრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი სახე – რეკეტული დაჯგუფება. იმისათვის, რომ გავიგოთ რეკეტული დაჯგუფების

1 იხ. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 149-151.

2 ამ ნორმათა მოდელი აღებულია აშშ მოქმედი „რიკო"-ს კანონიდან.

არსი, ჯერ უნდა გავერკვეთ თავად რეკეტის ცნებაში. **სსკ 17[1] მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, რეკეტი არის შემოსავლის (მაგალითად, ფულის) ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის (მაგ., უფასო მოგზაურობის) სისტემატურად (არანაკლებ სამჯერ) მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ ეს დანაშაული განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში (ამ დროში არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა).**

როგორც ვხედავთ, განზრახი დანაშაულის არაერთგზისი ჩადენა რეკეტად რომ ჩაითვალოს, რეკეტირის საქმიანობა უნდა იყოს არა მარტო არაერთჯერადი, არამედ ორგანიზებულიც (ორგანიზებული ჯგუფის ცნება მოცემულია 27-ე მუხლის მე-3 ნაწილში). ამიტომ რეკეტად ჩაითვლება არაერთჯერადად და ორგანიზებულად მითვისების ჩადენა ორჯერ ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში; ასევე ქრთამის აღება იმავე პირობებისას და ა.შ. ე.ი. ყოველგვარი თუნდაც არაძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა მე-17[1]-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ ვითარებაში სარგებლის მიღების მიზნით რეკეტია, რაც არ მიგვაჩნია გამართლებლად და არ პასუხობს „რეკეტის“ არსს.

რაც შეეხება რეკეტულ დაჯგუფებას, ასეთად ითვლება თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული იურიდიული პირი, აგრეთვე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა ერთობისმიერი გაერთიანება.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის **შემდეგი ნიშანია სხვაგვარი მონაწილეობა რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში.** აქ იგულისხმება რეკეტული დაჯგუფების საქმიანობისათვის ხელის შეწყობა (და არა ხელმძღვანელობა). მაგალითად, რაიმე განზრახი დანაშაულის ჩადენა გამორჩენის მისაღებად.

ამ დანაშაულის ობიექტური მხარის **შემდეგი ნიშანი – დავების უკანონოდ გადაწყვეტა,** რეკეტულ **დაჯგუფებათა შორის** ან რეკეტული დაჯგუფებასა და სხვა პირს შორის ნიშნავს იმას, რომ რეკეტირი სათანადო კანონიერი საფუძვლის გარეშე, თვითნებურად წყვეტს ამგვარ დავებს, ე.ი. ასრულებს მოსამართლის როლს. ასეთი დავები, როგორც წესი, ქონებრივი ხასიათისაა.

რაც შეეხება დავების გადაწყვეტაში მონაწილეობას, ამ დროს რეკე-

ტირი არ ასრულებს ერთპიროვნული მოსამართლის როლს, მაგრამ სხვა რეკეტირთან ერთად ამ პროცესის მონაწილეა.

როცა დავა მიმდინარეობს რეკეტულ დაჯგუფებათა შორის, ამ დროს სულ მცირე ორი რეკეტული დაჯგუფება უნდა იყოს ჩართული ამ დავაში, სხვა პირი კი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი (14 წელს მიღწეული, შერაცხადი).

რეკეტულ დაჯგუფებას შორის დავის გადაწყვეტა უნდა განვასხვავოთ ქურდული გარჩევისაგან (223[1] მ.) ქურდული გარჩევის დროს ქურდული სამყაროს წევრი წყვეტს ორ ან მეტ პირს შორის არსებულ დავას და ამ დროს საქმის გარჩევას თან უნდა ახლდეს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო მოქმედება (მაგალითად, ბოროტი დაცინვა და აბუჩად აგდება), რაც არაა აუცილებელი რეკეტული გარჩევის დროს. გარდა ამისა, ქურდული გარჩევისას დავას წყვეტს ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც მოქმედებს ე.წ. „ქურდული კანონებით“ და სწორედ ამ „კანონის“ შესაბამისად წყვეტს მხარეთა შორის არსებულ დავას. ხოლო რეკეტული გარჩევა არ ექვემდებარება რაიმე წინასწარ დადგენილ წესს, ამდენად რეკეტული გარჩევა შეიძლება იყოს უფრო სასტიკი.

სსკ 224[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელია რეკეტირი – 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, ასევე იურიდიული პირი.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული განზრახია, კერძოდ, მისი ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით.

მასობრივი არეულობა (მუხლი 225-ე)

მასობრივი არეულობა არის პროტესტის გამოხატვის მარლთსაწინააღმდეგო ფორმა. ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება. დამატებით ობიექტად შეიძლება მოგვეველინოს ასევე საკუთრებითი ურთიერთობა და ადამიანის ჯანმრთელობა. იგი ორგანიზებული დანაშაულის ნაირსახეობაა.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება სხვადასხვა ალტერნატიული მოქმედების ჩადენით, მისი დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს მძიმე შედეგის დადგომას. ეს მოქმედებებია: მასობრივი არეულობის ორგანიზება ან მისი ხელმძღვანელობა. მასობრივ არეულობად ჩაითვლება მასების მიერ ჩადენილი ქმედება, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, ცეცხლის წაკიდება, იარაღის ან ასაფეთქებელი მოწყობილობის

გამოყენება ანდა ხელისუფლების წარმომადგენლისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობა. მასად უნდა ჩაითვალოს რამდენიმე ასეული ადამიანი. თუ იგივე ქმედებას სჩადის პირთა მცირე ჯგუფი, სახეზე არ გვაქვს სსკ 225-ე მუხ.

მასობრივი არეულობის ორგანიზება გამოიხატება არეულობის ადგილის შერჩევაში, მასობრივი არეულობის დროისა და მისი ჩადენის ხერხის განსაზღვრაში, მასების თავმოყრაში ამ ადგილას და სხვ.

მასობრივი არეულობის ხელმძღვანელობა კი შეიძლება გამოიხატოს არეულობის დროს მასებისათვის მითითების მიცემაში, თუ კონკრეტულად რა ქმედება ჩაიდინონ მათ, მოწოდებაში, არ შეწყვიტონ არეულობა და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა მასა (ბრბო) დაიწყებს სხვადასხვა ქმედების ჩადენას (ძალადობას, რბევას და ა.შ.)

ძალადობა, რომელიც თან ახლავს მასობრივ არეულობას, შეიძლება გამოიხატოს ცემაში, დაცული ობიექტის კარების შემტვრევასა და იქ ძალდატანებით შეღწევაში, სხვისთვის ჯანმრთელობის მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაში.

რბევის დროს მასობრივი არეულობის მონაწილეებმა შეიძლება შენობა-ნაგებობებში ან ქუჩებში განლაგებული ნივთები სტიქიურად მიყარ-მოყარონ ან დააზიანონ.

ცეცხლის წაკიდებას ადგილი აქვს როგორც შენობების ან მასში არსებული ნივთების, ისე ქუჩებსა თუ მოედნებზე არსებული საგნების მიმართ. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, განადგურდება ან დაზიანდება თუ არა ცეცხლწაკიდებული საგანი.

მასობრივ არეულობას **შეიძლება თან ახლდეს ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის გამოყენება** როგორც წინააღმდეგობის დაძლევის, მიზნით, ისე შურისძიების მიზნით იმ პირის მიმართ, ვისი ქმედებითაც განაწყენებული არიან მასები. ასაფეთქებელი მოწყობილობა კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც შენობა-ნაგებობაში შეღწევისათვის, ისე ქონების გასანადგურებლად.

ამ დროს არაა საჭირო დამატებითი კვალიფიკაცია 236-ე მუხლით.

მასობრივ არეულობას შეიძლება **თან ახლდეს როგორც ცეცხლსასროლი, ისე ცივი იარაღის გამოყენება ხელისუფლების წარმომადგენლისადმი,** რომელიც ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას. ხელისუფლების წარმომადგენლად ჩაითვლება ის სახელმწიფო მოხელე, რომელსაც უფლება აქვს შესასრულებლად სავალდებულო ბრძანება გასცეს არა მარტო იმ

პირებზე, ვინც მას სამსახურებრივად ექვემდებარება, არამედ პირთა სხვა განუსაზღვრელი წრის მიმართაც. ამგვარი წინააღმდეგობის გაწევის შედეგად ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეიძლება ვერ შეძლონ თავიანთი მოვალეობის შესრულება ან მასებმა ისინი გარეკონ შემთხვევის ადგილიდან. ასევე შეიძლება დადგეს ხელისუფლების წარმომადგენელთა ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. თუმცა დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არაა სავალდებულო ამ შედეგის დადგომა. მთავარია, ადგილი ჰქონდეს შეიარაღებული წინააღმდეგობის ფაქტს. ამდენად, მასობრივი არეულობა ფორმალური დანაშაულია.

თუ მასობრივ არეულობას შედეგად მოჰყვა ქონების გატაცება, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიკვდილი, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

დანაშაულის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ დანაშაული გულისხმობს განზრახვას. კანონში მითითებული ქმედებების მიმართ ბრალი გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, ხოლო იმ შედეგების მიმართ, რაც შეიძლება დადგეს მასობრივი არეულობის დროს (ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ქონების განადგურება ან დაზიანება), განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი.

მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, იგი შეიძლება იყოს შურისძიება რომელიმე სახელმწიფო მოხელის ან ორგანოს ქმედებისათვის (მაგალითად, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ხელფასს არ აძლევს მუშაკებს და ისინი შურისძიების მიზნით აწყობენ მასობრივ არეულობას) და სხვა პირადი მოტივი, რაც მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს. აქვე უნდა გამოვრიცხოთ ანტისახელმწიფოებრივი მიზანი (315-ე მუხ.)

225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში მონაწილეობისათვის. ამდენად, 1-ლი ნაწილით ისჯება მასობრივი არეულობის ორგანიზატორი ან ხელმძღვანელი, ხოლო მე-2 ნაწილით — მასობრივი არეულობის რიგითი მონაწილე.

ეს დანაშაული განსხვავდება ხულიგნობისაგან. ჯერ ერთი, ხულიგნობა შეიძლება ჩაიდინოს ერთმა პირმაც, ხოლო განსახილველი დანაშაული კი — მასამ; მეორე, მასობრივი არეულობის მონაწილენი არ გამოხატავენ

აშკარა უპატივცემულობას საზოგადოებისადმი, მათი მიზანი არაა საზოგადოებისადმი უპატივცემულობის დემონსტრირება.

ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მასში აქტიური მონაწილეობა (მუხლი 226-ე)

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში (უმოქმედობითაა უმეტესწილად ჩადენილი ხელისუფლების წარმომადგენლისადმი დაუმორჩილებლობა). კერძოდ, დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება იმაში, რომ პირი ორგანიზებას უკეთებს ჯგუფურ მოქმედებას. ეს მოქმედება კი: ა) უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს; ან ბ) დაკავშირებულია ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობასთან; ან გ) იწვევს ტრანსპორტის, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობის შეფერხებას. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ასევე ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებაში აქტიური მონაწილეობით.

ჯგუფური მოქმედების ორგანიზება სახეზეა, როცა პირი, შეკრებს ხალხს, მოუწოდებს პირებს ქმედების ჩადენისაკენ, აძლევს მათ მითითებებს და ა.შ. ამდენად, აქ სახეზეა ამ ქმედების ორგანიზატორი. ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას შედეგად უნდა მოჰყვეს საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა.

საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ქუჩაში მოძრაობის შეფერხებაში, კონცერტისა თუ სხვა გასართობსანახაობითი პროგრამის, კრების, წვეულების ჩაშლაში და ა.შ. ამდენად, ცხოვრების ნორმალური რიტმის შეფერხებაში.

ჯგუფური მოქმედება შეიძლება გამოიხატოს არა მარტო საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევაში, არამედ ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობაში.

ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობის დროს არაა აუცილებელი ადგილი ჰქონდეს საზოგა-

დებრივი წესრიგის უხეშ დარღვევას. ხელისუფლების წარმომადგენლად ითვლება პირი, ვისაც უფლება აქვს შესასრულებლად სავალდებულო ბრძანება გასცეს იმ პირებზე, რომლებიც მას სამსახურებრივად არ ექვემდებარებიან (პოლიციის, პროკურატურის თანამშრომლები და ა.შ.). ხელისუფლების წარმომადგენლის მოთხოვნა უნდა იყოს კანონიერი (მაგალითად, გაათავისუფლონ უკანონოდ დაკავებული ადგილი), რასაც აშკარად არ ემორჩილებიან ჯგუფური მოქმედების ორგანიზატორი და მონაწილენი. აშკარა დაუმორჩილებლობა შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ ორგანიზატორი მოუწოდებს ჯგუფური მოქმედების მონაწილეებს, არ შეასრულონ ეს ბრძანება, არ დატოვონ დაკავებული ადგილი და, პირიქით, უფრო მყარად გამაგრდნენ ადგილზე. ამ დაუმორჩილებლობას შეიძლება მოჰყვეს ხელისუფლების წარმომადგენელთა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, რაც არ მოითხოვს დამატებით კვალიფიკაციას.[1]

ჯგუფური მოქმედების ორგანიზებამ შეიძლება გამოიწვიოს ტრანსპორტის, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება. მაგალითად, შეაფერხოს ქალაქში მიმავალი ტრანსპორტის ნორმალური მსვლელობა. სსკ 226-ე მუხლის შემადგენლობის ეს ნაწილი ემსგავსება 222^1-ე მუხლის შემადგენლობას, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირების ორგანიზებისათვის, რამაც შეაფერხა რკინიგზის, საჰაერო, წყლისა და მაგისტრალური მილსადენი ტრანსპორტის ნორმალური მუშაობა. საქმე ისაა, რომ 226-ე მუხლით გათვალისწინებულ „ტრანსპორტის მუშაობაში“ იგულისხმება ყველა სახის ტრანსპორტი, მათ შორის ისიც, რომელიც ჩამოთვლილია 222^1-ე მუხლის შემადგენლობაში. ასეთი დამთხვევის მიუხედავად, ამ ორ ნორმას შორის არის განსხვავება და იგი შემდეგშია: 1. 222^1-ე მუხლით სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირების ორგანიზების ხერხია დაბრკოლების შექმნა, საგუშაგოების მოწყობა ან სხვა მართლსაწინააღმდეგო საშუალების გამოყენება, ხოლო 226-ე მუხლით ტრანსპორტის მუშაობის შეფერხებას იწვევს ადამიანთა ჯგუფური მოქმედება, ე.ი. თვით ადამიანები უშლიან ხელს ტრანსპორტის მუშაობას; 2. 222^1-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება იწვევს არა ყველა სახის ტრანსპორტის, არამედ მხოლოდ ამ მუხლში ჩამოთვლილი ტრანსპორტის მუშაობის

1 უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების წარმომადგენლის თუნდაც კანონიერი მოთხოვნისადმი პასიური დაუმორჩილებლობისთვის სს პასუხისმგებლობის დაწესება არ უნდა ჩაითვალოს სამართლიანად ეს მუხლი პოლიტიკური რეპრესიისათვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს.

შეფერხებას. 226-ე მუხლით გათვალისწინებული ჯგუფური მოქმედების ორგანიზება კი აფერხებს საერთოდ ტრანსპორტის (მათ შორის ქალაქში მიმავალ) ნორმალურ მუშაობას. ჯგუფური მოქმედების ორგანიზებით ასევე შეიძლება მოქალაქეებმა დაიკავონ სხვადასხვა საწარმო, დაწესებულების ან ორგანიზაციის შესასვლელი ან შენობის შიდა ნაწილი, თანამშრომლებს არ მისცენ თავისუფალი შესვლა-გამოსვლის საშუალება, რითაც შეაფერხონ მისი ნორმალური მუშაობა. ეს დაწესებულება არ უნდა იყოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი (სსკ 222-ე მუხ.).

ჯგუფურ მოქმედებაში აქტიური მონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ ჯგუფის წევრი უშუალოდ მონაწილეობს ამ ნორმით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში (მაგალითად, საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევაში). თუ ჯგუფის წევრი არის პასიური მაყურებლის როლში, იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში არ მიეცემა.

განსახილველი დანაშაული ასევე უნდა განვასხვაოთ ხულიგნობისაგან, რომელიც ასევე უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს: 1. ხულიგნობის ჩადენა შეუძლია ერთ პირსაც, ხოლო განსახილველ დანაშაულს სჩადის პირთა ჯგუფი, რომელსაც ჰყავს ორგანიზატორი; 2. ხულიგანი გამოხატავს თავის აშკარა უპატივცემულობას საზოგადოებისადმი, ხოლო განსახილველი დანაშაულის ჩამდენთ ასეთი მიზანი არ ამოძრავებთ; ისინი ამ ქმედებებით გამოხატავენ პროტესტს; 3. ხულიგნობა ჩადენილი უნდა იყოს ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რაც 226-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას თან არ ახლავს.

ამდენად, სსკ 226-ე მუხლის ამსრულებელია ამ ქმედების ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე, რომელიც შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ იგი გამოიხატება განზრახვაში. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ისეთ ჯგუფურ მოქმედებას უკეთებს ორგანიზებას, რომელიც უხეშად დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ასევე გაცნობიერებული აქვს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერ მოთხოვნას აშკარად არ ემორჩილება, აფერხებს ტრანსპორტის, საწარმოდაწესებულებათა ან ორგანიზაციათა მუშაობას, ან გაცნობიერებული აქვს, რომ აქტიურად მონაწილეობს ამ ქმედებაში.

მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება იყოს განაწყენება ხელისუფლების რომელიმე ორგანოსა თუ

კონკრეტული ორგანიზაციის თანამდებობის პირის საქმიანობაზე და სხვ. მიზანი შეიძლება იყოს ის, რომ აიძულონ ხელისუფლება ან კონკრეტული სახელმწიფო მოხელე, მიიღოს მათთვის სასურველი გადაწყვეტილება და ა.შ.

საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (მუხლი 227-ე)

ეს ნორმა ეყრდნობა ისეთ საერთაშორისო კონვენციებს, როგორიცაა „საჰაერო ხომალდში ჩადენილ დანაშაულობათა და ზოგიერთ სხვა მოქმედებათა შესახებ", ასევე კონვენცია საჰაერო ხომალდის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" და სხვ.

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება. დამატებითი ობიექტია ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა. დანაშაულის საგანია საჰაერო ან წყლის ხომალდი, ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა.

საჰაერო ხომალდი არის მფრინავი აპარატი, რომელიც გამიზნულია ადამიანთა გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად. საჰაერო ხომალდად ითვლება ასევე სპორტული ხომალდი (საჰაერო ბურთი, დირიჟაბლი და სხვ.).

წყლის ხომალდი არის ისეთი საშუალება, რომლითაც ხდება წყალზე ან წყლის ქვეშ ხალხის გადაყვანა ან ტვირთის გადაზიდვა. წყლის ტრანსპორტი მოძრაობს ოკეანეში, ზღვაზე, ტბაზე, მდინარეზე. წყლის ტრანსპორტს მიეკუთვნება გემი, თბომავალი, წყალქვეშა ნავი, კატერი, საზღვაო იახტა და სხვ. მას უნდა ჰქონდეს შიდაწვის ძრავა. წყლის ტრანსპორტად არ უნდა ჩაითვალოს ნიჩბიანი ნავი, რადგან მას არ შეუძლია განავითაროს ისეთი სისწრაფე, რითაც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ უშიშროებას, ამდენად, ეს ნავი არ ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო რეგისტრაციას. თუ ადგილი აქვს ნიჩბიანი ნავის დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებით მიზნით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით.

რკინიგზის მოძრავ შემადგენლობად ითვლება მექანიკური ტრანსპორტი, რომელიც მოძრაობს რელსებზე და განკუთვნილია ადამიანების

გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად. მათ მიეკუთვნება ლოკომოტივი, ვაგონები, მათ შორის მეტროპოლიტენის ვაგონიც და სხვ. 2007 წ. 23 მაისის საკანონმდებლო ცვლილებამდე 227-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნად არ ითვლებოდა ქალაქში მავალი ტრამვაი. მისაკუთრების მიზნის გარეშე მისი დაუფლებისას ქმედება კვალიფიცირდებოდა სსკ 184-ე მუხლით. ვინაიდან დღეისათვის 184-ე მუხლი სს კოდექსიდან ამოღებულია, შეიძლება დაისვას საკითხი, ხომ არ დავაკვალიფიციროთ ასეთი ქმედება 227-ე მუხლით? თუკი ტრამვაის დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ უშიშროებას, შესაძლოა, ქმედების კვალიფიკაცია 227-ე მუხლით, რაც შეეხება კონკრეტულ საწარმოს ტერიტორიაზე მოძრავი რკინიგზის ტრანსპორტის დროებით დაუფლებას, იგი არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებრივ უშიშროებას. ამდენად, ქმედება არ კვალიფიცირდება 227-ე მუხლით.

ობიექტური მხრივ სსკ 227-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამოიხატება ჩამოთვლილ სატრანსპორტო **საშუალებათა მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში**.

დაუფლება მართლსაწინააღმდეგოა მაშინ, როცა პირს არა აქვს მასზე კანონიერი უფლებამოსილება. მართლსაწინააღმდეგო დაუფლება შეიძლება განახორციელოს როგორც შესაბამისი დაწესებულების თანამშრომელმა (მაგალითად, მატარებლის მემანქანემ), რომელსაც მოცემულ შემთხვევაში არ ჰქონდა უფლება დაუფლებოდა მას, ასევე სხვა პირმა. დაუფლება შეიძლება განხორციელდეს ფარულად, აშკარად, მათ შორის ისეთი ძალადობის ან მუქარის გამოყენებით, რაც არაა საშიში სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის (227-ე მ. I ნ.). დაუფლებისათვის პირმა შეიძლება გამოიყენოს მოტყუება როგორც ყალბი დოკუმენტის გამოყენებით, ისე მის გარეშე. თუ აღნიშნულ ქმედებას თან ახლავს ამ სატრანსპორტო საშუალებაში მყოფ პირთა თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან მძევლად ხელში ჩაგდება, ქმედება 227-ე მუხლთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს შესაბამისი მუხლებით.

განსახილველი **დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა**, იგი დამთავრებულად ითვლება ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მომენტიდან და მძიმე შედეგის დადგომას მნიშვნელობა არა აქვს.

დაუფლებულად სატრანსპორტო საშუალება მაშინ ჩაითვლება, როცა

პირი ხელთ იგდებს მას და მიეცემა მასზე კონტროლისა და შეხედულებისამებრ გადაადგილების შესაძლებლობა (მაგალითად, გატაცების შესაძლებლობა).

დანაშაულის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. **სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული ხასიათდება პირდაპირი** განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ სათანადო ნებართვის გარეშე, უკანონოდ ეუფლება საჰაერო ან წყლის ხომალდს, ანდა რკინიგზის მოძრავ შემადგენლობას.

მოტივი და მიზანი შესაძლებელია იყოს სხვადასხვა პირადული ხასიათის და მას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ქმედების 227-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს საჰაერო ან წყლის ხომალდის თუ რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის დაუფლება ხდება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თუ ასეთი მიზნის გარეშე (მაგალითად, დროებით). თუმცა პრაქტიკაში გავრცელებულია მისი დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე.

როდესაც ადგილი აქვს ცურვაში მყოფი წყლის ხომალდის დაუფლებას თავდასხმის გზით, მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ქმედება დაკვალიფიცირდება მეკობრეობად.

სსკ 227-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით დამამძიმებელი გარემოებაა **იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.** სსკ 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებათა მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. ამდენად, სულ მცირე ორი პირი, წინასწარ შეკავშირდნენ მანამ, სანამ უშუალოდ შეუდგებოდნენ სატრანსპორტო საშუალებათა მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას. ამასთანავე, შემდეგ ორივე უშუალოდ უნდა იყოს ამ ქმედების (დაუფლების) ამსრულებელი. თუ მხოლოდ ერთი პირი აღასრულებს სატრანსპორტო საშუალების დაუფლებას, ხოლო მეორე არის ორგანიზატორი, წამქეზებელი ან დამხმარე, ქმედება არ დაკვალიფიცირდება II ნაწილით. ასევე თუ ერთი პირი უკვე შეუდგა საჰაერო ან წყლის ხომალდის, ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის დაუფლებას და სანამ საბოლოოდ დაუფლებოდა მას, წინასწარ შეთანხმების გარეშე შეუერთდა მეორე პირი, ქმედება არ დაკვალიფიცირდება 227 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით.

თუ განსახილველი დანაშაული ჩაიდინა შეიარაღებულმა ბანდამ, 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, **ჩადენილი არაერთგზის**. არაერთგზისობა სახეზეა მაშინ, როცა პირი ნასამართლევი იყო ამ დანაშაულისათვის და ნასამართლობა არაა მოხსნილი ან გაქარწყლებული.

შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა **იგივე ქმედება, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით**, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით. ამ შემთხვევაში პირი დანაშაულის ჩასადენად იყენებს ისეთ ხერხს, რაც დამახასიათებელია ყაჩაღობისათვის. სიცოცხლისათვის საშიშია ძალადობა, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და შესაძლებელია გამოიწვიოს სიკვდილი. მაგალითად, პირის გადმოგდება დიდი სიმაღლიდან, თავში მძიმე საგნის ჩარტყმა, თავზე პოლიეთილენის პარკის ჩამოცმა, პირში ჩვრის ჩაჩრა და ა.შ. ჯანმრთელობისათვის საშიშია ისეთი ძალადობა, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და შეიძლება გამოიწვიოს მისი სხვადასხვა ხარისხით დაზიანება (მაგალითად, ცხელი უთოთი ადამიანის „დაუთოება“, ცემა, სხეულის ისეთ ადგილას დარტყმით და ისეთი სიძლიერით, რამაც შეიძლება გამოიწვის ჯანმრთელობის დაზიანება და ა.შ.). ამასთანავე, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ასეთ ძალადობას მოჰყვა თუ არა მძიმე შედეგი.

ამდენად, აქ სახეზეა დანაშაულის ფორმალური შემადგენლობა. თუ ამგვარ ძალადობას მოჰყვა ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 227-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით.

ძალადობის მუქარა შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად („მოგკლავ“, „დაგჭრი“), ასევე იარაღის დემონსტრირებით. ამასთანავე, არაა სავალდებულო მუქარისათვის გამოყენებული იყო ნამდვილი ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი, ანდა ფეთქებადი ნივთიერება. შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს იარაღის მაკეტი, რითაც დამნაშავე ახდენს იმ პირის ნების პარალიზებას, რომელიც მაკეტს აღიქვამს როგორც ნამდვილ იარაღს.

მუქარის ადრესატები შეიძლება იყვნენ ეკიპაჟის წევრები (კაპიტანი, მემანქანე), დაცვა, მომსახურე პერსონალი, მგზავრები ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც სატრანსპორტო საშუალებაზე ან მასთან ახლო

იმყოფება. მუქარა, ისე როგორც ძალადობა, მიზნად ისახავს ფრეალური ან მოსალოდნელი წინააღმდეგობის გადალახვას საჰაერო ან წყლის ხომალდზე, ანდა რკინიგზის მოძრავ შემადგენლობაზე უკანონო კონტროლის დაწესების დროს.

თუ ძალადობის ან მუქარისათვის გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი ან ფეთქებადი ნივთიერება, რომელსაც დამნაშავე უკანონოდ ატარებდა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, რადგანაც „ძალადობა“ და „ძალადობის მუქარა“ აუცილებლად არ გულისხმობს იარაღის გამოყენებას.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ განსხვავებით ყაჩაღობისაგან, განსახილველ შემთხვევაში დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება არა ამგვარი ძალადობის ან მუქარის გამოყენების მომენტიდან, არამედ მაშინ, როცა პირი შეძლებს დაეუფლოს საჰაერო ან წყლის ხომალდს, ანდა რკინიგზის მოძრავ შემადგენლობას. ასევე, განსხვავებით ყაჩაღობისგან, არაა აუცილებელი დამნაშავეს ამოძრავებდეს ნივთის მისაკუთრების მიზანი.

სსკ 227-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. ამ შემთხვევაში ადამიანის სიცოცხლის მოსპობა დამნაშავის გაუფრთხილებლობის შედეგი უნდა იყოს. ამდენად, აქ საბეზეა ორმაგი (რთული) ბრალი. კერძოდ, განზრახვა საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიმართ და გაუფრთხილებლობა ადამიანის სიკვდილის მიმართ.

თუ 227-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას ადგილი აქვს განზრახ მკვლელობას, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 227-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მკვლელობის შესაბამისი მუხლით.

სხვა მძიმე შედეგში იგულისხმება ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ტრანსპორტის მოძრაობის დიდი ხნით შეფერხება, სატრანსპორტო საშუალების განადგურება, დიდი მატერიალური ზარალი და ა.შ. ამ შედეგის მიმართაც ბრალი შეიძლება გამოიხატოს გაუფრთხილებლობაში. თუ 227-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ჩადენას ადგილი ექნება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, კვალიფიკაცია მოხდება დანაშაულთა ერთობლიობით.

თუ პირის ქმედებაში არის 227-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის ნიშნები, კვალიფიკაცია მოხდება მხოლოდ მე-3 ნაწილით, რადგან იგი მოიცავს მე-2 ნაწილსაც.

წყლის ხომალდის ნაოსნობისათვის საშიშროების შექმნა (მუხლი 227[1])

1988 წლის 10 მარტს ქ. რომში ხელმოწერილ იქნა კონვენცია „საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ამ კონვენციის წევრი-სახელმწიფოები თვლიან, რომ საზღვაო ნაოსნობის წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტები ემუქრებიან პიროვნებათა და საკუთრების უსაფრთხოებას, სერიოზულად აფერხებენ საზღვაო მიმოსვლას და არყევენ მსოფლიოს საზოგადოების რწმენას საზღვაო მიმოსვლის უსაფრთხოებაში.

კონვენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2006 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების დროს სს კოდექსს დაემატა ახალი 227[1] მუხლი.

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება (კერძოდ, წყლის ხომალდზე ან წყალში მყოფ პირთა უსაფრთხოება), ხოლო დამატებითი ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობა (227[1] მ. III-IV-V ნაწილები). საქმე ისაა, რომ წყლის ხომალდის უსაფრთხო ნაოსნობა დამოკიდებულია არა მარტო ამ ხომალდის გამართულობასა და მისი მოძრაობის უსაფრთხოების წესის დაცვაზე იმ პირთა მხრიდან, ვისაც ამ წესის დაცვა ევალება, არამედ იმაზე, თუ რამდენად სწორ ინფორმაციას ფლობენ ისინი ნაოსნობის მსვლელობასთან დაკავშირებით.

კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, გემი ნიშნავს ნებისმიერი სახის ხომალდს, რომელიც არ არის მუდმივად მიმაგრებული ზღვის ფსკერზე, ასევე დინამიურად შეწონილი ხომალდი, წყალქვეშა აპარატი ან ნებისმიერი სხვა მცურავი საშუალება.

კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, კონვენცია არ ეხება: ა) სამხედრო ხომალდს; ხომალდს, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს ან გამოიყენება მის მიერ, როგორც საზღვაო-სამხედრო დამხმარე საშუალება, ან საბაჟო ან პოლიციის მიზნებისათვის, ან ხომალდს, რომელიც გამოყვანილ იქნა ნაოსნობიდან ან ჩამოიწერა.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება:

ა) მოქმედებაში, ბ) კონკრეტულ საფრთხეში (წყლის ხომალდის ნაოსნობისათვის საშიშროების შექმნა) და გ) მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის. ამდენად, სახეზეა მატერიალური შემადგენლობა (კერძოდ, კონკრეტული საფრთხის დელიქტი).

ინფორმაცია ცრუა, როცა იგი შეგნებულადაა გაყალბებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზეა არასწორი ინფორმაცია (და არა „ცრუ"). ეს ინფორმაცია შეიძლება შეეხებოდეს წყლის ხომალდის გაუვარგისებას (მაგალითად, პირი წყლის ხომალდის მეთაურს ატყობინებს, თითქოს მწყობრიდან გამოვიდა ხომალდის ნაოსნობისათვის მნიშვნელოვანი დეტალი და სასწრაფოდ საჭიროა ზომების მიღება), სხვა ხომალდთან თითქოსდა მოსალოდნელი შეჯახების, ხომალდზე ასაფეთქებელი მოწყობილობის აღმოჩენას, რომელიც ვითომცდა მალე აფეთქდება, წყალზე გაუთვალისწინებელი დაბრკოლების არსებობას, ან, პირიქით, არარსებობას და სხვა სახის ცრუ ინფორმაციას. ცრუ ინფორმაციის გადაცემა შეიძლება მოხდეს სიტყვიერად, სატელეფონო საშუალებით, რაციით ან სხვაგვარი ტექნიკური საშუალებით.

სსკ 227[1] მუხლის დისპოზიციაში არაა დაფიქსირებული მოქმედების ჩადენის დრო ან ადგილი, თუმცა, როგორც წესი, ცრუ ინფორმაციის გადაცემა ხდება ნაოსნობის მსვლელობის დროს ანუ წყალში ხომალდის ცურვისას. ამასთანავე, არაა გამორიცხული ცრუ ინფორმაციის გადაცემა ცურვის დაწყებამდეც. მაგალითად, ნაპირზე მყოფ წყლის ხომალდის მეთაურს გადასცეს ცრუ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის ბარიერი, რომელიც ხომალდის ცურვას ხელს უშლიდა (ვთქვათ, ძლიერი შტორმი) უკვე არ არსებობს და ხომალდს შეუძლია დაიწყოს ნაოსნობა.

როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ მოქმედების ჩადენა (ცრუ ინფორმაციის გადაცემა) არაა საკმარისი ობიექტური მხარის დამთავრებისათვის. აუცილებელია ასევე ამგვარი ინფორმაციის გადაცემამ ხომალდის ნაოსნობას საშიშროება შეუქმნას. თუ ასეთი საშიშროება არ შეიქმნა, ამ დანაშაულის შემადგენლობაც არ არსებობს. მაგალითად, გემის კაპიტანს გადასცეს ცრუ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გზაზე ნაოსნობისათვის არავითარი ბარიერი არ არსებობს, მაგრამ მოხდა ისე, რომ სანამ გემი შტორმის ადგილამდე მივიდოდა, ზღვა მოულოდნელად დაწყნარდა და ნაოსნობას საფრთხე არ შეექმნა.

ამასთანავე, აუცილებელია, რომ ცრუ ინფორმაციის გადაცემა (და არა

სხვა ფაქტი) იყოს მიზეზობრივ კავშირში ხომალდის ნაოსნობისათვის საშიშროების შექმნასთან.

განსახილველი დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი და არა მარტო ის, ვისაც სპეციალურად ევალება ინფორმაციის გადაცემა წყლის ხომალდზე.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია, რაზეც პირდაპირაა ხაზგასმული დისპოზიციაში. მისი ჩადენა შეიძლება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირს გაცნობიერებული აქვს, რომ წყლის ხომალდს გადასცემს ცრუ ინფორმაციას და შეგნებულად უშვებს, რომ საშიშროება ექმნება წყლის ხომალდის ნაოსნობას ან გულგრილია ასეთი საფრთხის შექმნის მიმართ.

განსახილველი დანაშაული უნდა განვასხვავოთ ერთის მხრივ, სსკ 275-ე მუხლით გათვალისწინებული სატრანსპორტო დანაშაულისაგან და მეორეს მხრივ, საბოტაჟისაგან (318 მ.)

1. ა) სსკ 275-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არის გაუფრთხილებელი, ხოლო განსახილველი დანაშაული – განზრახი; ბ) 275-ე მუხლის ამსრულებელია სპეციალური სუბიექტი – ვისაც წყლის ტრანსპორტის ექსპლუატაციისა ან მოძრაობის უსაფრთხოების წესის დაცვა ევალება (მაგალითად, დისპეტჩერი, რომელმაც სწორი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს წყლის ტრანსპორტს). ხოლო 227^1-ე მუხლის ამსრულებელია ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი; გ) სსკ 275-ე მუხლის შემადგენლობა მხოლოდ მაშინაა საბეზე, თუ მას შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ხოლო 227^1 მუხლი არის კონკრეტული საფრთხის დელიქტი.

2. საბოტაჟიც შეიძლება ჩადენილ იქნეს წყლის ხომალდისათვის (მაგალითად, გემისათვის) ცრუ ინფორმაციის გადაცემით, მაგრამ ამ დროს დამნაშავეს მიზანია საქართველოს დასუსტება, ხოლო 227^1 მუხლის შემთხვევაში დამნაშავეს რაიმე პირადი მიზანი ამოძრავებს.

სსკ 227^1 მუხლის მე-2 ნაწილით დამამძიმებელი გარემოებაა წყლის ხომალდზე მყოფი პირის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა ან ძალადობის მუქარა, რომლითაც შეიძლება საფრთხე შეექმნას წყლის ხომალდის ნაოსნობას.

„რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას“ უნდა გავიგოთ როგორც აბსტრაქტული საფრთხე.

ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემაში, გათოკვაში, ჯანმრთელობის და მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაში და ა.შ. თუ ძალადობამ გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიკვდილი, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

ძალადობის მუქარაში კი იგულისხმება ნებისმიერი ძალმომრეობითი დანაშაულის მუქარა (მათ შორის მკვლელობისაც). განსახილველ ნორმაში პირდაპირ არაა მითითებული, რომ ძალადობა ან ძალადობის მუქარა განხორციელებული უნდა იყოს წყლის ხომალდზე მყოფი იმ პირის მიმართ, ვისზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხომალდის მშვიდობიანი მსვლელობა. ამის მიუხედავად, წყლის ხომალდის მშვიდობიან ნაოსნობას საფრთხე რომ შეექმნას, ძალადობა ან ძალადობის მუქარა, როგორც წესი, იმ პირზე უნდა იყოს მიმართული, ვინც პასუხს აგებს ხომალდის უსაფრთხოებაზე – კაპიტანი, მემანქანე და ა.შ. თუმცა არაა გამორიცხული ძალადობა ან მუქარა მიმართული იყოს ხომალდზე მყოფი ნებისმიერ მგზავრზე, თუკი ძალადობა ან მუქარა ხორციელდება საყოველთაოდ საშიში საშუალების გამოყენებით. მაგალითად, ფეთქებადი ნივთიერების („ლიმონკა“) გამოყენებით.

რომის 1988 წლის 10 მარტის კონვენციის შესაბამისად, სსკ 227[1] მუხლის III ნაწილით გათვალისწინებულია საზღვაო-სანავიგაციო დანადგარის დაზიანება ან მათი ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა, რითაც საშიშროება ექმნება წყლის ხომალდის ნაოსნობას. დანადგარის დაზიანება გულისხმობს მისი თვისებრიობის ისეთ შეცვლას, მისი მდგომარეობის ისეთ გაუარესებას, როცა იგი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოუსადეგარი ხდება მიზნობრივი დანიშნულებისათვის, მაგრამ ამ დანადგარის შეკეთება შესაძლებელია. 227[1] მუხლის მე-3 ნაწილიც (ისევე როგორც I ნაწილი) კონკრეტული საფრთხის დელექტია, ე.ი. ამგვარმა დაზიანებამ უნდა შეუქმნას საშიშროება ხომალდის ნაოსნობას, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გვექნება მე-3 ნაწილის ნიშნები.

საზღვაო-სანავიგაციო დანადგარის ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის დროს ადგილი არა აქვს ამ დანადგარის დაზიანებას (მით უმეტეს განადგურებას), მაგრამ დამნაშავე ისეთ წინააღმდეგობებს ქმნის, რომ ფაქტობრივად დანადგარის ფუნქციონირება დროებით შეუძლებელია (მაგალითად, შეუძლებელია ნაოსნობის გაგრძელება). ამ შემთხვევაშიც აუცილებელია საფრთხე შეექმნას წყლის ხომალდის ნაოსნობას, ე.ი. იქმ-

ნება ისეთი ვითარება, რომ თუ ნაოსნობას ხომალდი მაინც გააგრძელებს, ეს სახიფათო იქნება გემისა და მისი მგზავრებისა თუ ეკიპაჟისათვის.

სსკ 227[1] მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა წყლის ხომალდზე ისეთი მოწყობილობის ან ნივთიერების განთავსებისათვის, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს წყლის ხომალდის ან მისი ტვირთის განადგურება ან დაზიანება, რაც საშიშროებას უქმნის წყლის ხომალდის უსაფრთხო ნაოსნობას.

აქ იგულისხმება ფეთქებადი, ადვილად აალებადი ნივთიერება ან მოწყობილობა, რომელსაც აქვს უნარი გაანადგუროს (მაგ. ააფეთქოს ან დაწვას) ან დააზიანოს მთლიანად გემი ან მისი ტვირთი. როგორც ვხედავთ, აქ სახეზეა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი ("შეიძლება გამოიწვიოს"). განსახილველი მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულია წყლის ხომალდის ან მისი ტვირთის განადგურება ან დაზიანება, რამაც შეიძლება საშიშროება შეუქმნას უსაფრთხო ნაოსნობას.

სსკ 227[1] მუხ. მე-5 ნაწილით წყლის ხომალდის განადგურება გულისხმობს გემზე ისეთ გარეგან ზემოქმედებას, რის შედეგადაც გემი ფიზიკურად არსებობას წყვეტს და მისი აღდგენა შეკეთების გზით შეუძლებელია. რაც შეეხება დაზიანებას, აქ იგულისხმება არა საზღვაო-სანავიგაციო დანადგარის (227[1] მუხლის III ნაწ.), არამედ წყლის ხომალდის ან მისი ტვირთის დაზიანება, თანაც ეს დაზიანება ისეთი უნდა იყოს, რომ საშიშროებას უქმნიდეს უსაფრთხო ნაოსნობას.

ამდენად, სსკ 227[1] მუხ. მე-5 ნაწილი ნაწილობრივ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია. კერძოდ, საფრთხე უნდა მოჰყვეს წყლის ხომალდის ან მისი ტვირთის დაზიანებას, ან ტვირთის განადგურებას. გემის განადგურება კი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულია, რადგანაც გემის განადგურების დროს ზედმეტია საუბარი უსაფრთხო ნაოსნობისათვის საშიშროების შექმნაზე, რადგან განადგურებისას ნაოსნობა მთლიანად წყდება.

ამგვარი განადგურება ან დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს ამ მუხლის როგორ პირველმა, ისე მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებულმა ქმედებამ.

თუ გემის ან ტვირთის განადგურებამ გამოიწვია ადამიანის სიკვდილიც, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით.

სტაციონარული პლატფორმის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება, განადგურება, დაზიანება (მუხლი 227²)

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება, კერძოდ, საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოება.

1988 წლის 10 მარტს ქ. რომში ხელმოწერილ იქნა ოქმი „კონტინენტურ შელფზე განლაგებული სტაციონარული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ამ ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით სამართალდარღვევადაა მიჩნეული ნებისმიერი ძალადობა ან მუქარა სტაციონარული პლატფორმის ხელში ჩასაგდებად ან მასზე კონტროლის დასაწესებლად.

სსკ 227² მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილით დანაშაულის ობიექტური მხარის ერთ-ერთი ნიშანია სტაციონარული პლატფორმის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

სტაციონარული პლატფორმა (ამ დანაშაულის საგანი) არის ხელოვნურად შექმნილი კუნძული, დანადგარი ან ნაგებობა, რომელიც მუდმივად არის დამაგრებული ზღვის ფსკერზე, რესურსების დაზვერვის ან ათვისების, ან სხვა ეკონომიკური მიზნებისათვის (1988 წ. 10 მარტის ოქმის I მუხლის მე-3 ნაწილი).

სტაციონარული პლატფორმის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ობიექტური მხარე გამოიხატება ძალადობით ან ძალადობის მუქარით მის ხელთ ჩაგდებაში, ე.ი. როცა დამნაშავეს შესაძლებლობა მიეცემა თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს იგი, ამდენად, დანაშაულის ობიექტურ მხარეში შედის მოქმედება, დანაშაულის ადგილი — ზღვის ესა თუ ის მონაკვეთი და შედეგი (დაუფლება).

ეს ძალადობა ან მუქარა თავისი ხასიათით შეიძლება ისეთი იყოს, რომ საშიშროებას უქმნიდეს სტაციონარული პლატფორმის (მაგალითად, ხელოვნური კუნძულის) უსაფრთხოებას, თუმცა ეს აუცილებელი არ არის. აქ მთავარია ის, რომ დამნაშავემ ხელთ იგდო (დაეუფლა) სტაციონარული პლატფორმა. ეს დანაშაული უნდა განვასხვავოთ საკუთრებით წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულისაგან, რომელიც ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის მუქარით (მაგალითად, ძარცვა ან ყაჩაღობა).

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანია მოძრავი ნივთი) და ეს დანაშაული ხელყოფს სხვის საკუთრების უფლებას. ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში კი დანაშაულის საგანია უძრავი ნივთი (სტაციონარული პლატფორმა) და იგი ხელყოფს ზღვაზე უსაფრთხო ნაოსნობას, რასაც ქმედების საშიშროების განსაზღვრისას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება.

თუ სტაციონარულ პლატფორმაზე გამოყენებულმა ძალადობამ გამოიწვია ადამიანის სიკვდილი ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 227[2] მუხლით და ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით.

სსკ 227[1] მუხლის I ნაწილის ობიექტური მხარით გათვალისწინებული ამ ქმედების ნიშანია სტაციონარულ პლატფორმაზე მყოფი პირის მიმართ განხორციელებული ძალადობა, რომელიც საშიშროებას უქმნის სტაციონალური პლატფორმის უსაფრთხოებას. ეს ძალადობა შეიძლება საშიშიც კი იყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. თუ მას შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, კვალიფიკაცია ერთობლიობით არაა საჭირო. ეს ქმედება დამთავრებული არაა ძალადობის განხორციელების მომენტიდან, არამედ იგი გულისხმობს ასევე კონკრეტულ საფრთხეს – ამ ძალადობამ საშიშროება უნდა შეუქმნას სტაციონარული პლატფორმის უსაფრთხოებას (მაგალითად, უნდა შეიქმნას ამ პლატფორმის დაზიანების ან განადგურების საფრთხე), წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება 227' ძულლით არ დაკვალიფიცირდება. ამ დროს კვალიფიკაცია მოხდება ადამიანის წინააღმდეგ მიმართული შესაბამისი დანაშაულის მიხედვით (მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება 118-ე მუხ.). ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სახეზეა კონკრეტული საფრთხის დელიქტი. თუ დამნაშავე 227[2] მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას იყენებს ცეცხლსასროლ, ფეთქებად ან სხვა იარაღს, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

სსკ 227[2] მუხლის I ნაწილის ობიექტური მხარის ამ ნიშნის ჩადენისას (პლატფორმაზე მყოფი პირის მიმართ ძალადობა) დამნაშავეს შეიძლება არ ამოძრავებდეს სტაციონარული პლატფორმის დაუფლების მიზანი. აქ კვალიფიკაციისათვის მთავარია კონკრეტული საფრთხის შექმნა და არა სტაციონარული პლატფორმის დაუფლება ან დაუფლების მიზანი.

დანაშაულის ამსრულებელია პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი.

სსკ 227^2 მუხლის მე-2 ნაწილში მოცმულია სტაციონარულ პლატფორმაზე ისეთი მოწყობილობის ან ნივთიერების განთავსება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მისი განადგურება ან დაზიანება. ასეთ ნივთიერებად უნდა ჩაითვალოს ფეთქებადი, სწრაფად აალებადი, საბრძოლო ან ბირთვული მასალის განთავსება. თუ სტაციონარულ პლატფორმაზე განთავსებულია ბირთვული მასალა, რადიაქტიური ნივთიერება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 227^2 და 230-ე მუხლებით.

თუკი ამგვარი ნივთიერების ან მოწყობილობის განთავსებას წინ უძღოდა სტაციონარული პლატფორმის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება ძალადობით ან მუქარით, ანდა იქ მყოფი პირის მიმართ განხორციელებული ძალადობა, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 227^2 მუხლის I და II ნაწილებით.

სსკ 227^2 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სტაციონარული პლატფორმის განადგურების ან დაზიანებისათვის.

განადგურება და დაზიანება ისევე უნდა გავიგოთ, როგორც სსკ 187-ე მუხლში. განადგურება ან დაზიანება შეიძლება მოხდეს აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით და სხვა ხერხის გამოყენებით. ამასთანავე, აუცილებელი არ არის სტაციონარული პლატფორმის განადგურებას ან დაზიანებას წინ უძღოდეს სსკ 227^2 მუხლის I ან II ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები, მაგრამ თუკი ასეთი ქმედება მას წინ უძღოდა (მაგალითად, იქ მყოფ პირზე ძალადობა, ანდა სტაციონარული პლატფორმის დაუფლება), მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს შესაბამისი ნაწილების ერთობლიობით.

თუკი პირი ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებით შეეცადა სტაციონარული პლატფორმის განადგურებას, მაგრამ ეს ვერ შესძლო, ქმედება დაკვალიფიცირდება 227^2 მუხლის არა მე-2 ნაწილით, არამედ მესამე ნაწილის მცდელობით – $19,227^2$ მ. III ნაწილით. ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების დროს დამნაშავე სტაციონარული პლატფორმის განადგურებას ან დაზიანებას არ ცდილობს, იგი მხოლოდ განათავსებს იქ ისეთ ნივთიერებას, რომელმაც მომავალში შეიძლება გამოიწვიოს ამ პლატფორმის განადგურება ან დაზიანება. მაგალითად,

ფსკერში ჩამალავს ასაფეთქებელ ნივთიერებას.

თუ სტაციონარული პლატფორმის განადგურებას ან დაზიანებას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ პირსაც.

მეკობრეობა (მუხლი 228-ე)

ზღვებსა და ოკეანეებში მცურავ საშუალებაზე თავდასხმა განსაკუთრებით გახშირდა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან. მაშინ ამ სახის დანაშაულს, ძირითადად, სამხედრო გემები სჩადიოდნენ. შემდეგში კი მეკობრეობის ჩამდენნი, ძირითადად, კერძო გემზე მყოფი პირები იყვნენ. ამ დანაშაულმა თანდათანობით საერთაშორისო ხასიათი მიიღო. მდგომარეობას ართულებს ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილი არის ზღვა ან ოკეანის ის ნაწილი, სადაც არ ვრცელდება არც ერთი სახელმწიფოს იურისდიქცია. ამდენად, წყლის ამ მონაკვეთზე მცურავი საშუალების უსაფრთხოება არაფრით იყო დაცული. სწორედ ამ გარემოების გამო სახელმწიფოები იძულებული გახდნენ შეექმნათ ამ ქმედების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საფუძველი. ეს საფუძველი მოცემულია ჟენევის 1958 წლისა და გაეროს 1982 წლის კონვენციებში, ასევე რომის 1988 წლის 10 მარტის კონვენციაში „საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“.

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება, კერძოდ, წყლის ტრანსპორტისა და მასზე მყოფი ეკიპაჟისა თუ მგზავრის უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობა, ასევე საკუთრებითი ურთიერთობა. დანაშაულის დამატებითი ობიექტია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

მეკობრეობის საგანია წყლის ხომალდი ან სხვა მცურავი საშუალება. წყლის ხომალდი უნდა გავიგოთ ისე, როგორც სსკ 227-ე მუხლშია მოცემული. რაც შეეხება სხვა მცურავ საშუალებას, იგი შეიძლება იყოს არამექანიკურიც, ისეთიც, რომელსაც არა აქვს შიდაწვის ძრავა.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში, **კერძოდ, თავდასხმაში**, რომელიც ჩადენილია **ძალადობით ან ძალადობის**

მუქარით. ამასთან თავდასხმა უნდა განხორციელდეს მთლიანად მცურავ საშუალებაზე რა დროსაც იქმნება მისი ჩაძირვის საფრთხე. თუ თავდასხმა განახორციელა გემზე მყოფმა მგზავრმა, სხვა მგზავრის კაიუტაზე, ნივთის დაუფლების მიზნით, ქმედება კვალიფიცირდება არა მეკობრეობით, არამედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით.

მცურავ საშუალებაზე თავდასხმა შეიძლება განხორციელდეს სხვა მცურავი საშუალებიდან, ასევე საჰაერო ტრანსპორტიდან. ამ დროს თავდასხმას არ ახორციელებს ამავე გემზე მყოფი მგზავრი ან ეკიპაჟის წევრი, არამედ როგორც წესი, სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე მყოფი პირი. თავდასხმას აუცილებლად ახლავს თან ძალადობა ან ძალადობის მუქარა. თავდასხმა შეიძლება გამოიხატოს მცურავი საშუალების აშკარა დევნაში, რომელიც გამოიხატება ძალადობაში (სროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან ან ფეთქებადი ნივთიერების გამოყენება), ან ძალადობის მუქარაში, მისი იძულებით გაჩერებაში გზაზე დაბრკოლების შექმნით; ასევე ძალადობის განხორციელებაში უშუალოდ მცურავ საშუალებაზე (მეკობრეები მოტყუებით გადავიდნენ გემზე და დაიწყეს ძალადობის გამოყენება).

მეკობრეობის განხორციელებისათვის არაა აუცილებელი იარაღის ან ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენება, თუმცა პრაქტიკაში ეს დანაშაული სწორედ იარაღის გამოყენებით ხდება. ამ შემთხვევაში, თუ მეკობრეები მას უკანონოდ ფლობენ, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

მეკობრეობის დროს ძალადობა შეიძლება არც იყოს საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ასევე შესაძლებელია ძალადობა საშიში იყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, რაც მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას.

თავდასხმის დროს გამოყენებულ ძალადობას შეიძლება მოჰყვეს ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და სიკვდილი სცილდება სსკ 228-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფარგლებს.

ძალადობის მუქარა შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი ძალადობითი მოქმედების მუქარაში, როგორიცაა მოკვლის, ჯანმრთელობის დაზიანების, ცემის, სქესობრივი დანაშაულის განხორციელების, მძევლად ხელში ჩაგდებისა და სხვაგვარი მუქარა. ამასთანავე, დაზარალებულს უნდა შეექმნას რწმენა, რომ ეს მუქარა რეალურია.

მცურავ საშუალებაზე განხორციელებული თავდასხმა მიმართული

უნდა იყოს სხვისი ნივთის დასაუფლებლად მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ეს ნივთი შეიძლება იყოს გემზე არსებული ტვირთი, მასზე მყოფ პირთა პირადი ნივთები, ასევე თვით გემი. ამიტომ მცურავ საშუალებაზე თავდასხმა, თუ მიმართულია თვით გემის დაუფლებისაკენ, უნდა დაკვალიფიცირდეს მეკობრეობით.

აქვე უნდა გავმიჯნოთ მეკობრეობა წყლის ტრანსპორტის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისაგან (სსკ. 227-ე მ): 1. მეკობრეობის საგანია მხოლოდ წყლის ხომალდი ან სხვა მცურავი საშუალება, ხოლო 227-ე მუხლისა – ასევე საჰაერო ხომალდი ან რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა; 2. მეკობრეობის მიზანია ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება (ამ შემთხვევაში გემის მისაკუთრება), ხოლო წყლის ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება უფრო მეტად ხდება მისი დროებითი გამოყენების მიზნით. 3. მეკობრეობის დროს ადგილი აქვს გემის დაუფლებას თავდასხმით, ხოლო წყლის ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება შეიძლება მოხდეს თავდასხმის გარეშეც – ფარულად ან მოტყუებით; 4. მეკობრეობის დროს აუცილებელია წყლის ხომალდი ახორციელებდეს ცურვას ზღვაში ან ოკეანეში, ხოლო წყლის ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ხდება ნაპირზე დამაგრებული ხომალდისა ან შიდა და ეროვნულ წყალზე (მაგალ. მდინარეზე) მცურავი საშუალებისა. თუ მცურავ საშუალებაზე თავდასხმა ხორციელდება არა ნივთის დასაუფლებლად, არამედ სხვა მიზნით (მაგალითად, მძევლების ასაყვანად), ქმედება არ დაკვალიფიცირდება მეკობრეობით. ამდენად, საქართველოს კანონმდებელმა, საერთაშორისო კონვენციების შინაარსისაგან ვერსხვავებით, შეავიწროვა მეკობრეობის ცნება და მასში მხოლოდ ნივთის დაუფლების მიზანი დააფიქსირა.

თუ მეკობრეობას თან ახლავს ადამიანთა მკვლელობა ან მათი მძევლად ხელში ჩაგდება, მცურავი საშუალების განადგურება, მისი ჩაძირვა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

ქმედების მეკობრეობით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, თავდასხმა მოხდეს მცურავ საშუალებაზე (წყლის ხომალდი ან სხვა მცურავი საშუალება). ეს იმას ნიშნავს, რომ თავდასხმის მომენტში კონკრეტული ხომალდი, რომელსაც თავს ესხმიან, უნდა ახორციელებდეს ცურვას წყალში. თუ თავდასხმა მოხდა ისეთ ხომალდზე, რომელიც ნაპირზე იყო დამაგრებული და არ ცურავდა, ქმედება არ დაკვალიფიცირდება სსკ 228-ე მუხლით, არამედ კვალიფიკაცია მოხდება საკუთრების წინააღმდეგ

მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლით. ან სხვა 227-ე მუხლით. ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, როგორც წესი, ზღვისა თუ ოკეანის ნაპირი ეკუთვნის რომელიმე სახელმწიფოს და აქ ვრცელდება მისი იურისდიქცია, მეორე და, რაც მთავარია, ნაპირზე უბრავ მდგომარეობაში მყოფ ხომალდზე თავდასხმა არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებრივ უშიშროებას, კერძოდ, ამ დროს არ იქმნება გემის ჩაძირვის საფრთხე.

მეკობრეობა არის ფორმალური დანაშაული. იგი დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, როცა განხორციელდება ძალადობა ან ძალადობის მუქარა. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს მოჰყვება თუ არა თავდასხმას პირის ჯანმრთელობის დაზიანება, ანდა დაეუფლება თუ არა მეკობრე სხვის ნივთს.

სსკ 228-ე მუხლში არაა დაფიქსირებული მეკობრეობის ჩადენის ადგილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მცურავ საშუალებაზე თავდასხმა, სადაც არ უნდა განხორციელდეს იგი (რომელიმე სახელმწიფოს კონტინენტური შელფის ტერიტრიაზე, შიდა წყლებსა თუ ღია ზღვაში), ყველა შემთხვევაში გვაძლევს მეკობრეობის შემადგენლობას, რაც ეწინააღმდეგება 1958 წლის ჟენევისა და გაეროს 1982 წლის კონვენციების შინაარსს. ამ კონვენციათა თანახმად, მეკობრეობა ისეთი აქტია, რომელიც მიმართულია სხვა გემის ან მასზე მყოფი პირებისა თუ ქონების წინააღმდეგ, რაც ხორციელდება ღია ზღვაში ან რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის გარეთ არსებულ ტერიტორიაზე.

აქედან გამომდინარე, მეკობრეობის ადგილია ზღვები და ოკეანეები (და არა შიდა წყლები). თანაც არაა აუცილებელი თავდასხმა მოხდეს ღია წყლებში, მთავარია გემი ახორციელებდეს ცურვას თუნდაც კონტინენტური შელფის ტერიტორიაზე.

ამდენად, კონვენციათა შინაარსის თანახმად, ამ დანაშაულზე ვრცელდება უნივერსალური იურისდიქცია და ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს დააკავოს მეკობრე თუნდაც ზღვისა თუ ოკეანის იმ ნაწილში, სადაც არ ვრცელდება ამ სახელმწიფოს იურისდიქცია. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, არის თუ არა მეკობრე ან დანაშაულის მსხვერპლი მისი სახელმწიფოს მოქალაქე.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა თავდასხმა მცურავ საშუალებაზე ხდება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებში (მაგალითად, საქართველოს რომელიმე ტბაზე ან მდინარეზე მცურავ საშუალებაზე)

ნივთის მართლსაწინააღმდეგო. დაუფლების მიზნით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა მეკობრეობით, არამედ შესაბამისად ყაჩაღობით, ბანდიტიზმით ან ძარცვით. თუკი ამ დროს ადგილი აქვს მცურავი საშუალების დროებით დაუფლებას — სსკ 227-ე მუხლით.

მეკობრეობის ამსრულებელი არის 14 წელს მიღწეული პირი როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი თუ მოქალაქეობის არმქონე პირი.

სუბიექტური მხრივ მეკობრეობა ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ თავს ესხმის მცურავ საშუალებას და სურს ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება.

მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა უმეტესად მეკობრეობის ჩადენა ხდება ანგარებით. მიზანი კი, როგორც აღინიშნა, არის სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება.

სსკ 228-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული დამამძიმებელი გარემოებები განხილულ იქნა წინა მუხლების შემადგენლობის ანალიზისას, ამდენად, მათზე არ შევჩერდებით.

აფეთქება (მუხლი 229-ე)

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება, ასევე ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და სხვისი ქონება.

ობიექტური მხრივ იგი გამოიხატება: ა) მოქმედებაში; ბ) კონკრეტული საფრთხის შექმნაში და გ) მიზეზობრივ კავშირში პირის მოქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის.

მოქმედება გამოიხატება გაზის, ბენზინის, ნავთის ან სხვა ნებისმიერი ასაფეთქებელი ნივთიერების განზრახ აფეთქებაში სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. ქმედების 229-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ამ მოქმედების (აფეთქების) ჩადენა. აფეთქება უნდა მოხდეს ისეთ ადგილას და ისეთ ვითარებაში, რომ მან საფრთხე შეუქმნას სხვა ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვის ქონებას. თუ ამგვარი საფრთხე არ შექმნილა (მაგალითად, აფეთქება მოხდა ტრიალ მინდორში, სადაც არავინ იმყოფებოდა თვით ქმედების ჩამდენის გარდა, ასევე არ იმყოფებოდა სხვისი ქონება), განსახილველი დანაშაულის შემადგენლობაც არა გვაქვს სახეზე. განსახილველი დანაშაული წარმოადგენს

ე.წ. კონკრეტული საფრთხის დელიქტს. ამდენად, აუცილებელია, დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა (აფეთქება) და შექმნილ საფრთხეს შორის. კერძოდ, უნდა დასაბუთდეს, რომ პირის ქმედების – აფეთქების გამო შეიქმნა ადამიანის (რომელიც იქვე იმყოფებოდა ან მოძრაობდა) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხე, ანდა საფრთხე შეექმნა სხვის ქონებას. მაგალითად, აფეთქების დროს იქვე იდგა სხვისი ავტომანქანა ან შენობა-ნაგებობა, რომელსაც შეექმნა საფრთხე.

დანაშაულის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება არაპირდაპირი განზრახვით. პირი განზრახ აფეთქებს ამა თუ იმ ნივთიერებას და შეგნებულად უშვებს სხვისი სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობისათვის ან ქონებისათვის საფრთხის შექმნას. ამდენად, **კონკრეტული საფრთხის მიმართ სახეზეა არაპირდაპირი განზრახვა.** ასევე არაპირდაპირი განზრახვაა სახეზე მოსალოდნელი შედეგის (სიკვდილის, ჯანმრთელობის დაზიანების, ქონების დაზიანებისა თუ განადგურების) მიმართაც. თუმცა მოსალოდნელი შედეგის მიმართ შეიძლება ადგილი ჰქონდეს თვითმედოვნებასაც, ე.ი. პირს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ აფეთქებით ქმნიდა რეალურ საფრთხეს, მაგრამ რაიმე ობიექტურ გარემოებაზე დაყრდნობით, იმედოვნებდა მძიმე შედეგის თავიდან აცილებას. მოსალოდნელი შედეგის მიმართ დაუდევრობა აქ გამორიცხულია, რაზეც მიუთითებს მუხლის დისპოზიცია: „ამით შეგნებულად სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობისათვის ან ქონებისათვის საფრთხის შექმნა“.

თუკი დადგინდება, რომ გაზის, ბენზინის, ნავთის ან სხვა ნივთიერების განზრახ აფეთქებისას მოსალოდნელი მძიმე შედეგის მიმართ ადგილი ჰქონდა პირდაპირ განზრახვას (თუმცა ეს შედეგი არ დადგა), ქმედება დაკვალიფიცირდება შესაბამისი დანაშაულის (მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების, ქონების დაზიანების ან განადგურების) მცდელობად და არა 229-ე მუხლით. სს კოდექსში 229-ე მუხლის შემოღებით აშკარად ჩანს ჩვენი კანონმდებელის პოზიცია, რომ არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის ჩადენისას მცდელობა გამორიცხულია. ამ ნორმის შემოღების მიზანი ისაა, რომ დაუსჯელი არ დარჩეს პირი, ვინც არაპირდაპირი განზრახვით საფრთხეში აყენებს სხვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა თუ ქონებას.

როდესაც პირის მიერ ჩადენილ ქმედებას (აფეთქებას) არაპირდაპირი განზრახვით (ე.ი. დამნაშავე უშვებდა ამ შედეგს) შედეგად მოჰყვა პირის

სიკვდილი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს განზრახი მკვლელობის შესაბამისი მუხლით (ან 109-ე მუხლის „ზ“ პუნქტით, ან 108-ე მუხლით) და 229-ე მუხლით კვალიფიკაცია საჭირო არ არის.

მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა კატეგორიულად უნდა გამოირიცხოს ტერორისტული მიზანი. ასეთი მიზნის არსებობისას ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ტერორისტული აქტის მუხლით.

განსახილველი დანაშაულის მოტივი შეიძლება იყოს ხულიგნური ქვენაგრძნობა (გართობა), საკუთარი შესაძლებლობის გამოცდა და სხვ. მიზანი შესაძლებელია იყოს კონკრეტული პირის დაშინება, რათა მასზე მოახდინონ ზეგავლენა და ა.შ. მაგალითად, კრედიტორმა მევალის სახლის შესასვლელთან ააფეთქა გაზი, რითაც საფრთხე შეუქმნა იქ მცხოვრებელს, ასევე ქონებას. მისი მიზანი იყო მევალის დაშინება, რათა ვალი დაებრუნებინა. თუ აფეთქება მიზნად ისახავს სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილებას (მაგალითად, ბაზრობის ტერიტორიასთან ახლოს აფეთქების მოწყობა და შექმნილ ქაოსში სხვისი ნივთის ფარულად დაუფლება), მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

სსკ 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, ხოლო „ბ“ პუნქტით, იმის მიერ ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი ასეთი დანაშაულისათვის.

სსკ 229-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქ. დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. ამ შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობა უნდა იყოს დამნაშავის გაუფრთხილებლობის შედეგი.

რაც შეეხება სხვა მძიმე შედეგს, აქ უნდა ვიგულისხმოთ სხვისი ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ასევე სხვისი ქონების დიდი ოდენობით განადგურება, გზების გაფუჭება და ა.შ. ასეთი შედეგის მიმართ სახეზე შეიძლება იყოს გაუფრთხილებლობა. ამ მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობა შესაძლებელია გამოიხატოს მხოლოდ თვითიმედოვნებაში. თუკი მძიმე შედეგი (სიკვდილი, ჯანმრთელობის დაზიანება და სხვა) დადგა დაუდევრობით ქმედება უნდადაკვალიფიცირდეს სსკ 116, 124 ან 188-ე მუხლებით. მაგალითად, პირმა ღამით ტრიალ მინდორში ააფეთქა გაზი. მან სიბნელეში ვერ შეამჩნია ახლოს მდგარი ადამიანი. აფეთქების შედეგად იმ ადამიანს

ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანდა. ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 124-ე მუხლით, რადგან აფეთქების განხორციელებისას იგი შეგნებულად არ უქმნიდა საფრთხეს სხვას.

ამავე მუხლის მე-3 „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. სსკ 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აფეთქება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად ჩაითვლება, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა (და არა შემთხვევით შექმნილმა ჯგუფმა დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად), რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

ამდენად, განსახილველი ნორმის 1-ლი ნაწილი სუბიექტური მხრივ ხასიათდება თვითიმედოვნებით და არაპირდაპირი განზრახვით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მძიმე შედეგი კი შეიძლება გამოწვეული იყოს გაუფრთხილებლობით – თვითიმედოვნებითა და დაუდევრობით.

ენერგორესურსით სარგებლობის წესების დარღვევა (მუხლი 229[1]-ე)

ეს ნორმა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სრულიად ახალია.

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება. დამატებითი ობიექტი არის ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან საკუთრებითი ურთიერთობა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ქმედებაში (როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში), შედეგსა და მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და შედეგს შორის. ამდენად, სახეზეა მატერიალური დანაშაული. კერძოდ, ქმედება გამოიხატება ელექტრო ან თბოენერგიით, გაზით, ნავთობით ან ნავთობპროდუქტებით (ბენზინი, დიზელი და ა.შ.) სარგებლობის წესების დარღვევაში. თუ რაში გამოიხატება ეს წესები, განსახილველ ნორმაში არაფერია ნათქვამი. ამის გასარკვევად უნდა მივმართოთ მმართველობის ორგანოების მიერ დადგენილ სპეციალურ

წესებს[1]. ამდენად, აქ საბეზია ბლანკეტური დისპოზიცია. სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ ამ წესებიდან კონკრეტულად რომელი დაარღვია პირმა და რაში გამოიხატა იგი. წესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში (მაგალითად, დაზიანებულ ქსელში ელექტროსელსაწყოს ჩართვა), ასევე უმოქმედობაში (მაგალითად, პირმა შინიდან გასვლის წინ არ გამორთო ელექტროსელსაწყო).

დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისი არაა მხოლოდ აღნიშნული წესების დარღვევა. არა გვაქვს დანაშაულის შემადგენლობა, თუ ამ წესის დარღვევას არ გამოუწვევია არსებითი ზიანი. ეს ზიანი შეიძლება მიადგეს ფიზიკურ და იურიდიულ პირს. იგი შეიძლება გამოიხატოს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებაში, მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანში. ამასთანავე, აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი [illegible] წესების დარღვევის ფაქტსა და დამდგარ არსებით ზიანს შორის.

განსახილველი დანაშაული უნდა განვასხვაოთ სსკ 240[1]-ე და 243-ე მუხლებისაგან. 229[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ობიექტური მხრივ გამოიხატება ელექტრო ან თბოენერგიით, გაზით, ნავთობის ან ნავთობპროდუქტებით სარგებლობის წესების დარღვევაში, ხოლო 240[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა – ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების ენერგორესურსების წყაროების (ობიექტების), ობიექტის – ენერგორესურსების წყაროების (მაგალითად, ელექტროსადგურის, ბენზინგასამართის და ა.შ.) განლაგების, დაპროექტების, მშენებლობის ან ექსპლოატაციის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევაში. რაც შეეხება 243-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, აქ ადგილი აქვს სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევას იმ პირის მიერ, ვისაც ამ წესის დაცვა ევალებოდა. ამდენად, აქ საბეზია სპეციალური სუბიექტი.

სსკ 229[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

ეს დანაშაული გაუფრთხილებელია, მისი ჩადენა შესაძლებელია როგორც თვითიმედოვნებით, ისე დაუდევრობით. თვითიმედოვნების დროს პირს გაცნობიერებული აქვს, რომ არღვევს ელექტრო ან თბოენერგიით, გაზით, ნავთობით ან ნავთობპროდუქტებით სარგებლობის წესს, ასევე გათვალისწინებული აქვს, რომ ამ წესის დარღვევას ზოგჯერ მოჰყვება

1 უმძიმესი შედეგი გამოიწვია უკრაინაში, ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის დაფარვამ.

სხვა პირისათვის არსებითი ზიანი, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი იმედს ამყარებს ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორზე და უსაფუძვლოდ ვარაუდობს ასეთი შედეგის თავიდან აცილებას. მაგალითად, როცა ჩართული ელექტროხელსაწყო დატოვა უმეთვალყურეოდ, პირი იმედს ამყარებდა იმაზე, რომ მალევე დაბრუნდებოდა.

დაუდევრობის დროს კი პირს არა აქვს გაცნობიერებული, რომ არღვევს სპეციალურად დადგენილ წესს (დაავიწყდა ელექტროდანადგარის გამორთვა) და არც შედეგს ითვალისწინებს, მაგრამ შეეძლო გაეთვალისწინებინა (თუ გამოიჩენდა სათანადო წინდახედულებას) და ვალდებული იყო.

თუ დამტკიცდება, რომ პირმა შეგნებულად დაარღვია ეს წესი, რათა მას მოჰყოლოდა სხვისთვის არსებითი ზიანი ან შეგნებულად უშვებდა ასეთ ზიანს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს შესაბამისი განზრახი დანაშაულით და არა 229[1]-ე მუხლით.

სსკ 229[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები ჩვენ მიერ უკვე განხილულია (სსკ 222-ე მუხ. მე-2 ნაწ. „ბ“ პუნქ. და სსკ 222[1]-ე მუხლის მე-2 ნაწ. „ბ“ პუნქ.), ამდენად, მათზე არ შევჩერდებით.

მოკლედ განვიხილავთ მხოლოდ „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებას: იგივე ქმედება, ჩადენილი ისეთი საშუალების გამოყენებით, რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი აპარატურისა თუ ხელსაწყოს გამოყენება, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. მაგალითად, კუსტარული (ე.ი. არაქარხნული წერით დამზადებული) შედუღების აპარატის გამოყენება. ასევე კუსტარულად დამზადებული გაზის ბალონებით სარგებლობა გაზგასამართ სადგურზე, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს აფეთქება და საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. თუკი პირი განზრახ იყენებს ასეთ საშუალებას, რათა დადგეს მძიმე შედეგი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ 229[1]-ე მუხლით, არამედ შესაბამისი განზრახი დანაშაულის მცდელობით.

229[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ავარია ან რასაც მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება,

ან ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ანდა სხვა მძიმე შედეგი.

ავარია შეიძლება გამოიხატოს ცეცხლის წაკიდებასა თუ აფეთქებაში. მაგალითად, გაზით სარგებლობის წესის დარღვევამ გამოიწვია გაზის წნევის ავარიული მომატება. ამის მიუხედავად, იმ პირმა, ვისაც ევალებოდა ამ დროს გაზის გამორთვა, უყურადღებობის გამო არ გამორთო იგი, რასაც. შედეგად მოჰყვა აფეთქება.

სხვა მძიმე შედეგი კი გამოიხატება დიდი ოდენობით მატერიალურ ზიანში, შენობა-ნაგებობის განადგურებაში და ა.შ.

სუბიექტური მხრივ სსკ 229[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილიც გაუფრთხილებელი დანაშაულია. ამ შემთხვევაში სახეზე არა გვაქვს ორმაგი (რთული) ბრალი, თუნდაც სპეციალური წესები შეგნებულად იყოს დარღვეული, რადგანაც ჩამოთვლილი წესების დარღვევა სათანადო შედეგის გარეშე არ ითვლება დანაშაულად და არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ბირთვული მასალის ან მოწყობილობის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი უკანონო მოპყრობა (მუხლი 230-ე)

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება. დამატებით ობიექტად გვევლინება ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის შესახებ 1980 წლის საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, კონვენციის მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან გაატარონ ყველა ზომა ბირთვულ მასალაზე მკაცრი კონტროლისათვის.

ამ დანაშაულის მომეტებულ საშიშროებას განაპირობებს მისი საგნისათვის დამახასიათებელი თვისებები. დანაშაულის საგანია ისეთი ნივთიერება, რომელიც უძრავ მდგომარეობაშიც კი სახიფათოა გარშემომყოფთათვის. ასეთია ბირთვული მასალა ან მოწყობილობა. ეს ისეთი მასალაა, რომელიც შეიცავს ბირთვულ ნივთიერებას ან შეუძლია აწარმოოს გახლეჩილი ბირთვული ნივთიერებანი, რაც გამოყოფს დიდ ენერგიას. ბირთვული გამოსხივების წყაროა, მაგალითად, ურანი.

ამ დანაშაულის საგანია ასევე რადიაქტიური ნარჩენი, რადიაქტიური

ნივთიერება ან მაიონიზებელი გამოსხივების სხვა წყარო. რადიაქტიური ნარჩენი არის უკვე გამოყოფილი რადიაქტიური ნივთიერება და ბირთვული მასალა, რომელიც შემდგომი გამოყენებისათვის არაა გამიზნული.

რადიაციული ნივთიერება არის ბუნებრივი ან ხელოვნური ნაერთი, რომელიც დამუხტულია ელექტრომაგნიტური ენერგიით და მისი გამოსხივება და გავრცელება ხდება ამ ნივთიერების ცენტრიდან რადიუსების სახით, სხივურად, იგი ასხივებს ალფა, ბეტა და გამა სხივებს. რაც შეეხება მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს, ეს ნივთიერებანი წარმოადგენს იონიზებული გამოსხივების წყაროს, რადგანაც შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც ენერგიის სახით გამოყოფენ განსაკუთრებულ სხივებს — იონებს, რაც სპობს ცოცხალ ორგანიზმს. რადიაქტიური ნივთიერება შეიძლება იყოს ხელოვნურად მიღებული ან ბუნებრივი წარმოშობის (რადიუმი, ცეზიუმი, პლუტონიუმი, სტრონციუმი და სხვ.).

დანაშაულის საგნად ჩაითვლება რადიაქტიური ნივთიერება თუ ბირთვული მასალა ან მოწყობილობა ნებისმიერი ფორმითა და სახით, თუნდაც რადიაქტიური ნარჩენის (უკვე გამოყენებული ბირთვული საწვავი), ნებისმიერი დანიშნულების მოწყობილობის, დანადგარის, ხელსაწყოს ან ნაკეთობის სახით. ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს შეფუთულია იგი თუ არა, თხევად, გაზისებრ თუ მყარ მდგომარეობაშია.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება სხვადასხვა ქმედების ჩადენაში, მძიმე შედეგის დადგომა სავალდებულო არაა. ამდენად, სახეზეა ე.წ. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი.

უკანონო შეძენა ნიშნავს რადიაქტიური ნივთიერების, ბირთვული მასალისა თუ მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს მოპოვებას ნებისმიერი ხერხით, როცა პირს არა აქვს საამისო ნებართვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოდან. საერთოდ, შეძენა შეიძლება იყოს კანონიერიც. მაგალითად, სამედიცინო-დიაგნოსტიკური აპარატურის შეძენა, რომელსაც ახასიათებს მაიონებელი გამოსხივება (რენტგენის აპარატი). ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, საქართველოში ბირთვული და რადიაციული საქმიანობა ხორციელდება შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ამ საქმიანობის კანონიერების დამადასტურებელ ერთადერთ დოკუმენტს, ხოლო ამ საქმიანობის უწყებრივ მმართველობას ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. უკანონო

შეძენა შეიძლება განხორციელდეს ფულის გადახდით, ნივთში გაცვლით, ვალში ჩათვლით და ა.შ.

უკანონო შენახვა ნიშნავს ამ ნივთიერების მოთავსებას ნებისმიერ ადგილას სათანადო ნებართვის გარეშე. ის შეიძლება იყოს მოთავსებული ფარულ ლაბორატორიაში, მიწისქვეშ, წყლის ქვეშ და ა.შ. უკანონო ფლობა ნიშნავს ამ ნივთიერებებთან ისეთ კავშირს, როცა პირს თავისუფლად შეუძლია მათზე ზემოქმედების მოხდენა, მათი გამოყენება (მაგალითად, ატარებს სატრანსპორტო საშუალებით).

უკანონო განკარგვა ნიშნავს სათანადო ნებართვის გარეშე მათი ფაქტობრივი ან იურიდიული ბედის გადაწყვეტას (განადგურებას, სხვა პირზე მიყიდვას და ა.შ.).

გამოყენება ნიშნავს ამ ნივთიერების თავისი მიზნისათვის გამოყენებას. მაგალითად, პირზე ზეგავლენის მოხდენას ამ ნივთიერების მის მფლობელობაში ყოფნის ფაქტის შეტყობინებით და ა.შ. როდესაც ნივთიერების გამოყენებას ადგილი აქვს მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 324-ე მუხლით – ტექნოლოგიური ტერორიზმი.

უკანონო გადამუშავება ნიშნავს რადიაქტიური თუ ბირთვული ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს შემადგენლობის შეცვლას ან უკვე არსებული შემადგენლობის კონცენტრაციის გაზრდას სათანადო ნებართვის გარეშე.

უკანონო გამოცდა ნიშნავს ამ ნივთიერების, მასალისა თუ წყაროს გამანადგურებელი თვისების პრაქტიკულ შემოწმებას. იგი შეიძლება განხორციელდეს უკაცრიელ ადგილას, მიწისქვეშ, წყლის ქვეშ და, რაც მთავარია, საამისო ნებართვის გარეშე.

უკანონო გადაცემა იმით განსხვავდება უკანონო განკარგვისაგან, რომ გადაცემის დროს ნივთიერება სხვა პირის დროებით მფლობელობაში გადადის.

უკანონო გადაზიდვა ნიშნავს კანონში მითითებული ნივთიერების გადაადგილებას ერთი პუნქტიდან სხვა პუნქტში მისი შენახვის მიზნით, ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით (თვითმფრინავი, გემი, წყალქვეშა ნავი, ავტომანქანა), საამისო ნებართვის გარეშე

უკანონო ექსპორტ-იმპორტი დაკავშირებულია ამ ნივთიერებების სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ პირზე უკანონო გასხვისებასთან ან, პირიქით,

სხვა სახელმწიფოში მცხოვრები პირისაგან მის შეძენასა და საქართველოში შემოტანასთან. ამისათვის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები პირები ფარულ ხელშეკრულებას დებენ რადიაქტიური, ბირთვული თუ მაიონებელი გამოსხივების სხვაგვარი წყაროს სხვა სახელმწიფოში გატანისა თუ, პირიქით, შემოტანის შესახებ. ეს დანაშაული დაკავშირებულია სსკ 214-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებასთან. თუმცა მათ შორის არის განსხვავება. კერძოდ, ჩვენ მიერ განსახილველი დანაშაულის (230-ე მუხ.) სუბიექტი უშუალოდ არ ახდენს ამ ნივთიერებების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატან-გადმოტანას. მისი მოქმედება გამოიხატება ექსპორტიორ ან იმპორტიორ პირთან უკანონო გარიგების დადებაში, კანონში მითითებულ ნივთიერებათა საქართველოდან უკანონო გატანისათვის ან შემოტანისათვის პირობების შექმნაში (სათანადო ტრანსპორტის გამოძებნა, ნივთიერების შეფუთვა და ტრანსპორტში მოთავსება, დოკუმენტაციის გამზადება, ფულის გადახდა, საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ნივთიერების მიღება და სხვ.). თუკი უკანონო ექსპორტიორი ან იმპორტიორი, ამავე დროს, უშუალოდ ახორციელებს ამ ნივთიერების (რადიაქტიური ნივთიერების) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატან-გადმოტანას, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით (სსკ 230-ე და 214-ე მუხ. მე-4 ნაწილით).

ვაჭრობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე შეძენა ან გაყიდვა. იგი მოიცავს ორივე ამ პროცესს, ჩადენილს სისტემატურად. გარდა ამისა, ნივთების შეძენას მათი გაყიდვის მიზნით, ზეპირი თუ წერილობითი უკანონო ხელშეკრულების დადებას, ფასების რეგულირებას და სხვ.

ამ ნივთიერებებისადმი სხვა უკანონო მოპყრობა შეიძლება გამოიხატოს მათი შენახვის წესის დაუცველობაში, მათ დაზიანებაში ან მათ ისეთ ადგილას მოთავსებაში, რომ მომავალში შეუძლებელია მისი მოპოვება და ა.შ. რაც მთავარია, ამ ქმედებას სჩადის პირი, ვისაც საამისო კანონიერი ნებართვა არა აქვს.

მათთან დაკავშირებული სხვა გარიგება განსხვავდება ვაჭრობისაგან. სხვა გარიგების დროს არ ხდება ამ ნივთიერების ყიდვა-გაყიდვა ან გაცვლა თუ ვალში ჩათვლა. სხვა გარიგება შეიძლება გამოიხატოს რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეკვეთაში რადიაქტიური, ბირთვული თუ მაიონიზებელი გამოსხივების სხვა წყაროს უსასყიდლოდ გადაცემის სანაცვლოდ და ა.შ.[1]

როგორც უკვე აღინიშნა, სსკ 230-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალურია, ე.ი. მისი დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია ამ ქმედებათაგან ერთ-ერთის ჩადენა და არაა საჭირო მძიმე შედეგის დადგომა (აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი).

ობიექტური მხარის ისეთ ნიშნებს, როგორიცაა დანაშაულის ადგილი, დრო, ხერხი და საშუალება, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ იგი ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. პირს შეგნებული აქვს, რომ ახორციელებს უკანონო გარიგებას ან უკანონოდ ეპყრობა 230-ე მუხლში ჩამოთვლილ ნივთიერებებს და სურს მისი განხორციელება.

მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. თუ ამ ქმედების ჩადენა ემსახურება აგრესიული ომის მომზადებას, იგი დაკვალიფიცირდება სსკ 404-ე მუხლით, ვინაიდან აგრესიული ომის მომზადება გულისხმობს სხვადასხვა სახის იარაღისა და მასალის (მათ შორის მასობრივი განადგურების ნივთიერების უკანონო შეძენასაც და მის მიმართ სხვა უკანონო მოპყრობასაც). სსკ 230-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებების არსი ჩვენ მიერ განხილულია სხვა მუხლების ანალიზისას, ამდენად, მათზე არ შევჩერდებით.

სსკ 230-ე მუხლი განსხვავდება 245-ე მუხლისაგან შემდეგი ნიშნებით: სსკ 245-ე მუხლის სუბიექტს აქვს კანონიერი უფლებამოსილება, დადგენილი წესით მოეპყროს ბირთვულ მასალასა თუ სხვა ნივთიერებას, მაგრამ იგი არღვევს მათდამი მოპყრობის (მაგალითად, შეძენის) წესს. 230-ე მუხლის სუბიექტს კი არ გააჩნია კანონიერი უფლებამოსილება ამ ნივთიერებისადმი განახორციელოს ეს კონკრეტული ქმედება და ამის მიუხედავად სჩადის მას (მაგალითად, ნებართვის გარეშე შეიძენს ამ ნივთიერებას).

ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება (მუხლი 231-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება, ასევე საკუთრებითი ურთიერთობა. დამატებით ობიექტად გვევლინება ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

დანაშაულის საგანი ემთხვევა სსკ 230-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანს. ესაა ბირთვული მასალა, რადიაქტიური ნივთიერება ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყარო.

სწორედ დანაშაულის საგნის მომეტებული საშიშროების გამო კანონმდებელმა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სიიდან ამორიცხა მათი უკანონო დაუფლება თუ ხელში ჩაგდება და ისინი საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში გადაიტანა.

ობიექტური მხრივ სსკ 131-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში, რომელსაც მოჰყვება ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნივთიერებისა თუ მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება. დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი ხელთ იგდებს ამ ნივთებს და მიეცემა მათი განკარგვის შესაძლებლობა. ამდენად, სახეზეა მატერიალური დანაშაული.

ამ ნივთების ხელში ჩაგდება შეიძლება განხორციელდეს როგორც ფარულად, ისე აშკარად, მოტყუებით, ასევე იმ პირის მიერ, ვის მართლზომიერ მფლობელობაშიც იგი იყო. ამ მხრივ განსახილველი ნორმა ემსგავსება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დაუფლებით დანაშაულებს (ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა, მითვისება და გაფლანგვა). მაგრამ, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ხერხებისა, პირმა შეიძლება გამოიყენოს გამოძალვისათვის დამახასიათებელი ხერხიც. სწორედ ამიტომ სსკ 231-ე მუხლის შემადგენლობა მოიცავს ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს არა დაუფლებას, არამედ მის ხელში ჩაგდებას. ხელში ჩაგდებაში იგულისხმება დაუფლებითი ხერხის გარდა, გამოძალვაც. რაც შეეხება ყაჩაღობისათვის დამახასიათებელ ხერხს, მისი გამოყენება გათვალისწინებულია 231-ე მუხლის მე-2 ნაწილში.

ნებისმიერ ხერხის გამოყენებას (მათ შორის გამოძალვას და ყაჩაღობის ხერხის) შედეგად უნდა მოჰყვეს ჩამოთვლილ ნივთიერებათა ხელში ჩაგდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება დანაშაულის მცდელობას.

ეს ნივთები ხელში ჩაგდებულად ჩაითვლება მაშინ, როცა დამნაშავეს მიეცემა მისი განკარგვის შესაძლებლობა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ხელში ჩაგდების დროებითი ხასიათი აქვს თუ არა.

თუ პირი ამ დანაშაულის ჩასადენად იყენებს თანამდებობრივ მდგომარეობას ან სჩადის კომპიუტერულ დანაშაულს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

დანაშაულის ამსრულებელია შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი. თუმცა პრაქტიკულად ამ დანაშაულის ამსრულებელი, როგორც წესი, სრულწლოვანია.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით. პირს შეგნებული აქვს, რომ უკანონოდ ხელთ იგდებს სწორედ ბირთვულ მასალას, რადიოაქტიურ ნივთიერებას ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს.

მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. უმეტესად ადგილი აქვს ანგარების მოტივს. როდესაც ადგილი აქვს ამ ნივთიერების ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით, ქმედება დაკვალიფიცირდება არა სსკ 231-ე მუხლით, არამედ 324-ე მუხლით – ტექნოლოგიური ტერორიზმი. თუ დამტკიცდება, რომ პირი ამ ქმედების ჩადენით ემზადება აგრესიული ომისათვის, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 231-ე მუხლითა და შესაბამისად 404-ე მუხლით, ვინაიდან ამ ნივთიერების ხელში ჩაგდების დროს საფრთხე ადგება კონკრეტული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე ზიანდება სხვისი საკუთრება, რაც სცილდება სსკ 404-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტს.

რაც შეეხება სსკ 231-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებას – იგივე ქმედება, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით, იგი ჩვენ მიერ განხილულია სსკ 227-ე მუხლის ანალიზისას.

ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მუქარა (მუხლი 231[1])

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება, ხოლო საგანია ბირთვული ნივთიერება (პლუტონიუმი, ურანი და სხვ.).

1980 წლის 3 მარტს ნიუ-იორკსა და ვენაში ხელმოწერილი კონვენცია ბირთვული ნივთიერების ფიზიკური დაცვის შესახებ. ეს კონვენცია მიზნად ისახავს ბირთვული ნივთიერებების უკანონოდ ხელში ჩაგდებას და გამოყენებას. კონვენციის მე-7 მუხლის „დ“ პუნქტით აიკრძალა ძალით ან ძალის გამოყენების მუქარით ან სხვა სახის მუქარით ბირთვული ნივთიერების მოთხოვნა.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ძალადობის გამოყენებით ან ძალადობის მუქარით ბირთვული ნივთიერების მოთხოვნაში და რაიმე მძიმე შედეგის დადგომა არაა სავალდებულო. ამდენად, სახეზეა ფორმალური შემადგენლობა (აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი). თუ ძალადობით ან მუქარის გამოყენებით დამნაშავემ შესძლო ბირთვული ნივთიერების ხელში ჩაგდება, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 231-ე მუხლით.

ძალადობაში იგულისხმება ცემა, ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება და სხვ. თუ ძალადობამ გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიკვდილი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

ძალადობის მუქარაში იგულისხმება ნებისმიერი მუქარა მკვლელობის მუქარის ჩათვლით (მათ შორის ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარაც).

სსკ .... მუქარის ზოგადი ნორმა (151-ე მვხლი), რომელიც 231[1] მუხლში შედის, როგორც ნაწილი, ამიტომ 231[1] მუხლი მას მოიცავს და დამატებით კვალიფიკაცია 151-ე მუხლით საჭირო არ არის. ქმედების ამ მუხლის კვალიფიკაციისას მნიშვნელობა არა აქვს მუქარა თუ ძალადობა გამოიყენება კერძო პირის თუ სახელმწიფოს წარმომადენლისადმი.

თუ ძალადობის ან მუქარისას გამოყენებული იქნა იარაღი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

განსახილველი ქმედების ამსრულებელია როგორც ფიზიკური (14 წელს მიღწეული, შერაცხადი), ისე იურიდიული პირი.

სუბიექტური მხრივ 231[1] მუხლი პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ ძალადობით ან მუქარით ითხოვს სწორედ ბირთვულ ნივთიერებას (და არა, ვთქვათ, ნარკოტიკულ ნივთიერებას ან ცეცხლსასროლ იარაღს).

მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ თუკი დადგინდა, რომ პირს ამოძრავებდა ტერორისტული მიზანი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 324-ე მუხლის მცდელობით (19, 324 მ.).

ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება (მუხლი 232-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება.

დანაშაულის საგანია ბირთვული იარაღი ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობა.

ბირთვულია ისეთი იარაღი, რომელიც შეიცავს ბირთვულ ნივთიერებას, რაც ბირთვული გამოსხივების წყაროა.

ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობა არის ისეთი ტექნიკური ხელსაწყო, მართვადი აპარატი, დანადგარი თუ მანქანა-მექანიზმი, რითაც ხდება ბირთვული მასალის აფეთქება.

ობიექტური მხრივ ეს დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში, კერძოდ, ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადებაში.

დამზადება ნიშნავს განზრახ მოქმედებას, რომლის შედეგადაც მიიღეს გამოყენებისათვის მზა ბირთვული იარაღი (მაგალითად, ბომბი) ან ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობა. დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა მიიღება მზა იარაღი ან ასაფეთქებელი მოწყობილობა. თუ პირმა ეს ვერ შეძლო, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის მცდელობით (მე-19, 232-ე მუხლით).

საქართველო ეკუთვნის იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომელსაც არა აქვს ბირთვული იარაღის დამზადების უფლება. ამდენად, საქართველოში მისი დამზადება არ შეიძლება მოხდეს კანონიერად. სსკ 232-ე მუხლში

არაა მითითებული დამზადების უკანონობაზე, რადგანაც ბირთვული იარაღის ან ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება ყველა შემთხვევაში უკანონოა.

დანაშაულის ჩადენის ადგილს, დროს, ხერხსა და საშუალებას ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსკ 232-ე მუხლის შემადგენლობა ნაწილობრივ ემთხვევა 406-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, კერძოდ, 406-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით აკრძალული ქიმიური, ბიოლოგიური ან მასობრივი განადგურების სხვა იარაღის დამზადების, შეძენისა ან გასაღებისათვის. ცხადია, რომ მასობრივი განადგურების იარაღში შედის ბირთვული იარაღიც. ამდენად, ბირთვული იარაღის დამზადებისათვის პასუხისმგებლობა დაწესებულია სსკ ორი მუხლით — 232-ე და 406-ე მუხლებით, რაც კანონის კოლიზიად უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, 232-ე მუხლი თავისი შინაარსით უფრო საერთაშორისო დანაშაულია, ვიდრე მიმართული საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ.

სსკ 232-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით. პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ამზადებს ბირთვულ იარაღს ან ბირთვულ ასაფეთქებელ მოწყობილობას. თუ იგი შეცდომით ფიქრობს, რომ ამზადებს ფეთქებად ნივთიერებას ან ასაფეთქებელ მოწყობილობას (ეს შესაძლებელია ამ დანაშაულის ჯგუფურად ჩადენისას ჯგუფის ერთ-ერთი წევრის შეცდომაში შეყვანით), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ მე-19, 236-ე მუხლებით — ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადების მცდელობით.

მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა უფრო მოსალოდნელია ანგარების მოტივი.

სსკ 232-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები განხილულია სსკ 222-ე მუხლის ანალიზისას და, ამდენად, მათზე არ შევჩერდებით.

როდესაც დამტკიცდება, რომ ამ ქმედების ჩადენით პირი ემზადება აგრესიული ომისათვის, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 404-ე მუხლით.

ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება (მუხლი 233-ე)

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება, ხოლო დამატებით ობიექტს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

დანაშაულის საგანია ინფორმაცია, რომელიც შეეხება ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტზე ავარიასა თუ უბედურ შემთხვევას.

ობიექტური მხრივ იგი გამოიხატება: ა) როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში; ბ) ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის დადგომის აბსტრაქტულ საფრთხეში; ამდენად, სახეზეა ე.წ. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ კანონის თანახმად, ბირთვული და რადიაციული ობიექტის ექსპლოატაციის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს ბირთვული ავარიის შესახებ უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს. ასევე იგი ვალდებულია უზრუნველყოს ავარიისა და მისი შედეგისაგან მუშაკთა და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელება, გაატაროს ზომები დაზარალებულთათვის სამედიცინო დახმარების გასაწევად.

ბირთვული ავარია უთანაბრდება ეკოლოგიურ კატასტროფას. ამდენად, ამ დროს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში ცხადდება საგანგებო მდგომარეობა და ეს ტერიტორია მიჩნეულ იქნება საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ან ეკოლოგიური უბედურების ზონად. ამ დროს სასწრაფოდ უნდა მოხდეს მოსახლეობის ევაკუაცია ან სხვა საჭირო ზომების მიღება (მათი მომარაგება მედიკამენტებითა და სპეცტანსაცმლით). ზოგჯერ თანამდებობის პირები მალავენ ინფორმაციას ავარიის შესახებ, რათა არ შეილახოს მათი პრესტიჟი, ან თავი აარიდონ მოსახლეობის დახმარებისათვის საჭირო ხარჯებს.[1]

ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. უმოქმედობას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირი ფარავს (არ აცხადებს) ინფორმაციას ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ, ხოლო მ[illegible]ებას ადგილი აქვს ასეთი ინფორმაციის დამახინჯების დროს.

მაგალითად, რადიაქტიურ ნივთიერებაზე მომუშავე ელექტრო- სადგურზე მოხდა დიდი ოდენობით რადიაქტიური ნივთიერების გამოფრქვევა. პირი, მართალია, ამ ფაქტს არ მალავს, მაგრამ აცხადებს, რომ გამოფრქვევა იყო ძალიან მცირე დოზით, სწრაფად იქნა ლიკვიდირებული და გარშემომყოფთ საფრთხეს არ უქმნიდა.

დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არაა საკმარისი ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება. აუცილებელია, დამტკიცდეს, დაფარულია ისეთი ინფორმაცია, რომლის დამალვას შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, დიდი ოდენობით მატერიალური ზარალი) ე.ი. უნდა დამტკიცდეს, პირს რომ არ დაეფარა ან არ დაემახინჯებინა ინფორმაცია ავარიისა თუ უბედური შემთხვევის შესახებ, ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგის აბსტრაქტული საფრთხე არ შეიქმნებოდა. ინფორმაცია დროულად მიწოდებულად ჩაითვლება მაშინ, როცა მისი მიწოდება მოხდება ავარიის ან უბედური შემთხვევის მოხდენისთანავე.

სსკ 233-ე მუხლში არაა მითითება სპეციალურ ამსრულებელზე, მაგრამ ამ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ბირთვული ან რადიაქტიური ობიექტის ხელმძღვანელი ან ზემდგომი თანამდებობის პირი, რომელმაც იცის ამ ობიექტზე მომხდარი ავარიისა თუ უბედური შემთხვევის შესახებ და ვალდებულია დროულად გაავრცელოს ეს ინფორმაცია.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახვით. პირმა ზუსტად იცის, რომ ბირთვულ ან რადიაქტიულ ობიექტზე მოხდა ავარია ან უბედური შემთხვევა, და ისიც, რომ ამგვარი ინფორმაციის დამალვა საფრთხეს უქმნის ადამიანებს, თუ დროულად არ იქნა გატარებული სათანადო ღონისძიებები. ანდა შეგნებულად უშვებს ან გულგრილია ამ საფრთხის მიმართ. ამდენად, დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნას როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. რაც შეეხება მოსალოდნელ (შესაძლო) შედეგს (მაგ., ადამიანის სიკვდილს), ამ შედეგის მიმართ პირი მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით. თუ დადასტურდება, რომ შესაძლო შედეგის მიმართ პირი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით (სურდა ეს შედეგი, მაგრამ იგი არ დადგა), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მე-19, 108-ე ან მე-19, 109-ე ან სხვა მუხლებით (თუკი სახეზეა უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულისათვის აუცილებელი

სამივე პირობა, რაც მოცემულია სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში). ან საბოტაჟით, თუ მისი მიზანი იყო ქვეყნის დასუსტება.

მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. პირს შეიძლება ამოძრავებდეს მისი პროფესიული კარიერის კრახის, შესაბამისი ორგანიზაციის ან საკუთარი პრესტიჟის შელახვის შიში, ზედმეტი ხარჯის თავიდან აცილების მიზანი და ა.შ. თუ პირის მიზანია დაასუსტოს საქართველო, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც საბოტაჟი, ჩადენილი უმოქმედობით.

სსკ 233-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება, რამაც სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. ამ შედეგის მიმართ ადგილი აქვს პირის გაუფრთხილებლობას. თუ ეს შედეგი დადგა განზრახ (თუნდაც არაპირდაპირი განზრახვით), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს განზრახი დანაშაულის შესაბამისი მუხლით (განზრახი მკვლელობით, ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებით და ა.შ.).

სხვა მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაში, დიდი ოდენობით მატერიალურ ზარალში, ბირთვული ან რადიაქტიური ობიექტის მწყობრიდან გამოყვანაში და სხვ.

საქართველოს ტერიტორიაზე რადიაქტიური, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტი ან იმპორტი (მუხლი 234-ე)

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება, ხოლო დამატებითი ობიექტი ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა.

დანაშაულის საგანია რადიაქტიური, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენი, ასევე სხვა სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენი. ეს ისეთი ნივთიერებებია, რომლებიც შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისია. კერძოდ, რადიაქტიური ნარჩენია გამოყენების შედეგად მიღებული რადიაქტიური ნივთიერება ან ბირთვული მასალა (მაგალითად, გამოყენებული ბირთვული საწვავი), რომელიც გამოუსადეგარია შემდგომი გამოყენებისათვის, თუმცა, ამის მიუხედავად, მას მაინც შეუძლია ზიანი

მოუტანოს ცოცხალ ორგანიზმს.

ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენია სამრეწველო საქონლის წარმოების შედეგად დარჩენილი ნივთიერება, რომელიც იწვევს ცოცხალი ორგანიზმის მოწამვლას.

ტოქსიკური საყოფაცხოვრებო ნარჩენია ყოფითი ცხოვრების შედეგად დარჩენილი ნივთიერება (ნაგავი), რომელიც ასევე მომწამლავია.

სხვა სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენი ისეთი ნივთიერებაა, რომელიც დარჩენილია წარმოების ან ყოფითი ცხოვრების შედეგად და წარმოადგენს სხვადასხვა ინფექციის წყაროს.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში. კერძოდ, ჩამოთვლილ ნივთიერებათა ტრანზიტში ან იმპორტში. დანაშაული არის ფორმალური შემადგენლობის და ამ ქმედებათა ჩადენის მომენტიდან (კანონში მითითებული მიზნით) იგი დამთავრებულად ითვლება (აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი).

რადიაქტიური, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტი ნიშნავს ამ ნივთიერების გადატანას ერთი სახელმწიფოდან (მაგალითად, თურქეთიდან) მეორეში (მაგალითად, აზერბაიჯანში) მესამე სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში, საქართველოს) გავლით. ამდენად, ტრანზიტის დროს ტვირთმა უნდა გაიაროს საქართველოს ტერიტორია, რათა გადატანილ იქნეს სხვა სახელმწიფოში. საქართველოში საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით აკრალულია ზემოთ ჩამოთვლილ ნივთიერებათა ტრანზიტი. ასეთი ტრანზიტი ყველა შემთხვევაში უკანონოა. სწორედ ამიტომ, სსკ 234-ე მუხლში არაა ხაზგასმა მისი უკანონობის შესახებ.

სსკ 234-ე მუხლში **ჩამოთვლილ ნივთიერებათა იმპორტი** ნიშნავს სხვა ქვეყნიდან მათ შემოტანას საქართველოში. ასეთი იმპორტიც კანონით აკრძალულია.

განსახილველი მუხლის დისპოზიციიდან ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე იკრძალება რადიაქტიურ, ტოქსიკურ და საყოფაცხოვრებო ნარჩენის როგორც ტრანზიტი, ასევე იმპორტი. რაც შეეხება სხვა სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, მათი ტრანზიტი არაა აკრძალული. სსკ 234-ე მუხლით იკრძალება ამ ნივთიერებათა იმპორტი, ე.ი. მათი შემოტანა.

დანაშაულის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით. კერძოდ, პირს შეგნებული აქვს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს რადიაქტიური, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტს ან იმპორტს, ან სხვა სამრეწველო, ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის იმპორტს და სურს მისი განხორციელება. ამასთანავე, ქმედების ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, ეს ქმედება ხორციელდებოდეს გარკვეული მიზნით, როგორიცაა: უტილიზაციის, გაუვნებელყოფის, გადამუშავების, დამარხვის ან ნებისმიერი სხვა მიზანი.

უტილიზაცია ნიშნავს ამ ნივთიერების გამოყენებას სასარგებლო მიზნით. მაგალითად, ნარჩენის გამოყენება ნედლეულის, სათბობის სახით და სხვ.

გაუვნებელყოფა ნიშნავს ამ ნივთიერებების საზიანო თვისებების მოშორებას, მათ უვნებლად გადაქცევას გარე სამყაროსათვის.

გადამუშავება ნიშნავს ამ ნივთიერებისაგან სხვა სახის ნივთიერების მიღებას.

დამარხვა შეიძლება განხორციელდეს როგორც მიწაში, ისე წყალქვეშ. ნებისმიერ სხვა მიზანში შეიძლება მოვიაზროთ მათი გამოყენება სხვადასხვა ექსპერიმენტის ან დაკვირვებისათვის და ა.შ.

რაც შეეხება სხვა სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების იმპორტს, იგი უნდა მოხდეს მათი გაუვნებელყოფის, დაწვის ან დამარხვის მიზნით. დაწვა ნიშნავს ამ ნივთიერებათა განადგურებას ცეცხლის წაკიდებით.

განსახილველი დანაშაული რამდენადმე ემსგავსება სსკ 230-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას. კერძოდ, 230-ე მუხლის ერთ-ერთი საგანი ასევე არის რადიაქტიური ნარჩენი და, ამასთანავე, ობიექტური მხარის ერთ-ერთი გამოხატულებაა ამ ნივთიერებათა იმპორტი. ვინაიდან სსკ 230-ე მუხლში ქმედების მიზანი საერთოდ არაა დაფიქსირებული (ამდენად, იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი), ხოლო 234-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების მიზანი ასევე შეიძლება იყოს ნებისმიერი, ისმის კითხვა: რომელი მუხლით უნდა დააკვალიფიციროს სასამართლომ რადიაქტიური ნივთიერების იმპორტი საქართველოში, რომელიც ჩადენილია რაიმე პირადი მიზნით? ვფიქრობთ, აქ ადგილი აქვს კანონის კოლიზიას.

სსკ 234-ე მუხლის მე-2 ნაწილით დამამძიმებელი გარემოებაა იგივე

ქმედება, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი. ეს შედეგი უნდა დადგეს გაუფრთხილებლობით. მძიმე შედეგში იგულისხმება ადამიანის სიკვდილი ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, წყლის ან ჰაერის მოწამლვა და ა.შ. ამდენად, სსკ 234-ე მუხლის მე-2 ნაწილი ხასიათდება ე.წ. ორმაგი, ანუ რთული ბრალით — განზრახვით ქმედებისა და გაუფრთხილებლობით მძიმე შედეგის მიმართ.

მასობრივი განადგურების იარაღის, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო ექსპორტი (მუხლი 235-ე)

ამ დანაშაულისაგან ს.სსლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება, რაც დაკავშირებულია მასობრივი განადგურების იარაღისა და სამხედრო ტექნიკისადმი მოპყრობის წესის დაცვასთან.

დანაშაულის საგანია მასობრივი განადგურების იარაღი, მისი გადაზიდვის საშუალება, შეიარაღება, სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგია, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაცია ან მეცნიერულ-ტექნიკური მომსახურება, რომლის მიმართაც დადგენილია სპეციალური საექსპორტო კონტროლი.

მასობრივი განადგურების იარაღის ცნება გაერომ მოგვცა 1948 წელს. მასობრივი განადგურებისაა ისეთი იარაღი, რომელიც მოქმედებს რადიაქტიური მასალის დახმარებით ან ნებისმიერი აფეთქების გზით. იგი წარმოადგენს სასიკვდილო ქიმიურ, ბაქტერიოლოგიურ, ტოქსიკურ, ბიოლოგიურ და სხვა იარაღს, რომელსაც აქვს ატომური ბომბის ან სხვა ზემოთ ჩამოთვლილი იარაღის თვისება და სპობს ადამიანებს ან აზიანებს მათ ჯანმრთელობას.

მასობრივი განადგურების იარაღს მიეკუთვნება: ქიმიური, ტოქსიკური, ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური), ბირთვული, თერმობირთვული და ნეიტრონული იარაღი.

ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება ჯერ კიდევ 1925 წელს იქნა აკრალული სათანადო კონვენციით, ხოლო 1993 წლის კონვენცია სპეციალურად მიეძღვნა ქიმიური იარაღის აკრძალვას.

1972 წელს მიღებული კონვენციის თანახმად, აკრძალულია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის შემუშავება, ასევე უნდა მოხდეს მისი მასალის განადგურება ან იგი გამოყენებულ იქნეს მშვიდობიანი მიზნებისათვის.

შეიარაღება არის ადამიანთა სამხედრო შესაიარაღებლად საჭირო ნივთების ერთობლიობა. კერძოდ: სამხედრო შეიარაღებისათვის საჭირო იარაღი, ტანსაცმელი, რადიოტექნიკური და სატრანსპორტო საშუალება და ა.შ.

სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგია არის ის მოწყობილობა, დანადგარი, დაზგა და ტექნიკის სხვა საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხდება სამხედრო ტექნიკის (მაგალითად, ტანკის) დამზადება.

მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციაა სხვადასხვა სქემა, ნახაზი, სამხედრო ტექნიკის მოდელი, მაკეტი და ა.შ.

მეცნიერულ-ტექნიკური მომსახურება არის ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების შენახვის, დამონტაჟების, გამოყენებისა თუ შეკეთების შესახებ.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება ჩამოთვლილ ნივთიერებათა უკანონო ექსპორტში. საქართველოში სსკ 235-ე მუხლში ჩამოთვლილი საგნის ექსპორტის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დადგენილი სპეციალური საექსპორტო კონტროლის პირობებში. კერძოდ, ამისათვის საჭიროა კომპეტენტური ორგანოს ნებართვა. გარდა ამისა, აღნიშნული საგნების ექსპორტი უნდა ხდებოდეს სპეციალურად შეფუთულ მდგომარეობაში, სათანადო სატრანსპორტო საშუალებით, გაძლიერებული დაცვის თანხლებით და ამისათვის დადგენილი საბაჟო კონტროლის პუნქტის გავლით.

ექსპორტი ჩაითვლება უკანონოდ, როცა არ არსებობს შეთანხმება საქართველოს კომპეტენტურ ორგანოსა და იმ სახელმწიფოს სათანადო ორგანოს შორის, სადაც ხდება ამ ნივთიერების ექსპორტი, ასევე არაა დაცული ზემოთ ჩამოთვლილი პირობა.

თუკი ის პირი, ვინც ახორციელებს მასობრივი განადგურების იარაღის ან მისი გადაზიდვის საშუალების, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო ექსპორტს, ამავე დროს, საბაჟო წესის დარღვევით ახდენს მის გადატანას საქართველოს საბაჟო საზღვარზე, ქმედება უნდა

დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით (სსე 235-ე და 214-ე მუხლები მე-4 ნაწ.).

განსახილველი დანაშაული არის ფორმალური შემადგენლობის და დამთავრებულად ითვლება უკანონო ექსპორტის განხორციელების მომენტიდან, მძიმე შედეგის დადგომა არაა სავალდებულო.

განსახილველი დანაშაული უნდა განვასხვაოთ სსკ 230-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან. სსკ 235-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ერთ-ერთი საგანია მასობრივი განადგურების იარაღი, ხოლო 230-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა კი — არა ბირთვული ან რადიაქტიური იარაღი, არამედ ბირთვული მასალა ან მოწყობილობა, რადიაქტიური ნარჩენი, რადიაქტიური ნივთიერება ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყარო.

სსკ 235-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. პირს შეგნებული აქვს, რომ უკანონოდ ახდენს მასობრივი განადგურების იარაღისა და სხვა საგნების ექსპორტს საქართველოდან და სურს მისი განხორციელება.

მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. უმეტესად ჩადენილია ანგარების მიზნით.

ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა,შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხლი 236-ე)

საქართველო ეკუთვნის იმ სახელმწიფოთა რიცხვს, სადაც იარაღი ამოღებულია თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან. მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის ზოგიერთი სახეობის შეძენაა შესაძლებელი პოლიციის ნებართვით. ამგვარი ნებართვის გარეშე მისი შეძენა მართლსაწინააღმდეგოა და ისჯება სისხლის სამართლის კანონით.

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება.

დანაშაულის საგანია ცეცხლსასროლი იარაღი (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება ან ასაფეთქებელი მოწყობილობა.

ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი ნივთი დანაშაულის საგნად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ვარგისია საბრძოლო მოქმედებისათვის, ე.ი. გამოყენებისათვის.

სსკ 236-ე მუხლის საგანი არ არის ცივი იარაღი.

„იარაღის შესახებ“ საქართველოს 2006 წლის 13 იანვრის კანონის თანახმად, იარაღი არის მოწყობილობა ან საგანი, რომელიც კონსტრუქციულად (ე.ი. აგებულებით) განკუთვნილია ცოცხალი ან სხვა ობიექტის დაზიანებისა და განადგურებისათვის.

ცეცხლსასროლი იარაღი კი ამ კანონის თანახმად, არის იარაღი, რომელშიც ჭურვი ბიძგს იღებს ფეთქებადი ნივთიერების აფეთქების შედეგად წარმოქმნილი აირის მეშვეობით და რომელიც განკუთვნილია ობიექტის მანძილიდან მექანიკური დაზიანებისა და განადგურებისათვის.

ცეცხლსასროლ იარაღს მიეკუთვნება: ტყვიამფრქვევი, ავტომატი, კარაბინი, პისტოლეტი, ნაგანი, თოფი და სხვ. ეს იარაღი განკუთვნილია ცოცხალი არსების გასანადგურებლად.

საერთოდ, ცივ იარაღთან შედარებით ცეცხლსასროლი იარაღის მომ-

ეტებულ საშიშროებას განაპირობებს მისი თვისებები. კერძოდ, ცოცხალი არსების გასანადგურებლად არაა საჭირო მისი ფიზიკური კონტაქტი სამიზნე ობიექტთან, არამედ უნარი აქვს მოსპოს იგი გარკვეული მანძილიდანაც; გასროლის შედეგად საბრძოლო მასალის (მაგალითად, ტყვიის) მოქმედების მანძილი, ძალა და სხვა საზიანო თვისება არაა დამოკიდებული იმ პირის ფიზიკურ მონაცემსა და პროფესიონალიზმზე, ვინც მოახდინა გასროლა; ცეცხლსასროლ იარაღს აქვს უნარი ერთდროულად დააზიანოს რამდენიმე ობიექტი.

ცეცხლსასროლ იარაღს არ მიეკუთვნება სასტარტო, სასიგნალო, სამშენებლო და გაზის პისტოლეტი, რომელიც არაა გამიზნული ცოცხალი არსების გასანადგურებლად და არ შეიცავს გამანადგურებელ ელემენტს.

საქართველოს სს კანონმდებლობა სსკ 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნად არ მიიჩნევს გლუვლულიან სანადირო თოფს. ამ თოფიდან ტყვიის გასროლის მანძილი შედარებით ნაკლებია, ვიდრე სხვა ცეცხლსასროლი იარაღიდან. გარდა ამისა, გლუვლულიან სანადირო თოფს არა აქვს საბრძოლო დანიშნულება. მისი ტარება მოუხერხებელია. პირი, ვინც დაარღვევს გლუვლულიანი სანადირო თოფისადმი მოპყრობის წესს, პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით.

საბრძოლო მასალა არის ისეთი საგანი ან მოწყობილობა, რომელიც კონსტრუქციულად შესაბამისი იარაღიდან გასროლისთვისაა განკუთვნილი (ტყვია, ხელყუმბარა, ნაღმი და ა.შ.). საბრძოლო მასალას არ მიეკუთვნება სანადირო გლუვლულიანი თოფის ტყვია, რადგან მას არ ახასიათებს საბრძოლო დანიშნულება.

ფეთქებადი ნივთიერება არის ისეთი ნაერთი, რომელსაც გარკვეული ზემოქმედების შედეგად ახასიათებს სწრაფად გავრცელებადი ქიმიური გარდაქმნა (აფეთქება), რა დროსაც გამოიყოფა დიდი კინეტიკური ენერგია, გაზი და ტემპერატურა, რომლის გამოყენება შეიძლება მექანიკური მოძრაობითი სამუშაოს შესასრულებლად ან სხვადასხვა საგნის დასანგრევად (ტროტილი, დინამიტი, ამონალი, პლასტიტი და სხვ).

ასაფეთქებელი მოწყობილობა წარმოადგენს ფეთქებადი ნივთიერებისა და სპეციალური მოწყობილობის კომბინაციას (მაგალითად, დეტონატორი), რომელიც განკუთვნილია აფეთქების საწარმოებლად.

სსკ 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ობიექტური მხარე გამოიხატება ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა),

საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენაში ან შენახვაში. მართლსაწინააღმდეგო შეძენა ხორციელდება მოქმედებით, ხოლო შენახვა როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.

ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა იქნება მართლსაწინააღმდეგო, თუ იგი ხორციელდება „იარაღის შესახებ“ კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ[1].

იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა გულისხმობს კანონის დარღვევით მის ყიდვას, სხვა ნივთში გაცვლას, ვალში ჩათვლას, ნაჩუქარის მიღებას,ნაპოვნის დაუფლებას. შეძენა დამთავრებულია, როცა პირს მიეცემა ამ იარაღის განკარგვის შესაძლებლობა.

იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა გულისხმობს იარაღისათვის ადგილსამყოფელის მიჩენას იმ პირის მიერ, ვისაც მისი შენახვის კანონიერი უფლება არა აქვს. თუკი პირს აქვს იარაღის შენახვის კანონიერი უფლება, მაგრამ არღვევს მისი შენახვის წესებს, პასუხისმგებლობა დაეკისრება ადმინისტრაციული წესით.

მართლსაწინააღმდეგო შენახვა შეიძლება მოხდეს საცხოვრებელ ბინაში, სარდაფში, გარაჟში, მიწაში და ა.შ. ამ დროს, მთავარია, პირმა ისეთ ადგილას შეინახოს იარაღი, რომ შეეძლოს მისი გამოყენება, როცა დასჭირდება. შენახვა შეიძლება განხორციელდეს უმოქმედობითაც. მაგალითად, პირის მიმართ, რომელიც კანონიერად ინახავდა იარაღს, გაუქმდა მისი შენახვის ნებართვა, მაგრამ იგი მაინც არ აბარებს მას სათანადო ორგანოებს. შენახვის ხანგრძლივობას ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სსკ 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი **მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო ტარება.**

იარაღის კანონიერი ტარების უფლება აქვს იარაღის მესაკუთრეს და იარაღით მოსარგებლეს.

„იარაღის შესახებ“ კანონის თანახმად, იარაღის მესაკუთრეა პირი, რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს იარაღის ფლობის, განკარგვისა და იარაღით სარგებლობის უფლება.

იარაღით მოსარგებლე კი არის პირი, რომელსაც იარაღი გადაცემული

1 იხ. საქართველოს 2006 წ. 23 ივნისის კანონი „იარაღის შესახებ“.

აქვს დროებითი სარგებლობისათვის, სამსახურებრივ მოვალეობათა შესასრულებლად.

იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება გამოიხატება იარაღთან ერთად გადაადგილებაში, როდესაც პირს ამის კანონიერი უფლება არა აქვს. ეს შეიძლება განხორციელდეს ტანსაცმლით, ჩანთით, მანქანით, რომლითაც იგი მოძრაობს და ა.შ. მთავარია, იარაღის ტარება ტრანსპორტით მიზნად არ ისახავდეს მის შენახვას სხვა დასახლებულ პუნქტში. ასეთი მიზნის დადასტურების შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც იარაღის გადაზიდვა.

იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება მომეტებული საშიშროების შემცველია, ვიდრე მისი მართლსაწინააღმდეგო შეძენა ან შენახვა. ტარების დროს პირს აქვს ფაქტობრივი შესაძლებლობა დაუყონებლივ გამოიყენოს იგი.

იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება თავისთავად მოიცავს შენახვასაც და დამატებითი კვალიფიკაცია I ნაწილით საჭირო არაა. იარაღის ტარება ასევე მოიცავს მის მართლსაწინააღმდეგო შეძენასაც, რადგან იგი შეძენის ლოგიკური გაგრძელებაა (რომ ატარო, ჯერ უნდა შეიძინო), ამიტომ დამატებითი კვალიფიკაცია I ნაწილით საჭირო არაა. იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებას არ ეწინება ადგილი, როცა პირი იარაღით იმყოფება ისეთ ადგილას, სადაც არ შეიძლება საფრთხე შეექმნას საზოგადოებრივ უშიშროებას. მაგალითად, ადამიანმა მართლზომიერად შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი შენახვის უფლებით. ერთხელაც გადაწყვიტა მისი გამოცდა და მის სახლთან ახლოს მდებარე ტყეში წაიღო. იქ მან იარაღი მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში და რამდენიმე გასროლა მოახდინა. ვინაიდან ტყე ამ პირის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარეობდა, მას არ დასჭირვებია იარაღთან ერთად იმ ადგილების გავლა, სადაც იმყოფებიან ადამიანები ან ინახება მათი ქონება. ხოლო ტყეში ყოფნისას საფრთხე არ ადგება საზოგადოებრივ უშიშროებას. პირის მიზანია, იარაღის გამოცდის შემდეგ კვლავ შეინახოს იგი იმ ადგილას, სადაც მისი შენახვის კანონიერი უფლება აქვს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სსკ 236-ე მუხლის შემადგენლობა და პასუხისმებლობა. სათანადო პირობების არსებობისას შეიძლება დადგეს ადმინისტრაციული წესით.

სსკ 232-ე მუხლის მე-3 ნაწილით მაკვალიფიცირებელი გარემოებაა იარაღის **მართლსაწინააღმდეგო დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.**

იარაღის კანონიერი დამზადების უფლება აქვს სახელმწიფოს. დამზადების შემდეგ იარაღი უნდა იყოს აღრიცხული და რეგისტრირებული. თავდაცვის სამინისტროსა და შს სამინისტროს სარგებლობაში არსებული იარაღის შეკეთება და აღდგენა შესაძლებელია თვით ამ უწყებათა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

დამზადება მართლსაწინააღმდეგოა, როცა იგი ხდება კერძო პირის მიერ კომპეტენტური ორგანოს ნებართვის გარეშე. დამზადება შეიძლება გამოიხატოს მის თავდაპირველ შექმნაში, უკვე დამზადებული იარაღის გადაკეთებაში (მაგალითად, გლუვლულიანი სანადირო თოფისათვის ლულის დამოკლება და გადაკეთება), გამოყენებისათვის უვარგისი (გაფუჭებული) იარაღის გარემონტებაში. დამზადება შესაძლებელია სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. დამზადებას ადგილი აქვს როგორც იარაღის ერთი ერთეულის შექმნისას, ისე მისი სერიული გამოშვების (წარმოების) დროს. იარაღის დამზადება დამთავრებულია მაშინ, როცა პირი მიიღებს საბრძოლო მოქმედების განხორციელებისათვის მზა იარაღს (მაგალითად, დამზადდა ტყვია, რომელიც ვარგისია ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მასალად გამოყენებისათვის). თუ პირმა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დაემზადებინა გამოყენებისათვის ვარგისი იარაღი, მაგრამ ეს ვერ მოახერხა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს იარაღის დამზადების მცდელობით (მე-19, 236-ე მუხლები, მე-3 ნაწ.).

საქართველოში კანონით აკრძალულია უნებართვოდ დამზადებული იარაღის რეგისტრაციაში გატარება და მასზე საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვის გაცემა.

იარაღის გადაზიდვა ნიშნავს მის გადატანას სათანადო ნებართვის გარეშე საქართველოს ერთი დასახლებული პუნქტიდან (მაგალითად, ქალაქიდან) მეორე დასახლებულ პუნქტში (მაგალითად, სხვა ქალაქში ან რაიონში) შენახვისათვის ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით თავად გადამზიდველის ან ადრესატის მონაწილეობით. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი ერთეული იარაღის (ერთი ან ბევრი) გადაადგილება ხდება ქალაქიდან სხვა ქალაქში შესანახად. იარაღის გადაზიდვა თავისთავში მოიცავს მის ტარებასაც და დამატებითი კვალიფიკაცია 236 მ. II ნაწილით არ არის საჭირო.

იარაღის მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვასა და ტარებას შორის ის განსხვავებაა, რომ ტარების დროს პირის მიზანი არაა იარაღის განთავსება

საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტში. მაგალითად, პირი იარაღთან ერთად თბილისიდან მიემგზავრება მცხეთაში და შემდეგ ამ იარაღთან ერთად კვლავ ბრუნდება თბილისში. ამ შემთხვევაში სახეზეა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსწინააღმდეგო ტარება და არა გადაზიდვა, თუნდაც მასთან იმყოფებოდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი.

ასევე არა აქვს ადგილი მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვას, როცა პირი ნებართვის გარეშე იარაღის გადაადგილებს ქალაქის ერთი უბნიდან (მაგალითად, ვაკიდან) სხვა უბანში (მაგალითად, ნაძალადევში) მისი იქ განთავსების მიზნით. აქაც არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენი ერთეული იარაღია გადაადგილებული (ერთი თუ ბევრი), სახეზეა იარაღის მართლსწინააღმდეგო ტარება და არა გადაზიდვა.

როცა ადგილი აქვს იარაღის გადაზიდვას საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე მისი საქართველოდან გადატანის მიზნით, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 214-ე მუხლის მე-4 ნაწილით.

იარაღის მართლსაწინააღმდეგო გადაგზავნა ნიშნავს მის ნებისმიერი საშუალებით გადაადგილებას საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთის გამგზავნისა ან ადრესატის დაუსწრებლად. ეს დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება იარაღის ბარგის ან ამანათის სახით ფოსტაში თუ სხვა დაწესებულებაში ჩაბარების მომენტიდან მისი სხვა ადგილას გადაგზავნის მიზნით.

საქართველოში აკრძალულია იარაღის გადაგზავნა და გადაზიდვა ფოსტით.

იარაღის მართლსაწინააღმდეგო გასაღება ნიშნავს მისი ნებისმიერი საშუალებით გასხვისებას იმ პირის მიერ, რომელსაც ამის კანონიერი უფლება არა აქვს. გასაღება შეიძლება მოხდეს გაყიდვით, გაჩუქებით, სხვა ნივთში გაცვლით, ვალში გადახდით. გასაღება დამთავრებულია, როცა პირი სხვას გადასცემს იარაღს. ამასთანავე, არაა აუცილებელი იარაღი სხვა პირს გადაეცეს უვადოდ. გასაღებად უნდა ჩაითვალოს იარაღის სხვა პირისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემაც (თხოვება), ან გადაცემა დროებით შესანახად. როდესაც პირს, ვინც გაანათხოვრა იარაღი თავადაც მართლსაწინააღმდეგოდ აქვს იგი ხელში ჩაგდებული. ეს იმიტომ, რომ ასეთ პირს არ აქვს განათხოვრებული იარაღის დაუბრუნებლობის შემთხვევაში მისი ოფიციალური გზით მოთხოვნის უფლება. ამდენად, იგი იმთავითვე უშვებს, რომ იარაღი შესაძლოა საბოლოოდ დარჩეს სხვის მფლობელობაში. როცა პირს მართლზომიერად

აქვს შეძენილი იარაღი, მისი განათხოვრება არ ჩაითვლება გასაღებად.

ამდენად, მოცემულ ნორმაში გასაღების ცნება ფართოდაა გაგებული.

სსკ 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა. იგი დამთავრებულად ითვლება მასში ჩამოთვლილი ნებისმიერი ქმედების (შეძენის, შენახვის, ტარების, დამზადების, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღების) ჩადენისთანავე და მძიმე შედეგის დადგომა არაა საჭირო.

მიუხედავად იმისა, რომ სსკ 236–ე მუხლით ოთხი ნაწილისაგან შედგება, სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით. ეს იმას ნიშნავს, რომ პირის ქმედებაში როცა სახეზეა ერთდროულად რამდენიმე ქმედება (მაგალითად, შეძენა, ტარება და დამზადება ქმედების კვალიფიკაცია არ უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით (236–ე მუხლის I. II და III ნაწილებით). ასეთი კვალიფიკაცია არ იქნება სწორი, რადგან სახეზეა დანაშაულის ერთი და იგივე საგანი და დაცვის ერთი და იგივე ობიექტი. ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს 236–ე მუხლის ყველაზე მძიმე ნაწილით (მოცემულ შემთხვევაში III ნაწილით). ბრალდების ფორმულირებაში კი, რა თქმა უნდა, აისახება ყველა ქმედება, რაც დადასტურებულია საქმის მასალებით (შეძენა, ტარება, დამზადება).

ამ ქმედებათაგან ორი – შენახვა და ტარება – არის დენადი დანაშაული. მათი ჩადენა იწყება მოქმედებით (მაგალითად, პირმა შინიდან გასვლის წინ ჯიბეში ჩაიდო ცეცხლსასროლი იარაღი) ან უმოქმედობით (პირს გაუვიდა იარაღის კანონიერი შენახვის ვადა, მაგრამ არ აბარებს მას სათანადო ორგანოებს) და შემდეგ უწყვეტად ხორციელდება. იარაღის უკანონო შენახვა ან ტარება დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან.

თუკი დამტკიცდება, რომ პირის ქმედებაში ერთდროულად არის სსკ 236-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ნიშნები და დანაშაულის საგანიც სხვადასხვაა ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 236-ე მუხლის შესაბამისი ნაწილებით. მაგალითად, საქმის მასალებით დადგინდა, რომ პირი, რომელმაც მართლსაწინააღმდეგოდ დაამზადა და გაასაღა იარაღი, ამავე დროს, მართლსაწინააღმდეგოდ ინახავს სხვა იარაღს, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 236-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით. როდესაც პირმა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა იარაღი

და ატარებს მას, რა დროსაც ამხილეს, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებად (236-ე მ. II ნაწ) და არავითარ შემთხვევაში 236-ე მუხლის I და II ნაწილებით. რადგან როგორც უკვე ავღნიშნეთ ტარება თავისთავად მოიცავს შენახვასაც (თუ არ ინახავ, ვერც ატარებ).

თუ პირი მართლსაწინააღმდეგოდ ფლობს იარაღს და მისი გამოყენებით ჩაიდენს სხვა დანაშაულს (მაგალითად, მკვლელობას), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით. ასეთი ერთობლიობა არაა საჭირო მაშინ, როცა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობა მოიცავს იარაღისადმი მართლსაწინააღმდეგო დამოკიდებულებას (მაგალითად, ბანდიტიზმი).

სსკ 236-ე მუხლის ამსრულებელი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ კანონიერი ნებართვის გარეშე შეიძენს, ინახავს, ატარებს, ამზადებს, გადაზიდავს, გადაგზავნის ან ასაღებს სსკ 236-ე მუხლში ჩამოთვლილ საგნებს.

მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება გამოიხატოს თავდაცვის მიზანში, გარკვეულ წრეში თავის მოწონებაში, ანგარებაში (დამზადების ან გასაღების დროს) და სხვ.

თუ პირმა იარაღი შეიძინა კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად, მისი ქმედება შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით — სსკ 236-ე მუხლითა და იმ დანაშაულის მომზადებით, რის ჩასადენადაც შეძენილია ეს იარაღი (თუ, რა თქმა უნდა, პირი ემზადება განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩასადენად).

თუ იარაღის შეძენა არის ბანდის ან უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისაკენ მიმართული ქმედება, იგი უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 223-ე ან 224-ე მუხლით (შეიარაღებული ბანდის შექმნა) და დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 236-ე მუხლით საჭირო არ არის.

განსახილველ მუხლს დაემატა მე-4 ნაწილი: ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ და არაერთგზის. ეს იმას ნიშნავს რომ მოცემულ დამამძიმებელ გარემოებებს წინ უნდა უძღვოდეს ცეცხლსასროლი იარაღის ან სხვა ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა

ან გასაღება. იმ პირის მიერ, ვინც ნასამართლევია სსკ 236-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის.

სსკ 236-ე მუხლს აქვს შენიშვნა, რომლის ძალითაც ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ამ მუხლში ჩამოთვლილ საგნებს, გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. ეს არის წამახალისებელი ნორმა, რომელიც პირს ჰპირდება დაუსჯელობას მას შემდეგაც, როცა დანაშაული უკვე დამთავრებულია, თუკი დაცულ იქნება ორი პირობა: 1. იარაღის ჩაბარება უნდა იყოს ნებაყოფლობითი და 2. პირის ქმედებაში, გარდა სსკ 236-ე მუხლისა, არ უნდა იყოს სხვა დანაშაულის ნიშნები.

იარაღის ჩაბარება სახელმწიფო ორგანოებისადმი ნებაყოფლობითია მაშინ, როცა პირს შეუძლია იგი არ ჩააბაროს, არავინ აიძულებს მის ჩაბარებას, მაგრამ მაინც აბარებს მას. რა მოტივით ხელმძღვანელობს პირი ამ დროს, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

თუ იმ პირის ქმედებაში, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარა იარაღი, არის სხვა დანაშაულის ნიშნები (მაგალითად, ყაჩაღობის), მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 179-ე მუხლით (ყაჩაღობა).

იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა (მუხლი 237-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება, ასევე საკუთრებითი ურთიერთობანი, ხოლო დამატებით ობიექტს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა (IV ნაწ.).

სსკ 237-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი საგნების საზოგადოებისათვის მომეტებული საფრთხიდან გამომდინარე, კანონმდებელმა მათი მართლსაწინააღმდეგო დასაუფლებლად ჩადენილი ქმედება ამორიცხა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავიდან და მოათავსა საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. ამით ხაზი გაესვა იმას, რომ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტებიდან უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ უშიშროებას, საკუთრებით ურთიერთობასთან შედარებით.

განსახილველი ნორმის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი თითქმის ემთხვევა სსკ 236-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის საგანს, ხოლო მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი – სსკ 235-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანს. ამდენად, შევჩერდებით მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის მაკომპლექტირებელ დეტალზე.

ცეცხლსასროლი იარაღის მაკომპლექტებელი დეტალი შეიძლება იყოს ლულა, სასხლეტი და სხვა დეტალი, რისგანაც შედგება ცეცხლსასროლი იარაღი და რომლის გარეშეც იარაღი არ იქნება სრულყოფილი და ვარგისი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სსკ 237-ე მუხლში ჩამოთვლილი საგნების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში ან გამოძალვაში. მართლსაწინააღმდეგო დაუფლების დროს დანაშაული მაშინაა დამთავრებული, როცა პირი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით შეძლებს ამ ნივთების ამოღებას სხვისი მფლობელობიდან, დაეუფლება მას და მიეცემა მის შეხედულებისამებრ განკარგვის შესაძლებლობა. ამდენად, სახეზეა დანაშაულის მატერიალური შემადგენლობა. გამოძალვის დროს

კი დანაშაული დამთავრებულია მოთხოვნის წაყენების მომენტიდან, ე.ი. აქ სახეზეა ფორმალური შემადგენლობა.

მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ნიშნავს მფლობელის ნების გარეშე ნივთის უკანონო და უსასყიდლო ამოღებას სხვადასხვა ხერხის გამოყენებით და მის გადასვლას დამნაშავის ხელში, რითაც მას მიეცემა ამ ნივთის განკარგვის შესაძლებლობა. ასეთი დაუფლება შეიძლება მოხდეს ფარულად (ქურდობით) ან აშკარად, რასაც თან არ ახლავს ძალადობა ან მისი მუქარა, ანდა მოტყუებით. სსკ 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ხერხი არ შეიძლება იყოს ყაჩაღური თავდასხმა, ასევე იარაღის ან სხვა საგნის მითვისება იმ პირის მიერ, ვის მართლზომიერ მფლობელობაშიც იმყოფებოდა ეს იარაღი თუ სხვა საგანი. მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ეს ხერხები გათვალისწინებულია ამ მუხლის მაკვალიფიცირებელ გარემოებებში. მაკვალიფიცირებელ გარემოებაშია ასევე გათვალისწინებული აშკარა დაუფლება, რასაც თან ახლავს ძალადობა ან მუქარა, რაც არაა საშიში ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის.

იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება უნდა განვასხვაოთ მისი მართლსაწინააღმდეგო შეძენისაგან. ძირითადი განსხვავება მდგომარეობს შემდგომში: 1. მართლსაწინააღმდეგო შეძენა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როცა იარაღი კონკრეტული პირის მფლობელობიდან უკვე გასულია, დაკარგულია, ხოლო მართლსაწინააღმდეგო დაუფლება უნდა მოხდეს კონკრეტული პირის მფლობელობიდან ამოღების გზით. მაგალითად, ქუჩაში ნაპოვნი იარაღის მითვისება არის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, ხოლო იარაღის ამოღება შესაბამისი საწყობიდან, მისი მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაა. 2. იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენას ადგილი აქვს მფლობელის ნებითა და მასთან შეთანხმებით, მართლსაწინააღმდეგო დაუფლების დროს კი პირი იარაღის მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ და უსასყიდლოდ ამოიღებს. 3. დაუფლება ხდება არა დროებით, არამედ უვადო მისაკუთრების მიზნით, შეძენა კი შეიძლება იყოს დროებითიც.

რაც შეეხება იარაღის გამოძალვას, აქ ის ხერხია ნაგულისხმევი, რაც მითითებულია სსკ 181-ე მუხლში – გამოძალვა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ განსხვავებით 181-ე მუხლისაგან, განსახილველ შემთხვევაში გამოძალვის საგანი არ შეიძლება იყოს იარაღზე უფლების მიმნიჭებელი

დოკუმენტი. ამდენად, დამნაშავე სსკ 237-ე მუხლით გათვალისწინებული გამოძალვის დროს ითხოვს ცეცხლსასროლ იარაღს ან ამ მუხლში ჩამოთვლილ სხვა საგნებს და არა იმ დოკუმენტს, რითაც შესაძლებელია ამ ნივთებზე უფლების მოპოვება. თუ ადგილი აქვს ასეთი დოკუმენტის გამოძალვას, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სსკ 181-ე მუხლით.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ სსკ 237-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განზრახია. კერძოდ, ამ შემთხვევაში პირს გაცნობიერებული აქვს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება 237-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ჩამოთვლილ ნივთებს ან გამოძალვით ცდილობს მათ ხელში ჩაგდებას და სურს იგი. შეიძლება ითქვას, რომ სსკ 237-ე მუხლის **სუბიექტური შემადგენლობა სპეციალურ განზრახვაში გამოიხატება**. იურიდიულ ლიტერატურაში სპეციალურ განზრახვად მიჩნეულია ისეთი შემთხვევა, როცა პირი განზრახ ეუფლება ისეთ მოძრავ ნივთს, რომელსაც მატერიალური ღირებულება არ გააჩნია (მაგალითად, დოკუმენტი)[1]. მიგვაჩნია, რომ სპეციალური განზრახვა უფრო ფართედ უნდა გავიგოთ. კერძოდ, აქ მოვიაზროთ ისეთი ნივთების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, რომელიც ამოღებულია თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან და მათზე სპეც. კონტროლია დაწესებული (მაგალითად, იარაღი, ნარკოტიკული საშუალება და სხვ). ამასთანავე, აუცილებელი პირობაა ის, რომ ამ მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის პასუხისმგებლობა დაწესებული იყოს სსკ ცალკე თავით. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება პირს ბრალად შეერაცხოს იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, როცა მოძრავი ნივთის ამოღება მოხდა ისეთი ადგილიდან, სადაც დამნაშავე ელოდებოდა მხოლოდ თავისუფალ ბრუნვაში მყოფ ნივთებს და სადაც, როგორც წესი, იარაღი არ უნდა ყოფილიყო. მაგალითად, ქურდმა ავტობუსში მოქალაქეს მოპარა ჩანთა, სადაც სხვა ნივთებთან ერთად რევოლვერიც იპოვა. თუ მან ეს ცეცხლსასროლი იარაღი გადააგდო, ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ პირს იარაღის დაუფლების სპეციალური განზრახვა არ ჰქონია და მას 237-ე მუხლი არ უნდა შეერაცხოს ბრალად. მაგრამ თუ იგი ამ იარაღს დაიტოვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის იმთავითვე სულ ერთი იყო,

---

1 იხ. ოთარ გამყრელიძე, საქართველოს სს კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005, გვ. 105.

რა ნივთს დაეუფლებოდა ფარულად, მისთვის ყველაფერი სასურველი იყო. ამდენად, მას ბრალად უნდა შეერაცხოს ცეცხლსასროლი იარაღის იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაც (237-ე მ.) ქურდობასთან (177-ე მ.) ერთად.

თუკი პირის განზრახვა იყო – დაუფლებოდა სსკ 237-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებულ რომელიმე საგანს, მაგრამ შეცდომით დაეუფლა სხვა ნივთს (მაგალითად, რომელიმე სამეურნეო დანიშნულების საგანს), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ მე-19, 237-ე მუხლებით, ე.ი. განსახილველი დანაშაულის მცდელობით.

ამ დანაშაულის სუბიექტური მხრისათვის აუცილებელია სპეციალური მიზნის არსებობა. ესაა მისაკუთრების მიზანი. ეს იმას ნიშნავს, რომ პირის მიზანია იარაღს დაეუფლოს არა დროებით, არამედ საბოლოოდ, როგორც საკუთრების გამოყენების მიზნით თუ დადგინდა, რომ პირი, მართალია, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა იარაღს, მაგრამ არ ჰქონია მისი მისაკუთრების მიზანი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენით – სსკ 236-ე მუხლის 1-ლ ნაწილით. თუ ამ დროს მან გამოიყენა ძალადობა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 236-ე მუხლით და ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით.

მოტივს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. უმეტეს შემთხვევაში სახეზეა ანგარების მოტივი.

სსკ 237-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები ერთმანეთისაგან მხოლოდ დანაშაულის საგნით განსხვავდება. განსახილველი დანაშაულის მე-2 ნაწილი სსკ 231-ე მუხლისაგან ასევე დანაშაულის საგნით განსხვავდება. 231-ე მუხლის საგანია ბირთვული მასალა, რადიაქტიური ნივთიერება ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყარო, ხოლო 237-ე მუხლის მე-2 ნაწილის საგანი – ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური ან მასობრივი განადგურების სხვა იარაღი (და არა მასალა ან ნივთიერება), ასევე ასეთი იარაღის დასამზადებელი მასალა ან მოწყობილობა.

სსკ 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები (წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ და არაერთგზის) ჩვენ მიერ განხილულია წინა მუხლების კომენტირებისას. ამჟამად შევჩერდებით „გ“ და „დ“ პუნქტებზე.

სსკ 237-ე მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული

ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახეზეა მაშინ, როცა, ამ დანაშაულის რომელიმე საგანს მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება ის პირი, ვისაც კანონიერად მინდობილი აქვს ეს იარაღი მფლობელობაში ან გამგებლობაში. ასეთი პირი შეიძლება იყოს სამხედრო მოსამსახურე, შს ორგანოს თანამშრომელი, საწყობის გამგე, სადაც ინახება იარაღი, იმ სატრანსპორტო საშუალების მძღოლი, რომელსაც სათანადო დოკუმენტით ჩაბარებული აქვს 237-ე მუხლის 1-ლ ან მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი საგანი, ასევე იმ სახელმწიფო ორგანოს მოხელე, ვინც ახდენს საქართველოში იარაღის შემოტანა-გატანაზე, შეძენასა თუ ვაჭრობაზე კონტროლს (მინისტრთა კაბინეტის თანამდებობის პირი, თავდაცვის სამინისტროს ან შს ორგანოს თანამდებობის პირი და სხვ.). ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო მოხელის ქმედების დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 332-ე მუხლით საჭირო არ არის, რადგან „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება“ გულისხმობს სწორედ მის ბოროტად გამოყენებას. ამდენად, განსახილველი ქმედება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კერძო შემთხვევაა.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა ამ დანაშაულის ჩადენა ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით (პუნქ. „დ“). ეს გარემოება უნდა გავიგოთ ისე, როგორც ძარცვის დროს.

სსკ 237-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლის 1-ლი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. (სსკ 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა სსკ 237-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით (პუნქ. „ბ“). ეს დამამძიმებელი გარემოება ემთხვევა 227-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, ამდენად, მასზე დეტალურად არ შევჩერდებით. ავღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ძალადობას მუქარა უნდა იყოს იმწუთიერი. თუ იგი მომავლისკენაა მიმართული, სახეზეა იარაღის გამოძალვა (I ნაწ.).

როდესაც ამგვარ ძალადობას ან მუქარას თან ახლავს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა

ერთობლიობით, (237-ე და 236-ე მმ.) თუკი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან მუქარით განსახილველი დანაშაული ჩაიდინა შეიარაღებულმა ბანდამ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა ამ დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის. ამ შემთხვევაში სახეზეა სპეციალური ამსრულებელი. იგი სულ მცირე ორჯერ უნდა იყოს ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, თანაც ნასამართლობა არ უნდა იყოს მოხსნილი ან გაქარწყლებული.

სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში იგულისხმება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულები (177-183-ე), ასევე 227-ე, 231-ე, 250-ე, 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები.

ცეცხლსასროლი იარაღის (მათ შორის გლუვლულიანი სანადირო თოფის) დაუდევრად შენახვა (მუხლი 238-ე)

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება, ასევე ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

დანაშაულის საგანია ყველა სახის ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის გლუვლულიანი სანადირო თოფიც. მისი ცნება განხილულია სსკ 236-ე მუხლის ანალიზისას.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება: 1. ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვაში; 2. მძიმე შედეგში; 3. მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და მძიმე შედეგს შორის. ამდენად, სახეზეა მატერიალური შემადგენლობა.

საერთოდ, იარაღის შენახვა ნიშნავს მის მოთავსებას ისეთ ადგილას (შენობაში, სამალავში და ა.შ.), რაც უზრუნველყოფს მის მთლიანობას, ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებას. იარაღის დაუდევრად შენახვა ნიშნავს მისი შენახვის წესის დარღვევას, რითაც იქმნება მისი სხვა პირის ხელში მოხვედრის, დაკარგვის, გაფუჭების პირობა. ჩვენ მიერ

განსახილველ შემთხვევაში კი შექმნილია პირობა მისი სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის (და არა დაკარგვის ან გაფუჭების პირობა). მაგალითად, პირი კანონიერად შეძენილ იარაღს ინახავს კარადაში, სადაც თავისუფლად შეუძლიათ ოჯახის სხვა წევრებს (ბავშვებს, სტუმრებს) მისი გამოყენება. დაუდევრად შენახვას აქვს ადგილი, როცა პირი გლუვლულიან სანადირო თოფს ინახავს საბრძოლო მასალასთან ერთად.

თუ იარაღის კანონიერი მესაკუთრე არღვევს ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესს ისე, რომ ამას არ მოჰყოლია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან მძიმე შედეგი, პასუხისმგებლობა დადგება ადმინისტრაციული წესით. ასევე ადმინისტრაციული წესით ისჯება ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესის დარღვევა საწარმოო-დაწესებულების მუშაკის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია იარაღის მოვლა-დაცვაზე, თუ ამ ქმედებას არ გამოუწვევია მძიმე შედეგი.

სსკ 238-ე მუხლში არაა მითითება იმის შესახებ, რომ იარაღს დაუდევრად ინახავს მისი კანონიერი მესაკუთრე ან მოსარგებლე. აქედან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში ეს საკითხი არაერთგვაროვნადაა გაგებული. უფრო სწორი იქნება, თუ იარაღის დაუდევრად შენახვისათვის პასუხისმგებლობას დავაკისრებთ მის კანონიერ მფლობელს, რომელსაც გაცნობილი აქვს ეს წესები სათანადო ორგანოების მხრიდან. რაც შეეხება უკანონო მფლობელს, იგი არაა ვალდებული, იცოდეს ეს წესები. როცა უკანონო მფლობელი შეგნებულად თუ შეუგნებლად დაარღვევს იარაღის შენახვის წესს, ეს ქმედება მოიცავს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ნიშნებს და დამატებითი კვალიფიკაცია 238-ე მუხლით საჭირო არ არის. ამდენად, იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა მოიცავს მისი შენახვის წესის დარღვევასაც.

განსახილველი დანაშაული არის მატერიალური შემადგენლობის და აუცილებელია, რომ დაუდევარმა შენახვამ გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი (თუ ეს შედეგი არ დადგა, მაშინ სახეზეა ადმინისტრაციული გადაცდომა).

სხვა მძიმე შედეგში იგულისხმება ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ამ იარაღის გამოყენებით თვითმკვლელობა, დანაშაულის ჩადენა და ა.შ. მძიმე შედეგად არ უნდა ჩაითვალოს ცეცხლსასროლი იარაღის დაკარგვა. ამასთანავე, აუცილებელია, დადგინდეს, რომ ყველა ეს მძიმე შედეგი მიზეზობრივ კავშირში იყო იარაღის

დაუდევარ შენახვასთან და არა, ვთქვათ, მის დაუდევარ მოპყრობასთან ან მოვლასთან. მაგალითად, არ გვექნება 238-ე მუხლის შემადგენლობა, როცა პირი იარაღის წმენდისას არ დაიცავს წინდახედულების ნორმას და დადგება მძიმე შედეგი (ვთქვათ, სიკვდილი). ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ადამიანის წინააღმდეგ მიმართული შესაბამისი გაუფრთხილებელი დანაშაულით (მაგალითად, სსკ 116-ე მუხ.).

სსკ 238-ე მუხლის ამსრულებელია ის პირი, ვისაც აქვს იარაღის შენახვის კანონიერი უფლება. ამდენად, იგი უნდა იყოს 18 წლის.

სუბიექტური მხრივ დანაშაული არის გაუფრთხილებელი. მისი ჩადენა შესაძლებელია როგორც თვითიმედოვნებით, ისე დაუდევრობით. ამდენად, „დაუდევარი შენახვა“ არ ნიშნავს იმას, რომ ამ დანაშაულის სუბიექტური მხარე მხოლოდ დაუდევრობაში გამოიხატება. აქ დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა ფართედ უნდა განიმარტოს.

თვითიმედოვნებით მისი ჩადენის დროს პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ცეცხლსასროლ იარაღს ინახავს იმგვარად, რომ არსებობს სხვა პირის მიერ მისი გამოყენების პირობა, რასაც ზოგადად შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგი, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორზე დაყრდნობით, უსაფუძვლოდ ვარაუდობს ამ შედეგის თავიდან აცილებას. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღი დეეს ღია ოთახში მაგიდის უჯრაში, მაგრამ პირი იმედს ამყარებს იმაზე, რომ ოჯახის ყველა წევრი კატეგორიულად გააფრთხილა, ხელი არ ახლონ მას. აქედან გამომდინარე, იგი უსაფუძვლოდ გამორიცხავს მძიმე შედეგის დადგომას.

დაუდევრობის დროს პირს არა აქვს გაცნობიერებული, რომ ცეცხლსასროლ იარაღს ინახავს დაუდევრად (დაავიწყდა მისი შენახვა სათანადო ადგილას), აქედან გამომდინარე, არც მძიმე შედეგი აქვს გათვალისწინებული, მაგრამ წინდახედული რომ [illegible]ოფილიყო (ე.ი. პასუხისმგებლობით რომ მოკიდებოდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას), შეეძლო ამ შედეგის გათვალისწინება და ვალდებულიც იყო გაეთვალისწინებინა იგი.

21 წლის ასაკის მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება (მუხლი 238[1]).

2006 წლის 29 დეკემბრის კანონით საქართველოს სს კოდექსს დაემატა ახალი 238[1] მუხლი. 1961 წელს საქართველოს სსკ ცივი იარაღის უკანონო ტარებისათვის დაწესებული იყო სს პასუხისმგებლობა, მაგრამ შემდეგში მოხდა ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია. ამჟამად კი კანონმდებელმა კვლავ საჭიროდ მიიჩნია ამ ქმედების კრიმინალიზაცია, რადგან გავრცელდა ცივი იარაღით მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა (მკვლელობების) რაოდენობა. ამ დანაშაულის სუბიექტთა წრე მოქმედი კანონმდებლობით ასე გამოიყურება:

1. 21 წლის ასაკს მიუღწეველი. პასუხისმგებლობა იწყება 14 წლის ასაკიდან (სსკ 33-ე მუხ).2. ამ დანაშაულის სუბიექტია ასევე ნასამართლობის მქონე იმის მიუხედავად, იგი განზრახ დანაშაულისთვისაა ნასამართლევი, თუ გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის, რაც არ უნდა ჩაითვალოს გამართლებულად.

ნასამართლობა არ უნდა იყოს მოხსნილი ან გაქარწყლებული;

3. განსახილველი დანაშაულის სუბიექტია ასევე ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სასჯელდადებული პირი. თუ ამ პირზე სასჯელის დადებიდან გაიარა 1 წელზე მეტმა დრომ, იგი უკვე არ ჩაითვლება 238[1] მუხლის ამსრულებლად.

238[1] მუხლის ამსრულებელს შეიძლება ერთდროულად ახასიათებდეს სამივე ზემოთხსენებული ნიშანი: იგი იყოს 14-დან 21 წლამდე, ამავე დროს იყოს ნასამართლევიც და ნარკოტიკების მოხმარებაზე შეფარდებული ჰქონდეს ადმინისტრაციული სასჯელი.

განსახილველი დანაშაულის საგანია ცივი იარაღი. საქართველოს 2006 წ. 23 ივნისის კანონით „იარაღის შესახებ“ ცივია იარაღი, რომლის მოქმედება ხორციელდება ადამიანის ფიზიკური ძალით და რომელიც განკუთვნილია უშუალო შეხების საშუალებებით ობიექტის დაზიანებისაკენ (მაგ. ფინური დანა).

არსებობს ცივი სასროლი იარაღი. ესაა იარაღი, რომლის მოქმედება ხორციელდება ადამიანის ფიზიკური ძალით ან მექანიკური მოწყობილო-

ბის საშუალებით და რომელიც განკუთვნილია ობიექტის მანძილიდან დაზიანებისათვის.

შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტების მიერ ხელმოწერილი მეთოდური სახელმძღვანელოს „ცივი იარაღის კრიმინალისტიკური გამოკვლევა“-ს მიხედვით ცივ იარაღად უნდა ჩაითვალოს საგნები, რომლებსაც არ გააჩნიათ პირდაპირი საწარმოო ან საყოფაცხოვრებო დანიშნულება (სამზარეულოს დანა) და განკუთვნილია თავდასხმის ან აქტიური თავდაცვისათვის.

ამდენად,ამ დანაშაულის საგნად არ უნდა ჩაითვალოს დანა,რომელსაც იყენებს ფეხსაცმელების მკერავი, მზარეული და ა.შ.

დანიშნულების მიხედვით ცივი იარაღი იყოფა: სამხედრო, სანადირო, რეწვის იარაღად.

კონსტრუქციული აგებულების და მოქმედების მიხედვით განასხვავებენ: მჩხვლეტავ (მახვილი, დაშნა, ხიშტი), მჩეხავი (ხმალი, საჩეხელა), მჩხვლეტავ-ბასრი (ხანჯალი, სანადირო დანა, ფინური დანა), მსხვრევად-დასარტყმელი (კვერთხი, საჯიგველი).

დამზადების მიხედვით ცივი იარაღები იყოფა:

1. ქარხნული წესით დამზადებული;
2. კუსტარული ცივი იარაღები;
3. თვითნაკეთი ცივი იარაღები.

ცივი იარაღი შეიძლება იყოს ცალმხრივ და ორმხრივ გალესილი.

ამდენად, ცივ იარაღად არ ჩაითვლება რეწვისათვის გამოყენებული იარაღები, ასევე საყოფაცხოვრებო დანიშნულების იარაღი (მაგალითად, პურის საჭრელი დანა). მათი ტარება არა აკრძალული სს კანონით. ასევე, მართალია, შესაბამის ნორმატიულ აქტებში ამაზე არაა პირდაპირი მითითება, მაგრამ არ უნდა ჩაითვალოს 238^1 მუხლის საგნად ცივი იარაღი, რომელიც წარმოადგენს ეროვნული ტანსაცმლის სამკაულს. პირს (თუნდაც იგი არ იყოს 21 წლის), რომელიც ატარებს ეროვნულ ტანისამოსს, უფლება აქვს სამკაულის სახით თან ჰქონდეს შესაბამისი ცივი იარაღი.

სსკ 238^1 მუხლის ობიექტური მხარე გამოიხატება ცივი იარაღის ტარებაში. როგორც ვხედავთ, ამ მუხლის დისპოზიციაში არაა აღნიშნული „მართლსაწინააღმდეგო ტარება“, რაც იმას ნიშნავს, რომ მუხლში მითითებული პირების მიერ ცივი იარაღის ტარება ყოველთვის მართლსაწინააღმდეგოა, და არ არსებობს მისი ტარების მართლზომიერი გზა.

სსკ 238[1] მუხლის ობიექტურ მხარეს არ წარმოადგენს ისეთი ქმედებები, როგორიცაა: ცივი იარაღის შეძენა, შენახვა, გასაღება და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულია ზემოთ მითითებულ პირთა მიერ ცივი იარაღის ტარების დაწყების მომენტიდან. ეს დანაშაული დენადია. იგი ფორმალური შემადგენლობისაა და არაა აუცილებელი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა (აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია).

თუკი პირმა ცივი იარაღის ტარებისას მისი გამოყენებით ჩაიდინა დანაშაული, ქმედება კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეიარაღება არის ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი (მაგალითად, უკანონო შეიარაღებული ფორმირება (223 მ.) ბანდიტიზმი, ხულიგნობა (239. მ. III ნაწ. და სხვ)).

დანაშაულს სუბიექტური შემადგენლობა განზრახვაში გამოიხატება. პირმა იცის, რომ ატარებს ცივ იარაღს, რაც მას კანონით ეკრძალება. თუკი პირი შეცდომით ფიქრობს, რომ იგი ატარებს საყოფაცხოვრებო დანიშნულების დანას, სსკ 238[1] მუხლით პასუხისგება გამორიცხულია.

განსაზილველი დანაშაულის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა იგივე ქმედებისთვის, რაც ჩადენილია არაერთგზის (ე.ი. ამ დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ) და იმის მიერ, ვინც ნასამართლევი იყო განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის და ნასამართლობა არაა მოხსნილი ან გაქარწყლებული.

ამდენად, ამ მუხლის I ნაწილის ამსრულებელი არის არა ამავე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის, არამედ სხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი პირი. ამასთანავე იგი ნასამართლევი უნდა იყოს ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის.

ხულიგნობა (მუხლი 239-ე)

ხულიგნობისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი. მისი დამატებითი ობიექტია ადამიანის ხელშეუხებლობა, მისი ჯანმრთელობა და საკუთრების უფლება.

საზოგადოებრივი წესრიგი არის იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ სიმშვიდესა და ცხოვრების ნორმალურ რიტმს. ეს კი გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოქალაქეთა ღირსეულ ქცევაში, საწარმო,

დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ნორმალურ, დროულ მუშაობაში, პიროვნების ხელშეუხებლობაში.

მოქმედმა კანონმდებლობამ შედარებით შეზღუდა ხულიგნობის ცნება და მისი შემადგენლობის სავალდებულო ნიშნად შეიტანა ძალადობა ან ძალადობის მუქარა.

ობიექტური მხრივ ხულიგნობა არის ქმედება, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1. პირმა უხეშად უნდა დაარღვიოს საზოგადოებრივი წესრიგი (შედეგი); 2. ეს ქმედება უნდა გამოხატავდეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას; 3. ქმედება ჩადენილი უნდა იყოს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ამ ნიშნიდან ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს ხულიგნობის შემადგენლობას.

აქედან გამომდინარე, ხულიგნობა გამოიხატება მოქმედებაში, რადგან უმოქმედობით არ შეიძლება ძალადობის ან ძალადობის მუქარის ჩადენა.

ხულიგნობის შემადგენლობის არსებობისათვის საკმარისი არ არის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, არამედ ეს დარღვევა უნდა იყოს უხეში. ეს შეფასებითი ცნებაა, რისთვისაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქმედების ჩადენის ადგილი, ვითარება (მაგალითად, ჩაიშალა თეატრალური წარმოდგენა, კრება, ქორწილი, ქუჩაში შეჩერდა მოძრაობა), მისი ინტენსიურობა და ხანგრძლივობა.

ვინაიდან საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია, ხულიგნობის ჩადენას ადგილი აქვს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას (ქუჩაში, სტადიონზე, კინოში, თეატრში, ქორწილში და სხვაგან, სადაც იმყოფება საზოგადოება).

ხულიგნობისათვის დამახასიათებელი მეორე ნიშანია საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა. ამ შემთხვევაში სახეზეა ორი მომენტი (სუბიექტური და ობიექტური): 1. ხულიგნობის ჩამდენს სურს დაუპირისპიროს თავი საზოგადოებას, დაანახოს ყველას, რომ იგი არაფრად აგდებს საზოგადოებაში გაბატონებულ ზნეობრივ ნორმებს, რომ იგი ყოველთვის იქცევა ისე, როგორც სურს, (სუბიექტური მომენტი). 2. მისი ამ განწყობის დემონსტრირებისთვის პირი სჩადის ისეთ ქმედებას, რითაც გარშემომყოფთათვის აშკარაა, რომ ეს პიროვნება იგნორირებას უკეთებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს. (ობიექტური მომენტი)

სწორედ ამიტომ, ხულიგნობას სჩადიან თავშეუკავებელი, უკიდუ-

რესად ეგოისტი პირები, რომლებიც ხშირად დაბალი ინტელექტითაც გამოირჩევიან.

აქედან გამომდინარე, არ ჩაითვლება ხულიგნობად, ბინაში პირადი მოტივით ჩხუბის ატეხვა ოჯახის წევრების მიმართ, რასაც ახლდა ძალადობა ან ძალადობის მუქარა, რითაც დაირღვა როგორც ამ ოჯახის, ისევე მეზობლების მყუდროება და ცხოვრების ნორმალური რიტმი. ამ დროს პირს ამოძრავებს პირადი მოტივი და არა იმის სურვილი, რომ დაუპირისპიროს თავი საზოგადოებას, დაამტკიცოს თავისი ყოვლისშემძლეობა, ე.ი. ეს პირი ამ შემთხვევაში არ გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას საზოგადოებისადმი. (თუმცა სახეზეა საზოგადოებისადმი გარკვეული უპატივცემულობის გამოხატვა).

ხულიგნობის მესამე ნიშანია ქმედების ჩადენა ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

ძალადობაში იგულისხმება ისეთი აგრესიული ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება (მაგალითად, ცემა). თუ ძალადობას მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ეს სცილდება სსკ 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფარგლებს.

ხულიგნობისას ადამიანის წინააღმდეგ გამოყენებულ ძალადობას, თუკი გაუფრთხილებლობით მოჰყვა ნივთის დაზიანება ან განადგურება, დამატებითი კვალიფიკაცია 188-ე მუხლით საჭირო არ არის, მაგრამ, როცა პირი ძალადობის დროს განზრახ აზიანებს ან ანადგურებს სხვის ნივთს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

ძალადობის მუქარა გულისხმობს ყველა სახის მუქარას (მოკვლის, ჯანმრთელობის დაზიანების, სქესობრივი დანაშაულის ჩადენის, ნივთის განადგურების და სხვ.). ეს ქმედება უნდა განვასხვაოთ სსკ 151-ე მუხლისაგან – მუქარა: 1. ხულიგნობის დროს ძალადობის მუქარა არის საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატვის ფორმა, რაც არ ახასიათებს 151-ე მუხლით გათვალისწინებულ მუქარას; 2. ხულიგნობის დროს ჩადენილ ძალადობის მუქარას შედეგად მოჰყვება საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა, რასაც მოიცავს დამნაშავის განზრახვა. ეს კი არ ახასიათებს მუქარას (151-ე მუხ.).

ამდენად, ხულიგნური ქმედება არ გამოიხატება მხოლოდ საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობაში. იგი არც მხოლოდ ძალადობასა და ძალადობის მუქარაში პოვებს გამოხატვას. ხულიგნური ქმედება მოიცავს

ორივე ამ ნიშანს — საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობასა და ძალადობას ან ძალადობის მუქარას.

მაგრამ ხულიგნობის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისი არაა მხოლოდ ამგვარი ქმედების ჩადენა, აუცილებელია მას შედეგად მოჰყვეს საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა.

თუ პირის ქმედებას არ მოჰყვა საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა, ხულიგნობის შემადგენლობა არა გვაქვს. ასეთ შემთხვევაში კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით (სსკ 120-ე, 125-ე, 150-ე ან 151-ე და ა.შ.).

ხულიგნობის ამსრულებელი არის 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ ხულიგნობა ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ძალადობით ან მისი მუქარით სჩადის ისეთ ქმედებას, რომლითაც არაფრად აგდებს საზოგადოებას, სურს რა თავისი ყოვლისშემძლეობის დამტკიცება, ასევე გაცნობიერებული აქვს, რომ ასეთ ქმედებას მოჰყვება საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა და სურს ეს. თუ პირის შეგნება არ მოიცავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატვას, ძალადობით ან ძალადობის მუქარით ჩადენილ ქმედებას რომც მოჰყვეს შედეგად საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა, ხულიგნობას ადგილი არ ექნება. მაგალითად, კინოსეანსის მსვლელობისას (ან ხალხმრავალ სუფრასთან) პირმა შენიშნა მისი ოჯახის მტერი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მის ძმას ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა. სეანსის მსვლელობისას იგი მიიჭრა მასთან და დაუწყო ცემა, თან ლანძღავდა და აგინებდა, ემუქრებოდა „ციხეში ამოლპობით“. ეს ქმედება გაგრძელდა რამდენიმე წუთის განმავლობაში, ხალხი წამოიშალა, მოჩხუბრის დარბაზიდან გაყვანას გარკვეული დრო დასჭირდა, რის გამოც ჩაიშალა კინოს ჩვენება (ან სუფრის მსვლელობა). მართალია, პირის ქმედებას თან ახლდა ძალადობა და საზოგადოებრივი წესრიგიც უხეშად დაირღვა, მაგრამ ეს ქმედება მაინც ვერ ჩაითვლება ხულიგნობად, რადგან ქმედება ჩადენილი იყო პირადი მოტივით (შურისძიებით).

ხულიგნობის დროს კი აგრესიული ქმედების ჩადენას ადგილი აქვს მაშინ, როცა მსხვერპლს შურისძიებისათვის საბაბი არ მიუცია, ანდა ეს საბაბი იმდენად უმნიშვნელოა (მაგალითად, ცუდი თვალით შეხედვა), რომ ნორმალური ფსიქიკის ადამიანში არ იწვევს შურისძიების გრძნობას.

ხულიგნობის მოტივს წარმოადგენს პირის მისწრაფება, დაუპირისპირდეს საზოგადოებას, დაუმტკიცოს მას აგრესიული ქმედების ჩადენით, რომ არაფრად თვლის გაბატონებულ ზნეობრივ ნორმებს, რაც, მისი აზრით, მის უპირატესობას ადასტურებს საზოგადოების სხვა წევრების მიმართ.

სსკ 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსი განხილულია სსკ 227-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტის ანალიზისას.

სსკ 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი ხელისუფლების წარმომადგენლის ან ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირის მიმართ. საქმე ისაა, რომ ხშირად ხულიგნობის ჩამდენი პირები ამ დანაშაულებრივ ქმედებას აგრძელებენ იმ პირთა მიმართ, ვინც ცდილობს ხულიგნობის აღკვეთას. უწინარეს ყოვლისა; ესენი არიან ხელისუფლების წარმომადგენლები. ხელისუფლების წარმომადგენელია სახელმწიფო მოხელე, ვისაც შეუძლია შესასრულებლად სავალდებულო მითითება მისცეს არა მარტო სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პირს, არამედ იმათაც, ვინც მას არ ექვემდებარება უწყებრივად. ხოლო სხვა პირები, შეიძლება იყვნენ რიგითი მოქალაქენი, რომლებიც ცდილობენ ხულიგნობის აღკვეთას. ამ პირების მიმართ ხულიგნის ქმედება შეიძლება გამოიხატოს ცემაში, ჯანმრთელობის მსუბუქად დაზიანებაში და სხვ. თუ ძალადობას მოჰყვა ამ პირთა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ეს შედეგი სცილდება 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობას.

როდესაც ხულიგნობის ჩამდენი განზრახ კლავს ხულიგნობის აღმკვეთს იმის გამო, რომ მან ხელი შეუშალა ქმედების გაგრძელებაში, ასეთ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით — სსკ 239-ე და 109-ე მუხლის III ნაწილის „ვ" ქვეპუნქტით.

შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი ხულიგნობისათვის მსჯავრდებულის მიერ. ამ შემთხვევაში პირი ადრე ნასამართლევი უნდა იყოს სსკ 239-ე მუხლის რომელიმე ნაწილით და ნასამართლობა არ უნდა იყოს მოხსნილი ან გაქარწყლებული.

სსკ 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით. ამ შემთხვევაში ხულიგნობის ჩამდენი ძალადობის ან ძალადობის მუქარას

სჩადის ცეცხლსასროლი იარაღით ან სხვა საგნის გამოყენებით. ცეცხლსასროლი იარაღის ცნება განხილულია სსკ 236-ე მუხლის ანალიზისას. განსახილველ შემთხვევაში იგულისხმება ცეცხლსასროლი იარაღის ყველა სახეობა (მათ შორის გლუვლულიანი სანადირო თოფიც).

იარაღად გამოყენებული შეიძლება იყოს ნებისმიერი საგანი, რითაც შეიძლება ადამიანი ან ქონება დაზიანდეს. მაგალითად, ცივი იარაღი, რკინის ჯოხი, დიდი ქვა, რკინის ჯაჭვი, ფიცარი და სხვ. ამ შემთხვევაში მსხვერპლს შეიძლება ჯანმრთელობა დაუზიანდეს ნაკლებად მძიმედ და 239-ე მუხლის მე-3 ნაწილი მოიცავს ამ შედეგს. თუ დადგა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიკვდილი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

თავი XIV

საშუალოს წარმოებისას შესაფრთხოების წესის დარღვევა

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, წიაღისეულის მოპოვებისა და კაპიტალური მშენებლობის მოცულობის გაფართოება, ენერგიის ახალი წყაროების ათვისება კაცობრიობას გრანდიოზულ შესაძლებლობას უქმნის საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნების მისაღწევად. ეს ყოველივე სიკეთესთან ერთად მომეტებულ საფრთხის წყაროსაც წარმოადგენს პირთა ფართო წრისათვის, ვინაიდან ტექნიკური პროგრესი წარმოშობს ისეთ ძალებს, რომელთა გამოყენებაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და სამართლით დაცულ სხვა ინტერესს. მომეტებული საფრთხის წყაროს უარყოფითი შესაძლებლობის გასანეიტრალებლად (გაუვნებელყოფისათვის) და სამუშაოთა ცალკეული სახეების საწარმოებლად შემუშავებულია ტექნიკური ხერხები და წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას მათი გამოყენებისას და სამუშაოთა წარმოებისას. ამ წესების დარღვევამ, შესაძლებელია, სერიოზულად დააზიანოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ფართო წრის ინტერესები, ე.ი. საზოგადოებრივი უშიშროება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოებრივი უშიშროება მოიცავს იმ ურთიერთობებსაც, რომლებიც უზრუნველყოფენ მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებისა და სხვადასხვა სახის სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოებას. სწორედ ეს ინტერესები წარმოადგენს განსახილველ დანაშაულთა სახეობით ობიექტს. ზოგიერთი დანაშაულისათვის დამახასიათებელია დამატებითი ობიექტი (სიცოცხლე, ჯანმრთელობა). განსახილველ დანაშაულთა დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ასევე მათი დისპოზიციების ბლანკეტურობა. გვხვდება როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური შემადგენლობები.

XXXI თავით გათვალისწინებულ დანაშაულთა სუბიექტური შემადგენლობა, ძირითადად, გაუფრთხილებლობას გულისხმობს. სხვა ნიშნებს (მოტივს, მიზანს) კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (მუხლი 240-ე).

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება სამთო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოებისას (უფრო ზუსტად, სამთო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება). სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა, ხოლო 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით ალტერნატიული დამატებითი უშუალო ობიექტია სიცოცხლე, ზოგჯერ კი საკუთრებაც.

დანაშაულის ობიექტური მხარე მდგომარეობს სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოთა წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევაში, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება. მაშასადამე, ქმედების ობიექტური შემადგენლობა მოიცავს: ა) მოქმედებას ან უმოქმედობას (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას, უსაფრთხოების წესის დარღვევა); ბ) შედეგს (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანება); გ) მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

სამთო სამუშაოებში იგულისხმება სამუშაოთა კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია სასარგებლო წიაღისეულის ამოღებასთან, მაღაროს გაყვანასა და სხვ. სამთო სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესები განსაზღვრულია სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ისეთი, როგორიცაა „უსაფრთხოების ერთიანი წესები საბადოების მიწისქვეშა ხერხით დამუშავებისას (შახტები)“; „უსაფრთხოების ერთიანი წესები სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ღია ხერხით (მეთოდით) დამუშავებისას (კარიერი)“; „უსაფრთხოების ერთიანი წესები აფეთქებითი სამუშაოების წარმოებისას“ და სხვ.[1]

სამშენებლო სამუშაოთა წარმოება გულისხმობს შენობა-ნაგებობის აღმართვასა და რემონტს. სამშენებლო სამუშაო — ეს არის საქმიანობა დაკავშირებული ნაგებობათა აგებასთან, რეკონსტრუქციასთან, რემონტთან, აგრეთვე, სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების, სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობის ექსპლუატაციასთან. სამშენებლო სამ-

1 საქართველოში შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავება-დამტკიცებამდე ძალაშია 1992 წლამდე მოქმედი ნორმები და წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

უშაოთა წარმოების წესის დარღვევა შეიძლება ეხებოდეს ბეტონისა და რკინაბეტონის, მიწის, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებს, კედლების აგებას, დეტალების მონტაჟს, სამშენებლო მექანიზმების ექსპლოატაციასა და სხვ.

როგორც აღინიშნა, საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტების დამუშავება-დამტკიცებამდე ძალაში დარჩა 1992 წლამდე მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომლის მონაწილეც არის საქართველო. დღესდღეობით საქართველოში მოქმედებს სანიტარული ნორმები და წესები — „ტექნიკური უსაფრთხოება მშენებლობაში 3-4-80“.

სხვა სამუშაოს წარმოებას მიეკუთვნება ისეთი სპეციფიკური სახის სამუშაო (საქმიანობა), რომელიც შეიცავს ადამიანისათვის ზიანის მიყენების საფრთხეს და რომელთა წარმოებისათვისაც დადგენილია ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალური წესები (ძველი შენობების აღება, საგზაო-სარემონტო სამუშაოები, შედუღებისა და ბურღვის სამუშაოები, ჩაძირული ხომალდების ამოღება, წარმოების წესები ქიმიურ მრეწველობაში და სხვ.).

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის გასარკვევად, თუ რა სახის სამუშაოთა წარმოების წესი დაირღვა და რაში გამოიხატა იგი, უნდა მივმართოთ შესაბამის ნორმატიულ აქტებს.

განსახილველ დანაშაულს მატერიალური შემადგენლობა აქვს და დამთავრებულად ითვლება ზემოაღნიშნული წესების დარღვევის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობისათვის ნაკლებად მძიმე ან მძიმე ზიანის მიყენების მომენტიდან. დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც სამთო, სამშენებლო თუ სხვა სამუშაოთა მწარმოებელი პირი, ისე გარეშეც.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც დაკავშირებულია სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოთა წარმოებასთან, ე.ი. ის, ვინც თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით ან პროფესიული ფუნქციით მოვალეა დაიცვას უსაფრთხოების სპეციალური წესები მითითებულ სამუშაოთა წარმოებისას.

დანაშაულის სუბიექტური მხარე გაუფრთხილებლობაში გამოიხატება როგორც თვითიმედოვნების, ისე დაუდევრობის ფორმით.

240-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს კვალიფიციურ შემად-

გენლობას, იმავე ქმედებას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

სხვა მძიმე შედეგს შეიძლება მიეკუთვნოს დიდი მატერიალური ზიანი ორგანიზაციისათვის ან მოქალაქეებისათვის, მნიშვნელოვანი ზიანი ბუნებრივი გარემოსათვის და სხვ. მძიმე შედეგი ფაქტის საკითხია და სასამართლომ უნდა დაადგინოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით. ამ შედეგებისადმი დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ გაუფრთხილებლობაში.

სსკ 240-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა სპეციალურია 170-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან მიმართებაში. შრომის დაცვის ზოგადი წესების დარღვევის კვალიფიკაცია სსკ 170-ე მუხლით უნდა მოხდეს, როგორც ადამიანის საწინააღმდეგო დანაშაულისა, ხოლო სპეციალური წესების დარღვევა (სამთო, სამშენებლო და სხვ.) – 240-ე მუხლით.

ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა (მუხლი 240[1]-ე).

განსაზილველი ქმედების კრიმინალიზაცია განაპირობა მომეტებულმა საფრთხემ, რომელიც ენერგიის აღნიშნული წყაროების ათვისებასა და გამოყენებას ახლავს. ამას ემატება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საერთაშორისო ეკონომიკური პროექტები (ნავთობსადენი, გაზსადენი, სატრანზიტო ელექტროგადამცემი ხაზები), რომლებიც უსაფრთხოების საგანგებო ზომების მიღებას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტი საზოგადოებრივი უშიშროებაა ენერგიის აღნიშნული წყაროების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს. დამატებითი ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლე, საკუთრება (240[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტის განლაგების დაპროექტების, მშენებლობის ან ექსპლოატაციის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევაში, რასაც მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან

მძიმე დაზიანება, ან რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოთა წარმოებისას უსაფრთხოების სპეციალური წესები განსაზღვრულია სხვადასხვა ნორმატიული აქტით. ასე, მაგალითად, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის 1998 წლის 22 მაისის №27 ბრძანებით დამტკიცებულია ელექტროენერგიის მოხმარების დროებითი წესები, სითბური ენერგიით სარგებლობის წესები, ნავთობისა და გაზნავთობის საბადოების დამუშავების წესი; საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების მშენებლობის ერთიანი წესი; ნავთობის მიღებისა და ჩაბარების წესები; ძირითადი დებულებები შრომის დაცვის ორგანიზაციის შესახებ ნავთობგაზმომპოვებელ მრეწველობაში და სხვ.

ამრიგად, სსკ 140[1]-ე მუხლში ასახულ ნორმას ბლანკეტური დისპოზიცია აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედების ობიექტური შემადგენლობის დასადგენად, საჭიროა სამართლის სხვა დარგის შესაბამისი ნორმატიული აქტის მოშველიება და მითითება, კონკრეტულად, რომელი წესის დარღვევას ჰქონდა ადგილი. ამ წესების დარღვევა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, როცა კანონში მითითებულ ქმედებას შედეგად მოჰყვება ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ანდა მნიშვნელოვანი ზიანი. საჭიროა მიზეზობრივი კავშირის დადგენა წესის დარღვევასა და საზიანო შედეგს შორის.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ვინც მოვალეა დაიცვას დასახელებული წესები კანონში მითითებული თბოენერგეტიკული ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობის ან ექსპლუატაციის დროს.

დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება გაუფრთხილებელი დამოკიდებულებით კანონში მითითებული მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს როგორც თვითიმედოვნებას, ისე დაუდევრობას. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის სხვა ნიშნებს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

140[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს კვალიფიციურ შემადგენლობას, იმავე ქმედებას, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

სხვა მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ დიდი მატერიალური ზარალი, მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზიანი და ა.შ. ცხადია, ამგვარი

შედეგისადმი სუბიექტური დამოკიდებულება მხოლოდ გაუფრთხილებლობაში შეიძლება გამოიხატოს (თვითთმედოვნებასა ან დაუდევრობაში).

240[1] მუხლის მე-3 ნაწილი პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, რასაც მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევა (მუხლი 241-ე).

ატომური ენერგეტიკა არის ენერგეტიკის დარგი, რომელიც ატომურ (ბირთვულ) ენერგიას იყენებს მშვიდობიანი და თავდაცვის მიზნებისათვის. ატომური ენერგეტიკის ობიექტს მიაკუთვნებენ ბირთვულ დანადგარს, რადიაციულ წყაროს, ბირთვული მასალისა და რადიაქტიური ნარჩენების ჩამარხვის ადგილს. ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ, ალბათ, ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რა საფრთხის მატარებელია ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევა.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია ბირთვული და რადიაციული საქმიანობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები. უფრო კონკრეტულად, სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება ატომური ენერგეტიკის ობიექტის დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს. დამატებითი ობიექტია ადამიანის სიცოცხლე, ეკოლოგიური უსაფრთხოება.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ატომური ენერგეტიკის ობიექტის განლაგების, დაპროექტების, მშენებლობის ან ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესის დარღვევაში, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან გარემოს რადიაქტიური დაბინძურება. 241-ე მუხლში ასახულ ნორმას ბლანკეტური დისპოზიცია აქვს, ამიტომ ქმედების ობიექტური შემადგენლობის დასადგენად საჭიროა გაირკვეს, კონკრეტულად, რომელი წესი იქნა დარღვეული[1]. ამ წესების დარღვევა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. ასე, მაგალითად, ატომური ენერგეტიკის ობიექტის განლაგების უსაფრთხოების წესის დარ-

1 საქართველოში ამ სფეროში მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტია საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“.

ღვეცა შეიძლება გამოიხატოს მის მშენებლობაში დიდ ქალაქთან ახლოს ან სეისმურ ადგილას; მშენებლობის დროს უსაფრთხოების წესის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს არასაიმედო სამშენებლო მასალის, მოწყობილობის გამოყენებაში, პროექტიდან გადახვევაში და სხვ.

241-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა ფორმალურია, აქ საფრთხის შემქმნელ დელიქტთან გვაქვს საქმე. კონკრეტული შედეგის დადგომა საჭირო არაა და დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევას შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან გარემოს რადიაქტიური დაბინძურება, ე.ი. დანაშაული დამთავრებულია სწორედ ასეთი კონკრეტული საფრთხის აღმოცენების მომენტიდან, თუნდაც ქმედება დენადი ფორმით ხორციელდებოდეს და დროის შუალედი არსებობდეს უსაფრთხობის წესის დარღვევასა და დანაშაულის აღკვეთას (შეწყვეტას) შორის.

დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია: პირი, რომელსაც სამსახურებრივად დავალებული აქვს ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დაცვა — მისი განლაგების, დაპროექტების, მშენებლობის ან ექსპლუატაციის დროს.

რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, იგი მხოლოდ გაუფრთხილებლობაში გამოიხატება, რაზეც პირდაპირ არის მითითებული კანონში. გაუფრთხილებლობა დასაშვებია როგორც თვითიმედოვნებით, ისე დაუდევრობის ფორმით.

241-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს მატერიალურ, კვალიფიციურ შემადგენლობას — იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

241-ე მუხლის მე-3 ნაწილი პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად თვლის ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, გარემოს რადიაქტიური დაბინძურება ან სხვა მძიმე შედეგი.

გარემოს რადიაქტიული დაბინძურება გულისხმობს (ნიშნავს) რადიაციული ფონის ისეთ შეცვლას, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ჰაერისა და წყლის გარემოს.

სხვა მძიმე შედეგი შეიძლება იყოს დიდი მატერიალური ზიანი, ატომ-

ური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევის შედეგად, საზიანო შედეგის ლიკვიდაციის ხარჯის ჩათვლით, მრავალი ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ატომური ენერგეტიკის ობიექტის გამოყენების შეუძლებლობა მომავალში და ა.შ. მძიმე შედეგი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოების ანალიზის საფუძველზე სასამართლომ უნდა შეაფასოს.

ქმედების სუბიექტი და სუბიექტური შემადგენლობა იგივეა, რაც 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში.

აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში უსაფრთხოების წესის დარღვევა (მუხლი 242-ე).

სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება აფეთქებასაშიშ საწარმოებში, ე.ი. ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ უსაფრთხოებას აფეთქებასაშიშ ობიექტებზე (საწარმოები, საამქროები). სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე, აგრეთვე საკუთრება.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში საწარმო-ტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევაში, რასაც გაუფრთხილებლობით შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგი.

აფეთქებასაშიშ საწარმოს (საამქროს) მიეკუთვნება ისეთი საწარმო, სადაც ტექნოლოგიური წარმოების პირობების მიხედვით გამოიყენება ფეთქებადსაშიში ნედლეული და მასალები ან იწარმოება ფეთქებადსაშიში ნივთიერებები. ასეთი შეიძლება იყოს მთელი წარმოება (საწარმო) ან მისი ცალკეული ნაწილი (საამქრო). მათ მიეკუთვნება საწარმოები, რომლებიც იყენებენ ამიაკს, აცეტონს, ბენზინს, სპირტს, გაზსა და სხვა ფეთქებადსაშიშ ნივთიერებებს. აგრეთვე ყველა ის საწარმო, რომელიც აწარმოებს ფეთქებადსაშიშ ნივთიერებებს, მაგალითად, დენთს, საბრძოლო მასალებს, პიროტექნიკურ საშუალებებს.

დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება მოქმედებით ან უმოქმედობით — ფეთქებადსაშიშ საწარმოში ან საამქროში საწარმო-ტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, ამ ქმედების შესაძლო მძიმე შედეგით

და მიზეზობრივი კავშირით უსაფრთხოების წესების დარღვევასა და მიღებულ შესაძლო მძიმე შედეგს შორის.

ქმედება გამოიხატება ფეთქებადსაშიშ საწარმოში (საამქროში) უსაფრთხოების სპეციალური წესების დარღვევაში. დისპოზიციაში ნახსენები საწარმოო-ტექნიკური უსაფრთხოების წესები არის შესაბამის საწარმოში მოქმედი უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის ზოგადი წესების დამატება, ეს არის სპეციალური წესები, რომლებიც განსაზღვრავენ მუშაობის პირობებს სწორედ ფეთქებადსაშიშ ნივთიერებებსა და მასალებთან. ამიტომ დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის აუცილებელია სწორედ უსაფრთხოების ამ სპეციალური წესების დარღვევის ფაქტი, ვინაიდან შრომის დაცვის ზოგადი წესის დარღვევის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სსკ 170-ე მუხლით. საწარმო-ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალური წესის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს წარმოების ტექნოლოგიური პროცესის დარღვევაში, სამუშაოდ გარეშე პირთა დაშვებაში და ა.შ. დარღვევა შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე სიგარეტის მოწევაში, ღია ცეცხლით ან ისეთი საგნებით სარგებლობაში, რომელიც ნაპერწკალს წარმოშობს და ა.შ. აღნიშნულ საწარმოებში უსაფრთხოების წესები რეგლამენტირებულია 1997 წლის 31 დეკემბრის საქართველოს კანონით „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ", 1998 წლის 12 მაისის კანონით სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ქმედების ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია მძიმე შედეგის საფრთხე, რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ ხანძრის, აფეთქების, ადამიანთა ჯანმრთელობისათვის არსებითი ზიანის საფრთხე, მატერიალურ ფასეულობათა დაზიანების ან განადგურების, აგრეთვე დიდი მატერიალური ზიანის, გარემოს მნიშვნელოვნად დაზიანების საფრთხე და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად მძიმე შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტიდან.

დანაშაულის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია ქმედების ჩადენის ადგილი — ფეთქებადსაშიში საწარმო ან საამქრო.

დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია — პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი, რომლის თანამდებობრივ ან პროფესიულ მოვალეობაშიც შედის ფეთქებადსაშიშ საწარმოში (საამქროში) უსაფრთხოების სპე-

ციალური წესების დაცვა, ე.ი. პირი, რომლის საქმიანობაც მუდმივად ან დროებით დაკავშირებულია მოცემულ წარმოებასთან. ეს შეიძლება იყოს თანამდებობის პირი ან რიგითი მუშაკი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე კანონის პირდაპირი მითითებით მხოლოდ გაუფრთხილებლობას გულისხმობს როგორც თვითმედოვნების, ისე დაუდევრობის სახით.

242-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ სახეს, სახელდობრ, ფეთქებადსაშიშ საწარმოში ან საამქროში საწარმო-ტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

მე-2 ნაწილში მოცემულია მატერიალური შემადგენლობა. ადამიანის სიცოცხლის მოსპობის გარდა, სხვა მძიმე შედეგს შეიძლება მიეკუთვნოს ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ქონების განადგურება (მაგალითად, საწარმოს, ქარხნის, საამქროს დანგრევა), მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზიანი, მოსახლეობის ევაკუაცია და სხვ. მძიმე შედეგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით.

ქმედების სუბიექტი და სუბიექტური შემადგენლობა იგივეა, რაც 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში.

242-ე მუხლის მე-3 ნაწილით პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში საწარმოო – ტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, გარემოს რადიაქტიური დაბინძურება ან სხვა მძიმე შედეგი.

სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა (მუხლი 243-ე).

განსახილველი დანაშაულის ობიექტია სახანძრო უსაფრთხოება, ანუ ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხანძრისაგან ფიზიკურ პირთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, აგრეთვე კერძო და სახელმწიფო ქონების დაცვას. სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლე და საკუთრება.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევაში, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება. ამრიგად, 243-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნებია: 1) მოქმედება ან უმოქმედობა (სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა შესაძლებელია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შეუსრულებლობით ან არასათანადოდ შესრულებით); 2) ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება; გ) მიზეზობრივი კავშირი სახანძრო უსაფრთხობის წესის დარღვევასა და მითითებულ საზიანო შედეგს შორის.

243-ე მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია. სახანძრო უსაფრთხოების წესები რეგლამენტირებულია ისეთი ნორმატიული აქტებით, როგორიცაა 1998 წლის 12 მაისის კანონი „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ". ამ კანონის საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2001 წლის 12 აპრილის №130 ბრძანებით დამტკიცებულია „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესები" და სხვ. ამ ნორმატიულ აქტებში განსაზღვრულია ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების სფეროში.

243-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა მატერიალურია. სისხლის სამართლის წესით დასჯადია სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება.

დანაშაულის ამსრულებელი კანონის პირდაპირი მითითებით სპეციალურია, ის, ვისაც სახანძრო უსაფრთხოების წესის დაცვა ევალებოდა საწარმოებსა და დაწესებულებებში. ესენი არიან: სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველ- ყოფაზე პასუხისმგებლად დადგენილი წესით დანიშნული პირები; თანამდებობის პირები მათი კომპეტენციის ფარგლებში, აგრეთვე

სხვა პირები, რომლებიც ხანძარსაშიშ სამუშაოს ასრულებენ ან ხელმძღვანელობენ ასეთ სამუშაოს (მაგალითად, ელექტროშემდუღებელი და ა.შ.). დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სხვა მოქალაქეც (მაგალითად, შენობის მესაკუთრე, მეწარმე და ა.შ.), რომელსაც სახანძრო უსაფრთხოების წესის შესაბამისად დაკისრებული აქვს კონკრეტული მოვალეობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დასაცავად.

დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება გაუფრთხილებლობით და შეიძლება გამოიხატოს როგორც თვითიმედოვნებაში, ისე დაუდევრობაში.

243-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევას დამამძიმებელ გარემოებებში. მასში გათვალისწინებულია ორი მაკვალიფიცირებელი ნიშანი — სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია: 1) ადამიანის სიცოცხლის მოსპობა; 2) სხვა მძიმე შედეგი. სხვა მძიმე შედეგს შეიძლება მივაკუთვნოთ დიდი მატერიალური ზარალი, მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზიანი, საცხოვრებელი შენობის დანგრევა ან დაზიანება, საწარმოს მუშაობის დიდი ხნით შეჩერება და ა.შ. საბოლოო ჯამში, მძიმე შედეგი შეფასებითი კატეგორიაა და სასამართლომ უნდა განსაზღვროს. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი წესების დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის. დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულება აღნიშნული შედეგებისადმი ხასიათდება გაუფრთხილებლობით. ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 187-ე მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით.

243-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა ასევე უნდა გაიმიჯნოს 188-ე მუხლში მოცემული შემადგენლობისაგან — ნივთის დაზიანება ან განადგურება ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობით. 243-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტია ის, ვისაც სახანძრო უსაფრთხოების წესის დაცვა ევალებოდა, 188-ე მუხლის მე-2 ნაწილში ასახული დანაშაულის ამსრულებელი კი — ის ადამიანია, რომელსაც ასეთი ვალდებულება არ აკისრია.

243-ე მუხლის მე-3 ნაწილი პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

მძიმე შედეგი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია 243-ე მუხლის როგორც მეორე, ისე მესამე ნაწილით, რაც კანონის ხარვეზია. ორივე შემთხვევაში იგი შემადგენლობის შეფასებითი ნიშანია და სასამართლომ უნდა განსაზღვროს ზიანის ხასიათისა და მოცულობის საფუძველზე.

ფეთქებადი, ადვილადაალებადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაკეთობის ალრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გამოყენების ან გადაგზავნის წესის დარღვევა (მუხლი 244-ე).

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი უსაფრთხოება ფეთქებად, ადვილადაალებად, მწვავე ნივთიერებასთან ან პიროტექნიკურ ნაკეთობასთან მოპყრობისას. სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლე, საკუთრება, ბუნებრივი გარემო. დანაშაულის საგანია ფეთქებადი, ადვილადაალებადი, მწვავე ნივთიერება ან პიროტექნიკური ნაკეთობა.

ფეთქებადი ნივთიერება ეს არის ნაერთი ან ნარევი, რომელსაც შეუძლია მყისიერი ქიმიური გარდაქმნა (აფეთქება) და დიდი კინეტიკური ენერგიის გამოყოფა. ის შეიძლება იყოს მყარ, თხევად ან აირად მდგომარეობაში; მაგალითად, დენთი, დინამიტი, ტროტილი, წყალბადისა და ჟანგბადის ნარევი, ნიტროგლიცერინი და ა.შ.

ადვილადაალებადი ნივთიერება ეს არის მყარი, თხევადი ან აირადი ნივთიერება, რომელსაც აქვს აალების დაბალი წერტილი, შეუძლია თვითაალება ჰაერთან, წყალთან, სითბოს წყაროსთან ხანმოკლე შეხებისას ან სხვა ფაქტორების ზემოქმედებით. ასეთია ბენზინი, ნავთი, სპირტი, პროპანი, ფოსფორი, ეთერი და სხვ.

მწვავე ნივთიერება – უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, საშიში ქიმიური ნივთიერება, ვინაიდან კანონი არსებობს საშიში ქიმიური ნივთიერების შესახებ, ისეთი ნივთიერება და პრეპარატია, რომელიც მავნე ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე და მიეკუთვნება ტოქსიკურობისა და საშიშროების შესაბამის კლასს. მათი კლასიფიკაცია მოცემულია 2003 წლის 7 აპრილის დებულებაში „საშიში

ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის შესახებ".

პიროტექნიკური ნაკეთობა – ეს არის ნაკეთობა, რომელიც განკუთვნილია ცეცხლოვანი სიგნალიზაციისათვის, ფეიერვერკებისათვის და სხვ. გამოიყენება როგორც მშვიდობიანი, ისე სამხედრო მიზნებისათვის.

ჩამოთვლილი საგნების ბუნებიდან გამომდინარე, ისინი ექვემდებარებიან მკაცრ აღრიცხვას, შენახვასა და ბრუნვას.

დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს ქმედებას, მძიმე შედეგსა და მიზეზობრივ კავშირს მათ შორის.

ქმედება გამოიხატება ფეთქებადი, ადვილადაალებადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაკეთობის აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის ან გამოყენების წესის დარღვევაში, აგრეთვე მის უკანონო გადაგზავნაში ფოსტით ან ბარგით. ქმედების ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია მძიმე შედეგი. მას შეიძლება მივაკუთვნოთ აფეთქება, ხანძარი, დიდი მატერიალური ზიანი, უბედური შემთხვევა (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, სიკვდილი), ტრანსპორტის მუშაობის შეფერხება, საწარმოს, ორგანიზაციის მუშაობის დარღვევა და ა.შ. შემადგენლობა მატერიალურია.

244-ე მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია, ამიტომ პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საჭიროა კონკრეტულ ნორმატიულ აქტზე მითითება, რომლის მოთხოვნათა დარღვევასაც ჰქონდა ადგილი. ზემოთ ჩამოთვლილ ნივთიერებებსა და საგნებთან მოპყრობის რეგლამენტაცია მოცემულია საქართველოს 1997 წლის კანონში, „საშიში საწარმოო ობიექტების უსაფრთხოების შესახებ", საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით 2003 წლის 7 აპრილს დამტკიცებულ დებულებებში „საშიში ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის შესახებ"; „საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის ან აკრძალვის წესის შესახებ"; კანონში „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ" და სხვ.

დანაშაულის ამსრულებელი, როცა საუბარია ფეთქებადი, ადვილადაალებადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაკეთობის აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის ან გამოყენების წესის დარღვევაზე, სპეციალურია, ვის სამსახურებრივ მოვალეობაშიც შედის ასეთი წესების დაცვა, ხოლო ჩამოთვლილი საგნების ფოსტით ან ბარგით უკანონო გადაზიდვის დროს – ამსრულებელი ზოგადია, ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი. აქ იგულისხმება როგორც

ის მოსამსახურეები, რომელთა მოვალეობაშიც შედის წესების დაცვა (მაგალითად, ფოსტის, ტრანსპორტის მუშაკები), ისე გარეშე პირები (მაგალითად, მგზავრები).

კანონის შინაარსიდან გამომდინარე, დანაშაულის სუბიექტური მხარე გაუფრთხილებლობას გულისხმობს. შედეგის განზრახ გამოწვევის შემთხვევაში, მისი ხასიათიდან გამომდინარე, დანაშაულთა ერთობლიობასთან გვექნება საქმე.

ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევა (მუხლი 245-ე).

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი უსაფრთხოება რადიაქტიურ მასალებთან ან მაიონიზებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობისას. სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლე, ბუნებრივი გარემო.

დანაშაულის საგანია ბირთვული მასალა, რადიაქტიური ნარჩენი, რადიაქტიული ნივთიერება ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყარო.

დანაშაულის ობიექტურ მხარეს ქმნის ისეთი ალტერნატიული ქმედება, როგორიცაა რადიაქტიური მასალის ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს შეძენის, შენახვის, დამარხვის, ფლობის, გამოყენების, გადამუშავების, გამოცდის, გადაცემის, აღრიცხვის, გადაზიდვის, ექსპორტ-იმპორტის ან მისდამი მოპყრობის სხვა წესის დარღვევა. ცხადია, საუბარია ამ სფეროში მოქმედი უსაფრთხოების სპეციალური წესების დარღვევაზე.

დისპოზიცია ბლანკეტურია და ამიტომ მისი შინაარსის ასახსნელად უნდა მივმართოთ ისეთ ნორმატიულ აქტებს, როგორიცაა 1998 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“, „გარემოს დაცვის შესახებ“, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება „ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“, „რადიაციული უსაფრთხოების ნორმების შესახებ“, „რადიაქტიურ ნივთიერებებთან და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროებთან მუშაობის ძირითადი სანი-

ტარული წესების შესახებ", საქართველოს კანონი „რადიაქტიურ ნივთიერებათა გადაზიდვების შესახებ" და სხვ.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მიხედვით, ბირთვული და რადიაციული ობიექტები, ბირთვული მასალები, რადიაქტიური ნივთიერებები და ნარჩენები, მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროები, მათი განთავსების ადგილები, შენახვისა და ექსპლუატაციის პირობები, გადაადგილება, ხარჯვა, ექსპორტი და იმპორტი ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვასა და კონტროლს. ბირთვული და რადიაციული ობიექტების, მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ინვენტარიზაციის საფუძველზე დგება სახელმწიფო კადასტრი, რომელიც შეიცავს სისტემატიზებულ მონაცემებს მათი მახასიათებლების, შენახვისა და ექსპლუატაციის პირობების, გადაადგილების, ხარჯვის, ექსპორტისა და იმპორტის, შენახვისა და დამარხვის ადგილების შესახებ.

სსკ 245-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მოცემულია კონკრეტული საფრთხის დელიქტი. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება რადიაქტიული მასალებისადმი მოპყრობის ამა თუ იმ წესის დარღვევის მომენტიდან, როცა შეიქმნება ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის დადგომის საფრთხე. მაშასადამე, 1-ლი ნაწილით პასუხისმგებლობისათვის საზიანო შედეგის დადგომა საჭირო არაა.

დანაშაულის ამსრულებელია პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი, მათ შორის ისიც, ვისაც რადიაქტიური მასალა მინდობილი აქვს მის თანამდებობრივ (სამსახურებრივ) მოვალეობებთან ან პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით[1].

რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, იგი შესაძლებელია განხორციელდეს როგორც არაპირდაპირი განზრახვით, ისე გაუფრთხილებლობით. ქმედების სხვა სუბიექტურ ელემენტებს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

245-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის კვალიფიციური სახისათვის, იმავე ქმედებისათვის, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. სხვა მძიმე შედეგს შეიძლება მივაკუთვნოთ ადამიანთა ჯანმრთელობისათვის

1 ვფიქრობთ, რომ სსკ 245-ე მუხლში ასახული შემადგენლობა სპეციალურია 230-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან მიმართებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ 245-ე მუხლის მიხედვით სუბიექტი სპეციალურია, ის, ვისაც სამსახურებრივად ევალება რადიაქტიური მასალისადმი მოპყრობის წესების დაცვა. იქ კი სუბიექტი ზოგადია.

'ჩიანის მიყენება (დასხივება), მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, გარემოს დაბინძურება, დანაშაულის შედეგის სალიკვიდაციო ხარჯების ჩათვლით, ბირთვული ავარია (სერიოზული ავარია ან კატასტროფა) და ა.შ. ამ ნიშნით დანაშაულის კვალიფიკაციისათვის საჭიროა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შედეგს შორის. დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულება ამგვარი მძიმე შედეგებისადმი მხოლოდ გაუფრთხილებლობაში გამოიხატება.

მე-3 ნაწილში მოცემულია განსაკუთრებული დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი ა) ჯგუფურად. ბ) არაერთგზის (ჯგუფური და არაერთგზისი დანაშაულის შესახებ იხ. სსკ 27-ე და მე-15 მუხლის შინაარსი).

თავი XV

დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ

საზოგადოების განვითარება განუხრელად არის დაკავშირებული ადამიანის სულიერ სიმდიდრეზე და ფიზიკურ სრულყოფილებაზე მუდმივ ზრუნვასთან. სწორედ ამის გარანტიაა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ყოველი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება, ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა, სახელმწიფოს ზრუნვა ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. კონსტიტუცია ასევე აღიარებს, რომ ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

ამ კონსტიტუციურ პრინციპებს მოქალაქეთა უმრავლესობა ნებაყოფლობით იცავს, თუმცა ზოგიერთი არღვევს მათ, რითაც არსებით ზიანს აყენებს ჩვენი სოციალური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამო, უხარისხო საქონლის გამოშვება და რეალიზაცია, პროსტიტუციის მასშტაბების ზრდა, ზნეობრივი ნორმების უგულებელყოფა.

მსგავს ქმედებათა თავიდან ასაცილებლად და მათთან საბრძოლველად სსკ XXXII თავი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის. ამ დანაშაულთა სახეობით ობიექტს წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ჯანმრთელობასა და საზოგადოების ზნეობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სსკ XXXII თავით გათვალისწინებულ ქმედებათა ხელყოფისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ფიზიკური (ფსიქიკური) ჯანმრთელობის

დაცვასა და სულიერი კეთილდღეობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. ხელყოფის უშუალო ობიექტის მიხედვით ეს დანაშაული ორ ჯგუფად იყოფა: 1) დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობის წინააღმდეგ; 2) დანაშაული საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ.

სისხლის სამართლის კოდექსის XX თავისაგან (დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ – 117-126-ე მუხლები) განსხვავებით, რომლითაც დაცულია ცალკეული ადამიანის ჯანმრთელობა, როგორც მისი განუყოფელი სიკეთე, მოსახლეობის ჯანმრთელობა უფრო ფართო ცნებაა, იგი მოიცავს ადამიანთა დიდი ჯგუფის ფიზიკურ მდგომარეობას. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით (ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი მე-3).

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონი მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობას; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას.

უკანონო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა (მუხლი 246-ე).

განსახილველი დანაშაული ხელყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის კანონით დადგენილ წესს. სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი უშუალო ობიექტი სწორედ მოსახლეობის ჯანმრთელობაა, ხოლო დამატებითი ობიექტი – ცალკეული ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

დანაშაულის ობიექტური მხარე 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მოიცავს სამ სავალდებულო ნიშანს: ქმედებას, რაც გამოიხატება უკანონო საექიმო ან ფარმაცევტულ საქმიანობაში, შედეგს – ჯანმრთელობის დაზიანების სახით და მიზეზობრივ კავშირს მათ შორის.

246-ე მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია. საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობა რეგლამენტირებულია საქართველოს კანონით საექიმო საქმიანობის შესახებ, 1997 წლის 17 აპრილის კანონით წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ, 2003 წლის 8 მაისის კანონით სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ და სხვა ნორმატიული აქტებით.

საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ საექიმო საქმიანობას განმარტავს შემდეგნაირად: მედიცინაში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება.

დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა – უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირის პროფესიული საქმიანობაა, რომლის შედეგებზეც ის პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საექიმო საქმიანობის შესახებ კანონში დაწვრილებით არის რეგლამენტირებული უმაღლესი სამედიცინო განათლებამიღებული პირისათვის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მინიჭების წესი, სახელმწიფო სერტიფიკატის გაცემის წესი. საექიმო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს ჯანდაცვის სამინისტრო.

კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ ფარმაცევტულ საქმიანობას განმარტავს შემდეგნაირად: სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში დაკავებული ფიზიკური და იურიდიული პირების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმიანობა.

სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო მართვას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მის ფუნქციებში შედის ფარმაციის სპეციალისტების (ფარმაცევტი და ფარმაცევტის თანაშემწე) სერტიფიკაცია, ფარმაცევტული დაწესებულებების ლიცენზირება და სხვ. ფარმაცევტულ საქმიანობას, კანონის თანახმად, ეწევა უმაღლესი (ფარმაცევტი) ან საშუალო (ფარმაცევტის თანაშემწე) ფარმაცევტული განათლების მქონე

პირი, რომლის ცენზი დადასტურებულია სახელმწიფო სერტიფიკატით.

ფარმაცევტული საქმიანობა მოიცავს აფთიაქის, აფთიაქის ფილიალის, ფარმაცევტული ბაზის, ფარმაცევტული საწარმოს, წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის საქმიანობას. თითოეული მათგანი დამოუკიდებელ ლიცენზირებას ექვემდებარება.

სამედიცინო და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ლიცენზიას გასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (იხ. ჯანდაცვის კანონი, მუხლი 23-ე).

ამრიგად, მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციისათვის კანონი კრძალავს უკანონო საექიმო და ფარმაცევტულ საქმიანობას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება უკანონო საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობისათვის ამ უფლების დაცვის ერთ-ერთი გარანტიაა.

სსკ 246-ე მუხლის მიზნებისათვის საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა უკანონოდ ჩაითვლება, თუ ის ხორციელდება სახელმწიფო სერტიფიკატის ან/და ლიცენზიის გარეშე. მაშასადამე, საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატისა და ლიცენზიის მქონე პირებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქმედების ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება. იგი გულისხმობს ჯანმრთელობის ნებისმიერი ხარისხის დაზიანებას. ამასთანავე, საჭიროა მიზეზობრივი კავშირის დადგენა უკანონო საექიმო ან ფარმაცევტულ საქმიანობასა და ჯანმრთელობის დაზიანებას შორის.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი პირი, რომელიც შესაბამისი სერტიფიკატის ან ლიცენზიის გარეშე ეწევა საექიმო ან ფარმაცევტულ საქმიანობას.

რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, იგი გულისხმობს გაუფრთხილებლობას. განზრახვა ჯანმრთელობის დაზიანების ან სიცოცხლის მოსპობის მიმართ უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაული (თავი XIX ან XX). ქმედების სუბიექტური შემადგენლობის სხვა ნიშნებს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

246-ე მუხლის მე-2 ნაწილი უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას ადგენს იმავე ქმედებისათვის, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის

მოსპობა. მძიმე შედეგის გარდა, ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები იგივეა, რაც 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში. მძიმე შედეგია ეპიდემია, პანდემია და მისთ.

სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშრომის შემძიმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება (მუხლი 247-ე).

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. ამ კონსტიტუციური უფლების რეალიზაციისათვის სისხლის სამართლის კანონი კრძალავს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვას ან გაყალბებას. მოსახლეობისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია მთელი რიგი ნორმატიული აქტებით, კერძოდ, კანონით ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, გარემოს დაცვის შესახებ, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ და სხვ.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა გულისხმობს შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების, კვების, სწავლების, აღზრდის, რადიაციული და ქიმიური უსაფრთხოების განმსაზღვრელი სანიტარულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური წესების დაცვაზე ზედამხედველობას.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ევალება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. სწორედ მას ევალება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა; ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებისა და მოსახლეობისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება და რეკომენდაციების მომზადება ეპიდემიური აფეთქების, ინფექციურ დაავადებათა აღმოცენების მიზეზების, გავრცელებისა და კონტროლის შესახებ, მავნე ფაქტორების არსებობისა და მათი ზეგავლენის თავიდან აცილებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სახელმწიფო პასუხისმგებელია მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვისათვის სტიქიური უბედურებისა და ტექნიკური კატასტროფის დროს. ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები მონაწილეობენ მოსალოდნელი კატასტროფების სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში. მაგალითად, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრინციპი — ინფორმაცია გარემოს რადიაციული დაბინძურების, უბედური ან სხვა საგანგებო შემთხვევების შესახებ ღიაა და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს სოციალური კონტროლის უზრუნველყოფას ისეთ საქმიანობაზე, რომელმაც თავისი ხასიათით შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას (მთელ მოსახლეობასაც კი) და ბუნებრივ გარემოს.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი უშუალო ობიექტია მოსახლეობის ჯანმრთელობა.

დანაშაულის საგანია ინფორმაცია იმ გარემოების, ფაქტის ან მოვლენის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან გარემოს. თავისი შინაარსის მიხედვით ეს ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს მონაცემებს გარკვეული ტერიტორიის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის, კვების პროდუქტებისა და სასმელი წყლის ხარისხის, რადიაციული, ქიმიური, ბიოლოგიური, ეკოლოგიური უსაფრთხოების შესახებ — მოსალოდნელი მიწისძვრების, ცუნამისა და სხვა სტიქიური უბედურების შესახებ, ავარიისა და კატასტროფის შედეგად მავნე აირის გაჟონვის ან სითხის დაღვრის, ანდა მშრალი ნივთიერების გაფრქვევის შესახებ, შენობა-ნაგებობების ავარიული მდგომარეობის შესახებ და სხვ.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ალტერნატიულად ორი სახის ქმედების განხორციელებაში: 1) ინფორმაციის დამალვაში ან 2) ინფორმაციის გაყალბებაში.

ინფორმაციის დამალვა ნიშნავს, რომ საერთოდ არ ეცნობება მოსახლეობას მისთვის საფრთხის აღმოცენების შესახებ (ინფორმაციის გასაიდუმლოება, უარი მის გაცემაზე, არადროული (დაგვიანებული) ინფორმირება და ა.შ.).

ინფორმაციის გაყალბება ნიშნავს არასწორი ან არასრული მონაცემე-

ბის მიწოდებას იმ გარემოების, ფაქტის ან მოვლენის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან გარემოს. მაგალითად, ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ საწარმოში მომხდარი ავარიის შედეგად ატმოსფეროში გაჟონილი მავნე ნივთიერებები არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმებს, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

ინფორმაციის სისრულე ნიშნავს მედიცინაში ან ეკოლოგიაში სპეციალური ცოდნის არმქონე პირისათვის სრული წარმოდგენის შექმნას გარემოების, ფაქტის ან მოვლენის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან გარემოს; ამ საფრთხის ხასიათის, მისი განვითარების პროგნოზის შესახებ, შექმნილ ვითარებაში შესაძლო ქცევის შესახებ, რათა გადაირჩინოს ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ინფორმაცია დროული იქნება მაშინ, როცა მისი მიწოდება მოხდება შესაძლო მავნე შედეგის დადგომამდე.

სსკ 247-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ასახული შემადგენლობა ფორმალურია, დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება ინფორმაციის დამალვის ან გაყალბების მომენტიდან, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან გარემოს.

დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია — ის პირი, ვინც ვალდებული იყო მიეწოდებინა აღნიშნული ინფორმაცია მოსახლეობისათვის. ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია დადგინდეს ევალებოდა თუ არა კონკრეტულ პირს მოსახლეობისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს, ამასთანავე, განზრახვა პირდაპირია.

247-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს კვალიფიციურ შემადგენლობას. მასში მოცემულია ორი მაკვალიფიცირებელი ნიშანი: 1) იმავე ქმედების ჩადენა მოხელის მიერ და 2) რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი.

კანონი უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას აკისრებს მოხელეს, რომელმაც დამალა ან გააყალბა ინფორმაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან გარემოს.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ნებისმიერი სიმძიმის შეიძლება იყოს. სხვა მძიმე შედეგი, როგორც შეფასებითი ნიშანი, კანონში კონკრეტიზებული არ არის. იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა

განსაზღვროს სასამართლომ საქმის ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით. სხვა მძიმე შედეგს შეიძლება მიეკუთვნოს მრავალი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, საცხოვრებელი ადგილიდან მოსახლეობის ევაკუაციის აუცილებლობა, სოციალური დეზორგანიზაცია (პანიკა და უწესრიგობა), ქონების განადგურება ან დაზიანება, გარემოს დაბინძურება და ა.შ. აღნიშნულ საზიანო შედეგსა და ინფორმაციის დამალვას ან გაყალბებას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს გაუფრთხილებლობით.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესის დარღვევა (მუხლი 248-ე).

განსახილველი დანაშაულისაგან სს დაცვის ობიექტია მოსახლეობის ჯანმრთელობა. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა სახელმწიფოს მოვალეობაა. სანიტარიულ-ჰიგიენურ წესებს, ნორმებსა და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებებს შეიმუშავებს და ამტკიცებს, მათ დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. ამავე დროს, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემოსა და სხვა ფაქტორების უარყოფითი გავლენის თავიდან აცილების მიზნით, შემუშავებული და დამტკიცებული სანიტარიულ-ჰიგიენური, სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესებისა და ღონისძიებების შესრულება სავალდებულოა ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი პირისათვის.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესის დარღვევაში, რამაც გამოიწვია ადამიანთა მასობრივი დაავადება ან მოწამვლა.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესები — ეს არის ნორმატივების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკაზე, მათი გავრცელების თავიდან აცილებაზე.[1]

1 სანიტარული ნორმები სამინისტროს მიერ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტებია, ხოლო ჰიგიენური ნორმები — სამინისტროს მიერ განსაკუთრებული კონტიგენტისათვის დადგენილი სავალდებულო ნორმები.

გარდა ზოგადი ნორმატიული აქტებისა, ისეთი, როგორიცაა კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, გარემოს დაცვის შესახებ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ კანონი (27.06.2007) და სხვა, არსებობს უამრავი უწყებრივი სანიტარიულ-ჰიგიენური წესები და ნორმები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.[1]

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს: მოქმედებას (უმოქმედობას), რომლითაც ირღვევა სანიტარიულ-ჰიგიენური წესები და ნორმები; შედეგს — ადამიანთა მასობრივი დაავადება ან მოწამვლა, მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და შედეგს შორის.

სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევა შესაძლებელია როგორც მოქმედებით (მაგალითად, საზოგადოებრივი კვების ობიექტზე საჭმლის მოსამზადებლად ისეთი პროდუქტების გამოყენება, რომელსაც არ გაუვლია სანიტარიული კონტროლი, ანდა ჭურჭლის არაჯეროვნად გარეცხვა), ისე უმოქმედობით (მაგალითად, საკარანტინო ღონისძიებებისათვის თავის არიდება, ინფიცირებული ობიექტის გაუვნებლობისათვის თავის არიდება). 248-ე მუხლით პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საჭიროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაირკვეს რომელი სანიტარიული წესი იქნა დარღვეული.

დანაშაულს მატერიალური შემადგენლობა აქვს, ამიტომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, როცა სანიტარიული წესების დარღვევას შედეგად მოჰყვება ადამიანთა მასობრივი დაავადება ან მოწამვლა. ეპიდემიურ დაავადებებს მიეკუთვნება ქოლერა, გრიპი, მუცლის ტიფი, დიზინტერია, შავი ჭირი და ა.შ. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს გადამდები და განსაკუთრებით გავრცელებული არაგადამდები დაავადებების ნუსხას.

მოწამვლა — ისეთი მწვავე ქრონიკული დაავადებაა, რომელიც განპირობებულია ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვა წარმომავლობის ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედებით, ვრცელდება სასუნთქი გზებით, ფიზიკური კონტაქტით, საკვებისა და წყლის მიღებით.

დაავადების მასობრივის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინფექციის ხასიათი, თუ დაავადება ინფექციურია — მისი მასობრივი

1 იხ. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ. თბ. 2005, გვ. 118

გავრცელების უნარი, საშიშროება არა მხოლოდ ავადმყოფისათვის, არამედ სხვა პირთათვის დაავადებულთან კონტაქტის, ანდა ჰიგიენური წესების დაუცველობის შედეგად.

ამასთანავე, უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი კონკრეტული სანიტარიული წესის დარღვევასა და მასობრივ დაავადებას ან მოწამვლას შორის.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელმაც დაარღვია, ზოგადი ხასიათის წესები, აგრეთვე ის (საჯარო მოსამსახურე ან სხვა), ვისაც ევალებოდა შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების დაცვა, თუკი ადგილი აქვს ასეთი სპეციალური სანიტარიული წესების დარღვევას. სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვის ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს განხორციელებული საქმიანობის ხასიათიდან, სამართლებრივი სტატუსიდან და ა.შ. ასე, მაგალითად, სანიტარიული წესების დაცვის ვალდებულება აკისრიათ სანეპიდსადგურის, სამედიცინო დაწესებულების, საზოგადოებრივი კვების, კვების მრეწველობის მუშაკებს.

რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, ის შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გაუფრთხილებლობით. გამორიცხულია განზრახვა დანაშაულებრივი შედეგისადმი. თუკი ასეთი ფაქტი დადასტურდება, მაშინ შესაბამისი სუბიექტური ნიშნების არსებობის შემთხვევაში საკითხი უნდა დაისვას ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშულისათვის, ანდა საბოტაჟისათვის პასუხისმგებლობაზე.

248-ე მუხლის მე-2 ნაწილი პასუხისმგებლობას ადგენს იგივე ქმედებისათვის, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. აქ სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტია ადამიანის სიცოცხლე. კანონის შინაარსიდან გამომდინარე, მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობისათვის საკმარისია სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესების დარღვევის შედეგად თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. ამ შედეგის მიმართ დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულება მხოლოდ გაუფრთხილებლობას გულისხმობს.

განსახილველი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას საშიშ ქიმიურ ნივთიერებასთან (შხამთან) მოპყრობისას და ამით საქართველოს კონსტიტუციით აღირებული ადამიანის უფლების – ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში – დაცვას, ადამიანთა ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას საშიში ქიმიური ნივთიერებების მავნე ზემოქმედებისაგან. კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ ადგენს ქიმიური უსაფრთხოების ზოგად პრინციპებს. (მ. 24). საშიში ქიმიური ნივთიერების ბრუნვის რეგლამენტაცია მოცემულია საქართველოს 1998· წლის 12 ივნისის კანონში „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", აგრეთვე, ამ კანონის საფუძველზე მიღებულ ისეთ კანონქვემდებარე აქტებში, როგორიცაა: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, „საშიში ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ", „საშიში ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის შესახებ" „საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის ან აკრძალვის წესის შესახებ" და სხვ.[1]

საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვისა და კონტროლის სფეროში მაკოორდინირებელი ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების რეგულირების საუწყებათაშორისი საბჭო. სამინისტროს ფუნქციებში შედის საშიში ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო რეგისტრაცია და გამოყენებაში არსებულ ნივთიერებათა ნუსხის დადგენა, მათი ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოება, ქვეყნის შიგნით საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვა ან აკრძალვა და სხვ.

სსკ 249-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანია საშიში ქიმიური ნივთიერებები (შხამი), ანუ ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე და მიეკუთვნებიან ტოქსიკურობისა და საშიშროების სხვადასხვა კლასს. მათი კლასიფიკაცია მოცემულია დებულებაში „საშიში ქიმიური

1 იხ. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ. თბ. 2005, გვ. 121.

ნივთიერებების კლასიფიკაციის შესახებ". მათი კლასიფიკაცია ხდება ფიზიკო-ქიმიური, ტოქსიკოლოგიური თვისებების, აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების სპეციფიკური ეფექტის საფუძველზე. შხამიან ნივთიერებებს მიეკუთვნება ტოქსიკური ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მცირე ოდენობით მოხვედრისას იწვევენ სიკვდილს, მწვავე ან ქრონიკულ მოწამვლას. ასეთია მეთილის სპირტი, ძმარმჟავას ანჰიდრიდი, ფენოლი, სტრიქნინი, კალიუმის ციანიდი, ვერცხლის წყლის ქლორიდი.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება გასაღების მიზნით შხამის უკანონოდ დამზადებაში, წარმოებაში, შეძენაში, შენახვაში, გადაზიდვაში ან გასაღებაში. 249-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია და იგი დამთავრებულად ჩაითვლება კანონში მითითებული ერთ-ერთი ალტერნატიული მოქმედების ჩადენის მომენტიდან; ამ ქმედებათა კანონიერების თუ უკანონობის შესაფასებლად უნდა დავემყაროთ ზემოთ მითითებულ ბლანკეტურ ნორმებს.

შხამის უკანონო დამზადებაში იგულისხმება ნებისმიერი მოქმედება, რომლითაც შესაბამისი უფლებამოსილების არმქონე პირი ბუნებრივი ან სინთეტიკური ნედლეულისაგან მიიღებს საშიშ ქიმიურ ნივთიერებას, რომელიც შეტანილია ერთიან სახელმწიფო რეესტრში და მის ბრუნვაზე დაწესებულია სახელმწიფო კონტროლი.

წარმოება ნიშნავს საშიში ქიმიური ნივთიერების (შხამის) სერიულ გამოშვებას. საშიში ქიმიური ნივთიერების წარმოება დასაშვებია, თუ მან გაიარა სახელმწიფო ექსპერტიზა და რეგისტრაცია კანონით დადგენილი წესით და თუ საწარმოს აქვს შესაბამისი ტექნოლოგია, ტექნიკური საშუალებანი, ჰყავს სპეციალურად მომზადებული მუშაკები, რომლებიც უზრუნველყოფენ საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ კანონის, სანიტარიული წესებისა და ნორმების, აგრეთვე გარემოს დაცვის კანონმდებლობის პირობების შესრულებას.

უკანონო შეძენა გულისხმობს შხამის მოპოვებას სხვადასხვა გზით: ყიდვა, გაცვლა, პოვნა, ჩუქება და სხვ.

უკანონო შენახვა გულისხმობს ნებისმიერ მოქმედებას, რაც უკავშირდება საშიში ქიმიური ნივთიერების ფლობას, მისთვის ადგილსამყოფელის მიჩენას, მაგალითად, ბინაში, სამალავში და სხვ.

უკანონო გადაზიდვა ნიშნავს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარე-

ბული, საშიში ქიმიური ნივთიერებების (შხამის) გადაადგილებას ერთი ადგილიდან სხვა ადგილას, მისი გამგზავნის ან ადრესატის თანდასწრებით. უკანონო გადაზიდვისას მნიშვნელობა არა აქვს ტრანსპორტის სახეს, ტრანსპორტირების ხერხსა და ნივთის შენახვის ადგილს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოქმედება ჩადენილ უნდა იქნეს გასაღების მიზნით. თუმცა, ასეთ ნივთიერებათა უკანონო გასაღების ფაქტიც დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენს. გასაღება ნიშნავს შხამის სხვა პირისათვის უკანონოდ გადაცემის, რეალიზაციის ნებისმიერ ხერხს როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ (გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება და ა.შ.). უკანონო გასაღება დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა გამსაღებელი გაასხვისებს, სხვას გადასცემს შხამს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოქმედება უკანონოდ ჩაითვლება, თუ ისინი ჩადენილია საშიში ქიმიური ნივთიერებების ბრუნვისათვის დადგენილი წესების დარღვევით.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი.

რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, იგი პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოქმედების მიზანს – შხამის გასაღებას. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ უკანონოდ ამზადებს, აწარმოებს, იძენს, ინახავს, გადაადგილებს შხამს და სურს ამ მოქმედების ჩადენა, ვინაიდან ამოძრავებს მისი გასაღების მიზანი.

249-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სამ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, იმავე ქმედების ჩადენას: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) დიდი ოდენობით. შხამის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შხამის ფიზიკო-ქიმიური, ტოქსიკოლოგიური თვისებები, აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების სპეციფიკური ეფექტი. რამდენადაც ამ თვისებების იდენტიფიკაცია სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, საჭიროა ჩატარდეს სასამართლო ქიმიური ექსპერტიზა.

249-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა, სახელდობრ, შხამის წარმოების, შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, გადაზიდვის ან გადაგზავნის წესის დარღვევა, რამაც ასეთი ნივთიერების უკანონო ბრუნვა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.

სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტი აქაც მოსახ-

ლეობის ჯანმრთელობაა, თუმცა დამატებით უშუალო ობიექტად უნდა ჩავთვალოთ: მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოება, ადამიანის ჯანმრთელობა, საკუთრება.

საშიში ქიმიური ნივთიერების (შხამის) წარმოების, შენახვის, აღრიცხვისა და რეგისტრაციის, ექსპორტისა და იმპორტის, ტრანსპორტირების წესი დაწვრილებით არის რეგლამენტირებული ზემოთ ჩამოთვლილი ნორმატიული აქტებით. მაშასადამე, 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის დისპოზიცია ბლანკეტურია.

დანაშაულის მოცემულ სახეს მატერიალური შემადგენლობა აქვს. დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს სამ სავალდებულო ნიშანს: 1) მოქმედებას ან უმოქმედობას (შხამის წარმოების, შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, გადაზიდვის ან გადაგზავნის წესის დარღვევა); 2) შედეგს — შხამის უკანონო ბრუნვაში მოქცევის ან სხვა მძიმე შედეგის სახით; 3) მიზეზობრივ კავშირს ხსენებული წესების დარღვევასა და დამდგარ საზიანო შედეგებს შორის.

სხვა მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ საშიში ქიმიური ნივთიერებებით გარემოს დაბინძურება, ადამიანების მოწამვლა, მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი და ა.შ.

დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია — ის, ვისაც სამსახურებრივად ევალებოდა საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ბრუნვის სფეროში სპეციალური წესების დაცვა. ის შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის პირი, ისე სხვა მუშაკი.

მოცემული დანაშაულის სუბიექტური მხარე გულისხმობს როგორც განზრახვას, ისე გაუფრთხილებლობას. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის სხვა ნიშნებს კანონი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა (მუხლი 250-ე).

განსახილველი დანაშაულის ძირითადი ობიექტია — მოსახლეობის ჯანმრთელობა, ხოლო დამატებითი ობიექტი — საკუთრება. მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ კვალიფიციურ შემადგენლობაში სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობაც.

დანაშაულის საგანი იგივეა, რაც 249-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაში, რომელიც ზემოთ უკვე დავახასიათეთ.

დანაშაულის ობიექტური მხარე მდგომარეობს შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში ან გამოძალვაში.

250-ე მუხლის 1-ლ ნაწილში არაფერია მითითებული შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ხერხზე, გარდა გამოძალვისა. მაგრამ კანონის სისტემატური და შედარებითი ანალიზის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ შხამის მისაკუთრების ხერხი შეიძლება იყოს ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა, გამოძალვა, მითვისება. სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ხერხები დაწვრილებით არის გაანალიზებული საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულის განხილვის დროს, ამიტომ მათ დახასიათებაზე აღარ შევჩერდებით.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს' სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება განსაკუთრებულ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას — შხამს, და სურს ეს. ქმედების სხვა სუბიექტური ელემენტები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა დანაშაულის კვალიფიკაციის, არამედ სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

250-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იმავე ქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია: ა) ჯგუფურად; ბ) დიდი ოდენობით;

ჯგუფური დანაშაული განმარტებულია სსკ 27-ე მუხლში. დიდი ოდენობა უნდა გავიგოთ იმავე მნიშვნელობით, როგორც 249-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაში, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ.

250-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას

იგივე ქმედებისათვის რომელიც ჩადენილა: ა)არაერთგზის და ბ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

არაერთგზისი დანაშაული უნდა განვმარტოთ სსკ მე-15 მუხლის საფუძველზე. რაც შეეხება შხამის მისაკუთრებას სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით, აქ არსებითად საუბარია შხამის მისაკუთრებაზე ყაჩაღური ხერხით და მისი შინაარსი იმავე მნიშვნელობით უნდა გავიგოთ როგორც სსკ 179-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაში. თუ შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების შემდეგ მოხდება მისი გასაღება, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით სსკ 249-ე და 250-ე მუხლებით.

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამო, უხარისხო საქონლის გამოშვება ან გაყიდვა ანდა უხარისხო სამუშაოს შესრულება ან უხარისხო მომსახურების გაწევა (მუხლი 251-ე).

განსახილველი დანაშაულის ძირითადი ობიექტია მოსახლეობის ჯანმრთელობა, ხოლო სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტი — ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ კანონის თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული ან იმპორტირებული პროდუქცია, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოების ნორმატიულ მოთხოვნებს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონით აღიარებულია ყველა მომხმარებლის უფლება, მოითხოვოს საქონლის, სამუშაოს, სავაჭრო და სხვა სახის მომსახურების სტანდარტთან შესაბამისი სათანადო ხარისხი; პროდუქციის უსაფრთხოება მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. უსაფრთხოების ამგვარი მოთხოვნები განსაზღვრულია (დადგენილია) სტანდარტებით, სანიტარიული ნორმებითა და წესებით, სამშენებლო ნორმებითა და წესებით და სხვა დოკუმენტებით. სტანდარტით განისაზღვრება სავალდებულო მოთხოვნები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის,

გარემოს უსაფრთხოება, აგრეთვე მომხმარებლის ჭრნებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების აუცილებელი პირობები. პროდუქციის შესაბამისობა უსაფრთხოების ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან განისაზღვრება სავალდებულო სერტიფიკაციის წესით. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია პროდუქციის სავალდებულო სერტიფიკაციის შემთხვევები და სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის ნუსხა, აგრეთვე სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული მომსახურების სახეები (სავალდებულო სერტიფიკაციას ექვემდებარება კვების პროდუქტები, თამბაქოს ნაწარმი, არაორგანული ქიმიური პროდუქტები, ფეთქებადი ნივთიერებები, პიროტექნიკური ნაწარმი და სხვ.) აკრძალულია აღნიშნული საქონლის რეალიზაცია, სამუშაოთა შესრულება და მომსახურების გაწევა დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დადასტურების (სერტიფიკაციის) გარეშე.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის გასარკვევად უნდა დავემყაროთ ისეთ ნორმატიულ აქტებს, როგორიცაა საქართველოს კანონები „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ (1996 წლის 20 მარტი); საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ (2007 წლის 27.06); „სტანდარტიზაციის შესახებ“ (1999 წლის 25 ივნისი); „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ (1996 წლის 6 სექტემბერი); საქართველოს კანონი „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“ (1999 წლის 25 ივნისი); და სხვ.

დანაშაულის საგანია – საქონელი, მომსახურება, სამუშაო, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს; აგრეთვე, ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ამ საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების შესაბამისობას უსაფრთხოების მოთხოვნებთან (სერტიფიკატი, ხარისხის მოწმობა, ლიცენზია ან სხვა სანებართვო მოწმობა).

დანაშაულის ობიექტური მხარე შედგება შემდეგი სახის ალტერნატიული მოქმედებებისაგან: 1) უხარისხო საქონლის გამოშვება ან გაყიდვა; 2) უხარისხო სამუშაოს შესრულება; 3) უხარისხო მომსახურების გაწევა; 4) უკანონო გაცემა ან გამოყენება ოფიციალური დოკუმენტისა, რომელიც ადასტურებს საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების შესაბამისობას უსაფრთხოების მოთხოვნებთან.

საქონლის გამოშვება გულისხმობს მწარმოებლის მიერ პროდუქციის

დამზადებასა და მიწოდებას საჭირო ბაზისათვის, მაღაზიისათვის ან სხვა კლიენტისათვის მომხმარებელზე სარეალიზაციოდ. პასუხისმგებლობისათვის პროდუქციის დამამზადებლის საკუთრების ფორმას მნიშვნელობა არა აქვს.

გაყიდვა ნიშნავს მომხმარებლისათვის საქონლის სასყიდლით გადაცემას პროდუქციის გამსაღებლის მიერ.

სამუშაოს შესრულება — ეს არის მოქმედებათა ერთობლიობა პროდუქციის შესაქმნელად, მის გასარემონტებლად ან სხვა სპეციალური სამუშაოს შესასრულებლად. სამუშაოს შესრულების ერთ-ერთი ნაირსახეობაა მომსახურების გაწევა, მაგალითად, საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი, ჰიგიენური მომსახურება, სასტუმროების მომსახურება და სხვ.

აღნიშნული მოქმედებები დანაშაულად რომ ჩაითვალოს, უხარისხო უნდა იყოს, ე.ი. არ უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტებითა და ნორმებით დადგენილ ან საკარაუდო მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფდეს მომხმარებელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებას. მაგალითად, საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი მოთხოვნები დგინდება მისი წარმოების ნორმატიულ და ტექნიკურ დოკუმენტაციაში. დამამზადებელმა საკვები პროდუქტები უნდა გამოუშვას დადგენილი წესით ნიშანდებული და სანიტარიული წესების მოთხოვნების, ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

პროდუქციის (საქონელი, მომსახურება, სამუშაო) უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის უკანონოდ გაცემას ან გამოყენებას ადგილი ექნება მაშინ, როცა ირღვევა ასეთი დოკუმენტის (სერტიფიკატი, ლიცენზია და ა.შ.) გაცემის ან გამოყენების კანონით დადგენილი წესი. მაგალითად, სამუშაოთა განსაზღვრული სახეობების ჩატარების ნებართვის (ლიცენზიის) გაცემა სათანადო შემოწმების გარეშე; სერტიფიკატის გაცემა პროდუქციის შეუმოწმებლად, ან არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ, ვადაგასული ან ყალბი სერტიფიკატის ან ლიცენზიის გამოყენება და სხვ.

დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დადასტურებას პროდუქციის სერტიფიკაცია ეწოდება. დადგენილ მოთხოვნებთან სერტიფიცირებული პროდუქციის შესაბამისობას ადასტურებს შესაბამისობის სერტიფიკატი, დოკუმენტი, რომელიც გაიცემა სერტიფიკაციის სისტემის

წესებით. ამ სფეროში ძირითადი ნორმატიული აქტია საქართველოს კანონი პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ. საქართველოში სერტიფიკაციის სისტემის სამუშაოთა ორგანიზებასა და კოორდინაციას ახდენს საქსტანდარტი.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება. აქედან გამომდინარე, საჭიროა მიზეზობრივი კავშირის არსებობა კანონში მითითებულ მოქმედებასა და დამდგარ საზიანო შედეგს შორის. ამგვარად, დანაშაულს მატერიალური შემადგენლობა აქვს და დამთავრებულად ჩაითვლება, თუნდაც ერთი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების მომენტიდან.

251-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობა მძიმდება, თუკი იმავე ქმედების ჩადენას ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ანდა ორი ან მეტი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვება. მე-3 ნაწილში ასევე შედეგით არის პასუხისმგებლობა დამიმებული, აქ საუბარია 251-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

დანაშაულის ამსრულებელია უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამო, უხარისხო პროდუქციის მწარმოებელი ან გამსაღებელი როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი თუ მოქალაქეობის არმქონე პირი. რაც შეეხება პროდუქციის ხარისხის შესაბამისობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის გამცემს, ის შეიძლება იყოს მხოლოდ სერტიფიკაციის ორგანოს მუშაკი, რომელსაც უფლება აქვს ჩაატაროს სერტიფიკაცია და გასცეს სერტიფიკატი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე გულისხმობს გაუფრთხილებლობას. 251-ე მუხლის სამივე ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობები, მხოლოდ გაუფრთხილებლობას გულისხმობს. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის სხვა ელემენტებს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ისინი მხედველობაში მიიღება სასჯელის ინდივიდუალიზაციისას.

უკანონო გაერთიანების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა (მუხლი 252-ე).

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების თავისუფლება (მუხლი 26-ე). ეს უფლება საზოგადოებაში ადამიანის თვითგანვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა და სოციალური ჯგუფების თავისუფალი ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს. იგი უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის შესაძლებლობას, სხვა ადამიანებთან ერთად გაერთიანდეს კონკრეტულ საზოგადოებრივ ჯგუფში. ამით მას შესაძლებლობა ეძლევა ძირითადი უფლებები გამოიყენოს არა მხოლოდ როგორც ინდივიდმა, არამედ სხვებთან ერთად, გაერთიანების სახით. მაშასადამე, ამ კონსტიტუციური უფლებით დაცული არიან არა მხოლოდ გაერთიანების წევრები, როგორც ცალკეული ინდივიდები, არამედ აგრეთვე როგორც ერთი მთლიანობა — მათი გაერთიანება.

კონსტიტუციის 26-ე მუხლი დაწვრილებით განსაზღვრავს საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის საფუძვლებს. სამართლით დაცული სფერო მოიცავს ყოველი გაერთიანების უფლებას შექმნასა და არსებობაზე. ამავე დროს, საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი უფლება. კონსტიტუციის 26-ე მუხლივე ადგენს ამ უფლებაში სახელმწიფოს ჩარევის საფუძვლებს, კერძოდ, მე-3 პუნქტის მიხედვით „დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“. ამ უფლებაში სახელმწიფოს ჩარევის სამართლებრივი საფუძვლები და პროცედურა მოცემულია კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტში, აგრეთვე 1997 წლის 14 ნოემბრის საქართველოს ორგანულ კანონში „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“, 1997 წლის 31 ოქტომბრის

ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ". ამ კონსტიტუციური ნორმის დაცვის ერთ-ერთ გარანტს წარმოადგენს სსკ 252-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც კრძალავს ისეთი საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნას, რომლის საქმიანობას თან ახლავს ძალადობა ადამიანის მიმართ. მსგავსი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს მოსახლეობის ფიზიკური, ზნეობრივი და სულიერი სიჯანსაღის უზრუნველყოფას (დაცვას). სწორედ ეს ინტერესია სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტი. დამატებით ობიექტად შეიძლება ჩავთვალოთ ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა, თავისუფლება.

252-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მოცემულია ორი ალტერნატიული მოქმედება: ა) ისეთი რელიგიური, პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა, რომლის საქმიანობას თან ერთვის ძალადობა ადამიანის მიმართ; ბ) ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელობა.

რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა გულისხმობს მის ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას, რაც მოიცავს წესდების ან სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების მომზადებას, წევრების შერჩევას, გადაბირებას, მართვის ცენტრალური ან ტერიტორიული ორგანოების ფორმირებას, შეკრებების ჩატარებასა და სხვა მოქმედებების განხორციელებას, რომლის შედეგადაც ყალიბდება ესა თუ ის საზოგადოებრივი გაერთიანება. საზოგადოებრივი გაერთიანება შეიძლება შეიქმნას და არსებობდეს კერძო სამართლის იურიდიული პირის, მაგალითად, კავშირის ან ფონდის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. თუმცა კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა ლეგალიზებული იყო თუ არა.

საზოგადოებრივი გაერთიანების ხელმძღვანელობაში უნდა გავიგოთ მისი საქმიანობის მართვა, რაც შეიძლება გამოიხატოს მის მონაწილეებს შორის ფუნქციების განაწილებაში, მის შესრულებაზე კონტროლში, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვაში, ფინანსურ უზრუნველყოფაში, კულტის მსახურების წარმართვასა და სხვა მოქმედებების შესრულებაში, რაც მის ლიდერობას ადასტურებს.

რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა საზოგადოებრივი გაერთიანე-

ბის შექმნა ან ხელმძღვანელობა დანაშაულად მაშინ ჩაითვლება, თუ მის საქმიანობას თან ერთვის ადამიანის მიმართ ძალადობა. ძალადობა შეიძლება ატარებდეს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ ხასიათს — შიმშილობა, ახლობლებთან კონტაქტის შესაძლებლობის მოსპობა... ეს შეიძლება გამოიხატოს ასევე ცემაში, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთაში, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებაში, ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებაში, ფიზიკური ტკივილის მიყენებაში, იძულებაში და სხვ[1]. ამასთანავე, ადამიანის მიმართ ძალადობას, რომელსაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე, მძიმე დაზიანება ან სხვა დანაშაულის ჩადენა ახლდა, დამოუკიდებელი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. მაგალითად, თუ გაერთიანების საქმიანობას ადამიანის საწინააღმდეგო სხვა დანაშაულის ჩადენა (გაუპატიურება, თვითმკვლელობამდე მიყვანა) ანდა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ახლდა, მაშინ პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობის წესით უნდა მოხდეს.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი. 252-ე მუხლის 1-ელ ნაწილში საუბარია საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნის ორგანიზატორის და ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაზე. მე-2 ნაწილში უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობაა დადგენილი, ვიდრე ამ მუხლის 1ლი ნაწილით გათვალისწინებულ გაერთიანებაში მონაწილეობისათვის. საზოგადოებრივ გაერთიანებაში მონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, მის მიერ მომზადებულ და ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებში პრაქტიკულ მონაწილეობაში, გაერთიანების საქმიანობის უზრუნველყოფაში სხვადასხვა საშუალებებით (მაგალითად, ფინანსური დახმარება, შენობითა და ტრანსპორტით უზრუნველყოფა და მისთ.).

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ქმნის, ხელმძღვანელობს ან მონაწილეობს ისეთ რელიგიურ, პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ გაერთიანებაში, რომლის საქმიანობას თან ერთვის ძალადობა ადამიანის მიმართ და სურს ამგვარი ქმედება. სუბიექტური შემადგენლობის სხვა ნიშნებს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

1 ძალადობა ადამიანის მიმართ, შესაძლებელია, საზოგადოებრივი გაერთიანების წესდებით ან სხვა დოკუმენტებით იყოს გათვალისწინებული ანდა დამკვიდრებული პრაქტიკა იყოს, რასაც საზოგადოების ხელმძღვანელები და წევრები იწონებენ.

პროსტიტუციაში ჩაბმა (მუხლი 253-ე).

ეტიმოლოგიურად პროსტიტუცია ლათინური სიტყვიდან – prostitutio, შერცხვენა, წაბილწვა – მომდინარეობს და ნიშნავს სხეულით ვაჭრობას, მეძაობას. ის ჯერ კიდევ ანტიკურ საზოგადოებაში აღმოცენდა. ზოგიერთ ქვეყანაში პროსტიტუცია კანონით არის აკრძალული, ზოგან კი ლეგალიზებულია. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა თავად პროსტიტუციას არ კრძალავს, თუმცა ის ამორალური და გასაკიცხი ქმედებაა, მაგრამ პასუხისმგებლობას აწესებს პროსტიტუციაში ჩაბმისათვის, აგრეთვე პროსტიტუციისათვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემისათვის.

სსკ 253-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ძირითადი უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი ზნეობა, ხოლო სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტი – ადამიანის პირადი ხელშეუხებლობა, თავისუფლება, პატივი და ღირსება, ჯანმრთელობა, საკუთრება.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება პროსტიტუციაში ჩაბმაში ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით.

პროსტიტუციაში ჩაბმა გულისხმობს ადამიანის იძულებას (დაყოლიებას, ჩათრევას) სხეულით ვაჭრობაზე მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, კანონში მითითებული ზემოქმედების ხერხების გამოყენების გზით. სხვა ფორმის, არასაჭორწინო სქესობრივი კავშირებისაგან პროსტიტუციას განასხვავებს სისტემატურობა და ანაზღაურებადობა. პროსტიტუციაში ჩაბმა შესაძლებელია ორივე სქესის ადამიანისა, რომლისთვისაც ამგვარი საქმიანობა რეგულარული შემოსავლის წყაროა.

პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობით შეიძლება განხორციელდეს ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკური ზემოქმედებით – ცემა, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა და სხვ. თუ ფიზიკური ძალადობა განხორციელდება წამებით, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთით, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებით, მაშინ ქმედების კვალიფიკაცია მოხდება დანაშაულთა ერთობლიობით.

პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით გულისხმობს მსხვერპლზე ფსიქიკურ ზემოქმედებას, დაშინებას, რომ გამოყენებულ იქნება ფიზიკური ძალადობა მის მიმართ, ანდა მისი ახლო

ნათესაის მიმართ, აგრეთვე განადგურებულ იქნება მათი ქონება. დისპოზიციაში დაზარალებულზე მითითების არარსებობა მიანიშნებს, რომ მუქარის ადრესატი დაზარალებულის გარდა, მისი ახლო ნათესავიც შეიძლება იყოს. ამ საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა შეავიწროებდა პასუხისმგებლობის საზღვრებს და მის ჩამდენს სასჯელისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობას მისცემდა. ამავე დროს, მუქარა მაშინ იქნება დასჯადი, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდება მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

შანტაჟში უნდა ვიგულისხმოთ სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის უფლებები.

მოტყუება, როგორც პროსტიტუციაში ჩაბმის ხერხი, გულისხმობს მსხვერპლის შეცდომაში შეყვანას სინამდვილის ფაქტების დამახინჯებით. მაგალითად, სამუშაოზე მიღება ოფიციანტად, შემდეგ კი მისი გამოყენება მეძავად. წინადადება სამუშაოზე მოსაწყობად შეიძლება მიზნად ისახავდეს პროსტიტუციაში ჩაბმას. ამგვარ სიტუაციაში ხშირად ვარდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მეძაობის (პროსტიტუციის) დაწყების მომენტიდან, ანუ გარკვეული საზღაურის ფასად სქესობრივი კავშირის დამყარებიდან.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი. 253-ე მუხლით აგებს პასუხს სუტენიორი, რომელმაც ზემოაღნიშნული ხერხით ჩააბა ადამიანი პროსტიტუციაში, ხოლო შემდეგ მეურვეობასა და კონტროლს ახორციელებს მის საქმიანობაზე.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. როგორც წესი, ამ დანაშაულის მოტივი ანგარებითია, თუმცა მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მისი დადგენა აუცილებელია სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის.

253-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს იმავე ქმედების ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ.

ორგანიზებული ჯგუფის ცნება მოცემულია სსკ 27-ე მუხლში. რაც შეეხება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის პროსტიტუციაში ჩაბმას,

აქ იგულისხმება 18 წელს მიუღწეველი ორივე სქესის წარმომადგენლის სექსუალურ პრაქტიკაში გამოყენება. აქ ტრანსფორმირებულია ბავშვის უფლებების დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დაუშვებელია ბავშვთა გამოყენება პროსტიტუციაში ექსპლუატაციის მიზნით ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში.

პროსტიტუციისათვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა (მუხლი 254-ე).

განსახილველი დანაშაულის ობიექტია საზოგადოებრივი ზნეობა.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება პროსტიტუციისათვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემაში.

პროსტიტუციის ადგილად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა შენობა, ნაგებობა, სადგომი, საცავი. ეს შეიძლება იყოს სტაციონარული ან მოძრავი, საცხოვრებელი ან არასაცხოვრებელი, ჩვეულებრივი ან სპეციალურად მოწყობილი მეძაობისათვის. პროსტიტუციისათვის იყენებენ საცხოვრებელ ბინებს, სამსახურებრივ შენობებს, სპეციალურად მოწყობილ ტექნიკურ და დამხმარე შენობებს, ღამის გასართობ დაწესებულებებს, კაზინოებს, სასტუმროებს და სხვ.

მეძავთან სქესობრივი კავშირისათვის ადგილის ან საცხოვრებლის ერთჯერადად გადაცემა, თუნდაც შესაბამისი ანაზღაურებით, არ შეიცავს ამ დანაშაულის შემადგენლობას. დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი ფიზიკური პირი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. დანაშაულის მოტივი, როგორც წესი, ანგარებაა, თუმცა კვალიფიკაციისათვის მას მნიშვნელობა არ ენიჭება.

პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება (მუხლი 255-ე).

ჯერ კიდევ 1923 წლის 12 სექტემბერს ჟენევაში მიღებულ იქნა საერთაშორისო კონვენცია პორნოგრაფიული გამოცემების ბრუნვისა და ვაჭრობის აღკვეთის შესახებ. კონვენციას ხელი მოაწერეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა: ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, ჩინეთი, იაპონია და სხვ. ყოფილი სსრ კავშირი ამ კონვენციას შეუერთდა 1935 წლის 8 ივლისს.

კონვენციამ დასჯადად გამოაცხადა: 1. პორნოგრაფიული ნაწარმოების, ნახატის, გრავიურის, სურათის, ბეჭდური გამოცემის, აფიშის, კინოფილმისა და სხვა პორნოგრაფიული საგნის დამზადება ან შენახვა მათი გაყიდვის ან გავრცელების მიზნით, ანდა მათი საჯარო გამოფენის მიზნით; 2. პორნოგრაფიული საგნების შეტანა, გატანა, გადაზიდვა ზემოაღნიშნული მიზნებისათვის ან ამა თუ იმ გზით ბრუნვაში გაშვება; 3. პორნოგრაფიული საგნებით ვაჭრობა, მათი გავრცელება, საჯაროდ გამოფენა, ჩაბარება ან გაქირავება ხელობის სახით; 4. პორნოგრაფიული საგნების ბრუნვის ან ვაჭრობის წახალისების, ასევე მათი შეძენის მიზნით ინფორმაციის გავრცელება ან ანონსირება. როგორც ვხედავთ, კონვენციამ აკრძალულ ქმედებათა საკმაოდ ფართო ჩამონათვალი დაადგინა და მიზნად ისახავს პორნოგრაფიული საგნების ბრუნვისა და ამ ნივთებით ვაჭრობის აღკვეთას.

ამრიგად, პორნოგრაფიის გავრცელება საერთაშორისო ხასიათის დანაშაულია. პორნოგრაფიის ინდუსტრიამ წალეკა ბევრი ქვეყანა და სახელმწიფოთა საზღვრებს გადააბიჯა. ამ საერთაშორისო ვალდებულებათა რეალიზაციის გამოძახილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადებისა ან გასაღებისათვის (მუხ. 255-ე).

განსახილველი დანაშაული ხელყოფს საზოგადოებრივ ზნეობას, პიროვნების ნორმალურ ზნეობრივ და სექსუალურ განვითარებას, საზოგადოებაში აღიარებულ წარმოდგენას ადამიანთა სექსუალური, ინტიმური ცხოვრების სფეროში ნებადართულისა და აკრძალულის შესახებ. ამგვარად, სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი ზნეობა. დანაშაულის საგანია პორნოგრაფიული ნაწარმოები, ნაბეჭდი გამოცემა,

ფოტო, კინო, ვიდეოპროდუქცია, ფერწერული ან გრაფიკული გამოსახულება ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგანი. პორნოგრაფიულად უნდა ჩაითვალოს ისეთი ნაწარმოები, მასალა ან სხვა საგანი, რომელიც აღძრავს არაჯანსაღ სექსუალურ-ეროტიკულ ინტერესს, სქესობრივი ჟინის გარყვნილ ფორმებში დაკმაყოფილების მოთხოვნილებას, იწვევს სქესობრივი ფუნქციის ამოწურვას. პორნოგრაფიული საგნების დამახასიათებელ თავისებურებად თვლიან იმას, რომ მათი შინაარსი სექსუალური ურთიერთობების ანატომიურ და ფიზიოლოგიურ დეტალებს (წვრილმანებს) უხეში ნატურალიზმით გამოხატავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამა თუ იმ მასალისა და საგნის პორნოგრაფიულად ჩასათვლელად საჭიროა შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, ვინაიდან ხშირად პორნოგრაფიისა და ეროტიკული ხელოვნების გამიჯვნა საკმაოდ რთულია. ასეთ ექსპერტიზაში ჩართულ უნდა იქნენ ხელოვნებათმცოდნეები, ფსიქოლოგები, სექსოლოგები, ლიტერატურათმცოდნეები.

დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს ალტერნატიული ხასიათის ისეთ მოქმედებებში, როგორიცაა: პორნოგრაფიული ნაწარმოების, ნაბეჭდი გამოცემის, გამოსახულების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადება, გავრცელება ან რეკლამირება, აგრეთვე ასეთი საგნით ვაჭრობა, ანდა მისი შენახვა გაყიდვის ან გავრცელების მიზნით.

დისპოზიციაში ხაზგასმულია ჩამოთვლილ მოქმედებათა უკანონობა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ კანონის საფუძველზე პორნოგრაფიული საგნების დამზადება ან გავრცელება დაშვებულ უნდა იქნეს. თუმცა დღესდღეობით ამგვარ ქმედებათა რეგლამენტაცია არც ერთ ნორმატიულ აქტში არ არის. ალბათ, საჭიროა სპეციალური ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკას სექსუალური კულტურის სფეროში. ამგვარ ქმედებათა რეგლამენტაციის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ პორნოგრაფიული მასალა, შესაძლებელია, კანონიერი მიზნებითაც იყოს გამოყენებული. მაგალითად, თანამედროვე სექსოლოგია პორნო ვიდეოფილმებს იყენებს თერაპიული მიზნებისათვის ზოგიერთი სექსუალური მოშლილობის მკურნალობის დროს.

პორნოგრაფიული საგნის დამზადება ნიშნავს ლიტერატურული, ფერწერული, ფოტოგრაფიული, ვიდეო და ა.შ. მასალის (პროდუქციის) შექმნას, ანდა უკვე არსებული ნაწარმოების გადაკეთებას, შევსებას.

პორნოგრაფიული საგნის გავრცელება ნიშნავს მის გადაცემას სხვა პირებისათვის, ჩვენებას, გაჩუქებას, გაცვლას, პორნოგრაფიული შოუს ორგანიზებასა და ჩვენებას და ა.შ.

პორნოგრაფიული საგნების რეკლამირება ნიშნავს ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება პორნოგრაფიული ნაწარმოებისა თუ სხვა მასალებისადმი ადამიანთა ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე ამგვარი პროდუქციის რეალიზაციისათვის ხელშეწყობას. რეკლამის ხერხები სხვადასხვაგვარია და ისინი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენენ.

პორნოგრაფიული საგნით ვაჭრობა, მართალია, მისი გავრცელების ერთ-ერთი ხერხია, მაგრამ კანონმდებელმა ის ცალკე გამოყო. ვაჭრობა ნიშნავს ნივთის სასყიდლით გადაცემას. მნიშვნელობა არა აქვს თვითონ დამამზადებელი ყიდის მას თუ სხვა ვინმე. ასევე არა აქვს მნიშვნელობა ვაჭრობა აშკარად ხდება თუ ფარულად, საცალო თუ საბითუმო ქსელში, სისტემატურად თუ ერთჯერადად. ეს გარემოებები მხედველობაში მიიღება მხოლოდ სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

პორნოგრაფიული საგნის შენახვას კანონმდებელი დასჯადად თვლის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ხდება გაყიდვის ან გავრცელების მიზნით. პირადი მოხმარება არ ისჯება.

განსახილველ დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს და ის დამთავრებულად ჩაითვლება კანონში მითითებული ერთ-ერთი მოქმედების ჩადენის მომენტიდან.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური,ასევე იურიდიული პირი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. განსახილველი დანაშაულის ჩამდენს გაცნობიერებული აქვს, რომ მის მიერ დამზადებული, რეკლამირებული, გაყიდული ან სხვა გზით გავრცელებული ნივთი პორნოგრაფიული შინაარსისაა და სურს ეს მოქმედება.

პორნოგრაფიული საგნის შენახვისათვის აუცილებელია გაყიდვის ან გავრცელების მიზანი. ასეთი საგნით ვაჭრობის დროს მოტივი და მიზანი ანგარებითია.

255-ე მუხლის მეორე ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის

გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების შეძენა,შენახვა, შეთავაზება, გავრცელება, გადაცემა, რეკლამირება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა.

ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საზღვრები გაფართოებულია, კერძოდ აქ კრიმინალიზებულია არასრულწლოვანის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების არა თუ შეძენა/შენახვა, არამედ ნებისმიერი ფორმით მისი ხელმისაწვდომად გახდომა (შეთავაზება, გადაცემა, გავრცელება, გასაღება, რეკლამირება და სხვ.). ქმედების ობიექტური მხარის ამ ნიშნებს იგივე შინაარსი აქვს, რაც პირველი ნაწილით აღწერილ შემადგენლობაში. ამავე დროს სუბიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანს არ წარმოადგენს აღნიშნული პორნოგრაფიული ნაწარმოების ანდა მასალის გასაღების მიზანი. საერთაშორისო რეკომენდაციების საფუძველზე არასრულწლოვანთა გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების შენახვაც კი დანაშაულად არის აღიარებული.

255–ე მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადებას ან გასაღებას.

255-ე მუხლის შენიშვნაში მოცემულია არასრულწლოვანის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დეფინიცია.

კერძოდ, არასრულწლოვანის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოები არის ნებისმიერი მეთოდით შექმნილი ვიზუალური მასალა ან აუდიომასალა, რომელშიც სხვადასხვა საშუალებებით წარმოდგენილია არასრულწლოვანის ან არასრულწლოვანის გამოსახულების მქონე პირის მონაწილეობა ნამდვილ, სიმულირებულ ან კომპიუტერული ტექნოლოგიის მეშვეობით გენერირებულ სექსუალურ სცენებში, მომხმარებლის სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ნაჩვენებია არასრულწლოვნის გენიტალიური ორგანოები. პორნოგრაფიად არ ჩაითვლება ნაწარმოები რომელიც შექმნილია სამედიცინო,სამეცნიერო, კულტურული ან სხვა კანონიერი მიზნებისათვის.

არასრულწლოვანის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში (მუხლი 255[1]-ე).

სსკ 255[1]-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა სპეციალურია 255-ე მუხლში მოცემულ შემადგენლობასთან მიმართებაში. ეს ნორმა 2003 წლის 20 ივნისს შეტანილ იქნა სისხლის სამართლის კოდექსში და ზოგად ნორმასთან (მუხლი 255-ე) შედარებით უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას ადგენს არასრულწლოვანის ჩაბმისათვის პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლება.

ბავშვის უფლებების შესახებ 1989 წლის კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ დაიცვან ბავშვები სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური გარყვნილების ყველა ფორმისაგან. ამ მიზნით ერთ-ერთ ამოცანად დასახულია პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში ბავშვთა გამოყენების აღკვეთა. ამავე მიზანს ისახავს ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“, რომლის რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 2002 წლის 27 სექტემბერს. სწორედ ამ საერთაშორისო ვალდებულების ტრანსფორმაცია მოხდა სსკ 255[1]-ე მუხლში. აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ზნეობისა და არასრულწლოვანის ინტერესების დაცვას.

დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს არასრულწლოვანის ჩაბმაში პორნოგრაფიული ნაწარმოების, ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებაში, ასეთი მასალის გავრცელებაში, რეკლამირებასა ან მისით ვაჭრობაში.

პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში არასრულწლოვანის ჩაბმის ხერხები კანონში დაკონკრეტებული არ არის. ეს შეიძლება მოხდეს იძულებით, მუქარით, შანტაჟით, დაყოლიებით და სხვ. პორნოგრაფიაში ჩაბმის ხერხს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადების,

გავრცელების, რეკლამირებისა და ვაჭრობის შესახებ უკვე ვისაუბრეთ 255-ე მუხლის განმარტებაში, ამიტომ მასზე აქ აღარ შევჩერდებით.

დანაშაულის ამსრულებელი, შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. მოტივი და მიზანი, როგორც წესი, ანგარებითია, თუმცა მათ კანონი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ისეთი ნაწარმოების დამზადება ან გავრცელება, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობას ან სისასტიკის კულტს (მუხლი 256-ე).

განსახილველი დანაშაულის ობიექტია მოსახლეობის ზნეობრივი და ფიზიკური სიჯანსაღე.

კონსტიტუცია უზრუნველყოფს ადამიანის ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლებას, მაგრამ ეს ძირითადი უფლება არ არის შეუზღუდავი. კონსტიტუცია გარკვეულ შეზღუდვას აწესებს შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების მიმართ. კერძოდ, შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელება შესაძლებელია შეიზღუდოს ან აიკრძალოს, თუ მისი გავრცელება არღვევს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

სადავო არ უნდა იყოს ის, რომ საზოგადოებრივ ზნეობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის ისეთი ნაწარმოების გავრცელება, რომელიც ადამიანს უბიძგებს ძალადობისაკენ, სისასტიკისა და აგრესიისაკენ; პროპაგანდას უწევს ისეთ საშიშ ქმედებებს, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას ან დაემუქროს საზოგადოების უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომაა კრიმინალიზებული მსგავსი ქმედება.

განსახილველი დანაშაულის საგანია კინოფილმი, ვიდეოფილმი ან სხვაგვარი ნაწარმოები, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობის ან სისასტიკის კულტს. სხვა ნაწარმოებს შეიძლება მიეკუთვნოს ინფორმაციის ისეთი წყაროები, როგორიცაა: წიგნი, სლაიდი, მაგნიტური ჩანაწერი და ა.შ.

ძალადობისა და სისასტიკის კულტი გულისხმობს ვინმეს მიმართ დაუნდობელი, უმოწყალო ფიზიკური იძულების გამოყენებისადმი თაყვანისცემას ანდა ყოვლისშემძლეობის გაღმერთებას. ძალადობისა და

სისასტიკის კულტი მიზნად ისახავს (განაპირობებს) ქვენა გრძნობების აღმოცენებას.

დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს ისეთი კინოფილმის, ვიდეოფილმის ან სხვაგვარი ნაწარმოების დამზადებაში, გავრცელებაში, ჩვენებაში ან შენახვაში, გავრცელებისა და ჩვენების მიზნით, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობის ან სისასტიკის კულტს.

ნაწარმოების დამზადება ნიშნავს მის შექმნას, გადაღებას, გამრავლებას და ა.შ.

ნაწარმოების გავრცელება გულისხმობს მის გასხვისებას როგორც სასყიდლით, ისე უამისოდ; სხვის სარგებლობაში გადაცემას.

ნაწარმოების ჩვენება ეს არის კინოფილმის ან ვიდეოფილმის დემონსტრირება, ნახატების, სლაიდების, ფოტოების დემონსტრირება და ა.შ.

ნაწარმოების შენახვა დასჯადია მხოლოდ მაშინ, თუ ის მიზნად ისახავს გავრცელებას ან ჩვენებას.

დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს და დამთავრებულად ჩაითვლება ზემოაღნიშნული ერთ-ერთი მოქმედების ჩადენის მომენტიდან.

დანაშაულის სუბიექტი ზოგადია — ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი.

სუბიექტური მხრივ მსგავსი ქმედება პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ამზადებს, ავრცელებს ან ინახავს, გავრცელებისა და ჩვენების მიზნით, ისეთ ნაწარმოებს, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობის ან სისასტიკის კულტს და სურს ეს მოქმედება. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია — მიზანი. აღნიშნული ნაწარმოების დამზადების ან შენახვის მიზანია მათი გავრცელება და ჩვენება.

ბუნების ძეგლის დაზიანება ან განადგურება (მუხლი 257-ე)

განსახილველი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის შემადგენელი ბუნების ძეგლების დაცვას და შენარჩუნებას.

ბუნების ძეგლი ეს არის დაცული ტერიტორია, რომელიც შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის დაცული ტერიტორიების III კატეგორიას – „ბუნების ძეგლი".

საქართველოში დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ-ფუნქციური ორგანიზება ეფუძნება კანონს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ". ბუნების ძეგლების ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს 2003 წლის 22 აპრილის კანონში „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" და 2007 წლის 22 ნოემბრის კანონში „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ". სახელდობრ, ამ კანონების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე არსებობს ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი, ტახტი-თეფას ბუნების ძეგლი (ტალახის ვულკანი), არწივის ხეობის ბუნების ძეგლი და სხვ. ხოლო დასავლეთ საქართველოში, იმერეთის დაცულ ტერიტორიების შემადგენელი ნაწილია ისეთი ბუნების ძეგლები როგორიცაა: ყუმისთავის მღვიმის ბუნების ძეგლი, თეთრი მღვიმის ბუნების ძეგლი, ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი, ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი და სხვ.

დაცული ტერიტორიების შექმნის შემდეგ გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ამტკიცებს მენეჯმენტის გეგმებს, რომლებიც განსაზღვრავენ დაცულ ტერიტორიებზე დაშვებული საქმიანობის ფორმებს, მათი დაცვის, მეცნიერული კვლევის, ტურიზმის და სხვა საქმიანობის პროგრამებს. ამ გეგმებში აისახება ბუნების ძეგლებიც და მათი დაცვის ღონისძიებებიც.

სსკ 257-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება ბუნების ძეგლის განზრახ დაზიანებასა ან განადგურებაში.

ძეგლის დაზიანება გულისხმობს მის იმგვარ სახეცვლილებას, რომელიც აუარესებს ძეგლის მდგომარეობას ან აღქმას, ხოლო ძეგლის

განადგურება გულისხმობს მის მოსპობას ან მასზე იმგვარ ზემოქმედებას, რაც ძეგლს უკარგავს იმ მახასიათებლებს, რის გამოც მას მიენიჭა ბუნების ძეგლის სტატუსი.

257-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია იგივე ქმედება, რამაც განსაკუთრებული ღირებულების ობიექტის დაზიანება ან განადგურება გამოიწვია.

კანონი განსაკუთრებული ღირებულების ობიექტის განმარტებას არ გვაძლევს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მასში იგულისხმება ბუნების ძეგლის შემადგენელი ნაწილი (ადგილი, რამე ღირსშესანიშნაობა, მთავარი ღირებულება), რის გამოც ამა თუ იმ ტერიტორიას ბუნების ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ასე მაგალითად, მღვიმოვანის ბუნების ძეგლში განსაკუთრებული ღირებულების ობიექტი შეიძლება იყოს სტალაქტიდი, ნაკრძალში ასეთი ობიექტი შეიძლება იყოს ათასწლოვანი მუხა და სხვ.

257-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს ბუნების ძეგლის დაზიანებას ან განადგურებას გაუფრთხილებლობით, ხოლო მეოთხე ნაწილი იგივე ქმედებას, რამაც განსაკუთრებული ღირებულების ობიექტის დაზიანება ან განადგურება გამოიწვია. ბუნების ძეგლის გაუფრთხილებელი დაზიანება ან განადგურება გარდა წინდახედულობის ზოგადი ნორმების დარღვევისა შესაძლებელია მისი მოვლა-პატრონობის, მეთვალყურეობის, შენარჩუნების, აღდგენისა და დაცვის საჭირო ღონისძიებების მიუღებლობის შედეგად. მე-3-4 ნაწილები პრივილეგირებულ შემადგენლობებს წარმოადგენენ და უფრო მსუბუქ სასჯელებს ადგენენ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენისათვის, მაშინ როცა პირველი და მეორე ნაწილით აღწერილ ქმედებათა სუბიექტური შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს და გაცილებით მკაცრად ისჯება.

სსკ 257-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი.

მიცვალებულისადმი უპატივცემულობა
(მუხლი 258-ე)

განსახილველი დანაშაულის ობიექტია საზოგადოებრივი ზნეობა. სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებით ობიექტს (ზოგჯერ ფაკულტატურსა და ზოგჯერ აუცილებელს) წარმოადგენს საკუთრება. მსგავსი დანაშაული შეურაცხყოფს მოქალაქეთა მორალურ გრძნობებს, გარდაცვლილის ხსოვნას, რომლის მიმართ საზოგადოებასა და მის თითოეულ წევრს აქვს შეფასების საკუთარი პოზიცია და მნიშვნელოვან როლს აკუთვნებს პირად ცხოვრებაში.

დანაშაულის საგანია ცხედარი, საფლავი, საფლავის ძეგლი ან მისი სხვა მიწისზედა ნაგებობა, აგრეთვე საფლავში ჩატანებული ნივთები.

დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს ცხედრის ან საფლავის წაბილწვაში, საფლავის ძეგლის ან მისი სხვა მიწისზედა ნაგებობის დანგრევაში ან დაზიანებაში.

ცხედრის წაბილწვას ადგილი ექნება მაშინ, როცა ხდება ისეთი უზნეო და შეურაცხმყოფელი მოქმედებები, როგორიცაა: გარდაცვლილის საფლავიდან ამოთხრა, გვამის დაზიანება, გაშიშვლება, დანაწევრება, ნეკროფილია, გვამის გატაცება და ა.შ. ცხედრის წაბილწვას არ წარმოადგენს გვამის ექსჰუმაცია, რომელიც საპროცესო ნორმების დაცვით ხორციელდება.

საფლავის წაბილწვა ნიშნავს ისეთი მოქმედებების ჩადენას, როგორიცაა საფლავზე შეურაცხმყოფელი წარწერების, ნიშნების, ნახატებისა და სიმბოლოების გაკეთება, გარდაცვლილის ახლობლების გრძნობებზე ზემოქმედება საფლავზე სხვადასხვა ცინიკური მოქმედების ჩადენით, მაგალითად, დანაგვიანება, ყვავილების დაზიანება ან განადგურება და ა.შ.

საფლავის ძეგლის ან მისი სხვა მიწისზედა ნაგებობის (მესერი, ჯვარი, საყვავილე, საფლავის ქვა, სტელა და სხვ.) დანგრევა ან დაზიანება იმავე მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, როგორც 257-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაში.

ამასთანავე, თუ დაზიანებული ან განადგურებული საფლავი მატერიალური კულტურის ძეგლს წარმოადგენდა, მაშინ ქმედების კვალიფიკაცია მოხდება სსკ 257-ე მუხლით (ისტორიის, კულტურის ძეგლის დაზიანება ან განადგურება).

დანაშაულის დამთავრების მომენტი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა

სახის მოქმედებათა ჩადენას ჰქონდა ადგილი. ცხედრის ან საფლავის წაბილწვა ფორმალური დანაშაულია და დამთავრებულია თვით მოქმედების ჩადენისთანავე, საფლავის ძეგლის ან მისი სხვა მიწისზედა ნაგებობის დანგრევა და დაზიანება — მატერიალური დანაშაულია და დამთავრებულია შესაბამისი შედეგის დადგომის მომენტიდან.

დანაშაულის სუბიექტი ზოგადია, პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი, შერაცხადი ფიზიკური პირი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. ქმედების 158-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კვალიფიკაციისათვის მოტივსა და სხვა სუბიექტურ ნიშნებს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

258-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია საფლავში ჩატანებული ან საფლავზე არსებული ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, რაც გულისხმობს ხსენებული საგნის ფარულ ან აშკარა დაუფლებას, ამოღებას მისი საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის მიზნით. გატაცების საგანი შეიძლება იყოს საფლავის ქვა, სტელა, ფილა, საფლავის მესერი, აგრეთვე, ცხედარზე არსებული სხვადასხვა ნივთი — ტანსაცმლი, სამკაულები და სხვა.

258-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებები: იგივე ქმედება ჩადენილი ჯგუფურად, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

პირველი ნიშანი რაიმე სპეციფიკური თავისებურებებით არ გამოირჩევა და მისი განმარტება უნდა მოხდეს სსკ 27-ე მუხლის საფუძველზე.

მეორე დამამძიმებელი გარემოება მიეკუთვნება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს. ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, რომ მიცვალებულისადმი უპატივცემულობა, რაც გამოიხატა ცხედრის ან საფლავის წაბილწვაში, საფლავის ძეგლის ან მისი სხვა მიწისზედა ნაგებობის დანგრევაში ან დაზიანებაში, საფლავში ჩატანებული ან საფლავზე არსებული ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება განპირობებული იყო რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივით, და ამით სურდა დამნაშავეს გარკვეული ეროვნების, რასის ან კონფესიის პატივისა და ღირსების დამცირება.

მესამე დამამძიმებელი გარემოება დანაშაულის ობიექტურ მხარეს მიეკუთვნება და გულისხმობს ფიზიკური ძალადობის ან ძალადობის

მუქარის გამოყენებას იმ პირთა მიმართ, ვინც წარმართავენ, ან იცავენ მიცვალებულის დაკრძალვის ან სულის მოხსენიების ცერემონიას, ანდა მონაწილეობენ მასში. ამასთანავე, ფიზიკური ძალადობა არ უნდა აღემატებოდეს ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანების ფარგლებს (ცემა, გათოკვა). უფრო მძიმე ხარისხის დაზიანება დამატებით 117-ე ან 118-ე მუხლებით უნდა დაკვალიფიცირდეს.

მუქარა, როგორც ფსიქიკური ძალადობის ფორმა, ნებისმიერი შინაარსის შეიძლება იყოს, ამავე დროს, ის რეალურიც უნდა იყოს.

ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა (მუხლი 259-ე).

განსახილველი დანაშაულის ობიექტია საზოგადოებრივი ზნეობა. მსგავსი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ცხოველებისადმი მოპყრობის ზნეობრივი ნორმების დაცვის უზრუნველყოფას[1]. როცა ადგილი აქვს სხვისი ცხოველისადმი სასტიკ მოპყრობას, მაშინ სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ფაკულტატური ობიექტი შეიძლება იყოს საკუთრება.

დანაშაულის საგანია როგორც შინაური, ისე გარეული ცხოველები, იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვის საკუთრებაში იმყოფებიან.

დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობაში, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია, აგრეთვე ცხოველის წვალებაში.

ცხოველისადმი სასტიკ მოპყრობად შეიძლება ჩავთვალოთ ცემა, ჭრილობების მიყენება, საჭმლისა და წყლის გარეშე დატოვება, გამოყენება არასამეცნიერო ექსპერიმენტებისათვის, სხვადასხვა სახის ორთაბრძოლებში, რის შედეგადაც ცხოველები იღებენ დასახიჩრებას ან იღუპებიან. სასტიკ მოპყრობად ჩაითვლება აგრეთვე, სამედიცინო ან ბიოლოგიური კვლევის დროს (სამეცნიერო ექსპერიმენტები) გაუმართლებელი წვალება, ტანჯვა, ცხოველებზე ნადირობა არაჰუმანური საშუალებებით

1 უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების დაცვის უზრუნველყოფას. სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ცხოველებს ნივთებს უთანაბრებს, უკრძალავს მესაკუთრეებს ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობას, რაც ეწინააღმდეგება ჰუმანურობის პრინციპს. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი იმპერატიულად მოითხოვს სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის დროს ლაბორატორიული ცხოველებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების პრინციპის დაცვას.

და სხვ. მსგავსი ქმედება დამთავრებულ დანაშაულად ჩაითვლება, თუ მას შედეგად მოჰყვება ცხოველის დაღუპვა ან დასახიჩრება, ე.ი. დანაშაულს მატერიალური შემადგენლობა აქვს.

259-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ქმედების ობიექტური შემადგენლობის მეორე ფორმასაც ითვალისწინებს, სახელდობრ, ცხოველის წვალებას. მასში შეიძლება ვიგულისხმოთ ზოგიერთი ზემოაღნიშნული ქმედება, თუკი მას შედეგად არ მოჰყვება ცხოველის დასახიჩრება ან დაღუპვა.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული, შერაცხადი პირი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს მისი ორივე სახით. ქმედების მოტივს კანონმდებელი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს, თუმცა ის მხედველობაშია მისაღები სასჯელის ინდივიდუალიზაციისას.

259-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობა, იგივე ქმედება ჩადენილი: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) მცირეწლოვანის თანდასწრებით.

პირველი და მეორე მაკვალიფიცირებელი ნიშანი განსახილველ დანაშაულში რაიმე სპეციფიკით არ გამოირჩევა (იხ. სსკ 27-ე და მე-15 მუხლები). რაც შეეხება ცხოველისადმი სასტიკ მოპყრობას არასრულწლოვანის თანდასწრებით, ვფიქრობთ, საკმაოდ გამართლებულია კანონმდებლის პოზიცია ასეთი დამამძიმებელი გარემოების შემოტანისათვის, ვინაიდან მსგავსი ქმედება წარმოადგენს ჰუმანიზმისა და მორალის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების გამომწვევ (უხეშ) უგულებელყოფას, რომელსაც უარყოფითი კვალის დატოვება შეუძლია არასრულწლოვანის ცნობიერებაში.

თავი XVI

დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ

უკანონო არქეოლოგიური სამუშაოები, არქეოლოგიური ობიექტის დაზიანება (მუხლი 259[1])

განსახილველი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი არქეოლოგიური ობიექტებისა და მასზე კანონით დადგენილ სამუშაოთა წარმოების წესის დაცვას.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს 2007 წლის 8 მაისის კანონის მიხედვით არქეოლოგიური ობიექტი არის ასი ან მეტი წლის წინ ნაწილობრივ ან სრულად განმარხებული ან წყალქვეშ მოქცეული ნაშთი, კულტურული ფენა, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად ან რომელსაც ატყვია ადამიანის ზემოქმედების კვალი. არქეოლოგიური ობიექტი, რომელსაც იცავს სს კანონი მოიცავს როგორც არქეოლოგიურ ძეგლს, ისე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს ფართოდ (ე.წ. ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი).

ქმედების ობიექტური შემადგენლობა ალტერნატიულად არის ჩამოყალიბებული ისეთი მოქმედებებით, როგორიცაა:

ა) არქეოლოგიურ ობიექტზე ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გარეშე;

ბ) არქეოლოგიურ ობიექტზე განზრახ ზემოქმედება, რამაც მისი დაზიანება ან განადგურება გამოიწვია ან

გ) არქეოლოგიურ ობიექტზე განზრახ ზემოქმედება, რის შედეგადაც ვერ ხერხდება მისი დათარიღება, იდენტიფიცირება და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვება.

არქეოლოგიურ სამუშაოებში იგულისხმება სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც მიმართულია არქეოლოგიური ობიექტების გამოსავლენად და შესასწავლად; არქეოლოგიური ობიექტის მოკვლევის, გათხრის, რესტავრაცია-კონსერვაციისა და მეცნიერული შესწავლის სრული ციკლი.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით აკრძა-

ლულია, საზოგადოდ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე თვითნებური სამუშაოების ჩატარება – შესაბამისი ნებართვის გარეშე. ამასთანავე, ეს კანონი განსაზღვრავს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე ჩასატარებელი სამუშაოების ტიპებს და სახეებს, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, ნებართვების გაცემის წესს და სანებართვო პირობებს.

ასე მაგალითად, არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების სამართლებრივი საფუძველია არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვა. ასეთი ნებართვა გაიცემა მხოლოდ იმ საველე არქეოლოგიურ სამუშაოებზე, რომლებიც გულისხმობს არქეოლოგიურ ობიექტზე ფიზიკურ ზემოქმედებას (მუხლი 47, 48, 50 და სხვ. თავი IX).

არქეოლოგიურ ობიექტზე სამუშაოთა წარმოების სანებართვო პირობები გარდა ზემოაღნიშნული კანონისა, განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, ასევე ისეთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, როგორიცაა კულტურის მინისტრის ბრძანება „არქეოლოგიური სამუშაოებისა და ძეგლზე სამუშაოების ჩატარების წესის შესახებ“, ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ და სხვ.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა ნაწილობრივ ფორმალურია და ნაწილობრივ მატერიალური. სახელდობრ, არქეოლოგიურ ობიექტზე ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გარეშე თავისთავად დასჯადი მოქმედებაა, მაგრამ არქეოლოგიურ ობიექტზე განზრახ ზემოქმედება იმ პირობით არის დასჯადი, თუ მან გამოიწვია მისი დაზიანება ან განადგურება, ანდა ამგვარი ზემოქმედების შედეგად ვერ ხერხდება მისი დათარიღება, იდენტიფიცირება და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს, რაც პირდაპირ მითითებულია კანონში, სხვა სუბიექტურ ელემენტებს (მოტივი, მიზანი) კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

259[1] მუხლის მეორე ნაწილი შედარებით მსუბუქ სასჯელს ადგენს პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენისათვის.

ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ზოგადად სისხლის

სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული, ისე სპეციალური პირი — მაგალითად, არქეოლოგი.

ამ დანაშაულის ობიექტურ მხარესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მეტისმეტად მკაცრად გვეჩვენება არქეოლოგიურ სამუშაოთა წარმოება თუნდაც უნებართვოდ, მაგრამ ყოველგვარი შედეგის გარეშე სისხლის სამართლის წესით იდევნებოდეს.

კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება ან განადგურება (მუხლი 259[2])

საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ განასხვავებს კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელ მატერიალურ და არამატერიალურ ობიექტებს.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად ითვლება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ან მოძრავი ობიექტი, რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი. ძეგლის სტატუსი ნიშნავს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც იწვევს მასზე საქართველოს კანონმდებლობით ძეგლის მიმართ დადგენილი რეჟიმის გავრცელებას.

ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება ხდება კულტურის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

ძეგლს კულტურის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიძლება განესაზღვროს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია. ეროვნული მნიშვნელობის ძეგლს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად მინისტრის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი. ამ სტატუსს ძეგლს ანიჭებს იუნესკო.

ძეგლების სახელმწიფო რეესტრსა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიას აწარმოებს კულტურის სამინისტრო.

სსკ 259[2] მუხლის პირველი ნაწილით ქმედების ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დაცული სხვა კულტურული მემკვიდრეობის განზრახ დაზიანებასა ან განადგურებაში.

ძეგლის დაზიანება ნიშნავს ძეგლის ან მისი ნაწილის იმგვარ სახეცვლილებას, რომელიც აუარესებს ძეგლის მდგომარეობას ან აღქმას, ხოლო ძეგლის განადგურება გულისხმობს ძეგლის მოსპობას, ასევე ძეგლზე ან მის ნაწილზე იმგვარ ზემოქმედებას, რომელიც ძეგლს უკარგავს იმ მახასიათებლებს, რომლებისთვისაც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი.

259² მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის განზრახ დაზიანება.

საქართველოში ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს სვეტბცხოველს, ბაგრატის ტაძარს, სამთავისს, რუისის ეკლესიას, აქვე მოიაზრება ურბანული მემკვიდრეობის ძეგლებიც, მაგალითად ოპერის, რუსთაველის თეატრის, იუსტიციის სამინისტროს შენობები და სხვ.

259² მესამე ნაწილით უფრო მკაცრი პასუხისმგებლობაა დადგენილი ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის განადგურებისათვის ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის დაზიანებისა ან განადგურებისათვის.

საქართველოში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი აქვს მცხეთა (სვეტიცხოველი, სამთავრო, ჯვარი, არმაზციხე, ბაგინეთი), ბაგრატის ტაძარი, სვანეთში — სოფელი ჩაჟაში.

სსკ 259² მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტური შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს, სხვა სუბიექტურ ელემენტებს კანონმდებელი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

259² მუხლის მეოთხე ნაწილი ითვალისწინებს პრივილეგირებულ შემადგენლობას, სახელდობრ, უფრო მსუბუქად დაისჯება ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, თუ ჩადენილი იქნება გაუფრთხილებლობით.

კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის რეჟიმის დარღვევა (მუხლი 259[3])

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების მომენტიდან ავტომატურად დგინდება ინდივიდუალური დამცავი ზონა. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა – ეს არის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის ირგვლივ ან/და მათი გავრცელების ან გავლენის არეალში კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ექსპლუატაციის განსაკუთრებული რეჟიმი და რომლის დანიშნულებაა, მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არასასურველი ზეგავლენისაგან. ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.

კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სტრუქტურა და დადგენის წესები, ასევე მათი რეჟიმები განსაზღვრულია კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (თავი VIII, მ. 34, 35, 36).

საზოგადოდ, დამცავი ზონის დადგენის მიზანია მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის, ძეგლების, კულტურული ღირებულების მქონე ურბანული ქსოვილისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების, ისტორიული განაშენიანების, ისტორიული ლანდშაფტის, არქეოლოგიური ობიექტის არასასურველი ზემოქმედებისგან დაცვა; მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი, ისტორიული, ესთეტიკური, ეკოლოგიური გარემოს, მისი ავთენტიკური ელემენტების, ისტორიულად ჩამოყალიბებული ხედებისა და პანორამების, ასევე იმ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის შენარჩუნება, რომელიც ხელს შეუწყობს ძეგლისა და მისი გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას, ძეგლის, როგორც ისტორიის მოწმის, როლის შენარჩუნებას[1].

ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი არის ტერიტორია უძრავი ძეგლის

1 ძველ თბილისში მტკვარზე აგებული შემინული ხიდი, ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია, სამწუხაროა ის, რომ ისეთი დიდი ხიდი აშენდა, რომელშიც მთელი ისტორიული თბილისი ჩაეტია და დააკნინა, მოსპო ძველი თბილისის ყველა ღირსება. რიყის რეკონსტრუქციამ კი ლანდშაფტი შეცვალა.

გარშემო, სადაც ნებისმიერმა ქმედებამ შესაძლოა ფიზიკურად დააზიანოს ძეგლი ან მისი მიმდებარე ტერიტორია.

ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს, ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მაგალითად, იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას, ისეთი ობიექტების აღმართვა, რომლებიც არ ემსახურება ძეგლის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას და სხვ.

დამცავ ზონებში ძეგლების აქტიური ვიზუალური აღქმის სივრცეში დაუშვებელია დიდმასშტაბიანი სარეკლამო აბრების, სხვადასხვა მიწისზედა საინჟინრო და ტექნოლოგიური მოწყობილობების განთავსება. დამცავ ზონებში აკრძალულია ისეთი საწარმოო, სატრანსპორტო, სასაწყობი მეურნეობისა და სხვა ობიექტების მშენებლობა, რომლებიც ხანძარსაშიშია, წარმოქმნის ძლიერ სატრანსპორტო ნაკადებს, აჭუჭყიანებს ჰაერისა და წყლის აუზებს.

ცალკეული დამცავი ზონის დადგენის სპეციფიკური მიზნები და ამოცანები განისაზღვრება შესაბამისი დამცავი ზონის რეჟიმით.

კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სტრუქტურაში შედის ასევე არქეოლოგიური დაცვის ზონა.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის მიხედვით, არქეოლოგიური დაცვის ზონად განისაზღვრება ტერიტორია, სადაც გამოვლენილი, დაფიქსირებული ან დაზვერილია კულტურული ფენები ან/და არქეოლოგიური ობიექტები. არქეოლოგიური დაცვის ზონის დადგენის მიზანია მასში არსებული არქეოლოგიური ძეგლების, კულტურული ფენების, გამოვლენილი ან დაზვერილი არქეოლოგიური ობიექტებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების დაცვის უზრუნველყოფა.

არქეოლოგიური დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას, განადგურებას, მისი აღქმის გაუარესებას ან ხელს შეუშლის მასზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარებას, მათ შორის: მიწის სამუშაოები ნებისმიერი სახის სამშენებლო, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სამეურნეო ნარჩენების დაყრა და სხვ.

სსკ 259[3] ტერცია მუხლით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური შემადგენლობა აღწერილია ბლანკეტური ფორმით და გამოიხატება კულ-

ტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის ფიზიკური დაცვის არეალში დამცავი ზონის რეჟიმის დარღვევაში, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა ძეგლის აღქმა ან გამოყენება, შეამცირა მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულება ანდა დაზიანების ან განადგურების საფრთხე შეუქმნა მას, ასევე არქეოლოგიური დაცვის ზონას რეჟიმის დარღვევაში, რამაც დაზიანების ან განადგურების საფრთხე შეუქმნა არქეოლოგიურ ობიექტს.

ჰქონდა თუ არა ადგილი კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის რეჟიმის დარღვევას უნდა მივმართოთ კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ; ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებას „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესების შესახებ“, ამასთანავე, კონკრეტულ შემთხვევაში იმის გასარკვევად ძეგლის დამცავი ზონის რეჟიმის დარღვევის შედეგად მნიშვნელოვნად გაუარესდა თუ არა ძეგლის აღქმა ან გამოყენება, შემცირდა თუ არა მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულება ანდა შეექმნა თუ არა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს დაზიანების ან განადგურების საფრთხე შესაძლებელია ჩატარდეს ხელოვნებათმცოდნეობის ან სხვა სპეციალური ექსპერტიზა.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა მოიცავს როგორც კონკრეტულ შედეგს (მნიშვნელოვნად გაუარესდა ძეგლის აღქმა ან გამოყენება, შემცირდა მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულება), ასევე საფრთხის შექმნას კულტურული მემკვიდრეობის ობიექტისათვის.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი.

ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაზე კანონის ტექსტში მითითება არ არის, სსკ მე-10 მუხლის მეოთხე პუნქტიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელი გულისხმობს ამ ქმედების განზრახ განხორციელებას.

ძეგლებისა და სხვა კულტურული ფასეულობების საქართველოდან უნებართვო გატანა (მუხლი 259[4])

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით სსკ 259[4] კრიმინალიზებულია ძეგლების, არქეოლოგიური ობიექტების ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა კულტურული ფასეულობების საქართველოდან უნებართვო გატანა.

კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის წესი რეგლამენტირებულია საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონით „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“[1]. სწორედ ამ კანონით დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობათა დაცვის ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს სსკ 259[4] მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

დანაშაულის საგანია კულტურული ფასეულობა, რომელიც მოიცავს არქეოლოგიის, წინაისტორიული პერიოდის, ისტორიის ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და სხვა მნიშვნელოვანი სასულიერო თუ საერო ხასიათის ფასეულობას. ზემოაღნიშნული კანონი განსაზღვრავს კულტურულ ფასეულობად მიჩნეულ ნივთებს, ხოლო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ადგენს იმ კულტურული ფასეულობის დაცვით სახელმწიფო სიასა და რეესტრს, რომელზეც ვრცელდება ამ კანონის მოქმედება.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა ჩამოყალიბებულია ბლანკეტური ფორმით, სახელდობრ, კულტურული ფასეულობების საქართველოდან გატანა კანონიერად მოხდა თუ არა, უნდა მივმართოთ საქართველოს კანონს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ, რომლის მიხედვითაც კულტურულ ფასეულობის საქართველოდან გატანის ან დროებითი გატანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კულტურის სამინისტრო, ამისათვის სამინისტრო გასცემს შესაბამის ნებართვას.

კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ან დროებით გატანაზე ნებართვა წარმოადგენს ამ ფასეულობის საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადატანის საფუძველს. სამინისტროს შემუშავებული

1 საქართველოს კულტურისა და ფინანსთა სამინისტროებს დამტკიცებული აქვთ კულტურული ფასეულობის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების წესის შესახებ ინსტრუქცია.

აქვს ასეთი ნებართვის ერთიანი ფორმა, რომელიც ერთჯერადია და მისი მოქმედების ვადაა 3 თვე.

უკანონოდ ჩაითვლება კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა, თუ დარღვეულია ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

შესაბამისი ნებართვის საფუძველზე კულტურული ფასეულობის დროებითი გატანა შეიძლება გამოფენის ორგანიზებისთვის, სარესტავრაციო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად ან სხვა მიზნით თუ ის არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

კანონით განსაზღვრულია, ასევე კულტურის მოძრავი ძეგლის ან სხვა კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანის ნებართვაზე უარის საფუძვლები. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონის თანახმად, საქართველოდან გასატანად განცხადებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სახელმწიფოს აქვს უპირატესი შესყიდვის, ან/და საქართველოში აუქციონის წესით გაყიდვის უფლება. ამ უფლების რეალიზაციის უმთავრესი პირობაა ძეგლის საქართველოდან არგატანის ვალდებულება. ამიტომ თუ კულტურულ ფასეულობას ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული და მისი გატანა საქართველოდან ხორციელდება გაყიდვის მიზნით, მესაკუთრე ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს კულტურის სამინისტროს.

საქართველოდან გატანაზე ნებართვა არ სჭირდება სერიულ ნაწარმს, მაგალითად, სუვენირის სახით ქარხნის გამოშვებულ პროდუქციას.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა დამთავრებულად ჩაითვლება კულტურული ფასეულობის საქართველოდან უნებართვო გატანის მომენტიდან.

რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას კანონის ტექსტი და სული მხოლოდ პირდაპირ განზრახვაზე მიანიშნებს სხვა სუბიექტურ ელემენტებს კანონი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ქმედების კრიმინალიზაციით კოლიზია შეიქმნა სსკ 214-ე მუხლით – გათვალისწინებულ შემადგენლობასთან, რომლის მესამე ნაწილი გაცილებით მკაცრ პასუხისმგებლობას ადგენს საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის წესის დარღვევით გადატანისათვის. ალბათ, 259^4 მუხლს სპეციალური დათქმა სჭირდება, რათა შესაძლებელი იქნეს მისი გამიჯვნა 214-ე მუხლისგან.

საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში

შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის საერთაშორისო წესების დარღვევა (მუხლი 259[5])

მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებულ სახელმწიფოებს ყოველთვის გაცნობიერებული ჰქონდათ ომის დამანგრეველი ძალა და ხშირად ცდილობდნენ ნაკლები ზიანი მიეყენებინათ დაპყრობილი ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობისათვის, რაც უფრო მაღალი იყო ამა თუ იმ ქვეყნის ცივილიზაცია, ყოველთვის არსებობდა სურვილი გარკვეულწილად დაეცვათ კულტურის ძეგლები განადგურებისა და შეურაცხყოფისაგან, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნის კულტურული გამოცდილების გაზიარებას, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა მათ კულტურულ განვითარებაში. XX საუკუნეში შეიარაღებული კონფლიქტებით კულტურული მემკვიდრეობისათვის მიყენებული ზიანის სერიოზულობამ საზოგადოება მიიყვანა დასკვნამდე, რომ კულტურა ადამიანთა სამყაროს სულიერი ამაღლების წყაროა და მას, როგორც კაცობრიობის მონაპოვარსა და მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს გაფრთხილება და დაცვა სჭირდება..

სწორედ ამ მიზნით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, შეიქმნა მთელი რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები – კონვენციები, ქარტიები, დეკლარაციები, ხელშეკრულებები, რეკომენდაციები, მათ შორის: ხელშეკრულება იმ დაწესებულებების დაცვის შესახებ, რომლებიც მეცნიერების, ხელოვნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის მიზნებს ემსახურებიან (რერიხის პაქტი, ვაშინგტონი, 1935); ევროპის კულტურის კონვენცია (პარიზი, 1954), შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ კონვენცია (ჰააგა, 1954) მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია (პარიზი, 1972), იუნესკოს საყოველთაო დეკლარაცია კულტურული მრავალფეროვნების შესახებ (იუნესკოს გენერალური კონფერენცია, პარიზი 2000) და სხვ.

შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ ჰააგის კონვენციით სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას პატივი სცენ სხვა სახელმწიფოთა კულტურულ ფასეულობებს და კრძალავენ აღნიშნულ ფასეულობების იმ სახით გამოყენებას, რამაც შემდგომში შესაძლოა გამოიწვიოს მათი განადგურება ანუ იკრძალება კულტურული ფასეულობების სამხედრო ან თავდაცვითი ფუნქციით დატვირთვა. კონვენციის თანახმად ყველა სახელმწიფო ვალდებულია მშვიდობიან დროს შეიტანოს შესაბამისი დებულებები სამხედრო წესდებებსა და ინსტრუქციებში, უზრუნველყოს შეიარაღებული ძალების, პირადი შემადგენლობის აღზრდა ყოველი ხალხის კულტურისა და კულტურული ფასეულობათა პატივისცემის სულისკვეთებით, რათა შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში შესრულდეს კონვენციის შესაბამისი მოთხოვნები, კულტურული ფასეულობების დაცვის სფეროში. სახელმწიფოები როგორც კულტურული ფასეულობების დაცვის უმაღლესი გარანტები, ვალდებული არიან მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, კულტურული ფასეულობების ქურდობის, ძარცვის, უკანონოდ მითვისების, ვანდალიზმისა და სხვა სახის კრიმინალის თავიდან აცილების მიზნით.

შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარე ყველა ზომას იღებს, რათა შემოწმდეს, რომ ის ობიექტები, რომლებზეც დაგეგმილია შეტევა, არ წარმოადგენს კულტურულ ფასეულობას. ისინი პატივისცემით უნდა მოეპყრან შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ ფასეულობებს. მხარეებმა უნდა აკრძალონ ამ ფასეულობების, მათი დაცვისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიების იმ მიზნებისათვის გამოყენება, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს კულტურულ ფასეულობათა დაზიანება ანდა განადგურება შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში. მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ კულტურულ ფასეულობათა წინააღმდეგ ნებისმიერი აქტისაგან.

ჰააგის კონვენცია მთელ რიგ კონკრეტულ ვალდებულებებს ადგენს შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვის უზრუნველსაყოფად. ნებისმიერი, სახელმწიფო, რომელიც შეუერთდება აღნიშნულ კონვენციას, ვალდებულია განუხრელად დაიცვას მასზე ნაკისრი ვალდებულებები და შესაბამისად პასუხი აგოს მათ დარღვევაზე.

სწორედ ამ საერთაშორისო ვალდებულებათა ქვეყნის, შიდა კანონმდე-

ბლობაში იმპლიმენტაციას ემსახურება საქართველოს სსკ 259[5] მუხლი, რაც ხელს შეუწყობს შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოსალოდნელი საფრთხისაგან ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის, როგორც მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილის დაცვას.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა ჩამოყალიბებულია ბლანკეტური ფორმით და გამოიხატება სახელმწიფოთაშორისი და შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების დროს გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფ კულტურულ ფასეულობათა დაცვის საერთაშორისო წესების დარღვევაში, კერძოდ, ა) გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფი მოძრავი ძეგლის დაზიანებასა ან განადგურებაში, ქურდობაში, ძარცვაში, ან მითვისებაში, ბ) გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფი უძრავი ძეგლის დაზიანებასა ან განადგურებაში, გ) გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფ უძრავ ძეგლზე, მუზეუმის, ბიბლიოთეკის, საარქივო საცავის ან შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევისათვის კულტურულ ფასეულობათა შესანახად შექმნილი სპეციალური სამალავის შენობებზე საომარი შეტევის განხორციელებაში ან ამ შენობების ან მათი ტერიტორიის საომარ ოპერაციებში გამოყენებაში.

ქმედების ობიექტური მხარის გასაგებად უნდა მივმართოთ ჰააგის ზემოაღნიშნულ კონვენციას, რომლის მიხედვითაც კულტურულ ფასეულობებს გააჩნიათ დაცვის სპეციალური რეჟიმები. სპეციალურ დაცვას შეიძლება დაექვემდებაროს შენობები, რომელთა დანიშნულებაა კულტურულ ფასეულობათა შენახვა და ექსპონირება, მათ შორის მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივთა საცავები, აგრეთვე თავშესაფრები, რომლებიც განკუთვნილია შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დასაცავად, ასევე კულტურული ცენტრები, სადაც დიდი რაოდენობითაა განთავსებული კულტურული ფასეულობები. კულტურული ფასეულობა შესაძლოა აყვანილ იქნეს სპეციალურ დაცვაზე იმ შემთხვევაშიც თუ იგი მდებარეობს მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტის ახლოს, მაგრამ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, კულტურული ფასეულობის სამხედრო მიზნით გამოუყენებლობის თაობაზე. სპეციალურ დაცვას კულტურული ფასეულობა ექვემდებარება მხოლოდ მისი სპეციალურ რეესტრში შეტანის შემდგომ. კულტურული ფასეულობა რომელიც უზრუნველყოფილია სპეციალური დაცვით, სარგებლობს იმუნიტეტით, რომლის უზრუნველყოფის ვალდებულებასაც სახელმწიფოები იღებენ, რაც

გულისხმობს, რომ სპეციალურ რეესტრში შეტანის შემდგომ სახელმწიფოები თავს შეიკავებენ ყოველგვარი მტრული აქტებისაგან კულტურული ფასეულობების მიმართ და მათი საომარი მიზნებით გამოყენებისაგან. სპეციალური დაცვის რეჟიმზე აყვანილი კულტურული ფასეულობები აღინიშნება კონვენციის სპეციალური განმასხვავებელი ნიშნით.

შეიარაღებული კონფლიქტების დროს გაძლიერებული დაცვის ობიექტებად შეიძლება მოაზრებულ იქნეს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლები, ეროვნული კატეგორიის ძეგლები, მუზეუმები, სადაც თავმოყრილია ეროვნული საგანძური და კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს განძთსაცავს წარმოადგენს და სხვ.

კულტურის ძეგლის დაზიანება ან განადგურება იმავე მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, როგორც სსკ 259^{2} მუხლში, ქურდობის, ძარცვისა და მითვისების ობიექტური მხარე სსკ 177, 178 და 182-ე მუხლებით არის აღწერილი.

როგორც აღვნიშნეთ, ჰააგის კონვენცია საომარ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს ავალდებულებს არ დაუშვან სპეციალურ დაცვას დაქვემდებარებული კულტურული ფასეულობების გამოყენება სამხედრო ხასიათის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად (მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ან მათი ტერიტორიის საომარ ოპერაციებში გამოყენება, სამხედრო ან თავდაცვითი ფუნქციით დატვირთვა), სწორედ ამ საერთაშორისო ვალდებულების დარღვევაზეა მინიშნება 259^{5} „გ“ პუნქტში.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარეების საჯარისო ფორმირებათა სამხედრო მოსამსახურეები, რიგითები ან ოფიცრები ან სხვა პირები, რომელთაც ევალებათ შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის საერთაშორისო წესების განხორციელება.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს, რაც პირდაპირაა მითითებული კანონის ტექსტში: კანონის შინაარსიდან გამომდინარე განზრახვა უმეტესწილად პირდაპირი იგულისხმება, თუმცა არც ევენტუალური განზრახვის გამორიცხვა შეიძლება(259^{5} მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები). სხვა სუბიექტურ ნიშნებს კანონი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

თავი XVII

ნარკოტიკული დანაშაული

§1. ნარკოტიკულ დანაშაულთა ზოგადი დახასიათება

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსით, ადრე მოქმედი კოდექსისაგან განსხვავებით, პასუხისმგებლობა ნარკოტიკული დანაშაულისათის დაწესებულია ცალკე თავით (თავი XXX.III). ეს თავი სსკ მე-9 კარის – დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ – შემადგენელი ნაწილია.

სსკ XXXIII თავმა 2006 წეოს მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილება განიცადა. კერძოდ, ზოგიერთი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდა იურიდიულ პირზე (მაგალითად, სსკ 260-261-262 და სხვა მუხ.), ასევე ცვლილება განიცადა სანქციებმა და ზოგიერთმა ნორმამ საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით.

„ნარკოტიკი" ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გაშტერებას, გაშეშებას, ე.ი. ნარკოტიკული საშუალების მიღება იწვევს პირის უგონო მდგომარეობას.

სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალება სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. ზოგი იწვევს სტიმულირებას ან აღგზნებას, ახდენს დამთრგუნველ ზემოქმედებას, ხოლო ნარკოტიკულ საშუალებათა ნაწილი განაპირობებს ჰალუცინაციების წარმოშობას.

ნარკოტიკულ საშუალებას კაცობრიობა უძველესი დროიდან იყენებდა სხვადასხვა მიზნით: გასართობად, რელიგიური რიტუალის ჩასატარებლად, მრეწველობაში (ნარკოტიკული მცენარისაგან ამზადებენ ქაღალდს), სამედიცინო დანიშნულებისათვის.

ნარკოტიკული საშუალება მედიცინაში, კერძოდ, ქირურგიაში უძველესი დროიდან გამოიყენება. თანამედროვე მედიცინაში მას იყენებენ თერაპიული მკურნალობის დროსაც, როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას.

ძირითადი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებაა მორფინის ჯგუფის პრეპარატები (ნარკოტიკული ანალგეტიკები). მათ გარდა, მორფინის ჯგუფს მიეკუთვნება კოდეინი, ომნოპონი, პრომედოლი, ჰალფიუმი და

სხვ. ამ ნივთიერებების არაერთგზისი მიღება იწვევს მისდამი ფიზიკურ და ფსიქიკურ შეჩვევას.

ნარკომანიით გამოწვეული ზიანის ობიექტურად შეფასებისათვის საჭიროა სრულყოფილად იქნეს შესწავლილი, თუ რა ზეგავლენას ახდენს ნარკოტიკული საშუალება ადამიანის ორგანიზმსა და მის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

ნარკოტიკული საშუალების მიღება ადამიანში იწვევს ეიფორიულ მდგომარეობას, ხოლო თანდათანობით იზრდება ტოლერანტობა ამ ნივთიერებისადმი; უფრო მოგვიანებით კი ვითარდება აბსტინენცია, ანუ ნარკოტიკული შიმშილი (ამ ნივთიერებისადმი ფიზიკური დამოკიდებულება)[1].

ნარკოტიკული საშუალების პოტენციური მომხმარებლები არიან უნებისყოფო, სასოწარკვეთილი ადამიანები ან სიამოვნების მაძიებელი ეგოისტები.

ნარკოტიკულმა დანაშაულმა უკვე საერთაშორისო მასშტაბები მიიღო და, ამდენად, მის წინააღმდეგ ბრძოლაც გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს. ამის დასტურია არაერთი საერთაშორისო კონვენცია ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ. ეს კონვენციებია: გაეროს 1961 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალების შესახებ", გაეროს 1971 წლის კონვენცია „ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ", გაეროს 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ". ამ უკანასკნელს დართული აქვს I და II ცხრილი, სადაც ჩამოთვლილია ის ნივთიერებები, რომლებიც ხშირად გამოიყენება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო დამზადებისას და, ამდენად, მათზე საჭიროა კონტროლის დაწესება.

აღნიშნულ კონვენციებზე დაყრდნობით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" (2002 წ. 5 დეკემბერი).[2] ასევე2007 წ. 3 ივლისს მიღებული იქნა კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ".

საქართველოს სსკ XXXIII თავში გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მოსახლეობის (საზოგადოების) ზნეობრივი და ფიზიკური ჯანმრთელობა, ასევე ის

1 А. Габиани, Наркотизм, Тб., 1977, с.13.

2 ამჟამად საქართ. პარლამენტი ამზადებს ახალ კანონპროექტს იმავე კანონზე.

საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ბრუნვის კანონით დადგენილი წესის დაცვას. ამ დანაშაულთა უმრავლესობას აქვს თავისი საგანი; მაგალითად, ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი ან პრეკურსორი (სსკ 260-ე, 262-ე, 264-ე, 273-ე მუხლები), ასევე ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება (სსკ 261-ე, 263-ე, 264-ე) და ყალბი რეცეპტი (სსკ 267-ე, 268-ე მუხლები).

ობიექტური მხრივ განსახილველ დანაშაულთა უმრავლესობა აქტიურობითაა ჩადენილი (260-ე, 261-ე, 262-ე, 263-ე, 264-ე, 265-ე, 266-ე, 267-ე, 268-ე, 271-ე, 272-ე, 273-ე მუხლები). ზოგი მათგანის ჩადენა შეიძლება როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით (269-ე და 274-ე მუხლები). ობიექტური მხრივ ამ დანაშაულთა უმრავლესობა ფორმალური შემადგენლობისაა, ე.ი. დამთავრებულია ქმედების ჩადენისთანავე (სსკ 262-ე, 263-ე, 265-ე, 266-ე, 267-ე, 268-ე, 271-ე, 274-ე), ხოლო ზოგ შემთხვევაში აუცილებელია კანონში მითითებული შედეგის დადგომა (264-ე, 269-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწ. 270-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწ., 272-ე მუხლი). ობიექტური მხარის ფაკულტატურ ნიშნებს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს იშვიათ შემთხვევაში (სსკ 262-ე მუხლი – საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა; სსკ 264-ე მუხლის მე-2 ნაწ. „ვ“ და მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტები).

ნარკოტიკულ დანაშაულთა ამსრულებელი უმრავლეს შემთხვევაში არის ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი. მაგრამ გვხვდებიან სპეციალური ამსრულებლებიც. კერძოდ ისინი, ვინც ბოროტად იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას (სსკ 260-ე მუხლის მე-2 ნაწ. „გ“ პუნქ.; 261-ე მუხლის მე-3 ნაწ. „გ“ პუნქ.; 262-ე, 263-ე, 264-ე, 265-ე მუხლების მე-2 ნაწ. „გ“ პუნქ. და სხვ.), ასევე 269-ე და 270-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს სჩადიან სპეციალური სუბიექტები, ხოლო სსკ 274-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტია ის ნარკომანი, რომელსაც სასამართლოს მიერ დაკისრებული აქვს იძულებითი მკურნალობა.

სუბიექტური მხრივ ნარკოტიკულ დანაშაულთა უმრავლესობა განზრახია.

ბრალეული პასუხისმგებლობის დასაბუთება შესაძლებელია ნარკომანის მიერ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების უკანონო დამზადების, შეძენისა თუ შენახვისათვის პირადი მოხმარების მიზნით.

მართალია, ნარკომანს აქვს დაუძლეველი (ავადმყოფური) სურვილი ნარკოტიკული საშუალების მიღებისა, რისგანაც თავის შეკავება არ შეუძლია, მაგრამ პასუხისმგებლობის საფუძველი, ამ შემთხვევაში, გადატანილია იმ მომენტისათვის, როცა პირი ჯერ კიდევ არ იყო ნარკომანი და ჰქონდა თავისი ქმედების შეფასებისა და მასზე ხელმძღვანელობის უნარი. ამდენად, როცა პირი იწყებს ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებას, მან იცის, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის ქმედებას და ამის მიუხედავად, მაინც აგრძელებს ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების ამგვარი შემთხვევები იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია **action Libera in causa**-ს სახელწოდებით[1]. მაგრამ განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე სომატონარკომანების მიმართ.

სომატონარკომანი არის პირი, რომელიც დაავადებულია ტკივილის სინდრომით მიმდინარე რომელიმე სომატური ავადმყოფობით. მას კანონიერად აქვს დანიშნული ტკივილგამაყუჩებელი ნარკოტიკული საშუალება და მის მიმართ დროთა განმავლობაში ჩამოუყალიბდა ფიზიკური ან/და ფსიქიკური დამოკიდებულება.

როგორც ვხედავთ, სომატონარკომანის ბრალი არაა ის, რომ მას განვითარებული აქვს ნარკოტიკების მიღებისადმი დაუძლეველი სურვილი. ამდენად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისადმი სომატონარკომანის ბრალის დასაბუთება შეუძლებელია და არ არსებობს ამ ქმედებისადმი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების საფუძველი.

ერთადერთი, რაშიც შეიძლება ბრალი დავდოთ მას, ესაა იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება. აქ უკვე მნიშვნელობა არა აქვს იმას, დაავადება „ნარკომანია" პირის ბრალითაა გამოწვეული თუ ბრალის გარეშე. იგივე შეიძლება ითქვას იმ პირის მიმართ, რომელიც ნარკომანი გახდა იმის გამო, რომ სხვამ ძალადობის გამოყენებითა და არაერთგზის მის ორგანიზმში შეიყვანა ნარკოტიკული საშუალება. ასეთ შემთხვევაში ნარკომანი სხვისი ძალადობის მსხვერპლია.

ნარკოტიკულ დანაშაულებში დანაშაულის მიზანი ზოგჯერ წარმოადგენს მაკვალიფიცირებელ გარემოებას (სსკ 266-ე, 267-ე, 268-ე, 271-ე, 273-ე მუხლები).

იშვიათ შემთხვევაში ნარკოტიკულ დანაშაულთა ჩადენა შეიძლება

1 Таганцев Н. С. Русское уголовное право. Ч. Общая, т. I, 1994, с. 175.

გაუფრთხილებლობითაც (სსკ 269-ე, 270-ე მუხლები).

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შემძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხლი 260-ე).

წინამდებარე მუხლი თავისი შემადგენლობით რამდენადმე განსხვავდება ადრე მოქმედი სს კოდექსის შესაბამისი მუხლისაგან. ეს, ძირითადად, გამოიხატება იმაში, რომ ახალი კოდექსი არ ასხვავებს ნარკოტიკულ საშუალებათა მომხმარებლისა და გამსაღებლის პასუხისმგებლობას (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სს კოდექსის 273-ე მუხლს).

აღნიშნული დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მოსახლეობის ჯანმრთელობა და ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რაც მოწესრიგებულია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის ბრუნვის კანონით განსაზღვრული წესით. აღნიშნული წესი დადგენილია როგორც კანონით — „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და პრეკურსორის და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“, ისე იმ საერთაშორისო კონვენციებით, რომელსაც საქართველო შეუერთდა და რომლებიც აწესრიგებენ ამ საკითხს.

ნარკოტიკული საშუალების ცნება მოიცავს ორ ასპექტს: სამედიცინო და იურიდიულ ასპექტებს. სს კოდექსში იგულისხმება ამ ცნების იურიდიული ასპექტები. კერძოდ, ნარკოტიკულ საშუალებაში იგულისხმება სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერება, პრეპარატი, მცენარე, რომლებიც გაეროს კონვენციის დებულებათა შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემებარებული ნივთიერების ჩამონათვალში.

რაც შეეხება პრეკურსორს, ესაა ნივთიერება, რომელიც გამოიყენება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპული ნივთიერების საწარმოებლად, დასამზადებლად, გადასამუშავებლად და გაეროს კონვენციების დებულებათა შესაბამისად შეტანილია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების[1]

1 სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებში იგულისხმება გაეროს კონვენციების, დებულებათა შესაბამისად, საქართველოში ბრუნვაზე კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები ან პრეკურსორები.

ჩამონათვალში.

ნარკოტიკული საშუალების ანალოგებში იგულისხმება საქართველოში ბრუნვისათვის აკრძალული სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის საშუალებები ან ნივთიერებები, რომლებიც არ არიან შეტანილი კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სიებში, მაგრამ მათი ორგანიზმზე ფსიქოაქტიური მოქმედება მსგავსია კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამონათვალში შეტანილი ნარკოტიკული საშუალების ორგანიზმზე ფსიქოაქტიური მოქმედებისა.

საქართველოს კანონში „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ ჩამოთვლილია საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების სია:

ა) I სია მოიცავს ნარკოტიკული საშუალებების კრებსით ჩამონათვალს.

ბ) II სია – მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალს; საქართველოში ეს ნივთიერებები სამედიცინო მიზნით გამოყენებისას აკრძალულია. ესენია განსაკუთრებით საშიში ნარკოტიკული საშუალებები, რომელთა გამოყენებაც ნებადართულია მხოლოდ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-დიაგნოსტიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასეთი ნარკოტიკული საშუალებაა, მაგალითად: აცეტილირებული ოპიუმი, ჰაშიში (ანაშა), ჰეროინი (დიაცეტილმორფინი), კანამირი (მარიხუანა), ეფედრინი (მეტკატინონი) და სხვ.

გ) III სია – შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალი.

ესენია ის ნარკოტიკული საშუალებები, რომელთა სამედიცინო მიზნით გამოყენება საქართველოში ნებადართულია (მაგალითად, მორფინის ჯგუფის პრეპარატები).

დ) IV სია – ფსიქოტროპული ნივთიერების ჩამონათვალი.

ე) V სია – პრეკურსორების ჩამონათვალი.

ეს სია კანონით დადგენილ შემთხვევაში ცვალებადია.

სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანს წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი და პრეკურსორი. ნარკოტიკულ საშუალებებს მიეკუთვნება, მაგალითად: კოკაინი, ოპიუმი, მორფინი, მარიხუანა, ჰეროინი, ჰაშიში, ყაყაჩოს ნამჯა და ა.შ.

საერთოდ, საკითხის გადაწყვეტა — მიეკუთვნება თუ არა ესა თუ ის ნივთიერება ნარკოტიკულ საშუალებებს, ფორმალურ-იურიდიული საკითხია და არა სამედიცინო. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროს სასამართლომ არ შეიძლება იხელმძღვანელოს ფარმაცევტული ცნობარებით, ან თუნდაც მოცემული ნივთიერების შეფასება მოახდინოს როგორც ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებისა მათი ქიმიური თუ ფარმაკოლოგიური დახასიათების საფუძველზე. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს იმ სპეციალური სიით, რომელიც თან ახლავს საქართველოს კანონს „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ". ე.ი. ნარკოტიკულ საშუალებად უნდა ჩაითვალოს სწორედ ის ნივთიერებები, რაც ჩამოთვლილია ამ სიაში.

განსახილველი ნორმის ობიექტური მხარე გამოიხატება შემდეგ ქმედებებში:

1. მითითებულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება; 2. უკანონო წარმოება; 3. უკანონო შეძენა; 4. უკანონო შენახვა; 5. უკანონო გადაზიდვა; 6. უკანონო გადაგზავნა; 7. უკანონო გასაღება.

ამდენად, საბეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით, საიდანაც ერთ-ერთის ჩადენა საკმარისია დანაშაულის დამთავრებულად ცნობისთვის.

ჩამოთვლილ ქმედებათა უკანონობა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ქმედებები ჩადენილია ნარკოტიკული ნივთიერების, მათი ანალოგისა და პრეკურსორის ბრუნვის კანონით დადგენილი წესის დარღვევით და სათანადო ნებართვის გარეშე.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადებაში იგულისხმება განზრახი მოქმედება, როცა პირი, ვისაც არა აქვს საამისო კანონიერი უფლებამოსილება, ნარკოტიკების შემცველი მცენარისაგან, პრეპარატისგან, ანდა ქიმიური თუ სხვა სახის ნივთიერებისაგან მიიღებს მოხმარებისა ან გამოყენებისათვის მზა ერთ ან რამდენიმე ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს ან პრეკურსორს, რომელიც შეტანილია სპეციალურ სიაში და მათ ბრუნვაზე დაწესებულია სახელმწიფო კონტროლი. ტერმინი „დამზადება" უნდა განვასხვაოთ ტერმინ „მომზადებისაგან". ნარკოტიკული საშუალების მომზადებაში იგულისხმება შესაბამისი ლიცენზიის მქონე აფთიაქში რეცეპტის საფუძველზე სათანადო

ტექნოლოგიით ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებისათვის წამლის ფორმის მიცემა. უკანონო დამზადება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ხერხით: მექანიკური, ფიზიკური თუ ქიმიური მეთოდების გამოყენებით და ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

უკანონო დამზადებად ჩაითვლება ასევე მოქმედება, რომლის შედეგადაც მოცემულ ნარკოტიკულ საშუალებაში გაიზარდა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველობა (კონცენტრაცია) და, ამდენად, ეს ნივთიერება უფრო ძლიერმოქმედი ნარკოტიკული საშუალება გახდა. უკანონო დამზადებად არ უნდა ჩაითვალოს ნარკოტიკების შემცველი მცენარეების მოპოვებისას მისი გაწმენდა სხვადასხვა მინარევისაგან, გასუფთავება, დანაწილება, რათა გამოყენებისათვის უფრო მოხერხებული იყოს. ე.ი. მათი ისეთი გადამუშავება, რა დროსაც არ ხდება ნარკოტიული საშუალების კონცენტრაციის გაზრდა.

უკანონო დამზადება დამთავრებულ დანაშაულად ჩაითვლება მაშინ, როცა მიღებულ იქნება უკვე გამოყენებისათვის მზა ნივთიერება. თუკი პირი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით ცდილობდა ნარკოტიკული საშუალების დამზადებას, მაგრამ ვერ მოახერხა გამოყენებისათვის მზა ნივთიერების შექმნა, მაშინ ადგილი ექნება ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო დამზადების მცდელობას და მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ მე-19, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

უკანონო წარმოების დროს ადგილი აქვს არა ერთი ან რამდენიმე ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მიღებას, არამედ ქიმიური ნივთიერებისაგან, მცენარეებისა ან ბუნებრივი მასალებისაგან ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის სერიულ მიღებას. ამდენად, უკანონო წარმოება უფრო საშიშია თავისი მნიშვნელობით, ვიდრე უკანონო დამზადება, ვინაიდან წარმოება უფრო მასშტაბურია.

წარმოება კანონიერია მაშინ, როცა შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირი აწარმოებს: ა) IV სიაში მითითებულ ფარმაცევტული წარმოებისათვის ნებადართულ ფსიქოტროპულ ნივთიერებებს; ან ბ) იმ პრეპარატებს, რომლებიც შეიცავს III სიაში მითითებულ, ფარმაცევტულ საქმიანობაში გამოყენებისათვის ნებადართულ ნარკოტიკულ საშუალებებს. ეს პრეპარატები მზა პროდუქციის სახით არ უნდა იყოს შეტანილი ნარკოტიკულ საშუალებათა ჩამონათვალში.

უკანონო შეძენა გულისხმობს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მოპოვებას უკანონოდ, სხვადასხვა გზით: მათი ყიდვა, მათი მიღება გასესხებული ნივთის სანაცვლოდ (მაგ., ფულის გამსესხებელმა ფულის ნაცვლად მოვალისაგან აიღო ნარკოტიკული საშუალება); სხვისთვის გაწეული სამსახურისა ან სამუშაოსათვის ფულის ნაცვლად ნარკოტიკული საშუალების მიღება; სხვა ნივთში გაცვლა; ნაპოვნი ნარკოტიკული საშუალების მითვისება; ველურად აღმოცენებული ნარკოტიკული მცენარეების შეგროვება; ანდა მათი შეგროვება მიწის ისეთ ნაკვეთზე, რომელსაც ჰყავს მესაკუთრე, მაგრამ ეს მცენარეები მესაკუთრის მიერ არაა დათესილი ან მოყვანილი და ისინი ბუნებრივად აღმოცენდნენ. ამ შემთხვევაში ნარკოტიკული საშუალებების მოყვანაზე ადამიანის შრომა არაა დახარჯული და, ამდენად, მათ არა აქვთ მატერიალური ღირებულება, თანაც ისინი არ იმყოფებიან ვინმეს მფლობელობაში. ამიტომ ეს ნარკოტიკული საშუალებები არ წარმოადგენენ სსკ 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანს. უკანონო შეძენად უნდა ჩაითვალოს ასევე მოსავლის აღების შემდეგ დაუცველ მინდვრებში დარჩენილი ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარეების შეგროვება. საქმე ისაა, რომ, მართალია, ამ შემთხვევაში ეს მცენარეები მოყვანილ იქნა კანონიერად და მასზე გარკვეული შრომაცაა დახარჯული, მაგრამ მოსავლის აღების შემდეგ იგი ნარჩენის სახით დატოვებულ იქნა დაუცველ ადგილზე თვით მესაკუთრის მიერ. ამდენად, ეს მცენარეები უკვე გამოსულია მესაკუთრის მფლობელობიდან მისივე ნებით და არავის საკუთრებაში არ იმყოფება. ამდენად, აქაც ზედმეტია საუბარი სსკ 264-ე მუხლის შემადგენლობაზე: ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაზე.

როგორც ვხედავთ, ხსენებულ ნორმაში შეძენის ცნება ფართო გაგებითაა ნახმარი.

უკანონო შენახვაში იგულისხმება ნებისმიერი განზრახი ქმედება, რაც გამოიხატება უკანონო მფლობელობაში არსებული ნარკოტიკული საშუალების ადგილსამყოფელის მიჩენაში. მაგალითად, მისი შენახვა ბინაში, გარაჟში, მანქანის საბარგულში იმის მიუხედავად, მანქანას ატარებს ეს პირი, თუ იგი უძრავ მდგომარეობაში იმყოფება: მაგრამ, თუკი აღნიშნული მანქანით პირი ახდენს ამ ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვას

ერთი ადგილიდან სხვა ადგილას (სხვა დასახლებულ პუნქტში) მისი შენახვის მიზნით, მაშინ ეს ქმედება ჩაითვლება არა უკანონო შენახვად, არამედ უკანონო გადაზიდვად. შენახვა შეიძლება ნარკოტიკული საშუალების თან ტარებით (მაგ., პიჯაკის შიდა ჯიბეში). ამ შემთხვევაშიც, თუ ეს დაკავშირებულია აღნიშნული ნივთიერების გადაზიდვასთან სხვა ადგილას, ქმედება დაკვალიფიცირდება უკანონო გადაზიდვით და არა უკანონო შენახვით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა დროს, რომლის განმავლობაშიც უკანონოდ იყო შენახული ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი ან პრეკურსორი. შენახვის ხანგრძლივობა სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს მხოლოდ სასჯელის განსაზღვრისას.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შენახვის უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიულ პირს, ასევე ინდივიდუალურ მეწარმეს. ამ უკანასკნელს შეუძლია შეინახოს მხოლოდ პრეკურსორი. შენახული ნივთიერება არ უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რაც საჭიროა მათი საქმიანობისათვის.

რაც შეეხება უკანონო ბრუნვიდან ამოღებულ ნივთიერებებს, მათი შენახვა შეუძლიათ უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებებს. შენახვის უფლება აქვთ ასევე ფიზიკურ პირებს პირადი მოხმარებისათვის, სამკურნალო მიზნით.

უკანონო გადაზიდვას ადგილი აქვს მაშინ, როცა ხდება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალების ნებისმიერი მეთოდით გადაადგილება ერთი ადგილიდან საქართველოს სხვა ადგილას მისი განთავსების მიზნით, ტვირთის გამგზავნის ან ადრესატის თანდასწრებით. უკანონო გადაზიდვისას მნიშვნელობა არა აქვს, ტრანსპორტის რა საშუალება იქნა გამოყენებული. მთავარია, გადაზიდვა ხდებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე.

პრაქტიკაში ნარკოტიკული საშუალების უკანონო გადაზიდვისა და უკანონო შენახვის გასამიჯნავად, ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა გარემოებას: პირის მიზანს — ნარკოტიკულ საშუალებათა გადაადგილება, თუკი ხდება სხვა დასახლებულ პუნქტში (მაგალითად სხვა ქალაქში) მისი მოთავსების მიზნით, ადგილი აქვს უკანონო გადაზიდვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პირის მიზანი არაა სხვა ადგილას მათი მოთავსება,

ადგილი ექნება უკანონო შენახვას. ამ მიზნის დადგენისას მნიშვნელობა ენიჭება ტრანსპორტის სახეს, მასზე მოთავსებული ნარკოტიკული საშუალებების ოდენობას, ტრანსპორტში მათი განთავსების ადგილსა და სხვა გარემოებებს. ნარკოტიკული საშუალების უკანონო გადაზიდვა თავის თავში მოიცავს უკანონო შენახვასაც და დამატებითი კვალიფიკაცია არაა საჭირო.

ნარკოტიკულ საშუალებათა კანონიერი გადაზიდვის უფლება აქვთ იურიდიულ პირებს მათ გამოყენებაზე სპეციალური ლიცენზიის არსებობისას, პოლიციის დაცვის თანხლებით. ხოლო ფიზიკურ პირებს ამის უფლება აქვთ იმ ნარკოტიკული საშუალების მიმართ, რომელიც მათ კანონის დაცვით სამედიცინო დანიშნულების მიზნით აქვთ მიღებული შესაბამის აფთიაქში. ეს აფთიაქები გასცემენ სპეციალურ დოკუმენტს, რომელიც ამტკიცებს ამ ნივთიერებათა მიღების კანონიერებას.

უკანონო გადაგზავნაში იგულისხმება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი საშუალებით გადაადგილება ტვირთის გამგზავნისა ან ადრესატის დაუსწრებლად. ეს დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება აღნიშნული ნივთიერების ბარგის სახით ფოსტაში ან სხვა დაწესებულებაში ჩაბარების მომენტიდან მისი სხვა ადგილას გადაგზავნის მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირის მიერ ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე ოდენობით უკანონო გადაგზავნა პირადი მოხმარების მიზნით, თუნდაც ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, არ მოგვცემს განსახილველი ნორმის შემადგენლობას, რადგან 260-ე მუხლით არაა გათვალისწინებული პირადი მოხმარებისათვის მცირე ოდენობით ამ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვისათვის პასუხისმგებლობა. ასეთი ქმედება არაა გათვალისწინებული არც სს კოდექსის 273-ე მუხლით, ე.ი. ეს ქმედება არაა დანაშაული. რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო გადაზიდვას პირადი მოხმარებისათვის ექიმის დანიშნულების გარეშე, აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს პირადი მოხმარებისათვის ამ ნივთიერებების მცირე ოდენობით უკანონო შენახვად, ე.ი. 273-ე მუხლით. ეს იმიტომ, რომ უკანონო გადაზიდვისას აღნიშნული ნივთიერების გადაადგილება ხდება გამგზავნის თანდასწრებით და ნარკოტიკული საშუალება მოთავსებულია ან გადამზიდველის ტანსაცმელში

თუ ჩანთაში, ან იმ სატრანსპორტო საშუალებაში, რომლითაც ხდება ამ ნივთიერების გადაზიდვა. ე.ი. აქ ადგილი აქვს ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო შენახვას.

სუბიექტური მხრივ ჩვენ მიერ განხილული ქმედება (უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გასაღება) შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ. თუ პირი გაუფრთხილებლობით სჩადის რომელიმე მითითებულ ქმედებას (მაგ., ინახავს ნარკოტიკულ საშუალებას სათანადო ნებართვის გარეშე და არ იცის, რომ ეს ნივთიერება წარმოადგენს ნარკოტიკულ ან სხვა კონტროლს დაქვემდებარებულ საშუალებას), მაშინ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სს კოდექსის 260-ე მუხლით გამორიცხულია.

სს კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა არა აქვს მიზანს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ რა მიზნით ჩაიდინა პირმა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებანი, სასამართლომ უნდა დაადგინოს მხოლოდ სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხის გადასაწყვეტად. მიგვაჩნია, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა გამსაღებლის მიმართ პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს სსკ 260-ე მუხლის ცალკე ნაწილით როგორც დამამძიმებელი გარემოება.

უკანონო გასაღებაში იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის სხვა პირისათვის უკანონოდ გადაცემის ნებისმიერი ხერხი როგორც საზღაურით, ისე საზღაურის გარეშე. ეს ხერხებია: გაყიდვა, გაჩუქება, გაცვლა სხვა ნივთში, გასესხება (ნარკოტიკული საშუალების გადაცემა სხვა პირისათვის იმ პირობით, რომ გარკვეული დროის შემდეგ მან უკანვე დაუბრუნოს იმავე სახის ან სხვა ნარკოტიკული საშუალება), ვალის გადახდით (პირს ემართა სხვისი ფული და კრედიტორს ფულის ნაცვლად ვალში მისცა ნარკოტიკული საშუალებები). უკანონო გასაღებაში უნდა ჩაითვალოს ასევე ნარკოტიკული საშუალების სხვის ორგანიზმში შეყვანა პირის თანხმობით, მაგრამ ასეთი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება უკანონო გასაღებად, თუ ეს ნარკოტიკული საშუალება ეკუთვნის თვით მომხმარებელს ან იმყოფება მომხმარებლისავე მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში.

უკანონო გასაღება დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა გამსაღებელი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით გაასხვისებს ნარკოტიკულ

საშუალებას სხვა პირზე, გადასცემს მას სხვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება დანაშაულის ან მომზადებას ან კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, მის მცდელობას (ე.ი. მე-18, 260-ე ან მე-19, 260-ე მუხლები).

სს კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა დამთავრებულია თვით ქმედების დამთავრების მომენტიდან და არაა სავალდებულო რაიმე მძიმე შედეგის დადგომა. მაგალითად, ნარკოტიკულ საშუალებათა დამზადება დამთავრებულია, თუნდაც ერთი ნარკოტიკული საშუალების მზა პროდუქციის მიღებისას; შებენა დამთავრებულია, როცა პირი უკანონოდ დაეუფლება შესაბამის ნივთიერებას ან საშუალებას; გასაღება კი მაშინ, როცა ამგვარი ნივთიერება გადაეცემა თუნდაც ერთ პირს.

პირის ქმედება არ დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, როცა მან ჩაიდინა 260-ე მუხლით გათვალისწინებული რამდენიმე ქმედება. მაგალითად, ჯერ შეიძინა ნარკოტიკი, მერე ინახავდა მას, მერე გადაგზავნა და შემდეგ გაასარა იგი. 260-ე მუხლი ერთიანი დანაშაულია.

ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო გასაღებაც სუბიექტური მხრივ არის პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული. ე.ი. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ასაღებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, ან პრეკურსორს და თანაც ისე, რომ არა აქვს ამგვარი ქმედების ჩადენის კანონიერი უფლებამოსილება.

ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო გასაღებისას ამსრულებლის მოტივსა და მიზანს არა აქვს მნიშვნელობა კვალიფიკაციისათვის. იგი მხედველობაში მიიღება მხოლოდ სასჯელის დანიშვნისას.

სს კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე ან უცხოელი მოქალაქე.

.განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტით დამამძიმებელ **გარემოებადაა მიჩნეული იგივე ქმედება, ჩადენილი დიდი ოდენობით.** ნარკოტიკული საშუალების ოდენობის განსაზღვრისას კანონმდებელმა მხედველობაში მიიღო არა მარტო ამ ნივთიერებათა წონა და ოდენობა, არამედ მისი თვისება, მისი ზემოქმედების უნარი ადამიანის ორგანიზმზე. ამიტომაა, რომ ოდენობის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ნარკოტი-

კული საშუალების სახეობას, არამედ მის ფიზიკურ მდგომარეობას, ე.ი. იმას, იგი მოცემულია ფხვნილის ან აბის, თუ ამპულაში სითხის სახით, ასევე ნაყენის სახით. 2003 წლის 23 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხის“ დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ ნუსხაში მოცემულია არაკანონიერ ბრუნვაში ან მფლობელობაში აღმოჩენილ ნარკოტიკულ საშუალებათა, ასევე ფსიქოტროპულ ნივთიერებათა მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა.

ზემოხსენებული სიის თანახმად, ნარკოტიკულ საშუალებათა ოდენობის ჩამონათვალი იწყება მცირე ოდენობით. კერძოდ, მე-3 ვერტიკალურ გრაფაში მითითებული ოდენობის ჩათვლით მიჩნეულია მცირე ოდენობად და მასზე დაკისრებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. მე-3 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობაზე მეტი მე-4 ვერტიკალურ გრაფაში მითითებული ოდენობის ჩათვლით არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაწყისი. მაგალითად, ნოქსირონის მცირე ოდენობად ჩაითვლება 1 გრამამდე ოდენობა. ხოლო 1 გრამზე მეტი 10 გრამის ჩათვლით ნოქსირონი ჩაითვლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარის ოდენობად. ამდენად, პირს ნოქსირონის უკანონო დამზადებისა ან შეძენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რომ დაეკისროს, უკანონო ბრუნვაში უნდა აღმოაჩნდეს 1 გრამზე მეტი ოდენობის ნივთიერება, მაგრამ მისი წონა არ უნდა აღემატებოდეს 10 გრამს.

მე-4 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობაზე მეტი მე-5 ვერტიკალურ გრაფაში მითითებული ოდენობის ჩათვლით ითვლება დიდ ოდენობად (მაგალითად, ნოქსირონი 10 გრამზე მეტი 100 გრამის ჩათვლით), ხოლო მე-5 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობაზე მეტი ითვლება განსაკუთრებით დიდ ოდენობად (ნოქსირონი 100 გრამზე მეტი).

ამ სიაში ნარკოტიკული საშუალების ოდენობა მოცემულია სუფთა შემადგენლობის გათვალისწინებით, ე.ი. მათი შემავსებლების (ფქვილი, შაქარი, სახამებელი და ა.შ.) გარეშე.

როდესაც სახეზეა ნარკოტიკული მცენარე (მაგალითად, ყაყაჩოს ყვავილი), მისი ოდენობა განისაზღვრება არა მთლიანად ამ მცენარის წონით (ფესვი, ღერო, ფოთლები), არამედ მასში შემავალი ნარკოტი-

კული საშუალების ოდენობით. როცა სახეზეა ნარკოტიკული მცენარე, ოდენობის განსაზღვრისას უნდა აიწონოს მისი ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას (მაგალითად, ფოთლები) და არა მთლიანად მცენარე.

რაც შეეხება ნარკოტიკულ საშუალებათა კრებსით ჩამონათვალში სახელობითად შეტანილ კომბინირებულ პრეპარატებს, მათი ოდენობა განისაზღვრება მათ კომბინაციაში შემავალი ნარკოტიკული საშუალების სუფთა ნივთიერების (სუბსტანციის) ოდენობის ჯამით.

იგივე ქმედების ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მეტი სა- ზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება და ამიტომაც იგი ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა. საქართველოს სს კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. ე.ი. ქმედების ამ ნორმით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, სულ მცირე ორი პირი (ამსრულებელი) 260-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების დაწყებამდე შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. თუ ერთი პირის მიერ დაწყებულ ქმედებას შეუერთდება მეორე პირი, თუნდაც შემდგომი ურთიერთშეთანხმებით, საქმე არა გვაქვს სს კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტთან. მაგალითად, პირმა დაიწყო ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო დამზადება. შემდეგ კი მზა პროდუქციის მიღებამდე დაიხმარა სხვა პირი დამზადების პროცესის გასაადვილებლად. ეს ქმედება არ დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით. ამ დროს პირის ქმედება, თუ არ არის სხვა დამამძიმებელი გარემოება, უნდა დაკვალიფიცირდეს 260-ე მუხლის I ნაწილით – უკანონო დამზადებით.

ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ეს დანაშაული მაშინაა ჩადენილი, თუ წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ ამსრულებლები. ე.ი. 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ჩადენაში მონაწილეობდა ორი პირი მაინც. მაგალითად, ორი ან მეტი პირი წინასწარი შეთანხმებით უკანონოდ შეუდგა ნარკოტიკული საშუალების გასაღებას, ანდა ორი ან მეტი პირი სათანადო ნებართვის გარეშე უშუალოდ მონაწილეობს ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვის პროცესში და ა.შ. თუ ამსრულებელია ერთი პირი, რომელიც მოქმედებს ორგანიზატორთან, წამქეზებელთან

ან დამხმარესთან წინასწარი შეთანხმებით, ხოლო ეს უკანასკნელნი არ მონაწილეობენ ქმედების ჩადენაში, კვალიფიკაცია მოხდება სსკ 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო თანამონაწილეთა (ორგანიზატორის, წამქეზებლის, დამხმარის) ქმედებანი დაკვალიფიცირდება სსკ 25-ე და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

როცა ადგილი აქვს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უკანონო შეძენას ან გასაღებას, ეს ქმედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ ორი ან მეტი პირი უშუალოდ მონაწილეობდა ერთ-ერთი ამ ქმედების ჩადენაში (მაგალითად,ორი პირი წინასწარი შეთანხმებით ასაღებს ნარკოტიკს). ხოლო, თუ ერთი პირი იყო გამსაღებელი, მეორე კი უკანონო შემძენი, ქმედების კვალიფიკაცია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად გამორიცხულია, რადგან არ არსებობს უკანონო გასაღება უკანონო შეძენის გარეშე.

რაც შეეხება სსკ 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებს, ქმედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად შეიძლება ჩაითვალოს, როცა პირები წინასწარ შეთანხმდებიან რა ამ დანაშაულის ჩასადენად, გაინაწილებენ ფუნქციებს. მაგალითად, ერთი პირი ახდენს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენას, მეორე მისგან ამზადებს ნარკოტიკულ საშუალებას, მესამე უკანონოდ ინახავს ამ ნივთიერებას, ხოლო მეოთხე პირი ასაღებს მას უკანონოდ.

ამდენად, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი შემთხვევაც, როცა ორი ან მეტი პირი წინასწარ შეკავშირდა სსკ 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სხვადასხვა ქმედების ჩასადენად.

შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა **იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.**

ამ შემთხვევაში კანონმდებელი მიუთითებს სპეციალურ სუბიექტზე, რომელიც 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილში მითითებული ქმედების ჩადენისას იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, ე. ი. კანონით მინიჭებულ უფლებებსა და რწმუნებებს. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ როგორც მოხელეები (თანამდებობის პირები), ასევე ისინი, რომლებიც არ არიან მოხელეები. მაგალითად, მოხელედ ჩაითვლება სპეციალური აფთიაქის გამგე, რომელსაც კანონის მოთხოვნათა დაცვით უფლება აქვს გაყიდოს

ნარკოტიკული საშუალება, ასევე ონკოლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ან განყოფილების გამგე, რომლის კანონიერ მფლობელობაში იმყოფება ნარკოტიკული საშუალება. თუ ეს პირები გამოიყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას და უკანონოდ გაასაღებენ ნარკოტიკულ საშუალებას იმ პირებზე, ვისაც არა აქვთ მათი შეძენის კანონიერი უფლება, ქმედება დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით. ამ დროს არაა საჭირო ქმედების კვალიფიკაცია სსკ 332-ე მუხლით, რადგან სსკ 260-ე მ. II ნაწ. „გ“ არის სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კერძო შემთხვევა.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება მიმართული უნდა იყოს ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვისაკენ. თუ პირი იყენებს რა სამსახურებრივ მდგომარეობას და არღვევს ნარკოტიკული საშუალების მოპყრობისადმი კანონით დადგენილ წესს ისე, რომ მისი მიზანი არაა ამ ნივთიერების უკანონო ბრუნვაში მოქცევა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა 260-ე, არამედ 269-ე მუხლით – ნარკოტიკული საშუალების, პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა. მაგალითად, საავადმყოფოს მთავარი ექიმი, რომელსაც აქვს სპეციალური ნებართვა ნარკოტიკული საშუალების შენახვისა, სპეციალურ საცავში კანონის დაცვით შეძენილ ნარკოტიკულ საშუალებასთან ერთად ინახავს სხვა ნარკოტიკულ საშუალებასაც, რომელთა შენახვაზე მას არა აქვს კანონიერი ნებართვა. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით – 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტს. ხოლო, უკეთუ, იგივე პირი, მართალია, ინახავს კანონის მოთხოვნის დაცვით შემოტანილ ნარკოტიკულ საშუალებას, მაგრამ ინახავს მას შენახვისათვის დადგენილი წესის დარღვევით (მაგალითად, კარადაში, რომელსაც რკინის ნაცვლად, შემინული კარები აქვს და მისი ჩამტვრევა ადვილია), ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 269-ე მუხლით.

ამ დანაშაულის ამსრულებელი სახელმწიფო მოხელესთან ერთად შეიძლება იყოს ინდივიდუალური საწარმოს ხელმძღვანელიც, რომელიც არაა მოხელე. მხედველობაში გვაქვს ის ინდივიდუალური მეწარმე, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს პრეკურსორის შენახვის უფლება. მას შეუძლია

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაასაღოს პრეკურსორი იმ პირზე, ვისაც არა აქვს პრეკურსორის შეძენის უფლება ან ჩაიდინოს 260-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებული სხვა ქმედება.

260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის სუბიექტი შეიძლება იყოს ამა თუ იმ დაწესებულების რიგითი (ტექნიკური) მუშაკიც, რომელიც ხსენებული დანაშაულის ჩადენისას იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას. მაგალითად, ამა თუ იმ ტრანსპორტის მძღოლი, რომელიც კანონიერი გზით ახდენს ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვას, სარგებლობს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით და ამავე ტრანსპორტით ახდენს სხვა ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვას უკანონოდ. ანდა, საავადმყოფოს მედდა, რომელსაც ნარკოტიკული საშუალება გადაცემული აქვს ავადმყოფისათვის საინექციოდ, უკანონოდ ყიდის მას სხვა პირზე, ხოლო ავადმყოფს უკეთებს სხვა წამალს. მედდა ამ შემთხვევაში უკანონოდ ასაღებს ნარკოტიკულ ნივთიერებას იყენებს რა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას.

არ გვექნება ამ დანაშაულის შემადგენლობა, როცა მოხელე იყენებს არა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, არამედ სამსახურებრივ ავტორიტეტს.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოება, რომელსაც ითვალისწინებს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის **„დ“ პუნქტი, არის იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის.** არაერთგზისი დანაშაულის ცნების გასარკვევად უნდა მივმართოთ სს კოდექსის მე-15 მუხლს. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, 260-ე მუხლში არაერთგზისობა გულისხმობს დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ იგივე დანაშაულის ჩადენას. თუ პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა არა ამ მუხლით, არამედ ამ თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტით და არა „დ“ პუნქტით.

დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

აქვე უნდა გაირკვეს საკითხი: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს პირის ქმედება, რომელმაც ორჯერ ჩაიდინა 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათ-

ქალისწინებული ქმედება და არც ერთი მათგანისათვის არაა ნასამართლევი. ამ შემთხვევაში პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 260-ე მუხლის I ნაწილით. ამასთან თითეულ ეპიზოდზე ცალკე უნდა დაინიშნოს სასჯელი, რაც შეიკრიბება სსკ 59-ე მუხლით დადგენილი წესით.

შემდეგი მაკვალიფიცირებელი **გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.** ამ პუნქტის სუბიექტია ის პირი, ვისაც წინათ ჩადენილი ჰქონდა არა 260-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, არამედ კოდექსის ამ თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული სხვა რომელიმე დანაშაული დაწყებული 261-ე მუხლიდან, დამთავრებული 274-ე მუხლით. ქმედების ამ პუნქტით კვალიფიკაციისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის იყო თუ არა ნასამართლევი. მთავარია, რომ მას არ უნდა ჰქონდეს წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული, ანდა არ უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით გათავისუფლებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. თუ იგი ნასამართლევი არაა ადრე ჩადენილი ნარკოტიკული დანაშაულისთვის, ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ერთობლიობით, ე.ი. 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტითა და ნარკოტიკული დანაშაულის იმ მუხლით, რომლის შემადგენლობაც არსებობს პირის მიერ ადრე ჩადენილ ქმედებაში.

როცა განსახილველი დანაშაული ჩადენილია ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით (პუნქტი „ბ“) ან თანამონაწილეობით, მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტი შეეფარდება მხოლოდ იმ პირს, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ამ თავით გათვალისწინებული სხვა დანაშაული, ვინაიდან სს კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის დამახასიათებელი პერსონალური ნიშანი შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს. განსახილველი „ე“ პუნქტი, ჩვენი აზრით, რედაქციულად უფრო გამართული იქნება, თუ ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: „იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული სხვა რომელიმე დანაშაული“. ამით ხაზი გაესმის იმას, რომ აქ საუბარია არა ამ თავის ნებისმიერ დანაშაულზე, არამედ 260-ე მუხლის გარდა სხვა დანაშაულზე.

260-ე მუხლის მე-3 ნაწილში გათვალისწინებულია ამ დანაშაულის

განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებები. პირველი მათგანია ამ მუხლის პირველი ან **მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით**. ისე, როგორც დიდი ოდენობა, განსაკუთრებით დიდი ოდენობაც შეფასებითი ცნებაა და მხედველობაშია მისაღები,როგორც მოცემული ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის რაოდენობა, ასევე ორგანიზმზე მისი ზემოქმედების ძალა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოებმა ოდენობის განსაზღვრისას უნდა იხელმძღვანელონ პარლამენტის მიერ დამტკიცებული სიით, რომელიც დაყოფილია გრაფებად: მე-3, მე-4 და მე-5 გრაფაში მოცემულია შესაბამისად მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები.

ამ ნორმის მეორე, განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაა ამ **მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ**. იგი ჯგუფური დანაშაულის ყველაზე საშიში ფორმაა. (სსკ 27-ე მუხ. III ნაწ.)

როდესაც ორგანიზებული ჯგუფი სჩადის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, ჯგუფის ორგანიზატორის ქმედება 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, კვალიფიცირდება როგორც ამსრულებლისა, სს კოდექსის ზოგადი ნაწილის შესაბამის მუხლზე მითითების გარეშე, თუ მისი განზრახვა მოიცავდა ჯგუფის მიერ ამ კონკრეტული ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენას. აქ უკვე მნიშვნელობა არა აქვს იმას, ორგანიზატორი უშუალოდ მონაწილეობდა თუ არა კონკრეტული ქმედების ჩადენაში. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა განპირობებულია არა მარტო ორგანიზებული ჯგუფის მომეტებული საშიშროებით, არამედ სხვა მომენტითაც: დანაშაული ვერ ჩაითვლება ჩადენილად ორგანიზებული ჯგუფის მიერ, თუ ჯგუფის საქმიანობა არაა ორგანიზებული ორგანიზატორის მიერ. ე.ი. ორგანიზების პროცესი აღმოჩნდა დანაშაულის შემადგენლობაში და, ამდენად, ორგანიზატორიც ამსრულებლად მოგვევინა.

რაც შეეხება ჯგუფის წევრებს, 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, ისინი როგორც ამსრულებლები პასუხს აგებენ, თუკი მონაწილეობდნენ მის მომზადებაში ან ჩადენაში, მაგრამ, როცა ორგანიზებული ჯგუფის წევრი არ მონაწილეობს 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის არც მომზადებაში და არც ჩადენაში, მას არ შეიძლება შეერაცხოს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტი, თუნდაც იცოდეს, რომ ჯგუფის სხვა წევრების მიერ ჩადენილია ეს დანაშაული.

ეს აზრი პირდაპირ გამომდინარეობს სს კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან.

როდესაც ორგანიზებული ჯგუფი ჩაიდენს 260-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით. მაგრამ თუ პირის ქმედებაში არის 260-ე მუხლის როგორც მე-2, ისე მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები (მაგალითად, ჯგუფმა წინასწარი შეთანხმებით უკანონოდ გაასაღა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 260-ე მუხლის მხოლოდ მე-3 ნაწილის შესაბამისი პუნქტით. ამ მუხლის მე-3 ნაწილის დისპოზიცია ფორმულირებულია შემდეგნაირად: „ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი“... და შემდეგ ჩამოთვლილია პუნქტები. ეს იმას ნიშნავს, რომ მე-3 ნაწილში გათვალისწინებულია 1-ლი და მე-2 ნაწილის ქმედებებიც.

სს კოდექსის 260-ე მუხლს დართული აქვს შენიშვნა: ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

ამ შენიშვნის ტექსტიდან ირკვევა, რომ კანონმდებელი ამ თავით გათვალისწინებული ყველა დანაშაულის ჩადენას ჰპატიებს პირს, თუკი:

ა) იგი ნებაყოფლობით ჩააბარებს შენიშვნაში ჩამოთვლილ ნივთიერებებს; და

ბ) მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. სხვა დანაშაულში იგულისხმება ნარკოტიკული დანაშაულის გარდა სსკ გათვალისწინებული ყველა დანაშაულებრივი ქმედება.

ჩაბარებას ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს მაშინ, როცა პირს გააჩნია რეალური შესაძლებლობა, გამოიყენოს ეს ნივთიერებები თავისი შეხედულებისამებრ, მაგრამ ამის მიუხედავად, აბარებს მას სახელმწიფო ორგანოებს. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა მოტივით იხელმძღვანელა პირმა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ჩაბარებისას.

ნებაყოფლობით ჩაბარებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევაც, როცა

პირი დარწმუნებულია იმაში, რომ შეუძლია ამ ნივთიერებების გამოყენება თავისი შეხედულებისამებრ. არავინ და არაფერი უშლის მას ხელს და ამის მიუხედავად, აბარებს მათ სათანადო ორგანოებს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირის ეს ვარაუდი (დაჯერებულობა) რეალურია თუ არა.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხლი 261-ე).

სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 261-ე მუხლები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ დანაშაულის საგნით. სხვა შემადგენლობა კი ემთხვევა ერთმანეთს. ამდენად, 261-ე მუხლის ანალიზისას ძირითადად შევეხებით ამ დანაშაულის საგანს.

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერებისა და მისი ანალოგის, ასევე ძლიერმოქმედი ნივთიერების კანონიერი ბრუნვის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობები და მოსახლეობის ჯანმრთელობა. დანაშაულის საგანია ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი და ძლიერმოქმედი ნივთიერება, რომელთა ბრუნვაზე დაწესებულია სახელმწიფო კონტროლი.

ფსიქოტროპული, ფსიქოაქტიური — ბერძნული წარმოშობის სიტყვაა. „ფსიქო“ ნიშნავს სულს, ხოლო „ტროპია“ — მიმართულებას. ამდენად, ფსიქოტროპულად ჩაითვლება ყველა ის წამალი თუ ნივთიერება, რომელიც უმეტესწილად ზეგავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და ცვლის გუნება-განწყობილებას.

ფსიქოტროპული ნივთიერებანი იწვევენ ადამიანის ფსიქიკური პროცესის სტიმულირებას ან, პირიქით, მის დეპრესიას, ზეგავლენას ახდენენ მის ემოციურ მდგომარეობაზე.

ფსიქოტროპული ნივთიერების დიდი უმრავლესობა მოიხმარება მედიცინაში, როგორც სამკურნალო საშუალება, მაგრამ მათი გამოყენება არასამედიცინო მიზნით საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი ამ ნივთიერებებს გამოიყენებს ჯანმრთელი პირი, ვისაც იგი არა აქვს ექიმის მიერ დანიშნული, ასეთ შემთხვევაში ადამიანის ფსიქიკა განიცდის სერიოზულ ცვლილებებს (ადამიანი ხდება ან არანორმალურად აგზნებული, ანდა, პირიქით, ვარდება დეპრესიულ მდგომარეობაში) და ნორმალური მდგომარეობის აღდგენას სჭირდება გარკვეული დრო. მართალია, ნარკოტიკული ნივთიერების მსგავსად, ფსიქოტროპული ნივთიერების ხშირი მიღება არ იწვევს მისდამი ბიოლოგიურ შეჩვევას, მაგრამ იწვევს ფსიქოლოგიური დამოკიდებულების (შეჩვევის) ჩამოყალიბებას. ამის გამო კი, პირი თანდათანობით კარგავს თავის სოციალურ ფუნქციებს და ხდება ამ ნივთიერების მონა.

საქართველოს სს კოდექსის XXXIII თავში მოხსენიებულ ფსიქოტროპულ ნივთიერებაში იგულისხმება არა მისი სამედიცინო, არამედ იურიდიული გაგება. კერძოდ, ამ ნივთიერებებს მიეკუთვნება ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაეროს კონვენციის შესაბამისად, შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული ნივთიერებების სიაში. ამ სიაში შეტანილი ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება საქართველოში აკრძალულია ექიმის დანიშნულების გარეშე. უფრო მეტიც, აკრძალულია ფსიქოტროპული ნივთიერების (როგორც ნარკოტიკული საშუალების) პროპაგანდა, ე.ი. მათი შემუშავების, მოხმარებისა და გამოყენების იდეის გავრცელება. ამ ნივთიერებათა შესახებ ინფორმაციის განთავსება ნებადართულია მხოლოდ მედიცინის მუშაკებისათვის განკუთვნილ ჯანდაცვის ორგანოების ოფიციალურ გამოცემაში.

ფსიქოტროპული ნივთიერების ანალოგი არის საქართველოში ბრუნვისათვის აკრძალული სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერება, რომელიც არ არის შეტანილი კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სიებში, მაგრამ მათი ქიმიური სტრუქტურა და ორგანიზმზე ფსიქოაქტიური მოქმედება მსგავსია კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ჩამონათვალში შეტანილი ფსიქოტროპული ნივთიერების ქიმიური სტრუქტურისა და ორგანიზმზე ფსიქოაქტიური მოქმედებისა.

სს კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის საგანია ძლიერმოქმედი ნივთიერება. ეს ნივთიერებები არ წარმოადგენენ არც ნარკოტიკულ და არც ფსიქოტროპულ ნივთიერებას. მართალია, ისინი ძირითადად სამედიცინო პრეპარატებია, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელმა მიზანშეწონილად ჩათვალა მათი თავისუფალი ბრუნვიდან ამოღება. ძლიერმოქმედ ნივთიერებად ჩაითვლება ისეთი ნივთიერება, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, თუკი: 1. მათი მიღება ხდება გადაჭარბებული დოზით; ან, 2. როდესაც ამ ნივთიერების მიმართ პირს გააჩნია სამედიცინო უკუჩვენება. ძლიერმოქმედი ნივთიერება განსხვავდება შხამიანი ნივთიერებისაგან, ანუ შხამისაგან. შხამი არის მცენარეული, ცხოველური, მინერალური ან ქიმიური სინთეზით მიღებული ნივთიერება, რომელიც ორგანიზმზე ახდენს ტოქსიკურ ზემოქმედებას და იწვევს მწვავე ან ქრონიკულ მოწამვლას (მაგ., გველის შხამი, ციანმჟავა, მეთილის სპირტი, ფუტკრის გასუფთავებული შხამი, ყვითელი ფოსფორი, ნატრიუმი და სხვ.)[1].

ვინაიდან შხამის ბრუნვისათვის პასუხისმგებლობა საქართველოს სს კანონმდებლობით დაწესებულია 249-ე მუხლით, რომელიც მოთავსებულია ამ კოდექსის XXXII თავში – დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ, ამ საკითხზე დაწვრილებით არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ განსხვავებას შხამებსა და ძლიერმოქმედ ნივთიერებას შორის. ეს განსხვავება ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ შხამის უმნიშვნელო დოზის მიღებაც კი იწვევს ორგანიზმის მოწამვლას და შესაძლოა დადგეს სიკვდილი. ამდენად, შხამი არ გამოიყენება მედიცინაში, როგორც სამკურნალო საშუალება. რაც შეეხება ძლიერმოქმედ ნივთიერებას, მისი მიღება ექიმის მიერ დანიშნული დოზითა და სამედიცინო უკუჩვენების არარსებობისას, არ უქმნის საფრთხეს ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და, ამდენად, ეს პრეპარატები გამოიყენება მედიცინაში სამკურნალოდ. მაგალითად, გველის შხამი არის შხამიანი ნივთიერება და იგი სამკურნალოდ არ გამოიყენება, ხოლო გველის შხამზე დამზადებული სამედიცინო პრეპარატი (აბი) ჩაითვლება ძლიერმოქმედ ნივთიერებად. ძლიერმოქმედ ნივთიერებებს მიეკუთვნება:

1 ჩამონათვალი შედგენილი უნდა იყოს ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ 1971 წლის გაეროს კონვენციისა და 1988 წლის კონვენციის შესაბამისად.

ამიზილი, ბარბიტალი, დიაზეპამი (სედუქსენი), ალობარბიტალი, დიმედროლი ეფედრინით, ფსევდოეფედრინი, ქლოროფორმი, სამედიცინო ეთერი (ნარკოზის ეთერი) და სხვ. რიგ შემთხვევაში, რომ განისაზღვროს უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნივთიერების სახეობა და მისი თვისებები, უნდა დაინიშნოს სპეციალური ექსპერტიზა. ამის აუცილებლობა წარმოიშობა მაშინ, როცა გამოძიების მიერ ამოღებული ნივთიერება არაა ქარხნული წესით შეფუთული და მასზე არ არსებობს სათანადო ეტიკეტი: ანდა ეტიკეტზე დაფიქსირებული წარწერა არ იკითხება ან არ ემთხვევა სპეციალურ სიაში ჩამოთვლილ დასახელებებს და გასარკვევია, არის თუ არა ეს დასახელება მისი სინონიმი. ძლიერმოქმედი ნივთიერების ხშირი გამოყენება ექიმის დანიშნულების გარეშე იწვევს არა მარტო ორგანიზმის სხეულებრივი ჯანმრთელობის (ე.ი. ფიზიოლოგიური ფუნქციის) არსებით მოშლას, არამედ ისეთი ავადმყოფობის განვითარებას, რომელსაც მედიცინაში ეწოდება ტოქსიკომანია. ტოქსიკომანია არის მთელი რიგი დაავადებების კრებითი სახელი, რომელიც ხასიათდება არანარკოტიკული ან არაფსიქოტროპული სამედიცინო სტატუსის მქონე ნივთიერებებისა და საშუალებებისადმი მზარდი, დაუძლეველი სურვილით, მათ მიმართ განვითარებული ფსიქიკური ან ფიზიკური დამოკიდებულების გამო.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ პირსაც.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (მუხლი 262-ე).

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მოსახლეობის ჯანმრთელობა და ზნეობა. ამ დანაშაულის ჩადენითვე შეიძლება საფრთხე შეექმნას იმავე ობიექტებს – მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ზნეობას (მხედველობაში გვაქვს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის შემთხვევა).

საქართველოს სს კანონმდებლობით ნარკოტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერება არ წარმოადგენს სს კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანს. სს კოდექსის 262-ე, 263-ე მუხლების შემოღებით კანონმდებელმა 214-ე მუხლიდან ამოიღო ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი, ფსიქოტროპული ნივთიერება და მისი ანალოგი.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება:

ა) საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანაში; 2. ამავე ნივთიერებების უკანონოდ გატანაში; ან გ) მათივე გადაზიდვაში საერთაშორისო ტრანზიტით.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალება, პრეკურსორი შეიძლება შემოტანილ ან გატანილ იქნეს კანონიერადაც და უკანონოდაც. შემოტანა კანონიერი იქნება მაშინ, თუ იგი ხორციელდება კანონის მოთხოვნათა დაცვით. კერძოდ, შემოტანა უნდა განახორციელოს იურიდიულმა პირმა ან სახელმწიფო დაწესებულებამ შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, სახელმწიფო კვოტის ან ლიმიტის ფარგლებში, საქართველოს კანონის „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების პრეკურსორებისა და ნარკოტიკული დახმარების შესახებ“ შესაბამისად, აგრეთვე ამ კანონის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შემოტანამდე (გატანამდე) შემომტანი (გამტანი) იურიდიული პირი ვალ-

დებულია მიიღოს წინასწარი ნებართვა, რომელსაც გასცემს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ამ ნივთიერებების გატანის შემდეგ ჯანდაცვის სამინისტრო ხმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოდან საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული წესით მოითხოვს ინფორმაციას გატანილი ნივთიერების რაოდენობისა და დანიშნულების ადგილამდე მიტანის შესახებ. ასევე, პირიქით, იგივე სამინისტრო კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შემოტანის შემდეგ ექსპორტიორი ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოს აწვდის ინფორმაციას შემოტანილი ნივთიერების რაოდენობის შესახებ, ხოლო საბაჟო ორგანოები აფიქსირებენ შემოტანილი (გატანილი) ნივთიერების რაოდენობას და ინფორმაციას უგზავნიან საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს.

2002 წლის კანონით „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე იმ საბაჟო პუნქტების ნუსხას, საიდანაც ნებადართული იქნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემოტანა და გატანა. იმ საბაჟო პუნქტებს, რომლებიც არ მოხვდებიან ამ ნუსხაში, აეკრძალებათ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გატარება საქართველოს საზღვარზე.

საქართველოში სტიქიური უბედურების ან სხვა საგანგებო სიტუაციების დროს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შემომტანი ან გამტანი იურიდიული პირები არ საჭიროებენ წინასწარ ნებართვას. თუმცა ამ დროს შემოტანილი ნივთიერების ლეგალურ ბრუნვაზე ვრცელდება კანონით გათვალისწინებული კონტროლის რეჟიმი.

სს კოდექსის 262-ე მუხლით დასჯადია ამ ნივთიერებების არა კანონიერი, არამედ უკანონო შემოტანა ან გატანა, ე.ი. ამ ნივთიერების გატანა ან შემოტანა კანონის ზემოხსენებულ მოთხოვნათა დარღვევით. უკანონო გატანა ან შემოტანა ძირითადად შეიძლება განხორციელდეს იმ ხერხებით, რაც გათვალისწინებულია სსკ 214-ე მუხლის 1-ლი ნაწილით — საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა. ეს ხერხებია: საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის გაფატანა ან გადმოტანა, თუ იგი ჩადენილია სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის

საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემის შეტანით.

თუმცა ქმედებას 262-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის არაა აუცილებელი ამ ხერხების გამოყენება. მთავარია, ნარკოტიკების შემოტანა-გატანა მოხდეს სპეციალური ნებართვის გარეშე.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანა ან უკანონო გატანა, ხდება ეკონომიკურ საზღვარზე ამ ნივთების გადატან-გადმოტანით, ხოლო საქართველოს ეკონომიკურ საზღვარს შეადგენს საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიის ფარგლები, აგრეთვე თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების პერიმეტრები.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის შემოტანა ან საქართველოდან უკანონოდ გატანა შეიძლება ჩადენილ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მიერ განსაზღვრული ადგილების მიღმა ან იმ საბაჟო პუნქტების მეშვეობით, რომლებიც სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შედგენილ ნუსხაში არ არიან შეტანილნი, ანდა არა იმ დროს, როცა წარმოებს საბაჟო გაფორმება (სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით). იგივე დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს სახელმწიფო კონტროლისაგან მალულად, ე.ი. სხვადასხვა სამალავში მათი მოთავსებით, რაც აძნელებს ამ ნივთიერებების აღმოჩენას.

დოკუმენტის მოტყუებითი გამოყენება გულისხმობს როგორც ყალბი დოკუმენტის, აგრეთვე უკანონოდ მიღებული დოკუმენტის წარდგენას კონტროლის ორგანოებისათვის. გაყალბებული შეიძლება იყოს დოკუმენტი, ასევე მისი მხოლოდ ნაწილი (მაგალითად, გაყალბებულია ნარკოტიკული საშუალების წონა). როდესაც პირმა თვითონ დაამზადა ყალბი დოკუმენტი და მისი გამოყენებით უკანონოდ შემოიტანა საქართველოში ან გაიტანა ნარკოტიკული საშუალება, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა რეალური ერთობლიობით.

დოკუმენტის მოტყუებით გამოყენება გვექნება მაშინაც, როცა იგი არაა ყალბი, მაგრამ მიღებულია უკანონოდ. მაგალითად, იურიდიული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება კანონის მოთხოვნათა დაცვით საქართველოში შემოიტანოს ნარკოტიკული საშუალება, უკანონოდ მიღებული დოკუმენტის საშუალებით ახდენს მის შემოტანას. დოკუმენტი ჩაითვლება უკანონოდ მიღებულად, როცა იგი გაცემულია, მართალია, სათანადო

ორგანოების მიერ, მაგრამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, მაგალითად, სახელმწიფო დაკვეთის არარსებობისას, ანდა ლიცენზია გაცემული იყო იმ პირზე, ვისზედაც მისი გაცემა კანონით არ შეიძლებოდა.

საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენება ნიშნავს ფალსიფიცირებული პლომბის, ლუქის, ბეჭდის, შტამპის ან მარკირების სხვა საშუალების გამოყენებას.

ამდენად, საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების მოტყუებითი გამოყენება გვექნება მაშინ, როცა პირი ფალსიფიცირებულ საიდენტიფიკაციო ნიშანს (მაგალითად, შტამპს) დაუსვამს ეკონომიკურ საზღვარზე გადასატან ნივთს — ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს ან პრეკურსორს.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენა დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით სახეზეა მაშინ, როცა პირს საბაჟო დეკლარაციაში შეაქვს არასწორი მონაცემი საქართველოში შემოსატანი ან საქართველოდან გასატანი ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის შესახებ. (მაგალითად, მიუთითებს, რომ არ გადააქვს ეს ნივთიერება).

იშვიათ შემთხვევაში უკანონო შემოტანა-გატანა შეიძლება განხორციელდეს დადგენილი წესის დარღვევის გარეშეც. მაგალითად, საქართველოში შემოაქვს ნარკოტიკული საშუალება სათანადო ნებართვის გარეშე, მაგრამ არ მალავს მას, არც ყალბ დოკუმენტებს იყენებს და ა.შ. თუმცა პრაქტიკულად ასეთი შემთხვევები თითქმის გამორიცხულია.

სსკ 262-ე მუხლში მოცემული ფორმულირება „უკანონო გატანა“ და „უკანონო შემოტანა“ გულისხმობს არა მარტო კანონით დადგენილი პირობების დაუცველობას ამ ნივთიერებათა გადატანისათვის, არამედ საბაჟო წესის დარღვევასაც და ამ შემთხვევაში დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 214-ე მუხლით საჭირო არ არის. ე.ი. სსკ 262-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში: 1) როცა ადგილი აქვს დადგენილი წესის დარღვევით იმ ნარკოტიკული საშუალების გატანა-შემოტანას, რისთვისაც პირს არ გააჩნდა სათანადო სახელმწიფო ნებართვა; 2) ანდა სათანადო წესის დარღვევის გარეშე ნარკოტიკული საშუალების გადატანა ან შემოტანა მაშინ, როცა პირს მათი საქართველოდან გატანის ან შემოტანისათვის არ გააჩნია კანონით დადგენილი ნებართვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო შემოტანა დამთავრებულია მაშინ, როცა პირი

მოახერხებს ამ ნივთიერების შემოტანას საქართველოში, ე.ი. გადმოლახავს ეკონომიკურ საზღვარს.

ამ ნივთიერების საქართველოდან უკანონო გატანა დამთავრებულია მაშინ, როცა პირი მოახერხებს საქართველოს საზღვრების გადალახვას და გადაიტანს მას საქართველოს საზღვრებს იქით. ამიტომ, როცა პირს ნარკოტიკული საშუალების გადატანისას დააკავებენ სახელმწიფო კონტროლის ტერიტორიაზე, 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული — მათი უკანონო გატანა საქართველოდან არაა დამთავრებული. ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მცდელობა (მე-19, 262-ე მუხ.).

ამდენად, როცა ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანას საქართველოში სხვა ქვეყნიდან, საქართველოს ეკონომიკური კონტროლის ტერიტორიაზე პირის დაკავებისას დანაშაული უკვე დამთავრებულია. ხოლო, როცა პირს საქართველოდან უკანონოდ გააქვს ეს ნივთიერება, საქართველოს სახელმწიფო კონტროლის ტერიტორიაზე მისი დაკავებისას ადგილი აქვს დანაშაულის მცდელობას, რადგან ნივთიერება საქართველოდან ჯერ არაა გატანილი.

სწორედ ასე უნდა იქნეს გაგებული „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთირებების, პრეკურსორებისა და ნარკოტიკული დახმარების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ყ“ პუნქტი, სადაც განმარტებულია, რომ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოში შემოტანა ნიშნავს ამ ნივთიერების გადმოტანას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან საქართველოს საბაჟოს ტერიტორიაზე, ხოლო ნივთიერების გატანა — მათ გადატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. რაც შეეხება ამ ქმედების ადგილს, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კვალიფიკაციისათვის. კერძოდ, უკანონო გატანა ან შემოტანა უნდა მოხდეს ან საქართველოს ტერიტორიიდან მისი საზღვრის გადაკვეთით სხვა ქვეყნის ტერიტორიისაკენ, ანდა პირიქით, უცხო ქვეყნის ტერიტორიიდან საქართველოს საზღვრის გადმოკვეთით საქართველოში ამ ნივთიერების შემოტანა. თუ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გადაადგილება არაა დაკავშირებული საქართველოს საზღვრის გადაკვეთასთან, მაშინ ქმედება არ დაკვალიფიცირდება სსკ 262-ე მუხლით — უკანონო შემოტანა ან უკანონო გატანა. ამგვარი ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს ნარკოტიკული

საშუალებების უკანონო გადაზიდვით, გადაგზავნით ან საქმის ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით – უკანონო შენახვით. თუ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანას საქართველოში ან მის უკანონო გატანას წინ უსწრებდა ამ ნივთიერებების უკანონო შეძენა, დამზადება, წარმოება და სხვა დასჯადი ქმედება, (რაც უტყუარად უნდა იქნეს დამტკიცებული საქმის მასალებით და არა სავარაუდოდ), კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 260-ე და 262-ე მუხლებით. სსკ 262-ე მუხ. არ შთანთქავს 260-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებს, ეს ქმედებები არაა 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მოსამზადებელი სტადიაა, რადგან 260-ე მუხ. გათვალისწინებული არის განსაკუთრებით მძიმე, ხოლო 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული კი – მძიმე დანაშაულია.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: ის ფაქტი, რომ ნარკოტიკის საქართველოში უკანონო შემომტანს არ აღმოაჩნდება ამ ნივთიერების კანონიერად შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი, თავისთავად არაა საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ მან ეს ნივთიერება უკანონოდ შეიძინა, ეი. საკმარისი არაა იმისთვის, რომ მისი ქმედება 262–ე მუხლთან ერთად დავაკვალიფიციროთ სსკ 260–ე მუხლით (უკანონო შეძენა). ეს იმიტომ, რომ საერთოდ ნარკოტიკული საშუალების (ისევე როგორც სპეც კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთების) უკანონოდ ხელში ჩაგდების სხვადასხვა გზა არსებობს. ესენია: 1. უკანონო დამზადება; 2. უკანონო წარმოება; 3. უკანონო შეძენა (260 მუხლის ალტერნატიული ქმედებები); 4. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება (ქურდობით, ძარცვით, თაღლითობით, მითვისებით, ყაჩაღობით) ან გამოძალვა (სსკ 264–ე მუხლის ალტერნატიული ქმედებები).

სასამართლომ რომელიმე მათგანი (მაგალითად, უკანონო შეძენა) რომ შერაცხოს პირს ბრალად, ამისათვის მას ხელთ უნდა ჰქონდეს უტყუარი მტკიცებულობები. ასეთ უტყუარ მტკიცებულებად ვერ გამოდგება ის ფაქტი, რომ პირს არა აქვს ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამიტომ პირის ქმედება სსკ–ს 262–ე მუხლთან ერთად არ უნდა დაკვალიფიცირდეს 260–ე მუხლის ერთობლიობით.

განსახილველ მუხლში გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა.

საერთოდ, საერთაშორისო ტრანზიტში იგულისხმება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ხმელეთი, წყალი ან საჰაერო სივრცე) სხვა სახელმწიფოს ფიზიკურ პირთა, ტვირთის ან სატრანსპორტო საშუალებათა მსვლელობა.საერთაშორისო ტრანზიტი არის გზის ნაწილი, რომელიც იწყება და მთავრდება ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, ე.ი. ამ მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით მიემართება სხვა სახელმწიფოსკენ. საერთაშორისო ტრანზიტი ხორციელდება დაინტერესებულ სახელმწიფოთა მრავალმხრივი ან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

საქართველოს კანონმდებლობით მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვის მიზნით, საქართველოში აკრძალულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის (ასევე ფსიქოტროპული ნივთიერებების) ტრანზიტი. სსკ 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დისპოზიციიდან აშკარად ჩანს, რომ არ არსებობს ზემოხსენებულ ნივთიერებათა საერთაშორისო ტრანზიტით კანონიერი გადაზიდვა. ასეთი გადაზიდვა ყველა შემთხვევაში უკანონოა და იგი იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. აღნიშნული ქმედება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, როცა პირი სხვა სახელმწიფოდან საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყებს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ტრანზიტით გადაზიდვას.

ამ დანაშაულის შემადგენლობა არა გვაქვს მაშინ, როცა კომპეტენტური ორგანოები ახორციელებენ ე.წ. კონტროლირებად მიწოდებას. ამგვარი მიწოდების მეთოდი რეგლამენტებულია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის შესახებ 1988 წლის გაეროს კონვენციაში (მუხლი მე-11).

კონტროლირებადი მიწოდების დროს კომპეტენტური ორგანოების მეთვალყურეობის ქვეშ ხდება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანა, გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა. ამ ოპერაციის მიზანია, გამოვლინდნენ დანაშაულის სხვა თანამონაწილენი. ამდენად, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ აღმოჩენილი ნარკოტიკებზის ამოღებით.

განსახილველი დანაშაულის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე ან უცხოელი პირი.

სუბიექტური მხრივ იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ გან-

ზრახ, კერძოდ, პირდაპირი განზრახვით. ე.ი. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს რომ კანონით დადგენილი წესების დარღვევით შემოაქვს საქართველოში ან, პირიქით, გააქვს საქართველოდან ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი ან პრეკურსორი, ან შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ეწევა ამავე ნივთიერების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვას და სურდეს ეს.

რაც შეეხება მოტივსა და მიზანს, იგი მუხლის დისპოზიციაში არაა დაფიქსირებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ არ გააჩნიათ მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. ამ დანაშაულის მოტივი და მიზანი სასამართლომ უნდა დაადგინოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განსახორციელებლად. უმეტეს შემთხვევაში განსახილველი დანაშაული ანგარებითაა ჩადენილი და მისი მიზანიც მატერიალური გამორჩენის მიღებაა. თუმცა არაა გამორიცხული სხვა პირადი მოტივიც.

სსკ 262-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები, მთლიანად ემთხვევა სსკ 260-ე მუხლით გათვალისწინებულ კვალიფიციურ შემადგენლობას. ამდენად, მათ განხილვას აქ არ შევუდგებით, მოკლედ შევჩერდებით მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე. ესაა მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული **დამამძიმებელი გარემოება – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება**.

როგორც ვხედავთ, აქ კანონმდებელი არ აკონკრეტებს იმ პირთა წრეს, ვინც ბოროტად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას (განსხვავებით საბაჟო წესის დარღვევისაგან). ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში სამსახურებრივი მდგომარეობა შეიძლება გამოიყენოს არა მარტო მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა, არამედ სხვა პირმაც, ვინც კი მოახერხებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანის, უკანონოდ გატანის ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვისას. ასეთ პირებად შეიძლება ჩავთვალოთ უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლები საქართველოში. ასევე კერძო ორგანიზაციის ხელმძღვანელები და წარმომადგენლები.

ვინაიდან უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომაგენელს კანონით უფლება აქვს გადაიტანოს ტვირთი საბაჟო შემოწმების გარეშე, მას აქვს ფაქტობრივი შესაძლებლობა უკანონოდ შემოიტანოს ან გაიტანოს საქართველოდან ზემოთ მითითებული ნარკოტიკული საშუალება და ამ

შემთხვევაში იგი იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას. მართალია, ეს პირები სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტის უფლებით, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მათთვის საქართველოს სისხლის სამართლის კანონით იშვიათ შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებას. მხედველობაში გვაქვს შემთხვევა, როცა სახელმწიფოთა შეთანხმებით შეიძლება პირს მოეხსნას დიპლომატიური იმუნიტეტი და მან პასუხი აგოს იმ ქვეყნის კანონით, სადაც ჩაიდინა დანაშაული. ე.ი. არაა გამორიცხული სსკ 262-ე მუხლის სუბიექტად მოგვევლინოს უცხო ქვეყნის დიპლომატი, რომელსაც მოეხსნა დიპლომატიური იმუნიტეტი.

სამსახურებრივი მდგომარეობა შეიძლება გამოიყენონ ასევე ამა თუ იმ ორგანიზაცია-დაწესებულებათ ტექნიკურმა მუშაკებმა, რომლებიც არ არიან მოხელეები ან მასთან გათანაბრებული პირები.

ასეთ პირებად შეიძლება ჩაითვალონ სატვირთო მანქანის მძღოლები, მატარებლის მემანქანეები, მფრინავები, რომლებიც იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას ამ დანაშაულის ჩასადენად.

მოხელეებს ან მასთან გათანაბრებულ პირებს უნდა მივაკუთვნოთ ისინი: ა) რომლებსაც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობა აძლევთ უფლებას, გადაიტანონ ან შემოიტანონ ტვირთი შემოწმების გარეშე; ბ) ვინც ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს; გ) ვისაც აქვთ უფლება გასცენ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის კანონიერი გატანის ან საქართველოში კანონიერი შემოტანისათვის საჭირო დოკუმენტები. ამდენად, იყენებენ რა ამ შესაძლებლობას, ადგენენ სათანადო დოკუმენტებს მაშინ, როცა საამისო საფუძველი არ არსებობს და ამ გზით თავად გადააქვთ უკანონოდ ნარკოტიკული საშუალება საქართველოდან.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ პირსაც.

საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (მუხლი 263-ე).

განსახილველი დანაშაულისა და 262-ე მუხლის შემადგენლობები ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. ამდენად, მათ დაწვრილებით განხილვას ჩვენ აქ არ შევუდგებით. შევეხებით მხოლოდ მათ შორის განსხვავებებს. ძირითადი განსხვავება ამ ორ დანაშაულს შორის არის დანაშაულის საგანში: 263-ე მუხლის საგანია ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება. თანაც, განსხვავებით 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილისაგან, აქ დანაშაულის შემადგენლობა მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ ეს ნივთიერებები დიდი ოდენობითაა შემოტანილი ან გატანილი საქართველოდან, ანდა გადაზიდულია საერთაშორისო ტრანზიტით. ასეთი განსხვავება 262-ე და 263-ე მუხლების 1-ლი ნაწილების შემადგენლობებს შორის განპირობებულია იმით, რომ მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი საზოგადოებრივი საშიშროება. ეს კი აიხსნება არა მარტო ამ დანაშაულთა საგნის თვისებრივი სხვადასხვაობით, არამედ ამ ორ ნორმაში გათვალისწინებულ ქმედებათა გავრცელებადობის სხვადასხვა ხარისხით.

ამდენად, როცა საქართველოში უკანონოდ შემოტანილი ან გატანილი ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება არ აღწევს დიდ ოდენობას, პირი პასუხს არ აგებს სსკ 263-ე მუხლით.

263-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია ამავე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა ჯგუფურად. როგორც ვხედავთ, განსხვავებით სსკ 262-ე მუხლისაგან, აქ დამამძიმებელ გარემოებად ცალკე არაა გამოყოფილი ამ ქმედებების ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ორგანიზებული ჯგუფის მიერ. კანონმდებლის ეს პოზიცია რამდენადმე გამართლებულია, რამდენადაც საქართველოში ნაკლებადაა გავრცელებული ამ დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით და მით უმეტეს, ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როცა წინასწარ შეთანხმებით პირთა ჯგუფი ერთდროულად ეწევა როგორც ნარკოტიკულ საშუალებათა, ისე ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო გატანას ან შემოტანას საქართველოში, მათი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით (სსკ 262-ე და 263-ე მუხლების შესაბამისი ნაწილებით).

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის იურიდიულ პირსაც ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა (მუხლი 264-ე).

ზემოთ განხილული მუხლებისაგან განსხვავებით (260-261-ე და 262-263-ე მუხლები), აქ ერთ ნორმაშია თავმოყრილი ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერება. კანონმდებლის ასეთი პოზიცია გამართლებულია იმით, რომ განსახილველი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა იმდენად დანაშაულის საგანს, არამედ მისი მართლსაწინააღმდგო დაუფლების ხერხსა და საშუალებას.

სწორედ ამიტომ ქმედების სს კოდექსის 264-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს მისაკუთრებული ნარკოტიკული საშუალების ოდენობას. კერძოდ, ივი შეიძლება იყოს მცირეც.

ამ დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტებია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რაც მოწესრიგებულია ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებისადმი მოპყრობისა და შეძენის კანონით დადგენილი წესით, ასევე საკუთრებითი ურთიერთობანი, რომელიც დაკავშირებულია ამ ნივთიერების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებასთან. დანაშაულის დამატებით ობიექტად უნდა ჩაითვალოს ადრეთვე ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. სწორედ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტთა ამგვარი სიმრავლე განსაზღვრავს ამ დანაშაულის მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას.

264-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება: ა) ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში ან ბ) ამავე ნივთიერების გამოძალვაში.

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება გულისხმობს იმ ხერხების გამოყენებას, რაც გათვალისწინებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, ე.ი. კანონმდებელმა ნარკოტიკული საშუალება და 264-ე მუხლში მითითებული სხვა ნივთიერება ამოიღო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა (თავი XXV) საგნების სიიდან და შექმნა სპეციალური ნორმა ნარკოტიკულ დანაშაულთა თავში. ამგვარი პოზიცია გამართლებულია ნარკოტიკული დანაშაულებისაგან სისხლის-სამართლებრივი დაცვის ობიექტის თავისებურებით და მისი განსხვავებით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ობიექტისაგან.

სსკ 264-ე მუხლში მითითებულ ნივთიერებათა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება შეიძლება განხორციელდეს: 1. ქურდობით, ე.ი. ამ ნივთიერებათა ფარული დაუფლებით; 2. ძარცვით, ე.ი. ამ ნივთიერებების აშკარა დაუფლებით, მაგრამ იმ ძალადობის გამოყენება, რაც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ასევე ასეთი ძალადობის მუქარა გათვალისწინებულია არა 264-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, არამედ მე-2 ნაწილის „ვ“ პუნქტში; 3. თაღლითობით, ე.ი. ამ ნივთიერების მიღება მოტყუებით; მაგალითად, პირმა ყალბი დოკუმენტის წარდგენით აფთიაქიდან მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა ნარკოტიკული საშუალება, თავი გაასაღა რა ონკოლოგიური საავადმყოფოს წარმომადგენლად. მაგრამ, როდესაც ყალბი დოკუმენტის წარმოდგენისას პირი ეუფლება ნარკოტიკულ საშუალებას სათანადო ღირებულების გადახდით (მაგალითად, ყალბი რეცეპტის წარდგენით აფთიაქიდან გატანილ იქნა ნარკოტიკული საშუალება ღირებულების გადახდის შემდეგ), აქ ადგილი აქვს არა ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას, არამედ მათ უკანონო შეძენას (სსკ 260-ე მუხლის 1-ლი ნაწ.). ამასთანავე, თუკი პირმა თვითონ დაამზადა ყალბი დოკუმენტი ან ყალბი რეცეპტი, მისი ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციას არ საჭიროებს, რადგან სსკ 267-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას პირის მიზანია ამ ყალბი დოკუმენტის გასაღება სხვა პირზე და არა ყალბი

დოკუმენტის თავად გამოყენება. 4. მითვისებით, იმ კერძო პირის მიერ, ვისაც ეს ნივთიერება მინდობილი ჰქონდა მართლზომიერად (მაგალითად, ავადმყოფის მომვლელის მიერ).

როდესაც მითვისებას ახორციელებს პირი, ვისაც ნარკოტიკული საშუალება სამსახურებრივად აქვს მინდობილი, ქმედება დაკვალიფიცირდება 264–ე მ. III ნ. „ა“ ქვეპუნქტით. 5. ყაჩაღობით (264–ე მუხლ. IV ნ. „გ“ ქვეპუნქტით), ე.ი. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

აქვე ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ნარკოტიკულ საშუალებათა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება და უკანონო შეძენა (სსკ 260-ე მუხლის 1-ლი ნაწ.):

1. უკანონო შეძენის დროს ნარკოტიკული საშუალება (ან კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერება) შეიძლება არც იმყოფებოდეს კონკრეტული იურიდიული თუ ფიზიკური პირის საკუთრებასა ან მფლობელობაში. ამ ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება კი უნდა მოხდეს იურიდიული თუ ფიზიკური პირის მფლობელობიდან ან საკუთრებიდან მისი ამოღების გზით. მაგალითად, როდესაც პირი ეუფლება ნარკოტიკულ საშუალებას ფარულად კონკრეტული პირის ბინიდან, ადგილი აქვს ნარკოტიკულ საშუალებათა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას. მაგრამ, როცა იგივე პირი ღია ცის ქვეშ ბუნებრივად გაზრდილ ნარკოტიკული საშუალების შემცველ მცენარეებს აგროვებს, ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალებების უკანთნო შეძენას.

2. როდესაც ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო ამოღება ხდება მისი მფლობელისაგან მისივე ნებართვითა და მასთან შეთანხმებით, საქმე გვაქვს უკანონო შეძენასთან. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება (სსკ 264-ე მუხლი) გვექნება, როცა პირი უსასყიდლოდ, მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ ახდენს ამ ნივთიერებების ამოღებას.

3. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისას ეს ნივთიერებები არა მარტო იმყოფება ამა თუ იმ პირის მფლობელობასა ან საკუთრებაში, არამედ მასზე დახარჯული უნდა იყოს ადამიანის შრომა, ე.ი. მას უნდა გააჩნდეს მატერიალური ღირებულება, ხოლო ამ ნივთიერებათა უკანონო შეძენისას არა აქვს მნიშვნელობა, მათ გააჩნიათ მატერიალური ღირებულება თუ არა[1].

1 დაწვრილებით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების საგანზე იხ. მ. ლეკვეიშვილი,

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნარკოტიკული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას ადგილი აქვს მაშინ, როცა: 1) ეს ნივთიერება იმყოფება კონკრეტული პირის მფლობელობაში ან საკუთრებაში; 2) მას გააჩნია მატერიალური ღირებულება; 3) მისი მისაკუთრება ხდება უსასყიდლოდ და მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ; 4) პირს არა აქვს კანონიერი უფლებამოსილება დაეუფლოს ამ ნივთიერებას. ოთხივე ეს პირობა უნდა არსებობდეს ერთდროულად და ერთ-ერთის მათგანის არარსებობა გამორიცხავს ქმედების კვალიფიკაციას სსკ 264-ე მუხლით.

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება (მათ შორის ყაჩაღური თავდასხმით განხორციელებულიც – IV ნ. „გ“ ქვ.) დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, როცა პირი უკანონოდ დაეუფლება ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას და მიეცემა იმის შესაძლებლობა, რომ თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს ისინი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ამ დანაშაულის მცდელობით.

სსკ 264-ე მუხლის შემადგენლობაში საერთოდ არაა გათვალისწინებული კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გაფლანგვა. თუკი პირი, ვისაც კანონიერი გზით მინდობილი აქვს ეს ნივთიერება და უკანონოდ გაასხვისებს მას იმ პირზე, ვისაც არა აქვს მათი შეძენის უფლება, ადგილი ექნება კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების არა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას (264-ე მუხ.), არამედ მის უკანონო გასაღებას (სსკ 260-ე ან 261-ე მუხლები).

კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გამოძალვას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირი წაუყენებს რა ამ ნივთიერების გადაცემის მოთხოვნას დაზარალებულს, ემუქრება მას, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გამოიყენებს ძალადობას თვით დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, გაანადგურებს ან დააზიანებს მათ ნივთს, გაახმაურებს სახელგამტეხ ცნობას ან სხვა ისეთ ცნობას, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს დაზარალებულის უფლებები, ე.ი. გამოძალვისათვის გამოყენებული უნდა იყოს ის ხერხები, რაც გათვალისწინებულია სსკ 181-ე

გ. მამულა- შვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის, თბ., 1999, გვ. 6-12; ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, მეორე ტომი, თბ., 2001, გვ. 13-15; Гаухман Л.Д., Максимов С.В., Преступления в сфере экономичесой деятельности. М., 1988, с. 102.

მუხლში – გამოძალვა[1]. ეს ქმედება დამთავრებულად ჩაითვლება მოთხოვნის წაყენების მომენტიდან, ე.ი. ფორმალური დანაშაულია. ამასთანავე, განსხვავებით კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისაგან, აქ დაზარალებულად შეიძლება მოგვევლინონ არა მარტო ის პირები, ვის საკუთრებაში ან მფლობელობაშიც იმყოფება ეს ნივთიერება, არამედ ის პირებიც, ვისაც სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ხელი მიუწვდებათ მათზე. მაგალითად, დამნაშავემ ონკოლოგიური საავადმყოფოს მედდას წაუყენა მოთხოვნა, რომ გარკვეულ ვადაში გადასცეს ნარკოტიკული საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა შვილის მკვლელობით. პირს კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებაზე შეიძლება ხელი მიუწვდებოდეს ასევე მის მიერ განხორციელებულ წარმოების პროცესთან დაკავშირებით. ამდენად, გამოძალვისას დაზარალებული შეიძლება იყოს პირი, ვინც კანონიერად ამზადებს კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას (მაგალითად, ძლიერმოქმედ ნივთიერებას).

ამდენად, სსკ 264-ე მუხლი არის ნაწილობრივ მატერიალური (მისაკუთრება) და ნაწილობრივ ფორმალური (გამოძალვა) დანაშაული.

პირის ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, როდესაც მან გამოძალვით ვერ მიაღწია მიზანს და სისრულეში მოიყვანა თავისი მუქარა. კერძოდ, სსკ 264-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით იმ დანაშაულით, რაც მან ჩაიდინა.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ყველა შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი.

სუბიექტური მხრივ დანაშაული პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ სათანადო კანონიერი ნებართვის გარეშე ამა თუ იმ ხერხით ისაკუთრებს 264-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ჩამოთვლილ ნივთიერებათაგან თუნდაც ერთ-ერთს, ან სჩადის ამ ნივთიერების გამოძალვას. ამასთან სახეზეა სპეციალური განზრახვა.

როგორც სსკ 237–ე მუხლის განმარტებისას აღვნიშნეთ, იურიდიულ

---

1 გამოძალვაზე იხ. მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42-45, ზ. წულაია, დასახ. ნაშრ., გვ. 80-88. Сафонов В.Н. Организованное вымогательство. Уголовно-правовой и криминологический анализ, с. III-137; Курс Уголовного права, т.3, под ред. Борзенкова Г.Н. и Комиссарова В.С. Особенная часть, М., 2002, с. 454-460; Комментарий к уголовному кодексу Российсой Федерации, отв. ред. проф. А.В. Наумов, М., 2000, с. 439-443.

ლიტერატურაში სპეციალურ განზრახვად მიჩნეულია ისეთი შემთხვევა, როცა პირი განზრახ ეუფლება ისეთ მოძრავ ნივთს, რომელსაც მატერიალური ღირებულება არ გააჩნია (მაგალითად, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა)[1].

სპეციალურ განზრახვას არსი უფრო ფართოდაც უნდა გავიგოთ. კერძოდ, აქ უნდა მოვიაზროთ ისეთი ნივთების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, რომელიც ამოღებულია თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან და მათზე დაწესებულია სპეც. კონტროლი (მაგალითად, ნარკოტიკული საშუალება). ამასთან ერთად, მეორე აუცილებელი პირობაა ის, რომ ამ ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის პასუხისმგებლობა დაწესებული უნდა იყოს არა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავით,არამედ სსკ სხვა თავის შესაბამისი მუხლით (მოცემულ შემთხვევაში ნარკოტიკულ დანაშაულთა თავის 264=ე მუხლით).

აქედან გამომდინარე,პირს მხოლოდ არ უნდა შეერაცხოს ნარკოტიკის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (264 მ.),როცა მოძრავი ნივთის ამოღება მოხდა ისეთი ადგილიდან, სადაც დამნაშავე ელოდებოდა მხოლოდ თავისუფალ ბრუნვაში მყოფ ნივთს. მაგალითად, პირმა მატარებლის ვაგონში მგზავრს ხელჩანთა მოპარა,სადაც მან სხვა ნივთებთან ერთად ნარკოტიკიც აღმოაჩინა. თუ მან ეს ნარკოტიკი გადააგდო, ან ისევ უკან დააბრუნა, ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ მას ნარკოტიკის დაუფლების სპეც. განზრახვა არ ჰქონია. მაგრამ თუკი მან ეს ნარკოტიკი დაიტოვა,ეს იმას ნიშნავს,რომ მისთვის იმთავითვე სულერთი იყო,რა ნივთს დაეუფლებოდა ფარულად – ნარკოტიკს თუ სხვა ნივთს. ამდენად, მას ქურდობასთან ერთად ბრალად უნდა შეერაცხოს ნარკოტიკის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაც (177–ე და 264–ე მუხლები).

დანაშაულის მოტივი და მიზანი ნორმის დისპოზიციაში არაა მითითებული. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ დადგენას მნიშვნელობა აქვს არა ქმედების კვალიფიკაციისათვის, არამედ სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. მოტივი შეიძლება იყოს ანგარება, პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და სხვ.

განსახილველი დანაშაულის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებში ჩამოთვლილ დამამძიმებელ გარემოებათა უმრავლესობა ჩვენ მიერ განხილულია

1 ამ საკითხზე იხ. ო. გამყრელიძე, საქართველოს სსკოდექსის განმარტება, თბ. 2005, გვ. 105

260-ე მუხლის ანალიზისას. ამჯერად ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე. ესენია: მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული გარემოება – „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“, მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული გარემოება – „ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით“ და მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული გარემოება – „სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით“.

ამ დანაშაულის ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით შეუძლია იმ პირს, ვისაც ნარკოტიკული საშუალება ან კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერება მინდობილი აქვს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (მაგრამ არაა მისი მესაკუთრე), ანდა უშუალოდ არა აქვს მინდობილი, მაგრამ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას ხელი მიუწვდება მათზე. ასეთი პირები უმეტესად არიან მოხელეები, მასთან გათანაბრებული პირები და ასევე სხვა პირებიც, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ნარკოტიკულ საშუალებასთან ან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა ნივთიერებასთან. ესენი არიან: სპეციალური აფთიაქის გამგეები, საავადმყოფოს მთავარი ექიმები და განყოფილების გამგეები ან მათი მოვალეობის შემსრულებლები, სასწრაფო დახმარების ექიმები, მიმღები განყოფილების მორიგე ექიმები (მოხელეები ან მასთან გათანაბრებული პირები), ასევე რიგითი ექიმები, მედდები, ფარმაცევტები, იმ სატრანსპორტო საშუალების მძღოლები და გამცილებლები, რომლითაც გადააქვთ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები, აგრეთვე ის პირები, რომელთა წარმოებითი საქმიანობაც დაკავშირებულია ამ ნივთიერებებთან. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება შეუძლიათ იმ პირებსაც, ვისი ხელმძღვანელობითაც ხდება ამ ნივთიერებების შემოტანა საქართველოში, მათი განაწილება, მოხმარებაზე ან განადგურებაზე კონტროლის გაწევა. ესენი არიან ის მოხელეები, ვის ოპერატიულ გამგებლობაშიც იმყოფება ნარკოტიკული და კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერებები (თუმცა ეს ნივთიერებები ფიზიკურად არ იმყოფება მათ მფლობელობაში). ასეთი მოხელეები მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ქმნიან სხვადასხვა ფიქციურ დოკუმენტებს, ასევე ხშირად იყენებენ პირებს, ვინც

იმყოფება მათ სამსახურებრივ დაქვემდებარებაში. ამ ქმედების ჩადენისას მოხელეები, რა თქმა უნდა, ბოროტად იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დანაშაულის კვალიფიკაციისას არაა საჭირო სამოხელეო დანაშაულის შესაბამისი მუხლის (332-ე მუხლი) გამოყენება. ეს იმიტომ, რომ 332-ე მუხლი ჩვენ მიერ განსახილველ მუხლთან მიმართებაში არის ზოგადი ხასიათის ნორმის შემცველი, ე.ი. სსკ 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტი მისი კონკრეტული შემთხვევაა, ხოლო ზოგადი და სპეციალური ნორმის კონკურენციის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმას, ამ შემთხვევაში – 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტს.

ჩვენ მიერ განსახილველი შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა ამ დანაშაულის ჩადენა ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით.

ამგვარ ძალადობას შედეგად არ უნდა მოჰყვეს ჯანმრთელობის თუნდაც ხანმოკლე მოშლა და, აქედან გამომდინარე, არ უნდა გამოიწვიოს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი (სსკ 120-ე მუხლი), იგი შეიძლება გამოიხატოს ცემასა და სხვაგვარ ძალადობაში (სსკ 125-ე მუხლი), რომელიც დაზარალებულს ტკივილს განაცდევინებს. მაგალითად, სილის გაწვნა სახეზე, ხელების ან ფეხების შეკვრა, ხელის გადაგრეხა, თმების მოქაჩვა და სხვ. ამგვარ ძალადობაში არ იგულისხმება წამება, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება (იხ. სსკ 126-ე მუხლი).

ძალადობა მაშინ ჩაითვლება ამ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად, როცა პირი მას იყენებს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების დასაუფლებლად, ანდა მაშინ, როცა პირმა ეს ნივთიერება, მართალია, ხელში ჩაიგდო, მაგრამ ჯერ არ მისცემია განკარგვის შესაძლებლობა და მისი შენარჩუნების მიზნით იყენებს ამ ძალადობას.

„ასეთი ძალადობის მუქარაში" იგულისხმება პირის დაშინება, რომ გამოიყენებს მის მიმართ ზემოთ ჩამოთვლილ ძალადობათაგან თუნდაც ერთ-ერთს. თუ პირი დაშინებისათვის იყენებს განუსაზღვრელ მუქარას („შენთვის უმჯობესი იქნება", „შენი საქმე ცუდად წავა", „გირჩევნია არ გამიძალიანდე" და სხვ.), მაშინ 264-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილში გათვალისწინებული ძალადობის მუქარის გამიჯვნისას მხედველობაში უნდა მივიღოთ დაზარალებულისა და დამნაშავის რაოდენობა და მათი ფიზი-

კური მონაცემები, სქესი, აგრეთვე მუქარის ჩადენის ადგილი (ირგვლივ ხალხმრავლობაა თუ არა), დრო (დღეა თუ ღამეა), მუქარის გამოთქმის ფორმა და ტონი (დამნაშავეები ნიღბებში არიან და განრისხებულნი სასტიკი ტონით საუბრობენ) და სხვა გარემოებები.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოება, რომელსაც განვიხილავთ, გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით — სიცოცხლისა ან **ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით**.

სიცოცხლისათვის საშიშია ისეთი ძალადობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დაზარალებულის სიკვდილი, ე.ი. არსებობს სიკვდილის დადგომის ალბათობა ამ ძალადობის შედეგად (მაგალითად, თავში მძიმე საგნის ჩარტყმა, ფანჯრიდან პირის გადაგდება და ა.შ.). ჯანმრთელობისათვის საშიშია ისეთი ძალადობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის ამა თუ იმ ხარისხის დაზიანება (117-ე, 118-ე, 120-ე მუხლები, ასევე 126-ე მუხლი),მაგ., „დაუთავება“. ამ ნორმაში გათვალისწინებულმა ძალადობამ თუ გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით. თუკი ამგვარმა ძალადობამ გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი, ამ შემთხვევაშიც კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით[1].

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარაში იგულისხმება მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების, წამების მუქარა. მუქარა შეიძლება განხორციელდეს სიტყვიერად ან იარაღის დემონსტრირებით, თუნდაც პირმა კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების დასაუფლებლად გამოიყენოს არა ნამდვილი იარაღი, არამედ მისი იმიტაცია და ამ გზით მოახდინოს დაზარალებულის ნების პარალიზება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუქარა უნდა იყოს იმწუთიერი. თუ იგი სამომავლოა, ქმედება დაკვალიფიცირდება 264-ე მ. I ნაწ-ით. (გამოძალვა).

თუ დასაშინებლად გამოყენებულია ნამდვილი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც პირი ატარებს სათანადო ნებართვის გარეშე, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, ვინიდან ამ ნორმით გათვალისწინებული ძალადობის მუქარა (ისევე როგორც თვით ძალადობა) სავსებით შესაძლებელია იარაღის გამოყენების გარეშეც და, ამდენად,

---

1 ამ საკითხებზე იხ. მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30-34; ზ. წულაია, დასახ. ნაშრ., 64-67; ზ. წულაია, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2000, გვ. 85.

განსახილველი მუხლის დისპოზიცია არ ითვალისწინებს მის გამოყენებას, როგორც ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყაჩაღობისგან (179-ე მ.)განსხვავებით, 264-ე მ. IV ნ. „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება დამთავრებული არაა თავდასხმის მომენტიდან, არამედ მაშინ, როცა პირი მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრებს ნარკოტიკულ საშუალებას ან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა ნივთიერებას.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიულ პირსაც ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება (მუხლი 265-ე).

ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის, მოყვანის ან კულტივირების საზოგადოებრივი საშიშროება ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ეს ქმედებები თითქმის ყოველთვის მიმართულია აღნიშნულ მცენარეთა შემდგომი გასაღებისაკენ, ანდა მათი გადამუშავების გზით მიღებული ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისაკენ.

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტად უნდა ჩაითვალოს ნარკოტიკული საშუალების ბრუნვასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლებიც მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით. ამ კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარეების დათესვა, მოყვანა და კულტივირება.

დანაშაულის საგანს წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე. ეს მცენარეებია: ოპიუმის ყაყაჩო, კოკაინის ბუჩქი, ყანაბისი ანუ მარიხუანა, ინდოეთის კანაფი, სამხრეთ-ჩუიის, სამხრეთ მანჯურიის, კრასნოდარის კანაფი და სხვ.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში, კერძოდ: ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვაში, მის მოყვანაში, ან კულტივირებაში.

დათესვა ნიშნავს ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის თესლის ჩათესვას მიწის ნებისმიერ მონაკვეთზე, იმის მიუხედავად, არის

თუ არა ეს ნაკვეთი კონკრეტული პირის მფლობელობაში.

ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის მოყვანა გამოიხატება ამ მცენარის მოვლაში: სარეველა მცენარეებისაგან გათავისუფლებაში, მორწყვაში, სასუქებით განოყიერებაში და ა.შ. მოყვანის მიზანია ზრდასრული ნარკოტიკული მცენარის მიღება.

ამ მცენარეთა კულტივირება ნიშნავს მათ დამუშავებას, გაშენებას, ახალი სახეობის გამოყვანას, ან იმგვარად გადამუშავებას, რომ ამაღლდეს მისი მოსავლიანობა ან გამძლეობა არახელსაყრელი გარემო პირობებისადმი. როგორც ვხედავთ, კულტივირება უფრო მრავალისმომცველი პროცესია, ვიდრე დათესვა ან მოყვანა. კულტივირება თავის თავში მოიცავს დათესვასაც და მოყვანასაც (მოვლას).

განსახილველი დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი შეასრულებს მუხლის დისპოზიციაში მითითებულ მოქმედებათაგან ერთ-ერთს, ე.ი. ნებისმიერ ადგილას დათესავს ან მოიყვანს, ან დაასრულებს ამ მცენარეთა კულტივირების პროცესს. როცა პირი შეუდგა ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის კულტივირებას, მაგრამ მისი ნებისგან დამოუკიდებლად ვერ დაასრულა იგი (ვერ გააშენა, ვერ აამაღლა მოსავლიანობა, ვერ შექმნა ახალი სახეობა და ა.შ.), მაშინ კულტივირება არაა დამთავრებული და პირის ქმედება საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ამ მცენარეთა დათესვა. თუ მის ქმედებაში არ არის არც დათესვის ნიშნები, მაშინ კვალიფიკაცია უნდა მოხდეს კულტივირების მცდელობით (მაგალითად, პირი ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარეების დამყნობის გზით ცდილობს ახალი, გაუმჯობესებული სახეობის გამოყვანას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მან ეს ვერ მოახერხა). დათესვა კი დამთავრებულია მოქმედების ჩადენისთანავე იმის მიუხედავად, აღმოცენდა და გაიზარდა თუ არა ეს მცენარე. ამდენად, სახეზეა ფორმალური შემადგენლობა.

როდესაც პირი სხვის მიერ დათესილ ან მოყვანილ ნარკოტიკულ მცენარეს უკანონოდ იძენს, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 260-ე მუხლით, ხოლო ამ მცენარეთა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვის შემთხვევა — სსკ 264-ე მუხლით.

დანაშაულის ამსრულებელი არის ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ე.ი. პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ახდენს სწორედ

ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის კანონსაწინააღმდეგოდ დათესვას, მოყვანას ან კულტივირებას და სურს ეს. როდესაც პირი ცდება დანაშაულის საგანში, შეცდომით ფიქრობს, რომ მის მიერ დათესილი ან მოყვანილი მცენარე ნარკოტიკული საშუალების შემცველია, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 265-ე მუხლის მცდელობით (მე-19, 265-ე მუხლები). თუკი პირს არ აქვს გაცნობიერებული, რომ მცენარე, რომელიც მის ეზოში ხარობს, არის ნარკოტიკული, მაშინ მისი მოქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ 265-ე მუხლით.

ვინაიდან დანაშაულის მოტივზე ან მიზანზე არ არის სპეციალური მითითება 265-ე მუხლში, ისინი კვალიფიკაციაზე არ ახდენენ ზეგავლენას და მხედველობაში მიიღებიან მხოლოდ სასჯელის დანიშვნისას. როგორც წესი, ამ დანაშაულის ჩადენა ხდება ანგარებით (ამ მცენარეების ან მისგან შექმნილი ნივთიერებების გასაღების მიზნით), ან ნარკოტიკულ საშუალებებზე პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით.

როდესაც პირმა მის მიერ დათესილი და მოყვანილი ნარკოტიკული მცენარე უკვე გაასალა, ან მისგან დაამზადა სხვა ნარკოტიკული საშუალება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 260–ე მუხლით – უკანონო გასაღება ან უკანონო დამზადება ამ შემთხვევაში დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 265–ე მუხლით საჭირო არ არის. სსკ 260–ე მუხლი ამ შემთხვევაში შთანთქავს 265–ე მუხლს, რადგან: ა) სახეზეა სს დაცვის ერთი და იგივე ობიექტი, ბ) სახეზეა დანაშაულის ერთი და იგივე საგანი – ნარკოტიკული საშუალება; გ) ეს ქმედებები ერთმანეთის ლოგიკური გაგრძელებაა და ჩადენილია ერთიანი განზრახვით (მცენარეს იმიტომ თესავენ და უვლიან, რომ შემდგომში იგი რაშენაირად გამოიყენონ; დ) სსკ 260–ე მუხლი მეტად საშიში დანაშაულია, ვიდრე 265–ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

265-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები მთლიანად ემთხვევა წინამდებარე მუხლებით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებს და, ამდენად, მათ განხილვას არ შევუდგებით. მოკლედ შევჩერდებით მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე, მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებაზე – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. აქ იგულისხმება იმ პირთა წრე, ვისი სამსახურებრივი საქმიანობაც დაკავშირებულია მცენარეთა დათესვა-მოყვანასა თუ მათ კულტივირებასთან ან ახორციელებენ სხვაგვარ საქმიანობას სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთზე. ასევე ის

მოხელეები, ვინც ახორციელებენ კონტროლს მოცემულ ტერიტორიაზე (შს ორგანოს, კუდ-ის წარმომადგენლები და სხვა). ისინი იყენებენ რა ამ სამსახურებრივ მდგომარეობას, უკანონოდ ახდენენ ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის დათესვას, მოყვანას ან კულტივირებას სახელმწიფო მიწის ნაკვეთზე. ამ დანაშაულის სუბიექტი ასევე შეიძლება იყოს კერძო სამართლის იმ იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია მიწათსარგებლობასთან.

პირი, რომელიც იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, თვითონ უნდა იყოს სსკ 265-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ამსრულებელი (ან შუამდგომლობითი ამსრულებელი).

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა (მუხლი 266-ე).

განსახილველი დანაშაულისაგან სისისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნარკოტიკული საშუალების ან კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერების წარმოების კანონით დადგენილ წესს.

ობიექტური მხრივ იგი გამოიხატება: ა) ამ ნივთიერების უკანონო წარმოების (და არა დამზადების) მიზნით ფარული ლაბორატორიის მოწყობაში, ან ბ) ამ ლაბორატორიის შენახვაში.

ლაბორატორიის სახით შეიძლება მოგვევლინოს სპეციალურად მოწყობილი ისეთი სადგომი, სადაც უნდა მოხდეს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული რომელიმე ნივთიერების უკანონო წარმოება, ე.ი. როცა პირს არ გააჩნია მისი წარმოების კანონიერი უფლებამოსილება.

ფარული იქნება ისეთი ლაბორატორია, რომლის არსებობის შესახებ არ არსებობს ინფორმაცია არც ერთ ოფიციალურ ორგანოში და იგი შექმნილია უკანონოდ — სათანადო ნებართვის გარეშე. ასეთი ლაბორატორია შეიძლება დაფარული იყოს როგორც ინფორმაციულად,ისე ფიზიკურადაც,

მაგალითად, თუ ის მოწყობილი იქნება ძველი, ამორტიზებული შენობის სარდაფში. ლაბორატორიის დაფარვის ხერხად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინფორმაციის გაყალბება. მაგალითად, ამა თუ იმ საწარმოს შენობის ნაწილში მოწყობილია ლაბორატორია, რომელიც გაფორმებულია როგორც ერთ-ერთი საამქრო, სადაც თითქოს მზადდება კანონით ნებადართული ნივთიერება. მოცემულ შემთხვევაში განსახილველი ნორმა მოიცავს ცრუ მეწარმეობასაც და ქმედების კვალიფიკაცია სსკ 193-ე მუხლით საჭირო არ არის.

ლაბორატორიის მოწყობა ნიშნავს სათანადო შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოძებნას, მის დაუფლებას (კანონიერი თუ უკანონო გზით), მის აღჭურვას სათანადო ტექნოლოგიით, მომარაგებას ნედლეულით, მუშახელისა და სხვა საჭირო პერსონალის მოყვანას, შრომის პროცესის ორგანიზებას და ა.შ. ეს ქმედება დამთავრებულია მაშინ, როცა პირი დაასრულებს ფარული ლაბორატორიის მოწყობის პროცესს და ლაბორატორიას გაამზადებს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების წარმოებისათვის. ეს დანაშაული არის ფორმალური, იგი არ ითვალისწინებს რაიმე მძიმე შედეგის დადგომას. იგი დამთავრებულია მანამ, სანამ ეს ლაბორატორია პრაქტიკულად ამუშავდება და მოასწრებს წარმოებისათვის გამიზნული ნივთიერების თუნდაც ნაწილის დამზადებას. დანაშაულის ამგვარი შეკვეცილი შემადგენლობა განპირობებულია არა მარტო ამ ქმედების საშიშროების მაღალი ხარისხით (ლაბორატორიაში შესაძლებელია გაცილებით დიდი ოდენობით ნივთიერების დამზადება), არამედ მისი ჩამდენი პიროვნების მომეტებული საშიშროებითაც — კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების წარმოება მისი ცხოვრების მცირე ეპიზოდს კი არ მოიცავს და შემთხვევით (სიტუაციურ) ხასიათის კი არ ატარებს, არამედ იგი ამისათვის ემზადება საგულდაგულოდ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

თუ ფარული ლაბორატორიის შექმნას კიდევაც მოჰყვა კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უკანონო წარმოება, ქმედება დაკვალიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით — სსკ 266-ე და 260-ე მუხლებით (ან 261-ე მუხლით). ვინაიდან ლაბორატორია არის მრავალჯერადი მოხმარების საგანი, სსკ 260-ე მუხლი ვერ შთანთქავს 266-ე მუხლს.

ფარული ლაბორატორიის შენახვა გულისხმობს უკვე მოწყობილი ლაბორატორიის შემდგომი მუშაობისათვის პირობების შექმნას: დამატებითი ტექნოლოგიით აღჭურვა, ახალი კადრებით შევსება, ლაბორატორიის

მუშაობისათვის სხვაგვარი პირობების შექმნა (ელექტროენერგიითა და წყლით უზრუნველყოფა), დამატებითი ნედლეულით მომარაგება, მისი რემონტი და ა.შ.

ფარული ლაბორატორია შეიძლება მოაწყოს ერთმა პირმა, ხოლო იგი შეინახოს მეორემ. თუ ორივე ქმედებას სჩადის ერთი და იგივე პირი, მას ბრალად წაეყენება ფარული ლაბორატორიის როგორც მოწყობა, ისე მისი შენახვა.

როდესაც პირი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების წარმოებისათვის იყენებს კანონიერი გზით შექმნილ ლაბორატორიას და იქ უკანონოდ აწარმოებს ამ ნივთიერებას, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება არა განსახილველი ნორმით – სსკ 266-ე მუხლით, არამედ სსკ 260-ე მუხლით – ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო წარმოებით (ან 261-ე მუხლით).

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ყველა 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, მხოლოდ ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულია სპეციალური სუბიექტი – ვინც იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას ლაბორატორიის შესაქმნელად ან შესანახად. ესენი შეიძლება იყვნენ პირები, ვისაც აქვთ სამედიცინო თუ სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის შექმნის ან მისი ხელმძღვანელობის უფლება. გამორიცხული არ არის ლაბორატორიის რიგითმა თანამშრომლებმაც ლაბორატორიაში არსებული ხელსაწყოებისა და ტერიტორიის გამოყენებით შექმნან ფარული ლაბორატორია კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების წარმოებისათვის.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით – პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ქმნის ან ინახავს ფარულ ლაბორატორიას და სურს ეს. ამასთან, მას ამოძრავებს სპეციალური მიზანი – ეს ლაბორატორია მოწყობილია სწორედ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების წარმოებისათვის (და არა დამზადებისთვის) კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. ამ მიზნის გარეშე ფარული ლაბორატორიის შექმნა არ მოგვცემს განსახილველი დანაშაულის შემადგენლობას. ამდენად, პირის მიზანია სერიულად აწარმოოს სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება. რაც შეეხება მოტივს, იგი მუხლის შემადგენლობაში არაა დაფიქსირებული და, ამდენად, ზეგავლენას არ ახდენს კვალიფიკაციაზე, მაგრამ თვით ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში, მოტივი აქ ანგარებაა.

თუმცა გამორიცხული არ არის სხვა პირადი მოტივიც.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ პირსაც.

ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება (მუხლი 267-ე).

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნარკოტიკული საშუალების შესაძენი რეცეპტის ან დოკუმენტის შედგენის კანონით დადგენილ წესს. ქმედების მიზნიდან გამომდინარე, დამატებით ობიექტად უნდა ჩაითვალოს ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობა.

დანაშაულის საგანია ნარკოტიკული საშუალების შესაძენი რეცეპტი და სხვა დოკუმენტი.

ნარკოტიკული საშუალების შესაძენად რეცეპტის გამოწერა ხდება განსაზღვრული ფერის სპეციალურ ბლანკზე, რომელზეც დასმულია სამკურნალო დაწესებულების შტამპი.

სხვა დოკუმენტი, რომელიც იძლევა ნარკოტიკული საშუალების შეძენის უფლებას, ის დოკუმენტია, რომელიც წარმოადგენს ამ ნივთიერების გაცემის (გაყიდვის) საფუძველს. ასეთი დოკუმენტი შეიძლება იყოს სამედიცინო დაწესებულების მოთხოვნა ნარკოტიკული საშუალების მიღებაზე მათი სამკურნალოდ გამოყენებისათვის; ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან; ლიცენზია ისეთ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალების ბრუნვასთან და სხვა.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება: ა) ყალბი რეცეპტის ან სხვ დოკუმენტის დამზადებაში, ბ) ან მათ გასაღებაში.

გაყალბებული შეიძლება იყოს როგორც რეცეპტი, ისე სხვა დოკუმენტი. გაყალბებულად ჩაითვლება როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ გაყალბებული რეცეპტი ან სხვა დოკუმენტი.

აღნიშნული ქმედება დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა პირი დაასრულებს ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადების პროცესს ნარკოტიკული საშუალების შესაძენად მისი (რეცეპტის) გასაღე-

ბის მიზნით და მნიშვნელობა არა აქვს, მოახერხებს თუ არა მის გასაღებას. უფრო მეტიც, არც იმასა აქვს მნიშვნელობა, შეუძლებელია თუ არა იგი ამ დოკუმენტების გასაღებისაკენ მიმართულ მოქმედებას. ე.ი. დანაშაული აქ არის ფორმალური შემადგენლობის. თუკი პირი ყალბ რეცეპტს ამზადებს იმისთვის, რომ თავად შეიძინოს ნარკოტიკული საშუალება და მის მიერ დამზადებული ყალბი დოკუმენტების გამოყენებით მოახერხებს ნარკოტიკული საშუალებების შეძენას, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენით (260-ე მუხლი). თუ ყალბი რეცეპტის დამზადებისას პირის მიზანი იყო ნარკ. საშუალების შეძენა, მაგრამ ეს ვერ მოასწრო სახეზეა სსკ 260-ე მუხ. მომზადება (18, 260-ე მ.). ამდენად, განსახილველ შემთხვევაში (267-ე მ.) ყალბი რეცეპტის დამზადებისას პირის მიზანი არ არის ნარკ. საშუალების შეძენა, არამედ მისი მიზანია ამ რეცეპტის გასაღება სხვა პირზე.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ასევე ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის გასაღებაში. გასაღებაში იგულისხმება ამ დოკუმენტების გაყიდვა, გაჩუქება, გაცვლა სხვა დოკუმენტებზე ან ნივთზე და ა.შ.

ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს შეიძლება ამზადებდეს ერთი პირი, ხოლო მეორე კი ასაღებდეს მას; ორივე მათგანი ამ დანაშაულის ამსრულებელია.

სსკ 267-ე მუხლი არის 362-ე მუხლის (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) კერძო შემთხვევა. ზოგადი და კერძო ნორმის კონკურენციისას კი, როგორც ცნობილია, იმარჯვებს კერძო ნორმა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 362-ე მუხლით საჭირო არ არის. ამდენად, ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის გამოყენებას ადგილი ექნება მაშინ, თუ პირი, ვინც შეიძენს გაყალბებულ დოკუმენტს, წარადგენს მას შესაბამის დაწესებულებაში, რათა მიიღოს ნარკოტიკული საშუალება. სსკ 267-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე არ მოიცავს ყალბი დოკუმენტების გამოყენებას და ეს არცაა გასაკვირი. ყალბი რეცეპტისა თუ სხვა დოკუმენტის წარდგენა შესაბამის დაწესებულებაში ნარკოტიკული საშუალების მიღების მიზნით მოიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას და ამ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ან სსკ 260-ე მუხლის ანდა 264-ე მუხლის მცდელობით. ხოლო იმ პირის ქმედება, ვინც შეიძინა ყალბი რეცეპტი

ნარკოტიკის შესაძენად, დაკვალიფიცირდება 18, 260-ე მუხლით.

დანაშაულის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის სუბიექტია პირი, ვინც რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის გაყალბებისათვის, ანდა მათი გასაღებისათვის იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას. ესენი შეიძლება იყვნენ აფთიაქის პროვიზორები, გამგეები, საავადმყოფოს ექიმები და სხვ. მაგალითად, ექიმი ყალბად დამზადებულ ბლანკზე წერს რეცეპტს ნარკოტიკული საშუალების შესაძენად და იყენებს თავის სამსახურებრივ შტამპსა და ბეჭედს.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით: პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ამზადებს ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს, ანდა გაცნობიერებული აქვს, რომ ასაღებს ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს, რომლითაც შესაძლებელია ნარკოტიკული საშუალების შეძენა და სურს ეს. ამასთანავე, ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადებისას აუცილებელია, პირს ამოძრავებდეს მისი (რეცეპტის ან დოკუმენტის) გასაღების მიზანი. (და არა ნარკ. საშუალებების თავად შეძენის მიზანი) წინააღმდეგ შემთხვევაში არ გვექნება ამ დანაშაულის შემადგენლობა.

რაც შეეხება მოტივს, მას ამ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა. მოტივი აქ შეიძლება იყოს ანგარება ან სხვა პირადი მოტივები.

სსკ 267-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებათაგან შევჩერდებით მხოლოდ ერთზე. ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზნით, წარმოადგენს მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის მაკვალიფიცირებელ ნიშანს. დანაშაულის მიზნის ამგვარი ფორმულირება ჩვენ გვხვდება სს კოდექსის მხოლოდ ორ მუხლში. ესენია 267-ე და 268-ე მუხლები.

მომსახურება ნიშნავს რაიმე სამუშაოს შესრულებას ვისიმე ან რისამე საჭიროების, მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი ნორმით სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზანი არსებობს მაშინ, როცა პირი ამზადებს ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს, ანდა ასაღებს მათ იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს სხვისი მოთხოვნილება. ე.ი. დანაშაულის სუბიექტმა ამ შემთხვევაში უკვე წინასწარვე იცის, თუ ვისთვის სჩადის ამ ქმედებას. მაგრამ, როცა პირი 267-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას სჩადის

გაყალბებული დოკუმენტების კონკრეტულ პირზე ან პირებზე გასაჩუქრებისათვის (მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად), სახეზეა 267-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შემადგენლობა, რადგანაც გასაღების მიზანში მოიაზრება გაჩუქების მიზანიც. ამასთან, არავითარი აუცილებლობა არ არსებობს იმისათვის, რომ გაყალბებული დოკუმენტების ამა თუ იმ პირებზე გაჩუქების მიზანი ამოვრიცხოთ 267-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან და გადავიტანოთ იგი დამამძიმებელ გარემოებათა ნუსხაში. ეს იმიტომ, რომ გასაჩუქრება არამც და არამც არ ხასიათდება მომეტებული საშიშროებით, ვიდრე ამ გაყალბებული დოკუმენტების გაყიდვა ან გაცვლა.

სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზანში იგულისხმება არა გასაჩუქრება, არამედ მომსახურება შემკვეთზე. ე.ი. პირი ემსახურება შემკვეთს და მისთვის ამზადებს ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს ნარკოტიკული საშუალების შესაძენად. ამდენად, აქ არსებობს, ერთი მხრივ, დამკვეთი, როგორც წამქეზებელი ან ორგანიზატორი, ხოლო, მეორე მხრივ, მისთვის მომსახურე პირი, ვინც ამზადებს ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს ნარკოტიკული საშუალების შესაძენად. შემკვეთს შეიძლება ემსახურებოდეს უკვე გაყალბებული რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის გამსაღებელიც, რომელიც ახორციელებს გასაღებას შეკვეთის პირობების შესაბამისად. 267-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გასაღება განსხვავდება გასაღებისაგან, რომელიც ხორციელდება შეკვეთით. როცა პირი ასაღებს ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზნით, ე.ი. შეკვეთით, გასაღების პირობებს ადგენს არა თვითონ გამსაღებელი პირი, არამედ ის, ვინც შეუკვეთა გასაღება. გასაღების პირობებში იგულისხმება დროის მონაკვეთი, როდესაც უნდა მოხდეს ამ დოკუმენტების გასაღება, მათი საცალო თუ საბითუმო ფასი და ა.შ. ამასთანავე, ამ დოკუმენტების გასაღების შედეგად მიღებულ თანხასა თუ სხვა ნივთს განკარგავს არა გამსაღებელი, არამედ შემკვეთი. ხოლო პირი, ვინც ასაღებს ამ დოკუმენტებს ან აყალბებს მას, იღებს გარკვეულ გასამრჯელოს შემკვეთისაგან თავისი საქმიანობის შესრულებისთვის.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის პასუხს აგებს ასევე იურიდიული პირიც.

ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება (მუხლი 268-ე).

268-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის წინამდებარე მუხლის განსხვავება სსკ 267-ე მუხლისაგან მდგომარეობს იმაში, რომ აქ ადგილი აქვს ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადებას. სხვა შემადგენლობა კი მთლიანად ემთხვევა 267-ე მუხლს. ამდენად, ამ მუხლის ანალიზს არ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიულ პირსაც დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა (მუხლი 269-ე).

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ის ურთიერთობები, რაც დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის მოპყრობის კანონით დადგენილი წესების დაცვასთან.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება იმ წესების დარღვევაში, რომლითაც მოწესრიგებულია ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადება, წარმოება, მიღება, აღრიცხვა, გაცემა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან შემოტანა, თუ ამ წესების დარღვევამ ამ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვაში მოქცევა გამოიწვია. (ამდენად, სახეზეა ბლანკეტური დისპოზიცია მატერიალური შემადგენლობით).

დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა, როცა ადგილი აქვს ნორმაში მითითებული წესებიდან ერთ-ერთის დარღვევას შესაბამისი შედეგით. იმისათვის, რომ გაირკვეს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს

დარღვევა, უნდა მივმართოთ შესაბამის წესებს, რომელიც დადგენილია მმართველობის სათანადო ორგანოების მიერ, ამდენად, ობიექტური მხარე მოიცავს:

ა) დადგენილი წესების დარღვევას;

ბ) ამით გამოწვეულ შედეგს; და,

გ) მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

საქართველოში სხვადასხვა უწყების მიერ მიღებული სპეციალური წესები დამტკიცებულია საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. ამ წესებით რეგულირდება ამა თუ იმ დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მიღების, შენახვის, აღრიცხვის, წარმოების, გაცემის, დამზადების, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესები.

ასეთი წესები დადგენილია სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებისა და ლაბორატორიებისათვის, ფარმაცევტული საწარმოებისათვის, აფთიაქებისათვის, პოლიციის (ქვედანაყოფის) შენობაში მოთავსებული სააფთიაქო პუნქტებისათვის. ამ საკითხებს ნაწილობრივ ავგარებს საქართველოს ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების 1994 წლის ბრძანება (№430/ო/801) „ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებების აღრიცხვაზე, შენახვაზე, გამოწერასა და გამოყენებაზე კონტროლის გამკაცრების დროებითი ღონისძიებების შესახებ“ და სხვა აქტები.

ამ აქტებით დადგენილია, რომ აფთიაქებიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალება გაიცემა მხოლოდ რეცეპტით, რომლებიც გაფორმებულია „შხამების, ნარკოტიკული საშუალებების, ძლიერმოქმედი ნივთიერებებისა და მათი პრეპარატების გამოწერის წესების“ შესაბამისად.

ასევე დადგენილია ნარკოტიკული საშუალების დამზადების შესაბამისი წესი[1]. კერძოდ, რეცეპტის მიღებისას ფარმაცევტი ვალდებულია წამლის შემადგენლობის (ინგრედიენტის) დასახელების ქვეშ გაუსვას წითელი ხაზი, დააზუსტოს ავადმყოფის ასაკი, შეამოწმოს დოზირების სისწორე და წამლის ფორმაში გამოწერილი ინგრედიენტის შეთავსებულობა.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება ექვემდებარება

1 რაც შეეხება პრეკურსორებს, მათ მიმართ საქართველოს კანონის „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ მოქმედება გავრცელდება პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის კონტროლის შესახებ სპეციალური საკანონმდებლო აქტის მიღების შემდეგ.

საგნობრივ და რაოდენობრივ აღრიცხვას დადგენილი წესით, დანომრილ, ზონარგაყრილ და ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის სახელმწიფო ინსპექციის ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.

ამდენად, ნარკოტიკის როგორც შემოტანა, ისე გაცემა დაფიქსირებული უნდა იქნას ამ ჟურნალში.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გაცემას ახდენს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი (მაგალითად, აფთიაქის ხელმძღვანელი) ან მისი ბრძანებით უფლებამოსილი პირი. ამ ნივთიერების გაცემისას დაცულ უნდა იქნეს ტერიტორიული პრინციპი.

კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება ინახება მატერიალურ ფასეულობათა განყოფილებაში მოთავსებულ სეიფში. იგი იხსნება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ იკეტება და ილუქება.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მიღების, შენახვის, წარმოების, გაცემის უფლება აქვს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის მქონე ფარმაცევტულ საწარმოს. ამ საწარმოს უფლება აქვს საჭიროებისამებრ შეიძინოს მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება შესაბამისი ნებართვის მქონე იურიდიული პირისაგან.

საწარმოში ამ ნივთიერებების შემოტანაზე პასუხისმგებელი პირი (მომარაგების განყოფილების უფროსი) ვალდებულია შეძენის ან მიღების ადგილზევე შეამოწმოს საქონლის რაოდენობის შესაბამისობა თანმხლებ დოკუმენტებთან.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გადაზიდვა (ტრანსპორტირება) ნებადართულია მხოლოდ პოლიციის წარმომადგენლის თანხლებით.

1994 წლის დეკემბრის საქართველოს ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ბრძანების საფუძველზე ნარკოტიკულ საშუალებათა დასაბუთებულ დანიშვნაზე კონტროლის გამკაცრებისა და სამედიცინო დაწესებულებებში ნარკოტიკულ სამკურნალო საშუალებათა გატაცების შემთხვევათა აღკვეთის მიზნით რაიონების (ქალაქების) აფთიაქის მიერ ნარკოტიკული სამკურნალო საშუალების შენახვა და გაცემა როგორც სამკურნალო დაწესებულებაზე, ისე კერძო პირზე საქართველოში ხდება რაიონის (ქალაქის) პოლიციის (ქვედანაყოფის) შენობიდან. ამისათვის

პოლიციის უფროსმა პოლიციის (ქვედანაყოფის) შენობაში უნდა გამოყოს ადგილი და უზრუნველყოს მისი დაცვა.

ჩვენ მიერ განხილული წესების დარღვევა შეიძლება მოხდეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. აქტიურობითად ჩადენილი, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალების შემოტანა სათანადო ნებართვის გარეშე ან მათი გაცემა ვადაგასული რეცეპტის საფუძველზე და სხვ. უმოქმედობით ჩადენილია, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალების შეფუთვისათვის დადგენილი მოთხოვნების დაუცველობა (არასათანადო შეფუთვა), ან იმ საცავის არასათანადოდ მოწყობა და დაცვა, სადაც ინახება ნარკოტიკული საშუალება. მაგალითად, არ დაამონტაჟეს თანამედროვე სიგნალიზაცია.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება არა იმ მომენტიდან, როცა პირი დაარღვევს ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის მოპყრობისადმი დადგენილ წესს, არამედ მაშინ, როდესაც ამ ქმედებას შედეგად მოჰყვება ამ ნივთიერებების უკანონო ბრუნვაში მოქცევა, ე.ი. აქ გვაქვს მატერიალური შემადგენლობა. ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის უკანონო ბრუნვაში იგულისხმება შესაბამის ნივთიერებათა შემცველ მცენარეთა დათესვა; მოყვანა, კულტივირება, ასევე ამ ნივთიერებათა შექმნა, წარმოება, მომზადება, გადამუშავება, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გაცემა, რეალიზაცია, განაწილება, შეძენა, გამოყენება, მოხმარება, განადგურება, იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი და რეექსპორტი, თუკი ეს მოქმედებები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით.

აქედან გამომდინარე, თუ ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის მოპყრობისადმი დადგენილი წესის დარღვევას არ გამოუწვევია ამ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვაში მოქცევა, სახეზე არა გვაქვს დანაშაულის შემადგენლობა და პირმა პასუხი შეიძლება აგოს მხოლოდ დისციპლინური ან ადმინისტრაციული წესით.

ამასთან, აუცილებელია, დადგინდეს მიზეზობრივი კავშირის არსებობა პირის მიერ სათანადო წესის დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის.

დანაშაულის ამსრულებელი არის სპეციალური პირი, ვისაც სამსახურებრივად ევალება ამ წესების დაცვა. ეს პირი შეიძლება იყოს მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, ასევე სხვა პირი, როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომელსაც გააჩნია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებთან დაკავშირებული საქმიანობისათვის სათანადო ნებართვა. ასე მაგალითად, საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების

შეტანაზე პასუხისმგებელია მომარაგების განყოფილების უფროსი; შენახვაზე პასუხისმგებელია საწყობის გამგე და ა.შ.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ჩადენილია გაუფრთხილებლობით, ე.ი. მისი ჩადენა შესაძლებელია როგორც თვითიმედოვნებით, ისე დაუდევრობით. თვითიმედოვნებას ადგილი აქვს მაშინ, როცა ამ დანაშაულის სპეციალურ სუბიექტს (მაგ., საავადმყოფოს მთავარ ექიმს) გაცნობიერებული აქვს, რომ არღვევს ნარკოტიკული საშუალების შენახვის წესს, ინახავს რა მას სათანადოდ დაუცველ კარადაში. იგი ამ დროს იმედს ამყარებს მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელთა პატიოსნებაზე. ამდენად, თავის შეგნებაში გამორიცხავს ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვაში მოქცევის შესაძლებლობას, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მისი ვარაუდი არ გამართლდა და ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოახერხა სათანადოდ დაუცველი კარადიდან ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, ე.ი. ეს ნივთიერება მოექცა უკანონო ბრუნვაში.

დაუდევრობას ადგილი ექნება მაშინ, როცა პირს არა აქვს გაცნობიერებული, რომ არღვევს ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის მოპყრობის დადგენილ წესს და არც იმას ითვალისწინებს, რომ დადგება კანონში მითითებული შედეგი, მაგრამ ვალდებული იყო და შეეძლო ეს გაეთვალისწინებინა. მაგალითად, საავადმყოფოს ერთ-ერთი განყოფილების გამგეს, რომელსაც გადაეცა ნარკოტიკული საშუალება სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის, ეს ნივთიერება დარჩა კაბინეტში თავისი დაუდევრობით (დაავიწყდა). დროის მცირე მონაკვეთის გავლის შემდეგ მას იგი ადგილზე არ დახვდა.

თუკი დადგინდება, რომ პირი შეგნებულად არღვევს შესაბამის წესებს იმ მიზნით, რომ ნარკოტიკული საშუალება ან პრეკურსორი ადვილად მოექცეს უკანონო ბრუნვაში, მისი ქმედება ამ მუხლით არ დაკვალიფიცირდება. მაგალითად, აფთიაქის გამგე წინასწარ შეუთანხმდა სხვა პირს, რომ კარადას, სადაც ინახება ნარკოტიკული საშუალება, დატოვებდა დაუკეტავს და გამორთავდა სიგნალიზაციას. ამ ქმედებით მან ხელი შეუწყო სხვა პირს ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში. მისი ქმედება ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს 25-ე, 264-ე მუხლით – დახმარებით ნარკოტიკული საშუალებით მართლსაწინააღმეგო მისაკუთრებაში, ან 260-ე მუხლით, როგორც უკანონო გასაღება. ხოლო როცა აფთიაქის გამგე გადასცემს

ნარკოტიკულ საშუალებას იმ პირს, ვინც მას ყალბი რეცეპტი წარმოუდგინა (და ეს ფაქტი გამგეს გაცნობიერებული აქვს), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ნარკოტ. საშუალების უკანონო გასაღება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (260.მ.).

სსკ 269-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებათაგან პირველზე (დიდი ოდენობით) ჩვენ არ შევჩერდებით, რადგან იგი განხილულია სსკ 260-ე მუხლის ანალიზისას, განვიხილავთ მხოლოდ მეორე დამამძიმებელ გარემოებას – იგივე ქმედება, რამაც სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. სხვა მძიმე შედეგი შეიძლება დადგეს მაშინ, როცა ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის მოპყრობის დადგენილი წესის დაუცველობამ გამოიწვია ადამიანის სიკვდილი ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, დიდი ოდენობით ამ ნივთიერებათა გაფუჭება (უვარგისი გახდა მოხმარებისათვის); ანდა მართალია, ეს ნივთიერებები არ მოექცა უკანონო ბრუნვაში, მაგრამ დაიკარგა დიდი ოდენობით (არასწორი ტრანსპორტირების შედეგად, გადავარდა მდინარეში), დიდი ოდენობით მატერიალური ზარალი ან სხვა შედეგი გამოიწვია.

რა თქმა უნდა, სსკ 269-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ შედეგებთან დანაშაულის სპეციალურ სუბიექტს უნდა აკავშირებდეს მხოლოდ გაუფრთხილებლობა.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იურიდიულ პირსაც.

ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა (მუხლი 270-ე).

სსკ 261-ე მუხლის ანალიზისას ჩვენ უკვე განვმარტეთ, თუ რას წარმოადგენს ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებანი.

რაც შეეხება დანაშაულის შემადგენლობის სხვა ნიშნებს, იგი განხილულია სსკ 269-ე მუხლის ანალიზისას, ხოლო ფსიქოტროპული ნივთიერებებისადმი მოპყრობის სპეციალური წესები უნდა დაადგინონ მმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა მანამ, სანამ ძალაში შევა საქართველოს

კანონი „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ პირსაც.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა (მუხლი 271).

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება იმაში, რომ იგი ქმნის პირობებს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისათვის; ამასთანავე, რთულდება უკანონო მომხმარებელთა გამოვლენის შესაძლებლობა როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე თვით მომხმარებელთა ახლობლების მხრიდან; ასევე ამგვარი ბინა და სადგომი ხელს უწყობს პირთა ჩაბმა-ჩათრევას კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უკანონო მოხმარებაში.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და მისი ანალოგის არსი ჩვენ განხილული გვაქვს სსკ 260-ე და 261-ე მუხლების ანალიზისას. რაც შეეხება კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა ნივთიერებებს (ძლიერმოქმედ), მათი უკანონო მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა არ იწვევს პასუხისმგებლობას სსკ 271-ე მუხლით.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება: ა) ნარკოტიკული საშუალების, ან მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, ან მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის (და არა დამზადების ან წარმოებისათვის) ბინის დათმობაში; ბ) იმავე ნივთიერების უკანონო მოხმარებისათვის სხვა სადგომის დათმობაში (I ნაწ.).

ბინად ჩაითვლება ნებისმიერი სადგომი, რომელიც განკუთვნილია ადამიანების მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად და მათი ქონების შესანახად, ე.ი. ბინად ჩაითვლება სახლი, აგარაკი, ცალკე ბინა სახლში, ოთახი საერთო საცხოვრებელში ან სასტუმროში და სხვ. ბინად არ ჩაითვლება ის შენობა-ნაგებობა, რომელიც არაა განკუთვნილი ადამიანთა

მუდმივად თუ დროებით საცხოვრებლად. ასეთებია: დამხმარე სამეურნეო ნაგებობები (ბოსელი, გარაჟი, სარდაფი), ასევე ავტომანქანის სალონი, რომელიც პირმა დაუთმო სხვას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უკანონო მოხმარებისათვის.

სხვა სადგომად უნდა ჩაითვალოს შენობა-ნაგებობა, რომელიც მოწყობილია ადამიანთა და ასევე ფასეულობათა განსათავსებლად. მაგალითად, ფაბრიკა, ქარხანა, მუზეუმი, მაღაზია, რესტორანი, დაწესებულება და ა.შ. ე.ი. სხვა სადგომი, ბინისაგან განსხვავებით, არაა გამიზნული ადამიანთა საცხოვრებლად, არამედ ადამიანები მასში ეწევიან სხვადასხვა სამსახურებრივ, პროფესიულ თუ სხვა ხასიათის საქმიანობას.

დათმობა ნიშნავს სხვა პირისათვის ბინის თუ სხვა სადგომის გადაცემას გარკვეული ვადით ან თუნდაც განუსაზღვრელი ვადით სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისათვის. დათმობილი შეიძლება იყოს როგორც მთლიანად ბინა ან სხვა სადგომი, ისე მისი ნაწილი (მაგალითად, ერთი ოთახი ბინაში).

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მოხმარება უკანონოა მაშინ, როცა მისი გამოყენება ხდება კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ (მაგალითად, ექიმის დანიშნულების გარეშე).

სსკ 271-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება დამთავრებულია იმ მომენტიდან, როცა პირი დაუთმობს სხვას თავის ბინას ან სხვა სადგომს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების (გარდა ძლიერმოქმედი ნივთიერების) უკანონოდ მოხმარებისათვის, ე.ი. აქ სახეზეა ფორმალური შემადგენლობა. თუ ადგილი აქვს ბინის გათბობას სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების დამზადებისათვის ან წარმოებისათვის, ქმედება დაკვალიფიცირდება 25, 260-ე მუხლით (დახმარება).

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა არ გვაქვს, როცა პირი თავად მოიხმარს ნარკოტიკს საკუთარ ბინაში, ექიმის დანიშნულების გარეშე თავის ამხანაგებთან ერთად.

ამსრულებელი შეიძლება იყოს ყველა 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, ვის მფლობელობაშიც იმყოფება ბინა თუ სხვა სადგომი.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ უთმობს სხვას ბინას ან სხვა სადგომს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტრო-

პული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო მოხმარებისათვის და სურს ეს. უკეთუ პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ბინას ან სხვა სადგომს უთმობს სხვას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უკანონო დამზადების, წარმოების, შენახვის ან გასაღებისათვის (260-ე, 261-ე მუხლები), მისი ქმედება დაკვალიფიცირდება შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში თანამონაწილეობით, კერძოდ, დახმარებით.

დანაშაულის მოტივი შეიძლება იყოს სხვადასხვა პირადული ხასიათის: ახლობლისადმი თანაგრძნობა, შიში და სხვა. რაც შეეხება ანგარებას, იგი გათვალისწინებულია სსკ 271-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით. ანგარებაში იგულისხმება სხვისი ქონების ხარჯზე მატერიალური გამორჩენის მიღების სურვილი. განსახილველი დანაშაული ანგარებითაა ჩადენილი მაშინ, როცა პირი სხვას უთმობს ბინას ან სხვა სადგომს, რათა სანაცვლოდ მიიღოს ფული, ფასიანი ქაღალდი, სხვა ქონება ან ქონებრივი სარგებელი. ანგარებას ადგილი ექნება მაშინაც, როცა პირს ბინის ან სხვა სადგომის დათმობით სურს თავი გაითავისუფლოს მატერიალური მოვალეობისაგან. მაგალითად, მოვალე კრედიტორს უთმობს თავის ბინას ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის იმ მოტივით, რომ სანაცვლოდ კრედიტორი მას არ მოსთხოვს ვალის გადახდას.

სსკ 271-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია შემდეგი დამამძიმებელი გარემოებები: ა) არაერთგზის; ბ) ანგარებით; გ) არასრულწლოვნის ან იმის მიმართ, ვინც გადის დეზინტოქსიკაციური თერაპიის კურსს. დამამძიმებელ გარემოებათაგან განვიხილავთ ასევე „გ“ პუნქტს — იგივე ქმედება, ჩადენილი არასრულწლოვანის ან იმ პირის მიმართ, ვინც გადის დეზინტოქსიკაციური თერაპიის კურსს.

არასრულწლოვანია პირი, ვისაც არ მიუღწევია 18 წლისათვის, მისი პიროვნება ბიოლოგიური და ზნეობრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ამდენად, მათთვის ბინის ან სხვა საცავის დათმობა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მოხმარებისათვის მომეტებული საშიშროებით ხასიათდება. ამასთანავე, 271-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ უთმობს ბინას ან სხვა სადგომს 18 წელს მიუღწეველ პირს, რომელსაც თავისი ნებით სურს ნარკოტიკის მოხმარება. უკეთუ ეს არასრულწლოვანი დამნაშავემ დაიყოლია ნარკოტიკის მოხმარებაზე და

თანაც დაუთმო ბინა, ქმედება დაკვალიფიცირდება ერთობლიობით.

დეზინტოქსიკაციური თერაპიის კურსს გადის ის ნარკომანი ან ტოქსიკომანი, ვინც ნებაყოფლობით თუ იძულებით სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში გაივლის სპეციალური მკურნალობის კურსს ნარკომანიის ან ტოქსიკომანიისაგან თავის დასაღწევად. თუ ეს პირები ექიმის დანიშნულების გარეშე მიიღებენ ნარკოტიკულ (ან სხვა) საშუალებებს, ეს არა მარტო ხელს შეუშლის დეზინტოქსიკაციური თერაპიის კურსის წარმატებით დამთავრებას, არამედ შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგი (სიკვდილი ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება). დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ სწორედ ასეთ პირს უთმობს ბინას.

271-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის სპეციალური სადგომის ანდა ასეთ სადგომში მისი უკანონოდ მოხმარების ორგანიზებისათვის.

სპეციალურ სადგომად უნდა ჩაითვალოს ისეთი შენობა-ნაგებობა, რომელიც გამიზნულია კონკრეტული საქმიანობისათვის. განსახილველ შემთხვევაში სპეციალურ სადგომად ჩაითლება შენობა-ნაგებობა, რომლის დანიშნულებაა მხოლოდ და მხოლოდ 271-ე მუხლში მითითებული ნივთიერების უკანონოდ მოხმარება. (და არა ამ ნივთიერების გასაღება).

სპეციალური სადგომის ორგანიზება შეიძლება გამოიხატოს შენობის ან მისი ნაწილის გამონახვასა და მისაკუთრებაში, ან დაქირავებაში; მის იმგვარ გადაკეთებაში, რაც ხელსაყრელს გახდის ამ სადგომის გამოყენებას „კლიენტების“ მომსახურებისათვის. მაგალითად, ოთახების ისეთნაირად განლაგება, რომ ყველა მათგანს ჰქონდეს დამოუკიდებელი შესასვლელი; ასევე სათანადო განათების სისტემის დამონტაჟება (ნახევრადგანათებული), რაც უზრუნველყოფს ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელთა კომფორტულ მდგომარეობას; სადგომში კარ-ფანჯრების იმგვარი სტილით დამონტაჟებას, რომელიც აძნელებს შემთხვევითი პირების თავისუფალ შესვლას სადგომში; დაცვის სისტემის შემუშავებას; მომსახურე პერსონალისა გამოძებნასა და სხვ.

სპეციალური სადგომის ორგანიზებაში არ იგულისხმება მისი მომარაგება ნარკოტიკული საშუალებით, მისი ანალოგით, ფსიქოტროპული ნივთიერებით ან მისი ანალოგით. ასეთ შემთხვევაში პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 271-ე მუხლითა

და საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით ან 260-ე, 261-ე, ან 264-ე მუხლებით. ამგვარი დასკვნის საფუძველს გვაძლევს, ჯერ ერთი, ის, რომ იმ სპეციალური სადგომის ორგანიზება არ გულისხმობს ნარკოტიკული (ან სხვა) საშუალების უკანონო შეძენასაც და მეორე, სსკ 271-ე მუხლის მე-3 ნაწილის სანქცია (თავისუფლების აღკვეთით სამიდან ექვს წლამდე) აშკარად უფრო მსუბუქია, ვიდრე 260-ე მუხლით, თუნდაც 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სანქცია (თავისუფლების აღკვეთით თერთმეტ წლამდე ვადით).

სსკ 271-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე ასევე შეიძლება გამოიხატოს ასეთ სადგომში (იგულისხმება სპეციალურად მოწყობილი სადგომი) ამ ნივთიერებების უკანონოდ მოხმარების ორგანიზებაში. აქ იგულისხმება სადგომის მომსახურე პერსონალის საქმიანობაზე კონტროლი, რათა ისინი კარგად მოემსახურონ „კლიენტებს", „კლიენტების" გამოძებნა, სადგომში უკანონოდ შემოსული შემოსავლების სათანადო აღრიცხვა და შენახვა; პერსონალზე განკუთვნილი ხელფასების დროული გაცემა; სადგომის უზრუნველყოფა სათანადო საკომუნიკაციო საშუალებებით; სადგომის ჰიგიენურ და სანიტარიულ პირობებზე ზრუნვა და სხვ.

თუ პირი, ვინც ორგანიზებას უკეთებს ასეთ სადგომში 271-ე მუხლში ჩამოთვლილი ნივთიერების უკანონოდ მოხმარებას, ამავე დროს, უკანონოდ ინახავს ან შეიძენს ამ ნივთიერებებს „კლიენტურაზე" მომსახურების მიზნით, მისი ქმედებაც უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით. (დამატებით 260-ე ან 262-ე მუხ).

ამდენად, სპეციალური სადგომის ორგანიზება ნიშნავს მის გამზადებას მოხმარებისათვის, ხოლო სადგომში ამ ნივთიერებათა უკანონოდ მოხმარების ორგანიზების დროს სადგომი იწყებს ფუნქციონირებას დანიშნულებისამებრ და პირი ხელმძღვანელობას უწევს მის მუშაობას.

შეიძლება ერთმა პირმა მოაწყოს სპეციალური სადგომი, ხოლო მეორემ ორგანიზება გაუკეთოს ამ სადგომში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მოხმარებას. ასევე შეიძლება ორივე ეს ქმედება ჩაიდინოს ერთი და იმავე პირმა და იმ შემთხვევაში მას ბრალად წაეყენება ორივე ქმედების ჩადენა, რაც ზეგავლენას მოახდენს სსკ 271-ე მუხლის მე-3 ნაწილის სანქციის ფარგლებში სასჯელის დანიშვნაზე.

სსკ 271-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწიებული დანაშაულის

საზოგადოებრივი საშიშროება ნაკლებია, ვიდრე მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისა. 1-ლი ნაწილი გულისხმობს უკვე არსებული ბინის ან სხვა სადგომის დათმობას სხვა პირზე კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების უკანონოდ მოხმარებისათვის, ხოლო მე-3 ნაწილით სუბიექტი თვითონ უკეთებს ორგანიზებას სპეციალურ სადგომს, რაც მოითხოვს გარკვეული დროის, ენერგიისა და თანხების ხარჯვას. ამდენად, ამ მუხლის 1-ლი ნაწილის სუბიექტის ქმედება შეიძლება ატარებდეს შემთხვევით და ერთჯერად ხასიათს, ხოლო მე-3 ნაწილის სუბიექტის ქმედება წინასწარაა მოფიქრებული და იგი არ შეიძლება გამიზნული იყოს ერთჯერადი მოხმარებისათვის. სპეციალური სადგომის მოწყობა ან მასში უკანონოდ მოხმარების ორგანიზება გამიზნულია გარკვეული დროის განმავლობაში ამ სადგომის ფუნქციონირებისათვის.

რაც შეეხება მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებს, ისინი განხილულია სსკ 260-ე მუხლის ანალიზისას.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის ფიზიკურ პირთან ერთად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ პირსაც.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება (მუხლი 272-ე).

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია პიროვნების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. მისი საზოგადოებრივი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ ხელს უწყობს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უკანონო მომხმარებელთა რაოდენობის ზრდას, რაც საფრთხეში აგდებს მოსახლეობის ჯანმრთელობას.

სსკ ამ მუხლის შემოღება განპირობებულია იმით, რომ იგი არ არის წაქეზების კერძო შემთხვევა. ამ შემთხვევაში არ ხდება პირის დაყოლიება დანაშაულში, რადგან ნარკ. საშუალების უკანონო მოხმარება ადმინისტრაციული გადაცდომაა.

მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი (272-ე მუხლის მე-2 ნაწ.), ასევე ის პირი, ვინც წარსულში იყო ამ ნივთიერებათა უკანონო მომხმარებელი, მაგრამ

შემდეგ თავი დაანება მას.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება მხოლოდ აქტიურობაში — მოქმედებაში. პირის დაყოლიება ხდება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის მოხმარებაზე.

მოხმარებაში იგულისხმება ამ ნივთიერებათა უკანონო მოხმარება ნებისმიერი ხერხის გამოყენებით. მაგალითად, ინექციის გზით, მოწევით, ჩასუნთქვით, სხვადასხვა აბისა თუ ფხვნილის მიღებით.

დაყოლიებას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირი აიძულებს მეორე პირს დაჰყვეს მას ან დაითანხმებს რაიმე ქმედების ჩადენაში. ჩვენ მიერ განსახილველ შემთხვევაში დაყოლიება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მოქმედების შესრულებით: ჩაგონებით, რჩევით; იმის ახსნით, თუ რა დიდ სიამოვნებას მოუტანს მას ამ ნივთიერების მოხმარება; სხვა პირისათვის სათანადო ლიტერატურის გაცნობით, სადაც აღწერილია ნარკოტიკულ საშუალებათა მიღებით გამოწვეული სიამოვნება; მუქარით; იძულებით (ფსიქიკური ან ფიზიკური); მოტყუებით (მაგალითად, სხვა სამედიცინო პრეპარატის ნაცვლად ნარკოტიკული საშუალების მიცემა); დაპირებითა და სხვ. თუ დაყოლიების ხერხად გამოყენებულია ისეთი მოქმედება, რომელმაც გამოიწვია მსხვერპლის ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, საქმე გვაქვს რეალურ ერთობლიობასთან და პირის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 272-ე და 117-ე ან 118-ე მუხლებით. ასევე დანაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს შემთხვევა, როცა დაყოლიების ხერხად გამოყენებულია თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143 მ.) ან წამება (144^1-ე მუხლი).

სსკ 272-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა დამთავრებულია არა დაყოლიებისაკენ მიმართული ქმედების ჩადენისას ან მაშინ, როცა დაზარალებულს გაუჩნდა სურვილი ამ ნივთიერების მიღებისა, არამედ, როცა დაზარალებული დაჰყვება ამ დანაშაულის სუბიექტის ნებას და მიიღებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, ფსიქოტროპულ ნივთიერებას ან მის ანალოგს, ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენჯერ მიიღებს პირი ამ ნივთიერებას.

ამიტომ, როცა პირი შეეცდება სხვის დაყოლიებას ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებაზე, მაგრამ ამას ვერ მოახერხებს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ მე-19, 272-ე მუხლით (მცდელობა).

როცა პირი დაიყოლიებს სხვა პირს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მოხმარებაში და, ამავე დროს, ასაღებს მასზე ამ ნივთიერებას, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

სსკ 272-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიებისათვის. რაც შეეხება სხვა სახის სამკურნალწამლო ან გამაბრუებელ საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში პირის ჩაბმას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სადაც მსხვერპლად გვევლინება მხოლოდ არასრულწლოვანი, ე.ი. 18 წელს მიუღწეველი პირი.

სსკ 272-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი არის ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, ე.ი. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ იყოლიებს სხვა პირს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო მოხმარებაზე და სურს ეს.

დანაშაულის მოტივს მნიშვნელობა არა აქვს კვალიფიკაციისათვის. იგი შეიძლება იყოს შურისძიება, ანგარება, შური და სხვ. ისინი გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასჯელის დანიშვნისას.

დამნაშავეს შეიძლება ამოძრავებდეს დაზარალებულის ნარკომანად ქცევის მიზანი. თუმცა გამორიცხული არაა სხვა პირადი მიზნებიც.

272-ე მუხლის მე-2 ნაწილით მაკვალიფიცირებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის. ამ დამამძიმებელი გარემოების ძირითადი არსი ჩვენ მიერ განხილულია სსკ 260-ე მუხლის ანალიზისას.

არაერთგზის შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც ერთი და იმავე, ისე სხვადასხვა პირის დაყოლიება, თუ პირი ნასამართლევია პირველად ჩადენილი დაყოლიებისათვის.

რაც შეეხება იმავე ქმედებას, ჩადენილს ორი ან მეტი პირის მიმართ, ეს დამამძიმებელი გარემოება ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებულია 272-ე მუხლის მე-3 ნაწილით. აქ დამნაშავეს ორი ან მეტი პირის დაყოლიების განზრახვა წარმოეშობა ერთდროულად და მოქმედებასაც, როგორც წესი, ერთდროულად ან დროის მცირე მონაკვეთში სჩადის. აქ მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ დამნაშავე კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მოხმარებაზე დაიყოლიებს არა ერთ, არამედ ორ ან

მეტ პირს. ამდენად, მისი ქმედება უფრო მეტი ზიანის მომტანია. ამასთანაყე, ისე როგორც 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისას, აქაც მნიშვნელობა არა აქვს, თუ მსხვერპლი რამდენჯერ მოიხმარს ამ ნივთიერებას. არც იმას აქვს მნიშვნელობა, რა რაოდენობის ნივთიერების უკანონო მოხმარებაში დაიყოლიეს პირი. ასევე 272-ე მუხლის კვალიფიკაციაზე არ ახდენს ზეგავლენას, თუ რა შედეგი მოჰყვა ამგვარ დაყოლიებას.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით კი, თუ პირის დაყოლიებას გაუფრთხილებლობით შედეგად მოჰყვა მსხვერპლის სიკვდილი, ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 272-ე და 116-ე ან 124-ე მუხლებით.

იგივე ქმედება ჩადენილია არასრულწლოვანის მიმართ მაშინ, როცა პირი წინასწარი შეცნობით 18 წელს მიუღწეველ პირს დაიყოლიებს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მოხმარებაზე. აქ მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტი, რომ დაზარალებული არაა სრულწლოვანი, მისი პიროვნება ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ამდენად, შედარებით ადვილია ასეთი პირის დაყოლიება და, რაც მთავარია, 272-ე მუხლში მითითებულ ნივთიერებას მის ჯანმრთელობაზე გაცილებით უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

მოქმედი კანონმდებლობით მაკვალიფიცირებელ გარემოებად არაა მიჩნეული იმ პირის დაყოლიება, ვისაც თავისი ავადმყოფური მდგომარეობის გამო არ შეეძლო შეეფასებინა ის ქმედება, რასაც სჩადიოდნენ მის მიმართ და გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი შედეგები, ანდა არ ჰქონდა უნარი წინააღმდეგობა გაეწია დამნაშავის ქმედებისათვის. ამდენად, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის დაყოლიება (გარდა არასრულწლოვანისა) დაკვალიფიცირდება 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება (მუხლი 273-ე).

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია არა მოსახლეობის (ე.ი. განუსაზღვრელ პირთა წრის), არამედ კონკრეტული პირის ფიზიკური და ზნეობრივი ჯანმრთელობა.

დანაშაულის საგანია მცირე ოდენობის ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი ან პრეკურსორი. (უკანონო დამზადების, შეძენის ან შენახვისას). როგორც ვხედავთ, დანაშაულის საგანს არ წარმოადგენს ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება. ეს იმას ნიშნავს, რომ მცირე ოდენობით პირადი მოხმარებისათვის ამ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება საერთოდ არ გვაძლევს დანაშაულის შემადგენლობას.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა განპირობებულია იმით, რომ ფსიქოტროპული ნივთიერების, მათი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების საშიშროება ნაკლებია, ვიდრე ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორისა. თანაც, ამ ნივთიერებების უკანონო მოხმარება ნაკლებადაა გავრცელებული.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება: ა) ნარკოტიკული ნივთიერების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადებაში, შეძენაში ან შენახვაში პირადი მოხმარების მიზნით; ანდა ბ) ექიმის დანიშნულების გარეშე მათ (აქ უკვე არაა აქვს მნიშვნელობა ოდენობას) უკანონო მოხმარებაში, თუკი პირს ასეთი ქმედებისათვის დადებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი. ან ნასამართლევი იყო ამ დანაშაულისათვის. (273-ე მუხლი).

ამდენად, სსკ 273-ე მუხლის გამოყენებას წინ უნდა უსწრებდეს ადმინისტრაციული პრეიუდიცია, ან პირის ნასამართლობა სსკ 273-ე მუხლით.

თუ რაში გამოიხატება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ჩვენ განვიხილეთ სსკ 260-ე მუხლის ანალიზისას.

პირადი მოხმარებისათვის ამ ნივთიერებათა უკანონო დამზადებას, შეძენას ან შენახვას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირის მიზანია მათი მიღება (შეყვანა საკუთარ ორგანიზმში) სხვადასხვა გზით: ინექციის საშუალებით, აბებისა თუ ფხვნილის დალევით, ჩასუნთქვით. დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი მცირე ოდენობით უკანონოდ, სათანადო ნებართვის გარეშე დაამზადებს, შეიძენს ან შეინახავს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას პირადი მოხმარების მიზნით (ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში).

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ასევე 273-ე მუხლში ჩამოთვლილ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე ნებისმიერი ოდენობით უკანონო მოხმარებაში (ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ).

ამ შემთხვევაში პირი თავის ორგანიზმში შეიყვანს ნარკოტიკულ საშუალებას ან მის ანალოგს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით — ექიმის დანიშნულების გარეშე. ამასთანავე, მომხმარებელმა შეიძლება თვითონ შეიყვანოს თავის ორგანიზმში ეს ნივთიერებები ან მისი თანხმობით სხვა პირს შეაყვანინოს იგი. ნარკოტიკული საშუალების მიღების (მოხმარების) ფაქტი დგინდება ლაბორატიული გამოკვლევის საფუძველზე. ეს გამოკვლევა უნდა ჩატარდეს იმ სტანდარტების დაცვით, რაც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

ნარკოტიკის ადამიანის ორგანიზმში შეყვანის შემდეგ ეს ნივთიერება საფრთხეს უკვე ველარ შეუქმნის სხვა პირებს, ანუ იგი აბსტრაქტულ საფრთხესაც კი კარგავს სხვა პირთა მიმართ. აქედან გამომდინარე, რაც არ უნდა დიდი დოზა მოიხმაროს პირმა ექიმის დანიშნულების გარეშე, ამასთანავე რაც არ უნდა უტყუარი მტკიცებულებებით დაადგინეს ნარკოტიკის მოხმარებამდე მისი უკანონოდ შეძენის ფაქტი, ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 260–ე მუხლით (უკანონო შეძენა). სსკ 273–ე მუხლით გათვალისწინებული ეს ქმედება (ნარკოტიკის მოხმარება) შთანთქავს 260–ე მუხლით გათვალისწინებულ ისეთ წინარე ქმედებებს, როგორიცაა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა (რა თქმა უნდა, იგულისხმება მოხმარებული ნარკოტიკული ნივთიერება).

ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო მოხმარებისას არაა სავალდებულო ეს ნივთიერება მომხმარებელმა თვითონვე დაამზადოს, შეიძინოს ან

ინახავდეს მას უკანონოდ. პირმა შეიძლება უკანონოდ მოიხმაროს კანონიერად შეძენილი ნარკოტიკული საშუალება. მაგალითად, ოჯახში ინახება მძიმე ავადმყოფისათვის ექიმის დანიშნულებით შეძენილი ნარკოტიკული საშუალება, ხოლო ოჯახის ერთ-ერთი წევრი მას მოიხმარს უკანონოდ (რა თქმა უნდა, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ან თუ იგი ნასამართლევი იყო ამ დანაშაულისათვის და ნასამართლობა არ ჰქონდა მოხსნილი ან გაქარწყლებული). მაგრამ არაა გამორიცხული, ერთი და იგივე პირი ასრულებდეს სსკ 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარით გათვალისწინებულ ორივე ქმედებას. მაგალითად, პირმა თვითონ დაამზადა უკანონოდ მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება პირადი მოხმარებისათვის და შემდეგ ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა იგი. ასეთ შემთხვევაში მას ბრალად წარედგინება როგორც მცირე ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო დამზადება პირადი მოხმარებისათვის (თუ ეს ფაქტი დამტკიცდა), ასევე მათი უკანონო მოხმარება ასეთივე ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

სსკ 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტურ მხარეში არ შედის ისეთი ქმედება, როგორიცაა: უკანონო წარმოება, გადაზიდვა და გადაგზავნა. რაც შეეხება უკანონო გადაზიდვას, თუ ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი მცირე ოდენობით ამ ნივთიერების ტრანსპორტირებისას თვითონაც იქ იმყოფება, ასეთი ქმედება შეფასდება არა როგორც უკანონო გადაზიდვა, არამედ როგორც უკანონო შენახვა.

დანაშაულის ამსრულებელი არის ნებისმიერი შერაცხადი, 14 წელს მიღწეული პირი, საქართველოს პარლამენტმა 2007 წ. 3 ილისს მიიღო კანონი "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ". ამ კანონის მე-2 მუხლის თანახმად პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, არის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი. ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლებას აქვს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს 3 წლით ჩამოერთვას სხვადასხვა უფლებები, მათ შორის პასიური საარჩევნო უფლება (ე.ი. უფლება, იყოს არჩეული).

სასჯელის ეს სახე არაა მოცემული სსკ ზოგად ნაწილში (მე-40 მუხ). ამდენად, აღნიშნული კანონი წინააღმდეგობაში მოდის სსკ ზოგად

ნაწილთან, რაც გამართლებულად არ უნდა ჩაითვალოს.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით: პირს გაცნობიერებული აქვს, რომ უკანონოდ ამზადებს, იძენს ან ინახავს კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას მცირე ოდენობით და სურს ეს, თანაც ამ შემთხვევაში მას უნდა ამოძრავებდეს სპეციალური მიზანი — ამ ნივთიერებათა პირადი მოხმარება; ანდა გაცნობიერებული აქვს, რომ ექიმის დანიშნულების გარეშე, დადგენილი წესის დაუცველად მოიხმარს ამ ნივთიერებას.

იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება (მუხლი 274-ე).

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია კონკრეტული პირის (ნარკომანის) როგორც ფიზიკური, ისე ზნეობრივი ჯანმრთელობა.

ნარკომანიით დაავადებულად ითვლება პირი, რომელსაც შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი აქვს დიაგნოზი „ნარკომანია“. ნარკომანია არის დაავადება, რომელიც ხასიათდება ნარკოტიკული საშუალების მიღებისადმი მზარდი, დაუძლეველი სურვილით მათ მიმართ ჩამოყალიბებული ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულების გამო.

აქედან გამომდინარე, ყველა სამედიცინო დაწესებულებას არა აქვს უფლება დაუდგინოს პირს დიაგნოზი „ნარკომანია“. ეს უნდა გააკეთოს მხოლოდ იმ სამედიცინო დაწესებულებამ, რომელსაც გააჩნია სათანადო ლიცენზია (ნებართვა). სახელმწიფო აფინანსებს ნარკომანიით დაავადებული პირის გამოკვლევასა და ექსპერტიზას, მის დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და სარეაბილიტაციო ღონისძიების ჩატარებას იმ პროგრამის ფარგლებში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს კანონით „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

ნარკომანს ნარკოლოგიური დახმარება უნდა გაეწიოს შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში. მკურნალობა შეიძლება ჩატარდეს როგორც ანონიმურად, ისე გაცხადებულად, როგორც ნებაყოფლობით, ისე სავალდებულო წესით. არასრულწლოვან ნარკომანს კი მკურნალობა შეიძლება ჩაუტარდეს როგორც მშობლის ან კანონიერი

წარმომადგენლის, ისე საკუთარი სურვილით.

სრულწლოვან პაციენტებს სავალდებულო მკურნალობა უტარდებათ სპეციალიზებულ, დახურული ტიპის ნარკოლოგიურ დაწესებულებაში, ხოლო არასრულწლოვან პაციენტებს — სპეციალიზებულ, დახურული ტიპის სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში.

ნარკომანიის დიაგნოსტირებას ახდენს სამედიცინო დაწესებულება კომისიური წესით (არანაკლებ სამი ექიმ-ნარკოლოგის მონაწილეობით).

ნარკომანიით დაავადებულ პირთა შესახებ ინფორმაცია თავსდება ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში, ხოლო, როცა მკურნალობა ნებაყოფლობითი და ანონიმურია, საინფორმაციო ბანკში შეიძლება გაიგზავნოს ინფორმაცია პაციენტის პერსონალური მონაცემების გარეშე. ასეთი მონაცემები წარმოადგენს საექიმო საიდუმლოებას.

ნარკომანი მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ, სამი წლის განმავლობაში იმყოფება დისპანსერულ მეთვალყურეობაზე.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ნარკომანის მიერ სპეციალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში იძულებითი მკურნალობისათვის ჯიუტად თავის არიდებაში.

ნარკომანის იძულებითი მკურნალობა სპეციალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში ორ ასპექტს მოიცავს: იურიდიულსა და სამედიცინოს.

იურიდიულ ასპექტში იგულისხმება ნარკომანთა იძულებითი მკურნალობის დანიშვნის საფუძველი და მიზანი, მკურნალობის სახეები, აგრეთვე მისი დანიშვნის, აღსრულების, გაგრძელებისა და შეწყვეტის წესი, რაც განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

სამედიცინო ასპექტი კი გულისხმობს იმას, რომ დასკვნას პირის ნარკომანიით დაავადებისა და მისთვის მკურნალობის საჭიროების შესახებ იძლევა ექიმ-ნარკოლოგთა კომისია. ამავე ასპექტში შედის იძულებითი მკურნალობის თვით შინაარსი, რაც მიზნად ისახავს ნარკომანის გამოჯანმრთელებას.

მკურნალობის შინაარსში იგულისხმება ავადმყოფის მკურნალობისათვის საჭირო ხერხი და საშუალება.

მართალია, ნარკომანის იძულებითი მკურნალობა სპეციალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში იურიდიულ ასპექტებსაც მოიცავს, მაგრამ იგი თავისი არსით სამედიცინო ღონისძიებაა და არ წარმოადგენს

სასჯელის სახეს. იგი არ ისახავს მიზნად სამართლიანობის აღდგენას და არ შეიცავს დასჯის ელემენტებს, მისი ხანგრძლივობა არაა დამოკიდებული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე, არამედ ავადმყოფის მდგომარეობაზე. ამდენად, მკურნალობის ხანგრძლივობას განსაზღვრავს არა სასამართლო, არამედ სამკურნალო დაწესებულება. დაბოლოს, იძულებითი მკურნალობა არ იწვევს ნასამართლობას.

იძულებითი მკურნალობისათვის ჯიუტად თავის არიდება შეიძლება გამოიხატოს უმეტესწილად უმოქმედობაში. მაგალითად, ნარკომანი მიუხედავად არაერთგზისი გაფრთხილებისა, არ იღებს დანიშნულ სამკურნალო საშუალებებს; არ მონაწილეობს მკურნალობისათვის დანიშნულ შრომით თუ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში; არ იცავს დღის რეჟიმს.

ჯიუტად თავის არიდება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებაშიც. მაგალითად, მიუხედავად მკაცრი გაფრთხილებისა, მაინც განაგრძობს ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებას; უნებართვოდ ტოვებს სპეციალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებას და სხვ.

იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება რომ შეფასდეს ჯიუტად თავის არიდებად, საკმარისი არ არის ნარკომანის მიერ მკურნალობისთვის თავის არიდების ერთჯერადი ან თუნდაც ეპიზოდური შემთხვევები. ჯიუტად თავის არიდებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა ნარკომანი სისტემატურად, მიზანმიმართულად თავს არიდებს მკურნალობას, არაფრად აგდებს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ადმინისტრაციის გაფრთხილებას და არ ემორჩილება მკურნალობის რეჟიმს.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით — ნარკომანს გაცნობიერებული აქვს, რომ თავს არიდებს მისთვის დანიშნულ მკურნალობას და სურს ეს.

დანაშაულის მოტივი და მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა: ნარკომანს არ სჯერა, რომ მკურნალობა შედეგს გამოიღებს; მას არ სურს თავი დაანებოს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას; უძნელდება მკურნალობის რეჟიმის დამორჩილება; თავს შეურაცხყოფილად გრძნობს იმის გამო, რომ მოათავსეს სპეციალურ დაწესებულებაში და იძულებით უტარებენ მკურნალობას და სხვ.

დანაშაულის ამსრულებელია მხოლოდ ის პირი, ვინც შესაბამისი ლიცენზიის მქონე დაწესებულების მიერ ცნობილია ნარკომანად. ე.ი. აქ საქმე გვაქვს სპეციალურ სუბიექტთან.

შინაარსი

თავი I

§1. საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება და საგანი 3
§2. დანაშაულის კვალიფიკაცია და მისი მნიშვნელობა 16
§3. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემა 20

თავი II

დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ 24
§1. ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზოგადი დახასიათება 24
დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ. 24
განზრახი მკვლელობა (მუხლი 108-ე) 29
განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (მუხლი 109-ე) 33
მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით (მუხლი 110-ე) 52
განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (მუხლი 111-ე) 56
დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა (მუხლი 112-ე) 59
მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით (მუხლი 113-ე) 60
მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით (მუხლი 114-ე) 63
თვითმკვლელობამდე მიყვანა (მუხლი 115-ე) 64
სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (მუხლი 116-ე) 67

თავი III

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ 69
§1. ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზოგადი დახასიათება 69
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 117-ე) 77
ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება 106
ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (სსკ 120-ე მუხლი) 109
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ 121-ე მუხლი) 110

ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით (სსკ 122-ე მუხლი) 112
ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით (მუხლი 123-ე) 114
ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით (მუხლი 124-ე) 117
ცემა (სსკ 125-ე მუხლი) 119
ძალადობა (მუხლი 126-ე) 121

თავი IV

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა 125
(ზოგადი დებულებები) 125
სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (მუხლი 127-ე) 138
განსაცდელში მიტოვება (მუხლი 128-ე) 140
დაუხმარებლობა (მუხლი 129-ე) 142
ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (მუხლი 130-ე) 144
შიდსის შეყრა (მუხლი 131-ე) 148
განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა (მუხლი 132-ე) 150
უკანონო აბორტი (მუხლი 133-ე) 152
ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება (მუხლი 134-ე) 155
სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა (მუხლი 135-ე) 159
ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა (მუხლი 135^1-ე) 161
გენეტიკური მანიპულაცია (მუხლი 136-ე) 162

თავი V

დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ 165
§1. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზოგადი დახასიათება 165

გაუპატიურება (სსკ 137-ე მუხლი) 167
სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება
(სსკ 138-ე მუხლი) 183
სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი
მოქმედების იძულება (სსკ 139-ე მუხლი) 185
სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება
თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან (სსკ 140-ე მუხლი) 189
გარყვნილი ქმედება (სსკ 141-ე მუხლი) 191

თავი VI

დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების
წინააღმდეგ 193
§1. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ
მიმართულ დანაშაულთა ზოგადი დახასიათება 193
ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა
(სსკ 142-ე მუხლი) 196
რასობრივი დისკრიმინაცია (მუხლი 142^1-ე) 200
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების
შეზღუდვა (მუხლი 142^2-ე) 207
თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მუხლი 143-ე) 210
ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) – (მუხლი 143^1-ე) 216
არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) – (სსკ 1432 მუხლი) 230
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის)
მომსახურებით სარგებლობა (მუხლი 143^3) 236
მძევლად ხელში ჩაგდება (სსკ 144-ე მუხლი) 241
წამება (მუხლი 144^1) 246
წამების მუქარა (მუხლი 144^2) 255
დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (მუხლი 144^3) 258
დანაშაულის პროვოკაცია1 (მუხლი 145^1-ე) 260
უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ
პასუხისგებაში (მუხლი 146-ე) 265
განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება
(სსკ 147-ე მუხლი) 268
უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში
(სსკ 149-ე მუხლი) 272

იძულება (სსკ 150-ე მუხლი) 277
მუქარა (სსკ 151-ე მუხლი) 281
ადგილსამყოფლის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა (სსკ 152-ე მუხლი) 286
სიტყვის თავისუფლების ხელყოფა (მუხლი 153-ე) 290
ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა (მუხლი 154-ე) 292
რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა (მუხლი 155-ე) 294
დევნა (მუხლი 156-ე) 296
პირადი ან ოჯახური საიდუმლოების ხელყოფა (მუხლი 157-ე) 298
კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევა (მუხლი 158-ე) 301
პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა (მუხლი 159-ე) 304
ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა (მუხლი 160-ე) 306
შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა (მუხლი 161-ე) 309
არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა (მუხლი 162-ე) 312
საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა (163 მუხ.) 315
ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება (მუხლი 164-ე) 316
ამომრჩევლის მოსყიდვა 164^1 318
ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის მიღება სსკ 164^2 320
არჩევნების გაყალბება სსკ 164^3 322
გაფიცვის უფლების ხელყოფა (მუხლი 165-ე) 325
პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა (მუხლი 166-ე) 326
ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა (მუხლი 167-ე) 328
შრომის თავისუფლების ხელყოფა (მუხლი 168-ე) 331
შრომის კანონმდებლობის დარღვევა (მუხლი 169-ე) 332
შრომის დაცვის წესის დარღვევა (მუხლი 170-ე) 334

თავი VII

დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ 336
§1. ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ზოგადი დახასიათება 336
არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (სსკ 171-ე მუხლი) 337
არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით (სსკ 172-ე მუხლი) 342
შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელშეწყობა (სსკ 1721-ე მუხლი) 345
შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა (სსკ 173-ე მუხლი) 348
ბავშვის შეცვლა (მუხლი 174-ე) 351
შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება (მუხლი 174-175-ე) 352
ალიმენტის გადახდისათვის ვალიუტად თავის არიდება (მუხლი 176-ე) 355
ეკონომიკური დანაშაული 358

თავი VIII

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ 359
ქურდობა (მუხლი 177-ე) 367
ძარცვა (მუხლი 178-ე) 374
ყაჩაღობა (მუხლი 179-ე) 377
თაღლითობა (მუხლი 180-ე) 382
გამოძალვა (მუხლი 181-ე) 385
მითვისება ან გაფლანგვა (მუხლი 182-ე) 389
განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით (მუხლი 183-ე) 392
ქონებრივი დაზიანება მოტყუებით (მუხლი 185-ე) 395
წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება (მუხლი 186-ე) 398
ნივთის დაზიანება ან განადგურება (მუხლი 187-ე) 402

ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით (მუხლი 188-ე) 404
საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა (მუხლი 189-ე) 405
სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფა (მუხლი 1891) 408

თავი IX

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ 412
კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა (მუხლი 190-ე) 412
მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია (მუხლი 191-ე) 415
უკანონო სამეწარმეო საქმიანობა (მუხლი 192-ე) 419
უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობა (მუხლი 192[1]) 422
ცრუ მეწარმეობა (მუხლი 193-ე) 424
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (მუხლი 194-ე) 426
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობა, ნივთის შეძენა, ფლობა ან გასაღება (მუხლი 194[1]) 431
მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა (მუხლი 195-ე) 432
სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევა (მუხლი 195[1]) 436
სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენება (მუხლი 196-ე) 439
ფალსიფიკაცია (მუხლი 197-ე) 444
ფალსიფიცირებული ნივთის უკანონო გადაზიდვა ან გასაღება 447
ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება. შემოტანა ან რეალიზაცია (მუხლი 198-ე) 447
ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა (მუხლი 199-ე) 452
მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა (მუხლი 200-ე) 454

ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან/და გამოყენება (მუხლი 200[1]-ე) 456
აქციზური მარკების მეორადი გამოყენების მიზნით გასაღება, შეძენა და გამოყენება ან/და მათი სხვა პირისათვის გადაცემა (მუხლი 200[2]-ე) 458
სამეწარმეო საქმიონაობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარი (200[3] მუხლი) 459
ყალბი რეკლამა (მუხლი 201-ე) 462
კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება ან გავრცელება (მუხლი 202-ე) 463
მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ფაქტის გახმაურება (მუხლი 202[1]) 467
პროფესიული სპორტული შეჯიბრის ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზაციის მოსყიდვა (მუხლი 203-ე) 469
ბუღალტრული აღრიცხვის წესისი დაღვევა 471
უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას (მუხლი 205-ე) 474
საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გადახდისუუნარობისას (მუხლი 206-ე) 476
გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადების შეუტანლობა გადახდისუუნარობისას (მუხლი 207-ე) 477
მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ მეურვისათვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების დარღვევა (მუხლი 207[1]) 478

თავი X

დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში 480
კრედიტის უკანონოდ მიღება (მუხლი 208-ე) 480
ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (მუხლი 210-ე) 483
ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება (მუხლი 211-ე) 485

ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება (მუხლი 212-ე) 486
ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესების დარღვევა (მუხლი 213-ე) 489

თავი XI

დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში 494
საბაჟო წესის დარღვევა (მუხლი 214-ე) 494
საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საქართველოში დაუბრუნებლობა (მუხლი 215-ე) 498
საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა (მუხლი 216-ე) 500
საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხების დაუბრუნებლობა (მუხლი 217-ე) 501
გადასახადისათვის თავის არიდება (მუხლი 218-ე) 503
მომხმარებლის მოტყუება (მუხლი 219-ე) 507

თავი XII

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ 510
უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხლი 220-ე) 510
კომერციული მოსყიდვა (მუხლი 221-ე) 513

თავი XIII

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ 517
ტელერადიომაუწყებლობის ან კავშირგაბმულობის დაწესებულების ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება (მუხლი 222-ე) 519
სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება (მუხლი 222I-ე) 523
უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა (მუხლი 223-ე) 526
ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა (მუხლი 2231) 530

ბანდიტიზმი (მუხლი 224-ე) 535
რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა (მუხლი 224[1]) 540
მასობრივი არეულობა (მუხლი 225-ე) 542
ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მასში აქტიური მონაწილეობა (მუხლი 226-ე) 545
საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (მუხლი 227-ე) 548
წყლის ხომალდის ნაოსნობისათვის საშიშროების შექმნა (მუხლი 227[1]) 553
სტაციონარული პლატფორმის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება, განადგურება, დაზიანება (მუხლი 227[2]) 558
მეკობრეობა (მუხლი 228-ე) 561
აფეთქება (მუხლი 229-ე) 565
ენერგორესურსით სარგებლობის წესების დარღვევა (მუხლი 229[1]-ე) 568
ბირთვული მასალის ან მოწყობილობის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი უკანონო მოპყრობა (მუხლი 230-ე) 571
ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება (მუხლი 231-ე) 576
ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მუქარა (მუხლი 2311) 578
ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება (მუხლი 232-ე) 579
ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება (მუხლი 233-ე) 581
საქართველოს ტერიტორიაზე რადიაქტიური, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტი ან იმპორტი (მუხლი 234-ე) 583
მასობრივი განადგურების იარაღის, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო ექსპორტი (მუხლი 235-ე) 586

ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხლი 236-ე) 589
იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა (მუხლი 237-ე) 598
ცეცხლსასროლი იარაღის (მათ შორის გლუვლულიანი სანადირო თოფის) დაუდევრად შენახვა (მუხლი 238-ე) 603
21 წლის ასაკის მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება (მუხლი 238[1]) 606
ხულიგნობა (მუხლი 239-ე) 608

თავი XIV

სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა 614
სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (მუხლი 240-ე). 614
ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა (მუხლი 2401-ე). 617
ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევა (მუხლი 241-ე). 619
აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში უსაფრთხოების წესის დარღვევა (მუხლი 242-ე). 621
სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა (მუხლი 243-ე). 624
ფეთქებადი, ადვილადაალებადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაკეთობის აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გამოყენების ან გადაგზავნის წესის დარღვევა (მუხლი 244-ე). 626
ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევა (მუხლი 245-ე). 628

თავი XV

დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ 631
უკანონო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა (მუხლი 246-ე). .. 632
სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება (მუხლი 247-ე). 635
სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესის დარღვევა (მუხლი 248-ე). 638
შხამის ბრუნვის წესის დარღვევა (მუხლი 249-ე). 641
შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა (მუხლი 250-ე). 645
უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამო, უხარისხო საქონლის გამოშვება ან გაყიდვა ანდა უხარისხო სამუშაოს შესრულება ან უხარისხო მომსახურების გაწევა (მუხლი 251-ე). 646
უკანონო გაერთიანების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა (მუხლი 252-ე). 650
პროსტიტუციაში ჩაბმა (მუხლი 253-ე). 653
პროსტიტუციისათვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა (მუხლი 254-ე). 655
პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება (მუხლი 255-ე). 656
არასრულწლოვანის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში (მუხლი 255^1-ე). 660
ისეთი ნაწარმოების დამზადება ან გავრცელება, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობას ან სისასტიკის კულტს (მუხლი 256-ე). 661
ბუნების ძეგლის დაზიანება ან განადგურება (მუხლი 257-ე) 663
მიცვალებულისადმი უპატივცემულობა (მუხლი 258-ე) 665
ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა (მუხლი 259-ე). 667

თავი XVI

დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ 669
უკანონო არქეოლოგიური სამუშაოები, არქეოლოგიური ობიექტის

დაზიანება (მუხლი 2591) 669
კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება ან განადგურება (მუხლი 2592) 671
კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის რეჟიმის დარღვევა (მუხლი 2593) 673
ძეგლებისა და სხვა კულტურული ფასეულობების საქართველოდან უნებართვო გატანა (მუხლი 2594) 676
საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში 678
შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის საერთაშორისო წესების დარღვევა (მუხლი 2595) 678

თავი XVII

ნარკოტიკული დანაშაული 682
§1. ნარკოტიკულ დანაშაულთა ზოგადი დახასიათება 682
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხლი 260-ე). 686
ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხლი 261-ე). 703
საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (მუხლი 262-ე). 707
საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (მუხლი 263-ე). 716
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა (მუხლი 264-ე). 717
ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება (მუხლი 265-ე). 726

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა (მუხლი 266-ე). 729
ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება (მუხლი 267-ე). 732
ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება (მუხლი 268-ე). 736
ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა (მუხლი 269-ე). 736
ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა (მუხლი 270-ე). 741
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა (მუხლი 271). 742
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება (მუხლი 272-ე). 747
პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება (მუხლი 273-ე) 751
იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება (მუხლი 274-ე) 754

მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი

(წიგნი I)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2011

რედაქტორი: მარიამ ინასარიძე
კორექტორი: ნელი ელიზბარაშვილი
ტექ. რედაქტორი: თამარ სტეფნაძე

„გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №45
E – mail: info@meridianpub.com ტ. 39-15-22